

ქართული საბჭოთა დრამატურგიის პიესების კრებული

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი
1959



ჰიმნები

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი
1959

ალიო ადამია

•

მსახიობის სიკვდილი

დრამა 4 მოქმედებად
5 სურათად

∴

მოქმედნი პირნი

გიორგი — ოდესის თეატრალური სტუდიის სტუდიელი, შემდეგ ქართული დრამის მსახიობი

ანა — გიორგის მეუღლე

ნიკო — გიორგის მამა

რევაზი
ციორამი } — გიორგის ამხანაგები. სტუდენტები

ვასილისა — ოდესელი მებადურის ქვრივი, გიორგის დიასახლისი.

რუსუდანი
ასმათი
ბეჟანი } — ქართული დრამის მსახიობნი

სიკო — თამაშობს ყალბ მსახიობს. მისი საუბრის ტონი ყოველთვის პათეტურია

ანატოლ დონილოვი — ოდესის თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელი

რაჟდენი — ქართული დრამის რეჟისორი

ქიტესა — გლები, გიორგის კარისმეზობელი

ლევანი — განათლების მინისტრი მენშევიკური მთავრობისა

კირილე — მრეწველი

ფლორენცია — კირილეს მეუღლე

იროდიონი — ვაჭარი

ლილა — ახალგაზრდა მომღერალი ქალი

დოროთე — ხელმოცარული თავადი

ტუგრიი
ალგორა } მეეტლეები

ბარნაბა — განათლების სამინისტროს მოხელე.

იტალიელი მომღერალი ქალი

მთხრობელი

ქალი

ვაჟი

გიორგის თბილისელი მეზობელი ქალი

„ „ „ ქალი

ლაქია

ესტრადის მომღერალი ქალი (სულისებში)

მოქმედების დრო 1915 — 1920 წ.

პირველი მოქმედება — ოდესაში, მეორე და მესამე — თბილისში, მეოთხე სოფელ ირადეთში.



პირველი მოქმედება

პირველი სურათი

ფარდის ახდისას სცენაზე სიბნელეა. სანთელით ხელში შემოდის მთხრობელი.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — ამ ძველ სახლში, რომელიც ოდესის გარეუბანში დგას, მეგადურის ქვრივის ბინაზე სამი წელია ქართველი ჭაბუკი ცხოვრობს.

მისი სახელია გიორგი.

გიორგი ახლა ამ ოთახში ზის, თქვენ ჯერ ვერ ხედავთ მას და არ გესმით მისი გულის საოცარი ფეთქვა.

მისი მეგობრები, რომლებმაც ახლახან დაამთავრეს სასწავლებელი, სამშობლოში გაემგზავრნენ. მათ მშობლები, სამსახური და შეყვარებულები უხმობდნენ საქართველოში.

გიორგის არავინ ელის, არავინ უხმობს!

მშობლები განრისხებულნი არიან, რადგან მათგან მალულად, მათი სურვილის წინააღმდეგ თეატრალური სტუდია დაამთავრა... აისრულა საწადელი და გაზეთებმა შეაქეს მისი ნიჭი, უწინასწარმეტყველეს — დიდი ხელოვანი გამოხვალო... ეს წერილები თბილისის გაზეთებმა გადაბეჭდეს და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ერთადერთი ქართველი მხცოვანი მსახიობი გამოეხმაურა — ულოცავდა, ამხნევებდა, ურჩევდა საქართველოში მალე დაბრუნებას.

... სანაცვლოდ გიორგის მამამ რისხვითა და მუქარით სავსე ბარათი გამოგზავნა: ეგ სისულელე, ჩემგან ნამალავად რომ შეგიძენია, ოდესაშივე დაიბერტყე და შინ ადამიანად გამოგეცხადეო... ახლაც ის ბარათი უჭირავს ხელში და ვინ იცის მერამდენედ კითხულობს, — გული ეთანაღრება და მწარე ფიქრს მისცემია — საქართველოში დაბრუნებულს მიიღებს

მშობელი მამა? რას შესძენს ქართულ თეატრს იგი და კარს გაუღებს კი მას ქართული თეატრი?

გიორგის შეყვარებული?

თქვენ გესმით როიალის ხმა. მას ანა უკრავს. დედისერთა ანა ამ სახლის მესამე სართულზე ცხოვრობს, მან ახლახან დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი და სნეული დედამისი სიხარულმა გამოაჯანსაღა. ხანგრძლივია კი ეს სიხარული?

ანა და გიორგი მთვარიან ღამეში ხშირად სეირნობენ იდუმალებით სავსე ზღვის სანაპიროზე, ჩასცქერიან ზღვის ტალღებში მოკიაფე ჭავლებს და ნაირფერებით ხატავენ თავიანთ მომავალ ცხოვრებას! არა, მათ უერთმანეთოდ ყოფნა არ შეუძლიათ და ანამ გადაწყვიტა საქართველოში გაჰყვეს გიორგის... მაგრამ რატომ ეჩქარობ, თითონვე დაინახავთ როგორ წარიმართება მათი ცხოვრება.

(გადის)

ნათდება. ღარიბულად მორთული ოთახი მეორე სართულზე. სარკმლიდან ჩანს გრძელი ეიწრო ქუჩა. ქუჩის დასასრულს ზღვა. ფანჯარა ღიაა. ფანჯარასთან ამოჩრილი მოაჯირი ცხადყოფს, რომ აქ ზედასართულის კიბე ჩამოდის. გიორგი ზის ძველ სავარძელში. ზედასართულზე ვიღაც უკრავს შოპენის ნოქტიურნს.

გ ი ო რ გ ი — (კითხულობს მამისაგან მიღებულ წერილს)

„...სირცხვილს გვაყრი და ცოცხლად გემარხავ ღირსეულ
მშობლებს!
ნეტავ ვიცოდე, ვინ მიმუხთლა ეგრე ულმობლად!
ნუთუ შენ თვითონ მოისურვე ჩვენი სიკვდილი?
ვერ დავიჯერებ... ვერ დავიჯერებ —
ჩემი ვაჟკაცი ბერიკა და ქვეყნის მასხარა?
...ვის დავენახვო სამარეში ცოცხლად ჩასული...
არა! ჭორია ჩემი მტრისგან გამოგონილი, —
შენ დამიმოწმებ, რომ ნამდვილად ჭორია, შვილო!“

(როიალის ხმა ძლიერდება)

...გულს მითბობს ეს ხმა...
ეს ბგერები სულში მეკრება, —
ამ ჰანგში სევდა უძიროა, მაგრამ იმედის
შუქიც ელვარებს შავ ნაღველის გასაქარვებლად
ერთ და იმავ დროს...

(შემოდის ვასილისა)

ვ ა ს ი ლ ი ს ა (აწვდის წინდებს) — დავამთავრე, აჰა, გიორგი,
ჩაიცვი, შვილო, ნუ ენდობი გაზაფხულს აგრე —
დათბება უცებ... კვლავ სიცივე მოგვეპარება.

გ ი ო რ გ ი — რა დროს წინდაა, გაზაფხული მოვიდა უკვე,
ნუთუ არ გესმის ფრინველების ჟივილ-ხივილი?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მიუგდე სარკმელს, — გაზაფხული ადრეა ჯერე,
მზე ჯერ დაბლაა, მას ეს ჰანგი ვერ აამაღლებს.

(ვასილისა გადის. გიორგი განაგრძობს წერილის კითხვას)

გ ი ო რ გ ი — ...ნეტავ განახვა დედაშენი, — მოჩვენებას ჰგავს,
შფოთავს და დრტვინავს, სახეს იხოკს, ცრემლად იღვრება:
ჩემი გიორგი, ჩემი ეშხი და სიხარული
არ მეგონაო აგრერიგად თუ გამწირავდა".

(გიორგისათვის შეუმჩნეველად შემოდიან ი ო რ ა მ ი და რ ე ვ ა ზ ი)

რ ე ვ ა ზ ი — თურმე დილიდან იწყებს ვარჯიშს... მიტომაც იყო
სხვებს რომ აჯობა...

ი ო რ ა მ ი — გაგიკვირდა განა, ჭაბუკო?
მათემატიკა აღარ უყვარს ამ შეჩვენებულს,
მხოლოდ წიგნები სალაღობო და საალერსო შეჰყვარებია...

გ ი ო რ გ ი — „ჩემი ვაჟკაცი ბერიკა და ქვეყნის მასხარა?"

რ ე ვ ა ზ ი — უკვე შეურთავს ანა... შვილსაც მოელის მალე!

გ ი ო რ გ ი — „უკვე აგვიკლეს მეზობლებმა, ჭორჭორაობენ:
გიჟი გაზარდა ნიკომაო, ნამდვილი გიჟი!"

ი ო რ ა მ ი — წინასწარ სჯერა — მისი შვილი გიჟი გამოვა!

რ ე ვ ა ზ ი — თვითონ თხზავს, თურმე წერეთლობას იწყებს ყმაწვილი...

ი ო რ ა მ ი — თუ არა თვითონ, ვინ ახსენებს ამის გვარს წიგნში!
წავიდეთ, თორემ ხელს შევუშლით. რევაზ, წავიდეთ.

გ ი ო რ გ ი (ხმამაღლა, თითქოს ეკამათება ვიღაცას) — ... ან მე ისეთი
უკულმართი როგორ გამოვდექ —
მშობლები თვითონ ჩავაწვინო ცივს სამარეში?

რ ე ვ ა ზ ი — მეტისმეტია, მგონი ბოდავს...

ი ო რ ა მ ი — ბოდავს ნამდვილად.
გაესაუბრე, რევაზ, მიდი, გაესაუბრე!

გ ი ო რ გ ი — „მე რომ ვირწმუნო, ჩემი ძვლები არ ირწმუნებენ"...

რ ე ვ ა ზ ი — არ შეიძლება დაყოვნება! (უახლოვდება) რატომ ვერ
გვამჩნევთ,
დიდო არტისტო, ჩვენ, უბრალო მომაკვდავთ?

ი ო რ ა მ ი — ცრუობ!
არ მიმაჩნია ჩემი თავი მე მომაკვდავად,
რადგან უკვდავმყოფს მეგობრობა დიდ ხელოვანთან!
გ ი ო რ გ ი — (გამოერკვევა, გაჯავრებით) — კარგი... გეყოფათ!
ი ო რ ა მ ი — გაამხილე — ანაც შეგირთავს,
უკვე ვითვლებით ხელოვანთა ჩვენ მეგობრებად.
რ ე ვ ა ზ ი — მღერის და უკრავს...
ი ო რ ა მ ი — როგორ მღერის და როგორ უკრავს!
გ ი ო რ გ ი (გამოჯავრებით) — როგორც არავინ ქვეყანაზე... როგორც
არავინ...
რ ე ვ ა ზ ი — ასი წლის შემდეგ, ორივე რომ გარდაიცვლებით...
ი ო რ ა მ ი — გარდაცვალებით რატომ იწყებ, ფილოსოფოსო?
რ ე ვ ა ზ ი — (პათეტიკურად) გარდაცვალებას გააჩნია... უკვდავთა
სიკვდილს
მიტომ ვუწოდებთ მომაკვდავნი გარდაცვალებას —
ისინი მხოლოდ ფიზიკურად გვეთხოვებიან,
ხოლო სიცოცხლეს განაგრძობენ ქვეყნად მუდმივად!
ხალხში ცოცხლობენ... აი შენში, შენს მეგობრებში,
ჩვენც მომაკვდავებს უკვდავგვყოფენ... მხოლოდ დროებით!
აღგვამაღლებენ აი ზევით, ზევით... ისე რომ
ხელებს რომ ავწევთ უკვდავების ჩასაჭიდებლად —
მაშინ დაგვწევენ: მომაკვდავო, შენ აქ შესდექი, —
აქ არის ზღვარი—მთას რომ გაპყოფს ულელტეხილი,
ზევით ჩვენა ვართ! თქვენ კი დაბლა...
... თუმც უკვდავების გვირგვინს ხშირად სიცოცხლეშიეე
მოიხელთებენ აბეზარნი და მლიქვნელებიც,
მაგრამ სიყვარულს ხალხის გულში ვერ იმკვიდრებენ —
მიტომ ჭკნებიან ყვავილების გვირგვინზე ადრე, —
შესწყვეტენ ტანტალს... და ხსენებაც მათი გაჰქრება!
ამ გზას არ გაპყვე — შენ, გიორგი, ამ გზას არ გაპყვე!
(მოისმის ანას ხმა)
ა ნ ა — წუთია წუთისოფელი, წუთის წებოთი იწვება,
ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგიც უცვეცხლოდ იწვება.
ი ო რ ა მ ი — (პათეტიკურად) ო, უკვდავება ხედავ, რევაზ, მოდის
ზეციდან —
დრო არის ქვესკნელს შთავიკარგოთ...
რ ე ვ ა ზ ი — მივდიეართ, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისევ აღეს-
დგებით მკვდრეთით... (მიდიან)

ა ნ ა — (თანდათან ჩამოდის კიბეზე)
ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგიც უცეცხლოდ იწვება...
ვ ი ო რ გ ი — საიდან იცი ეს ლექსები, მე რომ არ მითქვამს შენთვის?
ა ნ ა — მე ისეთიც ბევრი რამ ვიცი, რაც შენ არ გითქვამს.
გ ი ო რ გ ი — არა, მე სხვას ვამბობ... ეს ლექსები ქართული არის
და შენ საიდან...

(ანა ფანჯარაზე შედგება. გიორგი მიეშველება და გადმოაყენებს ოთახში)

ა ნ ა — ჯერ ესენი ვიცოდი, მერე —
შენ მერე შეგხვდი! გაგიკვირდა? ნუ გაიოცებ. —
თუმც შენ პირველი ქართველი ხარ ჩემგან ხილული,
მაგრამ სამშობლოს შენსას ადრე ვიცნობდი შორით —
ბევრი თქმულება, საოცარი ტკბილი ზღაპარი
და ბევრი ლექსი წამიკითხავს საქართველოზე...
შენ რომ გაგიცან... მერე ასე დაგიმეგობრდი,
ვთქვი — ის ზღაპარი, ის ლექსები, ის თქმულებები,
ესოდენ გმირად, ასე ტურფად და საოცნებოდ
რომ გვისახავენ საქართველოს... მართალი არის!
გ ი ო რ გ ი — მაინც რა იცი შენ ისეთი, რაც მე არ მითქვამს?
ა ნ ა — ვიცი — მაღალ მთებს წყაროები ახმიანებენ,
მთებიც ისეთი მაღალია, წვერზე რომ შედგე,
ჯილა ვარსკვლავებს შეგიძლია მიწვდე ხელებით.
გ ი ო რ გ ი — და ვარსკვლავები...
ა ნ ა — ციმციმებენ სულ სხვანაირად!
ზღვა კი ისეთი, როგორც ჩვენთან, აქ, ოდესაში —
ხან დაწმენდილი, მოლივლივე და განაბული,
ხანაც შმაგია, ყალყიანი და ბობოქარი!
შორიდან ვხედავ საქართველოს... მე გულით ვხედავ, —
და მესმის მისი გაფოთლილი მუხის შრიალი!
გ ი ო რ გ ი — მას, რაც ახლოა, იმას გული უფრო შეიცნობს!
ა ნ ა — დიახ, ნამდვილად... შენი გული ახლა რომ ღელავს,
შენ რასაც ფიქრობ, რაც გსურს მითხრა...
გ ი ო რ გ ი — შენ იცი განა?
ა ნ ა — ნამდვილად ვიცი... მესმის კიდეც.
გ ი ო რ გ ი — აბა მითხარი!
ა ნ ა — თვითონ ხომ იცი, რასაც ფიქრობ?
გ ი ო რ გ ი — შენ უნდა მითხრა,
აკი ახლა თქვი, ყველაფერი ვიციო, რასაც...
ა ნ ა — დიახაც ვიცი, მესმის-მეთქი...

გ ი ო რ გ ი — ჰოდა მე გისმენ!
ა ნ ა — (პაუზა) ათი დღის შემდეგ შენ ოდესას დატოვებ ლხენით...
გ ი ო რ გ ი — ცოტა გეშლებათ, უფრო ადრე.
ა ნ ა — ნუ მაწყვეტინებ —
ათი დღის შემდეგ შენ ოდესას დატოვებ ლხენით...
გ ი ო რ გ ი — იყოს ათი დღე.
ა ნ ა — გზას ფოთამდე გაივლი გემით...
გ ი ო რ გ ი — ეტლით სჯობია... და იმ ეტლში ორნი ვისხდებით!
ა ნ ა — ჯერ ხომ ეტლები არ დადიან ზღვაზე?
გ ი ო რ გ ი — იელიან,
შენ თუ ისურვებ...
ა ნ ა — ჰოდა ებრძანებ, დაე იარონ!
გ ი ო რ გ ი — ახლა დედოფალ ანას ჰგავხარ... გისმენ, მიბრძანე!
ა ნ ა — და ბრძანებს ანა: ოდესიდან მოყოლებული
ვიდრე ფოთამდე, გაიყვანონ პირდაპირ ზღვაზე
ფართო შარაგზა. მოკირწყლული თეთრი კენჭებით,
ალვის ხეები ჩაუმწკრივონ გაღმა-გამოღმა,
და ალვისხენი ვიდრე გზას არ მოაჩრდილებენ,
რომ სიცხემ გზაზე არ მოჰგვაროს თავის ტკივილი —
ბატონ გიორგის აეკრძალოს აქედან წასვლა!
გ ი ო რ გ ი — დაგვიანებით... უფრო ადრე არ მოხერხდება?
ა ნ ა — ჰო მართლა, სწრაფად იზრდებიან ალვისხეები!
ებრძანებ — კაკლისხე ჩაამწკრივონ ალვების ნაცვლად,
თანაც კაკლის ხის ჩრდილი უფრო მარგებელია;
ალვები თვითონ ქმნიან ქარებს ზედმეტის რხევით,
ქარში მგზავრობა საშიშია, — გაძიცივდები...
გ ი ო რ გ ი — მე არც ისეთი სათუთი ვარ!
ა ნ ა — მე ეს ასე მსურს!
გ ი ო რ გ ი — ჩვენ ხვალ მივდივართ!
ა ნ ა — (ერთბაშად მოწყდება)
შენ კი წახვალ... ვიცი, რომ წახვალ,
ვერ დაგაკავებ... — გზა ხსნილია შენთვის, გიორგი!
გ ი ო რ გ ი — ჩემთვის ხსნილი გზა შენთვის ნეტავ ვინ გადაკეტა?
ა ნ ა — შენს საქართველოს მიაშურე მარტო, უჩემოდ, —
მე აქ ვილოცებ — გაგიმართლდეს რაც შენ გწადია.
გ ი ო რ გ ი — თითქოს მე ვიყო ვაჟის როლში, რომელსაც ქალი
აი ეს არის უარს ეტყვის ივ სიყვარულზე,
რომელიც ძილშიც გულზე ჰქონდა შემოხვეული...
ა ნ ა — ასეა თითქოს... არა, არა, ასე არ არის!

გ ი ო რ გ ი — არ არის ასე? ისიც თითქოს არ არის ასე?
ამას შენ ამბობ? ვერ მივმხვდარვარ, მითხარი, ანა,
ერთ დღე-ღამეში ასე როგორ შეცვალე აზრი?
ცდი ჩემს სიყვარულს — ძლიერია იგი, თუ სუსტი?
თუ ყალბი იყავ ადრე, როცა მეფიცებოდი,
რომ სიკვდილამდე,—კარგად მახსოვს,—რომ სიკვდილამდე...

ა ნ ა — ვით ორი ტალღა ერთმანეთზე გადაქდობილი
ერთად ვიელიდით ამ ცხოვრების ხორკლიან გზაზე...

გ ი ო რ გ ი — ვით ორი ტალღა ერთმანეთზე გადაქდობილი...
და აი უცებ...

ა ნ ა — შენ ნუ იტყვი! ეჰ, შენ გგონია,
მე თითქოს განგებ ვაჭირდიდებ... არა, ნუ მეტყვი, —
ჩემიც მეყოფა სატანჯველი... როგორ უეცრად
ფრთები დააჭრა ჩემს სიყვარულს ამ ერთმა ღამემ!
...დღემ თითქოს მშვიდად ჩაიარა... ილხენდა დედა.
მომიალერსა საღამოჟამს და ისე ტკბილად,
როგორც პატარას, სულ პატარას მეფერებოდა.
...მერე დავწექით... მე რომ თავი მოვიმძინარე,
ის აქვითინდა. ლუღლუღებდა: — „ხვალ წავა ანა!
ოთხი კედელი... სიმარტოვე... უნდა წავიდეს!
უყვარს... სიყვარულს შორს გაჰყვება ჭაბუკი ქალი,
მაგრამ მე დედა ერთადერთი შვილის შემყურე?“
მოვიდა, კრძალვით დამაცქერდა. კვლავ აქვითინდა: —
„მე შენით ვსუნთქავ, შენით ვილხენ, შენით ვსულდგმულობ,
და ჰა, შენ მტოვებ! ჰო, ასეა, უნდა წახვიდე,
ასეა წესი — გააჩაღებ შენ ახალ კერას, —
შენ გაიხარე, შვილო, ჩემსაც ნურას იკითხავ!..“
...მე მთელი ღამე არ მეძინა... და იმის თვალებს
მდუღარე ცრემლი მთელი ღამე არ შეშრობია.
ო, იმას ერთხელ მაინც ეთქვა — „ანა, ნუ წახვალ“. —
ეგებ მე მასში მეგრძნო დედა, რომელიც იღწვის
შვილის სიხარულს ფრთა მოსტეხოს, ოღონდ თვითონ კი
გაიხანგრძლივოს სიხარული!.. მას დავტოვებდი,
თვალდახუჭულად დავტოვებდი! მაგრამ არა თქვა!
ასეა, ხშირად უთქველობით უფრო გვბოჭავენ...
... ის ჩემით სუნთქავს, ჩემით ილხენს, ჩემით სულდგმულობს,
როცა მიცქერის — ნაოჭიან თვალის უპეში
ცრემლს შეიკავებს და ღიმილით მესაუბრება,
რომ მე ვერ ვიგრძნო მწუხარება მისი გულისა...

...წადი, გიორგი! ბედისწერამ ჩვენ თუ შეგვყარა,
ახლა კვლავ გვთიშავს უკუღმართი ის ბედისწერა!
წადი... დავრჩები გატანჯული! არ დამივიწყო!
ეგებ სხვა ვინმე შეგიყვარდეს... გახსოვდე მაინც,
ნუ დამივიწყებ! გესმის, ანას ნუ დაივიწყებ...
(აქვითინებული მოეხვევა ყელზე. ჰკრება სინათლე. იგივე ოთახი. გ ი ო რ გ ი ჩემოდანში ალაგებს ნივთებს. იქვე ფუსფუსებს ვ ა ს ი ლ ი ს ა. ორივენი საკარძელში სხდებიან)

ვ ა ს ი ლ ი ს ა — როცა შინ, შვილო, დაბრუნდები გულმხიარული,
დედას უთხარი, რომ მეორე დედა ვარ შენი —
და მის სიხარულს ვინაწილებ მეც მეტნაკლებად...
მეორე დედა? არა, არა... ეგებ იწყინოს —
საკუთარ შვილის სიყვარულში მეცილებაო
შორეული მხრის მებადურის ბებერი ქვრივი.

გ ი ო რ გ ი — აგრე რად იტყვი, ვასილისა? შენ—შორეული?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მე ჩემი პირმშო არ მყოლია ბედით დაჩაგრულს,
მაგრამ სიყვარულს დედობრივსა განვიცდი დიდად,
რადგან ჩემს გულში გამოზრდილა ბევრი ვაჟკაცი!
ბევრის დედა ვარ! ჰო, ასეა — ბევრის დედა ვარ!
...აი ეშორდებით, სამშობლოში მიეჩქარები,
შენს მოლოდინში ეწურება გული დედაშენს. —
და გაიხარებს, სიხარულის ცრემლებს გადმოღვრის,
როდესაც მკერდში შენ ჩაგიკრავს ათრთოლებული!
...მეც გავიხარებ შორით მყოფი, მეც ავტირდები...
(გიორგი კალთაში ჩაუდებს თავს. ვასილისა ხელებით უვარცხნის ქოჩორს)

სხვადასხვაგვარი ძილი იცით ახალგაზრდებმა —
ზოგი მკლავს მშვიდად ამოიდებს თავქვეშ და ძინავს,
ზოგი ძილფხიზლობს, თუმც თვალები აქვს მოჭუტული,
ზოგიც მშფოთვარებს, მოუსვენრობს, წამოიძახებს...

გ ი ო რ გ ი — საიდან იცი ჩვენი ძილის ამბავი ასე?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მე გრძელ ღამეში ყურს ვუგდებდი თქვენს ძილსაც ზოგჯერ.
როს შფოთიანი ძილში სიტყვას წამოისვროდა,
ის სიტყვა უცხო იყო ჩემთვის, ვიგებდი მაინც,
— ვიცოდი ახლოს მოუხმობდა შვილი დედის გულს...
მე ფეხაკრეფით მივდიოდი მის სასთუმალთან,
შეეუმშრალებდი ოფლიან შუბლს, ჩავჩურჩულებდი:
— „აქა ვარ, შვილო, დაწყნარდი და მშვიდად იძინე“...

(ისმის როიალის ხმა. ვასილისა თავს აუწევს გიორგის და თვალებში შეჩერდება)

არ დაგიმალავ — სხვებზე უფრო შენ იყავ მშვიდი,
მშვიდად გეძინა, უშფოთველი იყავი... მაგრამ
ეს ადრე იყო, ასე შარშან... უფრო შარშანწინ...
...რაც კი ის ქალი გაიცანი, ის შენი ანა —
მერე ძილფხიზლობ, შფოთიანი შეიქენ მერე...
...ძილში ახსენებ იმის სახელს, — ესაუბრები.

გ ი ო რ გ ი — ძილშიც ვახსენებ?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — საძრახისი არაფერია,
ძილშიც რომ გიყვარს — ეს ნამდვილი სიყვარულია.
იცის ეშმაკმა, რომ აქა ხარ და მიტომ უკრავს.
როცა მარტო ვარ და ფიქრები შემომაწვება,
შევთხოვ — „დაუკარ, ჩემო ანა, ღმერთი დაგლოცავს". —
ან თავს აიტკენს, ან ხელებს და ან დაღლილობას
მოიმიზეზებს და უარით გამომისტუმრებს.
მაგრამ ვატყუებ...

გ ი ო რ გ ი — შეგიძლია განა იცრუო?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — თუ საჭიროა... და ზიანიც თუ არ მოჰყვება.
ეს მხოლოდ ერთხელ... გათანგული ვიყავი ფიქრით
მიველ და ვუთხარ — „მე კი არა, გიორგიმ თხოვა;"
დაუკრა, მაგრამ როგორ ლაღად, ხალისიანად!
(ისმის ზარის ხმა. გიორგი წამოდგება. ვასილისა შეაჩერებს)
არა, შენ არა, შენ დღეიდან სტუდენტი არ ბარ!
(კართან მისული შეშობრუნდება)
მაგრამ თვითონ კი უკმეხია და მედიდური, —
ცხვირს მაღლა იწევს, თუ სურს ზეცას შ[illegible]ედგას სვეტად!
(გადის გვერდით ოთახში და უმალვე ბრუნდება. [illegible]ულად).
დიდი ბატონი მოგვეახლა.

გ ი ო რ გ ი — მაინც რომელი?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — შენი ხელმწიფე დონილოვი გამოგეცხადა.
(შემოდის დ ო ნ ი ლ ო ვ ი. გ[illegible]ორგი აღფრთოვ[illegible]ებით მიეკრება)

გ ი ო რ გ ი — არ მოგელოდით!

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — და მეც მისთვის გამოგეცხადეთ.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — აგერ, ბატონო, აქ დაბრძანდით.

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — მე მხოლოდ წუთით.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — წუთით და ისიც ჩვენს [illegible]ეატრში გამოცხადება?

გ ი ო რ გ ი — არ გაიკვირვოთ, ვასილისა თეატრს მეძახის.

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — მომწონს, კარგია!

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ცუდი, ცუდი!

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — და მაინც რატომ?

ვ ა ს ი ლ ი ს ა — თქვენი თეატრი, მე თუ მკითხავთ, საგიჟეთია —
ზოგი ლუღლუღებს, ზოგიც ბღავის, ზოგიც გაჰკივის,
არ არის ასე, ცხოვრებაში ასე არ ხდება!

გ ი ო რ გ ი — გთხოვ, ვასილისა!

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მართალს ვამბობ... აი მობრძანდით,
შემოგეგებეთ, მოგესალმეთ ჩვეულებრივად;
თქვენთან სხვაგვარად: „გამარჯობათ, ბატონო ჩემო,
ბუნების ძალას ვთხოვ გამყოფოთ მუდამ კეთილად!“.
გაიჭიმება უცნაურად კაცი და ხმაში
ისეთ სიყალბეს შეაპარებს — უმალვე იგრძნობ
გულის გარეშე გესალმება... ნაბიჯს გადადგამს —
არ ჰგავს სიარულს ჩვეულებრივს, — თვალს აბრიალებს,
თითქოს სიგიჟე მოსდგომია კარზე უბედურს —
ასე არ ხდება ცხოვრებაში, ასე არ ხდება!

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — მაგრამ გიორგი არც გაჰკივის და არც ლუღლუღებს.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ჰო, არა, ეგ ნორმალურია... მიტომაც მიკვირს,
თქვენ როგორ აგყვათ! შორეულ მხრიდან ჩამოვიდა არა იმისთვის
მართალი გული გაიყალბოს... მშობელმა იგრძნო —
ჰექა-ქუხილი მოუვლინა საქართველოდან...

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — ვიცი. სწორედ ამიტომ შემოვიარე...
შენ ჰქმნი, ძერწავ, აქანდაკებ, დარწმუნებული ხარ
ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ აი გამოჩნდება ადამიანი და
არ სწამს შენი ხელოვნებისა — გკილავს, გაქიაქებს,
ცდილობს გული აგიცრუოს! არ შეუშინდე! მამაშენს არ
უხილავს შენი თავი სცენაზე და წინასწარ გიცხადებს —
სისულელეს თავი გაანებეო, — გნახავს, მოეწონები,
დაშოშმინდება.

ჩვენი სვეტლანაც სახლიდან გააგდეს მშობლებმა: ჩვენს იმედად გზრდიდით, შენ კი ქუჩის ქალობა ირჩიეო და მეუღლეც გაშორდა ქალს... განა შედრკა? გადაიტანა მშობლის რისხვა, მეუღლის უსულგულობაც და თეატრს არ გაანება თავი... განა შეიძლება ადამიანი თავისთავს გაშორდეს? ახლა, როცა სვეტლანას სახელი ყველას ენაზე აკერია, მშობლებმა

უმეტესად შეიყვარეს ის, ხოლო მისგან უარყოფილი მეუღლე გალოთდა და ქუჩა-ქუჩა დაეხეტება. შენც გამაგრდი! გაივლის დრო და მამაშენის რისხვა სიყვარულად შეიცვლება!

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მტერი იყოს ამის იმედით!

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — ვასილისასაც მოეწონებოდი, შენი თამაში რომ ენახა. მოვიწვიე, არ გვიკადრა.

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ჩემი ქმარიც რომ მკვდრეთით აღსდგეს და ითამაშოს, ფეხს არ შემოვდგამ მე თეატრში! მე ღმერთს შევფიცე! ორხელ ვიყავი, — ვიმყოფინებ მე სამუდამოდ...

დ ო ნ ი ლ ო ვ ი — (გიორგის) გეშინია? სიამოვნებით დაგტოვებდი ჩემთან, მაგრამ მჯერა ქართულ თეატრში უფრო ამეტყველდები! მიაშურე მშობლიურ კერას... გახსოვდეს — ვარსკვლავები უპირველესად თავისი ქვეყნის ცაზე აკიაფდებიან! თუ ავბედითად დაგიცდეს ფეხი, მიხმე, შეგეშველები... ნახვამდის, ვასილისა, თქვენს „თეატრში" მართლა წუთზე მეტს დავრჩი, ჩანს, კარგი „თეატრი" გქონიათ, მაპატიეთ.

(გიორგი აცილებს დონილოვს)

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ხანში შესულა, მაგრამ ჭკუა შორს გაჰფრენია...

(გიორგის შემოპყვებიან რევაზი და იორამი)

ი ო რ ა მ ი — მზად ხარ? დრო არის! (შეამჩნევს ჩემოდანს, რევაზს) მუშაკაცო, ა ჩემოდანი!

(გიორგის)

ასე უწვერო რომ მიუხვალ მამაშენ ნიკოს,
აგხედ-დაგხედავს და ერთს მაგრა შემოგიკურთხებს —
და იმის გულის მოსაგებად, აჰა, ყვავილი!

ვ ა ს ი ლ ი ს ა — გასათხოვარი ქალი არის გიორგის მამა? გამოსულელდი? ყვავილები ქალებს ეკუთვნით.

(ხელიდან გამოსტაცებს ყვავილს)

გ ი ო რ გ ი — (რევაზს) ეს ყვავილს მატანს მამაჩემთან...

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ეს ჭკვიანია.

რ ე ვ ა ზ ი — (ცალ ხელში ჩემოდანს დაიკავებს)

შენ ჩემს მაგივრად გაიარე მუხრანის ველზე,
თვალი შეავლე საგურამოს, არაგვის ჭალებს,
მოინახულე ანანური, ჩვენი ყინვალი,
ლოდზე ჯიქურად დაჯახებულ არაგვს გადაეც.
რომ მისი ძალა აქ გამომყვა და მაგარი ვარ!
და მუხრანელი გუთნიდედის გუთნიდედური —

ი ო რ ა მ ი — (აწყვეტინებს. ირონიულად) როცა ოდესის მიყრუებულ

სარდაფში ჩადის, ყურში ჩასძახის — „დალიეო, ჩემო ვაჟ-კაცო“...

(ისმის გემის საყვირის ხმა)

გ ი ო რ გ ი — უკვე დრო არის... ვასილისა, აბა მშვიდობით, ოღონდ უცრემლოდ (ეხვევა), ცრემლი არა! ცრემლი ცუდს ნიშნავს!

ვ ა ს ი ლ ი ს ა — მშვიდობით იყავ... მე უცრემლოდ, — აი, შემხედე.

რ ე ვ ა ზ ი — წავიდეთ! (წუთით ყველანი დასხდებიან). ანა?

(სამიენი გიორგის შეაცქერდებიან)

გ ი ო რ გ ი — ანას გუშინ დავემშვიდობე. (გიორგი, იორამი და რევაზი გადიან, ვასილისა ფანჯრიდან გასცქერის ქუჩაში მიმავალთ)

ვ ა ს ი ლ ი ს ა — ანას მივართმეე მე ამ ყვავილს. ვეტყვი — წასვლისას შენ ეს ყვავილი დაგიტოვა იმან სახსოვრად! კიდევ ვიცრუებ, არაფერი არ დაშავდება!

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მეორე სურათი

მოქმედების დეკორაცია სამ ოთახს წარმოადგენს — ერთი მათგანი სარეპეტიციოა, ერთი ქალთა და ერთიც მამაკაცთა საპირფარეშო. სურათების შეცვლისას ოთახებში ენთება და ჰქრება სინათლე.

ს ა რ ე პ ე ტ ი ც ი ო ო თ ა ხ ი: ერთ კუთხეში სხედან რუსუდანი, ბექანი, სიკო. წინა პლანზე დგანან ასმათი, გიორგი და რეჟისორი. მიმდინარეობს პატრიოტულ-გმირული დრამის ერთი სურათის რეპეტიცია უგრიმოდ.

რ ე ჟ ი ს ო რ ი — (ასმათს) არ დაგავიწყდეს — შენ სურა გაქვს ხელში წყლით სავსე; მარჯვენა ხელი ოდნავ დაბლა — სურა გამძიმებს, აი, ამგვარად. წინ წახრილი დგახარ ვაჟის წინ; ის შენ უეცრად შეგეფეთა, მაგრამ არ შეკრთი, რადგანაც იცი — გითვალთვალებს, კვალდაკვალ დაგდევს. ამაყად დგახარ, სახეში კი არ გსურს შეხედო. მას ღირსად არ თვლი შეხედვისა... აბა, დავიწყოთ!

გ ი ო რ გ ი — „ბრმა ვყოფილიყავ, შენი ხილვა თვალს ამიხელდა,
უგულო, — გული ჩამედგმოდა მკერდში მაგარი,
გამომესხმოდა უცნაური და მძლავრი ფრთები,
ფრთებზე დაგსვამდი სანეტარო ტურფა დედოფალს“...

რ ე ჟ ი ს ო რ ი — ხაზი გაუსვით — „უცნაური და მძლავრი ფრთე-
ბი“ —
აქ უძრაობა შეიძლება განა, გიორგი?
მხრები ასწია, შეარხია მკერდი ძლიერად —
თითქოს ეს არის მოგემატა ძალა მკლავებში
და ფრთებიც თითქოს ეს-ეს არის გამოგესხმება.
„ბრმა ვყოფილიყავ, შენი ხილვა თვალს ამიხელდა“, —
ქალს შეაცქერდი, თითქოს ბრმა ხარ, აი ეს არის
იხილე იგი და სინათლე ჩაგიდგა თვალში...
აქ შენ ატყუებ ქალიშვილს და ის რომ გერწმუნოს.
ა ს მ ა თ ი — (თავისთვის) ვიცი მატყუებს.
რ ე ჟ ი ს ო რ ი — მოაჩვენე თავი ისე, რომ
შენ უმისოდ სიცოცხლე ჩირად არ გიღირს.
განვაგრძოთ.
ა ს მ ა თ ი — „გული მეუბნება — ეს არ მოხდება,
ვიცი ყალბია ყოველივე, რასაც შენ ამბობ
და ყურთასმენას უსიამოდ ესმის ეს ფიცი —
თქვენ გსურთ გაჰქურდოთ საქართველო, გააჩანაგოთ და რად-
გან ერთის დაკვრით ამას ვეღარ ახერხებთ
(თანდათან უახლოვდება გიორგის)
გსურთ აქ დასახლდეთ, მოიკიდოთ ფეხი ძლიერად“...
რ ე ჟ ი ს ო რ ი — თქვენ გეზიზღებათ, ცხადი არის რომ გეზიზღე-
ბათ —
ამიტომ ასე ახლო მიჭრა უადგილოა.
ა ს მ ა თ ი — „გსურთ აქ დასახლდეთ, მოიკიდოთ ფეხი ძლიერად,
ქართველი ხალხის კერიაში დაიდოთ წილი —
და ჩვენ დედებმა ვშვათ შვილები, რომელნიც შემდეგ უარსა
ჰყოფენ ჩვენს რჯულსა და ჩვენს დედაენას. ეგ არ მოხდება,
არასოდეს ეგ არ მოხდება... თქვენ ჯერ არ იცით, როგორია
ქართველი ქალი!“
გ ი ო რ გ ი — იმის თვალებში განთიადის ციმციმებს სხივი.
ა ს მ ა თ ი — ცეცხლი ელვარებს მის თვალებში მტრის გამგმირავი!
გ ი ო რ გ ი — მის სათნო გულში სიყვარულის ცეცხლი ანთია.
ა ს მ ა თ ი — შურისძიების ხანძრად იგი გადაიქცევა!
გ ი ო რ გ ი — არა, გაათბობს სიყვარულით მოსიყვარულეს და იან-
ვარშიც ვერ დაზაფრავს სუსხი, ქარყინვა.
ა ს მ ა თ ი — თვითონ იქროლებს იგი როგორც მძლავრი ქარყინვა
და გამოახმობს მოძალადის სხეულს ხესავით.
გ ი ო რ გ ი — ის ელვარებას შემატებს შირაზის ვარდებს.

ასმათი — სუდარის ფერი დაედება წინანდლის ვარდებს, ქართველ ქალს მტერი მოსისხარი რომ შეუყვარდეს.

რეჟისორი — „სუდარის ფერი დაედება წინანდლის ვარდებს, ქართველ ქალს მტერი მოსისხარი რომ შეუყვარდეს!“ თითქოს ლოცულობთ, მოწყალებას ითხოვთ მისგან. რბილად გამოთქვამთ — „მოსისხარი რომ შეუყვარდეს“ ისე უნდა თქვათ — რაინდობა ჩანდეს სულისა. თან გეზიზღებათ! დაგავიწყდათ?

ასმათი — (თავისთვის) მაგრამ მე მიყვარს...

რეჟისორი — ჩვენს სამშობლოში შემოჭრილა როგორც ურჯუკი, სიხარბით გული ავსებია — თავისად უნდა ჩვენი ზურმუხტი მინდორველი, ჩვენი სიმდიდრე, რაც კი ძვირფასი გაგვაჩნია — სურს წარიტაცოს. იცის ოჯახის გული არის ქალი ნამდვილად, ცდილობს ეს გული ამოგვკვეთოს, მერე სხეული ნაწილ-ნაწილად დაიშლება... აბა, განვაგრძოთ.

გიორგი — პირველად ქალი, ვიცი, უნდა გაგიჯიუტდეს, უფრო აღგანთოს, გაგიღვივოს მწველი ხანძარი, მაგრამ გულში კი მოკრძალება აქვს ჩამარხული... ვიცი, შენ მალავ შენი გულის ნამდვილ საწადელს, და თანაც შიშობ...

ასმათი — ჰოი, ვშიშობ, ნამდვილად ვშიშობ!

რეჟისორი — უფრო დაცინვით! შენი ქვეყნის მოსისხარს ხედავ ამის სახეში; თათარია იგი, თუ სპარსი, ამას არა აქვს მნიშვნელობა... იგი მტერია, რომელმაც ახლა დაგიჯაბნა, მაგრამ შენ გჯერა — კვლავ გაიბრძოლებს შენი ქვეყნის ხალხი გმირულად და შემოსეულთ დაბადების დღეს აწყევლინებს — მას შენ დასცინი „ჰოი, ვშიშობ“. გავიმეოროთ.

გიორგი — და თანაც შიშობ...

ასმათი — ჰოი, ვშიშობ, ნამდვილად ვშიშობ!

გიორგი — ჰფიქრობ, დატანჯულს მიგატოვებ ბედის ამარად და სიყვარულიც არ გგონია ჩემი გულწრფელი!

ასმათი — გზა მიტიე! მამაჩემი შინ მელოდება.

გიორგი — ჯერ ხომ ადრეა, შებინდება შორს არის კიდევ!

ასმათი — დღეც საშიშია, ავაზაკნი როცა დაძრწიან...

გ ი ო რ გ ი — ნუ გეშინია. როცა შენთან მე ვიმყოფები.

ა ს მ ა თ ი — ჩემს წინა დგახარ ავაზაკი უპირველესი!

გ ი ო რ გ ი — იცოდე აქვე, შენს წინაშე გულს გავიგმირავ
და შენც სიცოცხლეს მოგისწრაფებ ამავ მახვილით,
თუ უარს მეტყვი!

ა ს მ ა თ ი — გზა მომეცი! მახვილს არ ვუკრთი!
შენ შეგიძლია ამომკვეთო მკერდიდან გული,
მაგრამ სიყვარულს გულში მცირედს ვერ ჩამისახავ!

გ ი ო რ გ ი — მაშ შეევედრე შენს ღმერთს, ზეცას აღაპყარ თვალნი,
უკანასკნელად მიმოიხედე გარემოს შენსას,
აღმართე ხელნი სალოცავად... მოინანიე,
მოინანიე, საცოდავო, შენი ცოდვები.

(თითქოს ხმალს იშიშვლებს)

ს ი კ ო — (წინ წამოიჭრება) ჩააგე ხმალი!

გ ი ო რ გ ი — სიკვდილს ეძებ?

ს ი კ ო — ვიპოვე კიდეც.

გ ი ო რ გ ი — ეგებ გგონია, შეეიბრალებ შენს გამო შენს ქალს?

ს ი კ ო — არც ვინღა ითხოვს შებრალებას შენგან...

გ ი ო რ გ ი — სთქვი ვინ ვარ?

ს ი კ ო — შენ უკეთ იცი.

გ ი ო რ გ ი — ბერიკაცო, მსურს შენ ამოთქვა!

ს ი კ ო — შენ ხარ სატანა, უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!

(სიკოს თამაში ყალბია, რეჟისორი ნერვიულობს, მოთმინებას ჰკარგავს და შესძახებს)

რ ე ჟ ი ს ო რ ი — არა, არ ვარგა! „უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!“
ხაზი გაუსვი „უწმინდურის!..“ ზიზღით უთხარი.

ს ი კ ო — შენ ხარ სატანა, უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!

გ ი ო რ გ ი — გონზე მოეგე! ნუ სარგებლობ ბერიკაცობით!

ს ი კ ო — ქალს გზად უხვდები ურჩხულივით და ხმლით აშინებ,
სიკვდილის კართან ათამაშებ...

რ ე ჟ ი ს ო რ ი — სიკვდილის კართან!
ქალს გზად უხვდები ურჩხულივით და ხმლით აშინებ,
შენ ხარ სატანა, შენ რაინდად არ გაჩენილხარ. —
უმწეო ქალი მოიმწყვდიე, ხმალს ატრიალებ...
თანაც სიყვარულს ეფიცები... გაიმეორეთ.

ს ი კ ო — ქალს გზად უხვდები ურჩხულივით და ხმლით აშინებ,
სიკვდილის კართან ათამაშებ...

გ ი ო რ გ ი — რადგან სიყვარულს...

ს ი კ ო — სიყვარულს მტრისას, ვით შეიძლებს გული კეთილი!

გ ი ო რ გ ი — მერე ვინა თქვა — ბოროტი ვარ და კაცთმოძულე?
შენ დამიმტკიცებ? შეგიბრალე... შენი ოჯახი
გადავარჩინე აოხრებას, აწიოკებას,
შვილს და მამასაც მე სიცოცხლე შეგინარჩუნეთ,
ეს არის ჩემი ბოროტება?

ა ს მ ა თ ი — მხოლოდ იმიტომ,
რომ უფრო მეტად დაგვიმონო და გაგვაწამო.

ს ი კ ო — ყურში მიწივის სახლიკაცთა გმინვა და კვნესა.

გ ი ო რ გ ი — რომ მოეკვეთათ ეს ყურები. ვერ მოისმენდი...
წადით, გამშორდით. (ასმათს)
შემინდეია, მხოლოდ შენს გამო.
ესეც იცოდე — შენ უჩემოდ აღარ გაცოცხლებ!
(ასმათი და სიკო მიდიან. რეჟისორი სიკოს მოაბრუნებს)

რ ე ჟ ი ს ო რ ი — მართალი კაცი დამნაშავის ნაბიჯს მიადგამ,
აბა შემხედე!
(გაივლის სიკოს ნაბიჯებით)
დაამარცხე შენ ის სიმართლით!
განა დაგინდობს? დაგადევნებს თავის დამქაშებს...
წუთით ქალიშვილს მოაჩვენა თავი რაინდად, —
არ შეგიბრალებს ბერიკაცს და ის ქალს წარგტაცებს!
ჰოდა, ამგვარად გამხეცებულ ურჩხულის თვალწინ
უნდა თამამად გაიარო! შენ შენს სახლში ხარ,
თამამად წარსდგი ნაბიჯები (გაივლის). აბა, ახლა შენ.
(სიკო ცდილობს მიბაძოს რეჟისორს, მაგრამ ვერ ახერხებს)

ბ ე ჟ ა ნ ი — მტერი არ არის — სიკომ ასე ვერ გაიაროს...

რ ე ჟ ი ს ო რ ი — არა, არ ვარგა! ვიდრე კარგად არ შეეისწავლით,
არსად არ წავალთ. აბა, თავიდან...
(სინათლე ქრება. ნათდება ქალების საპირფარეშო, ასმათი სარკესთან ტრიალებს და გრიმს ისწორებს. კულისებში წარმოდგენა მიდის)

ა ს მ ა თ ი — თვალებს რომ ასე შევანათებ, ნუთუ არ იგრძნობს
გულში რა ცეცხლი მიტრიალებს და ვიტანჯები?
ნუთუ იმდენად მსახიობობს, რომ ყოველივეს —
გულის გარეშე წარმოსახავს?.. ცუდი ფერი მაქვს,
ბრინჯაოსფერი უნდა ვიყო! — ეს კი ჟანგია...
... ახლოს რომ ვეკვრი, ვგრძნობ ცახცახებს, თვალსაც მი-
ლულავს...
თითქოს ჩურჩულით მეუბნება — მე შენს თვალებში

ბალაც სხვანაირ ელვარების ვამჩნევ ნაპერწკალს, —
და მეც მიყვარხარ, შემომხედე, განა არა გრძნობ?
მაგრამ ამაოდ... მოჩვენება არის ნამდვილი —
თავდება სცენა და ნელდება მასში ყოველი,
ისევ დინჯია და საოცრად გულჩახვეული...
ვცდი ერთხელ კიდევ... მოკრძალებით ხელს რომ შემახებს...
(გაბრაზებული შემოდის რუსუდანი, კარს მიაჯახუნებს. ქოლგას კუთხეში მიაგდებს)

რ უ ს უ დ ა ნ ი — როცა მყრალ ბალახს აკისრებენ როლს ყვავილისას, არ გამოდგება არც ბალახად და არც ყვავილად!

ა ს მ ა თ ი — (ირონიულად) ვინ გაგარისხა? ვინ გაბედა?

რ უ ს უ დ ა ნ ი — შენმა გიორგიმ!
ერთს გამოგხედავს და სიცოცხლეს გამოგითავებს...
ხელს რად აქნევთო წარა-მარა, ხმას რად იწვრილებთ...
ვინლა მიგდია... თავს მიხედოს... ბალღი, უვიცი.

ა ს მ ა თ ი — მაინც რა მოხდა?

რ უ ს უ დ ა ნ ი — მედიდურობს, ფილოსოფოსობს: —
ამ პიესაში მწერალიო ამას ამბობსო,
ეს გმირი კვდება ფიზიკურად, მაგრამ აზრები —
აზრები მისი იმარჯვებენ და ამის გამო
სიკვდილი მისი არ ნიშნავსო მის დამარცხებას...
საოცარია, — თითქოს გვერდით უჯდა მწერალი
და უთანხმებდა თავის აზრებს ამ მეტიჩარას...

ა ს მ ა თ ი — რატომ იკადრებთ, მეტიჩარა არ არის იგი!

ს ც ე ნ ა რ ი უ ს ი — (კარებში გამოჩნდება ანა) ასმათ, სცენაზე.

(ასმათი გადის. ანას)

წარმოდგენა რომ დამთავრდება,
მე აქ მოვიყვან, დაისვენეთ, აი ადგილი.
(ანა შემოდის საპირფარეშოში)

რ უ ს უ დ ა ნ ი — სასაცილოა... თუმცა ჩვენ გვხდის ის სასაცილოდ, თვითონ კი ბრძენად დაბრძანდება და მედიდურობს.

ა ნ ა — (თავისთვის)
ნეტავ ვინ არის აქ ასეთი?

რ უ ს უ დ ა ნ ი — (ანას შეათვალიერებს, ჩანს მოეწონა, მაინც უკმეხად)
თქვენ ვინ ბრძანდებით?

ა ნ ა — მე? როგორ გითხრათ...

რ უ ს უ დ ა ნ ი — როგორც არის, ისე მითხარით.

ა ნ ა — (თქმა უძნელდება)

მე?.. მსახიობის მეუღლე ვარ...

რ უ ს უ დ ა ნ ი—მაინც რომელის? (ისმის გიორგის ხმა) „ბრმა ვყოფილიყავ, შენი ხილვა თვალს ამიხელდა; უგულო, — გული ჩამედგმოდა მკერდში მაგარი; გამომესხმოდა უცნაური და მძლავრი ფრთები“...

ა ნ ა — ის არის! ჰოო, გიორგია! მესმის მისი ხმა —
ალალმართალი, ვაჟკაცური, ომახიანი...
ასეთ ხმას ერთხელ რომ მოისმენ, მერე არასდროს
არ გავიწყდება. — ყურთასმენას აღარ შორდება —
ის გულში შედის, თითქოს გული ჟღერს და ბუბუნებს...
... მახსოვს „ღალატი“... ანანიას ბედზე ჩიოდა...
და სახლშიც ისე წარმოთქვამდა ფრაზას და სიტყვას,
როგორც ნამდვილად ლაპარაკობს ჩვენი გლეხკაცი...
... ერთხელ უეცრად შემომესმა უცხო ძახილი —
„აი, მოვედი მასპინძელო, კარი გამიღე!“
ხმა ვერ ვიცანი! და კარებში გიორგი იდგა:
„ — აი, ამ ხმაზე ლაპარაკობს ის ანანია —
სევდანარევად, ხორკლიანად, იმედიანად —
დაიმახსოვრე და ხმა თუ კი გამოვიცვალო
შემომიტიე, შემომძახე — ის გლეხი არ ხარ! „
არა, არა ხარ ანანია, გესმის, არა ხარ!“

რ უ ს უ დ ა ნ ი — (თავისთვის)
უცნაურია მამაკაცი! ერთხელ არ უთქვამს
არამც თუ ცოლი... (ანას) გიორგია თქვენი მეუღლე?
(ანა გამოერკვევა, უხერხულობას იგრძნობს)
ასეა არა? მერამდენე ცოლი ბრძანდებით?
მან ოდესაში თუ მიიღო მუსულმანობა!
გასაგებია... — მუსულმანებს რჯული ნებას რთავს
მრავალი ცოლი იყოლიოს...

ა ნ ა — მრავალი ცოლი?

რ უ ს უ დ ა ნ ი — ერთი მეუღლე გიორგისა აქ, ჩვენთან გახლავთ...

ა ნ ა — ხომ არ გეშლებათ, ქალბატონო, მისი მეუღლე?

რ უ ს უ დ ა ნ ი — სცენაზე ერთად... ცხოვრებაშიც ერთად არიან...
სხვა რაღა არის (დაცინვით) ქალბატონო, კიდევ ცოლქმრობა?
აი ახლავე მობრძანდება მისი მეუღლე,
თქვენ ის შემოგხვდათ ამ კარებში...

ხ მ ა — დროა, სცენაზე.

ა ნ ა — (დაბნეულად) გთხოვთ მას არ უთხრათ, რომ აქა ვარ...

ر უ ს უ დ ა ნ ი — მე მას ხმას არ ვცემ! (გადის)
ა ნ ა — ნუთუ მოეტყუვდი? უკეთმართმა ბედმა დამცინა?

(სინათლე ქრება: ნათდება მამაკაცთა საპირფარეშო, ოდნავ გამოღებულ კარებთან დგას გიორგი. კულისებიდან აღწევს სიკოს ხმა — „თქვენ ვერ შეიძლებთ დაიმონოთ ჩემი სამშობლო"... გიორგი კარს მიხურავს)

გ ი ო რ გ ი — ისე წარმოთქვამს ალალ სიტყვას თავის გმირისას,
თითქოს გარედან იყოს ეს ხმა გამოხმობილი,
თითქოს ცალკეა კაცის გული, ხმა კიდევ ცალკე...
ვერ ვერწმუნები! არასოდეს მე არ მსმენია —
არადელ გლეხკაცს სიტყვა ეთქვას აგრე უსახოდ!
ის შინაგანად ლაპარაკობს... ის ღელავს, როცა
ამაღელვებელ ამბავს აცნობს თავის მეგობრებს;
იცინის, როცა სასაცილო ამბავს უყვება...
თვალგაშეშებულს რომ იხილავ გლეხკაცს, მაშინა
იმისი გულიც ესიტყვება თვალს გაშეშებულს...
ჯერ გული იგრძნობს წუხილსა და მერე თვალები
გამოსახავენ ზედმიწევნით გულის წუხილსა...
(ისმის სიკოს ხმა: „რატომ ჩემულობთ ძალადობას, ბერიკაცი ვარ").
თითქოს და სხვისი ყელი ედგას, თვალებიც სხვისი
უბრიალებენ... მაყურებელს აშინებს თითქოს...
განა ეს არის სახიობა? ეს უნდა ვიყვეთ?
(შემოდის ბეჟანი. კედელზე ჩამოკიდებულ პიჯაკის ჯიბეებს ქექავს, ჩანს ვერ იპოვა, რასაც ეძებდა, ნერვიულობს, სცენიდან კვლავ ისმის სიკოს ხმა: „ჩემი შვილია ერთადერთი, ჩემი იმედი".)

გ ი ო რ გ ი — გლეხს შვილს უკლავენ! გამწარებულ გლეხკაცს ქო-
ლავენ,
მზად არის გული შეახიოს ვერაგ მოსისხარს, —
ყოველი ნაკვთი სხეულისა უკრთის და რისხვით,
ნაპერწკლიანი გამოხედვით მტერს გულს უგმირავს...
... ეს კი გამდგარა მოშიშარი განზე და თითქოს
მტერს შებრალებას გამოსთხოვდეს ამ უკაცური
„არ ჰქნა, არა ჰკლა"-ს გამოთქმითა აგრე უსახოდ.
... ეჰ, მისთვის გაჰქრა ხალხის ლტოლვა თეატრისადმი,
რომ კომედიას ტრაღედიად წარმოვუსახავთ;
ანდა პირუკუ — ვმასხარაობთ სიკვდილის კართან
და ტლინკებს ვისვრით, როცა თავში უნდა ვიცემდეთ...
ბ ე ჟ ა ნ ი — პაპიროსი გაქვს? მომაწოდე.
გ ი ო რ გ ი — ყოველთვის მასხრობ!
ბ ე ჟ ა ნ ი — გაქვს პაპიროსი? გინდ მაგარი, გინდა მსუბუქი?

გ ი ო რ გ ი — წუთით მაინც არ შეგიძლია, რომ არ იმასხრო?
ბ ე ქ ა ნ ი — მე ტრაღიკულად გეკითხები — გაქვს პაპიროსი?
(გიორგი აწვდის პაპიროსს. ბექანი მოუკიდებს, გააბოლებს)
იცოდე, როცა მწეველს ესე შემოაკლდება —
აი ეს არის ტრაღედია უსაშინლესი!
როცა იშოვის — კომედიად გარდაიქცევა...
შეხედე, როგორ ვათამაშებ!
გ ი ო რ გ ი — ბრიყვულად მსჯელობ!
ბ ე ქ ა ნ ი — მე ჯერ პირაქეთ შემოგთხოვე — პაპიროსი გაქვს?
შენ ვერ გაიგე აზრიანი ჩემი მოთხოვნა;
მაშინ პირუკუ — შემოგძახე ომახიანად —
გაქვს პაპიროსი? შენ გამიგე და მომაწოდე...
აი ხომ ხედავ, რომ პირუკუ საქმის კეთება,
ხშირად სასურველ შედეგს აღწევს... თანაც იოლად!
(ისმის ხმა: — ბექან, სცენაზე)
... უკვე მიხმობენ... პაპიროსი ვიშოვე, მაგრამ
მოწევა ველარ მოვახერხე — ასე, — პირუკუ!
(პაპიროსს მოკრძალებით დებს საფერფლეში. გადის. შეუმჩნეველად შემოდის სიკო)
გ ი ო რ გ ი — ... აი, ხომ ხედავ, — რომ პირუკუ საქმის კეთება, ხშირად სასურველ შედეგს აღწევს...
ს ი კ ო — ფილოსოფოსობ?
ფილოსოფოსო, უკვე დროა, სხვა გზა ვეძიოთ.
გ ი ო რ გ ი — ეგებ...
ს ი კ ო — მომბეზრდა შენი რჩევა-დარიგებანი!
მე გზას ვიპოვი! მეწვრილმანე გავხდები თუნდაც...
დიახ, ვიპოვი! ქუჩა-ქუჩა გავყიდი ასანთს!
ეს მირჩევნია, ვიდრე ცივ და ცარიელ დარბაზს
ხმა შევალიო და ვიძახო „ხალხო, მისმინე!"
სად არის ხალხი? გეკითხები, სად არის ხალხი?
გ ი ო რ გ ი — ბაღებში დადის... ქართულ კლუბში ბანქოს თამაშობს.
ს ი კ ო — თეატრშიც დადის... იტალიელ მომღერალს უსმენს!
გ ი ო რ გ ი — ის კარგად მღერის.
ს ი კ ო — რაც ხალხს უყვარს, ის იმას მღერის.
მიტომაც აგრე ეტანება ხალხი ურიცხვად.
ჩვენს თეატრში კი სამიოდე კაცი ბოვინობს!
შენ შემაღლდები ტრიბუნაზე... ცარიელ დარბაზს
ომახიანი ხმით გასძახი — ხალხო, მისმინე!
და მაშინ თვითონ დიდებული ეს სიტყვა „ხალხი"

პატარავდება, მსუბუქდება და ჩიავდება...
(შემოდის ბეჟანი)
არ შემიძლია! მე ასანთი უნდა გავყიდო!
ბ ე ჟ ა ნ ი — ჯერ მომიკიდე, მერე თუნდაც გაასაჩუქრე.
(გიორგის)
შენი სცენაა, გავიწყდება? რად იგვიანებ?
(გიორგი გადის. ბეჟანი პაპიროსს იღებს საფერფლედან),
ვერ მოვახერხე ერთი ღერი პაპიროსია
ბოლომდე ისე „მოვინელო", როგორც წესია...
ს ი კ ო — სხვა სატკივარი ბეჟანიკო, არ გაგაჩნია?
ბ ე ჟ ა ნ ი — უპირველესი სატკივარი ჩემი ეს არის!
მეც ხომ კვამლი ვარ და კვამლს როცა გავყურებ ლაღად —
თითქოს სილაღე მემატება სულში და მჯერა,
როგორც ეს კვამლი მაღლა-მაღლა მიიწევს რხევით,
მეც ასე მალე ავმაღლდები...
ს ი კ ო — სასაფლაოზე!
მალე დაგმარხავთ კუკიაზე და რადგან მაღლა —
მაღლა მიიწევს შენი სული, მომაღლო ადგილს
გამოგინახავთ... და შენ ქალაქს...
ბ ე ჟ ა ნ ი — დილის ბინდბუნდში.
სწორედ რიჟრაჟზე ქალაქს ლაღად გადავუქროლებ
და შენდაგვარი ჭიაღუა ვერ შემომწვდება...
მე მაღლა ვიფრენ!
ს ი კ ო — შენ იფრინე მაღლა და მაღლა,
ოღონდ მე დაბლა — ჭიაღუას ვისაც მეძახი —
სახრავი ჩემი დამიტოვე. არ მსურს შენსავით
კვამლად გადვიქცე და ზეცაში ვიქროლო ლაღად...
ბ ე ჟ ა ნ ი — შენ მღოღავი ხარ, მაღლა ფრენას ფრთები სჭირდება...
ს ი კ ო — შენ და გიორგი მჯერა ერთად ახვალთ ზეცაში,
მე აქ დავრჩები თქვენი სულის მოსახსენებლად —
და ვიტყვი — იყვნენ საოცარი ტრაღიკოსები,
იწვოდნენ მთელის შთაგონებით... მერე დაიწვნენ,
კვამლად გადიქცნენ... დედამიწამ მათ ვერ გაუგო,
ამაღლდნენ ცაში და ზეცაში მართავენ სპექტაკლს.
ოღონდ უფასოდ, ვით შეჰფერით ნამდვილ წმინდანებს...
(შემოდის რეჟისორი, სიკოს გამომცდელად შეაცქერდება, დაკეცილ გაზეთს მაგიდაზე დააგდებს. ქრება სინათლე. ნათდება ქალების საპირფარეშო. დაბალ სკამზე თავჩაქინდრული ზის ანა. მის გვერდით, ოდნავ უკან, დგას ასმათი)

ا ს მ ა თ ი — აი ეს იყო... მე არ ვმალავ, რომ ის მიყვარდა!
და მიყვარს ახლაც... ასე უცებ ძნელია ჩემთვის
უარვყო ჩემი სიყვარული! განა თქვენ შესძლებთ
გულიდან უცებ ამოიჭრათ არა თუ ტრფობა,
თუნდ სიძულვილიც, რაც გვადაბლებს ადამიანებს?
... ამასაც ვიტყვი — რომ გიორგის ჩემს სიყვარულზე
სიყვარულითვე ეპასუხა — მე გაგწირავდი,
თუნდაც გამეგო, რომ ადრევე შენ ის გიყვარდა!
... იტყვი — ბოროტი ყოფილხარო. მე მართალს გეტყვი —
ამ ბოროტებას ჩავიდენდი, რადგან მე ისე,
ისე ძლიერად შემიყვარდა, რომ მე უმისოდ
არად მიღირდა გატანჯული ჩემი ცხოვრება...
... ის ცივად შემხვდა, მაგრამ გული არ გავიტეხე,
ვთქვი — ფიქრობს ალბათ: გატაცება არის უბრალო,
რაიც სჩვეულიათ ქალიშვილებს... და მე მჯეროდა —
როს დარწმუნდება, როგორ წრფელად და მთელის გულით
მიყვარს... და მიყვარს არა მარტო როგორც ვაჟკაცი,
არამედ როგორც ხელოვანი... რომ გიორგია,
ვისაც ვეძებდი გატაცებით... აი ვიპოვე
და მხოლოდ მისით შევიქნები მე ბედნიერი —
შემიყვარებდა... მაგრამ არა, არ მოხდა ასე!
ამის მიზეზი შენ ყოფილხარ!.. ის მცირე შუქიც,
ჩემს გულს რომ ოდნავ ანათებდა, სრულიად ჩაქრა!
... ის შენს წინაშე მართალია, ალალმართალი!
... დროა, წავიდეთ.

ა ნ ა — მისი ნახვა არ შემიძლია!

ا ს მ ა თ ი — ჩემთან წამოხვალ. ყველაფერში რომ დაგარწმუნებ.
მერე მე თვითონ... მე წაგიყვან შენს გიორგისთან!

(ქრება სინათლე. ნათდება მამაკაცთა საპირფარეშო. მაგიდასთან ზის რ ე ჟ ი ს ო რ ი. ოთახის ერთ კუთხეში ბ ე ჟ ა ნ ი, მეორეში ს ი კ ო. ჩანს ბ ე ჟ ა ნ ს დაუმთავრებია გაზეთის კითხვა).

ბ ე ჟ ა ნ ი — ისიამოვნეთ, — წაიკითხეთ, ბატონო სიკო.

ს ი კ ო — არ ვსაჭიროებ... რაც წერია, ისედაც ვიცი.

რ ე ჟ ი ს ო რ ი — ალბათ წინასწარ გითანხმებენ?

ს ი კ ო — სწორად ვაზროვნობ!
აქ ყოფნის ნაცვლად, რომ დარბაზში იჯდეთ, ბატონო,
უმჯობესია... ერთით მეტი მაყურებელიც
დიდი საქმეა... ტაშის დაკვრაც თქვენ სხვებზე უფრო...

ბ ე ჟ ა ნ ი — ნეტავ სცენაზე ახერხებდე ასე ლაპარაკს!

ს ი კ ო — აღელვებულად ვლაპარაკობ მე რეჟისორთან —
მას უკეთ ესმის მსახიობის გულისტკივილი...
უპირველესად რეჟისორი გაიგებს ხოლმე,
როგორი დრამა მოიპოვებს ხალხში სიყვარულს. —
ბ ე ჟ ა ნ ი — ხშირად არ იცის — იმ დრამაში ვინ ათამაშოს!
ს ი კ ო — პირდაპირ პასუხს ერიდებით. არავინ უწყის,
ამ პიესაში ჩემს როლს როგორ ვითამაშებდი!
რ ე ჟ ი ს ო რ ი — მათ ალბათ ახსოვთ წინანდელი თქვენი თამაში...
ს ი კ ო — მადლობა უფალს, ამოშაქრეთ, ღირსი გამხადეთ!
რ ე ჟ ი ს ო რ ი — და ვნანობ კიდეც.
ს ი კ ო — შეგიძლიათ უკან წაიღოთ...
მე სწორი სწორთან ვლაპარაკობ! არ ვსაჭიროებ
თქვენს მოწყალებას, დიდოსტატნო... ცარიელ დარბაზს
თქვენ გისახსოვრებთ! შეგიძლიათ კვეხნით ამტკიცოთ —
თქვენ თქვენის ნიჭით აამაღლეთ თეატრი დიდად
და სიდიადეს თქვენსას ვეღარ შემოწვდა ხალხი...
(ხმა: — „ბეჟან, სცენაზე". ბეჟანი და რეჟისორი გადიან. სიკო იღებს გაზეთს, ათვალიერებს, იღიმება, ფანქრით რამდენიმე ადგილს გახაზავს, გაშლილად დადებს მაგიდაზე და გადის. შემოდის გ ი ო რ გ ი. ეტყობა დაღლილია. გრიმს უხალისოდ იწმენდს. დაინახავს გაზეთს. ათვალიერებს. ნერვიულობს. ხმამაღლა ამოიკითხავს) „ისე გლეხურად დააბიჯებს სცენაზე, თითქოს აპეურიდან გამოეხსნას ეხლა ხარები". (გაზეთს ხელიდან გააგდებს, მოწყენილი ჯდება)
გ ი ო რ გ ი — ნეტავ აქ იყოს! ჩემი გული ეგებ დამშვიდდეს...
ის ხომ იოლად გადაიტანს ნაღველს ღიმილით,
მერე იმ ღიმილს მე გადმომცემს... ჩემი ნაღველიც
გაჰქრება სადღაც და ნათელი მეფრება სულში...
ეეხ, შორს არის ჩემი ანა... იცოდეს მაინც,
ვით იტანჯება უიმისოდ მისი ბესიკი...

ფარდა

მესამე მოქმედება

მესამე სურათი

ქართული კლუბის დიდი დარბაზი. დარბაზს რამდენიმე გვერდითი კარი აქვს. მეორე ოთახში ხანგამოშვებით უკრავს საესტრადო ორკესტრი. დარბაზში თანდათან შემოდიან სტუმრები. განათლების მინისტრი ბანკეტს უმართავს იტალიელ მომღერალ ქალს. დარბაზში შეკრებილნი ჯგუფ-ჯგუფად დგანან და საუბრობენ. ყველა მამაკაცს ფრაკი აცვია, ხოლო დოროთეს იისფერი ჩოხა თეთრი ახალოხით.

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — ეს იტალია ხმების საწყობია პირდაპირ.

დ ო რ ო თ ე — ფიგურალური გამოთქმაა, ქალბატონო.

ლ ე ი ლ ა — ეე ენ მაგაზენ დე ვუა ლირიკ!

დ ო რ ო თ ე — რომელ ენაზე გალობთ, სულიკო?

ლ ე ი ლ ა — ფრანგულად.

დ ო რ ო თ ე — გადმომიქართულე, სულიკო.

ლ ე ი ლ ა — „ლირიული ხმების დიდი საწყობი".

დ ო რ ო თ ე — ესეც ფიგურალური გამოთქმაა, სულიკო.

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — მაღირსებს კი ოდესმე ჩემი ქმარი იტალიის ნახვას?

დ ო რ ო თ ე — ერთხელ კიდევ შემომაშუქე, ქალბატონო ფლორენცია!

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — რამ გაგაგიჟათ, ბატონო დოროთე, დღეს? (ყურს აუწევს და შეაცქერდება)

დ ო რ ო თ ე — მარტო ცალ თვალში გაქვთ იმდენი ელვარება. რომ მთელი მსოფლიოს ქალებს ეყოფა, თუ თანაბრად გაუნაწილებთ... როგორ უძლებს თქვენი მეუღლე ამ თვალებს!..

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — (იცინის) მე ჩემი ქმარი თვალებში არ მიცქერის!

დ ო რ ო თ ე — აბა სად? სად, ქალბატონო?

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — (ხარხარებს) ფეხებში...

დ ო რ ო თ ე — (შეათვალიერებს) ოო, არ ჰქონია ცუდი გემოვნება!

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — (ისევ სიცილით) დიახ... და მიჩიჩინებს — სწორად გაადგი, ქალო, ფეხი, ვერა გრძნობ, რომ ფეხსაცმლის ქუსლი ცალ მხარეზე ილევაო.

დ ო რ ო თ ე — შევარცხვინე მისი ვაჟკაცობა, ხარის ტყავის ნაჭერი ენანება ღვთაებისათვის?

(მათ კირილე და ირიდიონი უახლოვდებიან)

კ ი რ ი ლ ე — თავადი დოროთე მუდამ აღგზნებულია...

დ ო რ ო თ ე — გვაქვს მიზეზი, ბატონო კაპიტალიზმო!

ი რ ო დ ი ო ნ ი — რომელი როტშილდი ჩვენ გვნახეთ, ბატონო დოროთე!

დ ო რ ო თ ე — თავს ნუ იკატუნებთ! თქვენ გაგვაძვრეთ ტყავი მშრომელებს...

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — ბატონი დოროთე მშრომელი! (იცინის) ისევ პოლიტიკა?

ი რ ო დ ი ო ნ ი — ჩვენს მთავრობას და თავადიშვილებს მარტო პოლიტიკა შერჩათ.

დ ო რ ო თ ე — ადგილ-მამული და სიმდიდრე თქვენ წარგვტაცეთ და...

კ ი რ ი ლ ე — რატომ, ზემოიმერეთში კიდევ დაგრჩათ ვენახი.

დ ო რ ო თ ე — თქვენი ჭირი წაიღო, გავყიდე.

ი რ ო დ ი ო ნ ი — ასე გაგიჭირდათ?

დ ო რ ო თ ე — თქვენმა მეგობარმა დამარწმუნა — ხვალ-ზეგ ბოლშევიკები მოვლენ, მამულსაც წაგართმევენ და სულსაც ამოგხდიან...

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — და თქვენც შეშინდით?

დ ო რ ო თ ე — (დაბნეულად) არა... არა, შიში რა შუაშია, — რაღა იმათ წამართვან? შიშველი ხელებით შევხვდები პროლეტარიატს, ცარიელ-ტარიელი!

კ ი რ ი ლ ე — და გიძმობს, შეგიამხანაგებს?

დ ო რ ო თ ე—თქვენ მაინც არ დაგაყრით პროლეტარიატი ხეირს! ახლა ფულით ურევიხართ ხალხში, პროლეტარიატს კი თქვენი ფული არ დაჭირდება. შემოგძახებს — აბა, მარშ, მოუსვით აქედან!

ი რ ო დ ი ო ნ ი — ჩვენ, საქმე და ჩვენი ცოდნა გადაგვარჩენს.

დ ო რ ო თ ე — ცოდნა! ხელოვნების დიდი მცოდნენი ბრძანდებით — დღეს რომ მინისტრმა ვახშამზე მიგიწვიათ! ერთი ბიბრძანეთ — როკოკოს სტილი მოგწონთ, თუ პუჩინის მუსიკა? ჰა, რომელი მოგწონთ? (ხარხარებს)

ბ ა რ ნ ა ბ ა — არაა საჭირო ასეთი ტრაღედიის დატრიალება სცენაზე. თეატრში გასართობად მოდის ხალხი და არა სატირლად.

ბ ე ჟ ა ნ ი — გართობა დაირითაც შეიძლება. დაუკარით და იცეკვეთ!

ბ ა რ ნ ა ბ ა — ჩვენ მაშინ ვერთობით, როცა სხვის ცეკვას ვუცქერთ. ვიცით, ბატონო მსახიობო. — გვეომებოდნენ და ვეომებოდით. სააკაძეც გვახსოვს და ერეკლეც... გადაგვაყოლეთ ახლა!

(ჯგუფს შეუერთდება დ ო რ ო თ ე. მას თითქმის ყველა უსმენს)

დ ო რ ო თ ე — ახალი ტიპის მგოსნებიც მოგვეელინენ, ბატონებო, ჰმ, ჰმ, ფილოსოფიურნი და გვიმტკიცებენ (ჯიბიდან იღებს ქაღალდს. კითხულობს)

„სიახლის მტვერი სახეს აღარ ამტვერიანებს,
ეს ძველის ჭუჭყი მოგედება გულზე მანკიერით“.

გადმოვთარგმნოთ ახლა ეს უბრალო მომაკვდავის ენაზე: სახე რომ მურში შეჰყოთ, სახე მაინც არ გაგიმურიანდებაო. ძველი დროის მტვერი მტვერია, ხოლო ახალი დროება რომ მობრძანდება — იმისი მტვერი თვალმარგალიტიო... დასაჯერებელია ეს, ქალბატონო ფლორენცია? დასაჯერებელია?

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — ნამეტანს ღელავთ, ბატონო დოროთე...

დ ო რ ო თ ე — ადვილი შესაძლებელია გავგიჟდე კიდეც, აბა, ინებეთ. (კითხულობს)

„თვალებს აცეცებს აბეზარი გაქსუებული —
აღტაცებული უცხოური მოდის კაბებით“...

ეს, ბატონებო, უკვე ნამდვილი ლანძღვაა! მაშ, გაქსუებული და აბეზარი ვარ მე, კოხტაკაბიანი (ფლორენციას შეაცქერდება), სათნო, ჰაეროვნად ჩაცმული ქალი თუ მომეწონება? ამ ლექსის დამწერმა შეიყვაროს ჩექმებიანი და მილიციის პაგონებით დამშვენებული ქალი. ღმერთმა შეარგოს! ისლანდია რომ ინგლისის კულტურას არ ზიარებოდა, ველური ქვეყანა იქნებოდა დღესაც (აქა-იქ გაისმის სიცილი). დიახ, დიახ, მე ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, აქ საქირქილო არაფერია!

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — დამშვიდდით, ბატონო დოროთე, დამშვიდდით.

დ ო რ ო თ ე — რად იგვიანებს ეს ოჯახაშენებული! ვახშმად ვართ, ბატონო კირილე, მოწვეული, თუ ღამის სატეხად? (შემოდიან ანა, გიორგი, რეჟისორი, სიკო. ბეჟანი მათ შეეგებება. ფლორენცია თვალს არ აშორებს ანას. ფლორენციას თითქმის ჩურჩულით)

ყოფნა... არ ყოფნა... საკითხავი აი ეს არის,
გატრაღიკულდა მხიარული ჩვენი ვახშამი.

ف ლ ო რ ე ნ ც ი ა — ის მეუღლეა? სიფრიფანა სახის პატრონი!
დ ო რ ო თ ე — მეუღლე გახლავთ. ლოგინოვის ქალი ბრძანდება.
ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — მერე და რატომ? საქართველოს ცოტა ჰყავს ქალი ბატონ გიორგის შესაფერი?
დ ო რ ო თ ე — მაგას ნუ იტყვით!
ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — ვითომ და რატომ?
დ ო რ ო თ ე — საოცარი ქალი ბრძანდება,
სწორედ გმირობა ჩაიდინა, მაგას რომ გაჰყვა...
აი გაგაცნობთ, უსათუოდ მოიხიბლებით!
ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — „ქართველი ქალი“! „საქართველო!“ — ასე იძახით, უცხო ქალებით ამოავსეთ ეს საქართველო.
დ ო რ ო თ ე — ვშიშობ მიწყინოთ...
ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — თქვენ უცნაურს იტყვით, თავადო.
დ ო რ ო თ ე — ასე' განსაჯეთ — დიდად უყვარს ჩვენი ქვეყანა
და უფრო ხიბლავს საქართველოს დიდი წარსული,
ვიდრე ზოგიერთ მანდილოსანს, ქართველად შობილს!
ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — ო, რა იოლად იტყუებთ თავს მამაკაცები!
საკმარისია უცხო ქალმა თქვას „საკარტველო“
და თქვენ გგონიათ დიდად უყვარს მას საქართველო.
ეეხ, დოროთე, თქვენგან მაინც...
დ ო რ ო თ ე — აი ახლავე!

(დოროთე ახას გააცნობს ფლორენციას. ანა, ლეილა და ფლორენცია განაპირდებიან და ხმადაბლა საუბრობენ. დოროთე თვალს მოკრავს კართან მდგარ ლაქიას და მისკენ გასწევს)

მამულიშვილო, მომაშველე სწავლულება შენი, და ცხონდება სული მამიშენისა.
ლ ა ქ ი ა — (გაჯავრებული) რაშია, ბატონო დოროთე, საქმე?
დ ო რ ო თ ე — გადამიიტალიურე ორიოდე სიტყვა.
ლ ა ქ ი ა — უკაცრავად, მე თარჯიმანი არ გახლავართ.
დ ო რ ო თ ე — ჯერ არ გაბატონებულა პროლეტარიატი და ასე იბღვირები? ოჰო, ჰო, როგორ დამიცაცხანებ, ბოლშევიკები რომ მოვლენ. ასე უნდა უფროსის პატივისცემა? შენ გგონია ბოლშევიკები ლაქიებს, მეპურეებს, მეეტლეებს და მეკურტნეებს მინისტრებად დაგსვამენ? იმდენი ცხონდა მამიშენის სული! ჰაიტ, შე გლახაკო, თვალით არ დამენახვო ვახშამზე, თორემ წიწილივით გაგხლეჩ, აი ასე!

(ლაქია გულმოსული შორდება დოროთეს. დოროთე ლეილას დაიმარტოხელებს)

გადამიიტალიურე, სულიკო, ორიოდე სიტყვა.

ლ ე ი ლ ა — რად გჭირდებათ, ბატონო დოროთე!

დ ო რ ო თ ე — იმ მომღერალ ქალს მინდა განათლებულ კაცად მოვაჩვენო თავი.

ლ ე ი ლ ა — იტალიური არ ვიცი.

დ ო რ ო თ ე — თქვენ და ფლორენცია სულ იტალიაზე კი ლაპარაკობთ.

ლ ე ი ლ ა — ფრანგულად მოახსენეთ, მან ჩინებულად იცის ფრანგული.

დ ო რ ო თ ე — ფრანგულად იყოს, სულიკო, ფრანგულად. აბა, გადამითარგმნე — „მე უცოლო თავადი გახლავართ".

ლ ე ი ლ ა — ჟე სუი ენ პრენს სოლიტერ!

დ ო რ ო თ ე — (ქაღალდს და ფანქარს იმარჯვებს) ქართული ანბანით უნდა დავწერო, სულიკო, მიკარნახე... ჟე სუი... ენ...

ლ ა ქ ი ა — (გამოჩნდება კარებში. ხმამაღლა) ბატონებო, მინისტრი მობრძანდა. (მინისტრს შემოაყვავს იტალიელი მომღერალი ქალი. დარბაზში შეკრებილთ მინისტრი რიგრიგობით წარუდგენს სტუმარს, ქალები მას რევერანსით ესალმებიან, მამაკაცები კი ხელზე კოცნიან)

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ჩვენი მრეწველნი. (წარუდგენს იროდიონს და კირილეს) ხელოვნების მგზნებარე მეცენატები, დიდად მოხიბლულნი თქვენი ჯადოქრული სიმღერით, ამათ უყვართ მუსიკა...

დ ო რ ო თ ე — განსაკუთრებით სიმფონიური მუსიკა (საერთო ჩუმი სიცილი)

მ ი ნ ი ს ტ რ ი — დიახ, ესენი იყვნენ პარიზის, რომის, ვენის, ბერლინის თეატრებში და სურთ თბილისშიაც შექმნან ისეთი რამ. — მერწმუნეთ, მათი სურვილი განხორციელდება!

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — აუცილებლად, აუცილებლად. თქვენ ჩინებული მომღერლები გყავთ...

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ქალბატონი ფლორენცია, მეუღლე ბატონ კირილესი, თქვენი ყველა კონცერტის მუდმივი მსმენელი.

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — გთხოვთ დაუმატოთ — აღფრთოვანებული მსმენელი!

დ ო რ ო თ ე — დიახ, დიახ, როცა თქვენ სიყვარულის სიმღერას მღერით, ქალბატონი ფლორენცია ცრემლად იღვრება, — სიახალგაზრდავეს ნატრობს... არა, თუმცა ჯერჯერობით...

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა — ბატონო დოროთე! ბატონო დოროთე...

მ ი ნ ი ს ტ რ ი — (წარუდგენს ლეილას) ესეც ჩვენი საამაყო ქალიშვილი, — იგი უკვე საამოდ მღერის, მას წელსვე მოვავლენთ იტალიაში და მჯერა, თქვენის შემწეობით, დაოსტატებული დაგვიბრუნდება.

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — აუცილებლად, აუცილებლად, სინიორ მინისტრო!

მ ი ნ ი ს ტ რ ი — რუსეთის ასული, ჩვენი რძალი, მეუღლე ჩვენი ჩი... (გიორგის გადახედავს) ჩინებული მსახიობისა... ფრიად განსწავლული მუსიკაში.

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — სასიამოვნოა, დიდად სასიამოვნოა...

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ეს რაინდი კი. თვითონვე გაცნობთ თავისთავს. — საქართველოს ბრწყინვალე თავადი, გონებამახვილი და მუდამ მხიარული და ტრფიალი ოცნებათავისუფალ საქართველოსი — ბატონი დოროთეო!

დ ო რ ო თ ე — (თავისთვის) ეს „ო" რა ჯანდაბაა! (მომღერალ ქალს ნაწყვეტ-ნაწყვეტად) ჟე სუი... ენ... პრენს... სოლიტერ!

(საერთო ხარხარი)

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — ოო, ეს დანაშაულია, დიდი დანაშაული! ამდენ ხანს როგორ მოითმინეთ უოჯახობა?

დ ო რ ო თ ე — საქართველოს ქალები მწუნობენ, სინიორინა, ეგებ იტალიამ გამიღიმოს!

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — აუცილებლად, აუცილებლად, სინიორ დოროთეო.

დ ო რ ო თ ე — (თავისთვის) ვატყობ, ეს „ო" ჩოხის კალთაზე მომეკერა.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — აი ჩვენი ხელოვანნიც. მსახობები, რეჟისორი.

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — ოო, მოხარული ვარ, მღერიან, არა?

დ ო რ ო თ ე — არა, სინიორინა, ესენი ტრაღოს-ტრაღიკოს-ტრაღედია, — ტირიან სინიორინა.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ამათ ახლოს სუფრაზე გაიცნობთ, სინიორინა, ჩვენი მასპინძლები ესენი გახლავთ... სამწუხაროდ, მათ შორის...

გ ი ო რ გ ი — სამწუხაროდ, ბატონი მინისტრი ახლო არ გვიცნობს!

რ ე ჟ ი ს ო რ ი — გიორგი, გავიწყდება სად იმყოფები?

მ ი ნ ი ს ტ რ ი — (თითქოს არ გაუგონია გიორგის სიტყვები. ხმამაღლა) ჩვენს სანეტარო სტუმარს ხუ მოვაწყენთ. იტალიასა და საქართველოში მოწყენა არ შეიძლება, ვიმხიარულოთ... (უკრავს ორკესტრი. ისმის ქალის სიმღერა):

დავშორდით. — გემი მოსცილდა ნაპირს,
გააპო ტალღა. — ლურჯი უაშირი;
ვარდი ამკობდა ქათქათა აპრილს
და ყვავილები ნაირ-ნაირი.

დაეშორდით, ბედად არ გაეხდით დიდხანს
ერთად ყოფნის და ალერსის ღირსი...
მან საყვედური თუმცა არ მითხრა,
მსაყვედურობდნენ თვალები მისი!

მინდოდა მეთქვა, მაგრამ იმჯერად
ერთ გულთბილ სიტყვას ვერ მივაგენი...
რასაც თვალები იტყვის პირველად,
მას გამოთქვამენ შემდეგ ბაგენი.

სიმღერის დროს დარბაზში მყოფნი სეირნობენ და ხმამაღლა საუბრობენ. მინისტრი და ქალები ერთ ჯგუფს ქმნიან. სამინისტროს მოხელე ბარნაბა და მსახიობები — მეორეს. კირილე, იროდიონი და დოროთე ცალკე დგანან.

ბ ა რ ნ ა ბ ა — სამინისტროს არ შეუძლია უმიზნოდ თანხების ხარჯვა.

რ ე ჟ ი ს ო რ ი — მშობლიური თეატრისათვის დახმარების გაწევა რატომ მიგაჩნიათ უმიზნოდ?

ბ ა რ ნ ა ბ ა — მშობლიური თეატრი ხალხის გემოვნებას უნდა უწევდეს ანგარიშს.

რ ე ჟ ი ს ო რ ი — ხალხი!..

ბ ა რ ნ ა ბ ა — უკაცრავად, თქვენთვის ხალხი მხოლოდ მუშაა, ხელოსანი, მეკურტნე და მეწვრილმანე! თქვენ ინტელიგენციას ხალხად არ თვლით და მიტომ ღაფავს თქვენი თეატრი სულს... დიახ, არისტოკრატია, არისტოკრატიაა, ბატონო რეჟისორო, მთავარი ძარღვი თეატრისა!

რ ე ჟ ი ს ო რ ი — სამწუხაროდ „დღევანდელი ჩვენი არისტოკრატიისათვის თეატრი, ლიტერატურა, სამშობლო — სულ ცარიელი ფლისტი-ფლუსტებია და მეტი არაფერი!“

ბ ა რ ნ ა ბ ა — როგორ ბედავთ?

რ ე ჟ ი ს ო რ ი — ამას აკაკი წერეთელი მოგახსენებთ, მამულიშვილო!

ბ ა რ ნ ა ბ ა — აკაკი წერეთელი! დიდებული მგოსანი იყო ცხონებული, მაგრამ ენამწარე და ღვარძლიანი... სამწუხაროდ, ზოგჯერ ცდებოდა თქვენი აკაკი წერეთელი!

ბ ე ჟ ა ნ ი — შესაძლოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცამდე მართალია.

ბ ა რ ნ ა ბ ა — იყოს მართალი აკაკი წერეთელი! მეც მართალს მოგახსენებთ — თქვენი თეატრისათვის სამინისტრო ფულს ვერ გაიღებს.

ბ ე ჟ ა ნ ი — უარის თქმაში მაგარი ბრძანდებით, მამულიშვილო!

ბ ა რ ნ ა ბ ა — თქვენი თავი აიგდეთ სასაცილოდ. გამოჩნდებიან ხე-

ლოვანნი, რომელნიც ჩვენი არისტოკრატიის გემოვნებას გაუწევენ ანგარიშს. როგორმე უთქვენოდ მოვაგვარებთ ამ საქმეს.

(ამ ჯგუფს დ ო რ ო თ ე მიუახლოვდება)

ბ ე ქ ა ნ ი — ჩვენი მინისტრი უცხოელი მომღერლების ყველა კონცერტს ესწრება და... ვახშმებისათვისაც საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს...

დ ო რ ო თ ე — მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ზრდილობა არ დაუკარგავს ჩვენს მინისტრს!

ბ ე ქ ა ნ ი — ქართულ თეატრში რომ ფეხი არ შემოუდგამს?

რ ე ჟ ი ს ო რ ი — ეს დიდი ზრდილობაა, არა, ბატონო დოროთე?

დ ო რ ო თ ე — არა, არა! ეს მოუცლელობის ბრალია, ბატონებო, გადატვირთულია ჩვენი მინისტრი!

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — არ შეიძლება ქართული თეატრის წარმოდგენა მანახოთ?

მ ი ნ ი ს ტ რ ი — შეძლებით როგორ არ შეიძლება, მაგრამ არ გირჩევთ.

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — მაინც რატომ?

მ ი ნ ი ს ტ რ ი — არა მგონია სასიამოვნო გამოდგეს.

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი — პირიქით, სინიორ, ჩვენ, მომღერლებს, მობეზრებული გვაქვს ოპერა და კონცერტების მოსმენა. მე მინდა ვნახო ქართული დრამა. აი სინიორინას (ანაზე უთითებს) მეუღლე დაგვეხმარება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — დე, აღსრულდეს თქვენი სურვილი. ოღონდ წინასწარ გაფრთხილებთ — უკმაყოფილო დარჩებით.

გ ი ო რ გ ' ი — ქალბატონი თვითონვე განსჯის, ბატონო მინისტრო, წინასწარ ასე რატომ გვამცირებთ?

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ვიცი მისი გემოვნება! რას უჩვენებთ თქვენ? როგორ ვებრძოდით წარსულში ირანს, თურქეთს! მერე რუსეთს როგორ შეაკავშირა ერეკლემ საქართველო; ომები, სისხლისღვრა... ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა! ამიერიდან საქართველო თავისუფალ ევროპას ეძმო, ამიერიდან საქართველოში მხოლოდ მონადირის თოფი თუ გავარდება! ტყუილად ოცნებობთ, პატივცემულო ხელოვანნო, — რაც რუსეთში მოხდა, ის საქართველოში არ განმეორდება! საქართველო თავის გზით მიდის... თქვენ კი თქვენი წარმოდგენებით ისევ ბრძოლისკენ მოუწოდებთ ხალხს! უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ დიდი ტრაღედიისათვის პატარაა ჩვენი ქვეყანა.

გ ი ო რ გ ი — სტუუით! პატარა არასოდეს ის არ ყოფილა! თვით მაშინ, როცა მარცხდებოდა, იყო დიადი.

როგორ შეჰკადრებთ საქართველოს გაწამებულ ხალხს:
პატარაკაო სისხლმორწყული შენი ქვეყანა!

ა ნ ა — გიორგი!

რ ე ჟ ი ს ო რ ი — კმარა! დაარღვიე ჩვენი პირობა?

გ ი ო რ გ ი — არ შემიძლია, ლამის გული ამომიგარდეს...
თქვენ დაბლა-დაბლა ღოღიალი გიყვართ... ცხადია,
მის სიდიადეს ვერასოდეს ვეღარ შესწვდებით!

ა ნ ა — გიორგი, გესმის რას ჩადიხარ?

გ ი ო რ გ ი — დიახაც მესმის!
ელაქუცებით დასავლეთის ყველა ქვეყანას,
ქართველი ხალხი მონობაში რომ იყოლიოთ —
მიტომ არა გსურთ ჩვენს თეატრში სიმართლე ჰქუხდეს,
გვირჩევთ ვიმასხროთ, დავაჩლუნგოთ ხალხის გონება —
ფეხი დავაღგათ ვაჟას, ყაზბეგს, დიად ილიას, —
დღეს წერეთელიც შეგვიგინა თქვენმა მოხელემ...
მას ტვინის ნაცვლად ნაგავი აქვს თავში ნამდვილად!

ხ ა რ ნ ა ბ ა — თქვენ პასუხს აგებთ!

გ ი ო რ გ ი — დაიმალოთ გირჩევთ, ბატონო,
რადგან სირცხვილი არ გაწითლებთ და ურცხვად დგახართ!

მ ი ნ ი ს ტ რ ი — განა ამისთვის მოგიწვიეთ? არ მოველოდი!

გ ი ო რ გ ი — ვიცით, რომ განგებ მოგვიწვიეთ... თითქოს გვაფასებთ,
ხოლო ჩუმ-ჩუმად ათასნაირ ხრიკებს მიმართავთ —
კარი მიუგდოთ ქართულ თეატრს, ქართველ მსახიობს,
რადგან სიმართლეს წარმოსახავს დღევანდელ დღისას...
თქვენ მოისყიდეთ გაზეთები და უსირცხვილოდ
გაათახსირეთ ხალხის თვალში ჩვენი თეატრი.
თვით არ გვკადრულობთ... ემისრებს ,ეი ბლომად გვიგზავნით,
ჩვენ იმათ ვამჩნევთ. უსირცხვილოდ ხალხში მიმალულთ, —
იმახვილებენ ყურთასმენას ვაჟბატონები,
როცა სცენაზე წარმოსდგება გლეპი ან მუშა,
და იმათ სიტყვას როგორ შეხვდა მაყურებელი,
იმავე ღამეს დაწერილებით მოგახსენებენ...
დიახ, ეს ვიცით!
ისიც ვიცით, რომ თქვენის ღვაწლით
ქართულ თეატრში სტუმარია ქართველი დასი!
... დრამა აკრძალეთ, გზა დაუთმეთ ფარსს და ვოდევილს —
ქურდბაცაცების, კაცისმკვლელთა, ნაძირალების,
როსკიპ ქალების ავხორცობას გინდათ უცქიროთ:
ბანდიტს მდიდარი ქალი როგორ შეუყვარდება,

მერე სიმდიდრე ხელთ რომ იგდოს იმ გარეწარმა,
ცოლს საწოლშივე გამოაღრჩობს საკუთარ ხელით, —
აი ეს გინდათ! ამას ეტრფით! აი თქვენი გზა!
სამწუხაროა — თქვენს ხელთ არის თეატრის ბედი,
მაგრამ, იცოდეთ, მინისტრობა ცოდნას არ ნიშნავს, —
უსწორო გზაზე ხელოვანნი არ გაგყვებიან!
მე თვით უარვყოფ ასეთ თეატრს... მე ხალხში წავალ,
პატარა ტალღად შევერევი ხალხის მდინარეს...
დაე, იცოდეთ — ეს მდინარე ნაპირს მოიხსნის
და ყველა უღირსს წაილეკავს დასალუპავად!
ანა, წავიდეთ!

(ანა და გიორგი სწრაფად სტოვებენ დარბაზს)

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ — (რეჟისორს)
ხვალიდანვე აღარ ვიხილო...

ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ — თქვენი ბრძანება ზედმეტია. თქვა, — შეასრულებს!

ᲚᲐᲥᲘᲐ — მობრძანებას გთხოვთ, ბატონებო!

ᲓᲝᲠᲝᲗᲔ — (ფლორენციას) აკი გითხარით,
გატრაღიკულდა მხიარული ჩვენი ვახშამი...

ფარდა

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

ადგილი ქართული კლუბის წინ. ღამეა. ხანდახან ქარი გამოიქროლებს. კლუბის სადარბაზო შესასვლელთან მეეტლეებს მაყალი გაუჩაღებიათ.

ᲘᲐᲒᲝᲠᲐ — (მაყალზე ხელებს ითბობს და ცას შესცქერის)
თითქოს ვარსკვლავებსაც სციოდეთ.

ᲢᲣᲒᲠᲘᲐ — ჰო, როგორღაც ცივად ანათებენ...

ᲘᲐᲒᲝᲠᲐ — შენ თვითონ შეათვალიერე — ხალხი ბევრია?

ᲢᲣᲒᲠᲘᲐ — ბევრი.

ᲘᲐᲒᲝᲠᲐ — უნდა გაათენონ ოჯახქორებმა?

ᲢᲣᲒᲠᲘᲐ — დაგვიწყებია, ხვალ კვირაა.

ᲘᲐᲒᲝᲠᲐ — მერე? ხვალ რომ კვირაა, შაბათ ღამეს უნდა გამოსკდეს ადამიანი!

ᲢᲣᲒᲠᲘᲐ — უმიზეზოდ ჯავრობ. ამ კლუბს უნდა უმადლოდე, — შენს ეტლში გამომთვრალი და თვალები რომ განდაგანას უთამაშებს ისეთი კაცი თუ ჩაჯდება, თორემ...

ი ა გ ო რ ა — თორემა შენი ეტლი სჯობია, აი!

ტ უ გ რ ი ა — სჯობია რომელია? ვერაზე რომ ჩავაქროლებ, ზუბალოვის კნეინა აივანზე გამოფრინდება და თვალებით მანიშნებს — ტუგრიავ, შენ შემოგევლოს თბილისის ყველა მეეტლეო.

ი ა გ ო რ ა — იფ, იფ...

ტ უ გ რ ი ა — ჰაი, რომ მანიშნებს და მანიშნებს...

ი ა გ ო რ ა — ჰო, ჰო, როგორ აფრენ! ზუბალოვის კნეინას მოსწონხარ, აი! მიტომაც დაბრძანდება ის ქალბატონი შენი ეტლით! ზუბალოვის კნეინა შენს ხარახურა ეტლში ნაგავსაც არ ჩაჰყრის, ბიჭო... მაყალს შეუკეთე, იმ კნეინას თვალებს გაფიცებ, თორემ გავიყინე კაცი...

ტ უ გ რ ი ა — მერედა შენ იცი როგორი თვალები აქვს ზუბალოვის კნეინას? იცი იმისი თვალები რასა მღერიან?

ი ა გ ო რ ა — თვალები მღერიანო? გრამაფონი ხომ არ აქვს იმ შენს კნეინას თვალებში, ბიჭო!

ტ უ გ რ ი ა — შენ ბებერი ხარ და ლამაზი ქალის თვალების სიმღერა არ გესმის... აი მე კი მესმის:

ბიჭო, წყალში გამიყვანე, წითელ-ქუდა ცხენიანო.
მე ამის მეტს ვერას გეტყვი — ქალი ვარ და მცხვენიანო, —
აი ამას მღერიან ლამაზი ქალის თვალები!

ი ა გ ო რ ა — ჰოდა შენც მიუბანე, ოღონდ ე მაყალი გააჩაღე.

(ტუგრია მაყალს აჩაღებს. ისმის ეტლის მოახლოების ხმა) მოგრიალდა ბედის მაძიებელი...

ტ უ გ რ ი ა — კარგია. ღმერთს სამება უყვარს და აი ჩვენც გავსამდით. (მეეტლეები სიბნელეს გასცქერიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდის გიორგი. მას მეეტლის ტანსაცმელი აცვია)

ი ა გ ო რ ა — არისტოკრატიას ჩვენი უმდაბლესი სალამი!

გ ი ო რ გ ი — ადრე მობრძანებულა თქვენი ბრწყინვალება... მსუბუქად ხართ?

ტ უ გ რ ი ა — როგორც თქვენი თეატრი, არტისტო.

გ ი ო რ გ ი — სცდები. ჩვენი კლუბი სავსე იყო.

ი ა გ ო რ ა — მუქთი ფლავის საჭმელად მკვდარიც ადგებაო.

(სცენაზე გაიელის ქალ-ვაჟი. ტუგრია ცნობისმოყვარეობით აცქერდება ქალს, თითქოს იცნოო გაუღიმებს. ქალ-ვაჟი კლუბში შედიან)

ტ უ გ რ ი ა — ეეხ, ვერ მიცნო! ლამაზი ქალები ეტლში მისხდებიან, გულში კი არა! რა იციან, როგორი სიყვარული შეუძლია ამ გულს!

ი ა გ ო რ ა — ლამაზი ქალები რომ ჩასხდებიან ეტლში, თითქოს ცხენებიც გრძნობენ, ქარივით მიაქროლებენ ეტლს...

ტ უ გ რ ი ა — არ მეგონა, თუ შენი ცხენებიც აგეთები იყვნენ!

(ცლუბიდან მოისმის სიმღერისა და მუსიკის ხმა)

ი ა გ ო რ ა — გამოფრაკული იჯექი კლუბში! არ გერჩივნა?

გ ი ო რ გ ი — არა.

ტ უ გ რ ი ა — აგანგებებ! თეატრში ორიოდე სიტყვას იტყოდი, ჯამაგირს გაძლევდნენ... მერე კლუბი. ვახშამი. ქალები!

ი ა გ ო რ ა — არ მერჩივნაო, იტყვი! იმათ მუცელში ქორწილია, შენს მუცელში ნიშნობაც არ არის.

გ ი ო რ გ ი — შემძულდა.

ტ უ გ რ ი ა — თეატრი ქალი ხომ არ არის, შეიძულო!

გ ი ო რ გ ი — ეეხ, როგორ აგიხსნათ თქვენ...

ი ა გ ო რ ა — ახსნა რად მინდა! მე ვყოფილვარ თეატრში და მე თვითონ ვიცი, — ცრუ საქმეა თქვენი თეატრი!

გ ი ო რ გ ი — სიცრუეს გვათამაშებენ და იმიტომ.

ტ უ გ რ ი ა — შენც აიღე და ნუ ითამაშებ სიცრუეს!

გ ი ო რ გ ი — მერე ვინ მოგცა ამის ნება?

ი ა გ ო რ ა — აშენებულო, ნება ჩემი არ არის? მე — მე არა ვარ? არ მინდა და არ ვითამაშებ! აი თბილისის ყველა ეტლები რომ მაჩუქონ, კაცისმკვლელის, მოღალატისა და ჯიბგირის როლს არ ვითამაშებ!

გ ი ო რ გ ი — რატომ, იაგორა?

ი ა გ ო რ ა — იმიტომ, რომ ქურდსა და მკვლელს რომ ითამაშებ, გაიწაფები და მერე შეიძლება ნამდვილადაც მოგინდეს... ანდა, თუ არ იცი, ხელი როგორ ჩააპარო სხვის ჯიბეში... არა, ცუდი ხელობაა!

(ცლუბის სადარბაზო კარებში გამოჩნდება ქალ-ვაჟი)

ვ ა ჟ ი — ეტლი! მეეტლე!

ი ა გ ო რ ა — ტუგრია, წაიყვანე, შენი ჯერია.

ტ უ გ რ ი ა — (სწრაფად მიუახლოვდება ქალ-ვაჟს) აქა ვარ, ჭირიმე.

ვ ა ჟ ი — ჭირი იქით იყოს, — ცხენები კარგი გიბია?

ტ უ გ რ ი ა — რაშები გახლავთ, ჭირიმე.

ვ ა ჟ ი — ალმართს აირბენენ?

ტ უ გ რ ი ა — ალმართსაც აირბენენ, დალმართსაც ჩაირბენენ, სწორზე გაფრინდებიან. გნებავთ, ტრაპიზონში ჩაგიყვანთ...

ვ ა ჟ ი — შენც ხომ არტისტი არა ხარ, მონოლოგებს რომ კითხულობ! წავიდეთ. (გადიან)

ვ ი ო რ გ ი — (მაყალთან ჩაცუცქდება. დაბალი ხმით)

„დამისხი, დამალეეინე
ეგ ღვინო ოხერ-ტიალი.
ეგების წაღმა ეიფიქრო
ქვეყნის უკუღმა ტრიალი.
ეგების სეედის ვარამი
ჩაეკლა მაგ ჯიხვის რქაშია,
ალენთო შურისძიებით,
ცეცხლი გამიჩნდეს ტანშია...“

(ცლების სადარბაზო კარიდან გამოჩნდებიან ქალი და კაცი. როგორც კი ქალი ყურს მოჰკრავს გიორგის ხმას, შეკრთება. კავალერს ხელს წაეღებს და კიბის საფეხურზე გაშეშდება) ეეჰ, არ გამიმართლდა, ჩემო იაგორა, არ გამიმართლდა.. ძე გავლოთდი, ქვეყანა კი ისევ უკუღმა ტრიალებს... ტრიალებს და ჩვენც ჭიაღუასავით დავლოღავთ ამ უკუღმართ გზაზე... ცეცხლი კი გამიჩნდა ტანში. მწვავს... მანადგურებს!

ქ ა ლ ი — დააყურადე!

კ ა ც ი — რა იყო?

ქ ა ლ ი — სუ... გესმის?

კ ა ც ი — ჰო, მესმის. მეეტლეები ლაზღანდარობენ.

ქ ა ლ ი — ის არის!

კ ა ც ი — ვინ ის?

ქ ა ლ ი — ჩვენი არტისტი! ჩვენი მეზობელი გიორგია!

კ ა ც ი — ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ?

ქ ა ლ ი — ღმერთმანი ისაა, გიორგი! ივისი ხმაა... ჩუმად!

ი ა გ ო რ ა — მგონი ეტლი უნდათ, გიორგი. წაიყვანე. ვერა ხედავ — გელოდებიან.

ქ ა ლ ი — ხომ გაიგონე, გიორგიო, ნამდვილად ის არის... წაიდეთ... წაიდეთ!

გ ი ო რ გ ი — (უახლოვდება) ბატონებო, ეტლს არ ინებებთ?

ქ ა ლ ი — ო, არა — არა. ჩვენ აგერ, აქვე ვცხოვრობთ... ღმერთო ჩემო, საშინელებაა... წაიდეთ!

(გადიან. გიორგი მათ მზერას გააყოლებს, მეორე ხანს გარინდული დგას. უცებ შეკრთება)

გ ი ო რ გ ი — მგონი ჭკუიდან შეეშალო! იაგორა, ერთი გახედე, ის ქალი ჩვენსკენ მოდის?

ი ა გ ო რ ა — (გეერდით ამოუდგება) მერე რატომ უნდა შეეშალო ჭკუიდან? განა ქალი არ გინახავს?

გ ი ო რ გ ი — დააკვირდი, ჩვენსკენ მოდის, ხომ?

ი ა გ ო რ ა — განა ვერ ხედავ, ჩვენსკენ მოდის, მაშ! რატომ ცახცახებ, ბიჭო!

გ ი ო რ გ ი — ჰო, ნამდვილად ის არის! მე მივდივარ, იაგორა, ეტლს შენ გიტოვებ!

ი ა გ ო რ ა — ორი ეტლი რაღად მინდა! რა მოგივიდა?

გ ი ო რ გ ი — მერე გეტყვი. იმ ქალმა თუ გკითხოს რამე ჩემზე არაფერი უთხრა. არც კი იცი — მე ვინა ვარ! (გიორგი უკან გადადგამს ნაბიჯს. ის-ის არის უნდა მიიმალოს სიბნელეში, შემოესმის ანას ძახილი)

ა ნ ა — გიორგი!

გ ი ო რ გ ი — (გაშეშდება) არ მოგელოდი! (შემორბის ა ნ ა. აღელვებული მიიჭრება გიორგისთან, ეხვევა) ვინ გაგაგებინა? ვინ მოგასწავლა?

ა ნ ა — ყველაფერი ვიცი!

გ ი ო რ გ ი — განა ყველაფერი?

ა ნ ა — მთელ სოფელს სცოდნია. მე დღეს გავიგე და აი გამოვეშურე...

გ ი ო რ გ ი — რომელმა ოხერ-ტიალმა არ დამინდო!

ა ნ ა — საღამოს — თეატრი, ღამით — ეტლი, დღისით — სარდაფი... ყველაფერი ვიცი! გაგტეხს, გაგანადგურებს...

გ ი ო რ გ ი — სხვა გზა ვერ ვიპოვე!

ა ნ ა — რა გაგვიჭირდა ასეთი? სახლში, სოფელში, ჩვენთან!

გ ი ო რ გ ი — აღრენილი მამაჩემი...

ა ნ ა — ოღონდ მოვიდეს, ხმას არ ამოვიღებ, შევხედავ — იმედად მეყოლებაო. (იცრემლება) ბავშვმა დამაბარა...

გ ი ო რ გ ი — რაო, რა დაგაბარა!

ა ნ ა — მამა ჩამომიყვანე... მხრებზე უნდა შევაჯდე და გავაჭენოო.

გ ი ო რ გ ი — (იცრემლება) უყურე იმ ეშმაკსა! — უნდა გავაჭენოო?

ი ა გ ო რ ა — წადი, შვილო... წადი! მე სხვა რამეში არ გამოვდგები, თორემ მეეტლეობა რა ბედენაა... აბორგებული ხარ, წადი გული დაიმშვიდე. მეეტლეებად ჩვენც ვეყოფით ამ ხალხსა...

გ ი ო რ გ ი — შენ ხომ იცი..

ი ა გ ო რ ა — ვიცი. ის მაინც მამაა და შენ მაინც შვილი ხარ.

გ ი ო რ გ ი — ჰოო, ეს მართალია... მხრებზე უნდა შევაჯდე და გავაჭენოო... მშვიდობით, იაგორა... (გადაეხვევა) წავიდეთ. (გიორგი გადის. ანა რაღაცას ჩურჩულით ეუბნება იაგორას)

ი ა გ ო რ ა — არ უთხრა რომ მე შეგატყობინე, თორემა ცუდ კაცად ჩამთვლის...

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მეხუთე სურათი

სოფელი. გიორგის სახლი. ერცელი ოთახი. ეტყობა ოდესღაც მდიდრულად იყო მორთული. კედლებზე გამოხუნებული ნოხები ჰკიდია. ბუხართან მიდგმულ ტახტზედაც ნოხია გადაფარებული. ტახტზე ზის გიორგის მამა, ტახტთან ახლოს სამფეხა სკამზე კარისმეზობელი ქიტესა. ორივენი ყალიონს აბოლებენ. ოთახის შუაგულში, მათკენ ზურგშექცეულად დაბალ სკამზე ზის გიორგი და კალთას წნავს. აცვია გლეხურად. წელ-ულვაში მოშვებული აქვს. ეტყობა მეზობელ სახლში მღერიან. ისმის ხმადაბალი „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ“.

ქ ი ტ ე ს ა — თქვენმა ანამა ააგალობა ე ჩვენი სოფლის ხალხი, თორემა ცხვირჩამოშვებულები დააბოტებდნენ, — ვითომა სოფელში კი არა, სასაფლაოზე ვცხოვრობდეთ.

ნ ი კ ო — სიმღერას მაშინ აქვს მადლი, ჩემო ქიტეს, როცა საქმე სამღერლადა გაქვს!

ქ ი ტ ე ს ა — არ ამბობ მართალსა! ჩვენი ხალხი გლოვის დროსაც კი გალობს, — იმიტომა, რომ გალობა და სიმღერა ამსუბუქებს სევდასა. — აბა, ყური მიუგდე.

(ისმის სიმღერა)

წუთისოფელი ესეა —
დღე ღამეს უთენებია;
რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია.

მარა ეს კია, რომ ჯერჯერობით მტრობა სჯობნის სიყვარულსა და გატიალებულია ჩვენი ცხოვრება...

ნ ი კ ო — იმიტომა, რომ ბოროტები ბევრი ყრიხართ ამ ქვეყანაზე და ბოროტი კაცის ხელიდან სიკეთე როდის გამოსულა?

ქ ი ტ ე ს ა — ყრიხართო, რომელია? ბოროტება პირველად თქვენ მოიგონეთ...

ნ ი კ ო — ვინ ჩვენა, გლეხიკაცო?

ქ ი ტ ე ს ა — შენა და შენისთანებმა!

ნ ი კ ო — ვაჰ, დროებასა!..

ქ ი ტ ე ს ა — დროება რა ბრალშია. მ(ონარობამ გაგაფუჭათ! ახლა კი იძახი: ვაჰ, დროებაო...

ნ ი კ ო — დღეს რაღაც ლაზათიანად ატ:ირტალებ ენასა, გლეხუჭავ!

ქ ი ტ ე ს ა — კლეხუჭასათვის კარგად რომ მოგეელოთ, (ირონიულად) თქვენც კარგად მეყოლებოდით, თავადიშვილო!

ნ ი კ ო — როგორაო, არა ვარ თავადიშვილი თუ?

ქ ი ტ ე ს ა — მიიკერე შუბლზე და იარე აღმა-დაღმა! აგერა მალე პეტერბურღიდან წამოსული ახალი დროება მოვა ჩვენთანაცა და მაგ თავადობისთვინ ოთხში ამოგიღებენ, ბატონო ნიკოლოზ!

ნ ი კ ო — რა ენა გაქვს, შე ტიალო! დააყენე, თორემ ამ ჩიბუხს მაგ ხრიკინა გოგრაზე გადაგამტვრევ, აი...

ქ ი ტ ე ს ა — ვიცი რო გადამამტვრევდი, მარა გეშინია! მიბღვერ და ჩემი გეშინია, შენ... იმ ახალი დროებისაც გეშინია! გატყობ.

ნ ი კ ო — როგორა გგონია — იმ ახალ დროებას ჩემთვის შავი ქვა მოაქვს და შენთვის ქადა-პურები?

ქ ი ტ ე ს ა — ნამდვილად.

ნ ი კ ო — რაღაც შეღერებული ხარ... ახლოს არიან?

ქ ი ტ ე ს ა — ბაქოში რომ არიან, გეცოდინებათ, ბატონო ნიკოლოზ! ბაქოდან ჩვენამდე რომ ვაკეა, ა, ასეთი ვაკე, ესეც მოგეხსენებათ...

ნ ი კ ო — შენი ურემი გაუგზავნე ქიტეს, უფრო მალე ჩამოვლენ!

ქ ი ტ ე ს ა — მეგონა, შენ დაგჭირდებოდა სასაფლაოზე გასასეირნებლად.... რახან ნება გვიბოძეთ, გაეუგზავნი.

ნ ი კ ო — ცეცხლი მომაწოდე, ტუტუც.

ქ ი ტ ე ს ა — (აწვდის ნაკვერჩხალს. გიორგის) გააგებინე ერთი მამაშენსა, რომ იმათ ჩემი ურემი არა სჭირდებათ.

ნ ი კ ო — მაგას? მაგას თავისი თავის ამბავი ვერ გაუგია...

გ ი ო რ გ ი — (ცალთს წნაუდა, მაგრამ ამათ საუბარს ყურს უგდებდა) ერთმანეთს ჰკორტნით და მაინც ვერ ელევით ერთმანეთს!

ნ ი კ ო — ამ სატანას გარდა არავის სცალია ჩემთვის! გამოვყრუვდე? დავმუნჯდე?

ქ ი ტ ე ს ა — შენი კალო გაგილეწია და...

ნ ი კ ო — ცუდად, ჩემო ქიტეს; ცუდად!

გ ი ო რ გ ი — სხვისი რა ბრალია?

ნ ი კ ო — მართლაც რომ ჩემი ბრალია!.. იქ, ოდესაში უნდა ჩამოგჭროდი, შენც დამეფრინე და შენი დონილოვიცა! ხალხი შემე-

ყარა და მეყვირა — ჩემი შვილი უჭკუოა, ბატონებო, მაგრამ ეს დონილოვიც გიჟია, კაცს რომ ოინბაზობას ასწავლის და ღუპავს-მეთქი.... საბედისწეროდ დამაგვიანდა. (დგება) ხანდახან აღრე გასწირავს ტიალი ბედი კაცსა და აი როგორი ჩამომიხვედი! უკანასკნელი კაცი ხარ ხალხში... წყალში ჩამიყარე ყოველივე და ახლა ჩემი ბებერი გულის გასახეთქად კალთებსა წნავ შინა!

გ ი ო რ გ ი — არ მოთავდება?

ნ ი კ ო — ვიდრე სული მიდგას, რამ უნდა გამომითაოს სადარდებელი! მომატებით კი მომემატება შენს შემხედვარეს... სწორედ ნანატრი ამიხდა — ჩემი შვილი ჯერ ოინბაზი იყო, მერე მეეტლე, ახლა მხვნელ-მთესველი, მეველე, მეწისქვილე... ხვალ კიდე ხელზე მოსამსახურედ დაუდგება ვინმე ვაჭარსა და სულს გამინათლებს (უახლოვდება გიორგის, გიორგი ხელიდან კალათს გაადებს) ლაპარაკს მიკრძალავ — ხმას რად იღებ, რად ოხრავო... მაშ ვიმღერო ჩემი რძალივითა? ჩემს გულს ემღერება განა?.. არ იოხროო! — თქვენ დაუკარით და თქვენვე იცეკვეთ! აგერ, აი ქიტესა აგუეებათ... ამას ემღერება — არაფერი გააჩნდა და არც არაფერი დაუკარგავს! ერთი საცეკვაო შეუკვეთე, ქიტეს, და ჩამოუარე, აი, ჩემი ვაჟკაცი აგუეება!.. თავზე ჩამომაქციე ოჯახი და ვიმღერო? ტაშფანდური გავაჩაღო?.. (გიორგი წასვლას დააპირებს) დაიცადე! ეიცი, რასაც კაიკაცობდი ქალაქში, — მუშების კლუბში რაღაც სისულელეს თამაშობდი, ქარაფშუტა ხალხი ტაშს გიკრავდა და თავი გბირად წარმოიდგინე... სწორედაც კაიკაცობისათვის გამოგაგდეს ქალაქიდან! — ახლა ამ ჩვენს ქარაფშუტა გლეხებში ჩამდგარხარ და ისევ არ იშლი სისულელეს — ხალხს ყური მიეუგდოთო! ხალხი!... ხალხს რომ ყური მიუგდო, გაგაგიჟებს! ჯერ ჩვენ აგვჯანყდა, — დაკმაყოფილდა? არა! მერე მეფეს აუჯანყდა! ახლა? ახლა — ეს მთავრობა არ გვინდა — გვალრჩობს, ტყავს გვაძრობსო... ჰმ, ხალხი! გლეხები! მე ვიცი მაგათი წამალი... უღელი! დიახ, უღელი დაადგი ხალხს და გაგიყუჩდება!.. ჰოო, უღელი და მათრახი! შემომხედე! შენც შემომხედე, ქიტეს, — არ შევშინდები! გინდათ შემაშინოთ, მე კი არ შევშინდები! აარა, არ შევშინდები... მე მაგარი ვარ!

(შემოდის ანა და შემოჰყავს სიკო)

ა ნ ა — აჰა, სტუმარი მოგიყვანეთ.

ხ ი კ ო — (ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს) გიორგი, შენ ხარ?

ა ნ ა — დიახ, ბატონო, გიორგია, გლეხურად ეცხოვრობთ.

ს ი კ ო — მაშ გამარჯობა, გლეხკაცო! (ხელს ართმევს)
სტუმრად მოველი!
აბა, შენ იცი, თუ გლეხურად გამიშლი სუფრას:
ახალ ქვევრს მოხდი და წვადებსაც არ დაიშურებ!
მე შენ ამბავი მოგიტანე სასიხარულო —
და ღირსიცა ვარ მასპინძელის გულღვიძებისა...

ნ ი კ ო — ჩანს ზედმეტნი ვართ, ბერიკაცო, შენსას წავიდეთ,
ვერც ჩემი რძალი, ჩემი შვილი, ვერც ეს სტუმარი
ხელს ვერ შეგვიშლის... დიახ, დიახ, ხელს ვერ შეგვიშლის —
ვკორტნოთ და ვკორტნოთ ერთმანეთი შეუბრალებლად...

(ნიკო და ქიტესა გადიან)

ს ი კ ო — (ხელჯოხით ფეხსაცმელზე ტალახს იშორებს)
საოცარია როგორ უძლებთ ამ სოფლის ტალახს...
მერე და სევდა? სოფლის სევდა უფრო მძიმეა,
უფრო ტლანქია... თქვენი მიკვირს, ძვირფასო ანა,
შოპენის ჰანგებს ამ სოფელში რატომ ატყვევებთ?

გ ი ო რ გ ი — მხოლოდ ამისთვის გვინახულე?

ა ნ ა — გიორგი!

გ ი ო რ გ ი — ანა, გთხოვ მაპატიო, მარტოდ ყოფნა მინდა სტუმართან.

ს ი კ ო — მე თქვენ ორივეს სიხარული ჩამოგიტანეთ!

გ ი ო რ გ ი — მაშ იყოს ასე... აი ცეცხლთან. აგერ დაბრძანდით. (საძიებელი ბუხრის ახლოს სხდებიან. ხანგრძლივი პაუზა. ანა ადგება, კუთხეში მიგდებულ კალათს აიღებს)

ა ნ ა — მე ერთის წუთით. ბავშვს მივხედავ. შემოვბრუნდები. (გადის. სიკო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს ოთახს, გიორგი თაეჩაქინდრული ზის)

ს ი კ ო — წაიკითხავდი ჩვენს გაზეთებს.

გ ი ო რ გ ი — ანა მიკითხავს.

ს ი კ ო — რატომ, თავად არ გეკადრება?

გ ი ო რ გ ი — გული არ მიმდის...

ს ი კ ო — შენ რომ გაქებენ!

გ ი ო რ გ ი — გვიანია...

ს ი კ ო — ვერ გამიგია!

გ ი ო რ გ ი — დამარხულ საქმეს ვერ აღადგენს გაზეთი ბკვდრეთით.

ს ი კ ო — როგორ დამარხულს? ცოცხალი ვართ ჩვენც და თეატრიც!

გ ი ო რ გ ი — თქვენ ცოცხალი ხართ და მიტომაც მოკვდა თეატრი...

ს ი კ ო — ისევ ქედმაღლობ და დაგვიცინი კვლავ ძველებურად,

მაგრამ საჩხუბრად მე არა ვარ დღეს აქ მოსული...

გ ი ო რ გ ი — ან თქვენ და ან ის! თუ იცოცხლებს თქვენ შორის ერთი — ორივე ერთად ვერ თავსდებით!..

ს ი კ ო — ფილოსოფოსობ!

უცნაურ აზრებს ეჭიდები და აი, ეხედავ,
როგორ შედეგსაც მიაღწიე... შენს თავს შეხედე,
მეუღლეს შენსას, შენს გარემოს! — ძლივს მოვაღწიე —
გზა გზას არა ჰგავს, სახლი სახლს და... მაინც ქედმაღლობ,
მერე და ანას ჰკითხე — აქ ურჩევნია?

გ ი ო რ გ ი — თვითონ ირჩია, გატაცებით მუშაობს...

ს ი კ ო — სცდები!

გგონია, ანა ამ სოფელში ხალისით ცხოვრობს?
ო, დიდად სცდები, მეგობარო, ის არტისტს გაჰყვა,
ქართულ თეატრის სახელოვან, დიდებულ არტისტს
და არა გლეხკაცს, მეწისქვილეს და ვაზის მუნობელს...
გაგიფრინდება! აი ნახავ — გაგიფრინდება,
და იმის გზა-კვალს ვერ იპოვი...

გ ი ო რ გ ი — (წამოიკრება) სტუმრად არ იყო,
ოღონ ღირსიც ხარ, კარგად ვიცი! სთქვი, რისთვის მოხველ?

ს ი კ ო — რომ ისევ გზაზე გაგიყვანო, დიდების გზაზე!

გ ი ო რ გ ი — ეს დიდების გზა სადღა არის?

ს ი კ ო — ჩვენთან, ჩვენს წრეში!

გ ი ო რ გ ი — თქვენთან? თქვენს წრეში?

ს ი კ ო — გაგიკვირდა? ხომ გაგიკვირდა?

ჩვენ გადავწყვიტეთ დაგაბრუნოთ... ჰო, ისევ ჩვენთან!

გ ი ო რ გ ი — თქვენ? ეს ვინ თქვენ, — რომ არ ვესმის?

ს ი კ ო — ქართული დასი!

გ ი ო რ გ ი — ისევ თეატრში მოღვაწეობ?

ს ი კ ო — მაშ, სად წავიდე?

განა არ ვიცი, რომ შენსავით პირველი არ ვარ
და რეცენზენტებს მე ერთხელაც არ შევუქიქავარ!
ჩამჩიჩინებენ — სხვა გზა ნახე, სხვა გზა ეძიე....
ვერა, ვერ გავძელ უთეატროდ! თეატრში ერთხელ
თუ შედგი ფეხი, — მერე ველარ ამოიკვეთავ!

გ ი ო რ გ ი — როს ვეჭიდებით იმას, რისი ძალიც არ შეგვწევს,
ჩვენ ვიტანჯებით და საქმეს კი არ ემატება...

ს ი კ ო — აკი გითხარი — მე საჩხუბრად არ ვარ მოსული.
ყური დამიგდე! როგორც ცხოვრობ, თვითონვე ხედავ,
ჩვენ ეს გავიგეთ... შეწრიალდა მთელი თეატრი

და დავადგინეთ, რომ თეატრში კელავ მოგიწვიოთ...
მერე მინისტრიც დაგვეთანხმა... აი ბრძანება!

(პიჯაკის ჯიბიდან იღებს ქაღალდს)

გ ი ო რ გ ი — რატომ შეწუხდით... მე რა ვიყავ, ან ახლა რა ვარ,
მთელი დასი რომ შეწრიალდა ჩემი გულისთვის...
მერე მინისტრიც შეაწუხეთ!

ს ი კ ო — არაფერია,
ამის ღირსი ხარ, შენ თვითონვე დაიმსახურე.
აი ავანსიც მოგიტანე... ჩაცმა გჭირდება, —
ასე გლეხურად ვერ ჩამოხვალ, ძმაო, თბილისში.
აჰა, აიღე, გამომართვი!

(ხანგრძლივი პაუზა)

გ ი ო რ გ ი — შენთანვე დარჩეს...
მინისტრსაც უკან ჩაუტანე მისი ბრძანება,
ჩემი მადლობაც მოახსენე. ღირსად არა ვთვლი
ჩემს თავს — ბრძანება მინისტრისა აქ დავიტოვო.
... თვითონვე იმკის თავის სიბრძნის ნაყოფს მინისტრი!
სად გაქვთ თეატრი, რომ თეატრის სახელით მიწვევთ?
მერე და ქართულ თეატრს როგორ უწოდებთ თქვენს თავს,
როცა ქართული არაფერი არ გაგაჩნიათ?
ტაძარი ხალხის კულტურისა ურცხვად შებღალეთ
და ტაკიმასხრულ ვოდევილებს გაუღეთ კარი!
„კატა აწონე" ითამაშეთ „ღალატის" ნაცვლად...

ს ი კ ო — მერე რა არის საძრახისი? ხალხი ვაცინეთ...

გ ი ო რ გ ი — ... ცოლმა ჯიგარი შეაჭამა შეყვარებულ ვაჟს,
ქმართან იცრუა — შესანსლაო ოხერმა კატამ.
ქმარი დაეჭვდა, გამოენთო კატას ფერებით —
გარბის კატა და კაცი მისდევს, კატა კელავ გარბის.
იმძლავრა კაცმა, მოხერხებით მაინც უყელა, —
მერე აწონეს საცოდავი მჩხავანა კატა;
იყვირა ქმარმა — აწონილი მყავდა წინასწარ
და ამ საცოდავს ჯიგარი რომ გადაესანსლა,
მოიმატებდა წონაშიო... ქალი გამოტყდა,
წარმოიდგინეთ, უცოდველი გამოდგა კატა!
... აი თვატრი! ისიც თურმე ჩვენი, ქართული!
ხალხს შეაძულეთ თქვენ თეატრი და თქვენი თავიც
და ახლა გინდათ ჩემი თავი მოიშველიოთ?
ამაო.ცდაა.. ჩემი თავი ვერას გიშველით!
ხალხმა უარგყოთ და თუ რატომ, თვითონვე იცი.

ს ი კ ო — ვიცი, რატომ ხარ აღრენილა...
გ ი ო რ გ ი — ჰოდა, თუ იცი...
ს ი კ ო — მაგრამ მეგონა...
გ ი ო რ გ ი — რა გეგონა?
ს ი კ ო — გადაივიწყე!
გ ი ო რ გ ი — დამცინი კიდეც! დავიწყებას როგორ შევძლებდი,
რაც თქვენ სიკეთე დამაყარეთ ისე გულუხვად...
განა შენ თვითონ არ მოქსოვე ინტრიგის ქსელი?
შენ გაპყვიროდი — ამ უნიჭო ახალგაზრდობამ
რუსულ თეატრებს დაამგვანეს ჩვენი თეატრი, —
სურთ წაგვიშალონ ეროვნული სახე მსახიობთ...
გვიშველეთ, ხალხო, და დაღუპვას გადაგვარჩინეთ!
„... ისე გლეხურად დააბიჯებს სცენაზე, თითქოს
აპეურიდან გამოეხსნას ახლა ხარები“...
როცა ჩვენ ვქმნიდით. ამტკიცებდით არარა არისო,
მახსოვს შექსპირსაც იმოწმებდით ხელაპყრობილნი —
„არარაისგან არ იქმნების არარაიცა“...
ახლა კარგები შევიქმენით არარაისგან?
გამოლატაკდით, მოექეცით ჩიხში და იბრძვით
გაიხანგრძლივოთ არსებობა... ამაო ცდაა —
— არარაისგან არ იქმნების არარაიცა“...
ს ი კ ო — ამდენი ღვარძლი გულში გქონდა? როგორ ითმენდი?
გ ი ო რ გ ი — ეს სიმართლეა! თქვენ სიმართლე, ვიცი, არ გიყვართ, — რა გაეწყობა!
ს ი კ ო — დიახ, მართლაც, რა გაეწყობა!
(ირონიულად) ბოლშევიკების პარტიაში ხომ არ შესულხარ?
გ ი ო რ გ ი — დიახაც შევალ! ხალხის ტანჯვას, ხალხის სიხარულს,
ხალხის გმირობას ვინც გულდაგულ გაიზიარებს,
ვინც ამ ცხოვრების შუაგულში იკრება ლაღად —
აი ასეთებს შევიყვარებ, შეეწირები!
ს ი კ ო — ყოჩაღ, გიორგი!
გ ი ო რ გ ი — მოწონებას არ ვსაჭიროებ!
შენ შენს გამომგზავნთ მოახსენე ჩემი პასუხი:
მეწისქვილე ვარ, ხეხილს ვამუნი, კალთებსა ვწნავ
და ჯერჯერობით თეატრისთვის არა მცალია...
ს ი კ ო — დე აგრე იყოს! მოვახსენებ, რაც დამაბარე,
შენ კი შენს თავსვე დააბრალე, რაც დაგემართოს!
(ამოუმშვიდობებლად სწრაფად გადის ოთახიდან. შემოდის ანა).

გ ი ო რ გ ი — ვიცი — გვისმენდი! სხვანაირად მე არ შემეძლო!
ა ნ ა — მე არ გამტყუნებ! აგრე რიგად ნერვების აშლა..... (ეფერება)
ეს კი არ ვარგა... აღრენილი, გაუპარსავი...
ქიტესას გინდა დაემგვანო შენი წვერებით?
დღესვე გაგპარსავ...
(ისმის ძახილი: „ანანია, ე, ანანია!“)
გ ი ო რ გ ი — დავიჯერო? ბეჟანის ხმაა!

(ძახილი ძლიერდება — „გიორგი! ანა!“ გიორგი გარედ გაიჭრება და ეხმიანება — „ბეჟან, ა, ბეჟან!“ ანა ცდილობს სწრაფად მიალაგოს ოთახი. ტახტზე ნოხს შეასწორებს, სკამებს გადააადგილებს. შემოდის გიორგი და ხელჩაკიდებული შემოყავს ბეჟანი. ოგი სიყვარულით ესალმება ანას)

გ ი ო რ გ ი — აი სტუმარი! გაგვიშალე გლეხური სუფრა!
ბ ე ჟ ა ნ ი — აქაც დედოფლობს ჩვენი ანა!

(გიორგის აკვირდება)

შენ რა, გაგლეხდი?

გ ი ო რ გ ი — გლეხი ვარ, ბეჟან! ჰო, ნამდვილი! როგორ, არ მოგწონს?
ა ნ ა — დღესვე გავპარსავ, პაჭიჭებსაც გავხდი როგორმე.
ბ ე ჟ ა ნ ი — ო, არა-არა! ეს წვერები და პაჭიჭები
დღეს მე მჭირდება!... მხოლოდ ფქვილი, —
(წვერებზე ხელს მოუსვამს)
ჰო, თეთრი ფქვილი...
(ანა მეორე ოთახში გასვლას დააპირებს, ბეჟანი შეაჩერებს) მე მხოლოდ წუთით!
გ ი ო რ გ ი — თუ გაგიქდი? არც დღეს და არც ხვალ!
ბ ე ჟ ა ნ ი — ხვალ გორში თვითონ შენ ჩამოხვალ შენის წვერებით, — შენ ხვალ თამაშობ!
გ ი ო რ გ ი — სისულელეს თავი ანებე,
აღარც კი მჯერა, თუ ოდესმე ვიყავ არტისტი!
ბ ე ჟ ა ნ ი — მორჩა, გათავდა, დაივიწყებ, რომ გლეხი იყავ!
„ღალატს“ ვთამაშობთ, მჯერა შენ რომ არ მიღალატებ,
შენს ანანიას ითამაშებ... ხალხმა გაიგო,
უკვე გააკრეს აფიშები! დასს განვუცხადე,
რომ შენ წინასწარ წერილობით მომეც თანხმობა;
ხვალ გორში, შემდეგ ქუთაისში, მერე ბათუმში,
დაბა-ქალაქებს მოვედებით, ვიმოგზაურებთ,

ვიდრე თბილისში არ იქნება ჩვენთვის ალგილი!
ასე... მივდიეართ!

გ ი ო რ გ ი — ასე უცებ?

ბ ე ქ ა ნ ი — ხვალ გორში გელ!

გ ი ო რ გ ი — ბექან!

ბ ე ქ ა ნ ი — მივრბივარ, ბორანგალმა მელოდებიან!

(ბექანი მიდის, გიორგი გაჰყვება. ანა ნერვიულობს, ისევ გადაადგილებს სკამებს. შემოდის გიორგი. ბურანშია)

გ ი ო რ გ ი — შემოიქროლა და უმალვე ქარად გაიკრა...
სიტყვა დააგდო, მე პასუხი არ მათქვევინა!
ნამდვილი გიქი! შენ რას იტყვი, გიქი არ არის?

(ანა შეუმჩნეველად გადის მეორე ოთახში)

შემოიქროლა და უმალვე ქარად გაიკრა!
უნდა წავიდე? ვითამაშებ ჩემს ანანიას?
ჰო, ანანიას ვითამაშებ... უნდა წავიდე!

(ჯდება დაბალ სკამზე. ანა უხმაუროდ ოდნავ გამოაღებს ოთახის კარს და უთვალთვალებს)

გადამავიწყდა? განა მართლა? რა დამავიწყებს!
რატომ ვიცრუე მეგობართან? ჰო, ვასილისა,
შენც ხომ იცრუე სწორედ ერთხელ... და იმ სიცრუეს
არავისათვის ვნება ხომ არ მოუტანია...
მეც მხოლოდ ერთხელ! უნებურად, ჰო, უნებურად...
მე იმას ხვალვე დავუმტკიცებ, დღეს რომ ვიცრუე!

(წამოდგება)

ვიცრუე, ბექან! მე ძილშიაც თეატრით ვცხოვრობ...
... აი სცენაზე დავაბოტებ მართლაც ბლეხურად,
და ვხედავ, ხალხში ანა ჩუმად როგორ ჩამჯდარა —
ჩემი თამაში იმას მოსწონს და იცრემლება...
ეჰ, თავისიანს მუდამ მოსწონს თავისიანი!
მაგრამ აი ხალხს... ხალხსაც მოსწონს! ტაშმა იქუხა...
... თვალებს ავახელ — ჩემი სახლის ჭერი დამტირის.
უნდა წავიდე...

ოთარ-ბეგი მკაცრად დამხვდება,

აიმართება ჩემს წინაშე ჯმუხი, ამაყი;
მიცნობს უთუოდ, მაინც განგებ ამხედ-დამხედავს,
ჯიქურად მკითხავს — სადაური გდიხარ ბლახაო,
მეც ისე მაგრა დავუდგები! დავცინებ, მაგრამ
იმ დაცინვაში შებრალების მარცვალს გავურევ —
ვიცი, ოთარ-ბეგ, გულს ხანძარი შემოგნთებია,

მაგრამ გაშხელის გეშინია და იდაგები...
ჰაი, მიგიხვდი, ოთარ-ბეგო, ხედავ, მიგიხვდი!
... აი ის აქ დგას...
აქ ანანია...
შებღვერით მკითხავს:
— სადაური ხარ, კაცო, ვინ ხარ?
მორჩილად ეეტყვი:
— „ანანურელი გახლავარ, შენი ჭირიმე, სოფლის მამასახლისი. მეტსახელად გლახას მეძახიან. თქვენი გზირი გეახლათ და ბრძანება მოგვიტანა — ამ სამ დღეში სამი ცხენი და სამი ყმაწვილი ქალი იშოვეთ და მოგვართვითო. ცხენები ისეთები მოგართვი, რომ ადამიანის თვალი უკეთესს ვერას ნახავს; ქალები კი არ გახლავან, ბატონო. ვინც პატარა რიგიანი იყო და თვალში ჩინი ჰქონდა, შარშან წაასხეს ტფილისსა, და ვინც უნასი იყო, თქვენმა ჩაფრებმაც დაირიგეს მაშინვე"...
... გამირისხდება ოთარ-ბეგი, წარბებს შეიყრის:
„— რაებს მიჰქარავ, შე ბებერო, რაებს მიჰქარავ!"
არ შევშინდები! მე ჩემს ნათქვამს ბეჭედს დავასვამ:
— „შენს გზირებსა ჰკითხე, დიდო ბატონო. მე ნუ დამიჯერებ, შენი ჭირიმე. გარეშემოც კი არსად არ არის პატარა რიგიანი გოგოები... მინდოდა დამექორწილებინა ე ბიჭები და საპატარძლოები ვერ ვიშოვე. უცოლონი დარჩნენ. აგერ მოგართვი და შენს ნებაზედ იმსახურე. ოდესმე მეც მამაშენს ვემსახურებოდი და ახლა შენთვის შვილები დავზარდე. მინდა გემსახურონ თავიანთი ჯანითა და ვაჟკაცობით".
... გახალისდება, თვალს შეაელებს ყამირ ჭაბუკებს,
ჰკითხავს სახელებს. წლოვანებას, სარწმუნოებას, —
მაპმადიანი გახდებითო, ეტყვის ქუხილით
და როს ბიჭები გულანთებით აყვირდებიან —
იმათ დაეტუქსავ და ოთარს კი შეეუნთებ ხანძარს:
— „ჩუმად ეყარენით, ემანდა, თქვე საძაგლებო! როგორ ბედავთ და ეურჩებით დიდის ბატონის სურვილსა? ჩვენზედ კარგად იცის. რომელი რჯულია კარგი და რომელი ავი! თუ უარი სთქვა მამაპაპისა და თავის ქვეყნის რჯულზედ, ჩანს, რომ ამისმა სვინიდისმა აგრე მოინდომა. სვინიდისი! გესმით, თქვე სულელებო, რა არის სვინიდისი? მე თვითონ გამოვიცელიდი, დიდო ბატონო, ჩემს რჯულს... რა სარგებელი გვაქვს? ზარალის მეტი არაფერია. ერთიორადაც მეტს გვახდევინებენ, ძალებიეთაც გვცემენ, სხვა ხეირიც არა გვაყრია რა... გესმით,

სულელებო? გამოვიცელდი, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს, — განსვენებულს მამაშენს რა პირით შევხვდე იმ სოფელში? ხომ პირში ჩამაფურთხებს და მეტყვის: ვაი, ანანია, რომ მეორე თვალი სპარსელებმა გამოგთხარეს, როცა ჩემს გვერდით იბრძოდი, თორემ თვალებშიც ჩაგაფურთხებდიო. აი ასე მეტყვის“...

დამვიწყებია? ჩანს, რომ არა! ეჰე, მოვდივარ!

ანა!

ა ნ ა — (სწრაფად უახლოვდება)

სუ, ბავშვს სძინავს, ჩუმად, გიორგი!

გ ი ო რ გ ი — (დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით)

მივდივარ-მეთქი!

ა ნ ა — სად მიდიხარ?

გ ი ო რ გ ი — შენ დაგავიწყდა?

ბეჟანთან, გორში!.. ტანსაცმელი... დე, ეგრე იყოს,

მე ხომ გლეხი ვარ და სცენაზეც გლეხკაცს ვთამაშობ!

ა ნ ა — ნუთუ არ გახსოვს, შენ ხვალისთვის გიხმო ბეჟანმა!

გ ი ო რ გ ი — (ამოოხვრით)

მე დღეს მეგონა!.. ამეღამვე!.. მაშ, ხვალ მივდივარ?

(ანას მკერდზე მიიკრავს)

შენ არ მიწყინო, რომ უშენოდ წავალ ერთი დღით,

მარტო ერთი დღით...

(თვალებში აცქერდება)

მებუტები? განა არ ვიცი,

როგორ გაგტანჯე აწეწილი ჩემი ცხოვრებით.

(ცალერსება)

შენ შეასრულე შენი სიტყვა... ჰო, შეასრულე —

ერთად ვიელითო ამ ცხოვრების ხორკლიან გზაზე,

მე სიხარული წამიერიც ვერ მოგანიჭე.

ა ნ ა — მაგას ნუ ამბობ!

გ ი ო რ გ ი — ყოველივეს გულში რომ იკლავ,

ეს უფრო მტანჯავს, აორკეცებს ჩემს გულისწუხილს...

ა ნ ა — (ცალერსება)

მალე... სულ მალე კვლავ იქუხებს შენი სახელი,

გაიფანტება ჩვენი სევდა... ჩვენი ვარამი...

გ ი ო რ გ ი — მალე... ჰო, მალე... ხვალიდანვე! ბეჟან, მოვდივარ!

(ქრება სინათლე. სცენაზე ანთებული სანთელით შემოდის მთხრობელი)

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — ... და ის წავიდა მეორე დღეს. წინაღამით წვიმდა და წვიმდა; ნოემბრის ქარი თარეშობდა ქარაშოტივით.

სოფლის ბოლომდე გააცილა იგი მეუღლემ და როცა ანას ღაემშვიდობა — ნაბიჯს უჩქარა, თითქოს სადღაც დანიშნულ ადგილზე ბედნიერება ასვენია და ეშინია არავინ მიასწროს! ქარში დიდხანს იდგა ანა, გასცქეროდა ასე ჩქარის ნაბიჯით მიმავალ გიორგის, უხაროდა და იცრემლებოდა... აი მიადგა მტკვარს და ვერ იცნო — ადიდებული, მღვრიე და ყალყიანი ტალღებს ჯიქურად მიაგორებდა... მას იქ არ ღახვდა არც ბორანი და არც მებორნე! უკან დაბრუნდეს? არა, დღესვე უნდა შეადგას ფეხი სცენაზე, დღესვე უნდა დაუბრუნდეს თეატრს! მიმოიხედა. არავინ ჩანდა, მხოლოდ მავთული ისე წიოდა ქარში, თითქოს უბორნობას სტირისო. და მას დიდხანს არ უფიქრია — მაგრად ჩასჭიდა მავთულს ხელები, დაეკიდა და გაჰყვა. მძლავრად არწევდა ჰაერში დაკიდებულ მის სხეულს ქარი, მაინც თავისუფლად ინაცვლებდა ხელებს, თამამად მიიწევდა წინ... მდინარის შუაგულს მიაღწია! დაღლას არ გრძნობს, მავრამ უცებ ჩაიზნიქა მავთული, ხელები ჩამოუცურდა. მდინარეში ჩავარდა... ტალღები გადაეფოფრა, ჩასძირა, ფსკერისკენ გააქანა... მდინარემ პირი შეიკრა და დასრულდა ყოველივე... მაგრამ აი აქოჩრილ ტალღებში, როგორც სასწაული, გამოჩნდა გიორგი! მან მძლავრად გაჰკრა მხარული და ნაპირზე გავიდა... გაწეწული და გათოშილი გაუდგა გზას! ... თეატრი. ჩაჰქრა სინათლე. ხალხი ღელავს, მოუთმენლად მოელის საყვარელი მსახიობის გამოჩენას და როცა სცენაზე ანანიამ შემოანათა — ტაშმა იქუხა, ერთი კაციკით წამოიჭრა დარბაზი ზეზე და დარბაზი ზანზარებს... დიდხანს, დიდხანს იდგა გიორგი სიტყვაუთქმელად და მერე გვიან, როცა სიჩუმე დამკვიდრდა, კვლავ ამეტყველდა მისი ხმა — ალალმართალი, ოვახიანი, იმედით სავსე... გაცოცხლდა. ნამდვილად აღსდგა მკვდრეთით! რაღაც საოცარი შინაგანი მღელვარებით და სიმძაფრით თამაშობდა და როცა გამწარებულმა ბედს შეესჩივლა — ჩემი ცხოვრების გზა გავლილ, დაგავიწყდა, სიკვდილო, ჩემი მისამართიო — სიცრუე იყო! თურმე ტანში ეჯდა სიკვდილი!.. დამთავრდა წარმოდგენა და მოცელილივით დაეცა... სამ დღეს ებრძოდა სიკვდილს, ბოლოს მაინც სძლია სიკვდილმა... სოფლის სასაფლაოზე ამაღლებული ადგილი შეურჩიეს თანასოფლელებმა და მოკრძალებით მიაბარეს მიწას...

... და ყოველდღე, საღამოს მწუხრში, მის საფლავთან დგას ანა და მდუმარე საფლავს ჩასჩურჩულებს:

(ნათდება. სასაფლაო. ყვავილებით შემკულ საფლავთან დგას ანა)

წუთია წუთისოფელი, წუთის წებოთი იწვება,
ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგიც უცეცხლოდ იწვება.
შენ დაიფერფლე... და ცხოვრების ხორკლიან გზაზე
მარტოდ დამტოვე!.. ჩემთვის მკვდარი მაინც არა ხარ, —
აქ, ჩემთან დარჩა შენი გული... შენი ხმა მესმის —
იმედიანი, ალალმართალი, ომახიანი.
და ვიელი ქვეყნად შენი ხსოვნის ნათელ დარაჯად!

ფარდა

მარიკა ბარათაშვილი

•

ფრიფინა

(მარინე)

კომედია 4 მოქმედებად
9 სურათად

∴

მოქმედნი პირნი *

მ ა რ ი ნ ე ფ ე რ ა ძ ე — მეტსახელად „ჭრიჭინა", 18 წლისა.
ნ ი კ ი ფ ო რ ე ფ ე რ ა ძ ე — ჭრიჭინას მამა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 45 წლისა.
ე ფ რ ო ს ი ნ ე — ნიკიფორეს დედა, 70 წლისა.
ე ლ პ ი ტ ე — ეფროსინეს ბიძაშვილი, 80 წლისა.
მ ა რ ი ნ ე ფ ე რ ა ძ ე — ბრიგადირი, 22 წლისა.
გ ი ო რ გ ი ჭ ე ლ ი ძ ე — მშენებლობის ბრიგადირი და კოლმეურნეობის პარტორგი, 28 წლისა.
კ ო ხ ტ ა — შოფერი, 27 წლისა.
მ ა ყ ვ ა ლ ა — მერგოლური, 23 წლისა.
ბ ი ჭ ი კ ო — ელექტრომონტიორი, 40 წლისა.
ც ქ რ ი ა ლ ა — ბიჭიკოს ცოლი, კოლმეურნე, 30 წლისა.
ი რ ა კ ლ ი ნ ა მ ო რ ა ძ ე — პროფესორი — ქირურგი, 45 წლისა.
ე ლ ე ნ ე — ირაკლის ცოლი, 44 წლისა.
თ ი ნ ა — მათი ქალიშვილი, ექიმი, 23 წლისა.
ს ა ნ დ რ ო — თინას ამხანაგი, 28 წლისა.
შ ო თ ა — აგრონომი, 26 წლისა.

ეპიზოდურ როლებში:
ფოსტალიონი, მიხეილი, ციცინო, თინას ამხანაგები და კოლმეურნეები.
მოქმედება წარმოებს სოფელ ბოლოეთში და ქ. თბილისში
1949 — 1950 წლებში

---

* პიესის სამოლოო ვარიანტზე მუშაობისას ნაწილობრივ გამოყენებულია სკენიური რედაქცია, გაკეთებული გ. შტაინთან ერთად პიესის რუსულ ენაზე თარგმნის დროს.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

სოფელი ბეოლეთი. კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ნიკიფორე ფერაძის კარ-მიდამო. ეზოში აივნიანი სახლი. სახლის წინ ყვავილნარი, ტალავერი, ხეხილი. აივანზე ტახტი დგას. ტახტთან, კედელზე, გიტარაა, ტახტის წინ მაგიდა. კუთხეში პატარა მაგიდა პატეფონით, ფანჯრის რაფაზე ტელეფონის აპარატი. ღობის იქით სოფლის ქუჩაა. მოშორებით ისმის მშენებლობის ხმაური — ხერხვის ხმა, შეძახილები: „ე, ბიჭო, აქეთ, აქეთ", „აგრე, ჰო!" და სხვ. შორიდან ოდნავ ისმის „მუშური".

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ეზოს სიღრმეში, თუთის ხის ტოტზე ჩამომჯდარი მღერის)

ბეღურები ფიფიან,
დამშეიკეია მერცხალმა...
სად ფრინველთა ლხინია,
იქ მომლხენი მეცა ვარ!
ლერწმის ღერი ვარ!

ჩამომძახის გუგული,
ლხენით კენესის ბულბული...
სად სიმღერა მეგულის,
იქ იმღერის ეს გულიც!
ბედნიერი ვარ!

(ცოტაკარში შემოდის სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ეფროსინე. ხელში კალთა და სეკატორი უჭირავს. ეტყობა გახარებულია)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (აივანზე ადის, ოთახში შეიხედავს, ეზოს მოაკლებს თვალს) სად უნდა იყოს? (ჭრიჭინამ ბებია დაინახა, მიიმალა) ჭრიჭინა, გო-

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხელს უშვებს) სასიხარულოო? (ტრიალებს) რა მიხარია, რა მიხარია!!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — არ უნდა იცოდე, მაინც, რა გიხარია? (მიწიდან ფოთოლს კრეფს, კალთაში იგროვებს)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რად არ მეუბნები?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მამაშენმა თბილისიდან ამბავი ჩამოიტანა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჩამოვიდა, თუ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ჰო. მარინესათვის შრომის გმირის წოდება მიუციათ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჩვენი მარინესათვის?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აბა, ვის მისცემდნენ? ოქროს ხელი აქვს, ოქროსი. (ხმები შორიდან: მიტინგზე, ხალხო, მიტინგზე!)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ე, მთელი სოფელი ფეხზეა! კლუბში მიტინგი იქნებაო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რა მიხარია, რა მიხარია! (ვარდებს დაკრეფს, ჭიშკრისკენ გარბის)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — სად გარბიხარ, გოგო?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მარინესთან და იქიდან კლუბში.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ეს ფოთოლი წაგემძღვარებინა თან, ცქრიალასთან შეგერბინა, დაგეტოვებია. მაღლია, ჭიას დააპურებდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მერე, ბებია, მერე, (ჭიშკრიდან. ბებიას ჰაეროვან კოცნას უგზავნის და სიმღერით მიიმალება)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ვაი, შენ შემოგევლოს ბებიაშენი! (აივანზე სუფრას აწყობს. ჭიშკარში ნ ი კ ი ფ ო რ ე შემოდის).

ნ ი კ ი ფ ო რ ე — გამარჯობა, დედაჩემო! საით მიიმღეროდა ის შენი ნებიერი?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მარინესთან.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — გასაოცარია, პირი არ ეღლება?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — იმღეროს, შე კაცო, ვის რას უშავებს?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — სწორედ უშავებს. სხვებსაც, თავის თავსაც და, თუ სიმართლე გინდა, მე და შენც. 18 წლის გოგოა, არც უტვინოა, არც ხეიბარი, ტოლებში ალმასივით უნდა ერჩეოდეს...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — არ ერჩევა, თუ?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ლამაზი სახით და ცეკვა-სიმღერით? ან ისეთი ხმა მაინც ჰქონდეს.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — როგორ, ცუდი ხმა აქვს? ეგერ, ნიმფამ...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ნიმფა ვინღაა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — საბავშვო ბაღში რომ უკრავს პიანინოზე. ჭრიჭინას

გო, ჭრიჭინა! (ხის ტოტებში მიმალული ჭრიჭინა ფრინველებს ბაძავს, — უსტვენს, ჭიკჭიკებს)

სადა ხარ-მეთქი, გოგო! (ეზოში დაეძებს) ხმა გამეცი, რაღა დროს ჩემი კუკუ-მალულობიის თამაშია? ჭრიჭინა!!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აქა ვარ, ბებია, აქ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ვაი, შენ დაგენაცვლოს ბებიაშენი! სად „აქ", შენ შემოგეევლე? (თუთის ხისკენ წაფრატუნდა) უი, ღმერთო მომკალი და ესაა! თხებს დაუტოვე წასაკითხავად, გოგო, ეს წიგნი? (წიგნს აიღებს. თუთის ხიდან პატარა შტო ჩამოვარდება, ეფროსინეს ფეხთით დაეცემა) შეთვალდა თუთა, თუ? დედა, დედა, რამდენი ფოთოლი ჩამოგიყრია ძირს, — ერთ ჩელტ აბრეშუმის ჭიას ეყოფოდა ჯერზე!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ფოთოლი გენანება, ბებია? ის კი არა, აგრონომი რომ ვიქნები, ისეთი შტო უნდა დავამყნო ამ ხეს, რომ ფოთლის მაგივრადაც თუთას ისხამდეს. ო, ხო, ხო, ხო, რა ბაღებს გავაშენებ, რა ვენახებს!!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ნეტავი იმ დღეს მომასწრო, აგრონომი დაგოგავდე ამ ეზო-გარემოში, ნასწავლი, სახელოვანი ქალი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაინცდამაინც აგრონომი გინდა გამოვიდე? სამასწავლებლო ინსტიტუტში რომ შევიდე?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — იფ! ყველასგან დაფასებული ქალი იქნები, მასწავლებელი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მასწავლებელი რომ მკაცრი უნდა იყოს? — არა, მე მასწავლებლად არ ვივარგებ. მოდი, საექიმოზე შევალ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ეგ სულ უკეთესი! ერთს მოარჩენ — ათასი დაგლოცავს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ყველა რომ ვერ მოვარჩინო? აჰ, აჰ! ისევ აგრონომობა ჯობს.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ხეზე სად გაგონილა, გოგო, ამისთანა საქმის გადაწყვეტა! ან რაღა დროს შენი ხეებზე პოტიალია?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რაზე მეძახდი?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უიმე, სულ არ გადამვარდა გულიდან?! სასიხარულო ამბავია, სასიხარულო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — სასიხარულო? (ელვის სისწრაფით დაეშვება ხიდან)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უი, უი, არ დამღუპო, კიბეს მოგიტან!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხიდან ისკუპებს, ეფროსინესთან დახტება, ხელს დაავლებს, დაატრიალებს)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უი, უი, უი!

უთხრა, შენი ხმაო მაგონებსო... დასწყეველა ღმერთმა, რამ დამავიწყა იმ ფრინველის სახელი! ჰო... ჰო, ციცარი!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — კარგი ხმა ჰქონია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (გაჯავრებით) მომღერლის სახელი ჩამოჰგავს, ბიჭო, ციცარს... ჰო, ციცარონიას ხმას მაგონებსო.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ციცარონია ვინღაა, დედაჩემო! ეს ნიმფაო ეს — ციცარონიაო! რა სახელებია!! გადაირევა სწორედ, კაცი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აქაური კი არაა, — საზღვარგარეთელი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ნიმფა საიდან იცნობს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — გრამაფონში გაუცვნია.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მართლაც გრამაფონში გაიცნობდა. მაშ იმ ნიმფამ გადამირია გოგო?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რა იყო, ბიჭო, მღერის ბავშვი, ხომ არ ტირის!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ბავშვია, დედაჩემო, ჭრიჭინა? ან ის როგორ მოგწონს, რომ შენი წყალობით, სოფელში იმისი მშვენიერი სახელი „მარინე" დაივიწყეს და „ჭრიჭინას" ეძახიან?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — სიყვარულით ეძახიან, — სიძულვილით ხომ არა!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მერე შეშვენის ჩვენს ოჯახს ჭრიჭინა ქალიშვილი?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რას აუხირდი, ბიჭო, მაგ გოგოს? ვინ გვყავს მაგის მეტი? სანთელივით მაგ ერთ ჭრიჭინა-გოგოს შევჩერებივართ, — წამლად დავედე და თავს შემოვევლე! არ გაგიგონია: ერთის შემხედვარი, წყალში ჩამხედვარიო?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — შრომას რომ კაცი მოეკლა, ცოცხალი აღარ იქნებოდი. აგერ, 70 წლის ქალი ხარ და ერთ წუთს არ ისვენებ. არა, ჩემს კოლმეურნეობაში აღამიანი არაა, რომ არ შრომობდეს. ჩემი ღვიძლი შვილი კი სულ მღერის და ცეკვავს, ცეკვავს და მღერის.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — იჰ!!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მაგრამ აქაოდა დედით ობოლიაო, რომ გამინებივრე შვილი, აღარაა იმის საშველი!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რა ბუზანკალმა გიკბინა, ბიჭო, იმ თბილისში, არ მეტყვი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ბუზანკალი კი არა, დანა რომ დამკრა გულზე, წვეთი სისხლი არ გამომდინდება. (ხმას დაუწევს) თითქოს საგანგებოდ, ჩვენი გმირიც მარინეა, ისიც ნიკიფორეს ასული და გვარადაც ფერაძე.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მერე, გწყინს შე კაცო?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — რას ჰქვია „მწყინს"? ქალმა კოლმეურნეობა და გვარი მისახელა. მაგრამ ქალაქში ყველას ეგონა, რომ ჩემმა შვილ-

მა მიიღო ჯილდო. ყველა მილოცავდა და მეც ყველასათვის სათითაოდ უნდა ამეხსნა, რომ ეს შეცდომაა. სირცხვილმა დამწვა, სირცხვილმა! კიდევ კარგი, არ შემკითხვიან, რას აკეთებს შენი შვილიო.

ეფროსინე — ხომ მუშაობს სამკითხველოში.

ნიკიფორე — დანარჩენ დროს? აუღია ხელში ჩონგური და გიტარა და... ეჰ, დედაჩემო, დედაჩემო!

ეფროსინე — შე კაცო, მაგის ხნისას მეც კი მემღერებოდა. აგერ, სწავლასაც ხომ აპირებს.

ნიკიფორე — შარშანაც დააპირა, მაგრამ როგორც წაჭრიჭინდა თბილისში, ისე ჩამოჭრიჭინდა.

ეფროსინე — ყოველთვის ჩაიჭრება გამოცდებზე, თუ? ა, ნახავ, თუ არ მიიღონ ახლა ინსტიტუტში. მე შენ გეტყვი და ნიჭი აკლია!

ნიკიფორე — (მოლბება) არა, ნიჭი კი არ აკლია, მაგრამ...

ეფროსინე — ჰოდა, გული დაიდინჯე. დაჯექი, ლუკმა შეჭამე. (ციქაში ღვინოს დაასხამს) ეს შენი მშვიდობით დაბრუნების იყოს.

ნიკიფორე — შენც გაგიმარჯოს. (სვამს. ჭამს) იფ, ტყუილია, შენ-ნაირად კერძს ვერავინ გააკეთებს. არა, რა იქნებოდა, შენი შვილიშვილიც...

ეფროსინე — (აწყვეტინებს) კარგი, კარგი, ლუკმა შეირგე.

(ეზოში კოხტა შემოდის)

კოხტა — ეფროსინე ბებია, ჭრიჭინა შინაა?

ნიკიფორე — (წამოხტება) არა მყავს მე აქ ჭრიჭინები, გესმის? ჭრიჭინა და კალია მინდორში ეძებე.

კოხტა — (დაბნეულად) მე... თქვენს ქალიშვილს ეკითხულობ.

ნიკიფორე — ჩემს ქალიშვილს სახელი აქვს — ჭრიჭ... ფუჭ, მარინე ჰქვია.

ეფროსინე — კოხტა, თავმჯდომარე ცოტა დაღლილია... მარინეს კი კლუბში იპოვი.

ნიკიფორე — (მოლბება) რა ჰქენი, მანქანა შეაკეთე?

კოხტა — სულ პრიალი გაუდის.

ნიკიფორე — მაშ გაგვიელია მუსრი ქათმებისთვის, ჰა!

კოხტა — ეს სულ მაყვალას მოგონილია. აგერ, სამი დღეა რემონტიდან გამოვიდა და შერცხვენილი კაცი ვიყო, თუ ერთი ქათამი გამეტანოს...

ნიკიფორე — ვითომ?

კოხტა — ამბობენ, მარინემ გმირობა მიიღო. მართალია?

ნიკიფორე — მართალია.

ك ო ხ ტ ა — ამიტომ გჭირდებათ ორკესტრი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ამიტომ. (საათს დახედავს) თხუთმეტ წუთში მზად უნდა იყოთ.

ك ო ხ ტ ა — მედოლე რომ არა გვყავს? ბიჭიკო რაიონშია, კალისტრო...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (აწყვეტინებს) საიდანაც გინდა, მედოლე გააჩინე.

ك ო ხ ტ ა — მეც ამიტომ მოვედი თქვენთან.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — როგორ, მე დავუკრა დოლზე, თუ?

ك ო ხ ტ ა — ჭრიჭინასთვის მინდოდა მეთხოვა.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ისევ ჭრიჭინა! რა იცის იმან დოლზე დაკვრის?

(ციშკართან გამოჩნდება ك ო ლ მ ე უ რ ნ ე ვ ა ჟ ი, სასულე საკრავით ხელში)

ك ო ლ მ ე უ რ ნ ე ვ ა ჟ ი — კოხტა, ჭრიჭინა უკვე დავითანხმეთ, წამოდი.

ك ო ხ ტ ა — მართლა? (გარბის)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — აჰა! რაღა გიჭირს, დედაჩემო! შენი შვილიშვილი ახლა დოლზე დაკვრითაც გაგვახარებს. (აჩქარებით გადის. ეფროსინე ოთახში შედის. ქუჩაში ხმაურით მიდიან ك ო ლ მ ე უ რ ნ ე ვ ბ ი. ხმები: — „ყოჩაღ, ყოჩაღ, ქალო“, „არ გვასაბელა?“ და სხვ. ე ფ რ ო ს ი ნ ე გამოდის საღამოსასწაულოდ გამოწყობილი. ქუჩაში სასულე ორკესტრი გამოჩნდება. ჭ რ ი ჭ ი ნ ა დოლზე უკრავს. ციშკართან შეჩერდება, ეფროსინეს ხელს უქნევს და დაკვრით განაგრძობს გზას)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ე, თუ არ უკრავს! ო, ხო, ხო, რას უკრავს! შენ მოინდომე და რას არ გააკეთებ, რას! შენ შემოგეელოს ბებია-შენი!

მეორე სურათი

იგივე დეკორაცია, რაც პირველ სურათში. მეორე დღის საღამოა. აივანზე მ ა ყ ვ ა ლ ი საკერავ მანქანას აჩხაკუნებს — კაბას ჰკერავს. ე ფ რ ო ს ი ნ ე ჩემოდანში ტანსაცმელს აწყობს. სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, საბრძოლო ნიშნებით მკერდდამშვენებული ك ო ხ ტ ა გიტარაზე უკრავს.

ك ო ხ ტ ა — (სიმღერას თხზავს) გოგო, წითელპერანგაა... (იმეორებს. ეფროსინე ჩემოდანთან შეჩერდება. ეტყობა, იგონებს რა აქვს კიდევ ჩასალაგებელი) გოგო, წითელპერანგაა...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კარგია, დედაშვილობას, პატარა ხანს გაჩუმდი, ჭკუა-გონება დამეფანტა. რა ვიცი, დილას ჩიოდი, ავად ვარო და...

 კ ო ხ ტ ა — სიმღერა ტკივილის წამალია, ეფროსინე ბიცოლა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (ფუსფუსებს) ბებიაშენი როგორაა?

კ ო ხ ტ ა — ქარები აწუხებს. რა არ ვცადეთ, მაგრამ...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — იმღეროს და მოურჩება.

(სიცილი)

მ ა ყ ვ ა ლ ა — თქვენ რომ ეწვალებით, ჭრიჭინა ვერ ჩაალაგებდა თავის ბარგს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ეჰ, შრომა, შვილო, რომ გათხოვდება მაშინაც ეყოფა.

კ ო ხ ტ ა — ამდენ ხანს სადაა, მაინც?

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ირონიით) ძალიან ღელავ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — სამკითხველოში გამოგეცალო, შე კაცო, წამოგეყვანა.

კ ო ხ ტ ა — გამოვუარე, მაგრამ ახლოსაც ვერ მივეკარე. მთელი სოფელი თავზე ეხვია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უყვართ, მისი ჭირიმე, ემშვიდობებიან. (მაყვალას) მოუსწრებ კაბას თუ იცი?

მ ა ყ ვ ა ლ ა — ა, ერთს ჩავამაშინებ და...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — გუშინ საღამოს რომ გადმოსულიყავი, გულდინჯად შეკერავდი.

მ ა ყ ვ ა ლ ა — სანამ ვახშამი გავაკეთე, მივდექ-მოვდექი — შემომაღამდა, ღამე მარტო სიარული კი...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აჰ, აჰ, შაურად არ ღირხართ ახლანდელი ქალები. 17-18 წლის გოგოს კი არა, აგერ 70 წლის ქალი ვარ და მე არ მეშინია ღამე სიარულის.

კ ო ხ ტ ა — (იცინის) 17 წლისაა, მერე, მაყვალა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მეტის იქნება, თუ? ასე მგონია, გუშინწინ მეჯდა კალთაში.

კ ო ხ ტ ა — აბა სულ ჩვილი ყოფილა!

მ ა ყ ვ ა ლ ა — ნუ ხარ, ბიჭო, შენ ჩემი კბილის ჭია!

კ ო ხ ტ ა — (ხმადაბლა) კბილები კი აღარა გაქვს და...

მ ა ყ ვ ა ლ ა — რაიო?

კ ო ხ ტ ა — შენ კბილზე ჩემი მტერი წამოეგო-მეთქი.

მ ა ყ ვ ა ლ ა — აგრეა. მაშ რა გგონია, ტყუილ-უბრალოდ წამოვაკვრევინებ ვინმეს ხელს?

კ ო ხ ტ ა — ჰოდა აბა ვინ გერჩის! ხარ ხელუხლებლად და ეგაა!

მ ა ყ ვ ა ლ ა — რა გინდა, ბიჭო, ჩემგან, რას შემომიჩნდი ამ საღამოს?

კ ო ხ ტ ა — მე შემოგიჩნდი, თუ შენ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აჰ, აჰ, რა ამბავია!

კ ო ხ ტ ა — არაფერი. (ჩაილაპარაკებს) „ძაღლი ჰყეფს, — ქარავანი მიდის“.

მ ა ყ ვ ა ლ ა — რაიო, რაიო?

კ ო ხ ტ ა — (უკრავს) შენ ის გირჩევნია მითხრა, ვინ არის ის კაცი, ტელეგრაფის ბოძივით რომ არჭვია ყოველ დღე შენს ნაკვეთზე?

მ ა ყ ვ ა ლ ა — მეევნახეობის ინსტრუქტორია. მერე შენ რა გესაქმება?

კ ო ხ ტ ა — არაფერი. (პაუზა) დიდი გულადი ბიჭი ყოფილა. შენს ახლომახლო ტრიალში შეიძლება შეუყვარდე კიდეც...

მ ა ყ ვ ა ლ ა — გეხარბება?

კ ო ხ ტ ა — მებრალება. იღუპება კაცი. ისიც პასუხისმგებელი მუშაკი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რა აქვს შესაბრალი? ასეთი ვარსკვლავივით გოგო...

კ ო ხ ტ ა — კუდიანი ვარსკვლავია, კუდიანი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კუდიანი რა სახსენებელია, შე კაცო, ჯვარი აქაურობას!

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ეცინის) არაფერია, ბებია, არაფერი. ვიცი, რამაც გააბწარა ეს საცოდავი. არ ხედავთ, როგორ ჩამოურიჩხინებია მკერდზე ჩინ-მედლები? მაგრამ ორი მაგდენიც რომ მიიბნიოს, მაინც არ დაენანება ჭრიჭინას მაგიაი აქ დატოვება

კ ო ხ ტ ა — ო-ხო-ხო, ამის პატრონს ოჯახში საკეცე არ დაჭირდება, — ენით იღებს ნაკვერჩხალს. ეხით.

მ ა ყ ვ ა ლ ა — შენს ენას უნდა დაედოს ის ნაკვერჩხალი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კარგია, დედამვილობას. თქვენ გაზავოთ, თუ საქმე ვაკეთო? (კოხტას) ამ ჩხუბს ის ჯობს, მომეხმარო, ქვევრიდან ღვინო ამოიღო. ნიკიფორე დამპირდა, მაგრამ დაიკარგა კაცი.

კ ო ხ ტ ა — ახლავე, ბიცოლა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მე ხაჭაპურებს მიეხედავ. (მაყვალას) ნუ დაიზარებ და შენ ლამპა მიუნათე. (გადიან. სცენა ერთ ხანს ცარიელია. შემდეგ ჭიშკარს უახლოდებიან ხელიხელ გადახვეული ჭ რ ი ჭ ი ნ ა და მ ა რ ი ნ ე. მარინე შეჩერდება)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აჰ, უარი არ გამაგონო, თორემ ვიფიქრებ, რომ გადიდკაცდი და ჩემთან აღარ კადრულობ ყოფნას.

მ ა რ ი ნ ე — მატარებელში ერთად არ ვიქნებით?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ოცნებით) ხიდავ რა ღამეა? იქნებ უკანასკნელ საღამოს ვატარებ ამ ეზოში? ხვალიდან თბილისში ვიქნები და დაიწყება ჩემთვის სულ სხვა ცხოვრება.

მ ა რ ი ნ ე — ესე იგი ჭრიჭინას აღარავინ დაგიძახებს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ძია ირაკლის ოჯახში ჭრიჭინას მეძახიან. ინსტიტუტში კი მეც ისე, როგორც შენ, მერქმევა — მარინე ნიკოფორეს ასული ფერაძე.

(ისმის კოხტას სიმღერა)

მ ა რ ი ნ ე — ვინ მღერის?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — კოხტაა, ყოველ საღამოს ასე მყარაულობს.

მ ა რ ი ნ ე — თუ არ გინდა, გყარაულობდეს, გეთქვა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რამდენიც გინდა უთხარი. (ჩაცინებით) არა, რომ ვუყვარდე, კიდევ ჰო!

მ ა რ ი ნ ე — რატომ გგონია, რომ არ უყვარხარ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ვისაც უყვარს, საქვეყნოდ არ ყვირის.

(ისმის ქალის სიცილი)

მ ა რ ი ნ ე — ვილაც იცინის.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაყვალაა. კაბას მიკერავს. ძველით ხომ ვერ წავალ თბილისში.

მ ა რ ი ნ ე — ეჰ, ჭრიჭინა, ჭრიჭინა! ახლაც რომ სეირნობას და მხიარულებას გადაჰყვე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რას ამბობ! ისიც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის. შოთას ეგონა...

მ ა რ ი ნ ე — ვინ შოთას?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ეჰ! გინდა, მოგიყვე, რა მომივიდა შარშან? გამოცდების წინ გავიცანი ერთი სტუდენტი შოთა კევლიშვილი. წელს ამთავრებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. (ამოოხვრით) რომ იცოდე რა ჭკვიანია, რა ლამაზი... ჰოდა, სად არ ვიყავით ერთად: ბაღებში, კინოებში.

მ ა რ ი ნ ე — რაღა ჭკვიანი ყოფილა. თუ გაცდენდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ის რა შუაშია? პირიქით, მთელი საათობით მამეცადინებდა, მაგრამ მე მხოლოდ იმისი ხმა მესმოდა მუსიკასავით... თავში კი არაფერი არ შედიოდა. (ჯიბიდან სურათი ამოიღო, მარინეს გაუწოდა) შენ როგორ ფიქრობ, ტყუილ-უბრალოდ ერთობოდა ჩემთან? მატყუებდა?

მ ა რ ი ნ ე — სახე პატიოსანი აქვს, ჭკვიანური თვალები. ეს სურათი იმან გაჩუქა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ინსტიტუტის კედლის გაზეთიდან ამოვჭერი.

მ ა რ ი ნ ე — არ დაგიჭირეს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — დიდი საქმე! შოთა სხვა სურათს მისცემს.

მ ა რ ი ნ ე — წერილებს არ გწერს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მომწერა, მაგრამ... უკანვე, გაუხსნელად დავუბრუ-

ნე. რა უნდა მეპასუხნა ისეთი სირცხვილის შემდეგ? (ამოოხვრით) ეჰ, ნეტავ რა ეწერა იმ წერილებში.

მ ა რ ი ნ ე — იცი, რად მიდიხარ თბილისში?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (გაოცებით) სწავლის გასაგრძელებლად.

მ ა რ ი ნ ე — გარკვეული გაქვს, რომელ ინსტიტუში გინდა შესვლა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ალბათ აგრონომიულზე. თუ არა და — სადაც მოვხვდები.

მ ა რ ი ნ ე — ესე იგი, შენთვის მთავარია გათხოვდე. ვის წაყვები ცოლად, სულ ერთია, არა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ეგ საიდან მოიტანე?

მ ა რ ი ნ ე — პროფესიასაც ისე სიყვარულით უნდა ამორჩევა, როგორც ქმარს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — იჰ, ნეტავი შენ! ერთი ეს მითხარი, ვარსკვლავს როდის მიიღებ?

მ ა რ ი ნ ე — ალბათ ხვალ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ხო, ხო, ხო, ჩემს მეგობარს, ჩემს მეზობელს, გმირს რომ გავყვები გვერდით, მთელი რუსთაველის გამზირი ჩვენ დაგვრჩება.

მ ა რ ი ნ ე — გამზირზე რა გვინდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აჰ, უარი არ გამაგონო!

მ ა რ ი ნ ე — (ღიმილით) ამაზე მატარებელში ვილაპარაკოთ. ახლა კი გამომიტანე ჩემი ჩანთა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ოთახიდან სასურსათო ჩანთას გამოურბენინებს)

მ ა რ ი ნ ე — ბარგი ხომ ჩალაგებული გაქვს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ბებიაჩემი ჩაალაგებდა.

მ ა რ ი ნ ე — გამოგიელი. (გადის)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მღერის)

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა...
სად იყო და სად არა,
ყვავილების ჭრელაჭრელა
თავზე გადმოგვაყარა.
შენ კი სად ხარ? მსურდა მეთქვა,
რასაც ამბობს გულის ფეთქვა
დაფარულად.
რაც შენ სახელს შორით ვუკლი,
აგერ, ჭრელი გაზაფხული
გაპარულა!!!

(გამოდიან ე ფ რ ო ს ი ნ ე, კ ო ხ ტ ა და მ ა ყ ვ ა ლ ა).

ეფროსინე — უი, მატარებლის გასვლამდე ერთი საათია, ამას კი სიმღერა გაუჩაღებია.

ჭრიჭინა — ერთი საათი? მერე და რას გაჩერებულხართ? ბარგი ჩაალაგე? (აივანზე არბის, ჩემოდანს გახსნის, სინჯავს. ეფროსინე ეხმარება. მაყვალა კაბას აუთოებს)

კოხტა — (გიტარაზე ამღერებს)

გოგო, წითელპერანგა,
შენ რომ წახვალ, მე რა ექნაა...
ოდილავ დაააა.
შენ რომ წახვალ,
მე რა ექნა და...

ჭრიჭინა — (სიცილით) ბიჭო, კოხტა, რა დამდუღრული მღერი?

კოხტა — რომ არ ვკივი, არ გიკვირს?

ჭრიჭინა — აგრე მწარედ ვის შესჩივი?

კოხტა — ეგერ მაყვალას.

მაყვალა — რას ჰგავს, რას!

ჭრიჭინა — (ტახტის ქვეშიდან ფეხსაცმელს გამოათრევს) ბანტი? ცალი ბანტი?

კოხტა — ისიც იქ იქნება. (ტახტის ქვეშ შეძვრება)

ეფროსინე — ღმერთო მომკალი! რა უნდა, გოგო, სტუმარს ტახტქვეშ? ან რა საჭიროა ფეხსაცმელზე ასეთი პოტიკ-პოტიკი?

ჭრიჭინა — მოდაშია, ბებია. (ოთახში შერბის)

კოხტა — (ბანტს გამოიტანს) თქვენ კი არ იცვამდით ბანტიან ფეხსაცმელებს, ეფროსინე ბიცოლა?

ეფროსინე — არა სწორედ! კაპიტონმა რომ ღამნიშნა, ისეთი „პოლსაპოჟკები" მომიტანა, ერთ საათს ვუნდებოდი იმათ შეკვრა-გახსნას. გაჩვენო? (ოთახიდან ძველებურ მაღალყელიან ფეხსაცმელს გამოიტანს) ა? ცუდია?

კოხტა — ლიდებული. გეთხოვებიათ შვილიშვილისათვის.

ეფროსინე — კი დედა, კი შვილო! ვინ მყავს იმის უკეთესი? (ფეხსაცმელს ჩემოდანში დებს. კოხტა და მაყვალა ჩუმად იცინიან. ჭრიჭინა ოთახიდან გამორბის)

მაყვალა — (კაბას გაუსწორებს) აჰა, ჩაიცვი და შენი ქორწილიც მენახოს ამ კაბაში.

ჭრიჭინა — შენ გენაცვალე! (მაყვალას აკოცებს. კაბას ოთახში გაარბენინებს)

კოხტა — შენ ქორწილს როდისღა ვჭამთ, მაყვალა?

მ ა ყ ვ ა ლ ა — მერე შენ რა?!

კ ო ხ ტ ა — არაფერი... მეჩქარებოდა.

მ ა ყ ვ ა ლ ა — რა საჩქაროა?

კ ო ხ ტ ა — მე მეგონა, შენც გეჩქარებოდა, თორემ ისე ქალიც, ღვინის არ იყოს, რაც ხანში შესულია, ისა ჯობს.

მ ა ყ ვ ა ლ ა — შენს თავზე იზრუნე.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ახალ კაბაში გამოწყობილი ოთახიდან გამორბის) მიხდება?

კ ო ხ ტ ა — გიხდება კი არა, გხატავს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ღიღინებს, ტრიალებს) „გულში ჭირიმე, სულში ჭირიმე, შენ გენაცვალეე“... (აივანზე ამოსულ ნ ი კ ი ფ ო რ ე ს დაეჯახება)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ჭრიჭინა, გოგო, სარეკელასავით რომ დაქანაობ იქით-აქეთ, კრიახისა და ხტუნვის მეტი არაფერი უნდა გახსოვდეს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — „გულში ჭირიმე, სულში ჭირიმე“... სწავლა, მამა, სწავლა!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ეჰ, შეაყარე კედელს ცერცეი!! დღეს მთელი ორი საათი გარიგებდი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შენი დარიგება სულ აქაა (შუბლზე მიიდო ხელი) ჩაბეჭდილი. (თითებზე ითვლის) კარგად ვისწავლო, ძია ირაკლის გავუგონო, წერილები გწეროთ, კიდევ... ჰო, მახსოვდეს, რომ ადამიანი შრომით ფასდება და არა მხიარულებით. აჰა, დამმახსოვრებია, თუ არა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ვხედავ, როგორც დაგმახსოვრებია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რას იღუშები?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მე არ ვიღუშები.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — არა, იღუშები, იღუშები. თუ არ გაიღიმებ, არსადაც არ წავალ.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (გაიღიმა) ეჰ, შენთან სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აგრე, შე კაცო, რა ფასი დაადე ამ შენს ღიმილს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — შენ თუ არ გამოესარჩლე, არ შეგიძლია. მორჩით, მორჩით ჩალაგებას; წასელის დროა. (ოთახში შედის)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაყვალა, ერთი ეს ღილი გადამიკერე ცოტა აქეთ. ბებიაჩემო, ნემსი და ძაფი!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (მაყვალას ნემსი და ძაფი მიაწოდა) აჰ, აგრე როგორ შეიძლება. (ძაფის ნაწყვეტს ადებს თავზე ჭრიჭინას)

კ ო ხ ტ ა — ეგ რაღაა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ბედი დაეკერება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ცისკისებს) ის არ ჯობს, თუ დამეკერება? — ეეღარ-სად წავა.

კ ო ხ ტ ა — ეფროსინე ბიცოლა, თუ არ გენანება, ერთი ნაყუეტი ძაფი მაუვალასაც დაადე თავზე. იქნებ ეშველოს რამე.

მ ა ყ ვ ა ლ ა — ამაზე იტყვიან: უკუდო ხარი თავისთვის არ იყო, — სხვებს ბუზებს უგერიებდაო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მაყვალას, ხმადაბლა) ძალიან გიყვარს?

მ ა ყ ვ ა ლ ა — ვინ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (კოხტაზე ანიშნებს) ხომ მიგიხვდი? ხომ?

მ ა ყ ვ ა ლ ა — რას ამბობ! (ცრემლი მოერია) ჯერ მომკალი და...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხელი მოხვია) არა, არა, შენ არ მომიკვდე. (ტუჩზე თითი მიიდო) არავინ გაიგებს. ბებია, ეფროსინე ბებია, რა იქნება, ახლა ერთი პროფესორის ბედი რომ დამეკეროს? პროფესორ სიძეს ჩამოგიყვან თბილისიდან, პროფესორს!

კ ო ხ ტ ა — ჩამოიყვან რა! აქ ნაკლები ბიჭები ვართ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — დედა, დედა, რას მოვესწარი! ჩვენს ქალიშვილობაში ასე ვინ იტლიკინებდა საქმროებზე? კაცთან „კი"-ს და „არა"-ს მეტს ვერაფერს ვიტყოდით და ასე ტუჩდაწკეპული ვილიმებოდით (ნაზად იღიმება)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ცისკისებს, ეფროსინეს ხელს დაავლებს, ტახტისკენ მიჰყავს) ბებია, შენ გენაცვალე, ერთი შენებური, ძველებური სიმღერაც მოიგონე, რა!..

ე ფ რ ო ს ი ნ ე — დამანებე, გოგო, თავი!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შენ შემოგევლე!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უჰ, სულ ჩემი ბრალია ამ გოგოს გასულელება. კოხტა, მოკიდე, დედაშვილობას, ხელი მაგ გიტარას.

კ ო ხ ტ ა — (გიტარას უკრავს. ეფროსინე, ჭრიჭინა, მაყვალა და კოხტა მღერიან)

მეტად მშვენიერი ვარ,
და მით ბედნიერი ვარ,
საღამობით ბულვარში, ვარალალო,
სასეირნოდ დავდივარ.

(შემოდის მარინე ჩემოდნით ხელში)

მ ა რ ი ნ ე — ოჰო, ამას აქ ცეკვა-სიმღერა გაუჩაღებია. ხომ არ გადაგიფიქრებია წამოსვლა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (შეკრთება, ხელს მოხვევს, ტახტისაკენ მოჰყავს) შენ გენაცვალე, მარინე, პატარა მომხიარულებას კიდევ მოვასწრებთ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მოდი, ჩვენო გმირო, ჩვენო თვალის ჩინო; ერთი შენი იადონის ხმაც გაგვაგონე.

მ ა რ ი ნ ე — მე არ ვმღერი, ეფროსინე ბებია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კარგი, ერთი! ქმარ-შვილში რომ ჩავარდები, სიდინჯე მაშინაც გეყოფა.

მ ა რ ი ნ ე — (დარცხვენით) მე... არც გავთხოვდები...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უჰ, დაღუპულა, აბა, ის საცოდავი.

კ ო ხ ტ ა — (სიცილით) ვინ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ვითომ არ იცი! ჩვენი პარტორგი გიორგი. ომიდან, შენი არ იყოს, სახელოვანი და ტანმრთელი დაგვიბრუნდა და აქ გვიკლავს ეს ქალი.

მ ა რ ი ნ ე — რას ბრძანებთ... ბებია...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მერე და რა ბიჭი! თვალადი, ტანადი, ჭკვიანი, იშვიათი ხასიათის, ძვირფასი ოჯახის შვილი...

კ ო ხ ტ ა — ა, ასეთი მაჭანკალი რომ მომცა, გავკეთდებოდი კაცი.

მ ა ყ ვ ა ლ ა — კი, მაგრამ მარინეს თუ არ უყვარს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — იქნებ უყვარს კიდეც, მაგრამ თავის გულში ჩასახედად რომ არ იცლის?! (გადის)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მარინეს მოეხვევა) ხომ არ გწყინს ბებიას ხუმრობა?

მ ა რ ი ნ ე — არა... არაფერია. (გამოდის ნ ი კ ი ფ ო რ ე)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — აბა, მზადა ხართ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მზადა ვარ, მაშ! (უწესრიგოდ ჰყრის ჩემოდანში ნივთებს და კეტავს) უჰ, ჩემი ხელჩანთა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — რაო?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — „რედიკული“.

(ყველანი ეძებენ. გამოდის ე ფ რ ო ს ი ნ ე კალათით და დოქით ხელში)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ირაკლის უთხარი, ეფროსინე ბებიამ შემოგითვალა: „თქვენი გასაბედი კი არაფერია, მაგრამ ხომ გაგიგონია: ირემმა ირემს ბალახი მოუკითხა“... კიდევ ეძებთ რამეს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — უჰ, ჩემოდანში იქნება, ჩემოდანში. (გახსნა, ყველაფერი ამოყარა) აგერ!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ნეტავი თავს არ დაკარგავდე და...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაგის ჯავრი ნუ გაქვს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — სამკითხველოსათვის შესაძენი წიგნების სია და მიმართვა ხომ არ გავიწყდება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აგერ, სხვა საბუთებთან ჩავდე. (ეძებს ყდაში) გასაოცარია! მიმართვის ქაღალდი აგერაა. სია, კი...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ან ხეზე იქნება სადმე, ან ხის ქვეშ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ბებია, პატეფონზე ცისფერი ქაღალდი არ დაგინახავს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ცისფერი? ზოლიანი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჰოო!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ღმერთო კი მომკალი! აგერ ეგდო ძირს და იმით ცეცხლი მოვაკიზინე ბუხარში, ხაჭაპურს რომ ვაცხობდი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ო-ო-ო! დიდებული საქმეა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — უჰ, ეგ როგორ მოგიყიდა, ბებიაჩემო.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ბებია კი არა, შენ ხარ მოსაკლავი. ქარი გიქრის თავში.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კარგი, შე კაცო, რა გაყვირებს. სულ კი არ დამწვარა! (გადის)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — რა გიყო, რომ არ ვიცი!? მთელი ორი საათი გიორგი და მე იმ სიას ვადგენდით...

მ ა რ ი ნ ე — მართლაც ვერაა კარგი საქმე. (შემოდის ე ფ რ ო ს ი ნ ე)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ა, შე კაცო, ხომ გითხარი, კუთხე ჰქონია მომწვარი, პატარათი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — კარგი „პატარაა“.

კ ო ხ ტ ა — (ათვალიერებს) „ტრაქტორისტის ცნობარამდე“ მთელია, შემდეგ კი...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ა, ბატონო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მოიცა, მოიცა!.. (დაძაბულად ფიქრობს) „ტრაქტორისტის ცნობარი“, არა? (უეცრად) კოხტა, კოხტა, წერე, შენ გენაცვალე! (თვალი დახუჭა, კარნახობს) „ტაჯიკელი მეაბრეშუმეების გამოცდილება“ — 5 ცალი, „საკოლმეურნეო მინდვრების მავნებლებთან ბრძოლა“ — 10 ცალი, დაწერე?

კ ო ხ ტ ა — დაეწერე.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მერე: „ვეფხის ტყაოსანი“ — 10 ცალი, „ომი და ზავი“ ტოლსტოის — 10 ცალი, „პედაგოგიური პოემა“ მაკარენკოსი — 5 ცალი, „ორი კაპიტანი“ კავერინის — 10 ცალი, „გვადი ბიგვა“ ქიაჩელის — 5 ცალი.

კ ო ხ ტ ა — აი, მეხსიერება!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — და ასეთი მეხსიერებით შარშან გამოცდებზე ჩაიჭრა!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კარგი, კაცო, ნუ შეიკალი ბავშვი ხელში. არ უნდა გიხაროდეს, რომ ასეთი ნათელი გონების შვილი გყავს? (ტირის) ჩვენ კი, ღმერთმა იცის, სად ვგზავნით მთელი ხუთი წლით.

მ ა ყ ვ ა ლ ა — ომში ხომ არ გზავნით, ბებია, სასწავლებლად მიდის.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კი, მაგრამ არ გავიგონიათ? — ფათერაკს ასი თვალი აქვსო. ცქრიალამ თქვა თბილისში ავტომობილები ბუზებივით ირევიან, ფეხს ვერ აუქცევო... სული თუ ჩამომყვებოდა, ალარ მეგონაო.

(შემოდის გიორგი)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ოო, ვინ მოსულა! (მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს მარინეს) შენც ჩვენ გასაცილებლად მოხვედი, გიორგი?

გ ი ო რ გ ი — რა თქმა უნდა. (მარინეს) ძლივს ვიპოვე დრო.

მ ა რ ი ნ ე — (უხერხულად) ჩვენ ვერ მივაგნებდით სადგურს, თუ? შენ იმდენი საქმე გაქვს... ამ სალამოს ხომ კრებაცაა...

გ ი ო რ გ ი — არა უშავს, მოვასწრებ.

მ ა რ ი ნ ე — აბა, წავიდეთ. (გიორგი ჩემოდანს ართმევს მარინეს) აჰ, აჰ, არაფრის გულისათვის. მე ვერ ვზიდავ თუ? (არ ანებებს. შეცხუნებული გიორგი ხელს ძირს დაუშვებს)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (გიორგის შეხედავს, გადაიკისკისებს და თავის ბარგს აჩეჩებს ხელში) აჰ, მაგაზე არ მოიწყინო, ჩემო გიორგი, ბარგის ზიდვა თუ გინდა, ა, გენაცვალე!

გ ი ო რ გ ი — გოგო, ჭრიჭინი აღარ უნდა გაათავო? დროა, დრო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მხიარულად) აუცილებლად, აუცილებლად.

(ყველანი ჭიშკრისკენ მიდიან)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აბა, კეთილი გზა და მშვიდობით შინ დაბრუნება! წალმა და წალმართიანად გატაროს დედაშვილობის გამჩენმა. (ჭრიჭინას სამჯერ შემოაბრუნებს, დაკოცნის. ლაპარაკით მიჰყვება ჭიშკრამდე) ირაკლის და მის ცოლს უთხარი: ნუ ჩამატანთ თქვენი ნახვის ნატვრას სამარეში, ერთხელ მაინც შემავლებინეთ თქვენზე კიდევ თვალი-თქო და კიდევ უთხარი...

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მესამე სურათი

თბილისი. პროფესორ ირაკლი ნამორაძის ბინა. გემოვნებით მორთული ოთახი. ოთახს სამი კარი აქვს: ტალანისაკენ, გვერდით ოთახისაკენ და აივნისაკენ. ელენე და თინა მიდი-მოდიან, ფუსფუსებენ. ირაკლი გაზეთს კითხულობს.

ირაკლი — არა, მაინც გასაოცარია, რა იქნა ამდენ ხანს ჭრიჭინა? წამოსვლა თუ გადაიფიქრა....

ელენე — იმისგან კი არ გამიკვირდება, მაგრამ დეპეშას ნიკიფორე აწერს ხელს.

ირაკლი — ცნობათა ბიუროში დაგვერეკა, გაგვეგო.

ელენე — დავრეკე. ყველა მატარებელი იქიდან მხოლოდ დილითაა.

ირაკლი — (საათს დახედავს) ახლა სამია.

თინა — დილით გამოცდიდან პირდაპირ სადგურზე გავიქეცი, მაგრამ დავაგვიანე და ისე შეეწუხდი...

ელენე — არაფერია, რომ ჩამოსულიყო, მარტოკა მოვიდოდა. საინტერესოა, რისთვის მოდის?

თინა — ალბათ გამოცდების ჩასაბარებლად. შარშან...

ირაკლი — (აწყვეტინებს) მე რომ შარშან იმისთვის მომეცადა, არც ჩაიჭრებოდა. ვამეცადინებდი, გარეთ ფეხს არ გავადგმევინებდი.

ელენე — აღზრდის სისტემა არა აქვს, სისტემა. დედა არ ჰყავს, მამას მისთვის არ სცალია.

ირაკლი — არა, მაგით ვერ იმართლებს თავს ნიკიფორე. მაშ ვისაც რაიონის მოვლა აკისრია? რესპუბლიკის? — შვილები აღარ გაიჩინოს? (უეცრად) უჰ, მაგაზე მომაგონდა. ჭავჭანიძეს დეპეშა უნდა გავუგზავნო.

ელენე — რაშია საქმე?

ირაკლი — (სიცილით) ოჯახის წევრი შემატებია.

ელენე — მახსოვს, შარშან მეხუთე შვილი მივულოცეთ.

თ ი ნ ა — (იცინის) მამიკო, რა ეშველება ტელეგრაფს, შენ რომ არ ჰყავდე? რაც შენ დეპეშების გზავნა გიყვარს!

ი რ ა კ ლ ი — კი არ მიყვარს, — უბრალო ადამიანურ მოვალეობად მიმაჩნია. (პაუზა) ჰო! ნიკიფორეს თუ ერთი შვილისთვის ვერ მოუვლია, რა ჰქნას ჭავჭანიძემ? ინსტიტუტი აბარია. ისე გამოდის, ექვსივე შვილი ალალბედზე უნდა გაუშვას, არა? (პაუზა) თინიკო, რა დროს მოვლენ ჩვენი მომავალი ექიმები?

თ ი ნ ა — ასე, ექვსი საათისათვის. საღამოს კი შეიძლება სადმე გავიაროთ.

ი რ ა კ ლ ი — დღეს ბოლო საგანი ჩაბარეთ, არა? (თინა უდასტურებს)

ი რ ა კ ლ ი — რა მიიღე?

თ ი ნ ა — ხუთი.

ი რ ა კ ლ ი — დამსახურებული დროს ტარებაა. ისიც კარგია, რომ სადილად იქნებიან. ხვალ სამეცნიერო საბჭოზე ჩემი მოხსენებაა და ამაღამ კიდევ უნდა გადავხედო. (ელენეს) ხომ ყველაფერი მზადა გაქვთ?

ე ლ ე ნ ე — ყველაფერი. საუზმისთვის თუ ვიყიდით რამეს კიდევ, თორემ...

ი რ ა კ ლ ი — მე ხუთი საათისათვის ინსტიტუტში უნდა ვიყო — ოთხიოდე სტუდენტი მყავს გამოსაცდელი. საავადმყოფოშიც შევივლი, დღევანდელ ნაოპერაციებს დავხედავ. სადილად ნუ მელოდებით. (გაზეთის კითხვას მიუბრუნდება).

ე ლ ე ნ ე — (ხმადაბლა, თინას) რამდენი იქნებით? (თინა უხმოდ ითელის თითებზე)

ი რ ა კ ლ ი — (წამოიყვირებს) რაიო? ელენე, თინა!

ე ლ ე ნ ე — რა ამბავია?

თ ი ნ ა — რა მოხდა?

ი რ ა კ ლ ი — (გაზეთს აფრიალებს) ახლა კი მესმის, რატომ უნდა ჩამოსულიყო ჭრიჭინა.

თ ი ნ ა — (სიცილით) როგორ, გაზეთში წერია ჭრიჭინას წასვლა-წამოსვლის ამბები?

ი რ ა კ ლ ი — სწორედ რომ წერია! (ზეიმით კითხულობს) „სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება: მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება ახალშენის რაიონის სოფელ ბჟოლეთის კოლმეურნეობა „ნათელი გზის“ მერგოლურს მარინე ნიკიფორეს ასულ ფერაძეს 3 ჰექტარი ვენახიდან თითოეულზე ას ოცი ცენტნერი ყურძნის მოსავლის მიღებისათვის“. ესეც თქვენი ჭრიჭინა!

ე ლ ე ნ ე — უცნაური მეტამორფოზა! ქალიშვილი, რომელსაც მეტსახელად „ჭრიჭინა“ შეარქვეს...

თ ი ნ ა — (სიცილით) სიმღერაც კი გამოუთქვეს. გახსოვთ? თვითონვე მღეროდა. (ჩაიმღერა)

ჩვენ გვყავს ერთი ჭრიჭინა,
თავი გამოიჩინა —
რით?
დღე და ღამე ხტის,
არ აჩერებს პირს...
ჭრიჭი, ჭრიჭი, ჭრიჭინა.

ი რ ა კ ლ ი — და ახლა კოლმეურნეობის მერგოლური, შრომის გმირი, სახელოვანი ქალი! კეთილი და პატიოსანი! (ხელებს იფშვნეტს) კეთილი და პატიოსანი!

თ ი ნ ა — თუ შეცდომა არაა, მართლაც სიზმარს უფრო ჰგავს ეს ამბავი.

ი რ ა კ ლ ი — უმაღლესი საბჭოს დადგენილებებში შეცდომები არ არის ხოლმე.

ე ლ ე ნ ე — (დაფიქრებით) არა, დღეს ისე იცვლება ჩვენში ადამიანის ფსიქიკა, მისი დამოკიდებულება შრომისადმი, რომ გასაოცარი აღარაფერია! მეც, ჩემი სკოლაში მუშაობის პრაქტიკიდან, არა ერთი საოცარი შემთხვევა მაგონდება.

ი რ ა კ ლ ი — მე არ ვიცი რა გაგონდება, მაგრამ მაგ გოგონაში კი იყო რაღაც ისეთი, ისეთი, რაც კაცს აფიქრებინებდა...

ე ლ ე ნ ე — შენ წარმოიდგინე, მეც მიფიქრია...

თ ი ნ ა — (ცისკისებს) უჰ, უჰ, არ შემიძლია! ადამიანმა თუ ერთი აიწია, მის ირგვლივ მყოფები დაიწყებენ მტკიცებას, რომ...

ი რ ა კ ლ ი — (წყენით) ფაქტი ფაქტია!

თ ი ნ ა — მამა, განა მე არ მიხარია?

ე ლ ე ნ ე — ერთი კი ცხადია: მის ასეთ გარდაქმნას უეჭველად რაღაც ღრმა, ფსიქოლოგიური პროცესი უსწრებდა წინ. საინტერესოა, რა მოხდა, რა განიცადა?

ი რ ა კ ლ ი — არა, წარმოგიდგენიათ, რა გახარებულები იქნებიან ეფროსინე და ნიკიფორე? ახლავე დეპეშა უნდა გავუგზავნოთ. (წერს) „გულით გილოცავ ძვირფასი მარინეს წარმატებას. ელენე, ირაკლი, თინა ნამორაძეები“. როგორ მოგწონთ?

თ ი ნ ა — ჩაუმატე „გკოცნით მრავალს“.

ი რ ა კ ლ ი — (წერს) ჩავუმატე.

თ ი ნ ა — (სიცილით) ნეტავი შორიდან მაინც დამანახა, როგორ იქცევა ახლა ჭრიჭინა, როგორ უჭირავს თავი?

ი რ ა კ ლ ი — ალბათ მთელი რაიონი ხელის გულზე ატარებს. შეიძლება გუშინ საღამოს საზეიმო შეხვედრაც მოუწყვეს და ვეღარ მოასწრო წამოსვლა? (წამოდგა) წავალ, დეპეშებს გავგზავნი. (ელენეს) თუ გინდა წამოდი. აქეთობას საუზმისთვისაც ვიყიდოთ რამე. (გადიან)

თ ი ნ ა — ჭრიჭინა — გმირი!! ჰა? (იცინის). როიალზე უკრავს, ამღერებს)

ჩვენ გვყავს ერთი ჭრიჭინა,
თავი გამოიჩინა —
რით?
დღე და ღამე ხტის...

(ზარი. ტალანში გადის და იქიდან ჭ რ ი ჭ ი ნ ა ს თ ა ნ და შ ო თ ა ს თ ა ნ ერთად ბრუნდება) მარინე, შენ გენაცვალე! მობრძანდით, მობრძანდით.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შოთა ვერ იცანი?

თ ი ნ ა — როგორ არა! მაპატიეთ, შოთა, სიხარულით ისე დავიბენი... (შოთას ხელს ართმევს. ჭრიჭინას) შენი ბარგი სადღაა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შესანახ კამერაში. დილას ჩემ ამხანაგთან ერთად სადგურიდან პირდაპირ უმაღლეს საბჭოში წავედი და...

თ ი ნ ა — ხომ ჩვენთან გაჩერდები?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რა თქმა უნდა.

შ ო თ ა — ქვითარი მომეცი. გამოცდას მოვრჩები თუ არა, სადგურში წავალ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ბარგის ნაწილი ჩემი ამხანაგისაა.

თ ი ნ ა — ოოო, ძალიან კარგი! იმ შენ ამხანაგსაც აქ მოვიტყუებთ. თქვენც ძალიან გთხოვთ, შოთა, დღეს სადილად ჩემთან ამხანაგები შეიკრიბებიან და რამდენიმე საათი ერთად გავატაროთ. (ჭრიჭინას) წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხმადაბლა) ნუ მაწითლებ, თინიკო. (ხმამაღლა) დედა, მამა სად არიან?

თ ი ნ ა — ახლავე მოვლენ.

შ ო თ ა — მაშ, მე...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — იცი, რა? მოდი, ინსტიტუტის ბაღში შევხვდეთ ერთმანეთს. ბიბლიოთეკაში წამომყევი, იქ პატარა საქმე მაქვს და იქიდან წავიდეთ ბარგის გამოსატანად.

შ ო თ ა — კარგი, მაშ ერთ საათში მოდი. (გადის. ჭრიჭინამ ოცნებით გააყოლა თვალი).

თ ი ნ ა — (თითი დაუქნია) არა, ერთი ეს მითხარი, ასე ჩამოსვლისთანავე სად მონახე შოთა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — წარმოგიდგენია, იქვე, უმაღლესი საბჭოს შენობასთან შემხვდა.

თ ი ნ ა — (მრავალმნიშვნელოვნად) ასე რომ თბილისში შენ ორმაგი ჯილდო გელოდა? მართლაც მოსალოცი გაქვს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მოეხვევა) თინიკო!! (ოცნებით) იცი? შოთამ მითხრა, რომ ჩვენ დღეიდან სულ ერთად ვიქნებით, სულ ერთად!!

თ ი ნ ა — მაშ ჩვენი დღევანდელი ზეიმის დედოფალი შენა ხარ. მართლაც გმირი ხარ, ყოველმხრივ გმირი. ახლა ნახე, რომ დაიწყება მოლოცვები...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აჰ, აჰ, არავითარი მოლოცვები! მე ჯერ თვითონაც ვერ გამოვრკვეულვარ, ისე ვარ გაბრუებული, თავი სიზმარში მგონია. თან... ცოტა არ იყოს, ამ საქმეში ცრუმორწმუნეც ვარ... და ძალიან გთხოვ, დღეს ნურავითარი მოლოცვა ნუ იქნება.

თ ი ნ ა — (გაოცებით) რა არის აქ დასამალი? მე ისიც მიკვირს, მამაშენმა რომ არ გვითხრა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მამა მომიკვდეს, თუ მან იცოდეს რამე. ერთი სიტყვით, ძალიან გთხოვ, თინიკო, ძია ირაკლი მაინც ნუ დამიწყებს მოლოცვას. ხომ იცი იმისი ხუმრობის ამბავი და არ მინდა წარამარა ვწითლდებოდე თქვენ სტუმრებთან.

თ ი ნ ა — (დაბნეულად) კარგი, კარგი, ჩემო ჭრიჭ... ოჰ, მარინე, მაპატიე, ძველი ჩვეით წამომცდება ხოლმე.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რამდენიც გინდა დამიძახე. მე სულაც არ მწყინს.

თ ი ნ ა — რას ამბობ! მაშინ სხვა იყო! ნუ გეწყინება და, მართლაც ჭრიჭინა იყავი და ახლა კი...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (სიცილით) აღარ შემფერის, არა?

თ ი ნ ა — რა თქმა უნდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჰო, მართლა! შენ სად აპირებ მუშაობას?

თ ი ნ ა — რაიონში.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — იცი რა? მოდი, ითხოვე ჩვენს სოფელში გაგაწესონ. ისეთი საავადმყოფო შენდება, რომ... ჩემს ოთახში იცხოვრებ. მამამაც ასე შემოგითვალა. იცი რა კარგი ეზო გვაქვს? ხეხილი, ყვავილები, ვარდები, რა გინდა სულო და გულო! პაციენტიც კი გელოდება.

თ ი ნ ა — პაციენტიც?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჰო. ელპიტე ბებია. საწყალი, ცალი თვალით ველარ ხედავს.

თ ი ნ ა — რა დაავადება აქვს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაგისი რა მოგახსენო!

თ ი ნ ა — ოჰ! მე საუბარი გაგიბი და :სულ დამავიწყდა, რომ ნამგზავრი ხარ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მე არაფერი არ მინდა. მხოლოდ ხელ-პირს კი დავიბან.

(გადის)

თ ი ნ ა — (ტალანში გადის, ტელეფონში ხმადაბლა ლაპარაკობს) ნანა ხარ? სიხარული აღარ მეტევა გულში — იმიტომ დაგირეკე. გახსოვს, შარშან რომ იყო ჩვენთან სტუმრად ჩვენი ნათესავი ქალიშვილი?! ჰოო!! უკაცრავად! ახლა ის ჭრიჭინა კი არა, გმირია, სოციალისტური შრომის გმირი! მამას ეფიცავარ, დღევანდელი გაზეთი გაშალე და ნახავ, მარინე ნიკიფორეს ასული ფერაძე. ჰოდა დღეს ჩამოვიდა. უმაღლეს საბჭოშია გამოძახებული. რა თქმა უნდა, ჩვენთანაა. რომ გაჩვენა, გაოცდები, ისე უჭირავს თავი. ჰო, ჰო, არ დაიგვიანო.

(შემოდიან ე ლ ე ნ ე და ი რ ა კ ლ ი შეხვეულებით ხელში)

ი რ ა კ ლ ი — აჰა, (შეხვეულები თინას გადასცა) დეპეშებიც გავგზავნეთ.

თ ი ნ ა — იუბილარი კი აქ გვეწვია.

ე ლ ე ნ ე — ჭრიჭინა?

ი რ ა კ ლ ი — რას ამბობ, როდის?

თ ი ნ ა — ამ დილით ჩამოსულა, მაგრამ სადგურიდან პირდაპირ უმაღლეს საბჭოში წასულა.

ი რ ა კ ლ ი — ყოჩაღ, გოგო! ახლა სადაა?

თ ი ნ ა — (ხმადაბლა) ემზადება. საქმროსთან შეხვედრა აქვს დანიშნული.

ე ლ ე ნ ე — საქმროსთან?

თ ი ნ ა — ჰო, შოთასთან. გახსოვთ? შარშან აკითხავდა ხოლმე.

ე ლ ე ნ ე — ეს — მეორე ახალი ამბავი...

ი რ ა კ ლ ი — მახსოვს, როგორ არა. კარგი ყმაწვილია, დინჯი, წესიერი.

თ ი ნ ა — დღეს გადაუწყვეტიათ.

ე ლ ე ნ ე — რა დროს თითის სიგრძე გოგოს გათხოვებაა?

ი რ ა კ ლ ი — ეს „თითის სიგრძე“ გოგო უკვე გმირია და იმდენი ჭკუაც აქვს, რომ გაარჩიოს, რა არის მისთვის ცუდი და რა — კარგი. (იცინის) ჰა, ჰა, ჰა!! რამდენი რამ მივულოცოთ იმ გოგოს, რომ აღარც ვიცი?! (ელენეს ხელს დაავლებს, ოთახისაკენ მიჰყავს)

თ ი ნ ა — (წინ გადაუდგება) აჰ, აჰ! არავითარი მილოცვა! არ ვიცი რატომ, მაგრამ დაჟინებით მთხოვა, დღეს არავითარი მილოცვა არ იყოსო.

ი რ ა კ ლ ი — საოცარია! ხომ ნამდვილად...

თ ი ნ ა — რა თქმა უნდა.

ე ლ ე ნ ე — ქალი უკვე უმაღლეს საბჭოშიც ყოფილა და...

(გამოდის ჭ რ ი ჭ ი ნ ა)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ოჰ, დეიდა ელენე, ძია ირაკლი! (ეხვევა)

ე ლ ე ნ ე — გამარჯობა, ჩვენო ჭკვიანო გოგო.

ი რ ა კ ლ ი — ო-ო-ო, ჩვენო ჭრიჭი... მარინე, რა გაგვახარე, რა გაგვახარე! აი, შე ეშმაკო, შენა! არა, ასე ჩუმად, ასე მოულოდნელად ასეთი საქმეების გაჩარხვა...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — თინა, მე ხომ გთხოვე...

ი რ ა კ ლ ი — ვიცი, ვიცი! ამიტომაც ახლა თავს ვიკავებ მოლოცვისაგან. დაე, აგრე იყოს! შენი საქმის შესახებ როცა გინდა, მაშინ მოგვიყვები. ერთს კი მაინც გეტყვი: ყოჩაღ, ყოჩაღ, გოგო! (ჭრიჭინა დაიმორცხვებს) ო-ო-ო! კარგია, კარგი! სისადავე, თავმდაბლობა, მოკრძალება ადამიანის უძვირფასესი სამკაულებია. კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი! (ფაერდით მოისვამს) ახლა ეს მითხარი, ბებიაშენი როგორაა?

ე ლ ე ნ ე — რაღა კითხვა უნდა! ალბათ ერთი ოცი წლით მაინც გაახალგაზრდავდება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ერთი ვაგონი მოკითხვა გამომატანა. გთხოვათ, ნუ ჩამატანთ თქვენი ნახვის ნატვრას საფლავშიო.

ი რ ა კ ლ ი — დამნაშავე ვარ, მაგრამ რა ვქნა, ვერა და ვერ მოვიცალე. აი, შენ ქორწილში კი...

თ ი ნ ა — მარინე, შენ არ იგვიანებ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — დიაღ... მე ბოდიშს მოვიხდი. პატარა საქმე მაქვს.

ე ლ ე ნ ე — წადი, გენაცვალე, წადი. შენს საქმეებს მიხედე.

თ ი ნ ა — არ დაიგვიანოთ.

(ჭრიჭინა გადის)

ი რ ა კ ლ ი — არა, მაინც რა არის აქ დასამალი?

ე ლ ე ნ ე — სიხარულით დაბნეულია ბავშვი, არ ხედავ?

თ ი ნ ა — ჰო! (ტელეფონისკენ მიდის. ნომერს კრეფს) „ისე ვარ გაბრუებული, თავი სიზმარში მგონიაო. ჯერ მეც ვერ გამოვრკვეულვარო“ (ტელეფონში) თუ შეიძლება, თქვენს მეზობელს, სანდროს სთხოვეთ.

ი რ ა კ ლ ი — ვინ სანდროს ეძახი?

თ ი ნ ა — (ხმადაბლა) გუდაძეს.

ი რ ა კ ლ ი — პატიჟობ, თუ?

თ ი ნ ა — უკვე დაეპატიჟე.

ი რ ა კ ლ ი — არ მესმის, რა გაქვს მასთან საერთო?

თ ი ნ ა — რატომ! სკოლაში ერთად ვსწავლობდით, პირველ კურსზეც.

ი რ ა კ ლ ი — საიდანაც გამოაგდეს...

თ ი ნ ა — ყაჩაღობისთვის ხომ არ გამორიცხეს? დარჩა საგნები ჩაუბარებელი და... ისე, რა ვიცი, ყველა „კარგ ბიჭს" ეძახის. ადამიანისთვის ცეცხლში ჩადგება. მხიარულია, სიტყვამოსწრებული, შესანიშნავი თამადა.

ი რ ა კ ლ ი — ოო, შესანიშნავი დახასიათებაა თანამედროვე ახალგაზრდისათვის! უქნარა მოუსვი გვერდით შრომის გმირს.

თ ი ნ ა — მამიკო, რატომ გავიწყდება, რომ ამ შრომის გმირს წინათ ჭრიჭინას ეძახდნენ?

ი რ ა კ ლ ი — ის მართლაც ჭრიჭინა იყო. ეგ შენი სანდრო კი კალიაა და მე მიკვირს, რა უნდა ჩემს ოჯახში კალიებს!!!

თ ი ნ ა — (აწყვეტინებს) სსს! (ტელეფონში) სანდრო ხარ? რომ იცოდე, ვინ გვეწვია! — ჩემი დობილი, სოციალისტური შრომის გმირი. რა თქმა უნდა, იქნება. ფოტოაპარატი? უეჭველად წამოიღე.

მეორე სურათი

ინსტიტუტის ბაღის ერთი კუთხე. ჯგუფ-ჯგუფად დგანან და სხედან სტუდენტები — შეადინეობენ. ერთ-ერთ სკამზე ჭ რ ი ჭ ი ნ ა ზის. ხელში გაშლილი წიგნი უჭირავს. მოეთმენლობა ეტყობა — აქეთ-იქით იყურება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხელჩანთიდან სარკეს ამოიღებს, თმას ისწორებს. თავის თავს ულიმის) ბებიას და მამას ჰგონიათ, რომ მე უკვე წიგნს მოვკიდე ხელი. (წიგნს დახედავს) არა, წიგნი კი მიჭირავს ხელში, მაგრამ რა სწავლა, რის სწავლა? ქალი ვთხოვდები და ესაა!! მაინც ვეუბნებოდი ბებიაჩემს: „თბილისიდან სიძეს ჩამოგიყვან-მეთქი და... მე შენ გეტყვი, არ მოეწონებათ. არა, ბედი კი მქონია! — როგორ ვუყვარვარ!! და, საერთოდ, როგორ მეევლება ყველა თავს. „ჭრიჭინასაც" კი აღარ მეძახიან. თინამ, არ „შეგფერისო". რა თქმა უნდა, დღე-დღეზე შოთა კევლიშვილის მეუღლე გავხდები და... (წამოიყვირებს) რა მიხარია, რა მიხარია!! (სტუდენტებმა გაოცებით მოხედეს. ჭრიჭინა სტუდენტებს უთვალთვალებს) საწყლები, როგორ ჩასჩიჩინებენ წიგ-

ნებს. შოთაც თურმე ღამეებს ათენებს წიგნზე. მეც ასე უნდა ვიწვალო? აჰ, აჰ! (დაფიქრებით) არა და შოთას რომ დავპირდი, ვისწავლი-მეთქი? რა თქმა უნდა, ვისწავლი! ვისწავლი და ისიც როგორ!! (წიგნს ფურცლავს. რადიორეპროდუქტორიდან საცეკვაო მუსიკას გადმოსცემენ) იფ, ამას რა ჯობს? (მხრებს შეათამაშებს, ხმას ააყოლებს. შენიშნავს სტუდენტების გაოცებულ მზერას. სერიოზულ სახეს მიიღებს, წიგნის ფურცელას განაგრძობს. გამოდის მოდაზე ჩაცმული სანდრო, ფოტოაპარატით მხარზე)

სანდრო — (სტუდენტებს ჩაუელის) სალიუტ, სალიუტ!

პირველი სტუდენტი — გამარჯობა, სანდრო.

სანდრო — ჯანმრთელობა და სამიანი, ბიჭებო! ეს წუთისოფელი განა იმად ღირს, რომ იტანჯო და ოფლი ღვარო?! (ჩაიცინინებს) ისევ ის ჯობს, გაიხარო, ლამაზები შეიყვარო. (ქრიჭინას შენიშნავს) ბიჭოს! ეს რა ჩიტი მოფრენილა? — ახალია! (მიუახლოვდება) ბოდიში, ქალიშვილო! (ქრიჭინა გაოცებით შეხედავს) სტუდენტი ბრძანდებით?

ქრიჭინა — (ციად) არა.

სანდრო — მაშ, წელს აპირებთ.

ქრიჭინა — დიახ.

სანდრო — ხედავთ, გამოვიცანი. (ფოტოაპარატს მოიმარჯვებს) მე მგონი საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თუ თქვენს სურათს ჟურნალში მოვათავსებთ. (სურათს გადაუღებს) თქვენი სახელი? (ქრიჭინა დუმს) ვიღაცას ელოდებით, ესეც გამოვიცანი. ამდენი გამოცანის ამოხსნისათვის თქვენს გულში თუ არა, თქვენს გვერდით მაინც დამითმეთ ადგილი. (გვერდით მოუჯდება. ქრიჭინა სკამს გადაინაცვლებს. თავისთვის) რქიანი ყოფილა! (წამოდგება. სტუდენტებს) იკითხეთ, ბიჭებო, სახარება, მოგეცემათ გახარება. „ორევუარ“ (გადის. შემოდის შოთა. ქრიჭინას მოუჯდება გვერდით)

შოთა — დიდი ხანია მელოდები?

ქრიჭინა — რა მიიღე?

შოთა — ხუთი.

ქრიჭინა — შენ ისევ ხუთებზე სწავლობ? (შოთა უდასტურებს. ქრიჭინა უეცრად) ძალიან გიყვარვარ?

შოთა — ძალიან. მაგრამ შენგან ისე ვარ დაშინებული... შარშან ისე უეცრად გამიფრინდი...

ქრიჭინა — ახლაც რომ ისე გავიპარო, გეწყინება?

შოთა — აპირებ, თუ?

ქრიჭინა — არა, ეს — ისე. შენ იცი, შარშან რატომ... წავედი?

შ ო თ ა — ვიცი. ახლა ხომ ხარ მომზადებული?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ა, სულ წიგნი მიჭირავს ხელში.

შ ო თ ა — წიგნს წაკითხვა უნდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაგას რად მეუბნები, შოთა? განა მე არ ვიცი?

შ ო თ ა — გეწყინა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — არა, მაგრამ... ეჰ, რატომ არ გამოიგონებენ მეცნიერები ისეთ აბს, რომ ჩაყლაპო და უეცრად გახდე ექიმი, მასწავლებელი და აგრონომი. (შოთა იცინის)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — იცინე, იცინე! (წყენით) შენ ახლა ამთავრებ და მიდიხარ, მე კი მთელი 5 წელი აქ უნდა ვიყო.

შ ო თ ა — შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რა სწრაფად გაფრინდება ეს წლები. ისე გაერთობი სწავლაში, რომ ჩემს თავს ძბოლოდ ჩემი წერილები თუ მოგაგონებენ. მე კი იცი, რა ვიფიქრე? ვითხოვ გამაწესონ შენს რაიონში. არდადეგებს ყოველთვის ერთად გავატარებთ, სწავლაშიაც მოგეხმარები. წარმოგიდგენია, რა სიხარულით შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს? შემდეგ კი შენ იქნები არა მარტო ჩემი მეუღლე — ჩემი თანაშემწეც.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მე კი მგონია, შენ იქნები ჩემი თანაშემწე.

შ ო თ ა — (სიცილით) შეიძლება აგრეც იყოს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შოთა, მე მაინც არ მესმის, რად აირჩიე მეაბრეშუმეობა, მთელი სიცოცხლე რაღაც ჭიების მოვლას უნდა შეალიო?

შ ო თ ა — შენ ცუდი წარმოდგენა გქონია, მარინე, იმ პაწაწა მშრომელებზე. ეგ ლამაზად მოხატული კაბა ვისი ნახელავია? იმ ჭიების. პიონერთა ყელსახვევები? დროშები? პარაშუტები? (ოცნებით) გავა არც ისე დიდი დრო და ჩვენ შეგვეძლება აბრეშუმით შევმოსოთ ყოველი საბჭოთა ადამიანი. განა ეს საინტერესო არ არის?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (დაფიქრებით) მე არასდროს ამაზე არ მიფიქრია. (საათს დახედავს) უჰ, სულ დამავიწყდა. ჩემთვის ტელეფონით უნდა დაერეკა.

შ ო თ ა — ვის უნდა დაერეკა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ეშმაკურად) ეგ რად გაინტერესებს?

შ ო თ ა — (უხერხულად) არა... ისე... შენ შარშან მეუბნებოდი. თბილისში შენს მეტი მეგობარი არა მყავსო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ახლა კი, შენ წარმოიდგინე, მყავს.

შ ო თ ა — ჰოო? მაინც ვინ არის, ქალია თუ ვაჟი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რად გინდა, იცოდე?

შ ო თ ა — ისე...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (სიხარულით) ეჭვიანობ, რა თქმა უნდა, ეჭვიანობ!
შ ო თ ა — სრულებითაც არა.
ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ეჭვიანობ, ეჭვიანობ!
შ ო თ ა — (ღიმილით) გინდა, რომ ვეჭვიანობდე?
ჭ რ ი ჭ ი ნ ა — კარგი, რადგან აგრეა, გეტყვი — ქალია. და რომ იცოდე, როგორი! აი, გაგაცნობ და ვიცი მოგეწონება. მხოლოდ, იცოდე, (თითი დაუქნია) არ შეგიყვარდეს. წამო, ვიგვიანებთ. ჩვენები სადილად გველოდებიან. (ხელი დააელო. გადიან)

მეხუთე სურათი

იგივე დეკორაცია, რაც მესამე სურათში. სასადილო მაგიდას უსხედან ე ლ ე ნ ე, თ ი ნ ა, შ ო თ ა და რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს ტ უ მ ა რ ი — თინას ამხანაგები. სანდროს ფოტოაპარატი მოუმარჯვებია — ჭრიჭინას სურათს უღებს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (გიტარაზე უკრავს, მღერის)

ოქტომბერში თუ ჩვენ მხარეს გაგივლია,
შეამჩნევდი მიმობნეულს მინდორ-ველად:
პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია,
იმერეთში ეძახიან საპოვნელას.
შევხედე და მიმიზიდა იმთავითვე...
თურმე ყველა სასოებით ანდობს იმედს,
ბედს დაეძებს, თუ დანაკარგ რამე ნივთებს,
ეუბნება: „საპოვნელა, მაპოვნინე!!“
მეც სათუთად მივიბნიე იგი მკერდზე,
ჩემს გულშიაც მივუჩინე მუუდრო ბინა.
ვენაცვალე!! სხვა საუნჯეს ალარ ვეძებ,
რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა.

(სიმღერის დამთავრებისას ოთახში შემოდის ი რ ა კ ლ ი)

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (ტაში) მშვენიერია, მშვენიერი.
ე ლ ე ნ ე — ჩვენი მარინე მართლაც სასიამოვნოდ მღერის.
ს ა ნ დ რ ო — „ექსტრა“, „ექსტრა“! მე გული არ მითმენს, მეგობრებო, რომ განმეორებით არ შევსვა ძვირფასი მარინეს სადღეგრძელო. (ჭიქა ასწია) ჯანმრთელობის მეტი რაღა გისურვოთ? იმ დალოცვილ ბუნებას თავისი მშვენიერი კალთა სულ თქვენზე დაუბერტყავს! (სვამს)
ხ მ ე ბ ი — „გაგიმარჯოს“, „გისურვებ ბედნიერებას“, „კარგად იყავი“, „იცოცხლე“. (სვამენ)
ს ა ნ დ რ ო — (სიცილით) არა, მართლა უცნაური ალღო კი მაქვს.

წელან, ბაღში, ალბათ გულმა თუ მიგრძნო, რომ სწორედ თქვენა ხართ ის არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელზედაც ამდენი მსმენია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რად დამციანით?

ს ა ნ დ რ ო — ო-ო-ო! ნუ მორცხვობთ! მართალია, თავმდაბლობა ამშვენებს ყველა დიდბუნებოვან ადამიანს, გმირია ის, თუ...

ი რ ა კ ლ ი — (სუფრას მიუახლოვდება) გამარჯობათ, კოლეგებო! (ყველანი წამოდგებიან, ესალმებიან) დაბრძანდით, დაბრძანდით.

ს ა ნ დ რ ო — სალამი, პატივცემულო პროფესორო, მაგრამ ყველა რომ თქვენი კოლეგა არა ვართ? შოთა, მაგალითად...

ი რ ა კ ლ ი — ვიცი, ვიცი, აგრონომია. (შოთას) კარგია, მოგგონებივართ.

ს ა ნ დ რ ო — თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო.

ი რ ა კ ლ ი — (ყური აარიდა) მაშ დღეს მორჩით გამოცდებს?

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ მ ა რ ი — დიახ.

ი რ ა კ ლ ი — (ღიმილით) თუმცა ჯერ წინა გაქვთ მთავარი გამოცდა, ცხოვრების გამოცდა...

ს ა ნ დ რ ო — (სიცილით) სწორია, პროფესორო. მთავარი მაინც „შანსია“.

ი რ ა კ ლ ი — რა?

ს ა ნ დ რ ო — ესე იგი მოხერხებულობა. მე, მაგალითად, მყავს ერთი მეგობარი. საშუალო სასწავლებელიც არ დაუმთავრებია, მაგრამ, ნუ გეწყინებათ და, ზოგიერთ აკადემიკოსზე უკეთ ცხოვრობს. ძვირფასი ბინა, „ზიმი“ და რა გინდა სულო და გულო!

ი რ ა კ ლ ი — (წარბი შეიკრა) ერთად მუშაობთ?

ს ა ნ დ რ ო — მე...

თ ი ნ ა — მამა, სანდრო კინომსახიობია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა—(ინტერესით) კინომსახიობი? (უხერხულად) რატომღაც არ მახსოვს...

ს ა ნ დ რ ო — (მოჩვენებითი დამორცხვებით) ეტყობა, ვერ დამიმსახურებია თქვენი ყურადღება. ისე კი, მაგალითად, „ბედნიერ შეხვედრაში“ ვასრულებდი ერთ-ერთი სპორტსმენის ლელოს მოთამაშის როლს.

ი რ ა კ ლ ი — (მსუბუქი ირონიით) დიაღ, დიაღ, დიაღ, მომაგონდა! იმ სურათში ამხანაგმა სანდრომ შექმნა ლელოს მოთამაშის ბრწყინვალე, განუმეორებელი სახე.

თ ი ნ ა — (ირაკლის ხმადაბლა) რას ერჩი?

ი რ ა კ ლ ი — (ასევე) არ მომწონს მე ეს შენი მსახიობი.

სანდრო — ნუ დაგვიფიცავთ, პროფესორო, და რამდენი კაცის ცოდვა დაიდეთ დღეს კისერზე?

ირაკლი — ცოდვა?

სანდრო — დღეს ინსტიტუტის ბაღში ვნახე თქვენი ორიანით განგმირული ჭაბუკი. როდესაც გაიგო, რომ თქვენს ოჯახში მოვდივარ, გულსაკლავად შემომკვნესა და მთხოვა... (ირაკლი წარბს შეიკრავს. თინა სანდროს ანიშნებს, გაჩუმდიო).

ელენე — (ვაზით ყურძენი და დოქით ღვინო შემოაქვს) ირაკლი, ეს მარინეს მორთმეული მოსაკითხია.

ირაკლი — ოოო, გმადლობ, მარინე, გმადლობ.

სანდრო — (ელენეს დოქს ჩამოართმევს) თუ ამ დოქის შინაარსი მის ფორმას შეჰფერის...

ირაკლი — (ცივად) ვფიქრობ, შემოწმება არ გაგიჭირდებათ. დაასხით, უმაწვილო, დაასხით.

სანდრო — (ჭიქებში ღვინოს ასხამს) ამ სასმისით, მევობრებო, ვადღეგრძელოთ ჩვენს სუფრაზე შემოსწრებული წევრი, დიდად პატივცემული...

ირაკლი — ბოდიში, მაგრამ ნება მომეცით ამ ღვინით, ჩვენი ქვეყნის ერთ პატარა სოფელ ბჟოლეთში მოყვანილი ღვინით, შევსვა მშრომელების სადღეგრძელო. სულ ერთია, რასაც აკეთებენ ისინი: ბაღ-ვენახებს აყვავებენ თუ ვარსკვლავებს უთვალთვალებენ, უდაბნოებს რწყავენ თუ ადამიანებს მკურნალობენ. ყველა მათი სადღეგრძელო, ვინც იოლი გზებით არ ეძიებს სახელს და ამიტომ ყველაზე ადრე მოიპოვებს მას. ვინც არ ცდილობს ნაცნობობის წყალობით ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფას და ამიტომ დამსახურებულ ჯილდოდ იღებს ისეთ ვარსკვლავს, რომლის ბადალი არსადაა, მთელ სამყაროში (სვამს. ტაში)

ჭრიჭინა — რა მწყინს, რომ აქ არაა ჩემი მეგობარი.

პირველი სტუდენტი — რატომ?

ჭრიჭინა — მას ისეთ სიამოვნებას მიანიჭებდა ძია ირაკლის სიტყვები...

სანდრო — რაც შეეხება ვარსკვლავებს...

ირაკლი — თქვენ კონიაკის ბოთლზე დახატული უფრო გხიბლავთ, არა?

სანდრო — თავის დროზე ეგეც კარგია, პატივცემულო პროფესორო! ჰმ! ჰმ! (ყურძენი გასინჯა) იფ, შარბათია, შარბათი! მაგრამ ივლისში ყურძენი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ბებიაჩემი შესანიშნავად ინახავს ყურძენს.

ს ა ნ დ რ ო — მართალი გითხრათ, გიცქერით და პირდაპირ წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ იმდენი ყურძენი მაგ ბროლის თითებმა დაკრიფეს. (შოთა წარბს შეიკრავს)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (სიცილით) ყურძენს მხოლოდ ვჭამ.

ს ა ნ დ რ ო — ეგ არის, დაგიჯერეთ. რა ჰქვია თქვენს სოფელს?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ბეოლეთი.

ს ა ნ დ რ ო — ლამაზია?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ძალიან.

ს ა ნ დ რ ო — ნეტავი მაჩვენა! ეჰა, ქორწილში რომ არ დამპატიჟოთ, მაინც გეწვევით. (ჭრიჭინა დაიმორცხვებს) თუმცა ჩემს ნაცნობებს შორის მე არც კი მეგულება ისეთი ყმაწვილი... (შოთა შეიშმუშნება. თინა სანდროს პიჯაკის კალთას ჩამოსწევს. სანდრო მიხვდება) ჰოოო! ჰმ, ჰმ! მოდით და ჩვენი შეხვედრის სამახსოვროდ ერთი სურათი კიდევ მაჩუქეთ. (ყურძნის მტევანს შეარჩევს, ჭრიჭინას მიაწოდებს. ჭრიჭინა ყურძენს ჩამოართმევს).

ს ა ნ დ რ ო — აგრე! არ გაინძრეთ. (სურათს უღებს) გმადლობთ! ეს, ასე ვთქვათ, საწარმოო კადრი. (თინას, ხმადაბლა) მე მგონია არც ერთი ჟურნალი არ მეტყვის უარს ამ სურათების მოთავსებაზე. (ჭრიჭინას) მაშ თქვენ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ინსტიტუტში შესვლა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აუცილებლად.

ს ა ნ დ რ ო — შეგიძლიათ მიმსახუროთ. მე ვიცნობ ხალხს, რომელიც...

ი რ ა კ ლ ი — (წარბს შეიკრავს) მე მგონი მაგაზე შეწუხება არ დაგჭირდებათ.

ს ა ნ დ რ ო — ბოდიში. მართლაც რად უნდა ჩემი დახმარება, როდესაც თქვენი ერთი სიტყვა, პატივცემულო პროფესორო...

ი რ ა კ ლ ი — (აენთება) მე ეფიქრობ, მარინეს არავითარი „სიტყვა“ და და-ხმა-რე-ბა არ უნდა სჭირდებოდეს.

ს ა ნ დ რ ო — (შეცბუნებული) თუმცა... მე რომ მკითხოთ, ამის მღგომარეობაში სწავლა მართლაც არც ისე აუცილებელია.

ი რ ა კ ლ ი — (ელენეს) წამო, ელენე, სუფთა ჰაერზე გავიდეთ (აივანზე გადიან. აივნიდან) ახალგაზრდებო, ლენინგრადის ესტრადის მსახიობებს მოუსმინეთ?

მ ე ო რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ამბობენ, კარგიაო.

შ ო თ ა — დღეს მგონი უკანსაკნელი საღამოა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (წყენით) ოჰ, მართლა?

ი რ ა კ ლ ი — გირჩევ, წახვიდე.

ს ა ნ დ რ ო — თუ გნებავთ, წავიდეთ. (თინა სანდროს პიჯაკის კალთას ჩამოსწევს) ჰო... თუმცა... არა, მე ამ საღამოს ერთი საქმიანი შეხვედრა მაქვს.

შ ო თ ა — (ცრიპინას) წავიდეთ. (დანარჩენებს) თქვენც წამობრძანდით.

თ ი ნ ა — (მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს სტუმრებს) მე ვერა.

ხ მ ე ბ ი — „არც მე", „არც მე", „არც მე".

ე ლ ე ნ ე — (ცრიპინას და შოთას) თქვენ წადით.

ი რ ა კ ლ ი — მხოლოდ ბილეთებზე ახლავე უნდა იზრუნოთ.

ს ა ნ დ რ ო — ეგ საქმე მე მომანდეთ. (ტელეფონთან მიდის, ნომერს აკრეფს) სალიუტ, ჩიტუნია! სანდრო გელაპარაკებით. ორი საუკეთესო ბილეთი მინდა. დიახ, ამ საღამოსთვის. ახლავე? კარგი. „ორეევუარ" (ყურმილს ჰკიდებს. სუფრასთან მიდის) საქმე გაჩარხულია. მხოლოდ საჭიროა...

შ ო თ ა — ახლავე წავალ. (წამოდგება)

ე ლ ე ნ ე — (ღიმილით) მაშ ჩვენს მარინეს თქვენ გაბარებთ.

შ ო თ ა — (ღიმილით) ვეცდები მოვუარო. (გადის)

ს ა ნ დ რ ო — ჰმ! ასეთ ვარსკვლავივით ქალს ვინ არ მოუვლის?

ე ლ ე ნ ე — (თითს უქნევს) ო-ო-ო! შოთაც მშვენიერი ყმაწვილია.

ს ა ნ დ რ ო — და ისე ვატყობ საქმეს, რომ... (თინა სანდროს ანიშნებს, გაჩუმდიო. სანდრო სათქმელს გადააკეთებს) ისე ვატყობ საქმეს, რომ მარინე მოგვიყვება ძალიან საინტერესო ამბებს... თავისი სოფლისა და თავისი მუშაობის შესახებ.

ჭ რ ი პ ი ნ ა — (უხერხულად) მე...

თ ი ნ ა — არა, ახლა მაგის დრო არა აქვს. ჯერ ჩაიცვას, გაემზადოს.

ე ლ ე ნ ე — მშვენიერი კაბა აცვია.

თ ი ნ ა — მე კი მინდა, რომ დღეს იქ მარინე ყველას ჯობდეს.

ჭ რ ი პ ი ნ ა — რადგან აგრე გინდათ (სიცილით წამოხტება, მეორე ოთახში გაირბენს)

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — (თვალს გააყოლებს) ნეტავი მას! გმირი, საამაყო ქალი.

მ ე ო რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — მაინც რა ჰარმონიულადაა მასში შერწყმული ყველა კარგი თვისება.

მ ე ს ა მ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ასეთი სახელი რომ მომაპოვებინა!

ე ლ ე ნ ე — თქვენი სახელი თქვენს ხელთაა, ახალგაზრდებო.

ი რ ა კ ლ ი — აგერ, გაემგზავრებით თქვენ-თქვენ ადგილებზე და...

მ ე ო რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — რომ იცოდეთ, როგორ მეჩქარება.

ს ა ნ დ რ ო — (ირონიით) ძალიან, ძალიან? მაშ გიწინასწარმეტყველებთ, რომ თქვენი სურვილი მალე ასრულდება.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ირონიები შენთვის შეინახე.

ს ა ნ დ რ ო — ირონია რა საკადრისია!

თ ი ნ ა — ისე მაინტერესებს, როგორი საავადმყოფოა ბჟოლეთში, როგორ მიმიღებს ხალხი.

ს ა ნ დ რ ო — მე რომ მკითხო, თინიკო, შენი ადგილი აქ არის, თბილისში. თუ გნებავთ, პატივცემულო ელენე, დავტრიალდები და...

ი რ ა კ ლ ი — (აივნიდან) რაო, რას გვპირდებით, ყმაწვილო?

ს ა ნ დ რ ო — არა მგონია, პატივცემულო პროფესორო, გული არ გტკიოდეთ, რომ თქვენი ერთადერთი ქალიშვილი სადღაც რაიონში, კულტურისა და ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ კუთხეში იქნება გადატყორცნილი. თუ თქვენ გეუხერხულებათ, ნუ მომერიდებით და თქვენი გულისთვის ცეცხლში ჩავდგები.

თ ი ნ ა — (სიცილით) ძალიან კეთილი ბიჭი ხარ, სანდრო, მაგრამ მე თვითონ ვთხოულობ იმ „მიყრუებულ კუთხეში" გაწესებას.

ს ა ნ დ რ ო — ეს ყოველად წარმოუდგენელია.

ი რ ა კ ლ ი — მაშ, თქვენი ფიქრით, საქართველოში რუსთაველის გამზირს იქით აღარც კულტურაა, აღარც ცივილიზაცია? ნუთუ მარინეს მაგალითი მაინც არაფერს გეუბნებათ?

ს ა ნ დ რ ო — (სიცილით) რაც შეეხება, „კალიას"...

თ ი ნ ა — „კალია" კი არა, „ჭრიჭინა".

(ამ რეპლიკის დროს ოთახიდან გამოდის ახალ კაბაში გამოწყობილი ჭრიჭინა. რეპლიკამ კართან შეაჩერა. მომდევნო დიალოგების დროს გაოცებას შეშფოთება და სასოწარკვეთილება სცვლის).

ს ა ნ დ რ ო — ეგ სულ ერთია.

თ ი ნ ა — სრულებითაც არა! კალია მავნებელია, ყანების გამანადგურებელი. ჭრიჭინა კი უდარდელად ხტის და მღერის. ჭრიჭრი.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — მაგრამ სარგებლობა კი არაფერია მისგან. პირიქით, თვითონ უსაქმურია და სხვებსაც აცდენს.

ს ა ნ დ რ ო — (ხარხარებს) ოჰ, ოჰ! მოვკვდი სიცილით.

თ ი ნ ა — (სიცილით) თქვენ უნდა დაგენახეთ, ძველი ჩვეევით „ჭრიჭინა" რომ წამომცდა! ისე შევწუხდი, რომ...

ს ა ნ დ რ ო — ჰა, ჰა, ჰა!

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — რა თქმა უნდა, შეწუხდებოდი. სერიოზული, საქმიანი ქალი და...

ს ა ნ დ რ ო — (აწყვეტინებს) როგორც ვხედავ, არც ისე ძნელი ყოფილა ახლა სოფელში სახელის განთქმა.

ი რ ა კ ლ ი — სახელის განთქმა ქალაქშიც ადვილად შეიძლება: თა-

მადობით, ოხუნჯობით, სხვადასხვა საქმეების მოჭახრაკებით და...

თ ი ნ ა — (ირაკლისთან მიდის. ხმადაბლა) მამა, უხერხულია სტუმრის ასე...

ი რ ა კ ლ ი — ეგ სტუმარი თუ კიდევ დავინახე ჩემს სახლში, ან მე ვიქნები, ან შენ. ასეა: ვაშლს გულიდან შეეპარება ლპობა...

ს ა ნ დ რ ო — არა, რაც მართალია — მართალია, პატივცემულო პროფესორო, და თქვენს ჭრიჭინას კი ბედი ჰქონია.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ბედი რას ჰქვია?

ი რ ა კ ლ ი — „ბედი" რას ჰქვია, ყმაწვილო! ბედი რა შუაშია? იმისთვის, რომ დაიმსახურო სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, შრომაა საჭირო, მონდომება, ნიჭი. მე კი მარინეში ყოველთვის ვხედავდი რაღაც ისეთს, რაც მის ნიჭიერებასა და უნარიანობას ამტკიცებდა და, რაც მთავარია, კე-თილ-შობი-ლებას! (პაპიროსს მოუკიდებს და აივანზე გადის)

ს ა ნ დ რ ო — (სიცილით) თქვენ ამბობთ, რომ ჭრიჭინას ცეკვა-სიმღერა უყვარდა. ცეკვა-სიმღერა მეც მიყვარს და... მოეცა მაინც იმ დალოცვილს რეცეპტი, ესწავლებია, როგორ მიაღწია გმირობას.

ე ლ ე ნ ე — რომ არ მიეღწია...

ს ა ნ დ რ ო — (აწყვეტინებს) არა, პატივცემულო ელენე, მე ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ უეჭველად კი უნდა გამოვკითხო, მოვაყოლო...

თ ი ნ ა — დაანებე თავი. ქალი ალბათ ისე დაიღალა ამდენი ხმაურით, კითხვა-პასუხით, ყურადღებით, ზეიმით, მისვლა-მოსვლით, რომ...

ს ა ნ დ რ ო — შოთაც კი დიდი მოხერხებული ბიჭი ყოფილა.

მ ე ს ა მ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ამით რა გინდა თქვა?

ს ა ნ დ რ ო — მე კარგად ვიცნობ ქალიშვილს, რომელსაც დიდი ხანია უყვარს შოთა. ისინი ხშირად მინახავს ერთად და ეს საკითხიც გადაწყვეტილად მიმაჩნდა.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ოჰ, ოჰ! საიდან იცი ამდენი ჭორი?

თ ი ნ ა — იქნებ მეგობრები არიან!

ს ა ნ დ რ ო — (სიცილით) აბა, მტრები სად გინახავთ შეყვარებულები?

მ ე ო რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — კარგი გოგოა?

ს ა ნ დ რ ო — მშვენიერი.

მ ე ს ა მ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ამ ჩვენი მარინესთანა?

ს ა ნ დ რ ო — უკეთესი. მაგრამ, აგერ, გამოჩნდა გმირი და...

მ ე ო რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი — მებრალება ის გოგონა.

თ ი ნ ა — წესიერ ყმაწვილად მიმაჩნდა შოთა და როგორ შეჰფერის სიყვარულის ასე ანგარიშის სასწორზე დადება?

ე ლ ე ნ ე — კარგი, კარგი! სჯობს იმღეროთ რამე (სანდრო. გიტარაზე უკრავს და ყველანი დაბალი ხმით ამღერებენ. ტალანში ისმის ტელეფონის ზარი)

ე ლ ე ნ ე — (ტელეფონში) მარინეს? ახლავე. (იძახის) მარინე, მარინე!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (გამორბის. ტელეფონში) ჰო... მე ვარ... არა, დღეს არა... რომ იცოდე, რა უბედურება დამატყდა თავს. შენი ბარგი? აქ არის. არა, არა, არ მოხვიდე, გესმის? მე მოგიტან. (ყურმილს მექანიკურად ატრიალებს ხელში) ვაიმე, მარინემ რომ გაიგოს ეს ამბავი, განა დაიჯერებს, რომ მე არაფერ შუაში ვარ? ეს რა მომსელია! მარინეს ხვედრი პატივისცემა მრგებია წილად? რა გმირი, რის გმირი! ამიტომ მევლებოდნენ თავს? შოთაც კარგი ყოფილა!! თუმცა რაღა დროს სიყვარულია, ცა მენგრევა თავზე. არა, ისე გამოდის, რომ... მე მოვატყუე, ყველა მოვატყუე... (უეცრად) ახლავე რომ ვთქვა? ვაი სირცხვილო, როგორ ამიღებს ყბად მთელი ქალაქი. არა, არა, ესენი მაინც წავიდნენ... ვაიმე, მიტირე, ეფროსინე ბებია, და ესაა!

თ ი ნ ა — (მიუახლოვდება. ბოლო სიტყვებს ყურს მოჰკრავს) რა იყო, რა მოგვიდა, რად ახსენებ ეფროსინე ბებიას?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (დაბნეულად) რა.. და.. რა... და... ახლავე უნდა წავიდე, შინ უნდა წავიდე.

თ ი ნ ა — არ იტყვი, რა მოხდა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — რა.. და.. რა.. და.. (უეცრად) ეფროსინე ბებიას ბიძაშვილი, ბებია ელპიტე...

თ ი ნ ა — გარდაიცვალა? (ჭრიჭინა უხმოდ უდასტურებს. თავისიანი ტყუილით შეშფოთებული, თავზე ხელს წაიღებს, ტირილით სკამზე ეშვება)

ე ლ ე ნ ე — (მიუახლოვდება) რა ამბავია?

(ყველანი შემოეხვევიან)

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — რა მოხდა?

თ ი ნ ა — მარინეს ტელეფონით აცნობეს ჩოსი ბებიის ბიძაშვილის გარდაცვალება.

ე ლ ე ნ ე — ოჰ, ოჰ! საბრალო გოგონა! (ხელს მოხვევს) რას იზამ, შვილო, ასეთია ბუნების კანონი — ბებიები იხოცებიან, შვილიშვილები რჩებიან...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ვაიმე, ვაიმე!

ს ა ნ დ რ ო — (ღვინოს ასხამს) ნება მიბოძეთ, ამ სასმისით მივიღოთ ჩვენი ძვირფასი მარინეს მოამაგის, პატივცემულ ეფროსინე

ბებიას ბიძაშვილის, მარად მოსაგონარ ელპიტე ბებიას შესანდობარი.

(ზარი. თინა კარს აღებს, მ ა რ ი ნ ე შემოჰყავს)

თ ი ნ ა — მობრძანდით, აქეთ მობრძანდით! მარინე, შენთან არიან.

(ქრიჭინა ზეზე წამოიჭრება, მარინესთან მივარდება, მოეხვევა და ქვითინს ამოუშვებს)

მ ა რ ი ნ ე — რა იყო, რა მოგვიდა, არ მეტყვი?

თ ი ნ ა — ელპიტე ბებია გარდაიცვალა.

მ ა რ ი ნ ე — ყოველად წარმოუდგენელია. გუშინ კარგად იყო.

ე ლ ე ნ ე — მოხუცი ერთ წუთს ასეა, მეორე წუთს კი...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მარინეს) ახლავე, ახლავე... უნდა წავიდე...

მ ა რ ი ნ ე — იქნებ შეცდომაა! მაინც ვინ გითხრა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხმადაბლა, ვედრებით) ახლა ნუ მკითხავ, შემდეგ გეტყვი.

ე ლ ე ნ ე — ბავშვს ისეთი თავზარი დაეცა, რომ (მარინეს) უკაცრავად, თქვენი სახელი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (შეჰკივლა) ვაი, თავი, თავი.

ე ლ ე ნ ე — საბრალო! რა მოგვიდა? (ტახტისკენ მიჰყავს)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ცვნესით) შაკიკი.... შაკიკი შემომაფრინდა.

ე ლ ე ნ ე — ოჰ, ოჰ! მე კი გამომიცდია ეგ ტკივილი. (იძახის) ირაკლი! არ იცი, სად არის პირამიდონი? (ოთახში შეირბენს. შემოდის ირაკლი)

ი რ ა კ ლ ი — (ქრიჭინასთან მიდის) რა გტკივა? თავი? ცალ მხარეს?

ე ლ ე ნ ე — (გამოირბენს) გასაოცარია! ექიმის ოჯახში პირამიდონი რაა — პირამიდონს ვერ იშოვი.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ახლავე მოვიტან.

ი რ ა კ ლ ი — არა, მე თვითონ (გადის)

ე ლ ე ნ ე — ასეთი მწუხარება და ისიც მაშინ, როდესაც ქალი ჩამოვიდა...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (აწყვეტინებს) ვაი, ვაი, თავი...

ე ლ ე ნ ე — (ყველას ანიშნებს ოთახიდან გავიდნენ. ყველანი ფეხაკრეფით გადიან ბივანზე) მოიცა, მე ვფიქრობ ნიშადურიც მოგიხდება. (გადის)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ზეზე წამოიჭრება) უჰ, ძლივს არ გადავრჩი? მაგრამ ამასაც თუ გადარჩენა ჰქვია! მგონი მართლა შაკიკი... შაკიკი კი არა, გაჭირვება შემოგაფრინდა, შე სულელო ჩემო თავო! ვაი სირცხვილო, რამდენს იცინებენ! მაშ შოთასაც გმირი ვეგონე და იმიტომ მევლებოდა თავს? შორს, შორს აქედან! (ჩემოდანს დააგლეჯს ხელს) არა, ასე არ ივარგებს! (ქაღალდის ნაგლეჯზე

რაღაცას წერს და საწერ მაგიდაზე დებს) დაიჭირე ახლა ხელში ჩონგური და გიტარა, ზურგზე პატეფონი მოიკიდე, თავზე დაირა დაიხურე და გააჩაღე ცეკვა-სიმღერა. კარგი ეშველა შენს თავს, კარგი საქმე შენ მოგივიდა. (ჩემოდანს დააელებს ხელს და ოთახიდან გაიპარება)

ე ლ ე ნ ე — (გამოდის) ეს არის ახლა საქმე? სახლში ნიშადურიც კი ვერ ვიპოვე — მეზობელს გამოვართვი. (გაოცდება) მარინე! რა იქნა? (აივანზე გაირბენს. მალე ყველანი ოთახში ბრუნდებიან) არა, სად უნდა წასულიყო?

ს ა ნ დ რ ო — (სარკმელთან მიდის) ეგერ, მანქანაში ჩაჯდა.

(ყველანი ფანჯარასთან მიცვივდებიან)

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მარინე, მარინე!

ე ლ ე ნ ე — წავიდა, რა თქმა უნდა, შინ წავიდა. ეთქვა, იმ დალოცვილს, ძალით ვინ დაიჭერდა?

(შემოდის შოთა)

შ ო თ ა — ბოდიში, ცოტა შემიგვიანდა.

ს ა ნ დ რ ო — მართალია.

შ ო თ ა — მარინე? (მიიხედ-მოიხედავს)

თ ი ნ ა — წავიდა, შინ წავიდა.

შ ო თ ა — რატომ, როდის?

ე ლ ე ნ ე — მეტად გულთბილი გოგოა. ბებიის ბიძაშვილი გარდაცვალა.

შ ო თ ა — ვინ.

ე ლ ე ნ ე — ელპიტე ბებია. და ამ ამბის გაგებისას ისე ცუდად გახდა, რომ... აქ ათასი საქმე ჰქონდა:. ჯილდო უნდა მიეღო.

შ ო თ ა — რა ჯილდო?

ს ა ნ დ რ ო — ვითომ არ იცი, რომ შენი საცოლე სოციალისტური შრომის გმირია. (მარინეს გაღიმება, პირს .მიიბრუნებს)

შ ო თ ა — (გაოცებით) რას ამბობ! ეს ისე მოულოდნელია... (უეცრად) ხომ არ იცით, როდისაა ბეოლეთისკენ მატარებელი?

მ ა რ ი ნ ე — (საათს დახედავს) ორმოც წუთში, ქუთაისის მატარებელი.

შ ო თ ა — მაშ მე... მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გარბის)

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — (დაფიქრებით) არაფერი არ მესმის.

მ ა რ ი ნ ე — მე კი მგონი... რაღაცას ვხვდები. ნუ სწუხართ, ყველაფერი რიგზე იქნება. ბოდიში, მაგრამ მე ვიჩქარი და, თუ შეიძლება, ჩემი ბარგი... (მიიხედ-მოიხედავს. ტალანის კართან შენიშნავს ჩემოდანს. ხელში აიღებს)

თ ი ნ ა — (საწერ მაგიდაზე ბარათი იპოვა) დედა, დედა! მარინეს წერილი. (კითხულობს) „მე ის არა ვარ, ვინც გგონებივართ. გმირი ჩემი მეგობარი და სეხნიაა და არა მე, მაგრამ ვფიცავ, ამ გაუგებრობაში არ მიმიძღვის ბრალი. გთხოვთ მაპატიოთ უნებლიე დანაშაული. მარინე“ (გაოცებით) რაო? ეს რა მომსვლია! სადღა გამოვეყო თავი? ნახევარ თბილისს გავაგებინე მარინეს გმირობის ამბავი...

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი — მე კი როგორღაც ეჭვი მეპარებოდა.

ს ა ნ დ რ ო — მეც ხომ ვამბობდი? აფსუს რა პლიონკები წავახდინე!

(შემოდის ი რ ა კ ლ ი)

ი რ ა კ ლ ი — შოთა შემხვდა კიბეზე და მითხრა მარინეს წასვლის ამბავი. მართალია?

ე ლ ე ნ ე — უმჯობესია ისა თქვა, შენ სად იყავი ამდენ ხანს?

ი რ ა კ ლ ი — ერთი წუთით შევირბინე ტელეგრაფში საშძიმრის დეპეშის გასაგზავნად.

მ ა რ ი ნ ე — ბოდიში, მე ცოტა მეჩქარება და...

ე ლ ე ნ ე — ისე დავიბენი, სახელიც ვერ გკითხეთ.

მ ა რ ი ნ ე — მარინე ნიკიფორეს ასული ფერაძე. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

(გადის)

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ააა?

ფარდა

მესამე მოქმედება

მეექვსე სურათი

პირველი სურათის დეკორაცია. ნიკიფორე ფერაძის კარ-მიდამო. კოხტა კიბეზე ჩამომჯდარი ნელი ხმით ღიღინებს:

ღამე ძილი არა მაქვს
და დღისით მოსვენება,
შენი სახე, ძვირფასო,
სულ მუდამ მეჩვენება.

ბ ი ბ ი კ ო — (ციშკრიდან) ვისი სახე, კოხტა?

კ ო ხ ტ ა — შენი.

ბ ი ბ ი კ ო—გმადლობ. ხო-ხო-ხო, რა დროს ტარებაში იქნება ახლა თბილისში ბრიბინა! არ ექნება ჩონგურ-სიმღერა გაჩაღებული?

კ ო ხ ტ ა — მერე შენ რა?

ბ ი ბ ი კ ო — მე არაფერი, მაგრამ შენ კი არ გარგია, ბიბო, მაგ გოგოს აყოლა, არა! ისე ვის არ უყვარს ამ სოფელში ბრიბინა, მაგრამ საქმე უნდა აწონ-დაწონო.

კ ო ხ ტ ა — როგორ გეტყობა, საწყობში რომ ხარ ნამუშევარი. მოკლედ მოგერი, რა გინდა ჩემგან?

ბ ი ბ ი კ ო — რაიონში წამიყვანე. ტრანსფორმატორი მჭირდება, ელექტრონათურები.

კ ო ხ ტ ა — ელექტრონათურები რად გინდა! დადექი შუა სოფელში, მოიხადე ქუდი და...

ბ ი ბ ი კ ო — დამცინი, შენსავით რომ არა მაქვს ქოჩორი გადავარცხნილი? თავში ჩაიხედე, თავში.

კ ო ხ ტ ა — არა, შიგ კია მართლაც სიბნელე. (იცინის)

ბ ი ბ ი კ ო — ჰე, მითხარი, მიგყევარ თუ არა?

კ ო ხ ტ ა — თავმჯდომარეს ჰკითხე და ის თუ მეტყვის, კი ბატონო.
(ბიბიკო გადის)

ე ლ პ ი ტ ე — (ციშკრიდან) ეფროსინე!

კ ო ხ ტ ა — შინ არაა, ელპიტე ბებია!

ე ლ პ ი ტ ე — (ეზოში შემოდის) წმინდა საცერი მინდოდა. ეფროსინეს შენახული რომ იპოვო რამე, ხუთი თვალი გკირდება. ძე კი ერთი მაქვს და ისიც უხეირო.

კ ო ხ ტ ა — ჯავრი ნუ გაქვთ, ელპიტე ბებია. აგერ, მოგვითავებს გიორგი საავადმყოფოს, მოვიწვევთ ექიმებს და ხელათ გაგირემონტებენ თვალებს. (ოთახში შეირბენს და მცირე ხნის შემდეგ ბრუნდება საცრით ხელში) ეს გნებავთ?

ე ლ პ ი ტ ე — (ჩამოართმევს) ო-ო-ო! შენ გაუძლიერდი დედაშენს. გამოიარე, შვილო, ხაჭაპურზე დამეწვიე. (გადის. ისმის ტელეფონის ზარი)

კ ო ხ ტ ა — (ტელეფონში) თბილისი? მარინე ხარ? ჰო, კოხტა ვარ. თავმჯდომარე საბჭოშია. პირადად გინდა ელაპარაკო? ჩვენ კარგად ვართ. (ყურმილს დაკიდებს. ჭიშკარში შემოდის სადღესასწაულოდ მორთული ეფროსინე, დეპეშით ხელში, ღიღინით)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აქა ხარ, კოხტა?

კ ო ხ ტ ა — თავმჯდომარემ, აქ დამელოდეო.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მალე მოვა?

კ ო ხ ტ ა — დიახ. ახლა მარინე ურეკავდა თბილისიდან.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (ღიმილით) ალბათ მოსალოცავად.

კ ო ხ ტ ა — მოსალოცავად?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — აჰა! (დეპეშა გადასცა)

კ ო ხ ტ ა — (კითხულობს) „გულით გილოცავთ ძვირფასი მარინეს წარმატებას. ირაკლი, ელენე, თინა ნამორაძეები". ვითომ რაო, რას გილოცავენ?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — შე კაცო, ეს რაღა საკითხავია? ალბათ, მისი ჭირიმე, უგამოცდოდ მიიღეს ინსტიტუტში.

კ ო ხ ტ ა — ინსტიტუტი რომ არაა აქ ნახსენები?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მერე რა ვუყოთ? ირაკლი ისეთი კაცი არაა, რომ არ იცოდეს, რას გვილოცავს.

კ ო ხ ტ ა — პროფესორია, არა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ისიც როგორი! თავის ქალას ისე ხდის ავადმყოფებს, გინდა ჭურის სარქველი აგეხადოს.

კ ო ხ ტ ა — ეგ არც აგრე ადვილია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ეგერ ჰკითხე ცქრიალას. მაგ საცოდავს ირაკლიმ საკუთარი ხელით გაუხსნა კეფა, ტვინი ამოალაგა, გარეცხა, გაახაჩხაჩა და ისევ თვის ალაგას დააბინავა.

კ ო ხ ტ ა — ეტყობა, კარგად ვერ გაურეცხავს.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რატომ გგონია?

კ ო ხ ტ ა — ნამეტანი მოჩხუბარია ის დალოცვილი. ოღონდ აყაყანე და არც საჭმელი უნდა, არც სასმელი.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (იცინის. ოთახში შედის. მაღე ბრუნდება საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი, გობით ხელში) კოხტა, დედაშვილობას, მაყვალა თუ მოვიდეს, არ გაუშვა. მე აგერ ფრინველს დავაპურებ. (გადის)

კ ო ხ ტ ა — (აივანზე გიტარას აიღებს. უკრავს. ხმადაბლა ამღერებს)

ღამე ძილი არა მაქვს
და დღისით მოსვენება,
შენი სახე, ძვირფასო,
სულ მუდამ მეჩვენება.

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ეიშვარში შემოდის. ტაშს უკრავს) ცოდვა არაა, ასეთი ნიჭის პატრონი სცენაზე გამოსვლის მაგიერად მანქანით ქათმებს ავლებდეს მუსრს?

კ ო ხ ტ ა — ეგ სულ შენი მოგონილია. აღარ იცი, რით გამიტეხო სახელი. მანქანის მოვლისა და საწვავის ეკონომიის მხრივ რაიონში პირველი ადგილი მიჭირავს. ავარია არასოდეს მქონია, კაცი არ გამიტანია.

მ ა ყ ვ ა ლ ა — მხოლოდ ქათმებს ემტერები!

კ ო ხ ტ ა — შენ გახუმროს კაცმა და...

მ ა ყ ვ ა ლ ა — (წასვლას დააპირებს) ეფროსინე ბებია...

კ ო ხ ტ ა — გთხოვა მომიცადეო. ფრინველს აპურებს.

მ ა ყ ვ ა ლ ა — (გიტარას აიღებს, ამღერებს)

ჩვენ გვყავს ერთი ჭრიჭინა,
თავი გამოიჩინა
რით?
დღე და ღამე ხტის,
არ აჩერებს პირს,
ჭრიჭი, ჭრიჭი, ჭრიჭინა...

რაც ჭრიჭინა წავიდა, ეელარა ხარ ხასიათზე.

კ ო ხ ტ ა — ჰო, რა თქმა უნდა, მხიარულება მოგვაკლდა.

მ ა ყ ვ ა ლ ა — ყოჩაღ, გოგო! სწორედ მოიქცა. აგერ, მოვა შემოდგომა და მეც წავალ კურსებზე.

კ ო ხ ტ ა — (შეშფოთებული) მართლა, თუ?

მ ა ყ ვ ა ლ ა — რატომაც არა?

კ ო ხ ტ ა — ესეც მოდაა? ერთი წავიდა, მეორეც უკან უნდა გაეკიდოს.

მ ა ყ ვ ა ლ ა — შენ რა გაწუხებს? რომ ველარავის გაამწარებ?

კ ო ხ ტ ა — შენ გაქვს სამართალი? თავდასხმაზე ყოველთვის შენ გადმოდიხარ, მე კი მხოლოდ შენს იერიშებს ვიგერიებ.

(შემოდის ე ფ რ ო ს ი ნ ე)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კოხტა, მიგეხედა ერთი იმ მანქანისათვის — ბუზებივით შემოხვევიან ბავშვები.

კ ო ხ ტ ა — სანამ ყურებს არ დავაძრობ, არ მომეშვებიან. (გარბის)

მ ა ყ ვ ა ლ ა — რაზე მეძახდით, ეფროსინე ბებია, რამე საქმე გაქვთ ჩემთან?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — არა, შვილო, ისე... გული შემიღონდა. რაც ის გოგო წავიდა, ადგილს ვერ ვპოულობ. გუშინ ვენახის ახვევაში გავერთე, დღეს კი, როდესაც ყველა ისვენებს, მხიარულობს...

(ღიღინით შემოდის ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი)

ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი — მე ვარ დამტარებელი,

გულის გამხარებელი...

(მხიარულად) აჰა, კიდევ ერთი დეპეშა ჩაიბარეთ, ეფროსინე ბიცოლა, ესეც თბილისიღანაა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — სულ ასეთი სასიხარულო ამბები მოგეტანოს, ჩემო ილარიონ.

(დეპეშა გამოართვა)

ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი — აბა, სამახარობლო თქვენზეა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კი დედა, კი შვილო! (მაყვალას) წაიკითხე ერთი, დედაშვილობას.

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ჩამოართმევს, გახსნის) აქ... რაღაც შეცდომა უნდა იყოს.

ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი — რა შეცდომა? მე პატრონს ჩავაბარე და...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ე, გოგო, წაიკითხე, გული ნუ დამილიე.

მ ა ყ ვ ა ლ ა — არა, აქ, რა თქმა უნდა, შეცდომაა. (კითხულობს) „ცხარე ცრემლით დავტირით ძვირფასი ელპიტეს ცხედარს. ვწუხვართ. დაკრძალვას ვერ ვესწრებით. ელენე, ირაკლი, თინა ნამორაძეები“.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რაიო? (სახე ჩამოიხოკა) ელპიტე მომკვდარაო? (თავპირში და მუხლებში ხელი წაიშინა) ვაი, ჩემს დღეს, უბედურს! ელპიტე, ელპიტე!

(ფოსტალიონი მიიპარება)

მ ა ყ ვ ა ლ ა — არა, ეს ყოვლად შეუძლებელია. გუშინ ცოცხალი იყო...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — იყო... იყო... ვაიმე დაო, დაო, დაო, დაო, ელპიტე, ელპიტე...

მ ა ყ ვ ა ლ ა — მე თვითონ ვნახე.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ვაი ჩემს დღეს, უბედურს! მომკალით, მომკალით!

ე ლ პ ი ტ ე — (ტიშკრიდან) ეფროსინე, სადა ხარ, ქალო, სად დასეირნობ ამ შუადღისას? (შემოდის საკრით ხელში)

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ეფროსინეს) ხომ ვეუბნებოდით! ეგერ მოდის ელპიტე ბებია!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (დაბნეულად) ელპიტე, ელპიტე ხარ, გოგო?

ე ლ პ ი ტ ე — (შეშფოთებული) ელპიტე ვარ, ელპიტე! რა მოგივიდა, უბედურება ხომ არაფერია ჩვენს თავს? (შეკოცლებს) ჭრიჭინას ხომ არაფერი მოუვიდა? ჭრიჭინა, შვილო!! მომკალით, მომკალით!

მ ა ყ ვ ა ლ ა — არა, ბებია! ცოცხალია, ჭრიჭინა, ცოცხალი.

ე ლ პ ი ტ ე — (ეფროსინეს) აბა რად იხოკები, შე ქალო?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (სიცილ-ტირილით) ეს რა მომივიდა! აგერ, წავთვლიმე და დამესიზმრა, ვითომ შენ მოკვდარიყავი.

ე ლ პ ი ტ ე — კარგი სიზმარია — დიდხანს ვიცოცხლებ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — შენი სიცოცხლე ნუ მომიშალოს ქეეუნიერეპის გამჩენმა.

ე ლ პ ი ტ ე — მე აგერ საცერი მოგიტანე. უშენოდ წავიღე და ეიფიქრე...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (აწყეტინებს) ყოფილიყო შენთან, შე ქალო, საცერი კი არა, შენთვის სული არ დამენანება.

ე ლ პ ი ტ ე — (წამოდგება) ეჰ, შენთან ჯდომა კი არ მომწყინდება, მაგრამ ხაპაპური დავტოვე კეცსა და კეცს შუა, დამეწვება. დამეწვიეთ ხაპაპურზე. (გადის)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უჰ, არ გადამიტრიალდა გული? (ეცრად) უიმე, ჭრიჭინა რომ გაიგებდა ამ ამბავს, არ გამწარდებოდა?

მ ა ყ ვ ა ლ ა — დეპეშა გავუგზავნოთ.

(გამოდის კ ო ხ ტ ა)

კოხტა, ფოსტამდე ვერ მიმიყვანე?

კ ო ხ ტ ა — რატომ არა.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (მაყვალას) აჰა, მისამართი (ქაღალდი გადასცა) მხოლოდ, დედაშვილობას, არაფერი შეგეშალოს.

მ ა ყ ვ ა ლ ა — ჯავრი ნუ გაქვთ! (ხაზგასმით) მეც ყველაფერში გარ-

კვეულობა შიყვარს. (ოხტა და მაყვალა გადიან. ეფროსინე ეზოს პგვის. ჭიშკარში შემოდის ჭრიჭინა ჩემოდნით ხელში)

ეფროსინე — (თვალი მოიჩრდილა) ჭრიჭინა ხარ, ბებია? (ჭრიჭინამ ჩემოდანს ხელი უშვა და ქვითინით მიაშურა ეფროსინეს) ოცოხალია, შვილო, ელპიტე, ოცოხალი. ვინ მოჭორა ასეთი სისულელე, ვინ გაგიხეთქა გული, ჩემო გულჩვილო გოგო! (უალერსებს) უიმე, უიმე, ელპიტეზე რომ ასე გამწარდი, ჩემს სიკვდილზე რაღას იზამ? მყოლია დამტირებელი, დედაა!!! დამშვიდდი, შემოგევლე, დამშვიდდი, ბებია გენაცვალოს! (დააკვირდება) რად არ მოკვდები! რა ფერი გადევს, გოგო? წამო, ლოგინს გაგიშლი.

ჭრიჭინა — არ მინდა ლოგინი.

ეფროსინე — რას ჰქვია არ გინდა? აგერ, ხელად საუზმეს გაგიკეთებ, ისაუზმე და ლოგინში ჩაწექი.

ჭრიჭინა — არ მინდა, არაფერი არ მინდა.

ეფროსინე — არ გამაგონო! მე ვიცი რაც გინდა. (ჩემოდანი ივანზე აიქეს) უსაქმურები! მატყუარები! ბავშვებს გულს უხეთქავენ. (შინ შედის)

ჭრიჭინა — ისევ მე ვეცოდები! რა ვქნა ახლა მე? ან ხალხს რა ვუთხრა, ან მამას როგორ გავუსწორო თვალი? (სკამზე ჩამოჯდება, იქვე მიყუდებულ თოხის ტარს ჩამოეყრდნობა, ჩაფიქრდება. ჭიშკარს კოლშეურნე ახალგაზრდები მოუახლოვდებიან)

პირველი ვაჟი — (ეზოში გადმოიხედავს) ოჰ, ჭრიჭინა! (ჭრიჭინა წამოხტება, მიმალვა უნდა, მაგრამ ვეღარ ახერხებს)

მეორე ვაჟი — არა და თბილისში წავიდაო?

მესამე ვაჟი — არ წასულხარ?

ჭრიჭინა — (უხერხულად) როგორ არა.

(ვაჟები ეზოში შემოდიან)

მეოთხე ვაჟი — რა არის, ამ კვირა დღეს თოხი რომ დაგიჭერია ხელში? ფრთხილად, ფეხი არ მოითალო!..

ჭრიჭინა — რას დამცინით, თოხი არ მჭერია ხელში თუ?

პირველი ვაჟი — არა და ინსტიტუტში მოსაწყობად წავიდაო? მოეწყვე?

ჭრიჭინა — არა.

მეოთხე ვაჟი — წიგნებს ჩამოიტანდი.

ჭრიჭინა — არა.

მესამე ვაჟი — მოგვიყევი თბილისის ამბები.

ჭრიჭინა — (წამოდგება) არა, ახლა ნუ მკითხავთ.

მეოთხე ვაჟი — (ჭიშკრისკენ მიდის) დაანებეთ თავი. ხომ ხედავთ,

ჩვენთვის არ სცალია. ალბათ რაიონმა გამოიწვია სასწრაფო საქმეების გამო და... წამოდით, წამოდით. (სიცილით გადიან. ისმის მოახლოებული ავტომანქანის ხმა. ვრიპინა ეზოს სიღრმისკენ გარბის. შემოდის კოხტა, ოთახში შეიხედავს, აივნის კიბეზე ჩამოჯდება, ვიშკართან გამოჩნდება შოთა თაიგულით ხელში)

შ ო თ ა — ბოდიში, მარინე ფერაძის სახლს ვერ მიმასწავლით?

კ ო ხ ტ ა — ჩვენს გმირს ეძებთ?

შ ო თ ა — დიახ.

კ ო ხ ტ ა — (ულოცავს) აგერ იმისი სახლი, მაგრამ თვითონ მარინე კი თბილისშია.

შ ო თ ა — თბილისიდან გუშინ საღამოს წამოვიდა.

კ ო ხ ტ ა — არა, ამხანაგო. მე თვითონ მელაპარაკა ტელეფონით თბილისიდან ამ ერთი საათის წინ. (გაოცებული შოთა სკამზე ჩამოჯდება. თაიგულს გვერდით მოიდებს)

შ ო თ ა — მაშ ბებიის დაკრძალვას არ დაესწრება?

კ ო ხ ტ ა — ვის დაკრძალვას?

შ ო თ ა — ელპიტე ბებიას დაკრძალვას.

კ ო ხ ტ ა — ჰა, ჰა, ჰა! ელპიტე ბებიას რა ჭირს დასაკრძალავი? ერთ ას წელს მაინც არ აპირებს სიკვდილს. ახლაც ისეთ ხაპაპურებს აპიწკინებდა, რომ ტყუილია უკეთესი!!

შ ო თ ა — (დაფიქრებით) არაფერი არ მესმის! ბოდიში, თქვენ ხომ არ ხუმრობთ?

კ ო ხ ტ ა — როგორ გეკადრებათ!

შ ო თ ა — კიდევ ბოდიში. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. (გადის. თაიგული სკამზე რჩება)

კ ო ხ ტ ა — მოდი ახლა, და ქალის იწამე რამე! მარინეც თუ ასეთი ეშმაკი იყო, ვინ მოიფიქრებდა? არა, ელპიტეს სიკვდილი მაინც რამ მოაგონებია? ეჰ, საწყალ გიორგის თვალი გზისკენ მიეჭცა, მარინე კი, თურმე... (იცინის. თაიგულს შენიშნავს) უჰ, ეს აქ დავიწყებია! (თაიგულით ხელში ქუჩაში გარბის) ამხანაგო, ამხანაგო! რა გარბის!! გაჭენებული ცხენი ვერ მიეწევა.

(ეზოში შემობრუნდება. ეზოს სიღრმიდან — აივნისკენ მიდის ვ რ ი ჭ ი ნ ა)

ვრიჭინა? (თვალს მოიფშვნეტს) შენ აქ რა გინდა?

ვ რ ი ჭ ი ნ ა — ძალიან გთხოვ, ნურაფერს მკითხავ.

კ ო ხ ტ ა — მაშ, ნება მომეცი, ამ პატარა თაიგულით შინ მშვიდობით დაბრუნება მოგილოცო. მოგწონს?

ვ რ ი ჭ ი ნ ა — (მექანიკურად) სად იშოვე?

კ ო ხ ტ ა — სპეციალურად შენთვის ჩამოვატანე.

ვ რ ი ჭ ი ნ ა — შენ... ძალიან კეთილი ხარ. (თაიგულს მექანიკურად ათვა-

ლიერებს. ბარათს შენიშნავს. ამოიღებს. კოხტა გარბის. ჭრიჭინა კითხულობს) „ძვირფას ბებია ელპიტეს ღრმა პატივისცემის ნიშნად. შოთასაგან". შოთა?? (ციმკრისკენ გარბის) შოთა! შოთა! წავიდა. (შემობრუნდება, მძიმედ ჩაფიქრდება. ეზოში ნ ი კ ი ფ ო რ ე და გ ი ო რ გ ი შევოდიან)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — აჰა, ხომ ვთქვი! შენ იპოვი ახლა კოხტას? (ჭრიჭინას შენიშნავს) ოჰო! ამას ვის ვხედავ! მაგრამ ეტყობა, ჩვენთვის ვიღაცას უკვე დაუსწრია და გმირისათვის თაიგული მოურთმევია. გაგეგებინებია, სადგურზე დაგხვედებოდით. მუსიკით, ზეიმით, ყვავილებით დაგხვდებოდით. შენ რას იტყვი, გიორგი, არ დაიმსახურა ქალმა, თუ? ერთ დღეში, ძმაო, ინსტიტუტი დაამთავრა და მშობლიურ კოლმეურნეობას აგრონომად მოევლინა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მამა, შენ ხომ არ იცი...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ვიცი, ყველაფერი ვიცი. მარინემ უკვე მაცნობა თბილისიდან შენი ამბავი. გილოცავ, გილოცავ! ასე უჯაფოდ და უწვალებლად შენი კოლმეურნეობაც ასახელე, გვარიც ღა ოჯახიც, ნაცნობ-უცნობი გააკვირვე, ირაკლის ოჯახიც გაახარე...

გ ი ო რ გ ი — (ხმადაბლა) კარგი, თავი დაანებე.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — არა, მაინც რად მოიჩქაროდი ასე შინ? ბადლი გექნა, რადიოში გამოსულიყავი, მთელი რესპუბლიკისათვის გაგეზიარებია შენი შესანიშნავი გამოცდილება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მამა, მირჩევნია მცემო, ვიდრე...

(გამოდის ე ფ რ ო ს ი ნ ე)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — გცემო? (გაცეცხლებული) იქნებ მართლა...

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რა იყო, ბიჭო, რამ გადაგრია? არ ხედავ, ისეც ალარაა ბავშვი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ისევ „ბავშვი"!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უნდა გიხაროდეს, რომ ასეთი კეთილი შვილი გყავს. ვიღაც სულელს ელპიტეს სიკვდილი მოუგონებია და...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (აწყვეტინებს) ვიცი. სანამ იმ სულელს ჭკუას არ ვასწავლი, არ იქნება ჩემი საშველი.

გ ი ო რ გ ი — (ხმადაბლა) კარგი, დაწყნარდი. აგერ, ჩამოვა მარინე და მაშინ გამოვარკვიოთ, მოვილაპარაკოთ. ახლა წამოდი, საავადმყოფოს მშენებლობას დავხედოთ. მიმართვაზეც ბეჭედია დასასმელი. (ხელს მოჰკიდებს, გაიყვანს)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ვის ჰგავს მაინც ასეთი ფიცხი! (ჭრიჭინას) წამო, ბებია გენაცვალოს, ლუკმა შეჭამე. (ჭრიჭინას შეანჯღრევს) შენ გეუბნები!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (დაფიქრებით) ბებია, მითხარი, თავი მაქვს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რას ამბობ, გოგო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ხელები? ხელები მაქვს?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რაიო? (მეპყივლა) ღმერთო მიშველე! უი, უი, უი, გონს მოდი, გოგო!!!

მეშვიდე სურათი

იმერეთის სოფლის მხიარული პეიზაჟი. წინა პლანზე ორი-სამი ტირიფი. ტირიფის ქვეშ, პატარა გორაკზე, რომელიც წყაროს ეფარება, წაწვენილია ფოთლებით თავდაცული ჩაფები და სურები. მარცხნივ სასოფლო შარაა. მარჯვნივ, სიღრმეში, ვენახის ნაწილი. ვენახიდან ისმის ქალების ნელი სიმღერა. გამოდიან გ ი ო რ გ ი, ნ ი კ ი ფ ო რ ე და მ ა რ ი ნ ე.

გ ი ო რ გ ი — ... არა, ჭრიჭინას რომ სწავლა დომებოდა, ასე უბრალოდ არ გამოიქცეოდა თბილისიდან.

მ ა რ ი ნ ე — ამ შემთხვევაში ჭრიჭინა არაა დამნაშავე.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ასეა თუ ისე, გოგოს მიხედვა უნდა. ერთი პარტორგი ხართ, მეორე — კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი და ბოლოს და ბოლოს ვისი საქმეა, აბა, ახალგაზრდების აღზრდა?

გ ი ო რ გ ი — მე მგონია, მამაც არ უნდა იყოს ამ საქმეში მთლად გარეშე ადამიანი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მამამ რა ქნას? არ ხედავთ, მთელი კოლმეურნეობა ჩემს კისერზეა? ხანდახან პურის საქმელადაც ვერ შევდივარ შინ.

გ ი ო რ გ ი — ეგ არ გამართლებს.

მ ა რ ი ნ ე — რაც მართალია, მართალია, გიორგი, ამ საქმეში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (დაფიქრებით) ისე... თითქო დაფიქრებულივით კი მეჩვენება. მინდოდა გამოელაპარაკებოდი, მაგრამ...

გ ი ო რ გ ი — რომ არ იცი, როგორ უნდა შეილთან ლაპარაკი?!

მ ა რ ი ნ ე — ეგ საქმე მე მომანდეთ. მე მოვუელი მარინეს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — შენ იცი! გეხვეწები, მიშველე! გიორგი, მე კალისტრატეს ნაკვეთში ვიქნები. (გაღის)

გ ი ო რ გ ი — (მღელვარედ) მე... ვერ წარმომიდგენია, რომ შენს ახლოს, შენს გვერდით მყოფი ადამიანი... მე მინდოდა მეთქვა...

მ ა რ ი ნ ე — რა?

გ ი ო რ გ ი — (დაბნეულად) მე მინდოდა მეთქვა... (უეცრად) მაინც საბოლოოდ რა პასუხს მეუბნები?

მ ა რ ი ნ ე — შემოდგომამდე უნდა მიცადო.

გ ი ო რ გ ი — ეჰ! ესე იგი კიდევ მთელი სამი თვე! (ისმის მოახლოებული მანქანის დამუხრუჭების ხმა და ქათმის კრიახი) არა, შენ რომ გიყვარდე...

მ ა რ ი ნ ე — სსუ! კოხტა მოდის. (შემოდის კოხტა. ხელში ქათამი უჭირავს. გიორგისა და მარინეს დანახვისას ქათამს დამალავს) გიორგი, ხედავ, რა კარგად ასხია იმ ვაზებს? (ვენახისკენ მიდის)

გ ი ო რ გ ი — არა, მეევენახეობაში ჩვენ ყოველთვის კარგად გვქონდა საქმე, მაგრამ მეაბრეშუმეობა...

კ ო ხ ტ ა — თავმჯდომარე არ არის აქ?

გ ი ო რ გ ი — ახლავე მოვა. (მარინეს მიუყვება)

კ ო ხ ტ ა — უჰ! (შებლზე ოფლს იწმენდს. ქათამს ბუჩქში შემალავს. წყაროსთან ჩამოჯდება. სახეზე წყალს შეისხამს)

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ვენახიდან გამოდის) გილოცავ კიდევ ერთ გამარჯვებას.

კ ო ხ ტ ა — ვინ გითხრა?

მ ა ყ ვ ა ლ ა — დავინახე.

კ ო ხ ტ ა — არა, ასეთი ჩერჩეტი ფრინველის მნახველი არა ვარ. პირდაპირ ქვეშ უვარდებიან მანქანას და ისიც ჩემს მანქანას!

მ ა ყ ვ ა ლ ა — ეტყობა, შენი ინტერესი აქვთ. თორემ, აბა, თვით მკვლელობისათვის რაღა შენს მანქანას აარჩევდნენ.

კ ო ხ ტ ა — შენ გახუმროს კაცმა და სხვა არაფერი გინდა, ერთი მეც მკითხე! (ამ დიალოგის დროს გორაკიდან ჩამოირბენს ჭრიჭინა, ვენახში შედის, განცალკევებით დადგება და მუშაობას შეუდგება)

მ ა ყ ვ ა ლ ა — (აენთება) მერე და ვისი ბრალია? მანქანას ფრთხილად უნდა ტარება. არც კი გრცხვენია! — ბავშვებიც კი „ქათმის ჭირს“ გეძახიან. (ცრემლი მოერევა)

კ ო ხ ტ ა — რაო, რაო, რაო? ეგ რაღას ნიშნავს?

(შემოდის ც ქ რ ი ა ლ ა)

ც ქ რ ი ა ლ ა — (რიხიანად) თავმჯდომარე აქაა?

კ ო ხ ტ ა — არა, ცქრიალა.

ც ქ რ ი ა ლ ა — არც ფერმაშია, არც სკოლაში, არც მშენებლობაზე. დილიდან ჩემს მუხლებს არ მოუსვენია, მაგრამ რომ ვერსად მივაკვლიე? ამდენი სირბილის თავი მაქვს ახლა მე?

მ ა ყ ვ ა ლ ა — ასე რამ შეგაწუხა, არ იტყვი?

ც ქ რ ი ა ლ ა — შემაწუხა კი არა, გავთავდი ქალი და ესაა! უნდა გადამიყვანოს ნიკიფორემ სხვა სამუშაოზე, დღე და ღამე ეი მუშაევებ. ახოებს ძირიანა ამოვაბრუნებ, ხეებს საკუთარი ხელით დავთხრი, ოღონდ იმ წყეულ აბრეშუმის ჭიას მომაშოროს.

 კ ო ხ ტ ა — დინჯად, ცქრიალა, დინჯად, თორემ დაგეხარჯება მთელი ტყვია-წამალი და რიღათი მიიტან ნიკიფორეზე იერიშს?

ც ქ რ ი ა ლ ა — შენ შენს მანქანას მოუარე!

კ ო ხ ტ ა — ცქრიალა, მგონია, შენს ბიჭიკოს საცივი უყვარს, არა?

ც ქ რ ი ა ლ ა — ეგ საიდან გაგახსენდა?

კ ო ხ ტ ა — (ბუჩქიდან დამალული ქათამი გამოათრია) სულ იმაზე ვფიქრობ, რა გასიამოვნო. აბა, გააკეთე საცივი, მოუჯექით შენ და შენი მეუღლე სუფრას და ისროლეთ ქუდი ჭერში.

ც ქ რ ი ა ლ ა — (სიცილით) კიდევ გაქეიფეე, შე შეჩვენებულო?

კ ო ხ ტ ა — ვიცოდე მაინც ვისია! (ცქრიალას გადასცემს)

ც ქ რ ი ა ლ ა — მოიცა, მოიცა! (ქათამს დააკვირდება, შეკიცლებს) უი! ეს ხომ ჩემი ქათამია? ჩემი კრუხი, ჩემი საუკეთესო კრუხი! რა გიქნია ეს, შე უაჩალო! ეს არის საქმე? ვინ გამომიჩეკავს ახლა, ბიჭო, წიწილებს? იქნებ შენ დაჯდები საბუდარზე, ა?

კ ო ხ ტ ა — (დაბნეულად) კარგი, შე ქალო! ოღონდ გაჩუმდი და ქათმების მეტი რა მყავს! თუ გინდა ამის საბადლოდ ათი წაიყვანე.

ც ქ რ ი ა ლ ა — ვის უნდა შენი მოწყალება, შე ქათმის ჭირო, შენ! უი, უი, უი, ჩემი კრუხი, ჩემი საყვარელი კრუხი!

(გაგულისებული გადის)

მ ა ყ ვ ა ლ ა — (სიცილით) დიდი მადლობა კი მიიღე საჩუქრისათვის, კოხტა!

კ ო ხ ტ ა — მაგისი თუ იყო, რა ვიცოდი!

(ვენახის სიღრმიდან ჭრიჭინასკენ მოდის ე ფ რ ო ს ი ნ ე)

ე ფ რ ო ს ი ნ ე — შენც სამუშაოდ ჩამოხვედი, შვილო? ყოჩაღ, ყოჩაღ, აგრე უნდა, ბებიკო, აბა!! (მიუახლოვდება) უი, ღმერთო მომკალი და ესაა! რა გიქნია, გოგო! ასეთი ულორტები რომ ჩამოგიტეხია ვაზისთვის, რაღა დაუტოვე? ამას ჰქვია გაფურჩქვნა? (ათვალიერებს) ამას რას ვხედავ, როგორ მიგიღრჩვია, გოგო, სარზე, ასე იხეირებს ვენახი? აქ სათამაშოდ ჩამოხვედი, თუ? ვერ გვკითხე, რომ გვესწავლებია? (ჭრიჭინა შეშფოთებული დგას) ერთი, ორი... კიდევ კარგი, ორის მეტი ვაზის წახდენა ვერ მოგისწრია, თორემ... უიმე, არ გადამიტრიალდა გული? (მაყვალა და კოხტა ჭრიჭინასაკენ გარბიან. ვენახის სიღრმიდანაც აქეთ მოდიან ქალები, ვაზებს დახედავენ, იცინიან)

მ ა რ ი ნ ე — (ქალებს მიაშურებს) რა იყო, რა ამბავია, რას იცინით?

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ვაზებზე უთითებს) ა!

მ ა რ ი ნ ე — მერე და რა არის აქ ასეთი სასაცილო! ერთი შეცდომა ვის არ მოსვლია?

მ ა ყ ვ ა ლ ა — (სიცილით) არა, მაინცდამაინც კი არც არაფერი წაუხდენია, მაგრამ....

მ ა რ ი ნ ე — ჰოდა, მითუმეტეს! (ჭრიჭინას) შენ მუშაობა მოინდომე და... (ასწავლის) აი, ასე! აი, ასე!

მ ა ყ ვ ა ლ ა — უი, ცალი ფეხსაცმლის ქუსლი? ეგერ ჩაგრჩენია ტალახში.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — დამცინი?

ვ ა ყ ვ ა ლ ა — (მოეხვევა) კი ნუ გეწყინება, ჭრიჭინა! დაცინვა რას ჰქვია, რა გაქეს დასაცინი. თუ მოინდომე, რითა ხარ ჩვენზე ნაკლები, მაგრამ ვენახში ასე ჩამოსვლა...

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი — ჩვენც ის არ გვინდა, რომ შენ შრომაშიც ჩვენთან იყო? აგერ, ხვალ ზედა ვენახში მივდივართ სამუშაოდ და...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მეც წამოვალ.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — რაიო?

მ ა ყ ვ ა ლ ა — მეც თქვენთან წამოვალ სამუშაოდო.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — ჩონგური და გიტარა არ დამანახო ვენახში და ისე თუ რამეს გააკეთებ... აბა, წავიდეთ, წავიდეთ, ქალებო, ვიეხედოთ ჩვენს საქმეს.

(ვენახის სიღრმეში შედიან. ჭრიჭინა და მარინე ვაზებს მიუბრუნდებიან, მუშაობენ)

მ ა რ ი ნ ე — (ჭრიჭინას შეავლებს თვალს, ეღიმება, პირს მიიბრუნებს) რაო ეფროსინე ბებიამ? ვენახში ჩონგური და გიტარა არ დამანახოო? (ვენახიდან ისმის ქალების ნელი ღიღინი. მარინე ნამუშევარს დახედავს) ოოო! მოწაფეც ასეთი უნდა! როგორ გეტყობა მონდომებულად რომ მუშაობ!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მარტო მონდომება რომ კმაროდეს, ე! ე! (ვაზებზე უთითებს)

მ ა რ ი ნ ე — რატომ, უნარი გაკლია თუ? გახსოვს, პატარაობისას ყოველგვარ საქმეში რომ შენ გვჯობნიდი? მთავარი მოხდომებაა! (მცდელი თვალით უცქერის) შენ თუ მოინდომე, ვინ გაჯობებს? ისე... შეცდომა ვის არ მოსვლია. (ჭრიჭინა პირმიბრუნებული მუშაობს) მოწყენილი ხარ, ჩაფიქრებული... აღარც შენი გიტარის და სიმღერის ხმა ისმის. მოიხედე აქეთ! ისე მარიდებ პირს ნამდვილად ნაწყენი ხარ ჩემზე. ვფიქრობ და ვერ მომიფიქრია, რა დაგიშავე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (სწრაფად შემობრუნდება) რას ამბობ, მარინე, შენ, შენ რა უნდა დაგეშავებია ჩემთვის? პირიქით, მე ვარ შენს წინა-

შე დამნაშავე... ახლა ნუ მკითხავ და შემდეგ... მე თვითონ გეტყვი.

მ ა რ ი ნ ე — არც გკითხავ, არც გკიცხავ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაშ შენ გჯერა. რომ მე განგებ არ...

მ ა რ ი ნ ე — მჯერა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მარინეს კისერზე შემოეკვრ) გენაცვალე. მარინე! რომ იცოდე, რომ იცოდე რა კარგი ხარ, როგორ მიყვარხარ! მაშ გჯერა? გჯერა?

მ ა რ ი ნ ე — უჰ, დამალრჩე და ესაა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მხიარულად) მაშ გჯერა? (მუშაობს) უი, საქმეც რა საბალისო ყოფილა! (იწყებს ღიღინს)

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა,
სად იყო და სად არა...

მარინე, ამყევი! შენ გენაცვალე, ამყევი!

მ ა რ ი ნ ე — რას ამბობ, მე რომ არ ვმღერი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — პატარაობისას ერთად არ ვმღეროდით? აბა, აბა! გენაცვალე, შემოგევლე, ჭირიმე, ამყევი, ამყევი! (იმეორებს)

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა...

მ ა რ ი ნ ე — შენ რომ კაცს შეუჩნდები... მერე და სიმღერა და მუშაობა ერთად შეიძლება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აბა, სინჯე, სინჯე! (მარინე გაუბედავად აყვება ღიღინს. მუშაობენ და ხმადაბლა მღერიან)

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა
სად იყო და სად არა,
ყვავილების ჭრელაჭრელა
თავზე გადმოგვაყარა...

აგრე, გენაცვალე, აგრე! რომ იცოდე, როგორ გიხდება სიმღერა. ახლა რომ გიორგიმ დაგინახოს...

მ ა რ ი ნ ე — (წარბს შეიკრავს) გიორგიმ კი არა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — წარმომიდგენია, როგორ მოეწონები! ისეთი კარგი ხარ, ისეთი მშვენიერი... მხოლოდ გიორგი კი მეცოდება.

მ ა რ ი ნ ე — (უხერხულად) რად გეცოდება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ამოიოხრებს) რა და „საბრალოა სიყვარული"...

მ ა რ ი ნ ე — (პირს მიიბრუნებს) რა დროს სიყვარულია!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (გაოცებით) როგორ, უსიყვარულოდ განა სიცოცხლე შეიძლება? (ამოიოხრებს) ეჰ, მე რომ შენსავით მქონდეს საქმე...

მ ა რ ი ნ ე — რაო, შოთა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ნუ მკითხავ... შემდეგ... გეტყვი და... უნდა მირჩიო, დამარიგო...

(განაგრძობენ სიმღერას)
შენ კი საღ ხარ? მსურდა მეთქვა,
რასაც ამბობს გულის ფეთქვა
დაფარულად.
რაც შენს სახელს შორით ვუელი,
აგერ, ჭრელი გაზაფხული
გაპარულა.

(წყაროს მიხეილი და ციცინო უახლოვდებიან)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (დაინახავს) ნეტავი ვინ არიან?

მ ა რ ი ნ ე — მოიცა, მოიცა, იმ ერთს შორიდან კიცნობ, თხილნარელი მეაბრეშუმეა, ციცინოს ეძახიან. მაგ საქმეში კი გვაჯობეს თხილნარელებმა. მერე და ჩვენს სოფელს ბეოლეთი მაინც არ ერქვას. სასირცხვილო საქმე გვჭირს სწორედ! ნეტავი რაზე მოსულან?

მ ი ხ ე ი ლ ი — ქალიშვილო! (ჭრიჭინა სტუმრებთან მიირბენს) გამარჯობათ!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — გამარჯობათ, მობრძანდით!

მ ი ხ ე ი ლ ი — ჩვენ თავმჯდომარის, ნიკიფორე ფერაძის ნახვა გვინდა და აქეთ მოგვასწავლეს კანტორიდან.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — დიახ, იქითაა ვენახში.

მ ი ხ ე ი ლ ი — გარდა ამისა, ნიკიფორეს ქალიშვილი გვინდოდა გვენახა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აქ ორი ნიკიფორეა.

ც ი ც ი ნ ო — ჩვენ მარინე გვინდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მხიარულად) მარინეც ორია.

მ ი ხ ე ი ლ ი — კი, მაგრამ (სიცილით) თქვენს სოფელში გვითხრეს, ერთს „ჭრიჭინა" ჰქვიაო. აჰ, აჰ! ჭრიჭინა საქმის ქალს არ ერქმევა! ჭრიჭინა ჩვენ არ გამოგვადგება. (ციცინო იცინის) ჩვენ, გმირი რომაა, იმისი ნახვა გვინდა, მისი გამოცდილების გაზიარება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (უხერხულად) კი, ბატონო, კი, ბატონო! ეგერ ის გმირი. (სტუმრები მარინესკენ მიდიან. ესალმებიან და ხმადაბალი ლაპარაკით შედიან ვენახის სიღრმეში)

მ ა რ ი ნ ეს ხ მ ა — მაყვალა! თავმჯდომარეს კითხულობენ, სტუმრებია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მოდი ახლა და ნუ გასკდები, გულო! პირი ხომ აბ

შეკრა ნეტავ სოფელმა და ქალაქმა? ესენი გინდა არიან, მე რომ დამცინეს, რით იწონებენ თავს? ჰმ! აბრეშუმი!! დიდი საქმე! (დაფიქრდება) აბრეშუმი? აბრეშუმი... აბრეშუმი... აბრეშუმს რა უნდა თუთის ფოთლის მეტი? აგერ, თუთის ხეც! (აჩქარებით გადის. შემოდიან ნიკიფორე და გიორგი)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — სად იქნებიან?

გ ი ო რ გ ი — (იძახის) მარინე!

მ ა რ ი ნ ე ს ხ მ ა — მოვდიოვართ, მოვდიოვართ.

(გამოდიან მარინე, მიხეილი და ციცინო)

მ ა რ ი ნ ე — გაიცანით.

მ ი ხ ე ი ლ ი — (ნიკიფორეს) ჩვენ ჩხარის რაიონიდან ვართ, კოლმეურნეობა „განთიადიდან". მე მევენახეობის ბრიგადირი მიხეილ უზნაძე, ეს კი ჩვენი რაიონის თვალი, ჩვენი საუკეთესო მეაბრეშუმე, ციცინო შარიქაძე.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ოო, სასიამოვნოა, სასიამოვნო. გაიცანით — ეს ჩვენი პარტორგია, გიორგი ჭელიძე.

მ ი ხ ე ი ლ ი — ჩვენ ბევრი გვსმენია თქვენი კოლმეურნეობის მიღწევებზე და გადავწყვიტეთ გამოგიწვიოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მე და ამხანაგ შარიქაძეს გვხვდა წილად საპატიო მოვალეობა, დაგიდოთ თქვენთან ხელშეკრულება. (ნიკიფორეს ქაღალდს გაუწოდებს) სწორედ დიდად ვისიამოვნეთ თქვენ ვენახზე თვალის გადაგლებით. (ღიმილით მიუახლოვდა მარინეს) ამხანაგმა მარინემ ისე გაითქვა სახელი, რომ (ეეცრად) მარინე ნიკიფორეს ასული ფერაძე, არა? რატომ ვერ მოვისაზრე, რომ ეს თქვენი ქალიშვილია? გილოცავთ და...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (დაბნეულად) ა-ა-რა.. ჩემი ქალიშვილი გმირი არაა... ისე კი.. რაც შეეხება (ხაბალადეეი ღიმილით) ეს მარინეც, რა თქმა უნდა, ჩემი ქალიშვილია. ესე იგი, ჩემი კოლმეურნეობის ქალიშვილი.

ც ი ც ი ნ ო — მე მინდოდა თქვენს მეაბრეშუმეობას გავცნობოდი.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მაგ საქმეში კი ჯერჯერობით ვერაფრით მოვიწონებთ თავს.

ც ი ც ი ნ ო — არ ეწევით, თუ?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — როგორ არა, მაგრამ...

გ ი ო რ გ ი — მხოლოდ ახლა ვაშენებთ საჭიე სახლს.

(შემოდის ცქრიალა)

მ ი ხ ე ი ლ ი — მთავარია კარგი მეაბრეშუმეები და მაგ საქმის აწევა არ გაგიჭირდებათ.

ც ქ რ ი ა ლ ა — ძლივს არ გიპოვე, ნიკიფორე?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ხომ ხედავ, ახლა არ მცალია.

ც ქ რ ი ა ლ ა — აარა, გენაცვალე, არ გამაგონო! მე შენს ძებნაში მუხლები დამაწყდა. ოფიციალურად გიცხადებ, შემკამეს ცოცხლად შენმა აბრეშუმის ჭიებმა.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ნაძალადევი გაღიმებით) რა ვიცი, გარედან კი არ გეტყობა და...

ც ქ რ ი ა ლ ა — იცინე, იცინე! ჩემს დღეში იყო, ენახავ როგორც გაიცინებდი. ჭამა-სმა შემძულდა, სიცოცხლე შემძულდა, სახმრადაც კი ის შეჩვენებული ჭიები მელანდებიან.

ც ი ც ი ნ ო — ვერ გამიგია, რად შეიძულეთ ასე ის საცოდავი ჭიები?

ც ქ რ ი ა ლ ა — რად უნდა შემყვარებოდნენ? ღორებივით ითქვლიფებიან და ბუზებივით წყდებიან. პასუხი კი შენ აგე, ცქრიალა! ის გასაწყვეტები თითო ტომარა ფოთოლს თვალის დახამხამებაში აქრობენ და ადვილია ხეებზე პოტიალი, ისიც ჩემი ტანის ქალისთვის?

(ვენახიდან გამოდიან ქალები ეფროსინესთან ერთად)

გ ი ო რ გ ი — (ხმადაბლა) კარგი ახლა, რა დროს ეგაა?

ც ქ რ ი ა ლ ა — შენც კარგი ხარ. შენთვის რომ ეკითხა კაცს, წყნარი სამუშაოაო, მშვიდობიანიო...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ღიმილით სტუმრებს) ბოდიში, მაგრამ ჩვენი ცქრიალა ცოტა ფიცხია და... გაჩუმდი, გაჩუმდი!

ც ქ რ ი ა ლ ა — გაჩუმდი, გაჩუმდი! შენი ქალიშვილი ხომ ვერ გაიმეტე ამ საქმისათვის? შეგეცოდა, არა? მე თუ მკითხავ, აბა, სწორედ საიმისო საქმეა ჭიის მოვლა. ისეც ხეებზეა ნახევარ-ჯერ გასული. ტყუილად კი არ შეარქვეს ჭრიჭინა.

(იქვე ახლო ისმის ტოტის ლაწანის ხმა და თავშეკავებული შეკიელება)

მ ა ყ ვ ა ლ ა — (შეპყეირა) უიმე, მგონი ვიღაც ჩამოვარდა თუთის ხიდან.

(ყველანი იქით გარბიან. ეფროსინეც მათ მისდევს. მცირე ხნის შემდეგ ბრუნდებიან ჭ რ ი ჭ ი ნ ა ს თ ა ნ ერთად. ჭრიჭინა ნაძალადევად ილიმება, კაბას იბერტყავს. ყველანი ირგვლივ ეხვევიან)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ვაიმე, შვილო, ექიმი, ექიმი!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — არაა... საჭირო.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უიმე, რად არ მოვკვდები! გოგო, ხელ-ფეხი მოიბინჯე, იქნებ მოიტეხე რამე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ნაძალადევი ღიმილით) მოვისინჯო რა, სხვისია თუ?

გ ი ო რ გ ი — არაფერი გტკივა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მხოლოდ... ხელი... ცოტათი.

ც ქ რ ი ა ლ ა — რა ეშველება, აბა, შენს ჩონგურს და გიტარას?

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ხმადაბლა) რა დროს ჩონგური და გიტარაა!

მ ი ხ ე ი ლ ი — დაგეწვინათ, იქნებ ცუდადაა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — არა, ხეზე რა გინდოდა?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ხეზე რა გინდოდა?

მ ა რ ი ნ ე — (ხმადაბლა) ჰო, რა გინდოდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ასევე ხმადაბლა მარინეს) ფოთოლი ცქრიალას აბრეშუმის ჭიისათვის.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — არა, არ იქნება შენგან სიკეთე! (სტუმრებს) ბოდიში... წამობრძანდით, გავაფორმოთ ხელშეკრულება. ისე... (ნაძალადევი გაღიმებით) რომ დავიტრაბახოთ, ყველაფერი რიგზეა-თქო, როგორც ხედავთ...

მ ი ხ ე ი ლ ი — (ღიმილით) არაფერია, არაფერი! (ნიკიფორეს და გიორგის მიჰყვებიან)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხმადაბლა) მამა!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (მობრუნდება) რა გინდა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (განზე გაიყვანს, ხმადაბლა) მე.. ყველაფერი მესმოდა... ნება მომეცი მე მოვუარო ცქრიალას აბრეშუმის ჭიებს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მეყო, მეყო რაც თავი მომჭერი! ჩონგურ-გიტარით და ცეკვა-სიმღერით ჭიებს ვერ გამოკვებავ. (ხელს ჩაიქნევს, აჩქარებით გადის)

მერვე სურათი

ნიკიფორეს ეზოს ერთი კუთხე. წნელით მოწნული სასიმინდე. თუთის ხე. ხეზე პატარა კიბეა მიდგმული.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხეზეა. ფოთოლს კრეფს. ხმადაბლა ღიღინებს)

ტანბრიალა აბრეშუმი
ათასფერად მოხატული,
თქვენი საჩექარია!..
თავს გეელებით სიყვარულით,
თავს გეელებით სიხარულით,
გიელით და მიხარია!

გაიხარეთ, გამახარეთ,
დამილოცონ ხელები!
დასრულდით და დაიზარდეთ,
აგრემც შემოგეელებით,
ჩემო ჭიებო,
პაწაწინებო!

ს ო ხ ტ ა ეზოს მოპირდაპირე კუთხიდან, ხეს მოფარებული, ინტერესით ადევნებს ჭრიჭინას თვალს, რომელიც ფოთლით ავსებული კალთით ხიდან ჩამოდის. კოხტა მისკენ მიდის. ღიმილით უცქერის. ჭრიჭინა კოხტას შეამჩნევს. კიბეზე შეჩერდება. უნებლიეთ, ხმადაბლა შეკივლებს) აჰ!

კ ო ხ ტ ა — (ღიმილით უახლოვდება) რამ შეგაშინა, ასეთი საფრთხობელა ვარ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (უხერხულად იცინის. კიბეზე ჩამოდის) სულ არ გელოდი.

კ ო ხ ტ ა — (ეშმაკური ღიმილით ანიშნებს კალთაზე) ამ საგზალთან ზედ ერთი დოქი ღვინოც რომ მოგეყოლებინა...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (უხერხულად) რას ამბობ, რა საგზალი?

კ ო ხ ტ ა — თან ისეთ ტკბილ ნანასაც უმღერდი, რომ...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აჰ!.. ნანას კი არა!..

კ ო ხ ტ ა — (იცინის) არ იცი, რომ ვერაფერს გამომაპარებ? ან რა არის აქ დასაფიცი? შენ იქ (ოთახზე უთითებს) აბრეშუმის ჭია გყავს!..

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (შიიხედ-მოიხედავს) სუ, არავინ გაიგონოს!

კ ო ხ ტ ა — (გაოცებით) როგორ, არავინ იცის, თუ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ბებიას მეტმა არავინ!

კ ო ხ ტ ა — არც მარინემ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — არა, ჯერ არა! (ღიმილით) ასე არ სჯობს? თუ წინდაწინ ვიყვირე და ქვეყანა შევყარე... პარკით ავსებულ გოდრებს ავტომანქანებით რომ გავატარებ სოფელზე, მაშინ ვერ გაიგებენ? (კოხტას შეხედავს) არა, შენ არ გეგონოს, რომ დაფარულად... რაიონში ყველაფერი გაფორმებულია, მხოლოდ მამაშ არ იცის.

კ ო ხ ტ ა — ბებია გეხმარება?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — არა! მე ვერ მოვერევი?

კ ო ხ ტ ა — კი მაგრამ... მარტო შენ, ისიც გამოუცდელი...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აბა მთელი სოფელი უნდა დამხმარებოდა? იცი, რა ჭიებია! — ნახე, თუ სარეკორდო ფოსავალი არ მივიღო!

კ ო ხ ტ ა — „სარეკორდო“? საინტერესოა!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — გინდა ნახო? წამოდი! (სასიმინდესთან მიიყვანს, კარს გააღებს. გამოჩნდება მაგიდები ლასტებით. ლასტებზე თუთის ფოთლებს აბნევს. თავმომწონედ) როგორ მოგწონს?

კ ო ხ ტ ა — კარგია! თუმცა ჩემთვის რომ გეკითხა... თუ მუშაობა გინდოდა, ჩემთან მოსულიყავი, ავტომანქანის მართვას გასწავლიდი!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხალათზე მოკიდებს ხელს) იცი, რომ ეს ამათი გაკეთებულია? (ქიებზე უთითებს) არ მოგწონს?

 კ ო ხ ტ ა — (უხერხულად) როგორ არა, მაგრამ...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჰოდა რითაა აბრეშუმის წარმოება სხვაზე ნაკლები? (სიყვარულით დასცქერის ლასტებს. ათვალიერებს, ფოთოლს ასწორებს, თან ღიღინებს)

ჩემო ჭიებო,
პაწაწინებო!..

(შეკრთება შეჰკიოლებს) ვაიმე!

კ ო ხ ტ ა — რა იყო, რა მოგივიდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ცოცის ხელში აიყვანს. აკვირდება. შეშოფთებით) ავადაა, უთუოდ ავად! როგორ უსიცოცხლოდ გამოიყურება. ვარდისფერი გადაჰკრავს... (ლასტებს აკვირდება) აგერ, აგერ კიდევ! დავიღუპე! ვაიმე, ჩემო სიყვარულით ნაზარდო ჭიებო! (ცოცს ლასტზე სვამს. ცრემლი ერევა. ჯიბიდან ხელსახოცს იღებს. ხელსახოცს პატარა ფოტო-სურათი ამოჰყვება და ძირს ვარდება. კოხტა ასაღებად დაიხრება, მაგრამ ჭრიჭინა შეამჩნევს, დასწვდება, იღებს და ჯიბეში იდებს. პირს იბრუნებს და ცრემლს იწმენდს)

კ ო ხ ტ ა — (დაინტერესებულ მზერას გააყოლებს სურათს. თავისთვის) მენახა მაინც, ვინაა? უთუოდ ჭრიჭინას შეყვარებული!..

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხმის კანკალით) შენ როგორ ფიქრობ, კოხტა, აღარაფერი ეშველებათ?

კ ო ხ ტ ა — ვის, რას?...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (თვალცრემლიანი შემობრუნდება. გაოცებით შეხედავს კოხტას) ჭიებს, შე კაი კაცო! (გაფითრებულია, საცოდავად გამოიყურება)

კ ო ხ ტ ა — ჰოო.. ჭიებს? რა იქნება ასე უსაშველო? ბოლოდ უნდა იკითხო, გაიგო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ვის ვკითხო?

კ ო ხ ტ ა — მოდი, მაყვალას დავუძახებ (ვასაქცევად გაემზადება)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჩემზე მეტი არც მაყვალამ იცის. მარინეს?

კ ო ხ ტ ა — მარინე რომ მეაბრეშუმე არაა? ცქრიალას ხომ...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — აჰ, არა, არა! ისევ მარინეს.

კ ო ხ ტ ა — ამ წუთში აქ მოვიყვან! აქეთ რომ მოვდიოდი, ფერმაში დავინახე... (გარბის)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ლასტებს ათვალიერებს) ა, აგერ, აგერ, კიდევ!.. ბებია მაინც იყოს შინ!.. (სკამზე ჩამოჯდება, ჩაფიქრდება, შემოდიან მ ა რ ი ნ ე და კ ო ხ ტ ა)

მ ა რ ი ნ ე — (სასიმინდეში შეიხედავს) ოჰო!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ზეზე წამოიკრება. მარინესთან მიირბენს. აცრემლებული შემოეხვევა) მარინე, გენაცვალე! ისევ შენ უნდა მიშველო!

მ ა რ ი ნ ე — (გაოცებით) რაშია საქმე? რა მოხდა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ხელს დაავლებს. ლასტთან მიპყავს. ჭიას უჩვენებს) ხედავ?

მ ა რ ი ნ ე — (ჭიას ხელში აიყვანს. აკვირდება. წარბს იკრავს) ბევრია ასეთი? (სამივენი ათვალიერებენ) აგერ, აგერ კიდევ! დღეს პირველად შეამჩნიე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — პირველად!

მ ა რ ი ნ ე — (ჭიას აკვირდება) ამ დაავადებას მუსკარდინა ანუ კირით დაავადება უნდა ერქვას. (სასიმინდეს თვალს მოაკლებს) არა, მაინც გასაოცარია, რად გჭირდებოდა ასე დამალულად...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მღელვარედ) ხომ გახსოვს, მამამ რა მიპასუხა... მე ისე მინდოდა...

მ ა რ ი ნ ე — (აწყვეტინებს) გასაგებია! მაგრამ ყველაფერს რომ ცოდნა ჭირდება? ძალიან კარგი საქმისათვის მოგიკიდნია ხელი, მაგრამ არ გაგიგონია: მარტოხელა კაცი პურის ჭამაშიაც ცოდვაა? რგოლი უნდა ჩამოგეყალიბებინა, გამოცდილი მეაბრეშუმეებისათვის გეკითხა... შენ ოღონდ მოინდომე და ახმეტის რაიონში გაგგზავნით ქისტაურული მეთოდის ასათვისებლად. საჭირო ლიტერატურასაც შევიძენთ!.. ბოლოს და ბოლოს, ციცინო დაგვეხმარება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (შეწუხებული სახით) ესენი კი დაიღუპებიან, სულ დაიღუპებიან?

მ ა რ ი ნ ე — არა, მაგრამ სარეკორდო მოსავალს...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ოღონდ ნუ დაიღუპებიან...

მ ა რ ი ნ ე — დღესვე რაიონში ინსტრუქტორს უნდა ვკითხოთ. ჭიების გადარჩევა კი აუცილებელია!.. დამატებითი ლასტებიც დაგვჭირდება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ლასტები... ლასტები რომ აღარა მაქვს?

კ ო ხ ტ ა — ოღონდ შენ დამშვიდდი და ლასტებს დაეწნავ კი არა, რაც თუთის ხეებია ამ სოფელში, თუ გინდა იმათაც მოეთხრი და შენს ეზოში დავრგავ. (გარბის)

მ ა რ ი ნ ე — აბა, დროს ნულარ დავკარგავთ! სასწრაფოდ გადავარჩიოთ. (არჩევენ)

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მეცხრე სურათი

შემდეგი წლის ზაფხული. თუთების ხეივანი. მარჯვნივ საქეი სახლი, იქვე ბოძი ელექტროგაყვანილობისათვის. მარცხნივ, თუთის დიდი ხის ქვეშ — მაგიდა და ხის მოგრძო სკამი.

საღამოდება. საქეი სახლიდან გამოდის ეფროსინე. სკამზე ჯდება. მოშორებით, ბუჩქიდან გაისმის ბულბულის საამო სტვენა.

ეფროსინე — (ყურს უგდებს) იფ, შენ გაიხარე! (გაოცებით უყურის ბუჩქს) კი, მაგრამ ეს ბუჩქი საიდან გაჩნდა, აქ? (ბუჩქი შეირხევა. პირჯვარს იწერს) ღმერთო, შენ მიშველე! („ბუჩქის" ტოტებს გადაყრ-გადმოყრის, კისკისით წამოიკრება ზეზე ჭრიჟინა, მიირბენს ეფროსინესთან და კისერზე შემოეკვლობა)

ეფროსინე — (სიცილით) რაღა გეთამაშება, გოგო? წელი ჩაგწყდა მუშაობაში. ფოთოლი რა უყავი?

ჭრიჟინა — იმდენი დავკრიფე, მთელ ღამეს ეყოფა ჭიებს. (სახლში შეირბენს. ეფროსინეც უკან მიჰყვება. მცირე ხნის შემდეგ იქიდან ისმის ქალების სიმღერა)

ტანშრიალა აბრეშუმი,
ათასფერად მოქარგული,
თქვენი საჩუქარია!
თავს გველებით სიყვარულით,
თავს გველებით სიხარულით,
გივლით და მიხარია!

კოხტა — (გამოდის. გაძოცელილი ხმით) ჰეი, მასპინძელო.

მაყვალა — (ფანჯრიდან გამოიხედავს) ოჰ, შენ რა გითხარი, კოხტა, ვილაცა არ მეგონე?

კოხტა — რას ჰქვია „გეგონე"! ვილაც არ ვარ, თუ?

მაყვალა — (სიცილით) არა, უცხო.

კოხტა — უცხო? უკაცრავად, რაიონის ახალ აგრონომს ხომ არ ელოდი?

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — (გამოიხედავს) როგორ, ახალი აგრონომი ჩამოვიდა რაიონში? გოგოებო, გოგოებო, ახალი აგრონომი ჩამოსულა. (სახლიდან გამორბიან ქალიშვილები და გარს ეხვევიან კოხტას) — უცოლოა?

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — ლამაზია?

მ ე სა ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — ახალგაზრდაა?

მ ა ყ ვ ა ლ ა — ჩვენთან არ აპირებს ჩამოსვლას?

კ ო ხ ტ ა — შენ რად გაინტერესებს?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჰო, ჰო, არ აპირებს?

კ ო ხ ტ ა — აპირებს კი არა, აქაა. შორიდან მოეკარი თვალი, კოლმეურნეობის კანტორაში ადიოდა.

ვ რ ი ვ ი ნ ა — (გამოდის) რაო, რა ამბავია?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აგრონომი ჩამოსულა.

ვ რ ი ვ ი ნ ა — ჰოო? კეთილი მოხუცია?

კ ო ხ ტ ა — მოხუცი კი არა, ვეფხვივით ბიჭია.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — ოჰ, ოჰ, გესმით, გოგოებო?

ვ რ ი ვ ი ნ ა — ტყუილი, არ დაუჯეროთ! სწორედ ჩვენი ელპიტე ბებიას შესაფერი „ბიჭია“.

კ ო ხ ტ ა — რადგან არ გჯერათ, აგრე იყოს! აბა, ისიც ტყუილია, რომ ჩხარელები ჩამოვიდნენ?

ვ რ ი ვ ი ნ ა — ჩხარელები?

კ ო ხ ტ ა — ჰო, სოცშეჯიბრების შესამოწმებლად. თავმჯდომარემ შემოგვითვალათ: ჯერ ფერმას და საავადმყოფოს დაათვალიერებენ, შემდეგ შენთან მოვალთო.

ვ რ ი ვ ი ნ ა — ციცინოც ჩამოვიდა?

კ ო ხ ტ ა — ციცინოც, მიხეილიც.

ვ რ ი ვ ი ნ ა — არიქა, გოგოებო!

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — რამ შეგაშინა? ჩვენთან ყველაფერი რიგზეა.

კ ო ხ ტ ა — ჰოდა ამ საღამოს ისეთი კონცერტიც გავმართოთ, კლუბის კედლებს ზანზარი გაჰქონდეთ.

ვ რ ი ვ ი ნ ა — კლუბში რა გვინდა, კონცერტი აქ უნდა გაიმართოს.

კ ო ხ ტ ა — რას ჰქვია აქ. საქეიფ სახლში?

ვ რ ი ვ ი ნ ა — არა, ეზოში.

კ ო ხ ტ ა — რაო?

ვ რ ი ვ ი ნ ა — ასეა. ჩვენ ჭიებს თავს არ დავანებებთ.

კ ო ხ ტ ა — კონცერტი იქნება კლუბში.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჩვენ კი აქ ვიქნებით.

კ ო ხ ტ ა — მაშ ბიჭიკოს ჩავაცვა ქართული კაბა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — როგორც გინდა. (გოგოებს) წავიდეთ, ფოთოლი მოვიტანოთ. (გადიან)

კ ო ხ ტ ა — ეჰ! (ხელს ჩაიქნევს. გადის. მცირე ხანს სცენა ცარიელია. მალე ბრუნდება შ ო თ ა ს თ ა ნ ერთად)

კ ო ხ ტ ა — აი, ჩვენი საჭიე სახლიც.

შ ო თ ა — (სახლში შეიხედავს) შიგ კი არავინაა.

კ ო ხ ტ ა — ფოთოლზე წავიდნენ. (პაუზა) იმის შემდეგ მარინე აღარ შეგხვედრიათ?

შ ო თ ა — არა. მთელი ეს დრო თურქმენეთში გავატარე. (პაუზა) გავიგე, გათხოვილა.

კ ო ხ ტ ა — დიაღ. ჩვენს პარტორგს გაჰყვა ცოლად. ეჰ, სულ მე ვარ თქვენი მახარობელი.

შ ო თ ა — (ნაძალადევი გაღიმებით) თუ ბედნიერია, მე მოხარული ვარ.

კ ო ხ ტ ა — არა, მოხარული რომ ხართ, მეც ვხედავ. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ამ სიყვარულის საქმეებში ყოველთვის ვერც გაერკვევა კაცი. მე, მაგალითად, ამ ორი წლის წინ მეგონა, რომ მიყვარს ერთი ქალიშვილი. შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ სულ სხვა მყვარებია. (შემოდის გ ი ო რ გ ი) აი, ჩვენი პარტორგიც, (ხმადაბლა) იმისი ქმარი.

გ ი ო რ გ ი — რა ხანია გეძებ, კოხტა! (ფანჯარაში შეიხედავს) კონცერტის საქმე როგორაა?

კ ო ხ ტ ა — ჭრიჭინა რომ არ გვირევდეს საქმეს, რა უშავდა.

გ ი ო რ გ ი — როგორ?

კ ო ხ ტ ა — ერთი წუთითაც არ უნდა აქაურობის მიტოვება. „კონცერტი აქ გავმართოთო“.

გ ი ო რ გ ი — არა, ეგ არც ურიგო იქნება! ამ სიცხე-პაპანაქებაში კლუბში ჯდომას სუფთა ჰაერზე ხეივანში ყოფნა არ ჯობს? ან სტუმრები რაზე დავხრაკოთ იმ სიცხეში, ან მასპინძლები.

კ ო ხ ტ ა — ეგეც კი მართალია... ჰო, მართლა, გაიცანი კიდევ ერთი სტუმარი, რაიონის ახალი აგრონომი, მეაბრეშუმეობის სპეციალისტი, შოთა კელეშვილი.

გ ი ო რ გ ი — სასიამოვნოა. (ხელს ართმევს) ჭელიძე. დღეს ჩვენთან „განთიადის“ კოლმეურნეები ჩამოვიდნენ სოცშეჯიბრის შესამოწმებლად.

შ ო თ ა — ციცინო შარიქაძეც აქ არის?

გ ი ო რ გ ი — როგორ არა. სწორედ იმან გამოგვიზარდა ჩვენი

მეაბრეშუმეობის პირველი მერგოლური და ახლაც არ აკლებს ყურადღებას.

შ ო თ ა — აქ იყვნენ უკვე?

გ ი ო რ გ ი — ჯერ ფერმას ათვალიერებენ.

შ ო თ ა — მაშ, თუ შეიძლება, მეც იმათ შევუერთდები.

გ ი ო რ გ ი — როგორც გენებოთ. კოხტა, გააცილე. ჰო, ამაღამ ჩემს ოჯახში მოისვენებთ. მე და ჩემი მეუღლე დიდად მოხარული ვიქნებით.

შ ო თ ა — (აწყვეტინებს) გმადლობთ, გმადლობთ... მე... მე... უკვე მოვეწყვე. აგერ, ამხანაგ კოხტასთან მოვეწყვე.

კ ო ხ ტ ა — ჩემთან? (მიხედა) ოჰ! დიაღ, დიაღ! (გიორგის) ნუ გიყვარს, თუ ძმა ხარ, სტუმრების წართმევა. წავიდეთ, ამხანაგო აგრონომო. (კოხტა და შოთა გადიან. გიორგი საკიე სახლში შედის. ხეივნიდან გამოდიან ჭ რ ი ჭ ი ნ ა და ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ფოთლით სავსე კალათებით)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ფანჯარაში შეიხედავს) ვაიმე, გოგოებო, მგონი მოსულან. (სახლიდან გიორგი გამოდის) უჰ, როგორ შემაშინე.

გ ი ო რ გ ი — რისი გეშინია?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — არა, კი არ მეშინია, მაგრამ... მაინც ვღელავ.

გ ი ო რ გ ი — სამღელვარო არაფერია. ყველაფერს აჩვენებთ ისე, როგორც არის, არაფერი გააზვიადოთ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ჩვენი ხალათების გამოცვლის ვადა ხვალაა. დღეს რომ გამოვიცვალოთ გაზვიადება იქნება?

გ ი ო რ გ ი — მაგას არა უშავს.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შუქი რომ მაინცდამაინც დღეს გაგვყავს საკიე სახლში?

გ ი ო რ გ ი — ეს კი ვერაა სწორი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — კი, მაგრამ სტუმრისათვის ხომ არ გაგვყავს? უკვე ყველაფერი მზადაა, მხოლოდ ლამფების გაკეთება და შუქის ჩართვაა საჭირო. ბიჭიკომ, აუცილებლად ჩავრთავო.

გ ი ო რ გ ი — კარგი, არც ეგ იქნება დიდი ცოდვა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მხოლოდ, თუ ძმა ხარ, სტუმრებს დაბინდებამდე ნუ მოიყვანთ.

გ ი ო რ გ ი — (ცეცელზე ანიშნებს) ეს რა არის?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — სოციალისტური ვალდებულება. აქ წერია რისთვის ვმუშაობთ და როგორ ვმუშაობთ.

გ ი ო რ გ ი — კარგი, კარგი. აბა, თქვენ იცით. (ადის. შემოდის ბ ი ჭ ი კ ო. ბოძზე აცოცდება. მავთულს ჭიმავს. შემოდის კ ო ხ ტ ა — ფოთლით სავსე გოდრით ხელში)

ბ ი ჭ ი კ ო — სწორედ შენზეა ნათქვამი, კოხტა, ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდნენო.

კ ო ხ ტ ა — რა ყურძენი, რის ღობე! სიცხე ხომ არა გაქვს?

ბ ი ჭ ი კ ო — ქალიშვილი გიყვარს და ჭიას ეარშიყები.

კ ო ხ ტ ა — რუსთაველმა სიყვაოული აგვამაღლებსო.

ბ ი ჭ ი კ ო — შენ კი ილეგი დღე და დღე და...

(გამოდიან ჭ რ ი ჭ ი ნ ა, მ ა ყ ვ ა ლ ა და ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ებ ი. შემოაქვთ ელნათურები და სუფთა ხალათები)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ბიჭიკო, შუქი მალე გვექნება?

ბ ი ჭ ი კ ო — მე ჩავრთავ და იქნება თუ არა, ვნახოთ.

მ ა ყ ვ ა ლ ა — მამალმა თქვა, მე მიყვილია და გათენება ღმერთმა იცოდესო. შემდეგ კი იმ მამლისაგან ჩიხირთმა გააკეთეს, მაგრამ...

ბ ი ჭ ი კ ო — აგრე, არა? მოძებნეთ, აბა, სხვა მამალი და შუქიც იმან გაიყვანოს.

კ ო ხ ტ ა — არ გრცხვენია? ხუმრობა როგორ იწყინე.

ბ ი ჭ ი კ ო — ხუმრობა ხუმრობას გააჩნია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შენ დინჯად იყავი! რა მამალი — რის მამალი! მაღალი კი არა, არწივი ხარ, არწივი. არა, გოგოებო?

კ ო ხ ტ ა — პირწავარდნილი არწივია.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ნუ შემოგვწყრები, ჩემო ბიჭიკო. ჩვენ ახლა კაცი გვეღალატებს? გთხოვთ, გთხოვთ!

ბ ი ჭ ი კ ო — ეგ სხვა საქმეა. აბა, გაუკეთეთ ნათურები!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაყვალა, შენ ფანჯრის მინების დაწმენდაში ძოგვეხმარე. აბა, გოგოებო, მივხედოთ ჭიებს.

(ქალიშვილები საჭიე სახლში შედიან)

კ ო ხ ტ ა — (ჭრიჭინას შეაჩერებს) რადგან შენ ასე გინდა, კონცერტი აქ იქნება. მხოლოდ ქართული ჩემთან უნდა იცეკვო.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მაყვალასთან გეცეკვა.

კ ო ხ ტ ა — არ მაქვს მისი ჩხუბის თავი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ოღონდ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და თუ გინდა ყველას მაგივრად მე ვიცეკვებ. ჰო, შენ მოცეკვავე ვაჟებს დაავალე, ცოტა ფოთოლი მოგვიტანონ. წარმოგიდგენია, როგორ დამშვენდებათ ვაჟკაცებს თუთის ტოტებით შემოსვლა? (საჭიე სახლში შედის)

კ ო ხ ტ ა — (სიტყვას მიაყოლებს) ო-ხო-ხო, რა ეშმაკი ხარ! (წასელას დააპირებს) ამხანაგო არწივო, შენ კი არ აპირებ ტანსაცმლის გამოცვლას? ჩვენ ყველა ჩოხებში ვიქნებით, შენ კი მაგ შენს ტანსაცმელში არწივს კი არა, კრუხს ემგვანები. (გადის)

ბ ი ბ ი კ ო — (შიადეგნებს) და შენ, რა თქმა უნდა, გამბეჭყავ, არა? (საწინააღმდეგო მხრიდან გამოდიან ე ლ პ ი ტ ე, ე ფ რ ო ს ი ნ ე და მ ა რ ი ნ ე. მოხუცები საჭიე სახლში შედიან)

მ ა რ ი ნ ე — ბიბიკო, მალე დაამთავრებ?

ბ ი ბ ი კ ო — ა, ცოტა კიდევ და... (ცოტ გააქვს)

ბ რ ი ბ ი ნ ა — (საჭიე სახლიდან გამოდის) როგორაა საქმე?

მ ა რ ი ნ ე — ყველაფერი კარგადაა. გიორგიმ ისინი ფერმაში წაიყვანა. შენი საქმე?

ბ რ ი ბ ი ნ ა — შუქს ველოდები.

მ ა რ ი ნ ე — მამაშენი ძალიან ღელავს.

ბ რ ი ბ ი ნ ა — მე კი არ ვღელავ? ასე თუ ისე, ეს ჩემი პირველი გამოცდაა.

მ ა რ ი ნ ე — (ღიმილით) არა! შენი პირველი ნამდვილი გამოცდა თბილისში იყო, ძია ირაკლის სახლში. (იცინის) გახსოვს? რამდენიმე დღე სიმღერაც კი მიატოვე.

ბ რ ი ბ ი ნ ა — მე ისე გამწარებული ვიყავი, ისე გულმოსული ჩემ თავზე, რომ...

მ ა რ ი ნ ე — (ღიმილით) ამ საღამოს რატომღაც შოთა მომაგონდა და იცი, რა გავიფიქრე? რომ იქნებ...

ბ რ ი ბ ი ნ ა — არავითარი „იქნებ"! ნუთუ ცხადი არაა? (ირონიით) ჰმ! ვუყვარდი მანამ, სანამ გვირი ვეგონე. შემდეგ ჩამოვიდა, გაიგო და...

მ ა რ ი ნ ე — რა იცი, იქნებ ის ფიქრობს, რომ შენ გაათამაშე და მიატოვე? იქნებ ახლა გათხოვილიც ჰყონიხარ?

ბ რ ი ბ ი ნ ა — რას ამბობ?!

მ ა რ ი ნ ე — წერილი არ მოუწერია?

ბ რ ი ბ ი ნ ა — მომწერა, მაგრამ გაუხსნელად დავუბრუნე უკან. ისე... გუშინ გავიგე, რომ მას თბილისში არავითარი საცოლე არ ჰყოლია. (პაუზა) იცი? მე გადავწყვიტე ისეთივე სპეციალისტი გავხდე, როგორიც შოთაა. მხოლოდ ამ საჭიე სახლის მიტოვება კი მენანება.

მ ა რ ი ნ ე — დაუსწრებელზე რომ შეხვიდე?

ბ რ ი ბ ი ნ ა — ოო, ეგ კი კარგი იქნება. მარინე, მოდი, ერთად შევიდეთ დაუსწრებელზე, ჰა!

მ ა რ ი ნ ე — კარგი, კარგი!

ბ რ ი ბ ი ნ ა — (ღიღინებს)

კვლავ მოგვნახა გაზაფხულმა,
სად იყო და სად არა...
(მარინე აპყვა. მღერიან)

ყვავილების ჭრელაჭრელა
თავზე გადმოგვაყარა.
(შემოდის სანდრო)

სანდრო — ბოდიში, პატივცემულნო.

ჭრიჭინა — „პატივცემულნო“?

სანდრო — ოჰ, ეს თქვენა ხართ? გამარჯობათ, ჭრიჭინა.

ჭრიჭინა — გამარჯობათ.

სანდრო — (იცინის) ჰა, ჰა, ჰა! ბოდიში, მაგრამ... ჰა, ჰა, ჰა!.. არა ის რა მოგვიეიდა!.. მაინც, რამ მაფიქრებია... (მარინეს დააკვირდება) ოჰ, ბოდიში! მე საეციალურად თქვენთან მოვედი, მაგრამ ჭრიჭინას დანახვამ ისეთი ისტორია მომაგონა, რომ... (იცინის) მე მოვედი, რომ გამოვასწორო ჩემი მაშინდელი შეცდომა, ორმაგი გამარჯვება მოგილოცოთ და ახლა მაინც მოვათავსო თქვენი სურათი რომელიმე ჟურნალში. იმედია, უარს არ მეტყვით და იმ საჭიე სახლთან, რომლითაც ასე გაითქვით სახელი... (ფოტოაპარატს მოიმარჯვებს)

მარინე — (ცივად) დიასახლისს მიმართეთ (ჭრიჭინაზე მიუთითებს და საჭიე სახლში შეირბენს)

სანდრო — (დაბნეულად) ჭრიჭი... მარინე, მაშ ეს თქვენ... ბოდიში, ისევ ბოდიში! გთხოვთ მაპატიოთ. უარს ნუ მეტყვით და მაჩუქეთ რამდენიმე წუთი. აგერ, ჯერ საჭიე სახლის შესასვლელთან დადექით. ხელში თუთის შტო დაიჭირეთ.

ჭრიჭინა — (ცივად) არ მცალია. (საჭიე სახლში შედის. შემოდის ბიჭიკო კიბით ხელში)

სანდრო — ჰმ, საქმის ქალი!! ნეტავი რომ იპრანჭება, რას იპრანჭება! ვიღაც კოლმეურნე გომბიო, ვიღაც ჭრიჭინა...

ბიჭიკო — რაო, რა თქვი? გაიმეორე!! (ცრეს ხელს უშვებს)

სანდრო — მე... მე... არაფერი... ისეთი... აოაფერი... (უკან იხევს)

ბიჭიკო — ერთი ამ უცხო ფრინველს დამიხედეთ! აქედან დაიკარგე, ვიღაცა ხარ, თორემ იცოცხლოს ბიჭიკომ, მე შენ გასწავლო ლაპარაკი. (სანდრო გარბის. ბიჭიკო ბოძზე ადის. საჭიე სახლიდან გამოდიან ეფროსინე, ელპიტე და ქალიშვილები. სხდებიან, ფოთოლს არჩევენ. მაყვალა სარკმლის მინებს წმენდს)

პირველი ქალიშვილი — ეფროსინე ბებია, ლამაზი იყო ბაბუა კაპიტონი?

ეფროსინე — აგერ ჰკითხეთ ელპიტეს.

ელპიტე — ლამაზი კი არა, კალმით ნახატი. კუპრივით შავი ულვაში რომ ჰქონდა ზედ ყურებზე გადახვეული...

მეორე ქალიშვილი — ნახვისთანავე შეგიყვარდათ?

ეფროსინე — აბა!

მესამე ქალიშვილი — იმასაც?

ეფროსინე — იმასაც.

პირველი ქალიშვილი — რა იცით?

ეფროსინე — შე ქალო, 26 წელი ერთად გავატარეთ და ვეღარ მოასწრებდა თქმას?

მეორე ქალიშვილი — ეფროსინე ბებია, შენ გენაცვალე, პირველად რომ დაგელაპარაკა რა გითხრა? არ გახსოვს?

ეფროსინე — მახსოვს, მაშ! (ღიმილით) სუფრასთან რომ ვიჯექით, ჩუმად გადმომილაპარაკა: თქვენი პირით გვაჩუქეთ თქვენი სახელიო. — ეფროსინე-მეთქი ვუპასუხე. — რა ლამაზი სახელია, ბუსკანტივით გაიღუღუნა გულშიო და წამოიწყო სიმღერა.

ქალები — რაო, რა სიმღერა? არ გახსოვს? იმღერე, ბებია, იმღერე.

ეფროსინე — (მღერის)

მეტად მშვენიერი ხარ
და მით ბედნიერი ვარ...

(ელპიტეს) ამყევი, გოგო! (ქალებს) თქვენც ამყევით. (ელპიტე და ქალები აყყვნენ)

საღამობით ბელვარში
ვარალალო
სასეირნოდ დავდივარ...

(ქალებს შეუმჩნეველად მოეპარება ჩოხაში გამოწყობილი კოხტა გიტარით ხელში. გიტარის სიმებს ხელი ჩამოჰკრა. ბიჭიკომ ბოძიდან მისცა ქალებს ბანი)

კოხტა — ეფროსინე ბებია, თქვენ და ელპიტე ბებიამ რომ არ მიიღოთ მონაწილეობა ამაღამინდელ კონცერტში, არაფრით არ შეიძლება.

ეფროსინე და ელპიტე — რას ამბობ, ბიჭო!

კოხტა — ა, ჰა, ჰა, ჰა! უარი არ გამაგონოთ. თქვენმა ნომერმა თუ ყველას არ აჯობოს, თავს მოვიჭრი. ახლა კი ეს ადგილი დამიცალეთ, აქ სცენა უნდა მოვაწყოთ.

მაყვალა — ეს რა დიდებული რეჟისორი მოგვევლინა.

კოხტა — როდესაც უკეთესი არაა...

მაყვალა — ჰო, რას ვიზამთ! უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო (შემოდის ცქრიალა)

ბიჭიკო — (ბოძიდან სიცილთ) აი, გოგო! ჩვენი მაყვალა გოგო კი არა, ცეცხლია, ცეცხლი.

კოხტა — ფრთხილად იყავი, იმ ცეცხლზე ულვაში არ შეგერუჯოს.

ბ ი ჭ ი კ ო — ულვაშს კი არა, ასეთ ცეცხლზე დასაწვავად კაცი გულს არ დაიშურებს, გულს.

ც ქ რ ი ა ლ ა — მე შენ დაგწვავ, თუ ქალი ვყოფილვარ.

ბ ი ჭ ი კ ო — შენ ნუ გეშინია, ჩემო მეუღლევ, ჩემი გული შენს იმედიან ხელებშია. რაც შეეხება მაყვალას, რაც მართალია, მართალია, საითაც ფეხი გადავდგი, ბიჭები მეხვეწებიან, გამირიგეო.

კ ო ხ ტ ა — ჭკუით იყავით შენც და ის ბიჭებიც.

ბ ი ჭ ი კ ო — შენ რამ გაგაფიცხა, რომ არ ვიცი?

კ ო ხ ტ ა — ჰმ, გამოჩნდნენ მაჭანკლები და საქმროები.

ბ ი ჭ ი კ ო — იქნება შენს თავსაც მაყვალას საქმროდ თვლი?

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — რატომაც არა! რითაა დასაწუნი? (მაყვალას) გაყევი, გოგო! მე შენ გეტყვი ქათმის ხორცი მოგენატრება.

მ ა ყ ვ ა ლ ა — ძალიან კი მინდა ქათმების პუტვა.

კ ო ხ ტ ა — ჯავრი ნუ გაქვს. ისეთ ხელსაწყოს გამოვიგონებ, რომ ქათმები მანქანის ბორბლებქვეშიდან სულ გაპუტულები გამოდიოდნენ.

ბ ი ჭ ი კ ო — რადიატორში თუ გაატარე, ხომ მოხარშვაც ალარ დაჭირდებათ და ესაა! (სიცილი)

ე ლ პ ი ტ ე — სიცილი და მხიარულება ნუ მოგაკლოთ დედაშვილობის გამჩენმა.

(საჭე სახლიდან გამოდიან ჭ რ ი ჭ ი ნ ა და მ ა რ ი ნ ე)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მესამე ქალიშვილს) თამარ, შენ კიდევ სამი ჭია გაგიჭყლეტია.

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — უნებურად მოვიდა...

ც ქ რ ი ა ლ ა — დაქცეულა ქვეყანა! არ გააჭირეთ საქმე ამ თქვენი ჭიებით? შუქიც კი გამოგყავთ მათთვის. თქვენ ჭიებს კი ისე სჭირდებათ შუქი, როგორც ჩვენს ბიჭიკოს სავარცხელი. ისიც არ ვიცით, ჭამს თუ არა ჭია შუქზე.

(შემოდის ნ ი კ ი ფ ო რ ე)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — აბა, შვილო, ხომ არ შეგარცხვენ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (შეშფოთებით) უკვე მოდიან?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — სკოლიდან პირდაპირ აქ მოვლენ.

ე ლ პ ი ტ ე — დედა, დედა, რა პატივისცემაში არიან ეს ჭიები. ჩემს ქმარს არ დაუხვედრებია ჩემთვის ასეთი სახლი. ეს სითბოო, ეს ზომიერი ჰაეაო, ახლა აგერ შუქიც კი გამოგყავთ. ასეთი ოქროსავით გოგოები დღე და ღამე თავზე ეელებით... უიმე, ასეთი მოვლა რომ მქონოდა, რა დამაბერებდა?

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (სიცილით) მაშ, მაშ! ეს ფრანკლულის ღუმელიო...
ნ ი კ ი ფ ო რ ე — ფრანკლინის.
ე ფ რ ო ს ი ნ ე — ჰო, ფრანკლინის. ესო დეზინფექციაო. მაინც, რაც ამ გოგოს ციცინომ ის ქისტაურული მეთოდე გააცნო...
ნ ი კ ი ფ ო რ ე — მეთოდი.
ე ფ რ ო ს ი ნ ე — ჰო, მეთოდე, მეთოდე.

(საერთო შეკავებული სიცილი)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ცქრიალას) შენ აქ რომ დამდგარხარ, ვახშამს არ უნდა მიხედვა?
ც ქ რ ი ა ლ ა — ჯავრი ნუ გაქვს, ყველაფერი მზადაა.
ნ ი კ ი ფ ო რ ე — აბა, დედაჩემო, დეიდაჩემო, ისეთი სუფრა უნდა გააწყოთ, რომ...
ბ ი ბ ი კ ო — ყურადღება! აბა, ერთი, ორი და საამი! (შუქი აანთო. საერთო მხიარულება, ტაში)
ნ ი კ ი ფ ო რ ე — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვინ აუნაზღაურებს ბიბიკოს ნამუშევარს?
ბ რ ი ბ ი ნ ა — ჯავრი ნუ გაქვს! აბა, ცქრიალა, იქით მიბრუნდი! (ბიბიკოს აკოცა) დიდი მადლობა, ჩემო ბიბიკო. შემოდგომაზე ელოდე ჩვენგან საჩუქარს.
ბ ი ბ ი კ ო — ამაზე უკეთესი საჩუქარი რაღა იქნება?
კ ო ხ ტ ა — ხედავ, თავმჯდომარევ?
ნ ი კ ი ფ ო რ ე — მისაბაძი მაგალითია. მოდი, მეც ვცადო „მტს"-ის დირექტორთან ასე ანგარიშის გასწორება, ა?!
ე ლ პ ი ტ ე — აბა, წავიდეთ, წავიდეთ, მზარეულებო. (ეფროსინე, ცქრიალა და ელპიტე გადიან. ბიბიკო ეზოს სიღრმისკენ მიდის)
ნ ი კ ი ფ ო რ ე — დავხედოთ ერთი, როგორ შეიფერეს აბრეშუმის ჭიებმა ეს პატივისცემა. (ყველანი საჭიე სახლში შედიან. მცირე ხნის შემდეგ იქიდან გამოდის კ ო ხ ტ ა, თან მ ა ყ ვ ა ლ ა ს მოათრევს)
მ ა ყ ვ ა ლ ა — რა გინდა, შე გადარეულო, რას მომათრევ გარეთ?
კ ო ხ ტ ა — ან ახლა, ან არასოდეს! მე მეტი აღარ შემიძლია.
მ ა ყ ვ ა ლ ა — ავად ხომ არა ხარ. ბიბო!
კ ო ხ ტ ა — ავად ვარ, ავად! ციებით, ტიფით, ხოლერით, წითელა-თი, ყელჭირვებით.
მ ა ყ ვ ა ლ ა — გათავებულხარ და ეგაა!
კ ო ხ ტ ა — მოკლედ გეტყვი გამომყევი ცოლად, მაყვალა!

(გამოდის ბ ი ბ ი კ ო)

მ ა ყ ვ ა ლ ა — ეს რა ხუმრობაა?
კ ო ხ ტ ა — ჩემზე უბედური კაცი არ დაბადებულა! რომ ვკვდებო-დე, არავინ დამიჯერებს — ხუმრობს კოხტაო. ვხუმრობ კ-

არა, ცეცხლი მიკიდია. საჭესთან ვზივარ — გზის მაგივრად შენ სახეს ეხედავ. ქათმებს კი არა, ხეტავი ადამიანეს არ გავიტანდე.

მ ა ყ ვ ა ლ ა — რომ არ ვიცი, რა გიპასუხო?!

კ ო ხ ტ ა — დასტური მოძეცი და მთელი რაიონი ჩვენ შემოგვნატრებს.

მ ა ყ ვ ა ლ ა — სულელო! ვინ დაიჯერებს, რომ მე და შენ ტკბილად ცხოვრებას შევძლებთ?

კ ო ხ ტ ა — შენ ხომ გჯერა?

მ ა ყ ვ ა ლ ა — მე კი მჯერა, მაგრამ...

კ ო ხ ტ ა — (ხელს მოხვევს) მეტი აღარაფერი მითხრა, თორემ იცოდე გასკდა გული! (ჰკოცნის)

მ ა ყ ვ ა ლ ა — (ბიჭიკოს შენიშნავს) ხელი მიშვი, შე გადარეულო, ხალხი გვიყურებს. (საჭეე სახლში შეირბენს)

კ ო ხ ტ ა — (ბიჭიკოს) ასე დაბარებულივით შენს მეტი ვინ მოვიდოდა!

ბ ი ჭ ი კ ო — ეს რა დავინახე! ბიჭო, მე მეგონა ჭრიჭინა გიყვარდა და... ყოჩაღ, ძალიან არ შენიღბულხარ?! გილოცავ, ძმაო! ხო-ხო-ხო, რა სჯობს საქორწილო პურმარილს? ჩავუჯდეთ და ვისროლოთ ქუდი ჭერში. მერე ახალ სიძეობას რა სჯობს! რომ დაიწყება გადაპატიჟ-გადმოპატიჟება: ცოლის დების, ძმების, დეიდაშვილ-ბიძაშვილ-მამიდაშვილების თხოვა-გათხოვება.

კ ო ხ ტ ა — კარგია!

ბ ი ჭ ი კ ო — ახლა ტირილს არ იკითხავ? ცოლის ბებიების, ბაბუების ტირილი, ბიძების ტირილი, ბიცოლების ტირილი...

კ ო ხ ტ ა — რას ერჩი, შე კაცო, არ ამომიჟუჟე ცოლის ნათესაობა? (ცქრიალას ხმა: „ბიჭიკო, სად ხარ, სად?")

ბ ი ჭ ი კ ო — მოვდივარ, მოვდივარ! (კოხტას) გესმის? ეჰ, ცოლის შერთვა არე მარტო დროს ტარებაა, კოხტა ჩემო. (გადის. საჭეე სახლიდან გამოდიან მ ა რ ი ნ ე და მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი)

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — ძალიან კი მოვიწონეთ თავი ახალი მეთოდით.

კ ო ხ ტ ა — რა მოხდა?

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — კომისია მოვა, ჩვენი ჭიები კი უკრავად წვანან.

მ ა რ ი ნ ე — ისე ლაპარაკობ, თითქო გიხაროდეს.

მ ე ს ა მ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — რატომ უნდა მიხაროდეს? მაგრამ ცქრიალას კი მართალი უთქვამს.

(საპე სახლიდან გამოდიან ნ ი კ ი ფ ო რ ე, ჭ რ ი ჭ ი ნ ა, მ ა ყ ვ ა ლ ა და სხვა ქალიშვილები)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ხომ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც ციცინომ გასწავლა? (ჭრიჭინა დუმს) შენ გეუბნები!

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ნათურები ცოტა ზედმეტსანთლიანია, მაგრამ არა მგონია, იმისი ბრალი იყოს.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — რა იცი, იქნებ მართლაც შუქის ბრალია. ჩააქრე და ის იქნება.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ქვეყანამ რომ მასხრად ამიგდოს?

მ ა რ ი ნ ე — ნუ ღელავ, მარინე. მოდი დინჯად მოვიფიქროთ, რა-შია საქმე.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — სანამ თქვენ მოიფიქრებდეთ, მე წავალ და ვეტყვი სტუმრებს, რომ აქ დასათვალიერებელი არაფერია. ეჰ, ახლაც მომჭერი, შვილო, თავი და ესაა! (გადის)

მ ა რ ი ნ ე — (ჭრიჭინას ხმადაბლა) ციცინოს რომ დავუძახო?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ასევე ხმადაბლა) მხოლოდ არავინ გაიგოს. (ჩაფიქრდება. მარინე გადის. გამოდის სამი ვაჟი საცეკვაო კოსტუმებში, თუთის ხის შტოებით ხელში)

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჟ ი — სხვა, როგორ ბრძანდებიან თქვენი აბრეშუმის ჭიები?

მ ე ო რ ე ვ ა ჟ ი — ხომ არ აწუხებენ თაგვები, ხოჭოები, ჭიანჭველები...

მ ე ს ა მ ე ვ ა ჟ ი — ან რამე სახადი ხომ არ შეჰყრიათ: წითელა, ხველა, ხუნაგი, ყბაყურა.

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — კარგი, გეყოფათ ლაზღანდარობა.

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჟ ი — სიცხეს თუ უზომავთ ხოლმე?

ქ ო ხ ტ ა — არ ხედავთ, დანა კბილს არ გვიხსნის? რა გახუმრებთ, რომ არ ვიცი?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მოიცა, მოიცა! სიცხე, რა თქმა უნდა, სიცხე! (საპე სახლში შერბის და მუისვე ბრუნდება თერმომეტრით ხელში) ოცდა-თექვსმეტი და ხუთი მეათედი! არიქა, გოგოებო, ოთახის გა-ნიავება! ორპირი ქარი! (აღებენ კარს) ფანჯრები ვინ დახურა?

მ ა ყ ვ ა ლ ა — მე რა ვიცოდი, რომ დახურვა არ შეიძლებოდა.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ფარდებიც მოხსენით. (სახლში შედის. მცირე ხნის შემდეგ შემოდიან ციცინო და მარინე. საპე სახლში შედიან)

მ ე ო რ ე ვ ა ჟ ი — რას არ მოიგონებენ ქალები. ჭიების სიცხის ზომ-ვა რაღაა? (იცინის. სახლიდან გამოდიან ციცინო, ჭრიჭინა და მარინე)

ც ი ც ი ნ ო — (ღიმილით) ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება. ტემ-პერატურა კი ასე მალე ვერ დაიწევს, მაგრამ...

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — სილა რომ გვესინჯა?

ც ი ც ი ნ ო — ახლო არის სადმე?

მ ა რ ი ნ ე — აქვე, მდინარის პირას.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — კოხტა, ბიჭებო, გვიშველეთ, თქვენ გენაცვალეთ! სილა გვჭირდება — ერთი ათი კასრი მაინც გვიხდა.

კ ო ხ ტ ა — ჩვეულებრივი სილა?

ც ი ც ი ნ ო — მდინარის, სველი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — და რაც შეიძლება ჩქარა.

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ა ჟ ი — რა ძნელი საქმე ეგაა?

მ ე ო რ ე ვ ა ჟ ი — კი, მაგრამ რით მოვიტანოთ?

კ ო ხ ტ ა — აქ არაა სახანძრო კასრები? (კასრებს ჩამოხსნის, ვაჟებს ჩამოურიგებს. ჭრიჭინას) შენ ჯავრი ნუ გაქვს! თუ გინდა რაც მდინარის პირას სილაა, სულ აქ ამოვზიდავთ. (ვაჟებთან ერთად გარბის. ჭრიჭინა საჭიე სახლში შედის)

ც ი ც ი ნ ო — ასე კარგია კარგი მეგობრები.

მ ა რ ი ნ ე — ჭრიჭინას ბევრი მეგობრები ჰყავს. მისი გულისთვის ცეცხლში ჩადგებიან.

ც ი ც ი ნ ო — (ფანჯრიდან შეიხედავს) როგორაა საქმე? ოოო, უკვე გამოცოცხლებულან. მე ვფიქრობ, უკვე შეიძლება ჩვენების მოყვანა. (გადის. შემორბიან კოხტა და ვაჟები სილიანი კასრებით)

კ ო ხ ტ ა — მასპინძელო! სად წავიღოთ?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (სახლიდან) აქ შემოიტანეთ. (ყველანი საჭიე სახლში შედიან. მალე ბრუნდებიან ცარიელი კასრებით და ისევ სილაზე გარბიან. ყველაზე გვიან სახლიდან გამოდის კოხტა მარინესთან ერთად. ამ დროს ხეიერნიდან გამოდიან შოთა და გიორგი)

გ ი ო რ გ ი — (შოთას) გთხოვთ იცნობდეთ. ჩემი მეუღლე.

შ ო თ ა — (გაოცებით) თქვენი მეუღლე?

მ ა რ ი ნ ე — რად გაგიკვირდათ? (ხელს გაუწოდებს) მარინე.

შ ო თ ა — (დაბნეულად) მარინე?

კ ო ხ ტ ა — (თავისთვის) ოჰ, გათავდა კაცი და ესაა!

მ ა რ ი ნ ე — დიახ, მარინე. რა მოგივიდათ, ამხანაგო შოთა?

კ ო ხ ტ ა — (თავისთვის) მარინეა ეს? მოდი, ახლა და ქალის იწამე რამე. აი, მსახიობი!

შ ო თ ა — მაშ, მარინე...

გ ი ო რ გ ი — (წარბი შეიკრა) დიაღ, მარინე ფერაძე.

შ ო თ ა — (მარინეს ენერგიულად ართმევს ხელს) მიხარია, მიხარია, ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა.

მ ა რ ი ნ ე — ძალიან სასიამოვნოა.

(საჭიე სახლისკენ მიდიან)

შ ო თ ა — (მარინეს) მე თქვენ თითქოს სადღაც მინახიხართ.

მ ა რ ი ნ ე — (ღიმილით) მეც ასე ვფიქრობ. მობრძანდით. (საპეე სახლში შედიან)

კ ო ხ ტ ა — ეჰ, საწყალი ქვრების ბრალი!

(საპეე სახლიდან მაყვალა გამოდის)

მ ა ყ ვ ა ლ ა — კოხტა, აქ რას აკეთებ?

კ ო ხ ტ ა — თავი დამანებე.

მ ა ყ ვ ა ლ ა — რა მოგივიდა, რა ბუზმა გიკბინა!

კ ო ხ ტ ა — შენისთანამ.

მ ა ყ ვ ა ლ ა — რაიო?

კ ო ხ ტ ა — სულელები ვართ კაცები.

მ ა ყ ვ ა ლ ა — ეგ მართალია, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

კ ო ხ ტ ა — (თაეზე ხელი წაეცლო, თვალებში ჩახედა) გიყვარეარ? მარტო მე გიყვარვარ? სხვა არაეინ გყვარებია? არც თაიგულით ჩამოგაკითხავს ეინმე?

(გამოდის ე ლ პ ი ტ ე. ამ სცენის დანახვისას სახტად რჩება. თავისთვის)

ე ლ პ ი ტ ე — ვაი, ვაი, კაცი სიყვარულს გაუგიეებია (მიიმალება)

მ ა ყ ვ ა ლ ა — (აენთება) ვინ გგონივარ მე შენ? ვინ უნდა ჩამომაკითხოს? რად უნდა ჩამომაკითხოს? ხელი მიშვი, თორემ ისეთ სილას გტკიცავ, თაიგული კი არა, გვირგვინები დაგჭირდეს. უყურე ამას შენ! (გაგულისებული გადის)

კ ო ხ ტ ა — მაყვალა! (გამოუდგება. შეჩერდება) მაგრად იყავი, კოხტა! ქალს თუ ჭკუა არ ასწავლე, თავს წაგართმევს და... (უეცრად) არა, ეს რა მომივიდა! არ ჩავყარე წყალში ჩემი ორი წლის ნაწვავ-ნადაგი? რომ აღარ შემირიგდეს? (გარბის. გამოდიან ჭრიჭინა და შოთა)

შ ო თ ა — არა, როგორ მომივიდა, რომ აქამდე არ ჩამოეედი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — მე კი ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ახლა შეეხვდით ერთმანეთს. რა ვიყავი შარშან? ერთი უზრუნველი გოგონა, რომელიც მხოლოდ შეცდომით შეიძლებოდა მიეღოთ ნამდვილ ადამიანად.

შ ო თ ა — სწავლის გაგრძელება გადაიფიქრე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — პირიქით, მხოლოდ ახლა მაქვს სწავლის ნამდვილი სურვილი. (პაუზა) არა, მაინც როგორ დაიჯერე ჩემი გათხოვების ამბავი?

შ ო თ ა — ძალიან მიჭირდა დაჯერება, როდესაც შენს სურათს დაეცქეროდი, ვფიქრობდი, რომ ასეთი თვალები არ შეიძლება ტყუოდნენ-მეთქი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — შენ გაქვს ჩემი სურათი?

შ ო თ ა — (გაუწოდებს) ერთი ჟურნალიდან ამოვეკერი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ეს ხომ სანდროს გადაღებულია. იმ უბედურ საღამოს, ძია ირაკლის სახლში. (კითხულობს) „სოფელ ბჟოლეთის მეგიტარე მარინე ფერაძე“. რა სისულელეა!

შ ო თ ა — ჩემი სურათი დახიე?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (ჯიბიდან ამოიღო) აი!

შ ო თ ა — მარინე! (ხელს მოხვევს. გამოდის კოხტა. მაყვალასათვის ხელი ჩაუვლია და მოათრევს. ჭრიჭინას და შოთას დანახვისას სახტად რჩებიან. ხვევნის სიღრმეში მიიმალებიან. გამოდის მარინე)

მ ა რ ი ნ ე — ამხანაგო აგრონომო, ძალიან ხომ არ უჯავრდებით ჩვენს მარინეს?

შ ო თ ა — (უხერხულად) არა... ისე... მხოლოდ მცირე შენიშვნები მაქვს. (სახლში შეირბენს)

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — (მარინეს მოეხვევა) ეს ხომ შოთაა, მარინე, ჩემი შოთა!

მ ა რ ი ნ ე — შენ ისე ბრწყინავ, ჩემო კარგო, რომ ამას შენი აბრეშუმის ჭიებიც მიხვდებოდნენ. (სიცილით შედიან საჭიე სახლში)

კ ო ხ ტ ა — (მაყვალას წინ მუხლზე დაეცემა) შენი ხმალი და ჩემი კისერი! გინდა მომკლავ, გინდა მაცოცხლებ. (მუხლზე იტაცებს ხელს) აი, სულელი!

მ ა ყ ვ ა ლ ა — კარგია, თვითკრიტიკა გაიხსენე.

კ ო ხ ტ ა — თვითკრიტიკა მართლაც არ მეხერხება და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შენი შერთვა. სხვა რომ არაფერი, კრიტიკით მაინც ვიქნები უზრუნველყოფილი. (ჰკოცნის. გამოდის ბიჭიკო. მოკლე ჩოხა აცვია. მაყვალა შეკივლებს. საჭიე სახლში შეირბენს)

ბ ი ჭ ი კ ო — ჰმ, ჰმ! ეს რა მომივიდა, კოხტა! ცქრიალამ მზა ჩოხა მიყიდა და ცოტა არ იყოს მოიმოკლებს.

კ ო ხ ტ ა — „ცოტა არ იყოსო? ასე სად გამოგაჩინო, შე კაცო? ჩაცუცქდი! ჩაცუცქდი-მეთქი. (ბიჭიკო ჩაცუცქდება) ასე იარე. ბიჭებში გაერიე და ისე შემოიპარე. იცოდე, სტუმრებთან გამართული არ დაგინახო.

ბ ი ჭ ი კ ო — რომ დამავიწყდეს?

კ ო ხ ტ ა — გაჩვენებ თვალის სეირს. ასე იარე, იცოდე, (ბიჭიკო გადის. კოხტა მდინარისაკენ მირბის. მცირე ხნის შემდეგ ბრუნდება ვაჟებთან ერთად. სილა საჭიე სახლში შეაქვთ. გამოდიან ნიკიფორე, გიორგი და სტუმრები)

მ ი ხ ე ი ლ ი — (სოციალისტურ ვალდებულებას აკვირდება) ესეც მარინე ფერაძე?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ღიმება) დიახ. ეს კი უკვე ჩემი ქალიშვილია (სტუმრები საჭიე სახლში შედიან. ნიკიფორე სოციალისტურ ვალდებულებას

კითხულობს. კართან კოხტას და ვაჟებს შეეფეთება) კოხტა, არტისტები მზად არიან?

კ ო ხ ტ ა — (აჩვენებს) აგერ!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ეგ კასრები რაღად გინდათ?

კ ო ხ ტ ა — ხორუმის რეპეტიციას ვატარებდით. (კასრს აბრახუნებს. ჩამოუელის. ნიკიფორე ღიმილით გადააქნევს თავს, საჭიე სახლში შედის) აბა, ბიჭებო, კასრები თავ-თავის ალაგას! (კასრებს აწყობენ. გამოდიან ე ფ რ ო ს ი ნ ე და ე ლ პ ი ტ ე. ეფროსინეს კოხტაზე ანიშნებს. ეჩურჩულება. საჭიე სახლიდან გამოდიან მ ა ყ ვ ა ლ ა, მ ა რ ი ნ ე, ჭ რ ი ჭ ი ნ ა, შ ო თ ა, ნ ი კ ი ფ ო რ ე და სტუმრები. შოთა და ჭრიჭინა განზე დგებიან, ხმადაბლა ლაპარაკობენ)

მ ი ხ ე ი ლ ი — (ჭრიჭინას) ის, რაც თქვენ ამ ერთ წელიწადში გაგიკეთებიათ, პირდაპირ განსაცვიფრებელია.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — მაშ, მაშ! ჩემს ჭრიჭინას ენაცვალოს ბებია.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — „ჭრიჭინას“ ისე მეტსახელად, სასიყვარულოდ ეძახიან.

მ ი ხ ე ი ლ ი — (ჭრიჭინას) თქვენ ალბათ მემდურით, არა?

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — პირიქით, მე თქვენი მადლობელი ვარ.

მ ი ხ ე ი ლ ი — კიდევ გილოცავთ და ერთი ნატვრა მიმყვება თან: ნეტავი თქვენისთანა ჭრიჭინებით ააესო ჩვენი თხილნარიც. (გამოდის ფოსტალიონი)

ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი — ეფროსინე ბიცოლა! კარგია, აქ დაგინახეთ. ახლა თქვენთან მოვდიოდი. დეპეშაა თბილისიდან.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — უიმე გამაცივა.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (დეპეშას გამოართმევს, ხსნის, კითხულობს) „ყველა უზომოდ გაგვახარა ძვირფასი მარინეს მიღწევებმა. ვუერთდებით თქვენს სიხარულს, ვსვამთ თქვენს სადღეგრძელოს. თინა თქვენთან გააწესეს. მალე გეწვევით. კიდევ გილოცავთ და გკოცნით. ელენე, ირაკლი, თინა ნამორაძეები“.

ე ფ რ ო ს ი ნ ე — კიდევ ვეღირსები იმათ ნახვას? (ცრემლს იწმენდს)

ნ ი კ ი ფ ო რ ე — სწორედ იმ ჩვენი ირაკლის სახლში რომ არ მომხდარიყო, მიხეილ, ერთი შემთხვევა, დღეს ჩვენს მარინეს არ ექნებოდა მისალოცად საქმე.

გ ი ო რ გ ი — მაგაში ვერ დაგეთანხმები, ნიკიფორე. საქმე შემთხვევაში კი არაა: არ მოხდებოდა ერთი — მოხდებოდა მეორე. დღეს ჩვენი ცხოვრებაა ისეთი, რომ არ შეიძლება კარგმა ადამიანმა ცუდი გზით იაროს.

მ ი ხ ე ი ლ ი — „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდებაო“, ტყუილად კი არაა ნათქვამი.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — ამდენს ნუ მაქებთ, თორემ თავბრუ დამეხვევა და კონცერტს ვეღარ წავიყვან. (ნიკიფორეს) დავიწყოთ?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — დაიწყეთ.

ჭ რ ი ჭ ი ნ ა — უურადღება! აი, მამაჩემს ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ კაცი მხიარულებით კი არა, შრომით ფასდება. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ ერთი შესწორებით: ის შრომა არაფრად ვარგა, რომელიც მხიარულებას არ ბადებს. ამიტომ ჩვენი ადამიანები მარტო შრომით კი არ ითქვამენ სახელს, არამედ მხიარულებითაც. ამის დასამტკიცებლად ჩვენ გადავწყვიტეთ... აბა, კოხტა!!!

ე ფ რ ო ს ი ნ ე — (ნიკიფორეს ხმადაბლა. შოთასკენ ანიშნებს) ხედავ, როგორ უყურებს ჩვენს ჭრიჭინას? სიძეობას ხომ არ გვიპირებს, ბიჭო, ეს ყმაწვილი?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ულაშებს ეგრეხს) ისევმც კარგი დაგემართოს! ცუდი ბიჭია, თუ?

(კოხტა ნიშანს იძლევი. მუსიკა, ტაში, საერთო ცეკვა)

ფ ა რ დ ა

კიტა ბუაჩიძე

მკაცრი ქალიშვილები

კომედია 3 მოქმედებად
6 სურათად

მოქმედნი პირნი

ფოსინე	— ქალიშვილი პროვინციიდან.
ნაპოლეონ ჭინჭილეიშვილი ბურდღუ ტაბაღუა ჯიმშერ ხერგიანი შოთა არევაძე ფენგიზ სინაურიძე გულიკო არაბიძე მუზა გამრეკელი	— ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები.
ივანე	— ნაპოლეონის მამა.
პროფესორი არაბიძე	— გულიკოს მამა.
ციცილა	— არაბიძის უმცროსი ქალიშვილი.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

სცენის სიღრმეში სუროთი შემოსილი ერთსართულიანი კოხტა სახლი ჩანს ორი კიბით. სახლის გასწვრივ მიმართება ქუჩა. ეზოში ჯადარი, რომლის ქვეშ დგას პატარა მაგიდა და გრძელი სკამი. მაგიდის წინა მხარეს მიყუდებულია გიტარა.

ერთმანეთის მოშორებით სხედან ბ უ რ დ ღ უ ტ ა ბ ა ღ უ ა და ჯ ი მ შ ე რ ხ ე რ გ ი ა ნ ი, რომლებსაც ცხვირი წიგნებში ჩაურგავთ, მაგრამ ბურდღუს გულისყური წიგნის მიღმაა; იგი ახლა მალულად წამოდგება, ჯიმშერი თვალს შეასწრებს.

ჯ ი მ შ ე რ — (მკაცრად) დაეგდე!

ბ უ რ დ ღ უ — თავზე თითქოს რკინის სალტე შემომაელეს, არაფერი არ შედის ამ გასაჩეჩქვში.

ჯ ი მ შ ე რ — დაჯექი-მეთქი!

ბ უ რ დ ღ უ — ცოტას შევისვენებ, ხელ-ფეხი დამეხუთა.

ჯ ი მ შ ე რ — ნახევარი საათიც არ ზიხარ, უკვე ხელ-ფეხი დაგეხუთა. (ბურდღუ გიტარას აიღებს) ხელი, თორემ თავზე დაგაფშვნი!

ბ უ რ დ ღ უ — კი მაგრამ... არც გიტარა გენანება და არც ჩემი თავი? კარგი, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ მუსიკა!.. ჯიმშერ, მუსიკა!.. (მღერის)

ვარსკვლავები ჩამომსხდარან ხეზე
და ღელეში ჩახატულან ერთად.

შენ ყოველთვის გამწყრალი ხარ ჩემზე,
მე კი მუდამ ყოფნა მინდა შენთან.

(ქუჩაზე მიმავალ ქალიშვილს შეამჩნევს) ეს საქმეა? კაცს სწავლა გწყუროდეს და... ხელს გიშლიდნენ!? თეთრი გედივით ჩაიარა, აქით არც გამოიხედა. განგებ! უნდა სული აძიფორიაქოს... (ძღერის)

სხვიბისათვის ნიავივით ნაზო,
რატომ ხარ ჩემთვის ქარიშხალი?
რაც ძიყვრები, იეძე რისთვის ბრაზობ,—
გახსენ შუბლი, მომანათე თვალი...

ჯ ი მ შ ე რ — შედი, შინ იმეცადინე.

ბ უ რ დ ღ უ — იქ ტელეფონი არ დამაყენებს, ამ დილით სამჯერ დარეკეს, სამჯერვე მოდების ატელიეს მისამართით. ერთხელაც იქნება აპარატს დავამტვრევ.

ჯ ი მ შ ე რ — ღონე ხელს გიწყობს.

ბ უ რ დ ღ უ — მაშინ მოეხსნათ.

ჯ ი მ შ ე რ — ოთახს გვიმშვენებს.

ბ უ რ დ ღ უ — ოთახის სამკაულად მუზას პორტრეტიც გვეყოფა.

ჯ ი მ შ ე რ — ო!..

ბ უ რ დ ღ უ — რას ნიშნავს ეს „ო“? თუ ირონიაა, — საფუძველს მოკლებულია. მუზა, ეს ჩვენი ფაქიზი მეზობელი, სიტყვაკაზმული ენით რომ ვთქვათ, ჩვენი მეგობრის სატრფოა.

ჯ ი მ შ ე რ — საუბედუროდ.

ბ უ რ დ ღ უ — სხვას ნუ გაამტყუნებ, შეიძლება უარესს გადაეყარო. სიყვარული ბრმა არის.

ჯ ი მ შ ე რ — შენში ბრმაც გაერკვევა.

ბ უ რ დ ღ უ — არ გამიკვირდება: წარმოსადეგი ვაჟკაცი ვარ.

ჯ ი მ შ ე რ — ო, „ლერწამი ხარ, ტანაყრილი“... მხოლოდ ჭკუაზე მოისუსტებ.

ბ უ რ დ ღ უ — ამ ცხოვრების მოსაჭმელად ეს ჭკუაც მეყოფა, სახელი კი არც ჩემი დარჩება, არც შენი.

ჯ ი მ შ ე რ — მე უკვდავებაზე არ ეზრუნავ.

ბ უ რ დ ღ უ — ზრუნავ! ფული ნაყინისთვისაც გენანება, წიგნებს კი ყიდულობ. რათა?

ჯ ი მ შ ე რ — მინდა შვილებს დავუტოვო.

ბ უ რ დ ღ უ — შვილის შესაძენად ცოლია საჭირო, ცოლს კი თავის დღეში ვერ იხილავ.

ჯ ი მ შ ე რ — არავინ გამომყვება?

ბ უ რ დ ღ უ — უარს ვინ გეტყვის, მაგრამ... შენი მოწონებული გოგო ჯერ არ მინახავს. ზეამქვეყნიურ ქმნილებას ეძებ.

ჯ ი მ შ ე რ — ვეძებ...

ბ უ რ დ ღ უ — ჰოდა, როცა გამოძებნი, ალარც სასიძოდ ივარგებ.

(საუბრით შემოდიან გ უ ლ ი კ ო ა რ ა ბ ი ძ ე და თ ე ნ გ ი ზ ს ი ნ ა უ რ ი ძ ე)

გ უ ლ ი კ ო — არ მესმის, ასე რატომ ჯიუტობ, ფეხი ხომ არ მოგტყდება, მიდი პროფესორთან და ჰკითხე...

თ ე ნ გ ი ზ — გითხარი — არ მივალ-ძეთქი. პროფესორი ძიძა არ არის, და ჩვენ კიდევ პატარა ბავშვები: „ბიძია, ღილი შემეხსნა, შემიკარი“...

გ უ ლ ი კ ო — ნუ ხუმრობ. საქმე ეხება არა ღილს, არამედ ანტიკური ლიტერატურის პირველ წყაროებს.

თ ე ნ გ ი ზ — ჰოდა, საკუთარი ცოდნის შესამოწმებლად ამაზე უკეთესი ხერხი არ არსებობს.

გ უ ლ ი კ ო — შენ ხერხი როდი გაინტერესებს, სულელური თავმოყვარეობა არ გიშვებს.,

(გულიკო და თენგიზი სახლში შედიან)

ბ უ რ დ ღ უ — ტრისტანი და იზოლდა!.. სამი წელია სიამის ტყუპებივით დადიან, მაგრამ მათ რომანს ბოლო მაინც არ უჩანს.

ჯ ი მ შ ე რ — ის გირჩევნია, დაჯდე და იმეცადინო.

ბ უ რ დ ღ უ — კი ბატონო... (წიგნი გულში ჩაიკრა). ო, იცოდეთ მაინც როგორ მიყვარს... გუტენბერგი! წიგნი რომ არ მოეგონა — ეღირებოდა რამედ ჩვენი სიცოცხლე? (გიტარაზე ამღერებს) „კაპი-ტა-ლიზმის კანონი არის გაყვლიფოს ხალხი შეუბრალებლად...“ (ქუჩაზე იმავე ქალიშვილმა ჩაიარა) არა, შეუძლებელია აქ მეცადინეობა. (სცენის იქით იმზირება). ე, შოთა არევაძეც აქით მორბის. თუ ჩემი წიგნი ახლაც არ მოიტანა, გადაეცი — ატომსავით შუაზე გავხლეჩ. (სახლში შედის).

(შემორბის შ ო თ ა ა რ ე ვ ა ძ ე)

შ ო თ ა — ჯიმშერ, მიშველე!.. „ჩვენმა თაობამ“ წერილის დაწერა დამავალა — „დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე!“ შანიძის გრამატიკა მჭირდება, თვალი უნდა გადავავლო...

ჯ ი მ შ ე რ — გადაავლე...

შ ო თ ა — მათხოვებ? შენ გენ-ნაცვალე!.. ორ-სამ დღეში დაგიბრუნებ.

ჯ ი მ შ ე რ — მჯერა, გიცნობ — თუ იტყვი, შეასრულებ. ამას წინათ სამი დღით იბსენი გათხოვე — უკვე სამი თვე გავიდა, ჯერაც არ დაგიბრუნებია.

შ ო თ ა — ჯიმშერ, მაპატიე... დაგიბრუნებ, ხვალვე...

ჯ ი მ შ ე რ — კი მაგრამ... ბელინსკის როდის დამიბრუნებ? ფრანსს? ბენვენუტო ჩელინის?

შ ო თ ა — ჯიმშერ!.. გეხვეწები... იყავი სულდიდი... ძალიან მეჩქარება: თუ წერილი ამ დღეებში არ ჩავაბარე...

ჯ ი მ შ ე რ — (მკაცრად) მომეშვი!..

(ოთახიდან გამოდის ცოცხალმკვდარი ბ უ რ დ ღ უ)

ჯ ი მ შ ე რ — დარეკეს? რაო?

ბ უ რ დ ღ უ — (ბოღმით) მკერავ მნაცაკანოვს სთხოვეთო. (შოთა დაინახა). ა... ეს აქ არის?

ჯ ი მ შ ე რ — გახლეჩ?

ბ უ რ დ ღ უ — შოთას? არევაძეს? მმ... მერე ბიოგრაფიას ვინ ოხერი დამიწერს?

შ ო თ ა — შენ რა ბიოგრაფია უნდა დაგიწერო, ცხვირი ვერ მოგიხოცია.

ბ უ რ დ ღ უ — უყურეთ! — პლუტარხი ჭიქა წყალში! სენეკა!.. (შემოდის მ უ ზ ა გ ა მ რ ე კ ე ლ ი: 32 წლის ლამაზი ქალი, თმები უცნაურად დაუხვევია).

ბ უ რ დ ღ უ — ო, პატივცემულო მუზა!.. თქვენი დანახვა ისე მახარებს ხოლმე, ისე მახარებს...

მ უ ზ ა — ეჰ, საშინლად მოვიქანცე...

ბ უ რ დ ღ უ — თავს გაუფრთხილდით, გეთაყვა, თქვენი ბევრი მუშაობა სად გაგონილა! ია-ვარდისგან აწნული ქმნილება ბრძანდებით.

მ უ ზ ა — გმადლობთ. თითები გამიშეშდა. მთელი ხუთი საათი კლავიშებიდან არ ამიღია.

ჯ ი მ შ ე რ — მუსიკა მოითხოვს მსხვერპლს: გული და სული მთლიანად უნდა ანაცვალოთ.

მ უ ზ ა — უბრალო ბრახაბრუხს თავი მთლიანად ვანაცვალო?! ჰმ! კარგი რჩევაა! მე დამოუკიდებელ კონცერტებზე ვოცნებობდი. არ ამიხდა! არა იმიტომ, რომ ნიჭი არ მქონდა — არ მინდოდა პროტექციით გზა გამეკვლია.

ბ უ რ დ ღ უ — გასაგებია: საკუთარი თავის დამცირებით არ ისურვეთ დიდების მწვერვალზე ასულიყავით.

მ უ ზ ა — და ღმერთმა მაინც დამსაჯა: ვისაც პირის დაღება არ ეზარება, ყველას აკომპანიატორობა დამაკისრა. დღეს ერთმა მათგანმა ნერვები ისე ამიწეწა, გონს ახლაც ვერ მოვსულვარ, — ხმა და სმენა სწორედ ისეთი აქვს, როგორც ერთ დიდყურა „სოლისტს".

ბ უ რ დ ღ უ — მგონი, ვირს გულისხმობთ?

მ უ ზ ა — რა უხეში სიტყვაა!

ბ უ რ დ ღ უ — სამაგიეროდ ზუსტი ნათქვამია.

მ უ ზ ა — ზუსტი... მათემატიკა სიზუსტემ შემაჯავრა. მე ციური ხმები მიყვარდა, პოეზია...

ჯ ი მ შ ე რ — პოეზია!.. ეს იოლი გასაგებია.

მ უ ზ ა — „იოლი“... რატომაა იოლი? სად უკაკუნებთ?

ჯ ი მ შ ე რ — რა ბრძანებაა! მე იმის თქმა მინდოდა, რომ შეიძლება გიყვარდეთ პოეზია, მაგრამ არ გიყვარდეთ პოეტები. პოეტი მსახიობის ყელსაბამს წააგავს — სცენიდან იშვიათ მარგალიტაღ გეჩვენებათ, მიხვალთ ახლოს და, — უბრალო ბრჭყვიალა შუშაა.

ბ უ რ დ ღ უ — ყველაზე არ ითქმის. აი, თუნდაც, ჩვენი ნაპოლეონი...

ჯ ი მ შ ე რ — ო!.. ნაპოლეონი, რა თქმა უნდა, ბრჭყვიალა შუშა არ არის და არც მისი ნატეხია, თუმცა...

მ უ ზ ა — რა „თუმცა“? ეს მითხრით... სახლშია?

ჯ ი მ შ ე რ — დილით ოდესას გაემგზავრა, პროფესორ ფილატოვთან.

მ უ ზ ა — (ბურდღუს) ეს რომელი ფილატოვია?

ჯ ი მ შ ე რ — თითქმის სასწაულმოქმედი, ბრმებს თვალს უხელს.

მ უ ზ ა — ჰმ! რა უბადრუკი ხუმარა ხართ! არაფერი თქვენგან არ მწყინს.

ბ უ რ დ ღ უ — ჩემგან ხომ გეწყინებოდათ, პატივცემულო მუზა?

მ უ ზ ა — რა თქმა უნდა! თქვენ თავაზიანი ახალგაზრდა ხართ, ბურდღუ.

შ ო თ ა — (თავისთვის) მგონი ჩემი კელევა-ძიების ზოგიერთ ძაფს წავაწყდი. მიკვირს, ეს ამბავი როგორ გამომეპარა. (მუზას) ბოდიში, მე გახლავართ შოთა არევაძე...

ბ უ რ დ ღ უ — მემუარების ავტორი. ცოტა არეულიც.

შ ო თ ა — დამცინის, ქალბატონო, არავითარი მემუარების ავტორი მე არა ვარ, თუმცა, სიმართლე მოგახსენოთ, უკვე ამთავითვე ვაგროვებ მასალებს ჩემი ნიჭიერი ამხანაგების — მათ შორის ნაპოლეონ ჭინჭილეიშვილის ბიოგრაფიის დასაწერად.

მ უ ზ ა — და როდის დასწერთ მას?

შ ო თ ა — ასე, ოცი-ორმოცი წლის შემდეგ.

ჯ ი მ შ ე რ — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — თქვენ მოხვდებით ნაპოლეონის ბიოგრაფიაში.

შ ო თ ა — განა პოეზიის ნიჭი ნაპოლეონში თქვენ გააღვიძეთ?

მ უ ზ ა — სამწუხაროდ, როცა გავიცანი, უკვე გაღვიძებული დამხვდა.

ბ უ რ დ ღ უ — თავს კარგად მოუარეთ, პატივცემულო მუზა: პოეტის ხვედრი ცოტა უცნაურია — როგორც კი დაჭკნება მისი ტრფობის საგანი, ჭკნება მისი პოეზიაც.

ჯ ი მ შ ე რ — ჭკნობის პროცესი დიდი ხანია დაეწყო ნაპოლეონს: ბოლო დროს საზარელ ლექსებს წერს.

მ უ ზ ა — ცდილობთ ხუმრობაში გესლიც გაურიოთ, მაგრამ ვერაფერს დამაკლებთ.

შ ო თ ა — ქალბატონო მუზა! მიბოძეთ თქვენი ავტოგრაფი... ავტოგრაფი მიბოძეთ...

(მუზა სწრაფად შედის სახლში)

ბ უ რ დ ღ უ — რას ჩააცივდი? შენ მის ერთ ბღუჯა თმადაც არ ღირხარ. (გადის ეზოდან).

შ ო თ ა — ჩემი აზრით, ეს ქალი ლამაზია, როგორც ბედისწერა.

ჯ ი მ შ ე რ — გისურვებდი, — ეს ქალი ლამაზი, როგორც ბედისწერა, შენს ბიოგრაფიაში მოხვედრილიყოს (სახლში შედის. სახლიდან გამოდიან გ უ ლ ი კ ო და თ ე ნ გ ი ზ ი).

შ ო თ ა — ო! გვრიტებო, მტრედებო, მოლაღურებო!.. როგორაა თქვენი საქმეები?

გ უ ლ ი კ ო — ცუდად, შოთა, ძალიან ცუდად.

შ ო თ ა — ჩხუბობთ?

გ უ ლ ი კ ო — კვირაში ექვს დღეს.

შ ო თ ა — თუ ასეა, — საბოთხის ფრინველებს უკან ვიბრუნებ.

გ უ ლ ი კ ო — ჰკითხე ერთი, რა უნდა.

შ ო თ ა — რა გინდა, თენგიზ?

გ უ ლ ი კ ო — (ხმას აუმაღლა) რა უნდა ჩემგან? კონკრეტული პასუხი მომცეს. აპირებს თუ არა შეხვდეს მამაჩემს პირისპირ? რატომ გაურბის?

შ ო თ ა — რად გაურბიხარ? ა?.. (გაახსენდა) ეი, ხალხო!.. შანიძის გრამატიკა არა გაქვთ?

გ უ ლ ი კ ო — იტყვი შენც!.. რა მეგრამატიკება...

(შოთა ხელს ჩაიქნევს და გარბის)

თ ე ნ გ ი ზ — ეს წიგნი მე მგონი მქონდა, ა? არ გახსოვს? მეორე გამოცემა, მწვანე ყდაში...

გ უ ლ ი კ ო — (ცუშტად) არ მახსოვს. შენს განძეულობას ჯერ ჩემი ხელი არ შეხებია.

თ ე ნ გ ი ზ — რას კაპასობ? ჰმ! ორმოცი წელი შენთან რა გაძლებს!

გ უ ლ ი კ ო — (მოლბება) დაბერებასაც ვერ მოასწრებ. იადონიკით შეგინახავ.

თ ე ნ გ ი ზ — ვიცი, გალიაში მომათავსებ.

გ უ ლ ი კ ო — არა, პიროვნების სრული თავისუფლება! ცხოვრება სიცრუის გარეშე, სანიმუშო ოჯახი! ბავშვების რაოდენობა ისაზღვრება ბინის ფართობით.

თ ე ნ გ ი ზ — თუ ამ პრინციპს გავყევით, შვილებზე უკვე ამთავითვე უნდა ავიღოთ ხელი.

გ უ ლ ი კ ო — რატომ? შენ ჩვენთან გადმოხვალ, ჩვენ დიდი ბინა გვაქვს.

თ ე ნ გ ი ზ — რამდენჯერ გითხარი — არ გადმოვალ-მეთქი. არ მინდა სხვის სახლში ვიცხოვრო — ფეხის წვერებზე ვიარო, დღენიადაგ სიმამრის კონტროლის ქვეშ ვიყო.

გ უ ლ ი კ ო — შენ ხომ მას სრულებით არ იცნობ? მამაჩემი თავაზიანი და ღვთისნიერი კაცია.

თ ე ნ გ ი ზ — პირველად მესმის — ქირურგი ღვთისნიერი იყოს.

გ უ ლ ი კ ო — ნუ სულელობ. (პაუზის შემდეგ) ღმერთო ჩემო, თვალები სად მქონდა? უკეთესები ათასობით მეხვია, და მაინც შენ გამოგარჩიე.

თ ე ნ გ ი ზ — ამაზე დარდი ახლა გვიანია.

გ უ ლ ი კ ო — გვიანია... წამო ჩვენთან.

თ ე ნ გ ი ზ — სად? არა, გულიკო, ჩვენ დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვროთ, დედამიწაზე საკუთარი იმედით უნდა ვიაროთ. (ჩაფიქრდება) იცი რა! მოდი, ჩემთან გადმოდი. ჩემი „დარბაზები", მართალია, არც თუ ისე ფართოა, ოთხი კვადრატული მეტრია, ცოტა მაღლობიცაა, მეხუთე სართული, მაგრამ ცხოვრება იქ მაინც შეიძლება.

გ უ ლ ი კ ო — რას ამბობ? სახლიდან რომ წავიდე, მამა ჭკუაზე შეირყევა. უჩემოდ სუნთქვაც არ შეუძლია. (სხვა კილოთი) თენგიზ!.. ნუ გაჯიუტდები.

თ ე ნ გ ი ზ — ჯიუტობა რა შუაშია, თავმოყვარეობა ცოტა მეც მაქვს. ბოლოსდაბოლოს... მამაკაცი ვარ.

გ უ ლ ი კ ო — „მამაკაცია"... სამი წელიწადია ჩემს უნახავად დღეს ვერ აღამებ, ხალხი, ვინ იცის, რას ფიქრობს, შენ კი ჩემთვის ერთხელაც არ გიკოცნია.

თ ე ნ გ ი ზ — ვარდი როცა უყვართ, ფურცლებს არ აცლიან.

გ უ ლ ი კ ო — ვარდი ჭკნება, თუ არ მიუალერსე.

თ ე ნ გ ი ზ — რა მეჩქარება!

გ უ ლ ი კ ო — ნათქვამია: ვინც ჭაბუკობის შემდეგ თარზე დაკვრას ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო.

თ ე ნ გ ი ზ — რა გითხრა...

გ უ ლ ი კ ო — რას მეტყვი, თუკი სხვა აირჩიე...

თ ე ნ გ ი ზ — არა, მხოლოდ შენ მიყვარხარ.

გ უ ლ ი კ ო — სტყუი! რომ გიყვარდე, ჩემთან ხის წვერზეც იცხოვრებდი, სადილ-ვახშმად მწვანე ფოთლებს შეჭამდი.

თ ე ნ გ ი ზ — დალოცვილო, აბრეშუმის ჭია როდი ვარ.

გ უ ლ ი კ ო — არც მე ვარ... (ტირილი წასკდა).

თ ე ნ გ ი ზ — ნუ ტირი, თვალები დაგიწითლდება. გესმის? გულიკო!

გ უ ლ ი კ ო — დამამშვიდე.

თ ე ნ გ ი ზ — როგორ?

გ უ ლ ი კ ო — როგორც შეგიძლია.

თ ე ნ გ ი ზ — მაინც?

გ უ ლ ი კ ო — კინოსურათში ნახავდი.

თ ე ნ გ ი ზ — იქ თმებზე ხელს უსვამენ.

გ უ ლ ი კ ო — შენც გადამისვი.

თ ე ნ გ ი ზ — (მორიდებით თავზე ხელი გადაუსვა) ასე?

გ უ ლ ი კ ო — გულის ბაგუნი მესმის.

თ ე ნ გ ი ზ — ჩემი? მოხატული გოგონა ხარ.

გ უ ლ ი კ ო — ვიცი. რამე ახალი თქვი.

თ ე ნ გ ი ზ — მიყვარხარ...

გ უ ლ ი კ ო — ძველია.

თ ე ნ გ ი ზ — გაკოცო, შეიძლება?

გ უ ლ ი კ ო — (გაგულისებული) რა თქვი?

თ ე ნ გ ი ზ — ბოდიში...

გ უ ლ ი კ ო — (ჩვეულებრივად) გაიმეორე, არ გამიგონია.

თ ე ნ გ ი ზ — კოცნა დაგიპირე.

გ უ ლ ი კ ო — ღმერთს უმადლე, არაფერი შემიმჩნევია.

თ ე ნ გ ი ზ — გამიწყრებოდი?

გ უ ლ ი კ ო — ყბას მოგიქცევდი.

თ ე ნ გ ი ზ — ასეთს რას ვაშავებდი... (ხელს მოხვევს)

გ უ ლ ი კ ო — თენგიზ...

თ ე ნ გ ი ზ — გულიკო... (აკოცებს)

გ უ ლ ი კ ო — (ლოყაზე ხელს მიიდებს) ჩემი სიკვდილი!

თ ე ნ გ ი ზ — (მთრალივით ბარბაცებს, მტკიცედ) წავიდეთ მამაშენთან!... სხვა არა იყოს რა, ბეთლემის გამოქვაბულში გაცხოვრებ. თანახმა ხარ?

გ უ ლ ი კ ო — კი, ოღონდ ნუ გეშინია, მამა არ დაგიწუნებს: ის ისეთი წყნარი, ჩუმი, კეთილი გულის კაცია, ყველასათვის კარგი უნდა.

თ ე ნ გ ი ზ — თუ ასეა. მე რაღა დავაშავე. წავიდეთ!..
(სწრაფად გადიან. შემოდის ი ვ ა ნ ე ჭ ი ნ ჭ ი ლ ე ი შ ვ ი ლ ი ხის ჩემოდნითა და პატარა ხელკალათით).

ი ვ ა ნ ე — (სახლის ნომერს ათვალიერებს) ირიბის ქუჩა... ნომერი ძვიდი... (აივანზე ჯ ი მ შ ე რ ი გადმოდგება) კი, სწორედ აქ უნდა ცხოვრობდეს ის ნამუსგარეცხილი...

ჯ ი მ შ ე რ — ბოდიში, ვის ეძებთ?..

ი ვ ა ნ ე — ნაპალეონ ჭინჭილეიშვილს. მამაშვილობას, ნუ დამიმალავ, ღამის გათევას როდი ვაპირებ თქვენთან, ერთხელ თვალი მინდა შეევალო, ბიჭია ჩემი.

ჯ ი მ შ ე რ — ა... თქვენ ნაპოლეონის მამა ბრძანდებით? ძალიან სასიამოვნოა, დაბრძანდით, ბატონო. უცბათ ვერ მიგიხვდით, თითქოს ნამუსგარეცხილი ახსენეთ და. ცოტა არ იყოს, ავირიე...

ი ვ ა ნ ე — რავა, არ არის თუ? სოფლად ხმამ მოაწია — ცოლს ირთაესო.

ჯ ი მ შ ე რ — ბუნება თავისას მოითხოვს.

ი ვ ა ნ ე — ბუნების პირველი მეგობარი მე ვარ თვითონ. ეს ოქროს მედალი გგონია იმაში მივიღე, რომ ბუხარს ვეფიცხებოდი?

ჯ ი მ შ ე რ — ვიცი, სახელგანთქმული მეევნახე ბრძანდებით.

ი ვ ა ნ ე — შენ საიდან იცი?

ჯ ი მ შ ე რ — გაზეთებიდან. შარშან ფოტოსურათიც იყო თქვენი ბოთავსებული...

ი ვ ა ნ ე — რომელი? ყაბალახწაკრული რომ ვარ თუ...

ჯ ი მ შ ე რ — არა, ნაბდის ქუდი გეხურათ.

ი ვ ა ნ ე — ჰო, ეგ ქართულ გაზეთში იყო, რუსულში ყაბალახით ჩამხატეს. (სხვა კილოთი). შენ ეს მითხარი... ის ჩემი ბიჭი მაინც ვის ირთავს?

ჯ ი მ შ ე რ — მმ... თქვენი ვაჟით თამამად შეგიძლიათ იამაყოთ, მართლაც ჩინებული ახალგაზრდაა, მხოლოდ სიყვარულის სფეროში... ორივე ფეხი მოიტეხა.

ი ვ ა ნ ე — მერე? ამხანაგები რას ეუბნებით, ბაბა?

ჯ ი მ შ ე რ — ქალს მიწასთან ვუსწორებთ, მაგრამ ჩვენს საყვედურს გულთან ახლოს არ იტანს.

მ უ ზ ა — (აივნიდან) ჯიმშერ! ტელეფონზე გიხმობენ! (ოთახში შედის)

ჯ ი მ შ ე რ — ეს გახლავთ. (შედის სახლში)

ი ვ ა ნ ე — ეს არისო?.. რავა, ქალი გაწყდა ქვეყანაზე? გაწყდა ქალი ქვეყანაზე?.. თავზე რა დაუდგამს — ყვავის ბუდე?! ეხ, ფოსინე, ფოსინე, ჩემო გოგო...

მ უ ზ ა — (გამოდის) სალამო მშვიდობისა! მითხრეს ნაპოლეონის მამა ბრძანებულხარ თ.

ი ვ ა ნ ე — მე ვარ უბედური...

მ უ ზ ა — რატომ, ბატონო?

ი ვ ა ნ ე — შვილი ვერ გამომადგა.

მ უ ზ ა — რას ბრძანებთ! პირველად ვხედავ ადამიანს, რომელიც მის ძვირს ამბობს. მერე და რა ნიჭიერია! თანაც რა ახალგაზრდაა! რაღაც ოცდასამი წლის...

ი ვ ა ნ ე — ერთი წლის შემდეგ გაგიჟდება.

მ უ ზ ა — როგორ?

ი ვ ა ნ ე — მოდგმა გვაქვს ასეთი — 24 წლის ასაკში ჭკუაზე ვირ-ყევით.

მ უ ზ ა — თქვენ როგორღა ვადარჩით?

ი ვ ა ნ ე — მმ... (იქით) ეტყობა ენის წვერი ხვარასანში აქვს ამოვლე-ბული. სიფრთხილე მმართებს.

მ უ ზ ა — თბილისში პირველად ბრძანდებით?

ი ვ ა ნ ე — მეათედ.

მ უ ზ ა — აქაური ქალები როგორ მოგწონთ?

ი ვ ა ნ ე — მიკვირს ამდენმა თუთიყუშმა ერთად თავი სად მოიყარა.

მ უ ზ ა — განა ლამაზი ერთიც არავინ შეგხვედრიათ?

ი ვ ა ნ ე — დილას აქეთ ვეძებ — ვერავის გადავეყარე.

მ უ ზ ა — ვინ იცის, ეგებ თვალს გაკლიათ?

ი ვ ა ნ ე — მე?! დღისით ცაზე ეარსკვლავებს ვხედავ.

მ უ ზ ა — მ-და... იცის ხოლმე, უძილობით ადამიანს თვალებზე ლი-ბრი გადაეკვრის. ცოტა წაძინება უთუოდ მოგიხდებოდათ.

ი ვ ა ნ ე — არ მაწყენდა!

მ უ ზ ა — ოთახში ამობრძანდით.

ი ვ ა ნ ე — მადლობას მოგახსენებთ.

მ უ ზ ა — გნებავთ, ბალიშს აქ მოგირბენინებთ?

ი ვ ა ნ ე — ნუ შეწუხდებით, ძილის მონატრულს სასთუმლად ჯირ-კიც ებუმბულება. (მუზა მხრებს აიჩეჩავს და სახლში შედის. შემო-დის ნ ა პ ო ლ ე ო ნ ჰ ი ნ ჰ ი ლ ი ი შ ვ ი ლ ი).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ო, მამა!.. მამუკა!.. (ადაეხვევა). რა შეგემთხვა? ასე მოულოდნელად ჩამოხვედი...

ი ვ ა ნ ე — (თავს გაითავისუფლებს, ცივად) ხვალ სალამოს მოსკოვს გე-ახლები, გამოფენაზე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ხომ მშვიდობით?
ი ვ ა ნ ე — ვართ...
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — დედა?
ი ვ ა ნ ე — ვერაა კარგად. ამ ბოლო დროს გულმა ჩხვლეტა დაუწყო.
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — უჰ!..
ი ვ ა ნ ე — ცუდი ამბავი შეიტყო და არ ეჭაშნიკა.
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა ამბავი?
ი ვ ა ნ ე — ისეთი არაფერი...
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მამა! რაღაცას უნდა მიმალავდე... შინ ხომ ყველა ცოცხალი ხართ?
ი ვ ა ნ ე — მალე მოვკვდებით.
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა მოგკლავთ?
ი ვ ა ნ ე — შვილი, ბაბა.
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რომელი?
ი ვ ა ნ ე — სულ უფროსი.
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მე?
ი ვ ა ნ ე — (გულაჩუყებით) ბიჭო!.. ა, ბიჭო...
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ნუ გერიდება, მითხარი რა გაწუხებს?
ი ვ ა ნ ე — რავა ხარ?
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა მიშავს, ვსწავლობ.
ი ვ ა ნ ე — კაი მოგეცა. უსწავლელი კაცი ჩვენ დროში ანთებულ კვარით უნდა ეძებო. მაგრამ, ბაბა, სწავლას მოხმარა უნდა — დედაშენი ნაწყენია, წერილებს არ მწერსო.
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ამ საყვედურის ღირსი არა ვარ. ამას წინათ ორ-მოცსტრიქონიანი ლექსი დავბეჭდე, — „წერილი დედას". წაგეკითხათ!

ვიცი, მიგონებ სათუთი ცრემლით
და ჩემს სურათსაც უკოცნი თვალებს,
რას იფიქრებდი, თუ შენი შვილი
დაივიწყებდა მშობლიურ ჭალებს.

მე ხომ ბალახზე ავიდვი ფეხი
და ჩიტებისგან ვისწავლე ენა,
ანცი ვიყავი—კარის მეზობლებს
ახლაც ვახსოვარ, როგორც არსენა...

ი ვ ა ნ ე — კი, გვახსოვხარ... ისე, ლექსებსაც ვკითხულობთ შენსას. ჩვენ თუ გამოგვეპარა, ფოსინეს მაინც არ გამოეპარება და საკვირიკობო ძღვენივით მოგვირბენინებს.
ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ფოსინე?!

ი ვ ა ნ ე — გვიან კი იკითხე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — როგორაა?

ი ვ ა ნ ე — ყოჩაღად. უნივერსიტეტში მოდის სასწავლებლად. დღეს ჩამოვა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ჰო?!

ი ვ ა ნ ე — თითქოს ბზიკმა გიკბინა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არა... სრულებითაც არა.

ი ვ ა ნ ე — (ცრემლით) ნაპალეონ, პირველი შვილი ხარ შენ ჩემი...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ვიცი.

ი ვ ა ნ ე — პირველი შვილი ხარ და, მიყვარხარ... მიყვარხარ და... (ავნთო) ქალი გაწყდა ქვეყანაზე?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რაზე ამბობ?

ი ვ ა ნ ე — გაწყდა ქალი ქვეყანაზე?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არ მესმის.

ი ვ ა ნ ე — ცაზე აწებებას ვერ დაგპირდები, შვილო, ვერც სიცოცხლეს გიყიდი, რაც არ შემიძლია — არ შემიძლია, ისე კი, ამ კურთხეულ მიწაზე პური გინდა, ღვინო გინდა, წყალი გინდა, ყველაფერს თავს შემოგავლებ და რითაც შეეიძლებ ხელს შეგიწყობ, ოღონდ, შენი ყმაწვილკაცობის ჭირიმე, იმ მაჭიკივით ქალს ჩამოეცალე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ—ჩამოვეცალო?! შენ იცი, მამა, რა არის სიყვარული?

ი ვ ა ნ ე — ცოდვილი კაცი ვარ, არ გამომიცდია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მაშინ სხვის საქმეში ნუ ჩაერევი.

ი ვ ა ნ ე — რავა, ჩემი შვილის საქმე ჩემი საქმე არ არის? (ხმას თანდათან უმაღლებს) ვინ ჩაგიდგა პირში სული? ვინ დაგაყენა ცხოვრების გზაზე? ვინ მოგცა ხელში ანბანი? ვინ გასვა, ვინ გაჭამა, ვინ ჩაგაცვა? გლეხის ბიჭს, შე გლახა, რომის პაპის შვილივით გზრდიდი.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ნუ მაყვედრი, რომის პაპს ბავშვები არა ყავს. (სხვა კილოთი) რისთვის ჩამოხვედი, საჩხუბრად?

ი ვ ა ნ ე — ურემს რომ ტვირთი დააწვება — ჭრიჭინს დაიწყებს.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თუ ასეა, შენ რომ ტვირთი ამკიდე, 23 წელიწადია კურტანივით მკიდია და სადაც წავალ, ეექვანივით თან დამყვება, მაგრამ ჩემგან საყვედური ერთხელაც არ მოგისმენია.

ი ვ ა ნ ე — რომელ ტვირთზე მეუბნები?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რომელზე და... ნაპოლეონი რომ დამარქვი, ჭკუა სად გქონდა? სირცხვილით ანკეტაც ვერ შემივსია, სად ჭინჭილეიშვილი, სად ნაპოლეონი?! ნაპოლეონის დარქმევას პუპუჭიე დაგერქმიათ, არ მერჩია?!

ი ვ ა ნ ე — მე კეთილი გულით დაგარქვი, იცის ღმერთმა. სპირიდონ-მა თავის ბიჭს ბისმარკი დაარქვა და... მე რა, სპირიდონზე ნა-კლები ვარ თუ? უკაცრავად, ბამაშენი ზოგ-ზოგები არ გე-გონოს, მეზობელს ჩამორჩეს. ნაპალეონი — ზარბაზანივით ქუხს, შენ კი არ გინდა დააფასო მამის ამაგი. შეგირცხვა სინ-დისი!.. ბიჭო, შვილი ხარ ჩემი, შვილი! აეად გზრდიდი თუ კარ-გად, ღმერთია მოწამე, ცხელი ჭადი და ცივი ლობიო არასო-დეს დამიკლია, უფროსი იყავი და ცხრა შვილში სახარე მოზ-ვერივით მყავდი გამორჩეული; გვეგონა, ჩვენს ფეხის ხმას აყვებოდი და ცოლს ისეთს მოიყვანდი — პირში სულს ჩაგვი-ბრუნებდა, შენ კი გვიმტყუნე? ბლაგვი დანით გინდა ყელი გამოგვჭრა? გალესე მაინც. (ივანზე მ უ ზ ა გადმოდგა)

ბ უ ზ ა — ა... შეხვდით ერთმანეთს?

ი ვ ა ნ ე — (ხმადაბლა) ბიჭო, ამ მწვანე მაიმახს ბატის ჭუკს არ ვენ-დობი ღელემდე და შენ სახლში რძლად გინდა შემომიყვანო?

მ უ ზ ა — პირს ხომ არ დაიბანთ, ბატონო? ნამგზავრი ბრძანდებით...

ი ვ ა ნ ე — დიდი მადლობა, არ ვიმსახურებ ამდენ ყურადღებას... ალბათ ესეც გულზე წითელი კვერცხის გორებით გამოაბენ-ტერეთ...

ბ უ ზ ა — ნაპოლეონ, რა მესმის?

ი ვ ა ნ ე — რა გესმით... გაწყდა კაცი ქვეყანაზე? წესიერი ქალი ამ ღლაპს მიაქცევს ყურადღებას? მონათლული მაინც იყოს.

მ უ ზ ა — როგორ მელაპარაკებით? რა უფლებით?... (საყვედურით) ნაპოლეონ! (გაგულისებული გადის ქუჩის მიმართულებით).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (დაედევნება) მუზა!... (მამას) ფაქტია, არ დამინდე და თავი მომჭერი. კარგი! არც მე დაგინდობ. ავდგები და ხელს მოვაწერ.

ი ვ ა ნ ე — რა შემიძლია გიყო? ალია სადაც მოკვდება, ფეხსაც იქ გასჭიმავს. (სხვა კილოთი) კი მაგრამ.. ფოსინეს, ბიჭო, რა პირით გინდა დაენახო? სამწყესურში ერთად რომ დაგოგმანობდით... ჩამოდი აქ და დაპირება მტკვარს გაატანე?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (ცხარედ) რა გინდათ, რა ცეცხლი მომიკიდეთ ამ ფოსინეთი? ერთი პროვინციელი ქალიშვილია...

ი ვ ა ნ ე — სადაურია?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ბღარკითელი გოგოა...

ი ვ ა ნ ე — მერე? რითია ეს ცუდი? შენ თვითონ საიდან ხარ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — საიდან ვარ... მმ... მეც იქიდან ვარ...

ი ვ ა ნ ე — (მკაცრად) საიდან ხარ? თქვი პირდაპირ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (ცოტა შეფრთხა) ბღარკითიდან... მამა, მე არ ვამ-

ბობ, რომ ეს ცუდია. არც იმას ვამბობ, რომ ფოსინე ცუდი გოგოა. შეიძლება ძალიან კარგიცაა და მე ის ოდესღაც მიყვარდა კიდეც, მაგრამ... დრო უკან რჩება და ადამიანი წინ მიდის. მე გავიზარდე, მამაჩემო, ჩემი ჰორიზონტი გაფართოვდა! ამ ქვეყნად მხოლოდ ფოსინე როდია. ქალები, ერთმანეთზე უკეთესები, უთვალავია.

ი ვ ა ნ ე — ეჰ, ფოსინესთანა მაინარახივით გოგოს მეორეს სად მონახავ? თვალწარბი მოწანწკლული, სიტყვა-პასუხი დარბაისელის, გამრჯე და მუყაითი. არა, ბაბა, ლობიოს თესლიდან ხე არ ამოვა, არც შენგან გამოვა კაცი. მადლი იყო, სამოყიანი წვერის დანასავით მოპირული თოხი გამედო შენთვის მხარზე და გაგანია სიცხეში სამარგელში გამეგდე, მაგრამ შევცდი და სწავლაში გიკარი თავი. შენ კი აქ ვიღაც ჭლიკამოგდებულ ქალს გადაეკიდე?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა გინდათ ჩემგან, მე თუ მომწონს?!

ი ვ ა ნ ე — ბიჭო, რა უნახე მაგას მოსაწონი, ორი-სამი წლის შემღეგ წვერი ამოუვა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — დამანებეთ თავი! თავი დამანებეთ!

ი ვ ა ნ ე — დაგანებებ, ბაბა, თავს, დაგანებებ... კარგი შვილი მამასო გზაზე დაუდებს ტაბლასო. დიდ მადლობას მოგახსენებ — შენი დადებული ტაბლა მოსკოვამდე ჩამყვება. ჭეშმარიტად, საუკუნო ამაგი დამდევი, საუკუნო. (მიდის)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — საით?

ი ვ ა ნ ე — ვიცი, ჩემი აქ ყოფნა მახათივით გესობა გულზე. (მიდის, მობრუნდა) ეგ გალსტუკი აპეურივით რომ შეგიბამს, კაცი ვგონია შენი თავი?! შე მართლა პუჭუჭიე ჭინჭილეიშვილო!.. პროვინციავ!..

მეორე სურათი

პატარა ოთახი. რკინის საწოლი, დივანი. საწოლის თავზე მუზას პორტრეტი კიდია. ფანჯრის რაფაზე—ტელეფონი. წიგნების ორი თარო. ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი მაგიდას უზის, თხზავს ლექსს. ისმის მუზას სიმღერა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (კითხულობს)

მე არაფერი არ მინდა თქვენგან
და არც მოთხოვნის მქონია ფიქრი,
მოეალერობად ქცეული კოცნა
ცივია, როგორც თოვლისა ფიფქი...

(შემოდის მ უ ზ ა)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მუზა!

მ უ ზ ა — ბრძანდებოდეთ. მე თქვენთან არ მოვსულვარ. ტელეფონით მინდა დავრეკო.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (დაამებით) ნებას არ გაძლევთ.

მ უ ზ ა — „კარგი! წავალ აფთიაქში, ავტომატიდან დავრეკავ. (წასვლას აპირებს)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (გზას გადაუკრის) არსადაც არ გაგიშვებთ.

მ უ ზ ა — ჰმ! რა მხდალი ყოფილხართ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა მექნა, მამას ვერ გავლახავდი.

მ უ ზ ა — „ვერ გალახავდით"... მაგრამ ეტყოდით ვინ ვარ მე, რა ვარ მე? შეიძლება ფიქრობს, რომ მე ტყეში ვიზრდებოდი, სოფელში, ჩაის ბუჩქთან?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — სამწუხაროდ, ასე როდი ფიქრობს.

მ უ ზ ა — მერე და ეს გულს გიკლავთ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მამაჩემს ცხოვრებაზე თავისი შეხედულება გააჩნია.

მ უ ზ ა — (გაწიწმატებით) მე არ მაინტერესებს მისი შეხედულებანი, მე თქვენი მაინტერესებს.. გესმით?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — დამიჯერეთ, მუზა, თქვენს შეურაცხყოფას აწი ვერავინ გაბედავს.

მ უ ზ ა — მ-და... მაშ, მამა თქვენზე გავლენას ვერ მოახდენს?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თუნდაც ბელზებელს შეუთანხმდეს.

მ უ ზ ა — ჯიმშერი?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — სათვალაში რა ჩასაგდებია.

მ უ ზ ა — ვის შეუძლია ჩვენი დაშორება? რომანის ენით მიპასუხეთ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — სიკვდილს... მიყვარხართ... მუზა!

(ეს არის უნდა აკოცოს, რომ კარი ჭრიჭინით იღება და ზღურბლზე ხელბარგით დატვირთული ფოსინე გამოჩნდება).

ფ ო ს ი ნ ე — (შეწუხებული) ა...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ფოსინე?!

ფ ო ს ი ნ ე — ბოდიში... გამარჯვება... ძლივს მოგაგენი... ირიბის ქუჩა ჩუღურეთში მიმასწავლეს, თურმე ვაკეში ყოფილა... არც თუ ისე ვაკეა, გაქუცული მთებია ირგვლივ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (საკვიელწამხდარი) გეოგრაფია... ვახტანგ გორგასალი...

ფ ო ს ი ნ ე — ვიცი, გამიგონია, წამიკითხავს... მაგრამ ასეთს მაინც ვერ წარმოვიდგენდი. ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახო თურმე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (შეამჩნევს, რომ ფოსინეს კალათი ისევ ხელში უჭირავს) რატომ კალათს არ დადებ?

ფ ო ს ი ნ ე — კალათს? რომელს? ო... აქ შეიძლება?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — აქ?.. (მუზას გამოხედავს შეეფეთება, ცოტა უხეშად) არა, აქ არ ივარგებს, ჯობია იქ დადო. (ცუთხისკენ უთითებს)

ფ ო ს ი ნ ე — მესმის... მე დიდიხნით არ შეგაწუხებ, ნაპოლეონ, ნახევარი საათით შემოვიარე, ბიძია ივანეს უნდა შევხვდე, ფული უნდა გადავცე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა ფული?

ფ ო ს ი ნ ე — (უბიდან რაღაც შეხვეულს იღებს) აი ეს. ამაში ხუთი ათასია. ჩვენს კოლმეურნეობას სეპარატორი არა აქვს. გადავწყვიტეთ — ბიძია ივანემ მოსკოვში იყიდოს.

მ უ ზ ა — მერე და, არ გეშინიათ ამოდენა ფული სადმე დაკარგოთ?

ფ ო ს ი ნ ე — (ფულის შეკერას გულთან მიიხუტებს) მეშინია!.. ძალიან მეშინია!

მ უ ზ ა — არ იცოდით, რომ ფული ტელეგრაფით შეიძლება გადაიგზავნოს?

ფ ო ს ი ნ ე — ვიცოდით, როგორ არ ვიცოდით, მაგრამ რატომღაც შეგვეშინდა — ვაი თუ გზაში სადმე დააგვიანდეს-თქო.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თავის დროზე გადავცემდი მაძაჩემს!

ფ ო ს ი ნ ე — ვაძლევდი, მაგრამ არ აიღო: შენ უფრო გაუფრთხილდებიო. ჩვენ ერთად დავაპირეთ წამოსვლა, მაგრამ მე ბილეთი ვერ ვიშოვე და ერთი მატარებლით გამომასწრო. კიდევ კარგი, კეთილ მგზავრებს გადავეყარე, ბარგის გადმოტანაში ერთობ დამეხმარნენ.

მ უ ზ ა — (ირონიით) თბილისში პირველად ხართ?

ფ ო ს ი ნ ე — პირველად... მაშინებდნენ, ზღვის კენჭივით დაიკარგებიო. (უხერხული დუმილი) ბიძია ივანე მალე მოვა?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა ვიცი. შეიძლება სულაც არ მოვიდეს.

ფ ო ს ი ნ ე — უჰ!.. მაშინ გლეხთა სახლში ვინ წამიყვანს?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ქუჩაში არ დაგტოვებთ.

ფ ო ს ი ნ ე — არა, მაგრამ... (ოთახს თვალიერებს) ურიცხვი წიგნი გქონია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მხოლოდ ჩემი არ არის. ამ ოთახში ჩემს გარდა კიდევ ორი ამხანაგი ცხოვრობს.

ფ ო ს ი ნ ე — ძალიან კარგია, თავი არ შეგწყინდებათ. (მუზას პორტრეტს დაინახავს) დედა, რა ლამაზი ქალია! ზღაპრული მზეთუ-

ნახავია ნამდვილად. როგორი ჟუჟუნა თვალები აქვს! ვისია ეს სურათი, ნაპოლეონ?

მ უ ზ ა — ჩემი გახლავთ.

ფ ო ს ი ნ ე — (ახედ-დახედავს) თქვენი?

მ უ ზ ა — როგორ, არ მგავს?

ფ ო ს ი ნ ე — არა, მსგავსება თითქოს არის... არა, არის, ნამდვილად არის... ცხვირი, შუბლი, წარბები... მხოლოდ თვალები თითქოს ამ სურათივით აღარ იცქირებიან.

მ უ ზ ა — (ხმადაბლა) ვინაა ეს გომბიო?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მმ... ბიძაშვილია.

მ უ ზ ა — ძალიან ნათესავები ყოლია. (გასვლისას ფეხს წამოკრავს ფოსინეს ხელკალათს, საიდანაც ვაშლი და მსხალი გადმოცვივდება. ფოსინე და ნაპოლეონი უხმოდ აგროვებენ და ისევ ხელკალათში აწყობენ)

ფ ო ს ი ნ ე — მ-და... სხვა, რასა იქ, ნაპოლეონ? ოი, როგორ გამხდარხარ, ლოყები აღარ გიჩანს.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (თავჩაღუნული) სწავლა... სიცხეები...

ფ ო ს ი ნ ე — ჰო, სიცხეები... ძნელი ასატანია... კამეჩსაც დააუძლურებს. (დუმილი)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მმ... სოფელში როგორ არიან?

ფ ო ს ი ნ ე — არა გვიშავს, ვცხოვრობთ... ჩვენი კოლმეურნეობა გამოფენის მონაწილეა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თავი რითი ისახელეთ? თამბაქოთი?

ფ ო ს ი ნ ე — არა, ყურძნის მოსავლით! თამბაქო ჩვენი მეურნეობის ძირითადი დარგი როდია. შენ ესეც აღარ იცი.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რატომ? ვიცი...

ფ ო ს ი ნ ე — არ იცი! რა ხანია ჩვენში არ ყოფილხარ, ვინ იცის, მობიბინე მინდორი ეგებ სულაც დაგავიწყდა, შენთვის ეხლა ასფალტია, ალბათ, უფრო ძვირფასი. ასფალტიც კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ არც ღელე უნდა დაივიწყო, პატარაობისას ჩალის წისქვილებს რომ აგებდი ხოლმე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არც ვივიწყებ.

ფ ო ს ი ნ ე — ჩამოხვალ — ჩვენს სოფელს ველარ იცნობ. უჰ, რას ვამბობ — ცნობით როგორ ვერ იცნობ, — მთები ისევ იქ დგანან, მდინარეც ძველი კალაპოტით მიიმართება, მაგრამ მაინც ბევრი რამ შეიცვალა. პარტახს ველარ ნახავ, — სტადიონი ააგეს; ღამით კი ყველა ვარსკვლავი ჩვენთან სტუმრად ეშვება: ჩვენი ჰიდროსადგური ამუშავდა... (ამოიოხრებს) რამდენი ოფლი მიალია საწყალმა არქიფომ ელექტროსადგურის მშე-

ნებლობას, ანთებას კი ვერ მოესწრო. სულ უეცრად გამოგვეცალა ხელიდან უბედური...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მისმა სიკვდილმა გული დამიდაღა. კარგი კაცი იყო!

ფ ო ს ი ნ ე — კაციც კარგი იყო და ინჟინერიც.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — აკი ამაზე ვწერდი კიდეც ჩემს ლექსში, რომელიც მის ხსოვნას მივუძღვენი. არ წაგიკითხავს?

ფ ო ს ი ნ ე — წავიკითხე... ხომ არ გეწყინება? არ მომეწონა... რაღაც გულს არ მოხვდა. გალექსილი ნეკროლოგია, ტრაფარეტული. რა მოხდა მერე, მწყემსი იყო და ინჟინერი გახდა! ამით ახლა ვერავის გააკვირვებ. საერთოდ, შენ წინათ უკეთ წერდი. (დუმილი)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — საინტერესოა, როგორ გადაიტანა აკვირინემ ქმრის სიკვდილი?

ფ ო ს ი ნ ე — ეჰ, სასაფლაოზე კუბოს ფიცარს თავს ატეხდა, მეც არქიფოს ჩამატახეთო. გუშინ კი წყაროსთან შემოხვდა, მე შორიდან მოვუარე და ვკითხე, რას აპირებ, აკვირინე-მეთქი. მეგონა ჩემს კითხვას იწყენდა, იმან კი გულღიად მიპასუხა: „რა ვქნა, ჩემო დაიაო, საწყალი არქიფო სულ თვალწინ მიდგას, მაგრამ რა ვიცი, შეიძლება შემემთხვეს რამე და გავთხოვდეო“.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მერე და ამაში დასაძრახი რა უპოვე?

ფ ო ს ი ნ ე — როგორ თუ რა ვუპოვე?! არქიფო როცა კვდებოდა, უბედურმა აკვირინეს სანთელი აუნთო — არ გათხოვდეო. ადამიანი თუ გიყვარს, მისი ხათრი სიკვდილის შემდეგ არ უნდა შეგრჩეს?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (ამოიოხრებს) საკვირველია ადამიანის ბუნება! ქმარი კვდება, არარაობაში მიდის, ცოლს კი ანდერძს უტოვებს, არ გათხოვდეო. მკვდარი ცოცხალს მძევლად იტოვებს!

ფ ო ს ი ნ ე — როგორ? აბა, როცა სიკვდლს დააპირებ, გათხოვების ნებას დართავ შენს ცოლს? უი დედა, რას ვამბობ, ჯვარი გწერია, სიკვდილს შენთან რა უნდა...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ჭინჭარშიაც რომ გადამაგდონ — ოც წელიწადს იქაც ვიცოცხლებ.

ფ ო ს ი ნ ე — ამბობენ,— ადამიანმა 150 წელიწადი უნდა იცოცხლოსო, შენ კი ამბობ ოციო. ოცი წელი რა არის, ოც დღესავით გაირბენს. ასე მგონია გუშინ იყო: სოფელში იყავი, გრუზათმიანი, სათემოზე ქვისროლია გოგოები სულს გიმწარებდნენ — „თმაგაჩეჩილოო“ — გეძახდნენ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ნეტავი იმ დროს!

ფ ო ს ი ნ ე — სადღაა შენი ქოჩორი? გცვივა? (ნაპოლეონი ამოიოხრებს). შე კაცო, რას ხვნეში, ღმერთი ძუნწია: ზოგს თმას მისცემს, ზოგს ჭკუას.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მე ერთიც დამაკლო და მეორეც.

ფ ო ს ი ნ ე — თავის მოსაწყლების ოსტატი შენ ყოველთვის იყავი: ქებას თითქოს ყმაწვილობიდანვე თაკილობდი, თუმცა გული სასახელო საქმისაკენ მიგიწევდა. მახსოვს, გამთენიით სოკოზე წახვიდოდი, ნიყვით და წიფლიოთი კალათებს დატენიდი და ღიმილთან ერთად მეზობლებს ჩამოურიგებდი. ისინიც გაქებდნენ ხან წალმა, ხან უკულმა. შენ ეს გიხაროდა. ხომ გიხაროდა?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — განა მოიპოვება ისეთი სულდგმული, რომელსაც არ უნდა, რომ მისი სახელი სიყვარულით იხსენიებოდეს? მუხუდოს მარცვალი რა არის, მაგრამ ისიც კი ისწრაფვის გალვივდეს და მზეს შეხედოს.

ფ ო ს ი ნ ე — მაგრამ ადამიანმა არ უნდა წახედოს მუხუდოს მარცვალს, რომლის ყლორტები მზის დანახვისას უსაშველოდ გადიდგულდებიან ხოლმე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არიან ასეთი ადამიანებიც.

ფ ო ს ი ნ ე — სწორედ ერთ მათგანს ამას წინათ გულში ჩანაწებ კალმით ვწერდი, ის კი პასუხად მუდოსავით სდუმდა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — შენი წერილი არ მიმიღია, ფოსინე.

ფ ო ს ი ნ ე — ჯერ საყვედური არ მითქვამს და უკვე თავს იმართლებ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ვიფიქრე, უნივერსიტეტში მიღების პირობებს გაზეთებიდანაც შეიტყობდი.

ფ ო ს ი ნ ე — ეს კი, მაგრამ... სამწუხაროდ, ჯერ სახელი ისე არ მოგიხვეჭია, რომ შენი ცხოვრების პირად წვრილმანებზე პრესაში ბიულეტენები თავსდებოდეს.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — გამოცდები მქონდა ჩასაბარებელი... თანაც ეს აუტანელი სიცხეები... (მუზას პორტრეტს უცქერის)

ფ ო ს ი ნ ე — რა თქმა უნდა, სიცხე გაალღობს ადამიანს, მით უმეტეს, თუ მის ოთახში, ლოგინის თავზე... მცხუნვარე მზე ჰკიდია. (ღრმად ამოიოხრებს) გახსოვს, ნაპოლეონ, სამწყესური? ჩვენი კუდა ძროხა? წვერებცანცარა თხები? გახსოვს, როგორ ვმღეროდით ხოლმე?.. (მღერის):

სიკინპილა, საბალახო,

გულო, თუ რომ მიღალატო,

სადაც ვნახო, იქ დაგმარხო,
გულო, თუ რომ მიღალატო...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ—„სიკინჭილა... საბალახო“... სისულელეა. არც ღირს მოგონებად (ჩქარი ნაბიჯით შემოდის ბ უ რ დ ღ უ. დაინახავს თუ არი უცნობ ქალიშვილს, უკან გაბრუნებას დააპირებს)

ბ უ რ დ ღ უ — ო!.. ბოდიში...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ—საით? გაიცანი: ფოსინე, ჩემი ყრმობის მეგობარი. (ფოსინეს) ბურდღუ ტაბაღუა, მეოთხე კურსის სტუდენტი. ჩემი თანამობინადრე (გადის).

ბ უ რ დ ღ უ — (ორიდებით უწვდის ხელს) დიახ, ბურდღუ ტაბაღუა... უხერხული დუმილი. ხელმეორედ უწვდის ხელს) ტოგოს ძე... მმ... თითქოს მეცნობით?

ფ ო ს ი ნ ე— მე? ა... ეს თქვენ მიმასწავლეთ ირიბის შესახვევი ჩუღურეთში?

ბ უ რ დ ღ უ — ირიბის? თუ ორპირის მკითხეთ?

ფ ო ს ი ნ ე — ირიბის.

ბ უ რ დ ღ უ — ბოდიში. ცუდად გამიგონია.

ფ ო ს ი ნ ე — „ცუდად გაგიგონიათ“... ახლა ჩემს მუხლებს ჰკითხეთ. ამსიგრძე ქალაქი, კიდით კიდემდე შემომატარეთ. ცალკე ფეხსაცმელები დამეხა...

ბ უ რ დ ღ უ — ზარალს აგინაზღაურებთ.

ფ ო ს ი ნ ე — გმადლობთ. გეტყობათ, გულუხვი კაცი ბრძანდებით, მაგრამ თქვენც კი ვერ შეძლებთ დაკარგული დრო დამიბრუნოთ.

(შემოდის ჯ ი მ შ ე რ ი)

ფ ო ს ი ნ ე — ეს არის მესამე ამხანაგი?

ბ უ რ დ ღ უ — (შეშფოთდა) არა... კი... (ჯიმშერს, ხმადაბლა) აბესალომ და ეთერის საფლავზე მურმანის ეკალივით რომ ამოხვედი, — სინდისია? აქედან გასწი!

ჯ ი მ შ ე რ — ვინ არის?

ბ უ რ დ ღ უ — გოგოა ჩემი.

ჯ ი მ შ ე რ — შენი? შეუძლებელია! (ფოსინესკენ გაემართება)

ბ უ რ დ ღ უ — (ჯიმშერს წინ გადაუსწრებს) პატივცემულო ფოსინე! პატივცემულო ფოსინე!.. (ხედავს, რომ ჯიმშერი თავისით აპირებს გაცნობას) იცნობდეთ, ჩემი არქივიდან გახლავთ.

ჯ ი მ შ ე რ — (ხელს გაუწვდის) ჯიმშერ ხერგიანი.

ფ ო ს ი ნ ე — ფოსინე.

ჯ ი მ შ ე რ — გიცნობთ. ამ ზაფხულს საგამოცდო პროგრამა გამოგიგზავნეთ.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ?!

ბ უ რ დ ღ უ — (ჯიმშერს პრეტენზიით) კონვერტს მარკა ვინ დააკრა? ფოსტაში ვინ ჩააგდო?

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ?! ორიეს გულითადი მადლობა.

ჯ ი მ შ ე რ — უთუოდ ჩინებულად მოემზადებოდით?

ფ ო ს ი ნ ე — რა ვიცი, თითქოს არა მიშავს რა, მაგრამ შიშისაგან მაინც ტარაბუა მესხმის. თავში ციფრების, ფორმულების, პარაგრაფების კორიანტელი მიტრიალებს.

ბ უ რ დ ღ უ — კარგია ფრიადოსანი იყოთ, უგამოცდოდ მიგიღებდნენ.

ფ ო ს ი ნ ე — (ამოოხვრით) ყველაფერში ფრიადი მაქვს, გარდა რუსულისა. ვერ იქნა და ვერ დავძლიე.

ბ უ რ დ ღ უ — გულს ნუ გაიტეხთ, ასეთ დღეში მარტო თქვენ როდი ხართ. აი კაცი! სადაცაა უნივერსიტეტს დაამთავრებს და, „სტალიცა“ და „მელნიცა“ ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ?

ბ უ რ დ ღ უ — მე?! რუსული? ბრწყინვალედ!.. Многоуважаемая Фосинэ! Будьте любезны, не откажите мне в просьбе — садитесь пожалуйста. (შეუმჩნეველად შემოდის ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი. ხედავს, რომ მისი ამხანაგები ფოსინეს ირგვლივ ტრიალებენ).

ფ ო ს ი ნ ე — (სიცილით) „სპასიბო“.

ბ უ რ დ ღ უ — Я повторно прошу Вас, убедительнейшим образом прошу сесть...

ჯ ი მ შ ე რ — მოგვეშვი, ნუ გვაწუხებ.

ფ ო ს ი ნ ე — (ნაპოლეონს დაინახავს) ბიძია ივანე არ ჩანს, ნაპოლეონ. მე წავალ. ძალიან დავიღალე, მთელი გზა ფეხზე ვიდექი. (ალაოს აიღებს)

ბ უ რ დ ღ უ — საით მიიჩქარით?

ფ ო ს ი ნ ე — გლეხთა სახლში.

ჯ ი მ შ ე რ — როგორ შეიძლება, გვიანია უკვე. ხომ ხედავთ, რამოდენა ოთახი გვაქვს! დარჩით ჩვენთან.

ბ უ რ დ ღ უ — (ალაოს ჩამოართმევს) დარჩით, დარჩით. ახლა მთელი ქალაქიც რომ დაიაროთ, ვერსად ყურის მისადებ ადგილსაც ვერ იშოვით.

ფ ო ს ი ნ ე — როგორმე ვიშოვი.

ბ უ რ დ ღ უ — დამიჯერეთ! თანაც ასე გვიან ქუჩაში რომ გახვიდეთ, ვინ იცის, რა ფათერაკს გადაეყრებით.

ფ ო ს ი ნ ე — სამი ვაჟკაცი ხართ, თუ მოისურვებთ რკინას მოღუნავთ, ერთ-ერთმა გამაცილეთ. განა გლეხთა სახლი ასე შორსაა?

ბ ურ დ ღ უ — რა საკითხავია, თუნდაც ავსტრალიაში იყოს, თქვენი გაცილება არც იქ დამეზარებოდა... (ფულის შეკერაზე ანიშნებს.) რა არის, ასე სასოებით გულში რომ იხუტებთ?

ფ ო ს ი ნ ე — ფულია. ჩემი არ გეგონოთ, კოლმეურნეობისაა.. ხუთი ათასი მანეთი.

ბ ურ დ ღ უ — რაო?! მერე და ამოდენა ფულით ამ შუაღამისას ქუჩაში აპირებთ გასვლას? თქვენ სრულ გონზე ხართ? (კალთს წაართმევს)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მმ... რაკი ასეა... დარჩი!..

ჯ ი მ შ ე რ — დარჩით, დარჩით!..

ფ ო ს ი ნ ე — რა ვიცი, როგორღაც უხერხულია. ცოტა არ იყოს, მეშინია კიდეც: ერთ ოთახში სამი მამაკაცი ხართ.

ბ ურ დ ღ უ — სადაც სამი მამაკაცია, იქ ნურაფრის გეშინიათ. შიში ყოველთვის ერთი კაცის წინაშე იქონიეთ.

ფ ო ს ი ნ ე — გმადლობთ დარიგებისთვის. მე ბევრ ადგილს არ დავიჭერ. სადმე კუთხეში მიეწვები.

ჯ ი მ შ ე რ — როგორ გეკადრებათ, ჩემ დივანზე მოთავსდით. მართალია, აქა-იქ ოღროჩოღრო ზამბარა აქვს, მაგრამ დაღლილი კაცი, მე მგონია, მაინც ჩინებულად მოისვენებს. (ამოშეერილ ზამბარებს ფეხს ურტყამს)

ბ ურ დ ღ უ — (დგამს გასაშლელ საწოლს) პატივცემულო ფოსინე, ჩაიბარეთ ჩემი სარეცელი თქვენს სრულ გამგებლობაში.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (ბრძანების კილოთი, ფოსინეს) შენ ჩემს საწოლზე დაწვები. (ბერდღე და ჯიმშერი სეფრას შირმის მსგავსად ააფარებენ ნაპოლეონის საწოლს: სეფრის ერთ თავს ამაგრებენ წიგნების თაროზე, მეორეს—იატაკის ჯოხზე, რომელსაც ჩრიან სკამის ზურგში. ბერდღე, ჯიმშერი და ნაპოლეონი მღერიან):

გვეგონა რომ ვული გვქონდა,
გული გვქონდა რკინის,
მაგრამ ტრფობა შეგვეპარა,
ჩუმად, მალეით, ეინიო...
გულო, ჩადექ საგულესა,
გულო, გულო, გულო...
გულო, ჩადექ საგულესა,
გულო, გულო, გულო...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ჯიმშერ! შენ დივანზე დაწვები, მე კი... აი ამაზე. (ათითებს დასაყენებელ საწოლზე)

ბ ურ დ ღ უ — (გაცეცდება) ბოდიში, ბატონებო... ვამაგებინეთ მაინც, ეგებ ქათამი ვარ და არ ვიცი? მაშინ ხეზე შეეჯდები.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — დივანის ზურგზე მოთავსდი.

ბ უ რ დ ღ უ — როგორ? ვერტიკალურად?

(ნაპოლეონი და ჯიმშერი დივანს ზურგს აცლიან და იატაკზე დებენ)

ფ ო ს ი ნ ე — არა, არა, ამაზე მე დავწევები.

ბ უ რ დ ღ უ — (სწრაფად მოკალათდება დივანის ზურგზე) მომითმინეთ, პატივცემულო ფოსინე! ქვეყანაზე თუ არის კიდევ სადმე წამებული, — ის ერთი მე ვარ. ამათ ტირანიას უკვე ოთხი წელიწადია ვითმენ და ერთ წელსაც როგორმე გავუძლებ.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ, გეტყობათ, ძალიან კარგი ბიჭი ხართ, ბურდღუ.

ბ უ რ დ ღ უ — (სიხარულისაგან აფოფინებული) რა კარგი იქნებოდა, ამას ხვალეც იტყოდეთ!

ფ ო ს ი ნ ე — ხვალ რატომ?

ჯ ი მ შ ე რ — ბურდღუმ იცის — ღამით ყველა კატა ნაცრისფერია. დღის სინათლეზე სხვა ფერში გამოჩნდება.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — კმარა! დავიძინოთ! (სინათლეს აქრობს. ყველანი წვებიან)

ფ ო ს ი ნ ე — არასოდეს თქვენს პატივისცემას არ დავივიწყებ. არ დამიმსახურებია და ესაა რომ გულს მიკლავს. გამოცდები მაინც მქონდეს ჩაბარებული. რომ ჩავიშრე, რა პირით დაგენახოთ? მტკვარში გადავვარდები.

ბ უ რ დ ღ უ — (ჩურჩულით) მტკვარში რომ არ ჩავარდეს — მე ვუდარაჯებ.

ჯ ი მ შ ე რ — ვერ გენდობით: ცურვა არ იცი.

ბ უ რ დ ღ უ — მით უკეთესი: ერთად დავიხრჩვებით.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — შენც ერთი! თავი გადაგიდვია.

ბ უ რ დ ღ უ — ღვთაებაა!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ღვთაებას რა უგავს?

ჯ ი მ შ ე რ — როცა ქალის სილამაზეზე სიტყვა ჩამოვარდება, შენ სუ...

ფ ო ს ი ნ ე — მანდ რას ჩურჩულებთ? დაძინებას არ აპირებთ?

ჯ ი მ შ ე რ —
ბ უ რ დ ღ უ — } ძილი ნებისა!

ფ ო ს ი ნ ე — ძილი ნებისა!

(სიჩუმე).

ბ უ რ დ ღ უ — (უეცრად) ოი, ბიჭებო, რომ იცოდეთ წუხელ რა მესიზმრა...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — დაგვაძინე!..

ბ უ რ დ ღ უ — ბოდიში, დღიური შრომით მოქანცულო ამხანაგებო. (ხმას თანდათან უმაღლებს) მე სრულებით დამავიწყდა, რომ ახლა

ლამეა, და ჩვენც იმიტომ დაეწექით, რომ ათასგვარი შხამი და ტოქსინები, რომლებიც დღისით დაგროვდნენ ჩვენს ნორჩ ორგანიზმში, ძილის გზით განვდევნოთ და კვლავ...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — როდემდე გინდა იქაქანო? მალე თავზე დილა წამოგვადგება. (ბურდღუ ზეწარში გაეხვევა და ხერინვას ამოუშვებს. პაუზა. ტელეფონის ზარი)

ჯ ი მ შ ე რ — ბურდღუ! ა, ბურდღუ!

ბ უ რ დ ღ უ — (უეცრად წამოხტება) რა ამბავია?

ჯ ი მ შ ე რ — ტელეფონი რეკავს.

ბ უ რ დ ღ უ — ადექი და მიდი. (ისევ წვება)

ჯ ი მ შ ე რ — შენ ახლოს ხარ.

ბ უ რ დ ღ უ — ასე გვიან მე არავინ მომიგონებს.

(ტელეფონის მკვეთრი ზარი)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ბურდღუ, ადექი, ნუ გეზარება. (მთქნარებით) სიცოცხლე არის მოძრაობა, — დიალექტიკა გვასწავლის.

ბ უ რ დ ღ უ — კი, მაგრამ დიალექტიკა მარტო მე მასწავლის? (ეხვევა ზეწარში და დგება. ტელეფონში) გისმენთ... ა? (ალერსიანად) ჩემო დაო, ვინ ბრძანდები, ამ შუაღამით რომ რეკავ, ა? სინდისს გაფიცებ, თქვი ვინ ბრძანდები? (გაცოფებით ყვირის) შენ კაბას მოეკიდა ცეცხლი, არ არის აქ მოდებია ატელიე, არ არის... (ფოსინემ თავი წამოწია) გაგაღვიძეთ? ოი, ბოდიში...

ფ ო ს ი ნ ე — ისე ტკბილად მეძინა!.. სიზმარიც ენახე: თითქოს სადგურზე ვარ და მატარებელს ველოდები. ამ დროს გაძოსვლის ზარიც დაირეკა...

ბ უ რ დ ღ უ — იძინეთ, გეთაყვა, ეს ჩვენი ტელეფონის ზარი იყო. თქვენ თბილისში უკვე დიდი ხანია ჩამოხვედით.

(ბურდღუ წვება. კაკუნი კარზე. არავინ ეხმაურება. კვლავ კაკუნი, ამჯერად უფრო ძლიერი)

ჯ ი მ შ ე რ — ბურდღუ! ა, ბურდღუ! არ გესმის?

ბ უ რ დ ღ უ — შენ რა, არ გესმის?

ჯ ი მ შ ე რ — მე კი მესმის, მაგრამ შენ ახლოს ხარ...

ბ უ რ დ ღ უ — საიდან ვარ ახლოს? ტელეფონთანაც მე ვარ ახლოს, კარებთანაც მე ვარ ახლოს... თქვენს ხელში ყველაზე უფრო მე საგიჟეთთან ვარ ახლოს... (ისევ კაკუნი).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ნუ ვაჭრობ, ბურდღუ, გააღე!

ბ უ რ დ ღ უ — ექსპლოატატორები!.. (აანთებს სინათლეს და კარს გააღებს. შემოდიან გ უ ლ ი კ ო და თ ე ნ გ ი ზ ი, რომელსაც ზურგზე დიდი ფუთა მოუკიდია. თენგიზი ცოტას კოჭლობს)

თ ე ნ გ ი ზ — (სულს ძლივს ოთქვამს) არ მეგონა, ქალიშვილის მზითევი ასე მძიმე თუ იქნებოდა.

გ უ ლ ი კ ო — მოისვენე, თენგიზ, გენაცვალე, ჩვენ ახლა სამშვიდობოს ვართ.

თ ე ნ გ ი ზ — აკი გეუბნებოდი, ქვეყანა ვრცელია, კეთილი ადამიანები ბევრია, ვინმე შეგვიფარებს-ძეთქი.

ბ უ რ დ ღ უ — (ვერ გარკვეულა) ეს ფუთა რას ნიშნავს? რატომ კოჭლობ?

გ უ ლ ი კ ო — მამაჩემმა თეფში მიამტვრია ფეხებში.

ბ უ რ დ ღ უ — როგორ?

თ ე ნ გ ი ზ — ბიჭებო! მე გულიკო მოვიტაცე...

ყ ვ ე ლ ა — რაო?!?

ბ უ რ დ ღ უ — როგორ, შენ ქალი მოიტაცე და დანაშაულში ჩვენ გვხვევ? ამოდენა ფუთა რომ მოგითრევია, შენ აქ ქურდების თავშესაფარი გგონია? აქედან გასწით! (ეისრის პოზას ღებულობს: ზეწრის ერთ ბოლოს მხარზე გადაიგდებ.).

გ უ ლ ი კ ო — (ცრემლით) ეს არის: ქვეყანა ვრცელია, კეთილი ადამიანები ბევრია, ვინმე შეგვიფარებსო?..

ბ უ რ დ ღ უ — მოცოცხეთ!

(თენგიზი უსიტყვოდ ხელს წამოაელებს ფუთას)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — საით? დარჩით!

გ უ ლ ი კ ო — ნაპოლეონ, გენაცვალე!..

ბ უ რ დ ღ უ — (ერთბაშად მოლბება) არა, მე კი არ გერეკებით, დარჩით, მაგრამ... (დაიჩოქებს) მარტვილის წმიდაო გიორგი, ღვაწლით შემოსილო, მუხლმოდრეკილი და ხელაპყრობილი გეევედრები — შენ გაგვითენე მშვიდობის დილა... (ეიღაც კარზე თაეგამოდებით აბრახუნებს) არიქა! თავს უშველეთ!.. მილიცია!.. (ყველანი პანიკამ შეიპყრო. ბურდღუ აქრობს სინათლეს და ფანჯრიდან გადახტომას დააპირებს, მაგრამ ნაპოლეონი მიუსწრებს და უკანვე ვადმოათრევს).

გ უ ლ ი კ ო — გვაშორებენ, თენგიზ! (ეისერზე მოეხვევა, კოცნის).

ბ უ რ დ ღ უ — რა დროს კოცნაა, ქვეყანა თავზე გემხობათ, დაიმალეთ!

ფ ო ს ი ნ ე — (გულიკოს) ჩემთან მოდით.

გ უ ლ ი კ ო — ვინ ბრძანდებით? თქვენ სიკეთეს არასოდეს არ დავიეიწყებ. (გულიკო ფოსინეს გვერდით წვება და საბანში ეხვევა. თენგიზი თავს აფარებს ბურდღუს „სარეცელში". კელავ ბრახუნი)

ბ უ რ დ ღ უ — (ნამძინარეი ხმით) გვადროვეთ, ეიცვამთ... (ხმადაბლა) ჯიმშერ, მომეშველე, ნივთიერი საბუთები მომასპობინე.

(ფუთა და გულიკოს ფეხსაცმელები ფანჯრიდან ისროლეს. ჯიმშერი კელაე წვება. ბურდღუ აღებს კარს. შეიოდის შ ო თ ა ა რ ე ვ ა ძ ე: ძალიან დაღლილია, ფეხებს ძლივს მოადგამს)

შ ო თ ა — ხალხი არა ხართ? ძალიან მჭირდება, მათხოვეთ შანიძის გრამატიკა, დილას აქეთ ვეძებ. ა, ჯიმშერ, ყველა წიგნი: ეს ფრანსი, ეს იბსენი, ესეც ბუნვენუტო ჩე... ჩე... (გაოგნებულ ბურდღუს დაინახავს) რა დაგემართა? სახეზე შეშინებული თაგვის ფერი გადევს.

ბ უ რ დ ღ უ — (იმქვეყნიური ხმით) ფერიო?! ცოცხალი ვარ?!

შ ო თ ა — რა ვიცი, ფეხზე კი დგახარ...

ბ უ რ დ ღ უ — შე კაცო, ღამის ორ საათზე პატიოსანი ქურდი მეეზოეის ძაღლს არ შეაწუხებს, შენ კი ჩვენს ტკბილ ძილში გლახა სიზმარიეით რომ იჭრები და სიკვდილის ოფლს გვასხამ, სინდისია? გაქვს კი საერთოდ სინდისი?

შ ო თ ა — არა მაქვს, არა, მათხოვეთ ოღონდ ქართული ენის გრამატიკა... ჰეი, თქვენ!.. („შირმას" ჩამოგლეჯს: ქალიშვილები იწივლებენ)

ბ უ რ დ ღ უ — (საყელოში ხელს ჩასჭიდებს, ანჯღრევს) მე შ-შენ დაგაბრუნებ ყველა გრამატიკულ ბრუნვაში... (ამოკრავს პაწღერს და კარში გააგდებს. ამასობაში ბურდღუს ზეწარი ღამის შემოეცალა) აქეთ არ გამოიხედოთ, ქალიშვილებო, ძალიან გთხოვთ, აქეთ არ გამოიხედოო (აპირებს დაწვეს: შემოიელის ყველა მეგობრის საწოლს, მაგრამ არც ერთი თაკისთან არ უშვებს. იმედდაკარგული) ღმერთო, გემუდარები — მალე გამითენე ეს შავი ღამე... (მაგიდაზე წვება)

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მესამე სურათი

ანტიკვარული ნივთებით მორთული ოთახი პროფესორ არაბიძის ბინაში. სცენაზეა ციალა. შემოდის გულიკო.

ციალა — (ოცნის) დაიკო!.. დაბრუნდი?

გულიკო — მამა... მამა როგორ არის?

ციალა — ვეღარ იცნობ — საოცრად გახდა... მთელი ღამე არ ძინებია, ხან კედელს ასკდებოდა, ხან კარებს. ყველა შენი სურათი დახია, ისიც, მეცხრე კლასში რომ გადაიღე კულულებით.

გულიკო — ინკვიზიტორი!.. სახლშია?

ციალა — არა, წავიდა.

გულიკო — (ფანჯრიდან) თენგიზ! შინ არ არის. ამოდი! გესმის? ამოდი-მეთქი!

ციალა — დედა, რა ლამაზია!

გულიკო — (მკაცრად) შენ იცი, რომ მხოლოდ 14 წლისა ხარ? და რომ გოგონამ ამ ასაკში მამაკაცის ღირსებებზე არ უნდა ილაპარაკოს?

ციალა — რა ჩემი ბრალია, თუ ლამაზია?!

გულიკო — ხმა! არაფერი ლამაზი არ არის. წადი, შეეგებე.

(ციალა გარბის. გულიკო მეორე ოთახში შედის. შემოდიან ციალა და თენგიზი ფუთით)

ციალა — მობრძანდით, მობრძანდით. მამა შინ არ გახლავთ. ოი, მამა როგორ გაბრაზდა გუშინ თქვენზე!.. სულ ცეცხლებს ყრიდა!.. მართლა! რატომ მოიტაცეთ ჩემი და?

თენგიზ — (ღიმილით) რა გითხრათ... კარგად მეც არ ვიცი... არა, მგონი ვიცი... მიყვარს!

ციალა — გიყვართ?!.. ო!. მაშინ ყველაფერი გასაგებია... ეს მიბრძანეთ, სად აბია თქვენი ცხენი? ალბათ, არაბული ლურჯაა.

თ ე ნ გ ი ზ — არა თუ ლურჯაზე, ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ჯაგლაგზედაც არ ემჯდარვარ.

ც ი ა ლ ა — აბა გულიკო რითი მოიტაცეთ?

თ ე ნ გ ი ზ — ტროლეიბუსით.

ც ი ა ლ ა — საოცარია! ხომ შეიძლებოდა გზაში ტროლეიბუსი გაგფუჭებოდათ?

თ ე ნ გ ი ზ — ასეც მოხდა: ფანქანის შუა გზაზე წინა ღერძი გაუტყდა, ჩვენც... ჩავოვედით და ქვეითად გავსწიეთ.

ც ი ა ლ ა — ვერ გამიგია, ეს რაღა მოტაცებაა. თუ ფეხით წახვედით? განა ერემია წარბამ ესმა ავტობუსით მოიტაცა?

თ ე ნ გ ი ზ — ყველაფერი იცვლება, დროც, ტრანსპორტიც! წინათ, თვითმფრინავი არ იყო, ახლა არის.

ც ი ა ლ ა — კი მაგრამ... ეს მიბრძანეთ... მმ.. შეიძლება თვითმფრინავით მოტაცება?

თ ე ნ გ ი ზ — (წამით ჩაფიქრდება) შეიძლება.

ც ი ა ლ ა — (თავისთვის, ოცნებით) ნეტავი მე თვითმფრინავით მომიტაცებდნენ! (შემოდის გულიკო) რა კარგია, დაიკო, ძლიერი, გულადი, მამაცი. ფუტბოლისტია?

გ უ ლ ი კ ო — მე წეღან რა გითხარი? რატომ გავიწყდება შენი წლოვანება?

ც ი ა ლ ა — ოი, ოი, დიდი ბოდიში... მომაგონდა: მე ჯერ მხოლოდ 14 წლისა ვარ... (ბარბის მეორე ოთახში).

გ უ ლ ი კ ო — უბედური, უბედური მამაჩემი!.. ციალაც რომ მოიტაცონ, მაშინ მამა გახდომასაც ვერ მოასწრებს, რომ სულსაც განუტევებს... (ჩაფიქრდება) რა ვთქვი? მე კი ვითომ მომიტაცეს? ჰმ! აი ესეც — ჩემი „მომტაცებელი"! სახლში მეორე დილითვე დამაბრუნა; დაუბრუნა ჩემი თავი იმ უგულო ადამიანს, რომელმაც წუხელ თვითონ ამას თეფში მიამტვრია.

თ ე ნ გ ი ზ — კიდევ კარგად მომეპყრო. მე ძას გული ამოვაცალე და მადლი იყო, თავი ორად გაეპო ჩემთვის. შენ ჯერ ისევ ქერქეტა გოგო ხარ, შვილის სიყვარული არ იცი რა არის.

გ უ ლ ი კ ო — შენ იცი?

თ ე ნ გ ი ზ — შვილი თუნდაც რეგვენი იყოს, მშობლების სულთქმაა და მათი გულჩვილის გადამყრელი. სხვებისათვის, შეიძლება, მბეუტავი ჭრაქიც არ იყო, მაგრამ მამისათვის ამომავალი მზე ხარ. და აი, ერთ მშვენიერ საღამოს პროფესორ არაბიძის ბინაში იპრება ვიღაც თავზე ხელაღებული ყმაწვილი და იტაცებს ამ მზეს... არა, მამაშენს გულს არ მოვუკლავ.

გ უ ლ ი კ ო — მაგრამ მე თუ მომიკლავ გულს, — ეს არაფერია?!

ღმერთო ჩემო, მახსოვდეს ძაიხც, რითი ძოძხიბლე? ‘ეეხზე უკეთესები ათასი მეხვია, და მაინც ‘ენ აგირჩიე — უმი ლობიო! (თენგიზი იცინის). ნუ იცინი... ფაქტია: მორიდებული და მხდალი იყავი. ორი წელიწადი გამირბოდი.

თ ე ნ გ ი ზ — იმ ორ წელიწადში უთვალავი ტანჯვა მომაყენე. ჩემს გაუბედაობას, ვხედავდი, თავაღებით დასცინოდი. ჩემი ქცევის უცნაურობას თვითონაც ვგრძნობდი, აკი შენი გაცნობა ყოველდღე შემეძლო, მაგრამ ერთხელაც არ ვცადე. გახსოვს? ყოველ დილით, ცხრის ნახევარზე, დაბარებულებივით ერთმანეთს ვხვდებოდით ‘ეხუთე ნომერ ტრამვაის გაჩერებასთან.

გ უ ლ ი კ ო — რამდენჯერ ცარიელი ვაგონი გამიშვია შენი მოსვლის მოლოდინში!..

თ ე ნ გ ი ზ — და მეც მოუთმენლად ველოდი ყოველ დილას. როგორც ზამთარში ელიან გაზაფხულს. შენი ნახვის სურვილი უკვე ალიონზე ლოგინიდან მერეკებოდა. მე შორიდან გითვალთვალებდი, ‘ოიყონდა, როძ დინჯი ღა წყნარი იყავი, ახტაჯანა და ავყია გოგოებს არ ჰგავდი. მომწონდა შენი სიარული, ფრთხილი და მსუბუქი, თითქოს შუშაზე დადიოდი და გერიდებოდა გატეხვის... ო, ეს იყო ყველაზე ლხენამოსილი დღეები ჩემს ცხოვრებაში; პირველად მაშინ შევიცანი სწორუპოვარი ‘ბუკური სიყვარული და ვიწამე: ვისაც წუთისოფელი უსიყვარულოდ ძოუკაძია: იმას არც უცხოვრია.

გ უ ლ ი კ ო — მე დაგვიანებით შევიტყეე: თურმე შენი სიყვარულის იდეალი ვიყავი, და არ მეცნობოდი მხოლოდ იმიტომ, რომ შიშობდი, არჩევანში არ გაწბილებულიყავ. მახსოვს, ერთხელ უნივერსიტეტში რამდენიმე დღე არ გამოჩნდი, და ძალიან შევშფოთდი. იმ ხანებში ბურდღუს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი, და როცა იგი ლექციის წინ, ცბიერი ღიმილით მომიახლოვდა და კონვერტი გამომიწოდა, არ ჩამოვართვი. ბურდღუ მაინც არ მომეშვა, ბარათი ხელში მიმიტოვა... რა დავფარო, მე სულმა წამძლია, წერილი ხელის კანკალით გავხსენი და, ოი, რა წავიკითხე:

> მე ავადა ‘არ და სიკ:დილი კარებთან მიცდის,
> გემშვიდობები, სიყვარულო, გემშვიდობები...

თ ე ნ გ ი ზ — ეგ წერილი შენ მთელი სიცოცხლე სატრაბახოდ გეყოფა, მაგრამ... მისი ავტორი მე არა ვარ. ბურდღუ გახლავთ.

გ უ ლ ი კ ო — (ამოიღებს წერილს, აჩვენებს) ჰმ! განა ეს შენი ხელი არ არის?

თ ე ნ გ ი ზ — არა. ბურდღუს მიმსგავსებულია.,

გ უ ლ ი კ ო — ისევ ბურდღუ!.. ჩემთვის ეს სტრიქონები მთელი სიმდიდრეა, ათასი უტკბილესი მოგონებაა, ამას კი დაუქი-ნია... ბურდღუ და ბურდღუ!.

თ ე ნ გ ი ზ — რა ვქნა, ვერ ვიცრუებ.

გ უ ლ ი კ ო — ვერ იცრუებს... (ცრემლით) სიყვარულს ამას ეძახი? ესაა, შენი გულისთვის ცეცხლის ტყეში ძვეიქოები და კუჭ-რის ზღვას გავცურავო? ახლა კი მესმის, ჩემს სათუთი სი-ყვარულით სავსე წერილებში მგზნებაოე გრძნობების ნაცვ-ლად გრამატიკულ შეცდომებს რატომ ეძებდი ხოლმე. ეძებ-დი! ფაქტია! ნუ უარყოთ! (წერილს მაგიდაზე დააგდებს).

თ ე ნ გ ი ზ — არ უარვყოფ. (შეომდის ც ი ა ლ ა) მე წავალ!

ც ი ა ლ ა — საით მიიჩქარით? ძოითძინეთ. ძამა ძალე არ მოვა. გე-შინიათ მისი?

თ ე ნ გ ი ზ — არა, მე უფრო თქვენი ანტიკვარული თეფშები მენანე-ბა. რა საუცხოო მოხატულია!.. (უთითებს კედელზე, სადაც თეფ-შები ჰკიდია)

გ უ ლ ი კ ო — ფეხი კიდევ გტკივა? მიჩვენე! დაჯექი! (ძალად სვამს).

თ ე ნ გ ი ზ — მოიცა! შენ ხომ ქირურგი არა ხარ...

გ უ ლ ი კ ო — მე ქირურგის ქალიშვილი ვარ. ეს რა არის? შარვალი სად გაიხიე?

თ ე ნ გ ი ზ — როგორ? (ხედავს შარვლის ერთი ტოტის ქვემო ნაწილი გახე-ვია)

ც ი ა ლ ა — ოი, ოი!.. ქუჩაში ასე მოდიოდით? ვაი, თავის მოკვრავ!

გ უ ლ ი კ ო — გაიხადე! ერთ წუთში გაკეერავ.

თ ე ნ გ ი ზ — რას ამბობ!

გ უ ლ ი კ ო — გაიძვრე, გეუბნები. (ჯარბის და მეორე ოთახიდან ხ ა ლ ა თ ი გამოაქვს) აი, ხალათი, წადი, აბაზანა მიიღე: მტკივან ფეხზე მოგიხდება. შარვალი კი ციალას გადაეცი.

თ ე ნ გ ი ზ — ვერაფერი გამიგია, რას მიშვრებით? ვისია ეს ხა-ლათი?

გ უ ლ ი კ ო — ხმა! ვიცით, რასაც ვაკეთებთ.

ც ი ა ლ ა — რა თქმა უნდა, ვიცით. აბრეშუმის ხალათია, ჩინური წამობრძანდით!

თ ე ნ გ ი ზ — სად?

გ უ ლ ი კ ო — წადი, წადი, ნუ ჭირვეულობ, შენს სახლში არა ხარ

თ ე ნ გ ი ზ — ერიჰა!...

ც ი ა ლ ა — წამობრძანდით, წამობრძანდით! (თენგიზი ვაყავს)

გ უ ლ ი კ ო — (ფანჯარაში იცქირება) ჩემი მამიკო!... ნეტაეი სად წავიდა? ალბათ რუსთაველზე გაისეირნა...

ც ი ა ლ ა — (შემორბის, შარვალი მოაქვს) აი!.. ფრთხილად! ჯიბეში ხურდა ფული აქვს, არ გადმოიყაროს.

გ უ ლ ი კ ო — ნემსი და ძაფი მომიტანე.

ც ი ა ლ ა — ნემსი? ძაფიც?! ახლავე. (შირბის და ისევ შემორბის) შავი ძაფი მოგიტანო?

გ უ ლ ი კ ო — მაშ როგორი? (შარვალს აჩვენებს) შეხედე, ციალა, როგორ ბრწყინავს!.. ალბათ ყოველდღე აუთოებს. (სიყვარულით) ჩემი თენგიზი!..

ც ი ა ლ ა — საწყალს ერთი შარვლის მეტი არც ექნება!.. (გარბის. ნელი ნაბიჯით შემოდის პროფესორი ა რ ა ბ ი ძ ე. გულიკო მამას დანახავს თუ არა, შარვალს სწრაფად ზურგს უკან ქამარში გაიჩრის).

გ უ ლ ი კ ო — ოი, როგორ გალამაზებულხარ, მამა!.. პირდაპირ სასწაულია, სასწაული! (სურს აკოცოს, მაგრამ არაბიძე პირს იბრუნებს). ისევ შენთან დავბრუნდი, მამა, მინდა შენი გამგონე ქალიშვილი ვიყო.

ა რ ა ბ ი ძ ე — დაბრუნდი ტალახში ამოსვრილი, სახელგატეხილი! გამეცალე!

გ უ ლ ი კ ო — მე დავბრუნდი ისეთი, როგორიც წავედი, მამა. ენდე შენს კაპუეტ ქალიშვილს. იცის, როგორ მოიქცეს.

ა რ ა ბ ი ძ ე — „ქალი ყველა ქმნილებათა გვირგვინია", — უთქვამს დიდებულ გოეტეს. „უბიწოება ქალისათვის იგივეა, რაც გულადობა მამაკაცისთვისო".

გ უ ლ ი კ ო — ჭეშმარიტებაა!

ა რ ა ბ ი ძ ე — მაგრამ არიან ქალიშვილები, რომლებიც არც ერთ ამ ჭეშმარიტებას ანგარიშს არ უწევენ. თქვენ ივიწყებთ, რომ სიყვარულს სასწაულები შეუძლია მოახდინოს, უმნიშვნელო გამარჯვებითაც კმაყოფილდებით; დილით ტრამვაიში გაეცნობით, საღამოთი კინოში მიდიხართ, მეორე დილით კი თავს იწონებთ (ბაძავს): — „მე მისი გოგო ვარ, ის ჩემი ბიჭია". თფუ!. არის ერთი მშვენიერი ქართული სიტყვა: სატრფო. ძალიან ეშინობ, რომ იგი მალე არქაიზმად გადაიქცევა.

გ უ ლ ი კ ო — ზოგ რამეში მართალი ხარ, მამი. მაგრამ საქმე არც ისე ურიგოდაა, როგორც გგონია. თავდაჭერილი, სპეტაკი, სამაგალითო ქალიშვილები ოთოალავია. ისინი არც თავიანთ სახელს არცხვენენ, არც მშობლებისას.

ა რ ა ბ ი ძ ე — (ირონიით) აი, თუნდაც, შენ, მაგალითად. მამა შეარ-

ცხვინო, ქალიშვილის უმწიკვლო რეპუტაცია ქარს გაატანო და მეორე დილითვე მიგაგდოს ვიღაც ჩიკრიკამ!

გ უ ლ ი კ ო — არაფისაც არ მიეუგდივარ, მამა, ჩემით წამოვედი. არ მინდა შენი ნება-სურვილის წინააღმდეგ წავიდე: შენ მამა ხარ ჩემი, მე კი — შენი ქალიშვილი. (თავდახრილი მის წინაშე მუხლებზე დგება).

ა რ ა ბ ი ძ ე — ჩემი მამობრივი გრძნობები ბოროტად გამოიყენე...

გ უ ლ ი კ ო — რატომ ბოროტად? მე გთხოვე, მე შეგეევედრე, შენ კი... უარი, უარი!

ა რ ა ბ ი ძ ე — ვინაა ის, რა გააჩნია, რითი გარჩენს?

გ უ ლ ი კ ო — ოი, მამა!..

ა რ ა ბ ი ძ ე — ბოდიში, თქვენ ანგელოზები ხართ.

გ უ ლ ი კ ო — არა, ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ძალა გვაქვს, ცოდნა მოგვეპოვება, და რაც მთავარია, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ნიჭი და შრომის უნარი ძალიან დიდად ფასობს. ჩვენ ვიშრომებთ. მე მასწავლებელი ვიქნები, ჰკაცრი, მაგრამ სამართლიანი მასწავლებელი. მე ამ მცირედით დავკმაყოფილდები, სამაგიეროდ ქმარი მეყოლება პროფესორი, ცნობილი და სახელოვანი.

ა რ ა ბ ი ძ ე — „პროფესორი“.. წარმომიდგენია მისი ცოდნა, ერუდიცია, გემოვნება...

გ უ ლ ი კ ო — უკვე ის ფაქტი, რომ მე ამირჩია, ამტკიცებს მის სათუთ გემოვნებას.

ა რ ა ბ ი ძ ე — ო, რასაკვირველია.

გ უ ლ ი კ ო — თუ არ გჯერა, მოგრძანდი, ბატონო, თორმეტში მის მოხსენებაზე და დარწმუნდები — აქვს თუ არა მშვენიერების შეგრძნების უნარი. დიახ! გაიცნობ და შენც შეგიყვარდება, მამა, ნამდვილი ოქროა!

ა რ ა ბ ი ძ ე — ამ „ოქროს“ ჩვენი ბინის შერთვა უნდა ცოლად!

გ უ ლ ი კ ო — რა საზარელი ცილისწამებაა!

ა რ ა ბ ი ძ ე — მწარე სიმართლეა! სახარე მოზვერს სასკორავში შეეტყობაო. დღეს ქალიშვილი მოგტაცა, ხვალ კი? ხვალ სულ დაეპატრონება ამ ბინას — მე საკუჭნაოში შემაგდებს და, თვითონ კი ფეხებს სტუცავს ჩემს ნაბდის ფოსტლებში...

ც ი ა ლ ა — (შემორბის) გულიკო!.. ა, მამიკო!.. (გულიკოს) ვერ იქნა და ვერ მოვნახე. ნემსს მივაგენი, ძაფს კი ვერა.

ა რ ა ბ ი ძ ე — (პიჯაკს იხდის) ხალათი მომეცი, ციალა!

ც ი ა ლ ა — ახლავე, მამიკო. (წასვლას დააპირებს და გაახსენდება) რომელი ხალათი, მამა?

ა რ ა ბ ი ძ ე — რომელი... რომელიც მაქვს.

ც ი ა ლ ა — ა, ზოლებიანი? მომწვანო? ჩინური? მმ.. სად არის? შენ არ იცი, გულიკო, სად არის? (შეწუხებული გულიკო სახეზე ხელს მიიფარებს) გამახსენდა! ჩვენ ის გასარეცხად მივეცით, მამა.

ა რ ა ბ ი ძ ე—როგორ! გასარეცხად მიეცით? გუშინ აკი გარეცხილი მოიტანეს. დილით ძეცვა კიდეც! (ციალა აბლუკუნდება) რა იყო?

ც ი ა ლ ა — გული ნუ მოგივა ჩემზე, მამიკუნი... მცემე, მამიკუნი, — ღირსი ვარ.

ა რ ა ბ ი ძ ე — ნუ ტირი. რა მოხდა? ამიხსენით, რაშია საქმე? გესმის? ნუ ტირი-მეთქი!

ც ი ა ლ ა — შენი ხალათი სკოლაში წავიღე... წარმოდგენას ედგამთ. ჩვენი ერთი ბიჭი პროფესორს თამაშობს...

ა რ ა ბ ი ძ ე — ნუ ტირი, არა უშავს. მხოლოდ უნდა გაგეფრთხილებინე. (თენგიზის ხმა ისმის: „გულიკო! ციალა! მომიტანეთ ბარემ!“)

ა რ ა ბ ი ძ ე — ეს ვინ არის?

გ უ ლ ი კ ო — ეს... მმ...

ც ი ა ლ ა — მეზობელია...

ა რ ა ბ ი ძ ე — რომელი მეზობელია?

ც ი ა ლ ა — მმ... ჩვენი მეზობლის მეზობელია...

თ ე ნ გ ი ზ — (ხალათში შემოდის) დამტანჯეთ, ნამდვილად დამტანჯეთ. მომეცით ჩემი შარვალი. (არაბიძე დაინახა, ენა ებმის) ბოდიში... გ... გამარჯობათ...

გ უ ლ ი კ ო — (უნებლიეთ, მამის მისამართით) გამარჯობათ...

ა რ ა ბ ი ძ ე — მ-და!.. მეზობელია... ეს თქვენა ხართ?

თ ე ნ გ ი ზ — მ... მე გახლავართ.

ა რ ა ბ ი ძ ე — (გულიკოს) ის არის?

გ უ ლ ი კ ო — ისაა, მამა...

ა რ ა ბ ი ძ ე — ჰმ! უკვე ჩემს ხალათში გამოწყობილა!

გ უ ლ ი კ ო
ც ი ა ლ ა } — იცი რა, მამა...

ა რ ა ბ ი ძ ე — (ყვირის) ხმა! მიბრძანდით! ორივე მიბრძანდით!..

ც ი ა ლ ა — (მტკიცედ) არსადაც არ წავალთ, მამიკო. (თენგიზს ეფარება) ამას შენ დასაგლეჯად არ დაგიტოვებთ. ეს ძალიან კარგია!..

თ ე ნ გ ი ზ — (გულიკოს და ციალას, ხმადაბლა) წადით, გოგონებო!.. (დეზი გადიან) გთხოვთ მომიტევოთ... მართლაც უხეიროდ გამოვეცვიდა... მე აქ მალამოსათვის შემომათრიეს.

ა რ ა ბ ი ძ ე — (პირქუშად, მაგრამ თავაზიანად) რომელი მალამოსთვის?

თ ე ნ გ ი ზ — მე ფეხი მტკივა. გუშინ ერთმა კეთილმა ბიძიამ ჩემთვის ანტიკვარული თეფშიც არ დაინანა.

ა რ ა ბ ი ძ ე — სად მოგხვდათ?

თ ე ნ გ ი ზ — კოჭში.

ა რ ა ბ ი ძ ე — დაბრძანდით და გაიხადეთ.

თ ე ნ გ ი ზ — როგორ გეკადრებათ!

ა რ ა ბ ი ძ ე — ნუ იმანჭებით. ბოლოსდაბოლოს, თქვენ სასიძო ხართ და არა საპატარძლო. გაიძრეთ!.. (სინჯავს) საშიში არაფერია. ოდნავ შელურჯებულა. სახსრები დაუზიანებელია. რაც შეეხება მალამოს... მოგართმევენ.

თ ე ნ გ ი ზ — ძალიან დიდი მადლობა!

ა რ ა ბ ი ძ ე — ეს მიბრძანეთ... მმ..თქვენ ნიჭი გაქვთ?

თ ე ნ გ ი ზ — ბოდიში, მაგრამ... ცოტა არ იყოს, თქვენი კითხვა უცნაურია. არსებობს ღონის საზომი აპარატი, მაგრამ ნიჭის საზომი ჯერჯერობით არ გამოუგონიათ.

ა რ ა ბ ი ძ ე — თუ ოდესმე დაფიქრებულხართ თქვენს გონებრივ შესაძლებლობაზე, ჩემი კითხვა ახირებულად არ უნდა მოგეჩვენოთ.

თ ე ნ გ ი ზ — ჭაბუკობის ასაკში ყველა ფიქრობს თავის თავზე მეტს, ვიდრე სინამდვილეშია. ზოგჯერ ჰგონიათ ქვეყნიერებას გადააბრუნებენ, მაგრამ წლები ფრთაშესხმულ ოცნებას ულმობლად ლეწავს.

ა რ ა ბ ი ძ ე — ესე იგი თქვენგან პროფესორი არ გამოვა?

თ ე ნ გ ი ზ — ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

ა რ ა ბ ი ძ ე — მ-და... მოხსენებას რა თემაზე აკეთებთ?

თ ე ნ გ ი ზ — „მშვენიერების პრინციპები“.

ა რ ა ბ ი ძ ე — ჩინებულია!.. ეს მითხარით, ქალიშვილების მოტაცებას აკუთვნებთ თუ არა თქვენ მშვენიერების სფეროს?

თ ე ნ გ ი ზ — მმ... არა! ეს შედის სისხლის სამართლის კოდექსის სფეროში... სხვათა შორის, თქვენი ქალიშვილი არ მომიტაცნია, მე მხოლოდ მსურდა თქვენთვის ჩემი ძლიერება დამემტკიცებინა...

ა რ ა ბ ი ძ ე — მე ამას არ გეკითხებით. (ფიქრის შემდეგ) თქვენ, მგონი, ჩვენთან აბაზანა მიიღეთ. მერე? როგორია, მოგეწონათ?

თ ე ნ გ ი ზ — რა? აბაზანა? მმ... აბაზანა აბაზანაა. მომეწონა.

ა რ ა ბ ი ძ ე — გაქვთ თქვენ აბაზანა?

თ ე ნ გ ი ზ — არა.

ა რ ა ბ ი ძ ე — ტყავის ასეთი სავარძელი?

თ ე ნ გ ი ზ — არც ეს მაქვს.

ა რ ა ბ ი ძ ე — მ-და... (გაიულ-გამოიელის) ეე... ამ ვაზამ თუ მიიპყრო თქვენი ყურადღება?

თ ე ნ გ ი ზ — რა თქმა უნდა. საუცხოო ვაზაა.

ა რ ა ბ ი ძ ე — იცით ეს რა ღირს?

თ ე ნ გ ი ზ — ალბათ ძალიან ძვირი.

ა რ ა ბ ი ძ ე — ო, ეს ვაზა რომ გაყიდოთ, ათ წელიწადს უზრუნველად იცხოვრებთ.

თ ე ნ გ ი ზ — მე მას არ გავყიდდი: ხელოვნების იშვიათი ნაწარძოებია. იგი, მართლაც, ბშვენიერების ბევრ პრინციპს აკმაყოფილებს.

ა რ ა ბ ი ძ ე — რაკი აკმაყოფილებს... წაიღეთ!

თ ე ნ გ ი ზ — რას ბრძანებთ!

(შემოდის გულიკო)

ა რ ა ბ ი ძ ე — რატომ არ მიგაქვთ?

თ ე ნ გ ი ზ — (ღიმილით) არ მინდა ათი წელიწადი უზრუნველად ვიცხოვრო.

ა რ ა ბ ი ძ ე — ხედავ? არ უნდა ათი წელიწადი უზრუნველად იცხოვროს. მას უნდა მთელი თავის სიცოცხლე უზრუნველად იცხოვროს.

გ უ ლ ი კ ო — (ხმამაღლა, საყვედურით) მამა, ნუთუ შენ...

ა რ ა ბ ი ძ ე — მოითმინე! უმჯობესია საუზმით გაგვიმასპინძლდე.

გ უ ლ ი კ ო — (ჩუმად, თენგიზს) შარვალი ვზად არის. (გადის)

ა რ ა ბ ი ძ ე — სადილს თქვენ სად მიირთმევთ ხოლმე, ყმაწვილო? ალბათ, სასადილოში?

თ ე ნ გ ი ზ — ფიქრობთ, რომ ეს ძალიან ცუდია?

ა რ ა ბ ი ძ ე — არა, მაგრამ, თვითონ განსაჯეთ, შინ სადილი რა შედარებაა! ლამაზ და გემრიელ სუფრასთან ზიხარ, გვერდს მომხიბლავი ცოლი გიმშვენებთ, ბზარს კი — სიმამრი, სხვათა შორის, არც თუ ისეთი წიწაკა, როგორც გაცნობის პირველ დღეებში გეგონათ... ა? ცუდი სუფრა იქნებოდა?

თ ე ნ გ ი ზ — შესანიშნავი! მხოლოდ... უფრო აჯობებდა, თუ იმ სუფრაზე სიმამრი არ იქნებოდა.

ა რ ა ბ ი ძ ე — როგორ?

თ ე ნ გ ი ზ — ჩემს სახლში თუ მესტუმრებოდა, — სიამოვნებით.

ა რ ა ბ ი ძ ე — კი მაგრამ... სად? თქვენ ბინა გაქვთ?

თ ე ნ გ ი ზ — ოთხნახევარი მეტრი სამტრედეს მახლობლად. სიმართლე გითხრათ, ჩემი სენაკით მე კმაყოფილი ვარ: მზესთან ვარ ახლოს! დილაობით კი მტრედებს ყოველი კუთხიდან მოკითხვა მოაქვთ კარგი ადამიანებისგან.

ა რ ა ბ ი ძ ე — მოკითხვის მიღება, ცხადია, ცუღი არ არის, მაგრამ საკვამლე მილის გვერდით ცხოვრებას, მე მგონია, მაინც ოთხ-ოთახიანი ბინა სჯობია.

თ ე ნ გ ი ზ — განა თქვენს ბინაში ოთხი ოთახია?

ა რ ა ბ ი ძ ე — (ხმას უმაღლებს) თქვენ ეს მშვენიერად იცით.

თ ე ნ გ ი ზ — საინტერესოა, რა უფლებით მიყვირით?

ა რ ა ბ ი ძ ე —ბოდიში... (თავაზიანად) გთხოვთ დაბრძანდეთ. აი თქვენ ახალგაზრდა საბჭოთა კაცი ხართ...

თ ე ნ გ ი ზ — დიახ...

ა რ ა ბ ი ძ ე — (ხმას ისევ უმაღლებს) მომითმინეთ! ეს თქვენი ნიღაბია! სინამდვილეში ვერაფერი შვილი საბჭოთა ახალგაზრდა ხართ, თქვენში წვრილი მესაკუთრის, პატარა ბურჟუის სული ბოგინებს.

თ ე ნ გ ი ზ — ჩემში?

გ უ ლ ი კ ო — (შემოდის) მობრძანდით, სუფრა გაშლილია.

თ ე ნ გ ი ზ — მე უკვე... დავნაყრდი. (გადის მეორე ოთახში)

გ უ ლ ი კ ო — მამა! ისევ აწყენინე?

ა რ ა ბ ი ძ ე — აწყენინებ... ამანაც კრავი ნახა! თავს ნუ იტყუებ, არ უნდებხარ. ხედავ? მიდის.

გ უ ლ ი კ ო — უჩემოდ არსადაც არ წავა, მამა.
(შემოდის თენგიზი თავის შარვალში, ხალათი შემოაქვს).

თ ე ნ გ ი ზ — აი თქვენი ხალათი. გმადლობთ. (ფუთას გახსნის) ესეც მიიღეთ, საფერფლე და შანდალი. გუშინ შემთხვევით გაგვყვა... ბოდიშს მოგახსენებთ. (ფუთას მოიკიდებს) წავიდეთ, გულიკო!

გ უ ლ ი კ ო — ისევ მიტაცებ, თენგიზ?

თ ე ნ გ ი ზ — ისევ გიტაცებ.

გ უ ლ ი კ ო — და ჩვენ ვიცხოვრებთ ხის წვერზე, თენგიზ?

თ ე ნ გ ი ზ — (როგორც ეხო)... ხის წვერზე... (გადის).

გ უ ლ ი კ ო — მშვიდობით, მამა, კარგო და კეთილო მამა. ფიქრი ნუ წაგიღებს, ხშირად მოგინახულებ ხოლმე. მართალია, ცოტა ავი ხარ, მაგრამ მაინც მამა ხარ ჩემი.

ა რ ა ბ ი ძ ე — კი, მაგრამ... დაფიქრდი: ამდენ ქონებას ვის უტოვებ, არ გენანება?

გ უ ლ ი კ ო — არა, მამა, ოდნავაც არ მენანება: მთელი შენი ქონება ერთ ჩვენს ღიმილადაც არ ღირს, მამა. მშვიდობით! (ცოცნის. ბალიშს ხელში აიღებს) მშვიდობით, ხაერდის ბალიშო! მშვიდობით, თეირანის ხალიჩავ! მშვიდობით, ჩინურო ვაზავ! მშვიდობით... (გადის. არაბიძე ღრმად ამოიოხრებს, ფანჯარაში გადაიხედავს,

მობრუნდება: მის ყურადღებას მიიპყრობს წერილი, რომელიც მაგიდაზე დევს. იღებს და კითხულობს).

მეოთხე სურათი

ეზო. შეღამებულია. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ. სკამზე, ხის ქვეშ, გულიკო და თენგიზი სხედან.

თ ე ნ გ ი ზ — გახსოვს? გაცნობის შემდეგ პირველად თეატრში წავედით. იანვარი იყო. ტროტუარზე ფეხი სრიალებდა, მაგრამ მკლავში ხელის გაყრა მაინც ვერ გაგიბედე...

გ უ ლ ი კ ო — (იცინის) შეგეშინდა: მე ხომ დავეცემი — დავეცემიო, მაგრამ ჩემთან ერთად ესეც არ დავცეო...

თ ე ნ გ ი ზ — იცი? იმ ღამეს მაინც დავეცი — კიბე აირბინე თუ არა, გამობრუნებისას ორი ნაბიჯი გადაუდგი და... ბრეგვაც მოვადინე. თავზე საიდანღაც მამაშენი წამომადგა — სწრაფად ქუდი ჩამოვიფხატე, არ მინდოდა ასეთ კომიკურ სიტუაციაში ჩემი სახე დაეხსომებინა.

გ უ ლ ი კ ო — საწყალი მამაჩემი!.. ციალა მაინც იქნებოდეს მისი გულის ვარდი!

თ ე ნ გ ი ზ — (ირონიით) ციალა?! ო, ციალა ერთბაშად დააბნევს გულზე ვარდების კონას.

(შემოდის **ი ვ ა ნ ე** პატარა ხელკალათით).

თ ე ნ გ ი ზ — ბიძია ივანე!..

ი ვ ა ნ ე — თენგიზი ხარ?! გამარჯობა, ბიჭო, შენი! ასე უნდა? დედული მთლად უნდა დაივიწყო? ყმაწვილობაში ბებუასთან ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდი და სოფელს ქორივით გვიწიოკებდი, ახლა კი ცხვირს გვიბზუებ და ვეღარ გვცნობ.

თ ე ნ გ ი ზ — როგორ არა გცნობთ, მაგრამ...

ი ვ ა ნ ე — რა მაგრამ? დრო არა გაქვს? ისე აშენდი! (გულიკოს გადახედავს) ალბათ, ზოგჯერ დღე ისე გადის, საათს არც კი დახედავ, ღამით კი... ცაზე მთვარე სულ გინდა ეკიდოს. ხომ? (ხითხითებს. უეცრად მოიღრუბლება) ნაპოლეონი შინ არის?

თ ე ნ გ ი ზ ი — არ გახლავთ.

ი ვ ა ნ ე — ჩემი ფეხი აქ არ უნდა იდგეს, მაგრამ რა ვქნა: დედამისმა ორი ხაჭაპური და მრგვლად მოხარშული ქათამი გამომატანა. გუშინ, ცხელ გულზე, ეს კალათი უკანვე წავაძუნძულე, მაგრამ დღეს გაცივებულმა გულმა საგონებელში ჩამაგდო: — რა გიჭირს ამის ფასი, სულ დაკარგე კაცობაო? სხვისი ძღვენი რა პირით უნდა შეჭამოო?!

თ ე ნ გ ი ზ — ჩამოჯექით, მოგინახავთ ნაპოლეონს.

ი ვ ა ნ ე — ეჰ, მისი ნახვა რას გამახარებს, ბიძია? გუშინ თავზე ლბფი გადამასხა და ცხრა შვილის მამა ხვლიკივით ყავარზე დამდო... (სხვა კილოთი) ღვთის წინაშე, სამოთხის კარი არც მე გამილია მამიჩემისთვის.

გ უ ლ ი კ ო — ხშირად, ბატონო, მამები შვილების მიმართ უგულობას იჩენთ ხოლმე.

ი ვ ა ნ ე — ვინ?! წყალწაღებულის ხმელეთზე გამოყვანა მინდოდა და... უგულობას ვიჩენ?

გ უ ლ ი კ ო — ბოდიში, თქვენზე არ მითქვამს, თქვენ ცამდე მართალი ბრძანდებით.

ი ვ ა ნ ე — „ცამდე"!.. უფრო მაღლაც! განა ცოლის თხოვნას ვუშლი? ერთ ბრძენს უთქვამს: ითხოვ — ინანებ, არ ითხოვ — მაინც ინანებო. მე თუ რამე დამეკითხება, ჯობია ითხოვო და ინანო, ვიდრე არ ითხოვო და სანანებლად დაგრჩეს. მაგრამ ქალი ისეთი უნდა მოიყვანო — ცხრა მთას იყო, შინ ანდამატივით გიზიდავდეს. ნაპოლეონი კი ვის გადაკიდებია? ვილაც გაკრასკულ სინდიოფალას.

თ ე ნ გ ი ზ — სიყვარული უცნაურია.

ი ვ ა ნ ე — არ ვიცი, შენ ჩინებული კვირტი შეგირჩევია. (გულიკოს გადახედავს) ცოლია თუ საცოლე?

თ ე ნ გ ი ზ — როგორ გითხრა, ბიძია ივანე, ჩვენ ორიეზე თანახმა ვართ, მხოლოდ... მამამისი მწუნობს.

ი ვ ა ნ ე — ვის? შენ? რა გაქვს შენ დასაწუნი? ტალკვესიეით ბიჭი ხარ. ვაგლახ, რომ მოსკოვს მიეიჩქარი, თორემ ვნახავდი მამათქვენს და მე ვიცი, რასაც ვეტყოდი. ყოჩაღად იყავით, არ შეშინდეთ, — ეს ქვეყანა თქვენია. (მიდის. ისევ მობრუნდება) ეგ წვალებით გაზრდილი ქათამი ძაღლმა არ მოგტაცოთ, ბაბა, სადმე მაღლა ხეზე შედევით. (გადის)

თ ე ნ გ ი ზ — შეამჩნიე? თითქოს უბრალო გლეხია, მაგრამ რამდენ ინტელიგენტზე უფრო საღად მსჯელობს. (ცალთით სახლში შედიან. აივანზე ფ ო ს ი ნ ე და ბ ე ურ დ ღ უ გამოდიან. ბურდღუ გიტარაზე უკრავს და ამღერებს)

მე სიშორე არ მაშინებს,
არ მაშინებს მე გზა გრძელი,
ოღონდ იქით წამიყვანოს,
სადაც არის ჩემი მწველი...

ბ ურ დ ღ უ — ფოსინე, ახლა თქვენი რიგია. (გიტარას აწვდის)

ფ ო ს ი ნ ე — მე არ ვმღერი, ბურდღუ.

ბ ურ დ ღ უ — თუ კაცი კარგ გუნებაზეა, ყველას შეუძლია იმღეროს. თქვენ ახლა ცუდ გუნებაზე არ შეიძლება იყოთ — პირველი გამოცდა სასახელოდ ჩააბარეთ. (ხუმრობით) თანაც, ჩემს გვერდით დგახართ.

(შემოდიან მ უ ზ ა და ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ფოსინე, ჩააბარე?

ბ ურ დ ღ უ — (ამაყად) ფრიადზე!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მართლა?

ფ ო ს ი ნ ე — ჰო, ამ ერთხელ თითქოს არა უშავს რა...

მ უ ზ ა — მოგილოცავთ! ძალიან მოხარული ვარ. (ნაპოლეონი სახლისკენ მიპყავს. შედიან)

ბ ურ დ ღ უ — რატომ მოიწყინეთ, ფოსინე?

ფ ო ს ი ნ ე — მე?! არა!.. მე ახლა... საუცხოო გუნებაზე ვარ. (გიტარას გამოართმევს, მღერის)

წერილი გავხსენ, სტრიქონებს ვითვლი,
თვალწინ დამიდგა მე შენი თითნი,
კოცნას მიგზავნი, მოკითხვას მითელი,
შორი ალერსით მე გული მითრთის...

ბ ურ დ ღ უ — თქვენ კი ამბობდით, სიმღერა არ მეხერხებაო. არც ასეთი თავმდაბლობა ვარგა.

ფ ო ს ი ნ ე — ძალიან გთხოვთ, ნუ მაქებთ.

ბ ურ დ ღ უ — თქვენი გულისთვის, თუ მიბრძანებთ, სულაც დავმუნჯდები, მხოლოდ თვალებს დავითხრი-თქო ვერ შეგპირდებით — მინდა ყოველ წუთს გხედავდეთ.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენსას მაინც არ იშლით. სხვა რამეზე ვისაუბროთ. აი მაგალითად... სად იქნება ნეტავი ჯიმშერი?

ბ ურ დ ღ უ — (იქით) ჯანდაბაში!.. (ფოსინეს, ცრემლით) მოგწონთ?

ფ ო ს ი ნ ე — რიგიანად ჯერ არც ერთს არ გიცნობთ... გაცნობის პირველ დღეებში ყველას თავი ანგელოზად მოაქვს. აი თუნდაც თქვენ — ძალიან, ძალიან...

ბ ურ დ ღ უ — დიახ, დიახ...

ფ ო ს ი ნ ე — (ჩაფიქრდება) მმ...

ბ ურ დ ღ უ — ბრძანეთ, ბრძანეთ.

ფ ო ს ი ნ ე — დამავიწყდა რას ვამბობდი...

ბ უ რ დ ღ უ — თქვენ ამბობდით: „ძალიან, ძალიან“...

ფ ო ს ი ნ ე — (ცდილობს მოიგონოს) ძალიან, ძალიან...

ბ უ რ დ ღ უ — ჩემზე ამბობდით რაღაც საქებარს.

ფ ო ს ი ნ ე — საქებარს? თქვენზე? მეეჭვება.

ბ უ რ დ ღ უ — (ცრემლით) არა?

ფ ო ს ი ნ ე — გაგეხარდებოდათ?

ბ უ რ დ ღ უ — ო-ო! თქვენ ნიამორი ხართ, ფოსინე...

ფ ო ს ი ნ ე — მე ნამდვილად გული მომივა და წავალ, თუ კელაე ასე სულელურად შემაქებთ.

ბ უ რ დ ღ უ — გონივრულად თუ შეგაქებთ?

ფ ო ს ი ნ ე — არც ისე, არც ასე. ჰმ! ნიამორი!.. ვინ არ შემატყობს, რომ პროვინციიდან ვარ. მე აბა ვის მოვეწონები? გული კი ხალისით ივსება ხოლმე, როცა ვინმე ყურადღების თვალით გადმოგხედავს.

ბ უ რ დ ღ უ — ეს მხოლოდ თქვენ გეხებათ თუ საერთოდ?

ფ ო ს ი ნ ე — საერთოდ... თუმცა... ერთ რამეში გამოგიტყდებით, თუ არ გამცემთ.

ბ უ რ დ ღ უ — მენდეთ!

ფ ო ს ი ნ ე — (საიდუმლოდ) ქალი მაინც ქალია, თუგინდ ვეშაპებზე მონადირე იყოს.

ბ უ რ დ ღ უ — ასეც უნდა! მე მიყვარს ქალური ქალი და ვაქკაცური კაცი. არ იფიქროთ, გაქებდეთ, მაგრამ თქვენ საოცრად ქალური ქალი ხართ, ფოსინე. ძალიან ვშიშობ, რომ ყველას მოეწონებით. აკი თქვენ ისეთი შესანიშნა...

ფ ო ს ი ნ ე — (მკაცრად) კმარა!... (ამჩნევს რომ ბურდღუ დაფრთხა ცოტა დაამებით) განაგრძეთ.

ბ უ რ დ ღ უ — ეე... მმ... ისე შემაშინეთ, ყველა აზრი დამეფანტა.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენც ადექით და აკრიფეთ.

ბ უ რ დ ღ უ — ეე... მინდოდა ჩემს სიცოცხლეში პირველად ვული გადამეშალა.

ფ ო ს ი ნ ე — გადაშალეთ.

ბ უ რ დ ღ უ — (ფიქრობს) ეე... მმ... დამავიწყდა რას ვამბობდი...

ფ ო ს ი ნ ე — ალბათ ტყუილის გოდორს წნავდით.

ბ უ რ დ ღ უ — არა... მე მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ საოცრად გრაციოზული ქალი ხართ, და რომ მისი გული დაგადუგს დაიწყებს, ვისაც ყურადღების თვალით გადახედავთ. გადმომხედეთ, ფოსინე! (მუხლებზე დგება) მე... (შემოდის შ ო თ ა ა რ ე ვ ა ძ ე. ბურდღუს გულს შემოეყრება) რა გინდა, შე ბუდეამოსაგდებო?

შ ო თ ა — იშვიათი სასიხარულო ამბავი მოგიტანე: შანიძის გრამატიკა ვიშოვე. (აჩვენებს)

ბ უ რ დ ღ უ — ო! ერთობ გამახარე. ჭეშმარიტად, სამახარობლოდ ჭიტლაური გეკუთვნის, მაგრამ ახლა თავს ვიკავებ. ხვალისათვის გადავდოთ.

შ ო თ ა — (ფოსინეს დაინახავს) ვინ არის ეს ტურფა არსება?

ბ უ რ დ ღ უ — ნუ უცქერი. ძალიან წყინს, როცა თვალს მიაშტერებენ.

შ ო თ ა — გამაცანი. ბიოგრაფიას დავუწერ.

ბ უ რ დ ღ უ — თავს ნუ შეიწუხებ, მაგის ბიოგრაფიას მე ვწერ თვითონ.

შ ო თ ა — მაშინ თანაავტორად შემიყვანე.

ბ უ რ დ ღ უ — სხვისას წერტილმძიმესაც არ ვსაჭიროებ. გზა მშვიდობისა!

შ ო თ ა — მე არსად მეჩქარება.

ბ უ რ დ ღ უ — მე, მე, გესმის, მე მეჩქარება. (გასავლისაკენ ხელს აკრავს; თვითონ კი ფოსინეს წინაშე წინანდებურ პოზაში დგება)

პატივცემულო ფოსინე!..

ფ ო ს ი ნ ე — ეს ყმაწვილი გუშინ, მგონი, გრამატიკის წიგნს ეძებდა. ჩააბარა?

ბ უ რ დ ღ უ — ჩაიჭრა, და უკვე მეოთხედ. რიყის ქვასავით უნიჭოა. აქამდე ერთი სულთმობრძავი სამიანიც ვერ გამოუთრევია.

ფ ო ს ი ნ ე — საწყალი! შორიდან თითქოს მეცადინი და სიმპათიური ჩანს...

ბ უ რ დ ღ უ — ვინ? არევაძე შოთა? (მხრებს აიჩეჩს) თქვენზე მითხრა, არ მომწონსო.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ კი მარწმუნებდით, ყვალას მოეწონებითო.

ბ უ რ დ ღ უ — და განა მე არ მომწონხართ, ფოსინე? (აივანზე მაგ შეუმჩნეველად ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი გადმოდგება) თქვენ ციური ქმნილებახართ, ფოსინე, თქვენ სტრატოსფეროდან ხართ.

ფ ო ს ი ნ ე — საიდან ვარ?!? რა სისულელეა! მე რომ ოდნავ კარგი ვყოფილიყავი, თქვენი მეგობარი ასე არ მომექცეოდა.

ბ უ რ დ ღ უ — ვინ? ნაპოლეონი? (ხელს ჩაიქნევს) არავითარი მიხვედრის უნარი მას არ გააჩნია, ფოსინე. განა ჭკვიან კაცს გონებას აუბნევდა ეს მუზ... (ნაპოლეონს დაინახავს, შეშინდება) მუზ-მუზ... მუზიკა! (ხის უკან იმალება. ნაპოლეონი ოთახში შედის).

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ რომ გულთამხილავი იყოთ და ჩემს გულში ჩახედვა შეგეძლოთ, ახლა იქ სიხარულის მორევს დაინახავ-

დით, მორეეს შმაგსა და კრიალას, ნაპირებს რომ ასკდება და წალეკვა უნდა...

ბ ურ დ ღ უ — ჩემი?

ფ ო ს ი ნ ე — შეიძლება თქვენიც.

ბ ურ დ ღ უ — ოო!

ფ ო ს ი ნ ე — ნუ გეშინიათ. მინდა ვიფიქრო, ჩია და მფრთხალი არა ხართ. აი, ორი მოქარგული სიტყვა მესროლეთ და სიამით ავივსე. ნუთუ მეც სხვებივით ცერცეტი ვარ?

ბ ურ დ ღ უ — გამიგოხია, ქალს თუოაე ჯიოკიც რომ გამოუტყდეს სიყვარულში — ისიც ეამება.

ფ ო ს ი ნ ე — რა გითხრათ, არ გამომიცდია; თქვენ ჯიოკი არა ხართ.

ბ ურ დ ღ უ — ესე იგი, უარესი ვარ?!

ფ ო ს ი ნ ე — როგორ გეკადრებათ!

ბ ურ დ ღ უ — ვიცი მამშვიდებთ, მაგრამ რა საჭიროა: დილაობით სარკეში ჩვენც ვიხედებით. სახე ლადარში გამომცხვარ კოკორს მიგავს.

ფ ო ს ი ნ ე — ო, არა, რასაკვირველია, არა. (შეათვალიერებს) ეს მიბრძანეთ... რამდენი წლისა ხართ? უკვე თეთრი გამოგრევიათ.

ბ ურ დ ღ უ — (ამოიოხრებს) მე რომ ტბედურება შემემთხვა...

ფ ო ს ი ნ ე — ასეთი რა შეგემთხვათ?

ბ ურ დ ღ უ—(ფიქრის შემდეგ) ჩემს თვალწინ ცოლი ბეღელში გამომეწვა.

ფ ო ს ი ნ ე — (შეპყივლებს) უი, დედა!.. უბედური!.. (ბურდღე ქ-ლეტუნებს) ისიც კი არ ვიცი, როგორ დაგაშვიდოთ. ნუ ტირით!.. ძალიან გთხოვთ, ნუ ტირით. (გვერდით მიუჯდება, მხარზე ხელს დაადებს) დიდი ხანია?

ბ ურ დ ღ უ — (ფოსინესკენ მიიწევა) ხვალ ორმოცი შესრულდება.

ფ ო ს ი ნ ე — (ცრემლი მოადგება) გიყვარდათ?

ბ ურ დ ღ უ — ერთი წელიწადი ჯოხი რომ გეწვას გვერდით, — ისიც შეგიყვარდება.

ფ ო ს ი ნ ე —კიდევ კარგი, იოლად გადაგიტანიათ.

ბ ურ დ ღ უ — იოლად?! თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ დამარწმუნეს — სულმოკლეობააო და, მეც ხელი ავიღე განზრახვაზე... იოლად?! ჰმ!.. ერთხელ მე და ჩემი ამხანაგები ღვინით და ხორაგით წავედით მის საფლავზე, და როცა მე გული ამომიჯდა ტირილით, მხოლოდ მაშინ შევიტყვე — თურმე საფლავი შემშლოდა და სხვის მკვდარს დავტიროდი... მერე

მითხრეს ეს ტირილი ფუჭად მაინც არ ჩაგეთვლება, ცრემლი თავის გზას გაიკვლევსო.

ფ ო ს ი ნ ე — მიამბეთ — თქვენი ცოლი ლამაზი იყო?

ბ უ რ დ ღ უ — ო, ისეთი თვალები ჰქონდა, ისეთი ცხვირი, ისეთი შუბლი, ისეთი ნიკაპი... რომ გიყურებთ, ასე მგონია, სულ თქვენ გგავდათ... ამიტომ შემიყვარდით. (აქვითინდება)

ფ ო ს ი ნ ე — მერე, რა გატირებს, შე კაცო?

ბ უ რ დ ღ უ — შემიცოდეთ უბედური... (ფოსინეს ხელს თავზე ისვამს)

ფ ო ს ი ნ ე — იცით რა... მიჩვენეთ თქვენი ცოლის სურათი. თუ მართლა მგავს, — შეგიცოდებთ.

ბ უ რ დ ღ უ — თან რომ არა მაქვს?..

ფ ო ს ი ნ ე — მოიტანეთ.

ბ უ რ დ ღ უ — ახლა?

ფ ო ს ი ნ ე — ახლა.

(ბურდღუ შეწუხებული მიდასლასებს სახლისკენ)

ფ ო ს ი ნ ე — რა საშინელი სიკვდილია! საყვარელი ადამიანი იწეოდეს შენს თვალწინ, დახმარებას გთხოვდეს და ვერ შეველოდე...

(სახლიდან გამოდის ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თითქოს მოგიწყენია?

ფ ო ს ი ნ ე — საზარელი რამ მიამბო ბურდღუმ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ბურდღუს იშვიათი ფანტაზია აქვს. ჩემზე შეთხზავდა...

ფ ო ს ი ნ ე — არა, თავის ცოლზე მელაპარაკა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რომელ ცოლზე?

ფ ო ს ი ნ ე — ბელელში რომ დაეწვა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (ღიმილით) ხრამში გადასაგდები ქალი ვის ეყოლებოდა, ფოსინე?

ფ ო ს ი ნ ე — (სიხარულით) არ დაწვია?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რაც არ ყოლია...

ფ ო ს ი ნ ე — ჰო?! კაი დაგეიათოს. მე კი ისე შევწუხდი... არა, შენ მიმალავ, ნაპოლეონ, კაცი ბალღიანით ქვითინებდა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ბურდღუ თავის ცრემლებს მოზარე ქალიანით განაგებს.

ფ ო ს ი ნ ე — მერე, შენ რა გული გეწვის?.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არ მინდა, რომ შეცდე.

ფ ო ს ი ნ ე — რაში?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ყური მოვკარი ბურდღუ სიყვარულში გამოგიტყდა: ის შენი ღირსი არ არის, შენ კარგი გოგო ხარ.

ფ ო ს ი ნ ე — ვინ არის აბა ჩემი ღირსი?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — დრო გავა და გამოჩნდება.

მ უ ზ ა — (ივანიდან) ნაპოლეონ, ჭირიმე, მანდ რას აკეთებთ?! თქვენ სამუშაო გაქვთ. (ოთახში შედის)

ფ ო ს ი ნ ე — არ გესმის? გეძახიან.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მმ... პოემა დავიწყე... ვერ იქნა და ვერ დავამთავრე.

ფ ო ს ი ნ ე — (ფარული ირონიით) კი მაგრამ... სად არის შენი მუზა? (კიბეზე მ უ ზ ა ჩამოდის)

მ უ ზ ა — ძვირფას დროს რატომ ჰკარგავთ? ღამეა ისეთი — წერე და წერე!

ფ ო ს ი ნ ე — (თავისთვის) საოცნებო ღამეა!..

(ნაპოლეონი სახლში შედის და მალე მათ შეუმჩნეველად ივანზე გამოდის)

მ უ ზ ა — თქვენ მას არ იცნობთ — მთელი თვის განმავლობაში მხოლოდ 120 სტრიქონი დაწერა. და განა 120 სტრიქონით შეიძლება ცხოვრება, თუნდაც მასში გადიდებული ჰონორარი მიიღოთ?

ფ ო ს ი ნ ე — როგორ, ნაპოლეონს ლექსებში ფულს აძლევენ?

მ უ ზ ა — გიკვირთ? ჰმ! ნაპოლეონი ხალასი ტალანტია, მაგრამ რა არის ტალანტი შრომის გარეშე? თითქმის არაფერი.

ფ ო ს ი ნ ე — კარგია, რომ შრომას აფასებთ. ზარმაცი ხალხი არც მე მიყვარს.

მ უ ზ ა — გენაცვალე, ზოგჯერ სიზარმაცე ალმაზებს კიდეც პოეტს, მაგრამ არა ისეთს, როგორც ნაპოლეონია: არც ბანკში აქვს რამე და არც არსაიდან მემკვიდრეობას ელის. ეს მითხარით... მამამისს ციტრუსი ბევრი აქვს?

ფ ო ს ი ნ ე — ჩვენს სოფელში ყველაზე უკეთესი ბაღი მისია.

მ უ ზ ა — როგორღაც ეს არ იგრძნობა გამოგზავნილი ფულების მიხედვით. მამიკო, ჩანს, საკმაოდ ხელმოჭერილი კაცია.

ფ ო ს ი ნ ე — როგორ გეკადრებათ! ბიძია ივანე წვრილი ცოლშვილის პატრონია. ნაპოლეონი კი სტიპენდიასაც იღებს.

მ უ ზ ა — აბა რა არის, გეთაყვა, სტიპენდია?.. ადამიანები ცხოვრობენ ან ძალიან კარგად, ან როგორც მოუხდებათ. მე არ შემიძლია ვიცხოვრო როგორც მომიხდება. მე ჩაის პლანტაციებზე როდი ვმუშაობ. მე თითები დაზღვეული მაქვს. პიანისტი ვარ.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ გგონიათ ჩაის პლანტაციებში თითები საჭირო არ არის? ო! ძალიან საჭიროა! თანაც, სწორედ პიანისტს თითებია საჭირო.

მ უ ზ ა — (იცინის) თქვენ გულუბრყვილო ბავშვი ყოფილხართ! განა ჩაის ბუჩქი როიალია?

ფ ო ს ი ნ ე — გეტყობათ, ჩაის ბუჩქი მხოლოდ მატარებლის ფანჯრიდან დაგინახავთ. რა თქმა უნდა, როიალი არ არის, მაგრამ, რომ გაერკვეთ მის ფოთლებში — რომელი უნდა მოიკრიფოს და რომელი დარჩეს, — ამისათვის საჭიროა მგრძნობიარე, მოქნილი და, თუ გნებავთ, ზედმიწევნით „მუსიკალური“ თითებიც კი.

მ უ ზ ა — ო-ო! მაშინ მოცარტი ბღარკითში პირველი მეჩაიე იქნებოდა.

ფ ო ს ი ნ ე — მოცარტი?

მ უ ზ ა — ეს კომპოზიტორია, ჩემო კარგო.

ფ ო ს ი ნ ე — ვიცი, მსმენია.

მ უ ზ ა — ო, ის, ალბათ, სხვა მოცარტი იქნებოდა.

ფ ო ს ი ნ ე — რომელი სხვა? მოცარტი ერთია, „ალილუია“ რომ დაწერა... (მღერის მელოდიას. ისმის ტელეფონის ზარის ხმა. ნაპოლეონი მიდის აივნიდან. ცოტა ხნის შემდეგ კიბეზე ეშვება)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (მუზას) ფილარმონიიდან გიხმობენ.

(მუზა სწრაფად შედის ოთახში)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — როცა დამინახე, სიმღერა რატომ შეწყვიტე? შენ რა, გულმოსული ხარ ჩემზე?

ფ ო ს ი ნ ე — არა...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რა ვიცი... მომეჩვენა კი...

ფ ო ს ი ნ ე — რატომ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ისე... მინდოდა რაღაც მეკითხა...

ფ ო ს ი ნ ე — მკითხე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ვაი თუ გვიანია.

ფ ო ს ი ნ ე — თუ გვიანია — ნუ მკითხავ.

(პაუზა)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ფოსინე!

ფ ო ს ი ნ ე — ბატონო!..

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მითხარი... ცოტათი მაინც... კიდევ გიყვარვარ?

ფ ო ს ი ნ ე — (დუმილის შემდეგ, სევდით) სადმე რომ წითელი ფოთოლი მენახა, ისიც შენთვის მინდოდა. (ნაპოლეონი ალერსიანად ხელის მოხვევას დაუპირებს) რას შერები? ვინ მოგცა უფლება? ჩემთვის სიყვარული ქარი არ არის, საღამოთი რომ ამოვარდება და დილით ჩადგება.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ჩემთვის?

ფ ო ს ი ნ ე — შენთვის... ჰმ... (სურს წასვლა).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ფოსინე!

ფ ო ს ი ნ ე — რას მიბრძანებთ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (თავის მოსაწყლებით) გახსოვს, სამწყემსურში გვრიტებიქით რომ დავგოგმანობდით? გახსოვს ჩვენი კუდა ძროხა? წვერებცანცარა თხები? გახსოვს?.. (მღერის)

სიკინჭილა, საბალახო,
გულო, თუ რომ მიღალატო,
სადაც გნახო, იქ დაგმარხო,
გულო, თუ რომ მიღალატო...

ფ ო ს ი ნ ე — „სიკინჭილა... საბალახო“... სისულელეა, მოგონებადაც არა ღირს თურმე.

(მ უ ზ ა კვლავ გამოჩნდება)

მ უ ზ ა — ხვალ, თურმე, ბორჯომში კონცერტი მქონია, მე კი არ ვიცოდი. არ წამომყვებით, ნაპოლეონ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (მშრალად) არ ვიცი...

მ უ ზ ა — რა დაგემართათ? რა იყო, რას იბზუებთ ცხვირს? (ნაპოლეონი სახლში შედის) რა მოუვიდა?

ფ ო ს ი ნ ე — ნუ მიაქცევთ ყურადღებას, პოეტის გული მარტის ამინდივითაა — ხან მზეა, ხან წვიმა.

მ უ ზ ა — ეს მითხარით, სოფელში მაგის შეყვარებული თქვენ ხომ არ იყავით?

ფ ო ს ი ნ ე — არა...

მ უ ზ ა — ეგებ თქვენ გიყვარდათ?

ფ ო ს ი ნ ე — (პასუხს აგვიანებს) მე... არა...

მ უ ზ ა — (მოეხვევა). მომწონხართ. თქვენ უბრალო, სადა ქალიშვილი ხართ. პოეტის მანათობელ ვარსკვლავად. ცხადია, ვერ გამოდგებით, ამისათვის საჭიროა ღვთის მონაბერი რაღაც გეცხოთ.

ფ ო ს ი ნ ე — რა თქმა უნდა!.. ღვთის მონაბერი მე არაფერი მაცხია. ბოდიში, მუზა თქვენი ნამდვილი სახელია?

მ უ ზ ა — სრულიად ნამდვილი. დედამ დამარქვა.

ფ ო ს ი ნ ე — ნიჭიერი ადამიანების გულის მოსაგებად ღმერთს, როგორც ჩანს, მთელი თავისი მადლიერი კალთა მხოლოდ თქვენზე დაუბერტყია. სახელიც კი!

მ უ ზ ა — ჩემს სახელს ამას წინათ ნაპოლეონმა მთელი სონეტი უძღვნა — სრულებით არ მომეწონა, — ერთ ტაეპში, ასე განსაკუთ, მუზას ხარაბუზა ერითმებოდა. მაშინ მან ერთი კალმის მოსმით სხვა ქება დამიწერა, ისეთი ნარნარი, ისეთი ჯადოსნური...

თქვენი თვალები, გიშერიეით შავი და სანდო,
ნაკვერცხალივით მოელვარე, მწველი და წმინდა,
მე მხოლოდ ერთხელ ვინახულე და ისიც ბინდად,
კვლავ მათი ნახვა, რომ იცოდეთ, ო, რა რიგ მინდა!..

ფ ო ს ი ნ ე — (შეშფოთდება) ძალიან კარგია, მაგრამ... ეს სტრიქონები თითქოს ადრე სადღაც მომისმენია. დიახ, მოვისმენია. ერთი წლის წინათ ნაპოლეონმა ეს ლექსი მგონი... სხვა ქალიშვილს უძღვნა.

მ უ ზ ა — როგორ? ჩემდამი მოძღვნილი ლექსი სხვა ქალიშვილს . უძღვნა? რომელ ქალიშვილს?.. (მუქარით შერბის სახლში)

ფ ო ს ი ნ ე — უსინდისო!.. თავისთავიც გაქურდა, მეც გამქურდა და ნაქურდალი სხვას უთავაზა? არასოდეს არ გაპატიებ, არასოდეს... (ტირის)

ჯ ი მ შ ე რ — (შემოდის) ფოსინე, ტირით?

ფ ო ს ი ნ ე — არა...

ჯ ი მ შ ე რ — ჩაიჭერით მათემატიკაში?

ფ ო ს ი ნ ე — ფრიადზე ჩავაბარე. და ახლა... ჩინებულ გუნებაზე ვარ.

ჯ ი მ შ ე რ — და მაინც ტირით?

ფ ო ს ი ნ ე — ვინ გითხრათ?

ჯ ი მ შ ე რ — ვხედავ.

ფ ო ს ი ნ ე — მე უბედური ვარ, ჯიმშერ!.. ვაჟი მაინც ვიყო!..

ჯ ი მ შ ე რ — ო! თქვენებრ ლამაზი რომ ვიყო, ქალობაზე უარს არ ვიტყოდი. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა... მმ... თქვენ ყველაზე უნაკლო ქალიშვილი ხართ მათ შორის, რომელიც მე ოდესმე მომწონებია.

ფ ო ს ი ნ ე — ეს მხოლოდ გეჩვენებათ, ჯიმშერ, სინამდვილეში უამრავი ხინჯი მაქვს. მე, მაგალითად, ხმამაღლა ვიცინი ხოლმე.

ჯ ი მ შ ე რ — თუ გნებავთ, თქვენი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ ყველას მიმართ გულთბილ დამოკიდებულებას იჩენთ.

ფ ო ს ი ნ ე — ო, ეს ერთობ მძიმე ბრალდებაა, ჯიმშერ, ის ჩემი თავისთვის ჯერ არ შემიმჩნევია, თქვენ კი ასე მალე შენიშნეთ. რა ვიცი... ყველა თქვენ მეპყრობით ზედმიწევნით კარგად და მეც ვცდილობ ვალში არ დაგირჩეთ. თუმცა... ერთს ვეპყრობი არა ისე, როგორც სხვებს. მე ის... მიყვარს.

ჯ ი მ შ ე რ — ესოდენი ბედნიერება წილად ვის ერგო?

ფ ო ს ი ნ ე — ამას თვითონ უნდა მიხვდეთ, ჯიმშერ.

ჯიმშერ — ერთი ჩვენთაგანია?

ფოსინე — უთუოდ.

ჯიმშერ — ბურდღუ?

ფოსინე — არა, ჯიმშერ,

ჯიმშერ — შოთა არევაძე?

ფოსინე — ო, არა, ჯიმშერ.

ჯიმშერ — (ეპვი საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ უმალვე გადაუიქრა). მაშ... ნაპოლეონი? (ფოსინე დუმს) მეგონა ნაპოლეონი თქვენი გულიდან უკვე დიდი ხანია ამოვარდა.

ფოსინე — არა... და ალბათ იმიტომ, რომ მე დაწუნებული და მიტოვებული ვარ, ჯიმშერ. ეს კი ძალიან მძიმეა, დედამიწაზე უფრო მძიმეა!.. (ჯიმშერს თვალს შეავლებს) ლიმონის ფერი დაევდოთ სახეზე, ჯიმშერ.

ჯიმშერ — გამიელის.

ფოსინე — ჩემო ჯიმშერ!..

ჯიმშერ — ნუ ამბობთ.

ფოსინე— რატომ?

ჯიმშერ — იცით და ნუ მათქმევინებთ, შემიბრალეთ.

ფოსინე — ვაქკაცის შებრალება მხოლოდ ვაქკაცს შეუძლია, მე კი უბრალო სოფლელი ქალიშვილი ვარ, ჯიმშერ.

ჯიმშერ — ზედმეტი თავმდაბლობა თქვენი მეორე ნაკლია. თავის მოღარიბებით თქვენ აიძულებთ მოსაუბრეს ქათინაურები არ დაიშუროს. რაკი ასეა... თქვენ ლამაზი ხართ, როგორც ბროწეულის ყვავილი.

ფოსინე — ო, მე შემიძლია ქება დაცინვისაგან გავარჩიო, ჯიმშერ. ნუ იქნებით ზედმეტად გულუხვი, მაშინ... მმ... თქვენ ღირსი ხართ ორი ათას ქალიშვილს უყვარდეთ, ჯიმშერ. თქვენ ძალიან კარგი ხართ.

ჯიმშერ — ორი ათასიდან ერთსაც არ ეუყვარვარ...

(ეივანზე ბურდღუ გამოჩნდება, დააყურებს)

ფოსინე — ქალიშვილების უმეტესობას გუდაფშუტა მამლაყინწები მოსწონთ, ჯიმშერ. თქვენ კი ასეთი არა ხართ... ვაი, რომ ჯაჭვით ვარ დაბმული, ჯიმშერ. მომეშველეთ, ამხსენით ბორკილები.

ჯიმშერ — როგორ?

ფოსინე — მე ნაპოლეონი მიყვარს, ჯიმშერ. ჰოდა, დამეხმარეთ, რომ ის შემძულდეს.

ჯიმშერ — ეს შეუძლებელია.

ფოსინე — რატომ? მიგინეთ იგი, მოახვიეთ თავზე ყველა უკულ-

მართის ცოდვები, შეიძლება ამ გზით მაინც შემჯავრდეს. (ჯიმშერი სდუმს) მეტყველების უნარი ხომ არ დაჰკარგეთ, ჯიმ-შერ?

ჯ ი მ შ ე რ — არასოდეს ამას არ ვიზამ. ნაპოლეონი ჩემზე ორი თავით მაღლა დგას, მე მას ქვეეიდან ტალახის გუნდებს არ დავუშენ. როგორადაც არ უნდა მიყვარდეთ, მაინც არ დავუ-შენ.

(ჯიმშერი სწრაფად სახლში შედის. ფოსინე თვალს გააყოლებს და უიმე-დოდ ამოიხვნეშებს. ბ ურ დ ღ უ მგლოვიარე სახით გამოეცხადება. წინ სურათს დაუდებს)

ფ ო ს ი ნ ე — (გაცეცხლდება) ეს ვინ არის? ეს ხომ ჩემი ფოტოსურა-თია?

ბ ურ დ ღ უ — თქვენი? არა, ჩემი უბედური ცოლის...

ფ ო ს ი ნ ე — (მკაცრად) კმარა! თქვენი ცრემლები ჩემზე ოდნავადაც არ მოქმედებენ, არავითარი ცოლი თქვენ არ გყოლიათ.

ბ ურ დ ღ უ — ცოლის ყოლა რა სატრაბახოა. მყავდა.

ფ ო ს ი ნ ე — არ გყოლიათ. მითხრეს...

ბ ურ დ ღ უ — ჯიმშერმა? მოვკლავ!..

ფ ო ს ი ნ ე — ნაპოლეონმა! ეს სურათიც იმას მოპარეთ.

ბ ურ დ ღ უ — (მოიკუნტება) როგორ გეკადრებათ... თუმცა, რა ვიცი, ნაპოლეონს ერთხელ ჩემი ცოლის სურათი ვაჩვენე, შემ-დეგ დამიბრუნა, ალბათ შეეცვალა. (ხან სურათს უცქერის, ხან ფო-სინეს) ახლა ეჭვი მეც მეპარება: ეს მართლა თქვენა ხართ თუ ჩემი ცოლია?! (აენთება) არ ჰყავდაო?! (აივანზე ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი გამოჩნდება) ნაპოლეონი შემზარავი დანაშაულის კვალის და-ფარვას ცდილობს, ფოსინე! ჩემი საწყალი ცოლი სწორედ ნაპოლეონმა გამოწვა აგურივით ბელელში!.. (დაინახავს ნაპო-ლეონს და შიშით სახლისაკენ მოკურცხლავს).

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ოთახში გული არ მიდგება, სევდა მახრჩობს, ვგრძნობ ცუდად მოვიქეცი, ფოსინე, მაგრამ... მაპატიე!

ფ ო ს ი ნ ე — რა თვალით მიცქერი და რა ენით მთხოვ პატიებას? შძულხარ! დიახ არ გეგონოს, ამას მხოლოდ ტუჩები ამბობ-დეს ჩემი და გული კი სხვას ფიქრობდეს.

ნ ა პ ლ ე ო ნ — და მაინც.. მაპატიე!

ფ ო ს ი ნ ე — არასოდეს!..

(აივანზე გამოდიან ბ ურ დ ღ უ, ჯ ი მ შ ე რ ი, გ უ ლ ი ა ო და ფ ე ბ-გ ი ზ ი. შემოდის შ ო თ ი, იქაურობას ათვალიერებს).

შ ო თ ა — რა ამბავია, რა მოხდა?

ბ ურ დ ღ უ — (მთვარეულივით) ბურდღუ ტაბალუა, ბურდღუ ტაბა-

ღუა!.. ეს ცოტა რამეს ნიშნავს მაინც, ა?.. რა პოეტური ღა-
მეა!. ო, რამდენი ვარსკვლავებია!.. (ცას შეაცქერდება) და მთვა-
რეც, ნაცვლად ერთისა, მგონი, ორია? (ფოსინეს მკლავს თავაზობს)
წავიდეთ, ფოსინე, გავისეირნოთ, ამ ეზოში როგორღაც ვიხუ-
თები. (ციშკართან მისვლისას მობრუნდება, ძალზე ზრდილობიანად)
ნახვამდის მეგობრებო, ნახვამდის! ჩვენ ნუ დაგველოდებით,
დაწექით, დაიძინეთ, გისურვებთ ნახოთ ტკბილი სიზმრები...
(ბურდღუ და ფოსინე გადიან. ყველა სევდიანად ჩაფიქრდება).

ფარდა

მესამე მოქმედება

მეხუთე სურათი

სტუდენტების ოთახი. მუზას პორტრეტი ჩამოხსნილია. ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ჩაცმული ლოგინზე წევს. შ ო თ ა ა რ ე ვ ა ძ ე მადიანად ილუკმება.

შ ო თ ა — ეჰ, ზოგჯერ კაცის ბედი მაქვს და ზოგჯერ ძაღლის, — ჩინებულ საუზმეს შემოვესწარი. სტუდენტები არიან და აკადემიკოსებივით ცხოვრობენ. რძე გაციოდა, ნაპოლეონ. არ დალევ? ა? დალევ-მეთქი? (პასუხი არ არის) მგონი ნამდვილად შეუძლოდ გახდა: აკი ავადმყოფობა, საერთოდ, მადის დაკარგვიდან იწყება ხოლმე. (თავზე დაადგება) გძინავს?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ჰო.

შ ო თ ა — როგორ, თვალღია გძინავს?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მცხელა.

შ ო თ ა — თერმომეტრს მოგიტან.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არ მინდა.

შ ო თ ა — ეჰ, შენ სხვანაირი სიცხე გაქვს. აი, მე არც არავინ მიყვარს და არც მცხელა. (აიბუზება) პირიქით, მცივა... (ნაპოლეონი მძიმედ ამოიოხრებს და გვერდს შეინაცვლებს) რა ექნა? თუ გინდა ექიმს მოგიყვან?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არა.

შ ო თ ა — ნუ ჯიუტობ. სიყვარული ავადმყოფობის ჩვეულებრივი სიმპტომებით აღინიშნება: ტემპერატურა ორმოცისკენ მიიმართება; მწეწკავი ტკივილები გულის არეში აუტანელი ხდება, შეყვარებულს ყურსაც აკლდება და თვალიც აღარ უჭრის, და, რაც მთავრია, ქრონიკული უძილობა აწუხებს.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თუ ძმა ხარ, თავზე კაჭკაჭივით ნუ დამჩხავი, დამაძინე.

შ ო თ ა — ოღონდ შენ დაიძინე და მე თუ გინდა ცხრა მთას იქით გადავიხვეწები. (თავისთვის) ჯერ ეს ღვთის ბოძებული მოეთავო... (ცამას მოულოდნელად შეწყვეტს, ჩაფიქრდება). ტაბაღუა

ბურდღუმ ამას წინით დამცინავად მომაძახა — პლუტარხი ხარ ჭიქა წყალშიო. მართლაც: კაცი სხვების უკვდავებაზე ვზრუნავ, საკუთარზე ჯერ არც კი მიფიქრია.
(შემოდის მ უ ზ ა) ტსს... ავადაა.

მ უ ზ ა — რა დაემართა?

შ ო თ ა — აღრენილ ხასიათზეა. წუხელ წვეთი არ ძინებია.

მ უ ზ ა — არც მე მძინებია, გენაცვალე, ბალიშის პირი ცრემლებით გავრეცხე. რა ვქნა, მიყვარს.

შ ო თ ა — ამ უფლებას, ცხადია, ვერავინ წაგართმევთ, მაგრამ საპასუხო სიყვარულზე, გირჩევთ, იმედს ნუ იქონიებთ.

მ უ ზ ა — აბა რათა?

შ ო თ ა — ნუშის ხე აპრილში ჰყვავის, პატივცემულო მუზა, ახლა კი აგვისტოა. რატომ არა გაქვთ დროს შეგრძნების უნარი? არასოდეს ნაპოლეონს თქვენ არ უყვარდით, ნაპოლეონს უყვარდა ოცდაერთდი წლის ქალი, მედიდური და ლამაზი, როგორც იანვრის ღამე. ეს იყო უცნობი ხელოვნების მიერ დახატული თქვენი სურათი, და ეს სიყვარული იყო — ილუზია, რომელიც პირველი სიოს დაბერვისთანავე გაქრა, როგორც ცისარტყელა, მაგრამ... პოეტის ბიოგრაფიაში მე გაკვრით მაინც მოგიხსენიებთ.

მ უ ზ ა — არასოდეს ძეგლზე და მომავალზე არ მიფიქრია.

შ ო თ ა — მარტო აწმყოთი მხოლოდ პატარა ადამიანები ცხოვრობენ, პატივცემულო მუზა.

მ უ ზ ა — რა ვქნა, რა ვიღონო?

შ ო თ ა — ამჟამად? ოთახი დაალაგეთ, მაგრამ ფრთხილად, ნაპოლეონი არ გააღვიძოთ. (გადის)

მ უ ზ ა — ძინავს... მოუსვენრად ძინავს. რა ვქნა? (ამოიოხრებს) ცხოვრებას მოგებაზე ვეთამაშებოდი და... წავაგე. სულელი ვიყავი! მთელ იმედებს გარეგნობაზე ვამყარებდი. ახლა ეს ტიალი გარეგნობა ლურჯი აბრეშუმის კაბასავით გამიხუნდა და, გადაბრუნებაც შეუძლებელია. (ნაპოლეონის საწოლის ქვეშ თავის პორტრეტს შეამჩნევს) რა არის ეს? ეს რა არის?... მე, მე!.. (ნერვიულად ტირის)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (გაღვიძება) აქ ვინ მოგიპატიჟა?

მ უ ზ ა — რას მიწყრები? ოთახს ვალაგებ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ვინ გთხოვა?

მ უ ზ ა — „ვინ მთხოვა“... წინათ მეხოვდი ხოლმე... დაგავიწყდა? შენი გულისთვის ქმარი მივატოვე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არა ჩემი გულისთვის, არამედ იმიტომ, რომ ის

რაიონის აგრონომია, არც პროფესია აქვს „პოეტური“ და არც ათასები მოაქვს.

მ უ ზ ა — სიცრუეა!.. მე შენ შეგიყვარე...

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მე კი არა, ის ცხოვრება შეიყვარე, რომლის მიღებასაც ჩემის მეოხებით აპირებდი. მაგრამ ასეთი ცხოვრების მოცემა მე არ შემიძლია. არც მინდა! შენი ძონძებისთქის ყოველდღე ორას სტრიქონობით არ დავბღაჯნი ხოლმე.

(სწრაფად გადის. შემოდის ბ უ რ დ ღ უ, მუზა განგებ ატირდება)

მ უ ზ ა — ბურდღუ, ჭირიმე, ისევ შენ თუ მიშველი.

ბ უ რ დ ღ უ — მე? ვეჭვობ.

მ უ ზ ა — განა ჩემი ბედი აღარ გაინტერესებს?

ბ უ რ დ ღ უ — რომელი თქვენი ბედი?

მ უ ზ ა — ნაპოლეონი დაბრმავდა, ბურდღუ, ველარ მამჩნევს. (უთითებს იატაკზე დაგდებულ პორტრეტზე)

ბ უ რ დ ღ უ — ო! მოდი ნუ ეუსაყვედურებთ ზეცას, თუ მან ჩემს მეგობარს თვალები დაგვიანებით აუხილა.

მ უ ზ ა — ა?

ბ უ რ დ ღ უ — მე პირფერი არა ვარ. (თითებზე ითვლის) უანგაროდ სიყვარული შეგიძლიათ? არა! სადილის კეთება იცით? არა. ჭრა-კერვა იცით? არა. სულგრძელი ხართ? არა...

მ უ ზ ა — მე მუსიკოსი ვარ, ლამაზი.

ბ უ რ დ ღ უ — სილამაზე და მიცვალებული მუსიკით წავლენ? წავლენ. დაბრუნდებიან? არა. (ტელეფონის ზარი. გაცოფებით მიდის) არა, არა, არა!..

მ უ ზ ა — რა უბედური ვარ... სულ იმ ცინგლიანმა სოფლის გომბიომ დამღუპა!

ბ უ რ დ ღ უ — (გაოცდება) რა თქვით? ვინ მოგცათ უფლება ასე უდიერად მოიხსენიოთ იდეალური ქალიშვილი? მე თქვენ ჭაობის ბაყაყივით გისროდით ამ ფანჯრიდან, მაგრამ ბურდღუ ტაბაღუა სათნოა და კეთილშობილი: კარებიდან მიბრძანდით.

მ უ ზ ა — (შეშინებული) ბურდღუ, გენაცვალე...

ბ უ რ დ ღ უ — მი-ბრძან-დით!... (მუზა გადის). ჰმ! სოფლის გომბიო... (კარს მიაჯახებს) მის ფარეშადაც არ აგიყვანდი, არა.

(შემოდის დანაღვლიანებული ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი)

ბ უ რ დ ღ უ — ძალიანაც რომ გეწყინოს, მოვკლავ, როკაპია და მოვკლავ. საცოლე შემილანძღა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — რომელი საცოლე?

ბ უ რ დ ღ უ — მე ერთი საცოლე მყავს: ფოსინე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (გული ჩაწყდება) ფოსინე! სად არის ახლა?

ბ ურ დ ღ უ — (ერთბაშად სახე გაეხსნება, მოლბება) დღეს რუსულს აბა-
რებს, ნაპოლეონ. ხუთიანებს ჩაის ფოთოლივით კრეფს. (ოცნებით) ვენაც-ცვალე!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — გიყვარს? (ბურდღუ დადებითი პასუხის ნიშნად ტკბილად ზმუის) უყვარხარ? (ბურდღუ ისევ ზმუის. ნაპოლეონს ყელში ცრემლი ებჯინება) თვითონ გითხრა?

ბ ურ დ ღ უ — სიტყვით არა, თვალებით მანიშნებს ხოლმე. შემომხედავს და მეტყვის: „ჩემო ბურდღუ“... კიდევ შემომხედავს და მეტყვის — „ჩემო ერთადერთო ბურდღუ!...“
(ნაპოლეონი ბრაზით ლოგინზე პირდაღმა ეცემა. შემოდის ფოსინე, ნაპოლეონს არავითარ ყურადღებას არ აქცევს)

ბ ურ დ ღ უ — ა?.. რა მოიტანეთ? (ფოსინე მძიმედ ამოიხვნეშებს) ჩაიჭერით?

ფ ო ს ი ნ ე — (თავს აქნევს) სამიანი დამიწერეს. მეტი არც მეკუთვნოდა. რა ვქნა, ცალკე სიტყვები თითქოს ბლომად ვიცი, მაგრამ ერთმანეთზე ვერ გადამიბამს.

ბ ურ დ ღ უ — შე ქალო, სამიანი ხომ მიიღეთ?

ფ ო ს ი ნ ე — გონებრივი სიღატაკის ნიშანია.

ბ ურ დ ღ უ — როგორ? მე 33 ნიშანში ჭაღარასავით მხოლოდ ერთი ხუთიანი მაქვს გამორეული და, აბა, თქვენი აზრით, სულ იდიოტი ვყოფილვარ?!

ფ ო ს ი ნ ე — ფრიადი რაში მიიღეთ?

ბ ურ დ ღ უ — რუსულში.

ფ ო ს ი ნ ე — ჰო, მართლა! თქვენ რუსული ჩინებულად იცით!

ბ ურ დ ღ უ — თუ გსურთ... გასწავლით.

ფ ო ს ი ნ ე — დიდად დამავალებთ.

ბ ურ დ ღ უ — (ნაპოლეონს თვალს შეაკლებს) მე მგონია, აქ უზომოდ ცხელა, ფოსინე, ჯობია პირველი საცდელი გაკვეთილი ეზოში ჩავატაროთ. (ყარისკენ უთითებს) Прошу Вас—идемте!

ფ ო ს ი ნ ე — „სპასიბო“. წავიდეთ. (როცა კართან მივა) იმ ქალის სურათი რატომ ჩამოგიხსნიათ? თქვენს ოთახს ძალიან ამშვენებდა. (გადის. ბურდღუ რაღაცა წიგნს ეძებს. შემოდის შ ო თ ა)

ბ ურ დ ღ უ — (ღიღინებს) ეს რა ჩიტი მოფრენილა,
ფრთათეთრი და გულწითელა...:

შ ო თ ა — გეტყობა საუცხოო გუნებაზე ხარ.

ბ ურ დ ღ უ — რა ვქნა, მთვრალი ვარ გრძნობით, შოთა ჩემო. (წასვლას დააპირებს)

შ ო თ ა — მოიცა! იცი, რომ ნაპოლეონი ფოსინეს ღალატს საშინელი გულის ტკივილით განიცდის?

ბ უ რ დ ღ უ — „ღალატს“... რას ნიშნავს ეს სიტყვა? მელოდრამის სუნი უდის. და საერთოდ, შენთან სალაპარაკოდ არა მცალია. ეზოში ფრიადოსანი მადონა მელოდება.

შ ო თ ა — მოიცა!.. გამეცი პასუხი: გაქეს თუ არა მეგობრობის სულ მცირეოდენი გრძნობა მაინც? თუ გაქვს, მაშინ, მე ვფიქრობ, ვაქაცურად აიღებ ფოსინეზე ხელს და ნაპოლეონს დაუთმობ.

ბ უ რ დ ღ უ — დავუთმო? ვინ? საცოლე დავუთმო? შენ ეს ადგილი ხომ არ გგონია ტრამვაიში?

შ ო თ ა — მაგრამ შენ როგორც ვაქაცი...

ბ უ რ დ ღ უ — (გადაკრით)დიახ, მე როგორც ვაქაცი უარვყოფ შენს წინადადებას.

შ ო თ ა — (წინ გადაუდგება) არ გაგიშვებ!.. მე მინდა ნაპოლეონ ჭინჭილეიშვილი ლიტერატურის ისტორიაში შევიდეს.

ბ უ რ დ ღ უ — შებრძანდეს, — მე გამეხარდება. შენც შედი, — არც ეს მეწყინება. სადაც გინდათ, იქ შედით, ოღონდ მე ეზოში გამიშვი.

შ ო თ ა — შენი დახმარების გარეშე არაფერი არ გამოგვივა, ბურდღუ.

ბ უ რ დ ღ უ — კი მაგრამ... გამაგებინეთ, რა გინდათ ჩემგან? ჭკუისა და ნიჭის მოცემა მე არ შემიძლია. ისე კი გაგიწევთ ფულად დახმარებას შესაძლებლობის ფარგლებში. (ჯიბიდან იღებს წერილ ფულს)

შ ო თ ა — არა, საქმე გულს ეხება...

ბ უ რ დ ღ უ — გულს, გულს... თითქოს მე გული არ მქონდეს, თითქოს მე ბრინჯაოს ფიგურა ვიყო. (გადის. შოთა მისდევს)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (ამოიოხრებს) „თქვენს ოთახს ძალიან ამშვენებდაო“... (ბალიშზე პირქვე დაემხობა, ისევ წამოდგება, ფანჯარაში გახედავს, შეკრთება) ისინი უკვე მორიგებულან — ერთად სხედან და სწავლობენ. საცდელ გაკვეთილს უტარებს ბურდღუ. (სიცილ-ტირილით) ოი!.. შეძოძხედავს და მეტყვისო: ჩემო ბურდღუ... ჩემო ერთადერთო ბურდღუ... (ისევ ფანჯარაში გადაახედავს. მტკიცედ) არა, აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე, ამ თვალთმაქცია სოფელს ჯობია გავეცალო. (აჩქარებით გადაქექავს ოთახში, ყველაფერს აურ-დაურევს) ეს არის სახლი? არაფერი ამ ცოდეილიშვილებს არ გააჩნიათ: არც თოკი, არც ხანჯალი, არც სამართებელი... (ფანჯარაში იხედება) ისევ სწავლობენ.. არა, ძესულიერს ამ ქვეყნად აღარ დამედგომება; სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი, მაგრამ... რა გზით? (თვალს მაგიდაზე შეაჩერებს)

ხსნა თერმომეტრშია, ვერცხლის წყალს დაელევ. (თერმომეტრს აიღებს) მშვიდობით, ფოსინე! არაფერში არ გამტყუნებ, შენს წინაშე დამნაშავე მე ვარ თვითონ.

მე ვერ შევძელი სიცოცხლის მოძღვნა,—
სამაგიეროდ გიძღვნი ჩემს სიკვდილს...

(თერმომეტრს წვერს წაატეხს, ვერცხლის წყალს ხელის გულზე დაისხამს და პირთან მიიტანს. ერთ ხანს თვალებგამობლეტილი დგას, შემდეგ სახე ეჭყანება, დაბარბაცდება და წაიქცევა, თითქოს მხოლოდ ახლა იგრძნო თავისი საქციელის მთელი საშინელება). ეს რა ვქენი?! თავი მოვიწამლე? ა?... ეი!.. მიშველეთ!.. ბიჭებო, მიშველეთ!.. ვკვდები!.. (მუდარით) ცოდვა ვარ, აო ძინდა სიკვდილი... ძიშვე-ლეთ!..

შ ო თ ა — (შემორბის) ნაპოლეონ!..

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თუ სული დაგლიო — ძაღლი დააბით ჩემს საფლავზე, შოთა! დე ჩემი ლენჩური საქციელი შავმა ნაგაზმა ცხარე ყეფით დაიტიროს.

შ ო თ ა — რა დაგემართა?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — თავი მოვიწამლე.

შ ო თ ა — რა დალიე? თაგვის შაქარი? სულემა? ძმარი?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ვერცხლის წყალი, თერმომეტრიდან...

შ ო თ ა — ნუ გეშინია, ერთი თერმომეტრი არ მოგკლავს. რძე გიშველის. (ნაპოლეონი საწოლზე გადაკაკუნებს და რძეს აწვდის) ესეც შენი „პროვინციელი“ ქალიშვილი! სადამდე მიიყვანა? თვითმკვლელობამდე! ვაშა მას! კარგი გაკვეთილია! ისე კი... სად ნახულა გონიერ კაცს ქალის გულისთვის თავი მოეკლას?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (რძეს მოსვამს) შევცდი... და ვკვდები. (ცოდვე მოსვამს) ასე ახალგაზრდა ვკვდები, შოთა...

შ ო თ ა — სასწრაფო დახმარება უნდა გამოვიძახოთ. (ტელეფონის მილს აიღებს)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არა, არა! ჩემი თვითმკვლელობის ამბავი სულიერმა კაცმა არ უნდა შეიტყოს, თავის მოჭრას მოვკვდე მირჩევნია.

შ ო თ ა — მოკვდეო?! მერე მე რაღას მიპირებ? ამდენ შრომას უქმად მიყრი წყალში? შენი ყრმობისა და ბავშვობის წლები აღწერილი მაქვს უკვე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (მუცელზე ხელს წაიღებს) ვაი, დედა!..
(ნელი ნაბიჯით შემოდის **ჯ ი მ შ ე რ ი**)

შ ო თ ა — რა მოგვივიდა? სახე ჩამოგტირის.

ჯ ი მ შ ერ — თავი დამანებე. (ნაპოლეონის კენესა შემოესმება) ავად ხარ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ჯიმშერ!.. მე შეიძლება მოვკვდე, და თუ მოვკვდი, და თუ არ მოვკვდი, ნურც ასე ნურც ისე, ბურდღუს ფოსინეს ნუ მიუტოვებ, ბიჭო. არამია მისთვის ისეთი ხატულა გოგო.

ჯ ი მ შ ერ — ეჰ! აქამდე შენი ხათრი მაკავებდა, თორემ ერთხელ მითხრა კიდეც ფოსინემ, თქვენ ღირსი ხართ ორი ათას ქალიშვილს უყვარდეთო.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (გული დაეწვება) წადი, ძმაო, წადი, წადი...

(ჯიმშერი გადის)

შ ო თ ა — ისევ შენს თავს დააბრალე. საწყალი გოგონა დატანჯე და თან გსურდა, რომ სიკვდილამდე ყვარებოდი?! სად გქონდა ჭკუა, — თურაშაულის პატროხი ტყეში პანტას ეძებდი?

(ფანჯარაში ვიღაცა კენესს შემოისვრის. შემოდის ჯ ი მ შ ე რ ი ერთი ხელი თვალზე აქვს აფარებული)

ჯ ი მ შ ერ — იმ შეჩვენებულმა ახლოსაც არ გამიკარა; დამიხანა თუ არა ფოსინესკენ მივდიოდი, ქვები დამიშინა.

ფ ო ს ი ნ ე — (შემორბის) ჯიმშერ, სად მოგხვდათ?

ჯ ი მ შ ე რ — ნუ შეწუხდებით... მარცხენა თვალის ცოტა ზემოთ, შუბლში.

ფ ო ს ი ნ ე — ღმერთო ჩემო!.. აბა მიჩვენეთ! არაფერი არ გეტყობათ. არც კოპი გაჩნიათ.. თვალი? მხედავთ მე?

ჯ ი მ შ ე რ — მმ... გხედავთ.

ბ უ რ დ ღ უ — (შემორბის, მიიხედ-მოიხედავს) ყველა აქ ყოფილა, ნორჩი ნიჭები!

შ ო თ ა — ნიჭი არ იხმარება მრავლობითში.

ბ უ რ დ ღ უ — ო, დაეუფლე გრამატიკას? სასიამოვნოა... (ტელეფონის ზარი. მუქარით) თუ ახლაც მოდების ატელიეს მისამართით დარეკეს... ალლო!.. (ძალზე თავაზიანად) დიახ, მოდების ატელიეა. ოსტატი მნაცაკანოვი? ახლავე... („ეძახის") მნა-ცა-კანოვ! აარ-ტაშ! (შეცელილი ხმით, ტელეფონში) მე გახლავართ, მნაცაკანოვი. მზად არის, მადამ.. გეუბნებით ახლა ნამდვილად მზად არის... ოღოდნდ როცა ვაუთოებდი, კაბის წინა ზედა ნაწილი, მახლას, სულ ერთიანად დამეწვა... (მილს დადებს) მშვენიერი ასული სასწრაფო დახმარების კარეტით წაიყვანეს.

ფ ო ს ი ნ ე — საწყალი ქალი!

ბ უ რ დ ღ უ — დე ნომერი ყურადღებით აკრიფოს. (ისევ ტელეფო-

ნის ზარი) დიახ... ა... გულიკო ხარ? არაგვიშავს. თქვენ? სასიამოვნოა. კი, აქ არის... ფოსინე, ძოსოძახდით, გულიკოს თქვენთან ბაასი უნდა.

ფ ო ს ი ნ ე — ჩემთან? (ტელეფონში, ძალიან ხმამაღლა) გამარჯობათ, გულიკო. დღეს? რვაზე? უეჭველად მოვალთ. (მილს დადებს) დღეს, საღამოს რვა საათზე, თენგიზი მოხსენებას აკეთებს. ჩვენ ერთად წავიდეთ, ჯიმშერ.

ბ უ რ დ ღ უ — (შეშფოთდა) ფოსინე, ფოსინე!...

ფ ო ს ი ნ ე — თქვენზე ნაწყენი ვარ. კენჭი რატომ ესროლეთ ჯიმშერს?

ბ უ რ დ ღ უ — (თავის მოსაწყლებით) ჯიმშერს არა, კატას ვესროლე.

ფ ო ს ი ნ ე — სტყუით.

ბ უ რ დ ღ უ — (ლამის ატირდეს) მე ერთი ბეჩავი, საცოდავი ნიბლია ვარ, ფოსინე. ტყუილი რომ გითხრათ, ვიცი დამიჯერებთ, მაგრამ შემდეგ სინდისი შემაწუხებს.

ფ ო ს ი ნ ე — (ცივად) მჯერა. (ჯიმშერს) ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად, ჯიმშერ?

(ნაპოლეონი დაიგმინებს)

ბ უ რ დ ღ უ — ნაპოლეონ!.. რა მოგიყიდა, ავად ხარ? რა გტკივა? (ამხანაგებს) მერე? ხელები გულზე ჯვარედინად რომ დაგიკრეფიათ, ჰიპნოზით მკურნალობთ? რატომ ექიმს არ მოუყვანთ? (გარბის)

ფ ო ს ი ნ ე — (შოთას) მართლა ავადაა?

შ ო თ ა — მდგომარეობა ფრიად სერიოზულია, შეიძლება მოკვდეს.

ფ ო ს ი ნ ე — რატომ უნდა მოკვდეს?

შ ო თ ა — ასეთია თქვენი სურვილი.

ფ ო ს ი ნ ე — ვინ გითხრათ?

შ ო თ ა — ვხედავ — ძალზე მკაცრად ეპყრობით... ვაი თუ შემდეგ ინანოთ — მისი გული ახლა ძაფზე კიდია, წკიპ და მორჩა!..

(ფოსინე ნაპოლეონის სასთუმალთან მიდის).

სურათი მეექვსე

ეზო. სახლიდან გამოდის ჯ ი მ შ ე რ ი, მოსდევს ბ უ რ დ ღ უ.

ბ უ რ დ ღ უ — ჯიმშერ! ჯიმშერ!

ჯ ი მ შ ე რ — როდის ჩამომეცლები?

ბ უ რ დ ღ უ — ნუთუ, ბიჭო, სინდისის ერთი მილიმეტრიც არ გაგაჩნია?

ჯ ი მ შ ე რ — სინდისი მანუფაქტურა არ არის, მეტრობით არ გაიზომება.

ბ ურ დ ღ უ — დამითმე ფოსინე, ჯიმშერ.

ჯ ი მ შ ე რ — თავს ნუ იგდებ.

ბ ურ დ ღ უ — გეეედრები, გემუდარები.

ჯ ი მ შ ე რ — ნუ მეეედრები, მე გულქვა ვარ.

ბ ურ დ ღ უ — კი, ძაგრამ... (ცრემლიანი ხმით) საბრალო ადამიანი ამ ზურმუხტოვან სამყაროზე იასავით მხოლოდ ერთხელ მოდის, ჩემო ჯიმშერ, საბრალო ადამიანი ერთხელაც ვერ ასწრებს მზეს რიგიანად თვალი შეავლოს, რომ უკვე სამარადჟამოდ ჭკნება და იცარება. ნუ ვიქნებით მის მიმართ უგულო და სასტიკი, შევიბრალოთ წუთისოფლის ხანმოკლე სტუმარი.

ჯ ი მ შ ე რ — კარგი, შევიბრალოთ.

ბ ურ დ ღ უ — პირველ რიგში შემიბრალე მე — ბუჩქის ძირას ობლად ამოსული მორცხვი ია, რომელსაც ყველა ვეოაგი და ავაზაკი გასრესით ემუქრება.

ჯ ი მ შ ე რ — კონკრეტულად: რა გინდა, რას მთხოვ?

ბ ურ დ ღ უ — ფოსინე უნდა დამითმო. ჯიმშერ. უმისოდ ჩემი ცხოვრება გაუთავებელი კოშმარი იქნება.

ჯ ი მ შ ე რ — ჩემთვისაც.

ბ ურ დ ღ უ — ძაგრამ შენ ჭკვიანი ხარ და ლამაზი, ჯიმშერ. თუ მოისურვებ, ისე დაგეხვევიან ქალები, როგორც თაფლის წვეთს ჭიანჭველები.

ჯ ი მ შ ე რ — ფოსინეს ანგელოზთა გუნდშიც არ გავცვლი. (გადის)

ბ ურ დ ღ უ — (მიყვება) ჯიმშერ, ჯიმშერ!.. შემიბრალე მე — ბუჩქის ძირას ამოსული ფერმიხდილი მიმოზა!. (გადის. ქუჩიდან შემოდის ფ ო ს ი ნ ე, სახლიდან გამოდის ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ფოსინე, გენაცვალე!..

ფ ო ს ი ნ ე — ნუ მეძახი „გენაცვალეს". რა უფლებით?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მშვენიერი წკრიალა სიტყვაა. ამის სადარი არც ერთ სხვა ენაში არ მოინახება.

ფ ო ს ი ნ ე — ლინგვისტური მიმოხილვა სხვებს გაუკეთე, მე არ ვსაჭიროებ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ერთხელ ირიბად მაინც შემომხედე: რკინასავით ვაუკაცი ხანჯალივით გავხდი და შემოდგომის ჩალას დავემსგავსე.

ფ ო ს ი ნ ე — (თვალს შეავლებს) ოი, საბრალო! აღარც მკვდრებში წერია, არც ცოცხლებში. სახეზე უმწიფარი ბიის ფერი დაჰკრავს. წუხელ, ალბათ, ცოტა გეძინა.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მთელი ღამე შენზე ფიქრში თეთრად გავათენე.

ფ ო ს ი ნ ე — ნუ ფიქრობ ჩემზე, დამიეწყე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (თავს გადააქნევს) არაფერი არ გამომივა.

ფ ო ს ი ნ ე — არც ჩემზე ფიქრისგან გამოგივა რამე. თვალებზე ბინდი მე უკვე მოვიცილე, და ეხლა, არა თუ არ მიყვარხარ მძულხარ და ძე-ზიზღ-ები კიდეც! გახსოვს, როცა ქალიშვილი ქალი უცხო ქალაქში სტუმრად მოგადექი, როგორ შემეგებე? შუაგულ ოთახში კალათიც არ დამადგმევინე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ასეთი წვრილმანები რამ დაგამახსოვრებინა?

ფ ო ს ი ნ ე — მე ბოროტი ვარ.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — არა, დიდი ხანია გიცნობ.

ფ ო ს ი ნ ე — ქალის ხასიათი სწრაფად ცვალებადია. (მტკიცედ) მე ბოროტი ვარ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — იყავი, მე მაინც მეყვარები.

ფ ო ს ი ნ ე — შენს სიყვარულს ახლა ჩემთვის რა ფასი აქვს!..

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (მუქარით) ფოსინე! თვითმკვლელობამდე ნუ მიმიყვან...

ფ ო ს ი ნ ე — მაშინებ გგონია? სრულებითაც არა! თავი შენია და როგორც გინდა, ისე მოიხმარ. თუ მოგწონს სიკვდილი, მოკვდი.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — კარგი და, მოვკვდი, — გაგეხარდება?

ფ ო ს ი ნ ე — უცნაურია! აბა რად გამეხარდება: რაც უნდა იყოს, მაინც ადამიანი ხარ, პირში სული გიდგია.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ატირდები?

ფ ო ს ი ნ ე — წინასწარ ვერ შეგპირდები

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — გათხოვდები?

ფ ო ს ი ნ ე — გეწყინებოდა?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — კი.

ფ ო ს ი ნ ე — ჰმ! აკვირინე ვეორედ თხოვდება და არ ძრახავ, მე კი ერთხელ რომ გავთხოვდე, რატომ უნდა გეწყინოს? საწყალ არქიფოს ხომ თვითონვე ამტყუნებდი, — მკვდარი ცოცხალს მძევლად იტოვებსო. ის კაცი ქმარი მაინც იყო აკვირინესი, შენ კი ჩემთვის რა ხარ? არაფერი!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — სამაგიეროდ... შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ, ფოსინე! მთელი სიცოცხლე ხარ!

ფ ო ს ი ნ ე — (დამცინავად) ოი, ოი, ოი!.. დიდი ხანია? — მთელი სიცოცხლე ვარ?! ეგებ ნახევარი ვარ და კარგად აღარ გაგონდება?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ნუ მისერავ გულს, დამიჯერე... რა ექნა, მრცხვენია გამოგიტყდე, მაგრამ... შენი გულისათვის კინაღამ თავი მოვიკალი.

ფ ო ს ი ნ ე — სიზმარში?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ცხადში!.. სულ შემთხვევით გადავრჩი: ვერც თოკი ვიპოვე, ვერც ხანჯალი, ვერც სამართებელი. ვერცხლის წყალიც თურმე ხელიდან რომ არ გამსხლტომოდა — ახლა შენს წინაშე აღარ ვიდგომებოდი. მე ვგრძნობ, ცუდად მოგექეცი, ფოსინე, მაგრამ საკმაოდაც დავისაჯე, ამიტომ, თუ შეგიძლია, აპატიე... აპატიე შენს ირაკლის!

ფ ო ს ი ნ ე — ვინ არის ირაკლი?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ეშმაკსაც წაუღია ეს წყეული ექვან-კურტანი! აი, პასპორტი! მე უკვე ნაპოლეონი აღარა ვარ, — დღეიდან ირაკლი გახლავართ.

ფ ო ს ი ნ ე — ო, ეს ძალიან კარგია, ადრეც უნდა გექნა, თუმცა... სახელის გამოცვლით... ხასიათი არ იცვლება! (სახლისკენ მიემართება. შემოდის ჯ ი მ შ ე რ ი, მოსდევს ბ უ რ დ ღ უ. ფოსინეს დანახვა ორივეს ესიამოვნება)

ჯ ი მ შ ე რ — ფოსინე?!

ფ ო ს ი ნ ე — (აივნიდან) ბატონო!

ჯ ი მ შ ე რ — თქვენს წინაშე ორი მეგობარი დგას.

ფ ო ს ი ნ ე — გხედავთ.

ჯ ი მ შ ე რ — ერთმანეთი ჩვენ ძმებივით გვიყვარს, მაგრამ ერთმანეთზე უფრო თქვენ გვიყვარხართ.

ფ ო ს ი ნ ე — (ნაპოლეონს გადახედავს) მართლა? აბა დაიფიცეთ!

ბ უ რ დ ღ უ — დღესვე ტრაგიკულად ჩავწვე სამარეში თუ...

ჯ ი მ შ ე რ — მადროვე, საკითხი ასე არ დგას. (ფოსინეს) იყავით გულწრფელი და სასტიკი: ერთი ჩვენთაგანი საკუთარი ხელით უნდა მოჰკლათ.

ფ ო ს ი ნ ე — რატომ მხდით ჯალათად, რა დავაშავე ასეთი?

ჯ ი მ შ ე რ — დანაშაულსა და დამნაშავეს შოთა არევაძე გაარკვევს სიბერის ჟამს თავის მემუარებში. ახლა კი... ორში ერთი: ან მე, ან ის...

ბ უ რ დ ღ უ — მე მირჩიეთ, ფოსინე. მე ერთი ბეჩავი, საცოდავი პინგვინი ვარ.

ფ ო ს ი ნ ე — თქვენ ორივე კარგი ხართ.

ჯ ი მ შ ე რ — ირჩიეთ!

ფ ო ს ი ნ ე — მომკალით და არ შემიძლია! (ნაპოლეონს გადახედავს)

ბ უ რ დ ღ უ — ნუ გამწირავთ!.. (მუხლებზე დგება)

ჯ ი მ შ ე რ — ირჩიეთ!.. (მუხლებზე დგება)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (უეცრად ამხანაგებს კისერში ხელს წაავლებს) ვინ ხართ თქვენ? ვისი ტიკი-ტომრები ხართ? (ორივეს ჰიშკრისკენ გა-

დაისვრის) ფოსინე ჩემია! ჩემია ფოსინე!.. (ქალიშვილს მკლავზე ეიტაცებს და გარბის. ბურდღუ და ჯიმშერი ცრემლმორეულნი გადაეხვევიან ერთმანეთს)

ბ უ რ დ ღ უ — გათავდა, ყველაფერი გათავდა, ძმაო... (ძირს დაეცემა)

ჯ ი მ შ ე რ — ვინც ასეთ დღეში არ ჩავარდნილა, ჩვენი გულის ვარამს ვერ გაიგებს, მაგრამ... (ხელს ჩაიქნევს) ადექი ზეზე, ფრთამოტეხილო პინგვინო! გესმის? ასწიე თავი და მოიღერე კისერი! სადარდებელი რა გვაქვს?!

ბ უ რ დ ღ უ — კატისა და ძეხვის ანდაზა გაგიგონია? შენზე ითქმის. (ჯიმშერი სახლში შედის. შემოდის ი ვ ა ნ ე).

ბ უ რ დ ღ უ — გამარჯობა, ბიძია, ვერ მიცანი?

ი ვ ა ნ ე — (ეაკვირდება) შენ იყავი ჩვენთან სოფელში? მაჭარი რომ ორშიმოთი გასვი.. ბარდღა ხარ?

ბ უ რ დ ღ უ — ბურდღუ, ბატონო!

ი ვ ა ნ ე — რავა ხარ, ბაბა?

ბ უ რ დ ღ უ — როგორც ხედავთ — დახუთული, დაკუტული.

ი ვ ა ნ ე — რამ დაგკუტა, ბიჭო, ახალგაზრდა კაცი? წამოდექი! (წამოაყენებს) ასეთი მაინც რა დაგემართა?

ბ უ რ დ ღ უ — ნულარ იკითხავთ. თქვენმა შვილმა საქმე მიყო — კაცი მოსისხლე მტერს არ უზამდა. თავი კი წლების მანძილზე ჩემს მეგობრად მოჰქონდა.

ი ვ ა ნ ე — ასეთი სიგლახე რა გაგიკეთა?

ბ უ რ დ ღ უ — ეჰ, რაც აქამდე ვაი-ვიშით ვაშენე — ერთი ხელისმოსმით ნაცარტუტად მიქცია: შეყვარებული წამართვა.

ი ვ ა ნ ე — (გაცეცდება) რავა, ის ქალი შენ წაგართვა? თფუ!.. სიყვარულს დაექცა მომგონი, შვილი გამომითაყვანა. არა, ბაბა, არა, კაცი ნამდვილად სიპი ქვისაგან ყოფილა გამოჩარხული: შეემთხვევა უბედურება, იტირებს, იკივლებს და სწორზე სატკივარი მოუშუშდება. როცა პირველად ჩემი სარძლო მაჩვენეს, ისე შევწუხდი — მეგონა სიკვდილი პირდაპირ ჩემი თვალით დავინახე. ახლა კი ხელი ერთსაც უნდა მივცე და მეორესაც. რა ვქნა, ჩემს ეზოში რომელი ბატიც გაზრდილა მისი დაკვლაც მენანება და, მოწიფული ვაჟი გულიდან რა სინდისით ამოვიგდო? გვიან შერიგებას ჯობია ადრე შეეურიგდე — ბოლო მაინც ეს იქნება, ვიცი!

ბ უ რ დ ღ უ — როგორ, სარძლო არ მოგწონთ?

ი ვ ა ნ ე — რა აქვს, ბიჭო, იმას მოსაწონი? მაგრამ რა გაეწყობა, თუ განგებამ ჩემს შვილს ჭოტი არგუნა — ქორწილს მაინც გადავიხდი, ქვეყნის სამყოფი ღვინო მომდის.

ბ უ რ დ ღ უ — ბიძია ივანე, თქვენ გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენეთ ჩემს წმინდა გრძნობას! სირცხვილი კია, თქვენს ასაკში კაცმა იადონი ჭოტისაგან ვერ გაარჩიოს. აფსუს, რომ ის თქვენი სარძლოა!.. (სევდით) რა ძლიერ მიყვარდა, რა ძლიერ მიყვარს!..

ი ვ ა ნ ე — შე უბედურო, შენც მოხვდი მის ბადეში? (ბურდღუ უმეოდ ხელს ჩაიქნევს და ადის ქუჩაში. სახლიდან გამოდის სამგზავროდ გამოწყობილი მ უ ზ ა, თან მოაქვს ქაღალდში გახვეული თავისი პორტრეტი)

მ უ ზ ა — (ივანეს დაინახავს) ო!..

ი ვ ა ნ ე — მადლი ღმერთს, კიდევ შევხვდით ერთმანეთს ცოცხალი.

მ უ ზ ა — ბოლო დროს სად დაიკარგეთ?

ი ვ ა ნ ე — ვიმალებოდი ცხოვრების კუნჭულებში.

მ უ ზ ა — ო, მართლა! გამოფენაზე ბრძანდებოდით. თქვენ ხომ უხვი მოსავლის ოსტატად ითვლებით! მითხრეს, მითხრეს.

ი ვ ა ნ ე — ვინ გითხრათ?

მ უ ზ ა — ირაკლიმ.

ი ვ ა ნ ე — რომელმა ირაკლიმ?

მ უ ზ ა — თქვენმა შვილმა.

ი ვ ა ნ ე — (წამით ჩაფიქრდება) ასეთი შვილი მე არა მყავს.

მ უ ზ ა — ა... თქვენ ჯერ კიდევ არ იცით? ნაპოლეონმა სახელი შეიცვალა.

ი ვ ა ნ ე — რაო?! ნაპოლეონი?! ირაკლიზე? რა სულელია!

მ უ ზ ა — რას ბრძანებთ, ძალიან ჭკვიანი ყმაწვილია.

ი ვ ა ნ ე — (დამცინავად) კი, კი...

მ უ ზ ა — (საათს დახედავს) ბოდიში, მეჩქარება...

ი ვ ა ნ ე — საით მიიჩქარით? „ირაკლისთან"?

მ უ ზ ა — არა, მატარებელზე... ირაკლი... (ამოიოხრებს) ჯერ ისევ ბაჭაჭყია. მე ქმართან მივდივარ.

ი ვ ა ნ ე — (გაკვირვებით) რომელ ქმართან?! მომითმინეთ, მომითმინეთ!.. რას გავს, ბატონო, ეს? ხან ქმარი, ხან ნაპოლეონი, ხან ბურდღუ...

მ უ ზ ა — ბურდღუ?! ბურდღუ რა შუაშია?

ი ვ ა ნ ე — ჰმ! აღარც ახსოვს!.. ის უბედური კოხის ოდენა ცრემლებს ყრის და... ამას აღარც ახსოვს! ჰმ!.. ამ ბიჭბუჭებს რომ დარეკეიხართ, ზოგი აქეთ მიგინარცხებიათ და ზოგი იქით... სირცხვილი თქვენი, სირცხვილი!.. (გადის)

მ უ ზ ა — (ჩაფიქრდება) ბურდღუ... უყურეთ! მე კი აქამდე ეჭვიც არ ამოლია. ამას წინათ უდიერი სიტყვები მაკადრა. მერე, რა მოხ-

და? ეს ჩშირად დიდმა სიყვარულმაც იცის. (სცენის იქით ბურდღუს დაინახავს. ალერსიანად ეძახის. შემოდის ბ ურ დ ღ უ) ბურდღუ ჭირიმე, წუხელ სიზმარში განახე.

ბ ურ დ ღ უ — (ქედმაღლურად) რომელ საათზე?

მ უ ზ ა — მე არ გინახიარ?

ბ ურ დ ღ უ — არ მძინებია.

მ უ ზ ა — ჩემო კარგო, ვიცი დარდით წელი მოგეთრევა, მაგრამ რა ვქნა, ქმართან მივდივარ — ეგებ შევრიგდეთ. მე ვეცდები, ყოველ შემთხვევაში.

ბ ურ დ ღ უ — ეს იქნება პირველი სწორი ნაბიჯი თქვენს ცხოვრებაში. გაბედულად გადადგით.

მ უ ზ ა — ჩემთან დაშორება არ გიძნელდება?

ბ ურ დ ღ უ — მსხვერპლის გაღებას შეჩვეული ვარ. კეთილ გზას გისურვებთ.

მ უ ზ ა — მშვიდობით. (ორიოდე ნაბიჯს გადადგამს, ისევ ბურდღუსკენ მოიხედავს) მიკვირს, რომ არ ტირი. რატომ არ ტირი?

ბ ურ დ ღ უ — მუზა პლატონოვნა, ქარს რომ ცეცხლი გაუჩნდეს, რითი ჩააქრობთ?

მ უ ზ ა — ქარს? ცეცხლი?! წარმოდგენაც არა მაქვს.

ბ ურ დ ღ უ — ჰოდა, ნურც თქვენ მაძლევთ უცნაურ შეკითხვებს. მომასვენეთ.

მ უ ზ ა — როგორც გნებავთ! მე ისედაც მაგვიანდება. (ამაყად) ხვალ ამ დროს ლაჟვარდოვან ზღვის პირზე ვიქნები...

ბ ურ დ ღ უ — გირჩევთ — ტალღებს არ გაუარშიყდეთ, — დაიხრჩვებით. (მუზა გადის. დასვენებული ბურდღუ სკამზე ჩამოჯდება. შემოდის შ ო თ ა, გაზეთების მთელი შეკვრა მოაქვს)

შ ო თ ა — (ხუცესივით) მოიხსენიე, უფალო, წიაღსა შენსა კუპრის ცრემლით მომტირალი ტაბაღუა ბურდღუ, უბედური უბედურთა შორის...

ბ ურ დ ღ უ — ჩემი სულის საცხონებლად ღმერთს ნუ შეღაღადებ, თორეძ თიკნის ტყავივით დაგხევ. (დაინახავს კიბეზე ჩამომავალ ჯ ი მ შ ე რ ს) წამოდი, ჯიმშერ, დაველიოთ.

(ბურდღუ გადის, ჯიმშერი მიყვება, მაგრამ შოთა შეაჩერებს)

შ ო თ ა — ჯიმშერ! ჩემს დაცინვას აწიც აღარ მოეშვებით? აი! (გაზეთს უჩვენებს)

ჯ ი მ შ ე რ — დაგიბეჭდეს?

შ ო თ ა — „დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე! თურმეობითი კილოს ერთი საკითხისათვის". დაყნოსე! სტამბის სუნი ჯერაც არ გაქრობია. ვერ წარმოიდგენ, ჯიმშერ, რა სიხარულია, —

გაშლი გაზეთს და ხედავ შენს გვარს, კორპუსით აწყობილს!

ბ ურ დ ღ უ — (ღობეს მოადგება) ჯიმშერ, გზაში გელაპარაკებოდი, მეგონა გვერდით მომყვებოდი და, კიდევ აქა ხარ? წამოდი! (გადის)

ჯ ი მ შ ე რ — შოთა! როცა ცნობილი კაცი გახდები, იმედი მაქვს, არ დამივიწყებ. მომცემ სიტყვას? შემხვდები თუ არა ქუჩაში, არც თვალს ამარიდებ და ცილინდრსაც მომიხდი.

შ ო თ ა — შე კაცო! „ადამიანს ზრდილობა იაფი უღირს, ძვირად კი ფასობს", — უთქვამს მიგუელ დე სერვანტეს საავედრას. (ჯიმშერი გადის. შოთა აქა-იქ გაზეთებს გააკრავს. შემოდის გ უ ლ ი კ ო)

გ უ ლ ი კ ო — შოთა! (აჩვენებს გაზეთს) წაიკითხე?

შ ო თ ა — ჩემი წერილი?

გ უ ლ ი კ ო — სადაა შენი წერილი?

შ ო თ ა — მესამე გვერდზე. აი!

გ უ ლ ი კ ო — უყურე! ამაზე არც დამიხედია, მეოთხე გვერდს ჩაეკირკიტებდი.

შ ო თ ა — რა წერია?

გ უ ლ ი კ ო — თენგიზის მოხსენების ანგარიშია. (კითხულობს) „მეოთხე კურსის სტუდენტმა თ. სინაურიძემ გამოამჟღავნა საკითხის ღრმა ცოდნა, ერუდიცია, ნამდვილი მეცნიერისათვის დამახასიათებელი სიდარბაისლე"... და ეს ყველაფერი ძეოთხე კურსის სტუდენტმა! (სიყვარულით) თენგიზიკო!.. ჩემი ბედნიერება სრული მაინც არ არის, შოთა, მინდა ჩვენი სიხარულის მოზიარე მამაც იყოს. ის კი გვემდურის.

შ ო თ ა — წადით და სთხოვეთ პატიება ისეთი სახით, თითქოს დამნაშავე თქვენ იყოთ, და არა ის.

გ უ ლ ი კ ო — თენგიზი არ დათანხმდება, ვიცი.

შ ო თ ა — აუცილებლად უნდა დათანხმდეს. მამასთან დღესვე უნდა გადახვიდეთ. (შემოდის თ ე ნ გ ი ზ ი)

გ უ ლ ი კ ო — თენგიზ! შოთა ამბობს, მამათქვენს ნაღველი მოკლავს, თუ დღესვე მასთან საცხოვრებლად არ გადახვალთო. გინდა, მამა ნაღველმა მოკლას?

თ ე ნ გ ი ზ — დე იცოცხლოს! ქვეყანას ზღვარი არ უჩანს, ყველა დავეტევით.

შ ო თ ა — დამიჯერე, თენგიზ, თქვენი გადასვლა აუცილებელია. ამით ორს კი არა, ერთდროულად სამ კურდღელს მოკლავთ: თქვენც კარგად იქნებით, მამაც და, სტიქიისაგან დაზარალებულთაც დახმარების ხელს გაუწვდით.

თ ე ნ გ ი ზ — რაშია საქმე?

შ ო თ ა — ცოტა ხნის წინათ აქ მოხდა საშინელი მიწისძვრა. ეს სახლი, როგორც ხედავთ, არ დანგრეულა, მაგრამ დაინგრა ოთახი, სადაც ჩვენი სანუკვარი მეგობრები სრული ოთხი წელიწადი მერცხლებივით ყოლრტულებდნენ, — ამიერიდან ბურდღუსა და ჯიმშერს აქ აღარ ეცხოვრებათ, მათ შენი ოთახი უნდა დაუთმო: ნაპოლეონი და ფოსინე, „ვითარცა აბრაამ და სარა, შეერთდნენ და აღარც განიყრებიან".

გ უ ლ ი კ ო — მართლა? დედა, რა გამეხარდა!.. წამოდი, მივულოცოთ. (თენგიზს კოცნის. ეზოდან გადიან)

შ ო თ ა — (ჩაფიქრდება) ის ამას კოცნის, ეს იმას კოცნის, — მე რა მაქვს სასიხარულო? (თავს აიღებს) დაე, სევდა ნუ შეგიპყრობს, შოთა არევაძევ, შენი ღვაწლი და ამაგი ფუჭად არ ჩაივლის, ისტორია მოგიხსენიებს. (სახლში შედის. ეზოში შემოდის პროფესორი ა რ ა ბ ი ძ ე. იქაურობას ათვალიერებს. შემოდის ი ვ ა ნ ე ჭ ი ნ ჭ ი ლ ე ი შ ვ ი ლ ი. მამებმა ერთმანეთს თვალი გაუსწორეს)

ა რ ა ბ ი ძ ე — ბოდიში, თქვენ აქაური ბრძანდებით?

ი ვ ა ნ ე — ეე... ნახევრად თითქმის აქაური გახლავართ. რა ვნებავდათ?

ა რ ა ბ ი ძ ე — მმ... ერთ ახალგაზრდას დავეძებ, სადღაც აქ უნდა ცხოვრობდეს. ჩემი ქალიშვილის... ახლო ნაცნობია.

ი ვ ა ნ ე — აქ სტუდენტები ცხოვრობენ. თქვენ რომელს ეძებთ. ბატონო? მე ნაპალეონის მამა ვარ.

ა რ ა ბ ი ძ ე — უკაცრავად, ვისი მამა ბრძანდებით?

ი ვ ა ნ ე — ნაპალეონის.

ა რ ა ბ ი ძ ე — (ღიმილით). რომლის? ბონაპარტის?

ი ვ ა ნ ე — ბონაპარტე ვისი ბუზი იყო!

ა რ ა ბ ი ძ ე — ბუზიო?! იმპერატორი გახლდათ.

ი ვ ა ნ ე — იმპერატორი, მერე რა, შე კაცო, ჩემი ბიჭი პოეტია. ნაპალეონ ჭინჭილეიშვილი არ გაგიგონიათ?

ა რ ა ბ ი ძ ე — (ფიქრობს) ჭინ-ჭი-ლეი-შვილი... რაღაც არ გამიგონია. სტუდენტია? თენგიზ სინაურიძეს არ იცნობს, თუ იცით?

ი ვ ა ნ ე — თენგიზ სინაურიძეს?.. მომითმინეთ, მომითმინეთ!.. ეს თქვენ ბრძანდებით?

ა რ ა ბ ი ძ ე — ვინ?

ი ვ ა ნ ე — იმ ქალიშვილის მამა ხართ, ატმის კვირტს რომ ჰგავს?! არ გრცხვენიათ მერე, ამხანაგო? ვისი დასაწუნია თენგიზ სინაურიძე?! ვითომ ასეთი ვინ ბრძანდებით?

ა რ ა ბ ი ძ ე — მე არაბიძე გახლავართ, პროფესორი...

ი ვ ა ნ ე — მერე და პროფესორმა ოქრო სპილენძისაგან ვერ გაარ-

ჩიეთ? (თავს გადააქნევს) კაი პროფესორი ყოფილხართ!.. (სახლში შედის. არაბიძე გაკვირვებით თვალს გააყოლებს. სახლიდან გამოდის შოთა)

შ ო თ ა — სალამი, ჩემო ბატონო!.. სასიამოვნოა თქვენი დანახვა, ასე ვთქვათ ჩვენს ტერიტორიაზე.

ა რ ა ბ ი ძ ე — უკაცრავად, მაგრამ... თქვენ ვინ ბრძანდებით, ბაბუკო?

შ ო თ ა — მე გახლავართ „შ“ წერტილი არევაძე. (გაზეთზე უთითებს)

ა რ ა ბ ი ძ ე — როგორ — „შ“ წერტილი არევაძე?

შ ო თ ა — დიახ, ანუ სრული ფორმით, ესე იგი უწერტილოდ: შოთა არევაძე. მე ვწერ ჩემს სახელოვან თანამედროვეთა, მათ შორის თენგიზ სინაურიძის ბიოგრაფიას.

ა რ ა ბ ი ძ ე — მაშასადამე, თქვენ ეპვი არ შეგაქვთ სინაურიძის მომავალში?

შ ო თ ა — სამწუხაროდ, თქვენი შეკითხვის გრამატიკული აღნაგობა სრულყოფილი ვერ არის, მას აკლია ზედსართავი სახელი ფრაზის ბოლოს: ბრწყინვალე მომავალში. თუ კითხვას დასვამთ ასე, გიპასუხებთ: არავითარი ეპვი არ შემდის. ის ყოველმხრივ შემკობილი ყმაწვილია და მე ალალი გულით ვწუხვარ, რომ ლამაზი და არა მყავს. მყავდეს ლამაზი და, — გარწმუნებთ, თენგიზ სინაურიძე ჩემი სიძე იქნებოდა, და არა თქვენი.

ა რ ა ბ ი ძ ე — ო! რომ არ დამეთმო, — მაშინ?

შ ო თ ა — არ დამითმობდით? მართლა? (სცენის იქით თვალს მოკრავს) აი!... გულიკო!.. თენგიზ!..

(შემოდიან გ უ ლ ი კ ო და თ ე ნ გ ი ზ ი; ცოტა მოგვიანებით—ბ უ რ დ ღ უ და ჯ ი მ შ ე რ ი. ორივეს ღვინიანი ბოთლები მოაქვს)

გ უ ლ ი კ ო — მამა!..

ა რ ა ბ ი ძ ე — გამარჯობათ! წუხელ თქვენს მოხსენებას დავესწარი...

გ უ ლ ი კ ო — რას ამბობ? რატომ ვერ დაგინახეთ?

ა რ ა ბ ი ძ ე — ბოლო რიგში ვიჯექი... მე შეკითხვაც გამოგიგზავნეთ. ცოტა არ იყოს, ეშმაკური შეკითხვა...

თ ე ნ გ ი ზ — ა... ეს, ალბათ, თქვენ მკითხეთ, — როგორ მესმის ჩეხოვის სიტყვები: „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს: სახე, ტანსაცმელი, აზრი, სულიც“.

ა რ ა ბ ი ძ ე — დიახ, პასუხი ნამდვილად მომეწონა. საერთოდ, მომეწონა თქვენი აზრის სიმახვილე, მსჯელობის სერიოზულობა. პროფესორი თქვენგან, მე მგონია, უეჭველად გამოვა. უნდა გამოვტყდე: მცირეოდენი დანაშაული თქვენს წინაშე უთუ-

ოდ მიმიძღვის; ვფიქრობდი, ჩემს ქალიშვილს ანგარებით ირთავდით. შევცდი... (თენგიზს ხელს ართმევს) ახალგაზრდა, რომელმაც უცნობ ქალიშვილს მისწერა ასეთი ზვიადი, მამაცური ბარათი, არ შეიძლება გაიძვერა და თაღლითი იყოს.

თ ე ნ გ ი ზ — ბოდიში, თქვენ რომელ ბარათს გულისხმობთ? (არაბიძე წერილს გადასცემს. თენგიზი აქა-იქ კითხულობს) „ვის შეუძლია გადაიტანოს ქაღალდზე სულის მძლავრი ჭიდილი“.. ჰმ!.. „სასიყვარულო ბარათი მხოლოდ გულის ფერმკრთალი ანაბეჭდია“...

შ ო თ ა — (ხმამაღლა კითხულობს)

მზად ვარ მოგიძღვნა სიცოცხლე ჩემი,
როგორც ცისფერი მინდვრის ყვავილი...

თ ე ნ გ ი ზ — ეს წერილი მე არ დამიწერია.

(ყველა გაოცდება)

ა რ ა ბ ი ძ ე — რა ბრძანეთ?

ბ უ ლ ი კ ო — (ხმადაბლა) თენგიზ!..

ა რ ა ბ ი ძ ე — არა, მე მესმის... მაშინ მძიმე ავადმყოფი იყავით; ცხადია, თქვენით ვერ დასწერდით, მაგრამ წერილში გამოთქმული აზრები ხომ თქვენია?

თ ე ნ გ ი ზ — არც აზრებია ჩემი, თუმცა... მე მათ ვიზიარებ.

ა რ ა ბ ი ძ ე — ესეც საკმარისია, საესებით საკმარისია.

ბ უ ლ ი კ ო — არ დაუჯერო, მამი, ეს ბარათი მაგის დაწერილია, მაგრამ ახლა უარზეა: სანტიმენტალური გამოთქმების ერცხვინება. (ბურდღუს და ჯიმშერს მიუახლოვდება) გამაგებინეთ, ბოლოსდაბოლოს, ვინაა ამ წერილის ავტორი? (ჯიმშერი შუჯლუგუნს გაკრავს ბურდღუს)

ბ უ რ დ ღ უ — ყველა ცოდვას ვღებულობ ჩემ თავზე, როგორც მიიღო ისინი ქრისტე მაცხოვარმა იუდეველთა სამსჯაროზე.

ბ უ ლ ი კ ო — შენ ზეგარდმო ნიჭით ყოფილხარ ცხებული, ბურდღუ.

ბ უ რ დ ღ უ — (შოთას) გესმის? შემიტანე უკვდავ კაცთა დავთარში, მხოლოდ იცოდე, ჩემი ცხოვრება უცრემლოდ არ აიწერება.

(შემოდის ც ი ა ლ ა)

ც ი ა ლ ა — მამიკო!..რა კარგია, რომ მოხვედი. როგორა ხარ?

ა რ ა ბ ი ძ ე — ჩინებულად, მხოლოდ სახარბიელოს ეს ბევრს ვერაფერს მიქადის: მე, მგონი, ისევ ესუქდები.

ც ი ა ლ ა — დარდი ნუ გაქვს, მე ვიცი, შენ ისევ გახდები, გახდები, მამა.

ბ უ რ დ ღ უ — (აივნიდან) მეგობრებო! გამარჯვებულნო და დამარც-

ხებულნო! ყველას გთხოვთ — ერთი ჭიქა ღვინო შესვათ...
ავანსად! (ყველანი სახლში შედიან. შემორბის ფოსინე, მას ნაპოლეონი მოყვება)

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (უახლოვდება) ფოსინე! მე კეესი და შენ აბედი!

ფ ო ს ი ნ ე — არა, არა!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — ფოსინე! ჩემთვის სიყვარული ქარი არ არის, საღამოს რომ ამოვარდება და დილით ჩადგება. დამიჯერე, მიყვარხარ!..

ფ ო ს ი ნ ე — არ მჯერა, არა... (მღერის)

ისე დამღალე სიტყვებით,—
გადავიქცევი ნემსად.
ნემსივით დავიკარგები
და ვერ მიპოვი ვერსად....

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — (მღერის)

თუ ნემსად გადაიქცევი,—
მე ვიყო თეთრი ძაფი!..
მითხარი, ქალო, რად გინდა
ჩემი სიკვდილი სწრაფი...

(ფოსინეს კოცნის. აივანზე გადმოდგება ივანე).

ი ვ ა ნ ე — (გაოცებით უცქერის მათ) ნაპალეონი ხარ? ფოსინე ხარ?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მამა!.. (ფოსინე ხის უკან იძალება)

ი ვ ა ნ ე — მოდი, ქალო, ჩემთან, ქურციკივით სად გარბიხარ?

ფ ო ს ი ნ ე — (თავს დახრის) გამარჯობათ.. მოსკოვიდან როდის ჩამოხვედით?

ი ვ ა ნ ე — ჩამოვფრინდი!.. როგორც იქნა გავბედე: სიბერის ჟამს გული უფრო გამიკაჟდა!

ფ ო ს ი ნ ე — კი მაგრამ... ბიძია ივანე, ცარიელ-ტარიელი ჩამობრძანდით? ჩვენი ფული არ მიიღეთ?

ი ვ ა ნ ე — მივიღე და სეპარატორიც ვიყიდე. ეს მითხარით: თქვენი კოცნა... კანონიერია?

ფ ო ს ი ნ ე — კანონიერია...

ი ვ ა ნ ე — გაგახარათ ღმერთმა!.. სიმღერის გუნებაზე დავდექი: ხვა რომ იყიდებოდეს, მილიონს მივცემდი. (ჯერ ფოსინეს აკოცებს, შემდეგ ნაპოლეონს) გისურვებთ ეს ცხოვრება ერთი გულით და ყოფაში. იცოცხლეთ და მომრაველდით.

ერთი პირით დაგელიოთ მშვიდობაში, თანხმობაში, კარგად

ფ ო ს ი ნ ე — გვადლობთ, თქვენც იცოცხლეთ.

ი ვ ა ნ ე — ნაპალეონ!

ნ ა პ ო ლ ე ო ნ — მამა! ასე სხვა დროს აღარ დამიძახო: არ გამოგეხმიანები, მე ახლა ირაკლი მქვია.

ი ვ ა ნ ე — ვიცი. მინდოდა ტყავი გამეძრო, მაგრამ... რაკი ასეთ სიხარულს შევესწარი... იყოს! ჩვენი ერეკლე ნაპოლეონზე ნაკლები არ იყო.

(სახლიდან გამოდიან პროფესორი, თენგიზი, გულიკო არაბიძე, ციალა, შოთა)

გ უ ლ ი კ ო — სად ხართ? რა ხანია გეძებთ. მოგვილოცნია.

(ხელს ჩამოართმევს, კოცნის, სახლიდან გამოდიან უამრავი საოჯახო ნივთებით დატვირთული ბურდღუ და ჯიმშერი).

ბ უ რ დ ღ უ — სამხიარულოდ, მეგობრებო, სამხიარულოდ!.. ნახვამდის!.. ნახვამდის!.. (სიმღერას წამოიწყებს, ყველა აყვება)

გვეგონა, რომ გული გვქონდა,
გული გვქონდა რკინის,
მაგრამ ტრფობა შეგვეპარა
ჩუმად, მალვით, ყინით...
გულო, ჩადექ საგულესა,
გულო, გულო, გულო...
გულო, ჩადექ საგულესა,
გულო, გულო, გულო...
გული სატრფოს დანახვაზე
ბობოქრობს და ღელავს,
მაგრამ უჩუმოდ იტანჯება,
არავის თხოვს შველას...
გულო, ჩადექ საგულესა,
გულო, გულო, გულო...
გულო, ჩადექ საგულესა,
გულო, გულო, გულო...

ფარდა

ვიქტორ გუგბისკირია

უფსკრულიან

ლირაძე 4 მოქმედებად
8 სურათად

მოქმედნი პირნი

ანთიმოზ ტორონჯაძე — მოხუცი კაცი, კოლმეურნე.
თამარი — ანთიმოზის რძალი, 29-30 წლისა.
გოგი — თამარის ვაჟი, შვილიშვილი ანთიმოზისა, 11 — 12 წლისა.
ევა — ანთიმოზის მეზობელი.
ეგენი ამაშუკელი — ახალგაზრდა კაცი, ინჟინერი.
მინადორა — ეგენის დედა.
გიგო — ხანდაზმულობის გამო წელში ოდნავ მოხრილი, მაგრამ მკვირცხლი ქცევისა და სიტყვა-პასუხის კაცი. ეგენის მამის მეგობარი იყო.
ვარლამ დოკვირი — გარეგნობით ინტელიგენტი, ამაშუკელთა ოჯახთან დაახლოებული ადამიანი.
პაველ — კოლმეურნეობის თავმჯდომარე
კუკური, დურმიშხანი — ეგენის მეგობრები.
კატო — ამაშუკელთა ეზოში მცხოვრები, ხანში შესული ქალი, დიასახლისი.
იასონ ტურძელაძე — ახალგაზრდა კაცი, კატოს ნათესავი.
ვენერა — ახალგაზრდა ქალი, ექთანი.
ბაჯი — მეეზოვე. ქურთი ქალი.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

ორი ოთახის კარების გასწვრივ ცისფრად შეღებილი შუშაბანდი. კარებს შუა, შუშაბანდში, ძველებური კამოდი მოჩანს, რომელზედაც დგას სარკე, დევს კოლოფები, იქვე, კედელზე, ჰკიდია ნემსების მისაბნეელი ბალიში. ერთ მხარეს ხალიჩაგადაფარებული ტახტი დგას ლამაზი მუთაქებით. ხის ყუთიდან, რომელსაც ფერადი ქაღალდები აქვს შემოკრული, ამოწვდილა საკმაოდ მოზრდილი ლიმონის ხე, ორი თუ სამი ცალი ლიმონი მოუსხამს. ერთ კუთხეში ანთებულ ნავთქურაზე დევს ფართო სპილენძის ტაშტი, რომლის თავზე ორთქლი ტრიალებს, — ეტყობა, მურაბა იხარშება. შუშაბანდში მზის სხივები შემოსულა. ნათელი, მზიანი დღეა. ფარდის ახდისას ოთახიდან გამოდის კატო).

კ ა ტ ო — (ნავთქურას უახლოვდება, სუფრის კოვზით გადმოაქვს მურაბა ლამბაქზე, ასხამს, ამოწმებს!) თამარ! თამარ! (თამარი მეორე ოთახიდან პასუხობს: „ახლავე, ქალბატონო კატო, ახლავე". თვით კატო ლამბაქით ხელში თამარის ოთახისაკენ მიდის, ოთახის ღია ფანჯარასთან შედგება. კოვზით მურაბის წვენს იღებს ლამბაქიდან და ისევ ლამბაქზე ასხამს). მე მგონია ეყოფა დუღილი, რას იტყვი? (თამარი ფარდას გადასწევს, ლამბაქს გამოართმევს, თვით არ ჩანს, ოთახიდან პასუხობს: „წვენი ჯერ კიდევ თხელი აქვს, იდუღოს!") — კეთილი, იდუღოს! (ფარდას უფრო განიერად გასწევს) მშვიდობაში! მშვენიერი კაბა გამოსულა, მაგრამ შავებში სანამდე უნდა იყო? (სიცილით) სხვა ფერისას როდის შეიკერავ? (თამარის ხმა: „არასოდეს!") ქუდიც რომ გიხდება! პრიალებს და თანაც მაყვალივით შავია. (აკვირდება) ასე ჯობს, ოდნავ გადაწეული. (ლამბაქს მაგიდაზე ჩამოდებს). რა კარგი დღეა!.. გასეირნებას არაფერი ჯობს.

თ ა მ ა რ ი — (ოთახიდან არ გამოსულა) წუხელ კი როგორ წვიმდა!..

კ ა ტ ო — ორჯერ ავედი სახურავზე, თუნუქები ქვებით დავამაგრე. (ცერს აკვირდება) წვიმამ მარტო ერთ ადგილას გამოქონა. (სიცილით) ჩვენი სახლი ამ ეზოში ამ დიდ კედელზე ქოხივით არის მიდგმული, მაგრამ, რა ვიცი, ყველას მოსწონს, კოხტაა, ნათელია, მზიანია... ამ ლიმონებზე იასონმა იცი რა მითხრა? მოლაღურებს გვანანო. მართლა რა ლამაზია! იასონი ხომ კარგი ყმაწვილია?

თ ა მ ა რ ი ს ხ მ ა: — თქვენს ნათესავებში ყველაზე მეტად იასონი მომწონს.

კ ა ტ ო — აწინაურებენო, ახალ სამუშაოზე გადაჰყავთო... ერთი კვირაა არ ჩანს, ნეტავი რა მოუვიდა?! (უცებ ფანჯარაში ვიღაცას შენიშნავს, თამარს დაქინებით ეძახის) თამარ, თამარ! (ოთახიდან გამოდის თამარი, თავიდან ფეხებამდე შავებით შემოსილი, ლამაზი სახის, ყელმოღერებული ქალი) აი დედამისი!

თ ა მ ა რ ი — (ფანჯარაში იხედება) კარგი სახე აქვს, მიმზიდველი.

კ ა ტ ო — შენ ახლოს უნდა ნახო, ისეთი სასიამოვნო ხმა აქვს, ისეთი ტკბილი საუბარი იცის, რომ ვერ მოშორდები.

თ ა მ ა რ ი — მე პირველად ვხედავ.

კ ა ტ ო — ორი თვე ლოგინად იყო, ორი თვე არც კი იქნება, რაც შენ ჩემთან ხარ...

თ ა მ ა რ ი — (აკვირდება) აივანზე რატომ გამოსულა? ჯერ კიდევ ცივა.

კ ა ტ ო — სუფთა ჰაერს ეწაფება, უხარია: ორი თვე წოლას ეხუმრები? აი ევგენიც გამოვიდა! (ალერსიანი ხმით) თავზე ხელი გადაუსვა! შვილი გავზარდეო. მაგან უნდა თქვას... რასაც ინატრებდა, გაუჩენდა. არაა საჭიროო, დედამისი ამბობდა, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს? მოყავდა და მოყავდა პროფესორები... ახლა კარგად ჰყავს და ხედავ როგორ უხარია?

თ ა მ ა რ ი — თავშალი მოახურა... ბალიშიც გამოუტანა.

კ ა ტ ო — რკინაზე დაყრდნობით ხელები არ ეტკინოსო, ხედავ! ან რა ლამაზი ბალიშია! ძველი ოჯახია, ყველაფერი ძველებური აქვთ.

თ ა მ ა რ ი — მათი ქება მეზობლებისგანაც გამიგია.

კ ა ტ ო — ყველას ხელის გამმართავნი ესენი არიან და საყვედურს იტყვიან? ან, ღმერთმა მისცეთ, რა შეძლება აქვთ! აგერ მეეზოვის შვილებს, დიდს და პატარას, ყველას ევგენის ფეხსაცმელები აცვიათ! როცა ეზოში ბაჯი სარეცხს რეცხს და

ვხედავ, რომ ევგენის ტუფლებს საპნიანი წყალი ესხმის, პირდაპირ გული მიწუხს.

თ ა მ ა რ ი — ეს სახლი მათი იყოო, მათი საკუთრებაო, მართალია?

კ ა ტ ო — მართალია, მათი იყო.

თ ა მ ა რ ი — ამხელა სახლი? კარგი და მეხუთე სართულზე რატომ ცხოვრობენ?

კ ა ტ ო — წინათ თურმე მეორე სართულზე ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე აქედან-იქიდან რომ შეავიწროვეს, ხომ იცი ძველი ოჯახების ამბავი, მეხუთე სართული თავიანთთვის, საკუთრად დააშენეს. მეხუთე სართულია, მაგრამ იცი იქიდან რა სასიამოვნო გადასახედია? მთელი თბილისი ხელის გულივით ჩანს.

თ ა მ ა რ ი — დედას დაუძახა.

კ ა ტ ო — ალბათ სტუმრები მოუვიდათ. (შემოტრიალდებიან) მერე რა მიღება იციან, რა ოთახები აქვთ, რანაირად მორთული! ხომ ასე ლამაზი ყმაწვილია, ხომ ასეთი ოჯახის შვილია, მშვენელი ხომ არის და არის, მაგრამ იცი რა უთქვამს? — ცოლად მხოლოდ იმ ქალს მოვიყვან, რომელიც დედაჩემს მოეწონებაო.

თ ა მ ა რ ი — ის ხომ ინჟინერია?

კ ა ტ ო — ინჟინერია, მაგრამ სხვებს კი არ ჰგავს. მამამისიც მასეთი ყოფილა თურმე, უმართლებს... ალბათ კარგი კაცი რომ არის, იმის გამო, ღმერთიმ თუ ბუნებაა, არ ჩაგრავს, ხელს უწყობს... ახლანდელი მათი ცხოვრება რა გასაკვირია... წინათ, ომის წლებში, ერთი ნაჭერი მარგარინი რომ გვენატრებოდა, მაშინ იმ აივანზე, ახლა ისინი რომ იდგნენ, სულ ღორის ფეხები ეკიდა. (ყელავ თამარის სამოსს აკვირდება) საყელო მაღალია, ძველებური. მშვენიერი კაბაა! მაგრამ ეტყობა, მთლად შავი სამოსისთვის ღმერთი არ გიმეტებს.

თ ა მ ა რ ი — რატომ ამბობთ?

კ ა ტ ო — აფთიაქში როცა წამლებს ამზადებ, როცა მუშაობ, ხომ გაცვია თეთრი ხალათი, თეთრი ქუდიც გახურია... რომ დაგინახავ, გამეხარდება.

თ ა მ ა რ ი — მე კი მეჩოთირება. ჩვენებმა რატომ დაიგვიანეს?

კ ა ტ ო — დასეირნობენ... დღეს მიემგზავრებიან და იჯერონ გული პაპამ და შვილიშვილმა.

თ ა მ ა რ ი — კი, მაგრამ...

კ ა ტ ო — ბარგი შეკრულია, ბილეთები ნაყიდია, ყველაფრით გამო-

წყობილები არიან, უხარიათ და დასეირნობენ, იმათთან რა გინდა? ისე კარგი მამამთილი გყავს, მთელ ეზოს შეუყვარდა ანთიმოზი; ბავშვს რომ სოფელში ატან, ყველამ მოგიწონა.

თ ა მ ა რ ი — მე კი, რა ვიცი, გული არ მეუბნება კარგს შვრებიო! მაგრამ მოხუციც მეცოდება, სოფელში მარტოა დარჩენილი.

კ ა ტ ო — მე რომ მკითხო, თექვსმეტ-ჩვიდმეტ წლამდე ბავშვი სოფელში უნდა იზრდებოდეს, ბავშვისთვის სოფელს რა სჯობს, მერე ისეთი სოფელი, თქვენ რომ გქონიათ.

თ ა მ ა რ ი — სოფელი კი, მართალია, კარგი გვაქვს.

კ ა ტ ო — მაგაზე ნუ მელაპარაკები, მაგ მხრივ ბედნიერი ქალი ხარ! (უცებ წამოხტება) ჩვენსკენ მოდის!

თ ა მ ა რ ი — (თავის ოთახის კარებთან შედგება) მე არ გამომიძახოთ.

კ ა ტ ო — რატომ?

თ ა მ ა რ ი — არ მინდა! (სწრაფად შედის თავის ოთახში).

კ ა ტ ო — (ევგენის ოთახში შემოიპატიჟებს) მობრძანდით, პატივცემულო ევგენი, მობრძანდით! (შემოდის ე ვ გ ე ნ ი, ლამაზად აცვია, გარეგნულად თითქოს მოკრძალებულია, მაგრამ თავმომწონეობაც ემჩნევა) სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა.

ე ვ გ ე ნ ი — ოთახშიც სასიამოვნო სუნი დგას!

კ ა ტ ო — (კმაყოფილია, რომ ასეთი რამ შენიშნა) მურაბას ვხარშავთ, მარწყვის მურაბას. თამარს დავავალე. გლდანის მარწყვი მოიტანა, ისეთი დიდები, წითლები და ლამაზები იყო, რომ დამენანა კიდეც მათი მოხარშვა.

ე ვ გ ე ნ ი — თვით სად ბრძანდება?

კ ა ტ ო — აქ არის... დავუძახო?

ე ვ გ ე ნ ი — არა, არ შეაწუხოთ. მე თქვენთან გამომგზავნეს, ქალბატონო კატო, დედაჩემი გთხოვთ, რომ თქვენ, თქვენი მეზობლით თუ მდგმურით, არ ვიცი როგორ ვთქვა...

კ ა ტ ო — არც ერთი, არც მეორე, ის უკვე ჩემი ქალიშვილია.

ე ვ გ ე ნ ი — დიახ, თქვენ, ქალბატონი თამარი, თუ არ ვცდები თამარი ჰქვია...

კ ა ტ ო — დიახ.

ე ვ გ ე ნ ი — მაშასადამე, თქვენ, ქალბატონი თამარი თავის მამამთილითა და ბავშვით, რა თქმა უნდა, სადილად გვეწვევით.

კ ა ტ ო — (შიპატიჟება ძალიან სიამოვნებს) თამარი დღეს მამამთილსა და ბავშვს სოფელში ისტუმრებს.

ე ვ გ ე ნ ი — ვიცით, ვიცით, სწორედ ამის გამო (მაჯის საათს დახედავს) თხუთმეტ წუთში უნდა გვეწვიოთ. (წასვლას აპირებს).

კ ა ტ ო — კი, მაგრამ... თამარს, თქვენ პირადად, მგონი არ იც-

ნობთ. (ეძახის) თამარ! თამარ-ქალო! (ოთახიდან გამოდის თამარი, ქუდი მოუხდია, ელიმება).

ევგენი — ვიცნობთ, ბატონო, ვიცნობთ! ბოლოს და ბოლოს მეზობლები ვართ. (ხელზე განსაკუთრებული მოკრძალებით ემთხვევა, თავის გვარსაც აცნობს) ამაშუკელი! (სიცილით) თქვენ მარიდებთ თავს, თორემ მე და თქვენი ვაჟი დიდი მეგობრები ვართ.

თამარი — იმ დღეს გოგიას ძლიერ გაკუჯავრდი.

ევგენი — ჩემი ბრალია, ბავშვი არაფერ შუაშია, ფუნიკულიორზე მე ავიყვანე.

თამარი — როგორ შეეშინდი! სანამ გამოჩნდებოდა. მე ჩემი დამემართა.

ევგენი — შემდეგ მეც ბევრი ვიწუხე, ბავშვს ბევრი ვასიამოვნე, მაგრამ თურმე დედამისს ვაწყენინე. მგონი გუშინწინ იყო. „ბიძია ევგენიო!“ შემომესმა ვიღაცის ძახილი, შანქანა შევაჩერე, გოგია იყო თავისი ამხანაგებით. ტკბილად კი ვილაპარაკეთ, მაგრამ სასეირნოდ ველარ წავიყვანე. თქვენს წყენას მოვერიდე; ისე შესანიშნავი ბავშვია, ნიჭიერი, ჭკვიანი; იშვიათად, რომ რაიმე უყურადღებოდ 'დატოვოს, ყველაფერზე ახსნა-განმარტებას მოითხოვდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამეც კი მითხრა: თქვენ რომ ასეთი ყურადღებით მეპყრობით, ყველაფერზე რომ ასე დაწვრილებით ძპასუხობთ, სხვები ასევე რატომ არ მექცევიანო, ამაზე ვერაფერი ვუპასუხე, დავიბენი. მამა კარგად მახსოვს. მითხრა... (თავს გაიქნევს) გული მეტკინა, მოვეფერე. (უცებ კატოს მიუბრუნდება) მაშ ასე, მოვლენ თუ არა, ჩემი თხოვნა გადაეცით, ყველანი მობრძანდით (მიდის).

კატო — (თამარს გადაეხვევა) დიდებული ადამიანი არის-მეთქი, რომ ვამბობდი, ხომ მართალი ვყოფილვარ? დღეს წამოდგა ფეხზე დედამისი და უკვე გვეპატიჟება. სხვათა შორის, ნუ იფიქრებ, რომ ამას შენ გამო აკეთებენ, სრულიადაც არა! — ასთიმოზის პატივისცემის გამო! იგრძნეს, რომ ღირსეული ადამიანია და სურთ პატივისცემა გამოხატონ. კიდევ ძველი ოჯახი, თორემ ახლანდელი? (ხელს ჩაიქნევს. შემოვარდება გ ო ვ ი, თმახუჭუჭა, მკვირცხლი ყმაწვილი).

გ ო გ ი — თბილისის ზღვაზე ვიყავით, რა ლამაზი ყოფილა! ლურჯი, ლურჯი!.. ისე ღელავს, როგორც ნამდვილი ზღვა!

თ ა მ ა რ ი — (შემკრთალია). ასე შორს წახვედით?

გ ო გ ი — რა ახლოს ყოფილა, დედა, ვერ წარმოიდგენ, კუკიის სასაფლაოდან უნდა ახვიდე თურმე, იქვე არის.

თ ა მ ა რ ი — ბაბუა სად არის?

გ ო გ ი — აგერ ბაღში ზის, ნაცნობი შეხვდა, დავუძახო?

თ ა მ ა რ ი — კარგს ეშვრები, რომ სოფელში გგზავნი. (გოგი უკმაყოფილოა დედის გინცხადებით). დაუძახე! (გოგი წასვლას აპირებს, დედა შეაჩერებს, ხალათს უსწორებს) ამ დილით გაგირეცხე, დაგიუთოე, უკვე დაგიკმუკნია. (ბავშვი გარბის).

კ ა ტ ო — (სიცილით) ყველანი აქეთ იხედებიან, მთელი ეზო გვაკვირდება.

თ ა მ ა რ ი — რატომ?

კ ა ტ ო — სულ ვიცი ახლა რას ლაპარაკობენ, რატომ იცინიან. ყველაფერს კუდი უნდა გამოაბან! ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, პატარა ამბავი კი არ მომხდარა; ჯერ ევგენი მეზობლებში გადასული მე არ მინახავს. ისე მაგათი ოჯახის წევრები ყველანი თავაზიანი და გულკეთილნი არიან, ყველას დამხმარე და ხელის შემწყობნი, სალამს კაცი ვერ დაასწრებს. მაგრამ მეზობელთან რომ გადავიდეს და ილაპარაკოს? — აპა, პა, პა! ისე ხომ კოხტა ტანი აქვს? რა ძვირფასი კოსტიუმი ეცვა! საათს თუ დააკვირდი, საათს? რა საათი ეკეთა! რა ლამაზი თმები აქვს! არა, მართალი თქვი, ხომ იშვიათი ყმაწვილია?

თ ა მ ა რ ი — კოსტიუმის ჯიბიდან რომ აბრეშუმის ცხვირსახოცი ჰქონდა ამოწეული, ეს არ მომეწონა.

კ ა ტ ო — ასეთ წვრილმან რამეზე ყოველ ადამიანს შეიძლება აუხირდე.

თ ა მ ა რ ი — (ცივად) ყოველ შემთხვევაში მე არავისთან დაახლოება არ მსურს.

კ ა ტ ო — სწორედ ამის გამო გცემენ პატივს. თავი ღირსეულად უჭირავსო. ამგვარი რამეები რომ არ გიყვარს, სწორედ მეც ამის გამო გცემ პატივს; ქვრივი ხარ. მაგრამ თავი რომ ამაყად გიჭირავს, შენზე რომ ულირს აზრს გულში ვერავინ გაივლებს, ეს მომწონს; აწი რომ შენი გულის კარს ვერავინ შეაღებს, ეს კარგად ვიცი, მაგრამ შენზე თუკი რამე კარგს მეტყვიან, რატომ არ უნდა გითხრა? იცი, ამას წინათ ევგენიმ შენზე რა მითხრა? მასეთი ლამაზი ქალი თბილისში მეორე არ დაიარებაო.

თ ა მ ა რ ი — (უნებლიეთ ეღიმება) ცუდი გემოვნება ჰქონია.

კ ა ტ ო — რას ნიშნავს რომ ქალი ხარ, მაინც ხომ გესიამოვნა?

თ ა მ ა რ ი — მე თქვენ ისე შეგეჩვიეთ, ისე დაგიახლოვდით, ქალბატონო კატო, რომ თქვენთან ყველაფერს გულახდილად ვამბობ, ისეთ რამესაც, რომელიც ადამიანმა შეიძლება არც კი უნდა თქვას, ამიტომ ნუ დამძრახავთ: მე ბევრი მაკვირდება, ბევრი ამდევნებია, ბარათებიც მიმიღია ისეთი შინაარსისა და ისეთი პირებისაგან, რომ მათ მაგიერ გავწითლებულვარ; ისეთი რამ კი, რაც თქვენ ახლა მითხარით, ჩემთვის გზაზე, მატარებელში თუ დაწესებულებაში მრავალჯერ გაუგონებიათ, მაგრამ ისინი ჩემთვის ისევე უმნიშვნელონი არიან, როგორც ბავშვობის დროის სათამაშოები. მე ისეთი ქმარი მყავდა, რომ... ის უკვე ექვსი წელია აღარ არის... რა შემიძლია გავუკეთო? არაფერი! ყველაფერი ტყუილია! მაგრამ თავიდან, იმ დღიდან გადავწყვიტე, რომ სანამ ცოცხალი ვარ, მისი სახელი ვატარო. კიდევ მეტს გეტყვით: მე სილამაზეს ეს რწმენა მაძლევს! (კატო ხელებს მოხვევს. ჩაფიქრდება) ამის გარდა ერთი რამეც უნდა გითხრათ: ასე მგონია, რომ ის უხილავად მუდამ ჩემთან არის, ყველაფერს ხედავს და ამის გამო ვცდილობ ისე მოვიქცე, რომ არ ვაწყენინო (მორიდებით) ერთი სისუსტე მახასიათებს, — ხანდახან პირუჯვრის გადასახვა ვიცი, რა თქმა უნდა, იმ დროს, როდესაც ამას სხვა ვერ შენიშნავს. მხოლოდ ეს ნაკლი მახასიათებს, თორემ სხვა მხრივ? სხვა მხრივ ნამდვილი თანამედროვე ქალი ვარ. რამდენი აგიტაცია თუ საუბარი ჩამიტარებია ყანაში მეაბრეშუმე ქალებთან, რამდენი კედლის გაზეთი გამომიშვია... (ზემოდის ა ნ თ ი მ ო ზ ი, წარმოსადეგი, ლამაზი შესახედაობის მოხუცი, შემოყვება გოგი. თამარი მოეხვევა) მე ტორონჯაძეების რძალი ვარ! (ანთიმოზს გულში ეხუტება, ეფერება).

კ ა ტ ო — პატივცემულო ანთიმოზ, დღეს სადილად ბრძანდებით მიწვეული, თქვენთან ერთად ჩვენც.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ვისთან, ბატონო?

კ ა ტ ო — ამაშუკელთა ოჯახი არის-მეთქი, რომ გეუბნებოდით, დიახ, ისინი გვთხოვენ.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ალბათ ჩემ რძალს თხოვენ, მე რა შუაში ვარ, თქვენ მიბრძანდით.

კ ა ტ ო — თქვენ, პატივცემულო ანთიმოზ, თქვენ, თორემ ჩვენ ვინ გვაქცევს ყურადღებას.

გ ო გ ი — წავიდეთ ბიძია ევგენისთან, წავიდეთ.

თ ა მ ა რ ი. — გაჩუმდი! (თანაც ტანისამოსს უსწორებს, კამოდზე დადგმულ სარკესთან მიიყვანს, ქოჩორს გადაუვარცხნის, წასაყვანად ამზადებს).

ა ნ თ ი მ ო ზ ი — მე რომ არ მიცნობენ?

კ ა ტ ო — მთელი ეზო გიცნობთ, თქვენი დანახვა უკვე ყველას უხარია; თამარს სულ ეუბნებიან, რა კარგი მამამთილი გყოლიაო... ეზოში ვიღაც ცალფეხა შემოსულა და თქვენ თურმე „მობრძანდითო", გითქვამთ, არაყი დაგილევინებიათ, ვაშლები და თხილი გამოგიტანიათ; ამას მთელი ეზო ლაპარაკობს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (სიამოვნებს. ცოტაოდენ უხერხულობას გრძნობს). მე თუ ვინმე მაკვირდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. ჩემთვის, შეუმჩნეველად ვიყავი მეგონა. (ჩაფიქრდება) არა, რაც მართალია — მართალია, კარგი ხალხი ცხოვრობს ამ ეზოში. საერთოდ კარგი შეიქნა, რომ ჩემი თამარი თბილისში გადმოვიდა. საბოლოოდ ხომ მაინც აქ უნდა ვიყოთ, ბავშვი საშუალოს დაამთავრებს და უნივერსიტეტში ხომ უნდა შევიყვანოთ. (ოგის ეფერება) განსაკუთრებით კმაყოფილი იმითა ვარ, ქალბატონო კატო, რომ თქვენ შემოგაფარათ თავი... არ გეგონოთ, რომ თამარს მარტო ჯამაგირის იმედით დავტოვებ, ჩემგან ხელის შეწყობა დიდი გექნებათ, სოფლიდან ყველაფერს მოგაშველებთ, ისეთ ღორს ვასუქებ, რომ... (შემოდის ვ ა რ ლ ა მ ი, მისი გამოჩენა საერთო მხიარულებას იწვევს. გარეგნული შეხედულებით ვარლამი ინტელიგენტი და ფაქიზად ნაცხოვრები ადამიანია)

კ ა ტ ო — სალამი, ბატონო ვარლამ, ძლიერ გვასიამოვნებს თქვენი მობრძანება (ანთიმოზს) გაიცანით, ანთიმოზ ტორონჯაძე! თამარის მამამთილი გახლავთ.

ვ ა რ ლ ა მ ი — (ანთიმოზს ხელს ართმევს, თავმდაბალ სალამს აძლევს) დოჭვირი, ბატონო, ვარლამ დოჭვირი!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — დოჭვირები ჩვენებურები არიან.

ვ ა რ ლ ა მ ი — თქვენ საიდან ბრძანდებით?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — წულუკიძის რაიონიდან. ბატონო, ჩვენი სოფელი იქვე, ხონთან არის ახლოს.

ვ ა რ ლ ა მ ი — იქაური არ გახლავართ, მაგრამ ოჯახობა მყავს იქაური, გალდავაძის ქალი, ძალიან მომწონს თქვენი მხარე; ხონიო, რომ იტყვიან, იქედან-აქედან აიმრიზებიან, მე კი ერთი სული მაქვს მაქეთ მოვხვდე. ოჰ, რა ეზოებია, რა ჭიშკრები, რა სახლები, რა ხეები!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — დაბრძანდით, ჩემო ბატონო, დაბრძანდით! (ცდილობს მასპინძლობა გაუწიოს).

ვ ა რ ლ ა მ ი — აპა, პა, პა, არაფერი საჭირო არ არის. ახლავე უნდა წავიდეთ; მეორედ მე გამომგზავნეს, რატომ იგვიანებენო.

ანთიმოზი — (მიპატიჟებით კმაყოფილია, უღრო გამხიარულდება, ქალებს მიმართავს) მოემზადეთ, გადავიდეთ... მატარებლის გასვლამდე დიდი დროა, მე კმაყოფილი ვარ. (ქალები აფუსფუსდებიან, გოგია სიხარულისაგან სტვენას იწყებს).

თამარი — სახლში ნუ სტვენ! (გამოწყობილია, მაგრამ სარკეში კვლავ დაიწყებს ცქერას).

კატო — (თამარს გადაუჩურჩულებს) ერთად რომ გავალთ, შენ ნახე, რა ამბავი იქნება!

ვარლამი — (ანთიმოზს) მეგობარიო, ჩემზე რომ მოგახსენათ კატომ, მეგობარი კი არა, იმ ოჯახისათვის ყველაფერი ვარ (ანთიმოზი რაღაცის შეკითხვას აპირებს). ო... ო... ო... იშვიათი ოჯახია! (თავმომწონედ) თუ რა ვარ მე იმათთვის, მოხვალთ და თქვენი თვალით ნახავთ. (შემოდის იასონი, ფერმკრთალი სახის, სუსტი გარეგნობის ახალგაზრდა).

კატო — (ანთიმოზს) ერთი საყვარელი ნათესავი მყავს-მეთქი, რომ გეუბნებოდით, ის გახლავთ, იასონ ტურძელაძე, გაიცანით!

ანთიმოზი — თქვენს ხსენებაში ხშირად არიან, მაგრამ რატომღაც ამ დღეებში არ შემობრძანდით, დღეს კი სამწუხაროდ მივდივარ და... (კატოს) იასონიც ხომ წამობრძანდება ჩვენთან?

კატო — რა თქმა უნდა!

იასონი — (ხელს ართმევს ანთიმოზს) შორიდან გიცნობთ. ამ დღეებში ისე ვიყავი დატვირთული, რომ ვერ მოვიცალე, ვერ შემოვიარე.

ანთიმოზი — თქვენ ისეთი სამუშაო გაქვთ, რომ... თუ არ ვცდები ალმასკომში მუშაობთ.

იასონი — არა, სხვაგან. (ვარლამს ესალმება) ჩვენს მოწინააღმდეგეს გაუმარჯოს.

ვარლამი — (ხელს ართმევს, მაგრამ შეუტევს) იცი რა გითხრა, მე ასეთი ლაპარაკის არ მეშინია, მაგრამ მაინც არ ვარგა, ყველას შენსავით ხომ არ ესმის, სხვა სხვაგვარად გაიგებს.

იასონი — (სიცილით) გეწყინა?

ვარლამი — კარგი ერთი!.. რაც არ მომწონს, იმაზე რომ ვთქვა არ მომწონს-თქვა, ამის უფლება არ მაქვს თუ?

იასონი — (კვლავ სიცილით) თქვენ იმ დღეს ისეთ რამეზე მეკამათებოდით, ისეთ რამეს იწუნებდით, რაც ყველას მოსწონს.

ვარლამი — ყველას მოსწონს, მაგალითად, წყაროს წყალი, ყველამ იცის, რომ მას დასალევად არაფერი ჯობს, მაგრამ მე ჭის წყალი მირჩევნია... არ მაქვს ამის უფლება? თქვენ დაჩვეული ხართ, ბატონო, რასაც იტყვით, ყველაფერზე თავი დაგიქ-

ნიონ... მე ცოტა სხვანაირად ვარ აღზრდილი. ახლავე მოგახსენებთ: ოფიცრების სკოლა რომ დავამთავრე, სარაყამიშის ფრონტზე გამგზავნეს; შტაბში რომ გამოვცხადდი, შენი ნაწილი მოწინავე ხაზზეაო და კაცი გამაყოლეს; გავუღექი გზას... მთებიდან ასკერები თოფებს ისროდნენ, დაიწივლებდა ყურებთან ტყვია თუ არა, დავხრიდი თავს — ჰუ უ უ! დაუფსტვენდა ტყვია თუ არა, დავხრიდი თავს. უკანიდან პოლკოვნიკმა იცით რა მომაძახა? — „Прапорщик Дочвири, прошу, пулям не кланяться". (ყველა იცინის, წასაველელად მზად არიან) აბა, წავიდეთ!

მეორე სურათი

მდიდრულად მორთული სასტუმრო ოთახი. მაღალ და უართო კედლებს მოოქროვილჩარჩოიანი სურათები ამშვენებენ. ოთახში მარმარილოს ძვირფასად ნაკეთები ბუხარია ამართული. ოთახს სამივე მხარეს კარები აქვს. მათი გაღების დროს ჩანს, რომ მეზობელი ოთახებიც მდიდრულად არის მორთული. კედელზე ჩამოკიდებული ერთი სურათის წინ აღტაცებული სახით დგანან თ ა მ ა რ ი, კ ა ტ ო, მ ი ნ ა დ ო რ ა; მეზობელ ოთახში შედიან ა ნ თ ი მ ო ზ ი, ე ვ გ ე ნ ი, გ ო გ ი).

მ ი ნ ა დ ო რ ა — ის, შუაში რომ ზის, ალბათ გეცნობათ.

თ ა მ ა რ ი — (სურათს აკვირდება, ეტყობა მოეწონა, მინადორას მოეხვევა) თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო მინადორა! ყველა ფეხზე დგას, მარტო თქვენ ზიხართ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ეს სურათი პეტერბურგშია გადაღებული. მაშინ ევგენიზე ვიყავი ფეხმძიმედ... ჩემი ფეხზე დგომა ლამაზი არ იქნებოდა და ამიტომ ვზიავარ. მარაოც გაშლილად ამის გამო მიდევს კალთაში.

თ ა მ ა რ ი — რა კარგი სურათია! მომხიბლველი ლიმილი გაქვთ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ეისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, იმას ჩემს სიბერეს ნუ ანახვებო, — გაგიგონიათ.

თ ა მ ა რ ი — (მინადორას კვლავ სიყვარულით მოეხვევა) არ არის მართალი, თქვენ ვინც დაგელაპარაკებათ, ყველა წარმოიდგენს, თუ რა იყავით ახალგაზრდობაში.

კ ა ტ ო — პეტერბურგში სტუმრად ბრძანდებოდით?

მ ი ნ ა დ ო რ ა — მაშინ იქ ვცხოვრობდით. ჩემი ქმარი იქ მუშაობდა, საყინულეები ჰქონდა იჯარით აღებული; ხესთან რომ დგას, ჩემი ქმარია, მის გვერდით იტალიელი ინჟინერი მორეტი, ჩემი ქმრის მეგობარი. ის მისი მეუღლეა, გოგონები — მათი ქალიშვილები; ყველანი კარგები იყვნენ.

თ ა მ ა რ ი — პეტერბურგში დიდხანს ცხოვრობდით?

მ ი ნ ა დ ო რ ა — არ დაგვცალდა დიდხანს ცხოვრება, რევოლუცია რომ დაიწყო, აქეთ წამოვედით. იქ რაც გვქონდა, ყველაფერი დაგვეკარგა. უკანასკნელად ბოლშევიკები არმავიერში შეგვხვდნენ, ბევრი შიში გამოვიარეთ, მაგრამ ჩემმა ქმარმა ნაცნობები გამონახა და დიდხანს აღარ გაგვაჩერეს.

თ ა მ ა რ ი — ძველმა ოჯახებმა ბევრი შევიწროება განიცადეს.

მ ი ნ ა დ ო რ ა — არა, გენაცვალე, ჩვენ ამ დროით უკმაყოფილო არასდროს არ ვყოფილვართ, ჩემ ქმარს ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

თ ა მ ა რ ი — ძლიერ სასიამოვნოა, ქალბატონო! მე მინდა, რომ ჩვენს დროში ყველა კარგი ადამიანი გახარებული იყოს.

მ ი ნ ა დ ო რ ა — მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დეპეშები, მერე ოდესმე გაგაცნობ, დიდი თანამდებობის პირებისგანაც მაქვს მიღებული, დიდი პატივი გვცეს; იმ დღეს დაწესებულებებმა აქედან-იქიდან იმდენი მანქანები გამოგზავნეს, რომ... ბევრი ძველი ოჯახი განადგურდა, მართალია, მაგრამ ჩვენთვის, ღვთის წინაშე, არაფერი არ დაუშავებიათ.

თ ა მ ა რ ი — ძლიერ სასიამოვნოა! ნუ გაგიკვირდებათ და, მე ისეთი ქალი ვარ, ქალბატონო მინადორა, რომ ჩვენი დროის შესახებ თუ რამე ცუდს გავიგონებ, გულზე ეკალივით მესობა.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ყველანი ასეთები ვართ, შვილო, აბა როგორ? (შემოდის გ ო გ ი, რომელსაც მოყვება ე ვ გ ე ნ ი).

ე ვ გ ე ნ ი — (გოგის დიდი ყურადღებით ეპყრობა) ამ ოთახში გინდა? (გოგი ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს) არა, ახლა არა, ახლა აქ უნდა ვიყოთ! (ბავშვს სახეზე უკმაყოფილება აღებეჭდება).

თ ა მ ა რ ი — (გოგის) ბიძიას ნუ აწუხებ!

მ ი ნ ა დ ო რ ა — (გოგის ალერსით) მოდი, ჩემთან მოდი! (ბავშვს მოეფერება. ევგენი მეორე ოთახში გადის, მინადორა შედის სასადილო ოთახში, რომლის კარის გაღების დროს ჩანს სტუმრებისათვის გაშლილი სუფრა, გამოაქვს შოკოლადის ფილა, გაუწვდის ბავშვს. ბავშვი უარზეა, ფეხები და ხელები უკან მიაქვს) აიღე, გენაცვალე, ნუ გრცხვენია!

თ ა მ ა რ ი — (გოგის) გამოართვი! თავი ასწიე! (ბავშვი შოკოლადის ფილას გამოართმევს, ჯიბეში ჩაიდებს, მეორე ოთახში გადის).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (ბავშვს თვალებს გააყოლებს) რა კარგი ბავშვია, შენ გენაცვალე! თვალები სულ დედისა აქვს! (შემოდის ბ ა ჯ ი, ქერთელი ტანისამოსი აცვია, ხელში ჩვრები უპირავს. მინადორა თამარს და კატოს მიმართავს) ხუთივე სართულზე კიბეს მე ვარეცხინებ, თითქოს სხვები არ ცხოვრობენ, თითქოს ამ კიბეზე მარტო

ჩვენ დავდივართ, ეს შეიძლება? (ცელაე ბაჯის, რომელიც შუა ოთახში დგას) ჰო, ახლა იქით, იქით მორეცხე! (ბაჯი თამარს შეხედავს, ნიშნის მოგებით გაიღიმებს, მიდის).

კ ა ტ ო — (თამარს კედელზე ჩამოკიდებულ მეორე სურათზე მიუთითებს) ეს კი ევგენია!

მ ი ნ ა დ ო რ ა — ამ სურათში ევგენი შვიდი წლისაა. ბორჯომშია გადაღებული.

კ ა ტ ო — ხანჯალზე რა ლამაზად უდევს ხელი!

მ ი ნ ა დ ო რ ა — ევგენი ბავშვობაში ძლიერ ლამაზი იყო, მაგრამ ამ ჩერქეზულ ტანისამოსში მაინც მთელ ბორჯომს თვალს ჭრიდა; იმ დროს, არ ვიცი რასთან დაკავშირებით, ფრანგები იყვნენ ჩამოსული. ჩემი ევგენი ისე მოსწონებოდათ, რომ წყალვარდნილთან მიუყვანიათ და იქ გადაუღიათ ეს სურათი. მერე უთქვამთ: ჩვენში გასავრცელებლად გამოვა სურათები: „კავკასიური ტიპები“ და ეს სურათიც იმისთვის გვინდაო.

კ ა ტ ო — გარშემო რა ლამაზად ეხვევიან აქაფებული ტალღები! (თამარი ინტერესით, მაგრამ მორცხვად უცქერის ევგენის სურათს) მშვენიერი სურათია! (თამარი მათ შორდება; ღია ფანჯრებს მიუახლოვდება).

თ ა მ ა რ ი — (ფანჯრიდან გადაიხედავს, შეკივლებს) აქედან რა საშიში გადასახედი ყოფილა! (კატოს ჩაებღაუჭება, თანაც გადაიხედავს) რა სიმაღლეზეა! თითქოს უფსკრულის წინაშე დგახარ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — მე კი მიყვარს აქ ჯდომა, სასიამოვნო ნიავი იცის.

კ ა ტ ო — (გადაიხედავს, თამარი თავს არიდებს) მართლა რა სიმაღლეზეა, ადამიანს გული გადაგიქანდება! (თამარი მრგვალ მაგიდაზე ჩამოდებულ ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებს).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (ხალისით ძალევს განმარტებას) ეს არის ძველი ჟურნალი „ნივა“, ამაში ბევრ რასმე საინტერესოს შეხვდები. აი, მაგალითად, ეს როდზიანკოა, გვერდით რომ ზის — ჩხეიძეა, გარშემო სხვა დეპუტატები. აქ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა სახელმწიფო სათათბიროში მიიღეს ცნობა ბულგარელების მიერ ადრიანოპოლის აღებისა, მღერიან: „Шуми, шуми, Марица!“ (ევგენი ეძახის დედას. მ ი ნ ა დ ო რ ა გადის მეორე ოთახში).

თ ა მ ა რ ი — (კატოს, ჩურჩულით) მართლა რომ კარგი ოჯახია.

კ ა ტ ო — (ფანჯრიდან იხედება) ჩვენს სახლს შეხედე, ჩვენს სახლს! (სიცილით) სახურავზე ქვები და აგურები ისე აწყვია, თითქოს ნაჭრებისაგან შეკერილი საბანი ახურავსო. ამ ოჯახში ვინც იცხოვრებს, იმას ნეტავ თუ მოჰკლავს რამე?! (შემოდის მინა-

დორა) მხოლოდ ის არის ნაკლი ამ ოჯახისა, რომ რძალი აკლია.

მინადორა — სულ მაგის ლაპარაკში ვარ, მაგრამ რა ვქნა, არაფერი არ გამოდის. იქნებ თქვენ დამეხმაროთ.

კატო — თითქოს თქვენი მოსაწონი ქალი ვერ აღმოაჩინეთ, მართალია?

მინადორა — სულ ტყუილია, ტყუილი! მე ნუ მაბრალებენ, მე არ ვერევი მის საქმეში; ვისაც მოიყვანს, იმას ვემსახურები! (ზარის ხმა. შემოდის ვარლამი, ოთახში აგრეთვე შემოდიან ევგენი, ანთიმოზი, გოგი).

ევგენი — (ვარლამს) სახლში არ დაგიხვდნენ?

ვარლამი — როგორ არა, მალე მოვლენ. იმათაც სტუმრები ჰყავდათ, ჩემი მისვლა გაეხარდათ, აქეთ-იქიდან შემომძახეს, მაგრამ გაჩერებით არ გავჩერდი.

ევგენი — (საათს დახედავს, ანთიმოზს) ეინც მოვა, მოვა, ჩვენ სრულ სამ საათზე დავსხდებით სადილად. მანამდე, თუ შეიძლება, თათარიანნადო, თბილისურად იტყვიან, აგრამ რუსებსაც აქვთ ეს წესი: სანამ სუფრას მოუსხდებოდნენ, ფეხზე ცოტა რამეს შეექცევიან...

მინადორა — (მიხვდება შვილის განზრახვას) კი, დედა, ახლავე! გადმოაქეს პატარა ჭიქები, სასმელები, მათ წინ სუფრაზე ალაგებს).

ანთიმოზი — ჩემს გამო არ შეწუხდეთ, თუ ღმერთი გწამთ, მე ყველაფრით კმაყოფილი ვარ.

ვარლამი — (შინაურულად, თამამად იქცევა) არ ვიცი ჩემი თავი როგორ დაგიხასიათეს, ან თქვენს თვალში როგორ ვჩანვარ, პატივცემულო ანთიმოზ, მაგრამ მე ჩვენებური სუფრა მართლა მიყვარს, გულით მიყვარს. იმის გამო კი არა, რომ სმაჭამაზე დახარბებული კაცი ვარ — სრულიადაც არა! მე მხიბლავს ადამიანთა დამოკიდებულების ის ფორმა, რომელსაც აქ ვხედავ: მობრძანდით! პალტო გაიხადეთ! დაბრძანდით! რას ინებებთ? მიირთვით! გაამოთ! და ასეთები. სხვაგან: „მიღება სამ საათიდან“, „შესვლა აკრძალულია!“, „უსაქმოდ ნუ გაჩერდებით!“ და ამგვარები. ჩემთვის ამგვარი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც სუსხი ყვავილისათვის, იქ ეჭკნები — აქ ეყვავი! (სასმისს იღებს) ჩვენს დღეგრძელ შეხვედრას გაუმარჯოს! (სვამს).

ანთიმოზი — ბედნიერი ყოფილიყოს! (შესვამს).

მინადორა — (მეორე ოთახიდან გამოდის) ტელეფონთან გთხოვენ, პატივცემულო ვარლამ! (ვარლამი მიდის ტელეფონთან).

ანთიმოზი — (მინადორას) ვარლამი სად მუშაობს, ქალბატონო?

მინადორა — ხან აქ, ხან იქ. ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი.

ანთიმოზი — (გაოცებულია) როგორ? კარგი ადამიანის, განათლებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მინადორა — ურიგო კაცი არაა, მცოდნეც არის, მაგრამ არ უმართლებს ცხოვრებაში. რაღაც არ გამოუდის; ცოლი მუშაობს, ბატონო. კიდევ ის, თორემ თვით სულ რაღაცის მოლოდინშია, რაღაც გეგმები აქვს... ჩვენც შევეჩვიეთ და არაფერს აღარ ვეუბნებით.

ანთიმოზი — ამას კი ვერ წარმოვიდგენდი! (შემოდის ვარლამი) შვილები თუ გყავთ, ბატონო ვარლამ?

ვარლამი — შვილები მყავს, მაგრამ ამ საქმეში ცოტა დაჩაგრული კაცი ვარ.

ანთიმოზი — რატომ, ბატონო?

ვარლამი — არ ისწავლეს, ერთი ჯარშია და მეორე შოფრად მუშაობს.

ევგენი — თვით ვარლამი ძველი, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტია, შემდეგ ოფიცერი გახლდათ და ასე...

ვარლამი — (თავმომწონედ) ჩემს ოჯახშიაც გადავალთ, ჩემს ოჯახსაც გაგაცნობთ, ბატონო. (ჯერ ზარის ხმა ისმის, შემდეგ შემოდიან დურმიშხანი და კუკური. ორთაველს საგანგებოდ აცვიათ, გარეგნულად ლამაზი ყმაწვილები არიან, ეტყობათ, რომ ნასვამნი არიან. მათი შემოსვლა საერთო მხიარულებას იწვევს).

დურმიშხანი — (კარებთან შიდგება. სიმღერას წამოიწყებს, კუკური ბანს აძლევს).

„აი, შენ ჩემო შაეო ბატონო,
ფრთაშაეო და ფრთაფარფატო!“...

ქატო — შაეი რათა, ბატონო? შაეი ბატი არ გამიგია.

კუკური — ეს ჩვენ ვიცით! (ყველას ესალმებიან, მაგრამ განსაკუთრებით და მნიშვნელოვნად თამარს, მას ზედიზედ და ხანგრძლივად კოცნიან ხელზე).

თამარი — (ქატოს გადაჩურჩულებს) აქ თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ზღვაში შევედითო, თითქოს წყალი ფეხქვეშ ნიადაგს მაცლისო.

ქატო — ასეთ დიდ ოჯახს, ასეთ გულუხვობას, ასეთ დიდ სიხარულს შეუჩვევლები ვართ და იმიტომ... (შემოდის იასონი).

იასონი — (მასაც ემჩნევა, რომ აქაურობა მოსწონს) ცოტა უხერხულობას ვგრძნობ.

მინადორა — რის გამო, ბატონო?

ი ა ს ო ნ ი — თქვენს ოჯახში პირველად ვარ, იქნებ ხელი შეგიშალეთ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ჩვენი ოჯახი კარჩაკეტილი არასდროს არ ყოფილა.

ე ვ გ ე ნ ი — (იასონის სტუმრობით კმაყოფილია) მაგრამ არც ყველასათვის არის ღია! (ყველას ყურადღებას მიიპყრობს) ინგლისელი, თურმე, ყველაზე მეტად თავის ოჯახს აფასებს... შესაძლებელია ინგლისელი ოცი წელი გიცნობდეთ და არც ერთხელ ოჯახში არ მიგიწვიოთ, მაგრამ თუ მიგიწვიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი ოჯახის ღირსად გცნოთ, დიდად დაგაფასით. ჩემს ოჯახსაც მე ამგვარად ვუყურებ. (კუკურის და დურმიშხანს) იცნობდეთ, იასონ ტურძელაძე! (ღიმილით) არ მგონია, რომ ვაჭრობის საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდეს, მაგრამ იმდენად პატიოსან ადამიანად თვლიან, რომ ჩვენი რაიონის საეაჭრო ორგანიზაციები თითქმის ყველა მას ჩააბარეს. (ეცნობიან).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (იასონს განსაკუთრებულად მიუალერსებს). ძლიერ გვესიამოვნა, შვილო, თქვენი მობრძანება.

კ უ კ უ რ ი — (ჩიქას გაუწვდის იასონს) მიირთვით!

ი ა ს ო ნ ი — (სასმისს გამოართმევს) მე ვგრძნობ, რომ ძვირფას ოჯახს გავეცანი... იცოცხლეთ! (შესვამს).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (იასონს) ხშირად უნდა მობრძანდეთ, ბატონო, ხშირად.

ე ვ გ ე ნ ი — აბა, ვარლამ, დღეს უნდა გვასახელო, თამადად შენ გვეყოლები! (ანთიმოზს) თქვენი ამბავი ყველას გვახსოვს; დიდი სიმწარე გაქვთ გამოვლილი, მაგრამ ჩვენთან მაინც მხიარულად უნდა იყოთ!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (მათ შორის ამაყად ჩანს, მტკიცედ წარმოსთქვამს) დღეს კუკიის სასაფლაოზე ისეთი რამ ვნახე, რომ გული გამიმხნევდა, ძალა მომემატა, წელში გავიმართე...

მ ი ნ ა დ ო რ ა — გასამხნევებელი რამე სასაფლაოზე ვის უნახავს, ბატონო?!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — მე ვნახე! შესავალთან, საფლავზე ტანკი დევს, დიდი, ნამდვილი ტანკი... ის, სურათიდან ჩანს, შევარდენივით ეაკკაცი ყოფილა, იმას ვენაცვალე! მე და გოგიმ ქუდები მოვიხადეთ.

გ ო გ ი ა — (გაუბედავად) ბაბუამ დაიჩოქა.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ჩემი შვილიც ტანკისტი იყო... (ჩაფიქრდება. უცებ წამოიძახებს) სხვა რამე ვილაპარაკოთ, ასეთი რამეების გახსენება

არაა, ბატონო, საჭირო! მარტო მე ხომ არ ვარ? ფრონტზე შვილი ვის არ დაღუპვია!.. ასეთი შვილიშვილი მყავს, ასეთი რძალი მყავს, ამათ ვენაცვალე, ბედხიერი კაცი ვარ! ან მას მკვდარი რატომ უნდა ეუწოდო, როდესაც მის სახელს თქვენისთანა ძვირფას ხალხში ახსენებენ?! მე რომ ცოცხალი ვარ, ვითომ მას ვჯობივარ?! (კუკური და დურმიშხანი კელავ წამოიწყებენ სიმღერას, კელავ ახმაურდებიან. მინადორა სწრაფად გადის სასადილო ოთახში. შემოდის გ ი გ ო, საშუალო ტანის კაცია, სუფთად აცვია, ხელში ძველებური მსხვილი ჯოხი უჭირავს).

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — გიგოს გაუმარჯოს, ჩვენს გიგოს, ზურაბიჩს!

გ ი გ ო — (გაღიმებული სახით იქით-აქეთ იხედება) კარგ ხასიათზე ხართ, ყმაწვილებო!

კ უ კ უ რ ი — რატომ არ უნდა ვიყოთ? მორჩა, პრეფერანსში მეტს ველარ მოგვიგებთ! (იასონს გადახედავს).

გ ი გ ო — (ჩაიხითხითებს) ვნახოთ! ვნახოთ!

ე ვ გ ე ნ ი — (გიგოს ანთიმოზზე მიუთითებს) გაიცანით, თამარის მამამთილი გახლავთ!

გ ი გ ო — ვიცნობ, შორიდან გამიგია! (ჯოხს კედელზე მიაყუდებს, ყველას სათითაოდ შეხედავს, შემდეგ ყველას ხელის ჩამორთმევით ესალმება).

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ბოდიში, ბატონო, მაგრამ სადაური ბრძანდებით?

გ ი გ ო — იმერელსა ჰკითხეს, სადაური ხარო, — კარგი კი ვარ და სადაურიც არ უნდა ვიყოო!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (დარცხვენილი) ამის გამო არა, ბატონო, რაღაც მეცნობით და იმიტომ შეგეკითხეთ.

კ უ კ უ რ ი — საიდან უნდა გეცნობოდეთ, ქალაქელი კაცია.

ე ვ გ ე ნ ი — (ანთიმოზს) მამაჩემის მეგობარი გახლავთ...

გ ი გ ო — ახლა ამათი!

კ უ კ უ რ ი — (ყველას გასაგონად წარმოსთქვამს) გიგოს რომ თმები არ ცვივა, არ გიკვირთ?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — ყველანი მელოტდებიან, ამას კი შეხედეთ!

გ ი გ ო — (თხელი თმით დაფარულ თავზე ხელს თავმომწონედ გადაისვამს) მაშ რა გგონიათ!

კ უ კ უ რ ი — შენ ნამდვილად რაღაც წამალი იცი, გიგო.

გ ი გ ო — (შეიფერებს) ვიცი! რატომაც არა!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — (დაინტერესებით) მართლა იცი წამალი?

გ ი გ ო — ვიცი-თქვა, რომ გეუბნები, რატომ არ გჯერა? (სიტყვის ბანზე აგდების მიზნით) კი, მაგრამ... დღეს აქ როგორ არის საქმე?

კ უ კ უ რ ი — (უცებ ევგენის ხელს გადახვევს) ჩემს ევგენის ვენაცვალეთ, აჰა, შეხედეთ! (ფანჯრისკენ გაიშვერს ხელს) ეს სახლი კოშკივითაა ამართული, ცათაწვდილია! ყველაფერს ზევიდან დავყურებთ!

ვ ა რ ლ ა მ ი — (შეუმჩნეველად გიტარა აუღია, მთელი ხმით მღერის).

В глубокой теснине Дарьяла,
Где роется Терек во мгле,
Старинная башня стояла,
Чернея на черной скале.
В той башне, высокой и тесной,
Царица Тамара жила:
Прекрасна, как ангел небесный,
Как демон, коварна и зла.[1]

მ ი ნ ა დ ო რ ა — (სასადილო ოთახის კარს ფართოდ აღებს. ჩანს დიდი, ლამაზად გაწყობილი სუფრა) მობრძანდით, ბატონებო! (შედიან სასადილო ოთახში. კუკური ფოტოაპარატს მართავს. კატო დროს იხელთებს, ევგენის სწრაფად მივარდება, გვერდზე გაიხმობს).

კ ა ტ ო — (სხაპასხუპით ეუბნება) ევგენი, შენი ჭირიმე, დავრწმუნდი, რომ ეს სხვანაირი გულის ქალია, სხვებს არ გავს...

ე ვ გ ე ნ ი — (გულმოსული მიაჩერდება) მერე?

კ ა ტ ო — ცოდვაა, მოერიდე!

ე ვ გ ე ნ ი — (მტკიცედ) არ შემიძლია!

კ ა ტ ო — (გულწრფელად შემკრთალია) გული უარს მეუბნება... ხომ ხედავ, რა კარგი ადამიანები არიან... რაიმე უბედურებას არ გადავკიდოთ.

ე ვ გ ე ნ ი — ჩემს გულში ხომ ჩაგახედე! ჩემი დარდი ხომ გაგიმხილე! ხომ დაგავალე გეთქვა, რაც...

კ ა ტ ო — (დამნაშავესავით) ეუთხარი, მაგრამ, რა ვქნა, მისმა გულმა არ მიიკარა.

ე ვ გ ე ნ ი — ხვალ მოელენ მუშები, შენს სახლს სახურავს სულ ახდიან, ახლით გადაგიხურავენ... შუშაბანდშიაც იატაკს ახალს დააგებენ, შეღებავენ.

კ ა ტ ო — (უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი) იცი რა გითხრა...

ე ვ გ ე ნ ი — (შეუტევს) სსუუუ! (ხელს კიდებს. სასადილო ოთახში შემოყავს. კუკური ფოტოაპარატს მოიმარჯვებს, ისმის მისი ჩხაკუნი).

ფარდა

[1] ადგილი ლერმონტოვის ლექსიდან.

მეოთხე მოქმედება

მესამე სურათი

მაღალ ბოძებზე შემდგარი ოდის ლამაზი, ჩუქურთმებიანი აივანი, ცეშენტის განიერი კიბით. კიბეს ორივე მხრივ ვარდის ბუჩქები ახვევია, აივნის ერთ მხარეს აულაგებლი ლოგინი ჩანს. აივნის შუაში მაგიდა დგას, რომელზედაც წიგნები, რვეულები აწყვია. ზაფხულის მზიანი დილაა. ხანდახან ისმის ჭრიჭინების ჭრიჭინი

გ ო გ ი — (თავს წამოყოფს ფანჯარასთან, რომელიც აივანზე გაშლილ ლოგინს დაჰყურებს. ახალი გაღვიძებულია) დედა! (მზის სინათლე თვალებს სჭრის, თვალებს ხელებით იფშვნეტს, ლოგინს დახედავს) დედა უკვე ამდგარა?! (იზმორება, ისევ წვება, აღარ ჩანს. რამდენიმე ხნის შემდეგ მისი მკვეთრი სტვენა გაისმის. კიბეზე ამოდის **ა ნ თ ი მ ო ზ ი**, ეტყობა, გოგის სტვენას ყურს უგდებს. აივანზე შედგება. გოგი შენიშნავს, წამოხტება, გახარებული მოეხვევა). ბაბუ, ჩემო ბაბუ! (შეახტება, აწვალებს)

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (მაგიდაზე ჭყინტი სიმინდის ტაროებს დაყრის, ჩამოჯდება), მე და შენ ხომ ყველაფერში შეთანხმებულნი ვართ? ერთმანეთთან ხომ ამხანაგებივით ვართ?

გ ო გ ი — კი!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — მე ხომ ყველაფერი მომწონს შენი? მე ხომ მუდამ შენს მხარეზე ვარ?

გ ო გ ი — კი!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — მე შენი მარტო ის არ მომწონს, რომ სტვენა გიყვარს. რამდენჯერ გითხარი, ბაბუ, სახლში სტვენა არ შეიძლება, არა! სტვენენ ტყეში, სახლში არ უხდება.

გ ო გ ი — ტყეში თუ შეიძლება, სახლში რატომ არ შეიძლება?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ძველი ნათქვამია, ალბათ არ ვარგა.

გ ო გ ი — რატომ? რატომ?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — რატომ და, შორს აქაურობას და, ის სახლი გამოყრუვდებაო. (ხელს შემოკრავს) წადი და პირი დაიბანე.

გ ო გ ი — (ოთახიდან გამოაქვს წითელი ხელსაბანი საპონი, პირსახოცი). კბილის ფხვნილიც წაიღო?

ანთიმოზი — ასეთები მე არ ვიცი, მხოლოდ კისერი კარგად დაიბანე, ყურის ძირებიც.

გოგი — (შეიშნავს მაგიდაზე დაყრილ ჭყინტი სიმინდის ტაროებს) ო, როგორ მიყვარს ამათი ულვაშების სუნი! (მოგლეჯს, ყნოსავს, კიბეზე ჩარბის).

ანთიმოზი — (სტვენას წამოიწყებს. შეკრთება) ღმერთო მომკალი! ბავშვს ვუკრძალავ და მე წამოვიწყე?! სიხარულისაგან მომდის. (თამარს ეგებება) მობრძანდი, ჩემო ბატონო, მობრძანდი!

თამარი — (კიბეზე ამოდის, ჩვეულებრივად შავი კაბა აცვია, შიშველი ფეხები ფოსტლებში ჩაუდგამს) ადრე დაბრუნებულხართ, მამა.

ანთიმოზი — სიმინდები მოვიტანე.

თამარი — (გაეხარდება) უკვე შემოვიდა?

ანთიმოზი — აწი ჩვენს სოფელს არაფერი არ შეედრება; ჭყინტი სიმინდი, ლეღვი, ყურძენი, სხვა ბევრი რამეც. ხურმამ წელს იმდენი მოისხა, რომ ტოტებს ხუთ ადგილას შევუყენე ჯოხები. წელს შარშანდელზე უკეთეს ჩირს დავამზადებ (სმენას გაიმახვილებს). გესმის? მოლაღურის ხმაა! ჰო, წელს თბილისში ხურმის ისეთ ჩირს ჩამოგიტან საახალწლოდ, რომ სასახელოს! (თამარს აკვირდება) მეჩვენება, თუ მართლა რამე გაწუხებს?

თამარი — (ჩაფიქრების შემდეგ) თბილისზე გული ამივარდა.

ანთიმოზი — (მოულოდნელი პასუხი გააოცებს) რატომ, შვილო? მე იქ გულით გავიხარე, აქ ყველას ვეუბნები: ისე მოეწყო ჩემი რძალი თბილისში, რომ უკეთესი არ იქნება-მეთქი. სამსახურში ხომ არ გეპყრობიან ცუდად?

თამარი — პირიქით, ყველანი კარგად, ყველანი პატივს რომ მცემენ, იმის გამო გამიშვეს ასეთ კარგ დროს შვებულებაში.

ანთიმოზი — (დაღონდება). მე ვიცი, რაშიაც არის საქმე. ბავშვის წაყვანა გინდა, მარტო ველარ ძლებ.

თამარი — ბავშვი წალკოტში მყავს, აქაურობას არ მოვაშორებ.... აქეთ ნესტიანი ჰავა არისო, ვინ თქვა? აქაურ ჰავას ისე ხარბად ვსუნთქავ, რომ... (ფეხზე დაიხედავს) ჰო, რა სასიამოვნო იყო, ამ დილით ცვრიანი ბალახი რომ მხვდებოდა ფეხებზე, ტანში ერუანტელი მიელიდა.

ანთიმოზი — (გაეხარდება, გამხნევდება) ასეთი რამეები მითხარი, გული გამიხარე! (მოეხვევა)

თამარი — ლეღვებშიაც შევიჭვრიტე, ბევრი ვათვალიერე, ერთი უკვე დამწიფებულიყო, რა ლამაზად ჩანდა! ჯოხით გადმოვიწოდე, ტანზე იმდენი ცვარი მეფრქვეოდა, იმდენი, რომ... ო, რა სასიამოვნო იყო!

ანთიმოზი — (მოლალურის ხმას ყურს უგდებს) რა გარკვევით ამბობს: „შვილო, გოგია!“, „შვილო, გოგია!“ (თამარს გვერდით მოიყენებს) ამ ჩვენს სოფელში, ამ დიდ შარაზე რომ მივდივარ, ეზოებიდან მომძახიან: „რძალი ჩამოგვიდა, ანთიმოზ?“ „რძალი ჩამოგვიდა?“ მეც ვუპასუხებ: „მადლობა, ჩემო ბატონო!“, „მადლობა, ჩემო ბატონო!“ და ისე შევდივარ ყანაში. (ჩაფიქრდება) ისე, კოლმეურნეობაში ისეთი დაფასება მაქვს, რომ გესიამოვნება, შვილო; მაჯილდოებენ, მაქებენ, საუკეთესო მთოხნელიაო; ჩემი სურათი, მინდორზე რომ დიდი ცაცხვი დგას, იმაზე არის მიკრული... ამ დილით მანქანით ჩამოგვიარეს რაიკომიდან, ერთმა, არ ვიცი ვინ იყო, მაგრამ კაი შესახედავი ყმაწვილი იყო, ჩემზე უთხრა სხვებს: გიორგი ტორონჯაძის მამა არისო, ნამდვილი ვაჟკაცი იყოო, მი'ამა ტანკმა ქვეყანა გააკვირვაო. მერე დაბალი ხმით დასძინა: დაიღუპაო. მე არაფერი მითქვამს, ჩემთვის ვიდექი, სხვები კი აქედან-იქიდან მაკვირდებოდნენ. (შემორბის გოგი)

თამარი — საპონი რა უყაელ?

გოგი — იხვებმა წამართვეს.

თამარი — შენ რომ რაიმე მარცხი არ მოგვიდეს, ისე ხომ არ შეიძლება.

გოგი — უცებ მომტაცეს, ღელეში ჩაითრიეს და მე რა უნდა მექნა?

ანთიმოზი — ხომ ასე? იმათ მალე სულ ყველას დავჭრი თავებს. (გოგი შედის ოთახში)

თამარი — წელს გამოცდა იმიტომ გამოჰყვა, რომ მე არ ვადექი თავზე (გოგის, რომელიც ოთახიდან უკვე გამოვიდა) გულს არ უდებ, თორემ რუსულში როგორ გაგიჭირდება! სირცხვილი არ არის?

ანთიმოზი — (გოგის ეფერება). არაფერია, გამოასწორებს.

თამარი — არა, არა! მე ბავშვის სიზარმაცეს ვერ ვიტანს! (მაგიდას მიუჯდება, წიგნს გადაშლის, თვალს გადააყლებს) მეორმოცდაოთხე გვერდიდან დაგეწყოთ, ხომ? (ანთიმოზი მათ თავზე დაადგება).

გოგი — (წიგნში ჩაიხედავს) არა, აქედან...

თამარი — კარგი! (გადაათვალიერებს) როგორ იქნება რუსულად მდინარე?

გოგი — Река.

თამარი — როგორ იქნება მთის მდინარე?

გოგი — Горная река. (ანთიმოზს სიამოვნებს, რომ სწორად პასუხობს)

თამარი — როგორ იქნება მთვარე?

გ ო გ ი — (ეცებ ვერ პასუხობს, პაპას შეხედავს, ანთიმოზს სურს უკარნახოს, მაგრამ მასაც არ აგონდება და წუხს. ეცებ ბავშვი უპასუხებს) луна.

თ ა მ ა რ ი — როგორ იქნება ქათამი? (გოგის არ აგონდება, კვლავ ბებუამისს გადახედავს) მთვარე იცი და ქათამი დაგავიწყდა?!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (ეჩურჩულება) პეტუს, ბებუ, პეტუს.

გ ო გ ი — Курица!.. (ბებუამისს ირონიით გადახედავს. სხაპასხუპით წარმოსთქვამს) Во дворе ходит красивая курица, а жучка за ней.

თ ა მ ა რ ი — (გაუწყრება) შენ რასაც არ გეკითხებიან, იმას ნუ პასუხობ. აბა, ეს ლექსი მითხარი ზეპირად.

გ ო გ ი — (წიგნში ჩაიხედავს) რომელი?

თ ა მ ა რ ი — აი ეს.

გ ო გ ი — ((გაბედულად დაიწყებს, მაგრამ მერე ცალი თვალით წიგნში იხედება)

«Чижа захлопнула бедняжку западня...»

(ხერეულობს, ეტყობა, არ იცის. რამდენიმეჯერ იმეორებს, ველარ აგრძელებს. ანთიმოზმა არ იცის რითი უშველოს)

ა ნ თ ი მ ო ზ ი — დღეს კვირა დღეა, ყანაში წაგიყვან-მეთქი, დავპირდი ბავშვს.

თ ა მ ა რ ი — (მტკიცედ) ვერსად ვერ წავა! სანამ გაკვეთილს არ ისწავლის, ვერსად ვერ წავა! (გადაფურცლავს წიგნს. მოულოდნელად ისმის მანქანის საყვირის ხმა)

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ჩვენს ჭიშკართან შეჩერდა?! გადმოვიდნენ! ჩვენკენ მოდიან; მაგრამ უცნობები არიან.

გ ო გ ი — (სწრაფად წამოხტება) ბიძია ევგენი! (ყვირილით გარბის).

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ვარლამიც მოჰყვება! (იბეზე ჩარბიან ა ნ თ ი მ ო ზ ი და გ ო გ ი, შემდეგ მათთან ერთად შემოდიან ე ვ გ ე ნ ი და ვ ა რ ლ ა მ ი. თამარი მათ ცივად ხვდება) საიდან? როგორ მოხდა?! (ევგენი და ვ ა რ ლ ა მ ი თამარს ესალმებიან).

ე ვ გ ე ნ ი — მივლინებაში ვარ, თქვენს რაიონში გამომგზავნეს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ძლიერ სასიამოვნოა! ასმათი რომ ცოცხალი მყავდეს, მე ვიცი როგორც დაგხვდებოდით, მაგრამ არც ახლა შევირცხვენ თავს.

ვ ა რ ლ ა მ ი — ოცდაორი წელია, რაც აქეთ არ ვყოფილვარ, ოცდაორი! ო, დღეს როგორ გავიხარე! რა ეზოებია, რა სახლები, რა ჰაერი! გაფრენა მინდა!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — თქვენ რომ ჩვენს ოჯახში გხედავთ, ვერ წარმოიდგენთ როგორ მიხარია, ბატონო ვარლამ!

ე ვ გ ე ნ ი — რომ გაიგო აქეთ მგზავნიან, მეც წამოგყვებიო, მითხრა....

ა ნ თ ი მ ო ზ ი — კარგად მოქცეულხართ, რომ აქეთ წამობრძანდით, მაგრამ ის კიდევ უკეთესი, რომ პირდაპირ ჩვენთან მობრძანდით.

ე ვ გ ე ნ ი — ამა და ამ ადგილას ცხოვრობსო, თქვენზე გვითხრეს, თქვენი სახლის წინ გავიარეთ და...

ა ნ თ ი მ ო ზ ი — როგორ, გვერდის აცლას აპირებდით თუ?

ვ ა რ ლ ა მ ი — (სიხარულს შეუპყრია) რა ცაა! გეფიცებით, ასეთი რამ ყმაწვილობის შემდეგ არ ჩამიდენია, წინათ ფაიტონიდან გადმოვხტებოდი, დღეს მანქანიდან გადმოვხტი, შეეედი უცხო კაცის ეზოში, მოვწყვიტე ჩაის ვარდი და გულზე მივიბნიე.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ღმერთო მომკალი! როგორ დავიბენით! (თამარს) ჩამოართვი სტუმრებს ბარგი! (თამარი ევგენის საზაკხელო ჰალტოს, პორტფელს, ვარლამს პატარა ჩემოდანს ჩამოართმევს, ოთახში შეაქვს)

ე ვ გ ე ნ ი — (ანთიმოზს) თქვენ რძალს არ სიამოვნებს ჩვენი სტუმრობა.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ამას როგორ გავიფიქრებ, მაგრამ სტუმრების მიღება უკეთ იცოდა და დღეს რა მოუვიდა?! (ვარლამს) ისე, ხომ კარგად იმგზავრეთ? დაღლილები ხომ არ ბრძანდებით?

ვ ა რ ლ ა მ ი — მშვენიერად ვიმგზავრეთ, ბატონო, ისე რომ უკეთესი არ იქნება! რიონში მაინც რა ლამაზად გათენდა? აქედან რომ ლეჩხუმის მთებმა მომანათეს და იქედან გურიისა, — გულმა სულ ბაგაბუგი დამიწყო. მშვენიერად ვიმგზავრეთ, მშვენიერად! შემდეგ ძველებურად, კონიაკის ბოთლი გავხსენით.

გ ო გ ი — (ევგენის ებღაუკება) წავიდეთ, ბიძია ევგენი, ჩიტის ბუდეს ისეთ ადგილას განახვებ, რომ გაგიკვირდება.

ე ვ გ ე ნ ი — სიამოვნებით! შენთან ყოფნა არ მომწყინდება.

გ ო გ ი — ბარტყები უკვე დაფრენილები არიან, მაგრამ ბუდეს რომ დაინახავ, მაინც გაგიხარდება.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — აბა, ცოტა მიიხედ-მოიხედეთ, კარგი ეზო მაქვს. ცოტა ხანი არ მოიწყინოთ, თქვენი ჭირიმე, და მერე მე ვიცი.

ვ ა რ ლ ა მ ი — მშვენიერი ეზოა! დახატული! (იბეს შემოხვეულ ყვავილებს შორის ხელებს გაშლის) აი ეს მესმის! ვარდების ქვეყანაში ვარ! აქ სულით და გულით შევხარი ყვავილებს, თბილისში კი ამათი დანახვაც არ მინდა; იქ ისე შემაძულეს, რომ...

ა ნ თ ი მ ო ზ ი — რამ შეგაძულათ, ბატონო?

ვ ა რ ლ ა მ ი — გვირგვინებმა! რა საშინელი შესახედავია, იმის შემდეგ მაინც, როცა დაამტვრევენ, დალეწენ და საფლავზე მთასაეით ამართავენ! მით უმეტეს ისეთ ამინდში, როცა წვიმს და

თოვს. როგორ შეიძლება ყვავილების ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება?

ევგენი — (ბოგის ხელს გადახვევს) ჩვენ მივდივართ! (ყიბეს ჩაირბენენ, მათ ვარლამიც მიჰყვება).

ანთიმოზი — (თამარს) აბა შენ იცი! უჩემობა არ დაეტყოს აქაურობას, ჩემ მოსვლამდე რაც საჭიროა, ყველაფერს გააკეთებ (თამარის მოწყენას მისი წასვლის განზრახვით ხსნის, ამის გამო ნახევრად ბოდიშის მოხდის კილოთი მიმართავს) მე რომ დღეს სამუშაოდ არ გავიდე, არ ივარგებს... არც ერთი შრომადღე არ მაქვს გამცდარი და მინდა ამნაირად ვიყო; მერე კიდევ, იცი რა? (დამნაშავესავით) გულში მაქვს ჩათქმული, ჩუმად, ჩემს გუნებაში ფიცი მაქვს მიცემული, ისე ვიცხოვრო, როგორც ჩემი გიორგის სახელს შეჰფერის, რაც მას უყვარდა, ის გავაკეთო. (უცებ ხმამაღლა დაიწყებს ძახილს) ევა!.. ევა!.. (თამარს მიუბრუნდება) მე ყველაფერს ევას დავავალებ. შენ ისე, მსუბუქად, სადილის მომზადებამდე რაც საჭირო იყოს... (ოთახიდან გამოდის ევა, ეტყობა უკანა კარებიდან შემოსულა) სად ხართ მეზობლები? ასე უნდა? ხომ ხედავთ, რომ სტუმრები ჩამომივიდა.

ევა — ვხედავთ, როგორ არ ვხედავთ!

ანთიმოზი — მერე სად ხარ?

ევა — ღობეზე ვიყავი მოფარებული, აბა, ასეთ სტუმრებთან უცებ ხომ არ გამოვჩნდებოდი.

ანთიმოზი — გოჭის შეწვას, იცოდე, შენ გავალებ, სხვა რაძესაც. წამომყევით! ყველაფერს მოგიმზადებთ (მიდიან უკან კარებიდან. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდის ევა, მოჰყვება ანთიმოზი).

ევა — (ანთიმოზს) ყველაფერი იქნება, ბატონო, ყველაფერი! შენ წადი ახლა შენ საქმეზე.

ანთიმოზი — (წასვლას აპირებს, მაგრამ შეჩერდება) ევა, როგორ ატყობ, რატომ არის თამარი მოწყენილი?

ევა — (დაუფიქრებლად მიაყრის სიტყვებს) მოწყინდა სოფელში, ბატონო, მოწყინდა! რომ გამოუარა იმ საუკეთესო ხალხმა და ეხვეწებოდნენ გაგრაში წამოგვყევიო, უნდა გაგეშვა.

ანთიმოზი — გაგრა რა ჩემი რძლის ადგილია!

ევა — რატომ? გაერთობოდა.

ანთიმოზი — როგორ? იმ ხალხში გარეულიყო ზღვის პირზე?

ევა — აბა სანამდე უნდა იყოს შავებში გახვეული? ერთხელ მაინც შეხედოს მზის სხივებმა მის თეთრ ტანს. ახლა ლაპარაკის დრო არ არის, ანთიმოზ, არა!

ანთიმოზი — კარგი! კარგი! (მიდის, თან ამბობს) დაპობილი შეშა ბოსტანში აწყვია, იცოდე. (შემოდის თამარი).

თამარი — წყალი შეედგი ცეცხლზე, გობი მოვრეცხე.

ევა — (შეუტევს) არაფერი არ ძალიცა მე შენი, არაფერი! ტყვილა ხელს ნუ მიშლი! (ოთახში ფუსფუსებს) ცერეცო დამიკრიფე შენ, ცერეცო, სხვა არაფერი არ მინდა! (ოთახიდან გამოდის) რა „პლაშჩი" ქონია! სარჩული ნახე, სარჩული? (უცებ რაღაც მიიპყრობს მის ყურადღებას) გოგია მხარზე ‘ძეუსვამს და დაარბენინებს! (წამოიძახებს ჩუმად, მაგრამ წყრომით) ჩამოდი, ბიჭო, სირცხვილია! ამ ჭრიჭინებმა კიდევ უფრო მოუმატეს ჭრიჭინი, დღეს დიდი სიცხე იქნება. წაეედი ახლა მე, თორემ შევრჩი ლაპარაკს.

თამარი — მეც წამოგყვები.

ევა — რად მინდიხარ! ტყვილა გაიშვარტლები ცეცხლთან. შენს თავს მიხედე, როცა საჭირო იქნები, მე თვითონ დაგიძახებ. (მიდის. თამარი ტახტზე ჩამოჯდება. ფიქრებს მიეცემა. რამდენიმე ხნის შემდეგ კიბეზე ამოდის ევგენი, თამარს შეუმჩნეველად უახლოვდება. თამარი უცებ შეკრთება, უხერხულობას გრძნობს, თითქოს იმის გამო, რომ ფეხზე წინდები არ აცვია:).

ევგენი — არა უშავს, უხერხულობას ნუ გრძნობ. ლამაზი ფეხები გქონია, წვიანები თეთრი, ქუსლები წითელი, ისე წითელი, თითქოს ფეხები ვარდებზე დაგიბიჯებიაო.

თამარი — (წარბებს შეიკრავს, მწყრალად შეხედავს) მე თქვენთვის არასოდეს არავითარი საბაბი არ მომიცია, რომ ასე თამამად მომეპყრათ.

ევგენი — ვინ იფიქრებს, რომ ისეთი სათნო სახის ადამიანს, როგორც შენ ხარ, ქვის გული აქვს?

თამარი — (უკმეხად) მე ასეთი სიტყვების მოსმენა რომ არ მსურდა, იმიტომ გადმოვვარდი თბილისიდან.

ევგენი — (შეუპოვრად) ქვესკნელში რომ ჩახვიდე, იქაც ჩავალ, ზღვის ფსკერზე გიპოვი და იქაც იმასვე გეტყვი, რასაც ასე შორს გაურბიხარ! (თამარი წასვლას აპირებს. რადგან ევგენის თავგადმოდება შეაკრთობს. ევგენი გზას გადაუღობავს).

თამარი — რა გინდა ჩემგან?

ევგენი — ისე ძლიერად, როგორც შენი ბედნიერება, შენი გახარება, შენი კარგად ყოფნა, მე სხვა არაფერი არ მსურს ამ ქვეყნად!

თამარი — (მტკიცედ) მართალი არ არის! შენ მხოლოდ გსურს წამართვა ის ერთადერთი სიმდიდრე, რომელიც მე გამაჩნია. — ღირსება ახალგაზრდა ქვრივი ქალისა! რატომ? ნუთუ ის, რო-

მელიც დაიღუპა იმისათვის, რომ შენისთანებმა ბედნიერად იცხოვრონ, ღირსი არ არის რომ მისმა მეუღლემ მისი სახელი სიკვდილის კარამდე ატაროს?

ე ვ გ ე ნ ი — (გაბარებულია იმის გამო, რომ თამარმა ასე ერცელი განმარტება მისცა) მე რომ დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ თქვენ ამ ქვეყნად ისე იცხოვრებთ, როგორც განგიზრახავთ, მაშინ თქვენს მიმართ ჩრდილივით მოკრძალებული და მორიდებული ვიქნებოდი, მაგრამ მე ვიცი, თქვენ ასე არ გამყოფებენ... თქვენ თავს კი ვერავის დავუთმობ! მთელი ქვეყანა რომ წინ აღმიდგეს — შეეებრძოლები!! (თამარს აკვირდება, იმედი მიეცემა) მე გთხოვთ, ჩემს ნათქვამს კარგად დაუფიქრდეთ, მშვიდად განსაჯოთ!

თ ა მ ა რ ი — ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება იგივეა, რაც იყო.

ე ვ გ ე ნ ი —(ჩამოჯდება. თაედახრილი ზის) მაშ კარგი, შემდეგ არ ინანო!

თ ა მ ა რ ი — (ევგენის ნათქვამი დაინტერესებს) რა უნდა ვინანო?

ე ვ გ ე ნ ი — (წაილუღლუღებს) თავს რომ მოვიკლავ მაშინ...

თ ა მ ა რ ი — (ოდნავ ირონიაშერეული ხმით) თავს მოიკლავ!?

ე ვ გ ე ნ ი — არ გჯერა, მაგრამ, როგორმე მეც შეეძლებ ჩემი თვისებების გამომჟღავნებას! (ჩაფიქრების შემდეგ) ბოლოსდაბოლოს იმას მაინც რატომ არ გაუწევ ანგარიშს, რომ ამდენი ხნის კაცი ვარ, გარშემო ქალიშვილები ისე არიან შემოჯარულნი, როგორც ყვავილები ბაღში გავლის დროს; არც ერთისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, თითქოს არც არიანო ამ ქვეყნად. არ გჯერა? არ გჯერა იმიტომ, რომ არ იცნობ ევგენი ამაშუკელს!... შენი თბილისიდან წასვლა მე ისე განვიცადე, თითქოს ბნელ ოთახიდან ანთებული შანდალი გაიტანესო... (თამარს აკვირდება) მეჩვენება თუ ნამდვილად შევნიშნე იმედის მომგვრელი ღიმილი თქვენს სახეზე? აგრე, გამიღიმე, ჩემო ანგელოზო! (თამარი კვლავ წარბებს შეიკრავს, კვლავ მწყრალად დგას) მაშ, ნამდვილად უბედური ვარ? (შემოვარდება გ ო გ ი)

გ ო გ ი — ბიძია ევგენი, ღელე უკვე გავიყვანეთ, პატარა, პატარა თევზები მოდიან... წავიდეთ! აქ რა არის საინტერესო? (ვარლამს გადასძახებს) მანდ იყავით, ბიძია ვარლამ, მოვდივართ! (ევგენის) წავიდეთ! (ევგენი ყურადღებას არ აქცევს, გოგი გარბის. ისმის დასაკლავი გოვის ბღავირილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ოთახში შემოდის ევა, ივანაზე მჯდომ ევგენის ვერ ამჩნევს)

ე ვ ა — (თამარს უყურის) ჩაიცვი ახლა შენ! ერთი კოხტად ეჩვენე იმ ხალხს! (ივანაზე გამოდის, ევგენის დანახვაზე შეკრთება) ღმერთო მო-

მკალი! (წასელას დააპირებს, მაგრამ ეევგენი სწრაფად წამოდგება, თავ-მდაბლად ესალმება, ევა მანქვა-გრეხით უახლოვდება).

თ ა მ ა რ ი — (ევგენის) გაიცანით! ჩვენი საუკეთესო მეზობელი გახ-ლავთ, ამ ოჯახის ჭირისა და ლხინის მოზიარე.

ე ვ ა — (ევგენის) ღობე კი გვყოფს, ბატონო, მაგრამ გაყოფილი არა-ფერი არ გვაქვს. გოჭი აწი შეიწვება, მაგრამ მანამდე ყველა-ფერით მზად ვარ და სანამდე ყველანი შევიკრიბებოდეთ, მა-ნამდე ისე, თქვენი ჭირიმე, (სუფრის გაშლას იწყებს) ცოტა წაი-ხემსეთ.

ე ვ გ ე ნ ი — საჭირო არ არის, ნუ წუხდებით! (პაპიროსს ამოიღებს, ეწევა).

ე ვ ა — (ოთახიდან მრგვალი მაგიდა შემოაქვს) სანამ იმ დიდს გავშლიდეთ, მანამდე აგერ, ამ პატარა მაგიდაზე, ცოტა რამე... (ენერგიუ-ლად მოძრაობს, პატარა მაგიდასთან ერთად ღიდ სუფრასაც შლის. ამ ხნის განმავლობაში თამარი ოთახში შედის, ფეხზე წინდები ჩაუცვამს, ღიდნავ შეცელილა).

ე ვ გ ე ნ ი — თითქოს სადღაც შევხვედრივართო, ქალბატონო ევა.

ე ვ ა — (საქმიანობას განაგრძობს) შეიძლება, შეიძლება! ჩვენკენ ხში-რად ბრძანდებით?

ე ვ გ ე ნ ი — თქვენ წარმოიდგინეთ, არა! ასე, საქმემ თუ გამოიწვია და მივლინებაში თუ გამგზავნეს, თორემ ისე, იშვიათად გავ-დივარ თბილისიდან... თბილისში თუ გიხდებათ ჩამოსვლა, ქალბატონო ევა?

ე ვ ა — ხშირად, ბატონო! მარწყვი ვერის ბაზარზე პირველად მე შე-მომაქვს! სხვა რამეებიც, როგორ არა! ხშირად ვარ!

ე ვ გ ე ნ ი — (ხასიათი გამოუსწორდება. გამოცოცხლდება) ცოტა ხნით ბავშვთან შევირბენ, თორემ გული დაწყდება. (მიდის)

ე ვ ა — (თამარს) პაპიროსს რა ლამაზად ეწევა, დააკვირდი? ამდენი ხნის ქალი ვარ და, კაცი რომ ასე ლამაზად პაპიროსს ეწეო-დეს, მე ჯერ არ მინახავს! (შემოვარდება ა ნ თ ი მ ო ზ ი).

ა ნ თ ი მ ო ზ ი — როგორაა საქმეები? (ოფლიან სახეს იმშრალებს)

ე ვ ა — ყველაფერი ისეა, როგორც შენ გინდა! სანამ შენ შენი სტუმრებით მოხვიდოდე, მანამდე მინდა ამათ ცოტა პატივი ვცე.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — კარგია, ძალიან კარგი! (სტუმრებს გასძახებს) ერთი წუთით, თქვენი ჭირიმე, ერთიც წუთით მობრძანდით!.. ვარლამ, ბატონო, ჰო, ასე, ასე, აქეთ წამობრძანდით! (მათკენ მომავალ სტუმრებს უღიმის, ეგებება, ამოყავს ბიჭაზე)

ვ ა რ ლ ა მ ი — (თამარს) ისეთი მშვილდ-ისარი გამოვუთალე თქვენს

ვაჟიშვილს, ქალბატონო, რომ საუკეთესო; ო, ჰო, ჰო, როგორ დასდევს ჩიტებს!

თ ა მ ა რ ი — ცელქია, ბატონო, ცელქი! ახლა მაინც, თქვენ რომ გხედავთ, სულ გადაირია.

ე ვ გ ე ნ ი — (სწრაფად შედის ოთახში, გამოაქვს პორტფელი) პატივცემულო ანთიმოზ, დედაჩემმა თქვენთან საჩუქარი გამომატანა (პორტფელს ხსნის, ყველნი გაოცებულნი მისჩერებიან. ამოაქვს ქაღალდის ფართო შეკვრა, რომელიც წითელი ლენტითაა შეკრული, გადასცემს ანთიმოზს. ანთიმოზი დაიბნევა, არ იცის რასთან აქვს საქმე. ვარლამი სწრაფად გახსნის, გადმოცლილა სურათები) კუკურის გადაღებული სურათებია. (ყველანი დაეხვეიან, ხარბად ათვალიერებენ)

თ ა მ ა რ ი — (ევას, რომელსაც ხელში სურათი უჭირავს, ეჩურჩულება) ეს დედამისია.

ე ვ ა — კარგი ქალი ყოფილა.

თ ა მ ა რ ი — არა, დედა მართლა კარგი ყავს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (სიცილი აუტყდება). ეს სურათი, ავტომობილში რომ ვსხდებოდით, იმ დროს არის გადაღებული?

ე ვ გ ე ნ ი — (სურათს დახედავს) დიახ!

ა ნ თ ი მ ო ზ ი—(ევას) აი, ეს გიგოა, გიგო! მე რომ გეუბნებოდი. (ეცინება) კარგი კაცია! აი აგერ, ხელში ღვინით სავსე ჭიქა რომ უჭირავს. სულ ანდაზებით იცის ლაპარაკი. (ეგენის) დედათქვენს დიდ მადლობას მოვახსენებ, კუკურისაც! კუკური ხომ თმახუჭუჭა რომ არის, მაღალ-მაღალი, იმას ჰქვია? კარგი ყმაწვილია! ახლა ერთი რამე უნდა მოგახსენოთ! ჩემი მეზობლები ცოტა გვიან გადმოვლენ და, მანამდე, თუ შეიძლება, ბეერი არა, ცოტა რამე... ევა, აბა, შენებურად! (ვარლამი განსაკუთრებულად მხიარულ გუნებაზეა, ხან წაიღიღინებს, ხან სუფრას აკეთრდება, ხან ეზო-ბაღს ათვალიერებს).

ე ვ გ ე ნ ი — ახლა საჭირო არ არის, ზედმეტია.

ვ ა რ ლ ა მ ი — ანთიმოზს ნუ ვაწყენინებთ, ისე მოვიქცეთ, როგორც მასპინძელს ესიამოვნება! (ცალკე ბუნებას მოკაკავს აღტაცებაში) ამას რას ვხედავ! სად ვარ! აქაურობას რამე სჯობს?! (უცებ თავზე ხელს შემოიკრავს) დიდი შეცდომა დავუშვი, დიდი, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — რაზე შეწუხდით, ბატონო?

ვ ა რ ლ ა მ ი — ცოლის ნათესავები მეუბნებოდნენ, აქ იყავი, აქ დასახლდიო. არ ვქენი!

ე ვ ა — აქაური ქალი გყავთ, ბატონო?

ვ ა რ ლ ა მ ი — დიახ! მე რომ აქეთ სიამოვნება შახსოვს, ისეთი ტყუილია!

ე ვ ა — (დოქით ღვინო შემოაქვს, ვარლამს მიართმევს) ამაზე რას იტყვით, ბატონო? (ღვინოს ბატარა ჭიქაში ასხამს, ვარლამს მიაწვდის).

ვ ა რ ლ ა მ ი — (მოსვამს) სასიამოვნო სასმელია! საუკეთესო ღვინოა!

ე ვ ა — აგაშენოთ ღმერთმა! ანთიმოზმა კი მითხრა, ცოტა ჭვანგი დაკრავსო...

ვ ა რ ლ ა მ ი — (დაკვირვებით) ეს ღვინო არის საუკეთესო ღვინო! რამდენიც არ უნდა სვა, არც გაწყენს, არც თავს გატკენს.

ე ვ ა — მიირთვით ცხელი ხაჭაპურები; ეს ვარიაა, ეს კიდევ იხვი; ჩვენებური იხვი გემრიელია, მოგეწონებათ.

ვ ა რ ლ ა მ ი — თითო-თითო ნაჭერს გეახლებით, თითო ჭიქასაც დავლევთ, მეტს არა! (სუფრას მიუჯდებიან. ვარლამი ჩაის ჭიქას ავსებს ღვინით) სანამ სუფრა გაიშლებოდეს, ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, ამას გული ბოხოვს და ნუ დამიშლით. ამ კუთხეს გაუმარჯოს! ამ სოფლებს გაუმარჯოს! მე ეს მხარე ჩუდამ მომწონდა, მისი პატივისმცემელი ვიყავი და ვიქნები! (მესვამს. გახარებულია, აღგზნებულია. რაკიაცას თქმას კიდევ აპირებს, ვერ ბედავს. სხვებიც დაცლიან ჭიქებს) სხვათა შორის უნდა მოგახსენოთ, რომ მე მწერალი არასოდეს არ ვყოფილვარ, არც მქონია ამის სურვილი, ჩემს ორ ბავშვს გეფიცებით, მაგრამ ერთი ლექსი, როცა მე ახალი სიძე ვიყავი, მაშინ დავწერე; მაშინ აქ ყველას მოსწონდა, ბევრ ადგილას წამაკითხეს და ახლაც მსურს წავიკითხო.

თ ა მ ა რ ი — გულით გთხოვთ, ბატონო ვარლამ, მე პირადად დიდად დამავალებთ.

ვ ა რ ლ ა მ ი — (თამარის გულწრფელი თხოვნა უფრო გაახარებს. კითხულობს):

ო, ჯერ კიდევ ბავშვობაში,
და, აგრეთვე, შემდეგ გვიან,
მე ხონზე და ხონელებზე
ბევრი ცუდი გამიგია.

მაგრამ აქ კი, აქ რას ვხედავ!!
ოჯახში თუ მინდორ-ველად,
ტკბილი სიტყვით, გაღიმებით,
მოკრძალებით მხვდება ყველა.

აქ შენს ძალას, შენს ღირსებას
მიხედებიან, კარგად გრძნობენ,

წითელ ღვინოს და წითელ ეარდს
სულით, გულით გთავაზობენ.

აქ სურთ რამე ტკბილი გითხრან
თვით უსიტყვო ხეთა ლანდებს...
თუ „ხონური“ ამას ჰქვია,
აქ მამყოფეთ სიკვდილამდე!

(საერთო აღტაცება. ყველა კმაყოფილია)

თ ა მ ა რ ი — ხონელებს ძალიან მოეწონებოდათ, გაეხარდებოდათ...

ე ვ ა — ეს ლექსი ვის არ მოეწონება!

ვ ა რ ლ ა მ ი — ძალიან, ბატონო, ძალიან მოეწონათ (ჩაფიქრდება). მაგრამ მერე ერთი რამ მე თვით არ მომეწონა...

თ ა მ ა რ ი — რა არ მოგეწონათ?

ვ ა რ ლ ა მ ი — რა და, ხონიდან რომ გამოვედით ფაიტონზე „ექსტი“ მიუბამთ... ისე საშინლად რახრახებდა...

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ღმერთო მომკალი! ეს რა უქნიათ!

ვ ა რ ლ ა მ ი — თუმცა ჩემს თავზე რატომ უნდა მიმეღო, ეტლში ხუთი კაცი ვიჯექით.

ე ვ ა — (უცებ საშინელი ხმით დაიკივლებს) დიდუუ, დავიღუპე! (ყველანი შეშფოთდნენ. ევა კიკილით გარბის, სხვებიც მისდევენ).

ე ვ გ ე ნ ი — ვისი სახლი იწვის?

თ ა მ ა რ ი — (რომელიც ძლიერ შეშფოთებულია) ევასი!

ე ვ გ ე ნ ი — ევასი?! (სწრაფად გაიკრება იმ მიმართულებით, საითკენაც სხვები გარბიან. ისმის ყვირილი, საერთო აურზაური. სახლშიაც შემორბიან ქალი თუ კაცი, მიარბენინებენ წყლის ჭურჭლებს, ჩვრებს, კიბეს, ისმის ხმები: „ფანჯრები შეამტვრიეთ, ფანჯრები!“, „ცეცხლის ალი გამოვარდა!“, „ყავარს ნუღარ ახდით, არ არის საკვიროო!“. ჯერ ევას კიკილი შეწყდება, შემდეგ კიბეზე ამოყავთ ე ვ გ ე ნ ი, სახეგაკვარტლული, კოსტიუმი აქა-იქ გამომწვარა, თვით დაშაეებულია თუ ღონემიხდილი, გამოურკვეველია. ჩამოჯდება, თავზე დაადგებიან ანთიმოზი და თამარი, თავჩაქინდრულ ევგენის აკვირდებიან. შემოდის ევა).

ე ვ ა — ეს რა მოგვივიდა!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (გულმოსული ეკითხება) საიდან გაჩნდა ეს ცეცხლი?

ე ვ ა — უთოდან... უთო დამრჩა მე ღმერთგამწყრალს. ღმერთო მომკალი! კოსტიუმს რა მოსვლია, ხედავთ?

ე ვ გ ე ნ ი — სახლი ხომ გადარჩა? სხვა რამეზე ნუ წუხართ.

ე ვ ა — ჩვენ კი გადავრჩით, მაგრამ თქვენ ეს რა მოგვივიდათ!

ე ვ გ ე ნ ი — ჩემზე ნუ წუხართ, მე კარგად ვარ.

ე ვ ა — შუაგულ ცეცხლში შევარდა, მთელი სოფელი გაკვირვებულია.

ანთიმოზი — (სინანულით) დაიბნა, ალბათ, თორემ კოსტიუმი რომ გაეხადა, ეს არ მოუვიდოდა.

ევგენი — ნუ წუხართ, ბატონო! ეგ არაფერია! თქვენი ჭირი წაუ-ლია! ოღონდ, თუ შეიძლება, ცოტას მოვისვენებ...

ანთიმოზი — კი, შენი ჭირიმე, როგორც გესიამოვნება! (პიჯაკს გახდიან, თამარის ლოგინში აწვენენ. ევგენი სასწრაფოდ მიდებს თავს, გაინაბება).

ევა — (ანთიმოზს, ჩურჩულით) თუ ჩაეძინება, უკეთესია. რაკი ასე მოხდა, ვახშმად დავჯდეთ, ამის შემდეგ მეზობლებიც ხომ უნდა მოვიწვიოთ? (ბარგი შეაქეთ სახლში, ვარლამიც შველის). მაშინ არაფერი არ მესმოდა, ახლა ვხედავ, რამდენი შეგროვილა! ვენაცვალე ჩემს მეზობლებს, დიდი პატივი მცეს, ვერავის ვერ გავუშვებ! (თამარს) ჩვენ წავალთ, შენ არ მოშორდე. (მიდის. ევგენი მათი წასვლისთანავე შეირხევა, ბორგავს).

თამარი — ცუდად ხომ არა ხართ? (ევგენი არ პასუხობს) ცეცხლში რომ შევარდით, როგორ შემეშინდა!

ევგენი — (ნაღვლიანი ხმით) ნეტავ არ გამოესულიყავი, ჯობდა იქ ჩავფერფლილიყავი.

თამარი — რატომ? (ევგენი ხელს გამოყოფს, თამარის ხელს მიიზიდავს, დიდხანს სდუმს. უცებ სწრაფად წამოხტება, თამარს მკლავებში მოიგდებს, მის ტუჩებს ხარბად დააცხრება. ოთახიდან ისმის გოგის ძახილი: „დედა!? თამარი სწრაფად წამოვარდება, ევგენი კელავ გაინაბება. თამარი ოთახისაკენ არ იხედება, კედელს ზურგით ეკვრის, შეშფოთებულია, ძლივს წარმოსთქვამს): რა იყო, დედა? (შემოდის გოგი, დედას შემკრთალი შეჰყურებს).

გოგი — (ნელი ხმით) არაფერი.

ფარდა

მესამე მოქმედება

მეოთხე სურათი

სანახევროდ ძველებურად მორთული ოთახი ანთიმოზის სახლში. ფანჯრებიდან ჩანს დათოვლილი ხის ტოტები. ა ნ თ ი მ ო ზ ი ბუხარში ცეცხლს უკეთებს. კარებთან ზის ე ვ ა, ფანჯარასთან მდგომი გოგი უხალისოდ უცქერის თოვლის ცვენას.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (ცეცხლის გაჩაღების შემდეგ გოგის გადახედავს) შენ მაინც რა მოგივიდა, ბიჭო? (წამოდგება, ფანჯარასთან მიდის) ხომ ხედავ როგორ ეხვევიან ჩიტები მახეს, გამოსწიე ბაწარი!

გ ო გ ი — არ მინდა, ბაბუ.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — რატომ? ჩიტები გეცოდება?

გ ო გ ი — გუშინდელი ჩიტი მომიკვდა, იმის მერე მეცოდება.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — კარგი, გენაცვალე, სულ მოვშლი მაგ მახეს. მე შენს სასიამოვნებლად გავაკეთე.

გ ო გ ი — (გამოცოცხლდება) ხელ-პირის თოვლით დაბანა უყვარდა მამაჩემსო, რომ მეუბნებოდი, მეც დავიბან, კარგი?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — იმიტომაც იყო ჯანმრთელი. სურდო რომ სურდოა, ის არ შეყრია მამაშენს (გოგი გარეთ გარბის. ანთიმოზი ევას აკვირდება) ვატყობ, რომ გაწყენიე, ევა, მაგრამ...

ე ვ ა — მე რაც ვნახე, ის ვთქვი.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ბედში ჩავარდაო, ეს მაინც არ უნდა გეთქვა ჩემთვის. მე უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ შეუგნებელი კი არა ვარ... ქერიეი ქალი რომ გათხოვილიყო, ახლანდელ დროში კი არა, ძველად არ მიაჩნდათ საძრახისად, მაგრამ (ყვირილით) იმათი ოჯახი რომ ჩემს ოჯახზე მაღლა ვინმემ დააყენოს, ამის უფლებას არავის არ მივცემ!

ე ვ ა — რატომ?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — იმიტომ, რომ ჩემი ოჯახი მშრომელი კაცის ოჯახია! ომში დაღუპული გმირის ოჯახია! ისინი ვინ არიან?

ე ვ ა — შენ კი ამბობ ასე, მაგრამ ცხოვრება იმათ აქვთ, ტელეფონი იმათ უდგათ და მანქანა იმათ მიუდით.

ანთიმოზი — (ჩაფიქრდება) თუ შვილი ასე გიყვარდა, ომში რატომ გაუშვი, ქრთამი დაგეხარჯა და გადაგერჩინაო. ეს რომ მითხრეს, იმის შემდეგ მივხვდი, რა ადამიანებიც არიან... მე უკვე ვიცი, რა ოჯახიც არის!

ევა — არა, ოჯახი კარგი ოჯახია, ამას ნუ იტყვი. რაც მე იქ ვნახე!..

ანთიმოზი — რა ნახე?

ევა — ორმოცამდე ცალი მარტო ზეწარი გაფინა. ამ თოვლს არ გადაუთეთრუბია ეზო ისე, როგორც მისმა ზეწრებმა... მერე, უცებ ქარმა დაუქროლა და იმ ზეწრების ტკაცუნი ახლაც მესმის ყურში. იმის ფასი აქ რა უნახავს!

ანთიმოზი — (გულმოსული) კარგი ახლა, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან! (შემოდის გოგი) რა მოგარბენინებდა, ყინვას შეუშინდი?

გოგი — არა, ბაბუ, კი არ შევუშინდი... ტანში რაღაც მაჟრჟოლებს.

ანთიმოზი — ჰაიტ, შე გლახა! (ხელს შემოჰკრავს) წადი, პირი შეიმშრალე! (გოგი შედის მეორე ოთახში, ღია კარებიდან ჩანს, რომ კედლიდან პირსახოცი ჩამოხსნა. სახეს, გულ-მკერდს იშრალებს).

ევა — მე დედა არ მყავსო, გუშინ მითხრა ბავშვმა. ეს არ არის სწორი, ეს რატომ უნდა თქვას ბავშვმა? ამას არაეინ არ მოგიწონებს, ანთიმოზ, რაც არ უნდა იყოს დედაა.

ანთიმოზი — მე ხომ არ ჩამიგონებია. ასეთ ცოდვას როგორ დავიდებ, ბავშვი თვითონაა მაგ აზრის...

ევა — (გოგის აკვირდება) ისე სულ დედამისს ჰგავს.

ანთიმოზი — აქამდე მეუბნებოდი, მამამისს ჰგავსო.

ევა — ჰგავს, ანთიმოზ, ჰგავს! ეაშლი რომ შუაში გაჭრა, ისე ჰგავს! (შემოდის გოგი) აბა, შეხედე!

ანთიმოზი — (გოგის აკვირდება) ხალათი რატომ დაგისველებია?

გოგი — რატომღაც გული მეწვის და თოვლი უბეში ჩავიყარე.

ანთიმოზი — (შეშფოთდება) ამ ბავშვს სიცხე ხომ არ აქვს?

ევა — გუშინ სახეზე შევატყვე, რომ კარგად არ იყო. მოიტანე „გრადუსი“, გავუსინჯოთ.

გოგი — არა, ბაბუ, ისე ვერ ვარ კარგად, თორემ სიცხე არ მაქვს.

ევა — გავუსინჯოთ! გავუსინჯოთ!

გოგი — არა, არ გაეისინჯავ!

ანთიმოზი — (ყოყმანობს. შედის მეორე ოთახში, გამოაქვს თერმომეტრი,

ზერტყავს) ეს დარჩა დედამისს მარტო. რამდენიმე წამლის შუშაც აწყვია ეგერ, კამოდის თავზე.

ევა — ჩვენში რომ მუშაობდა, სახელი კარგი ჰქონდა, ანთიმოზ, მისი დამზადებული წამალი ყველას უხდებოდა. ამ მხრივ იმაზე ცუდს ვერ იტყვი.

ანთიმოზი — (თერმომეტრს გოგის აწვდის) ა, ბაბუ, გაისინჯე!

გოგი — (თერმომეტრს დახედავს) დედაჩემის არის? მომეცით! (გამოართმევს, ცეცხლის პირას აპირებს ჩამოჯდომას).

ანთიმოზი — ო, ასე! ცეცხლისპირას ჩამოჯექი. (გოგი ცეცხლისპირას ჩამოჯდება, თერმომეტრს იკეთებს).

ევა — (გოგის აკვირდება) არა, სიცხე სრულებით არა აქვს.

ანთიმოზი — რა იცი?

ევა — სახეზე ვატყობ. (სიჩუმე ჩამოვარდება).

ანთიმოზი — თბილისში კიდევ როდის აპირებ?

ევა — არ ვიცი, არ ვიცი. ხომ ხედავ, რა მარცხიანი წელიწადია; საწყალი შაბათა, გუშინ ვნახე, ძალიან შემეცოდა.

ანთიმოზი — (გამოცოცხლდება) რომელი შაბათა?

ევა — ჩვენთან რომ მუშაობდა კოოპერატივში.

ანთიმოზი — რა მოუვიდა?

ევა — არ გაგიგია? — ძმა დაეღუპა.

ანთიმოზი — რანაირად?

ევა — ის უბედური, მაინც, ნამეტანს შვრებოდა, სულ მოგზაურობაში იყო. მერე მატარებლით კი არა, სულ ჰაეროპლანით დაფრინავდა: ხან მოსკოვში იყო, ხან ბაქოში, ხან როსტოვში და...

ანთიმოზი — მერე?

ევა — მერედა, კოკა ყოველთვის კი არ მოიტანს წყალს, გაუსკდა გული ჰაეროპლანში და მოკვდა... ხვალ ასაფლაეებენ კულაშში.

ანთიმოზი — უნდა წავიდე, შაბათას, ახლოს ვიცნობდი.

ევა — შენ კი არა, ყველა აპირებს წასვლას.

ანთიმოზი — ახალგაზრდა კაცი იყო, არა? ხალხი ძალიან შეწუხებული იქნება.

ევა — შეწუხებული კი არიან, მაგრამ ხალხმა რომ მაინც თავისი არ ქნას, არ იქნება.

ანთიმოზი — რა იყო, რა მოხდა?

ევა — იმ უბედურზე ლექსი გამოუთქვამთ.

ანთიმოზი — რა ლექსია?

ევა — (გოგიასთან მიდის, თერმომეტრს ართმევს). რა ლექსია და „... უბე-

დურო ელო, ელო, არ გერჩია ფეხით გევლო?" (თერმოშეტრს დახედავს. შეჰკივლებს) ეს რა ამბავია! იწვის ბავშვი!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (შეკრთება) რამდენი აქვს?

ე ვ ა — ორმოცდაორამდე ასულა!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (ხმა უკანკალებს) ავად ხარ, ბაბუ?

მეხუთე სურათი

სასტუმრო ოთახი ამაშუკელთა ბინაში. გარეთ თოვს. სუფრა ნახევარზე გაშლილია რამდენიმე კაცისათვის. მაგიდაზე დევს ორი გრაფინი ღვინით, ერთი თეთრი, მეორე წითელი ღვინით. ყველაფერი ხელუხლებელია. შემოდის ბ ა ჯ ი, მეზობელ ოთახის კარს ფეხაკრეფით მიეახლოვდება, ოდნავ შეაღებს, იკვრიტება. მოპირდაპირე ოთახიდან გამოდის მ ი ნ ა დ ო რ ა ეტყობა ახალი გაღვიძებულა.

მ ი ნ ა დ ო რ ა — (თმებს ისწორებს. ბაჯის, რომელიც კარებში იტყიტება, ჩურჩულით ეკითხება) რა ამბავია?

ბ ა ჯ ი — კიდევ თამაშობენ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — (საათს შეხედავს) ხუთი საათი სრულდება! თამარი სად არის?

ბ ა ჯ ი — სადღაც გავივლიო... დედა სანამ გაიღვიძებს, მოვალო...

მ ი ნ ა დ ო რ ა — ორ საათამდე ვტრიალებდი. მერე ცოტა ხნით თავს მივდებ-მეთქი და ჩამძინებია (მოუსვენრობას იჩენს, უცებ ბაჯის მიუბრუნდება) შენ რა გაცინებს?

ბ ა ჯ ი — (უბიდან ქაღალდის ფულები ამოაქვს) აი, რამდენი მაჩუქეს!

მ ი ნ ა დ ო რ ა — ცეცხლი რატომ ჩაგიქვრია? ცივა ოთახში. (ბაჯის შუშა შემოაქვს, ბუხარში უკეთებს) ყველანი აქ არიან?

ბ ა ჯ ი — ის ორი, სქელი კისრები რომ ჰქონდათ, წავიდნენ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ნაწყენები ხომ არ იყვნენ?

ბ ა ჯ ი — არ ვიცი, „კაშნეები" კარგად გაიკეთეს, თამარს ხელზე აკოცეს და...

მ ი ნ ა დ ო რ ა — (სუფრას დახედავს) არაფერზე პირი არ მიუკარებიათ, ეს როგორ შეიძლება, რაშია საქმე?

ბ ა ჯ ი — ჭადები სამჯერ გამაცხელებიეს, მაგრამ მერე მაინც არ გამოვიდნენ. (მინადორაც ცდილობს კარებში შეიპყიტოს.) იქ მარტო ის არის, იასონს რო ეძახიან, სუსტი-სუსტი. (მეზობელი ოთახიდან გამოდის დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი, მოკუნტა კ უ კ ა ს ი ც).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (კუკასის) დურმიშხანს ეარაფერი, დედა, და შენ ნამეტანი დაგტყობია ღამის თევა.

კ უ კ ა ს ი — წყალს რომ შევისხამ სახეზე, მერე ვითომ არაფერი. (ადის. რამდენიმე ხნის შემდეგ გაღიან მინადორა და ბაჯი).

ე ვ გ ე ნ ი — (კარს შემოაღებს. დურმიშხანს) შემოდი, კაცო, რას შვრები?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — ფული აღარ აქვს, სანამდე ვიჯდე.

ე ვ გ ე ნ ი — (შეუტევს). უხერხულია, შემოდი!

(ევგენი კარს მიხურავს, დურმიშხანი ღვინოს ისხამს, ზედიზედ სვამს, საჭმელს მგელივით მივარდება. შემოდის კუკური).

კ უ კ უ რ ი — (მაგიდის უჯრას გამოსწევს, კოსტიუმის ჯიბიდან ამოაქვს ქაღალდის ფულები დიდი რაოდენობით, უჯრაში ჩაალაგებს, სწრაფად მიხურავს) ეს ევგენის! ჩვენ შემდეგ!.. გაიგე?

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — (სიცილით) ესე იგი, შენს გარდა ყველანი წაგებულები ვართ, ხომ? (ღვინოს უსხამს) ერთხელ მიიტანა იქვი, მაგრამ სწრაფად ავრიე კარტი.

კ უ კ უ რ ი — ეს საწყალია, რას მიხვდება!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — იმათ არ ამოვაძვრე თვალებში ბეწვი, თუ? (ჯიბიდან ამოიღებს ერთ ცალ ქაღალდს, ცეცხლში შეუძახებს) წითელ ტუზს ვენაცვალე! (ბუხრისკენ მიუთითებს) იწვის, მაგრამ ნაკვერცხალზე უფრო არ ანათებს? (შემოდის მინადორა, შემოაქვს კომბოსტოს წნილი).

კ უ კ უ რ ი — აი, ეს მესმის! (მადიანად შეექცევიან).

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — ტყვილია, ასეთ მწნილს სხვაგან ვერ შეხვდები!

მ ი ნ ა დ ო რ ა — კუპატებს ახლავე გავაცხელებ.

კ უ კ უ რ ი — თქვენ ნუ წუხდებით, დედა, ჩვენ თვითონ, ჩვენ თვითონ...

ბ ა ჯ ი — (მინადორას დროს შეურჩავს) მე, თუ შეიძლება, ახლა წავალ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — სად მიდიხარ?

ბ ა ჯ ი — უნივერმაღში კარგი ფართალი მოვიდაო.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ცოტა ხნის მერე გაგიშვებ, ცოტა მოიცადე... (ბაჯი წასელას აპირებს).

კ უ კ უ რ ი — დაგველოცე, ბაჯი, დაგველოცე! (ღვინოს მიაწვდის, უბეში ფულებს ჩაუკუჭავს) ჰა კიდევ!

მ ი ნ ა დ ო რ ა — ეყოფა, თქვენი ჭირიმე, ნუ გამიფუჭეთ!

ბ ა ჯ ი — (ჭიქას იღებს) სხვისთვის კარგი რომ გინდათ, იმიტომ თქვენ იცოცხლეთ! (ღვინოს არ სვამს, გადის, შემოდიან ი ა ს ო ნ ი, ე ვ გ ე ნ ი, გ ი გ ო).

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — იშლებით?

გ ი გ ო — (ჩვეულებრივად მხიარულ გუნებაზეა) მასპინძელი ხომ არ გვეტყვის წადითო, ჩვენ უნდა მივხვდეთ თუ არა?

მ ი ნ ა დ ო რ ა — (იასონს, რომელიც ჩაფიქრებული ზის) დღეს მიემგზავრებიან ესენი მოსკოვში, საღამოთი ხომ შემოიცლით, ბატონო იასონ? (იასონი ფიქრებიდან ვერ ერკვევა).

გ ი გ ო — (თითქოს თანაგრძნობით) ქორწილის შემდეგ არც ამას (იასონზე ამბობს) უმართლებს, არც ევგენის.

კ უ კ უ რ ი — ევგენი მაინც ნამეტანი ჩავარდა.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — რა ეუყოთ მერე, ხან ასე იქნება, ხან ისე... წაგება და მოგება ძმები არიან.

ი ა ს ო ნ ი — ჩემი საქმე სხვა არის.

გ ი გ ო — (თითქოს იასონის დარდის მიზეზს ვერ მიმხვდარა) თუ უგუნებოდა ხარ, შვილო, აი ამას (უბიდან ამოაქვს ქაღალდში გახვეული წამალი) რომ გადაყლაპავ, დაგეძინება და ისეთ კარგ გუნებაზე ადგები, რომ...

ი ა ს ო ნ ი — არა, მე კარგ ხასიათზე არ გამეღვიძება.

ბ ი ბ ო — ერთი ამას უყურე! მაშ, გიგო ზეპირად ამბობს?! შენთვის რა სჯობს მე არ ვიცი?

ი ა ს ო ნ ი — (საათს შეხედავს) ხუთი საათი გამხდარა, ვინ იცის, როგორ მეძებენ სამსახურში, სად ვიყავი-თქვა, რა უნდა ვუთხრა?

გ ი გ ო — უთხარი სამინისტროში ვიყავი-თქვა, ჩვენ ვიკითხოთ, ცოლ-შვილი ჩხუბს რომ დაგვიწყებს, თორემ თქვენ რა გეჭირთ.

ი ა ს ო ნ ი — (გიგოს ნათქვამი ძლიერ წყინს, მათ ზურგს შეაქცევს, თავისთვის წარმოსთქვამს) რა მაკადრა? მე ყველაფრის ღირსი ვარ! (თითქოს გული მოსდისო, წაბარბაცდება, თავს შეიმაგრებს, მიდის).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (იასონს კარებში შეაჩერებს) რას შერებით, რას?! იასონს უშვებთ? (იასონს) თუ ხათრი გაქვთ, ცოტა ხანს დარჩით, შინაური კუპატები მაქვს, გესიამოვნებათ...

ი ა ს ო ნ ი — არაფერი ყელში არ გადავა, მადლობელი ვარ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — სტუმრის უპატივცემლოდ გაშვება როგორ შეიძლება! (იასონი მიდის)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — (გიგოს) იმ ხალხს რომ უყვირე, ეს კარგი ქენი...

ე ვ გ ე ნ ი — იმ დროს რომ გიგოს არ ეყვირა, საქმე ცუდად იყო.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — (ცხარობს) მაგრამ მერე, როცა იმათ შეუტიეს, გიგომ უკან დაიხია, ხმა ჩაიკმინდა, ეს არ მომეწონა, აი რას ვამბობ!

კ უ კ უ რ ი — (გიგოს) პირველად რომ უყვირე, კარგი იყო, მაგრამ ბოლოს რატომ გაჩუმდი?

გ ი გ ო — იცით, რა გითხრათ? ძაღლსა ჰკითხეს, რად ყეფო, — რათა და ხალხს ვაშინებო, მაშ კუდს რად იქნევო, — რათა და მეც მეშინიაო (წასვლას აპირებს).

მინადორა — თქვენ მაინც რატომ იჩქარით?

გიგო — ჩემი ცოლი წუხელ ღამეს თეთრად გაათენებდა... როცა მე სახლში არა ვარ, არც ძინავს, არც ჭამს... საჭმელზე თეთრი ტილო აქვს გადაფარებული და მელოდება.

მინადორა — აი, ახალგაზრდებო, მაგალითი ამათგან უნდა აიღოთ... იცით, რა ტკბილი ცოლ-ქმრობა აქვთ?

გიგო — თქვენ გგონიათ ჩემს ცოლს მე ვუყვარვარ? არა! ჩემი ფულები უყვარს! (ყველანი საჭმელს შეექცეიან. შემოდის თამარი. პალტოზე თოელის ფიფქები აყრია, ცოცხალი ვარდების თაიგული უჭირავს, ხალისიანად გამოიყურება. კუკური და დურმიშხანი თამარს სიმღერით ეგებებიან)

აი, შენ ჩემო თეთრო ბატო, ფრთათეთრო და ფრთაფარფატო...

(თამარს ეღიმება)

კუკური — (თამარს) ახლა ხომ მიხვდით, მაშინ რატომ ვმღეროდით „შავო ბატოს"?

ევგენი — (თამარს თოელს უბერტყავს, პალტოს ხდის) ვენაცვალე საქართველოს! დეკემბერში მაისის ვარდებს გვთავაზობს!

თამარი — (თაიგულს აკვირდება) ჩაის ვარდებიც ურევია.

მინადორა — (თამარს) კარგი ქენი, დედა, რომ ვარდები მოიტანე. ამათი დანახვა სულ სხვა გუნებაზე აყენებს ადამიანს.

ევგენი — მატარებელში ფანჯარასთან ჩამოვდებთ... მერე რა ლამაზია ის ოხერი საერთაშორისო ვაგონი! სადაც ჩამოდგება მატარებელი როსტოვში, ხარკოვში თუ ორიოლში, როცა ამ ვარდებს მოჰკრავენ თვალს, როცა ამ ჩემს ლამაზ ცოლს დაინახავენ, გაიფიქრებენ: ქართველები მიემგზავრებიან მოსკოვში; ჩემოდნებში ყურძენი, ფორთოხლები, ხვანჭკარა ულაგიათო!

მინადორა — კარგი ახლა, გეყოფა!

ევგენი — რაო? მოკვდეს ბიჭი, თუკი კურსკის ვაგზალზე ჩემი ცოლით უცხოელ ელჩივით არ ჩამოვიდე. როგორ! ვისზე ნაკლები ვარ? ელჩი კი არა, ერთხელ, აი, ეს რომ მეცვა (შავ ბეწვის საყელოიან ქურქს მხრებზე მოიგდებს) რუსებმა ევგენი ონეგინს შემადარეს...

კუკური — ჩაიცვი, ჩაიცვი, ერთი შემახედე. (იცვამს. ყველანი აკვირდებიან).

დურმიშხანი — აქებდნენ და მართლაც კარგი ყოფილა.

ევგენი — „Уж темно: в санки он садится,
„Поди! Поди!" — раздался крик;

Морозной пылью серебрится
Его бобровый воротник".

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — (ევგენის აკეირდება) მშვენიერი პალტოა! მერე როგორ უხდება!

მ ი ნ ა დ ო რ ა — ამის იმედით ვაგზავნი რუსეთში, აბა როგორ!

გ ი გ ო — (თამარს). შენ უკვე ჩემი რძალი ხარ, შვილო; აბა, შენ იცი, ქმარს როგორ შეუწყობ ხელს, როგორ ქალობას გამოიჩენ.

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — (ღიმილით). ყოველ შემთხვევაში, მე გთხოვ, ჩემო კარგო, ჩვენს ევგენის პაპიროსის წევა მიატოვებინო.

თ ა მ ა რ ი — ბევრს ეწევა, მაგრამ რა ვქნა, ჯერ ვერაფერი ვერ მითქვამს.

მ ი ნ ა დ ო რ ა — უნდა უთხრა, უნდა შთააგონო, შვილო! ჩვენ ვერ მოვახდინეთ გავლენა, შენ კი, შენი ხათრი აქვს, შენ დაგემორჩილება.

თ ა მ ა რ ი — (შეიფერებს) ვეცდები.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ოღონდ ეს გამიკეთე, მარტო ამის გამო გცემ თაყვანს. დილით სახლიდან ისე მიდის სამუშაოზე, რომ პირში ლუკმას არ ჩაიდებს, მარტო პაპიროსს ეწევა, არც მთლად ასე გადაყოლილი მუშაობა ვარგა..

გ ი გ ო — (თამარს) პურმარილს კი ნუ დაუშლი! ვაჟკაცი კაცია, ხელგაშლილი კაცია, სუფრის გაშლა უყვარს, ღმერთმა გააჩაროს!

ე ვ გ ე ნ ი — (მოულოდნელად წამოიძახებს) „ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა!"

კ უ კ უ რ ი — ჩემს ევგენის ვენაცვალე! არსენასაკით კაცია. არსენას ხასიათი აქვს!

გ ი გ ო — (კუკურის შეუტევს) შენც რამეს ამბობ! არსენა აგერ, ვაშლოვანში და პანტიანში შლიდა სუფრებს, ეს კი: ხარკოვში, მოსკოვში, ფრუნზეში! გდე ევო რაზმან, გდე არსენა ოძელაშვილი! (თამარი მათ სიცილს არ აყვება, სხვა ფიქრები გაიტაცებს).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (ჩაფიქრებულ თამარს მიუახლოვდება, ხავერდის ყუთიდან ოქროს სამაჯური ამოაქვს, თამარს გაუწვდის) ეს უკვე საკუთრად ჩემგან არის მოძღვნილი! კარგად დააკვირდი, ძვირფასი სამაჯურია! (ყველას სახე აღტაცებას გამოხატავს, გარდა თამარისა. კუკურა და დურმიშხანი ხარბად ათვალიერებენ).

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — ვაშაა! ესეც ახალი საჩუქარი!

კ უ კ უ რ ი — (ხელახლა შეათვალიერებს) მშვენიერი „ბრასლეტია!"

მ ი ნ ა დ ო რ ა — ხელზე გაიკეთე, შვილო!

თ ა მ ა რ ი — (მოკრძალებული ხმით) სხვა საჩუქრებიც არ გამიკეთებია... შეუჩეველი ვარ, თავს უხერხულად ვგრძნობ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — უნდა შეეჩვიო, შვილო.. ამათ ალბაცერად ნუ უყურებ, — გამოგადგება! მარტო ლამაზი მისწრაფებებითა და სურვილებით ცხოვრება ძნელია ამ ქვეყნად.

თ ა მ ა რ ი — (მორიდებით) ადამიანს ნივთები კი არ ამშვენებენ, დედა, არამედ მისი სულიერი ღირსებანი.

მ ი ნ ა დ ო რ ა — (დატუქსვის ნაცვლად მიუალერსებს) შენ, ჩემო კარგო, ბევრი რამ არ გესმის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ... ჩემი დარიგება ნუ გწყინს. ყოველი ოჯახი გემსა ჰგავს... ზოგი ადრე დალუპულა, ჩვენი კი დღემდე სცურავს, — მაშასადამე, შიგ მსხდომნი ადამიანები მას სწორად მართავენ! შენ უკვე მათ შორის ხარ, მათ გემზე ამოსულხარ, სულ იმის ცდაში უნდა იყო, რომ მან დიდხანს იცუროს ცხოვრების ზღვაზე. (ორაზროვანი სიტყვები თამარს ხასიათს შეუცვლიან) რატომ ჩაფიქრდი? არ მოგეწონა ჩემი სიტყვები?

თ ა მ ა რ ი — (შეაჯრჯოლებს, შეიშმუშნება) რატომღაც შეშცივდა. (შემოდის ბაჯი).

მ ი ნ ა დ ო რ ა — ბაჯი, ცეცხლი გააჩაღე! თამარს შესცივდა... (თამარს ნიშნის მოგებით გადახედავს, თამარი თავს დახრის).

კ უ კ უ რ ი — (მინადორას, მას შემდეგ, როცა ბაჯი ბუხარში ცეცხლს გააჩაღებს) ბაჯის წასვლა უნდა, გაუშვით.

მ ი ნ ა დ ო რ ა — (ბაჯის) შენ წახვალ და აღარ მოხვალ, გამეპარები.

ბ ა ჯ ი — არა, დრბოს მიზეზ!

კ უ კ უ რ ი — (მინადორას) ვინ არის, კაცო, ეს დრბო, სულ მის მზეს რომ ფიცულობს?!

ბ ა ჯ ი — ჩემი ძმა არის, ძალიან კარგი კაცია, სანიტრად მუშაობს საავადმყოფოში.

კ უ კ უ რ ი — (ბაჯის, რომელიც წასასვლელად შემოტრიალებულა). ბაჯი, მართალი მითხარი, რამდენად გიყიდა შენმა ქმარმა? (ბაჯი იცინის. მიდის. კუკური მღერის).

იმას-ამასობაშიო
შეეალ თათრის ოდაშიო,
თათრის გოგოს მოვიტაცებ,
არ ჩავდგები ცოდვაშიო...

(შემოდის ვ ა რ ლ ა მ ი, თოვლს იბერტყავს).

მ ი ნ ა დ ო რ ა — ეს რა ამბავია! მეხუთე დღეა გადაუღებლად თოვს.

ვ ა რ ლ ა მ ი — (ჩვეულებრივად ხალისიანად არ გამოიყურება, ამჯერად სიტყვაძუნწია) რომ თოვს, ეგ არაფერი, ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ჩიტი აქეთ რომ მოფრინავს, ქარს იქით მიაქვს... ვერის ხიდზე ძლივს გამოვედი.

გ ი გ ო — (ფანჯრებისკენ ხელს გაიშვერს) ეს რა ბაიყუში დღეა! (ფანჯარას ქარი აწყდება).

მ ი ნ ა დ ო რ ა — ხედავთ რა ამბავია?

გ ი გ ო — სუფსარქისია, აბა როგორ გინდათ! (წასასვლელად ემზადება).

კ უ კ უ რ ი — მაგ სუფსარქისმა რომ რაიმე ზიანი არ მომაყენოს, არ ვქნება! ქუდი თუ არ წამართვა, გაზეთი მაინც უნდა გამომგლიჯოს. (გიგოს პალტო ჩაუცვამს).

ე ვ გ ე ნ ი — გიგო!..

გ ი გ ო — ვიცი, ვიცი, თქმა არ გინდა, პირდაპირ ვაგზალში მოვალ. (გიგო პალტოს ჯიბეში ხელს ჩაიყოფს, რაღაცას შენიშნავს, ამოაქვს, ხელის გულზე უწყვია) აი, ჩემს ცოლს ჯიბეებში რა ჩაუყრია! წინათ, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ჯიბეებში ვარდის ფურცლებს მიყრიდა... ახლა ნახეთ, ახალი მოდის კამფეტი „ზალატოი კლუჩ!“ (ყველას მიაწოდებს) გამომართვით, თუ გიყვარდეთ, გამომართვით! (მიდის).

ე ვ გ ე ნ ი — (თამარს ხელს მოხვევს) ჩემს თამარს კი უყვარს ზამთარი.

თ ა მ ა რ ი — (აღტაცებით) მართალია! არაფერი ისე არ მხიბლავს და მაოცებს, როგორც თოვლის ცვენა... ბუნების საკვირველება ყველაზე მეტად, მე ვგონებ, თოვლის ცვენაში გამოიხატება. მხოლოდ ის არ მიყვარს, როდესაც მანქანები ტალახით სვრიან, ო, მაშინ როგორ მეცოდება თოვლი!

ე ვ გ ე ნ ი — სულ დათოვლილ ველზე იქროლებს ჩვენი მატარებელი, ღამითაც შეგიძლია უცქირო, ვინაიდან მთვარიან ღამეებში გვიხდება მგზავრობა.

მ ი ნ ა დ ო რ ა — წასვლის დრო ახლოვდება, რას შერებით?

ე ვ გ ე ნ ი — რა ვქნათ?

მ ი ნ ა დ ო რ ა — სუფრა ტყუილად გაეშალე? ჭამეთ, სვით, ამხიარულეთ.

თ ა მ ა რ ი — არაფერი ყელში არ გადადის, დედა.

მ ი ნ ა დ ო რ ა — შენ, ვიცი, გული ახლა ჩიტივით გიფართხალებს. მეც ასე ვიყავი, პირველად პეტერბურგისაკენ რომ წამიყვანეს. (ვარლამს) ვარლამ, შენი ჭირიმე, გამხიარულდი. (გამოაქვს გიტარა, ვარლამს გადასცემს)

ვ ა რ ლ ა მ ი — (გიტარას მართავს) დავბერდი, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ეს რატომ თქვი?

ვ ა რ ლ ა მ ი — რაც არ უნდა ცუდად მქონდეს, საქმე, ამ ვარდებს რომ დავინახავ (თამარის მიერ მოტანილ ვარდებს აკვირდება, რომელიც ვაზაში ჩაუდევთ), გული მეც ვარდივით გადამეშლება.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ცუდად რატომ უნდა გქონდეს საქმე?

ვ ა რ ლ ა მ ი — (დურმიშხანსა და კუკურიზე მიუთითებს, რომელთაც ჩაუთელეშიათ) ამათ მაწყენინეს.

მ ი ნ ა დ ო რ ა — როდის, ვარლამ?! პირველი გაგონებაა.

ვ ა რ ლ ა მ ი — (წამით შეაჩერებს გიტარის მართვას, წყრომით წარმოსთქვამს) რა ეუყოთ, რომ მე ამ ქვეყნად ხელმოკლედ ვცხოვრობ! აბუჩად აგდების უფლებას არაფის არ მიეცემ!

ე ვ გ ე ნ ი — (სიცილით) ქორწილში რომ შელაპარაკება მოუხდათ, იმაზე ამბობს.

მ ი ნ ა დ ო რ ა — (ვარლამს) კარგი ერთი, რა დროს ესენია, გავმხიარულდეთ! (კუკურისა და დურმიშხანს აღვიძებს) წასვლის დრო მოვიდა, რა დროს ძილია!

ვ ა რ ლ ა მ ი — (მოულოდნელად წამოიწყებს სიმღერას. ყველა გაოცებულა)

ეი ის ბალი, ის ხეივანი,
ადგილი, შენგან მივიწყებული!..
აქ ბევრჯერ მჯდარხარ ჩემს გვერდით, ღამით,
შენ, მთვარესაფით გაბრწყინებული;
აქ ჩიენ სიყვარულს ვეფიცებოდით,
ტკბილ მომავალზე ფიქრებს ვიწყებდით,
ახლა მარტო ვარ... ვინ იფიქრებდა,
რომ შენ ოდესმე დამივიწყებდი!

(ზედიზედ ისმის მანქანის საყვირის ხმა)

ე ვ გ ე ნ ი — რა შეუმჩნეველად გასულა დრო! ვიჩქაროთ, თორემ დაგვიგვიანდება. (ყველანი აფუსფუსდებიან, გასამგზავრებლად ემზადებიან).

თ ა მ ა რ ი — (უკვე გასამგზავრებლად მორთული კარებთან შედგება, თაიგული გულზე მიუხუტებია) გული მწყდება, რომ სახლს ვტოვებ... რა ლამაზად გიზგიზებს ჩვენი ბუხარი! აქედან ადამიანი წავა?

ე ვ გ ე ნ ი — ამას ახლა, გამგზავრების წინ ამბობ, თორემ შესდეგ სულ არ მოგაგონდება აქაურობა.

მ ი ნ ა დ ო რ ა — ისეთ განცხრომაში იქნები! აბა როგორ გგონია! (თამარი უცებ შეკრთება, რაღაც მოაგონდება, სწრაფად შეტრიალდება და გარბის თავის ოთახისაკენ. ევგენი დაინტერესდება თამარის ქცევით, მაგრამ ამ დროს ოთახში ისმის ზარის ხმა. ევგენი კარებს აღებს, ეტყობა, გარეთ ვიღაც დგას. ევგენი ოთახში შემოდის, შემოაქვს დეპეშა, კითხულობს. ჩაფიქრდება. ყველანი შეშფოთდებიან).

შ ი ნ ა დ ო რ ა — რა იყო, დედა, მითხარი!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — (დეპეშას გამოართმევს, თვალს გადააცლებს, გადაიხარხარებს) მე სხვა რამე მეგონა! (ხმამაღლა კითხულობს) „ბავშვი ავად არის, დედას ნატრულობს. ევა“.

შ ი ნ ა დ ო რ ა — რამდენი რამ არ გავიფიქრე, როგორ შემეშინდა.

ე ვ გ ე ნ ი — მაინც რა დროს მოვიდა ეს დეპეშა!

შ ი ნ ა დ ო რ ა — (ევგენის) თუ ხედები, რაშიაც არის საქმე? ჯერ თამარის მიტყუება უნდათ სოფელში, მერე შენი. ეს ხერხია.

კ უ კ უ რ ი — ერთი სიტყვით, შერიგება უნდათ!

შ ი ნ ა დ ო რ ა — რა თქმა უნდა! (ჩაფიქრდება) თუ გინდათ ერთიორი დღით გადადევით გამგზავრება.

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — რატომ არა, კარგი იქნება!

ე ვ გ ე ნ ი — თქვენ მართლა ხომ არ გგონიათ, რომ დროის გასატარებლად მივემგზავრები?! ერთი ვაგონი ხილი რომ ზედმეტად გავაყოლე, იმას პატრონობა უნდა თუ არა?! შარშან რომ ჩავვარდი, ის არ მეყოფა?!

შ ი ნ ა დ ო რ ა — ქორწილი აგერ ათი დღეა გრძელდება, ამის შემდეგ საქმეს უნდა მიხედოთ, რა თქმა უნდა!

ვ ა რ ლ ა მ ი — (შექმნილი მდგომარეობით შეწუხებულია) სოფელში იქნებ სერიოზული რამ ხდება და მაშინ?

შ ი ნ ა დ ო რ ა — მე გეტყვით: დეპეშაში ხომ არ წერია ბავშვი მძიმე ავად არისო? ამის შემდეგ თუ კი იქ სერიოზული რამე მოხდა, ხომ გვაცნობებენ? ჩვენც მაშინვე გიდეპეშებთ და გზიდან დაბრუნდით. თორემ რა გამოდის! ასეთ მგზავრობას რომ ტყუილ-უბრალოდ ხელი შევუშალოთ, შეიძლება?!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — ჭკვიანური აზრია! ამას მე ვიღებ ჩემს თავზე. (შემოდის თ ა მ ა რ ი, რედიკულში რაღაცას დებს, სიჩქარის გამო დაკეტვა უძნელდება).

ე ვ გ ე ნ ი — თამარს ნურაფერს ნუ ეტყვით! (თამარს) რისთვის წახვედი? (თამარი შემკრთალია, ეღიმება. ევგენი რედიკულს ხელს ჭიდებს) რა ჩადევი?

თ ა მ ა რ ი — არაფერი!

ე ვ გ ე ნ ი — მაჩვენე! (რედიკულს გახსნის, ამოაქვს ფოტოსურათი) ბავშვის სურათია! (სურათს ყველანი თვალს გადააცლებენ, თამარი დამნაშავესავით დგას).

შ ი ნ ა დ ო რ ა — ძალიან კარგი, შვილო! (თამარს მოეხვევა) რატომ გერიდება! ჩვენი ოჯახისათვის უცხო ადამიანებად ვინც მიგვაჩნდა, იმათ დავუმალეთ, თორემ ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რომ ნაქმარევი ქალი ხარ, რომ შვილი გყავს, რა ეუყოთ მე-

რე! მაგის გამო უხერხულობას ნუ გრძნობ! რომ ჩამოხვალ,— სოფელში წახვალ, საჩუქრებსაც ჩაუტან, აბა როგორ? (თამარი კმაყოფილების ნიშნად მინდორას გულში ეკვრის, აკოცებს).

ევგენი — (ევგენის სახე უკმაყოფილებას გამოხატავს) ნუღარ ეიგვიანებთ! (ცარლამი წუხს, მაგრამ ხმა ვერ ამოუღია, ჩემოდნები გააქვთ. ევგენი დურმიშხანს კარებში შეაჩერებს) შენ ღმერთი არ გაგიწყრეს, ისეთი რამ არ გვაცნობო, რომ გზიდან დასაბრუნებელი შეეიქნეთ.

დურმიშხანი — ხომ არ გადაირიე, კაცო!

მეექვსე სურათი

ლოგინზე ავადმყოფი გოგი წევს. გარშემო წამლის შუშები აწყვია. ანთიმოზი ავადმყოფს სასთუმალთან უზის. ბუხარს უსხედან ევა და ვენერა, დაღამებულა. გარეთ ქარი ზუზუნებს.

ევა — ახლა კი იქნება შენი წასვლის დრო, ანთიმოზ.

ანთიმოზი — (სწრაფად წამოდგება) წავალ, მაგრამ...

ევა — დღეს ნამდვილად ჩამოვა, არ უნდა ამას ლაპარაკი.

ვენერა — ამდენი ხანი რატომ დაიგვიანა, მიკვირს.

ევა — ვერ ხედავ რა ზამთარია? მარელისში სამი დღე იდგაო მატარებელი. (ანთიმოზი ფანარს ანთებს, წასასვლელად მომზადებულა).

ვენერა — იქნებ სწორი მისამართით არ მიეცით დეპეშა.

ევა — წააქცია ქარმა ტელეგრაფის ბოძები და თავის დროზე არ მივიდოდა, მაგრამ ის, ბატონო, ამ საღამოს აქ გაჩნდება, არ გინდა ამაზე ლაპარაკი! (ანთიმოზს) წადი ახლა შენ, ნუ იგვიანებ, (ანთიმოზი მიდის) სულ ამის ბრალია, ბატონო! რომ გათხოვდა, შეუთვალა, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოსო; ახლა გზაზე უხვდება, მაგრამ ვინ მოდის.

ვენერა — გზაზე რატომ უხვდება?

ევა — მოსახვევთან გზაა გაფუჭებული; იქ თუ ვინმე არ დაგიხვდა, კი ვერ გამოხვალ... მეშვიდე დღეა, მაგ უბედური, იმ მინდორზე ანთებული ფანრით დგას, მაგრამ მოდის ვინმე? მეტი არაა ჩემი მტერი! აჩქარებით კაცმა არაფერი არ უნდა გააკეთო, არა! რატომ აწყენინა იმათ? კარგი ქნა? არა! მერე რა ოჯახში ჩავარდა, რა ქმარი ყავს, ვენერა, ვერ აგიწერ...

ვენერა — აქაც კარგი ცხოვრება ჰქონდაო.

ევა — გაჩერდი ერთი, თუ ქალი ხარ, მთვარესავით ქალი ნახევარჯერ ლობიოზე იყო.

ვენერა — ესე იგი, შენი აზრით, არ გამოუშვებენ?

ევა — ისიც კი შეიძლება, რომ ქმარს არ ეწყინოსო და თვითონ არ წამოვიდეს.

ვენერა — მერე ქალმა ქმარი უნდა დააყენოს წინ თუ შვილი?

ევა — მაგას ნუ მეტყვი, ვენერა, გენაცვალე, ქალისათვის ყველაფერი ქმარია! როგორ? მე არ მყავს შვილები თუ? მოეწყვენ თავიანთთვის კარგად და, ნუ გეშინია, ჩემთვის არავინ არ იწუხებს თავს.

ვენერა — შენ კარგად რომ ხარ იციან და ამიტომ.

ევა — ქმარი რომ მყავდეს, კიდევ უკეთ ვიქნები, რატომ უნდა დავწანწალებდე მე თბილისში კალათებით? სხვები აგარაკებზე თუ დადიან და გრძელი ხალათები აცვიათ, მე ვისზე ნაკლები ვარ? ქმარზე უკეთესი ქალისათვის არავინ არ არის, არა! (ვენერას თბილ წამოსასხამის ქვეშ ახალ ხალათს შენიშნავს, ხელით გამოწვეს) ეს როდის შეაკერინე? მშვიდობაში! პირველ რიგში ქალმა ქმარი უნდა დააფასოს.

ვენერა — ქმარს გააჩნია.

ევა — ეს კია მართალი.

ვენერა — მე რომ გათხოვება არ გამიჭირდება, ამაში დარწმუნებული იქნები, ევა, მაგრამ შესაფერი რომ არ შემხვდა, იმიტომ ვარ ასე.

ევა — უქმრობას მაინც გლახა ქმრის ხელში რომ იყო ის სჯობს, იცოდე შენ. (ვენერას აბედ-დაბედავს. ფეხებზე აკვირდება) ხომ გაქვს კიდევ ფეხსაცმელები?

ვენერა — კი, როგორ არა, ორი წყვილი მაქვს, მაგრამ ასეთ ამინდში...

ევა — ისეთი ტუფლები აცვიათ ახლა თბილისში, — მერე ვის, სულ კარგ ქალებს, ისეთი, რომ თვალს ვერ მოაშორებ!

ვენერა — რა ტუფლებია?

ევა — ხელიკის ტყავიდან კერავენ თურმე, ისეთი ლამაზებია, რომ სულ გინდა უყურო

ვენერა — მე ვინ მაღირსებს.

ევა — სხვებისთვის თუკი იშოვება, შენთვის გაწყდა ხელიკები თუ?! (შემოდის ანთიმოზი) ასე ადრე რატომ დაბრუნდი?

ანთიმოზი — (ფანარს კედელზე ჰკიდებს, ქუდს თოვლისგან ბერტყავს) იმ მატარებლის მგზავრებმა კაი ხანია ჩაიარესო (ავადმყოფს აკვირდება).

ევა — ბავშვი კარგადაა... გამოკეთება დაიწყო. თავზე ნუ დაადგები, იძინოს.

ვ ე ნ ე რ ა — ძილი ყველაზე კარგი წამალია... არა, წამალს მაინც დავალევინებ, ისე არ წავალ.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (მუდარით) დღეს, თუ ხათრი გაქვთ, ნემსს ნუ გაუკეთებთ.

ვ ე ნ ე რ ა — (წყრომით) ექიმის განკარგულება არ შევასრულო? ხვალ დილით რომ შემოიცლის, რა ვუთხრა?

ე ვ ა — ვენერას კარგი ხელი აქვს, ძალიან კარგი! ყველა უმადლის. (ოთახში სიჩუმე ჩამოვარდება. ყველანი მოიწყენენ. ისმის ძახილი. გახარებული ევა ფეხზე წამოიჭრება) ეს თავმჯდომარის ხმაა! (შემოდის პ ა ვ ლ ე, ადრე შეჭაღარავებული, მიმზიდველი სახის კაცი).

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (პაველს დანახვა სიამოვნებს, მაგრამ მაინც საყვედურით მიმართავს) ღმერთო მომკალი! ასე გვიან რატომ შეწუხდით, როგორ შეიძლება!

ე ვ ა — საცაა იყივლებს მამალი.

პ ა ვ ლ ე — უფრო ადრე უნდა მოვსულიყავი, მაგრამ დღისით — საქმე, მერე: აქეთ კრება, იქით — თათბირი... ხომ მშვიდობაა?

ე ვ ა — გამოკეთება დაიწყო ბავშვმა, ახლა კარგად ვართ.

პ ა ვ ლ ე — დღეს ვინ მოსთვლის რამდენ ადგილას ვიყავი, მაგრამ გულისყური სულ აქეთ მქონდა... მნახველები ხომ მოდიოდნენ?

ე ვ ა — ბევრი, ბატონო, ბევრი... ხალხს ვენაცვალე, ყველას კარგი უნდა ჩვენთვის, გათენდება თუ არა, ამ სახლს ფუტკრებივით ეხვევიან.

პ ა ვ ლ ე — (ჯიბიდან ამოაქვს რამდენიმე პატარა შუშა) ამხანაგმა გედეონმა გამოგიგზავნა. (მაგიდაზე აწყობს) იქნებ შემოაკლდათო და მეორედ გაგზავნა კაცი თბილისში.

ვ ე ნ ე რ ა — (წამლის შუშას დახედავს. ევაც წამლის შუშას აკვირდება) კარგ დროზე მივიღე, სწორედ ახლა არის საჭირო.

პ ა ვ ლ ე — (ანთიმოზს) შუქი ხომ მუდმივი გაქვთ? ელექტრონის სადგური ცოტა შესაკეთებელია და, აქ თქვენს გაყოლებაზე რამდენიმე დღით სინათლე უნდა ჩამქრალიყო, მაგრამ არაო, თქვა ამხანაგმა გედეონმა, იმ პატიოსან კაცის ოჯახში იბრწყინოს და იკაშკაშოს სინათლემო, ასეთ დროს მის ოჯახში სინათლეს არ ჩავაქრობთო!.. (ანთიმოზს სიყვარულით ხელს გადახვევს).

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (თანაგრძნობის გამო დიდად კმაყოფილია) გმადლობთ, ჩემო ბატონო!.. მეც, თუ კაცი ვარ, პატივისცემას არავის არ დავუვიწყებ.

ე ვ ა — (პაველს გულწრფელად მიუალერსებს) რანაირად ხართ ყველანი

ასე კარგები? თქვენი სიტყვა კაცს კი არა, წაქცეულ ხეს წამოაყენებს... იქნებ რამე მიირთვათ.

პ ა ვ ლ ე — არაფერი, არაფერი, სრულიად არაფერი! (ევას) წყალს თუ დამალევინებ, მადლობელი ვიქნები.

ე ვ ა — ახლავე, ჩემო ბატონო, ახალ წყალს მოგართმევთ (გრაფინს გამონახავს, ძველ წყალს ჯერ ნაჯღრევით აიკაფებს, მერე გაფაღერის, გარბის).

ბ ა ვ ლ ე — (ჯორკოზე ჩამოჯდება შუა ოთახში, ეტყობა, რომ ცოტა ხნით ჩამოჯდა) ისე, ყველაფერი ეს რომ მშვიდობით გაივლის, მერე, ანთიმოზ, სკოლის ახალ შენობას რომ ვაგებთ, ის საქმე შენ უნდა ითავო.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (კმაყოფილია რომ ასეთი საქმე ევალება) ნამდვილად, ჩემო პავლე! მაგ საქმეში ჩემი იმედი გქონდეთ. (შემორბის ევა, შემოაქვს წყლით სავსე გრაფინი. ჭიქას, ღამბაქს დიდხანს რეცხავს, მერე ჭიქას ავსებს წყლით, ელექტრონის შუქზე წყლით სავსე ჭიქას ერთხელ კიდევ შეხედავს და მიაწვდის პავლეს).

ე ვ ა — ქარს ღრუბლები გაუფანტავს და იმხელა მთვარე იხედება ჭაში, რომ გაგეხარდება! დიდხანს ეთამაშა მთვარე „ვედრას", ეს იმ მთვარის წყალია!

პ ა ვ ლ ე — (წყლით სავსე ჭიქას გამოართმევს) წყლით სადღეგრძელო ვის უთქვამს, მაგრამ მე მომეცით ამის ნება: (ჩაფიქრდება. ევა ვენერას გადახედავს) ამ წყალივით ანკარა, კამკამა სულის პატრონ ადამიანებს გაუმარჯოს! (წამოდგება, ანთიმოზს ხელს გადახვევს, ღიმილით მიმართავს) ასეთი ხართ თქვენ, ანთიმოზ, ამიტომაც ნურაფერი ნუ შეგაკრთობთ. (წყალს დალევს) გმადლობთ, ევა, გმადლობთ. ახლა კი წავალ!..

ა ნ თ ი მ ო ზ ი — მადლობელი ვარ, პავლე ბატონო, მადლობელი... ყველა თქვენთაგანისაგან დავალებული ვარ... (ღია კარებში დგანან).

პ ა ვ ლ ე — შედი, ანთიმოზ, სახლში, შედი, ოთახი არ გააცივო! (მიდის. ვენერა წამალს ამზადებს, ანთიმოზი უახროდ ფუსფუსებს).

ე ვ ა — (ვენერას) ამის ნება მომეცითო, წყლით სადღეგრძელოს რომ სვამდა, იცით რატომ თქვა? — გულშია დაჭრილი... ღვინო არ დაელევა. ერთხელ: მაგ წინ მიდის და მე უკან; შევატყვე, რომ გული ცუდად გაუხდა, ღობეს მიეყრდნო, რა იყო-მეთქი, რომ ვკითხე, — არაფერია, ნერგებს ვათვალიერებო, ხემი სიკვდილი! ისე მაგ უცოლო კაცია, ხომ იცი, ვენერა.

ვ ე ნ ე რ ა — რატომ არის უცოლო?

ე ვ ა — რაც შეხედულება აქვს, იმ ხნის კი არ არის... უმაღლესი რომ დაამთავრა, მერე სულ ფრონტზე იყო...

ანთიმოზი — მთლად ჩემი გიორგის ნაირი კაცია. მაგნაირი ადამიანები რომ არიან გარშემო, იმიტომ ვთელი თავს ბედნიერ კაცად თორემ (ზიზღით) იმნაირები?

ევა — (ჯიუტად) არა, ანთიმოზ, ცოლ-შვილის შენახვა იმათმა უკეთ იციან...

ანთიმოზი — (უყვირებს) გაჩუმდი! (მორიდებით უკან დაიხევს, ჩამოჯდება, თავს მუთაქაზე მიდებს)

ევა — მოისვენე, ანთიმოზ! (ვენერას) ცამეტი დღეა მაგ საწყალს ტანზე არ გაუხდია. ეს თმა კარგად დაგიხვევია, გიხდება, ხომ იცი. (ანთიმოზს ჩასთვლემს)

ვენერა — ისე ძალიან კარგი ქალი არისო, ამბობენ.

ევა — ო... ო... იშვიათი! შენ ვერ მოუსწარი ხომ?

ვენერა — ჩემ დროს უკვე წასული იყო.

ევა — ერთ ქალად მარტო მისი სიტყვა-პასუხი ღირს, რაფერ გამოვიდა ჩვენს დროში მაგნაირი, მე მიკვირს... ჩამოვა და ნახავ.

ვენერა — აბა არ ჩამოვაო?

ევა — ხვალ დილით აქ იქნება! მართლა ასე კი არ არის საქმე. რას შვრება ეს ქარი, ხედავ შენ? ვინ იცის ახლა როდის ჩავალ თბილისში, როგორ მომენატრა იქაურობა.

ვენერა — ასე ამბობენ, პირველი ქმარი ჯობდაო.

ევა — არ დაიჯერო! ვინ თქვა ეს?

ვენერა — სოფელში ამბობენ. პირველ ქმარს ძალიან აქებენ (ანთიმოზი შეიშმუშნება)

ევა — არა, ბატონო, ახლანდელთან რა შესადარებელია.

ანთიმოზი — (მოულოდნელად თავს წამოწევს) რატომ არ არის შესადარებელი?

ევა — კარგი ახლა, ანთიმოზ, მეც მაქვს ჭკუა თუ არა, კარგს და ცუდს ვერ გავარჩევ თუ?

ანთიმოზი — რითია კარგი?

ევა — აი, მარტო ერთ მაგალითს ვიტყვი და, აგერ, ვენერამ გამამტყუნოს: ვერის ბაზარში ვარ და ყველს ვყიდი, ვყიდი, მაგრამ არ მეყიდება... შემოდის ევგენი, — იმან გაიხაროს! — თავისი ამხანაგებით, რომ დამინახეს, გაეხარდათ; რა ღირს, ევა; ყველიო, შემეკითხნენ, კილო ოცდახუთი მანეთი-მეთქი, იმათ მთელი კალათა ოცდაათ მანეთობაზე წაიღეს... შენმა შვილმა კი, რაიკომში რომ მუშაობდა, გადასახადი ოცდახუთი კილო ყველი შემაწერა.

ანთიმოზი — (სწრაფად წამოიარდება, მუგუზალს ხელს დააკლებს) ჰაიტ,

შე კუდიანო დედაკაცო! (ევა გარბის) ჩემს სახლში ფეხდადგმული არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! (ვენერა უხერხულ მდგომარეობაში ეარდება, ცოტა ხნის შემდეგ მიდის. ანთიმოზი აღელვებულია, უაზროდ ტრიალებს. უცებ ბავშვის ლაპარაკი მოესმის. ჯიდხანს აკვირდება, ბავშვი თვალებს ახელს) რაო?! რა სთქვი, გენაცვალე? (ბავშვის სიტყვები გაურკვევლად ისმის) ჰო, ნე ვარ, მე! რა სთქვი? (ყურს ბავშვის ტუჩებთან მიიტანს) შემომხედე! შემომხედე! ჰო, ესე! (ხმამაღლა იცინის, იმ მიზნით, რომ ბავშვი გაამხნეოს) მე ვარ, მე, ბაბუ! რაო? დედაა? (მხიარულად წარმოსთქვამს) ხვალ დილით აქ იქნება! ისეთ საჩუქრებს ჩამოგიტანს, რომ... (უცებ შიში შეიპყრობს, ბავშვს თვალებს არ ამორებს. ბავშვი სიტყვებს კვლავ უაზროდ წარმოთქვამს. ანთიმოზი კვლავ გამხნევდება, სიცილით ამბობს) ჰაიტ. შე გლახ! ეს ხის ტოტია, კედელზე რომ ურახუნებს, ამან შეგაშინა? თუ გინდა სულ მოვჭრი იმ ხეს! მაგრამ რას ვერჩით იმ საწყალს, გვეკითხება, გოგია როგორ არისო. (ხმამაღლა წამოიძახებს) კარგად ვარ-თქვა, კარგად, შესძახე, ბაბუ! (კვლავ შიში შეიპყრობს, გაქვავდება. ბავშვი კვლავ შეირხევა, მისი ღუღუღით წარმოთქმული სიტყვებიდან ანთიმოზი ასკვნის, რომ ბავშვი სიმღერას სთხოვს. ძალზე გაიხარებს) გიმღერო? ო, შენ გენაცვალე! ასეთი რამე მითხარი... ოღონდ სასიმღეროდ გამიხადე საქმე და, არ ვიმღერებ? ახლავე, ბაბუ! ჩემი სიმღერა კაცს არ გაუგონია, ამის ნიჭი არ მომცა ღმერთმა, მაგრამ შენ თხოვნას როგორ არ შევასრულებ! რა ვიმღერო, ა? ახლავე, შენი ჭირიმე! ძველად, ბაბუ, ასეთ დროს, საახალწლოდ, მესაზანდრეები ჩამოდიოდნენ ჩვენში, რაჭველი მესაზანდრეები... ჰო, ჩემსავით მოხუცები... კარგი ხალხი იყო, კარგი! კარგი გულის... ლამაზი საზანდრები ჰქონდათ, უხდებოდათ თოვლში სიარული... საზანდარი ხომ იცი? (მუთაქას აიღებს, იღლიაში ამოიჩრის) ჰო, აი ასეთია! ამღერებდნენ·

ეისაც ჩვენთვის კარგი გსურდეთ,
აგბდომოდეს ერთი ასად...
სიცოცხლე და გამარჯვება
ჩვენს პატარა გოგიასა!

(სიმღერას ფეხებსაც ააყოლებს, თითქოს ცეკვავს)
ტა'ში, ბიჭო! ტაში! ტაში! (აძუნძულდება. ბავშვის მდგომარეობა კვლავ შეაწუხებს. თანდათან ცხრება, უსიტყვოდ დგას, ბავშვს მისჩერებია. ბავშვი ისევ შეირხევა, თვალებს ახელს) სიმღერა? ახლავე! (თითქოს კვლავ საზანდარზე ამღერებს):

ძლათასა, მალათასა,
ხელი ჩაეყავ კალათასა....
ღმერთო ხელი მოუმართე,
კაცსა სწორსა და მართალსა!

(უცებ ილრიალებს. მუთაქა ხელიდან უვარდება. ფანჯარას აღებს. ყეირის) ევა, მიშველე! ვიღუპები! (ანთიმოზის ღრიალზე ბავშვი შეკრთება, უპირს, მაგრამ თავს ძალას ატანს, წამოიწევა, პაპასაკენ გაიხედავს, ევა კარებთან დაიკივლებს და სწრაფად ჩაიწყვეტს ხმას... როდესაც ანთიმოზი დაინახავს გოგის, რომელსაც თავი წამოუწევია, ერთხანს გარეტიანებული დგას, შემდეგ სწრაფად გაქანდება მისკენ).

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მეშვიდე სურათი

ზაფხულის თბილი დღეა. ოთახში მზე ეხედება. ა ნ თ ი მ ო ზ ი ტახტზე წამოწოლილა. კედელზე გაკრულია მსოფლიოს დიდი რუკა. ფანჯარასთან მიდგმულია პატარა მაგიდა, რომელზედაც ალაგია წიგნები, რვეულები, ანთიმოზი ე ვ ა ს თ ა ნ საუბარს განაგრძობს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ასე ვარ მე, იცოდე, ყველაფერში მართალი.

ე ვ ა — კი ხარ მართალი, კი.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (გაბრაზებული, გახარებული იმის გამო, რომ ევა ადვილად ეთანხმება) ჩემს გიორგისთან შესადარებელი ხალხია ისინი?

ე ვ ა — არა, ბატონო, არა!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ჩემი ოჯახი?

ე ვ ა — შენი ოჯახი, ანთიმოზ, ისე მაღლაა იმათ ოჯახისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ახლა გეთანხმები, ანთიმოზ, ყველაფერში გეთანხმები!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — აააა... ეს მინდა მე, სხვა კი არაფერი... ამაზე იყო ჩვენი ჩხუბი.

ე ვ ა — შენ ასე ნუ უყურებ ევას... მე, მართალია, პატარა რამე მომეწონება, მაგრამ პატარა რამე გამიტეხს გულს... ერთხელ უკანა ოთახში გამიყვანეს, მაგიდა გრძლად იყო გაშლილი, იმ მაგიდაზე რაღაცა ეშმაკის კვერცხივით დახტოდა და იმას დასდევდნენ, რა არის-მეთქი, რომ ვიკითხე, მითხრეს „პინგ-პონგს“ ვთამაშობთო... (დაცინვით) რაა პინგ-პონგი! ვაუკაცი კაცის სათამაშოა? (ანთიმოზს სიამოვნებს ევას ლაპარაკი, მაგრამ პასუხს არ აძლევს, მაგიდაზე წიგნებს მიალაგ-მოალაგებს, დაყრილ ფანქრებს, კალმისტრებს ხელს გადაუსვამს, სიყვარულით ეალერსება) ისე, იცი რა გითხრა? იმ შენს თამარსაც მიწა დავაყარე! (აღელდება) სად, როდის იყო ბავშვი ავად!.. აგერ სექტემბერი გახდა, სწავლა დაიწყო და ჯერ კიდევ არ მოაკითხა... ბავშვის ამბავს კი არ კითხულობს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (სწრაფად შეიცვლება, განრისხდება) რაო? აქ ჩამოსვლას

როგორ გაბედავს!

ევა — მართალი ხარ, მართალი.

ანთიმოზი — (ყვირილით) ეს არ მოხდება!

ევა — (დაბალი ხმით) რა ემართებათ ამ ქალებს, გათხოვებაზე რომ ამოსდით სული... მე თუ ვარ ამდენი ხანია უქმროდ, მაგას არ შეეძლო ყოფილიყო? როგორ ვალმერთებდი, ვესასოებოდი... (წამოდგება, თმებს, კაბას ისწორებს) არა, გენაცვალე, მაგ ჩემ ფრჩხილადაც არ ღირებულა!

ანთიმოზი — (მტკიცედ) მე გადავუსვი ჯვარი ყველაფერს და გათავდა, ნულარ მელაპარაკები.

ევა — ისე, ერთხანს ლაპარაკობდნენ, ანთიმოზ, რომ ბავშვს უპირებენ წაყვანასო...

ანთიმოზი — (შიში და სიბრაზე შეიპყრობს, წონასწორობას კარგავს) იმ დღეს ნუ შემასწროს ღმერთმა, რომ ჩემი გოგი იმას მამას ეძახდეს! (განრისხებული) სანამ მე ცოცხალი ვარ ამის (თავის შვილის სურათზე მიუთითებს) დაჩაგვრის უფლებას არავის არ მივცემ!

ევა — ისე, რომ დაუკვირდე, ისეთი აზრიანი ბავშვია, რომ გაგაკვირვებს. ახლა დედის სახელს ვერ უხსენებ, ანთიმოზ, ხომ იცი. (ანთიმოზს ამშვიდებს ევას ნათქვამი. შემოდის გ ო გ ი. ანთიმოზს სახე გაუბრწყინდება, სიყვარულით მოეხვევა)

ანთიმოზი — ეს მყავდეს კარგად და, გიორგი ტორონჯაძის ოჯახი ისევ გაიხარებს! მოდი, ბაბუ, მოდი, შენი ჭირიმე! (მოეხვევა) ოფლიანი რატომ ხარ? წყალსაც დალევდი, ცივ წყალს... შენ რა გითხრა!

ევა — (წასვლას აპირებს) დაგენიზლაევები, რომ მაგ ახლა ჩემი ლეღვის ხეზე იყო ამძვრალი.

ანთიმოზი — შენს ხეზე რატომ?

ევა — (ბავშვს ხუჭუჭა თმებზე ხელს გადაუსვამს, თმებიდან ხმელი ფოთლები ამოაქვს) ფოთლებზე ვატყობ, ბატონო, ფოთლებზე (ფოთლებს სრესს) ეშმაკი ხარ, ეშმაკი! (შიდის)

ანთიმოზი — (პირსახოცი გამოაქვს, ხალათში ჩაუყოფს ბავშვს, ტანს უმშრალებს) ნამეტანი გაოფლიანებულხარ, ბაბუ, ასე არ შეიძლება. ღმერთმა ნუ ქნას და შენ რომ მეორედ ავად გამიხდე, მე ვერ ავიტან იცოდე.

გ ო გ ი — ეს რა არის! შეიცვალა ამინდი. წვიმა მოდის!

ანთიმოზი — მოვიდეს! წელს არაფრის არ მეშინია, ყველაფრით კარგადა ვარ... მე დაკვირვებული ვარ, რომ ჩვენ ავდარში უკეთ ვმეცადინეობთ... (ბავშვს ეფერება) მართალი თქვი, მე ხომ

კარგად შეეისწავლე შენი საგნები, მეც ხომ ვიცი შენი გაკეთილები?

გ ო გ ი — იცი, იმიტომ რომ სულ ჩემს წიგნებს ჩაკირკიტებ, მე რომ ხმამაღლა ვკითხულობ, იმახსოვრებ... მერე, როცა ვიმეორებ, შენ კიდევ შიგ იცქირები და იმიტომ...

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (ღიმილით) კარგად ხომ ვიცი, კარგად, შენ ეს მითხარი.

გ ო გ ი — (უკირს დაეთანხმოს, მაგრამ არ სურს პაპას აწყენინოს, თვით გოგიაც მოუალერსებს პაპას) გეოგრაფია იცი, არა უშავს, მაგრამ ბოტანიკა არ იცი.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ბოტანიკა არ ვიცი?

გ ო გ ი — არ იცი, ბაბუ, არა!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (გულუბრყვილოდ) ფოთლების და ფესვების ამბავი თუ არ ვიცი, აბა რა ვიცი, შე კაცო.

გ ო გ ი — გეოგრაფიაშიც გეშლება, ბაბუ, ხანდახან.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (აღელვებული) მეშლება კი არა, ამ რუკაზე ახლა რასაც გინდა თვალდახუჭული დავადებ თითს... რატომ ხარ ჯიუტი, რატომ არ გინდა გაპოტყდე, რომ მე სწავლაში გეხმარები?

კ ო გ ი — აბა, სად არის ვიეტნამი?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ვიეტნამი? ხო შინ მინი რომ იბრძვის? მაგის მეტს რას ვკითხულობ გაზეთებში.

გ ო გ ი — ხო, სად არის?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (წამოდგება, რუკას უახლოვდება. ეშინია რომ არ იცის) მაგ როგორ არ ვიცი... ა, კაცო! (თითით რუკაზე შემოხაზავს არხანგელსკის მახლობლად)

გ ო გ ი — (სიცილი აუტყდება. გულიანად ხარხარებს) მანდ რა უნდა, ბაბუ, მაქ ხომ ყინულოვანი ოკეანეა! (ანთიმოზი მარცხის გამო თავზე ხელს ისვამს) აგერ არის, ბაბუ, აგერ!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (დარცხვენილი) ამაში კი ხარ მართალი, კი!

გ ო გ ი — აბა, მაჩვენე სუეცის არხი.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — არხს რა უნდა რუკაზე! არხი კი არა, აქ ბევრი მდინარისათვის არაა ადგილი... შენ იცი თუ არა, რომ მდინარეების ნახევარზე მეტი გამოტოვებულია.

გ ო გ ი — (რუკაზე თითით ხაზს გაავლებს) აი, აგერ არის! (იცინის. ანთიმოზი დარცხვენილი ზის) არ იცი, ბაბუ, არა.

ა ნ თ ი მ ო ზ ი —(გამოსავალის პოვნას ცდილობს) ეს შემეშალა, მართალია, მაგრამ... ეს ხომ ვიცი!

გ ო გ ი — აბა რომელი?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (ცალკე თავმომწონედ) რომელი და, აი ეს. „აქ მთები და ქედები შეჯგუფულან... ამ მთიან მხარეს პამირის მთიანეთი ეწოდება... ეწოდება... ეწოდება... (ამის შემდეგ სიტყვებს სხაპა-სხუპით მიაყრის) კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია იალბუზი. იალბუზზე უფრო მაღალია პამირის უმაღლესი მწვერვალი — სტალინის პიკი. სტალინის პიკი საბჭოთა კავშირის და მთელი დედამიწის უმაღლესი მწვერვალია!"

გ ო გ ი — (იცინის, აჯავრებს) არ არის მართალი, შეგეშალა.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (შეუბღვერს) რა, არ არის მართალი?

გ ო გ ი — ყველაზე მაღალი ევერესტია.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — რაო?

გ ო გ ი — ყველაზე მაღალი ევერესტია, ბაბუ.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (გულმოსული) მერე რა ვუყოთ!

გ ო გ ი — არ იცი, ბაბუ, არა!

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (გული აუჩუყდება, ბავშვს სიყვარულით მოეხვევა) მე არ ვიცი, მაგრამ შენ ხომ იცი, შენი ჭირიმე! მინდა დაგეხმარო. სწავლა გაგიადვილო, მაგრამ, რა ვქნა, მეტი არ შემიძლია და, ამიტომ ვფხაკურობ, ბაბუ, ვფხაკურობ... შენ ისწავლე, შენ გაიხარე, შენი ჭირიმე, მე სხვა არაფერი მინდა! (გულში ჩაიკრავს, სიხარულის ცრემლები მოერევა) ევერესტი! რა საკვირველი სიტყვაა! პირველად გავიგონე. ამდენი კი იცი შენ, ბაბუ?! ასეთი რამეები როგორ დაიმახსოვრე!

გ ო გ ი — (გახარებული) ევერესტის სიმაღლე უდრის, ბაბუ, რვა ათას რვაას ოთხმოცდა ორ მეტრს...

ა ნ თ ი მ ო ზ ი — კარგი, შენი ჭირიმე! გამახარე, ბაბუ, გამახარე!

გ ო გ ი — მე ვისწავლი, ბაბუ, კარგად ვისწავლი, შენ ამის ფიქრი ნუ გექნება. (წვიმა მატულობს)

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (ბავშვს მკლავებს გაუშლის, გახარებული შესცქერის) ჰო, რა ბიჭი ხარ! სულ მამაშენს გავხარ... მასავით ნათელი სახე გაქვს, მასავით ხუჭუჭი თმები. იმას ვენაცვალე! შენ გენაცვალე!

გ ო გ ი — (გათამამებული, გამხნევებული) სწავლით კარგად ვისწავლი, ბაბუ, შენ ამაზე ნუ იფიქრებ. მე უკვე ხუთიანები მყავს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — როგორ, როგორ?

გ ო გ ი — სულ ხუთიანები მყავს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (სიამოვნების ღიმილი უელის სახეზე) როგორ მომწონს ეს სიტყვა: „მყავს", „ხუთიანები მყავს". ჩვენში ასე არ იტყვიან, ბაბუ, შენ ალბათ თბილისში შეეჩვიე, მეც იქ გავიგონე ბავშვებისაგან... მომწონს, როცა ამბობენ: „ხუთიანები მყავ-

სო!" თითქოს ჩიტები არიან (ხუთიანებს ჩიტების სახით წარმოიდგენს, თითქოს ხედავს, თითქოს ხელებში პყავს და ლოყაზე მიიდო, ეალერსება) ვუი, ვუი, ლამაზი ჩიტები! (გახარებული წამოიყვირებს) კარგი, შენი ჭირიმე, კარგი, ჩემო ბაბუ! (გაეთამაშება) ახლა ის მიმღერე, ის, გუშინ რომ ვმღეროდით... ჰო, ჰო, თუ გიყვარდე! აბა წამოიწყე! (ბავშვს კვლავ ხელს გადახვევს, ლოყას ლოყაზე მიადებს. ანთიმოზი გახარებული, გალაღებულია. ორთავენი გატაცებით მღერიან)

ციმბა გშობა შობითა,
ვირდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა, —
მას გიუხარ სურნელებითა.

(მოულოდნელად კარს შემოაღებს თ ა მ ა რ ი, ხელში დიდი, ლამაზი შეკვრა უჭირავს. ანთიმოზი განრისხებული წამოვარდება, ბავშვი კუთხეში მიდგება. ანთიმოზის მრისხანე თვალები თამარს შეაკრთობენ, შიში შეეპყრობს, შეკვრას იქვე კართან სკამზე ჩამოდებს.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (თამარს ყვირილით მიმართავს) ჩვენთან მოსვლა როგორ გაბედე?

თ ა მ ა რ ი — (მთრთოლვარე ხმით პასუხობს) ვიცოდი ასე შემხვდებოდით, ბატონო.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ვიცი, რისთვისაც მოსულხარ.

თ ა მ ა რ ი — (ბავშვისაკენ ხელებს გაიშვერს) შვილო! (გოგი პაპას შეხედავს, ყოყმანობს, დედისაკენ ანიერებს წასვლას, მაგრამ ანთიმოზის გამოხედვას ვერ უძლებს, მისკენ გაქანდება, მას მიეკვრის)

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (ბავშვს ხელს მოხვევს) ამ ბავშვს დედა არა ყავს!

თ ა მ ა რ ი — (ცედელს მიეკვრის, შემკრთალი ხმით წარმოსთქვამს) კარგად ხარ, შვილო?

ა ნ თ ი მ ო ზ ი — ჩვენს ამბავს ნუ კითხულობთ!

თ ა მ ა რ ი — მართალს ბრძანებთ, ბატონო, მართალს (თამარი სწრაფად ერკვევა. ძალას მოიკრებს შეკვრაზე მიუთითებს) ამის დატოვების უფლება მაინც მომეცით, ბატონო. (თამარი მიდის).

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (დიდხანს მისჩერებია შეკვრას, მერე თითქოს გამოერკვაო, შეკვრას ხელს ჰკრავს, გარეთ გაისვრის. განრისხებული ხმით წარმოსთქვამს) უპატიოსნო ადამიანების საჩუქარი ტორონჯაძეების ოჯახში არასოდეს არ შემოსულა! (ბავშვი ღელავს, ეტყობა უძნელდება უდედოდ დარჩენა. ანთიმოზი ისევ მოეხვევა მას. ბავშვი ატირდება. ანთიმოზი გაშეშებული თვალებით მისჩერებია სივრცეს. წვიმა უფრო ხმაურობს).

ამაშუკელთა ბინა, მაგიდას უსხედან გიგო, დურმიშხანი, კუკური; ფანჯრები, კარები ღიად არის დატოვებული. ყველას ხალვათად აცია. იგრძნობა, რომ ზაფხულის ცხელი დღეა, ბროლის სპეციალურ ჰურჰელში გიგო „კრუშონს“ ამზადებს. ოთახებს შორის დროდადრო ჩნდება მინადორა. ეტყობა, მის ყურადღებას სხვა რამ იპყრობს.

დურმიშხანი — (გიგოს) დავიხრჩვით შენს ლოდინში.

გიგო — ვაჰ, ატამს შოვნა უნდოდა თუ არა? შენ ამის ფასი იცი? ეს ერევნის ატამია! ამის შოვნა ადვილი ნუ გგონია.

კუკური — მერე რაღა ამას დაეძებდი, სხვა წამოგეღო, ღვინოში არ ივარგებდა თუ?

გიგო — მე ნუგბარი რამეების ჭამა მიყვარს.

დურმიშხანი — (წამოდგება, სახეს ინიავებს) სექტემბერი და ასეთი სიცხე! ეს რა ამბავია!

გიგო — („კრუშონს“ უსხამს) აბა, მიირთვით! ცოტას კიდევ რომ ვაცლიდეთ, ყინული მთლად გადნება და მერე ნახეთ.

კუკური — (სვამს) მშვენიერია! კიდევ დამისხი, ვერ ვითმენ, ძმაო! (ზედიზედ სვამენ, საჭმელს ატანენ)

მინადორა — (სწრაფად მიიკრება მათთან, ჩურჩულით ეუბნება) თქვენი ჭირიმე, იმხიარულეთ, იქნებ ხასიათი გამოუკეთდეს.

გიგო — დღესაც ჰქონდათ უკმაყოფილება?

მინადორა — ყოველდღე ასე არ არის? მოსკოვშიაც ამ ყოფაში ყოფილან... კარგად არიან, კარგად არიან, გაუტკბათ მოსკოვიო, რომ მეუბნებოდით, არ მჯეროდა. ხომ მართალი ვყოფილვარ? დედის გული ყველაფერს მიხვდება.

გიგო — ერთი მითხარი, რას მოითხოვს, რა უნდა?

მინადორა — თქვენი ცხოვრება არ მომწონსო, კარგი ადამიანები არ ყოფილხართო... წინათ რაც იყო, იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს რამდენი ქალიშვილი ნატრობდა ევგენის ცოლობას, შენც კარგად იცი.... ეს კი ასეთ ბედში ჩავარდა, მაინც უკმაყოფილოა. რა გინდა, ქალო, რა?! შეუწყვე ქმარს ხელი და ყველაფრით ბედნიერი იქნები. არა, არ მინდაო!

გიგო — რას იზამ, ფლავი უდგას და იშტა არა ჰქონია.

მინადორა — სოფლიდან რაც ჩამოსულა, იმის შემდეგ მაინც სულ ვერ იცნობ.

გიგო — რძლებში არ გაქვს იღბალი, მინადორა, არა! (გიგო განსაკუთრებულ ხმაურს იწყებს) აბა, მიირთვით! (თვითონაც სვამს) მე მიყვარს, როცა ჭიქაში ყინული ეჩხაკუნება. (წაიღიღინებს)

თეთრი ტყე, შავი ტყე,
ვერაფერი შავიტყვეს..

მ ი ნ ა დ ო რ ა — ჰო, ასე, თქვენი ჭირიმე, თორემ ჩაკვდა ჩემს სახლში ცხოვრება. (მიდის).

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი — (საკმელს შეეკვეა. კუკურის) მაშ მოგეწონა ჩემი „პობედა“?

კ უ კ ო რ ი — ამ სიცხეში წყნეთში ისე ავარდა, რომ ერთი არ დაუხვნეშია, წყალი არ ადუღებულა, ერთი ცრემლი არ გადმოუგდია.

გ ი გ ო — მე ფერი არ მომწონს.

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი — ყვითელი ფერი არ მოგწონს?

გ ი გ ო — ეგ რა ფერია, თითქოს ციება შეჰყრიაო.

მ ი ნ ა დ ო რ ა — (გიგოს ჩურჩულით) არ ძინავს, ისე აქვს გაზეთი სახეზე წაფარებული... დაუძახეთ...

გ ი გ ო — ეგეგინის ხასიათი მე ეიცი, ცოტა დაგვაცადე. (კუკურის შესახებ ეუბნება მინადორას) ამის საქმეც ასე არ არის? მეორე ცოლიც გაუშვა, არ გამოადგა.

კ უ კ ო რ ი — არ გამოდის, რა! (მღერის. სხვებიც აყვებიან)

ვარდს ვთესავ, ანწლი ამოდის,
ეს როგორ არ გამიკვირდეს?
ამის შემდეგ ანწლს დავთესავ,
იქნებ ვარდი ამოვიდეს!

გ ი გ ო — კი, მაგრამ... ერთი რამ მითხარით, მამაშვილობას გაფიცებთ, ამ ცოლებს რომ უშვებთ, თქვენ, ეთქვათ, გული არ გწყდებათ, მაგრამ იმათ არავინა ჰყავთ, რომ გამოექომაგონ. პასუხი გაგებინონ?

კ უ კ ო რ ი — გამოექომაგონ კი არა, მე რომ ცოლი გავუშვი, მეორე დღეს, ჰმ, მისმა ნათესავმა ქალიშვილმა სხვაგვარი ლაპარაკი არ დამიწყო?! იცინის და მეუბნება: (ჯავრებს) ჰო... ჰი... ჰეი... ცუცა ვარ, აფთიაქის ავტომატიდან გელაპარაკები... კარგი რა! ისე, მე თუ მკითხავთ, ახალგაზრდა ქალიშვილებს კაცმა არ უნდა დაუწყოს დევნა, მე უკვე მაგათი თავი აღარ მაქვს.

გ ი გ ო — კაკბებივით ფრთხილები არიან, ძნელად მიეპარები, ხომ?

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი — (კუკურის) აბა ვის, კაცო?

კ უ კ ო რ ი — მე ბალზაკს რომ მოსწონდა, იმ ხნის ქალები მომწონს.

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — (გაიცინებს, თითქო დიდმნიშვნელოვან საკითხზე ეკო მათებაო) რას ამბობ?

კ უ კ ურ ი — (დამშვიდებით პასუხობს) კი, კი! იმათ პერეკისით შეღებილ თმებს ვენაცვალე! მომწონს! თითქოს ჩამავალ მზემ მიანათა თმებზეო. (წაიღიღინებს, შემდეგ უცებ გიგოს მიუბრუნდება) რას ისვამ შენ თავზე, გიგო, რატომ არ გვეუბნები?

გ ი გ ო — (კუკურის შეკითხვის კილო არ მოსწონს) რას ვისვამ რა კითხვაა?!

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — (სერიოზულად) რა წამალი იცი, ჩვენც გვითხარი.

გ ი გ ო — (ხან ერთს, ხან მეორეს აკვირდება, ატყობს, რომ აუხირდნენ) ვაჰ!..

კ უ კ ურ ი — რაღაცას რომ ისვამ თავზე, ამას არ უნდა ლაპარაკი. (გიგოს წყინს მათი შეკითხვები, მაგრამ გამოსაალი ვერ უპოვნია).

დ ურ მ ი შ ხ ა ნ ი — რას ისვამ თავზე, გვითხარი! (კუკური თმებს ჩამოუშლის, მოუჩანს მელოტი თავი. იცინიან. გიგო თმებს ისწორებს) მაგის წამალი რომ ვიცოდე, ერთ თვეში მილიარდერი გავხდები.

გ ი გ ო — კარგი რა, გეყოფათ! თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ გიგო გაათამაშეთ? ჭკუით იყავით, თქვენ რომ მიდიოდით, მე მოვდიოდი (გამოჩნდება თ ა მ ა რ ი, სიცილ-სიმღერას თანდათან წყვეტენ. თამარი შეცვლილა, ნაწამები სახე აქვს. სტუმრებს არ ესალმება, ყურადღებას არ აქცევს, თითქოს ზიზღითაც კი გადახედა, მოპირდაპირე ოთახის კართან შედგება, კედელს მიეყრდნობა. უხერხულ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით. გიგო კედლის კალენდარს მიწედება, ფურცელს აახევს, კითხულობს) ვაჰ, დღეს ტანკისტის დღე ყოფილა! (ამ სიტყვებზე თამარი ტყვიანაკრავივით შეირხევა. გიგო მეორე გვერდზე კითხულობს) „როდესაც ორიოლ-კურსკის მიმართულებით მტრის ტანკები შემოიჭრნენ, საბჭოთა ტანკებმა“... აბა, ეგ რა არის?! ეეეჰ, ჩვენი თელეთობა, მცხეთობა! (გიგო თამარს გამომწვევად შეხედავს, მაგრამ დიდხანს ვერ უსწორებს თვალს. უხერხულობისაგან თავის დასაღწევად ჯიბიდან საათი ამოაქვს, მაგრამ ისიც დაუვარდება. თამარი მიდის) რომ შემომხედა — შევხედე, მაგრამ ეს რა იყო, დავიბენი. ვითომ რატომ? პროკურორისთვის გამისწორებია თვალები და ამას ვერ გავუსწორო?! საათიც რომ დამაგდებინა ხელიდან! (უურთან მიიდგება, ამოწმებს. გამოჩნდება ე ე გ ე ნ ი, თამარს გამგმირავი თვალებით მიაცილებს, კართან შედგება)

ე ე გ ე ნ ი — მითხარით, მე ვინმე გამამტყუნებს?

გ ი გ ო — თავის დღეში! ვთქვათ, თქვენ არ გცემს პატივს, მე რა დავუშავე? ისე შემოგვხედა, რომ ვითომ, აქ რატომ ხართო.

მ ი ნ ა დ ო რ ა — (მწარედ ჩაიცინებს) ეს კიდევ რაა, ისეთ რამეს ხე-

დავს ჩემი თვალები, ის რომ ვთქვა, კაცი (ევგენიზე ამბობს) გულშეწუხებულია და, მთლად ცეცხლი მოეკიდება... ჩვენ უნდა ვიქცეოდეთ ისე, როგორც მას სურს, თუ თვითონ უნდა იქცეოდეს ისე, როგორც ჩვენს ოჯახს შეეფერება? იქნებ მე არ მესმის, თქვენ გამაგებინეთ.

ევგენი — ერთი მითხარით, სანამ შეგიძლიათ გაუძლოთ ქალს, რომელიც სტუმრებს ასე მიიღებს?

მინადორა — ესენი სტუმრები არიან? თქვენს დანახვაზე მზე არ უნდა ამოდიოდეს? ერთი მითხარით, თქვენზე უკეთეს ადამიანებთან როდის ჰქონია მას საქმე?

კუკური — თქვენ როგორც გნებავთ, მე კი აწი აქ ფეხის დამდგმელი არ ვარ.

მინადორა — არც გაგიმტყუნებ, შვილო. ჩვენი არაფერი არ სიამოვნებს და აბა რა უნდა ვქნათ. ნეტავ მაცოდინა, მისი დასაწუნი რა გვაქვს? თავიდან ობლობაშია გაზრდილი, მერე რა ოჯახშიაც იყო, თქვენ კარგად იცით.

გიგო — რაო, მაინც რას ამბობს?

მინადორა — (აჯავრებს) ეს რატომ არისო, ის რატომ არისო, — ამდენ ღვინოს რატომ სვამენო, კარტს რატომ თამაშობენო... ცოლმა თუ ქმარს ხელი არ შეუწყო, ისე ოჯახი წინ წავა, ბატონო?

გიგო — აფსუს ჩემი რძალი! სულ თვალებში მიყურებს.

მინადორა — კაცს დაფასება უნდა ჰქონდეს ოჯახში, აბა როგორ?

ვიგო — ამ მხრივ ბედნიერი კაცი ვარ... ერთხელ დავსვი ჩემი რძალი, შვილიშვილებიც გვერდით მოვისვი, ვეუბნები: თქვენ რა გიჭირთ, ბედნიერები ხართ, კარგ დროში ცხოვრობთ. ბევრ კარგ რამესაც მოესწრებით, მე კი მიმავალი ვარ-შეთქი... უცებ ერთად აყვირდნენ: არ გვინდა, პაპაჯან, არ გვინდა. შენ თუ არ იქნები, არაფერი არ გვინდაო.

მინადორა — ქალი ის ყოფილა.

გიგო — მერედა. რა ტოლმის გაკეთება იცის, ვაზის ტოლმის! ისეთი სუნი დგება, რომ... (ტანისამოსზე დაიხედავს) აი, ესეც მისი გარეცხილია, ჰალვასფერი ტილოა, მაგრამ გზაზე ხალხს თოვლზე მეტად ჭრის თვალს.

ევგენი — არა, მე რა ვქნა, მითხარით.

მინადორა — შენ შენს თავს მიხედე, ნუ ხარ ყველაზე გადაყოლილი... კიდევ ჩვენ, თორემ სოფელში ყველას პირი შეუქცე-

ვია, მამამთილს ხომ თვალით არ დაენახვება... ჩვენთანაც არ ცდილობს კარგად იყოს და, არ ვიცი რას ფიქრობს.

ევგენი — (უცებ წამოიჭრება) თუ შეიძლება, ცოტა ხნით მარტო დამტოვეთ!

გიგო — ახლა თავი გაანებე, თუ გიყვარდე, ახლა არა!

ევგენი — მოთმინება არ მყოფნის, სანამ უნდა ვიყო ასე? (მრისხანე ხმით) თამარ! (ყველანი ფეხაკრეფით გადიან. შემოდის თამარი) შენ ვინ მოგიტანა ამბავი, რომ მე ცოლი მყავდა, ა? ბაჯიმ, ხომ?

თამარი — რა გინდა იმ საწყალთან, რას ემართლები?

ევგენი — რატომ გაუშვაო, როგორ გითხრეს?

თამარი — (ეტყობა, რომ ბოღმა აღრჩობს, მაგრამ დამშვიდებით ამბობს) არ მაინტერესებს მე ეს ამბავი, სრულიად არ მაინტერესებს.

ევგენი — რატომ?

თამარი — თქვენ ჩემთვის არ არსებობთ... მე აქ იმდენი რამ ვნახე, ისეთი რამ განვიცადე, რომ...

ევგენი — (შექარით) სთქვი, სთქვი!

თამარი — მეზიზღებით!

ევგენი — (ყველა კარისაკენ იხედება) სად ხართ? შემოდით! თქვენი ყურით მოისმინეთ!

თამარი — (ბოღმამორეული, მაგრამ დამშვიდებული ხმით) მათ რად ეძახი? მე არასოდეს არ მითვალთმაქცნია, ჩემი ამ ოჯახისადმი დამოკიდებულება ყველამ იცის.

ევგენი — მაშ ამ ოჯახში რატომ ხარ?

თამარი — (ცრემლები მოაწვება) სად ვარ? ეს რა შეცდომა დავუშვი, ღმერთო ჩემო! თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ ერთ დროს! ახლა კი? ასე მგონია ჯურღმულში ვარ.

ევგენი — მერე ვინ გაიძულებს ჯურღმულში ყოფნას?

თამარი — ცოტა კიდევ მაცალე, მოვიკრეფ ძალას და ჩემს გზას დავადგები.

ევგენი — გვემუქრები? რა გზას დაადგები?

თამარი — მე ისევ ის ვიქნები, რაც ვიყავი! მე ისევ ავმაღლდები ხალხის თვალში!

ევგენი — (თამარის სიტყვები იპვებს აღუძრავენ) ტყუილა გიფიქრია... ვერ შესძლებ!

თამარი — რას ვერ შევძლებ?

ევგენი — (შექარით) ბინას ვერ გაგვიყოფ!

თამარი — (მოულოდნელი პასუხი იმდენად შეაკრთობს, რომ შეჰკივლებს) თურმე რაზე ფიქრობ... რა მესმის!

ე ვ გ ე ნ ი — (ყვიოილით) დედაჩემის დაჩაგვრის უფლებას არავის არ მივცემ! (ზარის ხმაზე მინადორა კარს აღებს, შემოდის ვ ა რ ლ ა მ ი. ევგენი მას ცივად ღებულობს, რის გამოც თამარი იძულებულია ადგეს. თვალცრემლიან თამარს ვარლამი დიდხანს აკვირდება. თამარი გადის, ვარლამი ჩამოჯდება, გვერდით მინადორა მოუჯდება).

მ ი ნ ა დ ო რ ა — მკლავზე შავი რატომ გაქვს მოხვეული, ვარლამ ბატონო?

ვ ა რ ლ ა მ ი — იასონი დავასაფლავეთ გუშინ.

მ ი ნ ა დ ო რ ა — აბა, საწყალი, შეძეცოდა... მერე ასე ახლოს იყო თქვენთან?

ვ ა რ ლ ა მ ი — დაახლოებული თქვენთან უფრო იყო, მაგრამ გული მე უფრო დამეწვა. (ევგენი გრძნობს მის გადაკრულ სიტყვებს და გულმოსული მისჩერებია).

მ ი ნ ა დ ო რ ა — მე ორი წელიწადია სახლიდან არ გამიდგამს ფეხი, ესენი კი უნდა ყოფილიყვნენ... კარგი ამხანაგები იყვნენ და არ ვიცი რა მოუვიდათ. რაზე მოიკლა თავი იმ უბედურმა?

ვ ა რ ლ ა მ ი — ხომ იცით, რის გამოც მოიკლა თავი.

მ ი ნ ა დ ო რ ა — სიყვარულის გამო თუ მოიკლა თავი, იცოდე, ვერ ვაპატიებ.

ვ ა რ ლ ა მ ი — საქმე რომ წაუხდა, იმის მერე სულ გვერდში ვედექი, არ მოვშორებივარ; თავმოყვარე კაცი იყო, მაგრამ თავს თუ მოიკლავდა, არ მეგონა.

ე ვ გ ე ნ ი — (გამომწვევად) რატომ მოიკლა თავი?

ვ ა რ ლ ა მ ი — მე რომ არ ვთქვა, შენ ხომ იცი.

ე ვ გ ე ნ ი — თუ ვაკაცი ხარ, თქვი.

ვ ა რ ლ ა მ ი — ამას რა ვაკაცობა უნდა, შე კაცო, ამ ოჯახში ვაუბედურდა და ამის გამო მოიკლა თავი.

ე ვ გ ე ნ ი — (ყვირილით) სულელი ხარ შენ! მეორეჯერ არ გაბედო ამის თქმა! (მინადორა გადის)

ვ ა რ ლ ა მ ი — რატომ?

ე ვ გ ე ნ ი — შენსავით სულელმა თავისი დანაშაული ყოველთვის სხვას უნდა გადააბრალოს. რისი წელიც არა აქვს, იმ საქმეში რატომ ერევი? სულელი იყო და იმიტომ მოიკლა თავი. (ირონიით) მერე და შენ შავი ამის გამო გაგიკეთებია?

ვ ა რ ლ ა მ ი — რატომ არა! კარგი კაცი იყო, პატიოსანი კაცი იყო, სულით და გულით დავუმეგობრდი.

ე ვ გ ე ნ ი — შენ შენი თავი გაქვს სატირალი და სხვას ტირი?

ვ ა რ ლ ა მ ი — მე...

ე ვ გ ე ნ ი — ვის ესარჩლები შენ? თვითმკელელს? ნუთუ არ იცი,

რომ ჩვენს დროში თვითმკვლელი ყველა შემთხვევაში დასაგმობია? ამის გარდა, იცი რა გითხრა? კონტრრევოლუციურ ლაპარაკს თავი გაანებე შენ!

ვ ა რ ლ ა მ ი — (ოდნავ შემკრთალი) დაუფიქრებელი ლაპარაკი კი ვიცი, შეიძლება, მაგრამ ამგვარი? არასოდეს!

ე ვ გ ე ნ ი — მე შენ გაფრთხილებ!..

ვ ა რ ლ ა მ ი — ჩემს გულში რაც არის, მე არ ვიცი? ტყვილა ნუ მაშინებ.

ე ვ გ ე ნ ი — რა თქვი ამას წინათ შენ? რაზე გვეკამათებოდი?

ვ ა რ ლ ა მ ი — რა ვთქვი?!

ე ვ გ ე ნ ი—ერთ დროს ბოლშევიკები ადამიანისაკენ მხოლოდ ტყვიებს უშვებდნენო, ხომ თქვი?

ვ ა რ ლ ა მ ი — (გულწრფელად აღშფოთდება. იგონებს) მე ვთქვი: იყო დრო, როდესაც ბოლშევიკები მტრებისკენ ტყვიებს და მეხსაც უშვებდნენ, ახლა კი იმ ფაბრიკას, რომელიც საუკეთესო კამფეტებს და ბისკვიტებს უშვებს, „ბოლშევიკი“ ქვია-მეთქი, რა არის ამაში ცუდი?

ე ვ გ ე ნ ი — შენ იმაზე იფიქრე, ცხოვრება უქმად რომ ვაატარე, ცოლ-შვილი მუდამ მშიერი რომ გყავდა... მე სხვა რამეებიც მითხრეს! ჩემი ოჯახის საქმეებში ნუ ერევი შენ! გაფრთხილებ! შენ ულარდელი კაცი ხარ. არავინ არ გეცოდება! ტყუილია! ეს შენ შენი თავის გასამართლებლად გაქვს გამოგონილი! (მეორე ოთახში გადის. კარს მოაჯახუნებს).

ვ ა რ ლ ა მ ი — (მარტო რჩები. ჩაფიქრდება) როგორი მომზადებული მოვედი, რა გეგმები მქონდა! ამ დროს ყოველთვის აქ იყვნენ, დღეს რატომ არ არიან? ასე და ისე ვიზამ-მეთქი. ჩალაგამოვლებული არ დავრჩი?! ყველაფერში ასე რატომ მომდის? ალბათ მე არ ვვარგივარ... ჩემი ბრალია. ხონელებმა დროზე შემატყვეს, რაც ვიყავი, დროზე შემაბეს „ჟესტი“... (ჩაფიქრდება) მე ჩემი ადგილი ვერ მოვნახე ცხოვრებაში. თორემ არ ვარ ცუდი კაცი, არა! (ჩაფიქრდება) ის მაინც რა მწარედ მითხრა, ცოლშვილისთვის ვერ მოგიყლიაო. მე ეს მართლა მაწუხებს და, ალბათ, ამის გამო მაჯობა... მაგრამ (ეცემა იფეთქებს) სანამ ჩემს გულისჯავრს არ ამოვიყრი, აქედან ფეხს არ მოვიცვლი! (ოთახიდან კვლავ გამოდის ალელეებული ე ვ გ ე ნ ი)

ე ვ გ ე ნ ი — ხომ მიხვდი, რასაც ნიშნავს ჩემი სიტყვები?

ვ ა რ ლ ა მ ი — (ეცემა მტკიცედ, თავშეკავებულად) ძლიერ კარგად!

ე ვ გ ე ნ ი — ნაბ აქ რას უცდი?

ვ ა რ ლ ა მ ი — წავალ მხოლოდ მის შემდეგ, როცა შენს ამხანაგებსაც შეეხვდები.

ე ვ გ ე ნ ი — იმათთან რა საქმე გაქვს?

ვ ა რ ლ ა მ ი — როგორც შენ, იმათაც ბევრჯერ დავუმცირებივარ... ერთად უნდა გაგებინოთ პასუხი!.. (შემოვარდება დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი, სხვებიც შემოაყვებიან)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — (ვარლამს შეუბღვერს) რაო, რა სთქვი? შენ აქ რა გაღრიალებს?

ვ ა რ ლ ა მ ი — ფეხი არ გადმოდგა!

მ ი ნ ა დ ო რ ა — (შეშფოთებული) რა მოგვიდა, ვარლამ, მთვრალი ხომ არ ხარ?

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — (თვალებით ლამის შეჭამოს) ვაქკაცობა დაიწყე, შე გლახაკო? (ვარლამისკენ მიიწევს)

ვ ა რ ლ ა მ ი — რა თქვი? (რეოლვერს იძრობს. ყველანი შეკრთებიან. უკან იხევენ) დაიჩოქეთ! (მინადორა მიიმალება. პირველად გიგო იჩოქებს) ჩქარა, თორემ არც ერთს ცოცხალს არ დაგტოვებთ! (ყველანი იჩოქებენ) მე ნამდვილი ვაქკაცი ვარ! მართალი კაცი ვარ! აი რა ხართ თქვენ! (რეოლვერს მაგიდაზე დაანარცხებს, სწრაფად მიდის. ოთახში დარჩენილები უცებ გონს ვერ მოსულან. მაგიდას, რომელზედაც რეოლვერი აგდია, თანდათან შემოესხდებიან).

კ უ კ უ რ ი — ეს რა არის, კაცო! (რეოლვერს აიღებს)

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — (გამოართმევს, გაოცებული დაჰყურებს) ხედავთ, როგორ გაგვამასხარავა!

გ ი გ ო — (მას შემდეგ, როდესაც „იარაღს" კარგად შეათვალიერებს) როგორ, კაცო, ეს „პუგაჩია"?

კ უ კ უ რ ი — სათამაშოა რა! ასე როგორ აგვიხვია თვალები?!

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — როცა ამოიღო, მინდოდა, ერთი მაგრად შემომეკრა... რა ღმერთი გამიწყრა, რატომ შევიკავე თავი?

გ ი გ ო — გაუშვი, კაცო! მერე რომ ნამდვილი ამოიღო?

დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი — როგორ შევრცხვით! ჩვენ და ასეთი რაღა?

ე ვ გ ე ნ ი — ისე მწარედ გადაეუხდი, რომ... ამას შეეარჩენ? მხოლოდ ახლა, ვითომ არაფერი, თითქოს არაფერი არ მოხდარა, გაიგეთ? (თითქოს კარგ გუნებაზეა, სტეენას წამოიწყებს) მინადორა გერასიმოვნა, სად ხართ, რატომ მიგვატოვეთ? (სუკურის გადახედავს) შენ მართლა წასულას ხომ არ აპირებ? დღეს არსად არ გაგიშვებთ! (ცალკე გულმოსული წამოიძახებს) ხედავთ, რა გაგვიბედა? ჩემი არ ეშინია? ყველაფერზე ხელი აიღო?

გ ი გ ო — მაგან რა უნდა დაკარგოს? „ბირ ბაშ. ბირ ტაშ", თათარს უთქვამს.

ე ვ გ ე ნ ი — (გაცეცხლებული თვალებით იმ ოთახისაკენ იხედება, სადაც თამარი ეგულება) სულ მაგის გამო მომდის ყველაფერი.

კ უ კ უ რ ი — ყველაფერს იმას აბრალებ, ასედაც არ შეიძლება.

ე ვ გ ე ნ ი — (მაგიდაზე ხელს დაკრავს, ყვირის) კარგად ვიცი, რაც არის! არა!.. მტერს სახლში არ გავაჩერებ! (თამარის გასაგონად ყვირის) შენ, ეი, აქ მოდი!

გ ი გ ო — (ხელს მოხვევს, წაყვანას უპირებს) ახლა არა, თუ გიყვარდე, ახლა არა.

დ ო რ მ ი შ ხ ა ნ ი — ჩვენ გვეცი პატივი, მერე ცალკე მოელაპარაკე.

ე ვ გ ე ნ ი — არაფერი არა მაქვს მე მაგასთან სალაპარაკო! (თანდათან მშვიდდება)

გ ი გ ო — აქ რა გინდა, იქით ოთახში გავიდეთ, დავჯდეთ, ვილაპარაკოთ.

ე ვ გ ე ნ ი — (ცელავ დარიგების კილოთი) დედაჩემთან თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს არაფერი არ მომხდარა, თითქოს არაფერი არ გეწყენია.

გ ი გ ო — (მხრებს აიჩეჩავს) რას ამბობ! რამე მოხდა თუ? მე არაფერი არ ვიცი. რას მიყურებ? მე მეტსაც გეტყვი: მაგ ვარლამია თუ ვიღაც ოხერი, ხვალ რომ შემხვდეს, იცი რას ვეტყვი? სად ხარ, კაცო, რამდენი ხანია არ მინახავხარ, ე... ე... ე... აგრე უნდა ძველი ნაცნობის დავიწყება-მეთქი! (ევგენის ეღიმება) რა გაცინებს? შენ გგონია, მართლა რამე მოხდა თუ?! არაფერიც არ მომხდარა! (შენიშნავს, რომ შარვალი მუხლებთან წითლად აქვს გალაქული. დიდხანს აკვირდება) ეს რა არის?! (ამ სახის მარცხს ჩამდვილად განიცდის, უცებ წამოიძახებს) ამ სიცხეში „მასტიკის“ წქლიმა იქნება!? (ისმის გაბმული ზარის ხმა. ევგენი თაეის ამხანაგებით შედის იმ ოთახში, სადაც დედამისი უნდა იყოს. თან შეაქვთ სუფრა. ზარის ხმაზე გამოდის მინადორა შეწუხებული სახით. ევგენი ხელის ქნევით ანიშნებს, რომ შინ არ ეართო. მინადორა კარს აღებს, გამოჩნდება ე ვ ა).

მ ი ნ ა დ ო რ ა — (ნაძალადევი ღიმილით) მობრძანდით!

ე ვ ა — (კართან დაალაგებს კალათებს, რომელიც სავსეა თბილისში ნაყიდი ნივთებით) როგორ ცხელა ამ დასაწყევ თბილისში! (ჩამოჯდება. უჰ, უჰ, უჰ! როგორ ძლებთ აქ, ა?

მ ი ნ ა დ ო რ ა — გუშინ რატომ არ გამოიარეთ, ევა?

ე ვ ა — (შეშფოთდება) დღესაც არ არის შინ თუ?

მ ი ნ ა დ ო რ ა — აქ არის, მაგრამ...

ე ვ ა — არ გაეხარდება ჩემი დანახვა თუ?

მ ი ნ ა დ ო რ ა — თქვენი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ რომ თვალში ეკალივით ვესობით, ეს კი ვიცი.

ე ვ ა — დედამთილი მარტო, ბატონო, თუ ყველანი?

მ ი ნ ა დ ო რ ა — სხვებთან რომ იყვეს კარგად, მე ხმას ამოვიღებ? (გულმოსული წამოიყვირებს) სხვები შეაწუხა, ბატონო, სხვები! მაგას რომ დედამთილი ჰყავს, ისეთი ღმერთმა ყველა ჩემ კეთილისმყოფელს შეახვედროს.

ე ვ ა — უჰ, უჰ... ეს არ არის სასიამოვნო! (მინადორა გადის, შემოდის თ ა მ ა რ ი. ევას დანახვა სიამოვნებს, მაგრამ კარებთან შედგება. ევა შორიდან მიმართავს) ისევ ჩაიცვი შაველი, შენი ჭირიმე? რატომ მერე, რატომ? მე ყველას ვეუბნები: გათხოვდა, გაიხარა-მეთქი, არ არის მართალი? (მოეხვევა, გულში ჩაიკრავს, კოცნის) დამნაშავე ვარ შენთან, დამნაშავე! უნდა მაპატიო!

თ ა მ ა რ ი — (ცეთილი ღიმილით) შენ რატომ, ევა? შენ რაში ხარ დამნაშავე?

ე ვ ა — შენ იმ კოკისპირულ წვიმაში ღობის ძირას რომ იჯექი და ტიროდი, მე ხომ ვხედავდი? რატომ არ მოვედი შენთან მე სასიკვდილე, ა?

თ ა მ ა რ ი — ამაზე ნუ წუხარ, ევა.

ე ვ ა — როგორ? შენ ბროლის კისერში წყალი ჩაგდიოდა და მე თავშალმოხვეული ვიდექი... ეს მე როგორ უნდა მეპატიოს!

თ ა მ ა რ ი — იმ ტირილმა, იმ გრილმა წვიმამ მიშველა მაშინ, ევა.

ე ვ ა — ასეთია ის ბებერი, სულ იმის ბრალია, მაგრამ რა უნდა ქნა?! თუ რამეზე გული გაუტყდა, მერე, რამდენიც არ უნდა ეცადო, ველარ მოაბრუნებ. კერპი კაცია.

თ ა მ ა რ ი — (გულმოკლული ყვება) მარტო ის ხომ არ შემხვედრია გულცივად? მთელი სოფელი ასე შემხვდა. ყველა მხედავდა, მაგრამ ყველა თავს ძარიდებდა. (სასოწარკვეთილი ხმით) ხეებმა, ხეებმაც კი შემაქციეს პირი. მე ეს ვიგრძენი. ისინი იმ წვიმაში ისე შემომცქეროდნენ, რომ ვგრძნობდი, მათაც არ სიამოვნებდათ ჩემი დანახვა.

ე ვ ა — მართალი ხარ, მართალი! მე როცა ასე მოვიქეცი, ხეებს რა უნდა მოვთხოვოთ! (ჩაფიქრდება) მხოლოდ ისე უცებ სად გაქრი? ერთხანს კი ანათებდი სოფელში ანგელოზივით, მერე, უცებ, მოვიხედე, აღარ იყავი.

თ ა მ ა რ ი — როცა ტირილით გული ვიჯერე, მერე გამოვიქეცი, იქ რა გამაჩერებდა.

ე ვ ა — რა დღე იყო ის, რა დღე! იმ დღეს ნუ გამახსენებ, შენი ჭირიმე! რომ წახვედი, მაშინვე გადმოვიდნენ ჩემთან იმ თავსხმაში მეზობელი ქალები... ჩაესვათ კალთებში ჩვილ-ჩვი-

ლი ბავშვები და ილაპარაკეს, ილაპარაკეს, არ გაათავეს ლაპარაკი.

თ ა მ ა რ ი — რა თქვეს?

ე ვ ა — არ გინდა, არა! არაა საჭირო!

თ ა მ ა რ ი — თქვი, მე არ მეწყინება.

ე ვ ა — რაო და, „დეკოლტე" ეცვაო... მაღალ ქუსლებზე იდგაო... ტირილით კი იტირაო, ბევრი იტირაო, მაგრამ მერე თმები შეისწორაო, სარკეში ჩაიხედაო, იმ წვიმაში თმებზე ხელებს აქედან-იქედან ისობდაო. მერე გზაზე გავიდაო, მანქანა გაუჩერესო და ჩაიყვანესო, რომ თქვეს, გაიცინეს. მაშინ კი მომივიდა გული და ვუთხარი: თქვენ იკითხეთ, თქვე უბედურებო, თორემ მაგან რომ ხელი დაუქნიოს, „პობედა" კი არა, ცაზე ღრუბელი გაჩერდება-მეთქი.

თ ა მ ა რ ი — (ნაღვლიანი ხმით) ეს იმიტომ, რომ იმათ თვალში მე უკვე ის არ ვარ, რაც ვიყავი. თუმცა... მალე შეიცვლიან ჩემზე აზრს... (ჩაფიქრდება) თამარი მათ მალე მოენატრებათ, მაგრამ ვერა, ვერ დაინახავენ, თვალს ვერ მოჰკრავენ...

ე ვ ა — (ჩაფიქრდება) ეს რას ნიშნავს? თუმცა, რა თქვა უნდა, ასე იქნება, შენ იქით პირს არ იზამ, ჰო, ასე იქნება.

თ ა მ ა რ ი — მე არავის არ ვამტყუნებ, ჩემი ბრალია.

ე ვ ა — რა დღე იყო ის, რა დღე! იმ ღამით თვალი სულ არ მომიხუჭავს, ვწუხდი, ვწუხდი, სად წავიდა-მეთქი. თუმცა, მეორე დღეს მითხრეს მეზობლებმა, სამტრედიის სადგურში დავინახეთო... ისეთი ლამაზი იყოო, ისეთი, რომ შენს წასვლამდე რაღაც სხვა მატარებელს ჩამოუვლია და იმის მგზავრები თურმე ყველანი შენ გიყურებდნენ. მაგრამ მგზავრები რა გასაკვირია, თურმე მატარებელი რომ გასულა, კარგა ხანს სწორად უვლია, მერე ვეღარ მოუთმენია და იმასაც მოუღრეკია კისერი.

თ ა მ ა რ ი — მე იმ დროს ისეთ რამეზე ვფიქრობდი, რომ მიკვირს, ცოცხალი როგორ ვარ.

ე ვ ა — ჩემი სიკვდილი! იმიტომაც დასაჯა ანთიმოზი ღმერთმა. (თამარი შეკრთა, ევას მიაჩერდა) შენ რომ არ მიგიღო, იმ დღიდან ჩავარდა ლოგინად, ათი დღე იავადმყოფა... თუ გადარჩებოდა, არ გვეგონა.

თ ა მ ა რ ი — რა მოუვიდა?

ე ვ ა — ვერავინ ვერ გაიგო რა სჭირდა. ენა ჩაუვარდა. არავის დანახვა არ სიამოვნებდა, ფერიც ისეთი ედვა თურმე, რომ თუ

გამოკეთდებოდა, არ ეგონათ. მე არ შევდიოდი, იმიტომ, რომ ვიცოდი არ ესიამოვნებოდა ჩემი დანახვა.

თ ა მ ა რ ი — მეზობლები?

ე ვ ა — მეზობლებმა იმას პატივი სცეს ისეთი, რომ ვერ აგიწერ, თამარ... მეზობლებმა გამახარეს! რაც მართალია — მართალია, მეზობლებში დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონია... რაც იმას მეზობლებმა პატივი სცეს, ენით აუწერელია. ყოველდღე შედიოდნენ სახლში და შექონდათ მოსაკითხი. თაროებზე, მაგიდაზე, ბუხრის თავზე რა საჭმელი გინდა, რომ არ ეწყო! ხალხი ხომ ისე ექცეოდა, მაგრამ ქალბებმა გაღაჭრიეს, ბატონო, ქათმებმა! მოიპარებოდნენ და ანთიმოზის ეზოში დებდნენ კვერცხებს.

თ ა მ ა რ ი — (როცა შენიშნა, რომ ევა წასვლას აპირებს) ჯერ ნუ წახვალ, მსიამოვნებს, რომ ჩემთან ხარ. მითხარი რამე, ხომ იცი, სოფლის ამბების მოსმენა გამახარებს.

ე ვ ა — უი, მართლა, ვენერა გათხოვდა — ისე გასუქდა, გალამაზდა, იმის ნახვას არაფერი ჯობს.

თ ა მ ა რ ი — (ეტყობა, რომ მისი ნათქვამი არ აინტერესებს, მაგრამ საუბრის შეწყვეტა არ სურს) კარგად არის? ძლიერ კარგი!

ე ვ ა — ისეთ კარგ ქმარს წაყვა, ისე კარგად დასახლდნენ, რომ... ვენერამაც ისეთი ქალობა გამოიჩინა, ისე გამოიღო ხელი, რომ გაგიხარდება... დილით რომ გამოვა ეზოში და ჯიი, ჯიი დაიძახებს, ორასამდე მაინც მარტო ქათამი და ინდაური შემოეხვევა. ისე ცოტა უსიამოვნება იმათაც შეხვდათ... ადრე ვენერას ქმარს შეყვარებული ჰყოლია, რომ გაუგია, ცოლი შეირთოო, თორმეტი ცალი პატეფონის ნემსი გადაუყლაპავს... გადაურჩენიათ, მაგრამ მთავრობა ჩაერიაო და არ ვიცი, როგორ იქნება საქმე... მშვენიერადაა, მშვენიერად, მაგრამ მე ხმას არ ვცემ.

თ ა მ ა რ ი — რატომ?

ე ვ ა — ჩემზე უთქვამს, ევამ შეპრეკილი ლაპარაკი იცისო... ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ამის თქმა შეიძლება ჩემზე? ახლა კი უნდა წავიდე, თორემ დამაგვიანდება.

თ ა მ ა რ ი — ანთიმოზის ამბავი ვერ მითხარი კარგად, ევა, ანთიმოზი როგორ არის?

ე ვ ა — მუშაობს!.. შენი ბიჭი რომ სწავლობს, იმ ეზოში ახალ სკოლას აგებენ და ცხენისწყლიდან ხის მორებს ეზიდება. ისე მუშაობს, რომ ქვეყანას აკვირვებს.

თ ა მ ა რ ი — კარგი, გენაცვალე, კარგი.

ევა — ხო, მართლა! იმ შენს საჩუქარზე მინდა გითხრა. რა ქნა იმ შეჩვენებულმა, რა ქნა! გახვედი თუ არა, შენც დაინახავდი, ის შენი საჩუქარი წვიმაში გადააგდო. ერთ ხანს გაუძლო წვიმას შემოხვეულმა ქაღალდმა, მაგრამ მერე გასკდა და ღორის ნაწლავებივით: რა გინდა რომ არ გადმოყარა! ათასნაირი „ოლოფები, ტანისამოსები, კამფეტები!.. მიჰქონდა წყალს, ძაგრამ ახლოს მიეკარებოდი? მერე ჩავიხედე ეზოში, მერე, ღამით... დეედავ, რა ვნახე! ელვა ანათებდა იმ წვიმაში და დავინახე ბავშვის ტანისამოსი აფორთხებულიყო კიბეზე, ერთი სახელო ასე (თვით გაიშვერს ხელს) გაეშვირა კარებისაკენ და იხვეწებოდა, შემიშვითო, მაგრამ ანთიმოზის გულს მოალბობს რამე? (ალათებისკენ მიდის, წასასვლელად ემზადება, კოჭლობს) ეს ოხერი ტუფლები, ორი ხიძრით სეტი ვიყიდე, მაინც მიჭერს, ვერ გავიგე, რაშია საქმე. (მიდის. თამარი მარტო რჩება, დიდხანს დგას კედელზე მიყრდნობილი. შემოდის ბ ა ჯ ი)

ბ ა ჯ ი — (თამარს ფეხაკრეფით უახლოვდება, მის გვერდით დგას, როცა თამარი შენიშნავს, ბაჯი სიყვარულით მოეხვევა) ძალიან მეცოდებით, მაგრამ. რა ვქნა, მე რა შემიძლია. ეზოში შესვლა არ მინდა, სულ მეკითხებიან: ჩხუბობენ, ჩხუბობენ, რაზე ჩხუბობენო? აბა, რა ვუთხრა.

თ ა მ ა რ ი — მე შენი მადლიერი ვარ, ბაჯი.

ბ ა ჯ ი — იმ დღეს, თქვენ რომ დიდი ჩხუბი გქონდათ, ვიტირე, ვიტირე, ბევრი ვიტირე; იმ დღეს ჩემი სახლიც არ დამილაგებია, ლოგინებიც ისე დავტოვე, როგორც იყო, სადილიც არ გამიკეთებია... დრბო რომ მოვიდა, გაუკვირდა; რა ვქამოო, რომ მითხრა, რაც გინდა ჭამე-მეთქი, ვუთხარი. აბااااჰ! სულ ტირი, სულ ახველებ, არაფერს არ ჭამ... ავადმყოფი რომ იქნება, ისე ხარ... ნეტავი სამსახურში იყო, „ბულუტინს“ მაინც აიღებდი.

თ ა მ ა რ ი — (ბაჯის ყურს არ უგდებს. წამოდგება, ფიქრებს შეუპყრია, თავს ისე გრძნობს, თითქოს მარტო არისო. უცებ წამოიძახებს) ვყოყმანობდი, მაგრამ... (თითქოს ახლა შენიშნაო ბაჯი, რომელიც წასვლას აპირებს, ხელს წაავლებს) მოიცა, ბაჯი, არ წახვიდე! (შედის ოთახში, გამოაქვს გასაგზავნად გამზადებული რამდენიმე კონვერტი) ბაჯი, აი ესენი უნდა გამიგზავნო, ოღონდ ახლავე, ამ საღამოსვე!

ბ ა ჯ ი — სად გზავნი?

თ ა მ ა რ ი — (დახედავს) სოფელში ვგზავნი... სხვაგანაც.

ბ ა ჯ ი — კი, ბატონო, გავაგზავნი.

თ ა მ ა რ ი — (მტკიცე, შეუპოვარი ხმით) ჩქარა! იქეთ, თქვენკენ, სადმე შორს, ფოსტის ყუთში ჩაუშვი! (ბაჯი მიდის. თამარი სკამზე ჩამოჯდება) ახლა უკან დასახვევი გზა არ მაქვს! ასე სჯობს! ასე სჯობს. (ფიქრებს მიეცემა. შემდეგ, როცა გამოერკვევა) დალამებულა! მე უკვე მზად ვარ! (ფანჯრისაკენ იხედება, უახლოვდება) პირველად, როცა აქედან გადავიხედე, როგორ შემეშინდა! ახლა? (ფანჯარასთან დგება) ახლა არა! (მტკიცედ) სიცოცხლეში ზოგჯერ, თურმე, უფსკრულის პირას დგომა არ ყოფილა საშიში! (გადასავარდნად გადაიხრება) ნუ, ნუ შეშინდები! შენთვის ასე სჯობს! (უცებ სინათლე იფეთქებს, ზარბაზნების სროლის ხმა ისმის, თამარი წამით შეკრთება, უკან იხევს, ერკვევა რაშიც არის საქმე) დღეს მისი დღეა! ეს რა მოხდა! რა დროს იფეთქა სინათლემ! თითქოს ხელი ამკრაო... კიდევ შენ მშველი? მაინც შენ ხარ ჩემზე მზრუნველი? არა! მე შენთან მსურს ყოფნა, ჩემო ძვირფასო! (იმ დროს, როდესაც გადავარდნას აპირებს, მოისმის გოგის ძახილი: „დედა!“ შემოვარდება გ ო გ ი, დედისკენ გაქანდება, მეზობელ ოთახიდანაც გამოდიან მ ი ნ ა დ ო რ ა, ე ე გ ე ნ ი, გ ი გ ო, დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ი, კ უ კ უ რ ი. თამარი წამით დაიბნევა, კედელს მიეკვრის. შემოდის ა ნ თ ი მ ო ზ ი. შავი ტანისამოსი აცვია. მოშვებულ წვერს და თმებს მი!ი სახისათვის მეტი სილამაზე მიუციათ, მხნედ და ამაყად გამოიყურება. ყველანი გაქვავდებიან. ანთიმოზის მრისხანე სახე გოგისაც შეაკრთობს, დედას ჩამოშორდება, განზე გადგება.

ა ნ თ ი მ ო ზ ი — (იმ მხარეს მისჩერებია, საითაც ეეგენი და მისი ამხანაგები დგანან. დუმილის შემდეგ, როდესაც ერთხელ კიდევ ისმის ზარბაზნის სროლის ხმა და ოთახს მაშხალების სინათლე გაანათებს) ეს ჩემი შვილის სინათლეა! (პაუზა) ის ზოგს სულს უნათებს, ზოგს კი ნაცარტუტას აყრის! (თამარისკენ მიიხედავს. დიდხანს აკვირდება) რაც მითხრეს, თუ მართალია, შვილო, მაშინ... ჩემთან წამოდი!

თ ა მ ა რ ი — მართალია, მამა! მოვდივარ! (მისკენ გაქანდება, გულში ეკვრის. მათ ორთაველ გოგი მოეხვევა).

ფარდა

შალვა დადიანი
როდიონ ქორქია

დავით გურამიშვილი

დრამა 4 მოქმედებად
9 სურათად

მოქმედნი პირნი

დავით გურამიშვილი
ვახტანგ VI
მირიან ბატონიშვილი
მერაბი, სახლთუხუცესი
დემეტრე სარდალი
დარეჯანი, მისი ცოლი
ვარდო, ამათი ქალი
ნოდარი } დიდებულები
ჯავახიშვილი }
პაპა ქიტესა
დათო, ამის შვილიშვილი
იანვარა
ივან ივანიჩ, კაზაკი
ლაზარ, ამის შვილიშვილი
გრიცკო, უკრაინელი
გენერალი
ადიუტანტი
ეტიკეტი
მოხუცი
მსახური

ლეკები, გლეხები, დიდებულები, გენერლის ამალა, უკრაინელი ქალები და ვაჟები.



პირველი მოქმედება

პირველი სურათი

დილაა. შორით მოჩანს ირტოზის მთა. მთაზე გალავანმორღვეული და კოშკშენგრეული ციხეა. მთას აყოლია ბუჩქნარი. სცენის ერთ მხარეს ტყეა. ტყეს ჩამოუდის წყარო. ფარდის ახდისას ციხესთან რამდენიმე ლეკი დგას და მიდამოს ათვალიერებს. შემოდის სამი ქართველი გლეხი: ქ ი ტ ე ს ა, ი ა ნ ვ ა რ ა და დ ა თ ო. სამივე შეიარაღებულია. ქიტესასა და დათოს ნამგლებიც უჭირავთ. მოდიან ფრთხილად. ზვერავენ არემარეს. მათი გამოჩენა და ლეკების გაუჩინარება ერთია.

ქ ი ტ ე ს ა — ოჰ, რა დრო დაგვიდგა, შვილო იანვარა! საკუთარ ქვეყანაში ქურდულად დავდივართ.

ი ა ნ ვ ა რ ა—ღმერთი გაგვირისხდა, პაპა ქიტესა! მაგრამ რა ცოდვებისთვის? რა დავაშავეთ?

ქ ი ტ ე ს ა — ძაღლი პატრონს ვერა ცნობს, სწორედ ჩვენზე იტყვიან. აირია ქვეყანა. მამა შვილს ვერ ხედავს, შვილი მამას, ქმარი ცოლს, ,ცოლი ქმარს. ვინ რუსეთშია გადაკარგული, ვინ ირანს, ვინ კიდევ ვინ იცის სად.

ი ა ნ ვ ა რ ა — სარდლის ოჯახი აქ ბრძანებულა, ბატონი დარეჯანი და ვარდო.

ქ ი ტ ე ს ა — ჰოო, ჩვენს ბატონსა შაპი წყალობს და ცოტად თუ ბევრად დაცულია. ჩვენს ბატონსა ამიტომ ბევრი, ბევრი ნათესავი შემოეხიზნა. დავით გურამიშვილიც აქა ბრძანდება. ამბობენ, დემეტრე სარდლის ქალი ვარდო უნდა შეირთოსო.

ი ა ნ ვ ა რ ა — როგორ შეირთავს? ვარდო და დედამისი მე რუსეთს უნდა წავიყვანო. ამისათვის ჩამოვსულვარ ქართლში.

ქ ი ტ ე ს ა — ოჰ, ვერ არის კარგი ამბავი! შენ მაინც ნუ ეტყვი ამას ბატონ დავითს, გულს ატკენ.

დ ა თ ო — ძია იანვარა, შორს არის რუსეთი?

ი ა ნ ვ ა რ ა — შორს, ძალიან შორს! აი, იმ მთებს იქით... ხედავ იმა-სა, ცამდე რომ აწვდილა? ყაზბეგია. იმ ყაზბეგს იქით რუსე-თია. დიდი ტრამალიანი და უმთაგორო ქვეყანაა. ჩვენსავით იქ მდინარეები არკი ჩუხჩუხებენ, მდორედ მიედინებიან. მაგალითად თერგი ჩვენთან გიჟია, იქ კი ქიტესა პაპასავით დინჯი და აუჩქარებელი. ერთი მდინარეა, ვოლგა ჰქვიან, ისეთი ფართოა, ნაპირიდან ნაპირს ვერ ნახავ.

ქ ი ტ ე ს ა — არა მართლა?

ი ა ნ ვ ა რ ა — მაშ! მაშ!

დ ა თ ო — ჩვენი ქსანი კი... ნაპირიდან ნაპირზე ხეზე ვაშლებს დათვლი.

ქ ი ტ ე ს ა — სამაგიეროდ რა ცელქია, რა ცოცხალია!.. ვერა, შვილო იანვარა, ვერ შეველევი ჩემს ქსანსა და ჩემს ლამისყანასა. ეგებ დაბრუნდეს მეფე-ბატონი რუსეთიდანა და გვეშველოს.

ი ა ნ ვ ა რ ა — ღმერთმა ჰქნას!..

ქ ი ტ ე ს ა — მეფე ვახტანგი ხომ ამიტომ წავიდა რუსეთსა, რომ ჯარი მოიყვანოს? რუსის ხელმწიფესა უთქვამს, შენ მამა და მე შვილიო... რახან ერთის სჯულისა ვართო, შენი მტერი ჩემი მტერიც არისო. ერთად ვეომოთ ყიზილბაშსაო.

დ ა თ ო — ოჰმე! იმ დღეს მოვესწრებოდე!.. ძია იანვარა, როგორი ხალხია რუსები?

ი ა ნ ვ ა რ ა — კარგი ხალხია, გულკეთილი, დინჯი, მე ირანში ვყო-ფილვარ, თურქეთში, ლეკეთში, ჩერქეზეთში, ჰოდა არსად ასე-თი გულკეთილი ხალხი არ მინახავს.

ქ ი ტ ე ს ა — ალბათ ამიტომ წავიდა ჩვენი მეფე რუსეთსა. აბა ირანს კი არ წასულა, მაჰმადანა. ეგებ გვეშველოს და ქურდულად არ ვიაროთ ხან ლეკის შიშით, ხან ყიზილბაშისა და თურქის ში-შითა. სამუშაოდ ისე გამოვდივართ, თითქოს საომრად მივდი-ოდეთ.

ი ა ნ ვ ა რ ა — ერთი პირი უნდა მიგვეცა ერთმანეთისათვის, პაპა ქი-ტესა! მაშინ ვინ დაგვძლევდა? აი, რუსეთშია რასაც მეფე ბრძანებს, კანონია. მისი ყველას ეშინია, გლეხსაც და ბატონ-საც ჯარი ჰყავთ, მაგრამ რა ჯარი!.. პა-პა-პა! ათასი კაცი რო დაეწყობა რიგ-რიგად, ისე გამოიშიმებიან, ისე მოიმარჯვებენ თოფებსა... უფროსი რომ გამოვა, აფიცარი ჰქვიან, რო დაი-ყვირებს: „სლუშაააი! სმირნაააა!“ — ეს ათასი კაცი ერთი კა-ცივით გაირინდება.

დ ა თ ო — ვითომ და რათაო?

ი ა ნ ვ ა რ ა — რომ ბრძანებას მოუსმინონ. დიდი დაჯერება იციან ერთმანეთისა. მაგრამ თუ ვინმემ დააშავა: რომ დაუყვირებს უფროსი: „დურაკ! სკატინ!“ — ოჰ, დაგიფაროს ღმერთმა!

დ ა თ ო — ვითომ და რა არის „დურასკოტინი“?

ი ა ნ ვ ა რ ა — რა არის და ბრძანებაა რუსული. ასეთ ბრძანებას ასი წკეპლა მოსდევს. მაშ! სამაგიეროდ ჯარი ჰყავთ და ერთი პირი აქეთ. ჩვენ კი, ჩემო დათო, ერთმანეთის დაჯერება არ ვიცით. ერთი პირი არა გვაქვს. იქაური უფროსები უსიტყვოდ ემორჩილებიან მეფეს.

ქ ი ტ ე ს ა — აბა ჩვენში რა ღვთის რისხვაა? ერთმანეთის ჭამას უნდებიან ჩვენი ბატონები. იმათ ქვეყნის ჭირი ჭირად არ უჩანთ, ოღონდ თვითონ იყვნენ მაძღარნი... ჩვენს შიმშილ-წყურვილსა ვინ დაგიდევს?.. ადრევაც ვინ ჩიოდა შრომასა? გლეხკაცის ბედი ყველგან მძიმეა. მეც ვყოფილვარ ყარაბახს, ირანს, განჯას. გლეხი ყველგან გლეხია, მაგრამ ქართლი ნამეტანი აირია.

ი ა ნ ვ ა რ ა — მაშ, რატომ ჩაევარდით ასეთ ყოფაში? გუშინწინ გურამიანთ საგოდებელში გამოვიარე, ნადირთა მკვდარნი მოუთხრიათ საფლავით... ვაქმე, რა ვსცოდეთ ღმერთსა? რა?

ქ ი ტ ე ს ა — შარშან ლოდის ნახეთქის მსგავსმა სეტყვამა ვენახთ უწვიმა. ყანებსა კალია დაეცა. სიყმილმა პურის ძალი შემუსრნა. ხართა ნახნავი შემცირდა. ფურის ნაწველი მოსწყდა... ლეკი მოზღვავდა... ვაქმე, სად არის ყურის მიმგდები კაცი?

ი ა ნ ვ ა რ ა — მართლა სად არის ყურის მიმგდები კაცი? სად არ მიელია, სად არ ეყოფილვარ? რამდენი ხმალი ვიქნიე ჩემი ქვეყნისთვის. მაშინ ვიცოდი ვინ იყო ქვეყნის პატრონი. ყურის მიმგდები კაცი... ახლა ვინღაა? მკლავი მოუდუნდა ქვეყანასა და მეც საქვეყნო ხმალი გავაგდე. სად მეგზური და მცველი ვარ ჯარისა, სად თარჯიმანი... სად მოენე... განა საქმეა?

დ ა თ ო — პაპაჩემო, ასეთ ცხოვრებას სიკვდილი სჯობიან! არ ვიცი, სად წავიდე, თორემ წავიდოდი.

ქ ი ტ ე ს ა — სად წახვალ, პაპას ჭირიმე? გლეხკაცი სად წავა? ჭიპითა ვართ მიკრული მშობელ მიწაზე... გურამიანთ ბატოხიშვილი ჩვენს ბატონს შემოეხიზნა, შენ კი წავალ, წავალო...

ი ა ნ ვ ა რ ა — ეჰ, ეჰ! როგორ აუოხრებიათ საგურამო? ბატონი გიორგის სასახლიდან ქეა ქვაზე არ დარჩენილა. მთელი სოფელი აყრილა, პაპა ქიტესა! ამბის მთქმელი არავინ დარჩენილა...

ქ ი ტ ე ს ა — დათო, ადი ხეზე! გაიხედ-გამოიხედე!

დ ა თ ო — (ადის ხეზე) კარგად მოჩანს ჩვენი ლამპიონები.

ქ ი ტ ე ს ა — ირტოზის მთისკენ გაიხედე! ლეკთა მანდ იციან ჩასაფრება. რა მაგარი ციხე იყო, როგორ დაანგრია მტერმა!.. საწყალი მამაშენი, ირტოზის მთაზე არ შეაკვდა ლეკებსა?

დ ა თ ო — ღმერთო, შემახვედრე ლეკებსა! მე დათო არ ვიყო და მამის ხანჯალი არ მერტყას, თუ მამაჩემის სისხლი არ ავიღო!..

ი ა ნ ვ ა რ ა — კარგი ბიჭი გეზრდება, პაპა ქიტესა!

ქ ი ტ ე ს ა — თუ ქართლის ჭირმა შემარჩინა...

დ ა თ ო — ბატონი დავითი მობრძანდება. (ჩამოდის ხიდან. მიდის შესაგებებლად)

ი ა ნ ვ ა რ ა — დიდი ბატონი იყო დავითის მამა. რა მამულები, რა სოფლები, რა ჰუბუტი ჰქონდა. მეფის კაცი იყო. ვაგლახად ვინ რას გაუბედავდა? ახლა მისი შვილი ქსნის ბატონს შეხიზვნია. ეჰა, რა ხარ წუთისოფელო!

(შემოდიან **დ ა ვ ი თ ი** და **დ ა თ ო**. დავითი 20-22 წლის ახალგაზრდაა. მაღალი, ლამაზი, თმახუჭუჭა, ახოვანი, თავით ფეხამდე შეიარაღებულია)

დ ა ვ ი თ ი — სალამი, პაპა ქიტესა! მოვიდნენ მუშები?

ქ ი ტ ე ს ა — ჯერ არ მოსულან, ბატონიშვილო!

დ ა ვ ი თ ი — სალამი უცნობს! ვინა ხარ? საიდან?

ი ა ნ ვ ა რ ა — ბატონიშვილო, განა ისე გამოვიცვალე, რომ ვერა მცნობთ! (ქუდს მოიხდის. წარუდგება)

დ ა ვ ი თ ი — იანვარა ფხოველი! მამიჩემის მოკეთე! მოდი, მოგეხვიო! (მოეხვევა. პაუზა) ხედავ, იანვარა, რა დაგვემართა? მამიჩემის მამული მტერმა ააოხრა. სოფელი აჰყარა. სარჩო-საბადებელი გაიტაცა... მე აქ გადმოვიხვეწე, სხვა კუთხეს... შენ თვითონ იცი, რისი პატრონი ვიყავი... ახლა კი სხვისი მუშის თავმდები ვარ...

ი ა ნ ვ ა რ ა — ღმერთს მადლობა შევწიროთ, ბატონიშვილო, რომ ცოცხალი დარჩით!

დ ა ვ ი თ ი — რაღაა იგი სიცოცხლე, რასაცა ახლავს ბნელია?

ი ა ნ ვ ა რ ა — მუდამ ასე ხომ არ იქნება? ჩვენსკენაც მობრუნდება ბედის ბორბალი. ჩვენს უბანშიც იქნება ქორწილი.

ქ ი ტ ე ს ა — როდისღა! როდისღა!.. (პაუზა) ორი მამალი რომ ერთმანეთს წაეკიდება, დაჭოჩრავენ ერთმანეთსა, დაეკიდებიან და ძაღლი მათ პირს წაავლებს, ისე დაგვემართა ჩვენც: ქართლსა და კახეთს.

დ ა ვ ი თ ი — მართალი ხარ, ქიტესა!.. (ჩაფიქრდება)

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,

რა ორნიეე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, —
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს... (პაუზა)

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის,
თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იუქლი ღვარძლად გარდაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი—
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაგვკრა თითო ქიშტი. (პაუზა)

ქიტესა — წაგვკრა და როგორ!

დავითი — როდის ჩამოხველი, იანვარა? საიდან?

იანვარა — აშტარხნიდან. ერთმა ქართველმა ერისთავმა დამავალა, ცოლ-შვილი ჩამომიყვანეო.

დავითი — საშიში არაა?

იანვარა — ისეთი ბიჭები მყავს, რკინასა კვნეტენ. ეს მესამედ მიმყავს ქართლიდან რუსეთს გადახვეწილთა ოჯახები.

ქიტესა — (დათოს) დათო, ადი ხეზე! დაზვერე! (დათო ადის ხეზე).

იანვარა — როგორ დამშენებულხარ, ბატონიშვილო! რამდენი მიტარებიხარ ხელით, რამდენი ჯიხვი ჩამომიტანია შენთვის მთიდან!

დავითი — ჰო... მახსოვს! დიდი ამაგი მიგიძღვის ჩემზე. ხმალი შენ მასწავლე.

იანვარა — ეჰ, მაშინ სხვა იანვარა ვიყავ! მაშინ ხმალი მერტყა ქვეყნის დასაცავად. ახლა კი... ახლა ხან ასაბიას ვიცავ, ხან სომხის ვაჭარს. ხან მოენე ვარ, ხან თარჯიმანი... ფუჰ! რად მინდა ახლა ხმალი! მერე რა ხმალი? მამიშენის ნაჩუქარი!

დავითი — რა გესმის ვახტანგ მეფისა?

იანვარა — თერგიდან აშტარხანამდე რაც ქართველობაა, ყველა მოელის, ვახტანგ მეფე რუსის ჯარით დაიჭერსო ქართლს.

დავითი — ჰო, მაგრამ როდის? როდის?

იანვარა — არავინ იცის!

დავითი — რუსი დგას კასპიის ზღვაზე?

იანვარა — დგას. ციხეებიცა აქვს.

დავითი — ჰოო, მაშინ ჩვენს იმედს საფუძველი აქვს. ღმერთო, ხელი მოუმართე მეფე ვახტანგს.

იანვარა — დროა ჩემი წასვლისა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ვინ იცის, კვლავაც შევხვდებით ერთმანეთს? (ცოცნის ქიტესას)

ქ ი ტ ე ს ა — ღმერთმა მშვიდობით: გატაროს, შვილო!

დ ა თ ო — (ჩამოხტება ხიდან) მშვიდობით, ძია იანვარა! (გადაეხვევა)

ი ა ნ ვ ა რ ა — მშვიდობით, ბატონიშვილო! (ხელზე ეამბორება. დავითი კოცნის შუბლზე)

დ ა ვ ი თ ი — მშვიდობით მენახე!

ი ა ნ ვ ა რ ა — ღმერთო, კიდევ მაჩვენე ჩემი მოკეთეები, ჩემი ქვეყანა! (მიდის)

დ ა ვ ი თ ი — პაპა ქიტესა, წადით ყანაში, მე ჩქარა მოვალ!

ქ ი ტ ე ს ა — მესმის, შენი კვნესამე! (მიდიან, იქით-აქეთ კი ეხედებიან)

დ ა ვ ი თ ი — რატომ არ ეკითხე, რომელი ერისთავის ოჯახი მიჰყავს? (ჩაფიქრებულია) ეგებ დემეტრე სარდლის ოჯახი მიჰყავს? ვაიმე, ჩემო ვარდო! მაგრამ ჩვენ რომ დაწინდულნი ვართ? ოჰ, ისე აირია ქვეყანა, ახლა ვის რა ვუთხრა?.. არა, ვეახლები ბატონს დარეჯანს, ვთხოვ დაგვაქორწინოს... მაგრამ რა პირით ვეახლო? ისე გაღარიბდი, რომ სასიძოდ ვერ გამოვდგები, როგორ გავბედო?

(შემოდის ვარდო. წელზე ხანჯალი ჰკიდია)

ვ ა რ დ ო — დავით!

დ ა ვ ი თ ი — ვარდო! (ხელებს ჩაჰკიდებს) მარტო ხარ!

ვ ა რ დ ო — მარტო როგორ შეიძლება? ათი ქალი მახლავს, დაგინახე და აგერ ხევში დავტოვე... დავით, ცუდი ამბავია! მამაჩემს რუსეთიდან კაცი გამოუგზავნია ქსნის ბატონისთვის. დედა მიჰყავს და მეც...

დ ა ვ ი თ ი — ვაიმე! გულს მქონდა ხმალი გაჩრილი, აწ შუბიც დამაძგერესო!

ვ ა რ დ ო — ის კაცი, იანვარა ფხოველი, ახლა სასახლისაკენ წავიდა. გზაში შევხვდი... რას იტყვი, დავით?

დ ა ვ ი თ ი — იანვარა? ოჰ, მე კი არ მითხრა... შემიბრალა... რა ვქნა, ბატონიშვილო! ისე გაღარიბდი, როგორ გაგიბედო, ეკლესიაში წამოდი-მეთქი?

მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!
ჩემი ცოდვამც მისცემია
ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!..

ვ ა რ დ ო — ახლა ტირილი რას გვარგებს? საქმეა!

დ ა ვ ი თ ი — შენ რომ მოსკოვს წახვიდე, ვიცი — დამეკარგები.

ვ ა რ დ ო — განა ასე გულნამცეცად მცნობ?

დ ა ვ ი თ ი — მაშ, არ წახვალ მოსკოვს?

ვ ა რ დ ო — მოსკოვში რა მინდა? აქ დავრჩები, შენთან! შენ კი დღესვე მობრძანდი ბიძაჩემთან და დედაჩემთან. მოელაპარაკე. დედა წაბრძანდეს მამასთან, მოსკოვს. მე კი დავრჩები.

დ ა ვ ი თ ი — ჩემო საუნჯევ! მე ყველაფერი დავკარგე: სახლ-კარი, მამული, ციხე-სიმაგრე, მაგრამ ახლა ღმერთს არ ვემდური, რადგან ისეთი ფასდაუდებელი საუნჯე მარგუნა წილად, ქვეყნად ბადალი არა ჰყავს.

ვ ა რ დ ო — მაშ, რას იტყვი?

დ ა ვ ი თ ი — ვეტყვი ბატონ ერისთავს... მიშუამდგომლოს დედა-შენთან. (ისმის სტვენა)

ვ ა რ დ ო — ახლა კი დროა წავიდე... არა, მეტ ხანს ვერ დავრჩები. შეეშინდებათ ჩვენებს... შენ აქ იყავ... მცველები აქვე მყვანან. მაშ, ახლავე... ჩვენი ბედი ჩვენვე ვეედოთ, დავით!.. (მიდის. პაუზა. მზე უკვე მაღლაა. დავითი შეიხსნის ქულაჯას, თოფს მიაყუდებს ხეზე)

დ ა ვ ი თ ი — ღმერთო, მიშველე!.. სახლკარგადამწვარს, გულით დამწვარს, შენ მიპატრონე!.. (პაუზა. იხედება იქით, საითაც ვარდო წავიდა).

მიჯნურმან უნდა ტრფიალი
გულ-მართლა შეიყვაროსა,
მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით,
აროდეს გაეყაროსა;

უმისოდ ჭირად სახევდეს
ყოველსა გასახაროსა,
ტკბილად სჩნდეს მისთვის სიკვდილი,
სიცოცხლე გაიმწაროსა...

(ჩადის წყაროში. იხდის წელს ზევით. ბუჩქნარში გამოჩნდება ხუთი ლეკი. დავითი დაიხრება წყაროსპირს, შეისხურებს გულმკერდზე წყალს. ხუთი ლეკი დაეცემა. დავითი გაიბრძოლებს. ორ ლეკს წყალში გადაისვრის. მესამე უკანიდან ჩაარტყამს თავში. გაიბრუებს. დავითს ჰკრავენ. მიჰყავთ).

მეოთხე სურათი

მზე გადახრილია. სცენა წარმოადგენს კალოს ლეწვას. გლეხები მღერიან. სამი გლეხი: ივან ივანიჩი, გრიცკო და ლაზარე წინა პლანზე არიან და მუშაობენ. სიმღერა წყდება.

გ რ ი ც კ ო — კარგი პური ცოდნია ამ მხარეს. მსხვილი მარცვალია. ჩვენს უკრაინულს გავს. ჰოდა, როცა პური გაქვს, გულიც საგულეში გაქვს.

ი ვ ა ნ ე — გლეხკაცის სიხარულიც ეგ არის! შენი მადლობელი ვარ

დახმარებისათვის. ჰე... ჰე... ცოლისძმაც ასეთი უნდა: სტუმ-
რად ჩამოხველი და გამუშავებ... ლაზარე, წყალი მოიტა! (ლ-
ზარე გარბის წყლის მოსატანად)

გ რ ი ც კ ო — პურის ლეწვა სტუმრობაზე სასიხარულოა, როცა
პური შენია.

ი ვ ა ნ ე — ეს ასეა. ჩვენ, კაზაკები, ბედს არ ვემდურით.

ლ ა ზ ა რ ე — (მოაქვს წყალი. ივანე სვამს) მამი, მამილო, თხოვნა მაქვს
შენთან! გამიშვი ძია გრიცკოსთან. ის ამბობს, ჩვენთახო,
უკრაინაშიო, ისეთი ბალებიაო, ისეთი ბალჩებიაო, ისეთი ნე-
სვებიაო, ისეთი ყალფუზებიაო... ოჰ! ოჰ! გამიშვი, მამი!

ი ვ ა ნ ე — დედაშენი არ გაგიშვებს, მე რომ გაგიშვა.

ლ ა ზ ა რ ე — ოჰ, მამი! დედას ძია გრიცკო მოელაპარაკება! მამი,
გეხვეწები!

ი ვ ა ნ ე — კარგი, მოელაპარაკოს!

ლ ა ზ ა რ ე — ოჰ, მამაჩემო! (გარბის. ამ დროს ისმის ზარების რეკვა. ყვე-
ლანი იწერენ პირჯვარს. შორით გამოჩნდება დავითი. საშინელი შესახე-
დავია. პერანგის ამარა, თმაგაბურძგვნილი. შორით უყურებს გლეხებს. ლ-
ზარე დაინახავს, შეშინდება, გამორბის მამასთან)

ლ ა ზ ა რ ე — მამი! მამი! შეხე, ქაჯი!

ი ვ ა ნ ე — წმიდაო ღმერთო! ქრისტე მაცხოვარო! შენ დამიფარე
ეშმაკისაგან! გრიცკო, გრიცკო, ნახე, შვილო, რა არის? (დავი-
თი პირჯვარს იწერს)

გ რ ი ც კ ო — პირჯვარს იწერს. ქაჯი როგორ იქნება? (ამოიღებს სა-
კინძიდან თავის ჯვარს) ღმერთო, შენ დამიფარე, თუ ბოროტი
სულია! (დავითი შიშით იყურება აქეთ-იქით. პირჯვრის წერით უახ-
ლოვდება გლეხებს. დაინახავს გრიცკოს უელზე ჯვარს, დაიჩოქებს. გრიც-
კო მოიხსნის ჯვარს, გაუწოდებს დავითს. დავითი ემთხვევა)

ი ვ ა ნ ე — ქრისტიანი ყოფილა, საცოდავი... (დავითი პურზე ანიშნებს:
მშიაო) საწყალი, მშიერი ყოფილა! ლაზარე, დაი ხლება! (ლაზარე
გაიქცევა, თან უკან-უკან იხედება)

დ ა ვ ი თ ი—რუსულად „ხლება“ პურს ჰქვია. მაშ, რუსები ყოფილ-
ხართ? ძმებო, მიშველეთ!

ლ ა ზ ა რ ე — (მოიტანს პურს. გაუწოდებს დავითს, თან ეშინია) ჭამე! (დავი-
თი გამოართმევს, თან ჭამს, თან რუსებს თავს უკრავს. იღიმება)

ი ვ ა ნ ე — საწყალი! ვინ იცის ვინ არის, რა ტომისაა, რა ქვეყნისაა?
ქრისტიანი კი ყოფილა. ახალგაზრდაც. (ატირდება და კოცნის)
საცოდავო! (ეხვევა, დავითის თავს მკერდზე მიისვენებს. დავითი ისევ
გამალებით ჭამს პურს)

გ რ ი ც კ ო — ივან ივანიჩ, არა მგონია ეს საცოდავი მათხოვარი

ბუოსს ვინ იცის რა დამართნია, რა ხიფათს გამოექცა. იმ მთებში ხომ ბასურმანები ცხოვრობენ?

ივანე — ლაზარე, წადი, იანვარა მოიყვანე! ნაჩალნიკთან იქნება.

ლაზარე — ახლავე (გარბის)

დავითი — ვინა თქვი, კეთილო კაცო? იანვარა?

ივანე — იანვარა, ჰო...

დავითი — ეჰ, იანვარას აქ რა უნდა!.. ალბათ ასე სთქვა: ამ კაცს იანვრის აქით პური არ უჭამიაო. (პაუზა. დავითი ისევ ჭამს პურს. შემოდის იანვარა.)

იანვარა — შტო ტაკოე, ივან ივანიჩ!

ივანე — აი, ნახე, ვინ არის? გამოჰკითხე!

იანვარა — (უყურებს დავითს. ეტყობა ვერ შეიცნო) ვინა ხარ, ძმობილო? საიდან ხარ?

დავითი — იანვარა! იანვარა! ვერ მიცანი? (შიდის მისკენ)

იანვარა — (უკან იხევს) ადამიანო, ვინა ხარ-მეთქი?

დავითი — დავითი ვარ! დავით გურამიშვილი!

იანვარა — არა! არა! ეს როგორ შეიძლება? ღმერთო დიდებულო! ამას რას ვხედავ? ვიცოდი კი, რომ დაატყვევეს... (აკვირდება) ბატონიშვილო! (დაუჩოქებს. მუხლზე ემთხვევა) ბატონიშვილო, ეს რა ღვთის წყრომაა? ვაი, შენს იანვარასა! (შემოიკრავს თავში ხელს. ატირდება)

დავითი —

ლეკებმა წამომიყვანეს,
ხელ-ფეხს მომიდვეს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა,
მინდორი ცხრა იმდენია.

იანვარა — ივან ივანიჩ! ეს კაცი ქართველი თავადია. დიდი კაცის შვილი თავის ქვეყანაში. მე კარგად ვიცნობდი მამამისს. მისს ოჯახს... ლეკებს გაუტაცნიათ.

რუსები — საწყალი! თავადი ყოფილა? ლეკებს გაუტაცნიათ?

ივანე — ლაზარე, გაიქეცი, ჩემი ტანისამოსი მოიტანე!

ლაზარე — ახლავე! (გარბის)

დავითი —

ღმერთს მივენდევ. მან ისმინა
ოგი ჩემი საეედრონი.
ხელმეორედ გავიპარე,
რაკი ეპოვე ყამი, დრონი...

ხუთი დღე-ღამე ვიცხოვრე
შვიდის ტყემალის ჭამითა;

ღლისით ჯაგნარში ეძერებოდი,
მინდვრად ვიდოდი ღამითა,
დღე თერთმეტამდის ვიარე
ყოფა-ქცევითა ამითა...

ი ა ნ ვ ა რ ა — ბატონიშვილო, ჩემო ბატონიშვილო!

დ ა ვ ი თ ი — იანვარა, შენ დემეტრე სარდლის ოჯახი ჩაიყვანე მოსკოვს? ვარდოცა?.. მშვიდობით ჩაიყვანე?.. (რუსებს მოაქვთ ზოგს ქუდი, ზოგს პიჯაკი, ზოგს შარვალი)

ი ა ნ ვ ა რ ა — მშვიდობით ჩავიყვანე. ყველანი მშვიდობით ჩავიყვანე.

ლ ა ზ ა რ ე — (შემოდის. მოაქვს შეკრული ტანისამოსი) აჰა, ძია! (ტანისამოსს დადებს დავითის წინ) ჩაიცვი. ჩემი ტანისამოსი არ მოგერგება, თორემ ჩემსას მოგიტანდი!

დ ა ვ ი თ ი — გმადლობთ, უცნობო და ახლო მეგობრებო!.. ახლა ვხედავ, თუ რატომ წამოვიდა ვახტანგ მეფე თქვენს ქვეყანაში...

ი ა ნ ვ ა რ ა — ბატონიშვილო, საით ირჩევ გზასა?

დ ა ვ ი თ ი — მოსკოვს! ვახტანგ მეფესთან! ახლა მე მოსკოვს ორი მეფე მყავს.

ი ა ნ ვ ა რ ა — ვიცი, ბატონიშვილო: მეფე ვახტანგი და მეფე ბაქარი.

დ ა ვ ი თ ი — ვერ გაიგე ჩემი ქარაგმა. მეფე ვახტანგი და ვარდო. იცი, იანვარა, ვარდო ჩემი საცოლე იყო... ბედმა წამართვა. ეგებ მოსკოვში დავიბრუნო (გრიცკოს) კეთილო კაცო, ინებეთ! (გაუწოდებს ჯვარს) ორი წელია ტყვეობაში წმინდა ჯვარი არ მინახავს.

გ რ ი ც კ ო — დაიტოვე ეგ ჯვარი! მთა მთას შეხვდებაო, იტყვიან. ვინ იცის სად შევხვდებით ერთმანეთს...

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მესამე სურათი

დეემტრე სარდლის ოჯახი მოსკოვში. რუსული სტილის ოთახი, ოღონდ ქართულად მოწყობილი. კედელზე ნახი, ზედ იარაღები. ფარდის ახდისას ტახტზე ფეხმორთხმით ზის ვ ა რ დ ო და ქარგავს, ხელსაქმობს. პაუზა.

ვ ა რ დ ო — ფუ, შენ, ცრუო საწუთროვო,
რად არ მძულდი, რად მიყვარდი?!

შენ ყოფილხარ მწარე, შხნაკვი,
მე მეგონე ტკბილი ყანდი...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (შემოდის) რასა ჰკერავ, ვარდო, ეგრე ერთგულად?

ვ ა რ დ ო — დაფარნა გახლავსთ, დედაჩემო! დონის მონასტერს აღვუთქვი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შეგიწიროს ღმერთმა! მაგრამ რა არის, შვილო, რომ სულ ხატისა და ჯვრისთვის ზრუნავ? განა მონაზონი ხარ, შე ქალო?

ვ ა რ დ ო — დღეს არა ვარ — ხვალ ვიქნები.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — არა, შვილო! ეგ აზრები გამოირეკე თავიდან. განა გეხუმრებოდა მამაშენი? გენერალს უნდა მითხოვდე, შვილო!

ვ ა რ დ ო — დედაჩემო! მე მოგახსენეთ ორივეს: უმალ მონასტერში წავალ, ვიდრე გენერალს მივთხოვდები-მეთქი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — კარგი ერთი, შენს გაზრდას! რა დროს ეგ არის? სიძე დღეს მობრძანდება.

ვ ა რ დ ო — როგორც მობრძანდება, ისე წაბრძანდება!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ვითომ და რათაო?

ვ ა რ დ ო — მე დავითს ვერ ვუღალატებ!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შვილო, დავითი აღარ არის! ტყვედ წაყვანილი ან ტყვეობაში დაიღუპებოდა, ან სტამბოლის ბაზარზე იქნება გაყიდული.

ვ ა რ დ ო — და მაინც მის ხსოვნას არ ვუღალატებ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ერთგულება მოსაწონია, როცა აზრი აქვს. მიცვა-

ლებულისადმი ერთგულება კი ლოცვა-წირვითა და, აი, თუნდაც დაფარნის შეწირვით გამოვავლინოთ.

ვ ა რ დ ო — მე სიტყვა მიმიცია დავითისათვის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — დავითი აღარ არის-მეთქი ცოცხალი... შვილო, შემოგევლე, არც ეგრეთი ჟინიანობა ვარგა! დალოცვილო, მესამე წელია რაც კაცი დაიკარგა, შენ კი დაგიჟინია: ცოცხალია, ცოცხალიაო!.. არც ეგრე ვარგა, შვილო!.. რაც ამ მოსკოვ-ქალაქს ჩამოველით, ერთი არ გაგიღიმია. ხალისიც საჭიროა, თამაში, მხიარულობა... მშობლებს უნდა დაუჯერო!

ვ ა რ დ ო — სხვათა შორის, დედავ ბატონო, მოსკოვისა ის მომწონს, რომ აქ მშობლები არც თუ ისე აიძულებენ შვილებს ის აკეთონ, რაც თვითონ სურთ. აქ ბრმა დამორჩილება არ არის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მამაშენი მოდის! შენ გენაცვალე, ეგ სიტყვები არ გააგონო! (შემოდიან დ ე მ ე ტ რ ე და ნ ო დ ა რ ი)

დ ე მ ე ტ რ ე — ვარდო, აი, ვინ მოგიყვანე! ნოდარი მოგიყვანე!.. (დარეჯანს) დარეჯან, ქალო, ხომ მზადა ხარ? დღეს გენერალი მოვა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მე რა მზად უნდა ვიყო? მზად შენი ქალი უნდა იყოს.

ნ ო დ ა რ ი — თხოვდები განა, შე ცუღლუტო? დეიდაშვილს არ უნდა უთხრა?

ვ ა რ დ ო — არა, ნოდარ, მე არ ვთხოვდები!

დ ე მ ე ტ რ ე — (მიდა ვარდოსთან) რასა ჰკერავ, შვილო? (სინჯავს) მშვენიერი დაფარნა გამოვა! ზედ შენი სახელიც ამოქარგე, რომ საუკუნოდ დარჩეს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ჩემი ნაქარგი გარდამოხსნა დღესაც ამშვენებს სიონსა. მეც დანიშნული ვიყავი, როცა შევკერე ის გარდამოხსნა.

დ ე მ ე ტ რ ე — ვის გინდა მიუძღვნა ეს დაფარნა, შვილო? (გადაბრუნებს მეორე მხარეს. გაუკვირდება. შეხედავს დარეჯანს. დარეჯანი ვერას მიმხვდარა. დემეტრე კითხულობს) „ქრისტე! მეოხ ეყავ მონასა შენსა დავითს! ვარდო“...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (მოკიდებს ხელს დაფარნას. წაიკითხავს. აუკანკალდება ტირილი) „ქრისტე! მეოხ ეყავ მონასა შენსა დავითს!..“ (ატირდება ვარდოც)

ნ ო დ ა რ ი — კარგი ახლა, ჩემო ვარდო! რაც იყო—იყო! (ეფერება)

დ ე მ ე ტ რ ე — ეჰ, რაც იყო — იყო, შვილო! ახლა კი ხვალინდელ დღეზეც უნდა ვიფიქროთ. წესია, უნდა გათხოვდეს ქალი, შეელიოს მამის სახლს და ახალი ბინა მოაწყოს შესაფერი. შენ

რომ ბედმა გაგიღიმა, ჩემო შვილო, ადვილად არ ჰხვდება იგი ბედი სხვას: გენერლის ცოლობა მოგელის.

ნ ო დ ა რ — და როგორი გენერლის? ახალგაზრდა, ლამაზი. ათი ათასი სული ყმა ჰყავს!

ვ ა რ დ ო — ნოდარ, გენაცვა, არ მიმიწევს გული გენერლისკენ, ვერ დამიმორჩილებია ჩემი თავი, ვერ დამიყოლებია. მიკვნესის გული, თითქოს რაიმე უბედურება მომელისო აქ.

დ ე მ ე ტ რ ე — ეგ რა მესმის?

ვ ა რ დ ო — ბოდიში ესე კადნიერად შელაპარაკებისათვის, მამავ ბატონო! მაგრამ თუ რუსეთს ჩამომიყვანე, იმ მონასტრის ქუდს დავიხურავ, სადაც ჩამოვედი. აქაურ ქალებს თავისი ხმა აქვთ.

დ ე მ ე ტ რ ე — მესმის შენი... მომწონს შენი სიმტკიცეც!.. მაგრამ ის ბედშავი ხომ დაიღუპა? აკი პანაშვიდიც გადავიხადეთ მისი სულის საოხად დონის მონასტერში?.. ჰო, შვილო, ჰო!.. ახლა კი უნდა დახედო, რა მშვენიერი მზითევი იკერება შენთვის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — წითელ-ყვითელ ფარჩას სულ შარიშური გააქვს მკერავთა ხელში, შენ კი არც ერთხელ არ შეგიხედნია მკერავთა ოთახში.

ვ ა რ დ ო — არც შევიხედავ!

ნ ო დ ა რ ი — ნუ კერპობ, ვარდო! ჩვენ შენზე ამოგვდის მზე დ მთვარე, შენ კი კერპობ.

მ ს ა ხ უ რ ი — (შემოდის) მათი აღმატებულება, გენერალი... რა ვქნა, ბატონო, შენი ჭირიმე, ორი გვარი აქვს იმ დალოცვილსა, ვერც ერთი ვერ დავიმახსოვრე.

ნ ო დ ა რ ი — ხა-ხა-ხა! ხედავ, ვარდო, გვარიც მდიდარი აქვს, ორმაგი.

დ ე მ ე ტ რ ე — თხოვე! თხოვე! (მსახური უსიტყვოდ გადის) აბა, თქვენი ჭირიმე, მხიარულად! მხიარულად! დიდი კაცია და დიდ ხარისხში. ბედმა გაგვიღიმა და იმედის კარი არ დაგვიხშო. (მიდის კარებისაკენ. შემოდიან გ ე ნ ე რ ა ლ ი და მისი ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მაქვს პატივი ვეახლო ბრწყინვალებასა თქვენსა, კნიაზ დიმიტრი ოთაროვიჩ! (მიესალმება დემეტრეს. ასევე, ოღონდ უსიტყვოდ, ესალმება ადიუტანტი) ბრწყინვალებასა თქვენსა, კნიაგინია დარია ნუგზაროვნა! (მიესალმება დარეჯანს და ეამბორება ხელზე. ასევე ადიუტანტიც) ბრწყინვალებასა თქვენსა, კნიაგინა ვარდო დიმიტროვნა! (ეამბორება ხელზე. ასევე ადიუტანტიც) ნოდარ რევაზიჩ! (მაგრად ართმევს ხელს)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — დაბრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით! (ყველანი დასხდებიან)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (დარეჯანს) როგორ ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ? (დარეჯანი თავს უკრავს) კნიაუნა ხომ არ შეაწუხა მოსკოვის ყინვებმა? (ვარდო თავს უკრავს) მაქვს პატივი გთხოვოთ ხვალ გავისეირნოთ მარხილებით. ღრმა თოვლია. მოყინულიც. სასიამოვნო სეირნობა იქნება!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — დიდად გმადლობთ პატივისცემისათვის.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ვთხოვ კნიაზს დიმიტრი ოთაროვიჩს წამობრძანდეს ჩვენთან. კნიაზი ნოდარ რევაზიჩ, რასაკვირველია, წამობრძანდება.

დ ე მ ე ტ რ ე — ბატონო გენერალო, მე მარხილში... ვერა ვარ ჩვეული. აი, ცხენით...

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ოო, ისეთი ცხენი მოგართვათ, მიწაზე ფეხს არ აკარებდეს... თქვენც და კნიაზ ნოდარს...

(მსახურს შემოაქვს ჩაი. ჩამოურიგებს ყველას)

დ ე მ ე ტ რ ე — ბატონო გენერალო, ბევრს რასმე შევეჩვიე თქვენს რუსეთში, მაგრამ ამ ცხელი წყლის სმას კი ვერ შევეჩვიე.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ხე-ხე-ხე... ჩვენში იტყვიან: მიეჩვევი — შეგიყვარდებაო...

დ ე მ ე ტ რ ე — ჩვენში კი იტყვიან: ვინც ორმოცი წლისა ფანდურზე დაუკრავს, საიქიოში დაუკრავსო.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — საიქიოსი რა მოგახსენოთ და სააქაოსი ერთს კარგს ამბავს მოგახსენებთ: ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა, შესაძლებელია ომი დაიწყოს.

დ ე მ ე ტ რ ე — (წამოვარდება) ოჰ, ეს რა ბრძანეთ?.. ღმერთო ჩემო, მაშინ... მაშინ ჩვენც გვეშველება!.. ნამდვილი ცნობებია, ბატონო გენერალო?

ნ ო დ ა რ ი — როგორ გაგვაბარეთ, ჩემო ბატონო!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ეს ცნობა ჯერ შეუმოწმებელია, მაგრამ არის უტყუარი ნიშნები. არმიაში ბრძანება მოვიდა სამხრეთ საზღვარზე გადმოვაჯგუფოთ ჯარები.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ღმერთო, უშველე საქართველოს!

ნ ო დ ა რ ი — ეს ომი ჩვენი ხსნა იქნება!

დ ე მ ე ტ რ ე — ჰე... ჰეი! (ხელს ხელს შემოკრავს. შემოდის მსახური) ღვინო მოგვართვი! (მსახური გადის) ბატონო გენერალო, ეს რა სასიხარულო ამბავი მოგვიტანე? რამდენი ხანია ვუცდით ამ ბედნიერ დღეს! სპარს-ოსმალთა ომი ნიშნავს საქართველოს კვანძის გახსნას. ომის შემთხვევაში ჩვენც უნდა მოვიქნიოთ

ხმალი. (მსახურს შემოაქვს ბოთლები, დარეჯანს გამოაქვს ჭიქები. დემეტრე ასწევს სავსე ჭიქას) ბატონო გენერალო, იმ დღეს გაუმარჯოს, როცა შეერთებული რუს-ქართველთა ჯარი საქართველოდან ყიზილბაშებსა და ოსმალთ გარეკავს და გაათავისუფლებს ჩემს ტანჯულ ქვეყანას!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — დიდის სიამოვნებით! დიდის სიამოვნებით ესვამ ამ სადღეგრძელოს, რადგან დღეიდან თქვენი ქვეყანა ჩემი ქვეყანაც იქნება, თქვენი ჭირი და ლხინი ჩემი ჭირი და ლხინიც იქნება!.. თქვენო ბრწყინვალებავ, მოვსულვარ დიდის საქმისათვის, ჩემი და თქვენი ოჯახების დამოყვრების საკითხისათვის. — ამიტომ გთხოვთ ხელსა თქვენის ქალისასა!

დ ე მ ე ტ რ ე — დიდად მადლობელი ვარ ასეთის პატივისათვის!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი—მეც მადლობა მომიხსენებია ასეთის პატივისათვის!

ნ ო დ ა რ ი — ვარდო და მე და-ძმასავით ვართ შეზრდილნი... მიხარიან თქვენთან დამოყვრება.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — კნიაზნა რას იტყვის?

ვ ა რ დ ო — მეც დიდ პატივად მიმაჩნია თქვენი წინადადება, ბატონო გენერალო! რომელი ქალი იტყვის უარს თქვენს გამოწვდილ ხელს თავისი არ შეაგებოს? მაგრამ მე... ვერ მივილებ თქვენს წინადადებას. (საერთო შეშფოთება)

დ ე მ ე ტ რ ე — ბატონო ჩემო, მოგეხსენებათ, ყველა გასათხოვარი ქალი ყველა ქვეყანაში ამ საკითხში ერთნაირად მსჯელობს. გულით სურს გათხოვება, ენით კი უარს ამბობს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ხუმრობით სურს შეანელოს ვარდოს სიტყვებით გამოწვეული შთაბეჭდილება) მართალს ბრძანებს ერისთავი. მამაჩემთან რომ ჩემს წასაყვანად მოვიდა ერისთავი, მე ცივი უარი ვტკიცე და კოშკში შევვარდი: მთელი დღე ვერ მომძებნეს...

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მე კი იმედი მაქვს, კნიაზნა ვარდო გამაბედნიერებს და საძებნელად არ გამიხდის თავს.

ვ ა რ დ ო — ტყუილი იმედია, ბატონო გენერალო!

ნ ო დ ა რ ი — ვარდო, შენი ჭირიმე!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — თქვენ ხუმრობთ?

ვ ა რ დ ო — არა, ბატონო გენერალო! მე მყავს საქმრო. იგი გაიტაცეს ტყვედ ლეკებმა, ეგებ ცოცხალია, ეგებ მკვდარია? სამი წელიწადია მისი არა ისმის რა. თუ მკვდარია, აი, მისი სულის საოხად დონის მონასტერს ეს დაფარნა უნდა შევწირო. თუ ცოცხალია, გული ჩემი მას მოელის... ორივე შემთხვევაში თქვენს გამოწვდილ ხელს ჩემსას ვერ შევაგებებ... ისე კი მადლობა მომიხსენებია პატივისათვის.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ბატონებო, მე ნიადაგმოუსინჯავად არ მოვსულვარ თქვენსა. წინასწარ მქონდა საუბარი თქვენთან, კნიაზ! თუ ასე იყო, რად არ მითხარით?

დ ე მ ე ტ რ ე — მოგახსენეთ, ქალის ჯიუტობაა, მეტი არაფერი! მე ვღებულობ თქვენს წინადადებას და დიდი მადლობაც მოგიხსენებია.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (დარეჯანს) თქვენ, კნიაგინია?

ლ ა რ ე ჯ ა ნ ი — დამილოცნიხართ ჩემს შვილად! (გენერალი მიაჩერდება ნოდარს)

ნ ო დ ა რ ი — თქვენი ერთგული ძმა ვიქნები, გენერალო.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (ვარდოს) ახლა რას იტყვით, კნიაგინა?

ვ ა რ დ ო — მე ორი გზა მაქვს: ან მონასტერში, ან ჩემს ნამდვილ საქმროსთან: დავით გურამიშვილთან!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — როგორ? თქვენ მართლა გყავთ საქმრო? (ამ დროს გაიღება კარი და შემოდის დ ა ვ ი თ ი)

ვ ა რ დ ო — დავით! ცოცხალი ხარ? (მივარდება. წაბარბაცდება. ატირდება)

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (ვარდა გენერლისა და ადიუტანტისა) დავით! დავით!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — დავით, შვილო! (გადაეხვევა. დაინახავს ვარდოს მდგომარეობას და მივარდება) ვარდო! შვილო!

ნ ო დ ა რ ი — დავით, ძმაო! (გადაეხვევა)

დ ე მ ე ტ რ ე — კეთილი იყოს შენი დაბრუნება! (ჩამოართმევს ხელს)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (დემეტრეს) ვინ არის ეს კაცი, ასე რომ მიეგებეთ?

დ ე მ ე ტ რ ე — ეს კაცი... ეს კაცი, ბატონო გენერალო, ჩემი ქალის საქმრო იყო. დაკარგული გვეგონა, ცოცხალი ყოფილა... არ გეწყინოთ.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — არ მეწყინოს რომელია? რად ჩამაყენეთ უხერხულ მდგომარეობაში? ჩემმა მშობლებმა იციან, ჩემს პოლკშიც იციან, რომ მე ვირთავ თქვენს ქალს... თქვენ სიტყვა მომეცით. კეთილი ინებეთ და შეასრულეთ სიტყვა.

დ ე მ ე ტ რ ე — დიახ! დიახ! მესმის თქვენი... მაგრამ კაცი დაკარგული გვეგონა, ცოცხალი კი ყოფილა...

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ეგ მე არ მეხება! რაც იყო — იყო და გათავდა! ახლა მე ვარ საქმრო! თქვენ ვალდებული ხართ შეასრულოთ სიტყვა!

ვ ა რ დ ო — (შიდის დავითთან) ღმერთს არ ნდომებია ჩვენი დაშორება. ეს რუსი გენერალი კი, ხედავ, რას ამბობს? გინდა არ გინდა, ცოლად გამომყეო.

დ ა ვ ი თ ი — (წამოვარდება) როგორ? საცოლეს მედავება? ხმალში, ხმალში, გენერალო! (იწვდის ხმალს)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ხმალს თავისი დრო და ადგილი აქვს... მხოლოდ რაკი თქვენ ესე გსურთ... დუელში გიწვევთ!

მეოთხე სურათი

ტყის ნაპირი. თოეს. შემოდიან ორის მხრით დ ა ვ ი თ ი და ნ ო დ ა რ ი, გ ე ნ ე რ ა ლ ი და ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი. მიესალმებიან ერთმანეთს.

ნ ო დ ა რ ი — ბატონო ადიუტანტო, ჩვენს ქვეყანაში ხმალში გასვლა ასე არ ხდება. არ მესმის მე თქვენი დუელის წესი, ამიტომ გთხოვთ შეასრულოთ, რაც წესია.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — კეთილი, თავადო!.. (მიმართავს ორივე მხარეს) ბატონებო, არა მარტო წესისამებრ დუელისა, არამედ ადამიანურობისათვის, გთხოვთ შესცვალოთ თქვენი გადაწყვეტილება და შერიგდეთ.

გ ე ნ ე რ ა ლ ი —თავადმა გურამოვმა პირველმა იშიშვლა ხმალი. მოიხადოს ბოდიში და გათავდება ამით. მით უმეტეს, რომ მე არ ვიცოდი, თუ დაწინდული იყო თავადის ქალზე.

დ ა ვ ი თ ი — ჩემს სახელსა და ჩემს საცოლეს მე ყოველთვის ხმლით დავიცავ.

ნ ო დ ა რ ი — დავით, ძვირფასო, რამდენი უბედურება გადაგიტანია და ახლა, სამშვიდობოს გასული, ხიფათში რად იგდებ თავსა? ამ დალოცვილს, ეტყობა, ბოროტი რამ არ უდევს გულში შენს მიმართ. გულდამშვიდებით მოიფიქრე.

დ ა ვ ი თ ი — გულდამშვიდებით როგორ ვუცქირო ადამიანს, რომელიც საცოლეს მედავება? აღსრულდეს ნება ღვთისა.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მაშ, შევუდგეთ საქმეს. პირობები გენერლისა ასეთია: ოცი ნაბიჯი დისტანცია. ბარიერზე დგომიდან მესამე ვათვლის შემდეგ სროლა ერთსა და იმავე დროს.

ნ ო დ ა რ ი — თანახმა ვართ. (დავითს) ასეთია მათი წესი.

დ ა ვ ი თ ი — აღსრულდეს ესრეთ. რომ არ სთქვან რუსთა: ქართველი მხდალიაო, ყველაფერზე თანახმა ვარ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თავადო ნოდარ, გაეზომოთ ოცი ნაბიჯი. (ორივე ზომავენ ერთსა და იმავე დროს დისტანციის გათვლით: ერთი, ორი, სამი და ა. შ. ოცამდე) ოცი! აქ იქნება ბარიერი. დადექით ბარიერთან! (გენერალი და დავითი დგებიან ბარიერზე ერთმანეთის პირისპირ) ინებეთ დამბაჩები! (აძლევს ორთავეს დამბაჩებს. შემდეგ განაპირდება გენერლისკენ. ნოდარი კი დავითისკენ)

დ ა ვ ი თ ი — აქედან უნდა ვესროლო?

ნ ო დ ა რ ი — დიახ! როცა გენერლის ადიუტანტი იტყვის „სამი“.

დ ა ვ ი თ ი — ღმერთო ჩემო, ასე გულდამშვიდებით კაცს როგორ ვესროლო? სულ სხვაა ჩვენებური ხმალში გასვლა.

ნ ო დ ა რ ი — ასეთია მათი წესი.

დ ა ვ ი თ ი — ღმერთი როგორ მომიტევებს ასეთი წესით კაცი მოვკლა?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ერთი... ორი... სამი... (დავითი ისვრის, ააცილებს. გენერალი ისვრის ჰაერში)

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — გათავდა!.. ჩამოართვით ხელი ერთმანეთს.

დ ა ვ ი თ ი — გენერალმა გაისროლა ჰაერში. ეს რას ნიშნავს?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — თავადო დავით, ჩემი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია! ჩემი პატივის დასაცავად მე ვიდექი სიკვდილის პირისპირ. ამიტომ მე შემიძლია წარბშეუხრელად შევხედო ჩემი იარაღის ამხანაგებს... ჰაერში კი იმიტომ გავისროლე, რომ ღმერთი არ მაპატიებდა თქვენს სიკვდილს. მე გავიგე, რომ თქვენ დაწინდული ყოფილხართ. მაშასადამე, თქვენ მეტი უფლება გაქვთ თავადის ქალზე. ნება მომეცით გისურვოთ ბედნიერება თქვენს საცოლესთან.

დ ა ვ ი თ ი — და ასეთ კაცს მე ტყვია ვესროლე?.. (დაახლის დამბაჩას მიწაზე. ხელებს აღაპყრობს ცისკენ) ღმერთო, გმადლობ შენ, რომ დამბაჩის მაგივრად ხმალი არ მეჭირა!.. (მიდის გენერლისკენ ორივე ხელგაწვდილი) ბატონო ჩემო, ძმაო ჩემო, დღეიდან ენდეთ ჩემს მარჯვენას, ჩემს გულს — არც ერთი არ გიღალატებს.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მჯერა თქვენი სიტყვისა! თქვენ დიდად დატანჯული ადამიანი ყოფილხართ! თქვენ ღირსი ხართ ბედნიერი ცხოვრებისა! (გადაეხვევიან ერთმანეთს. ამ დროს შემოვარდება ვ ა რ დ ო)

ვ ა რ დ ო — შეჩერდით! შეჩერდით! (დაინახავს გადახვეულ რაყიფებს და გაშეშდება)

დ ა ვ ი თ ი — ბატონიშვილო, აქ რამ მოგიყვანა?

ვ ა რ დ ო — გავიგე თქვენი შერკინების ამბავი და გამოვეშურე. ახლა კი რას ვხედავ?

გ ე ნ ე რ ა ლ ი — თქვენი ხელი, თავადის ქალო! (მოჰკიდებს ხელს ვარდოს ხელს და ჩასდებს დავითის ხელში) როგორც ძმა და მეგობარი. გისურვებთ ბედნიერებას!.. დაწინდულნი ყოფილხართ, მე ვერ ჩავდგები თქვენს ცოდვაში...

ვ ა რ დ ო — ოქროს კაცო! ძმაო ჩემო! (გადაეხვევა გენერალს. შემდეგ

ხელს ჩაჰკიდებს გენერალსა და დავითს) ტყვიას რა უნდა იქ, სადაც გული ლაპარაკობს?..

მეხუთე სურათი

დემეტრე სარდლის ოჯახი მოსკოვში. იგივე სცენა. შემოდიან **დ ა რ ე ჯ ა ნ ი** და **ვ ა რ დ ო**.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ბედი გვქონია, შვილო! დავითი ტყვეობას გადაურჩა, მოსკოვს მშვიდობით ჩამოვიდა. გენერალთან ჩხუბის ნაცვლად ძმობა განამტკიცა. მწუხარება სიხარულად შეგვეცვალა, შენ კი ცხვირპირი ჩამოგტირის. რა გაწუხებს?

კ ა რ დ ო — ის მაწუხებს, დედაჩემო, რომ თქვენ უნდა დაგტოვოთ. რადგან, როგორც იცით, მე და დავითი უნდა დავბრუნდეთ საქართველოში. რომ იცოდე, როგორ მეძნელება თქვენი დატოვება! ნეტავი თქვენც წამოხვიდოდეთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მე სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ მამაშენს როგორ დავტოვებ?

ვ ა რ დ ო — რომ ვთხოვოთ მამას?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — აბა რას ამბობ, შვილო? განა სარდალი თავის მეფეს დატოვებს?

ვ ა რ დ ო — მამას ხომ არც თუ ისე ეპიტნავება რუსეთში დარჩენა? რამდენჯერ უთქვამს, საქართველო არ უნდა დაგვეტოვებინაო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ეს მართალია, მაგრამ მამას მაინც ვერ შევბედავთ, რომ მეფე დატოვოს.

ვ ა რ დ ო — ესეც მართალია! მეფის ერთგულება ქვეყნის ერთგულებაა. განა არ მესმის!..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ჰოდა, სწორედ ამიტომ მამაშენი უნდა დარჩეს მოსკოვში. შენ და დავითი კი წახვალთ საქართველოში, უპატრონებთ მიტოვებულ ოჯახს. მართალია, საგურამო აოხრებულია, მაგრამ რაც ჩვენი მამულისაგან გადარჩა, იმას პატრონობა ხომ უნდა... დავითი ჭკვიანია, მოუვლის საქმეს. მანამდე ღმერთი მოგვხედავს, აქაც რამე გამოირკვევა და დავიძვრით საქართველოსკენ.

ვ ა რ დ ო — ოჰ, ნეტავი ჩქარა! ნეტავი ჩქარა! (გადის)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ღმერთო, მოხედე საქართველოს! ღვთისმშობელო, შენი წილხდომილი ქვეყანაა!.. (იჩოქებს ხატის წინ. შემოდის **დ ე მ ე ტ რ ე**, ხელში უჭირავს ქაღალდი. გაბრაზებულია)

დ ე მ ე ტ რ ე — როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე? ექვსი წელი გავიდა, ბატონო! ექვსი წელი სხვისი პურის ჭამისა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გაათავებს ლოცვას) განა რუსები ცუდად გეპყრობიან?

დ ე მ ე ტ რ ე — დილას ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი; თუ ხანი შეგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი... როცა პეტრე დიდს ჩვენ ვჭირდებოდით, ოქრო ვიყავით; როცა მოსკოვს ჩამოვედით, ვერცხლი გავხდით. მეშინია, ბატონო ჩემო, სპილენძად გადაქცევისა!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — იმ დღეს ნუ მოვესწარი!

დ ე მ ე ტ რ ე — დრონი მეფობენო, ტყუილად როდია ნათქვამი. მე, საქართველოს სარდალი, სხვის ულუფაზე ვცხოვრობ. ხელი უნდა მოვაწერო რაღაც ვედომოსტს: „პოლუჩილ სოდერჟანია". რად მინდა რაღაც სოდერჟანია?.. ვეჟო, ჩემს ქვეყანაში ვყოფილიყავი, არ მერჩიენა? აქ კი სხვის სოდერჟანიას უნდა ვუცქირო? (მოაწერს ხელს და დაახლის მაგიდაზე)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ბატონო ჩემო, ე მაგაზე ქართლში უნდა გეფიქრა, როცა აქეთ მოდიოდით და ცოლ-შვილს იქ ტოვებდი. (აიღებს ხელმოწერილ ქაღალდს და მიდის) მე გადავცემ მომტანს.

დ ე მ ე ტ რ ე — თქვა რუქამ არაკი!.. განა არ ვიფიქრე? ბევრიც ვიფიქრე, მაგრამ რა გამოვიდა? სარდლისაგან მეფეს არ ელალატების. მეფეა ჩვენი, მირონცხებული, ბაგრატიონი... სადაც ის, მეც იქ, მისი ფერხთა მტვერი. (დაჯდება) ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა? სად წაიყვან სადაურსა...

(შემოდიან **დ ა რ ე ჯ ა ნ ი** და **ნ ო დ ა რ ი**)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ღმერთმა მშვიდობით ამყოფოს, კეთილი კაცი ყოფილა.

ნ ო დ ა რ ი — ოჰ, კეთილი, კეთილშობილი... არ ესროლა!..

დ ე მ ე ტ რ ე — ოჰ, ნოდარ! მობრძანდი! მობრძანდი!

ნ ო დ ა რ ი — როგორ ბრძანდებით, ბიძაჩემო?

დ ე მ ე ტ რ ე — ოჩინ პრეკრასნა! ხელს ვაწერ ვედომოსტებს და... ეჰ! შენ ის მიბრძანე, ეგ დუელი რაღა ჯანაბაა? გამიგონია, კი არ მინახავს.

ნ ო დ ა რ ი — ჩვენი ხმალში გასვლის მაგვარია. მაგრამ გულიანად, თითქოს ჭადრაკს თამაშობენო, ისე დგებიან ერთმანეთის პირდაპირ. „ერთი", „ორი", სამი" და უნდა ესროლო... მართლა, ბიძაჩემო, ჭადრაკი არ გნებავთ?

დ ე მ ე ტ რ ე — მოიტა, დარეჯან!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გამოიტანს ჭადრაკს) ინებეთ! (დემეტრე და ნოდარი გაწყობენ ჭადრაკს. იწყებენ თამაშს)

დ ე მ ე ტ რ ე — მაშ, შენ ამბობ, არ ესროლა გენერალმა?

ნ ო დ ა რ ი — არ ესროლა!.. მერე უთხრა: შენო მეტი უფლება გაქვსო იმ ქალზე... დიდი ბუნების კაცი ყოფილა ის დალოცვილი. მართალი გითხრა, ბიძაჩემო, ამ დუელმა ძაან შემაყვარა რუსები. გულკეთილი და კეთილშობილი ხალხია.

დ ე მ ე ტ რ ე — ეგ მართალია.

ნ ო დ ა რ ი — მერე წაგვიყვანა და გვაქეიფა. ვარდო მარხილით გამოვისტუმრეთ. (დარეჯანს) ვარდო კარგ გუნებაზე იქნები, ვაშე სიატელსტვა!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შენი ჭირიმე, მაგ სიატილსტვას ნუ მეტყვი. მე ჩემი სახელი მაქვს.

ნ ო დ ა რ ი — დავითი ხომ არ მოსულა?

დ ე მ ე ტ რ ე — სახლთუხუცესს გაუწვევია სასახლეში მეფის ბრძანებით.

ნ ო დ ა რ ი — უეჭველია, მეფეს ახსოვს დავითის მამის ღვაწლი.

დ ე მ ე ტ რ ე — თვითონ დავითიც არ გახლავთ უენო. კარგ ბელექსეა. დიდი მწიგნობარიც გახლავთ, როგორც მოგეხსენება.

ნ ო დ ა რ ი — ჩვენი მეფეც წიგნის კაცია, მგოსანი დიდი. ადვილად იპოვიან საერთო ენას... კიდევ ქიშ მეფეს!

დ ე მ ე ტ რ ე — ჩემი ხელობაც ეგ არის, მეფე დავიცვა ჭადრაკის დაფაზეც.

ნ ო დ ა რ ი — იმას მოგახსენებდით, დიდი კაცია ჩვენი მეფე. დიდი ღვაწლი დადო ჩვენს ქვეყანას. სტამბა გამართა თბილისს, „ვეფხისტყაოსანი" დაბეჭდა, სამღვთო წიგნები გაგვისწორა, სახარება დაბეჭდა... სპარსეთსა და ოსმალეთს ფაფარი არ დაუდრიკა და დიდ რუსეთს დაუკავშირდა... ოო, შორს იხედება მეფე ვახტანგი!

დ ე მ ე ტ რ ე — ნუ მიწყენთ, შვილო, და მე მაგისი დაწყებული საქმე ჯერ ბოლომდე მიყვანილი არ მინახავს... შაჰ!

ნ ო დ ა რ ი — რას ბრძანებთ, ბატონო სარდალო? მეფეა, არ ეგების ეგე!..

დ ე მ ე ტ რ ე — რატომ არ ეგების? მე მეფე ვახტანგისთვის ჩემი წონა სისხლი დამიღვრია. სხვაზე მეტი უფლება მაქვს ჩემი აზრი მოგახსენოთ...

მ ს ა ხ ე ურ ი — (შემოდის) ბატონი დავითი და ბატონი სახლთუხუცესი მობრძანდებიან.

დ ე მ ე ტ რ ე — (სწრაფად წამოდგება, მიეგებება. შემოდიან დ ა ვ ი თ ი და მ ე რ ა ბ ი) მობრძანდით, ბატონებო! (მისალმება) დაბრძანდით,

ბატონებო! (მისალმება) დაბრძანდით! გნებავთ რუსულად, აგერ სკამები. გნებავთ ჩვენებურად! აგერ ხალიჩები.

დ ა ვ ი თ ი — ბატონო ჩემო, ხალიჩებზე ფეხძორთხმით ჯდომა კი ჩვენებურია? ქართულია? ესეც ყიზილბაშურია.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შეილო, რა გითხრა მეფე ბატონძა?

მ ე რ ა ბ ი — მომილოცავს, ვაშე სიატელსტვა!

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — ესეც სიატილსტვა! თქვენი ჭირიმე, ნუ გაძარუსეთ.

მ ე რ ა ბ ი — კნეინა ბატონო, მეფემ თქვენს სასიძოს და ჩემს დისწულს ჯაბადარბაშობა უბოძა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ჯაბადარბაშობა? ღმერთო, გვიცოცხლე მრავალ წელს მეფე მწყალობელი!

მ ე რ ა ბ ი — მეფე მწყალობელი დიდხანს ესაუბრა ბატონს დავითს.

ნ ო დ ა რ ი — დავით, მომილოცავს მეფის წყალობა.

დ ე მ ე ტ რ ე — ახლა კი, ბატონო ჯაბადარბაშო, ერთხელ კიდევ გვიამბე რა ხდება ჩვენს ქვეყანაში? ამ გაწამაწიაში კარგად და დალაგებით ვერ მოვისმინე რა ხდება ჩვენში. როგორ დამარცხდა მეფე იესე? მართლა მოჰკლეს კახთ-ბატონი კონსტანტინე?

დ ა ვ ი თ ი — იესეს მეფეს მოხსენდა, გორს ადგას ქართველთ ჯარები.
მან შეიყვანა ოსმალო, იქმნა თბილისით მარები.
მოხვდნენ ერთმანეერთს; დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები...
მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატეეთ,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნაღალატეეთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღალატი! ისევ ღალატი!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ვაი, ამ დღის მოგსწრესა! რა ძნელია ჩვენი აუგი ჩვენვე ვთქვათ.

დ ა ვ ი თ ი — ვაი იმ დღეს! ოსმალნი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ.
საცა შეხვდისთ მეშა-ყაცი. გლახა მწირსა თავსა სჭრიდნენ;
გოდორს თავი აკლიათ, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყოანდა, მელა-ტეარა გამოვერიდენ!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ვაი იმ დღეს! ვაი იმ დღეს! ვაი ჩვენო ტკბილო ქართლო!..

დ ა ვ ი თ ი — კახს-ბატონს კონსტანტინესა საქმე მოუხდა ყალათი,
ტანთ ხვანთვრის ეურქი ჩაიცვა, დასთმო ყელის ხალათი;
მტერს დამორჩილდა ნებითა, ეველარა ქნა რა ძალათი.
მიენდო, თავის თავზედა აბმარებინა ჯალათი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ჯერ გაეგმასპინძლდნენო ოსმალნი, მერე კი, ცხენზე შეჯდომისას, ხანჯლით აჰკუწესო.

ლ ა ვ ი თ ი — მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლადა;
დადედლებულნი შიშითგან აღარ ვარგოდენ მამლადა,
აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა.
რაც მოგახსენე, მოგეგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამა!
ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი ლეკთა მოლამა;
მით ჩვენმან სისხლმან ნაღვარმან ხევნები სულ ამოლამა.
სუნით მოიცვა მთა-ბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა!

დ ა რ ე ჯ ა ნ — (მოთქმით) ვაი, ჩვენო ტკბილო ქართლო! დედასავით საყვარელო!

დ ე მ ე ტ რ ე — ვაი, რომ დაგვავიწყდა საბას არაკი ოცდაათი ისრის ერთად შეკვრისა და სიმტკიცისა და იმავ ისართა დაშლისა და დალეწვისა...

ლ ა ვ ი თ ი — ჩვენი ქვეყნის უბედურება მარტო ხალხის აწყვეტაში როდია. აჰყარეს ვაზის მომვლელი ქვეყანა და ისეთი ქოჩი ტომები ჩამოასახლეს, რომელთაც არ იციან რა არის ლურსმანი და ჩაქუჩი!.. ჩემი ლამაზი კახეთის ბაღ-ვენახები საბალახო საძოვრებად აქციეს...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ოჰ, ჩემო ტკბილო კახეთო! რა გვიშველის? ვინ გვიშველის?

მ ე რ ა ბ ი — გვეშველება, ბატონებო! რუსეთი გვიშველის.

დ ე მ ე ტ რ ე — თქვა რუქამ არაკი!.. როდისღა? როდისღა? თვალები ამომიღამდა ჩვენი ქვეყნისკენ ყურებით.

მ ე რ ა ბ ი — მე კი მჯერა, ჩვენ ჩავუდგებით სათაურში რუსის ჯარს და დაეხსნით ჩვენს ქვეყანას!..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ბოდიში, უნდა დაგტოვოთ! (გადის)

მ ე რ ა ბ ი — ჰო, იმას მოგახსენებდით, რუსეთი დაიხსნის ჩვენს ქვეყანას. ჩვენ უნდა გვქონდეს რუსეთის ზურგი. დიდია ძალა რუსეთისა.

დ ე მ ე ტ რ ე — დალოცვილო, რუსი რომ ძლიერი იყოს, ჩვენ რა? მე რომ მკითხოთ — შევცდით!

მ ე რ ა ბ ი — სარდალო, არ ეგების ესრეთი ლაპარაკი!

დ ე მ ე ტ რ ე — მე ჩემი აზრი არასოდეს დამიმალავს! ქართლშიც ამ აზრისა ვიყავი. რუსეთი ჩვენ ვერ გვიშველის.

ნ ო დ ა რ ი — მაშ მეფეს რად გამოჰყევით რუსეთს?

დ ე მ ე ტ რ ე — ჩემი მეფეა. არამც თუ რუსეთში — სამარეში ჩავყვები... არ მინდოდა რუსეთი. გახსოვს, როცა შეეკრბით ქართველთ დიდებულნი, მე მოგახსენეთ: კარგი ბოლო არ ექნება

რუსეთს წასვლას, უფრო წავხდებით-მეთქი... თქვენ კი არ დაიჯერეთ.

მ ე რ ა ბ ი — მახსოვს... როგორ არ მახსოვს. შენ არ გწამდა, რომ ჩვენი საქმე უკეთ წავიდოდა, როცა ქრისტიანის ხელმწიფის ხელდებულნი შეკიქნებოდით.

დ ე მ ე ტ რ ე — წავიდა კი ჩვენი საქმე უკეთ?

ნ ო დ ა რ ი — ზოგიერთი დიდებული ისე გაკადნიერდა, რომ სარდლის მომხრეებს უპკურობა დასწამეს.

დ ე მ ე ტ რ ე — ბოლოს გამოჩნდება ვინ იყო ჭკვიანი... ბატონო, არც ჩვენ ვწუნობდით რუს ხელმწიფესა, მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, დაგვესევიან-მეთქი, ეამბობდით... ვიდრემ რუსნი გვიშველიან, ჩვენი გარდაგვხდების-მეთქი, ეამბობდით... გამართლდა კიდეეაც ჩვენი ეჭვი.

მ ე რ ა ბ ი — მეფე იყო და ბრძანებდა, ვინ ეტყოდა უარს?

დ ე მ ე ტ რ ე — საქმეც ეგ არის! ვერ გაუბედეთ სიმართლე პირში გეთქვათ, თქვენ ისიც კი ვერ გაუბედეთ გეთქვათ: მეფეე, ნუ აყრი ამდენს ხალხს, სჯობს �ta ყმანი იახლოთო... ამ დალოცვილმა კი მთელი ლაშქარი შეჰყარა — ათას ოთხასი ოჯახი — და რუსეთს ისე წამობრძანდა, თითქოს თავის მამულში მიდიოდა.

მ ე რ ა ბ ი — ბაგრატიონს არ ეკადრება ჩაფრად წაბრძანება...

ნ ო დ ა რ ი — ეს კი მართალია! ქართლის მეფე ქურდულად ვერ წავიდოდა რუსეთს, მას მისი სახელის შესაფერი ჯარი უნდა ხლებოდა და დიდებით ენახა რუსთა ხელმწიფე.

დ ე მ ე ტ რ ე — ნახა კიდეც. ექვსი წელია უცხო მეფის ულუფაზე ვართ ხელგაწვდილნი, ქედმოხრილნი. ეგ შეჰფერის მეფესა და დიდებულთ?

მ ე რ ა ბ ი — სარდალო!

დ ე მ ე ტ რ ე — ბოლმა მკლავს, სახლთუხუცესო! მე ჩემი ქვეყნის დარდი მალაპარაკებს. ჩემი ქვეყნის ერთი მწვანე ბალახის ღერო მირჩევნია ამ თეთრი რუსეთის ტრამალებს.

დ ა ვ ი თ ი—მაპატიეთ. ბატონებო! ვე აქამდე ყურს გიგდებდით, როგორც უფროსებს. ახლა კი მოგახსენებთ. (დემეტრეს) სცდებით, სარდალო! ქართლის ბედი რუსეთში იხსნება. შორს იხედება მეფე ვახტანგი. ძან უკეთ იცის, ვიცა სჯობს. რუსეთი ერთადერთი ძალაა, რომელიც ჩვენს ქვეყანას „ოსმალობა-ყიზილიაშობისა" საფრთხისაგან გადაარჩენს. ჩვენ რუსეთში ქედმოხრილნი და ხელგაწვდილნი როდი მოვსულვართ. მაგარი ის არის, რომ ჩვენც ვჭირდებით რუსეთს. მას თვალი უჭი-

რავს კასპის მხრისკენ. ირანისა და რუსეთის შეტაკება აუცილებელია. ამიტომ რუსეთს სჭირდება ერთგული „ხელდებული“ მთებს იქით. ეს ჩვენა ვართ. მერწმუნეთ, ბატონო სარდალო, მხოლოდ რუსეთი გვიხსნის ჩვენ იოან-ოსმალოსაგან, ამ ორი ვეშაპისაგან, რომელიც თავს დაგვწოლია.

დ ე მ ე ტ რ ე — არა მჯერა, შეილო, შენი ზღაპარი, არა!.. ჩვენ ქართლშიაც ვთქვით მაგ ვეშაპზე და ვახტანგ მეფეზე:

მესამე კიდევ მოიბა, —
ორი საბელი თავს ება.
სამი ვეშაპი ერთ ლომსა
აწ ვითარ მოეთავსება?

დ ა ვ ი თ ი — ეს თქვენი მესამე ვეშაპი ჩვენი მფარველი ანგელოზი იქნება. რუსეთი დიდი და ძლიერი ქვეყანა ყოფილა. მდიდარიც.

მ ე რ ა ბ ი — სწორი ბრძანებაა! მდიდარი ქვეყანაა. მე ამას წინათ დავათვალიერე ვახტანგის ბრძანებით ერთი აქაური მაუდის ქარხანა — „სუკონი დეორში“ რომ არის გამართული. მანუფაქტურას ეძახიან. სამი ათასი მუშა კაცი მუშაობს მარტო ერთ ქარხანაში. რა მაუდს ამზადებენ!.. რომ გაიგეს თუ ვინ ვიყავი, ერთი დიდი ნაჭერი მიფეშქაშეს. აი, ეს შევიკერე (აჩვენებს ზედაწელზე)

დ ა ვ ი თ ი — ახლა კიდევ ჯარი აიღეთ მათი. რა ჯარი ჰყოლიათ?

დ ე მ ე ტ რ ე — ეგ მართალია! ჯარი კარგი ჰყავს.

დ ა ვ ი თ ი —

არს მოსაწონი მნახველთა
გაწყობა რუსის ჯარისა,
ათას-ხუთას კაცთ ერთფერად
ტანთა ცმა, სხმა აბჯარისა,

მწყობრ-რიგად შესელა-გამოსელა,
ქცევა ვით ბრუნვა ჯარისა,
დამუსტრა ციხის მოქლონთა
მაგროვნად დანაჯარისა...

დ ე მ ე ტ რ ე — მერე ჩვენ რა? მოგვეშველა ეგ ჯარი? იხსნა ჩვენი ქვეყანა? ხომ გაიგონეთ რა ბრძანა გურამიშვილმა? როგორ აუკლიათ ჩვენი ქვეყანა...

მ ე რ ა ბ ი — გურამიშვილი ტყვეობაში ნამყოფია. გაბრაზებულია.

დ ე მ ე ტ რ ე — თქვა რუქამ არაკი!.. დალოცვილო, ჩვენ უკეთესს პირობებში ვართ?

დ ა ვ ი თ ი — გული ნუ გაგტეხია, ბატონო! გვიშველის რუსი. რუსს უპირავს კასპის ზღვა, სოლაღი და დარუბანდი.

დ ე მ ე ტ რ ე — ღმერთმა ქენას! ღმერთო, ხელი მოუმართე რუს ხელმწიფეს და მიეც ძლევა მტერთა ზედა! ამიერით მტერ[illegible] ... ჩვენი [illegible] ... ეგ. ბატონებო, იცის მოგახსენებთ, რაც ვაზირობისას მოვახსენე მეფე ბატონს თბილისს... ისე კი მეფის ვახტანგისა ფერხთა მტერი ვარ... სადაც ბატონი მეფე, იქ ჩვენც...

ლ ა ვ ი თ ი — ბართალს ბრძანებთ. მე გახლდით თერგის სანახებში. თერგიდამა სალაღს წაველ. სალაღიდამ აშტარხანსა. ენა

დ ა ვ ი თ ი — ვერა, ვერ მოედიეარ. მეფემ ჯაბადრად დამნიშნა-საქმე გამიჩინა.

ვ ა რ დ ო — საქმე გაგიჩინა?

დ ა ვ ი თ ი — დიახ! და შენც უნდა დარჩე. ცოტა მოვითმინოთ და დავბრუნდებით.

ვ ა რ დ ო — რა ჩქარა შეგითვისებია აქაური ხასიათი? მოთმინება? მაშ რად უთხარი ჩემს მშობლებს: მე და ვარდო საქართველოში დავბრუნდებითო?

დ ა ვ ი თ ი — მე რა ვიცოდი თუ მეფე საქმეს გამიჩენდა?

ვ ა რ დ ო — ამას კი არ მოველოდი!.. ღმერთს ვმადლობდი, რომ არ ინება ჩვენი დაშორება. ახლა კი არ ვიცი, რა ვთქვა.

დ ა ვ ი თ ი — ღმერთს ჩვენგან სამდურავი არ ეთქმის. ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ, როგორც ტარიელმა და ნესტან-დარეჯანმა.

ვ ა რ დ ო — და განა იმისთვის, რომ კვლავ დავკარგოთ ერთმანეთი?

დ ა ვ ი თ ი — როგორ თუ დავკარგოთ ერთმანეთი? განა იქნება ისეთი ძალა, რომ შენი თავი დამაშოროს?

ვ ა რ დ ო — მაშ, წამოხვალ საქართველოში? განა მე ის ვარდო ვარ, რაც სამშობლოში ვიყავი?

დ ა ვ ი თ ი — შენ ჩემთვის იგივე ვარდო ხარ! ჩემი სიცოცხლის ვარდი! ვარდო, დავიწეროთ ჯვარი მოსკოვში.

ვ ა რ დ ო — არა! მე და შენ წავიდეთ საქართველოში და ჯვარი იქ დავიწეროთ.

დ ა ვ ი თ ი — რა ვქნა, ვარდო, მეფე ვახტანგს ვერ დავშორდები!

ვ ა რ დ ო — მე კი დამშორდები?

დ ა ვ ი თ ი — არასოდეს! ჩვენ ვიპოვეთ ერთმანეთი!

ვ ა რ დ ო — ვიპოვეთ, რომ დავკარგოთ...

დ ა ვ ი თ ი — არა, არ დავკარგავთ! მაგრამ ახლა წასვლა საშიშია საქართველოში.

ვ ა რ დ ო — ეჰ, რად გარტყია ეგ ხმალი, თუ საყვარელსა ვერ უჩვენე საქმენი საგმირონია? თუ ვერ გამიკაფე გზა საქართველოსკენ?

დ ა ვ ი თ ი — ვარდო, მიხვდი, რომ ახლა ეს არ შეიძლება!

ვ ა რ დ ო — არ მესმის!... უსაქართველოდ მე ჩემი ბედნიერებაც არა მწამს! (საჩქაროდ გადის)

ფარდა

მესამე მოქმედება

მეექვსე სურათი

ვახტანგის კარი 1734 წელს მოსკოვში. შემოდიან საუბრით დემეტრე და ნოდარი, მოსდევთ რამდენიმე დიდებული

დ ე მ ე ტ რ ე — ჰოდა, პეტრეს შემდეგ, ვეფო, რუსეთში სამი ხელმწიფე ზედიზედ მოკვდა. ვერც ერთისგან ვერ ვეღირსეთ შველას. ახლა რისი იმედია, რომ მეოთხე გვიშველის? იმ მეოთხეს რა ჰქვიანო, ვეფო?

ნ ო დ ა რ ი — ხელმწიფე ანნა. რუსულად კი იმფრატრისა.

დ ე მ ე ტ რ ე — იმფრატრისა... ღმერთმან მშეიდობა მისცეს! იმფრატრისას!

ნ ო დ ა რ ი — ბიძავ ბატონო, რადგან იმფრატრისამ ვახტანგი პირადად თავისთან გაიწვია, საფიქრებელია, რომ კარგ საქმეზე გაიწვევდა. აი, ჯავახიშვილიც მოდის. მეფე დაბრუნდა და ამას ეცოდინება რა საქმეა. (შემოდის ჯავახა) პიიტიკოსო, რა ამბავს გვეტყვი?

ჯ ა ვ ა ხ ა — სალამი, დიდებულნო!.. ოჰ, რა ქალები ყოფილა პეტერბუხში! მკლავები, ყელ-კისერი, გულმკერდი, ყველაფერი უჩანთ! განა ჩვენი ქალებია, წაბლივით რომ შეფუთვნილი არიან?

დ ე მ ე ტ რ ე — რა დროს ქალებია, ბატონო ჩემო, აქ ქვეყნის საქმეზე ვბაასობთ.

ჯ ა ვ ა ხ ა — დალოცვილო, თუ ქვეყანაზე ლამაზი ქალები არ იქნება, თვითონ ეს ქვეყანა რად გინდა?

დ ე მ ე ტ რ ე — ვეფო, მე ამბავი მინდა, რა უთხრა იმფრატრისამ ჩვენს მეფეს. (ვამოჩნდება დავითი) ოო! ბატონი ჯაბადარბაში მობრძანდება! აი, ვინ გვეტყვის მართალ ამბავს!

დ ა ვ ი თ ი — (შემოდის. მიესალმება) ბრძანეთ, ბატონო!

დ ე მ ე ტ რ ე — მოუთმენლად ველოდები შენს დაბრუნებასა! მეფე ბატონი როგორ ბრძანდება?

დ ა ვ ი თ ი — ღმერთმან მრავალ წელს ამყოფოს ისე კარგად, როგორც ახლა ბრძანდება. (იკრიბებიან მათ გარშემო) დიდი ქალაქი ყოფილა პეტერბუხი. მაღლა შენობანი, დიდნი ეკლესიანი ბრწყინვალე გუმბათებითა, ფართო ქუჩები, მდინარეები შიგ ქალაქში. ხიდნი მდინარეზე. ნავები მდინარეში. ხალხი მრავალი. დიდი ძიმოსვლა უცხო ქვეყნებთან. ოო, დიდია რუსის ძალა!

დ ე მ ე ტ რ ე — ღმერთმა ჰქნას!.. მოკლედ გვიამბე, რუსთა მეფემ რა უთხრა ჩვენს მეფესა?

დ ა ვ ი თ ი — სასახლეში გვიხმეს. ხელმწიფე ანნა ტახტზე იჯდა, გარს ეხვია დიდი დასი კარისკაცთა, ვაზირ-მინისტრთა, ღენერალთა.

ჯ ა ვ ა ხ ა — და ქალებისა, ჯაბადარბაშო! აჰ, რა ქალებია!

დ ა ვ ი თ ი — მეფე ვახტანგი რომ დარბაზში შევიდა, ყველა კარისკაცმა თავი დახარა. ანნა ხელმწიფემ მოწყალებით გაუღიმა.

ჯ ა ვ ა ხ ა — ბაგეზე ელვა გამოკრთა უბრწყინვალესი რვალისა.

დ ე მ ე ტ რ ე — თქვა რუქამ არაკი! მე შაჰის კარზე დარბაზობა რომ მინახავს... მერე... მერე...

დ ა ვ ი თ ი — მეფე წადგა ხელმწიფესთან,
ცრემლით ღაწვნი დანასველა;
მოახსენა: — თქვენგნით ვარო
არც მშიერი, არც შიშველა.

ამასა გთხოვ, შემიწყნარო,
ბრძანო ჩემი ქვეყნის შველა!
შეისმინა ხელმწიფემ,
რაც მან სთხოვა, მისცა ყველა.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — რაცა სთხოვა, მისცა ყველა?

დ ე მ ე ტ რ ე — შეილო! ეგ რა სთქვი? გაიმეორე! (ჩაბღუჯავს დავითს)

დ ა ვ ი თ ი — რაც მეფემ სთხოვა, ხელმწიფემ ყველა მისცა.

დ ე მ ე ტ რ ე — ღმერთო, შენ მოუმართე ხელი რუს ხელმწიფესა. ათი წელი ველოდე ამ დღესა!..

ნ ო დ ა რ ი — მაშ, მიედევართ საქართველოშო! ოჰ, ვეღირსეთ! ვეღირსეთ!

მ ე რ ა ბ ი — (შემოდის) დიდებულნო! სმენა და გაგონება! (ყველანი მიბრუნდებიან მერაბისკენ) მოგეხსენებათ, მეფე ვახტანგი ბრძანდებოდა პეტერბუხს, ხელმწიფე ანნასთან. ანუ რუსულად იმფერატრისა ანნასთან, და სთხოვა, შველა მოეღო ხელმწიფესა ქართული საქმისათვის. და შველა მოიღო ხელმწიფემ

ანნამ და შველასა მას ეწოდების ექსპედიცია.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღმერთო, დღეგრძელ ჰყავ ხელმწიფე ანნა!

ჯ ა ვ ა ხ ა — პირდაპირ ვუყურებდი ხელმწიფესა! ოჰ, რა ფაშფაშა ქალია!

მ ე რ ა ბ ი — შესაბამისად ხელმწიფისა ბრძანებისა მეფე ვახტანგ თავად ბრძანებს გაწყობას ექსპედიციისასა... (ხე ასწევს არგანს. შემოდის მამაკაცთა ეუნდი, რომელიც გალობს ჰიმნს. მერაბი ისევ ასწევს არგანს. უკანა კედელზე გადაიწევა ფარდა და გამოჩნდება სამეფო ტახტი) დიდებულნო, დაიკავეთ თქვენი ადგილები! (დიდებულნი დაიკავებენ თავიანთ ადგილს) მეფე ვახტანგ მობრძანდება! (ამ დროს მარმარილოს ორ კვარცხლბეკზე შემდგარ ლარნაკებში აენთება მოლურჯო ალი. შემოდის მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ი)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მადლობა უფალს, ყველას გხედავთ კვალად მშვიდობით!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დღეგრძელობა ბატონს მეფეს!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — დიდებულნო, თქვენ უწყით თუ რატომ ვეახელით ჩვენ ხელმწიფე პეტრეს. დაქსაქსულობამ საქართველოსამ, უსწორო ბრძოლამ ქრისტიანობისამ მაჰმადის სჯულთან, მამულის სიყვარულმა მოგვიყვანა ჩვენ მოსკოვს ქალაქს. არი არს ჩვენს გარშემო სხვა მხსნელი ძალა, თვინიერ რუსეთისა. სიცოცხლე ერისა და სული მისი არს სჯული და ენა მისი. ყიზილბაშთა და თურქთა სურთ მოსპონ სჯული ჩვენი და ენა ჩვენი, და მიიძალონ მდიდარი ქვეყანა ჩვენი. მტერმა შესძლო ციხე საქართველოისა შიგნიდან გაეტეხა. ამ ვითარებაში ჩვენ გადავწყვიტეთ ძებნა მტკიცე ზურგისა და მფარველი ხმლისა, რომელიც დაგვიცავდა ჩვენ. ეს მტკიცე ზურგი და მფარველი ხმალი რუსეთია. ეს კარგად იცოდა ჭირნახულმა მეფემ თეიმურაზმა, როცა ეახლა რუსთა მეფეს და შესთავაზა მეგობრობა. ეს კარგად განსჭვრიტა ბიძაჩემმა, გმირმა მეფემ და დიდმა მგოსანმა არჩილმა, როცა ჯაჭვი ჩვენის ბედისა რუსეთს გადაბა. ჩვენც მოველით რუსეთს, მაგრამ გარნა მარტო ხელდებულად. თქვენ უწყით,

პეტრე ხელმწიფემ მოგწერა:
„მოდი, მოგიჩნიო მამადო!
იესო ქრისტეს მივნდევ,
ნუ მოგატყუებს მაჰმადო!

გიჯობს მე ზურგი მომყუდო,
გულზედ გული მამადო.

მერმე შენს მტერზე მიმიძღვე,
ვით თვალს ცეცხლებრ მამადო"...

და ჩვენ ჩამოველით რუსეთს, რადგან დავინახეთ, რომ ჩვენც ვჭირდებოდით რუსეთს. ამნაირად, ჩვენ მარტოოდენ მთხოვნელად როდი ჩამოვსულვართ. ორივე მხარემ ხელი გავუწოდეთ ერთმანეთს... დიდებულნო, ვუწყით ჩვენ, რომ ყველას როდი გსურდათ ეს გზა! მაგრამ რუსი ჩვენზე წინ დგას, თქვენის თვალით დაინახეთ ეს. ჰოდა, ჩვენი ერი, ქართველი ერი, ღირსია ჰქონდეს ის კარგი, რაცა აქვთ სხვებს, ევროპასა და რუსეთში. ამ კარგს ჩვენ მივიღებთ რუსეთისგან. ჩვენ გვქონდა აბის იმედი და დღეს აგვიხდა იმედი. (დიდებულებში მოძრაობაა, ყველა კისერს წაიგრძელებს) რუსთა ხელმწიფემან ანნამან გამოგვიწვია ჩვენ პეტერბუხს და მოგვცა დასტური ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისა... ამაზედ ჩვენი საყვარელი პიიტიკოსი დავით გურამიშვილი თავისებურ წყობილსიტყვაობით მოგახსენებთ.

დ ა ვ ი თ ი — მან უბრძანა: მე მიჭირავს ზღვის მიდამო ჯაღმა მხარი,
სოლაღსა და დარუბანდსა, ბაქოსა დგას ჩ.ეძი ჯარი;
შენ მიბრძანდი; საჭურჭლისა მუდამ მზა არს ღია კარი,
ლაშქარი და ხაზინანი, ვით გენებოს, მაიხმარი!
მოვსცემ ყველას ბრძანებასა ჩემთა სპათა, სპის მართავთა,
ამირთა და ამილბართა, ათასის-თავთ, ასის-თავთა;
თქვენს ბრძანებას მორჩილებდენ, კარგს იქმოდე, გინდა ავთ;
თავს საკლავად არ ზოგავდენ, საცა მოიქნევდენ ხმალთა!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღმერთო, დღეგრძელ ჰყავ ხელმწიფე ანნა!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ხელმწიფე ანნას დავალებით მოგესალმებათ იანარალი.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ძმანო ერთმორწმუნენო! იმპერატრიცა ანნა იოანოვნას დავალებით მოგესალმებით თქვენ! იმპერატრიცა ანნა იოანოვნა, მისი ჯარი და ხალხი, გისურვებთ თქვენ გამარჯვებით დაბრუნდეთ თქვენს ქვეყანაში, აღადგინოთ დანგრეული ეკლესიები, ქალაქები და სოფლები. დაუბრუნოთ ხალხი მშვიდობიან შრომას, დაანთოთ ცეცხლი გაცივებულ კერაზე და საკუთარ ქვეყანაში თავი იგრძნოთ ბატონ-პატრონად. რუსეთს სურს კავკასიის იქითა მხარეს ჰყავდეს ერთგული მეგობარი, რომელთან ერთად ერთს ღმერთს ილოცავს, ერთს სუფრას მოუჯდება და საერთო მტერს მტრულად შეხვდება. გაგვიგონია ამბავი ქართველთა ვაჟკაცობისა და სიმამაცისა, ერთგულებისა და მეგობრობისა. ჩვენ, რუსები, თქვენთან ერთად

შევუტევთ თქვენს მტერს ირანს, რომელიც ამიერითგან ჩვენი მტერიც არის. მაშ ძმებო, ერთმორწმუნენო, ქართველებო, წინ, ერთად, მტერზე! ურა!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ვაშაა! ვაშა!

ჯ ა ვ ა ხ ა — ურაა! ურაა! რუსულად უნდა — ურაა!..

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შვილებო და ძმანო ჩემნო! ომში ვინ იცის ვინ დარჩება ცოცხალი და დამიდვია ანდერძად: მტკიცედ ვიდგეთ რუსეთთან მეგობრობისა და ერთგულების გზაზე. გვახსოვდეს, ჩვენი ხვალინდელი დღე რუსეთში თენდება, ჩვენი მომავლის გზა რუსეთისკენ მიდის... აპიერითგან ჩვენ ერთად ვიელით ხელიხელ ჩაკიდებულად და ჩვენს შუა ზღუდედ არ იქნება კავკასიონი... მეგობრისა და ძმობისათვის, შველა და დახმარებისათვის მადლობა რუსთა ქვეყანას და რუსთა ხელმწიფეს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღმერთო, დღეგრძელ ჰყავ ხელმწიფე ანნა!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ვბრძანებ: წასვლა მოხდეს წყლით. გაწყობილ იქნას ექვსი ნავი, ვიმგზავროთ ვოლგით. ლაშქრობას ამას რუსთა წესისამებრ ეწოდოს ექსპედიცია. ყველა ქართველნი სარდალნი და ხელისუფალნი მონაწილეობენ ამა ექსპედიციასა შინა. ამჟამად ოსმალეთსა და სპარსეთს ომი აქვთ ერთმანეთთან. ჩვენ ზურგში დავარტყამთ სპარსეთს...

ჯ ა ვ ა ხ ა — შიშით გასქდეს, ვით კაკაბსა ზედ მიუხდეს თეთრი ქორი.

დ ე მ ე ტ რ ე — ოი, მოვესწარ ამ დღეს!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მეწინავე ლაშქრის მეთაურად ვნიშნავ სარდალს დემეტრეს.

დ ე მ ე ტ რ ე — ღმერთო, მოვესწარ ამ დღეს! (წარდგება წინ) მეფეო, მიმსახურე! ხმალი ჩემი რახანია მოელოდა ამ ბედნიერ დღეს!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შენ არ გჯეროდა რუსთ ხელმწიფის დახმარებისა. აჰა, დარწმუნდი და წარუძეხ მხედრობას რუსთან ეოთად.

დ ე მ ე ტ რ ე — მეფეე, ბატონო! ნება მომეცით ამ ჩვენს იანარალს ძმურად ვაკოცო გაპარსულ ტუჩში! (მიდის, კოცნის)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ჯავახიშვილო, ბრძანე მუნასიბი!

ჯ ა ვ ა ხ ა — გენერალო, ქალი არ ხარ, რომ გაკოცო ღიმითა, ნეტაე გნახო ჩემს მამულში — გამოგათრო ღვინითა! (ვახტანგი იღიმება)

დ ა ვ ი თ ი } — (მიდიან გენერალთან. გადაეხვევიან). ბედნიერი ვართ
ნ ო დ ა რ ი } — თქვენთან ლაშქრობით.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ჯაბადარბაშო, იარაღი და საჭურველი დაურიგე ჯარს. მომავალშიც თვალი გეჭიროს, რომ ჯარს ყოველთვის საკმაო ჰქონდეს იარაღი და საჭურველი.

ლ ა ვ ი თ ი — მესმის, ბატონო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ახლა კი გვმართებს ჩვენებურადა, ძველებურადა, მეჯლისი დიდი... (სცენაზე დიდი ფაციფუცია. ყველანი დაეწყობიან უფროს-უმცროსობის მიხედვით. სანამ ეს განლაგება გრძელდება, წინა პლანზე გამოდიან ვ ა რ დ ო და დ ა ვ ი თ ი. დადგებიან სვეტთან)

ვ ა რ დ ო — ძლივს ვეღირსეთ, ძლივს, საქართველოში დაბრუნებას!

ლ ა ვ ი თ ი — როგორ ბრძანდები?

ვ ა რ დ ო — ბედნიერი ვარ. მხოლოდ ერთს ვინაღვლი.

დ ა ვ ი თ ი — რას, ბატონო ჩემო?

ვ ა რ დ ო — ამ ლაშქრობაში რომ მაყურებელი ვიქნები. რა იქნება, რომ ხმალი ავიღო? გული არ მისვენებს.

დ ა ვ ი თ ი — აბა რას ბრძანებ? შენ ხმალი აიღო და მე ხმალი მერტყას?

ვ ა რ დ ო — დავით, თუ შენზე რამეა დამოკიდებული, იჩქარე! ვიჩ-ქაროთ!.. ღმერთო, ჩქარა მასუნთქე ჩემი ქვეყნის ჰაერი!

დ ა ვ ი თ ი — ვაქოთ, ვადიდოთ ჩვენად ვინცა ჩვენ აღგვაშენაო,
ჩაგვიდგა სული ცხოველი, დაგვაწყებინა ქშენაო,
გვალაპარაკა, გვასმინა, მოგვცა პირი და სმენაო,
დღე გაგვითენა ნათელი, გვიბოძა თვალში ჩენაო.
ნდობა ცოლ-ქმრობის სურვილით, სასმელ-საჭმელი რჩენაო...

(ხელიხელჩაკიდებულნი დგანან ერთხანს სვეტთან)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეხლა მეჯლისი. (წამოდგება, ჩაფიქრდება. შთაგონებით წარმოთქვამს თვის ლექსს)

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა!
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა?..

(დარბაზისკენ) ლექსი თქვას გურამიშვილმა! მოართვით ფანდური. გაეჯიბროს ჯავახიშვილს.

(ორთავეს მოართმევენ ფანდურს)

დ ა ვ ი თ ი — (მღერის ფანდურზე)

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს
წუხილი, ჭმუნვა, ეიშობა.
ნუ მოგიშალოს ნადიმი,
მედამ დღეთ სულ მეჯლისობა!

ლაშქარი მოვცეს ურიცხვი,
არ აქონდეს ანგარიშობა
მან მოგახმაროს სად გინდეს,
ვინც ქალწულისგან იბოლა!

ჯ ა ვ ა ხ ა — ჩემო ია, მომხედა ვაია,
შენსა გაყრილსა მათრევს ნაია.
ღამეს ვინ სჩივის, დღეცა შაია,
რისათვის მტანჯავ, დასცხერ კაია!

დ ა ვ ი თ ი — სიუხვის კოკა ბატონსა
წინ უდგას ვითა კულადა,
იქ უდის მოწყალებანი
ღარიბთა გასაკურნადა.

დ ე მ ე ტ რ ე — კარგია, კარგი გურამიშვილო!

ჯ ა ვ ა ხ ა — მე ესე მიყო სიფულქანს: გამბადა უნაწილოსა,
სიმკვიდროსაგან აღმომფხვრა, მომაგდო აქა ჩრდილოსა,
ჭერსითა ეპოვებ წამალსა, რომ სულსა მოეგრილოსა,
ლოთსავითა ესვამ სამთვრალოს, ეგების მიმალხინოსა...

დ ე მ ე ტ რ ე — მართალი ხარ, ჯავახიშვილო! ძალიან ეწყობი რუსის არაყსა!

დ ა ვ ი თ ი — მოწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,
უსახლკარო ვარო, ვითხოვ შემიფარო,
ვით მიწყალე ხარო, ცოდვილთ მეოხარო,
რაც მე მოგითხარო, შენ მით გამბახარო,
ქართლის მტერზედ შენი ყმანი აცინ-ახარხარო,
მამულის მტერთ ხარო ძირით აღმოსთხარო! (საერთო მოწონება)

ე ა ხ ტ ა ნ გ ი — სახლთუხუცესო, ხალათი მოართვან ჩვენს პოეტს!
(დავითს მოართმევენ ხალათს)

დ ე მ ე ტ რ ე — ჯავახიშვილო, გული ნუ დაგწყდება! სპარსეთში იტყვიან: ყველა ცხენი როდია თოხარიკიო.

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი — ახალგაზრდებო, ახლა კი თქვენი რიგია! ცეკვა! შუშპარი!

(ცეკვა)

მეშვიდე სურათი

აშტარხანი

ვ ა რ დ ო — როდემდის უნდა ვიცადო, დედა, როდემდის? ბატონ გურამიშვილს რატომ ჰგონია, რომ მე, დიდი სარდლის ქალს, მის იქით გზა არა მაქვს? დღეს, შენის დასწრებით, მითხრას რა სურს!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მართალი ხარ, შვილო! გარკვეულობა სჯობია მაშინაც კი, როცა მას სანუგეშო არაფერი მოაქვს.

ვ ა რ დ ო — მე დავბრუნდები საქართველოში. მამა რას ამბობს?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ვიდრე მეფე ბატონი ცოცხალია, ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით.

ვ ა რ დ ო — მაგრამ ბატონ მამაჩემს ხომ არ სურდა დარჩენა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ეს დამოკიდებულია იმ ხმებზე, რომელიც დაჰყარეს. თუ ეს ხმები მტრის ჭორია, მამაშენის ხმალი წინ წაგვიძღვება და ჩვენ ჩავალთ საქართველოში, თუ ეს ხმები გამართლდა... არ ვიცი, არ ვიცი, ღმერთმა ნუ გამაგონოს მეფე ვახტანგის დამარცხება.

ვ ა რ დ ო — მაგრამ თუ დამარცხდა მეფე?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — არ შეიძლება ვახტანგ მეფის დამარცხება!

ვ ა რ დ ო — თუ დამარცხდა-მეთქი?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — არ შეიძლება ჩვენი საქმის დამარცხება!

ვ ა რ დ ო — ქვეყანაზე ყველაფერი შეიძლება, დედა! წუთისოფელი მაცდურია და ბრმაა ბედი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — თუ ქვეყანაზე ყველაფერი შეიძლება, შვილო, თუ წუთისოფელიც მაცდურია და ბედი ბრმაა, ჩვენ თამაშა ვყოფილვართ შემთხვევათა ხელში.

(შემოდის დ ე მ ე ტ რ ე. მოჰყვება ნ ო დ ა რ ი)

დ ე მ ე ტ რ ე — (შეხედავს დარეჯანსა დ ვარდოს. შემდეგ მიუბრუნდება ხატგადაიწერს პირჯვარს) მართალი ბრძანებაა, ბატონო! ჩვენ თამაშა ვართ შემთხვევათა ხელში.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი
ვ ა რ დ ო } — (ორივე ერთად) რა ამბავია? რა მოხდა?

დ ე მ ე ტ რ ე — დამარცხდა რუსის საქმე!

ნ ო დ ა რ ი — დამარცხდა ჩვენი საქმეც!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ვაიმე! ღმერთო, შემინდევ!

ვ ა რ დ ო — ოჰ! გამაგრდი, გულო!.. მამაჩემო, გასაგებად მითხარი!

დ ე მ ე ტ რ ე — რა გითხრა, შვილო? მამაშენი იყო საქართველოს სარდალი, ახლა რაღაა? მამაშენი იყო მტრის რისხვა, ახლა რაღაა? მამაშენის სიტყვას ყურს უგდებდნენ ისპაჰანში და სტამბოლში, ახლა რა ვარ მე რუსის ქვეყანაში, ამ აშტარხანში?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ბატონო, აგვიხსენი რა მოხდა? ჩვეული ვართ უბედურებასა, განა პირველად ჩაგვაწურა შავბედმა ძმარი თვალებში?

ვ ა რ დ ო — მამაჩემო, მართალს ბრძანებს ღელი! ჩვენ იმღერი დაეკარგეთ, რომ ახალი ეპიდემიებია ბედკრულ რასაც ვერ წაგვართმევს. ქართველები ვართ, ღაწყებული სიმღერა ხშირად მოთქმით დაგვიმთავრებია. გვითხარ სიმართლე!

(შემოდის დ ა ვ ი თ ი)

დ ა ვ ი თ ი — (გაიგონებს ვარდოს სიტყვებს) მართალს ბრძანებთ, ბატონიშვილო! მოსკოვში სიმღერით ღავწყეთ ექსპედიცია, ბლოვით ვამთავრებთ ამტარხანს. აი სიმართლე!

ვ ა რ დ ო — მაშ, ისევ მარცხი?

დ ა ვ ი თ ი — რუსთ დარუბანდი დასცალეს,
ყიზლარისაკენ არესა
მეფე ვახტანგმცა მობრძანდა
ამტარხნის არემარესა.

ვ ა რ დ ო — რუსთ დარუბანდი დასცალეს?

დ ა ვ ი თ ი — ნადირ-შაპმა წერილი მისწერა რუსთა ამილბარს...

სოლაღს, დარუბანდს, ირმოანს,
თქვენ რა ხელი გაქთ ბაქოსა?
დასაბაქოლი მბაქოლმან
არც აგრე უნდა ბაქოსა.
რადა ხნაცთ, ანუ რად სთესაეთ
თქვენ ჩემსა სათაბაქოსა?
ანუ ბაეს, დაეღას, რად იღებთ
საღუქნეს, საქელბაქოსა?

ვ ა რ დ ო — მე რომ ნადირ-შაპი ვყოფილიყავი. მეც ასე მოვსწერდი.

ნ ო დ ა რ ი — როკორ, ვარდო. შენ ირანის მომხრე ხარ?

ვ ა რ დ ო — არა! მე არც ირანის და არც რუსეთის მომხრე ვარ. მე მხოლოდ საქართველოს ბედნიერება მინდა!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ახლა რა ვქნათ? სად წავიდეთ?

დ ა ვ ი თ ი — სოლაღის ციხე მოვშალეთ,
დავსცალეთ გაღმა მხარია.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ეტყობა, დიდი ბეღეა ის ნადირ-შაპი!

დ ე მ ე ტ რ ე — მაგ დიდმა მეფემ ჩვენი დიდი ბედი და საქმე ჩაშალა!

დ ა ვ ი თ ი — მან, ნადირ-შაპმან ყველმან,
შაპ-თამაზს ხნარცეი ეთხარა:
ხმლით შეაშინა თურქეთი,
დაღისტანი და ბუხარა.
რუსთ ხელმწიფესაც მოსწერა:
— „გამეცა, ბაქოს ნუ ხარა“;
ინდოეთისა ხელმწიფე
დადრკა, მას თავი უხარა.

ვ ა რ დ ო — თქვენ კი გინდოდათ რუსეთის ერთი ამილბარით და ჩვენი დაჟანგული იარაღით მისი დამარცხება... ახლაც ვერა ხედავთ, რომ საჭიროა რუსეთიდან გაცლა, საქართველოში დაბრუნება, რომ სხვისი იმედით პურის ჭამა არ შეიძლება?..

დ ა ვ ი თ ი — გული გაგტეხია, ვარდო? დაგაეიწყდა რას გვასწავლის რუსთაველი? „ჭირსა შიგან გამაგრება ეგრე უნდა ვით ქვითკირსა“. არ ეგების ესრეთი სიტყვები!

ვ ა რ დ ო — ვითომ და რატომ? მე სარდლის ქალი გახლავართ! ვის დავუთმობ სიტყვასა? მე ვარ და არ მინდა თქვენი რუსი! რას ჩააცივდით რუსსა? ჩვენ ცხრა თვე მოუნდით ქართლიდან მოსკოვამდე გზას. ისპაჰანამდე კი ერთი თვის გზაა. აბა, სად არის ანგარიში? რამდენი წელია მეფე ვახტანგი და მამაჩემი რუსის ხელს შეჰყურებენ! რა გამოვიდა? რით დაგვეხმარა? სანამ რუსი მოვიდოდა, ჩვენს ქვეყანას ზურგზე ბოლი ადინეს... ახლა კიდევ ეს უბედურება... ვაიმე, ჩემო თავო!

(შემოდიან ი ა ნ ვ ა რ ა და დ ა თ ო. დათო დავაჟკაცებულია. იანვარა ჭაღარაშერეულია. ორივე შეიარაღებულია. აცვიათ ქართულად)

ი ა ნ ვ ა რ ა — მწყალობელს ბატონს, საქართველოს სარდალს, ქსნის ბატონისაგან მდაბალი სალამი და გულითადი მოკითხვა.

დ ე მ ე ტ რ ე — შენ რომელი ხარ? (აკვირდება) ოჰ, იანვარა! კაცო, საიდან სადაო? (გაუწოდებს ხელს. იანვარა ეამბორება ხელზე. ყველანი შემოხვევიან იანვარას)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — იანვარა, შვილო! ჩემი ძმა, ქსნის ბატონი, ცოცხალია?

ი ა ნ ვ ა რ ა — ცოცხალია!

დ ა ვ ი თ ი — ისევ შევხვდით ერთმანეთს, ჩემო იანვარა! გაგთეთრებია თავი!

ი ა ნ ვ ა რ ა — თეთრი რაა, ბატონიშვილო! სულ როგორ მაქვს ეს თავი? რაც მაგაზე ნადირობენ... ბატონ დემეტრეს ჩაფარს მეძახიან, მეფე ვახტანგთან წერილები დააქვსო. აქეთ ყიზილბაშნი ნადირობენ ჩემს თავზე, იქით ლეკები. ახლა კიდევ ბატონ ვახტანგის მტრები შიგ ქართლში...

დ ე მ ე ტ რ ე — დავალებითა ხარ?

ი ა ნ ვ ა რ ა — დიახ, შენი კვნესამე!

დ ე მ ე ტ რ ე — ბარათი გაქვს?

ი ა ნ ვ ა რ ა — მქონდა, შენი კვნესამე! გზაში ყიზილბაშნი დაგვესხნენ თავსა, დაეწვით. ბრძოლაში ერთიც მოგვიკლეს, პაპა ქიტესა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — აბა ქიტესა?

ი ა ნ ვ ა რ ა — ქსნის ბატონისა. ბატონის მხლებელი. დიდი მეომარი კაცი. ოჰ, როგორ იბრძოდა ეს ოთხმოცი წლის კაცი! სამი ყიზილბაში მოკლა. მეოთხეს შეაკვდა.

დ ე მ ე ტ რ ე — ღმერთო, განუსვენე ქვეყნისათვის თავდადებულსა! (მოიხდის ქუდს, ყველანი პირჯვარს იწერენ. ვარდო ტირის)

ვ ა რ დ ო — პაპა ქიტესა! პაპა ქიტესა!

დ ე მ ე ტ რ ე — ეგ ყმაწვილი ვინ არის? (უჩვენებს დათოზე)

ი ა ნ ვ ა რ ა — ეგ. შენი კვენასამე, ქიტესას შვილიშვილია, დათო, თუ გახსოვთ?

ლ ა რ ე ჯ ა ხ ი — დათო? ოჰ, როგორ გაზრდილა! დავჟკაცებულ! მოდი, შვილო! (დათო მიეკა. დაეჩოქებს. კალთაზე ეამბორება) „ეინცა მოკვდეს მეფისათვის სულნი მათნი ზეცას რბიან“...

დ ე მ ე ტ რ ე — სთქვი, იანვარა!

ი ა ნ ვ ა რ ა — სამი თვეა გზაში ვართ, ბატონო! მე ხომ ნავალი ვარ ამ გზაზე. რამდენი მივლია. მაგრამ ახლა ისე აირია ქვეყანა, რომ არ იცი, ვინ ვისი მომხრეა. წერილი, როგორც მოგახსენე, დაეწვი. რაც შიგ ეწერა, ზეპირად მოგახსენებთ, სამივემ გავიზეპირეთ. ვინც ცოცხალი დარჩებოდა, ის გადმოგცემდა.

დ ე მ ე ტ რ ე — სთქვი!

ი ა ნ ვ ა რ ა — ბატონო და მწყალობელო, სარდალო ჩვენო! ქართლი ისევ ისე აწეწილია. ქვეყანა უპატრონოდაა. კახეთს ჰყავს ბატონი-მეფე თეიმურაზი. ქართლს კი არა ჰყავს. ამბობენ, მეფე თეიმურაზი დაიპერს ქართლს. ნადირშაპი წყალობს ფრიად .. ქართლში ურუმი არ არის. სულ ორასიოდე მეციხოვნე თუ დარჩა სანაპიროზე. ურუმი ისე დასუსტდა, რომ ბაღდადი წაართვეს... თუ ახლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა... მოახსენეთ ბატონს მეფეს, ჩამობრძანდეს. ქართლი დაიპიროს. ისარგებლოს ხელსაყრელი მდგომარეობით. თუ ახლა ბატონი მეფე არ ჩამობრძანდება, დაკარგავს იმათაც. ვინც ცოცხალი დარჩა და ემხრობა მის საქმეს რუსთან ძმობისა და კავშირისას... იჩქარეთ. ბატონო!.. გეაღირსეთ თქვენი თავი! ერთხელ კიდევ შეეებრძოლოთ მტერს...

ვ ა რ დ ო — ხედავ, დავით? კიდევ ყოფილა ქართლში ბრძოლის წყურვილი! წავიდეთ, ახლა მაინც! წავიდეთ საქართველოში.

დ ა ვ ი თ ი — მარტონი ვერას გავხდებით. ნადირ-შაპს ზარბაზნები აქვს, ჩვენებს კი წელზე ხანჯალი და ხელში სიათა თოფი.

ვ ა რ დ ო — მამაჩემო! (დაუჩოქებს) წავიდეთ საქართველოში! ახლა მეფე ვახტანგის საქმე მოიშალა. თხოვე, გაგიშვას საქართველოში. შენი ხმალი კიდევ გამოადგება ჩვენს უბედურ ქვეყანას.

დ ე მ ე ტ რ ე — სანამ მეფე ჩემი ცოცხალია, მე მას ვერ მოვშორდები. ფიცი მიმიცია სახარებაზე. — „არამედ იყავნ სიტყვა თქვენი ჰე — ჰე და არა — არა!" გახსოვს, სახარებაში რომ წერია?.. ადექ. (ვარდო ადგება) ჩამოხსენ ორი ხანჯალი! (ვარდო ჩამოხსნის კედლიდან ორ ხანჯალს. მიართმევს) შვილებო, ქვეყნისა და მეფის ერთგულებისათვის მიიღეთ ჯილდოდ! (აძლევს იანვარას და დათოს).

ი ა ნ ვ ა რ ა — გმადლობთ, ბატონო!

დ ა თ ო — ბატონო ჩემო, ღმერთმა ეს ხანჯალი ჩემი ქვეყნის საქმისათვის, ჩემი მეფის საქმისათვის მომახმარებინოს!.. პაპა რომ კვდებოდა, დამიძახა: დათო, ვახტანგ მეფის საქმეს არ უღალატოო!.. მიბრძანეთ, მასწავლეთ რა ვქნა, რომ პაპაჩემის ანდერძი შეეასრულო?

დ ა ვ ი თ ი — ეჰ, ჩემო დათო, ახლა ყველაფერი გვიანაა! ყველაფერი გათავდა. კარგია, რომ ჩვენი ხალხის დავალება ჩამოგვეტანე! პაპამ თავი შესწირა ამ დავალებას, შენც გინდა პაპის დავალება შეასრულო... გესმის, ვარდო, ეს ხმაა ჩვენი ერისა: ვახტანგ მეფის გზა ერთადერთია და სწორი, ამ გზაზე ფეხი შედგა არა მარტო მეფე ვახტანგმა და ჩვენ, მისმა ახლობლებმა. ამ გზაზე დგას ჩვენი ხალხიც... აგერ მისი უსახელო დესპანები. პაპა გზაში მოკვდა ამ საქმისათვის, შვილიშვილმა მოაღწია. ეს ნიშანია და ხელი ჩავკიდოთ ამას!.. მაგრამ ვაი, რომ მე თვითონ არ ვიცი რა ვქნათ ახლა, რა მოვისაზროთ?.. მეფე ვახტანგმა ფიცისაგან დაგვიხსნა.

დ ე მ ე ტ რ ე — რაო? რა სთქვი? (წამოვარდება)

დ ა ვ ი თ ი — მეფემან ბრძანა: ფიცისაგან დამიხსნიხართ, ყველას ნებას ვაძლევ, ვინც ქართლ-კახეთიდან რუსეთს გადმომყვაო: „როგორც უჯობდეთ, ისე ქნან, მითამ არც ერთი მყოლია!.." მე მოსკოვს ვერ დავბრუნდები, სჯობსო უპმელობით სიკვდილი საყვედურითა ჭამასო.

დ ე მ ე ტ რ ე — ოჰ, ბატონო მეფევ. ამას მართალს ბრძანებთ! ხშირად ბრძანებდი მართალსა, როცა წიგნსა სწერდი ან სთარგმნიდი... მაგრამ როცა ქვეყნის საქმეს განაგებდი, ვერ იყავ მართალი... მე ვერ ვნახე, რომ შენ ღრმად ჩასწვდი საქმესა. რასაც ხელი მოჰკიდე, ყველაფერი წახდა...

დ ა ვ ი თ ი — უარესს ახლა მოგახსენებთ. მეფეს გულს შემოეყარა, ძლივს მოაბრუნეს, ვერ გასტანს დიდხანს.

ფ ა რ ე ჯ ა ნ ი — დალოცვილო, ადრე რად არ სთქვი? მეფე ვახტანგი კვდებოდეს და ჩვენ აქ ვიყოთ?

დ ა ვ ი თ ი — თვითონ სახლთუხუცესმა დაგვითხოვა.

დ ე მ ე ტ რ ე — წავიდეთ, ბატონებო! (შემოდის მერაბი)

მ ე რ ა ბ ი — დიდებულნო, მეფე მობრძანდება! ფრიად შეჭირვებულ არს და თავს ნუ შეაწყენთ ბევრის ლაპარაკით, თუ თვითონ არ ინება.

(შემოდის ვახტანგი. — მოსდევს რამდენიმე დიდებული. შეჭერვილია)

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (შეიხსნის ხმალს. გაუწოდებს მერაბს) წაიღე! ამან დაასრულა თავისი ცხოვრება... მისმინეთ! ერთხელ კიდევ ისმინეთ ჩემი. ღმერთი არს მოწმე, სიკეთე მსურდა ჩემი ქვეყნისათვის... არა გამოვიდა რა. ბედმა მიმუხთლა. ამბავმან ექსპედიციის მოშლისამან მეც მომშალა. დიდხანს ვერ გავტან. ანდერძად დამიტოვებია: სადაც გსურდეთ, წადით, ოღონდ, რუსეთს იქნებით თუ საქართველოში, გახსოვდეთ: სწორი იყო გზა ჩემი და ნუ დამძრახავთ, რომ გავაღე კარი დარიალისა. ესე ჯობდა. ბედმა კი მიმუხთლა... სახლთუხუცესო!

მ ე რ ა ბ ი — ბატონო ჩემო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ერთგულო თანამგზავრო ჩემი მშფოთვარე ცხოვრებისა. აცნობე ყოველთა ქართველთა, ექსპედიციის მონაწილეთა, მოიშალოს ომი ესე.

მ ე რ ა ბ ი — იყავნ ნება შენი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — სარდალო!

დ ე მ ე ტ რ ე — ბატონო ჩემო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არ გჯეროდა გზა ჩემი და, აჰა, გაგიმართლდა!

დ ე მ ე ტ რ ე — ნუ დამძრახავ, ბატონო მეფეო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არ გყვედრი... სხვანაირად ფიქრობდი, მაგრამ ხმალი შენი ერთგული იყო ჩემი. მომავალშიც, სადაც იყოს, საქართველოში თუ რუსეთში, შენი ხმალი მხოლოდ საქართველოსთვის მოიქნიე. ქართული ხმალია, სარდალო, ერთპირიანი, და არ ეგების მისი ორპირად მოქნევა.

დ ე მ ე ტ რ ე — ვფიცავ, ჩემი ხმალი მხოლოდ საქართველოს დაიცავს. სხვა საზრუნავი მას არა ჰქონია, არა აქვს და არც ექნება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გურამიშვილო!

დ ა ვ ი თ ი — ბატონო ჩემო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შენ კი გმართებს ასწერო ჭირი ჩვენი ქვეყნისა, ამბავნი ჩემნი საძნელონი. თქვი ჩემი კარგიც და ავიც. დე, გამსაჯონ შვილთა ჩვენთა.

დ ა ვ ი თ ი — ჩემმა სუსტმა კალამმა ვითარ აწეროს საქმენი შენნი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ასწერს! ხმალივით გიჭრის კალამი... და უთხარ სა-

ქართველოს, თუ რა იმედით მოველ აქ მოსკოვს და აშტარხანს, ოომ დავბრუნებულიყავ ჩემს ქვეყანაში გამარჯვებული, ოომ აღმედგინა დანგრეული გალავანი ჩემის ქვეყნისა, ოომ არ ვეოფილიყავით საჯიჯგნი ყიზილბაშთა და ურუმთა, ლეკთა და სხვათა. და უთხარ საქართველოს, თუ როგორ ჩაქრა იმედი ესე. უბრალო ყარ მე წიხაშე ერისა ჩემისა.

დ ა ვ ი თ ი — ვალად შედოს ნება შენი, მეფეე ბატონო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — კიდევ ერთი დავალება, გურამიშვილო! რათა რუსეთში არ ჩაჰქრეს სინათლე რუსეთთან მეგობრობისა, იყავ ერთგული ჩემის საქმისა.

დ ა ვ ი თ ი — იყავნ ნება შენი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ახლა კი... (ადგება. წაბარბაცდება) სახლთუხუცესო, დაღამდა?

მ ე რ ა ბ ი — მზე კიდევ მაღლაა, ბატონო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მაღლაა? ჩემი მზე კი ჩადის. თვალთ მიბნელდება... გული, გული მტკივა.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მეფეე ბატონო!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ქართველო ქალებო! (დარეჯანი და ეირდო უსმოდ დაიჩოქებენ მეფის წინ) ჩვენი ქვეყანა თქვენით არის ძლიერი. იყავით ერთგულნი ჩვენის ქვეყნისა! ნამუსიანად დაარწიეთ ქართული აკვანი!.. ოჰ, გული! გული! (წაბარბაცდება. შეეშველებიან) სახლთუხუცესო, მიმაბრუნე ჩემი ქვეყნისკენ! საქართველოსკენ მიქენი პირი. (ვახტანგს მიაბრუნებენ) ჩემო ქვეყანავ, საქართველოე, გემუდარები! მეფე ვარ შენი და მსახური შენი, მგოსანი შენი და ბოძი შენი, ნუ დამძრახავ, თუ ვერ გემსახურე ღირსეულად! ნუ იტყვი აუგსა ჩემსა, თუ ვერ შეგისრულე საწადელი! მაინც ჩემი გზით წამოვა ჩემი ქვეყანა... ეს გზა ერთადერთია... სახლთუხუცესო, შემიყვანე კარავში. (მერაბს და ორ სამ დიდებულს გაყყავთ მეფე. პაუზა)

დ ა ვ ი თ ი — ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა? სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხერი სადით ძირსა?

დ ე მ ე ტ რ ე — მეფე საქართველოისა... ტარუღა ირანისა... ოდესღაც სეებედნიერი... დღეს კი... ვაგლ...ხ, როგორ დაუშვრა მოქნევა ხმლისა...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — რამდენი სიკეთე შესძინა ჩვენს ქვეყანას! რამდენი წიგნი (პაუზა)

მ ე რ ა ბ ი — (შემოდის) აღსრულდა! მეფე ვახტანგ მიიცვალა. დღეს დაიღუპა უკეთესი საქართველო!

 დ ე მ ე ტ რ ე — (შეიხსნის საკინძს) დღეს დაიღუპა ჩვენი უკანასკნელი იმედი! (დაიჩოქებს)

ნ ო დ ა რ ი — (შეიხსნის საკინძს) ვაიმე, საქართველოს უკანასკნელო იმედო!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ჩამოიშლის თმებს) მეფეე ბატონო! ვაი, რომ სამარემდე ვერ მიგაცილებენ თმაჩამოშლილი ქართველი ქალები... (დაიჩოქებს)

ი ა ნ ვ ა რ ა,
დ ა თ ო } — (დაიჩოქებენ ხატის წინ) დავრჩით უმამოდ! ვინ მოგვეიაროს?

ვ ა რ დ ო — აო მჯეროდა მისი გზა! მაინც დიდი კაცი იყო! სიკეთე უნდოდა ჩვენი ქვეყნისათვის... ღმერთო, შეუნდეე შეცოდებანი მისნი. (ყველანი ტირიან, დაიჩოქებენ ხატის წინ) ღვთისმშობელო, შენი ქართული თეალის ჭირიმე, უშველე საქართველოს!

დ ა ვ ი თ ი — (დაიჩოქებს და შეიხსნის საკინძს)

ვაი, რა ბოძი წაიქცა,
სახლ-კარი თავს დაგვექცაო,
ლხინი, შვება და სიმშვ
სულ ჭირად გარდაგვექცაო.

ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი
წაეიდა, შორს გაგვექცაო,
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე,
ღვთის მადლსა, მაგრა დექ ცაო!..

(შემოდიან რამდენიმე დ ი დ ებ უ ლ ნ ი. საერთო გოდება)

ლ ე მ ე ტ რ ე — ახლა რაღა ექნათ, სახლთუხუცესო?

მ ე რ ა ბ ი — სახლთუხუცესი! რისი სახლთუხუცესი! ბედის დაცინვაა, სხვა არაფერი...

ლ ე მ ე ტ რ ე — მაინც კარის უფროსი ხარ, ბრძანე! გვირჩიე! წავიდეთ რუსებთან, რას გვეტყვიან?

მ ე რ ა ბ ი — რუსთ უკვე გვითხრეს: ქართველნო, ძნელიაო ორთა უფალთა მონებაა! ან წადით, ან დარჩითო!

ვ ა რ დ ო — მართალი უთქვამთ. ვერ დაევმდურებით! სახარებაში სწერია: „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“.

მ ე რ ა ბ ი — თუ რომ დარჩებითო, კარგად დაგაჯილდოვებთო, ადგილს მოგცემთო. თუ არ დარჩებითო, მიბრძანდითო! გზას გაუდექითო!

ვ ა რ დ ო — ესეც მართალი უთქვამთ... ჰოდა, მამაჩემო, გაუფდგეთ გზას! თქვენ რას ბრძანებთ, ბატონო მერაბ?

ნ ე რ ა ბ ი — საქართველოში რა გავაკეთო, შვილო? მე თეიმურაზსა და ირანს თავს არ დავუკრავ... გარდა ამისა, ქართლს რომ ჩავიდე, რა დამხვდება? ყიზილბაშებმა სახლ-კარი გადამიწვეს, თეიმურაზმა მაძული ჩამომართვა, ვახტანგ მეფეს რათ გაჰყეო მოსკოვს? რით ვიცხოვრო? არისტოტელე ფილოსოფოსი ამბობს: სჯობსო სიკვდილის ჟამს მტერს დაუტოვო ქონება შენი, ვიდრე ჟამსა სიცოცხლისას სხვის ხარჯზე იცხოვროო... მირჩევნია მტერს დარჩეს ჩემი ქონება, ვიდრე ქართლს დავბრუნდე სხვისი ხელის შემყურედ.

ნ ო დ ა რ ი — ჭეშმარიტი ბრძანებაა! არც მე დავუკრავ თავს ირანსა და მისს კაცს — თეიმურაზს. არც სხვას გავუწვდი ხელს პურისათვის. აქ კი რუსნი გვპირდებიან: თუ რო დარჩებით, კარგად დაგაჯილდოებთო.

ნ ე რ ა ბ ი — ეგ კაოგი იმედია!.. შენ რას ბრძანებ, სარდალო?

დ ე მ ე ტ რ ე — ეჰ, ბატონო სახლთუხუცესო! შენგანვე გამიგონია: მაგ შენ არისტოტელეს ჰკითხეს: რა არის იმედიო? და მან თქვა: ესე არს სიზმარი მღვიძარა კაცისაო... ესრე ვართ ჩვენცა რუსეთში: ვიყავით მღვიძარი და ვხედავდით სიზმარს... მე რას ვიზამ? სიზმარი გათავდა. მე წავალ საქართველოში!..

ნ ე რ ა ბ ი — სასახლეში, მეფე ბაქართან, უნდა შეკრბნენ ყველა ქართველნი... ბჭობა გამართონ, თუ ვითარ შეასრულონ მეფის ვახტანგის ანდერძი: დავრჩეთ რუსეთში თუ წავიდეთ საქართველოში. დრო არს წავიდეთ, ვითათბიროთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — წავიდეთ! დაეიტიროთ მეფე ბატონი.

(ყველანი ბიდიან. დავითი შეაჩერებს ვარდოს)

ღ ა ვ ი თ ი — შენ ბრძანე, საქართველოში წავიდეთო.

ვ ა რ დ ო — დიახ. მეგზურებიც აქ არიან. იანვარა გაგვიძღვება.

დ ა ვ ი თ ი — ჩემი აზრი კი არ იკითხე.

ვ ა რ დ ო — მე ვფიქრობ: ყველა, ვისაც უყვარს საქართველო, ახლა საქართველოში უნდა დაბრუნდეს.

ღ ა ვ ი თ ი — არის კი ახლა საქართველო? სადღაა საქართველო?

ვ ა რ დ ო — არ გესმოდა, იანვარამ რა სთქვა? მეფე ვახტანგს მიელიან. ჩვენ ბიგველიან... დიახ, დავით, საქართველო არის! წავიდა მეფე ვახტანგი, მაგრამ საქართველო როდი წასულა. საქართველო იქ დარჩა, სადაც ჩვენი მამა-პაპათა ძვლებია ჩაყრილი. საქართველო იქ დარჩა, სადაც მისი შვილები ქვეყნი-

დან კი არ გარბიან, არამედ ქვეყანაში რჩებიან. მეც მივდივარ ჩემს სამშობლოში. შენ რასა იქმ?

დ ა ვ ი თ ი — შენ იხედები გუშინდელ დღეში, მე ვუყურებ ხვალინდელს.

ვ ა რ დ ო — ვერ გავიგე პიიტური ესე თქმა!

დ ა ვ ი თ ი — გაუგებარი რა არის? მე არა მჯერა, რომ ქართლსა და კახეთს ძეუძლიათ კვლავ ფეხზე დადგომა. არა ძჯერა, რომ მეფეს თეიმურაზს შეეძლოს დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის მაგიერობა... სხვა დროა, ვაიდო! სხვა ვითარებაში... ფართოდ უნდა შევხედოთ ცხოვრებას. საქართველო დაუძლურდა, წელში გაწყდა. ძას არა ჰყავს მეგობარი აღმოსავლეთში. ჩვენ ერთი ბუჯა ქართველი ხალხი, ძლივს მოვედით აძ დრომდე. ძოვედით და — წელში გაწყვეტილთა—წამოვიჩოქეთ. არ დაესთძეთ ქრისტეს სჯული და ბეეეგირენით ძას...

ვ ა რ დ ო — შენც გუშინდელი დღის ამბავს მეუბნები. ახლა რა ვქნათ? ახლა? დღეს? ხვალ?

დ ა ვ ი თ ი—ახლა ღძეოთძახ ძოგვიელინა ქომაგი, ერთმორწმუნე და მართლმორწმუხე რუსეთი. ძისი გზა ჩვეხსკენ მოდის. ჩვენც ხელი უნდა გაიოვიღოთ, მივენდოთ მას. საქართველოში ბეფობს თეიმურაზი. ის ირანს ეყრდნობა, ირანი მოსისხლე მტერია. თეიმურაზი ჭკუას იზაძს, თუ რუსეთისკენ წამოვა.

ვ ა რ დ ო — მაგრამ რუსეთი წამოვა კი ჩვეხსკენ? აკი დასცალა დარუბანდი და გალმა მხარი?

დ ა ვ ი თ ი — დღეს დასცალა, ხვალ აიღებს. დღეს დაუთმო, ხვალ მიიღებს. აძიტომ საჭიროა რუსმა იცოდეს, როძ ჩვენ ძასთანა ვართ. ამიტომ საჭიროა, ვახტანგის საქმის კერა არ ჩაქრეს რუსეთში. უნდა ბეუტავდეს ცეცხლი ძმობისა და ნდობისა. ვით ქურუმნი ცეცხლთაუვახისძცეიელთა ინახავდნენ ჩაუძქრალს ცეცხლსა, ესრეთ ჩვენ, ქართველ მხედართა და მწიგნობართა, უნდა შევინახოთ მოსკოვს რწმენა რუსეთისა და საქართველოს მეგობრობისა, რომ მომავალი ჩვენი იყოს, როძ საქართველოში მეტი დაირწეს აკვახი და ნაკლები გაიკედოს კუბო.

ვ ა რ დ ო — მე გეკითხები... შენ ხომ იცი, თუ რატომ დავრჩი რუსეთში? მე რუსეთის თეთრი ოოვლისათვის როდი დავრჩენილვარ? მამაჩემი ისევ დამაბრუნებდა, მაგრამ დავრჩი შენი გულისათვის, რომ სიტყვა ჩემი შეეესრულებინა. უნდა გაიგო ეს!

დ ა ვ ი თ ი — მე შენზე ვოცნებობდი ლეკების დილეგში, მე შენზე

ეოცნებობდი ტყვეობიდან გაპარვისას, მე შენზე ვფიქრობდი თერგიდან აშტარხანამდე, აშტარხანიდან მოსკოვამდე.

ვ ა რ დ ო — მარტო ფიქრი არ კმარა, დავით! ეთქვათ, აქამომდე დრო არ იყო, ან გზას ვადექით. ახლა რას მეტყვი?.. ახლა ხომ მოდიხარ საქართველოში, რომ ერთად აღვადგინოთ ჩვენი დანგრეული ოჯახები?

დ ა ვ ი თ ი — მე თვით უნდა მეკითხა შენთვის, შენ რა პასუხს მომცემ?

ვ ა რ დ ო — რა პასუხი? რომელი კითხვისა?

დ ა ვ ი თ ი — რომ ჩემი და ჩემი მეგობრების ხმლით ერთგულება დავუმტკიცო რუსეთსა, მე დავრჩები რუსეთში. შენც ხომ ჩემთან დარჩები?

ვ ა რ დ ო — მაშ ეს არის პასუხი ჩემი ერთგულებისა? ამას გეუბნება შენი გული? ვაჰმე, როგორ გაგციებია ქართული გული თოვლიან რუსეთში!

დ ა ვ ი თ ი — ღმერთია მოწმე, გული ჩემი ისევ შენია! მხოლოდ შენ ჰყავხარ გულსა ჩემსა უპყნობ ყვავილად. მაგრამ გონება, ცივი განსჯა, შორს ხედვა და აწონ-დაწონვა ქართლის ჭირისა სულ სხვას კარნახობს. ხვალინდელი დღე ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისა, ჩემი ხალხის წმინდა სჯულისა და დიდებისა, პატიესცემა მეფის ვახტანგის დიდი აზრისა მე მეუბნება: დარჩი რუსეთში... სხვა გზა საქართველოს არა აქვსო...

ვ ა რ დ ო — მაშ ასე? არ გეთანხმები. მე მაინც წავალ საქართველოში. მე მწამს, რომ საქართველო ჩვენი ხელით უნდა აღსდგეს. (საჩქაროდ გადის)

დ ა ვ ი თ ი — ვარდო! ძვირფასო! ნუ ჩქარობ. წახველი? მაშ სალამი უთხარ ჩვენს ქვეყანას, მის მზეს, მის მიწას! გული მეუბნება: არ დავიმარხები ჩემი უბედური ქვეყნის მიწაში, მაგრამ მიწაში თან ჩაეიტან ქართლის სიყვარულს!.. და შენს სიყვარულს, ვარად ძვირფასო!.

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მერვე სურათი

უკრაინული სოფლის პეიზაჟი, საღამო ჟამია. შორით მოისმის უკრაინული სიმღერა. ერთგან უკრაინული თეთრი ხატა დგას, გარშემო ალუბლის ხეები. ხატას წინ მერხზე ზის ი ვ ა ნ ე და ჩიბუხს ეწევა. შემოდის მ ო ხ ე ლ ე.

მ ო ხ ე ლ ე — გრიგორი ტარასიჩ ზოზულა აქ ცხოვრობს?

ი ვ ა ნ ე — აქ ცხოვრობს. ჩემი სიძე გახლავთ.

მ ო ხ ე ლ ე — შენ თვითონ ვინა ხარ?

ი ვ ა ნ ე — ივან ივანიჩ ივანოვი! სამსახურიდან გადამდგარი კაპრალი.

მ ო ხ ე ლ ე — სად არის შენი სიძე?

ი ვ ა ნ ე — ყანაში, ჩემო ბატონო! აი, მოდიან მგონი. გესმის სიმღერა? სამუშაოდან ბრუნდებიან და გრიცკოც ამ წუთში აქ იქნება... აი, მოვიდა კიდეც.

გ რ ი ც კ ო — (შემოდის) რა იყო, მამილო?

ი ვ ა ნ ე — აი, ბატონი უფროსი გკითხულობდა.

მ ო ხ ე ლ ე — გრიგორ ტარასიჩ ზაზულა და ის გლეხებიც, ეგერ რომ მოდიან, ამ ხუტორისა ხართ?

გ რ ი ც კ ო — დიახ, სწორედ ასეა!

მ ო ხ ე ლ ე — სულ ამ ხუტორში 20 კომლია მირგოროდის პოლკისა.

გ რ ი ც კ ო — დიახ, სწორედ ასეა!

მ ო ხ ე ლ ე — თქვენ დღეიდან ახალი ბატონი გეყოლებათ. ასეთი ბრძანებაა მოსული.

გ რ ი ც კ ო — ბატონი რა ახალი, რა ძველი — ჩვენთვის სულ ერთია. ჩვენ კანონს ვემორჩილებით.

მ ო ხ ე ლ ე — ასეც უნდა იყოს... შენ კარგი თამბაქო გექნება. მომაწევინე.

გ რ ი ც კ ო — ინებეთ. კარგი თამბაქოა!

ი ვ ა ნ ე — ჩვენ კი, კაზაკები, ჩვენი თავის ბატონი ვართ.

მ ო ხ ე ლ ე — (გასტენის ჩიბუხს. დაუბრუნებს გრიცკოს) შენ ისიც გექნება... ხე... ხე...

გ რ ი ც კ ო — მიხვდი... მაქვს. (გამოიტანს ხატადან არყის ბოთლს) ინებე!

მ ო ხ ე ლ ე — (დალევს) შენი გამარჯვებისა!.. მაშასადამე, დღეიდან თქვენი ბატონი იქნება თავადი დავით გურამოვი. გაიგეთ? (დაასხამს) ჩემი გამარჯვებისა!

გ რ ი ც კ ო — ჩვენთვის სულ ერთია! ძველი ბატონი, ახალი ბატონი, ორივე ბატონია!

ი ვ ა ნ ე — ეჰ, გრიცკო, შენ რომ კაზაკი იყო, არც ახალი ბატონი გეყოლებოდა!

მ ო ხ ე ლ ე — შენ უნდა იცოდე, ვინ არის შენი ბატონი. ქართველია. ჩვენი ღმერთი სწამს და პირჯვარს იწერს.

გ რ ი ც კ ო — ასე გამოდის, რომ პირჯვარს იწერს. მაშ, გიუმარჯოს ყველას, ვინც პირჯვარს იწერს!

მ ო ხ ე ლ ე — დიახ! ქრისტიანიც!

ი ვ ა ნ ე — მე მინახავს ქართველები. ისინი ცხოვრობენ იქ. აი, იქ! (ხელით ანიშნა გამოურკვეველი მიმართულებით) მთების იქით. მე მყავდა ერთი ყონაღი, ქართველი. ოო, კარგი ყონაღი იყო! მე როცა ვმსახურობდი ტერკის ციხეში, იქ ჩამოდიოდა ხშირად. ივან ივანიჩ, შენ კარგი კაცი ხარო! — მეტყოდა... ჭკვიანი კაცი იყო, იცოდა კაცის გამოცნობა. (დაასხამს) გაუმარჯოს იმას, ვინც კარგი კაცია!

მ ო ხ ე ლ ე — ასე რომ, შეკრიბე ყველანი, ვინც აქ ცხოვრობს. უნდა ჩავაბარო თქვენი თავი ახალ ბატონს.

გ რ ი ც კ ო — მესმის. აი, მოდიან კიდეც!

ი ვ ა ნ ე — კაზაკობას კი არაფერი სჯობია. ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ ივანე მრისხანის დროს არიან გადასული თერგის სანახებში. მას შემდეგ ჩვენი ბატონი მხოლოდ მეფეა. (გლეხები გროვდებიან)

გ რ ი ც კ ო — სმენაა! მოვუსმინოთ ბრძანებას. დღეიდან ჩვენ ახალი ბატონი გვეყოლება.

მ ო ხ ე ლ ე — (ეტყობა მოკიდებია არაყი) ბრძანებითა მათი უდიდებულესობისა... თქვენ დღეიდან... (გრიცკოს) გამოუცხადე ამათ ის, რაც მე გამოგიცხადე შენ. (მოიყუდებს ბოთლს. სვამს. ამ დროს მოისმის ეკვნების ეღარუნი) ბატონი მოდის.

გ რ ი ც კ ო — დედოფლის ბრძანებით, ძმებო და მეზობლებო, დღეიდან ჩვენ გვეყოლება ახალი ბატონი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აღსრულდეს ნება ღვთისა! (ეკვნების ეღარუნი ახლოსაა. ეღარუნი შეწყდება. გამოჩნდება დ ა ვ ი თ ი)

მ ო ხ ე ლ ე — (გამოეკიმა) სმენაა! ახალი ბატონი მობრძანდა!

დ ა ვ ი თ ი — (შემოდის. ჩამოუვლის ყველას) გამარჯობა, ძმებო!

ყ ვ ე ლ ა — ბატონს გაუმარჯოს!

მ ო ხ ე ლ ე — აი, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩაიბარეთ და... სულ ესაა!

დ ა ვ ი თ ი — გმადლობ სამსახურისათვის!

მ ო ხ ე ლ ე — ვცდილობ გაამოთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

დ ა ვ ი თ ი — (აკვირდება გლეხებს. მიდის ივანესთან) მე თქვენ სადღაც მინახავხართ, მოხუცო!

ი ვ ა ნ ე — შესაძლებელია, ბატონო!

დ ა ვ ი თ ი — რომ ვერ მოვიგონე სად? შენ ხომ არ გახსოვს?

ი ვ ა ნ ე — პირველად გხედავთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

დ ა ვ ი თ ი — ჰმ... მე რომ მახსოვს თქვენი სახე.

გ რ ი ც კ ო — (შემოიტანს პურ-მარილს ღამბაქზე) მიირთვით ჩვენი პურ-მარილი!

დ ა ვ ი თ ი — გმადლობთ! (აიღებს პურის ნატეხს) ოდესღაც, ტყვეობიდან გამოქცეულმა მშიერმა, მიუსაფარმა, მე პირველად დავდგი შიშველი ფეხი რუსი ხალხის მიწაზე. მაშინ მე შემივრდო და მიმილო, პური მაჭამა და ჩამაცვა რუსმა კაზაკმა. მახსოვს იმ პურის გემო და მადლი. ახლაც უკრაინის მიწაზე პურით მხვდებით! გმადლობთ გულკეთილობისათვის, პურმარილისათვის!

გ ლ ე ხ ე ბ ი — მიირთვით, ჩვენო ბატონო!

დ ა ვ ი თ ი — (გრიცკოს) ჰმ, შენც მეცნობი. შენ თერგის ხაზზე ყოფილხარ?

გ რ ი ც კ ო — ოდესღაც, სტუმრად, ჩემო ბატონო! სიმამრთან ვიყავი. აი, ჩემი სიმამრი.

ი ვ ა ნ ე — დიახ! ეს იყო ათას შვიდას ოცდაცხრა წელს. მაშინ სიძე მეწვია სტუმრად. ახლა კი მე ვეწვიე სტუმრად. ახლა სამსახურიდან გასული ვარ და შემიძლია ვიარო, სადაც მოშესურვება.

დ ა ვ ი თ ი — (გრიცკოს) შენ გრიცკო ხომ არა გქვიან, ძმობილო? (გრიცკო თავს დაუქნევს. დავითი შეიხსნის საყინძს, ამოიღებს ჯვარს) ამ ჯვარს იცნობ?

გ რ ი ც კ ო — ღმერთო ძლიერო! საიდან? ეს ხომ ჩემი ჯვარია?

დ ა ვ ი თ ი — ეს ჯვარი მაჩუქე შენ მე თერგის სიმაგრესთან.

გ რ ი ც კ ო — დიახ! დიახ! მაშ თქვენ?.. არა ეს შეუძლებელია!

დ ა ვ ი თ ი — მთა მთას არ შეხვდებაო და კაცი კაცს კი შეხვდებაო. აი, შეეხვდით კიდეც...

გ რ ი ც კ ო — ბატონო ჩვენო, თქვენი ერთგული ყმები ვართ! (დაჩოქებს)

დ ა ვ ი თ ი — (ადგენს. აკოცებს) არა, მე ყმებთან როდი მოვსულვარ, მე ძმებთან მოველი.

ი ვ ა ნ ე — (ახლა გაახსენდება) ჰოო, ღმერთო ძლიერო, მაშ ეს თქვენა ხართ? შვილო... ბოდიში!.. გულმა მათქმევინა... მაპატიეთ... განა არ ვიცი: ბატონი ბრძანდებით. მაპატიეთ!

დ ა ვ ი თ ი — ივან ივანიჩ, კეთილო კაცო, რა დამავიწყებს შენს ამაგს? (ჩაეხვევა) ასე მგონია, მამასთან მოველი... (მიმართავს გლეხებს)

როგორც რომ ამ ტკბილ ყაზახმან
მე მაშინ მამიარაო,
როცა რომ მყვანდა, მიელიდა
მეტს მამაჩემი არაო.
შეეხვალდი, გულზეც მიმიკრა,
მკოცნა და ცრემლი ღვარაო...

ი ვ ა ნ ე — მახსოვს! ახლა კი კარგად მახსოვს! სწორედ ასე იყო.

დ ა ვ ი თ ი — (გლეხებს) აწ მოვსულვარ თქვენთან ძმად და მეგობრად! ჭირი თქვენი იყოს ჭირი ჩემი და ლხინი თქვენი იყოს ლხინი ჩემი... მე კარ მხედარი, განწესებული რუსის ჯარში, ქართველ ჰუსართა პოლკში. დღეიდან ჩემი ხმალი თქვენს დასაცავად ამოღია. ჩვენ ერთი გზა გვექნება, ერთს ბედს ქვეშ ვიქნებით! ერთად ეიშრომებთ ალალი ლუკმისათვის!..

გ ლ ე ხ ე ბ ი
— შრომას არც ჩვენ დაგზარდებით, ბატონო!
— კეთილი გულისათვის კეთილი გულით გიპასუხებთ!
— ომობა და ნეგობრობა ჩვენც ვიკით, კეთილო!

ი ვ ა ნ ე — (გრიცოს) დიდად ჭირნახადი კაცია, ეტყობა!

დ ა ვ ი თ ი — რა ლამაზი ქვეყანა გქონიათ! ასე მგონია ჩემს სოფელში ვიყო, ჩემს საგურამოში! აქაური ქალები ჩვენებურს მაგონებენ. აი, ახლა მოვდიოდი... რა ქვიან იმ სოფელს? ჰო, ზუბოკა!

ზუბოკიდამ მომავალმან ენახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, მშვენიერი, მაზედ დამრჩა თვალი.
შეკ თვალ-წარბას, პირად თეთრსა, ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი...
(პაუზა)

(დავითი გაკუურებს სიერცეს. გლეხები გაიკრიფებიან)

ზუბოკელმა ქალის ეშხმა, მისმა შავმა თვალწარბმა ვარდო მომაგონა. როგორ გავდა ვარდოს!.. სად არის ახლა ჩემი

ვარდო? ოჰ, ჩემია კი? ის სად არის, მე სადა ვარ!.. უკრაინაში... უკრაინა!.. გმადლობ შენ, უფალო, რომ ამ ქვეყანაში ჩემი საქართველო და ვარდო დამანახვე! გმადლობ შენც, ჩემო სამშობლოვ, უკრაინავ!

ვინც რომე სახლში შემიშვა,
გამათბო, გამამშეშაო,
დამიდგა კარგი საღილი,
წინ ღვინით საესე შეშაო...
ან დაეჯდე — ქერი, ყანა ვხნა,
ველავ ვიყო ალმის მეშაო...

მეცხრე სურათი

იგივე ხუტორი. იგივე სოფლელები. იგივე ფანჩატური. შეკრებილან დავითის სახლის წინ. შეპურეული დ ა ვ ი თ ი ჩამოდის კიბეზე. წინა პლანზე დგანან გ რ ი ც კ ო და გ ლ ე ხ ე ბ ი.

დ ა ვ ი თ ი — ძმებო, თქვენ იცით, რომ რუსეთს ომი გამოუცხადა მტერმა. უნდა დავიცვათ ღირსება და სახელი ჩვენის ქვეყნისა, დოვლათი და ქონება ჩვენი ხალხისა. თქვენ იცით, რომ მე მარტო მგოსანი და პურის მთესველი კი არა ვარ, არამედ სამხედრო კაციც. ამიტომ მივდივარ საომრად. მე თქვენმა ქვეყანამ შვილად მიმიღო, ვალად მადევს შვილურად დავიცვა.

ხ მ ე ბ ი — ღმერთმა გადღეგრძელოს, ჩვენო ბატონო!

დ ა ვ ი თ ი — გემშვიდობებით, ვინ იცის, ეგებ სამუდამოდ! შვილი არა მყავს და ჩემი ყველაფერი თქვენ დაგრჩებათ, თუ მომკლეს ომში.

ხ მ ე ბ ი — ღმერთმა თქვენი თავი დაგვირჩინოს, ბატონო!

დ ა ვ ი თ ი — მადლობა მითქვამს ერთგულებისათვის, სამსახურისათვის, პატიოსანი შრომისათვის!

გ რ ი ც კ ო — ბატონო, ხალხმა დამავალა გულკეთილობისათვის, ჩვენზე ზრუნვისათვის, კარგი მოპყრობისათვის მადლობა გითხრათ! (დაიჩოქებს)

დ ა ვ ი თ ი — ადექ, ძმობილო! შენ ყმა როდი ხარ, ძმური ამაგი მიგიძღვის ჩემზე! (გადაკოცნის)

მ ო ხ ე ლ ე — (შემოდის. წარუდგება დავითს პატაკით) მაქვს პატივი მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ მირგოროდის პოლკი ხუტორზე გავლით მიემართება ფრონტზე. მას მოსდევს

ქართველ გუსართა პოლკი. დავალებული მაქვს გაგაფრთხილოთ იყოთ მზად!

დ ა ვ ი თ ი — მე მზად ვარ! (ისმის რუსული მარშის ხმა. მარშის ხმა თანდათანობით ახლოვდება. ახლა ისმის სიმღერაც)

Гей славяне, дружно, громко
Песня наша льется!

(ყველანი იცქირებიან იქითკენ, საიდანაც მოისმის სიმღერა. მოჩანს ჯარისკაცთა ხიშტები. ისმის ხმა კომანდისა: „პოლკ, სტოი...")

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (შემოდის, მასთან ერთად ადიუტანტი) თავადო დავით, გაიგე თქვენი ხუტორი აქ ყოფილა და შემოგიარეთ ძველს მეგობარს!

დ ა ვ ი თ ი — გმადლობთ პატივისათვის, თქვენო აღმატებულებავ! (გამოეკიმა სამხედრო წესით. გენერალი ართმევს ხელს. ასევე მიესალმებიან ერთმანეთს ადიუტანტი და დავითი)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მაშ მივდიეართ ომში, თავადო?

დ ა ვ ი თ ი — ჩემთვის დიდი პატივია: თქვენი სარდლობით ომში წასვლა!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ქართველ ჰუსართა პოლკიც ფეხდაფეხ მოგვდევს. თქვენ, რასაკვირველია, ქართულ პოლკში იქნებით! ოო, მამაცი ხალხი ყოფილხართ ქართველები! ჩვენი ფელდმარშალი დიდად კმაყოფილია ქართველთა სიმამაცით!

დ ა ვ ი თ ი — ჩვენ ორმაგად გვმართებს ვაჟკაცობა, რაღგან ჩვენ ვიბრძვით როგორც რუსეთისათვის, ისე საქართველოსათვის. დაბრძანდით, ბატონებო! (დასხდებიან ფანჩატურში) გრიცკო, სასმელი! (გრიცკოს და ერთ ქალს შემოაქვთ სასმელი და შლიან სუფრას. დავითი ასწევს ჭიქას) თქვენი გამარჯვებისა, თქვენო აღამტებულებავ! ღმერთმან მტერი დაგვიმარცხოს და მშვიდობით გენახოთ სამშობლო!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — გმადლობთ! გმადლობთ! (დაღუნს) ოჰ, მაგარია! ზაპეკანკაა, ნამდვილი უკრაინული. (ისმის სამხედრო მარში. მარში თანდათანობით ახლოვდება. ისმის ქართული სიმღერაც)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ქართული პოლკი მოდის, თავადო! (ისმის სიმღერა)

ს ი მ ღ ე რ ა — ოი, შუმი და შუხასაო!

გარს ეხვეოდაო!

დ ა ვ ი თ ი — ქართველები მოდიან! ღმერთო, კვლავ გავიგონე ქართული ჯარის სიმღერა! არ მომკვდარა ქართველების საქმე... (პაუზა. სიმღერა ახლოვდება. ისმის ხმა: „პოლკ სტოი!" შემოდიან **მ ე ო რ ე ბ ი** და **ნ ო დ ა რ ი** ორივეს ქართულ ჰუსართა პოლკის სამოსი აცვია.

ამავე ფორმაშია დაეთოიც. დავითი მიეგებება მათ. მერაბი და ნოდარი გადაეხვევიან დავითს)

მ ე რ ა ბ ი — დადგა ჟამი მსახურებისა, ბატონო დავით!

დ ა ვ ი თ ი — მე მზად გახლავართ, ბატონო!

ნ ო დ ა რ ი — რა ცუდ დროს გეახელით, ბატონო დავით! რომ ვერ ვიქეიფებთ?.. ოჰ, გენერალი აქ ბრძანებულა! (ნოდარი და მერაბი სამხედრო წესისამებრ გამოეკიმებიან გენერალს. გენერალი მიეა მათთან, ორივეს ჩამოართმევს ხელს. ამ დროს ადიუტანტი შორით მდგომ ახალგაზრდა ქალებს ეთამაშება სხვადასხვა მიმიკური მოძრაობით. ქალები იცინიან)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (დაასხამს. ასწევს ჭიქას) მეგობრებო, გაუმარჯოს ქართულ ჯარსა და მის მეთაურებს!

მ ე რ ა ბ ი — მიხარია, რომ კვლავ მხედრები ვართ, კვლავ შეგვიძლია ხმლის მოქნევა მტრის წინააღმდეგ! (დალევს)

ნ ო დ ა რ ი — ახლა აზრი აქვს ხმლის ტარებას! ჩვენი საქმის გამარჯვებისა იყოს! თითქოს საქართველოს დასაცავად მივდიოდე! (დალევს)

დ ა ვ ი თ ი — ასეცაა! ამ ომში ჩვენ, ქართველები, მარტო რუსეთს როდი ვიცავთ, საქართველოს ვიცავთ, ვახტანგ მეფის საქმეს ვიცავთ. ასე ვხედავ: დადგება დრო და რუსეთი და საქართველო მეგობრობის ხელს მისცემენ ერთმანეთს სამუდამოდ! რუსის ჯარი შემოვა საქართველოში მისი მორღვეული გალავნის აღსადგენად, მისი მიწა-წყლის აღსადგენად! კვლავ აღსდგება საქართველო! არ დაიკარგვის სიტყვა ქართული!

ე ტ ი კ ი — (შემოდის) ქართული ჯარის სარდალი აქა ბრძანდება?

მ ე რ ა ბ ი — მე გახლავართ!

ე ტ ი კ ი — ბატონო ჩემო! მე გახლავართ ეტიკი მირიან ბატონიშვილისა, საქართველოს მეფის ერეკლეს შვილისა. ბატონიშვილი მეფისა და დარბაზის ერის დავალებით მიბრძანდება პეტერბუხს. გზაში გავიგეთ, რომ ქართული ჯარი მიემგზავრება ომში და ბატონიშვილს სურს ჯარის დალოცვა!

მ ე რ ა ბ ი — ბედნიერი ვართ ბატონიშვილის მობრძანებით. (ტიკიკ გადის) ბატონებო, რაღაც დიდი ამბავია პეტერბუხს დავალებით წასვლა!

მ ი რ ი ა ნ ი — (შემოდის. მოჰყვება ამალა) ქართული ჯარის სარდალი რომელია?

მ ე რ ა ბ ი — გახლავართ, ბატონიშვილო! ვაგრამ აქა ბრძანდება ჩემი უფროსი, სარდალი სრულიად რუსეთის ჯარისა, გენერალი.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (გასძახებს ჯარს) „Смирно! Слушай на караул!“ (მოჩანს თუ როგორ მწყობრად აიმართა ხიშტების რიგი. გენერალი ხმალამოწვდილი წარუდგება მირიანს) მაქვს პატივი წარმოგიდგეთ სარდალი რუსეთის ჯარისა. (ამ დროს ქართველებიც დგანან ხმალამოწვდილნი) ჯარი მიემგზავრება ფრონტზე, ჯარში არიან თქვენი მამაცი თანამემამულენიც — მთელი პოლკი.

მ ი რ ი ა ნ ი — გმადლობთ, გენერალო!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მზად ვართ სამსახურისათვის! (გასძახის ჯარს) თავისუფლად! (ჩააგებს ხმალს ქარქაშში. ჩააგებენ ოფიცრებიც)

მ ი რ ი ა ნ ი — მომილოცავს, ქართველებო! ახლა საუკუნეობრივი ოცნება ჩვენი ხალხისა. რუსეთი ღებულობს საქართველოს თავის მფარველობის ქვეშ. მივემგზავრები პეტერბუხს, რომ შევკრათ პირობა მტკიცე და ურღვევი მეგობრობისა. ჩვენი ქვეყნის სახელით, მამაჩემის სახელით დამილოცნიხართ, ძმებო!

ჯ ა რ ი — ვაშაა!..

დ ა ვ ი თ ი — აღსრულდა! ღმერთო, მოვესწარი ამ ბედნიერ დღეს! ბატონიშვილო, დავით გურამიშვილი მოგახსენებთ უმდაბლეს სალამს!

მ ი რ ი ა ნ ი — დავით გურამიშვილი? მოსკოვს გადახვეწილი პიიტი. გამიგონია. მომილოცავს ამბავი ესე სასიხარულო.

დ ა ვ ი თ ი — არა ღირს ვარ თქვენს ესრეთ ყურადღებასა! ბედნიერი ვარ, რომ აღსრულდა სანუკვარი ოცნება ჩვენი.

მ ი რ ი ა ნ ი — ახლა კი გზა მშვიდობისა! ღმერთსა ვთხოვ ომში თქვენს გამარჯვებასა!

დ ა ვ ი თ ი — ბატონიშვილო, ებედავ ერთი თხოვნით მოგმართოთ! (შეიხსნის უბეს, ამოიღებს წიგნს) აი, წიგნი ესე, უკრაინაში დაწერილი. აქა მოთხრობილ არს ჭირი ქართლისა და გულმდუღარედ დამიწერია ლექსნი ჩემნი... უბით მიმქონდა, ვინიცობაა ისეთ ვინმეს შეეხვდე, რომ საქართველოში ჩაეტანა. ჩაუტანეთ ჩემს ხალხს ჩემდა სახსოვრად. ვინ იცის, ეგებ ვერ ვეღირსო ჩემს მიწაში დამარხვას. დე, ეს წიგნი დარჩეს ჩემს მაგიერ ჩემს ქვეყანაში!

მ ი რ ი ა ნ ი — (გამოართმევს. კითხულობს)

> დავითიანი ვსთქვი დავით,
> გურამისშვილმან გვარადო,
> ხილად ვსთქვი სიტყვა ღვთისა და
> ძე კაცთა ნორჩის მგვანადო...

გურამიშვილო, დე, შვილთა ჩვენთა და შვილიშვილთა ჩვენთა წაიკითხონ წიგნი ესე და მოიგონონ ძნელბედი დამწერი მისი. (მიდის)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (გასძახის ჯარს) სმენა! საომარი მარშით, წინ! (მიდის. მისდევენ ოფიცრები. ისმის რუსული სიმღერა, რომელიც შეიცვლება ქართულით)

დ ა ვ ი თ ი — ახლა კიდეც რომ მომკლან ომში, არ დავეკარგები ჩემს ქვეყანას! წიგნი ჩემი მიუვა საქართველოს და ვიქნები ცოცხალი, სანამ იყღერებს სიტყვა ქართული!... (გადის ქართული ჯარის სიმღერის ფონზე: „ოი, შუმლი და შუხასაო!")

ფარდა

ირინა ვაკელი

ავრაკუნე

კომედია 4 მოქმედებად
7 სურათად

მოქმედნი პირნი

ა პ რ ა კ უ ნ ე ჰ ი მ ჰ ი მ ე ლ ი — დიხაშხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
გ ა ბ რ ი ე ლ ი — აპრაკუნეს მოადგილე და პ/ბიუროს მდივანი.
ლ ე ო — აგრონომი.
ვ ა რ დ ე ნ ი — რაიალმასკომის თავმჯდომარე.
ე მ ო კ რ ი ტ ე — მთავარი ბუხპალტერი.
ა რ ქ ი ფ ო შ უ შ ა ბ ე რ ი ძ ე — აგროტექნიკოსი.
კ ი კ ი ტ ი ა ზ ი ბ ზ ი ბ ა ძ ე — კოლმეურნეობის მომმართველი.
ო ტ ი ა წ ა რ ბ ა ძ ე — ჩაის მიმღები პუნქტის გამგე.
მ ა რ ი ა მ ი — მისი მეუღლე, ბრიგადის ხელმძღვანელი.
ს ი მ ო ნ ი — რაიკომის პირველი მდივანი.
პ ე პ ე ლ ი — ბრიგადის ხელმძღვანელი.
თ ა მ ა რ თ ა ე დ ი შ ვ ი ლ ი — თბილისიდან ჩამოსული ინსტრუქტორი.

ხ ა ხ უ ლ ი —
ბ უ ხ უ ტ ი —
მ ა ლ ა ქ ი ა —
ს ო ლ ო მ ო ნ ი — } კოლმეურნეები.

კ უ კ უ რ ი — კომკავშირის მდივანი.

ქ ი ო ნ ი ა —
მ ა რ თ ი ა —
მ ა ტ რ ო ნ ი ა — } კოლმეურნე ქალები.

გ რ ი გ ო ლ ი — მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
კ ო წ ი ა — ფოტოგრაფი.



მოქმედება პირველი

სურათი პირველი

დიხაშხოს კოლმეურნეობის კანტორის ეზო. დილაა. სამუშაოზე მიმავალი ხალხი: მარიამი, პეპელა, ჭიონია, კუკური, ოტია, სოლომონი, მალაქია და სხვები სიმღერით ჩაუვლიან კანტორის ეზოს. ხახული და ბუხუტი თოხებით კანტორის წინ შეჩერდებიან.

ხ ა ხ უ ლ ი — დიდუჰ, ბაბაია, რა გვეშველება, ეს რა უკურნებელი სენი მოგვივლინა ღმერთმა ქვეყანაზე?

ბ უ ხ უ ტ ი — რა იყო, ხახულია, ავად ხომ არ ხარ, ბოშო?

ხ ა ხ უ ლ ი — მე კი არა, მთელი სოფელია ავად, ბაბა, მთელი სოფელი.

ბ უ ხ უ ტ ი — რა იყო, ბოშო, რა გამოგვიტყვრა ახლა ამისთანა?

ხ ა ხ უ ლ ი — აპრაკუნე გეპირს, ბაბა, აპრაკუნე... მთელი სოფელი მაგით ვართ ახლა დაავადებული.

ბ უ ხ უ ტ ი — სუ, ჩუმად, ბოშო. აგერ, ჩვენი აღმშენებლები გამოდიან კანტორიდან. (აივანზე გამოდიან აპრაკუნე, არქიფო და ემოკრიტე).

ა პ რ ა კ უ ნ ე — (შუა კიბეზე შეჩერდება და სამუშაოზე მიმავალ ხალხს აღფრთოვანებული გადასძახებს) ჰო, ჰო, ჰო, გენაცვალეთ, დიხაშხოელებო, თქვენ გენაცვალეთ! აბა, ჰე, აბა, ჰე! თქვენ იცით, ბიჭებო, როგორ მასახელებთ, თქვენით მომწონს თავი ქვეყანაზე!

ე მ ო კ რ ი ტ ე — თავი ხომ არ გტკივა, შემოგევლე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — მტკივა კი არა, მისკდება, ბიჭო. აქეთ ეს გეგმებიც სალტესავით მაქვს შემოჭერილი და სულს ვეღარ ვითქვამ. ერთს წასწევ წინ, უცებ მეორე იწყებს კიბოსავით უკან-უკან ფორთხვას... ხან იქით, ხან აქეთ ვეხეთქები, ისე ვტოკავ როგორც კედლის საათი! მაგრამ არაფერია, თუ ბიჭი ვყოფილვარ, წელს აუცილებლად გავიკრავ გულზე ოქროს ვარსკვლავს.

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგევლე!
ა პ რ ა კ უ ნ ე — გეგმებს გადაჭარბებით შეეასრულებთ!
ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!
ა პ რ ა კ უ ნ ე — შრომადღეზე სამ თუმანს და ხუთ კილო სიმინდს დავარიგებ.
ე მ ო კ რ ი ტ ე — ნამდვილად, შემოგევლე!
ა პ რ ა კ უ ნ ე —მეცხოველეობას ავაყვავებ!
ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!
ა პ რ ა კ უ ნ ე — რაც აქ ნეშო და ქვერია, სულ ტუნგოდ, დაფნად და ციტრუსად გადავაქცევ!
ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგევლე!
ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, გასწით ახლა და დატრიალდით!
(არქიფო და ემოკრიტე გადიან)
ხ ა ხ უ ლ ი — დიდუჰ, ბაბაია, რაც ახლა ჩამოთვალე, ყველაფერს ამას მართლა წელს იზამ, აპრაკუნე?
ა პ რ ა კ უ ნ ე—რატომაც ვერ ვიზამ... კი, მარა, თქვენ აქ რა გინდათ. რატომ სამუშაოზე არ წასულხართ?
ხ ა ხ უ ლ ი — ჩვენ, ბოშო, იმისათვის გიახელით, რომ...
ბ უ ხ უ ტ ი — ხო, ბოშო, პეპელას ბრიგადიდან მარიამის ბრიგადაში გვინდა გადასვლა.
ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე და, რატომ პეპელას ბრიგადაში არ გინდათ მუშაობა?
ხ ა ხ უ ლ ი — რა ვქნათ, ბაბა! პეპელას ბრიგადაში ყველაფერი არეულია...
ბ უ ხ უ ტ ი — ხო, ბოშო, თუ იქ დავრჩით, ცოლშვილი შიმშილით დაგვეხოცება.
ა პ რ ა კ უ ნ ე — მოითმინეთ პატარა და, მალე ყველას ისეთ საბალახოზე მიგდენით, რომ...
ბ უ ხ უ ტ ი — მართლა, აპრაკუნე?
ა პ რ ა კ უ ნ ე—მე თუ მოვინდომე, უდაბნოს წალკოტად გადავაქცევ!
ხ ა ხ უ ლ ი — აბა, შენ იცი, ბაბა, რასაც კარგს გვიზამ, ჩვენთან არაფერი დაგეკარგება.
ა პ რ ა კ უ ნ ე—იცით, ბიჭებო, თავში რა ფიქრები მიტრიალებს ახლა მე?
ხ ა ხ უ ლ ი — ბარემ გვითხარი, ბაბა, და გვეცოდინება.
ბ უ ხ უ ტ ი — კი, კი, რალაცას უცნაურს გვეტყვის ახლა აპრაკუნე ჩვენ!
ა პ რ ა კ უ ნ ე — აი, იმ სერზე ნაჯიხურევს ხომ ხედავთ, ბიჭებო?

ხ ა ხ უ ლ ი — კი, ბაბა, კი...

ა პ რ ა კ უ ნ ე — გაისად იმ ბექობს, ასე, ხელისგულივით მოვაკრიალებ და ზედ თქვენისთანა ხალხისათვის დასასვენებელ სახლს წამოვეშმავ!

ხ ა ხ უ ლ ი — დიდუჰ, ბაბაია! რა კარგი აზრი და ნაფიქრია!

ბ უ ხ უ ტ ი — მერე რაღა გვიჭირს, ხახულია, გამოგვიწერს აპრაკუნე საგზურებს, დავჯდეთ და ვეამოთ კატლეტები...

ხ ა ხ უ ლ ი — რას ამბობ, ბაბა! საქმელი თუ სადმე გამოჩნდა, ჩვენ იმაზე ვინ მიგვასუნებინებს!

ა პ რ ა კ უ ნ ე — სუნება რად გინდათ! მე თვითონ გავანაწილებ ყველაფერს. უსამართლობას შანთით ამოვწვავ ქვეყანაზე.

ბ უ ხ უ ტ ი — რაკი ასე ირჯები, აპრაკუნე, მოდი და სანახსოვროდ ერთი პატარა საავადმყოფო მაინც გაგვიხსენი დიხაშხოელებს.

ა პ რ ა კ უ ნ ე — საავადმყოფო და ჭირი არ გამაგონოთ! მე დიდ საქმეებზე მიჭირავს თვალი! იმ პატარა ნაკადულს ხომ ხედავთ, აი, აგერ რომ საცოდავად მიკინკილებს! ბიჭი არ ვიყო, თუ ის თოხარიკ ცხენივით ამ ჩვენს ღელეში არ შევაგდე ელექტროსადგურის მოსაწყობად.

ხ ა ხ უ ლ ი — კაია, ბაბა, კაი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — შესართავთან მარმარილოს აუზს გავაკეთებთ. მერე დავდგეთ, აქედან, ბიჭო და ვუყურეთ ანგელოზების ბანაობას!

ბ უ ხ უ ტ ი — პა, პა, პა, რა იქნება, დაბადებავ!

ხ ა ხ უ ლ ი — ეს ყველაფერი კარგია, ბაბა, მაგრამ ეს კვარცხლბეკი რაღა საჭიროა? რაღაც უადგილო ადგილას არის გაჩხერილი!?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ეს არაა, შეშოგეელე, თქვენი საქმე. მარტო ჩაის კრეფა კი არ გვეყოფა ყველაფრად! ხელოვნებასაც ხომ უნდა მივხედოთ! სადაც მაღალი ხელოვნებაა, იქ ადამიანის სულიც მაღალია!

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, კი, მოიწით აქეთ... ჩვენ შორის დარჩეს და, ეს კვარცხლბეკი ჩემთვის ავაგე. როგორც ჩანს, წელს აუცილებლად მივიღებ გმირობას... ვარდენის წყალობით გაისადაც გავჩარხავ საქმეს და ზედ ჩემს მონუმენტს წამოვეშმავ!

ბ უ ხ უ ტ ი — რაო, ბოშო, რას წამოვეშმავო?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ძეგლს, ბიჭო, ჩემს ძეგლს!

ხ ა ხ უ ლ ი — კაია, ბაბა, კაი.

ბ უ ხ უ ტ ი — რა არის, ბოშო, კაი! ახლა ერთი აპრაკუნე გვყავს და მაშინ ორი გვეყოლება.

ხ ა ხ უ ლ ი — კი, ბაბა, ერთს ორი ჯობია, დამიჯერე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა თავს იგდებთ, ბიჭო, თქვენ!

ე მ ო კ რ ი ტ ე — მოდი, შემოგევლე, მაგ ნათელ შუბლში გაკოცო. ამ აზრების გაიმასქნებამდე რომ არაფერი დაგემართებოდეს— ყველა მეშვიდე ცაზე ავალთ, შენი წყალობით.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჯერ სადა ხართ! ცოტა თუ კიდევ წავხალისდი, მერე და მერე ისეთ-ისეთი აზრები წამომიქროლებენ თავში, რომ სხვას არც კი დაესიზმრება. (ხახულის და ბუხუტის მიუბრუნდება) თქვენ კიდევ აქა ხართ? რას უყურებთ? ჩქარა, გასწით, ახლავე სამუშაოზე!

(ხახული და ბუხუტი გადიან. შემოდიან არქიფო და ემოკრიტე)

ა პ რ ა კ უ ნ ე — მოიწით აქეთ... რასაც მე ახლა გეტყვით, ის აქვე უნდა მოკვდეს!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მომენტი ძალზე სერიოზულია. შეიძლება ითქვას კრიტიკულიც. ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება ახლა ჩემთვის, თქვენთვის და ყველასათვის!

ე მ ო კ რ ი ტ ე — (შეშინებული) შემოგევლე!!!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ა, ჯერ საუბარი არც კი მითქვამს და შიშისაგან უკვე მიიცვალა უბედური!

ე მ ო კ რ ი ტ ე — ბარემ გვითხარი, შემოგევლე, რა არის ამისთანა?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა არის და, გმირებია გამოსაველენი. ვცდილობ, მინდა გმირები გამოვაველინო, მაგრამ არ გამოდის. არ იქნა და არა, ერთხელ ვერ მოვხვდით ცენტრალურ პრესაში.

ა რ ქ ი ფ ო — ვერც მოვხვდებით.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რატომ, ბიჭო!

ა რ ქ ი ფ ო — ხერხია საჭირო.

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგევლე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაც არ უნდა დაჯდეს... წელს ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვაველინოთ ჩაის კრეფის რეკორდსმენები... თუ ამას მივაღწიეთ, მერე იცოცხლე, უცებ ჩვენზე ალაპარაკდება მთელი კაეშირი! (არქიფოს) აბა, თქვი, ბიჭო, როგორ მიდის საქმე ბრიგადებში?

ა რ ქ ი ფ ო — ომია, აპრაკუნე, ნამდვილი ომი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო? ვინ გამოგვიცხადა, ბიჭო, ომი?

ა რ ქ ი ფ ო — რგოლი რგოლს ებრძვის, ბრიგადა — ბრიგადას. კალათები ისე იცლება, თითქოს ყანწები იყოს ღვინით სავსე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, კარგად გვქონია საქმე!

ა რ ქ ი ფ ო — საქმე კარგადაა, მაგრამ ეს ჩვენი აგრონომი ლეო ისეა შემოჩენილი, ისე, რომ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო, რა მინდაო?.

ა რ ქ ი ფ ო — აქაო, დიპლომი მაქვსო, აღარ ვუჩანვართ ხალხი თვალში!

ე მ ო კ რ ი ტ ე — აი, ნახე ერთი, რა დაიწუნა, შემოგევლე, რა ხასხასა და ჩოჩქვი ყლორტებია!

ა პ რ ა კ უ ნ ე — (გასინჯავს) არა, ცოტა უხეშიც ურევია, მაგრამ არა უშავს... ჩვენი გეგმების საქმეს ლეოს ვერ შევწირავთ. ვინც წინ გადაგვეღობება — უნდა მოვსპოთ!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, თქვენ იცით! ჩვენ ახლა სათავეში უნდა ჩავუდგეთ მასების მოძრაობას...

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგევლე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მაგრამ ხომ იცით, ხელმძღვანელობის საიდუმლოება რაშია? დარაზმეთ ხალხი, მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ გაითქვიფოთ შიგ!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას შეება, ბიჭო, პეპელას ბრიგადა?

ა რ ქ ი ფ ო — უჭირს. თუ არ დავეხმარეთ, მარიამი აჯობებს!

ა პ რ ა კ უ ნ ე — არაფერია. ჯერ ასე იყოს... მე თვითონ მაქვს გამოსარკვეი, ჩვენი საქმისათვის რომელია ახლა მაგათ შორის გამოსადეგი და შემდეგ....

(შემოდის ლეო)

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ, ბიჭო, ჯიბრში ჩამიდექი, ხომ?

ლ ე ო — რა იყო, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — თუ ამისთანა ჩაი დამიწუნე, შენ წელს გმირობას დამაკარგვინებ!

ლ ე ო — თუ გმირი ხარ, გმირობა არ დაგეკარგება, აპრაკუნე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ასე ხომ?

ლ ე ო — გეტყობა, შენ წელს ფაბრიკის ხარჯზე აპირებ გმირობის მიღებას!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ფაბრიკა რას მიქვია! რაც უნდა დაჯდეს, წელს გეგმა უნდა შესრულდეს და, გმირებიც გამოულინდეს!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჩვენი საქმის გამარჯვება თუ გინდა, სურო რომ მოვკრიფოთ, ბიჭო, სურო, ის უნდა გამიტარო ჩაის მაგიერ...

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ლ ე ო — რას ამბობთ, კაცო! უხეშად ნაკრეფს მიმღები პუნქტი არ ღებულობს... აი, დღესაც ორასი კილო უხარისხო ჩაი გაუჩერეს პეპელას ბრიგადას.

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ პეპელას თავი დაანებე. აბა, წადი და საქმეს მიხედე, საქმე არ ჩამოგრჩეს.

ლ ე ო — ვცდილობ, აპრაკუნე... (ლეო გადის)

ა პ რ ა კ უ ნ ე—აი ხომ ნახეთ, რა წინააღმდეგობა გამიწია! მე აპრაკუნე არ ვიქნები, თუ ეს კუდამოძუებული არ გავისტუმრო აქედან... საუკუნეებში, ბიჭო, ერთხელ დაიბადება ჭკვიანი კაცი და, იმასაც თუ არ გაუგონეს — რა გაკეთდება ქვეყანაზე?! (ისმის ტელეფონის ზარი. აპრაკუნე კიბეს აირბენს და ღია ფანჯრიდან წაეტანება ტელეფონს) ალლო! ვინა ხარ, კაცო, რომ გახეთქე ეს ტელეფონი! რაო? რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ვარდენი ბრძანდებით? სალამი, ბატონო ვარდენ! ბოდიში, ვერ გიცანი... ჩაი? (იცინის) ჩაი იმდენი მოვკრიფეთ, იმდენი, რომ მთელ კაცობრიობას ეყოფა ოფლის მოსადენად. ჩამოსვლას აპირებთ? ძალიან კარგი. მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! (მილაკს ჩამოკიდებს) აბა, ბიჭებო, ვარდენი მოდის, ვარდენი... არიქა, მიშველეთ, დატრიალდით!

ე მ ო კ რ ი ტ ე — ჩქარა, მოდით გვიშველეთ, შემოგევლეთ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, კოწია, არისტო, ეპიფანე!..
(შემოირბენს რამდენიმე კოლმეურნე)

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ე ბ ი — რა იყო, აპრაკუნე?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, წადით ახლავე, დაიჭირეთ ცოცხები ხელში და ხიდიდან დაწყებული აქამდე ისე დაგავეთ ეს ქუჩა, ენა რომ დააწოს ზედ კაცმა — მტვერი არ აჰყვეს!

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ე ბ ი — ახლავე ბატონო... (სასწრაფოდ გადიან)

ა პ რ ა კ უ ნ ე — (ტელეფონს მიაშურებს) მომეცით მეხუთე ბრიგადა! ვინ არის? პეპელა ხარ? აბა, ჩქარა, გენაცვალე, შეკრიბე შენი ბრიგადიდან სამი-ოთხი მარჯვე გოგო და ახლავე კანტორაში გამოცხადდი... აბა, ჰე! აბა, ჰე! ჩქარა, მიშველე, გეთაყვანე!. (ტელეფონის მილაკს ჩამოკიდებს) კუკურია, ბიჭო, კუკურია! (შემოდის კუკური)

კ უ კ უ რ ი — რა ამბავია, აპრაკუნე!

ა პ რ ა კ უ ნ ე —ვარდენი მოდის, ბიჭო, ვარდენი. აბა, ჩქარა, თვალის დახამხამებაში ახალი კედლის გაზეთი გამოაცხვე.

კ უ კ უ რ ი — ახლავე, აპრაკუნე!.. (გადის)

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, არქიფო, გასწი ახლავე და შენი საცდელი ნაკვეთი წესრიგში მოიყვანე.

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — დროა, მეც საქმის თადარიგს შევუდგე... ეგ საპა-

ტიო დაფა რაღაც არ მომწონს ამ ადგილზე... (სპატიო დაფას გადააადგილებს, ბოლოს იმ ადგილას დადგამს, სადაც იყო) ახლა კარგია.

ე მ ო კ რ ი ტ ე — ერთი წუთით შენი ყურადღება მჭირდება, შემოგევლე!

ა პ რ ა კ უ ნ ე—რა იყო, ბიჭო?

ე მ ო კ რ ი ტ ე — შენზე ცოტა თანხა ირიცხება, შემოგევლე...

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ, ბიჭო, ეგერ-აგერ ხომ არა ხარ ჭკუაზე... რა დროს თანხებია, ახლა?!

ე მ ო კ რ ი ტ ე — სწორედ ახლაა მაგის დრო, შემოგევლე. იქნება ვარდენმა ბალანსის თვალის გადავლება მოისურვოს და უხერხულობაში არ ჩავვარდეთ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — სულ რამდენია?

ე მ ო კ რ ი ტ ე—ცოტაა, შემოგევლე. რაღაც ორიათას მანეთამდე გაგიმასქნიათ მივლინებაში ყოფნის დროს.

ა პ რ ა კ უ ნ ე — გაატარე.

ე მ ო კ რ ი ტ ე —კი, მაგრამ რა სახით, შემოგევლე, რა სახით გავატარო?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა სახით და, ბუნების მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარჯებს მიაწერე.

ე მ ო კ რ ი ტ ე — რას ამბობ, შემოგევლე! ასეთი პარაგრაფი არც კია ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეს არ ვიცი, მე, ხარჯი უკვე გაწეულია.

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგევლე, ხარჯი გაწეულია, მაგრამ აქ ბალანსშია გაჩხირული.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბალანსში რამ გაჩხირა! ის ფულები შენ მე მომეცი. მე რესტორნებში დავხარჯე, რესტორნებმა კი ფული ბანკში შეიტანეს. ბუნებაში არაფერი არ იკარგება. შენ, ბიძია, ისე გატყობ, რომ დიალექტიკა არ იცი!! (ტელეფონის ზარი. აპრაკუნე მილს იღებს). სალამი გრიგოლ! რაო? საქმე როგორა მაქვს? არა უშავს, გეგმა ყუაზე მოვიყვანე და ახლა გადაჭარბებაზე მიჭირავს თვალი. კი, კი, უთუოდ გადავაჭარბებ! (ყურმილს ჩამოკიდებს).

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, მაგრამ, წელს ვითომ ვაჯობებთ გრიგოლს, შემოგევლე?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჯობნით, შეიძლება ვერ ვაჯობოთ, მაგრამ ესეც კარგია, როცა კაცს წინასწარ მორალურად გააფუჭებ! (თანდათან ახლოვდება სიმღერა. შემოდის კიკიტია).

ა პ რ ა კ უ ნ ე — ო, კიკიტიას ვახლავარ, ჩემ ძველ მეგობარ კიკიტიას! რა იყო, კაცო, რამ შეგაწუხა, რისთვის მომაკითხე?

კიკიტია — სამსახური მინდა, ჭირიმე, იოლი და თბილი სამსახური...

აპრაკუნე — სამსახური? შენ, კაცო, ეზოში რომ ჩაი გაქვს, მარტო ის გეყოფა ყველაფრად და კიდევ სამსახურს დაეძებ?

კიკიტია — იმან დიდი ხანია ჭირი მოგჭამა, აპრაკუნე!

აპრაკუნე — როგორ?

კიკიტია — არ უვლიო მითხრეს, ჭირიმე, ჩამომართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. თან ასე მომიმღერეს:

შენი ჩაი, ჩემი ჩაი,
კოლექტივში ერთად ჩაი,
შენ არ მოგწონს იქნებ აი.
გამონახე საქმე სხვაი,
იქით გზაი, აქეთ გზაი,
სადაც გინდა იქით წაი..

მეც ავდექი და შენ მოგაშურე... ახლა შენ იცი, თუ რამეს დამეხმარები. ძაღლის ნაკბენივით დაგიმახსოვრებ.

აპრაკუნე — მერე და, ამდენ ხანს სად იყავი, როცა ძალიან გაგიჭირდა ახლა გაგახსენდი?

კიკიტია — ასეა, ჭირიმე, ძველი ამხანაგი ძველ ქოლგასავითაა, როცა წვიმა მოვა მაშინ გაგახსენდება.

აპრაკუნე — ამჟამად აქ არაფერი მაქვს. მაგრამ წერილს მიგიწერ, მიდი, აგერ, ჩაის ფაბრიკის დირექტორთან და, შენ იღბალზე იქნება გამოჩნდეს რამე.

კიკიტია — აბა, შენ იცი, ჭირიმე, მიშველე რამე!
(აპრაკუნე წერილს წერს)

აპრაკუნე — რაო, როგორ გითხრეს? აქეთ ჩაი, იქით ჩაი, სადაც გინდა იქით წაიო. გაჩერდი, კაცო, ციგნებია, ციგნები!
(აპრაკუნე წერილს გადასცემს კიკიტიას. კიკიტია გადის. მცირე ხნით შემოდის კუკური, კედლის გაზეთს ჩასცქერის ჩარჩოში და ისევ გადის)

აპრაკუნე — ალლო! მომეცით ჩაის ფაბრიკის დირექტორი. ა, შენა ხარ, გოგილო? გამარჯობა! ახლა შენთან ჩემი ბარათით კაცი მოვა, სამსახურის თაობაზე, მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეს და არ მოაწყო... რატომ? ამას შემდეგ გეტყვი...
(ამ დროს შემოდის პეპელა თავისი ბრიგადის ქალიშვილებით).

პეპელა — რა ამბავია, აპრაკუნე, რატომ გამომიძახე?

აპრაკუნე — რა ამბავია და, ვარდენი მოდის. აბა, მიშველე რამე, ახლავე გარეცხონ ეს კიბე, გაწმინდონ ფანჯრის მინები. ერთი სიტყვით ყველაფერს ლაპლაპი გაპქონდეს.

პ ე პ ე ლ ა — აბა, გოგოებო, არიქა, დატრიალდით... სასწრაფოდ გაწმინდეთ აქაურობა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — (ქალიშვილები მუშაობას შეუდგებიან) კუკურია, ბიჭო, კუკურია! სად დაიკარგა ის ღდინძაღლი! (ედლის გაზეთის ჩარჩოსკენ გაიხედავს და როცა ჩარჩოში ჩასმულ თავის კარიკატურას დაინახავს, მივარდება და სასწრაფოდ მოგლეჯს) ეს რა უქნია? ჩემი კარიკატურა არ მოუთავსებია?! ეს რომ ვარდენს ენახა ახლა. მერე სად უნდა გამომეყო თავი! ა, წარწერაც როგორი გაუკეთებია: „საქმიანი კაცი“, აი შე მამაძაღლო... მე შენ გიჩვენებ თვალის სეირს! მოგსპობ, მოგსპობ თუ აპრაკუნე ვყოფილვარ!

პ ე პ ე ლ ა — აპრაკუნე!!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა იყო, ჩემო იადონო!

პ ე პ ე ლ ა — ხელი გამიშვი, არა ვარ შენს გუნებაზე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო?

პ ე პ ე ლ ა — მე იადონს მეძახი და, მარიამს კი თავზე ფარვანასავით დასტრიალებ... არაფერია, გყავდეს და გეყოს ის ყველაფრად.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მარტო მარიამი რას მეყოფა... ის მამალი რა მამალია, რომელსაც თორმეტი დედალი მაინც არა ყავს თავის მრეველში.

პ ე პ ე ლ ა — არც კი გრცხვენია! (აპრაკუნე ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს) დიდი ხანია ასე მელაპარაკები, მაგრამ საქმით შენგან ვერაფერს ვხედავ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — საქმით შენგანაც ვერაფერს ვხედავ, ჩემო გუგულო, და მეც ამიტომ ვარ თავშეკავებული.

პ ე პ ე ლ ა — თუ მაგას გულით ამბობ, რატომ კანტორაში არ გადმომიყვან სამუშაოდ?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რად გინდა, ქალო კანტორა! მე თუ დამიჯერებ, წელს ისე დაგაწინაურებ, რომ მთელ რაიონში პირველი ქალი შენ იქნები.

პ ე პ ე ლ ა — არ გადამრიო, აპრაკუნე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, ჩაის კრეფის რეკორდსმენი იქნები. გმირის წოდებას მიგაღებინებ.

პ ე პ ე ლ ა — კი, მაგრამ, გმირობას რომ ჭირდება, იმდენი ჩაის მოკრეფა მე სად შემიძლია.

ა პ რ ა კ უ ნ ე — უნდა შესძლო. ქვეყნის ინტერესი მოითხოვს ახლა ამას! როცა გაგიჭირდეს, მითხარი და ჩუმად მუშახელს დაგახმარ...

პ ე პ ე ლ ა — აბა, რაკი ასეა, ხახულია და ბუხუტია მომ: კილე თა-

ვიდან... რგოლში სულ ჩემზე ლაპარაკობენ და სახელს მიტეხენ გოგოებში.

აპრაკუნე — კი, კი, ორიეეს მოგაშორებ. აბა, წადი, წადი ახლა და იმ გოგოებს მიხედე! (ისმის აეტომობილის ხმა). აგერ, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ჩამოვიდა, ჩემი ვარდენი. აბა, ჩქარა, მიშველეთ, ოლიმპიადა!

ემოკრიტე — რაო, შემოგევლე?

აპრაკუნე — ჩქარა, ანსამბლი. ვარდენს ზარ-ზეიმით უნდა შეეგებოთ.

ემოკრიტე — კოწია, სეფე, იორდანე... თქვენც გოგოებო, აბა, მოდით, შემოგევლეთ... (ემოკრიტე მომღერალთა ჯგუფს კანტორის ეზოს კარებთან დააყენებს. თვითონ ლოტბარობს. იწყებენ სიმღერასა „გალიაში გამოგზარდე, ბიშო, ჩარი“. — გამოჩნდება ვარდენი. მას წინ აპრაკუნე მოუძღვის. ვარდენი კმაყოფილებით გადახედავს დამხვდურებს და ხელით ანიშნებს. — საკმარისია).

ემოკრიტე — გამარჯობათ, ამხანაგო ვარდენ!..

ვარდენი — რის გამარჯობა, რის გაგიმარჯოს.. თქვენს ხელში კაცი გაიმარჯვებს?

ემოკრიტე — რა იყო, რა მოხდა, შემოგევლე?

ვარდენი — რა მოხდა და, რაც გაბრიელი ავად გახდა, მას შემდეგ პარტიული მუშაობაა ჩაშლილი... წრეები არ მეცადინეობენ... კონსულტაციები არ ტარდება.

აპრაკუნე — ჩატარდება, ვარდენ, ჭირიმე, აუცილებლად ჩატარდება!

ვარდენი — როდის, კაცო, როდის ჩატარდება?

აპრაკუნე — ნუ შიშობ, ვარდენ ბატონო, თუ არ გასახელო, მოგიკვდეს აპრაკუნე!

ვარდენი — მერე, რით გინდა მასახელო? აგერ ზაფხული იწურება და ჩაის კრეფის რეკორდსმენები ჯერაც არა გყავთ...

აპრაკუნე — გვეყოლება, ვარდენის ჭირიმე, მალე გვეყოლება.

ვარდენი — სხვა რაიონებმა, ხომ ხედავთ, როგორ ააჭრელეს გაზეთები... რამდენი ჩაის კრეფის რეკორდსმენი გამოიყვანეს!

აპრაკუნე — მალე ვიზამ მაგასაც, ვარდენ ბატონო. ისეთ რეკორდს დავარტყამ აქედან, რომ სულ მიეძრავ-მოეძრავ. იმ შენ ბაქია რეკორდსმენებს.

ვარდენი — ამბობენ, მარიამის ბრიგადა არ ხუმრობსო...

აპრაკუნე — მარიამიც გეყავს და სხვებიც ბატონო, ერთი ისეთი რეკორდსმენი გამოვაელინე...

ვარდენი — ვინა, კაცო?

ე მ ო კ რ ი ტ ე — პეპელა!

ვ ა რ დ ე ნ ი — ვინაა ეს პეპელა?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ო, რა ქალია, ვარდენ ბატონო, ნამდვილი პეპელა გეგონება...

ე მ ო კ რ ი ტ ე — ჩაის ბუჩქზე ისე ფრინავს, შემოგევლე, როგორც მაისის პეპელა.

ვ ა რ დ ე ნ ი — ეს კარგია, მაგრამ სოცშეჯიბრება არა გაქვთ გაშლილი, სოცშეჯიბრება!..

ა პ რ ა კ უ ნ ე — ვერ მოვიცალეთ, ვარდენ ბატონო, ჩაის კრეფაა ახლა ძალიან მოძალებული.

ე მ ო კ რ ი ტ ე — როგორც კი ჩაის მოვრჩებით, შემოგევლე, სოცშეჯიბრებასაც ხელად გავშლით.

ვ ა რ დ ე ნ ი — მერე გაშლით?!. რას გაშლით, ბიჭო, მერე?! გეტყობათ, თქვენ მასებთანაც არა გაქვთ მჭიდრო კავშირი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — (გაიქცევა და ხალხში ჩადგება) გვაქვს, ბატონო ვარდენ, აი. ხომ ხედავთ, სულ მასებში ვართ გათქვეფილი.

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგევლე... სოფელში ტირილი და ქელეხი ჩვენ დაუსწრებლად ჯერ არსად ჩატარებულა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — გარდა ამისა, თქვენი მითითებაც შეასრულეთ. ვარდენ ბატონო, სანერგე უკვე მზად არის. ნაძვისა და კრიპტომერიის ისეთი ნერგები გავაშენეთ, რომ ნახვა გესიამოვნება.

ვ ა რ დ ე ნ ი — ეს კარგია, მაგრამ გმირების გამოვლენა არ გამოგრჩეთ მხედველობიდან. ამ ეტაპზე ეს არის ახლა მთავარი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — გმირების გამოვლენა არ გაგვიჭირდება, ვარდენის ჭირიმე, მაგრამ არის ერთი ხელისშემშლელი პირობა!

ვ ა რ დ ე ნ ი — რა პირობაა ახლა ეს?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჩვენი აგრონომი, ლეო უნდა მოგვაშორო თავიდან.

ვ ა რ დ ე ნ ი — აჰ, ძნელია! თუმცა... ჰო, მართლა, ახლა გამახსენდა... მგონი თვითონ მთხოვა სადღაც გადაყვანა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ? თვითონ გთხოვა? არიქა, უშველე! ძაღლი ხსენებაზე, აგერ ისიც მოდის. (შემოდის ლეო)

ლ ე ო — გამარჯობა, ამხანაგო ვარდენ!

ვ ა რ დ ე ნ ი — ო, მოდი, ლეო, სწორედ შენ გეძებდი ახლა მე.

ლ ე ო — რა საქმეზე, ამხანაგო ვარდენ?

ვ ა რ დ ე ნ ი — ჩაის ფაბრიკაში უნდა გადაგიყვანო...

ლ ე ო — კი, მაგრამ აქ საჭირო აღარა ვარ?

ვ ა რ დ ე ნ ი — საჭირო როგორ არა ხარ, მაგრამ იქ უფრო მჭირდება შენისთანა მარჯვე და გამოცდილი კაცი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას ამბობ, ვარდენ, არ დამღუპო კაცი, არ მომჭრა მარჯვენა ხელი!

ვ ა რ დ ე ნ ი — მორჩა! ამას აღარ შემოევლება. გადაწყვეტილია!

ლ ე ო — კარგი, ვნახოთ, მაგრამ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას ამბობ, ბიჭო, მღალატობ ხომ?

ლ ე ო — მე რა ვქნა, აპრაკუნე, ხომ ხედავ რაიონს ასე უნდა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჰო, მართალია, რაკი რაიონს ასე უნდა, ჩვენ რაღას ვიზამთ.

ვ ა რ დ ე ნ ი — აბა, მიედიეარ... კარგად იყავით, ყოჩაღად იმუშავეთ! ჰო, მართლა, გაბრიელი როგორ არის, როდის აპირებს სამუშაოზე გამოცხადებას?

ლ ე ო — ფეხი უკვე მოურჩა...

ვ ა რ დ ე ნ ი — როცა მუშაობას შეუდგეს, დამირეკეთ... აბა, მშვიდობით!. ჰო, მართლა, მოდი ერთი აქეთ, აპრაკუნე... ხომ იცი, რაიონში მე ვარ ახლა პირველი კაცი... როცა რამე გაგიჭირდეს, პირდაპირ მე დამიკავშირდი, „ჩერეზ კომუტატორ!"

ა პ რ ა კ უ ნ ე — დიდად გმადლობთ, ვარდენის ჭირიმე! (ვარდენი მიდის. აპრაკუნე გაიცილებს. შემდეგ, როცა დაბრუნდება, კანტორის ჭიშკართან შეგროვილ ხალხს დაუყვირებს) რას უცდით, კაცო, აქ, რას გაჩერებულხართ... საქმე დაგელიათ... გასწით ახლავე სამუშაოზე, თუ არა გადაეირიე კაცი!

(აპრაკუნეს ყვირილზე ხალხი დაიშლება)

ე მ ო კ რ ი ტ ე — როგორც იყო გადაერჩით, შემოგეელე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ა, როგორ მითხრა, ბიჭო, ვარდენმა? როცა გაგიჭირდეს, დამირეკეო, „ჩერეზ კომუტატორ"! (შემოდის კოიტია)

კ ი კ ი ტ ი ა — ვიყავი, ჭირიმე, გოგილოსთან... ჯერ გაიცინა, ძერე ბარათი წაიკითხა და, იცი რა მითხრა? ადგილი არ მაქვსო, ბავრამ რომც მქონდეს — შენისთანა კაცს მაინც ვერ მივიღებო, ასე მორალურად გამაფუჭა კაცი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ადრე გიცნობდა?

კ ი კ ი ტ ი ა — არა, ჭირიმე...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეტყობა ვილაცამ დაგამუშავა! (ისმის ტელეფონის ზარი, აპრაკუნე მილს აიღებს) შენა ხარ, არქიფო? რა იყო, გვამუშავებენ? ვინა კაცო, ვინ ამბობს ამას ჩემზე? კომკავშირელები? აბა, ჰე, შენ იცი, უთაქე შენებურად! ხო, ხო, მალადეც!.. (მილს ჩამოკიდებს) აი, ხომ ხედავთ, სხვა რომ ვერაფერი დამაკლეს, ჩემი მტრები დადიან ახლა ბრიგადებში და კომკავშირელებს მიჯანყებენ.

კ ი კ ი ტ ი ა — კი, მაგრამ, კაცი გმირობისათვის ემზადები, ჭირიმე, და, იმ ბაღნებმა როგორ შეგაშინეს?

ა პ რ ა კ უ ნ ე — დაიქცეს ჩემი დაბადება... პატარა ვიყავი — დიდების მეშინოდა, დიდი შეეიქენი — ახლა პატარების მეშინია. არ იქნა, ამ შიშს ვეღარ გავექეცი კაცი!

ა ი კ ი ტ ი ა — შურთ, ჭირიმე! ცხვირი არ იყოს შუაში თვალები ერთმანეთს შეჭამდენ.

ე მ ო კ რ ი ტ ე — სწორია, შემოგევლე. „ჰომო ჰომინის — ლუპუს ესტ!"

ა პ რ ა კ უ ნ ე — უძღები ვართ, ბიჭო, ადამიანები, უძღები. კაცის გული თურმე, არაფრით არ გაძღება.

კ ი კ ი ტ ი ა — კი, ჭირიმე, ნამდვილად უძირო ზღვაა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — უკან ჩამორჩენილი კაცი, თურმე, ყოველთვის წინწაწეულის მტერია!

კ ი კ ი ტ ი ა — ნამდვილად, ჭირიმე! მტერი რომ არ გყავდეს, საკმარისია, ვინმემ შენზე ერთი კაი სიტყვა თქვას და, უცებ ასი მტერი და ორგული გაგიჩნდება.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ოქრო სიტყვებია!

კ ი კ ი ტ ი ა — ასეა, ჭირიმე, ორმოში ჩავარდნილს კატაც არ დასჩხავლებს თავზე, ხეზე გასულს კი ყეფით ძაღლებიც აწუხებენ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მალადეც! შენისთანა კაცი არც კია ხელიდან გასაშვები. რაც იქნება — იქნეს, მე თვითონ მოგიხერხებ რამეს ჩემთან... ცოტა დაიცა, ახლავე დავბრუნდები. (აპრაკუნე გადის).

კ ი კ ი ტ ი ა — შენ აქ მსახურობ, გეტყობა, ჭირიმე!

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, მთავარი ბუხჰალტერი გახლავარ.

კ ი კ ი ტ ი ა — კარგია, ჭირიმე, ბუხჰალტერობა ახლა პირველი ხელობაა.

ე მ ო კ რ ი ტ ე — მინდოდა სწავლა განმეგრძო, შემოგევლე, ცოდნა გამეღრმავებინა, მაგრამ არ იქნა, არ მიშველეს აპრაკუნე...

კ ი კ ი ტ ი ა — აქ მაძღარი ხომ ხარ, ჭირიმე?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვარ, მაგრამ... სწავლას ჩამოვრჩი, შემოგევლე... ადრე მე ფილოსოფოსობაზე ვოცნებობდი.

კ ი კ ი ტ ი ა — არა, ჭირიმე... უკეთესია მაძღარი ბუხჰალტერი იყო, ვიდრე მშიერი ფილოსოფოსი

ე მ ო კ რ ი ტ ე — აჰ! ფილოსოფია არაფერზე არ გაიცვლება, შემოგევლე... შენ მატერიალისტი ხარ, თუ იდეალისტი?

კ ი კ ი ტ ი ა — მე? მე მასვი და მაჭამე, ჭირიმე!

ე მ ო კ რ ი ტ ე — მატერიალისტი ყოფილხარ... სპინოზაც მატერიალისტი იყო, იგი მთელ თავის სიცოცხლეში სულ ამას გაიძახოდა: „კაუზა სუი, კაუზა სუი!"

კ ი კ ი ტ ი ა — რაო, ჭირიმე, რაო?

ე მ ო კ რ ი ტ ე — უკანასკნელად, აგონიის დროს, როცა შენი სული წარდგება შენი სხეულის წინაშე და გამწარებული ეტყვის: აუფვიდერზეინ! აი, მაშინ ნახე რაც ვაჟკაცი იქნები!

კ ი კ ი ტ ი ა — შენ, ჭირიმე, ბავშვობისას თავი ხომ არაფერზე მიგირტყამს?

(შემოდის აპრაკუნე)

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბედი გქონია, ბიჭო, უკვე მოგვარდა შენი საქმე!

კ ი კ ი ტ ი ა—მართლა, ჭირიმე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჯერჯერობით კოლმეურნეობის საწყობის გამგედ გნიშნავ. თუ გამოდექი — მერმე მე ვიცი. აბა, ემოკრიტე, ეს კაცი დღეიდან უშტატო შტატში ჩამირიცხე.

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგევლე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეს კი აქედანვე იცოდე, ჩემს გარშემო საქმის ერთგული ხალხი მინდა დავრაზმო. შენც ჩემს გვერდით უნდა იყო, ხომ იცი?!

კ ი კ ი ტ ი ა — კი, ჭირიმე თქვენს თონეს, როგორც ლავაში, ისე მიეკვრები!

ე მ ო კ რ ი ტ ე — აბა, წავიდეთ, ამხანაგო კერკეტია!

კ ი კ ი ტ ი ა — კიკიტია, ჭირიმე!

(ემოკრიტე და კიკიტია კანტორაში შედიან. შემოდის არქიფო)

ა რ ქ ი ფ ო — მომილოცავს, აპრაკუნე, ეტყობა, ვარდენის ჩამოსვლამ მშვიდობიანად ჩაიარა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — არა უშავს. ამჯერად კმაყოფილი წავიდა, შემდეგ კი ვნახოთ...

(აპრაკუნე წასვლას აპირებს).

ა რ ქ ი ფ ო — დაიცა, აპრაკუნე... აგერ ჩემი განცხადებაა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — მითხარი, რა საქმეზეა?

ა რ ქ ი ფ ო — რაღა მე გითხრა, თვითონ გადაკარი თვალი და...

ა პ რ ა კ უ ნ ე—ბიჭო, მაუზერზე შეჩვეული თვალი მაგ ნაჯღაბნის კითხვით გინდა წავიხდინო! მოკლედ მითხარი, რას თხოულობ!

ა რ ქ ი ფ ო— ფულია საჭირო. საცდელ ნაკვეთში ცდები დავაყენე. ამ კვირაში ათი ბოთლი კონიაკი მაინც დამჭირდება.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ათი ბოთლი?

ა რ ქ ი ფ ო — ზუსტად ათი. თვითეულ საზამთროს ყოველდღე შპრიცით ას-ას გრამ კონიაკს ვუშხაპუნებ.

ა პ რ ა კ უ ნ ე —მერე, გამოდის რამე?

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი! ერთ თვეში იმისთანა საზამთროს გამოგიყვან, რომ თვითონ გაგიკვირდება!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, შენ იცი! (აპრაკუნე რაღაცას წააწერს განცხადებაზე და არქიფოს მიუგდებს) ა, წაუღე ემოკრიტეს... (აპრაკუნე შედის კანტორაში).

ა რ ქ ი ფ ო — აი ეს მესმის! აპრაკუნესთან მუშაობას რა ჯობია. დიდი გაქანების კაცია, არ უყვარს წვრილმანებში გამოდავება. ნეტავ სულ არ დაბრუნდებოდეს გაბრიელი... იმასთან მუშაობამ ჭლექი გამიჩინა. (ემოკრიტე სიცილით გამოდის კანტორიდან) რა იყო, რა გაცინებს, ემოკრიტე?

ე მ ო კ რ ი ტ ე — არაფერი, აგერ აპრაკუნე შემხვდა და იმის სიტყვაზე ვიცინოდი...

ა რ ქ ი ფ ო — რა თქვა ასეთი მოსწრებული?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ისეთი არაფერი, მაგრამ, ხომ იცი, უფროსის სიტყვაზე, მოსწრებულიც რომ არ იყოს, უნდა გაიცინო, გულში ესიამოვნება.

ა რ ქ ი ფ ო — აბა, ემოკრიტე, ერთი შეხედე, რა ვარდი მოგიტანე!

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვარდი რად მინდა, შემოგევლე, ქრონიკულმა სურდომ კაცი გამათავა! (ცხვირს დააცემინებს)

ა რ ქ ი ფ ო — იცოცხლე! აბა, ახლა აპრაკუნეს რეზოლუციას დაუნოსე! (ქაღალდს გადასცემს)

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვერა, შემოგევლე, ამ საბუთით ფულს ვერ გავცემ.

ა რ ქ ი ფ ო — როგორ, კაცო, ფულის უფროსი შენ ხარ, თუ აპრაკუნე?

ე მ ო კ რ ი ტ ე — აგერ, შეხედე ერთი, რამდენი მიყრია ჯიბეში ეს შენი უსაბუთო საბუთები... რევიზიის შიშით საბუხჰალტრო წიგნში ვერ გამიტარებია...

ა რ ქ ი ფ ო — ემოკრიტე! გამომიწერე, თუ არა!..

ე მ ო კ რ ი ტ ე — თუ არა რას მიზამ, შემოგევლე?! (აივანზე გამოჩნდებიან აპრაკუნე და კიკიტია)

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა იყო, ბიჭო, რა გაჩხუბებთ?

ე მ ო კ რ ი ტ ე — შემჭამა ამ კაცმა, შემოგევლე... სულ გამომიწერე-გამომიწერეს გაიძახის... არ იქნა მაგის გაძღომა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ ხომ გითხარი, რასაც ჩემი რეზოლუცია აქვს, გაატარე-მეთქი?

ე მ ო კ რ ი ტ ე — რანაირად, შემოგევლე! თითო საზამთროს ას-ასი გრამი კონიაკი თუ ვუშხაპუნეთ, წლის ბოლოს მოვა რევიზია და იმისთანას შეგვიშხაპუნებს, რომ არც ერთი კაცად აღარ გამოვდგებით.

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ, ბიჭო, საკითხს ბუხჰალტრულად უდგები...

ე მ ო კ რ ი ტ ე — შემოგევლე...

ა პ რ ა კ უ ნ ე—აქ კი საქმე მეცნიერებას ეხება... წადი და გაატარე...

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ე მ ო კ რ ი ტ ე—ბოდიში, შემოგევლე... რამდენი ხანია ჯიბით ვატარებ და ვერ გადმომიცია. როცა დრო დაგრჩეს, წაიკითხე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა არის, ბიჭო, ეს?

ე მ ო კ რ ი ტ ე — პატარა მოთხრობაა, შემოგევლე... დიდ დროს არ წაგართმევს.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მომეცი!

(ემოკრიტე ხელთნაწერს გადასცემს)

ა რ ქ ი ფ ო — რა ქვია, აპრაკუნე, მაგ მოთხრობას?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ორი მსხვერპლი.

ა რ ქ ი ფ ო—არ წაიკითხო, თუარა, მესამე მსხვერპლი შენ იქნები!

(შემოდის მარიამი)

ა პ რ ა კ უ ნ ე — ო, მობრძანდი, მარიამ, მობრძანდი! ახალი ამბავი უნდა გითხრა...

(არქიფო, ემოკრიტე და კიკიტია გადიან)

მ ა რ ი ა მ ი — რა იყო, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — წეღან რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ვარდენი იყო აქ და შენც გიკითხა, როგორ არისო...

მ ა რ ი ა მ ი — რად წუხდებოდა... ის ჯობდა პლანტაციები დაეთვალიერებინა, უყურადღებოდ რომ არის მიტოვებული.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას ამბობ, მარიამ! ამას წინათ მე და ვარდენმა მანქანით ჩავუსრიალეთ და ყველაფერი გზიდან შევამოწმეთ...

მ ა რ ი ა მ ი — უბედურებაც ის არის, რომ გზის განაპირა ნაკვეთები ინახულეთ! ჰე, აპრაკუნე, ერთ თვეში როგორ აურიე გაბრიელის მიერ საათივით აწყობილი საქმე!..

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო, რაო!

მ ა რ ი ა მ ი — აბა, მითხარი, სად არის სასუქი? შეწამვლა რატომ გვიანდება? გათოხნას როდის იწყებ? ხომ ხედავ, რამდენი თავსატეხი საქმეა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ნუ ღელავ, მარიამ... გადამწყვეტ მომენტში ერთს ჩემებურად გავშლი ხელს და ყველაფერი მოგვარდება.

მ ა რ ი ა მ ი — ენახოთ, ენახოთ... ახლა კი ეს გამოსწერეთ... ბრიგადაში ოცი ცალი ჩაის საკრეფი კალათი გვჭირდება. (მარიამი განცხადებას გადასცემს. აპრაკუნე რეზოლუციას წაწერს და უკან უბრუნებს)

ა პ რ ა კ უ ნ ე — სხვა, რას შვრები, მარიამ, როგორ მიდის შენი სწავლის საქმე?

მ ა რ ი ა მ ი — არა უშავს, ამას წინაზე სამი საგანი ჩავაბარე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — აფერუმ! აქაც მუშაობ და დაუსწრებლადაც სწავლობ, ინსტიტუტში... მაგრამ ეცადე, ბრიგადის საქმეც არ ჩამორჩეს!

მ ა რ ი ა მ ი — შენ სხვას მიხედე, აპრაკუნე! ჩვენი ბრიგადა არ შეგარცხვენს.

ა პ რ ა კ უ ნ ე — სხვასო?

მ ა რ ი ა მ ი — პეპელას ნაკვეთი ცუდად გამოიყურება...

ა პ რ ა კ უ ნ ე — სამაგიეროდ თვითონ პეპელა გამოიყურება შესანიშნავად... ეშხიანი ქალია.

მ ა რ ი ა მ ი — მისი ეშხი თუ საქმეს უშველის...

ა პ რ ა კ უ ნ ე — არა, შენ კიდევ მეტი ეშხიანი ხარ, მაგრამ მე რა! უხაროდეს ოტიას. ბედნიერი ვარ და ცოლი მყავსო, იმას ეთქმის.

მ ა რ ი ა მ ი — რა იყო, აპრაკუნე, რას მიყურებ ასე გაშტერებული?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ყურებას მიშლი?

მ ა რ ი ა მ ი — შინ ბროლივით ქალი გიზის და იმას მიხედე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბროლი და ფიქალი რად მინდა... მე მზემოკიდებული მიყვარს, ხორბლისფერი და ღაღაა.

მ ა რ ი ა მ ი — რაო? ამას მართლა გულით ამბობ, თუ მეხუმრები?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა დროს ხუმრობაა! შენმა ეშხმა ისე გამიტეხა იხტიბარი, რომ პირდაპირ გიცხადებ: გაეყარე ოტიას და გამომყე ცოლად. ისე გაცხოვრებ, როგორც დედოფალს.

მ ა რ ი ა მ ი — ნამუსი დაკარგე, აპრაკუნე? შინაურობაში ეს რა საკადრისია?

ა პ რ ა კ უ ნ ე — კარგი ერთი! თუ შინაურებმა არ შეეხედეთ ერთმანეთს, გარეულების სადევრად სად მცალია.

მ ა რ ი ა მ ი — რა საზიზღრობაა!.. ეს ხომ ზნეობრივი კანონის დარღვევაა, შე უსირცხვილო!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მე უკვე დიდი ვარ, მარიამ, დიდი! დიდკაცები კი ყოველ კანონზე მაღლა დგანან!

მ ა რ ი ა მ ი — მერე და, არ გეშინია გარეშე ქალის ხვევნა-ალერსში რომ შენი სინდის-ნამუსი შეილახოს?

ა პ რ ა კ უ ნ ე — არაფერია! სხეულს ისე შეუძლია სურვილი დაიკმაყოფილოს, რომ სინდისმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს შიგ!

მ ა რ ი ა მ ი — ფრთხილად აპრაკუნე! ჩემი ქმარი შენზე ნაკლები ვაჟკაცი ნუ გგონია!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ა, არ შეატოლა ხეპეპური — პანტას!

მ ა რ ი ა მ ი — უტიფარი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აქედანვე გიცხადებ, თუ ჩემთან დაახლოებაზე უარი გითქვამს, ბოლოს ინანებ.

მ ა რ ი ა მ ი — მემუქრები?

ა პ რ ა კ უ ნ ე — იცოდე გმირობას დაკარგავ!

მ ა რ ი ა მ ი — რაც მეკუთვნის—ჩვენს ქვეყანაში არაფერი დამეკარგება.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ასე ხომ? იცოდე, უჩემოდ ვერაფერს ეღირსები!

მ ა რ ი ა მ ი — ერთი უყურეთ! გზა! გზიდან ჩამოძეცალე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მარიამ... პატივცემულო მარიამ... (მარიამი გადის) ახლა კი გადაწყდა. რეკორდსმენი პეპელა უნდა იყოს. აბა, წინ გაბედულად, აპრაკუნე! გამარჯვებულებს არა სჯიან! ეი, ბიჭო, კოწია, სადა ხარ, სად დაიკარგე? (შემოდის კოწია ფოტოაპარატით).

კ ო წ ი ა — რა იყო, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ თუ რა იყო, დილას ხომ გითხარი სურათი გადამიღე-მეთქი, დაგავიწყდა?

კ ო წ ი ა — არა, კაცო, აგერ მაქვს აპარატი... აბა, დადექი... ადი ამ შენ კვარცხლბეკზე და ახლავე გადაგიღებ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ავიდე კი?

კ ო წ ი ა — ადი, ადი... აბა, ჰე, აბა, ჰე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — (შედგება კვარცხლბეკზე, მაგრამ ისევ უკან იხევს) არა, ბიჭო, არ შეიძლება ეს, სირცხვილია.

კ ო წ ი ა — აბა, ეს გაიკეთე! ძალიან დაგშვენდება, თითქოს მერანზე ზიხარ და მიაქროლებ... გაჰყავი თავი ამაში და მორჩა... (აპრაკუნე თავს გაჰყოფს ცხენის ტრაფარეტში. შემოდის ემოკრიტე, ერთს დაფეთდება, მაგრამ როცა გამოერკვევა, აპრაკუნეს მიმართავს)

ე მ ო კ რ ი ტ ე — დაბრუნდა, შემოგევლე, გაბრიელს ფეხი მორჩენია და უკვე სამუშაოზე გამოცხადდა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ გგონია, ძალიან გამახარე მაგით მე? (შემოდის არქიფო).

ა რ ქ ი ფ ო — უკვე აქ არის, აპრაკუნე. მოვიდა ჩვენი კბილის ჭია და ფერმის მშენებლობას ათვალიერებს...

ა პ რ ა კ უ ნ ე — არაფერია, ათვალიეროს. ეს უკანასკნელი თვალის გადავლება იქნება მაგისთვის. (შემოდის გაბრიელი, მარიამი, ლეო და კეკერია) მობრძანდი, გაბრიელ, მომილოცავს სამსახურში დაბრუნება.

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ეს რა არის, კაცო, რა აგიგია?

ა პ რ ა კ უ ნ ე — კვარცხელბეკია, ბიჭო, კვარცხელბეკი. სოფელს

კულტურული მომსახურება უნდა გაუწიოთ! მალე ამაზე იმისთანა ქანდაკებას წამოვჭიმავ, რომ მთელი სოფელი დამშვენდება. სხვა რას შვები, ფეხი როგორა გაქვს?

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ფეხს რა უჭირს... უკვე აღარ მაწუხებს... მაგრამ, აქ როგორა ხართ, საქმე როგორ მიდის?

ა პ რ ა კ უ ნ ე — მიდის კი არა, მიჰქრის, გაბრიელ, გაჭენებული მიჰქრის! ვარდენის ხელმძღვანელობით ისე გავიზარდე, რომ ასე მგონია მინისტრად გამოვდგები.

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ისემც რა გითხარი?

ე მ ო კ რ ი ტ ე — აი, სწორედ ახლა მივიღეთ, შემოგეელე, ტრესტმა უკვე დაამტკიცა ჩვენი დამატებითი გეგმა.

გ ა ბ რ ი ე ლ ი—აბა, ვნახოთ, რა ცვლილებებია შეტანილი. (ათვალიერებს. ბოლოს აღელვებული წამოიარდება) ეს რა არის, კაცო? ეს სანერგე საიდან გაჩნდა გეგმაში?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეს ვარდენის დავალებაა, დამატებითი გეგმა წარადგინეთ და, მეც ავდექი და ვხეთქე!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — მერე-და, ეს არის, კაცო, რეალური გეგმა?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რატომაც არ არის. მალე, ბიჭო, ამ სერებზე იმისთანა წიწვიან ხეებს ჩავამწკრივებთ, რომ ბათუმის ბულვარი დობიროდ ეოგეჩვენოს!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი.

გ ა ბ რ ი ე ლ ი — სად არის, კაცო, ის ძველი ვარიანტი მაინც მაჩვენეთ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ძველი მიართვი, ემოკრიტე! ბოდიში, ერთი წუთით... (აპრაკუნე, არქიფო და ემოკრიტე გადიან)

ლ ე ო — ხომ აგისრულდა, რასაც გეუბნებოდი, ამხანაგო გაბრიელ!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — რაო, რა ამისრულდა?

ლ ე ო — აპრაკუნემ თავისი ჯგუფი შექმნა და ახლა შენც გიპირებს თავიდან მოშორებას.

გ ა ბ რ ი ე ლ ი — რაო, რაო?

ლ ე ო — მე უკვე გამისწორა ანგარიში... ჩაის ფაბრიკაში გადამიყვანა...

კ უ კ უ რ ი — ახლა იერიში ჩემზე მოიტანეს... კომკავშირის ბიურო უნდა გადავახალისოო...

გ ა ბ რ ი ე ლ ი — მერე, ვარდენი სად არის, რას აკეთებს?

მ ა რ ი ა მ ი — ეხ, ჩვენი საქმე მაშინ წახდა, როცა ჩვენი სიმონი სასწავლებლად გაგზავნეს, ვარდენი კი...

კ უ კ უ რ ი — ასე ყავს ხელში აპრაკუნეს, ა!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ჩემი აქ არ ყოფნის დროს, ეტყობა, ძალიან ცუდი

ამბები დატრიალებულა... არა, არა, მეტი აღარ შემიძლია. დღესვე შევიტან რაიკომში განცხადებას... დიახ, დიახ, ჯობს სულ გავეცალო აქაურობას!

მ ა რ ი ა მ ი — რას ამბობ, გაბრიელ! ეგ მეტი არ წამოგცდეს, სირცხვილია!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — რაა სირცხვილი! მეყო აპრაკუნესთან ამდენი დავა და თავისტეხა. ახლა აქედან წასვლა გმირობაა!

მ ა რ ი ა მ ი — გმირი ის არის, ვინც თავის ადგილზე რჩება მძიმე პირობებში!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — კი, მაგრამ...

მ ა რ ი ა მ ი—არავითარი მაგრამ... გაქცევა, შე კაცო, რა ვაქკაცობაა! რომ გარბიხარ, ვის გაურბიხარ? აპრაკუნემ ასე როგორ უნდა შეგვაშინოს მთელი სოფელი?

(შემოდის აპრაკუნე. მას მოყვებიან ემოკრიტე, არქიფო და კიკიტია).

ე მ ო კ რ ი ტ ე — აი, ეს არის, შემოგეელე, ძველი ვარიანტი...

გ ა ბ რ ი ე ლ ი — (გეგმას თვალიერებს) აი, ხომ ხედავ, რა დიდი განსხვავებაა. ეს რეალური გეგმაა... ეს კი, უფრო თვალის ახვევის ცდაა და სხვა არაფერი...

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო, რაო?

გ ა ბ რ ი ე ლ ი — დიახ! დაჯგუფება შეგიქმნია, საუკეთესო მუშაკები მიგიფანტ-მოგიფანტავს... თუ ეს გაგრძელდა, ჩვენ აქ ერთად მუშაობა გაგვიჭირდება.

ა პ რ ა კ უ ნ ე — სწორია! ვისაც გაუჭირდება, ის კიდეც უნდა წავიდეს აქედან!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ასე ხომ?

ა პ რ ა კ უ ნ ე — დიახ, ასეა... აქაო და, პარტიული ხელმძღვანელობა ვარო... მეყო ამდენი სხვისი მოურავობა... ახლა ცოტა ხნით მეც გამაშლეინეთ ხელი ამ ჩემს სამფლობელოში.

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ვინ მოგცა, ბიჭო, სამფლობელო შენ? რატომ არაფრით არ იქნა შენი გაძღომა... არც ქონებით, არც ჯილდოებით, არც თანამდებობით...

ა პ რ ა კ უ ნ ე — უყურეთ, უყურეთ, როგორ გათავხედდა! მე შენ ახლავე გიტირებ ყოფას! (ტელეფონს მიაშურებს) ალლო! ამხანაგო ვარდენ, უკვე საბოლოოდ გამოირკვა ჩემი და გაბრიელის დამოკიდებულება. კი გამოცხადდა, მაგრამ ჩვენი ერთად მუშაობა შეუძლებელია. დიახ, დიახ, კატეგორიულად ეაცხადებ... არა, კაცო, საქმეს ის კი არა, მე ვაკეთებ, მე... ჰო, ჰო,

ნუ გეშინია, უიმისოდ საქმეც წინ წავა და გეგმებიც შესრულდება. მაშ თანახმა ხარ? ო, გენაცვალე სულში! (გაბრიელს) მიდი, ვარდენი გხმობილობს ტელეფონთან!

(გაბრიელი ტელეფონის მილს აიღებს)

გ ა ბ რ ი ე ლ ი — გისმენთ! დიახ, მე ვარ... ძალიან აღშფოთებული ვარ თქვენი მოქმედებით... დიახ, დიახ, უკანონოდ ვთვლი. როგორ? გავასაჩივრო? არა, ამხანაგო ვარდენ, მალე სიმონი დაბრუნდება და მე და თქვენ მაშინ მოვილაპარაკოთ! (ტელეფონის მილს დადებს და აპრაკუნეს მიმართავს) კარგი, ყმაწვილო, ასე იყოს, მაგრამ ის არ იფიქროთ, შენი და ვარდენის პარპაში აქ დიდხანს გაგრძელდეს... ფუ, შენს კაცობას! (მიდის)

ა პ რ ა კ უ ნ ე — მომაფურთხე, ბიძია, ძომაფურთხე, შეხ გგონია ამას ვერ მოვიხოცავ, მე! (აპრაკუნე ნელ-ნელა ადის თაეის კვარცხლბეკზე).

ფარდა

მოქმედება მეოთხე

სურათი მეორე

ჩაის მისაღები წერტი. აქვეა სასწორი, ტელეფონი, ჩაის საკრეფი კალათები. წერტში დიდი ფაცი-ფუცია, დროდადრო ქალებს კალათებით შემოაქვთ ჩაი და ყუთებში ცლიან. შემოდიან არქიფო და კიკიტია.

კ ი კ ი ტ ი ა — ერთი გამაგებინე, ჭირიმე, აპრაკუნეა აქ ჩვენი თავმჯდომარე, თუ მარიამი?

ა რ ქ ი ფ ო — რატომ მეკითხები?

კ ი კ ი ტ ი ა — ვინ გყოლიათ, ჭირიმე, ეს? სადაც ფეხი გადავდგი, ყველგან მარიამია. პირდაპირ სული შემიწუხა.

ა რ ქ ი ფ ო — შენ ჩემი იკითხე. გუშინ სასუქის მოზიდვა დავაგვიანე და, მომდგა მისებურად... შენ აპრაკუნეს მლიქვნელი ხარო! რაში მეტყობა ახლა ეს მე? ერთი საწყალი, ზრდილობიანი კაცი ვარ, მიყვარს უფროსების სიამოვნება და, ამას მლიქვნელობად მითელიან! მაგრამ მორჩა, ამიერიდან თავზე არავის დავისვამ... ყველას უნდა ვაგრძნობინო ჩემი ძალა და გაქანების უნარი. ბოლოს და ბოლოს ისე კი არაა საქმე. (ოთხებით გამოჩნდებიან სოლომონი და მალაქია) ჰეი, თქვენ საით მიდიხართ, ყმაწვილებო?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — სად უნდა მივდიოდეთ! ჩაის გათოხნა მოვათავეთ და, ახლა სიმინდში მივდივართ.

ა რ ქ ი ფ ო — არ შეიძლება.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — რატომ, კაცო!

ა რ ქ ი ფ ო — რამდენჯერ უნდა გითხრათ: ჯერ ჩაი, შემდეგ სოიო და კანაფი, ბოლოს კი სიმინდი...

მ ა ლ ა ქ ი ა — რას ამბობ, კაცო! სიმინდი თუ დაგვეღუპა—სოია და კანაფი რაღას გვიშველის მერე?

ა რ ქ ი ფ ო — რას გიშველის და, სოიოთი როცა გაძღები, ისე გახურდები, რომ დასაბმელი შეიქნები... კანაფი კი ამ დროს არის საჭირო, დაგრეხენ ბაწრად, ჩაგაბამენ რქაში და, იკუნტრუშე მერე...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — წამოდი, მალაქია, ეს შეშლილია ვიღაცაა.

მ ა ლ ა ქ ი ა — აგერ, მარიამიც მოდის. წავიდეთ, უქმად გაჩერებული არ გვნახოს, სირცხვილია.

ხ ო ლ ო მ ო ნ ი — ნეტა ძარიამი მაინც გვყოლოდა თაემჯდომარედ!

ა რ ქ ი ფ ო — აბა, აბა! აპრაკუნეს დამუშავება არ იყოს აქ. უყურეთ ერთი, როგორ შეეჩვიენ კაცს!

მ ა ლ ა ქ ი ა — არც გვიხსენებია და თუ მართალი გინდა, მარიამის ფრჩხილადაც არ ღირს. (შემოდის მარიამი)

მ ა რ ი ა მ ი — რა ჰქენი, კიკიტია, როგორ არის ტრანსპორტის საქმე?

კ ი კ ი ტ ი ა — ტრანსპორტის საქმე უკვე მოვაგვარე, მარიამის ჭირიმე, სასუქის საქმე კი ამან იცის.

მ ა რ ი ა მ ი — ამან რა იცის!.. ეს აპრაკუნეს მეცნიერია...

ა რ ქ ი ფ ო — აპრაკუნესიო?!

კ ი კ ი ტ ი ა — რას ამბობ, ჭირიმე, მეცნიერების სიყვარულით კაცს დღე და ღამე აქვს გასწორებული!

ა რ ქ ი ფ ო — მერე ვინ გიფასებს, ვინ?

მ ა რ ი ა მ ი — რაც არ არის, რა უნდა დაგიფასონ?!

კ ი კ ი ტ ი ა — როგორ არ არის, ჭირიმე! ასე ამბობს, საზამთროს შემდეგ ერთი ახალი სიტყვა კიდევ ვთქვი მეცნიერებაშიო.

მ ა რ ი ა მ ი — მაინც რა?

კ ი კ ი ტ ი ა — რა და, პამიდორი ბადრიჯანს შეაჯვარა!

მ ა რ ი ა მ ი — ეს ორივე ახლა კარტოფილს შეაჯვაროს და აჯაფსანდალიც მზად იქნება. (ვილსით შემოდის აპრაკუნე)

ა რ ქ ი ფ ო — ფუჰ! წამოდი კიკიტია! (არქიფო და კიკიტია გადიან).

ა პ რ ა კ უ ნ ე — ყოჩაღ, მარიამ! ძალიან კი იფრინე ჩვენი აგროტექნიკოსი. შენ ქალად კი არა, ნამდვილ ვაჟკაცად უნდა დაბადებულიყავ! მოდი შევრიგდეთ!

მ ა რ ი ა მ ი — როგორ თუ შევრიგდეთ! შერიგებულები არა ვართ! საქმეზე ბუტიაობა ვის გაუგონია! (აპრაკუნე მარიამს ხელს ჩამოართმევს)

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, კი, მართალია. შენ რომ გულით მომენდობოდე, ამ ჩემს სამფლობელოში ჩემ შემდეგ პირველი შენ იქნები. ხომ იცი, როგორ სავსე ჭიქასავით გიფრთხილდები... აი, მიიღე, მცირე ფეშქაშია, ქალაქში ვიყავი და...

მ ა რ ი ა მ ი — ეს რა არის?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ტუფლებია, შენთვის საგანგებოდ შევაკერვინე!..

მ ა რ ი ა მ ი — აპრაკუნე, გარეშე კაცისაგან მე საჩუქარს არ ვღებულობ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მე გარეშე ვარ? არა, მარიამ... ამას მე უკან არ წავიღებ.

შ ა რ ი ა მ ი — თუ არ წაიღებ, ეყაროს აქ...
(მარიამი ტუფლებს გადაყრის)

ა პ რ ა კ უ ნ ე — აფსუს სად გადამიყარა! დამაცადე, დამაცადე, მე შენ გიჩვენებ თვალის სეირს? (ტუფლებს აიღებს და მიიმალება ფარდულში, შემოდის ოტია)

შ ა რ ი ა მ ი — სადა ხარ, ოტია! ხედავ, რამდენი ჩაი დაგვიგროვდა, რატომ აგვიანებ ჩაბარებას?!

ო ტ ი ა — აგერ, ქვევით ვიყავით, პუნქტის გამგემ ქვითრები აგვირია... ჩვენი ბრიგადის მოკრეფილი ჩაი პეპელას მიაწერეს...

შ ა რ ი ა მ ი — ეს როგორ მოუვიდათ?!

ო ტ ი ა — რა ვიცი... აპრაკუნეს განკარგულებაა, მაგრამ აპრაკუნე ამას არ იზამდა!

შ ა რ ი ა მ ი — ჰმ! არ იზამდა! შენ კიდევ ვერ იცნობ, ოტია, აპრაკუნეს!

ო ტ ი ა — რა იყო, მარიამ? ამ ბოლო დროს რატომ ასე გადაეკიდე იმ კაცს?

შ ა რ ი ა მ ი — მე კი არა, თვითონ რას გადამეკიდა, რა უნდა ჩემგან, რას დამდევს ლანდივით!

ო ტ ი ა — არა, მარიამ, ნათლიაჩემი ამას არ იკადრებს!

შ ა რ ი ა მ ი — არ გჯერა, ხომ? აგერ მობრძანდება ისიც! (ოტია გოდრებს ამოეფარება, შემოდის აპრაკუნე) რა იყო, ისევ დაბრუნდი, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — თავი დამანებე, არა ვარ შენს გუნებაზე.

შ ა რ ი ა მ ი — სიყვარულით გამთბარ გულს უგუნებობა ახლოსაც არ უნდა ეკარებოდეს, აპრაკუნე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო? რომელ სიყვარულზე მელაპარაკები?!

შ ა რ ი ა მ ი — იმ სიყვარულზე, რომლითაც შენი გულია გაბასრული!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას ამბობ, მარიამ?

შ ა რ ი ა მ ი — როგორ? გაუგებარი რა გითხარი?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — (შენიშნავს დამალულ ოტიას) გატყუებენ აპრაკუნე, არ მოტყუვდე, აპრაკუნე! აქ მახეა დაგებული, არ გაება, აპრაკუნე!

შ ა რ ი ა მ ი — წეღან ხომ სიყვარულს მეფიცებოდი! ტუფლებიც რომ მიძღვენი აღარ გახსოვს?

ა პ რ ა კ უ ნ ე — მე შენთვის არაფერი მითქვამს და არც არაფერი მომიტანია.

მ ა რ ი ა მ ი — როგორ თუ არ მოგიტანია! წელან აქ რომ იყავი, განა შენ ამ ჰანგზე გალობდი?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა ჰანგზედაც ახლა შენ უკრავ, მეც იმ ჰანგზე გებულბულები.

მ ა რ ი ა მ ი — როგორ?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაც მართალია,—მართალია, კაი ქალი ხარ, მარიამ, მაგრამ სულ ტყუილად იხარჯები... ჯერ ერთი, ცოლშვილის პატრონი ვარ, ვერ ვუღალატებ ოჯახს, მეორეც, ჩემი ოტიას დიდი ხათრი და თავაზი მაქვს... შენ რომ საამისოდ შემოგხედო, იმ პატიოსან კაცს რა პირით შევხედო, მერე? (ოტია აპრაკუნეს მიაშურებს და გადაეხვევა)

ო ტ ი ა — შენი ჭირიმე, აპრაკუნე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მე კი ვარ ვაჟკაცი, ბიჭო, მაგრამ შენ რამ წაგახდინა ასე? აიტ, შე გლახა! გამოცდა მომიწყვეთ, ხომ?

ო ტ ი ა — ეს რა მიყავი, მარიამ? ამ პატიოსან კაცთან თავი რად მომჭერი?

მ ა რ ი ა მ ი — არ გეწყინოს, გეხუმრეთ, აპრაკუნე... (მარიამი წამოესვამს კალთას ხელს და გადის)

ო ტ ი ა — წმინდანი ყოფილხარ, აპრაკუნე, ნამდვილი წმინდანი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მე კი არა, შენ ხარ, ბიჭო, წმინდანი. ამისთანა ალქაჯთან ცხოვრობ და კიდევ ცოცხალი ხარ! (ოტია გადის) მადლობა ღმერთს, იოლად გადავრჩი! დედა, დედა, რას მიწყობდა ის კუდიანი! რა ვუყო ახლა ამ ტუფლებს? (შემოდის პეპელა) სხვა როგორ ხარ, ჩემო მაქციერა ჩიტო, ხომ არ დაიღალე?

პ ე პ ე ლ ა — ერთი შეხედე, აპრაკუნე, შეხედე, რას მიგავს ეს ჩემი მანიკურიანი თითები?

ა პ რ ა კ უ ნ ე — (თითებს ჩაუკოცნის) ცოტა კიდევ გაუძელ, გენაცვალე! მე აპრაკუნე არ ვიქნები, თუ შენ, მარიამის ჯიბრზე, ჩაის კრეფის რეკორდსმენის სახელი არ დაგიმკვიდრე რესპუბლიკაში...

პ ე პ ე ლ ა — უიმე, დედა!.. რას ვკრეფ ახლა ამდენს... დღეში 10 — 12 კილოგრამს ძლივს ვუყრი თავს!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჩემთვის რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა... რაოდენობაზე მე თვითონ ვიზრუნებ... წაგახმარ ქალებს, ხან კიდევ მოწაფეებს, ზოგს აქეთ დავაკლებ წონაში, ზოგს იქით, ავურევ, დავურევ და ბოლოს შენ თვითონ გაგიკვირდება ისეთი გმირი გახდები.

პ ე პ ე ლ ა — აბა, შენ იცი, აპრაკუნე...

აპრაკუნე — აი, ესეც ჩემი ყურადღების ნიშანი... უბრალო არ გეგონოს, ჩეხოსლოვაკიურია, შენთვის საგანგებოდ შეკეთინე. (ტუფლებს გადასცემს)

პეპელა — დედა, რა კოხტა შეკერილია!..

აპრაკუნე — ეს ერთი და სხვა მრავალი.

პეპელა — ჩემო ჯიღიანო ირემო...

აპრაკუნე — აბა, აბა! შენ ახლა ჯიღებს თავი დაანებე... წადი ხალხში და ხმა დაარხიე: აპრაკუნეს ნაცადი ხელმძღვანელობით ყველგან ენთუზიაზმი აიწია და საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ-თქო.

პეპელა — კი მაგრამ, დაიჯერებენ ახლა ამას?

აპრაკუნე — ვინც დაიჯერებს — დაიჯეროს, ვინც არა და, კისერიც უტეხია. აბა! დატრიალდი შენებურად. (აპრაკუნე მიდის, შემოდის ლეო)

ლეო — ეს რაო, როგორ დამძიმებული ფრთებით მიფრინავ, პეპელა?

პეპელა — აპრაკუნეს ეკითხოს ჩემი ცოდვა... იმან შემაბა ამ ულელში.

ლეო — (ჩაის გაუსინჯავს) ეს შენი მოკრეფილია?

პეპელა — არ მოგწონს, თუ რატომ მეკითხები?

ლეო — არ ვარგა, პეპელა, ცუდი ნაკრეფია.

პეპელა — აი, ასეთი მეწუნია რომ ხარ. იმიტომაა ქალი ვერ შეგირთავს.

ლეო — გაიგე, ტრესტიდან ინსტრუქტორია ჩამოსული... ეს რომ ნახოს აუცილებლად დაგიწუნებს.

პეპელა — ვნახოთ ერთი, როგორ დამიწუნებს!

ლეო — შენ ამას ახლა აპრაკუნეს იმედით ლაპარაკობ!

პეპელა — დედა, ეს რა გამიბედა! ჩემი კუბო ნახე თუ ეს აპრაკუნეს არ დაეუმარცვლო მძიეებიეით...

ლეო — აბა, შენ იცი, როგორ გაახარებ... (პეპელა გადის. ამ დროს გამოჩნდებიან აპრაკუნე და კუკური).

აპრაკუნე — სად არის, ბიჭო, ის ინსტრუქტორი, დაედევ და არ იქნა მისი ნახვა?!

კუკური — წელან ქვევით ვნახე, მარიამის ბრიგადა ინახულა.

აპრაკუნე — ინახულა, რა ავად ხომ არ იყო. ჯერ ჩემთან უნდა გამოცხადებულიყო... მე ვარ აქ უფროსი, მე ვხელმძღვანელობ საქმეს, მე ვაგებ პასუხს!

კუკური — კი, აპრაკუნე, პასუხსაც შენ აგებ და ტყავიც შენ გაგძვრება.

აპრაკუნე—წადი, დაიკარგე აქედან! (ეუცერი გადის) არა, აქ უთუოდ რაღაც ამბავია! ჯერ ფრთების გაშლა კარგად არც კი მომისწრია და უკვე კონტროლი თავს დამადგა! სად არის, ბიჭო, ის ვიღაც ინსტრუქტორიაო, რომ ამბობენ?

ლეო — გუშინ გრიგოლის კოლმეურნეობა დავათვალიერებინე. დღეს კი თქვენთან დაიწყო შემოწმება.

აპრაკუნე — თუ ძმობა გწამს, ლეო, პეპელას ნაკვეთი არ აჩვენო.

ლეო — რას ამბობ! ეს როგორ შეიძლება, აპრაკუნე!

აპრაკუნე — რატომ, ბიჭო? განა ჩემი საქმე მარტო პეპელაზეა დამოკიდებული?

ლეო — გუშინ ხომ ამბობდი — პეპელა ყველაფერი არისო, ახლა რა დაემართა?

აპრაკუნე — ესე იგი, არ გინდა ხომ?

ლეო — არა, აპრაკუნე, ეს საქმე არ გამოვა.

(ლეო გადის)

აპრაკუნე — აიტ, შე კუდიანო! მოგსპობ, მოგსპობ, თუ აპრაკუნე ვყოფილვარ... მაგრამ ახლა შენთვის არა მცალია... ახლავე ელვისებურად უნდა დავაწყო გეგმები! რა ვქნა, საიდან მივუდგე ახლა იმ ოჯახდასაქცევს, როგორ აეურიო გზა-კვალი! (შემოდიან ხახული და ბუხუტი. ეტყობათ ნასვამები არიან).

აპრაკუნე — სადა ხართ, კაცო, თქვენ? სად ჯანდაბაში დაიკარგეთ?

ბუხუტი — დაიქცეს ჩვენი დაბადება... სწორედ ჯანდაბაში ვიყავით დაკარგული!

ხახული — კვერცხის ასაკრეფად გაგეიშვა, ბაბა, სოფელში საბჭოს თავმჯდომარემ.

ბუხუტი — გადასახადის ამკრეფი ავად გამხდარა და იმის მაგიერ ეს საქმე ჩვენ დაგვავალეს.

აპრაკუნე — კაცს ცეცხლი მეკიდება და, კვერცხებისათვის მცალია ახლა, მე?!

ხახული — რა ვქნათ, ბაბა, ჩვენი რა ბრალია!

ბუხუტი — გვიბრძანეს, წადითო და ჩვენც წავედით... ხომ იცი, დარიკო ამის მონათლულია. როგორც კი ეზოში დაგვინახა, ქალმა უცებ გაშალა პურმარილი, ცოტა ხნით თავი ამაზე შეიქციეთ და მალე კვერცხებსაც გაახლებთო.

ხახული — ხო, ბაბა, რაღას ვიზამდით, დავჯექით, დავიწყეთ სმა და შევუყეთ ნელა-ნელა.

აპრაკუნე — სვამდით ხომ?

ბ უ ხ უ ტ ი — არა, ბოშო, ისე, ეწრუპაედით ცოტ-ცოტას.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე?

ხ ა ხ უ ლ ი — რაღა მერე. ბაბა... ხელცარიელ წამოსვლას ისევ მოცდა ვამჯობინეთ... დავჯექით და ვუყურყუტეთ იმ ქათამს, სანამ კვერცხს დადებდა.

ბ უ ხ უ ტ ი — ამ დროს დარიკო დიდ ფაციფუცში იყო. ხან რა მოჰქონდა სუფრაზე და ხან რა. ბოლოს ცხრა კვერცხიც მოიტანა და მეათეზე ასე მოგვიბოდიშა. მეათე კვერცხსაც ახლავე გაახლებო, გინაცვალე, აგერ დედალი მიზის ბუდეში და ცოტა შეიცადეთო.

ხ ა ხ უ ლ ი — ჰო-და, ჩვენც შევიცადეთ, ბაბა, სხვა რა გზა იყო...

ბ უ ხ უ ტ ი — ხო, ბოშო, შევიცადეთ, თუმცა... თუმცა დარიკოს მთელი გოდორი კვერცხი ჰქონია, მარა, ნათლიას დათრობა უნდოდა და როგორ მოგვეშვებოდა. გეიშოვნა ყელი და მოგვაძალა ჭინჭილი ჭინჭილაზე... ვზივართ ეზოში, ვსვამთ ღვინოს და ველოდებით, როდის გაგვაბედნიერებს ის ქათამი. ხან შეიკაკანებს ის ღმერთგამწყრალი, არიქა გვეშველა, გვგონია, სიხარულისგან წამოვხტებით და მივიჭრებით საბუდართან, მაგრამ არ არის!

ხ ა ხ უ ლ ი — აბა, არ არის!

ბ უ ხ უ ტ ი — კიდევ შეიკაკანებს და კიდევ მივაშურებთ ბუდეს... მაგრამ მაინც არ არის!

ხ ა ხ უ ლ ი — აბა, მაინც არ არის!

ბ უ ხ უ ტ ი — მთელი სამი საათი ასე გაგვაწვალა იმ სატურემ. ბოლოს, როგორც იყო დადო...

ხ ა ხ უ ლ ი — დადო, მაგრამ რა დადო, აი შეხედე, აპრაკუნე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას მასხრობთ, ბიჭო, თქვენ! ეს ორი კაცი ამ ერთი კვერცხის დადებას უცდიდით, იმდენი ხანი?

ხ ა ხ უ ლ ი — არა, ბაბა, სხვაგანაც უნდა წაესულიყავით, მაგრამ ბოლოს ნასვამი შეიქენით და...

ა პ რ ა კ უ ნ ე — (დაუყვირებს) წადით, დაიკარგენით აქედან!

(ხახული და ბუხუტი სიმღერით მიდიან სცენის სიღრმისაკენ. შემოდის არქიფო, ხახული და ბუხუტი შეჩერდებიან).

ა რ ქ ი ფ ო — მომილოცე, აპრაკუნე, მე უკვე საკუთარი სიტყვა ვთქვი მეცნიერებაში.

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ, ბიჭო?

ა რ ქ ი ფ ო — როგორ და, ჩემ საცდელ ნაკვეთში ათი საზამთრო გამოვუყავი. ყოველ დღე ცდებს ვახდენ და, თვითეულს ას-ას

გრამ კონიაკს ვუშხაპუნებ შპრიცით, დღეს ერთი გავჭერი და, აბა, ნახე ერთი, რა გემო და სურნელება აქვს!

აპრაკუნე — გააჭირე რა საქმე მაგ შენი მეცნიერებით...

არქიფო — არა, ჯერ კარგად გასინჯე, ნახე როგორი ნახელავია!

აპრაკუნე — აბა, მოიტა! (გასინჯავს). ბიჭოს! ნამდვილი კონიაკის სურნელება აქვს და, თანაც საზამთროს ცხოველი გემო შეუნარჩუნებია. ყოჩაღ, არქიფო! კი ხარ ნამდვილი მეცნიერი...

არქიფო — კი, მეცნიერებას გვირგვინი დავადგი თავზე! მაგრამ რად გინდა რა, მარიამსა და ლეოს მაინც ეერაფერში დაარწმუნებს კაცი!

ბუხუტი — მოდი ერთი ციცქნა ჩვენც მოგვეცი, აპრაკუნე!.. ეტყობა მაგ დოზანა მართლაც ძალიან კაი უნდა იყოს.

ხახული — ჰო, ბაბა, ჩვენც გემოს გაეუსინჯავთ, ძალას გავუგებთ.

აპრაკუნე — აბა, მიეცი, ბიჭო, ამათაც გაასინჯე!
(ხახულისა და ბუხუტის თითო ნაჭერს გაასინჯებენ).

ბუხუტი — დიდუჰ! რა კარგი ნახელავია... ერთი ციცქნა ჩაეყლაპე და, არ დამცეცხლა თავში! შენ არაფერს ატყობ, ხახულია?

ხახული — კი, ბაბა, კი, მეც ძალიან შემიხურა ძარღვები.

აპრაკუნე — ასეა, ხომ! აწი მე ვიცი!

ბუხუტი — აწი რაღა გვიჭირს! აღარც ღვინო დაგვჭირდება ქორწილში და აღარც ჭიქები, ვიტყვი ალავერდს, გადმოვალ სუფრაზე არქიფოს საზამთროს და, მორჩა...

აპრაკუნე — უყურე ახლა ამათ!.. კაცს საქმე ბოლომდე არც კი მიუყვანია და, უკვე დაიწყეს გამასხრება!

ხახული — არა, ბაბა, პირიქით... ჩვენ ძალიან მოგვეწონა. მხოლოდ საფიქრალი ის არის, ეს კონიაკი რომ ბევრი სჭირდება, თურმე!

აპრაკუნე — ეს მეც მაფიქრებს. ყოველ დღე, თვითეულ საზამთროს ას-ასი გრამი თუ ვუშხაპუნეთ, ეს ნამეტანია. ისედაც ბევრს საყვედურობენ კოლმეურნეები, დოვლათი ნიავდებაო.

არქიფო — შენ ფიქრი ნუ გაქვს... ეს მხოლოდ პირველად იქნება ასე.

აპრაკუნე — როგორ თუ პირველად?

არქიფო — ამას ხომ მიღებული აქვს კონიაკის საკმაო დოზა?

აპრაკუნე — კი.

არქიფო — ამის თესლზე რომ გაისად საზამთრო ამოვა, — იმას კი აღარ დასჭირდება ხელახლა კონიაკის შეშხაპუნება.

აპრაკუნე — მართლა, ბიჭო?

არ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბიჭოს! საკვირველია, ვგრძნობ, რომ ჩემზედაც იმოქმედა. მორჩა! მე ბიჭი არ ვიყო, თუ ის თბილისიდან ჩამოსული ქალი ამ საზამთროთი არ დავათრო!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ყოჩაღ, არქიფო! თუ ცოცხალი ვარ, გაისად ხუთ ჰექტარ ფართობს მაინც გამოგიყოფ ამისათვის, აბა, მთხოვე, ბიჭო, რაც გინდა. შეგისრულებ!

ა რ ქ ი ფ ო — აი, ის არის საჭირო, აპრაკუნე... ჩემს მიერ გამოყვანილი საზამთრო განსაკუთრებულ ნაკელს მოითხოვს....

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეს არაფერია, ნაკელის მეტი რა გვაქვს!...

ა რ ქ ი ფ ო — არა, განსაკუთრებული ნაკელია საჭირო, აპრაკუნე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მაინც?

ა რ ქ ი ფ ო — აბრეშუმის ჭიის, ან არადა, ფრინველის ნაკელი მაინც უნდა ვიშოვოთ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — მართლა, ბიჭო!

ა რ ქ ი ფ ო — ერთი-ხუთად ადიდებს მოსავალს.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჰეი, ბიჭებო, გესმით თქვენ!

ბ უ ხ უ ტ ი — რა იყო, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — დღეიდან ორივე არქიფოს საცდელ ნაკვეთში იმუშავებთ. თქვენ იცით, როგორ დაეხმარებით ამ კაცს ნაკელის შეგროვებაში.

ხ ა ხ უ ლ ი — დიდუჰ, ბაბაია! ეს რა გავიგონე! ცოტა დაუფიქრდი, რას ამპობს აპრაკუნე?!

ბ უ ხ უ ტ ი — რა გვიყავი, არქიფო, ეს? რატომ ჩადექი ჩვენს ცოდვაში?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბოლოსდაბოლოს, რა შუაშია, ბიჭო, ეს კაცი! თქვენ რომ ზარმაცობა გიყვარდეთ, ამისათვის მეცნიერების წინსვლას შევაჩერებ მე!..

ა რ ქ ი ფ ო — ჩვენ აქ მეცნიერებას ბურთივით მივაგორებთ წინ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, არქიფო, წაიყვანე ახლა ესენი და დააყენე სამუშაოზე... მე კი, წავალ და იმ ქალს მოვძებნი წაბლიანში. ინსტრუქტორია თუ რაღაცა. (შემოდის აქოშინებული ემოკრიტე)

ე მ ო კ რ ი ტ ე — დავიღუპეთ, საქმე ცუდად გვაქვს, შემოგველე... იმ თბილისიდან ჩამობრძანებულმა მთელი დღევანდელი ნაკრეფი ჩაი დაგვიწუნა.

(ხმაურზე საწყობიდან გამოდის ოტია).

ა პ რ ა კ უ ნ ე — ვერა ხარ კარგი მახარობელი.

ე მ ო კ რ ი ტ ე — მალე ის ქალი აქ გაჩნდება. მიმღები წერტილ უნდა შევამოწმოვო, ასე დაიქადა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, ოტია, არიქა, დატრიალდი... ხომ იცი, საქმე ცუდადაა... შესამოწმებლად მოდიან... თუ ცუდი ნაკრეფი ჩაი სადმე ნახო — მიფანტ-მოფანტე იქით-აქეთ. შენ, კი, ემოკრიტე, წამოდი ჩემთან, არქიფოს ნაკვეთში ერთი ყველაზე დიდი მათრობელა საზამთრო შევარჩიოთ და მოვტეხოთ იმ ქალს კისერი!

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, შემოგვეელე! (მიდიან)

ო ტ ი ა — რაო, აპრაკუნე? ცუდად ნაკრეფი ჩაი დამალეო? ეს როგორ მითხრა, მოტყუება რა საკადრისია! (ოტია გადის)

ა რ ქ ი ფ ო — აბა, წამოდით, ჩქარა...

ხ ა ხ უ ლ ი — სად, ბაბა, სად უნდა წამოვიდეთ?

ა რ ქ ი ფ ო — სად და, ნაკელის შესაგროვებლად... იარეთ სოფელ-სოფელ და როგორც მოახერხოთ ისე შეაგროვეთ...

ბ უ ხ უ ტ ი — როგორ თუ სოფელ-სოფელ! ის არ კმარა შენ რომ დაგცინიან! ახლა გინდა სოფელმა ჩვენც მასხარად აგვიღოს?

ა რ ქ ი ფ ო — ვინ დამცინის, ბიჭო, მე?

ბ უ ხ უ ტ ი — ყველა, სულელიაო, ასე გაიძახიან...

ა რ ქ ი ფ ო — ეს სულ თქვენი ხრიკებია... დადიხართ ხალხში და სახელს მიტეხთ... მე თქვენ გიჩვენებთ თვალის სეირს!

ბ უ ხ უ ტ ი — ვის, კაცო, ვის ემუქრები, შენ?

ა რ ქ ი ფ ო — ხმა, კრინტი, თუ არა, შეგვამ ძვლებიანად!

ბ უ ხ უ ტ ი — როგორ თუ შემვამ! მე შენ კოლმეურნეობის ქონება ხომ არ გგონივარ, ბოშო?!

ა რ ქ ი ფ ო — აბა დამხვდი, თუ ვაჟკაცი ხარ! (ბუხუტისკენ მიიწევს)

ხ ა ხ უ ლ ი — რას შერებით, ბაბა, რამ გადაგრიათ... სირცხვილია, ხალხი გაიგებს და თავი მოგვეჭრება! (ხახული არქიფოს იქერს. არქიფო უძალდება. ბუხუტი წამოაელებს ხელს ჭოლოკს და არქიფოს მოუქნევს. არქიფო გაიქცევა, ხოლო ჭოლოკი ხახულის მოხვდება ფეხზე) მიშველეთ, მომკლეს, გამათავეს... ვაი, ეკვდები, მიშველეთ, მომეხმარეთ...

ბ უ ხ უ ტ ი — რა იყო, ხახულია, რა დაგემართა?!

ხ ა ხ უ ლ ი — აი, აქ, ბაბა, აქ მომხვდა... მგონია კოჭის ძვალია გატეხილი.

ბ უ ხ უ ტ ი — გამაგრდი, ბოშო, ნუ გეშინია, ამით არ მოკვდები! (ნატკენ ადგილს ხელით უბზელს) აგერ, მარიამი მოდის, ხახულია... აბა, მოვუსვათ აქედან!

ხ ა ხ უ ლ ი — არა, ბაბა, არ შემიძლია სიარული. მე დამტოვე ფრონტზე და შენ მოუსვი.

ბ უ ხ უ ტ ი — მეგობარს გასაჭირში როგორ დაგტოვებ. მოდი, ზურგზე მომეკოტრე!..

(ამ დროს სიცილითა და კისკისით შემოეჭრებიან ჩაის მკრეფელი ქალები მარიამის მეთაურობით).

მ ა რ ი ა მ ი — რა იყო, რა მოხდა, რაზე ყვიროდი, ხახულია?

ხ ა ხ უ ლ ი ა — არაფერია, ბაბა, ცოტა ფეხი ვიტკინე და უკვე გაიარა...

მ ა რ ი ა მ ი — ჩვენ კი ვიღაცას კლავენო, ასე გვეგონა. აბა, გოგოებო, მოდით, დავისვენოთ პატარა.

ქ ი ო ნ ი ა — (ქალები ეთამაშებიან და წყლის შხეფებით ასველებენ ერთმანეთს) დედა! ეს რომ არ გვქონდეს, რა გეშველებოდა ამ გაგანია სიცხეში!

მ ა რ თ ა — ღმერთმა გაბრიელი გვიცოცხლოს ამ წყლის გამოყვანისათვის!

ქ ი ო ნ ი ა — გაბრიელმა თუ გამოიყვანა, ზედ აპრაკუნეს სახელი რად აწერია?

მ ა რ ი ა მ ი — რა ქნას აპრაკუნემ, უნდა ისტორიას შერჩეს მისი სახელი და წვალობს კაცი!

ო ტ ი ა — რა ამბავში ხართ, ქალებო, საქმე დაგელიათ?

მ ა რ თ ა — რა ვქნათ, აბა... დასვენებაა და თავი არ შევიქციოთ?

ო ტ ი ა — თავის შექცევა თუ გინდათ, აგერ დოლი და გარმონი მაქვს! (ოტია ხიდან დაირას ჩამოიღებს და უკრავს. ქალები მღერიან).

მ ა რ თ ა — აბა, გოგოებო, ახლა მარიამი და ოტია ვაცეკვოთ, ჩვენი მარიამი და ოტია...

ქ ა ლ ე ბ ი — ვაცეკვოთ! მარიამი ვაცეკვოთ, მარიამი...

ქ ი ო ნ ი ა — შენი ჭირიმე, მარიამ, ერთი გაშალე ხელები შენებურად!

მ ა რ ი ა მ ი — რას ჩამაცივდით, გოგოებო, ჩემს გარდა ვერავინ ნახეთ?

ო ტ ი ა — მერე, რა უჭირს, ქალო, მოდი და გვერდი დამიმშვენე. (ოტია ცეკვას იწყებს)

ქ ა ლ ე ბ ი — აბა, მარიამ, შენი ჭირიმე, მარიამ...

(ქალები მარიამს ძალით გაგდებენ წრეში. იგი შეეარდენიეთ ჩამოუქროლებს წრეს, ოტიას მკლავში ხელს გამოსდებს და ისე ცეკვავს)

ო ტ ი ა — თურმე, რა ცოლი მყოლია და არ ვაფასებდი... ახლა კიდევ უფრო მომეწონა ჩემი დედაკაცი! (ამ დროს შემოდის ლეო და შემოსკავს თამარი)

მ ა რ ი ა მ ი — დედა, ეს რა გვიყავი, ლეო! რა დროს დაგვაყენე თავზე ეს უცხო სტუმარი!..

ლ ე ო — არაფერია, კარგ მუშაობას კარგი დასვენებაც ესაჭიროება...

თ ა მ ა რ ი — რა, ცეკვა-თამაში არ მინახავს თუ?

ლ ე ო — აბა, ოტია, რას გაჩერებულხარ, შეათამაშე დაირა შენებურად... ახლა ეს ჩვენი სტუმარი უნდა ვაცეკვოთ...

თ ა მ ა რ ი — ლ ე ო!

(ოტია დაირას უკრავს, ლეო წრეში შეიკრება და თამარს საცეკვაოდ იწვევს. თამარი თავს იკრავს).

მ ა რ ი ა მ ი — გთხოვთ, თამარ... ძალიან გთხოვთ...

თ ა მ ა რ ი — არა, მარიამ, არ შემიძლია, ძალიან ცუდად ვცეკვავ...

მ ა რ ი ა მ ი — არა უშავს... ჩვენი ჯინჯრიკი თუკი ნახე, ეს თი შენი კენარი ტანის რხეეაც დაგვანახვე...

(მარიამი ძალად გაიყვანს თამარს, ლეო და თამარი ცეკვავენ. ქალები ტაშს უკრავენ... ამ დროს შემოდის აპრაკუნე, არჭიფო, ემოკრიტე, კიკიტია. აპრაკუნეს თან საზამთრო მოაქვს. როცა წრეს მიუახლოვდება, საზამთროს ემოკრიტეს გადასცემს და თვითონ წრეში შეიკრება, თამარი ცდილობს წრიდან გავიდეს, მაგრამ აპრაკუნე ყოველთვის მოხერხებულად მოუკრის გზას. ბოლოს იგი მაინც გაუსხლტება აპრაკუნეს და წრიდან გადის. აპრაკუნე შუბლიდან ოფლს მოიწმენდს, ემოკრიტეს საზამთროს გამოართმევს და თამარის წინაშე წარსდგება).

ა პ რ ა კ უ ნ ე — მაპატიეთ, ქალიშვილო... უფრო ადრე უნდა გხლებოდი, მაგრამ ამ საზამთროს ბრალია... ამან შემაგვიანა....

თ ა მ ა რ ი — რა საჭირო იყო, ბატონო, რატომ წუხდებოდით...

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაც მართალია, მართალია... კარგი საზამთრო მოგიტანეთ, ტკბილი და სურნელოვანი, მაგრამ უკეთესი თვითონ აქ დამხვდი — ვარდივით გაშლილი! სხვა რასა იქ, რა ნახეთ? როგორ მოგეწონათ აქაურობა, ხალხი, მუშაობა, პლანტაციები?

თ ა მ ა რ ი — კარგია.. ბევრი კარგი და საინტერესო ენახე აქ, მაგრამ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — (აწყვეტინებს). ვიცი, ვიცი, ზოგი რამ არ მოგეწონებოდათ, მაგრამ არაფერია, ამ ეტაპზე რაც კარგია, იმაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება...

თ ა მ ა რ ი — პირიქით, ბატონო, მთავარი ყურადღება ჩვენ ახლა ნაკლზე უნდა გავამახვილოთ. ნაკლია აღმოსაფხვრელი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, კი... რაო! ნაკლიო?!

თ ა მ ა რ ი — გუშინ, მაგალითად, მარიამის ბრიგადის ნაკრეფი ჩაი ენახე და ძალიან მომეწონა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ხომ კი?

თ ა მ ა რ ი — ზოგიერთ სხვა ბრიგადებსაც არა უშავთ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, კი, ყველგან ასე გვაქვს საქმე დაწყობილი.

თ ა მ ა რ ი — მაგრამ მესამე ბრიგადას რომ ქალი ხელმძღვანელობს — მგონი პეპელას ეძახიან — იმისი ნაკრეფი ჩაი არაფრად ვარგა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ გეკადრებათ!... აქ უთუოდ რაღაც გაუგებრობაა! (შემოდის აღელვებული პეპელა, მას უკან მოსდევს სოფიო, კვარკვალიტა და მატრონია).

პ ე პ ე ლ ა — ერთი ნახე, აპრაკუნე, კარგად შეამოწმე, ამ ქალმა რა ჩაი დაგვიწუნა... განა ეს არის დასაწუნი?

ა პ რ ა კ უ ნ ე — კარგი, ნუ ღელავ, პეპელა...

პ ე პ ე ლ ა — ვინა, ვინ უნდა დამიწუნოს ნამუშევარი!.. ნეტა ეს თვითონ რის გამკეთებელია, რით არის ჩემზე უკეთესი?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — პეპელა!!!

პ ე პ ე ლ ა — რა, პეპელა! ჯერ გაიგე, რა გვიყო ამ ქალბატონმა! ჯერ ლანძღვა დაგვიწყო, შემდეგ ესეც რომ არ იკმარა, მოკრეფილი ჩაი ყველას სახეში მოგვაყარა...

ხ მ ე ბ ი — ტყუილია, ტყუილი!..

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო, რაო?

პ ე პ ე ლ ა — რას გაჩუმებულხართ, ქალებო, სოფიო, კვარკვალიტა, დეიდა მატრონია, ამოიღეთ ხმა! (ქალები შეიშმუშნებიან, მაგრამ ვერაფერს ამბობენ პეპელას გასამართლებლად).

ა პ რ ა კ უ ნ ე — აი რაში ყოფილა საქმე!

ე მ ო კ რ ი ტ ე — დიდ ხმაურს ნუ აეტეხთ, შემოგევლე, ცოტა ჩვენც დავთმოთ, თუ არა, ბოლოს ეს საქმე გაძნელდება.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რის დათმობა! ამისათვის სისხლს დაღვრი მე!

თ ა მ ა რ ი — დედა, ეს რა მესმის!.. ლეო, მარიამ, ეს ვინ გყოლიათ აქ?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ვინაა ეს წიწილა? გამიშვით, ახლავე გაებდღვნი ქორივით!

მ ა რ ი ა მ ი — რას ბედავ! ფეხი არ დაძრა ადგილიდან!

ლ ე ო — არაფერია, თამარ, აპრაკუნეს ჩვენ გავცემთ პასუხს...

თ ა მ ა რ ი — ჩემთან რა უნდა, მე რა ვუქენი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ თუ რა მიქენი! შენ გინდა განზრახ ჩააგდო პეპელას ბრიგადა... და მერე იცი, ვინ არის პეპელა? ამისთანა ჩაის მკრეფელი მეორე არა გვყავს რაიონში!

მ ა რ ი ა მ ი — ცოტა ქვევით, აპრაკუნე, ქვევით ჩამოხტი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ქვევით რა მინდა! განა პეპელა ცუდი მკრეფე-

ლია? მართალი თუ გინდა, შენ პეპელას ტუფლადაც არ ღირხარ!

მარიამი — კი, ძვირი დაგიჯდა, აპრაკუნე, ბევრი გაქვს მიცემული შიგ.

პეპელა — დედა, ეს რა თქვა, როგორ მომწამლა, გულ-ღვიძლზე შხამი გადამარო!

აპრაკუნე — არქიფო, გვეყოფა ახლა ამათთან ამდენი ჭკუის ჭყლეტა. ჩქარა, ეს გოგო ჩემთან წამოიყვანეთ!

თამარი — შენთან? რა მინდა შენთან? მე ვიცი ახლა სადაც წავალ... (თამარი მიდის).

აპრაკუნე — (უკან გაედევნება) სად გარბიხარ! თუ აპრაკუნე ვყოფილვარ, მე შენ გიჩვენებ თვალის სეირს!

ოტია — ხალხო, გაიგონეთ ეს რა თქვა აპრაკუნემ?!

ლეო — მართალია. რაღაც ცუდი განზრახვით გაეკიდა?!

მარიამი — ოტია, ლეო, მომყევით, ხალხო, აპრაკუნემ სირცხვილი არ გვაჭამოს!

ფარდა

მოქმედება მესამე

სურათი მესამე

ყოლმეურნეობის კანტორის ეზო. კანტორის ფიანზე პარიკმახერი აპრაკუნეს წვერს პარსავს.

პ ა რ ი კ მ ა ხ ე რ ი — ხომ არ გტკენს, ბატონო?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ცოტა ნელა, ბიჭო, არ გამკაწრო... ჰუ, ჰუ, ეს რა მიქენი, კაცო?..

პ ა რ ი კ მ ა ხ ე რ ი — არაფერია, ბატონო, ცოტა გამოყონა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას ჰქვია, გამოყონა... ამდენი სისხლი ფრონტზე არ დამიღვრია მე! (შემოდიან სოლომონი და მალაქია)

მ ა ლ ა ქ ი ა — (ყვარცხლბეკის ძვიდეს ფეხს წამოკრავს და წაიბორძიკებს) ოი, შენ დამდგმელს მიაკვდეს ძაღლი სამარეში!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ა, მოვიდნენ აგერ, მშვიდობის მაძიებელნი!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — შეიძლება, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა გინდათ, ბიჭო?

მ ა ლ ა ქ ი ა — კაცო, ამ ქვეყანას პატრონი აღარა ჰყავს?

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, მე რა მოხელე ვარ აქ?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თუ ასეა, აბა გვიშველე რამე. შემოგვიჩნდა ის შენი აგროტექნიკოსი არქიფო და ხალხს მოსვენებას აღარ გვაძლევს.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო, რა მინდაო?

მ ა ლ ა ქ ი ა — საბალახო ადგილზე გვეცილება, ჩამოგვიჭრა სამი ჰექტარი და თავისთვის შემოღობა... მეცნიერული ცდებისთვის მჭირდებაო, ასე გაიძახის.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მაგრამ არც ჩვენ დაგვიყრია ფარხმალი... მოგვივიდა გული და მისი შემოღობილი სულ ერთბაშად გადავარღვიეთ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე და, ჩემთან რაღა გინდათ! საქმე თქვენ უჩემოდ გადაგიწყვეტიათ.

მ ა ლ ა ქ ი ა — მართალია, უთქვენოდ გადავწყვიტეთ, მაგრამ, ამ დილით ისევ მოსულა ის წუნკალი და, ჩვენი გარღვეული სულ თავიდან ბოლომდე შეუღობავს!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე რა მოხდა! თუ შეუღობავს, მიდით და ისევ გაარღვიეთ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — რას ამბობ, კაცო, თუ არ გააფრთხილე, მოვა ის ნაგიჟარი და ისევ შეღობავს ჩუმათელა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — თუ შეღობავს — თქვენც ხელახლა გაარღვიეთ და ამით გათავდება საქმე.

მ ა ლ ა ქ ი ა — ცოდვა ვართ, აპრაკუნე, ცოდვა... ამდენი რღვევით სულ დავიხოცებით ხალხი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე და, მაგას რა ჯობია! თქვენ თუ რღვევით დაიხოცებით, იმას კიდევ ღობვით ამოხდება სული და, ერთი კუთხე უცებ გაიწმინდება აბეზარი ხალხისაგან.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — რას ამბობ, კაცო! რაკი ასეა, წავალთ ახლა და აღმასკომში ვიჩივლებთ, აღმასკომში... წავიდეთ, მალაქია!

ა პ რ ა კ უ ნ ე — თქვენ გგონიათ, ბიჭო, ამ საქმეს აღმასკომი გადაწყვეტს? ის, ბიძია, ამ თქვენ განცხადებას რაიაღმასკომის თავმჯდომარეს გაუგზავნის, აღმასკომის თავმჯდომარე — სასამართლოს თავმჯდომარეს... ამდენ ტრიალში თუ არსად დაიკარგა თქვენი განცხადება — იგი ისევ მე დამიბრუნდება დასკვნისათვის. მე კი მაშინაც იმას გეტყვით, რასაც ახლა გეუბნებით. ხომ კმაყოფილი ხართ ახლა, ყმაწვილებო?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — არაფერია, მაგასაც ვნახავთ, აპრაკუნე! აბა, წავიდეთ, მალაქია. (მიდიან. აპრაკუნე კაბინეტში შედის. მცირე ხნის შემდეგ კანტორის ეზოში ცხარე კამათით შემოდიან: გაბრიელი, მარიამი, თამარი, ლეო და კუკური)

თ ა მ ა რ ი — არა, ამხანაგებო, თუ სხვა არაფერია, მე ჩემი ამბავი დამითმია!..

გ ა ბ რ ი ე ლ ი — რას ამბობ, თამარ! როგორ თუ დაგვითმია?

თ ა მ ა რ ი — რაც იყო, იყო, არ არის საჭირო ზედმეტი ხმაურის ატეხა.

მ ა რ ი ა მ ი — ეს შეუძლებელია! აპრაკუნეს გუშინდელი უხეშობა არ უნდა შერჩეს!

ლ ე ო — არც შერჩება.

კ უ კ უ რ ი — აი, ეს მესმის, ასე გაბედულად რომ გვემოქმედნა, აპრაკუნე მოგვერეოდა ჩვენ?

გ ა ბ რ ი ე ლ ი — აბა, კუკურია, მოდი, წაიღე ეს ფურცლები და ბრიგადებში დაარიგე. ეს კი მანდ გააკარი, ლეო!

მ ა რ ი ა მ ი — აი, ახლა გამოჩნდება. ენახოთ, ღია პარტიულ კრებაზე რა პასუხს გაგეცემს აპრაკუნე. (ამ დროს კანტორიდან გამოდიან აპრაკუნე, არქიფო და ეფოკრიტე. კიბეზე სიმღერით ჩამოდიან)

ა პ რ ა კ უ ნ ე — თუმც დაგშორდი, გულ ახლაც გიგონებს,
დიდად ვწუხვარ, განა არ მებრალები,
მაგრამ რა ვქნა, შემოყვარდა მე სულ სხვა...

ა რ ქ ი ფ ო
ე მ ო კ რ ი ტ ე } მე სულ სხვა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — სად შენი და სად იმისი თვალები...

ა რ ქ ი ფ ო
ე მ ო კ რ ი ტ ე } თვალები.

ა პ რ ა კ უ ნ ე — კუკურია, რა არის, ბიჭო, ეს, რა ფურცლები გიჭირავს ხელში?

კ უ კ ურ ი — კრებაა დანიშნული, აპრაკუნე... ღია პარტიულ კრებას ვიწვევთ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო? რა დროს კრებაა, ბიჭო! ასეთ გაწამაწიაში, კრებისათვის მცალია ახლა მე?

გ ა ბ რ ი ე ლ ი — არაფერია, მოიცლი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — (თითქოს ახლა შეამჩნია) ო, გაბრიელს ვახლავარ, გაბრიელს... დამუშავებას მიპირებთ, ბიჭო, ხომ?

ლ ე ო — ეს ხვალ ვნახოთ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ო, ჩვენ ლეოს სალამი, ლეოს!.. კუკურია, მოდი აქეთ, ბიძიკო, მოდი...
(კუკური აპრაკუნესთან მივა. აპრაკუნე უცებ გამოგლეჯს ხელიდან ფურცლებს და დახევს) აი, ესეც თქვენი კრება!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ეს რა ჰქენ, რას სჩადი, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ხომ ხედავთ, საკითხი ხმის უმრავლესობით გადავწყვიტე.
(სამივე ხელებს აიშვერენ ზევით).

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ვნახოთ, აპრაკუნე, სანამდე იპარპაშებ ასე! შენ დროებით შეგიძლია ატყუო ვარდენი. ზოგიერთებიც შეცდომაში შეიყვანო. აქა-იქ საქმენიც ჩაფარცხო შენებურად, მაგრამ იცოდე, ხალხის მოტყუებას შენ ყოველთვის ვერ შეძლებ!

ა პ რ ა კ უ ნ ე—უჰ, რა ენა გაქვს, ბიჭო, მათხოვე, თუ ძმა ხარ, შენს მოწვეულ კრებაზე დამჭირდება თავის დასაცავად!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ჩემი რად გინდა, ლაყბობისათვის შენიც გამოდგება.

ე მ ო კ რ ი ტ ე — აუჰ, ეს რა თქვა, შემოგევლე?!

ა რ ქ ი ფ ო — არა, ამას ჭინჭრაქას გულიც არ მოითმენს!

ა პ რ ა კ უ ნ ე — თქვენ იცით, ბიჭო, ამ ქალმა რა საქმე გამიფუჭა მე? ის ოთხი ტონა ჩაი რომ არ დაეწუნებია, ახლა მე უკვე ფონს ვიქნებოდი გასული და ქვეყანა ჩემზე ალაპარაკდებოდა, ესე იგი ჩვენზე!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — არაფერია, ქვეყანა ახლაც ალაპარაკდება შენზე... ჯერ სადა ხარ, ახლა რაიონში მიდივარ და იქ ვნახოთ... წამოდი, თამარ, წავიდეთ, ამხანაგებო! (გაბრიელი მიდის, მას თან გაყვებიან: მარიამი, თამარი, ლეო და კუკური).

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჰო, ჰო, რა დღეში ვარ კაცი, რა დღეში! იქით გეგმები, აქეთ ეს ინტრიგები...

ე მ ო კ რ ი ტ ე — კი, კი, ძალიან გაჭირდა საქმე, შემოგევლე. ძალიან!

ა პ რ ა კ უ ნ ე — არაფერია, ბუზსაც ვერავინ ამიფრენს წინ!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ როგორ ატყობ, ბიჭო, ცოტა რომ უფრო მიეძალოთ, — ვერ გამოვძვრებით ამ ჩიხიდან?

ე მ ო კ რ ი ტ ე — რა ვიცი, შემოგევლე... საქმე ჯერ კარგად მიდიოდა, შემდეგ ცოტა ბორძიკი დაიწყო. მერე ისევ გამოკეთდა ცოტა ხნით, მაგრამ ახლა, ამ ინსტრუქტორმა ქალმა ისე ავირია ყველაფერი, რომ გეგმის საქმეში სულ დაირღვა ყოველგვარი დიალექტიკა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — თქვი, ბიჭო, გარკვეეთ, რამდენია დანაკლისი?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ზუსტად ოთხი ტონა, შემოგევლე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — აუ! უკვე ავირიე კაცი!

ა რ ქ ი ფ ო — გამაგრდი, არ წახდე, აპრაკუნე!..

ე მ ო კ რ ი ტ ე — არის ერთი გამოსავალი, შემოგევლე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — თქვი, კაცო, რა არის ამისთანა?

ე მ ო კ რ ი ტ ე — როგორც ვიცი, გრიგოლს ამ თვის გეგმა უკვე შესრულებული აქვს... გვასესხოს ერთი ოთხი ტონა და მომავალ თვეში აუცილებლად გადავუხდით.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მალადეც! (ტელეფონს მიაშურებს) გრიგოლი მომეცი, გრიგოლი! ალო! ა, შენა ხარ, ამხანაგო გრიგოლ! ერთი სათხოვარი მაქვს და, იმედია არ გამაწბილებ. რა იყო, კაცო, ჯერ არაფერი მითქვამს და რამ შეგაშინა! ხო, ხო, ახლა მჭირდება შენი დახმარება თუ შეგიძლია, ცოტახნით, ოთხი ტონა მოკრეფილი ჩაი უნდა მასესხო... რაო? არა გრცხვენია, ბიჭო, უარს მეუბნები? რის გეშინია, კაცო, ვინ გაგვიგებს? გრიგოლ, ამხანაგო გრიგოლ! ალლო! ფუ, შეგარცხვინა ღმერთმა. რა ვქნა ახლა, მე. როგორ გამოვძვრე ამ ჩიხიდან. ნუთუ რეკორდის საქმე ჩამეშლება? რაო, ბიჭო, რამდენიაო დანაკლისი?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ზუსტად ოთხი ტონა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — არ დაიკლო? (შემოდის კიკიტია).

კ ი კ ი ტ ი ა — რა მოხდა, ჭირიმე, ასე მწარედ რამ დაგაღონათ?

ა პ რ ა კ უ ნ ე — დაღონდები, აბა, რა იქნება! (ჩაის ბუჩქებს უჩვენებს) ა, ამაზე ვარ კაცი დამოკიდებული. ეს კი, გაჯიუტებულა და არ შვება ხეირს... ქოსა კაცივით, ეგერ-აგერ, თითო-ოროლა ფოთოლს გამოისხამს და დგას ასე გამოჩერჩეტებული.

ა რ ქ ი ფ ო — აბა, ასე გაგვაწვალა! არც თავისთვის შვება ხეირს და არც ჩვენთვის!

კ ი კ ი ტ ი ა — მერე-და, ამისთვის რამ დაგაღონათ, ჭირიმე? მე თუ მოვინდომე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ, კაცო?

კ ი კ ი ტ ი ა — საქმე, ჭირიმე, საბუდარში ჩაწყობილ კვერცხებივით მაქვს დალაგებული და, თუ დამიჯერებ, შენთვის ბედნიერებას გამოვაჩეკინებ...

ა რ ქ ი ფ ო — არიქა, გვიშველე, კიკიტია!

კ ი კ ი ტ ი ა — დღეს, ჭირიმე, გრიგოლმა ველარ მოასწრო ჩაის ჩაბარება. მთელი დღის ნაკრეფი მიმღებ პუნქტში აქვს შენახული... შევიპაროთ ღამე და მორჩა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბიჭოს! არ დავიბადე კაცი!

კ ი კ ი ტ ი ა — კი, ჭირიმე, ამით ორ კურდღელს დავიჭერთ... ჩვენს ჩამორჩენას თავს დავაღწევთ და გრიგოლს გმირობის საქმეს ჩავუფუშავთ!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ე მ ო კ რ ი ტ ე — აჰ! მოპარვა არამც და არამც არ ივარგებს, რამე სხვა უნდა იმასვქნათ, შემოგველე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, აბა! აქ პესიმიზმსა და დაბნეულობას არ ჰქონდეს ადგილი! (არქიფო გადის).

ე მ ო კ რ ი ტ ე — ისეთს ნურაფერს იმასვიზამთ, შემოგველე, რომ შემდეგ კანონმა გაგვამტყუნოს!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რის კანონი, ბიჭო! კანონი რომ ერთ წიგნად დაიბეჭდება — მერე სამი გამოდის იმის გვერდის ასაველელად.

ე მ ო კ რ ი ტ ე — არა, შემოგველე, ეგ საქმე არ ივარგებს!.. რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს... წუხელის ცუდი სიზმარი ვნახე...

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა ნახე ასეთი?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვითომ ქორწილში ვიყავით და სისხლივით წითელ ღვინოს ვსვამდით.

ა პ რ ა კ უ ნ ე — დაიკარგე, იქით! ცხადში ვერ სვამ, შე უბედურო, და სიზმარში მაინც დალიე, არაფერი გიჭირს! კიკიტია, რას ატყობ, ამაღამ ამინდი გვიღალატებს?

კიკიტია — ცა არ მომწონს, ჭირიმე, ჰაერი რაღაც აკრილ რძესა ჰგავს, მაგრამ...

აპრაკუნე — არაფერია, თავსხმა რომ იყოს, ისიც ვერ შემაჩერებს...

კიკიტია — აბა, ხალხი შეაგროვეთ და ცოტა ხანს აქ დამიცადეთ! (კიკიტია გადის. შემოდის არქიფო).

არქიფო — საქმე კარგად ვერ არის, აპრაკუნე!

აპრაკუნე — რა მოხდა, ბიჭო?

არქიფო — ყველგან დიდი ქოთქოთი და მზადებაა. კრებას იწვევენ... განცხადებით უკვე აკრელებულია მთელი სოფელი.

აპრაკუნე — როგორ გაბედეს! მე იმათ ვუჩვენებ თვალის სეირს. აბა, არქიფო, გასწი, ჩქარა და სადაც კი ნახო განცხადება, — ყველგან ჩამოხიე, პასუხს მე ვაგებ... მე ჩამაბარეს ეს ქვეყანა და, მე თვითონ მოვუელ!

არქიფო — არ უნდა ლაპარაკი! (არქიფო გადის, შემოდიან ხახული და ბუხუტი).

ხახული — რა იყო, ბაბა, რა საქმეზე დაგვიბარე?

აპრაკუნე — ძალიან დიდი საქმეა და, აბა, თქვენ იცით. უნდა დაფაცურდეთ და დამეხმაროთ...

ბუხუტი — კი, მარა, დღე წანწალი არ გვეყო, ამ ღამე რა საქმე გამოჩნდა ამისთანა?

აპრაკუნე — რა საქმე და, გრიგოლის საწყობში უნდა შეეიპაროთ ჩუმად და იქიდან ოთხი ტონა ჩაი წამოვიღოთ.

ხახული — როგორ, ბაბა, უნდა მოვიპაროთ?

აპრაკუნე — არა, მოპარვა რა შუაშია, მაგრამ ისე უნდა წამოვიღოთ, რომ გრიგოლმა ვერაფერი გაიგოს.

ბუხუტი — ეს საქმე არ ივარგებს, აპრაკუნე.

აპრაკუნე — რატომ, ბიჭო?

ხახული — გავილანძღებით, ბაბა, როცა გაიგებენ, სოფელში თავი მოგვეპრება.

აპრაკუნე — მერედა, მაგის გეშინიათ?

ბუხუტი — რატომაც არ გვეშინია. ჩვენ, ბოშო, სოფელში მართალსა და სწორ კაცს გვეძახიან.

აპრაკუნე — დაიკარგეთ იქით! სადაც თქვენ ცხოვრობთ, ბიჭო, იმ კორტოხზე ხე არ იზრდება სწორად და თქვენ კიდევ სისწორეზე მელაპარაკებით!

(შემოდიან: კიკიტია, არქიფო, პეპელა, ეპიფანე, კვარკვალტა და სხვები).

კიკიტია — უკვე ყველაფერი მზად არის, ჭირიმე, იერიში ღელი-

დან უნდა მივიტანოთ, ტყიანი ადგილია და ვერავინ დაგვინახავს.

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, სიჩუმე ამხანაგებო! მომენტი ძალზე კრიტიკულია. საჭიროა ახლავე წავიდეთ გრიგოლის ჩაის საწყობში და იქიდან ყოველგვარი ხმაურის გარეშე ოთხი ტონა პირველი ხარისხის ჩაი წამოვიღოთ. დიახ, ახლავე უნდა მივიღოთ ეს ისტორიული გადაწყვეტილება: ან გმირობა, ან სიკვდილი! ასე დგას ახლა ჩვენ წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი. აბა, მოეწყვეთ! მე ყველაფერში მხედრული დისციპლინა მიყვარს! კიკიტია და არქიფო დაზვერვაზე!.. ნაბიჯით იარ! (იწყებს სიმღერას)

გალიაში გამოგზარდე, ბოშო, ჩარი,
ჩარი, ჩარი, ჩარიერამა, ჰე, ჰე...

(ყველანი სიმღერით მიდიან. ხახული და ბუხუტი გაპარვას აპირებენ, მაგრამ ემოკრიტე ისევ მწყობრში ჩააყენებს მათ).

ფარდა

მეოთხე სურათი

ბექობი ამწვანებული ბუჩქნარით. მარცხნივ ტოტებდახლართული ბებერი ხე. მთვარიანი ღამეა. გორაკებზე მოჩანს ოდა-სახლები. სცენის სიღრმეში ჩაის საწყობია, ჩაის საწყობიდან ისმის გრიგოლის განკარგულება.

გ რ ი გ ო ლ ი — ეჰეი, გოგია, ეპიფანე, სადა ხართ, კაცო! იჩქარეთ, თორემ საცაა მოვლენ ხუნხუზები!

ხ მ ა ს ა წ ყ ო ბ ი დ ა ნ — უკვე მოვრჩით, გადავმალეთ... საწყობში ჩაის ერთი ფოთოლიც აღარ არის...

გ რ ი გ ო ლ ი — აბა, ჭინჭარი, ჩქარა... საწყობის თაროები სულ ჭინჭრით გამოავსეთ...
(შემოდის არქიფო).

ა რ ქ ი ფ ო — რა ჰქენ, გრიგოლ, საწყობი სულ დაცალე?

გ რ ი გ ო ლ ი — კი, ჩაი უკვე საიმედო ადგილას გადავმალე.

ა რ ქ ი ფ ო — აბა, რაღას მემართლები, გამისწორე ანგარიში.

გ რ ი გ ო ლ ი — რას ამბობ! როდის იყო, რომ ასეთ საქმეში ფულს ვიძლეოდი?

ა რ ქ ი ფ ო — კი მაგრამ...

გ რ ი გ ო ლ ი — არავითარი მაგრამ... შენ აქ აპრაკუნეს მეურნეობა ხომ არ გგონია! იკმარე მადლობა და გასწი აქედან...
(გრიგოლი გადის)

ა რ ქ ი ფ ო — ეჰ, სად წავაგე ჭკუა! ღირდა ახლა ამისათვის წანწა-

ლი! სინდისი გროშზე გავყიდე და ისიც ვერ გავინაღდე, ფუჰ! (შემოდის კიკიტია).

კ ი კ ი ტ ი ა — ოი, შენ სინდისს ვენაცვალე, არქიფო! სად მიიპარე-ბი, დაიცა საქმე მაქვს შენთან!

ა რ ქ ი ფ ო — ჩემთან?

კ ი კ ი ტ ი ა — გრიგოლისაგან რომ ფული მიიღე, ნახევარი შენ და ნახევარი მე.

ა რ ქ ი ფ ო — მოწყდი თავიდან... (წასვლას აპირებს).

კ ი კ ი ტ ი ა — არა, ჭირიმე, სანამ ფულს არ გამიყოფ, ვერ მოგშორ-დები.

ა რ ქ ი ფ ო — არ მომშორდები და, მდიე კუდში...

კ ი კ ი ტ ი ა — შენ დევნაში რა ხეირია... აგერ, აპრაკუნესთან მივალ და ყველაფერს დავუკაკლავ. მშვიდობით, ჭირიმე!

ა რ ქ ი ფ ო — (იჭერს) მოიცა, კაცო, მოდი მოვრიგდეთ...

კ ი კ ი ტ ი ა — ნახევარს იძლევი, ჭირიმე, თუ არა?

ა რ ქ ი ფ ო — რის ნახევარს, კაცო! მე გრიგოლისაგან არაფერიც არ მიმიღია!

კ ი კ ი ტ ი ა — დიდი ხათრი მაქვს, ჭირიმე შენი, მაგრამ სანამ ფულს არ მომცემ...

ა რ ქ ი ფ ო — (ფულს. გადაუგდებს) აბა, იცოდე ჩემ ფულს გაძლევ... ოღონდ არსად არაფერი წამოგცდეს, თორემ... (არქიფო გადის)

კ ი კ ი ტ ი ა — (მარტო) კაი გვარიანი თანხა შემიგროვდა... ამას ვე-ნაცვალე, მე! ფულისთანა კაი საქონელი მეორე არ არის ქვეყანაზე... ზაფხულში გრილია და ზამთარში თბილი... მაგრამ რად გინდა, რა... სანამ შენ ჯიბეში გადმოვიდოდეს, დიდი წვა-ლება და თავის შეწუხება უნდა... წავალ ახლა, გამოვეკიდები გრიგოლს და გავიგებ ჩაი სად გადამალა. მერე ამ ცნობას აპრაკუნესთან გავასაღებ... ჰო, ჰო, ჰო, რა მოღვაწეობაში ვართ ხალხი გართული. (კიკიტია გადის. მცირე ხნის შემდეგ, სხვადასხვა მხრიდან ბობღვით შემოდიან ხახული და ბუხუტი)

ხ ა ხ უ ლ ი — სადა ხარ, ბაბა, ბუხუტია? სად დაიკარგე?

ბ უ ხ უ ტ ი — სუ! ჩუმად! დღეობაში კი არა ვართ, ბოშო!

ხ ა ხ უ ლ ი — ეს საქმე, ბაბა, რაღაც არ მომწონს ჭკუაში!

ბ უ ხ უ ტ ი — რატომ, ხახულია?

ხ ა ხ უ ლ ი — რატომ და, მოპარვა რა საკადრისია... თუ შნო გაქვს, ბაბა, ისე უნდა ივარგო კაცმა. (შემოდის კუკური რამდენიმე ახალ-გაზრდის თანხლებით)

ბ უ ხ უ ტ ი — ეჰ, დავიღუპეთ, ხახულია... ჩვენი კომკავშირის მდივანი მოდის აქეთ... სად დავიმალოთ?

ხ ა ხ უ ლ ი — რა დროს დამალვაა, ბაბა! პირიქით, შევაჩეროთ და ვკითხოთ, რა ხდება ქვეყანაზე.

ბ უ ხ უ ტ ი — სად ყოფილხარ, კუკურია? რა გაქვს ამ ჩანთაში, ასე ვაი-ვაგლახით რომ მოათრევ?

კ უ კ უ რ ი — რეკვიზიტია, რაიონმა გვათხოვა. პიესას ვდგამთ და... თქვენ რას აკეთებთ აქ?!

ხ ა ხ უ ლ ი — ვისვენებთ, ბაბა, ქვევით ვიყავით სამუშაოდ და შემოგვაღამდა გზაზე...

კ უ კ უ რ ი — იმუშავეთ, იმუშავეთ, იქნება გმირობა მიაღებინოთ იმ თავქარიან აპრაკუნეს.

ბ უ ხ უ ტ ი — ჩუმად, ბიჭო, იქნებ აქ არის სადმე, ის შეჩვენებული.

ქ ი ო ნ ი ა — მერედა, ასე ძალიან გეშინიათ აპრაკუნესი?

ბ უ ხ უ ტ ი — მოდი და ნუ შეგეშინდება შენ... ბაყბაყდევია...

კ უ კ უ რ ი — ბაყბაყდევი კი არა, კურდღელივით მფრთხალი და მშიშარაა.

ბ უ ხ უ ტ ი — აპა, აპა!

ქ ი ო ნ ი ა — თქვენთან არის ასე გულადი! აბა, ჩემთან გაბედოს ერთი!

კ უ კ უ რ ი — აგერ ისიც, აბა, ჩქარა მიიმალეთ... მე თქვენ ახლავე გაჩვენებთ, თუ რა ვაჟკაცია ეს თქვენი ბაყბაყდევი. (ხახულ და ბუხუტი მიიმალებიან... კუკური ჩანთიდან ხალათს ამოიღებს და გადაიცვამს... ხელში დამბაჩას დაიჭერს და ხეს მოეფარება. შემოდის აპრაკუნე).

ა პ რ ა კ უ ნ ე — ხახულიია!.. ბუხუტიია! სად არიან, სად დაიკარგენ? ალბათ გაიპარენ? მე თქვენ გიჩვენებთ თვალის სეირს... მამაძაღლები! რა სიჩუმეა! ნეტა სად წავიდნენ! (კუკური ყაჩაღურად გამოწყობილი გამოხტება საფარიდან და აპრაკუნეს დამბაჩას დაუმიზნებს).

კ უ კ უ რ ი — ხელები ზევით!..

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჰეი, მიშველეთ, მომეხმარეთ...

კ უ კ უ რ ი — ხმა, კრინტი, ან სული, ან ფული!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რის ფული, რის სული... ვინა ხარ, კაცო, შენ?

კ უ კ უ რ ი — ყაჩაღი გახლავარ, ყაჩაღი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — არ მომკლა, კაცო, შემიბრალე! აი, სულ ეს არის ჩემი კაპიტალი!.. თუ გინდა, წაიღე!

კ უ კ უ რ ი — ეს რა არის! მასხარად მიგდებ?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა ვქნა, შემოგიარე, ჯიბეში მეტი არა მაქვს. ახლა

ეს იკმარე და მერე ისეთ სიკეთეს გაგიწევ, ისეთს, რომ...

კუკური — რა სიკეთეს?

აპრაკუნე — მთავრობასთან შეგარიგებ.

კუკური — ამაოდ ცდილობ...

აპრაკუნე — კი, მაგრამ, ყაჩაღობაში იმდენს რას იშოვი? ჩემთან წამოდი, საწყობის გამგედ მოგაწყობ და მალე შავი დედალივით გაკეთდები!

კუკური — არა! ფული რა სათქმელია. მე შენი პირადი ინტერესი მაქვს. სოფელში რომ დადიხარ და ტრაბახობ, ძველად ყაჩაღებს ვებრძოდიო, ესა და ეს ყაჩაღი დავიჭირეო...

აპრაკუნე — არა, ბიჭო, რომელი ყაჩაღის დამჭერი მე მნახე! ხალხს ჩემი ავტორიტეტის აწევისათვის ვატყუებდი.

კუკური — მაშ, ხალხს ატყუებდი, ხომ?

აპრაკუნე — მამის სულს გეფიცები, ვატყუებდი!

კუკური — ჰო, მე კი ვიცოდი, რომ ატყუებდი, მაგრამ აი ამათ არ სჯეროდათ! (ულვაშებს მოიხსნის და გაიქცევა).

აპრაკუნე — აიტ, შე მამაძაღლო! კუკურია ხარ? ახლა რომ მეცალოს, მე შენ გიჩვენებდი თვალის სეირს!..

ხახული — დიდუჰ, ეს რა გიყო, ბაბა, იმ შეჩვენებულმა, როგორ შეგაშინა!

აპრაკუნე — შემაშინა კი არა, მე თვითონ გავამასხრე!

ხახული — კი, ბაბა, კი ვხედავდით, როგორ გაამასხრე!

აპრაკუნე — გეტყობათ, თქვენც ხელს უწყობდით იმ არამზადას!...

ხახული — არა, ბაბა!.. ჩვენ რა შუაში ვართ!

ბუხუტი — პირიქით, ბოშო, ჩვენ სულ შენ ქებაში ვიყავით.

აპრაკუნე — ქებაშიო? რად მინდა, ბიჭო, თქვენი ქება. ჩემი სახელი მზეზე წერია!

ბუხუტი — ჰოდა, კიდეც იმიტომაა, რომ ალარ გვინათებს ის დალოცვილი!

აპრაკუნე — თავს ნუ იგდებთ! წადით და საქმეს მიხედეთ. (ხახული და ბუხუტი გადიან. ისმის ბულბულის სტვენა)

აპრაკუნე — (მარტო) ეჰ, რამდენი თავსატეხი საქმე მაქვს, მაგრამ ვის ეცოდები, ვის? ისეთი დიდი მოთხოვნილებებია წამოყენებული, რომ ბიჭი ხარ და შეასრულე!.. საკუთარი ელექტროსადგური უნდა ჰქონდესო, გზები და ბილიკები მოკრიალებული უნდა ჰქონდესო, საავადმყოფო და სამშობიარო უნდა გვქონდესო... (ბულბულს გულმოსული შესძახებს) არ უნდა მაგას ჭრი-ჭრი! რაც მამაჩემს და ბაბუაჩემს არ გაუკეთებია,

ყველა მე როგორ უნდა გავაკეთო? ჩემს შვილსა და შვილიშვილებს არაფერი აღარ უნდა დავუტოვო გასაკეთებლად?! მაგრამ ამას კიდევ ვინ ჩივის! აი, აქ სულში მიძვრებიან, სულში! იქ ძველი ნაშთები და გადანაშთები გაქვსო, ამ ნაშთებმა, კაცო, ბუხჰალტერიაში გამიჭირეს საქმე და, ახლა სადაც არის, სახლში შემომეპრეზიან. (ბულბულს მრისხანედ შეუყვირებს) ეს კიდევ რას დამძახის თავზე?! მოუსვი აქედან! (შემოდის პეპელა)

პ ე პ ე ლ ა — აპრაკუნე, სადა ხარ, გენაცვალე, სად დაიკარგე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ თვითონ სადა ხარ! რა ამბავია, ქეეეით, როგორ მიდის საქმე?

პ ე პ ე ლ ა — როგორ იქნება, სიბნელეში გოდრების ძებნამ სისხლი გაგვიშრო, აპრაკუნე, სისხლი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — არაფერია, გეთაყვანე! ეს ერთი უკანასკნელი შეტევა კიდევ და, მერე იფრინე შენებურად.

პ ე პ ე ლ ა — დედა, როგორ დავიღალე... თან ისე მცივა, რომ სულ ვკანკალებ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მოიწი აქეთ... გული თონესავით მაქვს გახურებული. მომეკარი ზედ ლავაშივით და გათბები. (პეპელა აპრაკუნეს მკერდზე მიეყრდნობა)

ა პ რ ა კ უ ნ ე — (ჰოცნის და ეხეევა) ჩემო კუკუნია, ჩემო ბუტკუნია, ჩემო ღუღუნია...

პ ე პ ე ლ ა — რას შვები, აპრაკუნე, რა დაგემართა, რატომ ვერ გაჩერებ მაგ ხელებს?

ა პ რ ა კ უ ნ ე — კანტუზია მაქვს, გენაცვალე!

პ ე პ ე ლ ა — უიმე, უიმე, აპრაკუნე...

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა იყო, ჩემო ღაბუა მტრედო?

პ ე პ ე ლ ა — ვიღაცა მოდის... ფეხის ხმა შემომესმა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჰო, მოდის კი... აბა, ჩქარა გადასრიალდი აქედან! (პეპელა მიდის. შემოდის კიკიტია)

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას დაეთრევი, ბიჭო, იქით-აქეთ, საქმე დაგელია შენ?

კ ი კ ი ტ ი ა — რა იყო, ჭირიმე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა დროს დამადექი, ბიჭო, თავზე! კაცი ფსიქოლოგიურ მომენტში ვიყავი! ქეეეით რა ამბავია, რას შვებიან ჩვენები?

კ ი კ ი ტ ი ა — დიდ გაწამაწიაში არიან... ეძებენ და არიან ერთ ამბავში.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე-და, რას აპიანურებენ, რა გახდა ამისთანა?

კ ი კ ი ტ ი ა — არაფერია, ჭირიმე, მალე მორჩებიან. ჰო, მართლა, ის ქალი ვინ იყო ახლა რომ საწყობისკენ გადაფრინდა?!

აპრაკუნე — პეპელა იყო, ბიჭო, პეპელა! ერთი ორიოდე სიტყვა მითხრა და სულ ამაფორიაქა ქაცი.

კიკიტია — რაშია საქმე, ჭირიმე? ეს ახალგაზრდა ქალები რატომ ასე ბუზებივით გეხვევიან თავზე?

აპრაკუნე—რატომაც არ უნდა დამეხვიონ... თვალტანადად ავთანდილივით ვარ ჩამოსხმული...

კიკიტია — არა, ჭირიმე, პირწავარდნილი ტარიელი ხარ, მაგრამ ეს არის, თავი გაქვს ცოტა მოდიდო.

აპრაკუნე — დედაჩემს წაწყმედს ჩემი ცოდვა, იმის ბრალია ყველაფერი. სულ ღმერთს ეხვეწებოდა, ამ ბიჭის თავი გამიზარდეო და, ა, ხომ ხედავ, რამხელა გამეზარდა! (ამ დროს საწყობში ატყდება ხმაური და ჩოჩქოლი. პეპელა კიკილით გამოვარდება საწყობიდან, მას მოსდევს ხახული, ბუხუტი, არქიფო და სხვები)

პეპელა — მიშველეთ, მომეხმარეთ... ეკვდები, მიშველე, აპრაკუნე!

აპრაკუნე — რა ამბავია, რა დაგემართათ?

პეპელა — უი, უი, ხელები, ფეხები, მთელ ტანზე ცეცხლი მიკიდია.

ბუხუტი — აი, შეხედე, აპრაკუნე, შეხედე, როგორ გვაქვს ხელები დასუსხული!

ხახული — დიდუჰ, დედაია, დიდუჰ, ბაბაია!

აპრაკუნე — ჩუმად, რა გაღრიალებთ!.. ეს რა განგაში ამიტეხეთ.

ბუხუტი — რის განგაში, ბოშო! სულ დასუსხულები ვართ... აი ნახეთ ერთი რა არის ეს? (ცინკრის ფოთლოვან ღეროს მიაწოდებს)

აპრაკუნე — (ათვალიერებს, შემდეგ მასაც რომ ხელს დასუსხავს — ნერვიულად წამოიძახებს) —ბიჭოს, ეს ხომ ჭინჭარია!!

არქიფო — ჭინჭარიო?!

ემოკრიტე — ღალატია, შემოგევლე, აქ ვიღაცას მზაკვრული ხელი ურევია!

არქიფო — არ უნდა ლაპარაკი!

აპრაკუნე — გავგიჟდები! დედის სულს ვფიცავ, გავგიჟდები!

კიკიტია — ჰო, ჰო, ჰო, რა გმირები არიან დასუსხული!

არქიფო — (აპრაკუნეს) აპრაკუნე, შეხედე, შეხედე, როგორ იცინის! რაღაცა იცის ამ მწყერჩიტამ.

კიკიტია— ჭინჭარს რა ჯობია. ჭირიმე, ინდაურის ჭუკები სულ მაგით იზრდებიან...

აპრაკუნე — კიკიტია!

კიკიტია — რა იყო, ჭირიმე!

აპრაკუნე — მოიწი აქეთ... ისე იკრიჭები, რომ რაღაც იცი შენ ამ საქმის შესახებ.

კ ი კ ი ტ ი ა — ჰო, არა, კი... მაგრამ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა მაგრამ... გვითხარი, სად გადამალა ის ჩაი ბრიგოლმა და...

ე მ ო კ რ ი ტ ე—ჰო, თქვი, შემოგეელე, თქვი და კაი გასამრჯელოსაც მიიღებ ჩვენგან...

კ ი კ ი ტ ი ა — ზემო გუბე გაგიგონიათ, ჭირიმე, თქვენ, ზემო გუბე?

ა რ ქ ი ფ ო — კი, კაცო, აქვეა ჩაის ფაბრიკასთან.

კ ი კ ი ტ ი ა — ზემო გუბიდან რომ გზა მიდის სერისაკენ, ისეც ხომ იცით, ყმაწვილებო?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვიცით, შემოგეელე, ვიცით...

კ ი კ ი ტ ი ა — იმ გზას რომ გაყვებით, ჭირიმე, ღელეა ერთი, მგონია ლეხურას ეძახიან...

ა რ ქ ი ფ ო — ჰო, კაცო, ვიცით, შენ საქმე გვითხარი.

კ ი კ ი ტ ი ა — მერე, ჭირიმე, ჰატარა სერია ასასვლელი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე, ბიჭო?

კ ი კ ი ტ ი ა — მერე, კიდევ სერია ერთი და კიდევ გორა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე რაღა ჯანდაბაა, თქვი, დროზე, თუარა გადავირეე კაცი!

კ ი კ ი ტ ი ა — მერე კავკასიონის მთები იწყება. ჭირიმე... კმაყოფილი ხართ ახლა?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ასე ხომ?

კ ი კ ი ტ ი ა — იმას არ ვხედავ, ჭირიმე, ხელების ჭუჭყს რომ ეძახიან!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერედა. ამისათვის დაგეტანჯე, შე უღმერთო? (ამოიღებს უბიდან ფულის დასტას და უთვლის) გეყოფა?

კ ი კ ი ტ ი ა — (მოლიანად გამოსტაცებს) არა, ჭირიმე, რად უნდა დათვლა, ისედაც გენდობი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბევრია, შე უღმერთო!

კ ი კ ი ტ ი ა — გმადლობთ, ჭირიმე! ახლა კი გასწით ფარდულის ქვეეით, საწყობში და თქვენი ნატვრის თვალიც იქ დაგხვდებათ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, ჩქარა, მომყევით, ბიჭებო! ამაღამ ან შევრცხვებით, ან საშვილიშვილოდ გავიმარჯვებთ! (ყველა აპრაკუნეს მიყვება).

ხ ა ხ უ ლ ი — აბა, ბუხუტია, წავიდეთ, ბაბა, თავს ეუშველოთ... ამ უკადრის საქმეში ჩვენ ნულარ გავერევით...

ბ უ ხ უ ტ ი — კი, ბოშო, რაკი დრო ვიხელთეთ, ახლავე მოვუსვეათ შინისაკენ!

(მიდიან)

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მეხუთე სურათი

ფარდის ახდისას ისმის სიმღერა „ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა". ფარდა აიხდება. მწვანე ბექობზე, ბონდის თავში გაშლილია სუფრა. აქ არიან: ვარდენი, აპრაკუნე, კიკიტია, არქიფო, ემოკრიტე, პეპელა, სოფიკო, ფოტოგრაფი კოწია და სხვები. ბექობზე გამოჩნდებიან ხახული და ბუხუტი.

ბ უ ხ უ ტ ი — შეხედე, ხახულია, შეხედე, რა ამბავში არიან ყმაწვილები!

ხ ა ხ უ ლ ი — ვხედავ, ბაბა, ვხედავ... ვარდენს ატყუებენ!

ბ უ ხ უ ტ ი — არც კი რცხვენიათ, პეპელას ჩაის კრეფის რეკორდსმენად ასაღებენ!

ხ ა ხ უ ლ ი — დიდუჰ, ბაბაია, მარიამზე წინ პეპელას დაყენება როგორ შეიძლება!

ბ უ ხ უ ტ ი — მოდი, რაც იქნება-იქნეს, ავიდეთ იქ და ავურიოთ ერთი ჩვენებურად!

ხ ა ხ უ ლ ი — არევა გვაკლია ახლა, ბაბა, ჩვენ? ამას ის ჯობია, წავიდეთ და მარიამს შევატყობინოთ ყველაფერი!

ბ უ ხ უ ტ ი — კი, კი, ახლავე გავიქცეთ მარიამთან!

(ხახული და ბუხუტი თვალს მიეფარებიან. სიმღერა გრძელდება)

ვ ა რ დ ე ნ ი — ეს მშვენიერ პეპელას გაუმარჯოს! ვინ არის პეპელა? პეპელა ეს არის — ხმა, თვალტანადობა... შრომაში ეშხი და მარიფათი... აი ასეთები გვინდა ჩვენ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენი ჭირიმე, ვარდენ!..

ვ ა რ დ ე ნ ი — ეს კი შენი წყალობაა, აპრაკუნე... შენ რომ არა, რაიონი ურეკორდსმენოდ იყო დარჩენილი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, მტრების გულის გასახეთქად ხელად გამოვაცხვე.

ვ ა რ დ ე ნ ი — ყოჩაღი ხარ, ყოჩაღი! გეგმაც შეგისრულებია და რეკორდსმენიც სანაქებო გამოგიელენია. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას და მარად საყვარელ აპრაკუნეს!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მადლობელი ვარ, ჩემო ვარდენ, უზომოდ მადლობელი...

ვ ა რ დ ე ნ ი — (ჭიქას ვერ დაცლის) ეჰ, ნამეტანია, აღარ ჩადის...
ა პ რ ა კ უ ნ ე — დაცალე! ეს რომ არ დალიო, ვარდენ, მეწყინება...
ვ ა რ დ ე ნ ი — გაიგე, კაცო, აღარ შემიძლია... (ძლივს დაცლის)
ა პ რ ა კ უ ნ ე — გენაცვალე სულში! აბა, სიმღერა! (აპრაკუნე იწყებს)

გოგო მოდის მოხვეულში, ოდელია რანუნი,
ეტაცე ხელი არ გაუშვი, ოდელია რანუნი,
ღედამისი მეხვეწება, ოდელია რანუნი,
აკოცე და გამოუშვი, ოდელია რანუნი!

ვ ა რ დ ე ნ ი — (გამოართმევს)

სათამაშო ბურთი მქონდა, ოდელია რანუნი,
შენსკენ გადმომივარდაო, ოდელია რანუნი,
მე თუ გძულვარ და სხვა გიყვარს, ოდელია რანუნი,
რჯულიც ამოგივარდაო, ოდელია რანუნი!..

ყ ვ ე ლ ა — ვაშაა! ვაშაა! ჩვენს ვარდენს გაუმარჯოს!
ა პ რ ა კ უ ნ ე — ახლა, ვარდენის ჭირიმე, ცოტა საქმესაც მივხედოთ... სოცშეჯიბრების აქტი აქა გვაქვს... თუ თავს შეიწუხებთ, თქვენი მადლიანი ხელისმოწერაა საჭირო და მერე ყველაფერი რიგზე იქნება.
ა რ ქ ი ფ ო — აგერ, ბატონო, კალმისტარი...
კ ი კ ი ტ ი ა — ხელს აქ მოაწერთ, ჭირიმე, — ქვევით კი ბეჭედს ჩვენ დავუსვამთ.
ე მ ო კ რ ი ტ ე — ბარემ სანერგეც, შემოგევლე, თქვენი ინიციატივით რომ სანერგე გავაშენეთ, ბარემ ისიც შევიტანოთ აქტში!
ვ ა რ დ ე ნ ი — კი, კი, სანერგეც... ეჰ, ნამეტანია... შემოწმება, ღვინის სმა, სოცშეჯიბრება... (ხელს არ მოაწერს. ქაღალდს და კალმისტარს გადააგდებს)
ყ ვ ე ლ ა — (ვარდენს მიესევიან) ვარდენ ბატონო, ვარდენის ჭირიმე!..
ვ ა რ დ ე ნ ი — რა გაღრიალებთ! მე ყველაფერში უბრალოება მიყვარს!.. აბა, პეპელა, შენს ხელებს ვენაცვალე, გიტარა! (პეპელა გიტარას უკრავს და მღერის, ვარდენი და სხვები ეხმარებიან)

ერთხელ, მხოლოდ, მხოლოდ ერთხელ დაგინახე,
ბაღში იყავ, ხელთ გეჭირა ყვავილთ კონა,
მომეწონა, მაგრამ უფრო ზღვის თვალები
და ეგ შენი ხუჭუჭი თმა მომეწონა.
გული შედგა, დიდხანს ვიდექ ეშხნაკრავი,
მაგრამ სევდა მაინც არ მომკარებია,
თუ ჩემი ხარ, ერთხელ კიდევ გამიღიმე,
ჯერ ამ ქვეყნად შენებრ არვინ მყვარებია.

ჰოდი, გიცდი, იფნის ჩრდილში გელოდები,
იქ, სად ხარობს მობიბინე კორდზე მდელო.
ერთად დავსხდეთ და ერთადვე, შევსვათ ტკბილი
სიცოცხლის და სიყვარულის სადღეგრძელო!

კ ი კ ი ტ ი ა — ახლა, ვარდენის ჭირიმე, იმედია ამ ერთ სადღეგრძელოსაც მომისმენ... (ვარდენი ადგილზე მოუსვენრადაა, ეტყობა ღვინო მოერია) მხოლოდ ეს ერთი ჭიქა, ჭირიმე!

ვ ა რ დ ე ნ ი — არავითარი სადღეგრძელოები... მე აქ საქმისათვის ვარ ჩამოსული, მარიამისა და პეპელას შესამოწმებლად. ჰო, მართლა, ვინ ვის ეჯიბრება?.. ვინ არის გამარჯვებული, ამ ღვინომ თავში ყველაფერი ამირია.

ა რ ქ ი ფ ო — აგრე. ვარდენ ბატონო, აი, ეს არის ჩვენი გმირი ქალი, პეპელა.

ე მ ო კ რ ი ტ ე — შეხედე, შემოგეელე, შეხედე, რა ქალი გვყავს, რა ქალი!

ვ ა რ დ ე ნ ი — პეპელა!!

ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა...

(მღერის. სხვები ეხმარებიან. ვარდენი პირდაპირ პეპელასაკენ გაექანება. პეპელა გაუსხლტება და ბონდზე გარბის. ვარდენი სიმღერით აირბენს ბონდზე. ტირიფთან მდინარეში თოკით ჩაკიდებულ ღვინით სავსე ბოთლებს რომ მოკრავს თვალს, პეპელას მიანებებს თავს და ერთ-ერთ ბოთლს ამოიტაცებს მდინარიდან. ამ დროს ვარდენი სიმთვრალის გამო თავს ვერ შეიკავებს და ხიდიდან მდინარეში გადავარდება)

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, არიქა, უშველეთ, ბიჭებო, ბადე გადაუგდეთ, ბადე! აბა, ჰე, აბა, ჰე! მოხვდა, მოხვდა! აბა, ჩქარა, აქეთ გამოიტანეთ, აქეთ!

(აპრაკუნე ბადეს გადაუგდებს. მცირე ხნის შემდეგ არქიფოსა და კიკიტიას მოყავთ ბადეში გახვეული გაწუწული ვარდენი)

ვ ა რ დ ე ნ ი — რა უბედურებაა, კაცო, ეს რა უბედურებაა.. რა სიცივეა... პირდაპირ ეიყინები...

ა პ რ ა კ უ ნ ე — არაფერია, ვარდენის ჭირიმე, აგერ, აქტია და ხელი მოაწერეთ... აბა, ჩქარა, ბიჭებო, დატრიალდით! (მიესევიან ვარდენს და სოცშეჯიბრის აქტზე ხელს ძალად მოაწერინებენ. ვარდენს ძილი მოერევა და ჩათვლემს)

კ ი კ ი ტ ი ა — შეხედე, ჭირიმე, შეხედე, რამე ფარსაგი არ სჭირდეს ამ უბედურს და შარში არ გავებათ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა დაემართა, ბიჭო, ამ კაცს... რატომ ასე უცბად მიიბარა უფალმა?

ა რ ქ ი ფ ო — შენ არ მითხარი, ღვინოში ცოტა სპირტი შეაპარეო, შევაპარე და იმან მოტეხა კისერი...

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, ჩქარა გაიტანეთ აქედან და ჩააგდეთ აუტოში.
(ვარდენს აპრაკუნე და არქიფო გაიყვანენ)

კ ი კ ი ტ ი ა — რაკი ვარდენს კისერი მოეტეხეთ, ახლა ჩვენია ბურთი და მოედანი... აბა, ყმაწვილებო, ახლა ჩვენს ფინანსების მინისტრს გაუმარჯოს!

ყ ვ ე ლ ა — გაუმარჯოს, ემოკრიტეს გაუმარჯოს!

პ ე პ ე ლ ა — იცოცხლე, კარგად იყავი. ჩემო ემოკრიტე!

ა რ ქ ი ფ ო — შენს ფილოსოფიურად მოაზროვნე თავს გაუმარჯოს!

ე მ ო კ რ ი ტ ე — აზროვნება! აი, სად არის ადამიანის უმაღლესი სუბსტანცია!
(შემოდის აპრაკუნე)

ა პ რ ა კ უ ნ ე — ემოკრიტე, მოდი აქეთ...

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვერა, შემოგველე, ამათ ახლა ვერ მოვშორდები მე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რატომ, კაცო, მიწებებული ხარ თუ რაშია საქმე?

ე მ ო კ რ ი ტ ე — ესენი ახლა ჩემს ქებაში არიან, და თუ ერთი წუთით მოვშორდი, მაშინვე გინებას დამიწყებენ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მოდი-მეთქი, არ გესმის შენ? შენც არქიფო, აბა, მოდით და ამომიდექით მხარში... (არქიფო და ემოკრიტე აპრაკუნეს მხარში ამოუდგებიან) ეს ჩემი მარჯვენა ხელია!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეს კი—ჩემი მარცხენა ხელი!

ე მ ო კ რ ი ტ ე — სწორია, შემოგველე. ამაში ნამდვილად არ ტყუვდები შენ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მაგრამ, მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა და, მარცხენამ საერთოდ არაფერი იცის, რა ხდება ქვეყანაზე..
(აპრაკუნე მღერის, სხვები ეხმარებიან)

ჩემი ლამაზი პეპელა
დამიფრთხო ციცუნიამ,
მოწყდა ყვავილს და გაფრინდა,
შორს გაიტაცა ნიავმა...
მიაუ, მიაუ,
ჩემო ციცუნიაო!
ჩიტი გვყავდა გალიაში,
ხომ არ გაგფრენიაო!
(შემოდის გრიგოლი)

ა პ რ ა კ უ ნ ე —ო, მობრძანდი, გრიგოლ, კარგ დროს მოხვედი ზეიმი გვაქვს, ბიქო, ზეიმი!
მიაუ, მიაუ, ჩემო ციცუნიაუ!..
აბა ყანწი, ჩემს გრიგოლს!

გ რ ი გ ო ლ ი—ეს ყანწი იმ ოთხი ტონა ჩაის საფასურია, აპრაკუნე?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო? ხუმრობ, გრიგოლ, თუ მართლა ამბობ?

გ რ ი გ ო ლ ი — ის ჩაი შენ გაქვს წაღებული!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას ამბობ, ბიჭო? შენი ჩაი მე რად მინდოდა!

გ რ ი გ ო ლ ი — არაფერია. მე გრიგოლი არ ვიყო, თუ ეს არამზალობა შეგარჩინო! (ყანწს ხელს აუკრავს. ამ დროს შემოდის ლეო, მარიამი, ხახული და ბუხჯტი)

ა პ რ ა კ უ ნ ე — ო, ძობრძანდით, მარიამ, სუფრა დაგვიმშვენე!

მ ა რ ი ა მ ი — ჩვენ საქეიფოდ არ მოვსულვართ, აპრაკუნე. სად არის ვარდენი?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ვარდენი წავიდა, გეთაყვანე. ჩვენი ნამუშევარი შეამოწმა და ძალიან ნასიამოვნები წავიდა.

მ ა რ ი ა მ ი — მჯერა, ნასიამოვნები წავიდოდა, გოჭი, ქათმები, ჩაციებული ღვინოები.

ა პ რ ა კ უ ნ ე — გოჭი და ღვინოები რა შუაშია... ის კაცი პლანტაციებში დადიოდა, პეპელას ჩაის კრეფასაც უყურა და, განცვიფრებული დარჩა.

ლ ე ო — მერე? სანამდე გინდა, აპრაკუნე, ასე უნამუსოდ ატყუო ქვეყანა?

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ თუ ვატყუო, ბიჭო! იქნებ ესეც სიყალბედ მიგაჩნიათ... დახედეთ, შავით თეთრზე წერია, რომ პეპელას ბრიგადამ აჯობა მარიამისას, აჯობა, ბატონო და, რა ექნათ ახლა! აჰა, ვარდენის ხელის მოწერაც!

ლ ე ო — შენ ვის ატყუებ, ვის? ათი კილოს მომკრეფი არ გახლავს ეს ქალბატონი და ყოველ კვირაში ტონობით ეწერება!

პ ე პ ე ლ ა — უიმე, უიმე! ეს რა თქვა, ეს რა წამოროშა ამ მიწაგასახეთქმა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ჩუმად, პეპელა, ჩუმად... პროვოკაციაზე არ წამოგვაგონ!

პ ე პ ე ლ ა — როგორ გავჩუმდე!.. ეს რა გამიბედა, ეს რა წამომძახა!. გამიშვით, გამიშვით... (პეპელა ლეოსკენ იწევს, მაგრამ იჭერენ)

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, ვინ კრეფს, ბიჭო, ამ ქალის მაგიერ? ვინაა ის უჩინ-მაჩინი, ვინ გვიხვევს ასე თვალებს?!

მ ა რ ი ა მ ი — შენ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მეე?!

მ ა რ ი ა მ ი — დიახ, შენ!!!

გ რ ი გ ო ლ ი—აგრე, მარიამ, დასცხე, შენებურად, არ აპატიო არაფერი!

პ ე პ ე ლ ა — დედა, ეს რა ხალხი შემოგვესია!.. აპრაკუნე, უბრძანე, ახლავე გაიფანტონ!..

მ ა რ ი ა მ ი — როგორ, ქალო? განა ასე იოლი გასაფანტავი ვართ, თუ მართლა ჩაის კრეფის რეკორდსმენი გგონია შენი თავი?!

პ ე პ ე ლ ა — რატომაც არა ვარ... გაჯობე, დაგწეი თვალი და გასკდი ახლა გულზე!

მ ა რ ი ა მ ი — რით, ქალო, რით გვაჯობე? ერთი შენს ნაკვეთსაც დახედე, რასა გავს!.. არცერთ ბუჩქს ადამიანის მზრუნველი ხელი არ შეხებია...

პ ე პ ე ლ ა — ახლა ის მაკლია, ჩაის მივუჯდე ძირში და თავზე ხელების ფათური დავუწყო.

მ ა რ ი ა მ ი — აპრაკუნეს ქოჩორს თუ ფურჩქნი და ეფერები, ჩაიმ რა დაგიშავა, გენაცვალე?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რაო, რაო?

პ ე პ ე ლ ა — დედა, ეს რა თქვა, დედა, ეს რა გამიბედა! ვიყვირებ, ვიკივლებ, ქვეყანას დავაქცევ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მალადეც! აბა, მიდი, პეპელა!

მ ა რ ი ა მ ი — რას მაიმუნობ, დედაკაცო! შენც, აპრაკუნე, იცოდე, ამდენი პარპაში არ შეგრჩება!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ვის უბაკუნებ ფეხებს, დედაკაცო! აპრაკუნე შენ დაბალი ღობე ნუ გგონია... ჩემს ზეით ვარდენია!

მ ა რ ი ა მ ი — (აპრაკუნეს წინ გაიმართება და მრისხანედ თვალებში ჩახედავს) არც იმას შერჩება, აპრაკუნე!..

პ ე პ ე ლ ა — გამიშვით, გამიშვით... (მარიამისკენ იწევს, პეპელას იჭერენ. არევ-დარევა, მარიამი ამაყად დგას).

ფარდა

მეექვსე სურათი

ღამეა, კოლმეურნეობის კანტორის ფასადი. ემოკრიტე შემოდის ფანრით ხელში და გზას უნათებს აპრაკუნეს.

ე მ ო კ რ ი ტ ე — მაპატიე, შემოგევლე, მაგრამ საქმე არ ითმენს... ვარდენი გხმობილობს სასწრაფოდ ტელეფონთან!

ა პ რ ა კ უ ნ ე — სასწრაფოდ? რაშია საქმე?! საავდრო ღრუბლები ხომ არ გამოჩენილა ცაზე?

(შედიან კაბინეტში. ისმის ავტომობილის ხმა, ეტყობა ვიღაცა მოვიდა. შემოდის გაბრიელ. მეორე მხრიდან მას მიეგებებიან ლეო და მა-

რიამი. შემოდის არქიფო, აბათ რომ დაინახავს შედგება და ხეს ეყრდნობა)

მ ა რ ი ა მ ი — ეს, როგორ? ასე უცებ როგორ ჩამოხველ, გაბრიელ, რაიონიდან?

ლ ე ო — აბა, თქვი, თქვი, თუ კაცი ხარ, რა ამბავი ჩამოიტანე?

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ახლა რას აპირებს, რას, ეს ჩვენი ვაჟბატონი!!

მ ა რ ი ა მ ი — რა იყო, რა მოხდა, გაბრიელ?

გ ა ბ რ ი ე ლ ი — რა მოხდა და... გუშინ ჩვენი რაიკომის მდივანი ჩამოსულა...

ლ ე ო — აუჰ, რას ამბობ, კაცო!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ჩამოსულა და...

მ ა რ ი ა მ ი — ხომ სულ მარცვალ-მარცვალ დაუკაკლე სიმონს ჩვენი გაჭირვება?!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — აბა, რას .მოვერიდებოდი... მთელი სურათი ზუსტად დავუხატე.

მ ა რ ი ა მ ი — შენი ჭირიმე, გაბრიელ!

გ ა ბ რ ი ე ლ ი — ახლა საქმე ჩვენზეა, ამხანაგებო. საცაა სიმონი აქ გაჩნდება. დავალებული მაქვს გამგეობის ღია კრება მოვიწვიო... სიმონმა ასე თქვა: ხალხმა, თვით ხალხმა გამოუტანოს განაჩენი აპრაკუნესო. აბა, მომყევით, ამხანაგებო! (ლეო, მარიამი და გაბრიელი გადიან. შემოდის აპრაკუნე, წინ არქიფო მიეგებება).

ა რ ქ ი ფ ო — დავიღუპეთ, აპრაკუნე, ნამდვილად დავიღუპეთ!..

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა მოხდა, ბიჭო! ნუთუ ვერ შეუშხაპუნე საზამთროს კონიაკი?

ა რ ქ ი ფ ო — რა დროს კონიაკია, კაცო... აგერ ლაპარაკობდნენ, რაიკომის პირველი მდივანი სიმონი ჩამოსულა.

ე მ ო კ რ ი ტ ე — როგორც შევატყვე, ვარდენიც ვერ არის გუნებაზე!.. მკითხა, ის კომბინატორი კიკიტია კიდევ იქ გიზითო?

ა პ რ ა კ უ ნ ე — შეგარცხვინოთ ღმერთმა, წახდით, ხომ?

ა რ ქ ი ფ ო — მოდი და ნუ წახდები შენ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, აბა! ასეთები არ იყოს! მითხარი, რა ამბავია პეპელას ბრიგადაში?

ა რ ქ ი ფ ო — (ცერით უჩვენებს) ასეა, ჰა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — იმის რა ქენი, იმ თბილისელი ქალბატონის წინააღმდეგ რამდენი მოწმე შეამზადე?

ა რ ქ ი ფ ო — უკვე ხუთი მყავს დაჯავშნული.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რომ დაკითხონ, მოწმეებს ჩვენება ხომ არ აერევათ?

ა რ ქ ი ფ ო — არა, კაცო, ლოცვასავით სულ ზეპირად იტყვიან!

ა პ რ ა კ უ ნ ე — იმის რა ქენი, ნაძვის ტოტები ხომ ჩაასვე ქარსაცავ ზოლებში?

ა რ ქ ი ფ ო — კი, უკვე ხუთიათასამდე ჩავჩხირე თვალსაჩენ ადგილებზე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, მაგრამ, შემოწმების დროს არ გამოაშკარავდეს, ბიჭო, ჩვენი ეშმაკობა?

ა რ ქ ი ფ ო — შენ ფიქრი ნუ გაქვს, ნაძვის დასხეპილი ტოტები ისე მოხერხებულადაა ჩაჩხირული მიწაში, რომ კაცს ახლადდარგული ნერგები ეგონება!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ყოჩაღ, არქიფო! შენც შეგძლებია, ბიჭო, ორგანიზაციული მუშაობა!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, წადი, და აქაც, კანტორის წინ, დაასვე ერთი ათიოდე ძირი.

ა რ ქ ი ფ ო — ეს ადვილი სამსახურია, მაგრამ იმისი რა ვქნათ, ხალხში ერთი ქოთქოთი და მზადებაა. აქეთ ხახულია და ბუხუტიაც თვალის დახამხამებაში გამოიცვალნენ და ჩვენი დამუშავების მეტს არაფერს აკეთებენ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ასეა, ბიძია, როცა ზღვაში გემი იძირება, პირველად ვირთხები გარბიან თავის გადასარჩენად.

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვითომ, ვიძირებით, შემოგევლე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რას ჰქვია, ბიჭო, ვიძირებით! ვიძირებით კი არა, ახლა ვართ სიცოცხლის ეშხში შესული. ჩვენ ახლა კიდევ უფრო ზევით უნდა ამოვტივტივდეთ ცხოვრების ზედაპირზე!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ფარდა

მეშვიდე სურათი

კანტორის ეზო. არქიფო და ემოკრიტე კანტორის კარებთან არიან მიყურადებულნი, აპრაკუნე აფორიაქებული გამოვარდება თავის კაბინეტიდან.

ა რ ქ ი ფ ო — რა იყო, აპრაკუნე, როგორ დამდუღრულ ძაღლივით გამოვარდი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — დაიკარგე იქით!

ა რ ქ ი ფ ო — მაინც რა იყო, რა გითხრეს ამისთანა?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეს არის, ბიჭო, შენი გაკეთებული საქმე? ქალებმა

უარი განაცხადეს. ინსტრუქტორ ქალს ჩვენთვის შეურაცხყოფა არ მოუყენებია და აქტზე ხელი ძალად მოგვაწერინესო.

არ ქ ი ფ ო — მერე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერედა, მართალია ეს?

არ ქ ი ფ ო — მართალი კია, მაგრამ...

ა პ რ ა კ უ ნ ე — არავითარი მაგრამ... ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ყველაფერი ეს ტყუილია...

არ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, გასწი ახლავე და იმ ქალებს უთხარი, ჩვენება არ შეცვალონ... შეპირდი ბეჭდებს, წინდებს, საკაბეებს...

არ ქ ი ფ ო — კი, მაგრამ საჩუქრებით მოტყუვდებიან ახლა ის ქალები?

ა პ რ ა კ უ ნ ე — საჩუქრები, ბიჭო, ქალებს ისე ატყუებს, როგორც შაშვებს კარგად დამწიფებული კურკანტელა! აბა, გასწი!

არ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი.

(არქიფო გადის, შემოდის ვარდენი).

ვ ა რ დ ე ნ ი — აი, მოვედი, კაცო, მე, მოვედი! როგორაა საქმე, სად ზის სიმონი?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — აგერ, იქ არის, საქმეს ირკვევს და მთელი მილეთის ხალხი თავზე ახვევია.

ვ ა რ დ ე ნ ი — საკვირველია! ეს ამბავი, რაღაც, ლოღიკას არ ემორჩილება, კაცო, ლოღიკას... ეტყობა აქ ის ინსტრუქტორი ქალია საქმეში გარეული.

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, ის ქალია და რა საქმეშიც ქალია გარეული, იქ შეუძლებელია იყოს ლოღიკა.

ვ ა რ დ ე ნ ი — ეს რა ნერგებია, კაცო, როდის გააშენეთ, ამისთვის გეცალათ ახლა თქვენ?

ა პ რ ა კ უ ნ ე — აბა, რა გვექნა, ვარდენის ჭირიმე, შენი დირექტივა არ შეგვესრულებინა? შენ ხომ გვითხარი, ქარსაცავ ზოლებისათვის სანერგე გააშენეთო. ჰოდა, ჩვენც გავაშენეთ. ნაწილი აქ არის, ნაწილიც კიდევ პლანტაციებს შემოვავლეთ. ზამთარში ჩაის ბუჩქებს როგორც საბანი ისე მოეთბობა.

ვ ა რ დ ე ნ ი — კარგია. ეს კი ნამდვილად მოეწონება სიმონს.

ე მ ო კ რ ი ტ ე — ჰოდა, შედი, შემოგევლე, დროზე შედი... იქნება ავტორიტეტმა სულ შეცვალოს საქმის ვითარება.

ა პ რ ა კ უ ნ ე — კი, კი. აბა, შედი და შენ იცი სიმონთან როგორ გამოგვაჩენ!

ვ ა რ დ ე ნ ი — კი, მარა, მარტო მე შევიდე, კაცო, მარტო მე?

ცოტა თქვენც დაფაცურდით, კარებზე კაცი მაინც დააყენეთ. სიმონთან საეჭვო არაფის შემოგეპაროთ...
(ვარდენი სხდომის დარბაზში შედის)

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ საით მიიპარები, ემოკრიტე. ახლაეე შედი სიმონთან და თვალყური ადევნე საქმის ვითარებას.

ე მ ო კ რ ი ტ ე — ვერა, შემოგევლე, მე დიდი კაცის ჭირივით მეშინია.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მე შენთვის მითქვამს, შედი! იქნება ფინანსიურ მხარესაც შეეხონ და მაშინეე ცქვიტე ყურები.

ე მ ო კ რ ი ტ ე — კარგი, რაც იქნება-იქნება. შეეალ... ფილოსოფოსი სოკრატი სიკვდილს არ შეუშინდა და შხამი მიიღო. ბოლოს-დაბოლოს ისე კი არაა საქმე, რისი უნდა შემეშინდეს. (ემოკრიტე კარებისკენ გაბედულად მიდის, მაგრამ კარებთან რომ მივა, თავდახრილი შეძერება კაბინეტში... შემოდის ოტია და მარიამი. ამათ რომ აპრაკუნე თვალს მოკრავს, კვარცხლბეკს მოეფარება).

მ ა რ ი ა მ ი — აბა, ოტია, უკან არ დაიხიო... შედი და სიმონს ყველაფერი უთხარი.

ო ტ ი ა — კი მაგრამ, რაღა მე ვეცე პირველი... რაც არ უნდა იყოს, აპრაკუნე მაინც ნათლიაა ჩემი.

მ ა რ ი ა მ ი — რის ნათლია? მგელს დანაშაული არ უნდა ეპატიოს!

ო ტ ი ა — შენ იმასაც ამბობდი, აპრაკუნე გამიარშიყდაო, მაგრამ როცა საქმეზე გამოვცადეთ, ხომ ნახე, იმ კაცმა ორიეე როგორ შეგეარცხვინა!

მ ა რ ი ა მ ი — ისე არ ბოვკვდები, თუ შენ ნამდვილი აპრაკუნე არ გაგაცანი... აბა, შედი სიმონთან, შედი, ჩქარა... (ოტია კაბინეტში შედის, აპრაკუნე კვარცხლბეკზეა მოფარებელი და მარიამს თავისკენ ეძახის).

ა პ რ ა კ უ ნ ე — მარიამ, აქეთ, მარიამ, ერთი წუთით.

მ ა რ ი ა მ ი — ა, ეს შენა ხარ, აპრაკუნე?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — სიმონი აქ არის, მარიამ... თუ რამეს მიშველი ისევ შენ, თუ არა დაღუპულია ჩემი საქმე.

მ ა რ ი ა მ ი — მე რა შემიძლია, აპრაკუნე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ თუ რა შეგიძლია! გაბრიელს, ლეოს, თვით სიმონსაც დიდი ხათრი აქვს შენი. შენ რომ მხარში ამომიდგებოდე, მთელ სოფელს ხმას ჩავაწყვეტინებ!
(შემოდის ოტია, შეჩერდება).

მ ა რ ი ა მ ი — რა სისულელეს ლაპარაკობ!

ა პ რ ა კ უ ნ ე — მარიამ, ჩემო ძვირფასო, მარიამ...

მ ა რ ი ა მ ი — როგორ? ახლა გავხდი ძვირფასი?

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ თუ ახლა! შენ ყოველთვის ძვირფასი და საყვარელი იყავი ჩემთვის.

მ ა რ ი ა მ ი — თუ ასეა, ჩაის პუნქტზე რომ სიყვარულის ანკესი გადმომიგდე, რატომ ერთხელ მაინც აღარ დაკენკე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — იმას როგორ დავკენკავდი! იმ ანკესზე იმისთანა ქოფაკი გყავდა გამობმული, რომ როცა დავინახე, ჭირის ოფლმა დამასხა!

მ ა რ ი ა მ ი — აგრე ხომ?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ეხ, მარიამ... შენ რომ მეტი შორსმხედველობა გქონდეს, ოტიას სულ მიატოვებდი და ბე გამომყვებოდი ცოლად!

მ ა რ ი ა მ ი — დედა, ჩემი სიკვდილი! ნეტავი ეს ოტიას ესმოდეს ახლა და, მეტი არაფერი მინდა!

ო ტ ი ა — მესმის, მარიამ... ახლა ბე მკითხე მაგის პატივისცემა...

ა პ რ ა კ უ ნ ე — მორჩა... ახლა კი ნამდვილად გავები.

ო ტ ი ა — რა გიყო ახლა, შე გათახსირებულო, რითი გცე პატივი?

ა პ რ ა კ უ ნ ე — წადი, გამშორდი, გელაპარაკები!

ო ტ ი ა — წადი, შენ თვითონ წადი, თუ არა, გაგათავე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ვის გაათავებ, ბიჭო, შენ? შენსელა კუჭი მიდევს მუცელში.

ო ტ ი ა — კი, კუჭი დიდი გაქვს, მაგრამ სხვა არაფერი გივარგა, შე უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილო! მარიამ, წამოდი, მარიამ!
(მარიამი და ოტია გადიან. შემოდიან ხახული და ბუხუტი).

ა პ რ ა კ უ ნ ე — სადა ხართ, ბიჭო, თქვენ?

ხ ა ხ უ ლ ი — სამუშაოზე ვარ, ბაბა, ვმუშაობთ გამწარებული.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა დროს მუშაობაა. მოდით და დადექით კარებთან... იქ, ზევით, საეჭვო არავინ გაატაროთ... მხოლოდ და მხოლოდ სანდო პირები შეუშვით სიმონთან დაკითხვაზე.

ხ ა ხ უ ლ ი — მოდი, ბაბა, და გაიგე შენ, ვინაა ახლა სანდო და ვინ არა.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ნუ ყბედობთ! თუ ვინიცობაა სიმონმა ჩემზე რამე გკითხოთ, ასე უთხარით: აპრაკუნე მამაა ჩვენი-თქვა, გესმით!

ბ უ ხ უ ტ ი — კი გვესმის... ისეთი მამაა, რომელმაც სუყველას დედა გვიტირა-მეთქი, ასე ვეტყვით...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ნუ მასხრობთ... თუ ერთგულებას გამოიჩენთ, ხვალ ორივეს დაგაჯილდოებთ.

ხ ა ხ უ ლ ი — ხვალ იქნები კი, ბაბა, ამ ადგილზე?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რატომ, ბიჭო? ცუდი ხომ არაფერი გაგიგიათ?

ზ ა ხ უ ლ ი — რა ვიცი, ბაბა, ხალხი ამბობს, რომ აპრაკუნეს უეჭველად გადააყენებენო.

ა პ რ ა კ უ ნ ე — მერე? ამდენ დამსახურებას წყალში ჩამიყრიან!.. მე აპრაკუნე არ ვიყო, თუ ამ შემოწმების შემდეგ კიდევ უფრო არ ავიწიო ზევით!
(შემოდის არქიფო).

ა რ ქ ი ფ ო — საქმე კარგად ვერ არის, აპრაკუნე.

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა იყო, ბიჭო?

ა რ ქ ი ფ ო — სიმონის ჩამოსელა რომ გაიგეს, ახლა გლეხებიც უფრო მეტად ალაპარაკდნენ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბიჭოს! რა შორს გაუდგამს ფესვი ძირგამომთხრელ მუშაობას! მაგრამ არაფერია, ამასაც გავუძლებთ!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ა პ რ ა კ უ ნ ე — იყაყანონ რამდენიც უნდათ. ამათი არ მეშინია მე. ამათ, ბიჭო, ერთი ჰექტარი მიწა აქვთ და სამი ჰექტარი ენა.

ბ უ ხ უ ტ ი — აპა, აპა!

ა პ რ ა კ უ ნ ე — რა გაპენტელებს, ბიჭო, შენ?

ბ უ ხ უ ტ ი — რა ვქნა, აპრაკუნე... თხის რძით ვარ ბავშვობისას გაზრდილი და სულ მისი ბრალია...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ვიცი, გულში ჩემი წახდენა გიხარიათ, მაგრამ არაფერია... მალე თქვენთვისაც მოვიცლი!...
(კაბინეტიდან გამოდის სიმონი, მას მოსდევს აღელვებული ვარდენი და სხვები).

ვ ა რ დ ე ნ ი — სიმონ ბატონო!

ს ი მ ო ნ ი — რაო, ამხანაგო ვარდენ?

ვ ა რ დ ე ნ ი — სინდისი თუ მწამს, ჩემი ბრალი არ არის. აპრაკუნემ შემიყვანა შეცდომაში.

ს ი მ ო ნ ი — ამაზე ხვალ, ამხანაგო ვარდენ... რაიკომის პლენუმი იქნება და იქ ვილაპარაკოთ. ეჰ რა კარგი ამინდია!.. სანამ ბრიგადირები მოვლენ, ჯობია ცოტა აქ დავისვენო და ჰაერი ჩავყლაპო.

ა რ ქ ი ფ ი — ჩაყლაპეთ, ბატონო, ჩაყლაპეთ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ ვინ გეკითხება, ბიჭო, დაეტიე მანდ შენს ტყავში!

ს ი მ ო ნ ი — შეიძლება, ამხანაგო აპრაკუნე, საქმის გარკვევისათვის, ორიოდე კითხვით რომ შეგაწუხოთ?

ა პ რ ა კ უ ნ ე — რამდენიც გსურდეს... მაგისთვის უკან არ დაიხევს აპრაკუნე.

ს ი მ ო ნ ი — რაღაც საოცარი ამბები შექმნილა თქვენს გარშემო, ეს ასეო, ეს ისეო, თითქოს და...

ვ ა რ დ ე ნ ი — ჰო, ასეო, ისეო, მეც მოვკარი ყური...

ა პ რ ა კ უ ნ ე — თქვენ ხმებსა და ჭორებს რას უყურებთ, თქვენ საქმეზე მელაპარაკეთ!

ს ი მ ო ნ ი — საქმეზე? მერე და სად არის ეს საქმე? ცოტა დაუკვირდით, რას ლაპარაკობთ... თქვენ ახლა ბეწვზე ჰკიდიხართ, აპრაკუნე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — როგორ, კაცო? ვინ ჩამოკიდა ბეწვზე მე?

ს ი მ ო ნ ი — თქვენმა საქმიანობამ... მეზობელ კოლმეურნეობისათვის ჩაი მოგიპარავთ. ინსტრუქტორი ქალი გაგიძეევიათ... კარგი მუშაკები შეგივიწროებიათ... ერთი სიტყვით, რასაც აკეთებდით ყველაფერს თვალის ასახვევად და უკულმართად...

ა პ რ ა კ უ ნ ე — სულ ტყუილია. ერთი წადი და ნახე, რამდენი რამ მაქვს სოფელში გაკეთებული.

ს ი მ ო ნ ი — ბევრი ვიარე, ბევრი ვარკვიე, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენი გაკეთებული ვერაფერი ვნახე...

ა პ რ ა კ უ ნ ე — ასეა, თუ კაცს გულით არ უნდა, ზღვის პირად რომ დადგეს, ზღვას ვერ დაინახავს!

ა რ ქ ი ფ ო — არ უნდა ლაპარაკი!

ს ი მ ო ნ ი — ეს ვინ არის?

ა რ ქ ი ფ ო — აგროტექნიკოსი ვარ, არქიფო შუშაბერიძე...

ს ი მ ო ნ ი — აჰა, საზამთროების მეცნიერი!

ა რ ქ ი ფ ო — როგორ, ბატონო?

ს ი მ ო ნ ი — არაფერი, გატყობ, თქვენც აპრაკუნესთანა მოღვაწე უნდა იყოთ...

ა რ ქ ი ფ ო — დიახ, ბატონო.

ს ი მ ო ნ ი — მაგრამ საინტერესოა, წინათ რას აკეთებდით, რეოლუციამდე?

ა რ ქ ი ფ ო — რეოლუციას ვუცდიდი, ბატონო.

ვ ა რ დ ე ნ ი — სიმონ ბატონო!

ს ი მ ო ნ — არ გამაგონო.

ვ ა რ დ ე ნ ი — როგორ თუ არ გაგაგონო, კაცო... ვთქვათ, საზამთროს ამბავი არ გამოვიდა, ჩაის საქმეშიაც ცოტა გადააჭარბეს ბიჭებმა, მაგრამ ქარსაცავი ზოლები, რომელიც ჩემი ინიციატივით გაშენდა, განა დასაწუნია?!

ს ი მ ო ნ ი — მერედა, სად არის ეს ქარსაცავი ზოლები?

ვ ა რ დ ე ნ ი — აი, ნაწილი აქ არის. შეხედე ერთი, რა სანაქებოდ ნახარები ნერგებია!

(ხელით შეანჯღრევს ერთ ძირს და მოულოდნელად ნერგი ჩხირიანით შერჩება ხელში. რა არის, კაცო, ეს, სადა აქეს ამას ფესვები?

ა პ რ ა კ უ ნ ე — ფესვები ჭიებს შეუჭამიათ, ვარდენ, ჭიებს!

ვ ა რ დ ე ნ ი — რა უბედურებაა, კაცო, ეს, რა უბედურება! რა უგავს ამას ჭიის შეჭმულს! როდის იყო ჭია დანით და წალდით დადირდა?

(მოსინჯავს მეორე ნერგს, მესამეს, მეთოხეს, ყველა ჩხირიანით შერჩება ხელში). მომატყუეთ ხომ? დასხეპილი ნაძვის ტოტები დაასვეთ აგერ-ეგერ და ამით თვალები ამიხვიეთ!!

ს ი მ ო ნ ი — კმარა, ამხანაგო ვარდენ, შენ რომ შენი ქვეყნის პატრიოტი იყო, ასეთ ხალხს საქმის სათავეში არ დააყენებდი!

ვ ა რ დ ე ნ ი — ბოდიში, ამხანაგო სიმონ, მაგრამ აპრაკუნესთანა ხალხი განა თავიდან ადვილი მოსაშორებელია? ესენი კარებიდან რომ გააგდო — ფანჯრიდან შემოვლენ, ფანჯარას მიუკეტავ — ჭერიდან ჩამოცოცდებიან!

ს ი მ ო ნ ი — ამასაც ვნახავთ, როგორ ჩამოცოცდებიან!

(შემოდის გაბრიელი).

გ ა ბ რ ი ე ლ ი — გამგეობის სხდომა იწყება, ამხანაგო სიმონ!

ს ი მ ო ნ ი — აბა, წავიდეთ, ამხანაგებო, გამგეობის სხდომას დავესწროთ.

ვ ა რ დ ე ნ ი — ეს რა მიქენი, კაცო, რა მიქენი, რატომ მომჭერი თავი ქვეყანაზე!

ა პ რ ა კ უ ნ ე — ბოლოსდაბოლოს რა იყო, კაცო, რა მოხდა ამისთანა?!

ვ ა რ დ ე ნ ი — როგორ თუ რა მოხდა, კაცო, როგორ თუ რა მოხდა... შენც წახდი და მეც წამახდინე. გეგმის შესრულება თუ არ შეგეძლო, სხვის ჩაის რას იპარავდი?!

ა პ რ ა კ უ ნ ე — შენ არხეინად იყავი, არაფერია მაი!

ვ ა რ დ ე ნ ი — როგორ თუ არაფერია, კაცო?! ხომ გესმის ხალხში რა ცუდი ხმებია... წელან, კაბინეტშიც, სიმონთან ისეთ-ისეთები გამაგონეს, რომ პირდაპირ ყურები დამიპატარავდნენ.

ა პ რ ა კ უ ნ ე — ესეც არაფერია. ყურებს რომ ცუდი ამბები არ ესმოდეს, კვახის ფოთლის ოდენა გახდებოდნენ.

ვ ა რ დ ე ნ ი — ვაი ჩემს ჭკუას!.. ვის ავყევი, ვის? დღეს შენ გამოგიყვანენ გამგეობიდან, ხვალ რაიკომის პლენუმი იქნება და

მე გამაპენდნიერებენ! აი, სად ამიგო წესი აპრაკუნემ! ფუი! (ცარდენი გულმოსული მიდის).

აპრაკუნე — ეს იყო ჩემი მფარველი?!

ემოკრიტე — როგორ ატყობ, შემოგევლე, გადავრჩებით თუ გაიმასქნებულია ჩვენი საქმე?

აპრაკუნე — ნუ გეშინიათ! თუ ყველა ერთი პირით გამოვალთ, საქმეს ეშველება.

ემოკრიტე — კი, შემოგევლე, ერთი პირია საჭირო... კონკორდია ესტ პოტენცია! [1]

არქიფო — არ უნდა ლაპარაკი!

აპრაკუნე — აბა, წადით და იმოქმედეთ!
(გადიან, შემოდის პეპელა).

პეპელა — აპრაკუნე!

აპრაკუნე — კარგი ახლა, შენთვის არ მცალია, კრებაზე მეჩქარება.

პეპელა — რაო? ეს რა თქვი, როგორ თუ ჩემთვის არ გცალია?!

აპრაკუნე — როგორ და ისე... ყოფნა-არყოფნის წუთებს ვითვლი და თავი ოხრად მრჩება.

პეპელა — აფსუს, ვინ მყვარებია! თუ გულში ამდენი სიავე გქონდა, მიყვარხარო, რა პირით მეუბნებოდი?

აპრაკუნე — კი, პირველად შუშხუნა მაჭარი იყავი, მერე კი მათრობელა ღვინო შეიქენი...

პეპელა — ახლა?

აპრაკუნე — ახლა თხელზე ვარ დასული...
(აპრაკუნე მიდის).

პეპელა — აპრაკუნე, დაიცა, აპრაკუნე! დედა, ეს რა მიყო, დედა, ეს რა გამიბედა? როგორ მომკრა თავი ქვეყანაზე! ახლა სად წავიდე, სად... უიმე, უიმე!.. (პეპელა გადის. სხდომის დარბაზიდან გამოდის კუკური თავისი ამხანაგებით).

კუკური — აბა, წამოდით, მოხუცებო, ცოტა ხანს საქმეზე ვომეხმარეთ.

ხახული — რა ამბავია, ბაბა, აღარ თავდება კრება?

კუკური — არქიფო და ემოკრიტე უკვე მოათავეს და, ახლა აკოაკუნეს ხარშავენ.

ბუხუტი — როგორ თუ ხარშავენ?

კუკური — როგორ და ისე, როგორც ეკადრება. (შემოდიან არქიფო, ემოკრიტე, შემდეგ კიკიტია).

---

[1] ძალა ერთობაშია.

არქიფო — ეს რა გვიყვეს, კაცო, რა ცეცხლის ლადარში გაგვატარეს!

ემოკრიტე — ახლა რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ, შემოგველე?

არქიფო — შენ კიდევ აქა ხარ, ბიჭო!

კიკიტია — რას შერებით, ჭირიმე, სუფთად გამოდით აბანოდან?

ემოკრიტე — რის სუფთად, ისე ვართ რიონი ვერ გაგვრეცხავს!
(ამ დროს სხდომის დარბაზიდან გამოდის აფორიაქებული აპრაკუნე. კუკურია და მის ამხანაგებს რომ მოკრავს თვალს, ცოფმორეული მათკენ გაეშურება).

აპრაკუნე — ახლა სად, სად მიდიხართ!.. კუკურია შენ, შენ დამღუპე, მე... აბა, დამხვდი.თუ ბიჭი ხარ! (ბუხუტისა და ხახულიასაც გადმოყრის კიბიდან). აიტ, თქვენ სოფლის ფილოსოფოსებო, ახლა მე მკითხეთ თქვენი პატივისცემა!
(აპრაკუნე და არქიფო ცოფმორეული დაერევიან კომკაეშირლებს. ერთხანს ასე ტრიალებენ კვარცხლბეკის გარშემო. ბოლოს აპრაკუნეს ფეხი გაუსხლტება და თავით კვარცხლბეკზე დაეცემა. კუკურია და მისი ამხანაგები გაიქცევიან. მათ არქიფო გამოედევნება უკან).

აპრაკუნე — მიშველეთ, მომკლეს, მომეხმარეთ...

კიკიტია — რა იყო, ჭირიმე, რა დაგემართა?

აპრაკუნე — როგორ თუ რა დამემართა, ბიჭო! ჩემი სისხლი ზღვას შეერთო, ზღვას...

კიკიტია — დიდუჰ! ეს რა დაგმართია, ჭირიმე, ტვინი სულ სისხლივით მოთუხთუხებს თავიდან!..

აპრაკუნე — რის ტვინი, ბიჭო! ტვინი რომ მქონოდა, აქ რა მინდოდა მე!

კიკიტია — ჩქარა, ჭირიმე, ცივი ტილო!
(ემოკრიტე ცხვირსახოცს დაასველებს და აპრაკუნეს თავზე შემოადებს).

ემოკრიტე — გიამა, ცოტა, შემოგველე?

აპრაკუნე — კი, ცოტა სული მოვითქვი, მაგრამ რად მინდა. ეჰ, რა ხალხში მქონია თურმე საქმე და რა გვიან გავიგე! ყველამ მილალატეთ... ყველამ ზურგი შემაქციეთ... ვხოლოდ ერთადერთი არქიფო დარჩა ჩემი ერთგული.

კიკიტია — ამაში შენ ნამდვილად ტყუვდები, ჭირიმე!

ემოკრიტე — კი, შემოგველე, სად ჩვენი შენდამი ერთგულება და სად მისი.

აპრაკუნე — დაიკარგეთ იქით!..

კიკიტია — რაკი არ გჯერა, მოდი და გამოსცადე, ჭირიმე, აგერ,

ისიც აქეთ მოდის. აბა მიეგდე აქეე კვარცხლბეკთან, თითქოს მკვდარი ხარ და ჩვენ გიტირებთ...

ე მ ო კ რ ი ტ ე — კაი აზრია, შემოგევლე... ცოტა ხნით მიწექი და ახლავე ნახავ, რა მდუღარე ცრემლებით გიტირებს ის შენი ძმადნაფიცი. (აპრაკუნე მკვდარივით მიეგდება კვარცხლბეკთან. კიკიტია და ემოკრიტე თავზე ხელს წაიშენენ და ტირიან).

კ ი კ ი ტ ი ა — უიმე, უიმე, ეს რა მოგვივიდა, ჭირიმე, აწი რაღა გვეშველება, რა კაცი დავკარგეთ, რა კაცი...

ე მ ო კ რ ი ტ ე — რომ გვტოვებ, ვის ხელში გვტოვებ, შემოგევლე, ვის ხელში...

(შემოდის არქიფო).

ა რ ქ ი ფ ო — რა მოხდა, კაცო. რას ტირით, რა დაემართა აპრაკუნეს?

კ ი კ ი ტ ი ა — მოკვდა, ჭირიმე, სიკვდილის წუთებში სულ შენ გახსენებდა, სად არის, ერთი უკანასკნელად მაინც მენახა ჩემი არქიფორ.

ა რ ქ ი ფ ო — არ მატყუებდე, ბიჭო!

კ ი კ ი ტ ი ა — გატყუებდეთ, რა ბანქოს თამაშია! რატომ არ ტირი, არ გეცოდება, ჭირიმე!

ა რ ქ ი ფ ო — ვინა, კაცო?

კ ი კ ი ტ ი ა — ვინა და, ეს შენი ძმადნაფიცი მეგობარი აპრაკუნე!..

ა რ ქ ი ფ ო — მაგას მიაკვდება ძაღლები სამარეში!

ე მ ო კ რ ი ტ ე — დედა, ეს რა გაეიგონე!

კ ი კ ი ტ ი ა — ხომ ხედავ, ჭირიმე, რა საცოდავადაა კვარცხლბეკთან მიგდებული... მადლია, მოდი, გავასწოროთ...

ა რ ქ ი ფ ო — რას ამბობ! მაგ ცოცხალი რომ იყო, მაშინ ვერავინ გაასწორა და მკვდარს გაასწორებ ახლა შენ?

კ ი კ ი ტ ი ა — რატომ, ჭირიმე?

ა რ ქ ი ფ ო — იმიტომ, რომ უკულმა დაბადებული იყო და ყველაფერში უკულმა მოქმედებდა...

ე მ ო კ რ ი ტ ე — ახლა სულ ასე ძალიან ნუ გაიმასქენი, შემოგევლე, ცოდვაა ეს უბედური!..

ა რ ქ ი ფ ო — ბევრი კი გვაწვალა მაგ უნამუსომ, მაგრამ ერთხელ მეც ვუტირე ყოფა!

კ ი კ ი ტ ი ა — მაინც რა უყავი, ჭირიმე?

ა რ ქ ი ფ ო — რა ვუყავი და, ერთხელ, ორჯუმელას ტბაზე თევზაობის დროს, განგებ ნავი გადავუბრუნე.

კ ი კ ი ტ ი ა — მერე, ჭირიმე?

არქიფო — ეხედავ ცურვა არ იცის და იხრჩობა კაცი. ჯერ ვაცალე, სანამ კარგად არ გაიბერა, ბოლოს შემეცოდა, ამოვათრიე, თავდაღმა დავკიდე და იმდენი ვცემე, სანამ ნაულაპი წყალი სულ არ წავანთხევინე.

უმოკრიტე — მერე, შემოგეველე?

არქიფო — მერე, როცა გონს მოვიდა, წამოდგა, ჩამიხვია გულში და სამუდამო ძმობა შემომფიცა.

აპრაკუნე — (გულმოსული წამოხტება) შენი კაცობაც შევარცხვინე და შენი ძმობაც, შე მამაძაღლო!

არქიფო — ცოცხალი ხარ, აპრაკუნე?

აპრაკუნე — თურმე განზრახ მახრჩობდი, საზამთროების საქმეშიც მომატყუე, ჩაის ხარისხი ამირიე, სხვა რაღა გინდა, ახლა მოდი და, ბარემ აქ თავსლაფიც დამასხი, შენგან ესეც მეკადრება მე!

(ამ დროს სხდომის დარბაზიდან ხალხი ჩოჩქოლით გამოდის. ერთ-ერთ ჯგუფს გამოეყოფა სიმონი და ხალხს მიმართავს).

სიმონი — მაშ, ასე, ამხანაგებო, ჩვენ დღეს კარგი საქმე გავაკეთეთ... კოლმეურნეობის ხელმძღვანელად ისეთი ამხანაგი შევარჩიეთ, რომელიც კარგად ერკვევა აგრონომიის, ზოოტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის საქმეში. იმედი მაქვს, ამხანაგი მარიამი მალე ამ კოლმეურნეობას ისევ მოწინავეთა რიგებში ჩააყენებს!

(ხმები ხალხიდან)

— გაუმარჯოს, ჩვენ მარიამს გაუმარჯოს!

მარიამი — გმადლობთ, მეზობლებო, მძიმე მოვალეობა დამაკისრეთ, მაგრამ არ მეშინია, თქვენი დახმარებით ყველაფერს გავაკეთებ!

აპრაკუნე — ეხ, რა ტრაგიკულად ვიღუპები! ვინ წამაქცია, ვინ? კაცი მაინც ყოფილიყო! აბა, არქიფო, ემოკრიტე, წამოდით ჩემთან, საქმეები ჩავაბაროთ!.. (მიდიან. აპრაკუნე კიბეზე შეჩერდება) ეჰ, ყველაფერი ერთბაშად დაიღუპა, ფიქრები, იმედები, სანუკვარი ოცნებები... თავის გამოჩენა მიყვარდა და თავი შევირცხვინე. მბრძანებლობა მიყვარდა და უფლება წამართვეს. არა, არა, ეპოქამ ვერ გამიგო მე, ეპოქამ!

(ფარდა ნელ-ნელა ეშვება).

დასასრული

რეზო თაბუკაშვილი

„რას იტყვის ხალხი“

სატირული კომედია
3 მოქმედებად

მოქმედნი პირნი

ნესტორი — საავადმყოფოს ხელმძღვანელი
შიკო — საავადმყოფოს მთ. ბუხპალტერი
ლილი — ბიჭიკოს გერი
ოთელი — საავადმყოფოს ბუხპალტერი
ასმათი — საავადმყოფოს მთ. ინკინერი
ზერაა — სოფლელი ბიჭი
თორნიკე — გაუერკვეველი პროფესიის ადამიანი
თამარი — ნესტორის და

ნათესავები, თანამშრომლები.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

ნესტორის ბინა. ნესტორი ნერვიულად დადის აივანზე. კიბეებზე ამორბის თამარი

თ ა მ ა რ ი — რა მოხდა, ნესტორ?

ნ ე ს ტ ო რ ი — ვიღუპები, თამარ, ვიღუპები! ახლავე წადი, ნინო და ელენე მომიყვანე, სუფრაზე სიმღერაა საჭირო.

თ ა მ ა რ ი — დავიღუპეო და ქეიფობ?

ნ ე ს ტ ო რ ი — საკუთარ დას თუ ვერ გითხარი, აბა ვის ვუთხრა?! ბიძაჩვენის დასაფლავება სოფელში რა დაჯდა, თუ იცი?!

თ ა მ ა რ ი — სამაგიეროდ რა ძეგლი დაედგით მტრის თვალის დასათხრელად! სადგურიდანაც მოჩანს; ზედ რომ ყანწებიც გამოვაქანდაკეთ! თორემ რას იტყოდა ხალხი?!

ნ ე ს ტ ო რ ი — მეც ეგ ვიფიქრე! რას იტყვის ხალხი, ერთადერთ ბიძას არ უპატრონაო! სწორედ მაშინ დამნიშნეს ამ დაწყევლილი საავადმყოფოს ხელმძღვანელად. შენობის რეკონსტრუქცია დავიწყე და სამზარეულო უნდა გამეტანა საავადმყოფოს გარეთ. ასე ჯობდა ავადმყოფებისთვის. ამაზე ასი ათასი მანეთი იყო გამოყოფილი და ისეთი უცნაური შემთხვევა მოხდა, რომ ეს ფული შემეძლო ამელო.

თ ა მ ა რ ი — რაღაც სისაძაგლე გაქვს ჩადენილი, ნესტორ!

ნ ე ს ტ ო რ ი — ხომ იცი, მე მაგის კაცი არა ვარ, მაგრამ ვიფიქრე, მერე დავფარავ-თქო.

თ ა მ ა რ ი — შე უსინდისო, შენ რომ ახლა ციხეში ჩაჯდე, რას იტყვის ხალხი?!

ნ ე ს ტ ო რ ი — ვინ არის ჩემი მთავარი ბუხჰალტერი, თამარ?

თ ა მ ა რ ი — როგორ? ჩვენ ბიჭიკოს შეუძლია გიშველოს რამე?

ნ ე ს ტ ო რ ი — იმან თუ ერთ ჩეკზე ხელი არ მომიწერა, აღარაფერი მიშველის! დღეს მისი დაბადების დღე ყოფილა, ჩემი არასოდეს გადამიხდია და ახლა იმას უნდა გადავუხადო დაბადების დღე. იქნებ სუფრაზე რამე მოვახერხო. ახლა გავარდი, ქალები მოიყვანე!

თ ა მ ა რ ი — ნესტორ, რა გვიქენი, ნესტორ?! მივდივარ, მივდივარ!

ნ ე ს ტ ო რ ი — მანქანით გაგიშვებ. (გადიან. შემოდის ლილი, შემოაყვება იოველი)

ი ო ვ ე ლ ი — რა იყო, ლილი, მამაა წინააღმდეგი?

ლ ი ლ ი — ნეტავ ის იყოს წინააღმდეგი?

ი ო ვ ე ლ ი — აღარ გიყვარვარ?

ლ ი ლ ი — ნეტავი მართლა აღარ მიყვარდე, რა ბედნიერი ვიქნებოდი!

ი ო ვ ე ლ ი — ამბობ გიყვარვარ და უბედური ხარ?

ლ ი ლ ი — სწორედ მაგით ვარ უბედური, სწორედ მაგით! ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება, არ შეიძლება, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, ჩემო დაჩაგრულო... რაც ლამაზი სიტყვები ვიცოდი, შენთვის არც ერთი არ მენანება... აი, შენ კი ლამაზ სიტყვებს არ მეუბნები.

ი ო ვ ე ლ ი — რა მელამაზსიტყვება, ლილი, შენ უბედურება გჭირდეს და მე არ უნდა ვიცოდე?

ლ ი ლ ი — ჩვენ არ გვაქვს ერთად ყოფნის უფლება. და შენ არ იცი, რატომ?

ი ო ვ ე ლ ი — რატომ, ლილი, ვინ წაგვართვა უფლება?

ლ ი ლ ი — შენ სულ, სულ ვერ ხვდები, რატომ არ გვაქვს უფლება?

ი ო ვ ე ლ ი — ხუმრობ, ლილი?

ლ ი ლ ი — ნეტავი მართლა მეხუმრებოდეს! ო, როგორ მიყვარხარ, ჩემო კარგო, ჩემო დაჩაგრულო იოველ! (შემოდიან ნესტორი და ასმათი)

ნ ე ს ტ ო რ ი — ბიჭიკო არ მოსულა?

ლ ი ლ ი — ჯერ არა.

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ რა იცი, შენ ხომ... საუბარში იყავი გართული?

ლ ი ლ ი — ჰო, იოველი მიყვებოდა თქვენი საავადმყოფოს რეკონსტრუქციის ამბავს, ბუხჰალტრულ საქმეებს. არ მესმის, ასმათ. შენ მაინც როგორ გაინტერესებს საავადმყოფოს ინჟინრობა, ავადმყოფების კვნესა, მუშების გინება, ავადმყოფების ტირილი?!

ნ ე ს ტ ო რ ი — ნეტავ სადაა ბიჭიკო ამდენხანს?

ლ ი ლ ი — ხომ იცი, რომ სათევზაოდაა?!

ი ო ვ ე ლ ი — სათევზაოდ? ამასწინათ ხომ გულის შეტევა მოუვიდა?

ა ს მ ა თ ი — ბიძია ბიჭიკო გულს არ ემორჩილება, თვითონ უტევს. ბატონო ნესტორ, გაგვიმეღავნეთ ჩვენი თავშეყრის მიზეზი. (ბიბეებზე ამოდის თორნიკე)

თ ო რ ნ ი კ ე — მე თავშეყრის ფაქტიც მაკმაყოფილებს, ბატონო ჩემო, მისი მიზეზისდა მიუხედავად. ქალაქში გახლდით და ზენა ქარმა პურ-მარილის სურნელება მომაქროლა სახეზე. კიდეც გეახელით!

ნ ე ს ტ ო რ ი — გამარჯობა, თორნიკე! (იხედება ეზოში) ბიჭიკო მოვიდა! აბა, იოველ, საჩქაროდ! ტანსაცმელი არ გამოაცვლევინო, თორემ, ხომ იცი, წვიმის წყალს მოითხოვს თავის დასაბანად, მერე აკვარიუმში თევზებს დააპურებს და გავიდა უკვე ეს დალოცვილი კვირა დღე, აგერ ღამდება!

(იოველი გარბის, ნესტორი სუფრასთან სვამს ყველას, თვით ივსებს ყანწს და სუფრის თავში დადგება. კიბეზე იმის ბიჭიკოსა და იოველის ხმა, ცოტა ხნის შემდეგ ორივენი გამოჩნდებიან. ბიჭიკო მეთევზის სველ ტანსაცმელშია გამოწყობილი)

ბ ი ჭ ი კ ო — მოხდა რამე?

ნ ე ს ტ ო რ ი — მოხდა, ჩემო ბიჭიკო, დიდი ამბავი მოხდა!

ბ ი ჭ ი კ ო — რა?

ნ ე ს ტ ო რ ი — (ყანწით ხელში) ჩვენს თავშეყრას დიდი და ნათელი მიზეზი აქვს. დღეს ერთი სპეტაკი ადამიანის, ნამდვილი უპარტიო ბოლშევიკის იუბილეა. დღეს სამოცი წელი შეუსრულდა ჩვენს მთავარ ბუხჰალტერს — ჩვენს ბიჭიკოს. (აკოცნის ბიჭიკოს)

ბ ი ჭ ი კ ო — არ შეგეზაროთ, გენაცვალეთ, ამ ტანსაცმელში, ხრამი სუფთა მდინარეა.

ნ ე ს ტ ო რ ი — როგორც იცით მზესაც კი ლაქები აქვს, ბიჭიკოს კი სამოცი წელი უვლია ცხოვრების გზატკეცილებსა თუ ტალახიან გზებზე და ერთი ლაქაც არ მოსცხებია! მრავალჟამიერ დღეგრძელი იყოს ჩვენი იუბილარი, ჩემი განსვენებული დედაშვილის მეუღლე, ჩვენი ბიჭიკო!

(იწყებს მრავალჟამიერს. სხვებიც ამყვებიან. ბიჭიკო გაოგნებული შეჰყურებს ყველას, გულზე სიხარული მოებჯინა და ყელში ცრემლები ასეთი მოულოდნელი პატივისცემისა და დაფასებისაგან)

თ ო რ ნ ი კ ე — ერთხელ დადეშქელიანს სვანეთში ინგლისის პრინ-

ცესა სწვევია. ქართველური, თავადური მასპინძლობის შემდეგ მასპინძელმა პრინცესას მთელი სვანეთი დაათვალიერებინა. სტუმარი ჩვენს ნისლიან უშბას მოუხიბლავს, ბატონო ჩემო, გაგიჟებამდე, და რა უქნია დადეშქელიანს, თუ იცით?! „ფეშქაშო“ უთქვამს და უშბა სტუმრისათვის უჩუქებია. (სიცილი) რადგან უშბა გასაჩუქრებულია, მე რაღა მოგილოცო, ჩემო ბიჭიკო? იცოცხლე შენი მამულიშვილობით და ავკარგიანობით!

ლ ი ლ ი — იცოცხლე, მამიკო! არ გეგონოს, დამავიწყდა შენი დაბადების დღე, მაგრამ მთელი საკოქისიოები დავიარე და ხომ იცი...

ი ო ვ ე ლ ი — იცოცხლე, ბატონო ბიჭიკო, მრავალი წელი, ლილისთან ერთად!

ნ ე ს ტ ო რ ი — ბიჭიკო, შენს იუბილესთან დაკავშირებით საჩუქარი მინდა გაგიკეთო: ხვალ სამსახურში შეგიძლია არ მოხვიდე.

ბ ი ჭ ი კ ო — თუ მართლა საჩუქარი გინდა, შვებულებაში გამიშვი, ნესტორ, თორემ ექიმებმა მითხრეს სამი თვის დასვენება მაინც გჭირდებაო. არ მიყვარს ავადმყოფობაზე ლაპარაკი, მაგრამ...

ნ ე ს ტ ო რ ი — რა დროს შვებულებაა, არ იცი, რამდენი საქმეა? მალე გაგიშვებ, მალე.

ბ ი ჭ ი კ ო — ხვალ კი უნდა მოვიდე, ხელმოსაწერი დოკუმენტი მაქვს ბევრი.

ი ო ვ ე ლ ი — ბატონო ბიჭიკო, მე მაქვს კიდევ ორი სუფთა ჩეკი თქვენი ხელმოწერით.

ნ ე ს ტ ო რ ი — ეგ როგორ?

ბ ი ჭ ი კ ო — ჰო, ამას, როგორც საკუთარ თავს, ისე ვენდობი, ხელს ვუწერ ხოლმე სუფთა ჩეკებზე და მერე იოველი თვითონ ავსებს.

ნ ე ს ტ ო რ ი — იოველს როგორ არ უნდა ენდო, მაგრამ შენი საქმე ისეთია, ჩემო ბიჭიკო... სახელმწიფო ფინანსებს თადარიგი უყვარს. ჰო, მართლა, რადგან ხვალ არ მოხვალ, ხელის მოწერაზე გამახსენდა: შენი ხელმოსაწერი საჩქარო ქაღალდია და შენს იუბილეზე შეგაწუხებ ბარემ. (გაუწვდის ქაღალდს)

ო ლ ო რ ნ ი კ ე — აფსუს, რა დროა, პურმარილზე საქმე ვინ თქვა?!

ბ ი ჭ ი კ ო — აბა, ერთი, მომეცი კალმისტარი! (აპირებს ხელის მოწერას)

ა ს მ ა თ ი — ბიძია ბიჭიკო, თქვენს სამოცი წლის იუბილეს გაუმარჯოს, ზღვის კენჭივით სუფთა ადამიანის იუბილეს! (ბიჭიკო გა-

დადებს კალმისტარს და იწყებს ლაპარაკს, ნესტორი ნერვიულად წამოდგება)

ბ ი ჭ ი კ ო — კენჭივით სუფთაო, ასე არ ბრძანე, ასმათ? შენც გიყვარს კენჭები, ჩემო პატარა ანგელოზო?! პატარები რომ არიან და გაკრიალებულები! ერთი ახალი ჯეჯილის ფერია, მეორე მწიფე ბროწეულის კაკალივითაა, არის ცრემლივით გამჭვირვალე კენჭიც. ოჰ, კენჭები დიდებული ხალხია!

ნ ე ს ტ ო რ ი — (ნერვიულად) ეეჰ, სადღაა მასეთი კენჭები. ბავშვობაში მეც ბევრი მინახავს, ახლა კი შაეი ზღვის ნაპირზე ერთსაც ვერ იპოვნი!

ა ს მ ა თ ი — ბავშვობაში ალბათ სხვა გული გქონდათ, სხვა გრძნობა და იმიტომ ამჩნევდით.

ნ ე ს ტ ო რ ი — მოაწერე, ბიჭიკო, გენაცვალე!

ბ ი ჭ ი კ ო — (ისევ აპირებს ხელის მოწერას) ხელს კი მოვაწერ, მაგრამ (ისევ გადადებს კალმისტარს) — არ ვიცი, ნესტორ, რით გადაგიხადო! მთელი ცხოვრება ვცდილობდი არავის დაეწყევლა ჩემი დაბადების დღე, მაგრამ სამოცი წლის თავზე თუ ამ დღეს ვინმე მოიგონებდა და დალოცავდა, რა ვიცი, ჩემო ძვირფასებო, არ გეწყინოთ და არ მეგონა! გმადლობთ, ჩემო კეთილებო, გამაახალგაზრდავეთ, თქვე უღმერთოებო, ხომ იცით. (ახალგაზრდულად წამოვარდება, ალიღებს გიტარას და მღერის. ნესტორს თანდათან ემატება ნერვიულობა)

თ ო რ ნ ი კ ე — ყმაწვილკაცობა მომაგონე, ჩემო ბიჭიკო! საწერეთლოში რომ დავდიოდით ვახშმიან საღამოებზე, იქ მღეროდნენ მაგას აბაშიძის ქალები. ქალები და რა ქალები! შენც ბევრი სატრფო გეყოლებოდა, ბიჭიკო, აოა?

ბ ი ჭ ი კ ო — ახლაც ბევრი მყავს.

ლ ი ლ ი — სად არიან, მამიკო?

ბ ი ჭ ი კ ო — წყალში. ზოგს წითელკოპლებიანი ფარჩის კაბა აცვია, ზოგს ნემსივით წაწვეტებული ცხვირი აქვს, გრძელულვაშიანი სატრფოებიც მყავს, ყველა წყალშია, ყველა ლამაზია და ყველა ჩემი სატრფოა.

თ ო რ ნ ი კ ე — (გადაულაპარაკებს ნესტორს) მაგ ვითამ გულითაა ავადმყოფი? (ბიჭიკოს) — ხმელეთზე არავინ გიყვარს, ბატონო ჩემო?

ნ ე ს ტ ო რ ი — (ნერვიულად) ხმელეთზეც უყვარს, ბატონო, ხმელეთზეც. აბა, ბიჭიკო! (და ისევ ქაღალდს აჩეჩებს ხელში)

ბ ი ჭ ი კ ო — ადამიანები მიყვარს და ცხოველებიც... კატის გარდა.

ნ ე ს ტ ო რ ი — ოჰ, კატები გადააშენა ღმერთმა! აბა, ბიჭიკო, მოაწერე გენაცვალე, და дорогие тосты продолжаются!

ბ ი ჭ ი კ ო — ახლავე, ნესტორ, ბოდიში, შენი ჭირიმე! (ისევ აპირებს ხელის მოწერას)

ლ ი ლ ი — მამა ასე კარგ გუნებაზე არასოდეს არ ყოფილა. ნეტავი მეც ასეთ გუნებაზე ვიყო!

ბ ი ჭ ი კ ო — (ისევ გადადებს ქაღალდს) თქვენ ამღერღეთ, თქვენ გამახარეთ, თორემ ახლა ხრავზეც ბევრი ვინერვიულე. თევზით დუღდა წყალი, მაგრამ ერთი ბადეც ვერ დავარტყი წესიერად. რამდენი ვისროლე, სულ ერთი ციდა თევზები მოყვა. ამოვწევ წყლიდან და ვხედავ ბადეში საბავშვო ბაღია პირდაპირ. ვუშვებ უკან ტალღებში, მიკვდება გული, მაგრამ რას იზამ, ჯერ დავაეკაცება სჭირდებათ, საცოდაობაა!

ა ს მ ა თ ი — ღამე თუ გითევზავნიათ ფარნის შუქზე, საოცრება რაღაცაა.

ბ ი ჭ ი კ ო — შენ რა იცი, გენაცვალე?

ა ს მ ა თ ი — ჩვენს მუშებს წაეყვანა გასულ კვირას და...

ლ ი ლ ი — მარტო იყავი?

ა ს მ ა თ ი — არა, იმათთან ერთად, ერთხელ მეც ვცადე, მაგრამ კინალამ კბილები წამაცალა. ზღაპარში მეგონა თავი; იქვე დავანთეთ ცეცხლი, რამდენიმე ტარო სიმინდი მოვიპარეთ გზაზე და...

ბ ი ჭ ი კ ო — ეგ თუ გაინტერესებს, გენაცალე, მე გატარებ, სანამ კიდევ შემიძლია... თუმცა რა დაგივალოთ, დღეს ცოტა შემეშინდა. ცუდად გავხდი წყალში, აბა! გული, ეს მოღალატე, ესა! დღეს რომ ჩემს ბედნიერებას ჩემი საცოდავი თამარი ხედავდეს, გული მაშინ გარკინდებოდა. ეს ოხერი მორწმუნე მაინც ვიყო, მაშინ თამართან შეხვედრის სურვილით სიკვდილის აღარ შემეშინდებოდა.

ნ ე ს ტ ო რ ი — (მთლად გამოსული მოთმინებიდან) რა დროს სიკვდილზე ლაპარაკია, შე კაცო! (ნაძალადევი მხიარულებით) გაუმარჯოს სიცოცხლეს! აბა, შენი ჭირიმე, მოვათავოთ ეს საქმეც და გამაგრძელებინეთ ეს კეთილშობილური სუფრა. (ხელში ჩრის კალმისტარს. ბიჭიკო ისევ აპირებს ხელის მოწერას, მაგრამ ეზოდან მოისმის ყმაწვილი კაცის ხმა)

ხ მ ა — ბიძია ბიჭიკო! ბიძია ბიჭიკო! (ლილი გადაიხედავს)

ლ ი ლ ი — ო, ზურია, როდის ჩამოხვედი? ჩვენ მალე მოვალთ! რა დროს მისი ჩამოსვლა იყო ახლა, მაგის ხასიათზე ვარ სწორედ, ისედაც...

ბ ი ჭ ი კ ო — (ისევ გადადებს ქაღალდს) ფატულას ბიჭია? ამოიყვანე, გენაცვალე.

ლ ი ლ ი — ამოდი, ზურია, ამოდი.

(ცოტა ხნის შემდეგ შემოდის თვრამეტი წლის სოფელი ბიჭი სავსე კალათითა და პატარა ტიკით ხელში)

ზ უ რ ი ა — გაგიმარჯოთ სუყველას! თქვენთან ვიყავი და მითხრეს მეზობლებში არიან გადასულიო, ალღოთი მოგაგენით.

ლ ი ლ ი — წამოწექი, მოისვენე!

ნ ე ს ტ ო რ ი — (ზურიას, ისე, რომ არც უყურებს) ოჯახში რომ შემოდიხარ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ქუდი უნდა მოიხადო!

ზ უ რ ი ა — ქუდი რომ არც არასოდეს მქონია!

ნ ე ს ტ ო რ ი — ეგ სულერთია.

ბ ი ჭ ი კ ო — მოდი აქ, ჩემო ზურია, ჩემთან დაჯექი!

ზ უ რ ი ა — დაჯდომით არ შეგაწყენთ და დედასაგან მაქვს პატარა მოწერილობა...

ბ ი ჭ ი კ ო — საჩქაროა?

ზ უ რ ი ა — აბა არა?!

ბ ი ჭ ი კ ო — მომეცი აქ! (აწვდის თორნიკეს) ერთი წაიკითხე, ჩემო თორნიკე! საიდუმლო ხომ არაა, ზურია?

ზ უ რ ი ა — გეკადრებათ?!

თ ო რ ნ ი კ ე — (კითხულობს) ჩემო ბიჭიკო! ვიღებ კალამს და გიძღვნი სალამს. ახლა, ჩვენს ამბავს თუ იკითხავთ, ჯერ ვერ მოვეპამეთ ჭირი ამ წუთისოფელს. ერთი მაინც ჩამოსულიყავი და გადაგეხედა შენი არწივის თვალით ამ ჭურმარნისათვის! ამ ღარიბულ ორღობეში თუ გვიკადრებ, შენთვის ერთი სკამი ყოველთვის დგას ჩვენს ოჯახში. ახლა, ბიჭიკოს ვენაცვალე, ერთი ვალი უნდა დამდო კისერზე უღელივით: შენი მოუწყობელი რა იქნება, — მთავრობაში შესული კაცი ხარ, — და ეს ჩემი ობოლი ზურია უნდა გადამირჩინო. ვერცხლის მედალი ქე მიიღო, მაგრამ რაღაცა „საბესედანია“ ყოფილა და იმაში გვინდა შენი ძვირფასი დახმარება, პატივსაცემი თუ იქნება ვინმე, არაფერს მოვერიდები. კუთხე-მეზობლის მერიდება, ჩემო ბიჭიკო: ამ სოფელში გაღმა-გამოღმა ყველამ გაპროფესორა შვილი და მე რომ გამოვსხლიტო, რას იტყვის ხალხი?!

ნ ე ს ტ ო რ — ბევრია კიდევ?

თ ო რ ნ ი კ ე — (განაგრძობს) ეს დასაღუპი, ამნაირი სწავლის დრო დადგა თუ არა, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგისი სწავლა და მაგისი ჯამაგირი მე არ მაინტერესებდეს: ვინ მყავს მაგის

მეტი შვილ-მომავალი?! ეს საქმე დამალაგებინე, ბიჭიკოს ვენაცვალე, და მერე? — რასაც ზიდავს მთელი ვაგონი! მაგ ღვინოს ჭაშნიკად გიგზავნი, აბა, თუ მოვეწონება! ნაშაქრალი და ნამამაძაღლარი არ გეგონოს, ჩემი ვენახის ცრემლებია სუფთა. მე უბედურმა კი ვიცი, ხაჭაპური. ქათამი და ტყემალი რა თქვენი საკადრისია, კატლეტებზე გაზრდილი ბრძანდებით, მაგრამ უნდა გეაპატიოთ. ახლა, მგონი, შეგაწყინე თავი (თორნიკე თითქოს წერილს მიმართავს) — ოჰ, როგორ გეკადრებათ, ქალბატონო! (ისევ განაგრძობს) — მაგ საქმე რომ არ გამოვიდეს, ჩემო ბიჭიკო, ბოსელში წინასწარ მაქვს ღვლერეი ჩამობმული, მაგრამ ჩემს გასვენებაში ჩამოსველას რაღა დაგავალებ. ახლა დამიკოცნე ჩემი მოსიყვარულე ღაჟღაჟა ლილი-გოგო!

შენი უღირსი ფ ა ტ უ ლ ა“.

ბ ი ჭ ი კ ო — მაგაზე სახლში ვილაპარაკოთ, ჩემო ბიძია!

ლ ი ლ ი — Каждый крестьянский мальчик хочет стать профессором.

ნ ე ს ტ ო რ ი — (უსულგულოდ) ისე, მოსავალი როგორია იქით, მოსავალი?

ზ უ რ ი ა — (გამოცოცხლდება) წარმოიდგინეთ, ბიძია, დიდი გვალვები დაიჭირა!

ნ ე ს ტ ო რ ი — აბა, კარგი მოსავალია, ხომ? კარგია, კარგი!

ზ უ რ ი ა — არა, ბიძია, დიდი გვალვები დაიჭირა-თქო.

ნ ე ს ტ ო რ ი — რას ჩააცივდი ამ გვალვას?

ბ ი ჭ ი კ ო — აბა, გვალვებია, ბიჭო, ჩვენში?

ზ უ რ ი ა — დიახ, ბატონო! ვენახს ვერაფერს დააკლებს, მაგრამ სიმინდი კი დაზნიქა წელში!

ნ ე ს ტ ო რ ი — სწავლა გიყვარს, ბიჭო?

ზ უ რ ი ა — სკოლაში არა უშავდა და ინსტიტუტში თუ უფრო შემიყვარდება არ იქნება ურიგო.

ნ ე ს ტ ო რ ი — Учиться надо, надо!

ზ უ რ ი ა — სოფელში დავრჩებოდი, მაგრამ, ჩვენი ახალგაზრდობა სულ აქაა და ბებრებში და ბავშვებში იქ ყოფნაა ისევ აქ სწავლა ჯობია.

ბ ი ჭ ი კ ო — ძალიან დაცარიელდა სოფელი!

ზ უ რ ი ა — ომამდე თურმე ჩვენში ისეთი ტონტორა ბიჭები ყოფილან! ისინი რომ სასაფლაოზე ფეხბურთს თამაშობდნენ ფეხშიშველები, ამხელა ცერები ჰქონიათ, ა? ბუცებიან ქალაქელებს სჯობდნენო.

თ ო რ ნ ი კ ე — რით მიიღე, ბიჭო, ვერცხლის მედალი?

ზ უ რ ი ა — ისე ურიგოდ არ ვსწავლობდი, მაგრამ ეგ მედალი მე კი არა, ბიძაჩემმა მიიღო: სკოლის დირექტორია და ვინ ეტყოდა უარს?!

თ ო რ ნ ი კ ე — სწავლა თუ არ გიყვარს, ჩემი ბედნიერების არ იყოს, აბა რა გიყვარს, ბიჭო?

ზ უ რ ი ა — როგორ გითხრათ, სწავლაც მიყვარს, მაგრამ თოხიც რომ მიყვარს და კიდევ ვენახის შეწამვლაც? არც ნახირში ვარ მწყემსებთან მოწყენილი. შემოდგომაზე კიდევ, ყანებს რომ აიღებენ და მილიცია რომ ცხენებს გამოუშვებს მთაში, იმ ცხენების დაჭერა მიყვარს ჩუმად და მერე გრიალ-გრიალი სოფელში!

თ ო რ ნ ი კ ე — ქალები არ გიყვარს, ბიჭო, ქალები?

ბ ი ჭ ი კ ო — თორნიკე!

ზ უ რ ი ა — (გულუბრყვილოდ) კარგი ადამიანი ქალიც კარგია და კაციც-

ნ ე ს ტ ო რ ი — პასუხები არაა საჭირო!

თ ო რ ნ ი კ ე — ამ კატლეტებზე გაზრდილ ხალხს ერთი ეს ქათამი და ხაჭაპურიც გაგვესინჯეთ!

ლ ი ლ ი — ეს არ უნდა ჩამოგეტანა, ზურია, ჩვენ, ხომ იცი, სხვანაირი ოჯახი გვაქვს. შენ რომ ახლა სხვაგან მოყვე, მოსაწყობად ჩავედი და ძღვენი ჩავიტანეო, რას იტყვის ხალხი?!

თ ო რ ნ ი კ ე — აბა, დაგვიტრიალდი, ჩემო ლილი, და შენს ქორწილში მერე მე ვიტრიალებ ჩიკორიკით!

ზ უ რ ი ა — ჩიკორი რა იცი, ბიძია, შენ?

ნ ე ს ტ ო რ ი — უფროსებს, ახალგაზრდავ, თქვენობით უნდა ელაპარაკო!

(ლილ თავს ხდის ზურიას კალთს და ალაგებს)

ზ უ რ ი ა — ეგ კი არა, დედაჩემმა ორასი თუმანი ფულიც გამომატანა: იქნებ მოწყობაზე დაგვირდესო. ძროხა გაყიდა და იმის ფულია. ჩემს თავს მერჩია ის ნუგეშა ძროხა. სულ ჭენჭყებში მყავდა გასუქებული... ვითომ არის, ბიძია ბიჭიკო, აქ ასეთი უსულგულო ხალხი, ჩემს სწავლაში ფულის აღება იკადრონ?

ბ ი ჭ ი კ ო — ნუ ჯავრობ, ჩემო ზურია, ყველაფერი მოგვარდება.

ზ უ რ ი ა — თუ არ დამჭირდა, ჩემს ნუგეშას უკანვე გამოვისყიდი.

ნ ე ს ტ ო რ ი — (ბიჭიკოს ნაწყენი კილოთი) კარგი, აბა, ხვალ მოდი სამსახურში და იქ მოაწერე ხელი!

ბ ი ჭ ი კ ო — უკაცრავად, ნესტორ, ამ წუთში, შენი ჭირიმე!

ა ს მ ა თ ი — (ზურიას) სალამოები თავისუფალი მაქვს და გამეცადი-

ნებ. თუ იბეჯითებ, ძროხასაც დაიბრუნებ, თუ არა და გაგტყეპავთ და გაგიშვებთ სოფელში.

ბ ი ჭ ი კ ო — (ქაღალდებს ჩასჩერებია) ეს რა არის, ნესტორ, ვერაფერი გაეიგე?

ნ ე ს ტ ო რ ი — სხვათა შორის, მინისტრიც ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა გავაცანი, სხვებიც კიდევ ეგ ფორმალობაც მოვიშოროთ, თორემ გაგვითბა ღვინო, მერე რა ღვინო, არ იკითხავ? (თანდათან ნერვიულობა ემატება) კახური ყურძნისაა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ევროპულადაა დაყენებული.

ბ ი ჭ ი კ ო — მოიცა, მოიცა, ნესტორ, რა არის ეს?

ნ ე ს ტ ო რ ი — მოდი, მოდი, დავლიოთ, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, თორემ შენს იუბილეს ხალისი მოაკლდა!

(ნერვიულად იწყებს სიმღერას, აპყვება თორნიკე)

ბ ი ჭ ი კ ო — (აწყვეტინებს) ნესტორ, ვინ შეაქსო ეს ბლანკი? შენ თვითონ წაკითხული გაქვს, როგორაა ეს თანხა გაფორმებული?!

ნ ე ს ტ ო რ ი — ბიჭიკო, შენ ახლა ცოტა ალკოგოლი მოგეკიდა და ამიტომ არ გიწყენ, თორემ... აბა, დააკვირდი, მარტო ხათესავი ხომ არა ვარ შენი, დირექტორიცა ვარ! თუ გეუბნები უნდა მოაწერო, ალბათ ასე სჯობია სახელმწიფო ინტერესებისათვის!

ბ ი ჭ ი კ ო — რა სჯობია, ნესტორ, წაკითხული გაქვს-თქო, გეკითხები?

ნ ე ს ტ ო რ ი — (მკაცრად) შენ ხომ იცი, საქმეში საკუთარ ძმას არ დავინდობ, ასე მასწავლეს მე პრინციპულობა! აბა, ახლავე მოაწერე მაგას ხელი და მეორედ არ განმეორდეს ასეთი... (თაჭაჭინდრული ბიჭიკო მდუმარედ დასცქერის საბეთს კალმისტრით ხელში. ნესტორი გრძნობს, რომ მუქარამ გაჭრა და ახლა დიდსულოვნად სუფეს ისევ შეგობრულ ტონზე გადასვლა) — აბა, ახლა კი დავივიწყოთ ყველაფერი! ლილიკო, ჩაირბინე და არტუშას უთხარი ყინული მოგვაშველოს!

ლ ი ლ ი — კარგი, მამიკო, მოაწერე ახლა ხელი და ამ თქვენი საქმეებით ნუ ჩაგვამწარებთ ამ შესანიშნავ კვირა დღეს! ძლივს დავდექი კარგ გუნებაზე, მაგრამ ჩემს გუნებას თქვენ როდის უწევთ ანგარიშს. ვინ კითხულობს, ბედნიერი ვარ თუ უბედური! მოაწერე ხელი, მოაწერე!

ბ ი ჭ ი კ ო — (მღელვარებისაგან ძლივს ლაპარაკობს) ნესტორ! შენ მე... სიყალბეზე მაწერინებდი ხელს... ღმერთმა დასწყევლოს... ჩემი დაბადების დღე! დიახ, შენ რომ გადამიხადე, ის დაბადების

დღე! (ცრემლი მოერევა, მაგრამ თავს შეიკავებს, დაიყვირებს) იცოდე, ლეკის გული მაქვს, ვეფხვი ვარ. ვეფხვი! დიახ, ვეფხვი ვარ! (დაიყვირებს ისტერიულად და იქვე ჩაიკეცება გულის შეტევით. ყველანი მიცვივდებიან ნესტორისა და თორნიკეს გარდა—ისინი დგანან გაოგნებულნი. ბიჭიკოს საწოლზე აწვენენ, მოარბენინებენ წყალს, უგრილებენ და სხვ.)

ზ უ რ ი ა — ჩემი ბრალი ხომ არაფერია?

ლ ი ლ ი — დაჯექი, ზურია! (ასმათი ბიჭიკოს მაჯას უსინჯავს, თორნიკე გაიხმობს ზურიას)

თ ო რ ნ ი კ ე — ჩემო ზურია, ბიჭიკო ბიძია ავადმყოფი კაცია და რაზე შევაწუხოთ. გენაცვალე. ორი თვალი ბინა მაქვს, ისედაც ტურასავით მარტო ვიცხოვრობ. ხმის გამცემი მაინც მეყოლება. წამოდი, ბიძია, ჩემთან გაჩერდი და იქნებ ინსტიტუტში მოწყობაზეც დაგეხმარო, თორემ მაგ ფულს მართლა ვინმე გამოგართმევს.

(კიბეზე ამოდიან ნათესავები: ნინო, თამარი და ელენე)

ე ლ ე ნ ე — რა მოხდა?

თ ა მ ა რ ი — (შეკივლებს) გვიშველეთ! გვიშველეთ!

ნ ე ს ტ ო რ ი — გვაცალეთ, გვაცალეთ! წყნარად, პანიკა არაა საჭირო!

ა ს მ ა თ ი — (ჩურჩულით) გულის შეტევა აქვს.

ი ო ვ ე ლ ი — წამალი მივეცით.

ე ლ ე ნ ე — მაგის გულს ვენაცვალე, მე უნდა ვიყო ასე კენჭივით და მაგას გული სტკიოდეს?

ნ ი ნ ო — ნეტავი მართლა შეიძლებოდეს საკუთარი ჯანმრთელობა დაუთმო საყვარელ ადამიანს!

თ ა მ ა რ ი — ასე რომ იყოს, ბიჭიკოს მორჩენას ვინმეს დაგანებებდით?

ა ს მ ა თ ი — (ჩურჩულით) საჩქაროდ უნდა წავიდეს დასასვენებლად, გადაღლილია!

ი ო ვ ე ლ ი — აუცილებლად. ბატონო ნესტორ. ხვალვე უნდა გავუშვათ შვებულებაში! მის მაგივრად ვიმუშავებთ და საქმეს არ შევაფერხებთ.

ლ ი ლ ი — რით უნდა წავიდეს, ასმათ, გენაცვალე, მაგის მკურნალობას, არ იცი. რა თანხა სჭირდება?

ა ს მ ა თ ი — უნდა ვიშოვოთ.

ლ ი ლ ი — შენ ახლა გაიგე, ასმათ, მე კი მთელი წელია მაგაზე ვფიქრობ, სად ვიშოვო. ვის მივმართო, სახლში მქონდეს მაინც რამე. როიალს ხომ არ გავყიდი? დედის სახსოვარია, ოჯახი

რომ სულ გავაჩანაგოთ, რას იტყვის ხალხი? რა ვქნა, ასმათ, შენ არ იცი, მე ისედაც უბედური ვარ, ეს ხომ თქვენ არც ერთმა არ იცით. წელს ალბათ ალარ მოხერხდება, ასპირანტურას მოთავება სჭირდება და გაისად ამ დროს უკვე ხარისხი მექნება და წესიერი ხელფასი.

ასმათი — ბატონი ნესტორიც მოგვცემს ფულს, ბატონი თორნიკეც, ნათესავებიც დაეხმარებიან (ანიშნებს ახალ მოსულებზე) — მეცა მაქვს ცოტა მოგროვილი, ამდენმა ხალხმა ერთ კაცს ვერ მოვუაროთ? პროფორგანიზაციაც დაეხმარება.

ნესტორი — პროფორგანიზაციას ალარა აქვს სამაგისო თანხები. ბედი არ გინდა? ნეტავ გუშინწინ გამხდარიყო ცუდად, საკმაოდ დიდი თანხა მქონდა და ერთ უბედურ ოჯახს დავეხმარე.

თორნიკე — მეც სულ უსახსროდ გახლავარ, ბატონო ჩემო. თორემ ბიჭიკოსათვის ფული კი არა, სიცოცხლეც არ დამენანება! წელანაც ვუთხარი, თუ გახსოვთ.

ნინო — მაგას მოუკვდა ჩემი თავი, ერთ კვირაში აგარაკზე მივდივარ და, ხომ იცით, რა სჭირდება. შაური არ მაქვს ზედმეტი, შაური!

თამარი — მეც კიდევ... აგერ ინოლას დღეობა ახლოდება და... ნეტავი შემეძლოს რამით დახმარება!

ელენე — (მზადაა გასაპარავად) ყოველმხრივ ვეცდები, თუ ვიშოვნე, ახლავე დავბრუნდები, თუ არ დავბრუნდი, ესე იგი ვერ ვიშოვნე!

ნინო — (თამარს) ჩვენც წავიდეთ, იქნებ ვიშოვოთ!

თამარი — წავიდეთ, წავიდეთ. (სასწრაფოდ გადიან)

ასმათი — მგონი გაუარა. ხომ არ შეგეშინდა, ბიძია? (ბიჭიკო წამოდგომას აპირებს)

ზურია — იწექი, ბიძია, იწექი!

ბიჭიკო — შემეშინდა.

ასმათი — ნუ გეშინიათ, ხვალვე გაგისტუმრებთ დასასვენებლად.

ბიჭიკო — არა, ასმათ, მე სიკვდილის კი არ მეშინია, მე სიცოცხლე მიყვარს და...

ზურია — ბიჭიკო ბიძია, შენ გეგონა მართლა მიყვარდა ის ნუგეშა ძროხა? ნეტავი შენ ერთი! იმისი გამოყიდვა სრულებითაც არ მინდა, რქენა იცოდა და... ცოტა წიხლიც. არც მიყვარდა და არც არაფერი! სწავლისათვის კიდევ თუ ვვარგივარ, ისედაც მიმიღებენ და ეს ფული შენ გამოიყენე, ჩემო ბიძია.

თ ო რ ნ ი კ ე — ვინ იცის, იქნებ მართლაც მოეწყო უფულოდ. არა მგონია, მაგრამ ვცადოთ.

ბ ი ჭ ი კ ო — გმადლობთ, ჩემო ბიჭო. რომ მჭირდებოდეს, გამოგართმევდი. არ მჭირდება, ზურია, გენაცვალე.

ნ ე ს ტ ო რ ი — (ბიჭიკოს ყოყმანით და გამომცდელად) გინდა მართლა ვისესხებ სადმე და...

ბ ი ჭ ი კ ო — არაა საჭირო.

ნ ე ს ტ ო რ ი — (უფრო თამამად და გადაჭრით, რადგან შეატყო რომ ბიჭიკო ფულს არ აიღებს) ვისესხებ თუ რას ვიზამ, შენ რა გინდა, მე გიშოვი ფულს.

ბ ი ჭ ი კ ო — ხომ იცი, რომ არ გამოგართმევ.

ნ ე ს ტ ო რ ი — მართალს ამბობ?

ბ ი ჭ ი კ ო — ლილის გეფიცები.

ნ ე ს ტ ო რ ი — (უკვე საკვლებით გადაჭრით) შენ მაგეებს თავი დაანებე, მართლა ასე კი არ დავვარდნილვართ! ფულს, შე კაცო, შენ წონას მოგცემ. აბა, ვაცალოთ ავადმყოფობას განვითარება, არა? ამ დროს ვჭირდებით ერთმანეთს, თორემ... შენს მკურნალობას მე ეკისრულობ. ლილი დავიფიცე და ფიცი როგორ გავტეხოო, — ეს არ გამაგონო! ეს ყველაფერი მოგვარდება. მე სხვა ცეცხლი მიდუღს გულში. შენ წეღან თქვი ეს საბუთი ყალბიაო? ასე თქვი, ხომ?

ბ ი ჭ ი კ ო — არაა ყალბი?

ნ ე ს ტ ო რ ი — დარწმუნებული ხარ, რომ ყალბია?

ბ ი ჭ ი კ ო — დიახ!

ნ ე ს ტ ო რ ი — არა, თქვენ გესმით, ეს რა გამოდის? მე ხელისუფლების დავალებით დროებით გადმოყვანილი ჩავარდნილი ობიექტის წამოსაწევად, ჩავდიოდი სახელმწიფო დანაშაულს! არა, ბიჭიკო? ესე იგი, შენისთანა კრისტალური და მცოდნე კაცის მაგივრად მე რომ ვიღაც ოხერი ან უცოდინარი ადამიანი მყოლოდა, მე. სახელმწიფოს სამსახურში გაჭაღარავებული კაცი, გესმის შენ, ვიქნებოდი ამავე სახელმწიფოს დამნაშავე! (უხერხული პაუზა) გული როგორა გაქვს?

ბ ი ჭ ი კ ო — (გაბუტული ბავშვივით) არა უშავს.

ნ ე ს ტ ო რ ი — (თორნიკეს) არა, შენ თუ გესმის, რა საქმეს გადამარჩინა ახლა ბიჭიკომ, ა? ასიათას მანეთს რომ მოვეშვათ, სად გამომეყო მერე თავი, სად?!

ბ ი ჭ ი კ ო — შენ მართლა არ იცოდი?

ნ ე ს ტ ო რ ი — (გულუბრყვილოდ) რა თქმა უნდა, არა. შენ მაგაში ეჭვი გეპარება თუ?

ბ ი ჭ ი კ ო — (წამოდგება, მკაცრად) თვალებში შემხედე! აბა, დაიფიცე, რომ არ იცოდი რა საბუთი იყო ეგ!

ნ ე ს ტ ო რ ი—სინდისს გეფიცები! რა ვქნა, ძმაო, ცოტა კი მრცხვენია, მაგრამ ვერ გავერკვიე ამ ოხერ ფინანსებში და, ხომ ხედავ, რა იოლი ყოფილა ჩემი მოტყუება! შენ კიდევ, შე ულსინდისო, მამეცადინე, კაცო, გამარკვიე, გაეკალარავდი, მაგრამ სწავლის კი არ შემრცხვება.

ბ ი ჭ ი კ ო — (სიხარულით წამოიძახებს) კიდევ ერთხელ დაიფიცე!

ნ ე ს ტ ო რ ი — სინდისს გეფიცები! რა მოგვიდა, შე კაცო?

ბ ი ჭ ი კ ო — (მოეხვევა) მაპატიე, ნესტორ, მაპატიე, ძმაო! ეჭვიანი გავხდი. გმადლობთ, ნესტორ, გმადლობთ, არ გეწყინოს, ალბათ ცოტა სიბერის ბრალიცაა.

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ რა გაქვს საპატიებელი, პირიქით, მე უნდა ვიყო მადლობელი.

ბ ი ჭ ი კ ო — (საჩქაროდ გაიცვლებს ჭიქას) მოდით, პატიოსნებას გაუმარჯოს! დილით მზე რომ შემოიხედავს ფანჯარაში, შეხედავ თვალებში და არ შეგრცხვება!

ნ ე ს ტ ო რ ი და თ ო რ ნ ი კ ე — გაუმარჯოს! (უჯახუნებენ ჭიქას)

ლ ი ლ ი — ნუ სვამ! დამაწყდა ნერვები!

ბ ი ჭ ი კ ო— წავიდეთ ახლა. დიდი ვალი დამდე, ნესტორ, გადამეხადოს.

თ ო რ ნ ი კ ე — ვნახოთ, როგორ გადაიხდი.

ბ ი ჭ ი კ ო — ბიჭიკომ იცის ვალის გადახდა, შენ არაფერი შეგეშალოს, თორნიკე.

თ ო რ ნ ი კ ე — თქვენ არაფერი შეგეშალოთ, საციხოდ არ გაიხადოთ თავი, თორემ მე რა უნდა შემეშალოს, ბატონო ჩემო, არ ემსახურობ და არაფერი. დიდი-დიდი სადღეგრძელო შემეშალოს, დავიწყებ თავიდან და გამოვასწორებ. (იცინიან)

ბ ი ჭ ი კ ო— აბა, წავიდეთ.

ლ ი ლ ი — შენმა ავადმყოფობამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ... ამხანაგები მეპატიჟებიან ბათუმში და წავალ ერთი კვირით.

ბ ი ჭ ი კ ო — როგორ წახვალ?

ლ ი ლ ი — მანქანით. შენი შავი სათვალე მათხოვე.

ბ ი ჭ ი კ ო — ნუ დამტოვებ, შვილო. მარტო ამ დღეებში და მერე მე თვითონ წაგიყვან სადმე. შენ არაფერს მოგაკლებ, მართლა ავადმყოფი კი არა ვარ, ლილი.

ლ ი ლ ი — თუ ჩემზე ზრუნავ, მე აქ უფრო ვნერვიულობ. წავალ, მომეცი სათვალეები. (გამოართმევს სათვალეს და აკოცებს) თავს მოუარე, მამა, ერთ კვირაში ჩამოვალ.

ნ ე ს ტ ო რ ი — დარჩენილიყავით.

ბ ი ჭ ი კ ო — არა, დროა.

ნ ე ს ტ ო რ ი — ნუ გეშინია, ბიჭიკო, შენ საქმეს ახლავე მოვაწყობ. (ლილი, იოველი, ბიჭიკო და ზურია კიბეზე ჩადიან. კიბიდან ისმის ბიჭიკოს ხმა: „მაპატიე, ნესტორ". თორნიკე და ნესტორი შემობრუნდებიან).

თ ო რ ნ ი კ ე — ნესტორ, იცოდე, თუ ის საბუთი მნიშვნელოვანია, ბიჭიკო აწი ხელს არ მოგიწერს.

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ გეგონა მე ის საბუთი მართლა მჭირდებოდა? არა ხარ, თორნიკე, შენ პატიოსანი კაცი!

თ ო რ ნ ი კ ე — მერე, მე ვამბობ პატიოსანი ვარ-თქო თუ?!

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ წადი, ხვალ გამოიარე.

თ ო რ ნ ი კ ე — ცოტა წამლები მინდოდა ნათესავი კაცისათვის.

ნ ე ს ტ ო რ ი — კარგი, ხვალ მოდი. (თორნიკე გადის. ნესტორი ფიქრობს, მერე მიდის იქვე მდგომ ტელეფონთან და რეკავს) შოთა ლუკიჩ, გამარჯობა! ნესტორი ვარ, ნესტორი... რას ვიზამ, ცოტა გულნატკენი ვარ, მაგრამ... ეგ არაფერი, რადგან პარტიისათვის ასე იყო საჭირო, მე ჯარისკაცი ვარ... ამხანაგო შოთა, ერთ ცრემლიან საკითხზე გაწუხებ... ჩემი განსვენებული დეიდაშვილის ქმარი ჩემთან მუშაობს მთავარ ბუხჰალტრად. ძვირფასი და უეჭველად კრისტალური ადამიანია, საკუთარ ძმას მირჩევნია, მაგრამ... არა, როგორ არა, მოგახსენებ, ლუკიჩ! არაჯანსაღ ხმებს მოვკარი ყური: მთავარ ბუხჰალტრად სიძე ჰყავსო და... მერე კიდევ გამაგონეს ფედერალისტებს თანაუგრძნობდაო და რა ვიცი! არ დაგიმალავ, ამხანაგო შოთა, ჩემი თავისაც მეშინია. არაფერი დაუშავებია საცოდავს, მაგრამ მე, ხომ იცი, პირდაპირი კაცი ვარ, რომც დააშაოს. აგერ გეუბნები, შეიძლება ობიექტური ვერ ვიყო და ჩემს პარტიულ სინდისსა და ამ ჭაღარას რა ეუთხრა მერე? ნათესაურ გრძნობას ნუ დამაყენებინებთ სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა! არ შემიძლია და სადაც გინდათ მიჩიელეთ, ძმაო, ამის გლახა კაცი ვარ მე და რაღა დროს ჩემი გამოსწორებაა. ორასზე ზევით ამივარდა წნეა. გავათავისუფლოთ და მერე პატივი უნდა დამდოთ, რომ პენსიაზე შევუწყოთ ხელი. არა, მე როგორ არ შემიძლია ბრძანების დაწერა, მაგრამ რას იტყვის ხალხი — ნათესავი კაცი არ დაინდო და გაათავისუფლა სამუშაოდანო. მე საქმისათვის მართლაც ნათესავს არ ვინდობ და თქვენ... ჰო, ასე, ჩემო ლუკიჩ! აბა ველი ბრძანებას. დამიკოცნე ვაჟები. აღარ გაგაცდენ. ბედნიერად! (ციდებს ყურმილს)

მეოთხე მოქმედება

მთვარიანი ღამეა. ბიჭიკოს ეზო ერთსართულიანი პატარა ხეხილის ბაღით და ფანჩატურით.

ფანჩატურის გრძელ სკამზე ძინავს ზურიას. გამოდის ბიჭიკო პორტფელით და ბადით ხელში. ჯდება ფანჩატურში და თან წერილს წერს.

ზ უ რ ი ა — (წამოაბოდებს) გაფრინდეს რა!

ბ ი ჭ ი კ ო — ვინ გაფრინდეს, ბიჭო?

ზ ურ ი ა — (წამოიყვირებს) ამბროსი, გადაჭამა ყანა დეკეულმა!..

ბ ი ჭ ი კ ო — (წყვეტს წერას) ადექი, ზურია, გაცივდები... ადექი!

ზ ურ ი ა — (ჯერ კიდევ ბერანშია) გამარჯობა!

ბ ი ჭ ი კ ო — ვინ დაგალეევინა, შე მამაძაღლო? (შეანჯღრევს)

ზ ურ ი ა — ბე დავალეევინე... შენ საგზურს შემპირდნენ და იმიტომ... (ისევ ძილს მიეცემა).

ბ ი ჭ ი კ ო — (ზურიას ისე, რომ არც კი უყურებს) ზურია, მომისმინე, ლილი მალე დაბრუნდება ბათუმიდან. აგერ წერილს ვუტოვებდი, მაგრამ შენ უთხარი, მატარებელზე მაგვიანდება (გადახევს წერილს და იქვე დაყრის) სოფელში მივდივარ. ზურია, ჩვენს სოფელში, დედაშენთან. (ანჯღრევს) აგერ, ბიჭო, ბადეც მიმაქვს, იოველის ნაჩუქარი. წერილს მატარებლიდან მოვწერ ლილის. (მიდის, მობრუნდება) უთხარი, უსამართლოდ მოხსნეს სამსახურიდან-თქო, არ იფიქროს, რამე დავაშავე... ნესტორმა დამღუპა-თქო... რაღაა, ზურია, აწი ჩემი ცხოვრება... (ბიჭიკო გადის)

ზ ურ ი ა — (წამოაბოდებს) ჩემთან რომ იყო, ექვს ლიტრას იწველიდა. არ გამოვა მაგ საქმე, ბიძია. (ცოტა ხნის შემდეგ ისმის ჭიშკართან გაჩერებული მანქანის ხმა და მანქანიდან ახალგაზრდების შეწყობილი სიმღერა. გამოჩნდება ლილიც, რომელიც ხელს ქნევით და კოცნის გაგზავნით ემშვიდობება მანქანაში მჯდომ მეგობრებს. ლილი შემოდის და მანქანაც დაიძვრება სიმღერით. ლილი შეხედავს მძინარე ზურიას და ადის სახლში. მთებს იქით უკვე გარიჟრაჟდა. ეზოში შემოდის

ასმათი, მიდის სახლთან და მიაყურებს. ხმა არ ისმის, ალბათ ჯერ კიდევ სძინავთ. შენიშნავს ზურიას)

ასმათი — აჰ, აქ ბრძანდებით, ეაქკაცო? ადექი ზეზე!

ზურია — (წამოიყვირებს) მიშველეთ! (ფხიზლდება)

ასმათი — სადა ხარ შენ?

ზურია — ხომ არ შეგაშინე, ასმათ?

ასმათი — (გაიცინებს) მთვრალი ხომ არა ხარ, ზურია?

ზურია — მგონი, ცოტა გამოვინელე.

ასმათი — სამეცადინოდ აღარ დაბრძანდები ჩემთან და ლოთობა დაიწყე, არა?

ზურია — შენ ხომ არ იცი, რატომ დავთვერი. თორნიკე ბიძიამ დიდი განათლებული ხალხი გამაცნო — მინისტრებიაო, ფული კი მქონდა და ვაქვიფე ისინი სასადილოში. ბიჭიკო ბიძიასთვის საგზურს დამპირდნენ.

ასმათი — გიშოვეს?

ზურია — მიშოვნიან! ახლა ბიჭიკო ბიძიას ვუცდი, უნდა გავახარო, თორემ... ასმათ, ხომ ცოდვაა ბიჭიკო ბიძია?

ასმათი — შენ რატომ გეცოდება?

ზურია — ლილი ხომ კარგი გოგოა, ა?

ასმათი — შენ როგორ ამჩნევ?

ზურია — მე? მე ჩემი სოფლური ჭკუით ასე ვიტყოდი, ხანდახან კაი საკეცე რომ სდვა კისერში, არ აწყენს! (ასმათი იცინის)

ასმათი — საკეცე არც შენ გაწყენს, მგონი: სამეცადინოდ რატომ აღარ დადიხარ ჩემთან?

ზურია — აღარ მოგახარჯიანე, ასმათ, თორნიკე ბიძია მაწყობს ინსტიტუტში.

ასმათი — შენ ის ძროხის ფული მე მომაბარე, გესმის? მე გავუგზავნი დედაშენს.

ზურია — ის ფული რახანია მივეცი თორნიკე ბიძიას: ჩემს მოწყობაში უნდა გადაიხადოს. წიგნშიც კი არსად წამიკითხავს, თუ ამნაირი ციგნები იყვნენ ქალაქში. რავა ოყა ყველივით ყიდიან სწავლას, ა? სოფელში ჩვენს სკოლაში ასე არაა! არა სწორედ! რა სკოლაა ჩვენი, იცი?

ასმათი — კარგია?

ზურია — ცუდი რომ იყოს, ჩვენი რაიკომის მდივანი თავის ქალიშვილს მეთერთმეტე კლასში თბილისიდან არ გადმოიყვანდა.

ასმათი — სოფლის სკოლაში გადმოიყვანა მეთერთმეტე კლასში? (იცინის)

ზ უ რ ი ა — რა გაცინებს? დედა მომიკვდეს, თუ არა! ოცდახუთი მედალოსანი ვართ ჩვენი სკოლიდან... მაგრამ ეს რა ყოფილა. მე მეგონა, ეს მედალი და საბუთები ინსტიტუტის ფანჯარაშიც რომ შევაგდო და მე არ გამოვჩნდე მაინც მიმიღებენ-მეთქი და...

ა ს მ ა თ ი — რომ ვერ ჩაბარო, რას იზამ, ზურია?

ზ უ რ ი ა — ამ ერთ წელიწადს გავიტან აქ რამენაირად თავს და გაისად ენკენისთვეში ვცდი კიდევ.

ა ს მ ა თ ი — აქ უსაქმობა გირჩევნია სოფელში ყოფნას?

ზ უ რ ი ა — უსაქმობა კი არა, არაფერი არ მირჩევნია სოფელში ყოფნას. თანაც ახალშენი მაქვს მოსაველი, მზის გულშია გაშენებული და შეიძლება მოუვლელობით გადამიხმეს სულ.

ა ს მ ა თ ი — (განგებ) არა, ზურია, შენ არა ხარ სოფლის კაცი, არ გიყვარს შენ სოფელი, არ გესმის მიწის სიყვარული.

ზ უ რ ი ა — მე არ მიყვარს? მე არ მესმის? შენ იცი, ასმათ, როგორია ახალდახნული მიწის სურნელი? ეს თქვენი ქალაქური ადეკალონი ვერ მოვა იმასთან. ზაფხულში კიდევ საათხარიდან რომ დაბრუნდები, საჩქეფში ბანაობა და მერე ვახშამი რა არის, იცი? აბა, ასეა! რომ დაზამთრდება? თოვლი? თოვლი ორსაჟენიანი იცის ხანდახან. გადაბელილ ხურმაზე ჩამოსხდებიან ბოლოშავები, ცალპირიანი ცენტრალი მაქვს... თოფის წამალს ხომ ვერ მიშოვნი, ასმათ?

ა ს მ ა თ ი — ვეცდები. ეჰ, რა სჯობია სოფელს?

ზ უ რ ი ა — მარცვალს რომ ჩააგდებ და შენ თვალწინ მსხმოიარე ხედ გადაიქცევა! შავ მიწას გულს რომ დაუღადრავ და მწვანედ შეიმოსება!

ა ს მ ა თ ი — (კიდევ უფრო აღიზიანებს ზურიას) შემოდგომაზე კი, როცა ჩალის ღეროს გააფრიალებს ქარი, შენ ამ დროს მოსავალი მოწეული, მოტეხილი და დაწურული გაქვს.

ზ უ რ ი ა — მიუჯდები გიზგიზა ბუხარს, ნაქურჩალს მოხსნი ტუჩმოტეხილ თუნგულას და სახარჯო ღვინო ცხრა ენაზე ალაპარაკდება. ზიხარ და გიხარია, რომ შენი ხელიდან გამოდის შენი და შენი ქვეყნის ხვავი და ბარაქა!

ა ს მ ა თ ი — ნიჭიერი ბიჭი ხარ, სწავლა შეგიძლია, მაგრამ ის უნდა გააკეთო, რაც ყველაზე მეტად გიყვარს.

ზ უ რ ი ა — მე რომ ახლა იქ დავბრუნდე პირში ჩალაგამოვლებული, რას იტყვის ხალხი? დედაჩემს გახეთქავენ გულზე, თორემ... არ ვიცი მე რასაც ეტყვიან თუ? მთელი ახალგაზრდო-

ბა ქალაქშიაო და სოფელში მარტო შენი შვილი და ჟირონა დარჩენო.

ასმათი — ჟირონა ვინაა?

ზურია — ერთი ოცი წლის ბიჭია, ტვინის ანთება ჰქონია და ისევ მეოთხე კლასში სწავლობს, წვერ-ულვაში კი აქვს გაფურჩქვნილი. დედაჩემი არ გადარჩება, ასმათ, თორემ რა მინდა აქ? ყოველი მანქანისა და ტრამვაის შეყვირება ხანჯალივით მირტყამს საფეთქლებში. ამ მშვენიერ მიწას ასფალტი რომ დაასხით გულზე. აქაურობას რა შემაყვარებს.

ასმათი — ქალაქს ასე სჭირდება, ზურია.

ზურია — რას მეუბნები, ასმათ? ისიც სჭირდება, ბაღებში ხეები და ბუჩქები რომ გაგიკრეჭიათ და გზებზე დანაყული აგური დაგიყრიათ? აბა ჩვენთან სოფელში... ამას თავი დავანებოთ, რაზე მოსულხარ, ასმათ, ასე დილა ადრიან?

ასმათი — ბიჭიკო ბიძიასთან მოვედი. უმაგისობა ძნელი ყოფილა, ზურია, საქმისათვის. იოველიც მოვა ალბათ... ისე ვართ უმაგისოდ თავგზააბნეულები, რომ... სძინავს, არა?

ზურია — ალბათ. მეც იმას ვუცდი: საგზური ვუშოვე, ხომ გითხარი. თუ არ ჩავაბარე, ასმათ, მართლა წასვლა სჯობია და ბოლოსდაბოლოს რას იტყვის ხალხი ამნაირს! საქურდალში ხომ არ მივდივარ, ჩემს მამულში ებრუნდები!

ასმათი — რას იტყვის და ვაჟკაცი ბიჭია, სოფლის მოღალატე არ არის და ახალშენი არ გაახმოო.

ზურია — ახლა გავიქცევი, ასმათ, ინსტიტუტში ვარ მისასვლელი და მალე დავბრუნდები. ბიძიას ნუ ეტყვი საგზურის ამბავს. მე თვითონ მინდა მივახარო. (გადის. ცოტა ხნის შემდეგ აივანზე გამოდის ლილი)

ასმათი — როდის ჩამოხვედი, ლილი!

ლილი — აი ახლა.

ასმათი — გაიგე?

ლილი — რა?

ასმათი — (აღარ უნდა უთხრას) არაფერი.

ლილი — რა ამბავია? ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, კარგი არაფერი იქნება! მითხარი.

ასმათი — ბიჭიკო სამსახურიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ეს ასე არ დარჩება.

ლილი — გაათავისუფლეს თუ მოხსნეს?

ასმათი — ეგ სულერთია.

ლილი — ჰმ!..

ასმათი — გეეგონა ხელიდან გამოგვეცლებოდა.

ლილი — ჩემ მდგომარეობას ეს ჭირდება კიდევ? მაგრამ ვინ გაკმარებს ერთი უბედურებას!

ასმათი — რა? სხვა რამეც მოხდა თუ?

ლილი — რა დავაშავე, ნეტავი, ამის ფასი?! ყველა უბედურება რატომ მაინცდამაინც მე უნდა დამატყდეს თავზე?!

ასმათი — აბა, ბითხარი ახლავე, რა გაწუხებს?

ლილი — ნუ მელაპარაკები ასე უხეშად! შენ ყოველთვის ასე მელაპარაკები. დიდი ხნის უნახავიც რომ ვიყო, არასოდეს არ მაკოცებ. სკოლაშიაც ასე იყავი.

ასმათი — (ღიმილით) არა გრცხვენია? ხომ იცი, მე სიძულვილით არ მომდიხ. მითხარი, რა სატკივარი გაქვს, იქნებ დაგეხმარო.

ლილი — არა, ასმათ, შენ რომ გელაპარაკები, ასე მგონია ისევ სკოლაში ვართ და ახლა ადგები და მთელ კლასში გამაწითლებ, მთელ ამხანაგებში შემარცხვენ.

ასმათი — არ მენდობი? არ გრცხვენია?

ლილი — არა... გენდობი, მაგრამ... არა, ასმათ, არა, მე უბედური ვარ! (ტირის. ასმათი ეფერება)

ასმათი — კარგი, დამშვიდდი, დამშვიდდი. რა უნდა იყოს ასეთი გამოუსწორებელი, მეც შენ გვერდით ვიქნები... მეგობრებიც მყავს. იცი, რა ვაჟკაცი მეგობრები მყავს? ისინიც დაგვეხმარებიან. აბა, მიამბე. (თავის ხელსახოცით სწმენდს ცრემლებს) — აი ასე! (პაუზა)

ლილი — ასმათ, მე მიყვარს ერთი ადამიანი! ამ ხნისა ვარ და, არ დაგიმალავ, ეს ჩემი პირველი ნამდვილი სიყვარულია! ასმათ, ხომ ხედავ, გენდე და არ დამღუპო!

ასმათი — მას არ უყვარხარ?

ლილი — კიდევ უფრო მეტად. ვიდრე მე მიყვარს! ჰო, ასმათ, ესაა უბედურება. მეც მიყვარს. მასაც ვუყვარვარ და არა გვაქვს ამის უფლება. ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია! (პაუზა) იცი, ასმათ, როგორ მინდა მასთან ოჯახი შევქმნა?

ასმათი — მშობლები არიან წინააღმდეგი?

ლილი — არა, მშობლები არც იმასა ჰყავს... გეტყვი ვინც არის და მიხვდები, ოველია.

ასმათი — შეხედე იმ თხუნელას, ჩემთვის კი არაფერი უთქვამს!

ლილი — ხომ ხედავ, ისიც ფიქრობს, ისიც ვერ ბედავს გამხელას.

ასმათი — შენ ახლა დამაბნიე. უბედურება რატომ გაქვთ, ვერ გავიგე.

ლილი — ვერ ხედები?

ასმათი — გეფიცები.

ლილი — ხომ იცი ჩვენი ქალაქის ამბავი, აყაყანდება მთელი ქალაქი, ხომ გესმის, რას იტყვის ხალხი. ხომ იცი, რას იტყვის; ის — უბრალო ბუხჰალტერი, მე კი ერთი წლის შემდეგ დოცენტი ვიქნები, სხვადასხვა წრე, სხვადასხვა ინტერესები... მას ცალკე გახეთქავენ გულზე, მე ცალკე... მერე კიდევ, ვიცი, რომ ფული და სიმდიდრე სიყვარულს ვერ მოიტანს, მაგრამ სიღარიბე კი ჩააქრობს სიყვარულს. შენც ქალი ხარ და იცი, რა სჭირდება ქალს. გავთხოვდე და ჩამოფლეთილმა ვიარო, რას იტყვის ხალხი? ახლა ვინმე მეტიჩარა რომ მისმენდეს, — ხომ იტყვის რა მეშჩანკაო... მაგრამ შენ კი გამიგებ, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს, ასმათ, უმცროს ძმასთან ერთად.

ასმათი — (ირონიით, რომელსაც ლილი ვერ ამჩნევს) შენთან რომ გადმოვიდეს, რას იტყვის ხალხი, არა?

ლილი — არც დავაძალებ — ვაჟკაცობა, თავმოყვარეობა აქვს.

ასმათი — (ისევ ირონიულად) რა თქმა უნდა.

ლილი — გაჩნდება ბავშვი... ასპირანტურაშიაც საქმეები ამერია. გამოგიტყდები, მინიმუმი ჯერ არ ჩამიბარებია, რა მიშლის, მე არ ვიცი. გესმის, რას ნიშნავს სიყვარული ჩაიკლა გულში?!

ასმათი — იოველმა თუ იცის ეს ყველაფერი.

ლილი — ვუთხარი, რომ ერთად ვერ ვიქნებით. რატომ? ეს არ მითქვამს. ვერ ვუთხარი, ძალიან დამავალებ, ამას თუ აუხსნი, მხოლოდ ისე, რომ გული არ ეტკინოს. მეცი პატივი და ისიც უთხარი, რომ ვისი ცოლიც უნდა გავხდე, მაინც ის მეყვარება.

ასმათი — (ისევ ფარული ირონიით) ეგ თუ ვუთხარი, ნამდვილად კმაყოფილი დარჩება, მეტი რაღა უნდა?

ლილი — (ვერ ხვდება ასმათის ირონიას) ეს ალბათ ბევრს ნიშნავს მისთვის, მაგრამ განა ეს კმარა სიყვარულისთვის?

ასმათი — უბედური ვარო, რომ ამბობდი, წარმოიდგინე, ლილი, კი არ მჯეროდა. თუმცა რას გეტყვი იცი, სკოლაშიაც რაღაც ტრაგიკული იყო შენში.

ლილი — ეს შენ გესმის, ჩემო ასმათ, მაგრამ სხვა კი ვერ გამიგებს!

ასმათი — შენ რომ უბედური ხარ, ამ ქვეყნად ამას ყველა ჭკვიანი გაიგებს.

ლილი — შენ ასე გგონია?

ასმათი — დარწმუნებული ვარ! ერთი მითხარი, ეს ყველაფერი ხომ თავიდანვე იცოდი, როგორ შეიყვარეთ ერთმანეთი?

ლილი — საღამო იყო, ლურჯი საღამო. გაგრაში ვიყავი. პალმების ხეივანში, მაგნოლიის ხესთან გამაცნეს მზით გარუჯული ვაჟკაცი — ეს იყო იოველი. თმა გადაღებული ჰქონდა, მაგრამ უხდებოდა. მე სიდამწვრისაგან ცხვირზე კანი მძვრებოდა, მაგრამ იმას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მის შემდეგ ერთად ვიყავით ზღვა, მაგნოლიები, მე და იოველი. მე არ ვიცოდი ვინ იყო ის, მე ვიცოდი მხოლოდ, რომ ის იყო ჩემი პირველი სიყვარული. ჩამოვედი თბილისში, მივედი მამასთან სამსახურში და იქ დამხვდა ახალი თანამშრომელი — ეს იყო ჩემი იოველი... (ამოიოხრებს) — ჩოთქს აჩხაკუნებდა და საბუხჰალტრო ბალანსს ადგენდა! (ტრაგიკულად) — შენ გესმის, ასმათ?

ასმათი — ნეტავ არ მესმოდეს!

ლილი — გმადლობთ, მჯერა, რომ შენთვის მძიმეა ჩემი უბედურების მოსმენა!

ასმათი — შენ არ გცოდნია, იოველი წელს დაუსწრებლად ამთავრებს ეკონომიურ ფაკულტეტს.

ლილი — რას ამბობ, ასმათ?

ასმათი — მაგრამ ამას აღარ აქვს შენთვის მნიშვნელობა. იცი, შენი სიყვარული მე მაგონებს რომეოსა და ჯულიეტას ამბავს და ეს ხომ ტრაგედიაა. გიყვარდეს, უყვარდე და არ გქონდეთ ერთად ყოფნის უფლება!

ლილი — (ისევ ეერ ამჩნევს ასმათის დაცინვას) მითხარი, გენაცვალე, რისი უფლება მაქვს ცხოვრებაში?

ასმათი — მე მგონია, არაფრის! დიდი ხათრით შეიძლება გქონდეს არსებობის უფლება, როგორც ყველა სულდგმულს.

ლილი — შენ რა, ხუმრობ, ასმათ?! (შემოდის იოველი და მიდის მათთან)

იოველი — (თანაგრძნობით) ნუ სწუხარ, ლილი, ბატონ ბიჭიკოს არ დაეაჩაგვრინებთ!

ლილი — (წამოდგება და წასვლას აპირებს) უკაცრავად, უნდა გავიქცე. (ასმათი ხელს ჰკიდებს და ღონივრად სვამს ადგილზე)

ასმათი — ლილი, მოიცა, ჯერ თხოვნა უნდა შეგისრულო! იოველ, შენ ეს ქალი გიყვარს?

იოველი — (პაუზა) რატომ მეკითხები, ასმათ?

ასმათი — მასაც უყვარხარ, ეს მე ვიცი, მაგრამ თურმე თქვენი

შეუღლება შეუძლებელია და რატომ არის შეუძლებელი, ლილიმ მთხოვა შენთვის გადმომეცა. (ლილი წამოხტება წასასელელად, ასმათი ისევ ღონიერად დასვამს ადგილზე) თურმე, ლილის ბრწყინვალე მომავალი ელის მეცნიერების ნათელი მწვერვალების მისადგომებზე! მართალია, მას ასპირანტურაში საგნები არ ჩაუბარებია, მაგრამ ხვალ-ზეგ მაინც დოცენტი იქნება.

ლ ი ლ ი — (წამოხტება) ასმათ!

ა ს მ ა თ ი — (მკაცრად) დაჯექი! (ლილი შეშინებული ჯდება) ის დოცენტი იქნება, მერე პროფესორი, მერე აკადემიკოსი, მერე კიდევ ახალ ხარისხს მოიგონებენ, შენ კი ვინა ხარ, ერთი საწყალი ბუხჰალტერი 600 მანეთიანი ჯამაგირით, რომელსაც გაფლანგვის შნოც კი არა გაქვს. ლილის კი ქამრით ცემის გარდა კიდევ სჭირდება თურმე ფუფუნება, რძის აბაზანები და მოოქროვილ-მოზურმუხტებულ-მობრილიანტებული კაბები!

ლ ი ლ ი — (წამოხტება) უსინდისო!

ა ს მ ა თ ი — (მიიწევს და ღონიერად დაადებს სკამზე) შენ სათვალეებიან ასპირანტებში ხომ არ გერევი? ისე გაგკრავ, რომ... ბინა პატარა გაქვს, მანქანა სულ არა და რას იტყვის ხალხი? შენი ერთადერთი დამსახურება თურმე ის არის, ამას გაგრაში რომ ცხვირი ჰქონდა გადატყაული, შენ ამისათვის ყურადღება არ მიგიქცევია და, რადგან თქვენ მდგომარეობით შეუფერებელი ხართ, ამ ქალბატონმა გადაწყვიტა გულში ჩააკვნოს გაუფურჩქნელად თავისი პირველი სიყვარულის კოკობი ვარდი!

ი ო ვ ე ლ ი — ასმათ!

ა ს მ ა თ ი — ვიცი, იოველ, ტკბილ ამბავს ვერ გეუბნები, მაგრამ ესაა ამ ბანოვანის ყამირი ჭკუის ნაყოფი! თვითონ არ უნდოდა შენთვის გული მოეკლა და მე მთხოვა მეტვირთა ეს მძიმე დავალება. თხოვნა შეეუსრულე.

ლ ი ლ ი — იოველ, არ ვიცი რა გითხრა, შენ არ გეწყინოს. მე ყველაფერს აგიხსნი, მხოლოდ მერე! ხომ ხედავ, ცემასაც მიპირებს, ეს ქალიშვილი კი არა, ეს ალბათ ბოქსზეც დადის! ამისგან არაფერი გამიკვირდება! ამან გაამესხარავა ყველაფერი, შენ თვითონ მიხვდები, როცა გეტყვი! (იოველი თავს ჩაქინდრავს)

ა ს მ ა თ ი — თავს ვის წინაშე ხრი, შე მართლა თხუნელა! აბა შემომხედე! (მოეხვევა იოველს და ჰკოცნის. ლილი გაოგნებული მისჩერებია)

ი ო ვ ე ლ ი — ასმათ, სულ აგრე არ იტყოდა ლილი... მე მივხვდი,

ლილი მართალია, მე მეგონა ყველაფერ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ... ასმათ, ლილის ნუ გაუწყრები, ის მართალია. მე არა მაქვს უფლება...

ლ ი ლ ი — ჰო, გენაცვალე, ჰო!

ა ს მ ა თ ი — შენც კარგი მათრახი გჭირდება, ჩემო იოველ. (ასმათი ჩქარი ნაბიჯით გადის)

ი ო ვ ე ლ ი — (მიაძახებს) ასმათ! (მისდევს ასმათს. შემოდის ზურია)

ზ უ რ ი ა — ხომ არ გამასწრო?

ლ ი ლ ი — ვინ? როდის? რატომ?

ზ უ რ ი ა — ბიჭიკო ბიძია ხომ არ წასულა-თქო?

ლ ი ლ ი — შენ რა? დილით არ გინახავს?

ზ უ რ ი ა — არაა სახლში თუ?

ლ ი ლ ი — არა! ლოგინი დალაგებულია, იქნებ წუხელ არც მოსულა?

ზ უ რ ი ა — რა ვიცი, მე ერთი კვირაა ბიძია თორნიკესთან ვარ, ისე რაღაც მახსოვს, უკანასკნელად ბადით ვნახე, მგონი, სათევზაოდ მივდივარო, ასე ძახსოვს ბუნდოვნად.

ლ ი ლ ი — ერთი კვირის წინ წავიდა?

ზ უ რ ი ა—ასე მახსოვს და რა ვიცი. დარეკე სამსახურში, ნათესავებში დარეკე. (ლილი სახლში შედის) ხომ არაფერი მოუვიდა, ნეტავი, ბიძიას? ღმერთო, მომაგონე, რატომ მახსოვს ასე? სიზმარში ხომ არ მინახავს ნეტავი? რა ექნათ? უბედურება რომ ყოფილიყო ხომ გავიგებდით! (ზურია შეამჩნევს ძირს დაყრილ წერილის ნახევებს, აკრეფს და კითხულობს. აივანზე გამოდის ლილი)

ლ ი ლ ი — არც სამსახურში ყოფილა. ერთი კვირაა არავის უნახავს. ზურია, რაღაც უბედურება გვჭირს იცოდე, წუხელი გზაში სარკე გამიტყდა (შეამჩნევს რომ ზურია რაღაცას მალავს) ეს რა არის? სად იპოვნე? (დახედავს) ბიჭიკოს ხელი!

ზ უ რ ი ა — ხელს არ აწერს, მაგრამ მისი ხელია.

ლ ი ლ ი — უბედურებაა? წამიკითხე ჩქარა, რა ხდება ჩემ თავს! (ზურია კითხულობს) — „შვილო ლილი, მაპატიე, ვერც კი გემშვიდობები. ველარ გავძელი, მომბეზრდა ყველაფერი. ყურადღებას ნუ მიაქცევ, ვინ რას იტყვის, ეს უკვე სულ ერთია. გტოვებ. მივდივარ“... მეტი არაფერია? (შეკრთება) წამიკითხე!

ფარდა

გრძელი ოთახი მრავალი მაგიდით. საბეჭდი მანქანები, არიფმომეტრები, მაცივარი, ცეცხლგამძლე კარადა, ნახევრად გამხმარი პალმა. ფანჯრებში ზაფხულის ბეიზაკის ფონზე ხარაჩოებში ჩასმული შენობა. ოთახში არავინაა, შემორბის ზუარია, მიიხედ-მოიხედავს და ისევ უკან გარბის. შემორბის ასმათი.

ასმათი — (რეკავს ტელეფონით) ქალბატონო ნინო, ჩვენს დირექტორს ხომ არ შემოუვლია შემთხვევით? დიახ, ასმათი ვარ, გამარჯობათ! ოჰ, ოჰ, ოჰ! კარგი. როგორ რა მანერვიულებს, ქალბატონო ნინო, მთელი დღეა დაეძებ! უკაცრავად. (ცდილობს ყურმილს და გადის. ტელეფონის ზარის ხმაზე შემოდის მდივანი ქალი, იღებს ყურმილს)

მდივანი — საავადმყოფოა. დიახ, გასვენებაზეა ყველა. დასვენებაზე კი არა, გასვენებაზე... (ნერვიულად) დიახ, სამუშაო საათებში. (ჯდება მანქანასთან. შემოდის თორნიკე)

თორნიკე — ძალიან ცხელა, მაგრამ მაინც გამარჯობათ. (მიდის ტელეფონთან და რეკავს) — შალვას ვენაცვალე, თორნიკე გაწუხებ, მომიწყვე, შალიკო, ის ჩემი დეიდაშვილი? რა ვქნა, ძმაო, ჩვენი მეგობრობა მაბედვინებს, თორემ... ა? აგაშენა ღმერთმა! ხელფასი რამდენი ექნება? ჰო, ცოტაა, მაგრამ... კარგი ყმაწვილია, ხომ იცი, ძველი ნიკეგოროდსკი პოლკის ოფიცერია. აა? არა, შენი ჭირიმე, არც ერთ პარტიაში არ ყოფილა, გარდა გეოლოგიური პარტიისა. (იცინის) — გამოგიგზავნი აბა.. რა გვარია და... (იღებს უბის წიგნაკს და ნაჩქარევად ფურცლავს) რა გვარია და... შე კაცო, ჩემი დეიდაშვილი რა გვარი იქნება? არ გრცხვენია, შალიკო? (ეპოვა წიგნაკში) — რა გვარია და კალენიკე ხმიადაშვილი. იცოცხლე, გენაცვალე. (ცდილობს მიღს და რეკავს სხვაგან. ოთახში შემოდიან თანამშრომლები. თორნიკე ყურმილში) მე ვარ, მართა, თორნიკე ვარ, თორნიკე, ქალო! გადაიწიე ეგ თავსაფარი ყურიდან... ჰო, ჰო, ჰო! ტიტიკომაც და გულიკომაც პუშკინის ინსტიტუტში გადაიტანონ საბუთები, საბიბლიოთეკაროზე. ტექნოლოგიური ფაკულტეტი გაუქმებულია, მართა! აბა, თქვენ იცით, მოემზადეთ, პატივსაცემი გვეყოლება ხალხი. ასე! (ცდილობს ყურმილს)

ვარლამი — შენ სულ საქმეებს აწყობ, თორნიკე არა?!

თორნიკე — ვაწყობ, ჩემო ბატონო, ხომ არ ვაფუჭებ?!

ვარლამი — აი, უდარდელი კაცი რომ ხარ, წლები სულ არ გემატება!

თორნიკე — ჩემზე მეტი სადარდებელი ვიღასა აქვს, ბატონო

ჩემო, ნახევარი იმერეთია ჩემს სახლში ჩამომხტარი. ინსტიტუტებში მოსაწყობი ხალხია. ოქრო და ვერცხლი ბევრი ჩამოიტანეს — სასკოლო მედლები, ჩემო ბატონო. ახლა რაც შეეხება პურ-მარილს, ესე იგი, უკეთესი არ იკითხება: — თითო შტოფი სახარჯო ღვინო, პრასი და ჭლაკვი დაუზოგავად, ტყემალი თავშეუკავებლად. რვა კაცზე ერთი ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილი ქათამი.

დ ა თ ა — შენ პრასისათვის არავის მოაწყობ, თორნიკე, გამოტყდი ახლა.

თ ო რ ნ ი კ ე — ეგ რა დასამალია, ჩემო დათა, ყველას ცხოვრება გვინდა. ეგ არაფერი და სამი ფრიადოსანი ჩამეჭრა, კაცო!

ვ ა რ დ ე ნ ი — მედალოსნები?

თ ო რ ნ ი კ ე — ეჰ, ვერცხლის მედალი ფაქტიურად აღარ მუშაობს, ძმაო. ჰო, მართლა, იოველ, ზურია ხომ არ მოსულა აქ? (იოველი თავს გააქნევს) თუ მოვიდეს და მე არ ვიყო, უთხარი დამელოდოს, მე კიდევ შემოვიელი, ნესტორთან მაქვს საქმე. (თანამშრომლებს) გასვენებაში ყოფილხართ ახლა და რა ქენით?

ვ ა რ დ ე ნ ი — უნივერსიტეტთან რომ მივედით, გამოვიპარეთ.

თ ო რ ნ ი კ ე — უნივერსიტეტს ნუღა მიხსენებთ. მეორედ მოსელაა პირდაპირ. კაცი ფეხს იღრძობ, ისეა ქვაფენილი მოსრიალებული ჩამბარებელთა დედების ცრემლებით! უნივერსიტეტთან როცა ვდგავარ, სულ ზეპირად ვიცი, ვინ რა მიიღო: იღება რკინის ჭიშკარი და გამოდის ერთი, მიცვივდება სუყველა. თუ ჩაკოცნეს—ეს ხუთიანს ნიშნავს; თუ ხელი ჩამოართვეს და არ აკოცეს — ეს ოთხიანია; სამიანის დროს — არა უშავსო, ეტყვიან ხოლმე და მხარზე ხელს დაარტყამენ. „ვაიმე, შვილოს“ შეძახება და გულის წასელა რასაც ნიშნავს, თვითონ მიხვდებით.

ვ ა რ ლ ა მ ი — ნუ მეტყვი, კაცო, ნუ მეტყვი, ჩემს ოჯახშიც შაჰ-აბაზის შემოსევაა!

ვ ა რ დ ე ნ ი — (დინჯად და აუღელვებლად) მარტო ბავშვები რომ ჩამოდიოდნენ, ძმობას ეფიცავ, ავიტანდი, მაგრამ ერთს მოპყვება სამი ქალი და ყველა ასე იწყებს: „ჩემო ვარლამ, უარს ვერ მეტყვი, ჩემი ძუძუ გაქვს ნაწოვიო“, ყველა ამას მეუბნება! გამაგიჟეს, ძმობას გეფიცები, ამისთანა ამირანი რა ვიყავი, რომ ასი ქალის ძუძუ მეწოვა?!

თ ო რ ნ ი კ ე — თანაც, არ გეწყინოს და ხელოვნურად გამოკვებილს ჰგავხარ!

ვ ა რ ლ ა მ ი — (სერიოზულად) ასეცაა. ერთი ბებერი თხა ჰყავდა

თურმე მამაჩემს და მისი რძითა ვარ გაზრდილი. (კარებში შემოდის ნესტორი, ოდნავ დაუკრავს თავს თანამშრომლებს და მიდის თავისი მაგიდისაკენ, რომელიც საავადმყოფოს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აქვე დგას საერთო ოთახში, მაგრამ მისი კუთვნილი კუთხე ფარდითაა გადაღობილი და დროებით კაბინეტის დანიშნულებას ასრულებს. ასეთ ღარიბულ კაბინეტს განსაკუთრებით არ უხდება დიდი თეთრი მაცივარი, წინათ მომსწრე და ამჟამად მომლოდინე ნესტორის ბრწყინვალე კაბინეტისა. ნესტორი ჯდება მაგიდასთან და რეკავს ზარს. ზარის საშინელ ხმაზე თანამშრომლები ერთდროულად შეკრთებიან. თვითონ ნესტორსაც არ ესიამოვნება ზარის მკახე ხმა. მდივანი ქალი, ხანში შესული, ეტყობა ოდესღაც კარგად ნაცხოვრები, რომლის მაგიდა ნესტორის მაგიდის წინ დგას, წარსდგება დირექტორის წინაშე).

ნ ე ს ტ ო რ ი — ეს გადაყარეთ. (ეაუწედის საფერფლეს) ბორჯომი მომეცით და ფარდა გადაწიეთ.

(ყოველივე ეს სრულდება დაუყოვნებლივ. ნესტორი ისევ რეკავს ზარს და თანამშრომლების ერთდროული შეკრთომა კვლავ მეორდება)

(მდივანს) არ შეიძლება, რომ ეს ზარი ცოტა გაეაჩუმოთ?

მ დ ი ვ ა ნ ი — განა ის თავისთავად რეკავს ხოლმე?

ნ ე ს ტ ო რ ი — ქარაგმებს თავი დაანებეთ! ესე იგი, ნუ დავრეკავ და ვიყვირო, არა?

თ ო რ ნ ი კ ე — აფსუს, ნესტორ, შენს კაბინეტს რომ ვიგონებ, ბატონო ჩემო, წინათ, სანამ ამ დაწყეველილ საავადმყოფოს აგიდებდნენ! მახსოვს, შენს სამდივნოში რომ ჩავეწერე მიღებაზე, შენთან შემოსვლა რვა თვის შემდეგ მეღირსა. ასე იცით, ძმაო, თქვენ, ჯერ კაცს ცაზე ააგდებთ. ჰერე გაუშვებთ ხელს და დაანარცხებთ, ბატონო ჩემო, პირდაპირ მიწაზე.. ანდა ქვებზე. არა, ამ შენ ახალ სამუშაოს რა უპირს, კაცმა რომ თქვას, მაგრამ...

ნ ე ს ტ ო რ ი — ნუ მიშლი ხელს.

თ ო რ ნ ი კ ე — რას მიშვები, ნესტორ, წამლებისას?

ნ ე ს ტ ო რ ი — მაცალე! (რეკავს ზარს. მდივანი ქალი ისევ მიდის მის მაგიდასთან) იოველს დაუძახეთ! (იოველი გაიგონებს და მიდის მასთან) — დაბრძანდით. (თანამშრომლებს) დაგეტოვეთ სუყველამ. შენც გადი, თორნიკე! (ყველა ზანტად მიატოვებს საქმეს და უსიამოვნოდ გადიან ოთახიდან) იოველ, შენ ბევრი ნაკლი გაქვს, ხომ გრძნობ ამას?

ი ო ვ ე ლ ი — ალბათ მაქვს, ბატონო ნესტორ!

ნ ე ს ტ ო რ ი — პასუხები არაა საჭირო, რომ გეუბნებიან, გაიგონე! შენ ბევრი ნაკლი გაქვს და ბევრი დანაშაული.

ი ო ვ ე ლ ი — დანაშაული? როგორ გეკადრებათ!

ნ ე ს ტ ო რ ი — დიდი დანაშაული არა, მაგრამ...

ი ო ვ ე ლ ი — არც პატარა, ბატონო ნესტორ.

ნ ე ს ტ ო რ ი — სამსახურში იგვიანებ და...

ი ო ვ ე ლ ი — არასდროს არ დამიგვიანია.

ნ ე ს ტ ო რ ი — ჰო, კარგი, კარგი, ესე იგი, მე გეუბნები, შენ ბევრი ნაკლი გაქვს, მაგრამ ძე მიყვარს ახალგაზრდების გაზრდა, მათი დაწინაურება, თუ ღირსი იქნებიან, რა თქმა უნდა. მიყვარს თუ არა, აა?

ი ო ვ ე ლ ი — რადგან ამბობთ, ალბათ გიყვართ.

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ პარტიის წევრი არა ხარ, ნაკლიც ბევრი გაქვს, როგორც გეუბნები, მაგრამ მე გადავწყვიტე შენი დაწინაურება. ხვალიდან იმუშავებ ბიჭიკოს ადგილზე მთავარ ბუხჰალტრად. შენ უნდა იყო ჩემი მარჯვენა ხელი. ყველაფერი უნდა დამიჯერო და მე გამოგიყვან ცხოვრების გზაზე.

ი ო ვ ე ლ ი — დიდი მადლობა, ბატონო ნესტორ, მაგრამ...

ნ ე ს ტ ო რ ი — ჰო, კარგი, კარგი...

ი ო ვ ე ლ ი — დიდი მადლობა, მაგრამ მე უარს ვამბობ.

ნ ე ს ტ ო რ ი — რაო?

ი ო ვ ე ლ ი — უარს ვამბობ. მე სულ ახლახან დავიწყე ეს საქმე, გამოუცდელი ვარ. ჩვენს საავადმყოფოს ადამიანების სიცოცხლე რომ აბარია, სახელი არ გაუტყდება?!

ნ ე ს ტ ო რ ი — დაგეხმარებით და აითვისებ.

ი ო ვ ე ლ ი — უცებ ვერ ავითვისებ. უარს ვამბობ. ბატონ ბიჭიკოს ხომ მალე დააბრუნებენ, ჩვენ ხომ ვიბრძოლებთ ამისათვის, არა?

ნ ე ს ტ ო რ ი — რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ.

ი ო ვ ე ლ ი — (მიახარებს) მე უკვე გავაფრთხილე კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ცეკაშიაც მინდა წავიდე, არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ...

ნ ე ს ტ ო რ ი — (შეშფოთდება) იოველ, შენ აქ სულელურ ხვებს ნუ აყოლიხარ! როგორ ფიქრობ, ბიჭიკოზე ჩემსავით ვის შესტკივა გული?! (ღიმილით) — ბიჭო, ცეკაში შენ უფრო მიგეყვანება, თუ მე? ცეკაში მე... ბიჭიკო ასე რომ წავიდა ჩვენგან, ეს ძალიან კარგი მოხდა, ასე სჯობდა თითონ ბიჭიკოსათვის: ჯერ-ერთი — ავადმყოფი კაცია, სამუშაო კი სანერვიულო ჰქონდა. მოხუცდა თანაც და დასვენების უფლება აღარა აქვს, კაცო? მერე კიდევ, რაც მთავარია, ბიჭიკოს... იოველ, ხომ იცი, ეს რომ სადმე წამოგცდეს... მე შენ როგორც მარჯვენა ხელს, ისე გენდობი... რა და ორგანოები დაინტერესდნენ ბი-

ჭიკოთი: ნაფედერალისტარი კაცია და... შეიძლება მაგრად გაეფუჭებინათ, ახლა კი რა, აბა დაუკვირდი, ცოტას დაისვენებს, იმკურნალებს და მერე ისეთ სამუშაოზე მოვაწყობ, რომ... ამიტომ ბიჭიკოზე ხმაურის ატეხა მისთვის საზიანოა. ვითომც არაფერი არ მომხდარა, არ ჯობია ასე? რა ვიცი, შენ როგორ გგონია?

ი ო ვ ე ლ ი — რა ვიცი, თქვენ უფრო გამოცდილი ხართ.

ნ ე ს ტ ო რ ი — ასეა, ასე. შენზე უკვე ვაცნობე სამინისტროს, ახლა უარი რომ თქვა, დაინტერესდებიან, პროტესტად ჩათვლიან და ამითაც გააფუჭებ ბიჭიკოს საქმეს. როგორ ფიქრობ, სწორი არ არის?

ი ო ვ ე ლ ი — რადგან ბატონი ბიჭიკოსათვის ასე ჯობია, დავთანხმდები, მაგრამ გავუძღვები?

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ მე მომენდე და დაზღვეული იქნები, ხვალ ბრძანებას დაგწერ უკვე.

ი ო ვ ე ლ ი — კარგი, თანახმა ვარ.

ნ ე ს ტ ო რ ი — ოღონდ გახსოვდეს: შენ ბევრი ნაკლი გაქვს, ბევრი დანაშაული.

ი ო ვ ე ლ ი — დანაშაული?

ნ ე ს ტ ო რ ი — ჰო, დიდი დანაშაული არა, მაგრამ...

ი ო ვ ე ლ ი — არც პატარა, ბატონო ნესტორ!

ნ ე ს ტ ო რ ი — ჰო, კარგი, პასუხი არაა საჭირო, რომ გეტყვიან, გაიგონე.

ი ო ვ ე ლ ი — ბატონო ნესტორ!

ნ ე ს ტ ო რ ი — (იოველს) განაგრძე მუშაობა.

(იოველი მიდის თავის მაგიდასთან. თითქოს ამას უთვალთვალებდნენ და ელოდნენ, მთელი თანამშრომლები ერთბაშად შეცვივდებიან და შეუდგებიან მუშაობას. მათ თორნიკეც შემოყვება)

თ ო რ ნ ი კ ე — (წყენანარევი ხუმრობით) ნესტორ, თუ არ მაძლევ, მითხარი და... შე კაცო, შენი თანამშრომლებივით რომ მატინგიცებ აქეთ-იქით, მე რომ სწავლა მდომოდა, შვიდ ფაკულტეტზე ვსწავლობდი ხუთ ქალაქში, დავამთავრებდი რომელიმეს... მამაჩემს ჩემი წონა ვუზიეარ, ბატონო ჩემო!

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ, თუ გინდა, მართლა მოდი ჩემთან სამუშაოდ.

თ ო რ ნ ი კ ე — არა, გენაცვალე, ლუკმა პური ყოველთვის მექნება. მომეცი წამალი, რაც გაქვს და წავალ. (ოთახში შემოიხედავს ასმათი, ნესტორს რომ დაინახავს, საჩქაროდ შემოვა)

ა ს მ ა თ ი — მთელი დღე თქვენ დაგეძებთ.

ნ ე ს ტ ო რ ი — ბოდიში, რომ მე თვითონ არ დაგეძებდით.

ასმათი — თქვენ გაგიცია‌ თ განკარგულება, რომ სამზარეულო საავადმყოფოს შენობაში დარჩეს.

ნესტორი — დარჩება კიდეც.

ასმათი — როგორ შეგიძლიათ ამაზე ფიქრიც კი, სამზარეულო რომ საავადმყოფოს გარეთ არ გავიტანოთ, ეს ხომ ტანჯვა იქნება ავადმყოფებისათვის, ბატონო ნესტორ! სამზარეულოს საშინელი ხმაურის ატანა, ატანა სიბინძურის, საშველების სუნის ატანა!

ნესტორი — ავადმყოფებს საშველი თუ ექნათ, ეგღა გეაკლია მისი სუნი ველარ აიტანონ!

ასმათი — ეგ ხომ პროექტითაც გათვალისწინებულია და ამისი თანხაც გვაქვს.

ოველი — ეგ ასი ათასი აღარ ჩანს, ასმათ, ალბათ დახარჯეთ რამეში.

ასმათი — არა, ოველ, უნდა იყოს, არაფერში არაა დახარჯული და სამზარეულოს გატანაში დაიხარჯება.

ნესტორი — (აიწურება) სამზარეულო დარჩება საავადმყოფოში. ახლა მიხედეთ მშენებლობას!

ასმათი — არ დარჩება.

ნესტორი — (თანამშრომლებს) დაგვტოვეთ ყველამ. (თანამშრომლები ისევ წამოიშლებიან და გადიან) მე არ დავამტკიცებ მაგ პროექტს.

ასმათი — (თხოვნით) ბატონო ნესტორ, გემუდარებით! თქვენ ხომ საავადმყოფოს ხელმძღვანელი ხართ, იმის მაგივრად, რომ მე ვიყო წინააღმდეგი ამ მშენებლობისა და თქვენ იქით მეჩხუბებოდეთ, როგორ შეგიძლიათ ავადმყოფებზე ასე...

ნესტორი — ჩვენ უზარმაზარი თანხა დაეხარჯეთ საავადმყოფოს კეთილმოწყობილი პროზექტურის აშენებისათვის, ესეც კმარა!

ასმათი — (ისევ თხოვნით) ავადმყოფებს საპროზექტუროდ ნუ შეუქმნით საქმეს. თორემ მერე იმისთვის სულერთია. არ გეკადრებათ, ბატონო ნესტორ! (ყვირის) მაგრამ, მგონია, სწორედ გეკადრებათ! აი ასეა... ყველგან ყვირილი მჭირდება, — აქაც-იქაც... ხანდახან საკუთარი თავი მძულს ხოლმე! ბარემ ჩექმები ჩამაცვით და მაუზერიც მიყიდეთ! თქვენ გავიწყდებათ, რომ მე ქალი ვარ!

ნესტორი — ეგ თქვენ გავიწყდებათ!

ასმათი — აჰა, მე მავიწყდება? მაშინ კეთილ ინებეთ და როცა ქალს ელაპარაკებით, აბრძანდით ფეხზე! (ნესტორი დგება)

ნესტორი — კარგი ახლა, ხალხს მუშაობა უნდა.

ასმათი — (მოთმინებიდან გამოსული) ხალხს კი უნდა, მაგრამ თქვენ არ გინდათ მუშაობა, მე ამას ვხედავ, ყოველ დღე, ყოველ წუთში, იმიტომ. რომ თქვენ არაფრად მიგაჩნიათ ცოცხალი ადამიანები, არც თანამშრომლები, არც ავადმყოფები! რატომ მოხსენით ბიჭიკო, ვინ მოხსნა ის?

ნესტორი — (ისტერიულად ყვირის) გადი გარეთ!

ასმათი — (მშვიდად, დამცინავად) თქვენ საავადმყოფოს ხელმძღვანელად კი არა, იმ თქვენ კეთილმოწყობილ პროზექტურაში უნდა მუშაობდეთ!

(ასმათი გადის, ნესტორი გულმოსული ჯდება მაგიდასთან. რეკავს ზარს, ისევ შემოდიან თანამშრომლები. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის გამხდარი, მაღალი, ფლეგმატური თანამშრომელი მიშა ქაღალდით ხელში)

მიშა — (თანამშრომლებს) გაბაძის ბებია ტრამვაის გაუტანია, ჩამოდით ფულს!

ვარლამი — ვინაა გაბაძე?

მიშა — ახალი თანამშრომელია.

ვარლამი — (აღშფოთებული) სამსახურის დაწყება ვერ მოასწრო და უკვე ბებია მოუკვდა? (აძლევს ფულს. შემორბის ზურია)

ზურია — ბიძია ბიჭიკო დაიკარგა, მგონი თავი მოიკლა!

(გახევებული თანამშრომლები ხმას ვერ იღებენ)

ფარდა

მესამე მოქმედება

ბიჭიკოს ეზო.

ნ ე ს ტ ო რ ი — რა გაიგეთ?

ა ს მ ა თ ი — ჯერ არაფერი. (შემოდიან ქალები)

ე ლ ე ნ ე — დავიღუპეთ!

ნ ი ნ ო — (მიატირებს) ლილი, შვილო! გვიშველეთ, გვიშველეთ!

ნ ე ს ტ ო რ ი — გვაცალეთ, გვაცალეთ! აბა, პანიკა არაა საჭირო, გამორკვევის პროცესშია საქმე.

ნ ი ნ ო — ეს დღეებია სულ ცუდი სიზმარი მაქვს.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი — (ნესტორს) კი, მაგრამ ვინმე გაგზავნეთ საძებრად.

ნ ე ს ტ ო რ ი — თორნიკეა წასული, ყველგან მიეიდოდა, ვნახოთ.

თ ა მ ა რ ი — ის უცხო ვინაა? ჩვენი სასიძო ვგაა! (მიუთითებს ოველ-ზე) ჩემი კუბო ნახე! ო, რა ვაჟკაცია! აბა, ჩემი გოგო ვინმე მათხოვარს შემოიყვანდა ჩვენს ოჯახში? ნუ გეშინია, ჩვენს ახალგაზრდობას არ გავდეს! სარწმუნო წყაროდან ვიცი, ღვი-ნოს სულ არ ეტანება თურმე. შეხედე, ერთი შეხედე, შიგ თვალებში არ აწერია განათლება?

ლ ი ლ ი — არა, ბიცოლა, მე არაფერს არ ვფიქრობ.

თ ა მ ა რ ი — შენ აგაშენა, გოგო, ღმერთმა, გულს აღარ გიტეხდი. თორემ საშუალო განათლების ბუხჰალტერს რა უნდა ჩვენს ოჯახში! სკოლის ცოდნა კი არა, დოცენტობა აღარავის შვე-ლის ახლა, იმნაირად არიან მოდებული ხარისხიანი ადამიანე-ბი. ვაჟკაცობა მაგას არა აქვს, სუფრაზე ეგ არ გამოგადგება და...

ლ ი ლ ი — მე არ მიყვარს, თორემ ისე ყველაფრად კარგია, ძალიან მეცოდება.

(შემოდის თორნიკე, ყველა მას მიაჩერდება. პაუზა)

თ ო რ ნ ი კ ე — მთელი მილიციები დავიარე, საავადმყოფოები, რესტორნები, პროზექტურაშიაც გახლდით, ბატონო ჩემო!

ნ ე ს ტ ო რ ი — პროზექტურაში?

ლ ი ლ ი — (წამოიყვირებს) მიშველეთ!

თ ა მ ა რ ი — გვიშველეთ, გვიშველეთ!

ნ ე ს ტ ო რ ი — (გაბრაზებული) გვაცალეთ, გვაცალეთ!

თ ო რ ნ ი კ ე — სწორედ ერთი კვირის წინ... მებადურებს უპოვნიათ დამხრჩვალი მოხუცი მეთევზე.

ლ ი ლ ი — (ისტერიულად) მა-მი-კო!

თ ა მ ა რ ი — (ისევ ისტერიულად) უბე-დუ-რო!

თ ო რ ნ ი კ ე — ერთ კვირას უცადეს პატრონებს და მერე... დაუსაფლავებიათ!

ა ს მ ა თ ი — იქნებ ის არაა?

თ ო რ ნ ი კ ე — რომ ამიწერეს, ისაა სწორედ. თანაც ამ ხნის კაცი, უპატრონო, უშვილო და უძირო, ბატონო ჩემო, სხვა ვინ იქნებოდა? ჯიბეებში სათვალე უპოვნიათ.

ლ ი ლ ი — ისაა, ის, ჩემი მამიკო! (ტირის)

ა ს მ ა თ ი — იქნებ ის არაა?

ნ ე ს ტ ო რ ი — მე ერთი კვირაა არ დამინახავს, ზურიას ახსოვს სათევზაოდ წასული, ანდერძი სახლში ვიპოვნეთ, პროზექტურაში მკვდრებში ის ყოფილა, მთელი მისი ნიშნებით... აღარა გვყავს ჩვენი საყვარელი ბიჭიკო!

თ ა მ ა რ ი — (შეკივლებს) გვიშველეთ! (ყველა შედრეკება)

ე ლ ე ნ ე — გვიშველეთ!

ნ ე ს ტ ო რ ი — გვეყოფა ახლა, მიცვალებულს პატრონობა სჭირდება, კივილი კი არა. რამდენჯერ ვუთხარი ცხონებულს და ანებე თავი ამ ფეოდალურ სპორტს-თქო, მაგრამ... ეჰ!..

ნ ი ნ ო — ქაჯი ვარ, პირდაპირ ქაჯი! ამ დღეებში სიზმარში სულ ბიჭიკოსთან ერთად დავდიოდი. ტანი რომ მიგრძნობს რამეს, იქვე დარჩეს და უბედურებას ვერ ავცდები. (ქმარს) ხომ ვარ ქაჯი?

ქ მ ა რ ი — ნამდვილად ქაჯი ხარ, კი. ეტყობა, ამასწინათ ფული რომ გთხოვა სასესხებლად და უარი რომ უთხარი, ის ჩაგყვა გულში. (ცოლი უჩქმეტს) რას იბწკინები, შე ქალო?

თ ა მ ა რ ი — თქვენც გთხოვათ? ჩემთანაც იყო უბედური, მაგრამ რა მექნა... არა, (გაუბედავად) მე კი ვასესხე, იმაზე მეტიც, რაც მთხოვა, მაგრამ ეს არაფერი და სიზმარში ყველაზე საშინელი ცეცხლია, ცეცხლი! ო, მტრისას! გუშინწინ მესიზმრა, ვითომ კისლავოდსკში ვიყავი და უცებ გაჩნდა ხანძარი! გამორბის ხალხი აბაზანებიდან, ტიტვლები, სულ ტიტვლები... არა, კაცები, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ჩაცმულები იყვნენ, მაგრამ — ეს ვინაა ცეცხლს შუა რომ ჩამდგარა? უბედური ბი-

ჭიკო, დგას და ილიმება, ილიმება და მეძახის — ეს ცუდია. მე არ მივედი — ეს კარგია. აბრეშუმის კაბა მეცვა, წინ დაფურ-ფუშალებული, და ვუთხარი კაბა დამეწვება-მეთქი! ამ დროს...

ნ ე ს ტ ო რ ი — აბა, მაგეების დრო არა გვაქვს! თორნიკე, ჩაუდექი საქმეს სათავეში, პირდაპირ ჩემთან გექნება საქმე.

თ ო რ ნ ი კ ე — (გამოცოცხლებული, რომ თავის სტიქიაში მოხვდა) მილიონი რამაა მოსაგვარებელი. ძეგლი, ძეგლისათვის მარმარილო, გაზეთებში გამოცხადება, სოფლებში დეპეშები, ქელეხის სარჩო, ბატონო ჩემო, ფული და მანქანები.

ნ ე ს ტ ო რ ი — (მტირალ ასმათს) აბა, ასმათ, წადი ახლა მშენებლობაზე, ხომ იცი...

ა ს მ ა თ ი — (ტირილით) წყალს წაუღია ეს მშენებლობა! აღარაფერი არ შემიძლია!

ნ ე ს ტ ო რ ი — წადი! დამშვიდდი და წადი!

ლ ი ლ ი — ბიძია ნესტორ, გაეცით ბრძანებები!

თ ო რ ნ ი კ ე — ნუ გეშინიათ! დეპეშებს გაგზავნის იოველი, ამას არ სჭირდება პროტექცია და ქრთამის მიცემა. დანარჩენ ამბებს მე მოვუვლი. საჭიროა საჩქაროდ შეგროვდეს ფული.

ზ უ რ ი ა — დედაჩემთანაც გაგზავნეთ დეპეშა. არ დაგავიწყდეთ.

ლ ი ლ ი — გაყიდეთ ჩვენი როიალი, არა, მთელი სასადილო, ყველაფერი გაყიდეთ. ბიძია თორნიკე, მუშებზე გაგზავნე ვინმე!

ი ო ვ ე ლ ი — ლილი!

თ ა მ ა რ ი — ყოჩაღ, ქალო!

ლ ი ლ ი—არა აბა და იმას ვათქმევინებ ხალხს, გერია და არ იზრუნა მისი ხსოვნისათვისო!

ნ ე ს ტ ო რ ი — პროფორგანიზაციაც დაგვეხმარება.

ა ს მ ა თ ი — ბიჭიკო ბიძიას რომ უარი უთხარით? პროფორგანიზაციას არ აქვს თანხებიო!!

ნ ე ს ტ ო რ ი — დასაფლავების თანხები ყოველთვის მოინახება.

ი ო ვ ე ლ ი — ფულს დავუყრით თავს, ქელეხისათვის ოჯახს ნუ გაანაგებ. ლილი, ყველაფრის გაყიდვა როგორ შეიძლება ქეიფისათვის!

თ ა მ ა რ ი — საქეიფოდ გვაქვს საქმე, არა? თქვენ რაღაც ზედმეტად ზრუნავთ ამ ოჯახის ქონებაზე, ახალგაზრდავ, და, მგონი, არა გაქვთ ამისი საფუძველი.

ა ს მ ა თ ი — (გაღიზიანებული) ჰო, აბა, დაანგრიეთ ეს სახლი, დაანგრიეთ.

თ ო რ ნ ი კ ე — არ გეწყინოთ, მაგრამ ჩვენს ტრადიციებს ჭყლინტი ბავშვების ჭკუაზე ვერ ამოვატრიალებთ, ბატონო ჩემო!

ლ ი ლ ი — ნუ იცი, ასმათ, ზედმეტი ლაპარაკი. ბიძია თორნიკე, მიცვალებულის ძეგლს დავდგამთ ადგილზე, მაგრამ მე მაწუხებს პროცესია, პროცესია არ უნდა იყოს?

თ ო რ ნ ი კ ე — პროცესია უმიცვალებულოდ მაგ გამოვა ესადნიკ ბეზ გოლოვი.

ლ ი ლ ი — (უკმაყოფილოდ) ესე იგი, მივიდეთ, წავიტიროთ და დავბრუნდეთ, არა? მაშინ რად გვინდოდა ამხელა ამბების დატრიალება?

ვ ა რ ლ ა მ ი — ლილი, რად გინდა, გენაცვალე, ეგ ცერემონია? უცნაური ამბავი გამოვა.

ნ ი ნ ო — არა, ლილი, შენ ამათ ნუ აყვები, როგორ? პროცესია არ გვინდაო?

თ ო რ ნ ი კ ე — კარგი, ბატონო, როგორც მიბრძანებთ.

ლ ი ლ ი — არა, საქმე ეგ კი არ არის, პროცესია, რა თქმა უნდა, იქნება მაგრამ აქედან სასაფლაომდე ძალიან მოკლე მანძილია, ბიძია თორნიკე, და სულ ზედა ქუჩით სასიარულო. ცენტრალურ ქუჩაში ნებას არ იძლევიან.

ვ ა რ ლ ა მ ი — ცენტრალური ქუჩებით ნებასაც რომ იძლეოდნენ, გზა ერთი ხუთად გაგრძელდებოდა.

თ ა მ ა რ ი — სწორედ განიცდის ლილი, ამდენი გვირგვინი აბა ოხრად დაგვრჩეს და ქალაქმა არ გაიგოს, ასეთმა პროცესიამ მტრის თვალის დასათხრელად ქუჩისნაირ ქუჩაზე არ გაიარეს და ერთი ნახევარი საათით მაინც არ გააჩეროს ქალაქში მოძრაობა?

ლ ი ლ ი — ამას ვამბობ, მეტს კი არაფერს! თორნიკე ბიძია, დღესვე უნდა აიღო უფლება, რომ ცენტრალურ ქუჩებზე გაგვატარონ, თორემ რას იტყვის ხალხი?

ვ ა რ ლ ა მ ი — რას იტყვის და დაგიჟდნენო, სასაფლაო აქვე გქონდეს და მთელ ქალაქს შემოუაროთ? მაშინ ცირკთან შეიკრიბეთ ბარემ და დემონსტრაცია მოაწყვეთ.

თ ო რ ნ ი კ ე — როდესაც კაცი ამას ლაპარაკობს, ეს გათახსირებაა და მეტი არაფერი! (ლილს) ეგ საქმე, ჩემო გოგო, ხუთიათასიანია, ერთხელ უკვე მქონდა მასეთი შემთხვევა.

ლ ი ლ ი — მიეცი, ეგ რა სალაპარაკოა!

თ ო რ ნ ი კ ე — შეზობლებო, მეგობრებო, ნათესავებო! ყველამ გაიღეთ თქვენი წვლილი, რომ ღირსეული პატივი ვცეთ ჩვენი ბიჭიკოს ხსოვნას!

ვ ა რ ლ ა მ ი — ამდენი ფული ბიჭიკოსთვის რომ სიცოცხლეში მაგეცათ, არ აჯობებდა ეითომ?

გ ო გ ი — შენ აგაშენა ღმერთმა, ბიძია, მეც მაგ აზრისა ვარ! როს გამახსენდება, თუ რა დაუჯდება ჩემ ცოლსა და შვილს ჩემი დასაფლავება, სიკვდილის ნამდვილად მეშინია.

ა ს მ ა თ ი — ბატონო ნესტორ, მე მშენებლობაზე წავალ.

ე ლ ე ნ ე — არ ვიცი, რას ემსახურება ახლანდელი ახალგაზრდობა, აღარც ტრადიციები და აღარაფერი!

ნ ი ნ ო — უგულოები იზრდებიან, ბატონო, უგულოები, ჩემმა ქალიშვილმა გამიბედოს ასეთი რამ...

თ ა მ ა რ ი — ქვეყანა ინგრეოდა და ქლიბარე ცეკვას შეებოდაო, ასეთი უბედურებაა ოჯახში და რა დროს საავადმყოფოს მშენებლობაა ახლა?!

ზ უ რ ი ა — ავადმყოფებს თუ არ მოვუარეთ, ბიცოლა, ხომ დაწყდებიან ისინიც და მერე ვინ აუვა ამდენ დასაფლავებას?!

თ ა მ ა რ ი — ეს უმაწვილი ვისია?

ნ ი ნ ო — Он из деревни.

ე ლ ე ნ ე — Чувствуется.

თ ო რ ნ ი კ ე — აბა, მიეხედოთ საქმეებს! ნესტორ, მანქანები! ცოცხალია საჭირო, წითელ ხიდზე ვიშოვით, ქალაქში არაა.

ნ ე ს ტ ო რ ი — ნუთუ არაა?

თ ო რ ნ ი კ ე — ამ კვირაში ოთხი მყავს გასვენებული, მაგას ნუ მასწავლით, ბატონო ჩემო.

ნ ე ს ტ ო რ ი — კარგი!

თ ო რ ნ ი კ ე — მერე მანქანა იმერეთში უნდა გავგზავნოთ, ქელეხისათვის იქაური ლობიოა აუცილებელი, სხვა არ შეიძლება და ბაზარში კი ეს ლობიო არ შემოდის.

ნ ე ს ტ ო რ ი — კარგი!

თ ო რ ნ ი კ ე — ოღონდ უჩემოდ არ გაგზავნო ზესტაფონში, ცოტა ტვირთი მაქვს და გავატან ბარემ.

ნ ე ს ტ ო რ ი — კარგი.

(ამ საუბრის ფონზე იეზიდ მუშებს თანდათან გააქვთ სახლიდან როიალი, მაგიდა, სურათები და სხვა ნივთები. ისმის ქურთული შეძახილები. შემოდის იოველი).

ნ ე ს ტ ო რ ი — იოველ, მოდი აქ, ბიჭო! რას გაეხარ?

ი ო ვ ე ლ ი — რა ბრძანეთ?

ნ ე ს ტ ო რ ი — რას გაეხარ?

ი ო ვ ე ლ ი — რას ვგავარ, ბატონო?

ნ ე ს ტ ო რ ი — მათხოვარს! (იოველი თავს ჩაქინდრავს) საავადმყოფოს მთავარ ბუხჰალტერს კი არა, მათხოვარს გაეხარ! ეს რა გაცვია, კაცო?

ი ო ვ ე ლ ი — სუფთაა, მაგრამ დამიმოკლდა.

ნ ე ს ტ ო რ ი — ლილის მთელი ნათესაობა აქ არის.

ი ო ვ ე ლ ი — მერე რა, ბატონო ნესტორ?

ნ ე ს ტ ო რ ი — (ფულს გაუწვდის) ორასი თუმანია. ახლავე წახელ და კარგ კოსტუმს იყიდი.

ი ო ვ ე ლ ი — რას ბრძანებთ, ვერ გამოგართმევთ, ბატონო ნესტორ: ვერ შევძლებ გასტუმრებას!

ნ ე ს ტ ო რ ი — როცა გექნება, მაშინ მომცემ.

ი ო ვ ე ლ ი — როცა მექნება, მაშინ ვიყიდი.

ნ ე ს ტ ო რ ი — გამომართვი, უფროსი რომ გეუბნება!

ი ო ვ ე ლ ი — ნუ გამაწითლებთ, ვერ გამოგართმევთ!

ნ ე ს ტ ო რ ი — კარგი, აბა წადი. (იოველი მიდის) თუმცა მოიცა, რაღაცა მინდოდა მეთქვა შენთვის. (ფიქრობს) მიდი საავადმყოფოში, მშენებლობაზე სამი მანქანა მუშაობს, სამივე აქ მოიყვანე, უთხარი ხაზეინმა თქვა-თქო.

ი ო ვ ე ლ ი — კარგი. (მიდის)

ნ ე ს ტ ო რ ი — კიდევ რაღაც მინდოდა. ჰო! მე ვიცი, რომ შენ გაქვს ბიჭიკოს ხელმოწერილი ორი სუფთა ჩეკი. ისინი საჩქაროდ უნდა დაიხეს, აქ მომიტანე.

ი ო ვ ე ლ ი — არა, ბატონო ნესტორ, აქტი უნდა შეავადგინოთ და მოწმეების თანდასწრებით დაეწვათ.

ნ ე ს ტ ო რ ი — ოჰ, რაა ახალგაზრდა გამოუცდელი ჭკუა! შენ იტყვი კიდევ ბიჭიკო მიყვარდაო?!

ი ო ვ ე ლ ი — სხვაგვარად არ გვაქვს უფლება.

ნ ე ს ტ ო რ ი — რას გეძახის შენ ასმათი? ჟირაფს თუ... ჰო, თხუნელა, თხუნელა. შე მართლა თხუნელა, ეგ რომ ხალხმა გაიგოს, სათანადო ორგანოებმა რომ გაიგონ, ბიჭიკო ხელმოწერილ სუფთა ჩეკებს აძლევდა სხვასო, შეიძლება მისი პანაშვიდის უფლებაც არ მოგვცენ! (მკაცრად) ბოროტმოქმედება იყო ეგ, იოველ, სასტიკი დანაშაული! ხომ შეიძლებოდა ათასგვარი მახინაცია გაკეთებულიყო? არა, მე შენზე კი არ ვამბობ, მაგრამ პრინციპში! სიფხიზლე, იოველ, სიფხიზლე! ახალგაზრდა კაცი ხარ! (იოველი წასვლას აპირებს)

თ ა მ ა რ ი — დგას და ილიმება, ილიმება და მიძახის: მოდი, თამარ, მოდიო! ხელს მიწვდის. მე არ მივედი — ეს კარგია, ძალიან კარგია, რომ არ მივედი.

ნ ე ს ტ ო რ ი — ვინ გიძახის, ქალო?

თ ა მ ა რ ი — ბიჭიკო, ჩვენი უბედური ბიჭიკო. დგას და მიძახის!

ნ ე ს ტ ო რ ი — სად დგას, ქალო, არ გამაგიჟო!

თ ა მ ა რ ი — ცეცხლში! აბა! შენ არ იცი? ამასწინათ ვითომ ყისლავოდსკში ვართ და...

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ დაგაფეთა ღმერთმა! კარგი, თამარ, რა დროს ეგაა, მოდი, იოველ! მიხვდი?

ი ო ვ ე ლ ი — დიახ, დღესვე დავწვავ.

ნ ე ს ტ ო რ ი — ოჰ, შენ ვერაფერი შეგასმინე. მე უნდა მომიტანო, მე ვარ დაწესებულების ხელმძღვანელი, მე უნდა დავწვა, რომ გული მშვიდად მქონდეს, გაიგე?

ი ო ვ ე ლ ი — კარგი.

ნ ე ს ტ ო რ ი — ამაზე არავისთან არცერთი სიტყვა, თორემ გაილანძღება მოხუცი. გაეარდი ახლა! (იოველი გადის, ნესტორი ადის სახლში)

თ ა მ ა რ ი — ახლავე წახვალ, დაიჭერ მანქანას, კერძო უფრო იაფად წაგიყვანს, საჩქაროდ გასწი მცხეთაში გვირგვინზე.

გ ო გ ი — ფული?

თ ა მ ა რ ი — ინოლას დღეობის ფული აიღე, რა მედღეობება, ამ ხალხში გამოვსხლტები? იცოდე, ჩვენი გვირგვინი ყველაზე კარგი უნდა იყოს. ფული არ დაინანო. გააფრთხილე ის მოხუცი, ამ ერთ კვირაში მაინც უკეთესი გვირგვინი არავის გაუკეთოს, უთხარი, ვითომ იქ მუშაობ, იქ! (ეს ძრაველმნიშვნელოვნად აწვეს ხელს "მაღლა") გაზეთში მისცემ განცხადებას, მარტო ჩვენი სახელით, გულს რომ მოხვდეს, რამე ისეთი დაწერე! ის ჩიტირეკია მწერალი ამხანაგი რომ გყავს, იმან მოიფიქროს, სხვაში რაში გამოგვადგება?! გაზეთის რედაქტორი გააფრთხილე, როგორც მიცვალებულის გვარს დაწერს მსხვილად, ისე დაწერონ ჩვენი გვარიც. ჩქარა!

ნ ი ნ ო — სად წავიდა გოგი?

თ ა მ ა რ ი — პაპიროსი გამომელიაო. მომკლა მაგისმა ბოლებამ, სულ საუკეთესო პაპიროსს წევს. მაგრამ მაინც... (შემოდის თინათინი)

თ ი ნ ა თ ი ნ ი — მგონი, უდროოდროს მოვედი.

ლ ი ლ ი — რა იყო?

თ ი ნ ა თ ი ნ ი — ახლა ასპირანტურის სამეცნიერო საბჭოს სხდომა იყო.

ლ ი ლ ი — მერე?

თ ი ნ ა თ ი ნ ი — აღარ ვიცი, როგორ გითხრა.

ლ ი ლ ი — (შეშინებული) — ნუ, ნუ მეტყვი! ნუ მეტყვი, ნუ! (პაუზა) მითხარი, ჩქარა მითხარი, რა მოხდა?

თ ი ნ ა თ ი ნ ი — საგნების ჩაუბარებლობის გამო და... არ ვიცი კიდევ... გაგრიცხეს ასპირანტურიდან. (ლილი დგას გაოგნებული ერთ ხანს, შემდეგ უცებ აქვითინდება და ჩაჯდება იქვე, ამხანაგი ქალიც მიუჯდება გვერდზე და ტირილში აყვება. ხმამაღლა ტირილის გამო შემოცვივდებიან მთელი ნათესავები, ნესტორიცა და ზურიაც)

ე ლ ე ნ ე — ნუ დაისივებ მაგ ლამაზ თვალებს, ბიცოლა, მოსახდენი მოხდა, გენაცვალე, ბუნებრივია ეგ ამბავი, ნუ, ბიცოლა, ნუ!

თ ა მ ა რ ი — (მეზობლებს) რა მგრძნობიარე გოგოა, მაგის ჭირიმე, არა გავს ახლანდელ ახალგაზრდობას!

ნ ი ნ ო — მასწავლეთ, ბატონო ნესტორ, როგორ ეუყურო მე ამ სურათს!

ნ ე ს ტ ო რ ი — ლილი, აბა, ადექი ზეზე. რას აყვები ნერვებს?! ცხოვრების კანონებს წინ ვერ აღუდგები. კანონზომიერია ყველაფერი, რაც შენ მოგიყვიდა. (ლილი უფრო ხმამაღლა ატირდება) ნუ ტირი, ლილი!

ზ ურ ი ა — იტიროს, ბიძია, რავა, არა აქვს საქმე სატირლად? უტირალი მამა დაკარგა თუ?

(ჩქარი ნაბიჯით შემოდის ასმათი, მას უკან მოყვება ოთველი, რომელიც საადუმლოდ მიდის ნესტორთან და გადასცემს ქაღალდებს. ნესტორი სწრაფად ჯიბეში ჩაიწყობს მათ)

ა ს მ ა თ ი — მართალია, ბატონო ნესტორ?

ე ლ ე ნ ე — მართალია, მართალი, შვილო, აღარა გვყავს ჩვენი ოქრო სიძე!

ა ს მ ა თ ი — ეგ ვიცი, დეიდა, ვიცი. (ცრემლს იწმენდს) მართალია, ბატონო ნესტორ, მანქანები მოგითხოვიათ?

ნ ე ს ტ ო რ ი — მართალია.

ა ს მ ა თ ი — სამივე მოიყვანე.

ნ ე ს ტ ო რ ი — ზესტაფონის საგზური გამოუწერეთ, ლობიოა იქიდან ჩამოსატანი.

ა ს მ ა თ ი — ლობიოსათვის?

ნ ე ს ტ ო რ ი — არა, ბიჭიკოსთვის.

ა ს მ ა თ ი — რადგან თქვენ თვლით, რომ ბატონ ბიჭიკოს ახლა ლობიო სჭირდება, იქნებ აქ გეშოვნათ.

თ ო რ ნ ი კ ე — ეგ გახლავთ ლობიო, რომელიც მხოლოდ იქაა და ქელეხზე სხვა არ შეიძლება. გასაგებია? ჩემო ასმათ, შენ ძალიან მაღლა-მაღლა რომ დადიხარ ხარაჩოებზე, იქიდან, ბატონო ჩემო, ჩვენი ტრადიციები ალბათ ცუდად მოჩანს და მიტომ გადაჯიშებულხარ. ეს მითხარი, ერთი, ამ ხარა-

ჩოებზე რომ აპორტიკლები და იქიდან იხედები, რას გრძნობ, რას?

ასმათი — როცა იქიდან ვიხედები, ოქვენ ისეთი პატარები და საზიზღრები ჩანხართ, რომ...

ელენე — ამას დამიხედეთ! შე გუშინდელო ღლაპო! არამი იყოს შენზე ბიჭიკოს ზრუნვა და სიყვარული!

თორნიკე — ამინ!

ელენე — უკანასკნელი თეფში ლობიო დაგენანა მიცვალებულისათვის, არა? თვითონ გაგიხდეს ადრე და მალე საქმე სალობიოდ და საქელეხოდ!

თორნიკე — ამინ!

ელენე — ღმერთმა დასწყევლოს ახლანდელი ახალგაზრდები ჩემი შვილების ჩათვლით! ამინ! (მთელი ეს სცენა ერეკლე აოსტას წყევლას მოგვაგონებს)

ვარლამი — ო, სანტა სიმპლიციტა!

თამარი — შენ მაგნაირ ლაპარაკს თავი დაანებე, შენც კარგი ფუტურისტი ხარ, ნუ გეშინია!

ელენე — .აი ეგაა სწორედ, პლაკატებზე რომ ქალებს ხატავენ დიდი ჩაქუჩით ხელში. ვინ ითხოვს მაგას, შენი ჭირიმე!

თორნიკე — ეჰ, დედის გრძნობა, თორემ მაგ რა გასაზრდელი იყო, ა? (შემოდის ფოსტალიონი, თორნიკე ართმევს ღია ბარათს და იქვე იწყებს კითხვას, თანდათან დაბნეულობა და მღელვარება ემატება. გამოდის ავანსცენაზე და ხმამაღლა კითხულობს) — „შვილო ლილი, ალბათ ზურია მოგიყვებოდა ყველაფერს. გწერ მატარებლიდან, სოფელში მივდივარ. ჩემს გულს ისევ ჩემი კოპიტის ჩრდილი მოარჩენს. მაპატიე, რომ ვერ დაგელოდე, ძალიან მძიმე დღეები მქონდა. გკოცნი, ჩემო გოგო, შენი მამა". ეაი შენი მამა და შენი დედა, ბიჭიკო! რა დღეში ჩამაგდე! ჩემ საჭიროდ მოგინდა გაცოცხლება, როცა ამხელა ფული ვიშოვე? (ფიქრობს) თქმა თუ არა თქმა! საკითხავი აი ეს არის!

ფარდა

მეოთხე მოქმედება

პატარა ოთახი, სადაც არც ერთი ნივთი არ დგას. ოთახში თავი მოუყრიათ შავებში ჩაცმულ ქალებს.

ე ლ ე ნ ე — ო, მაგათი სინდისი გაწყდეს, მაგათი!

ნ ი ნ ო — რა გიკვირს, ჩემო კარგო, შენ გემოზე მოსამსახურეს კი არა, ქმარს ვეღარ იშოვნი, ქმარს.

თ ა მ ა რ ი — ხვა თუ არ მყავს ხელქვეითი, ჩემს მოსამსახურეზე მაინც ვიყრი ჯავრს. მაგენი თუ თავზე დაისვ-?! ო-ო-ო მე, მაგალითად, ერთხელ ხელითაც შეეხე და ისეა ახლა აბრეშუმივით...

ი უ ლ ი ა — რატომ. ქალბატონო თამარ, თქვენი მოსამსახურე კარგი ქალი ჩანს, მგრძნობიარე. ხელით როგორ შეეხეთ, ქალბატონო თამარ!

თ ა მ ა რ ი — შეეხე, შეეხე, დიახ! (გადაულაპარაკებს მეორე ქალს) ხედავ ამ გომბიოს როგორ მელაპარაკება არისტოკრატასავით. ის კი აღარ ახსოვს, ქალიშვილობაში ბამბის ჩულქებს რომ იშრობდა ბუხართან!

ნ ი ნ ო — ახლა, გენაცვალე, მაგის ქმარი საზღვარგარეთ მუშაობს და ააგსო ალბათ ოჯახი ამანათებით.

თ ა მ ა რ ი — მერე, ახალგაზრდა ქალი უქმროდ აქ...

ნ ი ნ ო — (აღფრთოვანებულ.) როგორ? რამე გაიგონე თუ?

თ ა მ ა რ ი — არა, მაგრამ... (შემოდის ზურია)

ზ უ რ ი ა — ბიცოლებო, უკაცრავად, მაგრამ სკამები უნდა წავიღო.

ე ლ ე ნ ე — როგორ?

ზ უ რ ი ა — მეზობლებში რაც ვიშოვეთ, გამოვიტანეთ უკვე.

ნ ი ნ ო — ხომ ხედავთ, სკამი კი არა, თითზე გადასახვევი არაფერი დატოვა ლილიმ ოჯახში. ყველაფერი გაყიდა, მაგას ვენაცვ-ლე!

თ ა მ ა რ ი — არ გავდეს ერთბაშად ეხლანდელ შვილებს. მამინაცვალს რომ ასე გადაყვა თან. ნახე, რა ლამაზად იტირა სასაფ-

ლაოზე? ისე, სულრ ცოდვილრ, და დიდი ლრეკო კაცი კი იყრ ბიჭიკო. (შემოდის ლილი)

ლ ი ლ ი — (აღელვებული) ზურია, ჯერ არ მოსულან?

ზ უ რ ი ა — ვინ?

ლ ი ლ ი — ჩემი ასპირანტურის უფროსობა მოვა და ტირილითა და მოთქმით მაინცდამაინც ნუ შეაწუხებთ.

ზ უ რ ი ა — ასპირანტურიდან ხომ გაგრიცხეს, ლილი?

ნ ი ნ ო — გადი, ბიჭო, გარეთ!

ზ უ რ ი ა — არა, მეც რომ არ მიმიღეს ინსტიტუტში?!

(ლილი გადის, ზურია ალბორხლაეს სკამებს)

ნ ი ნ ო — ასპირანტურაში თუ არ აღადგინეს, მტრისას! (შემოდის ნესტორი)

ზ უ რ ი ა — (საიდუმლოდ) ბიძია ნესტორ, ცარცი არა გაქვს, ცარცი?

ნ ე ს ტ ო რ ი — (ქალებს) აბა, იცოდეთ, რომ მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები მყავს დაპატიჟებული სამინისტროდან და არ იყოს კივილ-ტირილი. ყურადღება მიაქციეთ და არ წაამწაროთ ხალხს პურმარილი.

ზ უ რ ი ა — ბიძია ნესტორ, ცარცი არა გაქვს?

ნ ე ს ტ ო რ ი — აქ მალე ძალიან პატივსაცემი ხელმძღვანელი ამხანაგები მოვლენ და აბა თქვენ იცით, როგორ მხიარულად გატარებთ დროს.

ზ უ რ ი ა — ქელეხზე მხიარულება ვინ გაიგონა, ბიძია ნესტორ? რა მაგის პასუხია და ცარცი არა გაქვს?

ნ ე ს ტ ო რ ი — შენ, ბიჭო, შემოჩენილი ხომ არა ხარ?

ზ უ რ ი ა — (საიდუმლოდ) ცარცით თუ არ დანიშნე ზურგზე ამდენი ხალხი, ორჯერ და სამ-სამჯერ დაჯდებიან სუფრაზე, ვიცი მე მაგ, როგორც ხდება!

ნ ე ს ტ ო რ ი — შეიტანე სკამები. (ზურია მიდის, ნესტორი ფიქრობს იხედება) სად არიან, ნეტავ, ამდენ ხანს? (შემოდის ლილი)

ლ ი ლ ი — (ფიქრობს იხედება) სად არიან, ნეტავ, ამდენ ხანს? ჩემი ბედიხ ამბავი რომ ვიცი, სულ არ მოვლენ. ბიძია ნესტორ! (გაიხმობს და საიდუმლოდ ელაპარაკება) ასპირანტურაში ალბათ აღარ აღმადგენენ, ვგრძნობ ამას, იოველი კი თურმე დაუსწრებლად ამთავრებს, თანაც მთავარი. ბუხჰალტერია, ბოლოს-დაბოლოს, ახალგაზრდა კაცისთვის განა ეს საძრახისია, ჯერჯერობით მაინც? რა უნდა თქვას ხალხმა, გარეგნობა აკლია თუ რა? მომავალი წინა აქვს და მე რა ვარ, ბართლა და მართლა, ასეთი? სულ მარტო დავრჩი. (ყოყმანით) ვითომ ძა-

ლიან, ძალიან შეუფერებლები ვართ, ბიძია ნესტორ? (ვადაკრით) ძალიანაც შესაფერისები ვართ და მინდა...

ნ ე ს ტ ო რ ი — კარგი, კარგი, მიეხვედი. დღესვე მოვაწყობ მაგ ამბავს, აქ ხომ მოვა ოიველი? (შემოდის ზურია)

ზ უ რ ი ა — ლილი, ცარცი არა გაქვს?

ნ ე ს ტ ო რ ი — იცოდე, ლილი, ამ ბიჭს მოვკლავ ნამღვილად! არა, იქნება გგონია, რომ ვაზროვნებ, შემშალა ჭკუაზე! (ახედება) სად არიან, ნეტავ, ამდენ ხანს?

ლ ი ლ ი — არც შენი სტუმრები მოდიან, არც ჩემი, ასეთია ჩვენი ოჯახის ბედი! (ყველანი გადიან ზურიას გარდა, ცოტა ხნის შემდეგ შემოდის მთვრალი თორნიკე)

თ ო რ ნ ი კ ე — ზურია, ბიჭიკო ხომ არ დაბრუნებულა?

ზ უ რ ი ა — სად გათავდი, ბიძია, აქ გელოდებიან.

თ ო რ ნ ი კ ე — ვინ ვარ მე, როგორ კაცად მიცნობ?

ზ უ რ ი ა — საწყალი მამაჩემი მასწავლიდა, უფროსებზე ცუდი არ თქვაო.

თ ო რ ნ ი კ ე — ყოჩაღ, ზურია. მე თვითონ გეტყვი: .ავაზაკი ვარ! იცი, რომ შენი ფულიც მე შემომეპამა?

ზ უ რ ი ა — მიეხვედი კი.

თ ო რ ნ ი კ ე — წამოდი, ზურია, შენ უნდა დალიო ჩემი შესანდობარი. (შეყავს ქელეხზე)

ნ ე ს ტ ო რ ი — (ფეხზე დგას) ამ ჭმუნვის სუფრაზე... (გაისმის ფეხბურთის მარში, სამი მამაკაცი დაიხედავს საათზე და სამივენი სასწრაფოდ სუფრიდან იპარებიან, ნესტორი განაგრძობს) ამ ჭმუნვის სუფრაზე კიდევ ერთხელ მინდა დაველიო ჩვენი სპეტაკი, ჩვენი ძვირფასი ბიჭიკოს შესანდობარი!

თ ა მ ა რ ი — (მეზობელს) არ დაგვწყვიტეს ბიჭიკოს დღეგრძელობით!

ნ ე ს ტ ო რ ი — დიდთან დიდი რომ იყო და პატარასთან პატარა და აი, სწორედ ამ ჭმუნვის სუფრაზე მინდა თქვენი სახელითაც დავდო ფიცი, რომ ბიჭიკოს ხსოვნა და სიყვარული მარადჟამს იქნება ჩვენ გულებში ჩახუტებული... ვფიცავ, რომ... (შემოდიან ზურია და თორნიკე) სადა ხარ, თორნიკე, თორმეტ-თორმეტი ჩაის ჭიქაა დალეული.

თ ო რ ნ ი კ ე — ბატონებო, დღეს ბიჭიკოსი კი არა, ჩემი პანაშვიდი იყო, ჩემი დასაფლაეებაა! ავაზაკი ვარ მე. ავაზაკი. მუშაობა მე არ შემიძლია და თქვენ მუქთად ვის აპმეეთ პურს!

ნ ე ს ტ ო რ ი — თორნიკე!

თ ო რ ნ ი კ ე — დავიღალე, ძალიან დავიღალე. დღეს მე ვარ მიცვა-

ლებული, ბიჭიკო ცოცხალია... (იგლეჯს გვერდიდან ბიჭიკოს სურათს)

ზ ურ ი ა — სწორია, ის ყოველთვის ცოცხალი იქნება ჩვენს გულში!

თ ო რ ნ ი კ ე — შენს გულში! ო, ჩემო ბიჭო, ნეტავი მეც თუ მქონდა შენსავით სუფთა გული?

ზ ურ ი ა — იქნება კიდეც გქონდა და არ გახსოვს.

თ ო რ ნ ი კ ე — ჩემი შესანდობარი იყოს!

ნ ე ს ტ ო რ ი — რას ბოდავ, ბიჭო?!

თ ო რ ნ ი კ ე — შენი შესანდობარი იყოს, ნესტორ, (შემოდიან იოველი და ასმათი)

ნ ე ს ტ ო რ ი — (გაბარებული შესძახებს) ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! იოველის შემოსვლაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ბიჭიკოს ოჯახის დროებით მიფერფლილ ბუხარში გაღვივებული ლადარია შემონახული. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს წინაშე დგას ბიჭიკოს საქმის გამგრძობი სამსახურშიც და ბიჭიკოს ოჯახის მომავალი ხელმძღვანელი ჩვენი სასიძო იოველი! (სუფრაზე გამოცოცხლება და მხიარულება) არ დავამადლით, მაგრამ ის ბედნიერი კაცია, რომ ჩვენი ოჯახის კარი გავუღეთ.

ი ო ვ ე ლ ი — (რიხიანად, რაც იოველს არ სჩვევია) შეგიძლიათ ეგ კარი უკანვე მიხუროთ. მე არაფის სასიძო არა ვარ! თქვენს ოჯახში მხოლოდ ერთი წუთით შემოვედი და ისიც უკანასკნელად, შემოვედი, რომ უსინდისო დაგიძახოთ თქვენ, ბატონო ნესტორ!

ნ ე ს ტ ო რ ი — (ყვირის) დაგეტოვეთ ყველამ! (გააცნობიერებს რომ სამსახურში არ არის) ბოდიში... (გადის და გაპყავს იოველი, მიყვება ასმათიც. სცენა ბრუნავს)

ი ო ვ ე ლ ი — სად წაიღეთ ხელმოწერილი ჩეკები? ა? მიპასუხეთ! სახელმწიფო ქონება მიითვისეთ, არა? მიცვალებულის სახელით ქურდობა ჩაიდინეთ! (ყვირის) რას მომჩერებიხართ? საავადმყოფოში წამობრძანდით!

ნ ე ს ტ ო რ ი — წერას აუტანიხარ, ჩემო იოველ, შენ ხომ იცი, რომ ჩემთვის არაფითარი ჩეკი არ მოგიცია და რომ მოგეცა, პირველ რიგში შენ დაგიჭერდნენ. ახლა წადი აქედან!

ი ო ვ ე ლ ი — ახლავე წამოდით სამსახურში და თქვენივე პირით აღიარეთ!

ნ ე ს ტ ო რ ი — (შეკარით) — იოველ! შენ ჩემთვის არაფერი არ მოგიცია და რომ მოგეცა, პირველ რიგში შენ დაგაპატიმრებდნენ, გესმის? (აპირებს გასვლას, აქამდე ჩუმად მდგარი ასმათი გამოეცოდება, ნაბად დაარტყამს ხელს მხარზე. ნესტორი მობრუნდება და ასმა-

ამ მთელი ძალით გაუშლის სილას. ნესტორი რჩება გახევებული, იოველი და ასმათი კი სწრაფად გადიან. ნესტორი გონს მოდის, შედის ოთახში და სცენა ტრიალებს, სადაც სუფრა არეულია, ყაყანია, ერთი წყვილი კი გართულია არშიყობაში)

ქ ა ლ ი — მერე, ჩემი ქმრის არ გეშინიათ?

ვ ა ჟ ი — არა!

ქ ა ლ ი — სიკვდილის არ გეშინიათ?

ვ ა ჟ ი — Я обожаю даже смерть, потому что, она женского рода!

ნ ე ს ტ ო რ ი — მეგობრებო, რას ჩაგიქინდრავთ თავები? ბიჭიკოს სევდა არ უყვარდა, სიცოცხლე უყვარდა, სიმღერა უყვარდა!

მ ი შ ა — ო, სიმღერა ძალზე უყვარდა.

ნ ე ს ტ ო რ ი — მოდით, ბიჭიკოს პატივსაცემად ვიმღეროთ მრავალ-ჟამიერი!

5 კაცი — ვიმღეროთ.

ლ ი ლ ი — ბიძია ნესტორ!

ნ ე ს ტ ო რ ი — ოღონდ დაგუდულად. (იწყება სიმღერა, ოთახში შემოდის სამგზავროდ გამოწყობილი ზურია ცარიელი კალათით. მრავალჟამიერი მას გააოცებს, მაგრამ ჭიქას აავსებს და სადღეგრძელოს ამბობს)

ზ უ რ ი ა — თუ შეიძლება ერთი... (არავინ ყურადღებას არ აქცევს. მრავალჟამიერი გრძელდება და თანდათან უფრო მაღლა იწევს, ზურია უფრო ხმამაღლა მიმართავს) თუ შეიძლება ერთი... მე მინდა... რა გამღერებთ, არ იტყვით?

ნ ე ს ტ ო რ ი — (მოთმინებიდან გამოსული) — ზურია, ახლა კი დამეკარგე აქედან, თორემ...

ზ უ რ ი ა — (აიხედავს მაღლა) — ბიძია ბიჭიკო, შენი შესანდობარი იყოს! მე სოფელში მივდივარ. (არავინ ყურადღებას არ აქცევს, ზურია ხელს ჩაიქნევს და გადის. მრავალჟამიერი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. უცებ იღება კარი და შემოდის ბიჭიკო იოველის, ასმათისა და ზურიას თანხლებით. სიმღერა ერთბაშად წყდება და ყველა ქეიფდება იმ მდგომარეობაში, როგორშიაც ბიჭიკომ შემოუსწრო. პაუზა. უცებ მთერალი სამხედრო პირი სევასტი წამოხტება და რევოლვერს ამოიძრობს)

ს ე ვ ა ს ტ ი — ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! (ისერის ჭერში რევოლვერს. სროლის ხმაზე გონს მოდიან სხვებიც)

ლ ი ლ ი — (ტრაგიკულად) — რას იტყვის ხალხი?!

სიმონ მთვარაძე

ჩაფლილი ქორწილი

დრამა 4 მოქმედებად
8 სურათად

მოკმედნი პირნი

ფ ი რ ა ნ ი — მეცხვარეობის ფერმის გამგე.
მ თ ვ ა რ ი ს ა — ამისი სატრფო.
ნ ე ს ტ ა ნ ი — ფირანის დედა.
ბ ბ რ ი ა — მთვარისას მამა.
დ ა რ ო — მთვარისას დედა.
ქ ი ტ ი — ფირანის ბიძა.
ა ნ ი კ ო — მთვარისას ბიძაშვილი.
რ ო ს ტ ო მ ი — რაიკომის მდივანი.
შ ა ნ შ ე — კომუნ. განყ. ინჟინერი.
ი ა ს ო ნ ი — მოხუცი მწყემსი.
გ ა ბ ო — მწყემსი ბიჭი.
ი ა ს ო ნ ი — მოხუცი მწყემსი.
თ ა დ ო
ლ ე ე ა ნ ი } მწყემსები
დ ა თ ი ა
პიონერი — პიონერ-ორგანიზაციის წარმომადგენელი.
ახალგაზრდა — კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი.
ფერმის გამგე
პირველი მწყემსი
მეორე მწყემსი } სხვა ფერმის მუშაკნი.
მასაა მწყემსები, ახალგაზრდობა და ხალხი.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

წინ აყუდებულა მოზრდილი მწყანე გორაკი, რომელიც ძირთან შეზნექილია და კოლოსოდინა მოიდანს ქვნის. თონზე მოჩანს ეკალასორის მწვერვალები. ელავს, ქუხს. გრიგალი გუგუნებს. შხაპუნა წვიმა ასხამს, შემოდის ნაბადში გახვეული ი ა ს ო ნ ი, გარემოს ათვალიერებს.

ი ა ს ო ნ ი — ბინისათვის ამაზე უკეთესი ადგილი არსად იქნება! (მაღლა ადის, ქუდს იქნევს, ყვირის) ეჰეი! არ გესმით? აქ მყუდროა, მყუდროოო!.. ფუი! რა ამინდი დადგა, ლამის ნიაღვრებმა და ქარიშხალმა წაგველეკოს! (ძლიერად იცქცქებს. გარეთ უცებ ატყდება ცხვრის ბღავილი, ძაღლების ყეფა, მწყემსების შეძახილები)

ყ ი ქ ი ნ ა გ ა რ ე თ — მოუარე! მოუარე, არ გაუშვიაო!

ი ა ს ო ნ ი — (უფრო მაღლა არბის) რალაც საშინელი ხიფათი დაგვატყდა (ხმაური ძლიერდება)

ყ ი ქ ი ნ ა გ ა რ ე დ ა ნ — აქეთ! აქეთ!

— ცხენებს მოახტით, ფარა კლდეზე გადაიჩეხება!

— მიპყე. წინ უყელე! (სიღრმეში ლანდებივით გადარბიან მწყემსები. დიოქცქებს)

ი ა ს ო ნ ი — კიდევ მეხი! ტიალმა სეტყვასავით დაგვაყარა!

გ ა ბ ო — (შემორბის) იასონ ძია! (შეკარდება, ზედ ეკერის)

ი ა ს ო ნ ი — შეგეშინდა, ლაჩარო? წელში გაიმართე!

გ ა ბ ო — დედამიწა ირყევა, ცა თავზე გვენგრევა, იასონ ძია!

ი ა ს ო ნ ი — კი არ ინგრევა, ცა გვიმღერის, გვაფხიზლებს!

ყიფინი } — მიჰყე, გზა შეუკარი!
გარედან } — მიჰყე! მიჰყე! (ელვა-ქუხილი)

იასონი — ისევ ყიფინა, ისევ განგაში! ხომ არ იცი, რა მოხდა იქ? (ძლიერად დაიჭექს)

გაბო — (შეკიცელებს) ვაპმე!

იასონი — ვაპმეს გაჩვენებ, თუ გამოგიშხუელე ეს კომბალი! შელაწირაკო, რატომ არ მეტყვი, რა მოხდა იქ?

გაბო — მთელი ფარა მეხმა დააფრთხო, ფირანი ცხენს მოახტა და თავ-პირის მტვრევით დაედევნა, მწყემსებიც თან გაიყოლა!

იასონი — ლაჩარო! მერე და ისინიც „ვაპმეს“ გაპკიოდნენ?

გაბო — „ვაპმეს“ კი არა, კაცს ეგონებოდა, სადღაც სალხინო გამოუჩნდათ და იქ მიუხარიათო!

იასონი — შენ კი აქ კრიჭა გეკერის! ერთი-ორჯერ გადაიხარხარა ცამ და ქორფა წიწილასავით იბუზები! ამას ეძახი ვაფკაცობას? (ცვლავ დაიჭექს)

გაბო — იასონ ძია, აბა, ამისთანაში რა ვაფკაცობა შეიძლება? ლამის კაცს სული ამოგხდეს!

იასონი — რაო? რაო? კაცს მეხზე წინ შიში რომ ჰკლავს, ეს იცი თუ არა? მე სამოცი წელიწადია თავ-პირში მიკაკუნებს და ვერაფერი დამაკლო!

გაბო — ჰმ! მე სამოცი წუთიც მიჭირს...

იასონი — აბა, რა გეგონა, ქაჯან! „დედა-ენაში“ ნახე დახატული მწყემსი, რომელსაც კომბალი მხარზე გაუდვია და ხალიჩასავით აკრელებულ ველზე სალამურის დაკვრით წინ უძღვის ცხვარს, თანაც ფრინველთა ჭიკჭიკი, წყაროს წყალთა რაკრაკი ბანს აძლევენ და მორჩა. — ასეთი ბედნიერი ადამიანი სხვა აღარავინ გიგონა! ხომ ასეა?

გაბო — ჰო, ეგეც მინახავს!

იასონი — მაშ აი, ახლა ესეც ნახე და კარგად დაიხსომე: ცის სიცილი ჭექა-ქუხილია, ხოლო მისი ალერსი — ნიაღვარი და სეპუყვა, ხან კი შეხიც! რკინად იქეც, თორემ სადმე ჯაგის ძირში ამოვხდება სული!

გაბო — მეც კი მინდა, მაგრამ როცა ცა და დედამიწა ირყევა...

იასონი — კიდევ იმას ამბობს! ცას მარტო შენთვის სადა სცალიან, რომ უთუოდ შენ ჩაგცხოს! ის მთელი ქვეყნისათვის რუხრუხებს!

გაბო — ეგ კი... ეგ მართლაც რომ აგრეა!

იასონი — არა, ქაჯან, შენ ჭკვაზე ვერ მოხვალ, უსაქმურობა ყველა სიბილწის მშობელია! (ცვლავ ჭექა-ქუხილი) ჰო, აი, რა-

ასეთ დროს საქონელთან სჯობია ყოფნა, მხოლოდ შორიახლო უნდა დადგე, თუ დარტყმაა, საქონელს დაარტყამს, შენ აგცდება! ჰოდა, მოდი ახლოს...

გ ა ბ ო — აჰა, ახლოს ვარ, იასონ ძია!

ი ა ს ო ნ ი — აგერ ხედავ? ჩვენ დაგვეძებენ! გაიარე და მეურმეებს უთხარი: ურმები ჩემსკენ მოაგორონ, დაბარგული ცხენი და ჯორიც აქ მორეკონ, შემდეგ კი...

გ ა ბ ო — ჯერ ცოტა გადაიღოს, შენთან ვიქნები, იასონ ძია...

ი ა ს ო ნ ი — საქონელთან ჯობია-მეთქი... შემდეგ კი სულ ირბენ, ფირანსაც ნახავ, მწყემსებსაც, და გადასცემ რომ ფერმის ბინა ამაღამ აქ იქნება, აქ გაეათევთ!

გ ა ბ ო —იასონ ძია...

ი ა ს ო ნ ი — გასწი-მეთქი! საქმეზე იფიქრე და ყველაფერი დაგავიწყდება! ნაბადი თავზე წამოიხურე — ელვა გაქრება, ქუხილი დაყრუვდება! აბა, ისევ აქა დგეხარ? ახლა კი მართლაც მოგიხდება ეს კომბალი...

გ ა ბ ო — ჰო და ჰო! რა მაქვს სანაღელო? თუკი ისინი დაჭრიან, მე რაღა ვარ? მიეფრინაე, იასონ ძია! (ნაბადს თავზე წამოიხურავს, მირბის. ჭექა-ქუხილი ხანდაზმით, ყრუდ ისმის. წვიმის ხმაურიც კლებულობს)

ი ა ს ო ნ ი — (ხან მარჯვნივ გახედავს სივრცეს, ხან მარცხნივ) ხუთი ფარა ჩანს, ღამის გასათევ ადგილებზე აბორიალებენ. მეექვსე რაღა იქნა? ჰო, აგერ ისიც! კარგია! ეს ბინა ყველა ფარასთან მარჯვედ იქნება! (გარეთ გასძახის) ცოტა ზემოთ მოატარე ურემი, ბიჭო, მანდ დახრამულია! ეგრე! მარჯვედ, ცოცხლად! საცაა მზე ჩავა, გამოუშვი! მანდვე ღამოუშვი კამეჩები! ჯორებს და ცხენებსაც მოხადეთ ბარგი-ბარხანა, აქეთ მოყარეთ!

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ { — ახლავე, იასონ ძია!
— ხიი, კამეჩო, უკან დაიწი, შე ვერანავ!

ი ა ს ო ნ ი — მოვიდეს! მოვიდეს, კიდევ დაახეინე! ურმის ჭალებს ნაბადს გამოვდებთ და ბინას თავშესაფარი ექნება, ცოტა კიდევ! (გამოჩნდება ურმის უკანა ნაწილი) ეგრე! ახლა კი...

თ ა დ ო — (შემოდის) იასონ ძია, აბა, ცეცხლი სად დავანთოთ?

ი ა ს ო ნ ი — აი, აქ! ჯერ ნაბდის კალთა მომაწოდე, საფარი გავაკეთოთ! ხოო, კარგია, ეყოფა! ახლა კი შეშა და ჩხვრიმალი, ჩქარა!

თ ე დ ო — ბიჭები ისე დაყივდნენ, ანთებული საკირეც ვეღარ გააშრობთ!

ლ ე ვ ა ნ ი — (შემოდის) საქონელი მოსვენებით იქნება, ბარგი-ბარხანა ურემთან მოვზიდე...

ი ა ს ო ნ ი — მე ცეცხლს დავანთებ, თქვენ კი ბინა მოაწყეთ, სასმელ-საჭმელი ამოიღეთ, ბიჭებს საგზალი უნდა დავურიგოთ!

(მოძრაობა. ყველაფერი სწრაფად კეთდება)

თ ა დ ო — იასონ ძია, ნეტავი იქ რა მოხდა!

ი ა ს ო ნ ი — ყიყინა დიდი მესმოდა, ზარალი ხომ არ გვაქვს, ბიჭო?

თ ა დ ო — იქნებოდა, მაგრამ ეგ დალოცვილი ჩვენი გამგე მართლაც ლომგულია! ზედ კლდის პირზე ცხენდაცხენ ვაცს რქაში მისწვდა, მიწას მოსწყვიტა და ჰაერში მოთრეულს პირი აცვლევინა! ამასობაში მწყემსებმაც ჯაჭვი შეჰკრეს, მიხროვილი ფარა საკუთარი მკერდით შეაჩერეს და მინდვრებისკენ აქნევინეს პირი! ერთი შიშაქიც არ დაღუპულა!

ი ა ს ო ნ ი — თქმა არ უნდა: ხიფათში შლეგია, ლხინში კი ბრძენი!

ლ ე ვ ა ნ ი — იცის, საქმის ძალა ესმის და იმიტომ! ამალამ, მგონია, მშვიდად გავათენებთ — ქუხილი შეწყდა, წვიმა გადიღო, ქარიც მინელდა! იფ. რა ცისარტყელა გაეკრა ცას, აბა, გაჰხედეთ!

ი ა ს ო ნ ი — მაშ მზე ჯერ არ ჩასულა? მე კი მეგონა დაღამდა-მეთქი! მოიცათ, ეს რა ხმა ისმის?

ლ ე ვ ა ნ ი — მგონია მღერიან! ფირანი იქნება...

თ ა დ ო — (მაღლა არბის) ნამდვილად ის არის! აქეთ მოუძღვის მწყემსებს! (სიმღერა სრული ხმით)

„შენი ჭირიმე ჭირშია,
კარგი ხარ გასაჭირშია!
ვაჟკაციც შეეფარება
შენი ულვაშის ჩრდილშია!"

ი ა ს ო ნ ი — ქუდი მოიხადე და იქნიე, ამიშნე მოკლეზე წამოვიდნენ!

თ ა დ ო — (ქუდს იქნევს) აქეთ! აქეთ, ბიჭებო!.. მოვიდნენ! (ჩამორბის)

ფ ი რ ა ნ ი — (გამოჩნდება გორაკის თხემზე, აკეცილი ნაბადი და მათრახი ხელში უჭირავს. მოსდევენ მწყემსები.— ნაბდებში გახვეულნი და კომბლებით ხელში. გაბო გვერდში უდგას) ძმებო! ღამის გასათევად იასონს ბინა მშვენიერ ადგილას მოუწყვია, ვეწვიოთ, ვინც გზას ან ბილიკს დაუწყებს ძებნას, ქალაჩუნას დავარქმევ! მომყეთ!

(გადმოხტება. სხვებიც მოპყვებიან. გაბო მაღლა რჩება)

ფ ი რ ა ნ ი — თვალები დახუჭე და გადმოეშვი, არ შემარცხვინო, გაბრიელ!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — გადმოხტი, არ ჩამოხვიდე!
— გადმოხტი, თორემ მათრახით აგაჭრელებ!

გ ა ბ ო — ამ სიმაღლიდან ხომ ცხვირ-პირი ჩავიმტვრიე?!

ფ ი რ ა ნ ი — სირცხვილს ცხვირ-პირის ჩამტვრევა გერჩიოს, გაბრიელ!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — მიწა რბილია!
— ორბის ფრთა გამოისხი და გაგვახარე, გაბრიელ!

გ ა ბ ო — (ცოტა ქვეით ჩამოდის, თან ბუტბუტებს) ორბი, ჰო! ორბი! აი, აქედან კიდევ მესმის! (გადმოხტება) ბიჭი ვარ, თუ არა?

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — მაგ სიმაღლიდან გოგოც გადმოხტება!
— ჯაბანი ყოფილხარ, მწყემსად ვერ ივარგებ!

ფ ი რ ა ნ ი — ივარგებს! ჩემმა მეზობელმა ჩამაბარა — შენთან მინდა გაიზარდოსო! ჯერ ნაჩვარი წელიწადიც არ არის გასული, მალე შევასხამ ქორის ფრთებს! რაც ხანს იცნობთ, ხომ იქცა ბინის მერცხლად?

თ ა დ ო — მე ვამტკიცებ, რომ არა! გული ჯაბანი აქვს!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — ცოტა წაიგოგოვებს!
— ცოტა წაიყბედებს!

გ ა ბ ო — ჰო, მაშ! ჯაბანი, გოგო, ყბედი! თქვენ გინდათ მატიროთ, მაგრამ გამგესთან არ გამოგივათ. ძალიანი მაქვს! (საერთო სიცილ-ხარხარი)

ი ა ს ო ნ ი — ოჰ, შენ გენაცვალე, ეაქკაცო! ხალისი გულით დაგაქვს, სადაც მიხვალ, ყველგან ხალისი და სიხარული ჩამოდგება ხოლმე!

ფ ი რ ა ნ ი — იასონ, საქმეს ხალისი ამშვენებს, მაგრამ ეგ კი არ მომწონს, რომ საქვეყნოდ მაქებ!

ი ა ს ო ნ — მე ისა ვთქვი, რაც ნამდვილად არის, ქება ვინ ეშმაკია?

ფ ი რ ა ნ ი — კმარა, გვეყოფა!.. გაბრიელ, ჩემთან!

გ ა ბ ო — (გამოეპიმეება) ვარ და ვიქნები, უფროსო, მიბრძანე!

ფ ი რ ა ნ ი — ჩემს ცხენს უნაგირი მოხადე. აჰა, ნაბადი გადახურე და ცოტა ხანს ატარე, ოფლი შეაშრეს! (ნაბადს მიუგდებს)

გ ა ბ ო — მიეფრინავ, უფროსო! (გარბის)

ფ ი რ ა ნ ი — ძალიან ხიფათს გადავრჩით! ახლა კი შეგიძლია გულდადინჯებით ამაღამინდელ ღამეზე ვიფიქროთ!

ი ა ს ო ნ ი — რაღა ყველა ხიფათი მაგ რჩეულ ფარას ემართება?

ფ ი რ ა ნ ი — ალბათ იმიტომ, რომ ავი თვალი აქვს აყოლილი, თქვენ რას იტყვით, ბიჭებო?..

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — შემთხვევაა, რაა გაიგებ?
— კარგად მოვლილი ფარაა და მოძრავია, დაუყენებელი!

ფ ი რ ა ნ ი — მაშ ეგრეა საქმე? მე კი მეგონა, მართლა ვაქცინები იყავით და მოურიდებლად იტყოდით!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — ბრიგადას კაცი აკლია!
— გზაში ერთი კაცი მთელ ლაშქრად ღირს!

ფ ი რ ა ნ ი — ჰოდა, თქვით! ენა სასაზე რად გეკვრით? ბრიგადა რომ მთელი თვე უთავოდ არის დარჩენილი. ეს არაფერია?

ი ა ს ო ნ ი — ნეტავი დათია ავად ხომ არ გახდა?

ლ ე ვ ა ნ ი — ავად არა ჯანდაბა! საკუთარ ჭერქვეშ ვერც სეტყვა დაგკრავს, ვერც მეხი!

თ ა დ ო — რბილ ლოგინში იგორავე. შენს ნებაზე დაწექი, შენს ნებაზე ადექი!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — ზედაც თბილი კერძი და საამური ღვინო!
— დარში ჩრდილი არ გაკლდება, ავდარში კი საფარი!

ფ ი რ ა ნ ი — კმარა! თქვენ ყველაფერი თქვით! საერთო საქმე მიაგდო და სახლში ყოფნა გაუტკბა! საზამთრო ფარეხები მწყემსისათვის იგივე სახლი და კარია. იქ ჩამობრძანდება და მოგვიკითხავს — ხომ კარგად იმგზავრეთო!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — ჭირში გაგვექცა. ლხინში თამადობას მოისურვებს!

ფ ი რ ა ნ ი — მერე და ვისი ბრალია? მე არ ვუშვებდი!

ი ა ს ო ნ ი — ჩემი ბრალია, ათი დღით წავალო და თვეზე მეტი გაიყვანა!

ლ ე ვ ა ნ ი — ის უნდა ამოსულიყო და ახლა მე წავსულიყავი! უსინდისო, არაფრად ჩამაგდო!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — იქნება ავად გახდა, ჯერ გავიგოთ!
— რაღაცას ამბობდა, ჭერი თავზე მენგრევაო!

ფ ი რ ა ნ ი — ასე რომ იყოს, განა ჩვენ არაფერი გვტკივა და გვაწუხებს? აი, ამ უბეში ისეთი სიხმილი მიდევს, რომელიც ყოველ წუთს მწვავს და მდაგავს, მაგრამ მაინც აქა ვარ, რადგან ღორად ყოფნას კაცური კაცობა მირჩევნია!.. ნუ! ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე. დათიას კისერიმც უტეხია, ჩვენს საქმეს მივხედოთ, საცაა ბინდი ერთმანეთს გაგვყრის!

ვწუემსები { — აბა, გაგვატანეთ, თუ გვატანთ!
— ბიჭები მშვერები იხოცებიან!

ფირანი — იასონ, ექვსივე ფარადან თითო კაცი გამოვიყოლე, ყველას შვიდ-შვიდი კაცის საგზალი გაატანე, მესამე ფარას კი ექვსი კაცისა მიეცი!..

გაბო — (შემოვარდება) მოველ, უფროსო!

ფირანი — ახალი ხომ არაფერია, ბიჭო, რამ დაგაფეთა?

გაბო — აგერ, სწორედ ჩვენს პირდაპირ, მანქანა გაჩერდა და ვიღაცეები გადმოხტნენ..

ფირანი — ბიჭოს! რატომ აქამდის ვერ დავინახეთ? ნამდვილად ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები იქნებიან. გზაში შეხვედრას მოგიწყობთ, ფარეხებამდე ჩაგაცილებთო! (ქუდს მოიგლეჯს) ძმებო, ჩვენს ღვიძლებს და მახლობლებს „ვაშას" ძახილით შეეგებოთ!

ყველა — (ქუდებს იქნევენ, კომბლებს ატრიალებენ) ვაშა, ვაშაა!

გაბო — არა, რაღაც გეშლება, უფროსო! ერთი დარჩა ძირს, სხვები კი ისევ დასხდნენ მანქანაზე. აგერ დაიძრა!

ფირანი — მოიცათ, ბიჭებო! სწორედ ამბობს, იმ ერთს მისცეს გზა, გადმოსვეს! ვიღაცაა ჩვენსკენ მოდის!

თადო — შეიძლება მარტო თავმჯდომარე ამოვიდა!

ვწუემსები { — თავმჯდომარე ხურჯინს არ აიკიდებდა!
— არა, სხვა არის, მაგრამ პირდაპირ ჩვენსკენ კი მოდის.

ფირანი — მოიცათ! ბინდი ჩამოწვა და კარგად ვერ ვარჩევ!.. ჰმ! აბა, ყური დაუგდეთ, გადაუკრავს, სიმღერა წამოიწყო!

გაბო — ჰო, ნამდვილად მღერის, უფროსო!

ფირანი — სსუ! ყური დავუგდოთ, მოახლოვდა! (სიმღერა მკაფიოდ)

სულ ასე ვარ, ჩემი დღენი ასე გამიტარებია:
სხვის სასახლე მძულებია, ჩემი ქოხი მყვარებია!

(შემოდის ხურჯინაკიდებული დათია)

დათია — ჰოდა, უგრე!.. გამარჯობათ, ძმებო! გამარჯობათ-მეთქი, რატომ ხმას არა მცემთ?

რამოდენიმე — გაგიმარჯოს!

დათია — ნუ, ძმებო, შუბლს ნუ იკრავთ! აი, შესარიგებელი თან წამოვიღე (ხურჯინს მოიხსნის)

ლევანი — უსირცხვილო! სახეზე როგორღა ჰიყურებ?

დათია — ეგ მერე ვთქვათ, ლევან! გზაში ცოტაოდენი გადავკარით, თქვენ გენაცვალეთ, ხასიათს ნუ წამიხდენთ! რა მოხდა ახლა? ცოტა, სულ აი, ერთი ციდა დავიგვიანე!

ლ ე ვ ა ნ ი — კი არ დაიგვიანე, განგებ აგვარიდე თავი, რომ გზაში არ გეწვალა!

დ ა თ ი ა — ხდება ხოლმე! ხანდახან სრულიად საღსალამათი კაციც ანაზდად ქრება, რა ვუყოთ ახლა? მეც აი, კინაღამ მთელი კვირის ტანჯვა ავიკიდე, გელოდეთ, გელოდეთ და რაკი აღარ ჩამოიარეთ, ავდექი და იქ მოვდიოდი! კიდევ კარგი, მანქანიდან ჩვენი ცხვარი და ბინა ვიცანი! რომ გაგცდენოდით. ამოდენა გზაზე ტყუილად უნდა მეხეტიალნა!..

ი ა ს ო ნ ი — ბიჭო, დათი! ჩვენთან რომ ყოფილიყავი, ტყუილი წვალება არ გამოგივიდოდა, რატომ ამაზე არაფერს ამბობ?

დ ა თ ი ა — მაგაზე? ჰოდა, მაგაზე... იასონ, თქვენთან რომ ვყოფილიყავი, იქ ველარ ვიქნებოდი, სადაც ვიყავი!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — რაო?

დ ა თ ი ა — ოჰო-ჰო! რა ძალიან გაიკვირვეს! ბოდიშს ვიხდი, ახლა რაღა ვთქვა?!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — ბოდიში დაკეცე და ჯიბეში შეინახე, ურცხვი! — შენი გასაკეთებელი სხვამ რომ აკეთა, ბოდიშით ანაზღაურდება? უნამუსო!

ი ა ს ო ნ ი — გზაში ღალატი - შეიძლება? ცხრა დღეა ისე მოვდივართ, მუხლი არ ჩაგვიკეცია და თვალი არ მოგვიხუჭია! აი, რამ გააცეცხლა ეს ბიჭები!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — მართალია, სწორია!

დ ა თ ი ა — (აჯავრებს) „მართალია, სწორია!“ მერე და რა მოხდა? ვითომ ავად ვიყავი...

ი ა ს ო ნ ი — არ იყავი და ამიტომ გთვლიან დამნაშავედ!

დ ა თ ი ა — ჩამთვალონ! აქ მირჩევნია ასეთი ვიყო, ვიდრე იქ!

ყ ვ ე ლ ა — რაო?

დ ა თ ი ა — ჰმ! კიდევ რაო! კიდევ გაკვირვება! ჩემს სახლს საყვავე ჰქონდა ჩატეხილი, გამოვუცვალე! ვენახს უჭირდა — მოვრწყე! ბოსტანში გვალვას გაეჭკნო — ისიც გამოვაცოცხლე! აი, რამ დამაგვიანა!

ლ ე ვ ა ნ ი — შეგირცხვეს ნამუსი, აჰა, მარტო შენა გაქვს სახლი და კარი?

ი ა ს ო ნ ი — ხალხის ნდობა უკან მიაგდე და ჯერ შენს სახლს, შენს ვენახს და ბოსტანს სდიე?

დ ა თ ი ა — (უცებ გაცეცხლდება) ვდიე, ეგრე მინდოდა! იმ სახლში ჩემი სიყვარული გაფურჩქნილა, იმ ვენახის მოსავალი ნამდვილად მე მომალხენს, ის ბოსტნეულიც ნამდვილად ჩემს

სიკეთეს მოხმარდება! აქ კი როდის რა მერგება, არ ვიცი! ახლა რა გინდათ?

ფ ი რ ა ნ ი — (თავისთვის) აი, სად მარხია ძაღლის თავი!

ლ ე ვ ა ნ ი — ბრიყვო, შენც ხომ ხარ კოლმეურნეობის წევრი, როდის რა გერგება, რატომ არ იცი?

დ ა თ ი ა — იმიტომ, რომ ჩემს ნებაზე არაფერია და არც ჩინ-მედლებისათვის ვიბრძვი, რომ თავგადაკლული ვიყო! აჰა, ხომ მათქმევინეთ ყველაფერი!

ლ ე ვ ა ნ ი — ისევ ჩინ-მედლები შოიგონა! დაძველდა, სხვა რამე თქვი!

დ ა თ ი ა — დაძველდა, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის, არც გამოვა! ზოგიერთი, რაკი გამგეს დაარქმევენ, მოიგონებს ახალ ჯიშებს, რომ სხვისი ოფლით მედლები დაიკიდოს!..

ფ ი რ ა ნ ი — (ჩქით) ამას ჩემზე ამბობს, მე ვარ ასეთი...

ვ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— ახალი ჯიში კოლმეურნეობას რომ წინ წასწევს, ეს არაფერია?!
— თუ გაგვიმართლდა, ყველას გველის სახელი და ჯილდოები!

დ ა თ ი ა — ბრიყვებო! სულელებო! გამგე ვისაც ჰქვია, ამ საქმის მოთავედ ის ითვლება და ლომის კერძსაც იმას მიართმევენ. ხელქვეითებს კი ისეთ ნასუფრალს მიუყრიან, სათქმელადაც არ ეღირება! ჯერ არავის სმენია, რომ რაც უნდა დიდი საქმე გაკეთდეს, ყველა მონაწილე ერთნაირად დაეჯილდოებინოთ! ნამდვილად საქმის გამკეთებელი ის არის, ვინც შაე სამუშაოს ასრულებს და ის ყოველთვის შავადვე რჩება!

ვ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— სხვანაირად ჭიკჭიკებს, სოფელში ხომ არავინ შეგასხა ფრთები?
— შორს მისტოპავ, დათი!

დ ა თ ი ა — ეგრე იყოს, თქვენ გენაცვალეთ, ეგრე! დიდი და საქვეყნო მე არაფერი მინდა, ხოლო ვისაც უნდა, იმას კისერიმც უტეხია! მე ქვევრში ღვინო ნუ დამელევა, ბეღელში პური. ჯიბეში ფული და სხვებმა, გნებავთ, ათი ორდენი დაიკიდონ, რა მენაღვლება?

ფ ი რ ა ნ ი — (უცებ წინ წამოდგება) მეგობრებო! რაც თქვა, ყველაფერი ჩემზე თქვა! მე ვარ თავგადაკლული, რადგან სხვა თუ არაფერი გამოდის, მე მინდა რომ ჩინ-მედლები მაინც დავიკიდო! ორ წელიწადზე მეტია, თქვენს გამგედ ვითვლები და მარტო ამას ვერ ვურიგდები! კმარა, ყველაფერს ამას ბოლო უნდა მოეღოს!

მწყემსები — თუ არ ეუნდიეარ, მოგვშორდეს!

ფირანი — ძმებო! ეჩთხელ კიდეე გიცხადებთ: ჩვენ ცოცხალ არსებებთან გვაქვს საქმე და ერთი წუთითაც არ გაენებდება თავი, ამან კი მთელი თვე მიაგდო!

ყველა — არ უნდა ეპატიოს!

ფირანი — წელან ცხვარი დაფრთხა და ბევრი თქვენგანი, ხოლო მე ჩემი ცხენით, კინაღამ უფსკრულში გადავცვიედით, კინაღამ ყველა სიკვდილს წაეკიდენით! პატივცემულ დათიას უნდა მოეხსენებოდეს, რომ მკვდრებს არ აჯილდოებენ! აი, როგორ ეიბრძვით ჩინ-მედლებისათვის!

დათია — აბა, რა ეიცი, ხალხი კი სულ სხვას ამბობს! შარშან რომ მორეევში გადავარდა, სოფელი გადაარჩინა და ცხვარს გზა მისცა, ისიც კი მოსაჩვენებლად იყო, მაგრამ არ დაუფასეს. ორდენი არ დაჰკიდესო!

მწყემსები { — ბოდავ! ის ნამდვილი ვაჟკაცობა იყო!
— შენ მაშინ ჯაჭვსაც არ წაატანე ხელი, რომ ხეები ამოგვეყარა!

ფირანი — მოიცათ, მეგობრებო, დაე, თქვას! ისევ ამის უბედობა გავსინჯოთ! ამან თუ საყვავე გამოუცვალა, მე ახალ სახლს ვიშენებ, მაგრამ ყველაფერი მოხუც დედას მივანდე, მე კი ხალხის დოვლათს დარაჯად ვუდგევარ, რადგან მართლაც მინდა თავი ვისახელო, მხოლოდ არა ღორობით, არამედ კაცურ კაცობით!

იასონი — შენ გენაცვალე, შვილო, სწორედ ეგრეა!

ლევანი — შენი ჭირიმე, ფირან, ყველაფერი მენიშნა! ასეთი ავყია ნამდვილად მოსახსნელია და გასაგდები!

დათია — ვერც მომხსნით და ვერც გამაგდებთ, მე გამგეობამ დამნიშნა და მანვე უნდა მომთხოვოს პასუხი, თუკი რამე დავაშავე!

მწყემსები { — ნათესავების იმედზე ხარ?
მოგთხოვენ კიდეც, რაკი ჩვენ აღარ მიგიკარებთ.

დათია — მომთხოვონ! იმაზე მეტს ხომ ვერაფერს მომისჯიან, რომ ჩემს სატრფოს სხვაზე დაუპირონ გათხოვება, ვიღაც ინჟინერი ოჯახში მეგობრად გაიხადონ, რომ შემდეგ ნათესავადაც მოიკიდონ... ყველა თავისი საქციელით დაისჯება... ყველა...

ფირანი — (უცებ გადახტება, ყელში ეცემა) სტყუი! დაგახრჩობ!

დათია — ხელი მიშვი! სიმართლის მთქმელს სულ ახრჩობენ, მაგრამ მაინც ვერ დაახრჩვეს!

ფ ი რ ა ნ ი — მაგ ნესტარს ამოგგლეჯ, რომ მოვისვენო!

გ ა ბ ო — უპმე! ნეტავ ისე დასცეს, რომ ვეღარ ადგეს!

ი ა ს ო ნ ი — (აშეელებს) ფირან, ხვალ სოფელში ჩავალთ და ყველაფერი ნათელი გახდება! ამოდენა საქმე გაბარია, ჯერ ამაზე იფიქრე!

ფ ი რ ა ნ ი — (ხელს უშვებს, უცებ მოეშვება) მაპატიეთ! გულს რომ ცეცხლი წაეკიდება, გონება ძალას ჰკარგავს! ჰო, აი რა: ვიდრე ამის კაიკაცობა აი ამ მათრახის ტარივით არ გაშიშვლდება, ისევ ისე ვიყვნეთ, როგორც ვყოფილვართ! დათი, დაიხსომე: მტრობა მრწამს, მაგრამ წუნკლობა კი არა!.. იასონ, გაატანე ყველას საგზალი! (მოძრაობა. მწყემსები რიგრიგობით გარბიან) ფხიზლად იყავით!

დ ა თ ი ა — ხურჯინს შენ განდობ, იასონ! (ყველა გადის, გარდა გაბოსი, იასონისა და მეურმეებისა)

ფ ი რ ა ნ ი — ინჟინერი დაიახლოვესო, ვაპმე! (მოწყვეტით დაეცემა)

ი ა ს ო ნ ი — აბა, თქვენც მიწექით, ბიჭებო, დაიძინეთ, მერე მე შემცვლით! გაბო, შენ რაღას უყურებ? (მწყემსები მიწვებიან)

გ ა ბ ო — მეც ვიძინებ, იასონ ძია! (მიწვება)

ი ა ს ო ნ ი — (ერთ ხანს მოკრძალებით შეჰყურებს) ფირან, არ გესმის, შვილო?

ფ ი რ ა ნ ი — (შეხტება) ჰა! შენ ხარ, იასონ!

ი ა ს ო ნ ი — ჭკუა ბუნების მადლია, ასე ადვილად ნუ შემოსწყრები, შვილო!..

ფ ი რ ა ნ ი — იასონ! მე მოვეშვი, ასე მგონია წელში გამწყვიტეს-მეთქი...

ი ა ს ო ნ ი — გამაგრდი, შენისთანა ვაჟკაცს ღვარძლი ვერ მოერევა!

ფ ი რ ა ნ ი — ოჰ, იასონ! ნეტავი კრინტიც არ დამეძრა! ჩვენ ხომ არაფერი წაგვიხდენია? კისერიმც უტეხია დათიას, თუ დაიგვიანა!

ი ა ს ო ნ ი — ხანდახან თქმაც კარგია, ზოგიერთი მაინც მეტისმეტად აიშვებს ლაგამს!

ფ ი რ ა ნ ი — ვიღაც ინჟინერი დაიმეგობრესო, გესმის, იასონ?

ი ა ს ო ნ ი — ჭორია, მაგას ვერავინ გაგიბედავს!

ფ ი რ ა ნ ი — ჰო, მაგრამ აი, ის სახმილი, წეღან რომ ვახსენე—მთვარისას წერილია! (ამოიღებს) აქ ისეთ რამეს მწერს, ზოგი რამ მენიშნა, დავიჯერე! ლამის მკერდი გასკდეს, ლამის ვიტირო, იასონ!

ი ა ს ო ნ ი — შენი ბრალიც არის, შვილო! რამდენჯერ გითხარი: წერილი წვეთსაც ვერ იტევს, მოყვარული გული კი ზღვა არის,

ჩადი, ნახე-მეთქი! ხუთი თვე ისე გაიყვანე, ერთხელაც არ ეჩვენე!

ფ ი რ ა ნ ი — აი, ბინაზე როგორი ხალხი გვყოლია. მაგათ ხელში საქმეს თავი განებდება?

ი ა ს ო ნ ი — გამაგრდი, ახლა მაინც აღარაფერი გაქვს სანაღვლო, ახლოს ვართ, ხვალ ჩვენს რაიონში შევდგამთ ფეხს! შენ წინ წადი, ნახე, ელაპარაკე!

ფ ი რ ა ნ ი — ეგ... ეგ როგორაო? მართლაც და რაღას ვუყურო? მეტის ატანა აღარ შემიძლია...

ი ა ს ო ნ ი — ნუღარ ყოყმანობ, შვილო! ვიდრე მოემზადები, განთიადი მოატანს!

ფ ი რ ა ნ ი — ჰო, გაბოსაც თან წაიყვან, დასაზვერად წინ გავგზავნი! ვიდრე მთვარისა შინ არ იქნება, მე იმათსა ფეხსაც არ მივდგამ! თვითონ მისგან უნდა გავიგო სიმართლე, სხვას არ ვენდობი!

ი ა ს ო ნ ი — აგრე აჯობებს! გამაგრდი, გამხნევდი! გაბოს ჩემს ცხენზე შევსვამ!

ფ ი რ ა ნ ი — სოფელს რომ მიეუახლოვდები, ჩემი „ვეფხვათი" დავაწინაურებ, ფიცხია, ამბავს მალე მომიტანს!.. (შეპყურებს) გაბო, გაბრიელ!

გ ა ბ ო — (წამოხტება, ნაბადს მიაგდებს, გამოეპიმება) ვარ და ვიქნები, უფროსო, მიბრძანე!

ფ ი რ ა ნ ი — ბინის მერცხალო, გასწი, ცხენები ურემთან მორეკე!

გ ა ბ ო — მიეფრინავ! (ფარბის)

მეორე სურათი

ერთსართულიანი სახლის რამდენიმე საფეხურიანი კიბე-მოხდენილ ეზო-ყურეს უერთდება. მოჩანს ზევის ნაპირი, უფრო ახლოს — მოზრდილი ფურცლის ხეაივანზე ყურძნის აკიდოები, ლეღვის ჩირები და ბროწეულის კუნწულებია გამოკიდებული. ფურცლის ხის ქვეშ ქალები ცახს არჩევენ, გოდორში პყრიან და თან წყნარად ღიღინებენ: „ქალაუ, შენმა მანდილმა" და სხვა

მ თ ვ ა რ ი ს ა — დაირუხრუხა, კიდევ ავდარს აპირებს!

ა ნ ი კ ო — გაიხედეთ, ციეგომბორი ღრუბლებში გახვეულა!

ქ ა ლ ე ბ ი
— ნამდვილად წამოგვშლის!
— ცახი ტყუილად გამოვიტანეთ ეზოში!
— ეს მუდრეგი, მთელი კვირაა წვიმა და ჭექა-ქუხილი აღარ შეწყდა!

მთვარისა — უკვე წინწკლავს, მეგობრებო!

ანიკო — (წამოხტება) აი, აი, ისე გააქვს ტყაპატყუპი, თითქოს სეტყვა იყოს!

მთვარისა — ადექით, წვიმა პარკს დაგვისველებს! (წამოიშლებიან)

ქალები { — ცახი დერეფანში შევზიდოთ!
— ჩქარა, მოუმატა! (ქუხილი თანდათან ძლიერდება, წვიმის ხმაური მატულობს)

მთვარისა — პირდაპირ მიწაზე ნუ დაჯურით, მარანში ცარიელი ტომრებია, გამოვიტანოთ, ქვეშ გავუფინოთ! აბა, მარდად! (მოძრაობა)

ქალები { — დავიღუპენით, პარკი რომ დასველდეს, ერთიანად ჩაყვითლდება! (მიარბენინებს)
— მატრაკვეცა ანიკოს ბრალია, ამან აიტეხა ეზო! (მიარბენინებს ცახს)

ანიკო — ხმა გაიქრე! მე ხომ გულთმისანი არ ვიყავი?

მთვარისა — ჯერ ეს გოდორი შემატანინეთ დერეფანში. მერე იჩხუბეთ! (მიეშველებიან, მიარბენინებენ)

ქალები { — არიქა! დაასხა კოკისპირული! (ქუხილი ძლიერდება)
— ფურცლის ქვეშაც გაატანა!
— გადავაფაროთ რამე, ვიდრე შევზიდავთ, ერთიანად დაკიცდება!

მთვარისა — ნუ აირევით! აგერ დერეფანში ჭილოფი გდია. მოიტანეთ, გადააფარეთ!

ანიკო — (მოძრაობაა, ეზიდებიან, აფარებენ) ფეხებში ნუ მებლანდები, შე სასიკვდილე, შენა!

ქალები { — სასიკვდილეცა ხარ და ამოსაფშრუკიც! გზა!
— მოუმატა! მარდად! სწრაფად! ცოტალა დაგვრჩა! (ისმის გაბმული ქუხილი)

მთვარისა — დებო! მე დედას მივხედავ!

ქალები { — გასწი, შეეშინდება!
— აღარაფერი დარჩა, ჩვენც ვეყოფით!

ანიკო — ისე გაიელვა, ლამის დავბრმავდე! არ შეშინდეთ, დაიქექებს! (დაიქექებს. იმავე წუთს ოთახიდან მოისმის გაბმული კივილი: „შვილო! შვილო!“ გარეთ ატყდება ხალხის ხმაური, ფონზე გარბიან ყვირილით: „გამოდით! გამოდით!“)

მთვარისა — დავიგვიანე! ავადმყოფი ქუხილმა გააღვიძა, კივის! (ციბეზე არბის. გამოდის დარო ჯოხით ხელში)

დარო — შვილო, მთვარისა, სადა ხარ?

მთვარისა — რად ამდგარხარ, ჩემო დედიკო, რად?

დ ა რ ო — იქ, ოთხკედელშუა, საშინელებაა, შვილო, თქვენთან სიკვდილი მირჩევნია! დამსვი!

მ თ ვ ა რ ი ს ა — აი, სკამი... ექიმი სულ მაგას გირჩევს, მშვიდად უნდა იყოო, შენ კი...

დ ა რ ო — მერედა რომელ ერთს გავუძლო, ჩემო სიხარულო, ულმობელ ფიქრებს თუ ამ დაუცხრომელ ცას?

ა ნ ი კ ო — (მიირბენს მასთან) ნუ გეშინიან, ძალო! რამდენადაც ძლიერ ხმაურობს ცა, იმდენად მალე ჩაიწყვეტს ხმას!

დ ა რ ო — ოჰ, შვილო! სიცოცხლეს წუთი სპობს და არა საუკუნე! (გარეთ ხალხის ყიჟინა: „გამოდით! ფიჩხი და მორები, ჩქარა!" ფონზე მიარბენინებენ მორებს, ფიჩხის კონებს) აი, მთელი უბანი წამოიშალა, ხევი რომ გადმოვარდეს, თან წაგვიღებს!

ქ ა ლ ე ბ ი { — ნუ გეშინიათ, ინჟინრის ბრძანებით ხევს ამაგრებენ!
— ჯებირს აშენებენ, მალე დამთავრდება და აღარაფრის შიში აღარ გვექნება!

დ ა რ ო — ჰმ! მიფრთხილდებით, არა? ოჰ, შვილებო, რაღა სასიცოცხლო ვარ ჩემი გიორგის და სოსოს დამკარგავი, მაგრამ ამას რა ვუყო, ამის ჯავრი არ მასვენებს!

მ თ ვ ა რ ი ს ა — მე რა მიჭირს, დედა!? აი, ისევ გაიელვა. შინ შევიდეთ, დაწექი!

დ ა რ ო — არა, ნუ, შვილო! სარეცელი ჯანმრთელისათვის ნეტარებაა, ავადმყოფისათვის კი ტანჯვა! (დაიჭექებს) მოიწი, ახლოს იყავ ჩემთან! იცი, შვილო, წეღან რომ დაიჭექა და წამოვიწიე, ჩემმა პატარა სოსომ, მთიდან მეხდაკრული რომ ჩამომისვენეს, ლოგინზე გადამირბინა და ჭერში გაჭქრა! მოუკვდეს დედა, მე ცრემლად ვიღვრებოდი, ის კი მიცინოდა და თან ხშირ ქოჩორზე ხელს ისვამდა...

მ თ ვ ა რ ი ს ა — აღარ შემიძლია მეტის მოსმენა!

დ ა რ ო — ორი ვაჟკაცი დავკარგე, ორი შუქურვარსკვლავი ჩამიქრა და ეს ნაბოლარაღა შემრჩა... (დაიჭექებს) მოიწი-მეთქი, შენ მაინც ნუ მომშორდები!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ნუ, ჩემო დედიკო, აი, აქა ვარ!

დ ა რ ო — ოჰ, შვილო! შვილო! ნეტავ შენს ბედნიერებას მაინც მოვესწრო, მაგრამ რომ არც შენში ჩანს ნუგეში?

მ თ ვ ა რ ი ს ა — რაზე ამბობ, დედა, ცუდი ხომ არაფერი გითხრეს?

დ ა რ ო — ავადმყოფი გრძნობს, თქმა რად უნდა, შვილო!.. აღარ მახსოვს, სიზმარი იყო, მოჩვენება თუ ცხადი: დიბა-ატლასებით მორთულს თავზე ყურძნის მტევნების გვირგვინი გიბრწყინავდა. ფირანიც გვერდში გედგა, პირქუში და სახემწყრალი. ხელს

გიწვდიდა, შენ კი გაურბოდი, იცინოდი და თან ცრემლსაც აფრქვევდი. სადღაც კლდის ქარაფებთან ტალახსა და ტლაპოში მიბობღავდით, ორივენი ლამის უფსკრულში ცვიოდით, მე კი ერთ ადგილზე დაბმული ვწიოდი და ვკიოდი! ოჰ, ღმერთო! ღმერთო!..

ა ნ ი კ ო — ცრემლი სიხარულია, ძალო!

ქ ა ლ ე ბ ი — ნაირფერი დიბა-ატლასიც ბედნიერების მაუწყებელია!
— გაურბოდაო, ეს პირიქით უნდა მოხდეს, ორ კვირაზე მეტია მთიდან ცხვარი დაიძრა, ფირანიც ჩაშოიელის და მალე ქორწილს გააჩაღებენ!

დ ა რ ო — ჰო, მაგრამ ყურძენი ხომ ცრემლია? ლაფში ფეხი რად უსხლტებოდათ?

მ თ ვ ა რ ი ს ა — კმარა, დედა! სიზმარი მოუსვენარმა ძილმა იცის. შენ რად მიგაჩნია ხალას ოქროდ?

დ ა რ ო — დამიჯერე, გწამდეს, შვილო! შეიძლება ბედნიერება გელის, მაგრამ რაღაც გაუგონარ უბედურებასაც ვერ გაექცევი! თუმცა ამის მიზეზი, მგონია, რომ მე ვიქნები... ხანდახან ძილში, სადღაც მიწა იზამს პირს, სამარის კარი იღება და იქ ჩემს მეტი არავინ არის! საშინელი სიცივე ძვალ-რბილში მიელის, შემზარავი უკუნეთი თვალს მიბნელებს...

მ თ ვ ა რ ი ს ა — მეყო, დედა, მეყო, გავთავდი!

ა ნ ი კ ო — ყველა ეგ შფოთიანი სიზმრები ფირანის მოუსვლელობის ბრალია, მაგრამ რა ქნას? გარე საქმის კაცია, შინა საქმე რომ ებაროს, ყოველ წუთს აქ იქნებოდა!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ოჰ, ერთი გამოჩნდეს და გაჩვენებთ იმის სეირს, ზედაც არ შევხედავ, დედა რომ ასე...

დ ა რ ო — ყველამ დაიხსომეთ, შვილებო! რაც კი დედამიწის ზურგზე ჰყვავის და იფურჩქნება, ყველაფერი სიბოსაგან არის! ყინულზე ჯეჯილი არავის უნახავს! სიყვარულსაც თუ სიბო არ ახლავს, მაშასადამე წუთისა ყოფილა და არა საუკუნისა! წერილი მიეწერეთ და პასუხიც არ გვაღირსა! აი, აი, ისე გამჩხვლიტა გულმა, თითქოს შუბი ატაკეს და შიგ დატოვესო!

მ თ ვ ა რ ი ს ა — რა არის, დედა, ხომ გითხრა ექიმმა, ნურაფერზე ნუ იფიქრებო! (ცუხილი კვლავ ძლიერდება, წვიმის ხმაურიც მატულობს)

ა ნ ი კ ო — ტიალმა ისევ დაიწყო!

დ ა რ ო — ოჰ, დაუნდობელო წუთისოფელო, დაკარგულს აღარ მივტირი, ოღონდ ამ ნაბოლარას ქორწილს მაინც მომასწარ, ამის ბედნიერებით მაინც დამატკბე... (დაიჩექებს) ეს მუდრეგი სიტყ-

ვის თქმასაც აღარ მაცლის! (ცას) დაჰკარ! ზეცა ხარ თუ ღრუბელი, თუ რამ გემეტება ჩემთვის, გაიმეტე! (გარეთ კვლავ ატყდება ყიჟინა: „ჩაყარეთ ფიჩხი და მორები! ქვა-ღორღიც მიაყარეთ! ერთად! სწრაფად!“ მოისმის ავტომობილის საყვირის ხმა სულ ახლოს)

ა ნ ი კ ო — ქალებო, ჩვენს პირდაპირ მანქანა გაჩერდა!

მ თ ვ ა რ ი ს ა — რაიკომის მდივანია!

ა ნ ი კ ო — აგერ ინჟინერიც! წინ გამოუსწრო, აქეთ მოპყავს, გოგო!

მ თ ვ ა რ ი ს ა — მართლაც ჩვენს ეზოს მოადგნენ, ნეტავი რა საქმეზე? (შემორბის შანშე)

შ ა ნ შ ე — სალამი მეაბრეშუმე ქალებს! (გარეთ გასძახის) მობრძანდით, ამხანაგო როსტომ! (შემოდის როსტომი)

რ ო ს ტ ო მ ი — სალამი, გამარჯობათ! ჯერ მთავარი ვეენახა და მერე აქ მოვსულიყავით!

შ ა ნ შ ე — მშენებლობას მანქანა ვერ მიუდგებოდა, აქედან ხელის გულივითა ჩანს! აგერ ჩემი თხოვნით ხალხი გამოვიდა, ხევს ამაგრებენ სახელდახელოდ, თუ ნიაღვრებმა იმძლავრეს, ჯებირის მშენებლობას ვეღარ წალეკავს...

რ ო ს ტ ო მ ი — მერე ეგ ჯებირი საკმარისია, რომ ეს სოფელი დავიცვათ?

შ ა ნ შ ე — ორი მეტრიც რომ წავუმატოთ, აღარაფრის შიში არ ექნებათ, ამიტომ მოვითხოვ დამატებით თანხებს.

რ ო ს ტ ო მ ი — ძალიან კარგი! ბიუროს მომავალ სხდომაზე უთუოდ წარმოადგინეთ დამატებითი ხარჯთაღრიცხვა!...

დ ა რ ო — ჰკითხე რა უნდათ? გული რაღაცნაირად შემიტოკდა, შვილო!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ახლავე, დედა... მაღლა ამობრძანდით. ამხანაგო როსტომ, მანდ დასველდებით! შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ თქვენისთანა საპატიო სტუმრების ღირსი გაგეხადა!

რ ო ს ტ ო მ ი — არავითარი შემთხვევა! თქვენთან საქმე მქონდა და ამხანაგმა შანშემ გულდაგულ წამომიყვანა—მშენებლობასაც ნახავთ და მთვარისასაც ახარებთო...

შ ა ნ შ ე—რატომაცარა, ამხანაგო როსტომ! მე მთვარისა, როგორც დეპუტატი, რაისაბჭოს სესიებზე გავიცანი. შემდეგ კი ამათ სოფელში მშენებლობა დავიწყე და ამ ოჯახის მეგობრად ვიქეცი, ხანდახან რუსულში ვამეცადინებ ხოლმე!

მ თ ვ ა რ ი ს ა — მე დიდად დავალებული ვარ თქვენგან, მაგრამ ახარებთო რაზე ბრძანეთ?

რ ო ს ტ ო მ ი — მოითმინეთ! ამას რას ვხედავ? გასარჩევი ცახია?

მ თ ვ ა რ ი ს ა — ცახი გახლავთ! მეორე მოსავლიდან მცირეოდენი

კიდევ დაგვრჩა გასარჩევი. გამგეობის ნებართვით თვეზე მეტია გრილად ვინახავთ! ჩემი რგოლი ხან რთველში იყო, ხან სიმინდის აღებაში და ვეღარ მოვათავეთ ეს საქმე. დღეს იქნება ჩავაბაროთ კიდეც!

როსტომი — აი, ეს მესმის! იმდენი მოიყვანეს, დარჩათ კიდეც! ახლა აღარ მიკვირს ის აღტაცება და აღფრთოვანება, რომელიც წუხელ ბიუროს წევრებმა გამოთქვეს მთვარისას ხსენებაზე!

დარო — კვირაძალია, სიზმარი მალე უნდა ახდეს, კიდევ ახალ დავალებას გამოუგდებენ!

როსტომი — არა, პატივცემულო დედავ! ოცი დღის შემდეგ, როგორც წარჩინებული მეაბრეშუმე ქალი, მთვარისა მოსკოვს წავა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად!

მთვარისა — მე, მოსკოვში?

ანიკო — (მივარდება, ჰკოცნის) შენი ჭირიმე, მთვარისა!

ქალები — ნატვრა აგისრულდა!
— სიზმარი აგიხდა, ამაზე დიდ ბედნიერებას რაღას მოეწევი?

შანშე — მეც თქვენთან ერთად მეოთხე დელეგაციის წევრი ვარ! ერთად ვიმგზავრებთ. წიგნებს თან წავიღებთ და გზაში ვიმეცადინებთ!

დარო — რას პირდებით, რა ხმაურია, მეც გამაგებინეთ!

შანშე — ბედნიერი დედა ბრძანდებით, სილამაზით და შრომის მოყვარეობით ერთნაირად სახელგანთქმული თქვენი შვილი მოსკოვს ნახავს!

დარო — ჰმ! მოსკოვს ნახავს!

როსტომი—საკვირველია, მოხუცს, მგონია, სწყინს. ავად ხომ არ არის?

ანიკო — გულის შეტევები არ ასვენებს! ვაუკაცი შვილები დაკარგა და ლამის სევდამ მოიდნოს! ახლა ქალის ბედს მისტირის და ათასი უცნაურობანი დასჩემდა...

დარო — გამაგებინეთ-მეთქი, ასე დიდმა კაცმა მახარობლობა რად იკისრა?

როსტომი — პატივცემულო დედავ, დიდი და პატარა წლებით არსებობს, ისე კი ადამიანები ყველა ერთნი ვართ!

დარო — თუ ერთნი ვართ, მაშ ფიქრებიც ერთნაირი უნდა გვქონდეს! მე არ მესმის, თქვენ თვითონ რატომ ცდილობთ, რომ გასათხოვარ ქალს სახელი წაებილწოს, თითქოს წვერ-ულვაშ

დაყრილი ვაქკაცი იყოს. დღეს მოსკოვში უკრავთ თავს, ხვალ კი ქვეყნის კიდესაც გადააცილებთ!

შ ა ნ შ ე — პატივი სცეს, დღეს ყველა მოსკოვზე ოცნებობს და თქვენ ჯავრობთ?

დ ა რ ო — ვიდრე სამუდამოდ თავის პატრონს არ ჩაბარდება, ამან რომ მაგ სიშორე გზაზე უცხოებთან იხეტიალოს, მე ზეზეურად ამომხდება სული!

მ თ ვ ა რ ი ს ა — (მივარდება) ნუ, ჩემო დედიკო, ნუ შფოთავ, მე თვითონაც არ წავალ!

ქ ა ლ ე ბ ი — მთვარისა, გონს მოდი, რას ამბობ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — არა, არ წავალ-მეთქი! (ათასში ერთხელ ყრუდღა გაისმის ქუხილი და შემდეგ სულაც წყდება) გული უწყრება, გონება კი სხვას მიკარნახებს... ნუთუ ფირანზე არაფერი თქმულა?

შ ა ნ შ ე — აი, რაში ყოფილა საქმე! მართლაც რომ ბედნიერია ფირანი, ასეთი ქალი და ზედაც ასეთი ერთგულება! შეუძლებელია კაცს არ შეგშურდეს!

რ ო ს ტ ო მ ი — ფირანს ბინაზე არევ-დარევა აქვს, მწყემსები უკმაყოფილონი ჰყვანან და ბიუროს ზოგიერთმა წევრმა თავი შეიკავა...

მ თ ვ ა რ ი ს ა — არ დაიჯეროთ! მხოლოდ ერთი ჰყავს უკმაყოფილო, რადგან მის ღორულ ჰადას ბევრ რამეში ლაგამი ამოსდო...

რ ო ს ტ ო მ ი — შეიძლება ერთი ჰყავს, მაგრამ ასი უსმენს და.

დ ა რ ო — ვაი, ჩემს ყოფას, გულმა ისევ გამჩხვლიტა, ხელები მიბუჟდება!

ა ნ ი კ ო — ფერი წაუვიდა, სახლში შევიყვანოთ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — დედა! დედა-მეთქი... ჩქარა, წამალი უნდა მივცეთ! (ქალები მიეხვევიან)

დ ა რ ო — არ შეშინდე, გადამივლის...

მ თ ვ ა რ ი ს ა — ოთახში შევიყვანოთ და ფრთხილად დავაწვინოთ! (მიჰყავთ. შედიან ოთახში, ქალებიც თან შეჰყვებიან)

რ ო ს ტ ო მ ი — ვერ გამოვდექით კარგი მახარობლები, ლამის მოხუცი ხელში შევიკალით!

შ ა ნ შ ე — გაუვლის, ისევ მობრუნდება, თქვენ ის ბრძანეთ, რომ რაც მთვარისამ ფირანზე მოგახსენათ. ყველაფერი მართალია!

რ ო ს ტ ო მ ი — თქვენ ფირანსაც იცნობთ?

შ ა ნ შ ე — საქმით ვიცნობ, პირადად კი არა, მე ის არც მინახავს!

რ ო ს ტ ო მ ი — მაშ რა გაიძულებთ, რომ მის სახელს იცავთ?

შ ა ნ შ ე — მთვარისას პატივისცემა და სიმართლის სიყვარული!

რ ო ს ტ ო მ ი — ეს კარგია, მე ვეძებდი კაცს, რომელიც ზოგ რამე-

ში გამარკვევდა და... (დიდხანს შეპყურებს ჩაფიქრებული) თქვით, რის თქმაც გსურთ!

შ ა ნ შ ე — ფირანი მოწინავე ადამიანად გამოიყურება, ცოდნის წყურვილით იწვის, უმაღლეს სასწავლებლის დაუსწრებელ კურსებზე საგნებს ფრიადებზე აბარებს. ფერმაში ჯიშიანი ცხვრის ფარა შექმნა, მინდორში მწყემსებისათვის ორსართულიანი სახლის აშენებას აპირებს, ჩამოვლენ თუ არა, მე თვითონ უნდა ჩავიდე ფარეხში და გეგმა შევადგინო.

რ ო ს ტ ო მ ი — სახლის იდეა მე თვითონ ძალზე მომეწონა! იმ ჯიშიანი ცხვრის შეძენა-შეგროვების დროს გაცვლა-გამოცვლაში რაღაც ანგარება მოხდაო, ამაზე რას იტყვით?

შ ა ნ შ ე — ტყუილია! ჭორია! შარშან მან თავი გასწირა, მორეევში გადაეშვა და ეს სოფელი იხსნა! ასეთი გმირი არასოდეს ბოროტმოქმედი არ ხდება! ერთ-ერთ მაგნაირ ღვარძლიან ჭორიკანას მე თვითონ მოვუსმინე!

რ ო ს ტ ო მ ი — რაო? ვის მოვუსმინეო?

შ ა ნ შ ე — გუშინ მთაში მიმავალი მწყემსი ვნახე, მანქანას ელოდებოდა და კოლმეურნეებში ჩამჯდარიყო. ნეტავ ყური დაგეგდოთ რეებს ბოდავდა. მე ყველაფერი გუშინვე ვუამბე მთვარისას, რომ ფირანი გაეფრთხილებინა!

რ ო ს ტ ო მ ი — (ჩაფიქრდება) მერედა და რატომ ლაპარაკობდა ასე საქვეყნოდ, რამ გააბედინა, თუკი...

(გამოდის მ თ ვ ა რ ი ს ა)

მ თ ვ ა რ ი ს ა — მაპატიეთ, რომ თავი მიგანებეთ..

რ ო ს ტ ო მ ი — ავადმყოფი როგორ არის?

მ თ ვ ა რ ი ს ა — გმადლობთ, ახლა არა უჭირს რა, ჩასთვლიმა!

რ ო ს ტ ო მ ი — (მიუახლოვდება) მთვარისა, წელანვე მინდოდა მეთქვა და გამომრჩა: ფირანის ფერმა მთლიანად აიყარა, ბარად მოდის!

მ თ ვ ა რ ი ს ა — როდის, პატივცემულო როსტომ?

რ ო ს ტ ო მ ი — გუშინ უნდა ჩამოვევლოთ, მაგრამ ეტყობა ან უამინდობამ დააბრკოლა, ან არევ-დარევამ! ჰო, აი რა: ჩამოვლენ თუ არა, მე თვითონ გამოვყოფ კომისიას, რომ ფერმის საკითხი დაწვრილებით შეისწავლონ და მომახსენონ! ერთი სიტყვით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ოცი დღის შემდეგ მოსკოვში თქვენს დანიშნულთან ერთად იმგზავროთ! ახლა კი ნახვამდის! (გადის).

შ ა ნ შ ე — ყველაფერი ვუთხარი, მგონია დამიჯერა! ნახვამდის, მთვარისა! (გადის)

მთვარისა — მთიდან აიყარა, მოდის და უბრალოდ არც კი შე-
მატყობინა? ეს არის სიყვარული? (გამოდიან ანიკო და ქალები)

ანიკო — მშვენივრად სუნთქავს, ჩაეძინა!

მთვარისა — მაშ საქმეს მივხედოთ, რაკი მდივანს შევპირდით, უნდა მოვრჩეთ და ჩავაბაროთ! (მუშაობენ)

ქალები — მაგ ინჟინერს ყველა აქებს შესანიშნავი ადამიანიაო!

ანიკო — ფირანს რომ არ ვიცნობდე, ვიტყოდი არა უშავს რა-
მეთქი!

ქალები { — შეხი კი დაგეცა! ინჟინერმა ერთი ფანჯარი რომ
მოუსვას, ბროლის კოშკები აშენდება!
— აი, კიდევ გამოუჩნდათ საჩხუბარი!

ანიკო — ისევე დაგიმიწლეს ეგ ენა, ფირანმა რომ კომბალი დაპ-
კრას, კლდიდანაც ჭედილები გადმოცვივა.

გაბო — (ლობეზე თავს გადმოპყოფს) ოჰო! ბაბაგალი მეაბრაშუმეები
დარეულან!

მთვარისა — გონს მოდით, ვიღაც უცხო კაცია!

ქალები — ეს ვინღაა?

გაბო — ვინცა ვარ, გაცნობებთ, ჯერ ცხენი დავაბა!

მთვარისა — ლედავ, სანატრელო, ნიშა ცხენი!

ანიკო — აგერ გადმოხტა! ფუი, ვიღაც პატარა ბიჭია! ხომ არ
გეცნობა?

მთვარისა — არა, ეგ მე არასოდეს არ მინახავს!

გაბო — (შემოდის) გამარჯობათ, ბაბაგალებო!

მთვარისა — თქვენ... თქვენ ვინ ბრძანდებით?

გაბო — ვბრძანდები, მაშა! (ყველაფერს ათვალიერებს)

ანიკო — ბოლოს და ბოლოს იტყვი თუ არა, ვინა ხარ, რისთვის
მოსულხარ!

გაბო — ბაბაგალებო, ჯერ თქვენ მითხარით — აბრიას სახლი ეს
არის?

ანიკო — ჰო, ეს სახლი ბიძაჩემისაა, მაგრამ შენ რა საქმე გაქვს?

გაბო — ვინც აჩქარდა, ფეხიც ადრე გაეიმალა, ხომ გაგიგონია?

ანიკო — შენ, ეი, ცოტა ხმას უკელ, თორემ...

გაბო — თორემ რა? ხვლიკის ჯოგები არ დამიფრთხო! (ქალებს
ათვალიერებს) ჯანდაბას ამათი თავი, რომელი იქნება? (უცებ
მთვარისას) შენ ვისი ხარ, გო?

ანიკო — მე შენ გაჩვენებ „გოს“, ამ ჯოხს უყურებ?

გაბო — ხა! ხა! ხა! ეგ არის, გული გამისქდა! იცი რა გითხრა:
გზაში ისე მიკაკუნებდა მეხი, როგორც შხაპუნა წვიმა, მაგრამ

წარბიც არ შემიხრია, ჯოხით შემაშინებ? ვისი ხარ-მეთქი, გო, ხმა, ამოიღე!

ანიკო — ჩემი ბიძაშვილია, ახლა რა გნებავს?

გაბო — შენი ბიძაშვილია, აბრია კი შენი ბიძაა! მაშასადამე, მთვარისა ყოფილა! მეც ამას ვეძებ!

მთვარისა — მე მეძებ? რა საქმე გაქვს ჩემთან, შენ ვინა ხარ?

გაბო — მე გაბრიელი გახლავართ და გიბრძანებ: დღეს ფეხი არ გადგა გარეთ! ახლა კი მშვიდობით!

მთვარისა — ვინ გამოგგზავნა, ვინ? გემუდარები, მითხარი!

გაბო — აი, ცხენზე შევჯდები და მაგას კიდევ მაშინ გეტყვი!

ქალები { — გაგვექცევა! — არ ენდოთ!

მთვარისა — თავი გაანებეთ, მეტყვის!

გაბო — უფრო მეტს გეტყვი, ვიდრე ელი! მაშ შევჯდე? (მიდის) ჰმ! რა დღეს მოესწარ, გაბრიელ, დიაცებს ნებართვასა სთხოვ! (ადის)

ანიკო — ცხენს მოახტა, გაქცევას აპირებს, აღვირში ხელი უტაცეთ! (გარბის)

ქალები — გაგვექცევა! ჩქარა, გოგოებო! (გარბიან)

გაბოს ხმა — სმენა იყოს და გაგონება! აი, რა დამაბარეს: „ქალს ბედის არ სჯეროდაო, ბედი მისთვის მღეროდაო!“ არსად წახვიდე, სახლში იყავ! აჩუ, ვეფხვავ!

ქალების წივილ-კივილი { —მოერიდე, გაგიტანს! — დაიჭი! დაიჭი, გარბის!

მთვარისა — მაინც მოგვატყუა! შენი ჭირიმე, აგერ მამა მოდის! (ყვირის) არ გაუშვა, მამა, არ გაუშვა! ფუი, კინაღამ გადაქელა! გაიქცა, წავიდა! ცხენს შეჰკივლა — ვეფხვაო! ეს სახელი კი მეცნობა, ნუთუ მდივნის ნათქვამი მართლდება, მთიდან მოდიან?

ანიკო — (შემოდის, მოსდევენ დაღლილ-დაქანცული ქალები) აფსუს, ქვა ვესროლე და ისიც კი ავაცდინე!

მთვარისა — ოჰ, მამა! რამოდენას ვყვიროდი, რატომ ვერ დაიჭირე? (შემოდის აბრია კალთით ხელში)

აბრია — ელვასავით ჩამიქროლა, მე იმის დამჭერი ვიყავი? ვინ იყო, შვილო?

მთვარისა — მწყემსი ბიჭი! მე მიბრძანა არსად წახვიდე, ასე დამაბარესო!

აბრია — დამაბარესო? ბიჭოს, ეგ ცუდი ამბავი არ უნდა იყოს! მოდი, ეს კალათა ჩამომართვი!

მ თ ვ ა რ ი ს ა — საიდან მოგაქვს, მამა?

ა ბ რ ი ა — გაღმა ვიყავი — კოლმეურნეობის ზვარში, გუშინ ქვევრები დამარეცხინეს, დღეს თავმჯდომარემ დამაჯილდოვა! ეეჰ, ესეც ბედია რაღა! სხვების ჯილდო ორდენები და მედლებია, ჩემი კი ბადრიჯანი და პამიდორი! დედაშენი როგორ არის, შვილო?

მ თ ვ ა რ ი ს ა — როგორც ყოველთვის: ხან წევს, ხან ფეხზეა!

ა ბ რ ი ა — ჰო, მართლა! წისქვილში ამოვიარე, იმათებურები ვნახე! დალოცვილი ფირანის დედა, ქალი კი არა, ცეცხლი ყოფილა, ახალი სახლი უკვე დაუმთავრებია და საქვეყნოდ განუცხადებია: ქორწილს ამ სახლს ვალოდინებდი, ახლა კი გვერდიდან აღარ მოვიშორებ ჩემს რძალსო! ბიჭოს! ისევ ცხენს მოაჭენებენ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ისევ ის, ნიშა ცხენია! მხოლოდ მხედარი... მხედარი სხვა არის! ანიკო, დაიჯერი წერილი არ მიიღო? რა თამამად მოჰქრის?

ა ნ ი კ ო — გულზე დაწერილს ქაღალდზე ნაჯღაბნი ვერ წაშლის, ეს კარგად უნდა იცოდე! მიეგებე!

მ თ ვ ა რ ი ს ა — არა, როგორცა ვთქვი, ისე იქნება,! წარბს არ გავუხსნი! დაე, მაგანაც იწვნიოს, რა ხილია გულგრილობა!
(ცხენის ფეხის ხმა ძლიერდება)

ა ბ რ ი ა — ვინ უნდა იყოს? ზედ ჭიშკარს მოადგა ცხენი! ოჰ, შენს გაბადრულ შუბლს ვენაცვალე, ვაქაცო! (ცალთას მიაგდებს, მხიარული ყიყინით) მობრძანდი, მობრძანდი! სიძეე ბატონო! ცხენი მანდ დააბი! მოიცა, მოვდივარ!

ფ ი რ ა ნ ი ს ხ მ ა — დაბმა არც უნდა, სადაც მე ვარ, ეს იქიდან არც წავა! (შემოდის) ვინც მინდოდა, ყველას აქ ვხედავ! გამარჯობათ, სალამი!

ქ ა ლ უ ბ ი — იბედნიერე, იხარე!

ფ ი რ ა ნ ი — ეს კი... ეს ზურგს რად მიჩვენებს? მთვარისა!

მ თ ვ ა რ ი ს ა — თუკი უჩვენოდ ამდენი ხანი გასძელი, არც ახლა უნდა მოგგონებოდით!

ფ ი რ ა ნ ი — ჩემო სიმამრო, ანიკო, შეგობრებო! გთხოვთ ერთი წუთით მარტო დაგვტოვოთ!

ა ბ რ ი ა — ეს მართლაც კარგი იქნება: ვიდრე ლაზათიანად არ წაკინკლავდებით, ვერც შერიგდებით! ქალებო, მომყეთ, საქმეს გაგიჩენთ! (ყველანი გადიან)

ფ ი რ ა ნ ი — აქ ჩვენს მეტი აღარავინ არის, მითხარი, რას მემდური?

მთვარისა — ოჰ, შე გულქვა, უსულგულო ადამიანო! ეს იყო შენი ფიცი? ეს იყო, უშენოდ ერთი წუთიცო... (უცებ ტირილი წასკდება) მე მოვკვდი, მეტი აღარ შემიძლია! შენმა გულგრილობამ მომსპო!

ფირანი — გულგრილობამ კი არა, საქმემ! მე თვითონ მომსპო შენზე ფიქრმა, მაგრამ...

მთვარისა — არა, აღარ ვიტირებ! აი, მოხველ და ყველაფერი უნდა ითქვას, თუმცა რაღა გითხრა, წერილშიც ხომ დაწერილებით გწერდი?

ფირანი — იმ წერილს ისევ იგონებ? ჩანს ყველაფერი მართალია, რაც მე მითხრეს!

მთვარისა — როგორ, წერილი მიიღე? მიიღე და მაინც მოხველ? მე კი მეგონა...

ფირანი — მოველი კი არა, მოვფრინავდი!

მთვარისა — მერე: ან წყენამ, ან თავმოყვარეობამ, ან მრისხანებამ უკან არ დაგწია? შენ თქვი, მოვფრინავდიო!

ფირანი — სადაც სიყვარულია, იქ წყენა ხანმოკლეა, თავმოყვარეობა — მივიწყებული, ხოლო რისხვა — უძლური, რადგან სიყვარულზე მაღლა არც ერთი გრძნობა არ დგას!

მთვარისა — დღეს მწყემსი კი არა, ბრძენი მგონიხარ!

ფირანი — სიბრძნე ტანჯვის შედეგია! რაც შენი წერილი მივიღე, ლუკმა შხამად მექცა, ღიმილი კი საოცნებოდ!

მთვარისა — მერე და ვისი ბრალია? აღარ მოდიხარ, ჩვენი საქმის დაბოლოებაზე სულაც არ ფიქრობ!

ფირანი — ჯერ გამაგებინე: წერილი სხვამ მოგაწერინა, თუ მართლა სიძულვილმა?

მთვარისა — დედაჩემს სხვა არ ეთქმის!

ფირანი — მაშ ის წერილი შენ არ დაგიწერია, ტყუილია?

მთვარისა — ტყუილი... მართალი... ოჰ, ფირან! არ ვიცი, არაფერი მესმის! დედას სულ სხვა სურვილი ჰკლავს, მე კი ერთთავად თვალწინ მიდგას ზღვასავით მოხეთქილი ხევი და აწიოკებული ხალხი! ყველა ელის ნგრევას, სიკვდილს, გაპარტახებას, მაგრამ ახ შარაზე გამოჩნდა მხედარი. მან უმალვე ტანსაცმელი გაიძრო, მორეკში გადაეშვა და ხალხის დახმარებით ორ ფლატეს შუა ჩაპენილი უზარმაზარი ხეები მაღლა ამოჰყარა. წყალს გზა მიეცა, სოფელი იხსნა! ოჰ, ფირან, იმ წუთების ტყვე ვარ!

ფირანი — ის წუთები მოგონებად არც ღირს, ვიხც ცურვა იცის...

მთვარისა — არ მინდა არც შენი გმირობა, არც სიბრძნე, ოლონდ პირველ რიგში ადამიანი იყავი, გულის მაგიერ ქვას ნუ ჩაიდებ!

ფირანი — განა შენ ჩემდამი ასე ხარ განწყობილი? რამდენი ხანია მელაპარაკები და სახეზე ერთხელაც არ შემოგიხედია!

მთვარისა — ეგ... ასეც უნდა იყოს! როდესაც გული წყრება, თვალი განზე გარბის (დააშტერდება, ხმადაბლა შეკივლებს) ჩემი სიკვდილი! რატომ ხარ ასე გამხდარი?

ფირანი — აი, ეგ მინდოდა, რომ გეკითხა! ერთი პაწაწინა საქმე მეც მაბარია და იმაშიც რომ შევრცხვე--

მთვარისა — მიეხვდი: ვიცოდი, რომ მაგას მეტყოდი! მაგრამ ნუთუ პირადი და საქვეყნო იმიტომ არსებობს,რომ ერთმანეთი მოსპონ და შთანთქან, როგორც ცეცხლმა და წყალმა, როგორც სინათლემ და სიბნელემ, როგორც ზაფხულმა და ზამთარმა.

ფირანი — პირიქით — პირადი და საქვეყნო ერთმანეთს ამშვენებს, ამსუყებს, ასულდგმულებს! შარშან მე რომ საქვეყნო საქმისათვის თავი არ გამეწირა, განა შენ შემიყვარებდი — უქნარას, უხეიროს, ქვეყნისათვის უსარგებლოს? აი, როგორ მოდის საქვეყნოდან პირადი ბედნიერება!

მთვარისა — მაგას... მაგას კი მართალს უნდა ამბობდე!

ფირანი — მთვარისა, გასულ წელს რაიკომის პლენუმს სიტყვა მივეცი — ხუთ წელიწადში გასაკეთებელს სამ წელიწადში გავაკეთებ-მეთქი! ჩემს ფერმაში გავატარე ახალი ღონისძიება. ჯიშიანი ტყუპნაყოლ დედაცხვრის ფარა შევქმენი, ნამატს მისგან ერთიორად მეტს ველი და ამიტომ განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება...

მთვარისა — ჰო, მაგრამ განა ცხვარი იმად ღირს, რომ სიყვარული დაივიწყო?

ფირანი — შენ იმეორებ ჩერჩეტ პეწინაკების ნაბოდვარს, ცხვრის ხსენებაზე ზიზღით რომ ტუჩს ჰკრავენ ხოლმე! ცხვარი დოვლათია, ურომლისოდაც შეუძლებელია ცალკეული ადამიანების, მთელი ხალხის და თვით სახელმწიფოს ბედნიერებაც! ასე რომ იყოს, დოვლათის ყველა წყარო უნდა მოვსპოთ: მინდვრები დავაყამიროთ, ვენახები გავკაფოთ, ფაბრიკა-ქარხნები გავანადგუროთ!

მთვარისა — შენი სიტყვა ხმალივითა სჭრის, ალბათ იმიტომ, რომ მართალი ხარ!.. მომეცი, სადა გაქვს ჩემი წერილი?

ფირანი — აი, აქ უნდა მქონდეს! (აძლევს)

მ თ ვ ა რ ი ს ა — ნეტავ იმ დღეს ხელი მომტეხოდა! დედა ძალზე ცუდად გახდა და თხოვნა შევუსრულე! (დაფხრეწს) ფირან, რატომ მჯერა შენი? რატომ მგონია, რომ არც ერთ სიტყვას ტყუილს არ მეუბნები?

ფ ი რ ა ნ ი — მეც ეგრე ვარ! ალბათ ასე სჩვევია წრფელ და უანგარო სიყვარულს! ოჰ, ჩემო ერთადერთო სიხარულო და ბედნიერებავ! (მოეხვევა, ჰკოცნის. უცებ განშორდება, დიდხანს დაშტერდება) გზაში შენ სახელთან ერთად რატომ მიხსენეს ვიღაც ინჟინერი?

მ თ ვ ა რ ი ს ა — ჩემი სიკვდილი! როგორ გიხსენეს?

ფ ი რ ა ნ ი — ვითომ ინჟინერი ურჩევნია მწყემსსო!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ეგ ღვარძლით წამოუნთხევია ვიღაცას! გული ადამიანს ეთვისება და არა მის საქმეს ან თანამდებობას!

ფ ი რ ა ნ ი — მჯერა! მეტს ნულარაფერს მეტყვი!

მ თ ვ ა რ ი ს ა — არა! არა, ფირან, სათქმელი ახლა მაქვს! იცი: დღეს აქ იმ ინჟინერთან ერთად რაიკომის მდივანიც იყო. ფხიზლად იყავი, მტერი გყოლია, ათას რამეს გაბრალებენ! თითქოს თვალი და მკლავი ერფნაირად გიჭრის, მაშ რატომ ვერ ხედავ?

ფ ი რ ა ნ ი — ვხედავ! ვიცი! მაგრამ თავად თუ კლდე ხარ, ქარიშხალი ვერ წამოგაქცევს!

მ თ ვ ა რ ი ს ა — როგორ თუ ვერა, ჯილდო მოგისპო, მოსკოვში მე მგზავნიან, შენ კი არა!

ფ ი რ ა ნ ი — ერთადერთი ჭეშმარიტი ჯილდო მცენარისთვის ცის ნამია, ადამიანისათვის კი ხალხის სიყვარული! (მოეხვევა) ოჰ, მთვარისა, რა ბედნიერი ვარ შენი სიყვარულით! განა შემიძლია ასეთ დროს ვინმეზე ცუდი ვიფიქრო? გწამდეს, მე იმ მტერს ისე გავსრეს, როგორც სპილო ჭიაყელას, მაგრამ ნუთუ ასე ადვილია კაცის დაღუპვა? (გამოდის დ ა რ ო. აღტაცებული შეჰყურებს).

მ თ ვ ა რ ი ს ა — (ზედ ეკვრის) ფირან, ვგიჟდები, ლამის ცნება დავკარგო! რა უმანკო, რა სათუთი გული გქონია!

დ ა რ ო — (უცებ შესძახებს) შვილებო, თქვენმა სიყვარულმა ფრთები შემასხა, ისე წამოვფრინდი, ჯოხიც კი მივაგდე!

ო რ ი ვ ე — დედა!

ფ ი რ ა ნ ი — სალამი, ჩემო სიდედრო! ძალზე ვწუხვარ, რომ შეუძლოდ გხედავთ!

დ ა რ ო — მაგას სიტყვით კი არა, საქმით დამიმტკიცებ, შვილო!

ფ ი რ ა ნ ი — ბრძანე და გამომცადე!

დ ა რ ო — მამაშენი არ მოსულა? ანიკო ან შენი დობილები სად წავიდნენ?

მ თ ვ ა რ ი ს ა — ახლავე, ყველა აქ არის, დედა! მამა, ანიკო, დებო, აქ მოდით ჩქარა! (ყველა შემოდის)

ა ბ რ ი ა — შენი გამჩენის ჭირიმე, დედაკაცო, ადექი? უშენოდ სუფრას რა ლაზათი ექნებოდა?

დ ა რ ო — ამათ თუ მოინდომეს, დღეს შოთსაც ჩამაკვრევინებენ თონეში!

ფ ი რ ა ნ ი — ბრძანე! ბრძანე, ჩემო სიდედრო!

დ ა რ ო — მომიტევე, შვილო, მე ვგრძნობ, მე ვხედავ, რომ ჩემთვის საწუთროს ზარი ირეკება!

ფ ი რ ა ნ ი — ადამიანს შიში სპობს და არა სიკვდილი, ჩემო სიდედრო!

დ ა რ ო — წყეული! გულმა ერთხელაც რომ შემომიტიოს, მე ვეღარც გადავრჩები! ჰოდა, შვილო, საქმე დამთავრებით კეთდება და არა დაწყებით! შენც დაამთავრე, თქვენი ქორწილით მაინც დამატკბეთ...

ფ ი რ ა ნ ი — ჩემო სიდედრო, ჩემი ოცნებაც სწორედ ეგ არის, ამ ზამთარს ალარ გადავაცილებ!

ა ბ რ ი ა — ზამთარზე წინ შემოდგომაა, ხომ არ გეშლება, შვილო?

დ ა რ ო — შემოდგომაზე წინ კიდევ ერთი კვირაა! გადაწყვიტე, შვილო, დღეს ან მომკალ, ან მაცოცხლე!

ფ ი რ ა ნ ი — ასე უცებ, ერთ კვირაში?

ა ბ რ ი ა — დაჰკარ ხელი, ზოგჯერ ადამიანის სიბრძნეს უნდა მივყვეთ, ზოგჯერ კი წინათგრძნობას!

ფ ი რ ა ნ ი — მეგობრებო, თქვენ არც იცით, რა მძიმე მდგომარეობაში მაყენებთ! ცხვარი საზამთროდ დასაბინავებელი მყავს, გამოცდებიც ჩასაბარებელი მაქვს...

დ ა რ ო — იმ ცხვარმა სატრფოც დაგავიწყა და შენი თავიც! არც ეგ ვარგა, შვილო!

ფ ი რ ა ნ ი — ჩემო სიდედრო, ცხვარი დოვლათია, ურომლისოდაც ხალხის სიკეთე არ არსებობს!

დ ა რ ო — უადამიანოდ კიდევ თვითონ ხალხიც არ არსებობს, ესეც ხომ ვიცით?

ფ ი რ ა ნ ი — ჰო, მაგრამ სწორედ ახლა ბინაზე არევ-დარევაა, მე რომ ასე უცებ ჩემი ქორწილი გავაჩაღო, ისეთ რამეს მომიწყობენ, საუკუნოდ სანანური გამიხდება! ახლა კიდევ — ჩემი ბედნიერების მონაწილე მთელი ქვეყანა უნდა იყოს, ერთ კვირაში როგორ მოვასწრო?

ა ბ რ ი ა — სახელდახელო ქორწილი გამართე, დიდი და ხმიანი შეშ-
ლეგ იყოს!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ჩვენი ქორწილისათვის მთელმა ქვეყანამ რომ მოიცალოს, ისეთი არც ზამთარი იქნება და არც ზაფხული!

ფ ი რ ა ნ ი — მაშ შენც ასე ფიქრობ, ასე გსურს? (ჩაფიქრდება)

დ ა რ ო — გადავწყვიტე, ერთი ორი დღე მეც დავტკბე თქვენი ბედნიერებით, რა იქნება?!

ფ ი რ ა ნ ი — ოჰ, რომ იცოდეთ, სწორედ ახლა რა ძნელია, რა უხერხული, მაგრამ ხალხს უთქვამს: „ვინც ბევრს ნაყავს, ვერას ნახავსო“, იქნებ სჯობდეს კიდეც! იყვეს თქვენი ნებასურვილით!

დ ა რ ო — იხაროს შენმა მშობელმა!

ა ნ ი კ ო — აი, ეს მესმის!

ა ბ რ ი ა — შენ გენაცვალე, ქუდი ჭერსა ეკრათ, ამას რა სჯობია?

ქ ა ლ ე ბ ი — იხარეთ, იბედნიერეთ!

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მესამე სურათი

ფონზე მოჩანს შეფაკლებულ-შეხუნებული მაღალი მთა, რომელიც მიაგავს აქ-ლემის კუზს; უფრო ახლოს — დაშვებული კალთები. მოპირდაპირე სერებზე მწყემსები გადმომდგარან. შეაში, ღელეზთან, ორნი კომბლებით იბრძვიან. სხვები ზოგი ზის, ზოგი კომბალს დაყრდნობია. ხანდაზმით ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც მწყემსი არბის მაღლობზე და გარემოს ათვალიე-რებს... საერთო ყიჟინასა და სიმღერის გუგუნში იხსნება ფარდა. მღერიან

საპიდაოს

გადმოვიდა ფალავანი,
დაანგრია გალავანი!
ფალავანო, მაგრად დადეგ,
თორემ მტერი ოიკარი,
შენ გიყურებს, თვალითა გპამს,
ეშხიანი სროსტანი!..

ყიჟინა — მიდი, დასცხე!
— შენია, კომბალი ჰაერში მიფრინავს! (ერთი კომ-ბალს დააგდებინებს მეორეს)
— ეაშაა! შენი ქირიმე, რომ გვასახელე!

თადო — მეხუთე ბრიგადამ გადმოიყვანოს შემდეგი!

ხმაური — მზად არის! (წინ გამოაგდებენ ერთ მწყემსს)
— არ ივარგებს, მესამეს ტოლი არა ჰყავს!
—ტოლი მოძებნეთ!

თადო — არის! მე თვითონ გადმოვალ! (გადმოხტება კომბლით) ეაე-კაცი ერთი სჯობია უამრავ ქალაჩუნასა! რაღას უყურებ, დაჰ-კარ!

მწყემსები — მობრძანდი! (იწყებენ ბრძოლას. სიმღერა სრული ხმით)

ჯიხვების ნაკალს მისდევდი,
ორბი-არწივი ჰკიოდა!
ციდან პირქუში ღრუბელი
შენს თავზე გადადიოდა!
შენი ხმა, ომახიანი,
სოფელში ჩამოდიოდა!

ყიჟინა { — ძირში ნუ სცემ, წვერს უმარჯვე!
—ხელში არ მოარტყა, დამარცხებად ჩაგეთვლება!

დათო — იმარჯვე და გამახარებ! (იბრძვიან)

| — მაგარია, როგორც მუხა!

ყიჟინა { — დაჰკარ!
— ეგ არის, მორჩა!
— კომბალი ჰაერში გაფრინდა!
— ვაშაა!

თადო — (დააგდებინებს კომბალს) ძმებო! მესამე ბრიგადას დღეს ორი კაცი აკლია, მაგრამ მაინც ვიმარჯვეებთ! ასეა თუ არა?

ყველა — ეგრეა, ეგრე!

თადო — წყენა ხომ არავის ჩარჩა გულში, ხომ ისევ ძმები ვართ?

ყველა — ძმები ვართ!

თადო — მაშ თუ ძმები ვართ, ხელებიც ძმურად გავშალოთ, ვაჟკაცს ბრძოლაში გარჯა შვენის, ბრძოლის შემდეგ კი ლხინი!

ჯიჟინა — მიდი, მისცხე საცეკვაო!

თადო — დოყლაპიავ, ჩქარზე გადადი! (მღერიან იმავ კილოს, მხოლოდ ძალზე ჩქარი ტემპით) დასცხეთ, ბიჭებო! საქმე დროსა ჰკლავს, დრო კი უსაქმობას! ჩვენი საქმე ახლა ლხინია (თანდათან ყველა ებმის ცეკვაში. ტემპი ძლიერდება)

გაღმა-გამოღმა ბალები,
ზედ დაჰხვევიან ქალები,
ერთი შეხედეით შევატყობ,
რომელსაც შეევბრალები!

დათია — (შემორბის კომბლით ხელში) ოჰო, მშვენივრად ატარებენ დროს! (შეკუვირებს) ეს რა ჩარბუზანა ჩაგიბამთ? (ყველა ერთ ადგილზე გაშეშდება. სიმღერა შეწყდება)

თადო — რა ნახე ისეთი, რომ ამოდენას ყვირი? თვითონ ფირანი ყოველდღე გვავარჯიშებს. სირბილში, ხტომაში, კომბლებით ბრძოლაში!

დათია — ბინა განახევრებულია, ზოგი თივას ეზიდება, ზოგი ფარეხებს აკეთებს, ზოგიც წისქვილშია! თქვენ კი აქ დღეობა გაგიმართავთ და ცხვარი ალალბედზე მიგიყრიათ!

მწყემსები { — გამოჩნდა ერთგული კაცი!
— ნეტავ შენ არ მიჰყრიდე ხოლმე და ჩვენ რაც გინდა დაგვემართოს!

დათია — ოჰ, თქვე ლირფებო! გამგე სოფელში წავიდა, რომ ქორწილი გადაიხადოს და თავი აიშვით?

მწყემსები — რა შენი საქმეა, ჩვენც იმის ქორწილს შევხარით!
— ზედ ღვინოსაც გადავკრავთ, აქედან ვუსურვებთ ბედნიერებას!

დათია — თქვენმა სიცოცხლემ! აქ რომ ერთი ცხვარი დაიკარგოს და იქ იმან გაიგოს, მაშინვე ყველაფერს თავს მიანებებს და გამოიქცევა! ქორწილსაც ჩააშხამებთ და სატრფოსაც!

თადო — მოიცა, მოიცა... შენ როდის აქეთ გახდი ფირანის ერთგული?

დათია — რაკი ესეც არ გესმით, სინდისთან ერთად ვაჟკაცობაც დაგიკარგავთ და ჩვენი ხალხის წმიდათა-წმიდა ჩვევაც! როგორც არ უნდა მოსისხლე მტრები ვიყვნეთ, ამ მტრობას ვივიწყებთ ხოლმე, ერთი — გლოვაში და მეორე — ქორწილში!

მწყემსები — ამას კი მართალს ამბობს!
— ამ ათიოდე დღის წინ გზაში რომ სხვანაირად ჭიკჭიკებდი, ის რაღა იყო?

დათია — იმან გაიარა, წავიდა! მთვრალი ვიყავი და ავუწვერდი. სულგრძელი კაცია და მაპატია! მაგრამ თქვენ? აგერ რომელი ფარა გაფანტულა!

მწყემსები — მეხუთე ფარა გაფანტულა, ბიჭებო!
— ჩვენია, მივხედოთ, გვეყო ყბედობა! (მწყემსების ერთი ნაწილი გარბის)

დათია — (უკან მისძახის) ამაღამ თვალი არ მოხუჭოთ, ფხიზლად იყავით! ასე! ახლა ჩვენც...

თადო — დათი, ვერ დაგიმალავ, ახლად დაბადებულივით მეჩვენები და რაღაც არ მომწონს!

დათია — ჰმ! სახელგატეხილს თავგატეხილი სჯობიაო! ჩემი რომ გახსოვთ, თქვენ არაფერი წამოგცდენიათ?

ყველა — მაინც რა?

დათია — ამ გაზაფხულის ამბები მოიგონეთ, კინაღამ მესამე ბრიგადა რომ დაიშალა! სამოცდათოთხმეტი ბატკანი გახსოვთ?

თადო — ტყუპი რომ გაჩნდა, იმაზე ამბობს!

მწყემსები — გეგმით თითო დედა ცხვარზე, თითო ბატკანი უნდა გავზარდოთ; რაც მეტია გავიყოთ!
— მაგაზე შენ ატეხე დავიდარაბა!

დათია — ჰო, მეცა ვთქვი! აი, თადომაც მხარი დამიჭირა!

თადო — დაგიჭირე, მაგრამ რომ დავფიქრდი, ბატკანს ისევ პატიოსნება ვარჩიე! წლის ბოლოს ჩემს წილად რასაც მივიღებ, ისიც მეყოფა-მეთქი!

დ ა თ ი ა — აბა სხვაც მოიგონეთ, რაზედაც თქვენ ხშირად ბუზღუნებთ ხოლმე! ყველას ჩვენ ვაკეთებთ და სტუმარი რომ გვეწვიოს, გარეთ გავრბივართ სასყიდლადო!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— მერე და რა მოხდა?
— საერთო ქონებაში ყოველ წუთს ხელს ვერ აურევ. ამით რა გინდა?

დ ა თ ი ა — არაფერი! მარტო ჩემი რომ გახსოვთ, თქვენიც მოიგონეთ-მეთქი! ჰოდა, სიფხიზლე გვმართებს, ეს არის ახლა სოფლიდან ამბავი ჩამოიტანეს, რაიკომს კომისია გამოუყვია!

ყ ვ ე ლ ა — მერე რომ გამოუყვია?!

დ ა თ ი ა — მერე ის, რომ ფხიზლად ვიყვნეთ-მეთქი! ერთი ქეციანი თხაც რომ დავკარგოთ, ფირანს პასუხს მოსთხოვენ, სამუღამოდ გაამწარებენ; ჯერ დასაბინავებელი იყავით, ყველაფერი არეულ-დარეული გქონდათ, შენ. კი პირად ბედნიერებას გადაჰყე, ქორწილი გაიჩაღე და საქმე წაახდინეო!

თ ა დ ო — შენს მეტს ეგ აზრად ჯერ არავის მოსვლია!

დ ა თ ი ა — როცა სხვებსაც აზრად მოუვათ, მაშინ ეღარაფერს ვუშველით!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — რა ვქნათ, რა გავაკეთოთ?

დ ა თ ი ა — ჩვენი ბრიგადიდან ორი თივას ეზიდება, სულ ხუთიღა დავრჩით, მაგრამ ორი კაცი კიდევ უნდა გამოვყოთ, ტყეში წავლენ ხე-ტყის ჩამოსატანად, ფარეხი შესაკეთებელია, საქმეს რომ წინ წავიგდებთ, დაგვიმადლებენ!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— არ ივარგებს!
— ამინდი ირევა! ნადირს და ათასგვარ ხიფათს სამი როგორ გაუმკლავდება!

დ ა თ ი ა — (უცებ შეჰყვირებს) მე ვარ ბრიგადირი, თუ თქვენ? გიბრძანებთ, უნდა გააკეთოთ! (ისევ დამშვიდდება) აი, კომბალიც თანა მაქვს და ნაბადიც, მესამე ფარას არც დღე, არც ღამე მე თვითონ არ მოვშორდები!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— არა. აბა, რა გვეთქმის? საქმე რომ წინ წავიგდოთ, ამას არაფერი ემჯობინება!
— ტყეში გავლას რა სჯობია, მაგაზე ვინ იტყვის უარს?

დ ა თ ი ა — ჰოდა, თქვენ ორნი წახვალთ! წელსღა დაგვჭირდება ფარეხების შეკეთება, მერმის კი ფირანის მოთხოვნით ორსართულიან სახლს ავაშენებთ, მშვენივრად მოწყობილი აბანოთი, გომებით და ბაკებით! ხვალ-ზეგ ინჟინერი ჩამოვა, გეგ-

მას შეადგენს! ფირანს თუ დასცალდა, მალე აქ ბალ-ბოსტან-ვენახებსაც გააშენებს, მიდი და მერე უყარე კაკალი! ენამ მიყივლა და იქნება მართლაც დაჰკიდონ მედლებიც, ორდენებიც, ეგებ გმირიც დაარქვან... აბა, რაღას უდგეხართ? გასწით ბინაზე, პური გამოაცხეთ, ცულები და წალდები დალესეთ!.. რას უყურებთ? ცხვარი ხომ არ ვაიფანტა?

მწყემსები { — ცხვარი კი არა, აბა გაიხედე!
— სოფლიდან ვიღაც მოაქროლებს თეთრონს!

დათია — (წამოხტება) თეთრონსო? სხვა ვინ იქნება, თეთრი ცხენი მხოლოდ იმ ლაწირაკსა ჰყავს! (ყვირის) ჰეი, აქეთ! აქეთ! მოიცათ, ბიჭებო, ჯერ ნუ წახვალთ! ნეტავ არ მინდა ცარიელი მოსულა! იქ თუ ქორწილია, ჩვენ აქ მშივრები დავიხოცოთ? მოდი, ბიჭო, რაღას დადექი?

გაბოს ხმა — დრრ, შე ვერანავ! აქ თხრილია, ვერ გადმოვალ!

დათია — ჩამოხტი, ხურჯინი გადმოაგდე! ეგრე! აბა, ბიჭებო, ეცით, აქამდე მოათრიეთ! (ორნი გარბიან. შემოდის გაბო, შემოაქვს ხურჯინი)

გაბო — გამარჯობათ!

დათია — გაგიმარჯოს, გაბრიელ! აკი ხვალ უნდა გამობრუნებულიყავი უკან?

გაბო — უფროსმა არ გამიშვა, ბინაზე ხალხი გვაკლია, გული ცუდს მეუბნება და თუ რამე მოხდა, მერცხალივით ჩემსკენ გამოფრინდიო!

თადო — აჰა, ხომ გესმით? მე წვეთსაც არ დაველევ!

დათია — ნამდვილი სულელი ყოფილხარ, თუ გგონია, რომ კოლმეურნეობისაა! თქვი, გაბრიელ, ვინ გამოგატანა?

გაბო — მამაშენმა ჩამისხა ტიკში და თანაც სიტყვა დამაბარა!

დათია — რა სიტყვა?

გაბო — დალიე, ღმერთმა შეგარგოს, მხოლოდ შენებურად არ გაცოფდე, ენა არ გაიმწაროო!

დათია — ბრიყვო! უჯიშოვ! ხომ არ გინდა ალიაყური გამოშტყუო?

გაბო — მინდა, როგორ არ მინდა!.. უმადურის მადლობა ალიაყურია! მაგ უკუღმართობით რასაც მოიგებ, ბოლოს გაიგებ! (გარბის)

დათია — წაქეზებული ჰყავს, სულ პირში მებმის! აბა, ბიჭებო, დასხედით! აჰა, ხომ ვთქვი: ხურჯინში უანწიც არის, მოხარშული ვარიაც, მწვანილიც და ხილიც!

მწყემსები { — ისე გამოდის, მწვადილა გვაკლია!
— დაასხი, გეიანდება!

დ ა თ ი ა — მწვადზე უკაცრავად, ბიჭებო! დიდი მოვალეობა გვაწევს: ჩვენი ვალია დაზრდა, დამკვლელი კი სხვა არის, ვიღაცა!

თ ა დ ო — რაო, როგორა თქვი?

დ ა თ ი ა — დაველიოთ! ეს იმ ქვევრის ბარაქას გაუმარჯოს, საიდანაც ეს მადლიანი ჩაუსხამთ! (დალევს, თადოს) გამომართვი!

თ ა დ ო — ყველას და ყველაფრის ბარაქას გაუმარჯოს! (დალევს) იფ! რა ღვინოა ეს დალოცვილი, უცებ შემათბო! (მწყემსებს) თქვენი ჯერია!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— ცისა და მიწის მადლს გაუმარჯოს, რასაც კი ხალხის სიკეთე მოაქვს! (დალევს)
— ერთმანეთის სიყვარულს გაუმარჯოს, რაც ჩვენ გვასულდგმულებს! (დალევს)
— ვაჟკაცურ პატიოსნებას ვენაცვალე, ყველა მადლი იმისგან მოდის! (დალევს)

დ ა თ ი ა — მიირთვით, შეგერგოთ! ჩვენებურად, მწყემსურად, ქათამი ხელით დაგლიჯეთ! (დაასხამს) ეს ოხერი, წინათ ორი რუმბი რომ დამეცალა, მაინც ფეხზე ვიდექი, ახლა კი ორი ყანწიც მერევა, ნეტავი სიბერე ხომ არ მეპარება? ცხვარს, ცხვარს გაჰხედეთ, არ დაგვეფანტოს; თუმცა...

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— ნუ გეშინიან, თვალი გვიჭირავს!
— მთელი ფარა ჩვენსკენ მოგოგმანებს!

დ ა თ ი ა — (უცებ სიცილი წასქდება) ხა! ხა! ხა! თედო, რა კარგად მიახალე იმ დღეს იმ ავყია ლევანს: ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და მაწონი — ძაღლსაო!

თ ა დ ო — ბიჭოს! ჩემს კომბალზე დავა დამიწყო! მეც ავდექი, მივამტვრიე, ცეცხლს მივეცი და ეგ ანდაზაც ზედ დამბაჩასავით დავახალე!

დ ა თ ი ა — კაცს მარჯვედ თქმული სიტყვა ყოველთვის დაგახსომდება. ამას წინათ ფირანმაც ბრძნულად დაჰკივლა მწყემსებს: დიდი ხე დიდი ცულით უნდა მოიჭრას, ნაჯახით ვერაფერს გახდებითო!

თ ა დ ო — მაგას რაზე ამბობ?

დ ა თ ი ა — რაზე და... აი, ჩვენზე! რა გამოვიდოდა, მარტო ცხვარს რომ ავყოლოდით? ახლა კი თივაც მოზიდული გვექნება, როშიც დაფქული, ხე-ტყეც ჩამოზიდული და „ყოჩაღ, ბიჭოს“ გვეტყვიან, დაგვიმადლებენ! მოდით და ანდაზების სიბრძნეს გაუმარჯოს!

თ ა დ ო — კმარა, დათი! წყალი წყურვილს ჰკლავს, ღვინო კი, რამდენსაც დალევ, იმდენი უფრო მოგაწყურებს!

მწყემსები — ჩვენც წასასვლელები ვართ!
— დილით ბინდბუნდზე უნდა გავუდგეთ ტყის გზას!

დათია — თითოც, ბიჭებო, თითოცა! (დასხამს. ყანწი ხელში გაუშვდება, გარემოს დაშტერდება) აბა, გაჰხედეთ, ძმებო! რა ლაღი, რა გაშლილი, რა წარმტაცი ქვეყანა გვაქვს, მაგრამ ეს ტიალი გული კი არა ლაღობს! ისე მძიმეა, როგორც სველი მიწა, როგორც საფლავის ქვა! (უცებ აჩქარებით) ჰოდა, ხათრს ნუ გამიტეხთ! ჩვენს მარჯვენას გაუმარჯოს, ლუკმას ეს გვაჭმევს! (დალევს. თადოს) მოაყოლე!

თადო — გაუმარჯოს! (დალევს, გადააწოდებს)

მწყემსები — ჩვენი მხრიდან ყოველდწვიდაც შეგეწიოთ!
— თუ დროზე არ ვიზრუნეთ, არ ივარგებს. გაუმარჯოს!

დათია — კარგს იზამთ! რაკი ტყე გიჯობთ, წადით! (ორნი გადიან) ტიტე! ცხვარი გაფანტულა, გასწი, შეაგროვე და ისევ მოდი! (მესამეც გარბის) ჩვენ კი თითოც...

თადო — არა, გვეყოფა! ღამდება, ცხვარი არ გაგვეპაროს!

დათია — (შეჰყვირებს) როცა ადამიანი გელაპარაკება, ცხვარს ნუ მიხსენებ! (უცებ დამშვიდდება) ცხვარს რა უშირს, ბიჭო? სად ეშმაკში წავლენ? ხამ ადგილზე ხომ არ არიან, ეს ადგილი და ეს გარემოცვა მაგათი სამშობლოა! თუ ბალახი აქვთ, ძალითაც რომ გარეკო, არსად წავლენ! მარტო მაგათი ბალახია თავისუფალი, ხელს არავინ წაატანს, პირიდან არავინ წაგლეჯთ, ცარიელზე არავინ დასვამთ, მაშ სად ეშმაკში წავლენ?

თადო — სამნიღა დაერჩით, სიფხიზლე მაინც გვმართებს, კაცო!

დათია — მერედა, შე უსინდისო, იქ ასკეცი და ასი მხარი სუფრა იშლებოდეს და შენ აქედან ერთ საღღეგრძელოსაც არ შეაწევ? დავლიოთ, ბედნიერება ვუსურვოთ. ღვინო კი არა, ბადაგია!..

მეოთხე სურათი

ახალი ორსართულიანი სახლი, ნორჩი ხეხილით და ყვავილებით შემოქარგული. გარეთ ივანზე მოჩანს მაგიდები, ქალები სუფრას შლიან, ხონჩებს და სინებს დაარბენინებენ. ეზოში მცირეოდენი ხალხი ირევა. ზოგი კიბის საფეხურებზე შემდგარა და გზას გაჰყურებს.

ქიტა — ჩემო რძალო, ყანწები არ დაგავიწყდეს! რა ეუყოთ, რომ უბრალო ქორწილია, ძვირფასი საღღეგრძელოები მაინც ითქმის! „ტყეში ფოთლების შრიალი, სუფრაზე ყანწის ტრიალი!“ ფი, რა მიყვარს მე!

ნ ე ს ტ ა ნ ი — (შემოდის) ქალებო, კარგად დაათვალიერეთ მაგიდები, არსად არაფერი დაგვაკლდეს, არ შემარცხვინოთ!

ქ ი ტ ა — ცოტა დაგესვენა, ჩემო რძალო, ამაღამ გათენებამდე დაგჭირდება ტრიალი, გუშინ და დღეს მუხლი არ ჩაგიხრია!

მე შენზე ფიქრი მაწუხებს,
ჩემმა სიყრმემ და ძმობამ!
გადაგიყოლა სამი დღე
შოთ-ნაზუქების ცხობამ!

ნ ე ს ტ ა ნ ი — რა არის, ჩემო მაზლო, სად მოგისწერია? რაკი სახელდახელო ქორწილია, ამიტომ პატივი აღარ უნდა ვცეთ?

ქ ი ტ ა — მარანში შეველ — რა ენახე:

ღვინო ქვევრებში ღვიოდა!
თქვენ რომ გესმოდათ მაყრული,
ჩვენი ხმა გამოდიოდა!

ყ ი ჟ ი ნ ა — მისცხეთ, ქიტა პაპა!
— კიდევ ლექსი, კიდევ!

ქ ი ტ ა — ქორწილში ლხინი გვიხდება,

სიმღერა, ცეკვა-თამაში!
ზემზე სულელი იქნება,
ვინც გამამტყუნებს ამაში!

ძ ლ ი ე რ ი ყ ი ჟ ი ნ ა — კიდევ, კიდევ, ქიტა პაპა! (სიცილ-ხარხარი.)

ქ ი ტ ა — გუთანი დოვლათს მოგვიტანს

მტერს მოგვაშორებს ხმალიო,
ვინც ხომ ღვინოსაც გაუძლებს,
ის არის ქვეყნის თვალიო!
შხამი-სამსალაც ვერ გამტეხს,
მომეცი, კიდევ დაველიო,
ჩემსას გთხოვ — არ მინატრია
მე სხვისა ნასუფრალიო!

ხ მ ა უ რ ი — შენ გენაცვალე, მოხუცო!
— ლექსი წყაროს წყალივით მორაკრაკებს!

ნ ე ს ტ ა ნ ი — გესმის თუ არა, ადამიანო! საქმე არც თუ ძალიან კარგად უნდა იყოს, ამაზე რატომ არ ფიქრობ?

ქ ი ტ ა — მე არ ვფიქრობ? მე? გესმით ხალხნო! უჩემოდ კი ფირანი არც ერთ დიდ საქმეს არ წამოიწყებს ხოლმე! კომკავშირში რომ შევიდა, ჩემი ჭკუით მოხდა! პარტიაში რომ მიიღეს, ლხინის სუფრაზე მე ვყავდი თამადად! ფერმის გამგედ რომ დანიშნეს, უჩემოდ ცხვარი არ ჩაიბარა!

ყიჟინა { — მოდიან! მოდიან!
— „პობედა“ და „მოსკვიჩი“ აირია!

ნესტანი — ქალებო! შარბათი მომაწოდეთ, ცარიელი ჯამიც! დატრიალდით, თაიგულებით შეხვედით! (მოძრაობა)

ხმაური { — საბარგო ავტომობილზე დაუსვამთ დამკვრელები; (მოისმის დაკვრის ხმა)
— წინ „მოსკვიჩი“ გამოუშვეს, მახარობელი იქნება!
— მახარობელი! მახარობელი!

იასონი — (შემოდის) მოვდივართ, მოგვიყვანია,
ამ ჭერსაფარის მშვენება,
მოხუცი მახარობელი
კაცად თუ მოიხსენება!

ქიტა — მახარობელი მინახავს
ელვარე სწრაფი ცხენითა;
შენ რად მოსულხარ, ბებერო,
მაგ თეთრი წვერის რხევითა?

იასონი — ახალგაზრდებმა არ იციან მახარობელი რის მაქნისია და ისევ მე გავიხსენე, მანქანით წინ გამომიშვეს!

ნესტანი — რაკი მომსვლელმა გაიხსენა, დამხვდურმაც უნდა უპასუხოს! მომაწოდეთ ბაღდადი, აივნის ბოძზე ჰკიდია! (მოაწოდებენ. გარეთ მაყრულს წამოიწყებენ, დაკვრის ხმაც ისმის) აი, ესეც სამახარობლო! (შეაბამს მკლავზე) ღვინოც მოართვით, დაილოცოს! (მოართმევენ)

იასონი — იდღეგრძელონ! იბედნიერონ! ნუმც მოჰკლებიათ ნურასოდეს ნურც ნათლობა, ნურც დღეობა, ნურც ლხინი, ნურც ქორწილი და ნურც გაშლილი სუფრა!

ხმაური { — ყველა გადმოვიდა ნანკანიდან!
— მთვარისაა ნათესაობა რა ცოტა მოსდგეს?

ნესტანი — აბა, სადა ხართ, ახალგაზრდებო, ცარიელი ჯამი და შაქარწყალი მომაწოდეთ!

ქიტა — მოდიან, გვირგვინს ვერ ვხედავ,
დედავ, გაუღე ჭიშკარი!
ნატრობდი მზეს და მთვარესა,
მოუყვანიათ, ის არის!

ნესტანი — სულ ასე საბედნიეროდ, სულ ასე საკეთილოდ იხსენებოდეს თქვენი სახლის ჭიშკარი, შვილებო! (სიმღერა სრული ხმით. გამოჩნდა ნეფე-დედოფალი, სხვები მოსდევენ სიმღერითა და ყიჟინით)

ხმაური { — ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს!
— იხარონ, იბედნიერონ!

ნესტანი — იხარეთ და მეც მაცოცხლეთ, შვილებო, თქვენი ბედნიერებით! (ორივეს ჰკოცნის)

იასონი — (ჯამს დაუდებს წინ) ჯამს ფეხი დაჰკარ, ნეფეო!

ფირანი — აფსუს, რა ჯამს მატეხინებთ ტყუილ-უბრალოდ! (დაჰკრავს)

ხმაური { — ჭახანი მოიღო! ბიჭი ეყოლებათ!
— გაეზარდოთ, ნაღდად ბიჭია!

იასონი — სუფრა გაშლილია, მაგრამ ბევრი აგვკიდა მოხუცმა აბრიამ, დედოფლის სასახლიდან წამოღებული ტვირთი! ახალგაზრდებო, ხომ არ გსურთ ამ ეზო-ყურეზე მოიხსნათ ფეხის ცერებზე ტრიალით?

ყიჟინა — გვინდა, გვინდა! დაუკარით! სიმღერა შემოსძახეთ!

ქიტა — აბა, ჩაუქნებო, წინ გამოდით, მოხდენილნო, გვერდს გაჰყევით! (საერთო მხიარულებაა, ცეკვაენ)

ნესტანი — ჩემო კეთილნო, ჯერ სუფრა დამიმშვენეთ, მერე ლხინი მომიკითხეთ!

ქიტა — აბა, სუფრასთან ყველა! ნეფე-დედოფალი წინ გაიმძღვარეთ და მაყრული შემოსძახეთ!

ფირანი — ჩემო სიცოცხლეე, ახლა კი მოეღო ბოლო ჩვენს ტანჯვას, ამ ქორწილს ვეღარავითარი ძალა ვერ ჩაშლის!

მთვარისა — ოჰ, რა ბედნიერი ვარ, ჩვენ ამას იქით ერთი წუთითაც აღარ დავშორდებით ერთმანეთს!

ფირანი — (თან მიდიან კიბისაკენ) დედი, რატომ ვერ ვხედავ სტუმრებს რაიკომიდან და რაიაღმასკომიდან? არც ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩანს!

ნესტანი — ასე შემოთვალეს — თათბირი გვაქვს, შეიძლება გვიან მაინც შემოვიაროთო!

ფირანი — ჰმ! მოიგონეს თათბირები, სახელდახელო ქორწილი არ იკადრეს!

ქიტა — აბა, დავსხდეთ და ჩვენს საქმეს შევუდგეთ! (სხდებიან) ხალხნო! ჯამაათნო! ვიდრე ამ მსხვილ ყანწს შევებმით, სუფრას თავი უნდა მოებას! უნდა დამიჯეროთ: ომსაც და ლხინსაც ერთი ჭკუა უხდება!

ფირანი — ბიძაჩემო, მე სიტყვის პატრონი ვარ, თამადად გასახელებ! დაიწყე და გაგვიყვანე ბოლომდე! ასე აჯობებს, მეგობრებო!

ხმაური — ეგრე იყოს! გაუმარჯოს! ძალიან კარგია!
— ქიტას გაუმარჯოს! კეთილად ზიდოს თავისი ტვირთი! (სვამენ)

ფასონი — ბიჭებო, ერთი ვაქკაცური სიმღერა შემოსძახეთ, თამადას ფრთები შევასხათ! (მღერიან „ბერიკაცს“ ან სხვა რამეს)

ქიტა —
ომში ხმალი ს

კოლმეურნეს გამრჯე მარჯვენა და შეუპოვარი გული დაუდგენს! ამ მხრივ თქვენ ყველა იცნობთ ჩვენს ნეფეს, მთელს რაიონში ბადალი არა ჰყავს...

ფ ი რ ა ნ ი — (თვალს მოკრავს გაბოს) ჭოიცა, ბიძაჩემო...

ქ ი ტ ა — რა გემართებათ? სიდარბაისლე სად დაკარგეთ? სადღეგრძელო მათქმევინეთ!

ფ ი რ ა ნ ი — მოვალ, ახლავე მოვალ, ბიძაჩემო! (ციბეზე ჩარბის)

ქ ი ტ ა — მე ჩემსას ვიტყვი და შენ გინდა ზეცაში იფრინე! მოკლედ, მეგობრებო, მარტო შრომით ხომ არ არის ქებული, აბა, გადახედეთ: კაცს გული გაგეხსნება, გიამება, რომ სიცოცხლე ასე ლამაზი და მშვენიერია! ერთი ვეფხვია, მეორე კი უმანკო მტრედი, ერთი ვარდია სურნელოვანი, მეორე კი ხმალია მტრის მზარავი! ჩვენს ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს!

ხ მ ა უ რ ი — — გაუმარჯოს, ცას ნეა ერდნენ!
— იბედნიერონ! იხარონ! (წაიოდგენიან)

ფ ი რ ა ნ ი — (გაბოს) შენ აქ რამ მოგიყვანა?

გ ა ბ ო — მაპატიე, რომ ასეთ დროს... მაგრამ უბედურება დაგვემართა...

ფ ი რ ა ნ ი — (ხელს სტაცებს, მიწას მოსწყვეტს) რაო? გაიმეორე! მაგრამ აქ ხალხია... მომყე! მომყე-მეთქი! (გაპყავს)

ხ მ ა უ რ ი — — ნეფე სად არის!
— ფირან, სად დაგვეკარგე! სადღეგრძელოს ნუ გვალოდინებ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — რაღაც მოხდა, კიდევ იმ ბიჭს მოეკარი თვალი!

ქ ი ტ ა — ნეფე საჩუქრებს გვიმზადებს, სიმღერით დაეხვდეთ ამაგდარს!

ყ ი ე ი ნ ა — ომახიანი, ვაჟკაცური სიმღერით! (მღერიან „ჩაკრულოს")

ფ ი რ ა ნ ი — (შემოვარდება. უკან მისდევს, გამოჩნდება ნესტანიც) ცხენი ეზოს გარეთ, შარაზე გაიყვანე! ჩქარა, ნუ იზლაზნები! (შეჰყვირებს) მეგობრებო! უნდა მაპატიოთ, უნდა შემინდოთ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — (შეკივლებს) ფირან, მიდიხარ სადმე?

ქ ი ტ ა — გაჩუმდით, გამაგებინეთ! რა. მოხდა, ბიჭო?

ფ ი რ ა ნ ი — ძმებო, ხიფათი მაიძულებს და არა საქმე! კოლმეურნეობის ზეინებს რომ ცეცხლი წაეკიდოს ან პურის ხვავებს ნიაღვარი რომ მიუვარდეს, ხომ ყველა წამოიშლებით და საშველად გასწევთ?! ჰოდა, იმაზე უარესი ამბავია, მხოლოდ ახლა ერთი კაცის მეტი საჭირო არ არის და ეს ერთი კაციც მე უნდა ვიყო, სხვა ვერ ივარგებს! დაწერილებით თავის დროზე

გაიგებთ! მე კი თითოეული წამი სიცოცხლედ მიღირს, შემინდეთ და მაპატიეთ, ძმებო! (მირბის)

შ თ ვ ა რ ი ს ა — მოიცა, ფირანი, მოიცა-მეთქი... (მიირბენს მასთან)

ფ ი რ ა ნ ი — ჩემო სიცოცხლევ, უნდა გამიგო, თუ დროზე არ მივხვედე, წლობით ნაამაგდარი წყალს მიაქვს!

შ თ ვ ა რ ი ს ა — თუ ისეთი არაფერია, სუფრას ნუ აშლი!

ნ ე ს ტ ა ნ ი — ხვალ წადი, ერთი ღამე გინდ აქეთ იყოს, გინდ იქით!

ფ ი რ ა ნ ი — ოოჰ, როგორ მაგვიანებთ! აგერ ცხენი შარაზე გაიყვანა... ძმებო, მეგობრებო! კიდევ ერთხელ გთხოვთ. გემუდარებით გამიგოთ: ჩემი ქორწილი ხალხის დოლ-ალთან სახლენებელიც არ არის, საქმე მოიცდიდა, მაგრამ ხიფათი წუთში ნთქავს სიცოცხლეს, ნეტავ დაგვიანებულიც არ იყოს და სხვას არას ვჩივი, მაპატიეთ! (გარბის)

ძ ლ ი ე რ ი ყ ი ე ი ნ ა — სად მიხვალ, გაგვაგებინე!

შ თ ვ ა რ ი ს ა — რატომ არ მოვკვდები! ამბობდა ჯერ დრო არა მაქვს, დასაბინავებელი ვარო და ჩვენ ვაიძულეთ!

ნ ე ს ტ ა ნ ი — უქუდოდ და უნაბდოდ გაეარდა! რაღა მეშველება? მგონია წვიმას აპირებს, იორიც თურმე აზვირთებული მოდის! შვილო, მოიცა! რაღა დროს, — ცხენი ადგილს მოსწყვიტა! (ცხენის ფეხის ხმა. ყველა გაშტერებული გაყურებს მის გზას)

ქ ი ტ ა — გამოეშტერდი, ვეღარაფერი მითქვამს, ხალხო! მართლა გაიქცა? ჩემო რძალო, შენ მაინც გეტყოდა, სად წავიდა?

ი ა ს ო ნ ი — გაბოს მოვკარ თვალი, დაუძახეთ, ყველაფერს ვათქმევინებ!

ნ ე ს ტ ა ნ ი — (ეძახის) გაბო! არ გესმის, შვილო? (მეძმოდის გ ა ბ ო)

ი ა ს ო ნ ი — რა მოხდა, ბიჭო, სად გააქციე ფირანი?

გ ა ბ ო — გუშინ, განთიადის ხანს, ერთი ფარა ცხვარი დაიკარგა!

ი ა ს ო ნ ი — რომელი ფარა, ბიჭო? ან ვინ მწყემსავდა?

გ ა ბ ო — დათია მწყემსავდა, სხვები დაეთხოვნა! მესამე ფარა დაიკარგა!

ი ა ს ო ნ ი — მესამე? დედა ცხვრის ფარა? ჯიშიანი, მარტო ჩვენი ფერმის კი არა, მთელი რაიონის იმედი?

გ ა ბ ო — უკუნეთი ღამე ჩამოწოლილიყო, ნიავს გაჰყოლოდნენ, ვერ გაეგო!

ი ა ს ო ნ ი — ნიავს გაჰყვა უკუნეთ ღამეში? მეც არა ვთქვი, მტროებით დაკარგეს-მეთქი! ხომ ეძებეთ, ვერ იპოვეთ?

გ ა ბ ო — გუშინ და დღეს თექვსმეტი კაცი ეძებს და უბოლო კვალიც ვერ აღმოვაჩინეთ, სწორედ ამიტომ გამომგზავნეს, ფირანს შევატყობინოთო!

ხმაური
— აი, საქმე თუ გინდათ ეს არის!
— ნეფე შინდორში წასულა!
— გათენებამდე ძლივს ჩააღწევს ბინამდე, აქ რაღა მოიყვანს?

ია ს ო ნ ი — ვიცი, კარგად ვიცნობ, ვიდრე თავის საქმეს არ გააკეთებს, აქ ვეღარც ნახავთ!

ხმაური
— არ უნდა წასულიყო, ერთ ღამეში არაფერი დაშავდებოდა!
— ხიფათმა წაიყვანა! შოშრაელებას წლები სჭირდება, დაღუპვას კი წუთიც მოსჭარბდება!
— ნეფე აღარ ეყავს, ვის უხდით ქორწილს, ხალხო? წაგიდეთ! (წასვლა)

ნ ე ს ტ ა ნ ი — ნუ! ნუ, ჩემო კეთილნო! ნუ აიშლებით, ფირანი წაეიდა, მაგრამ სუფრა თქვენ დაგიტოვათ!

ქ ი ტ ა —
გარდამხდა გარდასავალი,
სხვას უარესსა მოველი!
დაე, უნეფო ქორწილიც
იყოს სიკეთის მთოველი!

ია ს ო ნ ი — ის წავიდა და ბინის ხალხმა. აქ ვართალალო ეიძახოთ? არასოდეს! მე აქ რაღა დამაყენებს?

ხმა'ური
— მართლაცდა საჭმე ფუჭდებოდეს და ჩვენ აქ ვლხინობდეთ, სადაურია?!
— გზა! მე აქ დამდგომი აღარა ვარ, უნეფოდ ქორწილი სად გაგონილა? (ბიდიან)

ა ნ ი კ ო — ჩვენებურები ყველანი წავიდნენ, მეც უნდა გავყვე, მაპატიე, მთვარისა!

მ თ ვ ა რ ი ს ა — მერედა მე აქ რისთვის დავრჩე? დედაჩემს ქორწილის ჩაშლის ამბავი სიცოცხლეს მოუსწრაფებს, იმას ჩემს მეტი ვერავინ დაამშვიდებს...

ნ ე ს ტ ა ნ ი — რატომ არ მოვკვდები! დედოფალი ასე უცებ ფეხს უკან იბრუნებს? მე არ გაგიშვებ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — მაპატიეთ, დედამთილო! თუ არ წაველ. ჩაშლას ვინ ჩივის, ქორწილის სუფრა გლოვის სუფრად გადამექცევა! დედაჩემი თუ ელდამ არ გააქრო, ხვალვე უკან დავბრუნდები! (საყვირის ხმა) გვეძახიან! მომყე, ანიკო! (გადიან)

ნ ე ს ტ ა ნ ი — მოხუცს გაუფრთხილდი, შვილო! სიტყვა თანდათან შეაპარე! ხვალ გელი, უნუგეშოდ ნურც მე დამტოვებ! (მანქანის ხმაური) წავიდა, ეგეც გამექცა! წყალი... წყალი დამალევინეთ!.. (ჩაიმეხლებს)

ფარდა

მესამე მოქმედება

მეხუთე სურათი

ფარეხი. ლასტის კარი უერთამდე ღიაა, მის წინ მოჩანს გამლილი ეზო. თავხეზე ქვაბი ჰკიდია და ქვეშ ცეცხლი უნთია. ლ ე ვ ა ნ ი ჩონგურს უკრავს და ნელი ხმით დამღერის. შ ა ნ შ ე ნახაზებს ჩაკირკიტებს.

ლ ე ვ ა ნ ი — (მღერის)

მოჩვენება ხარ ნამდვილი,
ლამის დაეკარგო გონება!
კაცი ახლოს ვერ გაბედავს,
შორიდან გეამბორება!
რა დედამ გშობა, რა მამამ
აღგზარდა გასაოცარი,
რა ლექსს გიმღერდა გადია,
ვინ იყო შენი მგოსანი?
უმწიკლო ხარ და უზადო,
წყნარი, სიკეთის ღრეობა,
რა ექნა, რომ ასე მგონია —
მზესაც წაართვი მზეობა!

თ ა დ ო — (შემოდის, კომბალს დაახეთქავს, ლევანს ეცემა) დავამსხვრევ! ნამტვრევებად ვაქცევ, ამ მუდრეგს, ამასა!

ლ ე ვ ა ნ ი — დაამტვრიე, რაღას უყურებ? მხოლოდ იცოდე: ადამიანის თავიც ტყდება!

თ ა დ ო — მე დღეს ამდენ ხეტიალში ლამის სული ამომხდეს, შენ კი აქ თავს იქცევ!

ლ ე ვ ა ნ ი — უნდა ამოგხდეს, ასე ემჯობინება!

თ ა დ ო — გამაგიჟებს! გამაცოფებს! თექვსმეტმა კაცმა ორ დღეში რომ ვერ ვიპოვეთ, მაშასადამე, ვერც მთელ საუკუნეში ვიპოვეთ! სამუდამოდ გაჰქრა, დაიკარგა!

ლ ე ვ ა ნ ი — რა მენაღვლება, გაქრეს, მოისპოს!

თ ა დ ო — (უცებ მოეშვება) შე ოჯახქორო, რატომ ასე მელაპარაკები, მარტო ჩვენი და შენი ხომ არ არის? დაკარგულზე რას ფიქრობ, ეს მაინც მითხარი?

ლ ე ვ ა ნ ი — რას? იცი რას,— ვოცნებობ!

თ ა დ ო — მართლა ჭკუიდან შემშლის! რა ოცნება, რის ოცნება?

ლ ე ვ ა ნ ი — აი, ამ კაცს ხომ უყურებ? (ანიშნებს შანშეზე) დილას აქეთია წერს, ხაზავს, ანგარიშობს! მერმის ამ დროს ამ მიწური ფარეხის ადგილას ორსართულიანი სახლი იქნება წამოჭიმული ღია ბაკებით და ნათელი გომებით. წვიმაში ბაკი შეინახავს ცხვარს, თოვლსა და ყინვაში კი დახურული გომი. ნააბანოები თბილ ლოგინში ჩავწვები და არხეინად გამოვიძინებ! აი, რაზე ვოცნებობ!

შ ა ნ შ ე — მართალს მოგახსენებთ, სად რა იქნება, წინასწარვე შემიძლია გაგაცნოთ!

თ ა დ ო — მოიცათ! მგონია ბიჭები მოვიდნენ, იქნება გაიგეს რამე? (შეაყვირებს) შემოდით, რაღას უცდით? (შემოდის რამდენიმე მწყემსი)

ლ ე ვ ა ნ ი — თქვით, რა იცით, რამ დაგამუნჯათ?

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— აზერბაიჯანის საზღვრამდე ვიწანწალეთ, ცხვარი კი არა, ჭიანჭველაც არ შეგვხვედრია!
— სადაც ქლიბ-ღრე და უფსკრული იყო, ყველას ჩავხედე, სანუგეშოდ ყვავიც არ ამოფრენილა!

თ ა დ ო — მორჩა, წყალში უნდა გადავცვივდეთ!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — რაიონს უნდა შევატყობინოთ, გვეყო ამდენი მალვა!

ყ ვ ე ლ ა — გვეყო! გვეყო!

ლ ე ვ ა ნ ი — დღეს გაბო ვაფრინე ფირანთან, რაც საჭიროა, თვითონ გააკეთებს!

შ ა ნ შ ე — მეც შემიძლია დაგეხმაროთ, მეგობრებო! ამაღამვე ვნახავ რაიკომის მდივანს! მანქანას უნდა გამოევლო, ხომ არსად შეგხვედრიათ?

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— წყაროსთან აკეთებდნენ, რაღაცა გაფუქებიათ!
— მალე ამოგივლითო, თქვენთან დაგვაბარეს!

ლ ე ვ ა ნ ი — ვიღაცამ ჩაახველა! გაიხედეთ, ბიჭებო! ოჰო, მგონია ამ საქმის გმირი მობრძანდა!

(შემოდის დ ა თ ი ა, ერთიანად ამოთხუპნული)

დ ა თ ი ა — ამ გაძაღლებულ სიცოცხლეს სჯობია კაცი სულაც არ იყოს! აბა, მიყურეთ, რას ვგეავარ!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — მერე ვინ გააძაღლა?
— ჩვენი აელითა ბაო დასაკლავი!

დ ა თ ი ა — დღეს ივრის ნაპირებს ლამის ალაზნამდე ჩავყე. ისეთი მოდის, მთა და ბარი თან მოაქვს! მთელი ფარა ისე როგორ დაიხრჩვებოდა, რომ ერთი-ორი არ გამოერიყა?

ლ ე ვ ა ნ ი — დამნაშავისათვის ეგეთი აზეირთებული მდინარე უებარი წამალია! შენ ადგილას რომ ვყოფილიყავი, უკან აღარ დავბრუნდებოდი!

დ ა თ ი ა — ხმა ჩაიწყვიტეთ! ვითომ ხამები ხართ, ჯერ ცხვარი ნიავს არ გაჰყოლია!? (ქუდს მოიხდის)

შ ა ნ შ ე — (იცნობს) ოჰო, გამარჯობათ, მეგობარო! ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს? გახსოვთ ხევის ნაპირზე გამველელ მანქანას რომ ელოდებოდით!

დ ა თ ი ა — ხო, როგორ არა! გაგიმარჯოს... (იქით) დასწყეველოს ღმერთმა, ეს საიდანლა მომეჩვენა?

შ ა ნ შ ე — თქვენ ბრძანეთ, ნიავს გაჰყვაო, ეგ როგორ ხდება, არ მესმის!

ლ ე ვ ა ნ ი — სულ უბრალო ამბავია: თუ ჩამოცხა, ცხვარი ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, საიდანაც ნიავი მოჰქრის, იქით მიუშვერს მკერდს და რაკი მოძრაობაში უფრო მეტ სიგრილეს გრძნობს, გაჰყვება, წავა ისე ჩუმად, გეგონებათ, კატამ გაიარა ხალიჩაზეო. ბნელ ღამეში ცხვარმა თუ ზედ არ გადაუარა, მწყემსი ვერაფერს გაიგებს. ის მუდრეგი ძაღლებიც უხმაუროდ უკან აედევნებიან ხოლმე...

შ ა ნ შ ე — საკვირველია! თქვენ თითქოს ყველაზე თავდადებულად მოგქონდათ თავი და ასეთი ხიფათი როგორ ვერ აიცილეთ?

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — აიცილა კი არა, გულიანად ამოუშვა ხერინვა!
— გადაჰკრა, საკმეს ბალი ჩაეკენია!

დ ა თ ი ა — აი, ხომ გესმით, ხომ უსმენთ ამ უსინდისო ადამიანებს! იმ ღამეს მეხუთე ფარას მგელი დაეცა და, ალბათ, ის მგელიც მე მივუსიე! გზაში მეხმა ცხვარი დააფრთხო და ის მეხიც მე ჩამოვაგდე!..

ლ ე ვ ა ნ ი — მოიცა! ცხენის ფეხის ხმაა, ვიღაცაა, გამალებული მოჰქრის!

დ ა თ ი ა — (უცებ შეჰყვირებს) ვერ ეღირსებით! რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ხელში ავიღებ და...

თ ა დ ო — გაჩუმდი, ნუ ღრიალებ! ვილაც მოვიდა... (ცხენის ფეხის და ფრუტუნის ხმა)

(შემოდის ფ ი რ ა ნ ი, მათრახით ხელში, უქუდოდ, უნაბდოდ)

ფ ი რ ა ნ ი — გამარჯობათ!

ყ ვ ე ლ ა — ფირან!

ფ ი რ ა ნ ი — (ერთ-ერთ მწყემსს) ჩემს ცხენს ნაბადი დაჰხურე, ცოტა ხანს ატარე, ოფლი შეაშრეს! (მწყემსი გადის) რას შემომყურებთ, თქვით, რა იცით?

თ ა დ ო — კვალის ნასახი არა ჩანს!

ლ ე ვ ა ნ ი — მთელი ფარა ისე გაქრა, როგორც კენჭი მორევში!

ფ ი რ ა ნ ი — მაშ ვერ იპოვეთ? (ყველას ათვალიერებს) კარგია, ყველა აქ დამხვდით... ეს უცხო კაცი ვინ არის?

ლ ე ვ ა ნ ი — დილას ჩამოვიდა, სახლის გეგმას ადგენს!

ფ ი რ ა ნ ი — ოჰო! კომუნალური განყოფილების ინჟინერი, არა? (ხელს გაუწვდის) გამარჯობათ, მეგობარო!

შ ა ნ შ ე — სალამი! (ხელს ართმევს)

ლ ე ვ ა ნ ი — ფირან, წვიმა არსად იყო, შენ რატომ ხარ სველი?

ფ ი რ ა ნ ი — იორი ისეთი მოდის, კაცს ეგონება კავკასიონი ადგილიდან დაძრულაო, მეც და ჩემს ცხენსაც თავს გადაგვდიოდა!

თ ა დ ო — ამ შუაღამით გაცოფებულ წყალში ცხენი შეაგდე?

ლ ე ვ ა ნ ი — ხიდზე მოგვეცლო, შე კაი კაცო!

ფ ი რ ა ნ ი — ცხენის იმედი მქონდა, ერთი-ორი საათით ადრე მოველ...

ლ ე ვ ა ნ ი — ეს რაღაა, კაცო, უქუდოდ. უნაბდოდ და ახალი ტანსაცმლით რად წამოსულხარ?

ფ ი რ ა ნ ი — ის იყო ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ასწიეს, რომ მე გაბო დავინახე და ყველაფერი დამავიწყდა... იორში რომ გამიჭირდა, თავზე ხელი მაშინ მოვისვი, არც ქუდი წამომეღო, არც ნაბადი...

ლ ე ვ ა ნ ი — რას ამბობ, რას? შენს ქორწილს თავი მიანებე?

ფ ი რ ა ნ ი — ჩემი ქორწილი ქვეყნის დოვლათს რა წამლად ექცეოდა? კაცს რომ ჭირი შეეყრება, ლხინზე აღარ ფიქრობს!.. მოვრჩეთ, ახლა საქმეზე!

შ ა ნ შ ე — ეს რა ვისმინე, მეგობარო! უბრალო სუფრას და რაიმე გართობას ყველა ჩვენთაგანი დათმობს, მაგრამ საკუთარი ქორწილი ჩაშალო და საქვეყნო საქმე წინ დააყენო, ეს კი... ეს ზღაპარსა ჰგავს!

ფ ი რ ა ნ ი — ნურც აგრე გაიკვირვებთ, მაგ ზღაპარს თავისი შემოქმედი ჰყავს! (ყველას ათვალიერებს, უცებ დათიას) დათი, ჩემი

მტრობით შეიძლება აშენდე, მაგრამ ხალხის მტრობით კი უთუოდ დაიღუპები!

დ ა თ ი ა — როცა მე დავიღუპები, შენ კიდევ მაშინ აშენდები, ასეთი ყოფილა წუთისოფელი!

ფ ი რ ა ნ ი — ხედავთ რას ამბობს? თუ ერთმანეთი არ დავჭამეთ ისე ვერ ვიცოცხლებთო!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — ეგრე ფიქრობს, რას იზამ!

ფ ი რ ა ნ ი — ბრიყვო! მთელი რაიონის იმედი დაღუპე, რადგან იცოდი ჩვენი ახალი ღონისძიებით საერთოდ რაიონის მაჩვენებლებიც ერთი-ორად მაღლა აიწევდა! რა უყავ, სად დაღუპე რჩეული ფარა?

დ ა თ ი ა — ზენა ნიავის საბერველი მე მეჭირა ხელში და მთელ ღამეს ვუბერავდი! ხომ გეტყოდნენ, რაღას მეკითხები?

ფ ი რ ა ნ ი — მითხრეს, როგორ არ მითხრეს! გზაში რომ მოვდიოდი, თვითონ ზენა ნიავმა წამჩურჩულა: ეს რა კარგად მოეწყო საქმე, გამგე ქორწილს იხდის, მთელი ფარა ცხვარი კი იკარგება! რაიონში შეიქმნება მითქმა-მოთქმა. კვლევა-ძიება და საბოლოოდ დაადგენენ: გამგე პირად ბედნიერებას გადაჰყვა, საქმე ოხრად მიაგდო, დასცეთ და მოიშორეთ თავიდანო!

დ ა თ ი ა — ეს რამდენი რამ შემძლებია! გმადლობთ, რომ ჩემი თავი გამაცანით!

ფ ი რ ა ნ ი — ვითომ არა? იქნება მოწმეც მომთხოვო?

დ ა თ ი ა — რის მოწმე?

ფ ი რ ა ნ ი — იმისი, რომ ხშირად გითქვამს ჩემზე, ნეტავ თავიდან ძოგვაშორონ, ერთი ბეწო გასაქანს არ გვაძლევსო, აი, მოწმეც! (შანშეზე უთითებს)

შ ა ნ შ ე — ვერ დაგიმალავთ, სრულიად შეშფოთებულ ამისგან მე მართლა ვისმინე ის, რაც ფირანმა მოგახსენათ!

ფ ი რ ა ნ ი — ვთქვათ მოწმეც ტყუის, ისედაც შეთხელებული ბრიგადიდან ორი კაცი რაღად მოხსენი იმ ღამეს?

დ ა თ ი ა — ჩემს საქმეზე გავგზავნე, ვენახი მქონდა გასათოხნი...

თ ა დ ო — საქმე წინ წავიგდოთო. სულ ამას გაიძახოდა!

ფ ი რ ა ნ ი — ღვინის სმა, გულიანი ძილი? ესეც საქმისათვის იყო?

დ ა თ ი ა — მთელი დღის მშივრები ვიყავით! ძე თუ ერთი ყანწი დავლიე, სხვები ქორწილს იხდიდნენ!

ფ ი რ ა ნ ი — აი, თურმე რით ჩამიგუბებდა პირში წყალს! ძილზე რაღას იტყვი?

დ ა თ ი ა — ხამ ადგილას რომ ყოფილიყვნენ, არ დავიძინებდი! რო-

ცა ცხვარი თავის მშობლიურ ადგილსამყოფელშია, მწყემსი ყოველთვის ჩასთვლემს ხოლმე!

ფ ი რ ა ნ ი — მშვენიერია, დიდებული! აი, რა უმტკივნეულოდ მოიშორებდა საძულველ გამგეს! თადო, შენ რაღა ღმერთი გაგიწყრა?

თ ა დ ო — იმ ღამეს მეხუთე ფარას ნადირი დაეცა, მე და ტიტე მივეშველენით. განთიადის ხანს მოვბრუნდით, ცხვარი აღარ იყო...

ფ ი რ ა ნ ი — (ღრმა ფიქრის შემდეგ) აი რა: დამნაშავის დასჯა რომ! დაკარგულ ფარას უკან მოგვირეკავდეს, დათიას ახლავე ახიაზე ჩამოვკიდებდი, მაგრამ ეს რას უშველის წამხდარ საქმეს?

დ ა თ ი ა — (აწყვეტინებს) თუ მასამართლებთ, ბარემ ბრალდებაც წამომიყენეთ!

ფ ი რ ა ნ ი — ჯერ აშენებენ და მერე აფასებენ! ჭკვიანი ჯერ დაღუპულ საქმეს გამოასწორებს და მერე დამნაშავეს დაუწყებს ძებნას!.. მაშ ასე: ყველგან ეძებეთ და არა ჩანს, ხომ ასეა?

ყ ვ ე ლ ა — არა ჩანს!

ფ ი რ ა ნ ი — (გულხელდაკრეფილი თავისთვის) ორ დღეში თექვსმეტი კაცი თითოეული ჯაგის ძირსაც შეამოწმებდა. (ყველას) მაშ თუ ასეა, ფარა დაღუპული არ არის, ყველა ერთად და უკლებლივ სადღაცაა შეფარებული!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— ვიპოვით, თქმა არ უნდა!
— ოღონდ გამოჩნდნენ და ერთი თვის შემდეგ იყოს, რა უჭირს?

ფ ი რ ა ნ ი — ერთი თვის შემდეგ? მაშ მე სულელი ეყოფილვარ, რომ ქორწილი ჩაეშალე!

ყ ვ ე ლ ა — რაო? როგორაო?

ფ ი რ ა ნ ი — ძალზე საწყენია, ერთს ფიქრობთ და მეორეს კი არა! ცხვარს რომ ვადა უცდება გაზაფხულზე გვიან დოლი ვის რაში უნდა?

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— მე ეგ აზრადაც არ მომსვლია!
— თუ ამ ორ დღეში არ ვიპოვეთ, დაღუპულვართ და ეგ არის!

ფ ი რ ა ნ ი — ახლა ხომ მიხვდით, რატომ გამოვიქეცი ქორწილიდან. რატომ მივანდე ჩემი ბედი აზვირთებულ იორს! (საყვირის ხმა) ეს რაღაა? ნუთუ რაიონიდან უკვე მოგვაკითხეს, იქაც გაიგეს?

შ ა ნ შ ე — არა, მეგობარო, მანქანამ მე მომაკითხა!

ფ ი რ ა ნ ი — მაშინ გთხოვთ, თუ არ დაიზარებთ...

შ ა ნ შ ე — ბრძანეთ, ნუ მომერიდებით...

ფ ი რ ა ნ ი — გთხოვთ, ამაღამვე ნახოთ დედაჩემიც, მთვარისაც და როგორმე დაამშვიდოთ. ისიც შეატყობინეთ, რომ იორი მშვიდობიანად გადმოვეჭერი...

შ ა ნ შ ე — სიამოვნებით ვკისრულობ თქვენს დავალებას!

ფ ი რ ა ნ ი — ერთი თხოვნაც: ვიდრე საბოლოოდ არ გამოირკვევა დაკარგული ფარის ბედი, რაიონის ხელმძღვანელობასთან ნურაფერს იტყვით, რაც აქ ისმინეთ!

შ ა ნ შ ე — მენდეთ, დავმუნჯდები... (მიდის)

ფ ი რ ა ნ ი — (მწყემსებს) მიაცილეთ მანქანამდე და თქვენც მიჰხედეთ თქვენს საქმეს!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — გვესმის! (უმეტესობა გადის. რჩებიან თადო და ლევანი)

ფ ი რ ა ნ ი — თადო, ჩემს ვეფხვას იმდენი ქერი მიეცი, ვერც მოერიოს, ხვალ დიდი ტანჯვა ელის! (თადო გადის) ლევან, ცეცხლი გააძლიერე, ეგენ გაეშრე! მორჩით საქმეს და მიწექით, მე ნუ მიყურებთ!.. (ცეცხლს მიუჯდება. ხელებს გამოსდებს მუხლს, ნაცარს თვალს გაუშტერებს. სხვები წყებიან. ბნელდება. თანდათან ნათდება. ფირანი ისევ ისე ზის. უცებ წამოხტება) ადექით, გათენდა! (წამოიშლებიან) მგონია არ შევცდე, მაგრამ ზოგი რამ უნდა დაზუსტდეს, გავიდეთ გარეთ, ბიჭებს გასძახეთ — თავი აქ მოიყარონ! მალე! სწრაფად!

ლ ე ვ ა ნ ი — მე ძაღლებს ავურეე სალაფავს! (ურეკს)

თ ა დ ო — (გასძახის) ეჰეი, ბიჭებო, ბინასთან მოგროვდით, ბინასთან! (ფირანს) გაიგეს, მოდიან!

ფ ი რ ა ნ ი — თადო, ნამდვილად ნიავს გაჰყეა ფარა? სხვა მიზეზითაც იცის გაპარვა, მაგალითად, თუ შია!

თ ა დ ო — მზე ჯერ სამხარზე არ იქნებოდა, რომ დასაყრელად იწევდნენ!

ფ ი რ ა ნ ი — იქნება სწყურიოდათ?

თ ა დ ო — მთელ დღეს ნამიან ბალახს ძოვდნენ!

ფ ი რ ა ნ ი — მაშ ვერც წყურვილი შეაწუხებდათ, მართალი ხარ! ნამდვილად მიზეზი თუ არ ვიცით, ისე ვერ ვიპოვით, ამიტომ ვკითხულობ ასე დაწვრილებით! აი, ბიჭებიც მოვიდნენ!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — (შემოდიან) გამარჯობათ!

ფ ი რ ა ნ ი — გაგიმარჯოთ! აბა, სად გეყენათ იმ ღამეს ის ფარა?

თ ა დ ო — აგერ იმ სერზე...

ფ ი რ ა ნ ი — მაღალია, უცებ დაეშვებოდნენ! ზენა ნიავს სწორედ აქეთ ივრის ხეობისაკენ გაჰყვებოდნენ... ან მდინარეს უნდა ემსხვერპლა, ან მიმავალ ცხვარს შეხვდებოდნენ ძველ საკახე-

თო შარაზე, მაგრამ ამის ნიშნებიც რომ არა ჩანს? რაშია საქმე? (ყველაფერს ათვალიერებს)

ლ ე ვ ა ნ ი — ამ ძაღლებს როში თუ არ ვაჭამეთ, ბინიდან ვეღარ მოვიშორებთ! (გააქვს)

ფ ი რ ა ნ ი — ეგ მურა ქოფაკი რატომ წევს? რატომ არ მიეტანა საქმელს?

თ ა დ ო — ისეა დაგლეჯილი, ვეღარც ინძრევა!

ფ ი რ ა ნ ი — დაგლეჯილი? მერე და რატომ არის დაგლეჯილი? (გადის გაშტერებული)

დ ა თ ი ა — ჰმ! ესეც ჩემი ბრალი იქნება, მე დავგლეჯდი! წარამარა ნადირს ხვდება, სხვა ფერმის ძაღლებსაც...

ფ ი რ ა ნ ი — (უკანვე შემოდის) ვისია? რომელი ფარისაა ეგ ქოფაკი?

თ ა დ ო — ჩემია! რაც ცხვარი დავკარგეთ, მაგ საცოდავ დღეშია! ფარას სულ შეიდი ძაღლი ურბენდა გარს, ხუთი დაბრუნდა, ორი დაიკარგა...

ფ ი რ ა ნ ი — მერე და რას აბრალებთ მაგის დაგლეჯას?

თ ა დ ო — იმ ღამეს ნადირი ჯერ ჩვენს ფარას დაეცა, მე იმას ვაბრალებ!

ფ ი რ ა ნ ი — არა, სცდებით! აბა, დააკვირდით, მგელს რომ იმ ადგილას ყანყრატოსთან მოეელო კბილი, აღარც გაუშვებდა, უთუოდ გაგუდავდა!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — მართალია, ვეღარ წაუვიდოდა!
— მაგ რა უნდა იყოს, რატომ არის ასე დაგლეჯილი?

ფ ი რ ა ნ ი — რატომ? იცით რატომ: დაკარგული ცხვრის კვალი ამ ძაღლის ყელ-ყურზე სწერია!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — კვალი და ყელ-ყურზე?
— რას ამბობ, ფირან?

ფ ი რ ა ნ ი — (გულხელდაკრეფილი ღრმად დაფიქრდება) ნუთუ მართლა ისეა, როგორც მოვიფიქრე? ძაღლი რომ თავის მოგვარეებთან არის ნაჩხუბარი, ეს უდავოა! მერე და სად, რანაირად? ნამდვილად ამ დღეებში მთიდან ჩამოიარეს ქიზიყელებმა. ჩვენი ფარა ღამე იმათ წააწყდა, იმათში გაერია! ძაღლი გაპარულ ფარას თან გაედევნა. გარევის დროს უცხო ძაღლები ეჩხუბნენ... აი, ამ საიდუმლოს გასაღები სად უნდა იყოს... (უცებ წელში გასწორდება, შეკუეირებს) ცხენი! ცხენი-მეთქი, ბიკებო!

ლ ე ვ ა ნ ი — ცხენი რად გინდა?

ფ ი რ ა ნ ი — ჩემი ნაბადიც გამომიტანეთ, ტყავის ქუდიც, თოფიც! თუმცა, მე თვითონ... თქვენ კი ცხენი შემიკაზმეთ! ყბედობის

დრო არ არის, ორი დღით წინ არიან! მალე, გაინძერით-მეთქი! (შერბის ფარეხში)

ლ ე ვ ა ნ ი — ცხენის შეკაზმვას რა უნდა? ამ წუთში... (გადის)

თ ა დ ო — რა მოიფიქრა? ნუთუ ნამდვილ კვალს მიაგნო?

ფ ი რ ა ნ ი — (გამოდის ნაბდით, ტყავის ქუდით, თოფით და მათრახით ხელში. იკაზმება, იცვამს) ცხენი ახლოს მოიყვანეთ!

თ ა დ ო — რას აპირებ, ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთ?

ფ ი რ ა ნ ი — მე თვითონაც არ ვიცი, ჯერ ივრის ხიდის დარაჯი უნდა ვნახო, თუ იმან დამიდასტურა—გუშინწინ ცხვარმა ჩაიარაო, უკან აღარ დავბრუნდები! ზეგ შირაქის გზაზე მომეშველენით! თუ უკან მოვბრუნდი, ახალი გზა უნდა მოვძებნოთ. — ჰო, თქვენ მე ნუ მიყურებთ, შეიძლება შეეცდე, თქვენც გიფანტენით, კვლავ ეძებეთ!

თ ა დ ო — ჩვენც გამოგყვებით, ფირან!

ფ ი რ ა ნ ი — კარგად დაიხსომეთ: თუ შუადღემდე უკან არ მოვბრუნდი, მაშასადამე, ცხვრის კვალში ჩავდექი და ზეგ შირაქის გზაზე მომეშველენით! (ხიდის. მობრუნდება) ჰო, აი რა: მთელი რაიონი შეწრიალებულია, უთუოდ ჩამოვლენ და კვლევა-ძიებას დაიწყებენ. თუ ვაჟკაცები ხართ, დაიხსომეთ: არავითარი ღვინო და ძილი, ცხვარი ნიავს გაჰყვა! ჩვენი მატლი ჩვენვე უნდა მოვკლათ! მიმიხვდით თუ ვერა?

მწყემსები
— არაკინაჰ იყავი, გზამშვიდობისას გისურვებთ!
— შენ გენა კვალე, რომ კაცია გაფუჭება არ გიყვარს!
— იცოკალე, იბედნიერე, ფირან!

ფ ი რ ა ნ ი — ეგრე! ზეგ უთუოდ მომეშველენით, გამიჭირდება! მშვიდობით! (გარბის, გარედან მოისმის ომახიანი შეძახილი) აჩუ, არ დაიზარო, ჩემო ვეფხვავ! (ცხენის გაქენების ხმა)

მეექვსე სურათი

ღილის ბინდბუნდი. სცენაზე მოჩანს სქელი ტილოებით და ნაბდებით გადახურული ძალზე დატვირთული საბარგო ავტომობილი. ავტომობილის მახლობლად ყრია ბარგი-ბარხანა, იქვე სძინავთ მწყემსებს. შორიახლოს ცეცხლი ანთია, ზედ საჯია წამოპირქვავებული. ორნი ლავაშებს აცხობენ. ხანდახვით მოისმის ძალლების ყეფა-წკმუტენი, ცხვრის ბღავილი და მწყემსების შეძახილები.

ფ ე რ მ ი ს გ ა მ გ ე — (წამოჯდება, ნაბადს გადიგდებს) ისევ პურს აცხობთ?

პ ი რ ვ ე ლ ი მ წ ყ ე მ ს ი — გზაში ეს უკანასკნელი გამოცხობაა, შირაქამდე უნდა ჩაგვყვეს!

მეორე მწყემსი — ვფრთხილობთ. დაკლებას მომატება ჯობია!

გამგე — მორჩით და გაათავეთ. უთენებლივ უნდა გავუდგეთ გზას. ვიდრე ორმოც ფარა ცხვარს წამოვშლით და ერთმანეთის კვალში ჩავაყენებთ, შუადღე წამოვა!

პირველი მწყემსი — მერე დღეს სულ სოფლებზე და შარაგზებით მოგვიხდება სიარული, ვიწროებში გაგვიჭირდება!

გამგე — ეგ კარგად მომაგონე. ეს ორი დღეა ერთთავად ყრუ ადგილებზე მოვდივართ და ვერსად ვერ შევხვდით ვერც ტელეფოხს, ვერც ფოსტას. დეპეშა უნდა დავწერო. (ჩანთიდან იღებს ბლოკნოტს, წერს)

მეორე მწყემსი — ცისკარმა ამოანათა, ცეცხლს მიუკეთე, ბიჭო!

პირველი მწყემსი — ნუ ათხელებ, დრო მიდის, ლავაშს დაეხსენ, პურებად დავაცხოთ!

გამგე — სხვებიც გააღვიძეთ, ცხენები შეკაზმეთ, რომ მზად ვიყოთ. ჰო, მართლა! დაბინდებადმე ნაწილს ვეღარ ნახავთ, ამ დილით მაძღრისად ისაუზმეთ!

პირველი მწყემსი — ცივად მოხარშული ხორცი ბლომადა გვაქვს!

გამგე — ეგ სულ უკეთესი! აბა, ადექით, არ გესმით? ამათ ახლა ამოუშვეს ხვრინვა! (მწყემსები წამოიშლებიან)

ხმაური
— ტიალი, რა მალე გათენებულა?
— ოჰ-ო-ჰო! დილით ბალზე ისუსხება!
— ორი დღეც და ჩვენს ბინებზე ვიქნებით, დავისვენებთ! (ღარეთ ატყდება ძაღლების ძლიერი ყეფა)

გამგე — ეს რა ამბავია? ვილაც უცხო-ცხენოსანი მოგვადგა!

პირველი მწყემსი — ვენაცვალე ვაჟკაცობაში, სცოდნია ძაღლის ყადრი, ისე ეტანებიან, ლამის ძირს ჩამოიღონ, ის კი ძათრახს უქნევს, გარტყმით კი არ არტყამს!

გამგე — რა მოხდენილად მოაგელვებს ცხენს! მიჰხედეთ, ძაღლები მოაშორეთ!

ხმაური — აგა-გა, შე ტიალო!

გამგე — (გარეთ გასძახის) ცხენი ჩამოართვით!

ფირანი — (შემოდის ნაბდით, ტყავის ქუდით) გამარჯობათ!

ყველა — გაგიმარჯოს!

ფირანი — მეგობრებო, თქვენი ფერმის გამგე აქ ხომ არ არის?

გამგე — მე ვარ, რა გნებავთ?

ფ ი რ ა ნ ი — (შეკრთება. დაიბნეა) მე თქვენი შეკითხვა თავზარსა მცემს!

გ ა მ გ ე — ბიჭოს! ხომ უნდა ვიცოდე, რა საქმე გაქვს ჩემთან?

ფ ი რ ა ნ ი — (ყველას გადახედავს) ძეგობრებო! ხუთუ ტყუილად ვიწვალე, ტყუილად მოგდეევდით?

გ ა მ გ ე — ჩვენ მოგვდეევდი? თავის დღეში არ შემხვედრიხარ, მაშ რაზე ირჯებოდი? (რაღაც მოაგონდება) მოიცა... მოიცა! ვინა ხარ, რად მოგვდეევდი?

ფ ი რ ა ნ ი — ბეც ფერმის გამგე ვარ, მეგონა...

გ ა მ გ ე — (უცებ ფეხზე წამოიკრება) შენც მეცხვარე ხარ?.. დაკარგულს ხომ არაფერს ეძებ, მეგობარო?

ფ ი რ ა ნ ი — ვეძებ... მოვკვდი კაცი!

გ ა მ გ ე — ჰოო! ეგ სულ სხვა საქმეა! მაღარიჩი იქნება?

ფ ი რ ა ნ ი — (მოუთმენლად) მაღარიჩი კი არა, ძმობა, მეგობრობა, სამუდამო სამსახური და სიყვარული!

გ ა მ გ ე — აქ არის, ყველა უკლებლივ! აი, გაიხედე ამ ავტომობილის გასწვრივ, ჩვენი ფერმის უკანასკნელი ფარა რომ ყრია, სწორედ ამათში არიან გარეულნი!

ფ ი რ ა ნ ი — შენ გენაცვალე! შენი ჭირიმე! (მისწვდება, ხელს ჩამოართმევს, გადაკოცნის) მომყეთ, მაჩვენეთ, მეგობრებო!

ხ მ ა უ რ ი { — გიპოვნია, რაღა გაჩქარებს?
— ახლა აღარავინ წაგართმევს, რისა გეშინია?

გ ა მ გ ე — (თავის ხელს დაკაყრებს) ვინ არის? თითქოს მარწუხი მომიჭირა, თითები ველარ გამიშლია, ერთმანეთზე მაქეს მიწებებული!

ფ ი რ ა ნ ი — როგორ მოგიხდათ? რისთვის მარბენინეთ ამოდენა გზა, მეგობრებო?

გ ა მ გ ე — გავჭაღარავედი და ასეთი რამ არ მომსელია; დაჯექი, გიამბობ!

ფ ი რ ა ნ ი — არ მინდა, რაც იყო — იყო! ახლავე, ამ წუთშივე თუ უკან არ გავბრუნდი, თავი მაქვს მოსაკველელი, ცხვარს ვადა უცდება!

გ ა მ გ ე — ჩვენც სწორედ მაგ ვადისათვის ვჩქარობდით და ამიტომ აღარ მოვძებნეთ დაკარგული ცხვრის პატრონი. ღამე შეგვეღრივნენ, ვიფიქრეთ, ჩვენს წინა ფარებს მოსწყდებოდა რაიმე ნოტო და ის იქნებაო, მაგრამ დღისით ვნახეთ და მთელი ფარა გვირეეია უცხო და უსერო, ყურთან დანომრილი თუნუქის ფირფიტებით...

ფ ი რ ა ნ ი — სწორედ ის არის, ჩვენია!

გ ა მ გ ე — კარგა დიდი გზა გვქონდა გამოელილი, უკან მობრუნება მთელ დღეს დაგვაკარგვინებდა და ასე გადავწყვიტეთ: თვითონ პატრონი დაგვეწევა, თუ არა და ესეც ხალხის დოვლათია, თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ და როცა ადგილზე ჩავალთ, ან გზაში ხელი შეგვეწყობა, შევატყობინოთ იმ რაიონს, საიდანაც ცხვარი აგვაყვა და მოჰხედავენო. სწორედ დღეს ვაპირებდი დეპეშის გამოგზავნას, აი დავწერე კიდეც!

ფ ი რ ა ნ ი — (წამოდგება) რაც მოხდა—მოხდა, ახლა ნულარ დამაყოვნებთ, მეგობრებო! ცხვარი გადავარჩიოთ, თქვენც დაგიგვიანდებათ!

გ ა მ გ ე — ბოიცა, მარტო ხარ?

ფ ი რ ა ნ ი — სხვები სხვა მხარეს ეძებენ, მე კი აქეთ წამოველ!

გ ა მ გ ე — გაგიჟირდება, მარტოკა შეიდას სულზე მეტ ცხვარს როგორ უხდა გაუძღვე? არც ძაღლი გყავს, ეს ცხენიც ზედმეტი ბარგია!

ფ ი რ ა ნ ი — გზაში ვინმეს დავიქირავებ, სიტყვა დავტოვე, ჩვენებიც მომეშველებიან!

გ ა მ გ ე — ჰო! ეგ მართლაც კარგი იქნება... აბა, ბიჭებო! ადვილი არ არის ცხვრის გადარჩევა, მაგრამ უნდა ვიმარჯვოთ!

ფ ი რ ა ნ ი — ამ ნაბადსა და ქუდს აქ დავყრი, გადარჩევაში ხელს შემიშლის! (გაიძრობს, ავტომობილთან მიჰყრის).

გ ა მ გ ე — თქვენც მოიშორეთ ნაბდები, უფრო თავისუფლად იქნებით. არ გესმით? რა ეშმაკმა გაგაქეავთ? (მიხედავს ფირანს, რომელიც ძვირფას ტანსაცმელშია გამოწყობილი) ოჰო!

ფ ი რ ა ნ ი — რა მოხდა, მეგობრებო? რისთვის დაედექით?

გ ა მ გ ე — ძალიან... ძალიან მდიდრები ჰყოფილხართ, რომ საქმის დროს ასეთ ეფირფას ტანსაცმელში გამოწყობილხარ!

ხ მ ა უ რ ი { — საკვირველია, რომ ბატკნის ტყაპუჭი ჰხურავს!
— კაცს მეცხვარე კი არა, გენერალი ეგონება!

(საერთო სიცილ-ხარხარი)

ფ ი რ ა ნ ი — არა, ეგრე არ არის, ძმებო! სუფრა გაშლილი იყო, ნეფე-დედოფლის საღღეგრძელო როგორც კი ასწიეს...

გ ა მ გ ე — მოიცათ... მოიცათ, ბიჭებო! რიგზე გამაგებინე, თუ ძაბ ხარ, რის სუფრა, რა საღღეგრძელო?

ფ ი რ ა ნ ი — ის იყო დედოფალი მოვიყვანეთ, სუფრას მოვუსხედით თუ არა, თვალი მოვკარ მოამბეს. უმალვე მიეხვდი, რომ ცუდი ამბავი მოხდა ფერმაში, სუფრიდან წამოვდექი და მწყემსი ბიჭი ცალკე გავიყვანე. ჰოდა, ყველაფერი დამავიწყ-

და, ყველაფერი, გარდა დაკარგულისა! მე რომ ქორწილით დავმტკბარიყავ — ანაბარზე რაღა პასუხი გამეცა? ცხენს უბელოს მოვახტი და...

გ ა მ გ ე — (ძალზე გაოცებული) მეგობარო, სმენა ხომ არ მღალატობს? მე როგორც მივხედი, შენ შენივე ქორწილიდან გამოქცეულხარ!

ფ ი რ ა ნ ი — ვეღარ დავმალავ: ნეფე მე თვითონ ვიყავი!

ხ მ ა უ რ ი — — ეს რა მესმის, შენი ქორწილი შენვე ჩაშალე?
— ეჰეი, კაცო! რა ქოთქოთი შეუდგებოდათ ნეფე დაკარგულ სტუმრებს!

ფ ი რ ა ნ ი — რაც მოხდა, იმას ვეღარავინ ვერც წაშლის და ვერც შეასწორებს! ამ ტკიცილს გაუძლებ; ჯერ აღმართს აიელიან და შემდეგ დაღმართზე იფიქრებენ!.. ჰო, ნუღარ მაგვიანებთ, საქმეს მივხედოთ!

გ ა მ გ ე — შენ გენაცვალე, სიტყვაც ვაჟკაცური გცოდნია და საქმეც! სახელი... სახელი და გვარი მითხარი, სამუდამოდ აქ უნდა ჩავიჭდიო! (მკერდზე ხელს იცემს)

ფ ი რ ა ნ ი — ფირან ფილაურს მეძახიან!

ყ ვ ე ლ ა — რაო?

გ ა მ გ ე — კიდევ ახალი ამბავი! გაიმეორე რა გქვიან, გაიმეორე!

ფ ი რ ა ნ ი — ფირან ფილაური-მეთქი...

გ ა მ გ ე — შენი ჭირიმე! შენ გენაცვალე, ვაჟკაცო! ვნატრობდი შენს ნახვას და შეგხვდი კიდეც!

გ ა მ გ ე — აბა, მოიგონეთ, ბიჭებო! შარშან მორევში რომ გადავარდნილიყო და გზა გაეხსნა, რამდენი ელოცეთ!

ყ ვ ე ლ ა — გვახსოვს! ვიცით! იდღეგრძელოს ფირანმა!

ფ ი რ ა ნ ი — მეგობრებო! ეს უკვე წასული საქმეა, ცხვარი გადავარჩიოთ, ნუ მაგვიანებთ!

გ ა მ გ ე — რა დროს ცხვარი და გადარჩევაა! თოხლი დაკალით, ბაჭებო! ვიდრე ამ ვაჟკაცთან არ ვიქეიფებ, ვერც მოვისვენებ!

ფ ი რ ა ნ ი — მეგობარო! მე საქმის გულისთვის საკუთარი ქორწილი ჩავშალე და ახლა აქ სუფრასთან დამსვამ?

გ ა მ გ ე — მართალი ხარ! მე ეგ სულ დამავიწყდა: შენისთანა ვაჟკაცს სასმელ-საჭმელით ვერ მოვხიბლავ, მხოლოდ აქედან ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ! ბიჭებო, თქვენ თვითონ გადაურჩიეთ. ახლავე დაუძახეთ სხვა ფარების მწყემსებსაც, ეს კაცს მოუყარეთ თავი და ერთ წუთში მოათავეთ საქმე! აბა, მარდად! შენ კი აქ დარჩი! (ერთი რჩება. დანარჩენები გარბიან. ისმის ძახილი: „გიგავ! სოლომან! გიორგი! ილავ! აქეთ, აქეთ, ყველას გამგე გიბარებთ!")

გ ა მ გ ე — ასე, ყველაფერი რიგზეა, ერთ წუთში შენი ცხვარი გადარჩეული იქნება, მაგრამ ასე ვერ გაგიშვებ, მთელი დღე და ღამე გივლია, ძალზე მოგშიედებოდა!

ფ ი რ ა ნ ი — ვერ დაგიმალავ: ფერდი ფერდზე მაქვს გაკრული!

გ ა მ გ ე — ჰოდა, საქმეს რომ რიგზე მიხედო, ყველაზე წინ კუჭს უნდა უპატრონო! ლადო, სუფრა გაშალე, სადღაც არაყი უნდა გექონდეს, ყაურმაც ამოიღე, ციცად მოხარშული ხორციც, ყველიც და რაც გაგვაჩნია!

ფ ი რ ა ნ ი — არ გვინდა, ყველი და პურიც გვეყოფა, ორი ღამის უძილო ვარ, არაყი დამთენთავს!

გ ა მ გ ე — ეგ მე ვიცი... ჰო, აი რა, ვიდრე სუფრა გაიშლება, ყური მიგდე: აქედან ორ მწყემსს გააყოლებ, ამ ალმართ-დალმართებში გადაგიყვანენ, ჩალაუბნიდან უკანვე დააბრუნებ, ცხენებით იქნებიან და მალე მოგვეწევიან...

ფ ი რ ა ნ ი — რაზე შეგაწუხოთ?

გ ა მ გ ე — ეგ მე ვიცი! შენ კიდევ არ გესმის, თუ რა ძნელ საქმეს ეჭიდები. ენდე ჩემს გამოცდილებას; თუ კაცი, ისიც ორი ღამის უძილო, ერთიანად ფოლადისა არა ხარ, მთელ ფარა ცხვარს ვერ გაუძღვები! ჰოდა, ჩემი მწყემსები დაგშორდებიან თუ არა, ვინმე უთუოდ დაიქირავე!

ფ ი რ ა ნ ი — ვეცდები, თუკი ვინმე შეეხვდა ტრიალ მინდვრებში...

გ ა მ გ ე — აი აქედან საუკეთესო კომბალი აირჩიე, მათრახით ვერ გარეკავ; ცხენი ქამარზე გამოიბი და უკან გაიყოლე, თორემ გაწვალებს!..

ფ ი რ ა ნ ი — ეგ მართლაც კარგი იქნება!

გ ა მ გ ე — შენისთანა ვაჟკაცი ადვილად დაიხსომებს დარიგებას, ახლა კი ყველაზე მთავარი მინდა გითხრა, თუკი შენც...

ფ ი რ ა ნ ი — თქვი, კაცო! რას მერიდები?

გ ა მ გ ე — ერთმანეთი გავიცანით და ვეღარ დაგივიწყებ, შენი ძმობა და ნათესაობა მწყურია!

ფ ი რ ა ნ ი — მოკვდეს ფირანი, თუ ნამდვილი ძმები არ დაგვიწყო!

გ ა მ გ ე — მაშ აი ჩემი ფიცი! (იღებს ბლოკნოტს, დაწერს, ამოხევს) ეს ჩემი მისამართია!

ფ ი რ ა ნ ი — შენ გენაცვალე! აი, ჩემი მისამართიც... (ჩაუწერს)

გ ა მ გ ე — ჩემი სამარე დაგეტკეპნოს; თუ შენს ნათესავად არ ივარგო! ახლა კი გადავეხვიოთ ერთმანეთს!

ფ ი რ ა ნ ი — შენი ჭირიმე! ცხვარს ვეძებდი და საუკეთესო მეგო-

ბარი კი ვიპოვე! (ერთმანეთს ეხვევიან, ჰკოცნიან) თუ გადავურჩი ამ ძნელ მგზავრობას, მომავალ კვირას ჩემგან დეპეშას მიიღებ!

გ ა ბ ო — მივიღებ და გამოვფრინდები კიდეც! მანამდე მეც დავაბინავებ ორმოც ფარა ცხვარს საზამთრო ფარეხებში! აბა, დავსხდეთ, მწარე არყით ერთმანეთი ტკბილად ვადღეგრძელოთ!

მეშვიდე სურათი

მეხუთე სურათის სანახაობა. სიღრმეში ნაბადწახურულ **ფ ი რ ა ნ ს** სძინავს. ირგვლივ შემოსხდომიან მწყემსები და ძალზე ფრთხილობენ. **გ ა ბ ო** თაეით უზის. **ი ა ს ო ნ ი** ჰყვება

ი ა ს ო ნ ი — ჩვენ სამნი რომ არ მივშველებოდით, უთუოდ დაიღუპებოდა თვითონაც და ცხვარიც! ცხენები ღელეში ჩავაქერეთ და წინ ვუყელეთ. „იასონ!“ შემომძახა თითქოს გახარებულმა, მაგრამ ისე იყო გათავებული, სიარულიც აღარ შეეძლო...

გ ა ბ ო — იასონ ძია, ოფლში ცურავს, არ გაცივდეს!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — ალბათ დასცხა!
— ნაბადს კალთა გადაუწიე!

ი ა ს ო ნ ი — სსუ! წყნარად იყავით, ბევრნი ხართ, თქვენი სუნთქვაც კი ხმაურია!.. (განაგრძობს ამბავს) ახლოს მიველ, ხელი მომხვია და დაიხალა: „მოვკვდი, იასონ, მეტი აღარ შემიძლია, ცხვარს უპატრონეთო!“ ხელი ჩემს კისერზე დაუცურდა და მიწაზე ზღართანი მოიღო!

თ ა დ ო — მეგონა გული წაუვიდა-მეთქი, წყლისთვის გავრბოდი!

ი ა ს ო ნ ი — ოთხი დღე-ღამის უძილომ რაკი გული დაიარხეინა, უცებ ღრმა ძილს მიეცა. ასეთი რამ ხშირად მინახავს!

ლ ე ვ ა ნ ი — სრული დღე და ღამე შეუსრულდა, რაც სძინავს, არაფერი დაემართოს!

ი ა ს ო ნ ი — არა, გაანებეთ თავი, თავისით გაიღვიძოს! მე ეს ბიჭი უფრო მეცოდება. გვერდიდან აღარ სცილდება! გაბო, შვილო, ლუკმა შეჭამე, ცოტა ხანს დაიძინე...

გ ა ბ ო — არა, არ მინდა! ოღონდ ამან კარგად გაიღვიძოს და მე მთელი კვირა წყალსაც არ დავლევ!

ი ა ს ო ნ ი — კარგი, როგორც გსურს! (მწყემსებს) მარტო ის რად ღირს, რომ ამან თავისი ტანჯვით ჩვენ ყველა გვიხსნა!

დ ა თ ი ა — კიდევ კარგი, იპოვა, თორემ მართლა ჭირად მექცეოდა...

გ ა ბ ო — (სიხარულით) იასონ ძია! უყურეთ, თვალებს ახამხამებს!

ფ ი რ ა ნ ი — (თავს წამოაყოფს) ეს... ეს სადა ვარ, აქ როდის მომიყვანეთ?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (აღტაცებით) ფირან!

გ ა ბ ო — (მივარდება) შენი ჭირიმე, უფროსო, გაგეღვიძა, კარგად ხარ?

ფ ი რ ა ნ ი — ოჰ, გაბრიელ! შეეტოკდი და ტანში ელვამ დამკრა! ლეშად ვქცეულვარ, ბიჭო, თუ ხელი არ მომაშველე... (ცდილობს ადგეს)

გ ა ბ ო — ოღონდ შენ კარგად იყავ და მე თუ გინდა წელში გაეწყვიტე! (ეშველება)

ი ა ს ო ნ ი — იწექ, იწექ, შვილო, ახლა ისე იქნები, თითქოს მთელს ტანში შამფურებს გიყრიდნენ!

ფ ი რ ა ნ ი — (უცებ რაღაცა მოაგონდება) მოიცა, გაბრიელ, დღეს რა დღეა?

ყ ვ ე ლ ა — ხუთშაბათი!

ფ ი რ ა ნ ი — (ისევ წამოიწევა) თქვენ როდის შემხვდით? გუშინ არ იყო, განთიადზე?

ი ა ს ო ნ ი — სწორედ ეგრე იყო, შვილო!

ფ ი რ ა ნ ი — (ფარეხს ათვალიერებს) მერე და მას შემდეგ მძინავს? აქ როგორ მომიყვანეთ?

ი ა ს ო ნ ი — მანქანა დაიქირავეთ...

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — ციმცირ აგწიეთ და ფარეხში დაგაწვინეთ!
— მას შემდეგ არც კი განირეულხარ, სულ გიძინავს!

ფ ი რ ა ნ ი — ოჰ, გაბრიელ! რატომ შენ მაინც არ გამაღვიძე, ბიჭო? ფუი, ასეთ ვაჟკაცობას! (დედაბოძს მისწვდება, ორივე ხელით მოეჭიდება, დიდის ტანჯვით დგება) ძალზე მიჭირს, მაგრამ გარეთ გავიდეთ, მოძრაობის მეტი მე არაფერი მიშველის!

გ ა ბ ო — იქნებ დაზელვა სჯობდეს, უფროსო!

ფ ი რ ა ნ ი — ნებივრობა დავიწყოთ? არა, გაბრიელ! ნუ იფიქრებ ტკივილზე და აღარც გეტკინება! (უცებ წაწყდება კუთხეში ატუზულ დათიას) ოჰო! ამდენი შფოთის გმირთაგმირიც აქა ყოფილა! სწორედ შენ გეძებდი!

დ ა თ ი ა — მე? რაში დაგჭირდი? თუ რამე გინდა, მითხარი და...

ფ ი რ ა ნ ი — კეთილი და პატიოსანი! ბიჭებს გასძახეთ აქ მოგროვდნენ! ჭკვიანი ჯერ სარეველას მოიშორებს, მერე ჯეჯილს ააბიბინებს!

გ ა ბ ო — მესმის, უფროსო, ერთ წუთში ყველას აქ მოვუყრი თავს! (გარბის)

ი ა ს ო ნ ი — რას აპირებ? მე რომ მცოდნოდა, იქნება გამოგდგომოდი!

ფ ი რ ა ნ ი — რას? იცი რას! მე მინდა, რომ ჩემსავით აღარავინ ეწამოს!

ი ა ს ო ნ ი — რიგზე მითხარი, არ მესმის!

ფ ი რ ა ნ ი — ოჰ, იასონ! მე რომ ის ღამეები მაგონდება, თმები ყალყზე მიდგება! თურმე ადამიანი მოესწრები ისეთ წუთებსაც, როდესაც უკუნეთ ღამეში ათასნაირი ლანდები შენს ირგვლივ აიშლებიან, მთელ ტანში ერუანტელი გივლის, თითქოს მატლები დაგცოცავენო. ცა ბზრიალასავით ტრიალებს და ვარსკვლავები ცეკვავენ. გინდა იღმუელო, იყვირო, მაგრამ ხმაც გიწყდება და სასოება აღარსად არის... ფეხების მაგიერ მძიმე ლოდებს დაათრევ. მკლავების მაგიერ ფალასები გკიდია და გგონია სამარეში წეხარ...

გ ა ბ ო — (შემორბის) ყველანი მოვიდნენ, უფროსო! (შემოდიან მწყემსები)

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი — გამარჯობა, ფირან!

ფ ი რ ა ნ ი — გაგიმარჯოთ, ბიჭებო! (ტორტმანებს) ჯერ წელში კარგად ვერ ვიშლები, მაგრამ სათქველს მაინც გეტყვით!

ყ ვ ე ლ ა — გისმენთ, გვიბრძანე!

ფ ი რ ა ნ ი — ძმებო, მეგობრებო! ყველაფერი მოხდა, ავიც და კარგიც. ეს კაცი დაუდევრად მოეპყრო ხალხის დოვლათს და კინაღამ ყველა გაგვთხუნა. რას იტყვით?

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი { — თუ განგებ გააკეთა, გიჟი ყოფილა!
— ნიავს გაჰყეაო, ჩვენც ასე ვიცით!

დ ა თ ი ა — მოდით ხელ-ფეხი შემიკარით და სურაში გამგზავნეთ!

ფ ი რ ა ნ ი — მეგობრებო! ამან მშვენიერად იცოდა, რომ მთელი ფარა ცხვარი სამუდამოდ არ დაიკარგებოდა, ხოლო მითქმა-მოთქმას კი გამოიწვევდა და მე, როგორც გამგეს, პირველ რიგში დამსჯიდნენ, რადგან საქმეზე წინ ჩემს ქორწილს გადავყე. გესმით, მიმიხვდით?

ი ა ს ო ნ ი — შვილებო! ყველაზე მთავარი მწყემსობაში ძმობა და სიყვარულია! თუ სიძულვილმა თავი იჩინა, სჯობია ერთმანეთს გავეცალნეთ!

ყ ვ ე ლ ა — სწორია, მართალია!

დ ა თ ი ა — სკოლის მესამე ვანყოფილებიდან რომ გამოველ, მას შემდეგ ამ ფერმას არ მოვშორებივარ, ეს კი სამი წელიწადიც არ არის, რაც მოსულა და მე გავეცალო?

ფ ი რ ა ნ ი — არა, მე გაგეცლებით, თუკი დავიმსახურე! ძმებო.

ჯერ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, მერე გამგეობას დავამტკიცებინოთ!

მწყემსები — შენ თვითონ გადაწყვიტე, შენ დაგტანჯა ყველაზე მეტად!
— შენ თვითონ, შენ თვითონ!

ფირანი — მე თვითონ? ძალიან კარგი... ლევან, მესამე ფარას ამ წუთიდან შენ უპატრონებ! დღეს ყოჩის გაშვების დღეა და მეტი ლაყბობის დრო აღარა გვაქვს! რას იტყვით, თქვენი თანხმობა მინდა, ძმებო!

ყველა — (ცომბლები მაღლა ასწიეს) ეგრე იყოს!

ლათია — (შეპყვირებს) მაგდებთ? არ წავალ! მე კოლმეურნეობის გამგეობამ დამნიშნა და მანვე უნდა მომხსნას, თუ მოსახსნელი ვარ!

ფირანი — გულწრფელად გირჩევ, ამ საქმეს ნუ გაახმიანებ, თორემ აუცილებლად დაიღუპები! ქორწილი ჩამაშლევინე, წარუხოცელი სირცხვილი ამკიდე, ცხვრის უკან დევნაში გამანახევრე, ამათ, ეს ხუთი დღეა, ძილიც გაუმწარე და ლუკმაც. სხვა რაღა გინდა?

მწყემსები — აღარც ერთი კაცად არ ვვარგივართ!
— ასე მმვიდობიანად გიშვებთ და მაინც ყვირი?

ლათია — (ცომბალს დაახეთქებს) ძალიან კარგი! აღმასკომის სხდომაზე ვილაპარაკებთ, ცხვარი თუ ნიავს არასოდეს არ გაპყოლია, ამასაც ვნახავთ! (გადის)

ფირანი — ძმებო! ჩვენ ყველანი ბედნიერნი ვართ, რომ დღევანდელი დღე არ ჩაგვეშალა, ვადა არ გადაგვიცდა! სიმღერით, მხიარული ყიჟინით მიხედეთ ყველამ თქვენს საქმეს, რომ გაზაფხულზე საუკეთესო დოლით თავი ვისახელოთ!

მწყემსები — საქმეს მივხედოთ, ბიჭებო, საქმეს! (გადიან)

ფირანი — ლევან, თედო! თქვენს ფარას ხელოვნურად დათესილის პუნქტისკენ გარეკავთ, მე ცხენით წამოგეწევით! იარეთ!

ორივე — გვესმის, ეგრე ვიზამთ! (გადიან)

ფირანი — გაბო, გაბრიელ!

გაბო — ვარ და ვიქნები, უფროსო, მიბრძანე!

ფირანი — ფარეხიდან ჩემი ჩანთა გამომიტანე!

გაბო — მესმის! (შერბის, გამოაქვს, აძლევს)

ფირანი — ოპმე! ამის გახსნაც კი მიძნელდება! (ხსნის) გასწი და შენი „თეთრონი“ და ჩემი „ვეფხვა“ ბინასთან მორეკე!

გაბო — მესმის! მივფრინავ უფროსო! (გარბის)

ი ა ს ო ნ ი — სწორედ გუშინ გადმოიტანეს უკანასკნელი ბულული!

ფ ი რ ა ნ ი — ფარეხების შეკეთების საქმე როგორღაა?

ი ა ს ო ნ ი — არ ვიცი, დათიამ განგებ დაქსაქსა ბიჭები თუ არა, მაგრამ საქმისათვის კი ძალიან კარგად გამოვიდა, იმდენი ხე-ტყე ჩამოზიდეს, ორ დღეში ყველა ფარეხი მზად იქნება!

ფ ი რ ა ნ ი — ოჰ, იასონ, ეგ რა კარგი რამ მითხარი! მაშ შიში აღარაფრისა გვაქვს?

ი ა ს ო ნ ი — ვინც ამრევ-დამრევი იყო, ისიც მოვიშორეთ, რიღას შიში გვაქვს!

ფ ი რ ა ნ ი — ერთი სიტყვით, რაკი ყველაფერი რიგზე ყოფილა, მე წერილებს დავწერ! (ქაღალდს ამოიღებს, წერს)

ი ა ს ო ნ ი — გამაგებინე, რას აპირებ?

ფ ი რ ა ნ ი — ბევრს არაფერს, სირცხვილის ჩამორეცხვას! იასონ, სოფელში ხომ არ იციან, რომ დავბრუნდი.

ი ა ს ო ნ ი — აბა, ეს წავიდოდა? გაბო გვერდიდან ვერ მოგაშორეთ!

ფ ი რ ა ნ ი — საწყალი ბიჭი! ალბათ ეგონა, რომ ვკვდებოდი! (წერას დაასრულებს) აჰა, ორივე წერილი მზად არის!

ი ა ს ო ნ ი — არ მეტყვი, რა განგიზრახავს?

ფ ი რ ა ნ ი — საქმე დაბოლოებით კეთდებაო! ჰოდა, მეც მინდა დავაბოლოვო. ესეც რომ არ იყოს, მაშინ თავხედურად გამოვვარდი და არ მინდა ისე დავბრუნდე შინ, რომ მარტო ჩემიანებმა მნახონ!

ი ა ს ო ნ ი — როგორ თუ შენიანებმა?

ფ ი რ ა ნ ი — მე მინდა იმ ღამეს თუ ვინმე შემომწყრა, ისევ შევირიგო! დედაჩემი მარჯვეა, ორ დღეში ყველაფერს მოასწრებს! ჩემს სახლში ისევ გაშლილ სუფრაზე, სწორედ იმ დღით და იმ წუთს მინდა დავბრუნდე, რა წუთშიაც იქიდან გამოვიქეცი!

ი ა ს ო ნ ი — მშვენიერია! დიდებულად გიფიქრია, შვილო! ისე გამოვა, თითქოს ქორწილი არც ჩაშლილა! იცოდე: ახლა თვითონ ხალხი მოგიწყობს ქორწილს, რადგან შენ მათი დოვლათისათვის თავი გადასდე! შენ გენაცვალე, ვაჟკაცო! (გადავხვევა, ჰკოცნის)

ფ ი რ ა ნ ი — საქმეც არაჩვეულებრივი მიყვარს და მოლხენაც! გაბო, გაბრიელ!

გ ა ბ ო — (შემორბის) ვარ და ვიქნები, უფროსო! ცხენი შეკაზმულია!

ფ ი რ ა ნ ი — აი, ხომ ხედავ, არაფერი აურიო! (აჩვენებს ორ წერილს) სულ იფრინე! შუადღემდე დედაჩემი უნდა ნახო, სიტყვით

ნურაფერს ეტყვი, ამაში დაწერილებით სწერია! ეს კი (აჩვენებს მეორეს) რკინიგზის სადგურს რომ აუელი, ფოსტაში მიხვალ და შირაქში დეპეშას გაგზავნი! გესმის, რასაც გეუბნები?

გ ა ბ ო — მესმის, უფროსო! თუ რაიმე წაეახდინო, ყორნებმა დამკორტნონ!

ფ ი რ ა ნ ი — ჰო, მართლა! დეპეშას ფული დასჭირდება! (აძლევს) აბა, შენ იცი, დღემდე მერცხალი იყავი, ახლა კი ელვად უნდა იქცე!

გ ა ბ ო — ხმა გამოვა, უფროსო! ჯერ მცადე, მერე შემაფასე! მხოლოდ აი რა: ისეთი მადლობელი ვარ შენი, ისეთი, რომ სულ დიდი!

ფ ი რ ა ნ ი — (გაშტერებული) რაზე მიხდი მადლობას, ბიჭო?

გ ა ბ ო — იმაზე... რომ ჯერ სოფელში არ იციან შენი დაბრუნება და სამახარობლო ჩემთვის არ დაიშურე! ზარბის, გარედან მოისმის მისი ხმა) აჩუ, მერანო, ფრთები მოისხი, შენს პატრონს ვენაცვალე! (ზენების ხმაური)

ი ა ს ო ნ ი — (გაბოს გზას გაჰყურებს) თაე-პირს ჩაიმტვრევს ეგ ალქაჯი!

ფ ი რ ა ნ ი — ჩაიმტვრიოს, მახარობელს სიცოცხლე და სიგიჟე შვენის!

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მერვე სურათი

მეოთხე სურათის სანახაობა. ყველა მგლოვიარეებივით ჩამომსხდარან ეზოში და აივანზე. დ ა რ ო ჯოხზე დაყრდნობილი მოსთქვამს, სხვები უსმენენ. ა ნ ი ა კ ო გზას გაპყურებს

დ ა რ ო — ოჰ, ჩემო კეთილნო! ნეტავი სულაც არ გავჩენილიყავი ასეთი კვიმატი ენის პატრონი! გაუგონარი უბედურება გელით-მეთქი და მართლაც ახდა! ჯერ არავის სმენია, რომ ნეფე სუფრიდან გაქცეულიყოს და საკუთარი ქორწილი ჩაეშალოს!

ა ბ რ ი ა — თუ შენს ენას მაგდენი შეუძლია, ახლა თქვი — გაუგონარი ბედნიერება ეწვევა-თქო და ეგეც ახდება!

დ ა რ ო — რისთვის გადმომიყვანეთ? ხუთი დღეა ველით და მაინც არაფერი მეშველა!

ნ ე ს ტ ა ნ ი — ლოდინისა და მხნეობის მეტი ჩვენ სხვა წამალი არ გაგვაჩნია!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ოჰ, დედა! შენი ავადმყოფობა რომ არ მიკრავდეს ხელ-ფეხს, სახლში რა დამაყენებდა? თქვენ არც იცით, რა ხდება!

ნ ე ს ტ ა ნ ი — მაინც რა, შვილო?

მ თ ვ ა რ ი ს ა — გუშინდლამდე იმედი ჰქონდათ, ელოდნენ, დღეს კი უკვე გადაწყვიტეს, რომ რაღაც საშინელება მოხდა; რაიკომის მითითებით ცხვარი დაიკიწყეს და თვითონ ფირანის ძებნას შეუდგნენ!

ქ ი ტ ა — ეს ტიალი, გლოვის ზარი ერთთავად ყურში გამწივის!

ნ ე ს ტ ა ნ ი — რაო, გლოვის ზარიო? აბა, ჩემო კეთილნო, ასე უცებ იმის დაღუპვას ვერ დავიჯერებ! მე ის ისეთად არ გამიზრდია, რომ ადვილად მოერიოს ან მხეცი, ან კაცი, ან ხიფათი! ჭკუა გზას უნათებს, ღონე მუხლს უმაგრებს, სულის სიმტკიცე ფრთას ასხამს, საქმის სიყვარული კი გულს უსალკლდეებს! მან იცის როგორ მოიპოვოს ბედი და როგორ

დათრგუნოს ბედისწერა! ხომ ისმინეთ, რა თქვა ინჟინერმა შანშემ ფირანის დაკარგვის მეორე დღეს — აზვირთებული იორი უკუნეთში ისე გაუჭყოპია, როგორც რუ! იმაზე ძნელს რაღას წააწყდება?

მ თ ვ ა რ ი ს ა — ეგ იმედი, ჩემო დედამთილო, კარგია მაშინ, როდესაც მოქმედებაც თან ახლავს! სხვები ეძებენ, ჩვენ კი კუნძებად ვქცეულვართ! მანქანით შირაქის გზას აქამდე ცხრაჯერ მოვივლიდით!

ნ ე ს ტ ა ნ ი — მერე და მანქანა სად არის, შვილო?

მ თ ვ ა რ ი ს ა — შანშე შემპირდა, მე და ანიკო წავალთ!

ა ბ რ ი ა — მწყემსს ცხვარი ყრუ მინდვრებში და ყამირ ველებზე მიუდის, მანქანა არ გამოდგება!

ქ ი ტ ა — მაშინ ჩვენ რას ვაკეთებთ, ბებერო? ცხენებს მოვახტეთ და გზას გავუდგეთ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — მანქანით მნახველებს მაინც წავაწყდებოდით, რაღაცა ამბავს მაინც გავიგებდით!

დ ა რ ო — ნუ ხარ ატეხილი, შვილო, ველ-მინდვრებზე ხეტიალს ფირანიც არ მოგიწონებს!

მ თ ვ ა რ ი ს ა — რატომაც არა! თუ უკვირს — მისი მხსნელი მე უნდა ვიყო! თუ დაკრილია — ჭრილობას მე უნდა ვუხვევდე, და თუ მკვდარია, მისი ქვრივი ვარ!

ა ნ ი კ ო — (შეჰყვირებს) მთვარისა! მანქანა მოჰქრის ჩვენსკენ!

ნ ე ს ტ ა ნ ი — ოჰ, შვილო! შენი სიყვარული მეც ფრთას მასხამს, თან გამოგყვები! (მანქანის ხმა. გაჩერდება. შემოდის შ ა ნ შ ე)

შ ა ნ შ ე — სალამი! გამარჯობათ! მაპატიე, მთვარისა, რომ დაგიგვიანე!

მ თ ვ ა რ ი ს ა — აბა, რას ბრძანებთ! მე გაწუხებთ, თქვენ ბოდიშს იხდით?

შ ა ნ შ ე — არავითარი შეწუხება! მე ჩემდათავად ვარ აღფრთოვანებული! ფირანის ვაჟკაცური საქციელით სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ ღირსეულთ ერთმანეთი გიპოვიათ და ვინც თქვენს კავშირს ჩაშლის, ის უდიდეს ბოროტებას ჩაიდენს. ინებეთ, ამხანაგმა როსტომმა მანქანა შემოგთავაზათ, რომ დაკარგული ბედნიერება ეძებოთ!

მ თ ვ ა რ ი ს ა — დიდად გმადლობთ!... ნუღარა ვდგევართ! ანიკო, ჩემი საწვიმარი გამომიტანე!

ნ ე ს ტ ა ნ ი — ჩემი შალიც, შვილო! ტახტზე დევს დაკეცილი, მაგრამ მოიცათ! მეჩვენება, თუ მართლა ცხენს მოაჭენებენ?

ა ნ ი კ ო — ნამდვილად ცხენოსანია, ჩვენსკენ მოჰქრის!

მ თ ვ ა რ ი ს ა — (ციბეზე არბის) ის არის! ისევ ის ნიშა ცხენი და მწყემსი ბიჭი!

ა ბ რ ი ა — (გასძახის) ნელა, შე დამთხვეულო, კრუხ-წიწილა არ გაგვეწყვიტო!

ქ ი ტ ა — ვაქაცობს, ყალყზე შეაყენა! გადმოხტა! სიმღერაც წამოიწყო...

(შემოდის გ ა ბ ო, დაღლილია, მაგრამ ძალზე მხიარულად არის. ჯერ მღერის)

შენ კი გენაცვალე, შენა,
შენ ეგრე რამ დაგამშვენა?
შენ ერთი ხარ ჩვენს სოფელში,
ნუგეში და ხალხის ლხენა!

(უცებ ქუდს მოიხდის და მიწაზე დაახეთქებს) ვაშაა! ვერავინ მომასწრო, სამახარობლო ჩემია!

მ თ ვ ა რ ი ს ა — სამახარობლო?

ა ბ რ ი ა — ჯერ თქვი და მერე სამახარობლოზე იჩხაველე!

გ ა ბ ო — ჰოდა, ჩხავილი რომ არ დაჭირდეს, ჯერ დამანახვეთ! ხვნაში სჯობია პირობა, მკაში არ გამოგვადგება!

ნ ე ს ტ ა ნ ი — შვილო, გაბო! ლამის ზეზეურად ამომხდეს სული, თქვი და რასაც მომთხოვ...

გ ა ბ ო — ვერ მოგართვით! პატარა საქმე ხომ არ არის? ჯერ უნდა ვიცოდე...

შ ა ნ შ ე — ყმაწვილო! ყველაზე წინ უფროსების პატივისცემა უნდა იცოდე!

გ ა ბ ო — სწორედ ეგ უფროსებია, პატარეებს რომ ამწარებენ ხოლმე!

დ ა ვ ო — გამოიტანეთ, მიეცით, რაცა გაქვთ, ოღონდ მალე თქვას!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ჩემი ოქროს საათი, ჩქარა, ანიკო!

ა ბ რ ი ა — საათი კი არა, ამას ერთი კარგი ქიმუნჯი მოარჯულებს!

ა ნ ი კ ო — (მოარბენინებს) ესეც საათი...

მ თ ვ ა რ ი ს ა — აი, ერთიანად ოქროსია, ძეწკვიც ოქროსი აქვს, სიკეთეში მოგხმარდეს!

გ ა ბ ო — ე, რა ერთი ციცქნაა! ეს ხომ ხელში გამეჭყლიტა, რა თაეში ვიხლი? (უკან აძლევს)

მ თ ვ ა რ ი ს ა — მაშინ ჩემი აბრეშუმის საკაბე გამომიტანე, ანიკო! ამისთანა ხალათი არავის ექნება!

გ ა ბ ო — ჰმ! აბრეშუმი და ისიც საკაბე! ხომ ძეძვებზე დამეფხრიწა და დამებლანდა! ტილო მაინც გეთქვა!

ა ბ რ ი ა — ეს რა ქვა ყოფილა, კაცო! აჰა, შე ეშმაკის მოდგმავ, (აწვდის დანას) ისე სჭრის რკინას, როგორც მაწონს!

გ ა ბ ო — (გამოსტაცებს) შენ გენაცვალე! აი, საჩუქარიც ამასა აქვია!

ქ ი ტ ა — აჰა, ეს ქამარიც თავში იხეთქე! (იხსნის, აძლევს) კამეჩიც ვერ გაწყვეტს!

გ ა ბ ო — იფ, შენი გულისა! ერთი ხანჯალიც რომ იყოს...

ნ ე ს ტ ა ნ ი — ხანჯალს კიდევ მე მოგცემ, პატარა ბიჭობაში ფირანი ხმარობდა!

გ ა ბ ო — თქვენ გენაცვალეთ! მაშ უფროსის ნაქონი ხანჯალიც გავიკარი? ჩემისთანა მახარობელი ქვეყანაზე არ დაბადებულა, არა-მეთქი, ეგრეა და რაც გინდა თქვით! ჰოდა, გუშინ დილით, გატანჯულმა და გაწამებულმა უფროსმა დაკარგული ფარა უკლებლივ ბინაზე მორეკა!

ნ ე ს ტ ა ნ ი — შენ გენაცვალე, გაბრიელ! (ჰკოცნის) იმ ხანჯალს ერთი კარგი დედალიც დაემატება!

მ თ ვ ა რ ი ს ა — თვითონ... თვითონ როგორ არის?

გ ა ბ ო — გორავს, მაგრამ მალე გაიმართება!.. ჰო, ერთი წერილი ქიზიყში ვაფრინე, აი, ეს კი თქვენთან არის!

ნ ე ს ტ ა ნ ი — (ართმევს) ალბათ, რაღაც დიდი განზრახვა აქვს! (ხსნის, კითხულობს)

მ თ ვ ა რ ი ს ა — ჩემთან? ჩემთან კი არაფერი გამოგატანა?

გ ა ბ ო — დედა და ვიღაც ქალი, თუხდაც დედოფალი, ერთი და იგივეა? მე რომ დედა არა მყავდეს, ერთ დღესაც ვერ გავძლებდი! ცოლი კი... ცოლი არა მყავს, მაგრამ ვძლებ!

შ ა ნ შ ე — მეტისმეტს თავხედობს!

მ თ ვ ა რ ი ს ა — მახარობელია თორემ სულ კინწისკვრით გავაგდებდით!

გ ა ბ ო — ეგრეა, შვილოსა! ცხარე წიწაკა პირსა გეწვავს, დიდი სიმართლე კი გულს!

ნ ე ს ტ ა ნ ი — (აღფრთოვანებით შეპყვირებს) შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, შვილო! ისეთი სუფრა გავშალო, იმდენი სტუმარი დაგახვედრო, დღესასწაული გეგონოს! გაბო, გასწი და გადაეცი: რასაც მწერ ყველაფერი რიგზე დაგხვდება-თქო!

გ ა ბ ო — თქვენ გენაცვალეთ, იქაც სამახარობლო მელის, მიეფრინავ! (ქუდს დაახეთქებს, ისევ დაიხურავს, გარბის)

ნ ე ს ტ ა ნ ი — ჩემო კეთილო! ქორწილის განახლებასა მთხოვს, სწორედ იმ დღით და იმ წუთს, რა წუთსაც გაიქცა! დატრიალდით, დრო ცოტაღა დაგვრჩა! ფარდაგები დაფინეთ, საკლავი წამოაქციეთ, თონე გაახურეთ და მთელი სოფელი ფეხ-

ზე დააყენეთ! მალე! ჩქარა! სწრაფად!

(ჩამობნელდება. შემდეგ თანდათან განათდება. ფარდაგები დაფენილია, ყველა და ყველაფერი გაჩირაღდნებული. ქალები კიბეზე არბიან და ხარბიან, ყველგან სუფრას შლიან: აივანზეც, ეზოშიც, დერეფანშიც, მესერის შემოსასელელ კართან ხალხია შეგროვილი)

ყ ი ე ი ნ ა — მიიღეთ, ჩვენგანაც მიიღეთ!

ა ბ რ ი ა — ქიტავ, არ გესმის, ადამიანო! მოდი, მომხედე, აღარც ხალხი ილევა და აღარც ამათი დოვლათი!

ქ ი ტ ა — (შემოდის) კიდევ მოაქვთ? აკი ვუთხარით არაო!

ა ბ რ ი ა — რაკი მოაქვთ, ჩვენც მივიღოთ! ხომ გაგიგონია: სულელი აბნევს, ჭკვიანი ხვეტს!

ქ ი ტ ა — (ხალხს) რაზე არცხვენთ? ფირანს რა აქვს სამოწყალო? რომ მოინდომოს შვიდ სოფელს გაუძღვება!

(შემოდის დ ა თ ი ა, ყველაფერს ათვალიერებს)

დ ა თ ი ა — ჰმ! ჩემთვის სამარე გავითხარე, ამას კი ვერ უყურებთ, რა ქორწილი მოვუწყე? ყველაფერი გაჩირაღდნებულია, ჯანდაბას! ბიჭებო, რაიკომის მდივანს ვეძებ, მითხრეს, რომ აქეთ წამოსულა, ხომ არ გინახავთ?

ხ მ ა უ რ ი — არ ვიცი! არ მინახავს! ნეტავ რას დაეძებ? (ყველა ზურგს შეაქცევს)

დ ა თ ი ა — ზურგს რად მიჩვენებთ, თქვენთვის ხომ არაფერი დამიშავებია?

ხ მ ა უ რ ი — — კაი კაცი რომ იყო, ბინიდან არ გამოგაგდებდნენ!
— ფრთბილად! დღევანდელ დღეს ხალხი არ ჩაგამწარებინებს!

დ ა თ ი ა — ჰო, მაგრამ მეც ხომ უნდა მომისმინოთ, რაზე გამომაგდეს?

ყ ვ ე ლ ა — მხოლოდ დღეს არა, სხვა დროს!

დ ა თ ი ა — ვინ დამწყევლა, ეს ოხერი! კოლმეურნეობის გამგეობას ჩემთვის არა სცალიან, აღვასკომში კარები მომიხურეს, რაიკომის მდივანს მიმალავენ! ფუი, ასეთ ყოფას! (გარბის)

ა ბ რ ი ა — მაგის წანწალი რაღაც არ მომწონს!

ნ ე ს ტ ა ნ ი — (შემოდის) ჩემო მაზლო, რისთვის იყო დათია?

ქ ი ტ ა — რაიკომის მდივანს დაეძებს!

ნ ე ს ტ ა ნ ი — ალბათ საჩიელელად, მაგრამ რას გაიტანს? აბა, უყურეთ! კიდევაც მოდიან მოსალოცად! მშვენიერია, დიდებული! ახალ სახლში ახალი წყვილი მკვიდრდება, რომელთაც წინ უძღვით ხალხის სიყვარული და პატივისცემა! (გარეთ გა-

ძახის) მობრძანდით, ჩემო გამხარებელნო! (შემოდის რამდენიმე ახალგაზრდა თაიგულებით, ხილის ჯაგნებით, აკიდოებით)

ახალგაზრდები — დედოფალს სთხოვეთ, თუ შეიძლება!
— ნეფის ძოსვლამდე ჩვენ გვინდა დედოფალს მივულოცოთ, რომ სუფრა ჩვენც დავაკ მეენოთ!

ნესტანი — ქალებო, ახალგაზრდებს გულს ნუ ატკენთ! (ქალები შერბიან ოთახში, გამოაყავთ სადედოფლოდ მორთულ-მოკაზმული მთვარისა, მოსდევენ დარო და ანიკო)

მთვარისა — მე მეძახიან?

პიონერი — (წინ წამოდგება) მე, როგორც წარმომადგენელი მთელი რაიონის პიონერებისა და მოსწავლეებისა, გილოცავთ დღევანდელ ბედნიერ წუთებს! ჩვენი სურვილია, რომ თქვენი ქორწილის განახლებული სუფრა ჩვენც შევამკოთ თაიგულებით! აი, მოგვირთმევია! (მიართმევს ხელიდან ხელში გადაცემით. ქალები მაგიდებზე ამწკრივებენ)

მთვარისა — ეს... რატომ შეწუხდით?

დარო — სიზმარში ვარ თუ ცხადად ხდება? მთელი სიცოცხლის ნაღველი ამ ერთმა დღემ შემიმსუბუქა!

ახალგაზრდა — ჩვენი რაიონის კომკავშირული ახალგაზრდობის სახელით გილოცავთ ხალხის სიყვარულს, რომელიც თქვენმა მეუღლემ დაიმსახურა! რაიონის ახალგაზრდობას სურს თქვენი ქორწილის სუფრა შეამკოს საკუთარი შრომით მოპოვებული ხილით! აი, მოგვირთმევია! (აწვდიან აკიდოებს, ჯაგნებს, ასხმულებს. ქალები სუფრაზე ამწკრივებენ)

დარო — ოჰ, დამბადებელო, გეევედრები, ამ წუთებს მაინც ნუ მიქცევ ნურც სიზმრად და ნურც ძოჩვენებად!

მთვარისა — ეს რა ხდება ჩემს თავზე? მე ხომ სახლიდან არც კი გავსულვარ? არა, ამის ღირსი მე არა ვარ, არა-მეთქი! (შერბის ოთახში, მისდევენ დარო, ანიკო და სხვები)

ახალგაზრდა — მეგობრებო, ამ მშვენიერი დედოფლისაგან ისწავლეთ თავმდაბლობა, ისწავლეთ თავის დაკერა; ქებაზე კი არ გაიბღინძა, არამედ გული აუჩუყდა, ენა დაება! ახლა კი, სადაც ხალხი იყრის თავს, ჩვენც იქით წავიდეთ, ყიჟინით დავხვდეთ ფირანს!

ნესტანი — შვილებო, თქვენც მოსწრებოდეთ ასეთ ლხინს, ასეთ ბედნიერებას და ასეთ სახელს! (ახალგაზრდები გადიან)

ქიტა — სტუმარი აღარ ილეკა, აბა, გაიხედე, ყველაზე ძვირფასები ახლა მოდიან!

ნ ე ს ტ ა ნ ი — რაღა მეშველება, საპატიო ხალხიც თავს იყრის და ფირანი კი არა ჩანს!

ა ბ რ ი ა — ბიჭოს! რაიკომის მდივანი, იხვინერი და კიდევ სხვები გვეწყინენ! ვინც მოვიდნენ, გაუმარჯოთ!

(შემოდის რ ო ს ტ ო მ ი, მოსდევს შ ა ნ შ ე და რამდენიმე სხვა პირი)

რ ო ს ტ ო მ ი — სალამი, გამარჯობათ, მეგობრებო!

ყ ვ ე ლ ა — იცოცხლეთ, იბედნიერეთ!

ქ ი ტ ა —

გასხლულ ვენახში შეველი,
ფიჩხად მოეკრიფე წალამი!
ნურც დაგვლეოდეს ნეროდეს,
ეგ თქვენი ტაბილი სალამი!

შ ა ნ შ ე — ნუ გაიკვირვებთ, ამხანაგო როსტომ! პოეზია სიხარულის ნაყოფია!

რ ო ს ტ ო მ ი — მაშ ვაშა შევძახოთ, რომ კიდევ დაგვატკბოს!

ყ ვ ე ლ ა — მისცხე! მისცხე, ქიტა პაპა!

ქ ი ტ ა — ადრე მოსულო სტუმარო, გულს დაგვიფინე იანი!
ასკეცი სუფრა დაგხვდება და ყანწი ბარაქიანი;
სანაღვლოდ აღარ გვექნება სიცოცხლე, მოკლედღიანი,
ველი ყვავილით მშვენდება, სახელით — ადამიანი!

ა ბ რ ი ა — შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ბებერო! (გადაეხვევა)

ნ ე ს ტ ა ნ ი — ჩემო საყვარელნო! ძვირფას სტუმრებს მარტო ლექსებით ვინ დახვედრია? მობრძანდით, აი ეს სუფრა ჩვენი, ბრძანება კი თქვენი!

შ ა ნ შ ე — ჯერ თუ მთავარი დამნაშავე არ მოსულა, სუფრასთან რა მიგვიყვანს?

ყ ვ ე ლ ა — მოვა, ის სიტყვის პატრონია!

(შემორბის დაქანცული დათია)

დ ა თ ი ა — მაპატიეთ, პატივცემულო როსტომ, თქვენღა ხართ ჩემი ნუგეში!

რ ო ს ტ ო მ ი — რა მოხდა, მეგობარო? შეშფოთებულს გევხართ!

დ ა თ ი ა — რაღა რა! ჩემი სიტყვა ყველას შხამად ეწვეთება, ჩემი საქციელი ჩემსავე რისხვად უკან მომიბრუნდება! (შანშე როსტომს ყურში რაღაცას წასჩურჩულებს) განა კოლმეურნეობა იმისთვის არ გვინდა, რომ თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრება უკეთ მოეწყოს? ამის მეტი რა მითქვია? მაშ ჩემი ბედი რაღად ტრიალებს ასე უკუღმართად?

რ ო ს ტ ო მ ი — აი ვინ ყოფილა ეს კაცი!

დ ა თ ი ა — სამართლის კარი ყველგან მომიჯახუნეს და თქვენს-

ქენ გამოვწიე! მე ისეთ რამეში მთელიან დამნაშავედ, რაც მწყემსს ყოველ წუთში დაემართება, მე...

როსტომი — კმარა, მეგობარო! ჭუჭყიანი საქმეებისთვის მე ხვალ მოვიცლი!

დათია — ჭუჭყიანი? რა არის ჭუჭყიანი? რომელი ჭუჭყი?

ხმაური — თავს ნუ აბეზრებ, დათი!

დათია — აქაც, აქაც მოვტყუვდი! მოდი და ასეთ ხალხში სამართალი ეძიე! ფუი ამ ყოფას! (გადის)

ნესტანი — ნეტავი სანუგეშოდ ერთი სიტყვა მაინც გეთქვათ!

როსტომი — არ ღირს ამაზე ლაპარაკი!

ქეტა — დაბინდდა, მაინც არა ჩანს, ამაზე ვილაპარაკოთ!

როსტომი — კეთილი, მაგაზედაც მე გიპასუხებთ... (საათს დაბედავს) გუშინაც ვნახე ფარეხში, ჩემს საათზე გაასწორა თავისი საათი...

უიქინა — მოვა! მოვა, არ უნდა ლაპარაკი!

როსტომი — ცოტა ხანს სიჩუმე, მეგობრებო! ჩემი საათი მეუბნება — დროაო! რასაც თვალით ვერ ვხედავთ, ეგებ ყურმა გაგვაგებინოს! (სიჩუმე. მოისმის ომახიანი ვაჟკაცური სიმღერის ხმა და ცხენების თქარათქური, რომელიც თანდათან ძლიერდება) აი, ახლა ხომ გაგიგიეთ?

ხმაური
— ელექტრონით გაჩირაღდნებულ შარაზე გამოჩნდნენ!
— მწყემსებიც დაუპატიჟნია;
— ოცზე მეტი იქნება! სულ ცხენოსანი!

როსტომი — (სიმღერა ძლიერდება) მეგობრებო, გამაგებინეთ, რას მღერიან! (სიჩუმე. სიმღერა მკაფიოდ)

შენი ჭირიმე ჭირშია, კარგი ხარ გასაჭირშია!
ვაჟკაცოც შეეფარება შენი ულვაშის ჩრდილშია!..

ხმაური
— აგერ ფირანი წინ მოუძღვით!
— მისი ვეფხვია ქარიკით მოჰქრის!
— ისევ ისეა, როგორც წავიდა — უქუდოდ, უნაბდოდ!

ქეტა — ვაჟკაცი რაშით მოგელავს, იწყება ლხინი, ღრეობა!
მოემზადენით, ვისაც გაქვთ ღონე და მოცალეობა!

უიქინა — ვინც მოვიდნენ, გაუმარჯოთ!

ფირანი — (გამოჩნდება ჭიშკართან) ჩემო სანატრელნო, მიგვიღებთ თუ არა?

უველა — ნეფეს გაუმარჯოს!

(გამოვარდება მთვარისა, მოსდევენ დარო და ანიკო)

მთვარისა — რატომ არ მოვკვდები, როგორ შეცვლილა ანიკო!

ა ნ ი კ ო — ქორწილს სახუმაროდ არ ჩაშლიდა, ეს კარგად უნდა იცოდე!

მ თ ვ ა რ ი ს ა — (კიბეზე დაეშვება) ფირან!

ნ ე ს ტ ა ნ ი — სულ საკეთილოდ, სულ საბედნიეროდ იღებოდეს შენი სახლის კარი, შვილო! მობრძანდით! (დადგებიან) მოგიკვდეს ჩემი თავი, როგორ გამხდარხარ, გაშავებულხარ!

ფ ი რ ა ნ ი — ცრემლი! ცრემლი არ დამანახო, დედი! ყველაფერი რიგზე იქნება! (მწყემსებს) მიგვიღებენ, ვეწვიოთ, ძმებო! (შემოდიან ეზოში)

მ თ ვ ა რ ი ს ა — (მივარდება) ფირან! ფირან! აჩრდილსა ჰგევხარ! ასე რამ დაგტანჯა, რამ შეგაწუხა? მე კი ნებივრად გულხელდაკრეფილი გელოდი!

ფ ი რ ა ნ ი — ნუ გენაღვლება, ჩემო სიცოცხლევ! საქმე იყოს კარგად და ჩვენ არაფერი დაგვიშავდება! მაპატიე, რომ ქორწილი ჩაგაშხამე! (პკოცნის)

რ ო ს ტ ო მ ი — მეგობრებო! თქვენი ნება-სურვილით, მე მინდა სიტყვით მივმართო ფირანს!

ყ ვ ე ლ ა — ბრძანეთ, გისმენთ!

რ ო ს ტ ო მ ი — ამხანაგო ფირან! დღეს შენს სახლში ქორწილია თუ დღესასწაული, ძნელია გარჩევა, მაგრამ უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ ვხედავთ და გეესმის! საქმე დაკარგული ცხვრის პოვნაში როდია! დოლათის გადარჩენა კარგი საქმეა, მაგრამ მასზე უფრო დიდი და ბრწყინვალეა სწორედ ის სიყვარული, ის თავდადება, რომელიც შენ გამოიჩინე მით, რომ საერთო საქმე წინ დააყენე პირად ბედნიერებაზე! შენ ამ მხრივ ყველას ჭკუის მასწავლებლად იქეცი და დღეის შემდეგ შენი ლხინი — ჩვენი ლხინია, ხოლო შენი ჭირი — ჩვენას ჭირადაც მიგვაჩნია!

ყ ვ ე ლ ა — იდღეგრძელოს, იბედნიეროს ფირანმა!

რ ო ს ტ ო მ ი — მეგობრებო! მე მინდა ფირანს საქმითაც დავუმტკიცო ჩვენი პატივისცემა. შემთხვევაშ თუ განგებ მოწყობილმა ხიფათმა ყველა და ყველაფერი გააშუქა, გამოაჩინა, ამის საპასუხოდ: რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ამაღამინდელი ნეფე-დედოფალი მოსკოვს ერთად გაემგზავრებიან!

მ თ ვ ა რ ი ს ა — ნატვრა ამიხდა! ოჰ, ბედნიერებავ! (ფირანს ეკვრის)

ყ ვ ე ლ ა — ბედნიერი მგზავრობა!

დ ა რ ო — დამილოცნიხართ! ოღონდ ერთად წადით და გნებავთ ქვეყნის დასასრულამდე იარეთ!

ა ბ რ ი ბ — აბა, ახლა კი გვეყო ამდენი ვაშა და ყიჟინა, სუფრასთან ყველა!

გ ა ბ ო — (შემორბის) ვარ და ვიქნები, უფროსო!

ფ ი რ ა ნ ი — ბიჭო, ხომ ხედავ რა წუთებია, მოსკოვში შენც უნდა წაგიყვანო, გვიშხამებ? ყორანი ხარ თუ მერცხალი!

გ ა ბ ო — იადონი ვარ, მთლად უფროსო! შირაქიდან სტუმარი გეწვია.

ფ ი რ ა ნ ი — შენ გენაცვალე! (დაჯოცნის) სთხოვე, რაღასა დგეხარ?

გ ა მ გ ე — (შემოდის) თხოვნაც აღარ მინდა! სალამი, ძმებო, მეგობრებო და ჩემო მალხინებელნო!

ყ ვ ე ლ ა — იცოცხლე, იბედნიერე!

გ ა მ გ ე — მე სიტყვის კაცი ვარ, დეპეშაც რომ არ მიმეღო, მაინც ჩამოვიდოდი, რადგან ჩვენ საუკუნო ძმობა შევფიცეთ ერთმანეთს! ვიცოდი, რომ აქ ქორწილის განახლებული სუფრა დამხვდებოდა და ხელცარიელი ვერ მოვიდოდი. ნება მიბოძეთ მიეულოცო მათ ბედნიერების წუთები, ეს მზეთუნახავ დედოფალს! (გახსნის და მიაწოდებს ვერცხლის სურას) ესეც გმირ ნეფეს! (გახსნის და მიაწოდებს შეევრცხლილ ბრტყელ ხანჯალს) სიკეთესა და ბედნიერებაში მოგხმარდეთ!

ფ ი რ ა ნ ი — იცოცხლე, იბედნიერე, ჩემო განუყრელო ძმაო! (ერთმანეთს ეხვევიან)

მ თ ვ ა რ ი ს ა — დიდად გმადლობთ!

გ ა მ გ ე — ცისქვეშ მოხეტიალე ვაჟკაცებო, ჩვენებურად, მწყემსურად, ნეფე-დედოფალი სუფრამდე სიმღერით მივაცილოთ!

მ წ ყ ე მ ს ე ბ ი
— სუფრამდე ეზო უნდა აევამტვეროთ!
— ბიჭებო, მათრაბები ბიჭყარეთ!
— გაბრიელ, ყველაზე წინ შენ უნდა შედგე ფეხის ცეკვებზე! (ძღერიან ჩქარ შარს. ცეკვ-ვენ).

ქ ი ტ ა — იცოცხლეთ, იბედნიერეთ,
ქორწილია და ქორწილი!
კვლავ ციოამადებ ლექსებით
თქვენი მონა და მორჩილი!

ხ მ ა უ რ ი
— დროა, ყელი ჩაგვეხლანძა!
— მობრძანდით, პატივ-ეცმულო როსტომ!
— მაყრულით მივაცილოთ სუფრამდე, ნაყრულით! (ძღერიან, სუფრას სიმღერით შეძოუსხდებიან)

ფ ი რ ა ნ ი — (ყანწს შეავსებს) ძმებო! მეგობრებო! ჩემო მახლობელნო! არც ერთ ქორწილში ნეფეს არ დაუწყია სადღეგრძელოები, მაგრამ დღეს მე უნდა დამაწყებინოთ!

ყ ვ ე ლ ა — თქვი, ბრძანე, გისმენთ!

ფ ი რ ა ნ ი — წინა კვირას მე ქორწილი ჩავშალე! პატიებას გთხოვდით, მაგრამ ვინც საერთო ვითარებას ანგარიშს გაუწევს, თავისთავად ნაპატიებიცა ვარ და შენდობილიც! ამხანაგებო! ჩვენ ყველას ჩვენი მთავრობა მოგვიწოდეთ გავაკეთოთ ის, რაც ადამიანის ხელსა და ნებას შეუძლია! კაცი მერქვას და კაცის ხელით გასაკეთებელი, როგორი დაბრკოლებაც არ უნდა გადამეღობოს, ვერ გავაკეთო?! მაშინ მე ქორწილი კი არა. სიცოცხლეც აღარ მინდა!

ყ ვ ე ლ ა — შენ გენაცვალე! შენი პირიმე!

ფ ი რ ა ნ ი — რა სჯობს, რომელი ქორწილი შეედრება ამას? მიიხედ-მოიხედეთ, მეგობრებო, რა ხდება! მაშინ ქორწილში მარტო ნეფე-დედოფლის მახლობლებს მოეყარათ თავი, ახლა კი მთელი სოფელი მწვევია! მაშინ ბევრმა შინაურმა არც კი მიკადრა, ახლა კი სტუმარი შირაქიდანაც მეწვია და ჩემს ქორწილს მთელი კახეთი იხდის! მაშინ ქორწილს ღრეობა ერქვა, ახლა კი მთელი ხალხის ზეიმია და დღესასწაული! მე ერთი სიცოცხლე მაქვს და ამ წუთებს ათასჯერ მსხვერპლად მივუტანდი! ვინც ჩვენ ასე აღგვზარდა, იმ დიდ პარტიას გაუმარჯოს! (ყველა ფეხზე დგება, ჭიქებს მაღლა სწვევენ)

ყ ი ტ ი ნ ა
— გაუმარჯოს, ვა?ა!
— ვაჟკაცურ სადღეგრძელოს ვაჟკაცური სიმღერა მოუხდეა! (წამოიწყებენ სიმღერას. საერთო ზეიმი, საერთო ს..ხარულია).

ფარდა

გიორგი
ნახუცრიშვილი

გენერალი ლესელიძე

პიესა 3 მოქმედებად
6 სურათად

მოქმედნი პირნი

გენერალი კონსტანტინე ღესელიძე
პოლკოვნიკი — ღესელიძის შტაბის უფროსი
ლეიტენანტი სმირნოვი
კაპიტანი დუბროვინი — გენერალ ღესელიძის ადიუტანტი
I კოლმეურნე
II კოლმეურნე
ილია
ღელა
მოხუცი აფხაზი
ახალგაზრდა ქალი
ჭაღარა ქალი
ევდოკია
მარუსია
პრასკოვია
I მოთვალთვალე
II მოთვალთვალე
გენერალი ფონ-კლეისტი
გენერალი შვარცკოპფ:
მაიორი ბერკმანი
ობერ-ლეიტენანტი შტაუბე
ლეიტენანტი კერეი
შვარცკოპფის ადიუტანტი
ნოდარ ფარუკიძე — ქართველი ემიგრანტი
ოტო შულც — რადისტი
I ჯარისკაცი
II ჯარისკაცი
III ჯარისკაცი
I გუშაგი
II გუშაგი
ოთარ ღესელიძე
ნიკოლენკო — მზარეული
პარტიზანი

წითელარმიელები, გერმანელთა ჯარისკაცები. მოქმედება წარმოებს 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში.

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

სოფელი ფსხუ (აფხაზეთი). მარცხნივ—მთა ხიფსტა. მარჯვნივ—სახლი სარდაფით. შუაზე — ეიწრო გზა, შემოზღუდული პიტალო კლდეებით. შორიდან მოისმის ბრძოლის გუგუნი, რომელიც თანდათან ახლოვდება. სოფლის მხრიდან შემოდიან ლტოლვილები, დატვირთულნი სხვადასხვა საოჯახო ბარგი-ბარხანით, და ჩქარი ნაბიჯით გადიან მარცხნივ. ლტოლვილთა შორის შემოდიან მოხუცი კაცი და ახალგაზრდა ქალი.

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — უუხ!.. შენი ჭირიმე, პაწა ნელა იარე, თორემ აღარ შემიძლია მეტი...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ქ ა ლ ი — ასე თუ ვიარეთ, დაგვეწეიან და ესაა...

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — პაწა შევისვენოთ, შენი ჭირიმე, თორემ ლამის გული ამომვარდეს...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ქ ა ლ ი — რა ვქნა, ნენა! მებრალები ძალზე... აგერ, საცაა დაღამდება და ჩვენც ველარსად გავასწრებთ. დაჯექი, შეისვენე! (მოხუცი ჩამოჯდება. შემოდის ილია ყუმბარების ყუთით დატვირთული, ყუთს გზის პირას დასდებს)

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — კაცო, ილია! ყველა იქით გარბის და შენ აქეთ მოეზიდები?.. კაცო, ჩვენთან არ მოდიხარ?

ი ლ ი ა — როგორ არ მოვდივარ, მაგრამ... ჩემს ლელას ვუცდი...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ქ ა ლ ი — ლელას? ჰო, ლელა იქ ჩვენს ერთ ოფიცერს ზარბაზნის სროლაში ეხმარება...

ი ლ ი ა — დიახ, ვიცი... ჩვენები რკალში მოემწყვდნენ და ის ოფიცერი იმ რკალის გარღვევაში ეხმარება...

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — ჰა, ილია!.. რა უბედურ ვარსკვლავზე ვართ, ბიჭო, დაბადებული, ჰა?

ი ლ ი ა — რაზედ ამბობ, ალექსი?

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — რაზედ და, რაც კაცად ვიქეცი, სულ ომებია, კაცო... სულ სისხლის ღვრა და წიოკი!.. ბიჭო და, დამშვიდება აღარ უნდა ეღირსოს ამ ქვეყანას?

ი ლ ი ა — ეღირსება, ჩემო ალექსი, ეღირსება... მოითმინე პატარა.

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — არა და, გაგონილა, კაცო, ქვეყნის ასე გაუთავებელი უბედურება?... რა უნდათ ახლა ჩვენგან ამ შეჩვენებულებს, ჰა? პატიოსნად ჩვენი ცხოვრება კალაპოტში ჩავაყენეთ, ჩავიცვით და შევიმოსენით, ოჯახი დოვლათით გავივსეთ და, აჰა!... შეხედე! რა რისხვა დაგვატეხეს თავს ამ ავაზაკებმა!... ჩემი ხნის კაცს გასაქცევად უნდა ჰქონდეს საქმე? ფუი, მაგათ სინდისს!.. ბიჭო, ილია, რა ტკბილი ცხოვრება გაგვიმწარეს, მაგ ურჯულოებმა!...

ი ლ ი ა — დამშვიდდი, ცოტაც მოიცადე, ალექსი! ყველაფერს მოევლება.

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — ბიჭო და, აბა მაშ რას ვიზამ, რომ არ მოვიცადო... შენ ეს მითხარი, იმ ჩვენი ფერმის საქონელი თუ გახიზნეს?

ი ლ ი ა — გახიზნეს, ალექსი... ყველაფერი დროით გავხიზნეთ!

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი — მადლობა ღმერთს! ის საქონელია ჩვენი იმედი... ეჰ!... ერთი ეს წუნკლები მოვიშოროთ და კიდევაც წელში გავსწორდებით, — არა, ილია?

ი ლ ი ა — ჰაი, ჰაი, რომ გავსწორდებით, ჩემო ალექსი!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ქ ა ლ ი — წავიდეთ, ნენა, შენი ჭირიმე... ლამის გული შემიწუხდეს ამ გრიალში...

მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი—წავიდეთ, ჩემო რძალო! წავიდეთ, შენი ჭირიმე! ამ სიბერის დროს მაგ წუპაკების გულისად არ გავიხდი თავს... (გადიან)

ი ლ ი ა — (სოფელს გასცქერის) მოდიან, წყეულები!... ვეღარაფერი აჩერებთ... აგერ, სოფელს მოადგნენ... ჩვენებმა რკალი გამოარღვიეს და უკან იხევენ... სროლით გადმორბიან... წავიდე, ლელას მივხედო, თორემ... თუმცა... ეს ვიღაა, ასე არხეინად რომ მოაბიჯებს ამ ჯოჯოხეთში!?

(შემოდის ახალგაზრდა რუსი ქალი, რომელსაც მთლად გაჭაღარავებული თმები მხრებზე გადასწეწია. იგი გარინდებული თვალებით დასცქერის მჩერებში გამოხეული ძუძუმწოვარა ბავშვს).

ჭ ო ლ ა რ ა ქ ა ლ ი — სსს! ნანა, შვილო, ნანული... შშშ!... (შეწუხე-

ბული სახით) თუმცა, რა დააძინებს ამ უბედურს ამ საშინელ გრიალში... (ილია დაინახა) უკაცრავად, ამხანაგო! რძე ხომ არ გექნებათ ამ უბედურისათვის?... ან იქნებ აი ამ სახლის პატრონს ჰქონდეს?

ი ლ ი ა — ეს სახლი ჩემია, ქალო!... რძეს რი გორ ვერ გიპოვნი... (შეირბენს სახლში და ტოლჩით რძეს გამოუტანს) აი, მშვენიერი რძეა, ადუღებული...

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — დიდი მადლობა, ამხანაგო!... მეორე დღეა, მშიერია ეს საცოდავი... აბა ერთი, აი ამ ბოთლში ჩამისხი... (მიაწ·დის ილიას „სოსკიან" ბოთლს. ილია ჩაუსხამს რძეს, მიაწ·დის. ქალი ბავშვს პირში ჩაუდებს „სოსკას", შემდეგ ილიას მიუბრუნდება) ერთი ეს მიბრძანეთ, ჩემი ბავშვი ხომ არ დაგინახავთ?...

ი ლ ი ა — რას ამბობ, ქალო! შენი ბავშვი ხელში არ გიჭირავს?

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — ესა? ეს ჩემი ბავშვი არ არის!... მე შეიდი წლის გოგონა დავკარგე.. თმაშეკრეჭილი... წითელი ბანტით!... ისეთი კარგი... ისეთი ბუთხუზა... (იცრემლება)

ი ლ ი ა — არა, ქალო!... ხალხის მდინარემ ჩაიარა ამ გზით სუხუმსა და გუდაუთისაკენ... აბა იმოდენა ხალხში ვის რას გავარჩევდი...

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — ეჰ, მართლაც და აბა შენ საიდან ნახავდი... მე, საკუთარმა დედამ ვეღარ ვნახე და...

ი ლ ი ა — სად დაკარგე?... როგორ დაკარგე?

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — იმ საზარელ ღამეს დავკარგე, როდესაც ჩვენი სტანიცა დაბომბეს... საშინელი გრიალი იყო... სახლები იწოდა... ხალხი გარბოდა... აი.იმ ალიაქოთსა და ეაივაგლახში დავკარგე, მე უბედურმა... აი ეს თმაც სწორედ იმ ღამეს გამითეთრდა...

ი ლ ი ა — შე საცოდავო!...

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — ერთმა დედაკაცმა მითხრა — სწორედ ასეთი ბავშვი ვიღაც ლტოლვილებმა აქეთკენ, მთებში გაატარეს, და აი მეც მოვდევ ამ გავარვარებული ტანჯვისა და წამების გზას... ლამის ჭკუიდან შევიშალო...

ი ლ ი ა — კი, მაგრამ ეს ბავშვი?

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — ჩემი არ არის!... გზაში ვიპოვე... ამ უბედურის დედა გზის პირას ეგდო ტყვიით განგმირული და ეს საბრალო გულში ჩაეკრა... ძლივსღა ღნაოდა საცოდავი... ავიყვანე და წამოვიყვანე... ვაჭამე და მოვასულიერე... ნეტავ ჩემს შვილსაც ასე უპატრონოს ვინმემ!.. ო, რა ბედნიერი ვიქნე-

ბი, ეს რომ ვიცოდე... (სროლის ხმა სულ უფრო და უფრო ახლოდება)

ი ლ ი ა — გწამდეს, რომ უპატრონებენ...

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — მწამს!.. დიახ, მწამს!.. მე ვიცი, რომ ჩვენი ხალხი გულისხმიერი და გულკეთილია!..

ი ლ ი ა — მხოლოდ, შენ ახლავე უნდა წახვიდე, თორემ აგერ სოფელში შემოდიან... აგერ, ნაღმები რა ახლოს სკდება...

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — (მრისხანედ მიიხედავს უკან) უუ, წყეულებო!.. უუ, ყაჩაღებო! იწვის, ხალხო! ჩვენი აყვავებული საიშობლო იწვის!.. როგორ მხეცურად და უაზროდ ნადგურდება ხალხის ამოდენა შრომა და დოვლათი...

ი ლ ი ა — გასწი-მეთქი! არ გესმის, ქალო! ხომ ხედავ, ლაპარაკის დრო აღარ არის...

ჭ ა ღ ა რ ა ქ ა ლ ი — საით წავიდეთ?

ი ლ ი ა — აი, აქეთ იარე! ძეც ახლავ დაგეწევი და უვალი ბილიკებით ხელად გუდაუთში ჩაგიყვან... (ჭაღარა ქალი გადის)

ი ლ ი ა — (სოფელს გასცქერის) წყეულები! მოდიან! სადაა აქამდის ის გოგო?

ლ ე ლ ა — (შემორბის) მამა, ყუმბარები!

ი ლ ი ა — აი, ამოვიტანე! მაგრამ, შვილო ლელა... წავიდეთ, თორემ..

ლ ე ლ ა — რას ამბობ, მამა! კოძკავშირელი ვარ და აბა როგორ შემიძლია ასეთ დროს წამოვიდე... ის ოფიცერი ზარბაზანზე მთლად მარტოდაა დარჩენილი... ჩვენი წითელარმიელები რკალში მოემწყვდნენ და იმათ ვეხმარებით, რომ რკალი გამოარღვიონ... (ყუმბარებ-ით საცსე ყუთს აღებს)

ი ლ ი ა — მოიტა, მე წამოვიღებ...

ლ ე ლ ა — არა, არა!.. ამას მე თვითონ მივუტანი... შენ კიდევ ამოიტანე... რაც დარჩა, ყველა აქ ამოზიდე...

ი ლ ი ა — რაღა ამოვზიდო, შვილო... ერთი ასეთი ყუთიღა დარჩა...

ლ ე ლ ა — ჰოდა, ამოიტანე... აი აქ დადე... ესე მიბრძანა იმ ოფიცერმა... იმასაც ვესვრით და... მერე წავიდეთ... იქამდის კი ფეხი არსად მოიცვალო... აი აქ იყავი!.. (გადის)

ი ლ ი ა — კი, შვილო... ახლავე, შვილო!.. ო, წყეულები... (გადის. შემორბიან ლეიტენანტი სმირნოვი და ლელა, რომლებიც შემოაკორებენ მცირე ზომის სამთო ზარბაზანს).

ს მ ი რ ნ ო ვ ი — შაბაშ! აი, აქ დადგით! ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი პოზიცია!.. მართალია, ჩვენებმა რკალი გამოარღვიეს,

მაგრამ ვინემ ჩვენამდე არ ამოვლენ, ფაშისტებს თავი მაღლა არ უნდა ავაღებინოთ... აბა, მოიტა ყუმბარა... (ლელა მიაწვდის. სმირნოვი სტენის ზარბაზანს, უმიზნებს და თან ღიღინებს)

— გენაცვალე, ქვემეხო!
ჩვენი ქვეყნის დამცველო!
მტრის ჯარების გამქელტო და
მტრის ტანკების დამწველო!
— გაუმარჯოს სამშობლოს:
— ეს ქვემეხი გრიალებს!
კავკასიის მწვერვალზე
ჩვენი დროშა ფრიალებს... (გასროლა)

ქალო, ყუმბარა!..

ლ ე ლ ა — აჰა, ინებე!.. შენ სულ მღერი და მღერი... საოცარია პირდაპირ...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — რა? არ მოგწონს, თუ? (სტენის ზარბაზანს, უმიზნებს)

ლ ე ლ ა — პირიქით!.. ძალიან მომწონს, მაგრამ... ასეთ დროს...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — სწორედ ასეთ დროს ახალისებს მებრძოლს სიმღერა... მეტადრე, როდესაც შენისთანა ჯეირანი უდგას გვერდით. (ცელავ ღიღინებს)

— ქალო, რა წამს, შეგხვდე,
გულს დამაჩნდა იარა!
ტრფობის ცხელმა ტყვიამ
შიგ გულში გამიარა!

ლ ე ლ ა — (მორცხვად ეღიმება) დამცინი? გეყოფა ხუმრობა.

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ხუმრობაო?.. რა დროს ხუმრობაა! (ცელავ ღიღინებს)

— ქალო ლელავ, შენს მეტი
სმირნოვს არა უნდა რა!
შიგ გულში ამიფეთქე
სიყვარულის ყუმბარა!..

ი ლ ი ა — (შემოდის. ღიმილით) კაცო! ძმაო! თქვენ ერთობით, თუ... ლელა, რას გაშტერდი, გოგო!.. ხომ გაიგონე ყუმბარაო...

ლ ე ლ ა — ახლავე, მამა!.. (ილიას მიერ ამოტანილ ყუთს მიარბენინებს, ყუმბარას ამოიღებს და მიაწვდის) აჰა, ინებე!..

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ყუმბარები სულ ესღა არის?

ლ ე ლ ა — დიახ, ესღაა... მამაჩემმა ამოზიდა სულ...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — აფსუს! მაგრამ, რას ვიზამთ! უკანასკნელ ყუმბარამდე უნდა ვიბრძოლოთ!.. (გასტენის და ისერის. კიდეე და კიდეე) ქალო, ყუმბარა-მეთქი!..

ლ ე ლ ა — ინებე! (მიაწვდის)

ს მ ი რ ნ ო ვ ი — აგერ, ჩამორბიან!.. ხევში ჩამორბიან!.. მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!.. (ესვრის) ქალო, ყუმბარა!..

ი ლ ი ა — დასცხე, შენი პირიმე, დასცხე მაგ წუნკლებს ჩვენი ასეთი გამწარებისათვის...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — არა და ვუხათრებ მაგ ძაღლებს!.. (ესვრის) ქალო, ყუმბარა!..

ი ლ ი ა — ლელა!.. აგერ, ვიღაც გენერალი მოდის...

ლ ე ლ ა — (აკვირდება) გენერალი ლესელიძეა!.. (შემოდის გენერალი ლესელიძე ორი მებრძოლის თანხლებით)

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ამხანაგო გენერალო!.. თქვენთვის აქ მეტად სახიფათოა!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ლეიტენანტ სმირნოვ! ამჟამად მთელი ჩვენი სამშობლო სახიფათო განსაცდელშია და მისი დაცვისა და გადარჩენისათვის ნურც ჩვენ მოვერიდებით ტყვიასა და ხიფათს. რაც შეეხება თქვენს მოქმედებას, დღესვე წარგადგენთ ჯილდოზე, რომელიც თქვენ ვაჟკაცური სიმამაცით დაიმსახურეთ...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — (დამწუხრებული) ყუმბარები გაგვითავდა, ამხანაგო გენერალო!..

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — სამწუხაროა, მაგრამ თქვენ ამ თქვენი ზარბაზნით უდიდესი სამსახური გაუწიეთ ჩვენს მებრძოლებს... თქვენ მთელი ერთი ჩვენი ათასეული გადაარჩინეთ აშკარა გაჟლეტას.

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ვემსახურები საბჭოთა კავშირს, ამხანაგო გენერალო!..

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ხოლო ახლა კი დროს ნუ დავკარგავთ! მარცხენა ფლანგზე მეტად გაჭირდა საქმე... ბატარეის მეთაური მოჰკლეს... ახლავე გასწით და ბატარეია ჩაიბარეთ... ცეცხლი არ შეანელოთ. არც ერთი ნაბიჯი უკან... გაიხსენეთ პანფილოველთა გმირობა მოსკოვთან... ჩვენც იმათსავით უკან დასახევი აღარსადა გვაქვს... მეც ახლავე იქ გავჩნდები... აი ამ უბანს გადავრაზავ მოსული რეზერვით და...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — მესმის, ამხანაგო გენერალო! შშვიდობით, ქალო!.. დიდი მადლობა დახმარებისათვის... იცოდე, ლელა, მე შენ არ დაგივიწყებ! (ხელს მაგრად ჩამოართმევს ლელას და გადის)

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (მხლებელ მებრძოლებს) თქვენ კი ეს ზარბაზანი წამოაგორეთ, რომ მტერმა ხელთ არ იგდოს!... (მებრძოლებს გააქეთ ზარბაზანი. ლესელიძე მიუბრუნდება ილიას და ლელას) ამხახაგებო!.. თქვენც გაერიდეთ!... საცაა მტერი მთლად დაიკავებს ამ სოფელს... (გადის).

ლ ე ლ ა — წავიდეთ, მამა!

ი ლ ი ა — ახლავე, შვილო! (შედის სახლში, გამოდის ნაბდითა და ხურჯინით) გაესწიოთ, შვილო! აი, აქეთ ვიაროთ!..

ლ ე ლ ა — კი, მაგრამ... აგერ მანდედანაც მორბიან...

ი ლ ი ა — მაშ ამ ტყისაკენ ვიბრუხოთ პირი... ხიფსტას შევაფაროთ თავი... (გაიწევენ).

ლ ე ლ ა — (შეაჩერებს ილიას) მოიცა, მამა!... ხედავ? აგერ, იქიდანაც ჩამორბიან ეგ წყეულები... გესმის ტყვიების ზუზუნი?

ი ლ ი ა — ჩვენ გვესვრიან... აშკარად ჩვენ გვესვრიან... ო, რა ხაფანგში მოვეგწყვდიენით... სახლს შევაფაროთ თავი, თორემ დაგვხოცავენ ეგ ქოფაკები... (შედიან სახლში. მცირე ხაუზა. სროლა მიწყნარდება. შემორბიან გერმანელი ჯარისკაცები, შემდეგ მაიორი ბერკმანი, ობერ-ლეიტენანტი შტაუბე და ლეიტენანტი კურცი).

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ჰმ! ამაზე მეტი უთაობა! ძლივს რკალში მოვიმწყვდიეთ მტრის იპოდენა ჯგუფი და მაინც ხელიდან წაგვივიდნენ...

შ ტ ა უ ბ ე — რა ვქნათ, ბატონო მაიორო!... მტრის იმ ზარბაზანმა საშველი აღარ მოგვცა. წასასვლელი გზა მტრის ჯგუფს მან გაუკაფა... დიდი ზარალი მოგვაყენა.

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ეს რა სოფელი ავიღეთ?

შ ტ ა უ ბ ე — სოფელი ფსხუ და ვთა ხიფსტა, ბატონო მაიორო!...

ბ ე რ კ ე ა ნ ი — (მხრებს აიჩეჩს) ჰმ!.. რა უცნაური სახელებია!...

შ ტ ა უ ბ ე — მე უკვე გავზომე, ბატონო მაიორო! აქედან სულ ოცი-ოდე კილომეტრიღა დარჩა ზღვის სანაპირომდე, ქალაქ გუდაუთამდე... მე უკვე ეუბრძანე ჩემს ათასეულს, რომ აქ შეგროვდეს...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — დიახ, უკვე ღამდება... შევისვენოთ და ხვალ დილით კი...

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო! ნება მომეცით ამალამვე გავიჭრა ზღვის ნაპირზე... ხვალ დილით ჩემი ათასეულით გუდაუთსა და სოხუმს ავიღებთ...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ობერ-ლეიტენანტ შტაუბე! თქვენ მეტად ფიცხი ახალგაზრდა ბრძანდებით!

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო! მტერი დეზორგანიზებულია... გზა უკვე გახსნილია...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — თქვენ ასე გეჩვენებათ... გსურთ, მტრის ხაფანგში გაებათ?

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო! გარწმუნებთ, რომ ამ უბანზე აღარავითარი წინააღმდეგობა აღარ არის მოსალოდნელი...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ჰმ! ახალგაზრდა ხართ, შტაუბე, და ცხადში თუ სიზმრად სულ რაინის ჯვარი და ფიურერის მადლობის მიღება გენატრებათ. გამყოლი მაინც რომ გვეშოვნა, კიდევ გაგიშვებდით... თორემ ღამე... საშინელ ხევებში...

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო! მერწმუნეთ, რომ მშვენივრად გავაგნებ.

ბ ე რ კ მ ა ნ ი — არა-მეთქი! თქვენი კაპრიზისათვის მთელ ათასეულს ვერ გავწირავ... ისეც ბევრი მსხვერპლი გავიღეთ... ჩვენი სარდლობა ერთ ჯარისკაცსაც ვერ მოგვაშველებს. (მიმოიხედავს, სახლს შეხედავს) ეტყობა, მთელ ამ სოფელში ეს ერთი სახლიღა გადარჩენია. ჩვენი ნაღმების ცეცხლს... ლეიტენანტ კურც!

კ უ რ ც ი — გისმენთ, ბატონო მაიორო!

ბ ე რ კ მ ა ნ ი — თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს სახლი განგებ არ არის დატოვებული?

კ უ რ ც ი — რა მოგახსენოთ, ბატონო მაიორო!

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ლეიტენანტ კურც! თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს სახლი დანაღმული არ არის? ან პარტიზანები არ იმალებიან შიგ?

კ უ რ ც ი — სრულიადაც არა ვარ დარწმუნებული, ბატონო მაიორო!

ბ ე რ კ მ ა ნ ი — მაშ დარწმუნდით, ვინაიდან მე ამაღამ ამ სახლში ვაპირებ ღამის გათევას...

კ უ რ ც ი — მესმის, ბატონო მაიორო! (შედის სახლში).

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო!

ბ ე რ კ მ ა ნ ი — კიდევ?

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო! გემუდარებით!... მე არ შემიძლია გულგრილად აქ ვიჯდე, როდესაც ვიცი, რომ გუდაუთამდე სულ რაღაც ოცი-ოდე კილომეტრია, ხოლო იქიდან კი გზა გვეხსნება თბილისისაკენ, ბაქოსაკენ, თეირანისა და ინდოეთისაკენ. ასეთ დაძაბულ ვითარებაში ყოველი წუთიც კი ძვირფასია!... ბატონო მაიორო! (სახლიდან გამოდიან ილია და ლელა, ხელები მაღლა აქვთ აწეული, უკან მოსდევთ რეიოლვერმომარჯვებული კურცი).

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ოჰო! ხომ გითხარით! იარაღით იყვნენ ჩასაფრებულნი, ხომ?

კ უ რ ც ი — არა, ბატონო მაიორო! იარაღი არ აღმოაჩნდათ!

ბ ე რ კ მ ა ნ ი — (ილიას) მაშ იქ რად იმალებოდით?

ი ლ ი ა — ეს ჩემი სახლია! მე აქაური გლეხი ვარ...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — (ლელაზე უჩვენებს) ეს ვინ?

ი ლ ი ა — ჩემი შვილია...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — კი, მაგრამ მთელი სოფელი გამოვიარეთ და ყველანი გახიზნულან... კაცის ჭაჭანება ვერ ენახეთ...

ი ლ ი ა — ჩვენ ვერ მოვასწარით, ბატონო...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — მეტად საეჭვოა! სხვებმა თუკი მოასწრეს? გამოტყდი, — დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობისათვის დაგტოვეს, ხომ?...

ი ლ ი ა — გახიზვნა ვერ მოვასწარით, ბატონო... არავის არაფრისათვის არ დავუტოვებივართ!...

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო! ამას, ალბათ, კარგად ეცოდინება აქაური გზები და მიდამოები... აი, გამყოლს რომ ვეძებდით...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ყოჩაღ, შტაუბე! ეს კარგი აზრია!... (ილიას) იკისრებ გამყოლობას? შეგიძლია ჩვენი ჯარის ნაწილი ამაღამვე გუდაუთში გაიყვანო?

ი ლ ი ა — არა!

ლ ე ლ ა — მამა!...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — არა და, ახლავ შენს თვალწინ შენს ქალს დავხვრეტთ და შენც ზედ მიგაყოლებთ! რა დიდ უარზე ხარ?... შენ გგონია, დიდ დანაშაულს ჩაიდენ?... ჰმ!.. დიდი საქმეა, თუ ერთი პაწია, უმნიშვნელო ქალაქი აგვაღებინე შავი ზღვის პირას!.. შენ იცი, ჩვენ რამდენი ეეება ქალაქები ავიღეთ თქვენი? ტყუილად ჯიუტობ! თქვენი საქმე წაგებულია!... დაგვეხმარები — დაგაჯილდოებთ... არა და, ახლავე დაგხვრეტთ, როგორც ჯაშუშებსა და დივერსანტებს... ჰა, თანახმა ხარ?

ი ლ ი ა — (ლელას გადახედავს, მის თვალებში რაღაც პასუხი ამოიკითხა) მეტი რა გზაა... თანახმა ვარ...

შ ტ ა უ ბ ე — ბატონო მაიორო! უბრძანეთ გამომყვეს... ჩემი ათასეული უკვე მზად არის.

ბ ე რ კ მ ა ნ ი—(ილიას) გაუძეხ... გასწი...

ი ლ ი ა — წავიდეთ, ლელა...

ბ ე რ კ მ ა ნ ი — არა, არა!... მე ძალიან უნდო და ეჭვიანი კაცი ვარ... ლეიტენანტ კურც!

კ უ რ ც ი — მესმის, ბატონო მაიორო!

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ეს გომბიო აგერ იმ სარდაფში ჩაჰკეტეთ! ეგ აქ მძევლად დარჩება... (ილიას) იცოდე, თუ ღალატს ან მოტყუებას გაბედავ — ჩვენ აქ შენს შვილს საზარლად ვაწამებთ... გასაგებია?

ლ ე ლ ა — მამა! (უნდა მოეხვიოს, მაგრამ კურცი წინ გაიგდებს, სარდაფისაკენ მიჰყავს) მამა, ჩემი დარდი ნუ გექნება!... ჩემზედ ნუ იწუხებ...

შ ტ ა უ ბ ე — (ილიას) აბა, იარე! (რევოლვერმომარჯვებული გაიყვანს).

ბ ე რ კ მ ა ნ ი — (სიამოვნებით ხელებს იფშვნეტს) მაშ, შეიძლება უკვე დანამდვილებით ითქვას, რომ ხვალ ჩვენ უკვე საქართველოში შევდგამთ მკვიდრად ფეხს!...

მეორე სურათი

სოხუმი. გენერალ ლესელიძის შტაბი. კედელზე გაკრულია ამიერკავკასიის დიდი რუკა, რომელზედაც პაწია ბაირაღებით აღნიშნულია ფრონტის ხაზი. სცენაზე არის ადიუტანტი, რომელიც რაღაცას საქმიანობს. შემოდის პოლკოვნიკი.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — სალამი, ამხანაგო კაპიტანო!

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — გამარჯობათ, ამხანაგო პოლკოვნიკო! (ხელს არ-თმევენ).

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — გენერალი ლესელიძე შტაბშია?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — არა, ამხანაგო პოლკოვნიკო! საცაა მოვა!... თქვენ რა საქმეზე?...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — ალბათ მოგეხსენებათ, რომ დღეს გენერალი ლესელიძე 46-ე არმიის სარდლად დანიშნეს, ხოლო მე კი ამავე არმიის შტაბის უფროსად...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — აა, როგორ არა! ვიცი, ვიცი!... თვით გენერალმა მითხრა... დაბრძანდით, ამხანაგო პოლკოვნიკო! დიდი ხანია მოსკოვიდან?...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — არა. გუშინლამ ჩამოვფრინდით თბილისში. ამ დილას კი სოხუმში.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — კონსტანტინ ნიკოლაევიჩიც სულ ორი თვეა, რაც კავკასიაში გადმოიყვანეს... ჯერ ამავე არმიის მესამე კორპუსის მეთაურად, ხოლო ახლა კი ამავე არმიის სარდლად... იქამდის კი, ჯერ ბელორუსიაში ვიბრძოდით, შემდეგ ალყაშემორტყმულ ტულას ვიცავდით...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — შესანიშნავი გულის ადამიანია... იგი მეტად გაბედული სარდალია და მთიან ადგილებში ომის წარმოების ნამდვილი ოსტატია!...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — თქვენ, გეტყობათ, კარგად იცნობთ გენერალს?..

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — ძალიან კარგად! ომამდე ერთად ვმსახურობდით ქართულ დივიზიაში. კონსტანტინ ნიკოლაევიჩი დივიზიის სარდალი იყო, მე კი მისი შტაბის უფროსი...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (ღიმილით) ისევე, როგორც აქ...

(შემოდის გენერალი ლესელიძე)

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ოო, პოლკოვნიკს ვახლავარ!.. მოხარული ვარ, ძალიან მოხარული! გამარჯობა, ძმაო და მეგობარო! (ხელს მაგრად ართმევს. მიუბრუნდება ადიუტანტს) ამხანაგო დუბროვინ! ახალი ხომ არაფერია?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — არაფერი, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! აი მხოლოდ ისევ ის წერილები...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — რა წერილები?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ნორჩი პატრიოტებისაგან! მოხალისედ მოისწრაფიან ფრონტზე.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — მისწერეთ, რომ მათი ფრონტი — მათიანი სკოლა და კლასია. — იქ, სწავლაში გამოიჩინონ გმირობა! ახლა კი დაუყოვნებლივ შემაერთეთ კავკასიის ფრონტის სარდალთან, გენერალ ტიულენევთან! (პოლკოვნიკს) მაშ კვლავ გვარგუნა ბედმა ერთად მუშაობა, ჰა?..

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — დიახ, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ სამხედრო თამაშის გეგმებს ვადგენდით, აქ კი...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — აქ კი ნამდვილი ომია, ძმაო! სასტიკი ომი!... სხვაფრივ როგორ ხარ? ხომ ხარ ყოჩაღად?

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — გმადლობთ, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ!.. ყოჩაღად ვარ!..

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ასეც უნდა!.. დღეს ყველანი ყოჩაღად უნდა ვიყოთ!..

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (ტელეფონის ყურმილს მიაწვდის ლესელიძეს) გენერალი ტიულენევი გისმენთ!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (ყურმილში) ალლო! დიახ! სალამი ამხანაგო გენერალო! დიახ! ლესელიძე! გიპატაკებთ, რომ არმია უკვე ჩავიბარე. უკვე შევუდექი თქვენი მითითებების შესრულებას ფრონტის ჩემს უბანზე... ჩვენთან აპირებთ მოსვლას? დიდად მოხარული ვარ! გელით! ნახვამდის!.. (პოლკოვნიკს) აბა, ახლა კი შევუდგეთ დაძაბულ მუშაობას, რომ ჩვენი დავალება პირნათლად შევასრულოთ. დღეს ამიერკავკასიის ხალხთა ყოფნა-არყოფნის საკითხი ბეწვზე ჰკიდია...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — დიახ, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! პირველ რიგ-

ში — ქართველი ხალხის! მტრის ურდოები უშუალოდ საქართველოს საზღვრებს მოადგნენ...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — და ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს საშინელი საფრთხე ავაცილოთ მათ... აბა, მობრძანდით რუკასთან... ერთხელ კიდევ დავუკვირდეთ შექმნილ მდგომარეობას, და ახლავ გამოვიმუშაოთ ჩვენი პირველი გადამწყვეტი დარტყმის ოპერატიული გეგმა...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — ბრძანეთ, ამხანაგო გენერალო! მხოლოდ, ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება დაწვრილებით, თორემ, როგორც მოგეხსენებათ, მე მხოლოდ გუშინ ჩამოვედი მოსკოვიდან და...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — კეთილი... დაწვრილებით მოგახსენებთ... როგორც იცით, მდგომარეობა მეტად მძიმეა! (რუკაზე უჩვენებს) აი, როგორც ხედავთ, მტერმა მთავარი კავკასიონი გადმოლახა და მცირე კავკასიონს მოადგა... მან უკვე დაიკავა ქლუხორის, უღელტეხილი და იწყო მოქმედება ჩრდილოეთ სვანეთში შესაჭრელად. მაგრამ მტრის მთავარი ყურადღება გუდაუთისა და სოხუმისაკენაა მოქცეული. მას სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ზღვის სანაპიროზე გამოვიდეს...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — გეთანხმებით! მეტად მძიმე მდგომარეობაა... ჩვენ რას ვიცავთ ამჟამად?

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ჩვენ რომ ეს უღელტეხილი დავთმოთ, მტერი გუდაუთსა და სოხუმს აიღებს და...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — გზა გაეხსნება დასავლეთ საქართველოში შესაჭრელად!..

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — დიახ! ხოლო მეორეს მხრით იგი რკალში ამწყვდევს ჩვენი ჯარების ნოვოროსიისკ-ტუაპსეს დაჯგუფებას... აი რატომაა, რომ მე არაფერს ვზოგავ ამ უღელტეხილის შესანარჩუნებლად.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — ასე რომ, ჩემის აზრით, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ, ჩვენთვის ამჟამად ყველაზე სახიფათოა მტრის აი ეს ჯგუფი, რომელიც სოლივითაა შემოჭრილი გუდაუთის მიმართულებით?

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — დიახ! ყველაზე საშიში სწორედ ეს ქიმი გახლავთ და ჩვენც მტრის სწორედ ეს ქიმი უნდა მოვკვეთოთ უპირველეს ყოვლისა... სოფელი ფსხუ და მთა ხიფსტა უკანასკნე-

ლი 'წერტილი უნდა იყოს ფაშისტ-დამპყრობთა წინწამოწევისა...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — გასაგებია, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (რუკაზე ორ ისარს ხატავს) ჩემი გეგმა აი ასეთია: — ზღვის სიახლოვით გამსუნაგებული ფაშისტთა სარდლობა აი აქ, სოფელ ფსხუში მოაყრის თავის მთავარ ძალებს და შეეცდება სოხუმში შემოიჭრას. მაგრამ ჩვენც სწორედ ამით უნდა ვისარგებლოთ და ორმხრივი შემოვლითი ოპერაციით მოულოდნელად თავს დავატყდეთ მტრის მთავარ ძალებს.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — კარგი აზრია!... ვეღარსად წავლენ...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ამ მიზნით, ჩვენი ჯარების ერთი დაჯგუფება დაიწყებს შეტევას...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — უღელტეხილის ქიმიდან...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — დიახ, აქედან! ხოლო მეორე ჯგუფი კი...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — დაიძვრება მარცხენა მხრიდან, — რიცის ტბის მიდამოებიდან...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — დიახ! ხოლო ჩვენი ჯარების ეს ორივე სოლი ერთმანეთს უნდა შეხვდეს...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — ...სოფელ ფსხუს რაიონში...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — აუცილებლად! ვინაიდან ხიფსტას მთის აღება პირდაპირი დარტყმით დიდ მსხვერპლს მოითხოვს...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — საკვლევით გეთანხმებით, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ!... კარგი გეგმაა.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ეს იქნება ჩვენი პირველი შეტევითი ოპერაცია, და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, იგი წარმატებით უნდა დასრულდეს! სხვაგვარი შედეგი გამორიცხულია!...

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — ურყევ კედლად აღვიმართებით, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — დიახ! სწორედ ასეა საჭირო! ჩვენ კომუნისტები ვართ, პოლკოვნიკო, და ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, რომ ამ მრისხანე ქამს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის და დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარის ბედ-იღბალი წყდება! გახსოვდეთ, რომ ასეთ დროს დაშვებულ სულ მცირე უნებლიე შეცდომასაც კი ისტორია უმძიმეს დანაშაულად ჩაგვითვლის.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — მესმის, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! მტერს ფეხს აღარ წამოვადგმევინებთ წინ! ნება მომეცით შეეუდგე ოპერატიული გეგმის შემუშავებას.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — შეუდექით!... კარგად გამოზომეთ ყველაფერი...

მე კი ერთი სხვა საქმეც მაქვს დავალებული ფრონტის სარდლობისაგან.

პოლკოვნიკი — იქნებ ჩემი დახმარებაა საჭირო?

ლესელიძე — არა, თქვენ იმუშაეთ! დაზვერვითი მუშაობა უნდა გავაძლიეროთ! მტრის ოპერატიული გეგმები უნდა შევიტყოთ. ეს მეტად საჭიროა ფრონტის სარდლობისათვის.

პოლკოვნიკი — (მაგიდას მიუჯდება და მუშაობს).

ლესელიძე — (ზარს დააწკარუნებს. შემოდის ადიუტანტი) ლეიტენანტი სმირნოვი აქ არის?

ადიუტანტი — დიახ, ამხანაგო გენერალო! ოცი წუთია უკვე! მაგრამ...

ლესელიძე — მაგრამ რა?

ადიუტანტი — ორი მოხუცი კოლმეურნეა მოსული და პირადად თქვენს ნახვას ითხოვენ...

ლესელიძე — ვინ არიან? რა გვინდაო?

ადიუტანტი — მთებიდან ვართო! ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელნიო...

ლესელიძე — სთხოვეთ! შემოვიდნენ! (ადიუტანტი გადის. შემოდის I და II კოლმეურნე. ლესელიძე მათ მიეგებება) მობრძანდით, ამხანაგებო! გამარჯობათ! (ხელს ჩამოართმევს).

I კოლმეურნე — გაგიმარჯოს ღმერთმა!

II კოლმეურნე — მუდამ გამარჯვებული გატაროს!

ლესელიძე — რაზე გარჯილხართ, პატივცემულნო? მტერმა ხომ არ შეგაფიქრიანათ, ჰა?

I კოლმეურნე — არა, ბატონო, მტერს ჩვენ არ შეეუშინდებით, მაგრამ... სიმართლე გითხრათ, უიარაღობამ კი შეგვაწუხა. აი, ასე: ვუყურებდით, უღელტეხილზე როცა გადმოდიოდნენ, მაგრამ ცარიელი ხელით აბა რას გავაწყობდით...

II კოლმეურნე — ახლა კი მორჩა, რაკი ბრძანება ვოსულა, ფაშისტსაც ბოლო მოეღება... ასე გვწამს ყველას!.. ასეთი ხმაა გავარდნილი ხალხში...

ლესელიძე — (ღიმილით) რა ბრძანება?

II კოლმეურნე — ჩვენს ჯარს ხალხიც უნდა დაეხმაროსო! მთელი ხალხი უნდა გადაეღობოს მტერს წინაო...

ლესელიძე — დიახ, მართალი უთქვამთ!

I კოლმეურნე — ჰოდა, გადავეღობებით კიდეც! ჩემი ორი შვილიც ფრონტზეა...

II კოლმეურნე — აჰაი, დედასა! ჩვენ რომ იარაღი გექონოდა. ყოფას ვუტირებდით! არც ერთს უღელტეხილზე არ გადმო-

ვუშვებდით... რას გეღიმება, შვილო? ასე კი ნუ გვიყურებ! ჩვენს მხარეში საშუალოდ ას წელიწადს ცოცხლობენ...

I კოლმეურნე — ჩვენ კი ჯერ სამოცი წლისანი ვართ...

ლესელიძე — (იცინის) უჰ! ბოდიში! ჯერ სულ ახალგაზრდები ყოფილხართ!

II კოლმეურნე — ჰოდა, ნუ დაგვზოგავ, შენი ჭირიმე... თუ საჭიროა, მუხლიც მაგარი გვაქვს და...

I კოლმეურნე — თვალიც კარგად გეიჭრის... იარაღსაც მშვენივრად ძოვიხმართ...

ლესელიძე — მე თქვენ არ გზოგავთ, მეგობრებო! მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, საქმე ისე არ ჭირს, რომ თქვენი წლოვანების ხალხი იარაღის ტარებით შევაწუხოთ... ჯარი ბევრი გვყავს... სხვაგვარ დახმარებას კი სიამოვნებით მივიღებთ...

II კოლმეურნე — გვიბრძანე, შენი ჭირიმე! რა ვქნათ, რა გავაკეთოთ?

I კოლმეურნე — ჩვენ ყველაფერზე მზადა ვართ, შვილო, ოღონდ ფაშისტმა ყაჩაღებმა ფეხი არ შემოდგან ჩვენს ოჯახში... ერთმა ტყვედ ნამყოფმა გვიამბო — ფაშისტი ჯალათები რაღაც ღუმელებში სწვავენ ჩვენს ხალხსო.

ლესელიძე — მართალი უთქვამთ!..

II კოლმეურნე — ჰოდა, სიცოცხლეს არ დაეზოგავთ, შვილო, ოღონდ ეგ უბედურება აგვშორდეს თავიდან...

I კოლმეურნე — ყველაფერს გავაკეთებთ, ბატონო! თხრილებსაც გავთხრით მებრძოლებისათვის... ზარბაზნებსაც აგიტანთ მთებზე... სახელდახელო გზებსაც გავიყვანთ...

II კოლმეურნე — სურსათსაც მივაწვდით ჯარს... მოკლე გზებსაც ეუჩვენებთ... გამყოლებად გავყვებით...

ლესელიძე — დიახ, აი ეგ კი მეტად საჭიროა... კარგად გიფიქრიათ...

I კოლმეურნე — პარტიის ნდობას არ გავაწბილებთ, შვილო!..

ლესელიძე — სამაგიეროდ პარტიაც მადლობას გეტყვით ასეთი კარგი ინიციატივისათვის... ახლა კი გასწით და ეგ თქვენი შესანიშნავი განზრახვა საქმედ აქციეთ...

II კოლმეურნე — დღესვე შევუდგებით!.. მთელ ხალხს გამოვიყვანთ...

ლესელიძე — ძალიან კარგი! თანაც აუხსენით ყველას, რომ როცა ხალხი და მისი არმია ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან ერთად — მათ ვერავითარი მტერი ვერ სძლევს-თქო! ისინი მუდამ გაიმარჯვებენ! (კოლმეურნენი გადიან, ლესელიძე ზარს რე-

კაეს. შემოდის ადიუტანტი). ლეიტენანტი სმირნოვი!.. (ადიუტანტი გადის. შემოდის სმირნოვი).

სმირნოვი — (გამოეკიმება) თანახმად თქვენი ბრძანებისა, გამოცხადდი ლეიტენანტი სმირნოვი!...

ლესელიძე—გამარჯობათ! თქვენ იცით, რისთვის გამოგიძახეთ?

სმირნოვი — არა, არ ვიცი, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე—ერთი ეს მითხარით, თქვენ კარგად იცით გერმანული?

სმირნოვი — შეიძლება ითქვას, ძალიან კარგად! ბავშვობიდანვე ვსწავლობდი.

ლესელიძე — დიახ! მეც სწორედ მაგას მივაქციე ყურადღება თქვენს ანკეტაში და ამიტომაა, რომ სწორედ თქვენზე შევაჩერე ჩემი არჩევანი...

სმირნოვი — მიბრძანეთ, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე — მართალია, სპეციალობით არტილერისტი ხართ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მეც არტილერისტი გახლავარ, და ვიცი, რომ კარგი არტილერისტი ამავე დროს საუკეთესო მოთვალთვალე და მზვერავიცაა...

სმირნოვი — მე დაზვერვაშიც მიმუშავნია, ამხანაგო გენერალო!.. სადაზვერვო ტექნიკასაც ვიცნობ...

ლესელიძე — ვიცი... მე მაგ მომენტსაც მივაქციე ყურადღება თქვენს ანკეტაში... ჰოდა, ყოველივე ამის გამო თქვენ ერთი მეტად დიდი და სპეციფიური საპასახური უნდა გაუწიოთ სამშობლოს.

სმირნოვი — მზად ვარ შევასრულო თქვენი ყოველივე დავალება.

ლესელიძე—საჭიროა ჩრდილოეთ კავკასიაში გახვიდეთ და მტრის ზურგი საფუძვლიანად დაზვეროთ... გასაგებია?

სმირნოვი — გასაგებია, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე — საჭიროა შეიტყოთ, გერმანელთა რა ძალები მოქმედებენ კავკასიის ფრონტზე და კერძოდ ჩვენი მიმართულებით... საჭიროა გამოარკვიოთ მტრის ჯარების გადაყვანგადმოყვანისა და გადაჯგუფების ხასიათი და მიმართულება... აღნიშნეთ სქემებზე — სად რა სიმაგრეები აქვთ, სად რა საარტილერიო ნაწილებია განლაგებული...

სმირნოვი — მესმის, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე — ამას გარდა, მეტად სასურველია, ხელთ იგდოთ როგორმე გერმანელთა არმიის ან კორპუსის შტაბის ოპერატიული გეგმები და ბრძანებები... არის ნიშნები, რომ მტერი

რაღაც მოულოდნელ ნახტომს გვიმზადებს და აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ მისი მიზანდასახულობანი, რომ ჩვენც სათანადო სიურპრიზები მოვუმზადოთ!..

სმირნოვი — ამხანაგო გენერალო! ამოცანა ჩემთვის საესებით ნათელია!

ლესელიძე — ეს უნდა შესრულდეს რაც შეიძლება სწრაფად... სადაც არ უნდა ვიყო, მომნახეთ და მოდით... მე გიბრძანებთ ამას! გახსოვდეთ, რომ მე მოუთმენლად ველი თქვენს დაბრუნებას...

სმირნოვი — თავს არ დავზოგავ, რომ პირნათლად შევასრულო თქვენი ბრძანება...

ლესელიძე — გიბრძანებთ: — თავს ძალიან გაუფრთხილდით და ტყუილუბრალოდ ხიფათში არ ჩაიგდოთ თავი.

სმირნოვი — ნახვამდის, ამხანაგო გენერალო! (წასვლას აპირებს).

ლესელიძე — მოითმინეთ!... (მიეა მაგიდასთან და უჯრიდან ორდენს ამოიღებს) აი, მიიღეთ სარდლობის სახელით ეს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი. თქვენ იგი საესებით დაიმსახურეთ თქვენი გუშინდელი მამაცობით. (მკერდზე მიაბნევს ორდენს).

სმირნოვი — ვევსახურები საბჭოთა კავშირს! (გადის).

ადიუტანტი — (შემოდის) გამოცხადდა მე-500 პოლკის მზარეული — სერჟანტი ნიკოლენკო!

ლესელიძე — აა! სთხოვეთ! შემოვიდეს! (ადიუტანტი გადის, შემოდის ნიკოლენკო მხარზე გადაკიდებული ავტომატით).

ნიკოლენკო — (გამოეპიმება. ცოტა შემკრთალი ჩანს) თანახმად თქვენი ბრძანებისა, გამოეცხადდი მე-500 პოლკის მზარეული, სერჟანტი ნიკოლენკო!

ლესელიძე — კეთილი! თქვენ უკრაინელი ხართ, ხომ?

ნიკოლენკო — დიახ, ამხანაგო გენერალო! ხარკოვის ოლქიდან!

ლესელიძე — ერთი ეს მითხარით, დღეეანდელი სადილი პირადად თქვენ მოამზადეთ?

ნიკოლენკო — (გაუბედაეად) დიახ, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე — თქვენ ყოველთვის ასეთ სადილებს ამზადებთ?

ნიკოლენკო — დიახ, ამხანაგო გენერალო! განა მიჩიეის ვინმე?

ლესელიძე — არა! პირიქით! ყველანი გაქებენ. დღეს მე თვითონ შევამოწმე პოლკებში სადილები და თქვენს მიერ მომზადებული სადილი განსაკუთრებით მომეწონა...

ნიკოლენკო — (გულზე მოეშვა) დიდი მადლობა, ამხანაგო გენერალო...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — დიდი მადლობა თქვენ კი არა, ჩვენ უნდა გითხრათ! ახლა გადაეცით თქვენი პოლკის მეთაურს, რომ მე მადლობას გიცხადებთ ერთგული სამსახურისათვის და ფულითაც გაჯილდოებთ!.. (ფულს გადასცემს).

ნ ი კ ო ლ ე ნ კ ო — (გახარებული) ვემსახურები საბჭოთა კავშირს! კიდევაც ვეცდები, ამხანაგო გენერალო!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ამ მადლობას მე სპეციალური ბრძანებითაც გაგიფორმებთ, რომ მთელმა არმიამ გაიხსენოს ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მზარეულის თავდადებულ მუშაობას, როცა იგი მტრის ყუმბარების ცეცხლქვეშ კარტოფილს ფცქვნის და ცდილობს, რაც შეიძლება უფრო გემრიელი სადილი მოუმზადოს თავის მებრძოლ ამხანაგებს... შეგიძლიათ წახვიდეთ!

ნ ი კ ო ლ ე ნ კ ო — არის, ამხანაგო გენერალო! (გადის. უცებ გარედან მოისმის საჰაერო განგაში და თვითმფრინავების მოტორების შორეული გუგუნი. მოისმის ზენიტკების სროლა და ბომბების სკდომის ხმა).

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ეს უკვე მეშვიდე თავდასხმაა დღეს...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (შემოდის, მრავალმნიშვნელოვნად) კონსტანტინ ნიკოლაევიჩ!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — რა იყო? რა მოხდა?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — გამოცხადდა თქვენი ვაჟი ოთარ ლესელიძე!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — რაო? ლესელიძეო? ვერ უყურებ, მაგ მამა... მე ვუჩვენებ სეირს! (წამოდგება და კარებისაკენ მიდის. შემოდის ოთარ ლესელიძე: ფეხებზე ჩექმები აცვია, ზურგზე ჯარისკაცის სალაშქრო ტოპრაკი ჰკიდია) ოთარიკო! ბიჭო! თუმცა... (ცივად) თქვენ ვინ გნებავთ, ამხანაგო?

ო თ ა რ ი — მამა! (უსდა მოეხვიოს, მაგრამ ლესელიძე უკან დაიწევს).

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — აქ არმიის შტაბია და თქვენ გენერლის წინაშე დგეხართ! გიმეორებთ, რა გნებავთ-მეთქი?.. (ოთარი გაწბილებული და თავჩაქინდრული დგას. ლესელიძე მიუახლოვდება და ხელს მოხვევს) რამ მოგიყვანა აქ, შე ეშმაკო, შენა, ჰა?.. მე სხვებს ვუშლი და შენ კი აქ გამომეცხადე!.. ჰმ!.. ჩემი ძველი ჩექმებიც რომ ჩაუცვამს?! ჩემი ძველი აბგაც რომ გამოუქექია!.. ეს ქამარიც ჩემია... ქუდიც!.. შენ გეკითხები, როგორ გაბედე წამოსვლა!?

ო თ ა რ ი — მე ხომ მოგწერე რამდენჯერმე...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — რა მომწერე, ბიჭო?

ო თ ა რ ი — ფრონტზე მინდა-მეთქი წამოსვლა.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — მერე? მე ხომ მაგაზე არაფერი პასუხი არ მომიცია...

ოთარი — ჰოდა... მე ეგ შენს თანხმობად მივიღე...

ლესელიძე — ვერ უყურებთ ამ ეშმაკს! კი, მაგრამ, შვილო, შენ ჯერ პატარა ხარ!

ოთარი — მერე რა? მეც მინდა სამხედრო გამოვიდე... მე შენთან მინდა ვიყო...

ლესელიძე — დედაშენი?... შენი და იზიკო? უშენოდ როგორ იქნებიან? შენ იფიქრე ამაზე? ოჯახში ვაქაცი მეგულებოდი...

ოთარი — ბევრი ვიფიქრე, მაგრამ... მაინც წამოვედი... მორჩა, გადაწყვეტილია, მამა! იცოდე, მე აქედან ფეხს აღარ მოვიცვლი! თუ შენს არმიაში არ მიმიღებ, სხვა არმიაში წავალ...

ლესელიძე — (ღიმილით) სასტიკი ულტიმატუმია, ძმაო! მაგრამ მე მას იქამდის ვერ მივიღებ, ვიდრე არ მეტყვი, როგორ არიან ყველა ჩვენები?...

ოთარი — ყველანი კარგად არიან, მამა! დედაც, იზიკოც, ნიკო ბაბუაც და ნინო ბებიაც... ამ ზაფხულს მათთან ვიყავით სოფელში. მოკლედ, შენ იმათი დარდი ნუ გაქვს... შენ ის გირჩევნია, ისევ ჩემს მიღებაზე ილაპარაკო...

ლესელიძე — ო, რა ჯიუტია! კი, მაგრამ რა სპეციალობაზე გინდა, ბიჭო?..

პოლკოვნიკი — ისევ არტილერია ურჩევნია, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ!

ოთარი — ჰო, მამა! მეც, შენსავით, მინდა არტილერისტი გამოვიდე!..

ლესელიძე — კეთილი! რა გაეწყობა! (ადიუტანტს) ამხანაგო დუბროვინ! ჩარიცხეთ ამხანაგი ოთარ კონსტანტინეს ძე ლესელიძე ჩემდამი რწმუნებულ არმიაში არტილერიის ჯარისკაცად!...

ადიუტანტი — არის, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე — (ყელიდან ავტომატს ჩამოიღებს და ოთარს გადასცემს) ჯარისკაცო ოთარ ლესელიძე! ჩაიბარე ეს ჩემი ავტომატი და შემომფიცე, რომ არც ჩემს ნდობას გააწბილებ და არც ჩემს ნაჩუქარ იარაღს!...

ოთარი — ვფიცავ სამშობლოს, ამხანაგო გენერალო! (გახარებული მივარდება მამას) ვაშაა!.. ახლა ჩემი ნატვრა! ასეც ვიცოდი, რომ შენ უარს არ მეტყოდი, მამა!... ო, რა ბედნიერი ვარ!...

ლესელიძე — (შუბლზე აკოცებს) მეც ბედნიერი ვარ, შვილო! იმასაც მოვესწარ, რომ მე და ჩემი ოთარიკო მკერდით დავიცავთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს!..

მეოცე მოქმედება

მესამე სურათი

ჩრდილოეთ-კავკასიის ერთ-ერთი სტანიცა. გერმანელთა კორპუსის შტაბი. ღამეა. გენერალი შვარცკოპფი მაგიდას უზის.

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (ტელეფონის ყურმილში) მეორე დივიზიის შტაბი!.. პოლკოვნიკი ლანგე? ჰმ, დიახ!... ამაღამვე ჩაუშვით ოფიცერი ფარუკიძე პარაშუტით სოხუმის მიდამოებში. გამოპყავით მისთვის რადისტი... დიახ. ამაღამვე! მარჯვე და ყოჩაღი ბიჭი გამოპყავით... კი, მაგრამ ხომ იცით, სადაც ბინადრობს ფარუკიძე? ჰოდა, დაურეკეთ, რომ მის ბინაზე მივიდეს და თუ იგი შინ არ დაუხვდება — დაელოდოს... შესრულება მაცნობეთ... (ყურმილს დადებს. შემოდის ადიუტანტი).

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ბატონო გენერალო! ჩრდილოეთ-კავკასიის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ფონ-კლეისტი!..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (წამოხტება, კარებისაკენ მირბის, შემოდის ფონ-კლეისტი. შვარცკოპფი გამოეკიმება. კლეისტი ხელს ჩამოართმევს. ადიუტანტი გადის).

კ ლ ე ი ს ტ ი — (ნერვიულად დააგდებს მაგიდაზე თავის საველე ჩანთას, სიბრაზისაგან ტუჩებს იკენტს და ერთხანს ბოლთას სცემს) ჰმ!... ჰმ!...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ბატონო გენერალო! რამ გაგაბედვინათ ღამე ასე შორს წამოსვლა... ხომ იცით, რომ ჩვენს რაიონში დიდი პარტიზანული რაზმები გამოჩნდნენ...

კ ლ ე ი ს ტ ი — ისე ვარ გაბრაზებული, რომ აღარც პარტიზანები მახსოვს და აღარც ჩემი თავი... არავის სურს ანგარიში გაუწიოს იმ უბრალო გარემოებას, რომ ჩვენც ცოცხალი ადამიანები ვართ და თავმოყვარეობა ჩვენც გვაბადია...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ჰმ!... ჰმ!... დაბრძანდით, ბატონო გენერალო!...

კ ლ ე ი ს ტ ი — ერთს არ დაფიქრდებიან იმ მარტივი ჭეშმარიტების შესახებ, რომ ყოველ მოვლენას თავისი ღრმა მიზეზები აქვს და არ შეიძლება ასეთი დიდი მასშტაბის წარუმატებლობა მხოლოდ ერთი კაცის მიზეზით იყოს გამოწვეული...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — რაშია საქმე, ბატონო გენერალო? (ფრთხილად) კიდევ საყვედური?..

კ ლ ე ი ს ტ ი — დიახ! კიდევ და კიდევ! მეგობარი კაცი ხარ, შვარცკოპფ, და გამოგიტყდები: ეს-ეს არის ფიურერმა ბავშვივით მიყვირა...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — მიზეზი?

კ ლ ე ი ს ტ ი — მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ ვერ ვიცავთ მის მიერ დანიშნულ ვადებს და დროზე ვერ ვიღებთ მის მიერ დასახულ ქალაქებს...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — კი, მაგრამ, ბატონო გენერალო, განა ეს ჩვენი ბრალია? მეტი რაღა ქნას გერმანელმა ჯარისკაცმა!...

კ ლ ე ი ს ტ ი — სცადეთ და დაარწმუნეთ!... თქვენ რა გიჭირთ, ბატონო!... ზიხართ აქ არხეინად კორპუსის შტაბში, ხოლო ყვირილისა და საყვედურის კეტი კი მხოლოდ მე მხვდება თავში...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ბატონო გენერალო!.. მე არხეინად არ ვზივარ...

კ ლ ე ი ს ტ ი — მაშ რატომ ხდება, რომ თქვენს უბანზე, რომელზედაც ჩვენ ყველაზე მეტ იმედებს ვამყარებდით, ასე უგემურად გავიყინეთ ერთ ადგილას!... შავი ზღვის სანაპირომდე რაღაც ოცდაოდ კილომეტრი დარჩა და ეს ოცი კილომეტრი ვეღარ გადალახეთ ამდენი ხნის განმავლობაში!... თქვენი ბრალია, აბა მაშ ვისი?

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ბატონო გენერალო!... ბოდიში, მაგრამ გავკადნიერდები და მეც მეგობრულად მოგახსენებთ, რომ არც მე, და მით უმეტეს, არც თქვენ, არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის ამ საქმეში... როგორც თქვენ თვითონ გაკვრით ახსენეთ წეღან, აქ სულ სხვა ძირითადი მიზეზები მოქმედებენ, რომლებიც ამ ომის დაწყებას თავიდანვე თან ახლდა და რომლებზედაც ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მიგვითითებდნენ ზოგიერთი შორსმჭვრეტელი და გამოცდილი გენერლები...

კ ლ ე ი ს ტ ი — სახელდობრ? — თქვენ რას გულისხმობთ?..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — იმასვე, რასაც თქვენ!..

კ ლ ე ი ს ტ ი — მაინც?

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — იმას, რომ ჩვენ თავიდანვე მეტად იოლად და ზერელედ შევაფასეთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობის გაწევის უნარი...

კ ლ ე ი ს ტ ი — ჰმ!... ჰმ!.. მართალია!..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — მარტო ერთმა სევასტოპოლმა მეტი წინააღმდეგობა გაგვიწია, ვიდრე მთელმა საფრანგეთმა!.. მარტო მოსკოვთან ბოლშევიკებმა გაცილებით მეტი წინააღმდეგობა

გაგვიწიეს, ვიდრე მთელმა ევროპამ, და ჩვენ მაინც ვერ ავიღეთ მოსკოვი...

ქ ლ ე ი ს ტ ი — სწორია, სწორი, დალახვროს ეშმაკმა!..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ჰოდა, რა შუაში ვართ ან მე, ან თქვენ?.. პირადად მე არც ჩემს თავს ვზოგავ და არც ჩემს ხელქვეითებს, მაგრამ მტერიც ხომ გულხელდაკრეფილი არ ზის... სწორედ დღეს მივიღე ცნობა...

ქ ლ ე ი ს ტ ი — რა ცნობა?

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — რომ რუსებს ფრონტის ჩვენს უბანზე მოქმედი არმიის სარდლად დაუნიშნავთ ერთ-ერთი თავიანთი საუკეთესო გენერალი... სახელდობრ, გენერალი ლესელიძე...

ქ ლ ე ი ს ტ ი — მერედა, რა მოხდა!? ვინ არის ეგ გენერალი ლესელიძე?..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ეს ის ლესელიძე გახლავთ, რომელმაც თავისი არტილერიით ტულაში არ შეუშვა გენერალ გუდერიანის ტანკები. იგი მეტად ენერგიული, გაბედული, მცოდნე და შორსმჭვრეტელი გენერალია... მან ისე გააქტიურა თავისი ჯარები, რომ ჩვენ ვეღარსად ვერ წავდგით წინ ფეხი...

ქ ლ ე ი ს ტ ი — სისულელეა!.. ასეთი ზღაპრებით გნებავთ თავი იმართლოთ. მტრის დამარცხებული, უიარაღო არმია გსურთ რაღაც უძლეველ ძალად მოგვაჩვენოთ?..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ცდებით, ბატონო გენერალო!.. გენერალ ლესელიძის არმია არც დამარცხებულია და არც უიარაღო... მართალია, აქამდის მას ნაკლები არტილერია ჰქონდა და ეს ჩვენ დიდ უპირატესობას გვაძლევდა, მაგრამ გენერალმა ლესელიძემ ახლა იმდენი არტილერია ამოიტანა მთებში და უღელტეხილებზე, რომ ჩვენი არტილერია ეეღარას ხდება... აი რატომაა, რომ ასე გაძნელდა ჩვენი წინსვლა, ბატონო გენერალო!

ქ ლ ე ი ს ტ ი — (ისტერიულად) გაძნელდა!... დიახ, გაძნელდა!.. მაგრამ მე ნაბრძანები მაქვს, რადაც არ უნდა დაჯდეს, გავტეხო მათი წინააღმდეგობა!... გაგზავნეთ სპეციალური ემისრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მათ შორის უნდობლობისა და შუღლის დასათესავად!...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — მე უკვე გავგზავნე სომხეთსა და აზერბაიჯანში... სწორედ ახლა საქართველოში უნდა გამეგზავნა...

ქ ლ ე ი ს ტ ი — ჩინებულია!... ვინ არის?... გამოუძახეთ!...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (ზარს დააწკარუნებს) ქართველი ემიგრანტია... ახლა ჩვენს ჯარში მსახურობს... ყოჩაღი და მარჯვე კაცია...

(შემოდის ადიუტანტი) მოუხმეთ ოფიცერ ფარუკიძეს... (ადიუტანტი გადის. შემოდის ფარუკიძე გერმანელი ოფიცრის ფორმაში).

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ოო, მობრძანდით, ბატონო ფარუკიძე... დაბრძანდით... აი, თქვენი გარჯის დროც მოვიდა...

კ ლ ე ი ს ტ ი — დაბრძანდით, ბატონო ფარუკიძე... აი აქ, ჩემთან ახლოს დაბრძანდით!...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — (ფაჯდება) გმადლობთ, ბატონო გენერალო!

კ ლ ე ი ს ტ ი — თქვენ უკვე მოსალოცი საქმე გაქვთ, ბატონო ფარუკიძე...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — როგორ, ბატონო გენერალო?... არის რაიმე ახალი?...

კ ლ ე ი ს ტ ი — ახალი ის არის, რომ სულ მალე თქვენ „თავისუფალი" და „დამოუკიდებელი" საქართველოს სუვერენული მთავრობის წევრი იქნებით... აქედანვე გილოცავთ, ბატონო ფარუკიძე...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — როგორ? განა საქართველოში ბოლშევიკები აღარ არიან?

კ ლ ე ი ს ტ ი — არა, ჯერ კიდევ არიან, მაგრამ მალე აღარ იქნებიან და... აი სწორედ ამას გილოცავთ...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — გმადლობთ, ბატონო გენერალო!...

კ ლ ე ი ს ტ ი — (შვარცკოპფს) დანარჩენი თქვენ აუხსენით!...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (ფარუკიძეს) თქვენ ამაღამვე გაემგზავრებით საქართველოში დივერსიულ-სადაზვერვო მუშაობის საწარმოებლად... უმთავრესად სუხუმისა და გუდაუთის მიმართულებით, რომ გაუადვილოთ ჩვენს ჯარებს ხსენებულ ქალაქებთან გასვლა, ხილო იქიდან საქართველოში შეერა... გახსოვდეთ, რომ რა წამს ჩვენ საქართველოში შევიჭრებით, იმწამსვე ოსმალეთიც ჩაერევა ომში თქვენს გასანთავისუფლებლად...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — მესმის, ბატონო გენერალო!...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — მე უკვე დაეურეკე თქვენი დივიზიის შტაბს. შეიარეთ და ყველაფერს იქ მიიღებთ... (ტელეფონი რეკავს. შვარცკოპფი ყურმილს აიღებს) ალლო!... დიახ!... ჰმ!... დიახ... კეთილი!... (ყურმილს დადებს) აი სწორედ თქვენი დივიზიის შტაბიდან დამირეკეს... მაცნობეს, რომ ბინაზედ მისვლისას იქ დაგხვდებათ გერმანელი რადისტი, რომელსაც თქვენ თან გაიყოლებთ... რადისტის გვარია ოტტო შულც!...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — გასაგებია, ბატონო გენერალო!...

კ ლ ე ი ს ტ ი — გახსოვდეთ, ბატონო ფარუკიძე, რომ ჩვენ თქვენი დამოუკიდებლობის აღსადგენად ვღვრით ამ ზღვა სისხლს...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — დიდად გმადლობთ, ბატონო გენერალო! (ადგება).

კ ლ ე ი ს ტ ი — (ირონიულად თვალს გააყოლებს ფარუკიძეს) ჰმ!.. სასაცილოა სწორედ! ნუთუ ამ კაცუნას სჯერა, რომ ჩვენ ვისიმე განთავისუფლებისათვის ვიბრძვით?!

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — რა მოგახსენოთ, ბატონო გენერალო!... შეიძლება სჯეროდეს კიდეც!...

კ ლ ე ი ს ტ ი — არა მგონია!... თუმცა, პარტიული გააფთრება და სიძულვილი ისე აბრმავებს ადამიანს, რომ მას ხშირად დაუჯერებელიც სჯერა... ვერ წარმომიდგენია, რა დამოუკიდებლობაზე შეუძლიათ იოცნებონ ამ ციცქნა ხალხებმა, როდესაც საფრანგეთისა და პოლონეთისთანა დიდი სახელმწიფოებიც კი ჩვენს პროვინციებად გადაიქცნენ... თუმცა, კმარა ეს ფილოსოფია... აი, ფიურერის ახალი ბრძანება ჩვენი ფრონტისადმი... (ქაღალდს გადასცემს შვარცკოპფს) ამ ბრძანების თანახმად, უახლოეს ორ დღეში ჩვენ უნდა ავიღოთ ტუაპსე და სოხუმი.

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (კითხულობს) ჰმ!.. შეეცდებით!...

კ ლ ე ი ს ტ ი — ამასთანავე, ფიურერი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ დავიკავოთ ქალაქი ორჯონიკიძე, და ამრიგად შუაზე გავწყვიტოთ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი საბჭოთა ჯარები... შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით ჩვენ უნდა გავიდეთ დაბა მცხეთასთან, გადავჭრათ აქ რკინიგზის ხაზი და უშუალოდ თბილისს დაეემუქროთ...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — კი, მაგრამ, მაშინ მთელი ჯარების გადაჯგუფება დაგვჭირდება...

კ ლ ე ი ს ტ ი — დიახ!.. და ჩვენ ეს გადაჯგუფება, თანახმად ამ ბრძანებისა, სასწრაფოდ და ფარულად უნდა მოვახდინოთ... ჩვენ უნდა შევქმნათ მძლავრი სატანკო მუშტი მეცამეტე და ოცდამესამე სატანკო დივიზიების შემადგენლობით...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — სულ 500 ტანკი იქნება...

კ ლ ე ი ს ტ ი — დიახ!... და მოულოდნელად უნდა ვეკვეთოთ რუსების არმიას, ერთი მძლავრი დარტყმით უნდა გავანადგუროთ იგი და ქალაქ ორჯონიკიძესთან გავიდეთ... ფიურერი განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს ამას... ხოლო, ბაქოში, მისივე დაჟინებითი მოთხოვნით, ჩვენ უნდა შევიდეთ 25 სექტემბერს...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ჰმ!.. ჰმ!... (ბრძანებას ფურცლავს).

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (შემოდის, კინწისკვრით შემოაგდებს მოხუც პარტიზანს) ბატონო გენერალო! აქვე, შტაბის მახლობლად შეეიპყა-

რით მზვერავი-პარტიზანი... შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწია! ეტყობა, რაღაცას გვიმზადებენ ეს არამზადები...

შვარცკოპფი — გვიმზადებენ?... ახლავე დავაროშვინებ, რასაც აპირებენ!... (პარტიზანს) შენ ვინ ხარ, მოხუცო?...

პარტიზანი — საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე! ეროვნებით რუსი!..

შვარცკოპფი — (დამცინავად) მაგას მე თვითონაც ვხედავ!.. ადგილობრივი მცხოვრები ხარ, ხომ? შენი გვარი? შენი სახელი?

პარტიზანი — საბჭოთა ქვეყნის ერთგული მოქალაქე!... სხვა სახელი და გვარი მე თქვენთვის არა მაქვს...

კლეისტი — რა სისულელეა!... ბებერი ქოფაკი!

შვარცკოპფი — იცოდე, ასეთი ხუმრობა და ყბედობა ძალიან ძვირად დაგიჯდება.

პარტიზანი — მე ჩემს სამშობლოს ვიცავ! მე თქვენთან სავაჭროდ არ მოვსულვარ.

შვარცკოპფი — მაშ რისთვის მოხვედი?.. მითხარ, რა განზრახვით?... ჰა, ხმა ამოიღე, თორემ გავარვარებული შანთით ამოგგლეჯ პასუხს!...

პარტიზანი — მე თქვენთვის მხოლოდ ორი პასუხი მაქვს...

შვარცკოპფი — ბრძანე — რა პასუხი?.. (მუქარით დაიძერება მისკენ).

პარტიზანი — ტყვია და... ფურთხი!... (სახეში მიაფურთხებს).

შვარცკოპფი — (ისტერიულად) უუ!... შე ძაღლო! მოგკლავ!... ჩამოგახრჩობ!.. (მუშტს შემოპკრავს ადიუტანტს) ახლავე გაათრიეთ და ისე აწამეთ, რომ... (ადიუტანტი უნდა სწვდეს პარტიზანს, მაგრამ სწორედ ამ დროს კლეისტი სრულიად აუღელვებლად იძრობს რეოლვერს და პარტიზანს ესვრის. პარტიზანი უხმოდ ჩაიკეცება. კლეისტი მიუახლოვდება პარტიზანს და მიაფურთხებს).

კლეისტი — აი ახლა შეგიძლიათ გაათრიოთ! (ადიუტანტი გაათრევს პარტიზანის გვამს და გადის). რა დროს ლაპარაკი და მუქარაა! ჩვენც მათთვის მხოლოდ ორი პასუხი გვაქვს — ტყვია და... (უცებ გარედან ჯერ შორს, ხოლო შემდეგ სულ ახლოს მოისმის რაღაც ყვირილი, ხმაურობა და სროლა) ეს რა ამბავია?... ასე ახლოს სროლა?...

შვარცკოპფი — (მიაყურებს) დიახ! მეტად საეჭვო და უცნაურია!...

ადიუტანტი — (შემოვარდება) პარტიზანთა რაზმი დაგვესხა! სწრაფად! თავს უშველეთ, ბატონო გენერალებო! (გარბის).

კლეისტი — დალახვროს ეშმაკმა! აი, თურმე რას გვიმზადებდნენ... (შვარცკოპფთან ერთად კარებისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ლა-

წანით შემოიმტვრევა ფანჯარა და რამდენიმე ავტომატის ლულა დაემიზნება გენერლებს. შემომტვრეულ ფანჯარაში გამოჩნდებიან ევდოკია და ლეიტენანტი სმირნოვი სამოქალაქო ტანსაცმელში).

ევდოკია — ხელები მაღლა! კრინტი არ დასძრათ! (ლეისტი და შვარცკოპფი ხელებს მაღლა ასწევენ. ფანჯრით ოთახში გადმოხტება ავტომატმომარჯვებული სმირნოვი).

სმირნოვი — (გენერლებს რევოლვერებს ააცლის) მიდექით კუთხეში, თორემ... (ხელაწვდილი გენერლები კუთხეში მიდგებიან, ევდოკია ფანჯრიდან დამიზნებული ავტომატის ლულას არ აშორებს მათ. სმირნოვი სასწრაფოდ დახვეტავს მაგიდიდან ლეისტისა და შვარცკოპფის საველე ამბგებს, ამოალაგებს უჯრებიდან ქაღალდებს და საბუთებს, ყოველივე ამას მოზრდილ ტოპრაკში ჩააწყობს და კვლავ ფანჯარას მიაშურებს, გარბის ევდოკიასთან ერთად).

ლეისტი — უუ, არამზადებო!.. (გამოედევნება წასულთ, მაგრამ ფანჯარასთან მისულს პარტიზანთა მიერ ნასროლი ხელყუმბარა მოუსწრებს და იგი უსულოდ დაეცემა იატაკზე. გარედან კვლავ მოისმის უწესრიგო სროლა).

შვარცკოპფი — (მივარდება) ბატონო გენერალო!... ბატონო გენერალო!.. ეი, რომლები ხართ მანდ! (შემორბიან გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები. ასწევენ ლეისტს და საწოლზე დაასვენებენ. შვარცკოპფი მაჯას უსინჯავს) მკვდარია!... არამზადები!... სად არის ჩემი ადიუტანტი? სად არის-მეთქი!

ადიუტანტი — (შემოვარდება) აქა ვარ, ბატონო გენერალო!.. პარტიზანებს ვიგერიებდი.

შვარცკოპფი — ავაზაკები!.. გაგონილა ასეთი თავხედობა!.. ახლავე ალყა შემოარტყით მთელ სტანიცას!.. არავინ გააქვავოთ!... ძირისძირობამდე გაჩხრიკეთ ყოველი სახლი, ყოველი ბოსელი, ყოველი ბულული, ყოველი ხე და ყოველი ჩირგვი! ორნი იყვნენ!.. ქალი და კაცი... ქალი — შუახნის ჯმუხი დედაკაცია!... სქელი ტუჩებით... კაცი — ახალგაზრდაა, მაღალი, მხარბეჭიანი... პიჯაკის ქვეშ პარუსინის ხალათი ეცვა... (ყველანი გარბიან) რა წამს შეიპყრათ — აქ მომგვარეთ! გესმით თუ არა!... მე მომგვარეთ-მეთქი! (გადის).

მეოთხე სურათი

იგივე სტანიცა. იმავე ღამის გაგრძელება. ბაღი კაზაკი ქალის ევდოკიას სახლის უკან; შორიდან რაღაც ალიაქოთი და კანტიკუნტი სროლა მოისმის. შემოდიან ევდოკიას ქალიშვილი მარუსია და მისი მეგობარი პრასკოვია.

მარუსია — აგერ, გესმის? გესმის, პრასკოვია?... რაღაც სროლა და ალიაქოთია...

პრასკოვია—მესმის... როგორ არ მესმის.... მაგრამ შენ რა?

მარუსია—როგორ თუ რა!... შიშით ლამის გული გამისკდეს...

პრასკოვია—კი, მაგრამ შენ რა გაშინებს? რატომ არ მეტყვი?.. მარუსინკა, განა მე შენი მეგობარი არა ვარ!.. რამ შეგაშფოთა ასე?

მარუსია—სახლში მარტოდ ვარ და შიშისაგან გული მისკდება...

პრასკოვია—დედაშენი სადღაა?

მარუსია—(საიდუმლოდ) სახლში არ არის!.. არც გუშინღამ ყოფილა. განთიადისას დაბრუნდა მხოლოდ...

პრასკოვია—მართლა? რას ამბობ?

მარუსია—რაც მამაჩემი დახვრიტეს და ჩვენი ვიტია ჩამოახრჩეს, დედაჩემი მძვინვარე ვეფხვად გადაიქცა... (ჩურჩულით) იგი პარტიზანებს დაუკავშირდა და ყოველღამ აი ასეთ საალიაქოთო საქმეებზე დადის...

პრასკოვია—შენ რა იცი?.. თვითონ გითხრა?..

მარუსია—არა, მაგრამ... ვხედავ... ეს ორი ღღეა, ვიღაც უცნობი მაღალი კაცი მოდის ჩვენსა საიდუმლოდ... ამ საღამოსაც იყო... რატომღაც გული მითქვამს, რომ აი ეს ალიაქოთიც მათი ატეხილია...

პრასკოვია—(გაოცებული) რას მეუბნები? უყურე შენ დეიდა ევდოკიას!...

მარუსია—უიმე, პრასკოვია!... აი, გითხარი, გაგიმეორებენ და, ვერ წარმოიდგენ, როგორ მძიმედ შემომაწვა ეს გულზე...

პრასკოვია—(საყვედურით) მარუსია!...

მარუსია—სს!... ვიღაც მოდის... ნეტავ, ვინ არის?... ალბათ, ის ოფიცერია, ჩვენს ოთახში რომ ცხოვრობს... (შემოდის გერმანელი რადისტი მცირე ზომის რადიოაპარატით. ოდნავ შეზარხოშებულია) არა, ის არ არის! ჯარისკაცია ვიღაც... წამო, გავეცალოთ...

პრასკოვია—მოიცა... გავიგოთ, რა უნდა...

რადისტი—ეი, რომელი ხარ შინ!... გამოდი გარეთ...

პრასკოვია—(წინ წამოდგება) ვინა ხართ, რა გნებავთ?...

რადისტი—ეს არის კაზაკი ქალის ევდოკიას სახლი?

პრასკოვია—დიახ, ეს გახლავთ... რა გნებავთ?..

რადისტი—ამ სახლში ცხოვრობს ოფიცერი ფარუკიძე?

მარუსია—(წინ წამოდგება) დიახ, აქ ცხოვრობს, მაგრამ ამჟამად სახლში არ არის... მერე მობრძანდით...

რ ა დ ი ს ტ ი — კი, მაგრამ შენ ვინა ხარ?... შენც ამ სახლში ცხოვრობ?...

მ ა რ უ ს ი ა — დიახ!.. მე იმ კაზაკი ქალის, ევდოკიას შვილი ვარ...

რ ა დ ი ს ტ ი — (ჯიბის სანათურს მიანათებს) ოო, რა ლამაზი გოგონები ყოფილან!... ვერა, ლამაზო, მე ვერსად ვერ წავალ... დივიზიის შტაბიდან გამომგზავნეს და სასტიკად მიბრძანეს იმ ოფიცერს აქ მოვუცადო... მეც დიდი სიამოვნებით მოვუცდი... მე ძალიან მიყვარს თქვენისთანა გოგონები!.. (უნდა ხელი მოხვიოს, მაგრამ პრასკოვია და მარუსია გაუსწორებიან).

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — ვერ უყურებ, როგორი არშიყი ყოფილა!..

მ ა რ უ ს ი ა — მოგვწყდი თავიდან, თორემ დღესვე შენს ოფიცერს ვეტყვი...

რ ა დ ი ს ტ ი — ოჰო, რა მფრთხალი ჩიტუნები ყოფილხართ!... (ხარხარებს) აფსუს, რომ მე და ეს ოფიცერი სხვაგან მივდივართ ამალამ, თორემ ხელად მოგათვინიერებდით ორივეს, ჩემო ლამაზებო... (ცელავ მიიწევს, მაგრამ მარუსია კეტს წამოაცლებს ხელს).

მ ა რ უ ს ი ა — არ მოგვეკარო!

რ ა დ ი ს ტ ი — კარგი!.. კეთილი!.. რა გაეწყობა!.. მაშ მოდი შენ თვითონ მიჩვენე — სად არის იმ ოფიცრის ოთახი...

მ ა რ უ ს ი ა — უჩემოდაც კარგად მიაგნებ... აგერ იქიდან ეზოში შედი და სახლის დერეფანში მოუცადე...

რ ა დ ი ს ტ ი — (ხარხარებს) ახლოს მოსვლას ვერ ბედავ, ხომ?... არა უშავს რა!... თუ მალე დაბრუნდი — უსათუოდ მოგინახულებთ... (გადის).

მ ა რ უ ს ი ა — სალახანა!

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — მურდალი პირუტყვი!

მ ა რ უ ს ი ა — სსს!.. მოიცა, პრასკოვია!... მგონია, კიდევ ვილაც მოდის... (ბუჩქს მოეფარებიან. ფრთხილი ნაბიჯით შემოდის ევდოკია).

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — (მარუსიას, ჩურჩულით) ეს ხომ დედაშენია...

მ ა რ უ ს ი ა — (გამოდის) დედი!...

ე ვ დ ო კ ი ა — ოჰ, შენა, გოგო!...

მ ა რ უ ს ი ა — მე ვარ, დედი!.. პრასკოვიაც აქ არის... (პრასკოვია გამოდის).

ე ვ დ ო კ ი ა — შვილო მარუსია!... შვილო პრასკოვია!... ახლავ გაიქეცით და სტანიცა დაზვერეთ... შეიტყვეთ, რას აპირებენ ეს შეჩვენებულები!... ხალხის ლაპარაკს მიუგდეთ ყური... და იმწამსვე შემატყობინეთ... მხოლოდ, ფრთხილად კი... სულ ღობე-ღობე იძრომიალეთ...

მ ა რ უ ს ი ა — ახლავე, დედი!... წამო, პრასკოვია!... (გადიან).

ევდოკია — (ფრთხილად მოათვალიერებს სცენას, შემდეგ მცირე ხნით გავა და შემოდის სმირნოვთან ერთად).

სმირნოვი — იარაღი რა უყავი? უკვე შეინახე?...

ევდოკია — იარაღს მუდამ იქ ვინახავ ხოლმე!... ეშმაკიც ვერ მიაგნებს... იმ საბუთებისა რა ჰქენი?...

სმირნოვი — აბგებიდან ამოვალაგე და პერანგის ქვეშ ტანზე შემოვიკარი...

ევდოკია — კარგი გიქნია!... თუ გინდა, კიდევ დარჩი ერთ დღეს.

სმირნოვი — არა, საკმარისია... დავალება უკვე შევასრულე... ამაღამვე თუ არ წავედი, დანიშნულ ვადამდე ვერ მივუსწრებ.

ევდოკია — ვარლამი ალბათ გელოდება უკვე...

სმირნოვი — (საათს დახედავს) ალბათ! წასვლის დროა...

ევდოკია — ნუ გეფიქრება... ვარლამი სავსებით სანდო და მეტად მარჯვე კაცია... ნემსივით გაგაძვრენს...

სმირნოვი — აბა, წავედი!.. მშვიდობით, ევდოკია! დიდი მადლობა ასეთი ვაჟკაცური დახმარებისათვის... იცოდე, ამ შენ დამსახურებას ისე არ ჩაგიტარებთ...

ევდოკია — ეჰ, მე მადლობას კი არ დავეძებ!... — ჩვენი ასეთი გამწარებისათვის შური უნდა ვიძიო... მე ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დავცხრები... სს!... მოიცა. მგონია, ვიღაც მოდის. (შემოდის მარუსია).

მარუსია — (შეშფოთებული) დედი!... დედი!...

ევდოკია — რა იყო, შვილო?

მარუსია — მე და პრასკოვიამ იქ ყური მოვკარით, რომ ფაშისტების ვიღაც დიდი გენერალი მოუკლავთ პარტიზანებს... მგონი, ყველაზე დიდი უფროსი... ჰოდა, მთელი სტანიცისათვის ალყა შემოურტყამთ...

ევდოკია — ალყა შემოურტყამთ?...

მარუსია — ჰო!.. სტანიციდან აღარავის უშვებენ თურმე!.. ნაბრძანებია გაჩხრიკონ ყოველი სახლი და უსიკვდილოდ აღმოაჩინონ თავდამსხმელები!...

ევდოკია — მაშ სტანიციდან აღარავის უშვებენ?...

მარუსია — არც სტანიციდან უშვებენ, და გზებზედაც გერმანელების უამრავი პატრულები დაძრწიან... კალიასავით მოედვნენ მთელ სტანიცას... ყველას აჩერებენ და სჩხრეკენ... ჩვენც გამოგვიდგნენ... მე კი გამოვასწარი, მაგრამ, მგონია, პრასკოვია კი დაიჭირეს... რამდენიმე ჯარისკაცი მეც მომდევდა... აქეთ გამოიქცნენ...

ევდოკია — (სმირნოვს) როგორ მოვიქცეთ, ჰა?... სხვენში დაგმა-

ლაედი, მაგრამ გიპოვნიან!..

ს ბ ი რ ნ ო ვ ი — აშკარაა...

ე ვ დ ო კ ი ა — მაშ როგორ მოიქცეთ, ჰა?...

ს ბ ი რ ნ ო ვ ი — ისევ წასვლა სჯობს!.. სადაც გაჭირდება, იქ გზას ბარალით გავიკვლევ...

ე ვ დ ო კ ი ა — არა, ასე არ შეიძლება... იცი, მე რა მოვიფიქრე?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — რა?

ე ვ დ ო კ ი ა—სახლში ერთი გერმანელი ოფიცერი ჩამისახლეს.. იმის ფორმა რომ ჩაგეცვა?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — არ არის ეგ ცუდი აზრი...

ე ე დ ო კ ი ა — მაშ წავიდეთ...

მ ა რ უ ს ი ა — დედი!... ის ოფიცერი სახლში არ არის...

ე ვ დ ო კ ი ა — მით უკეთესი! ერთი ხელი ფორმის ტანსაცმელი სკივრში ულაგია... თვითონ მე დამაუთოვებინა...

მ ა რ უ ს ი ა — კი, მაგრამ წელან ვიღაც ჯარისკაცი მოვიდა და ის ოფიცერი იკითხა...

ე ვ დ ო კ ი ა — მერე, რა მინდაო?

მ ა რ უ ს ი ა — მე ვუთხარი, ის ოფიცერი სახლში არ არის-მეთქი, მაგრამ არ წავიდა, იქ ელოდება...

ე ვ დ ო კ ი ა — აი ხათაბალა!... მაინც, რა მინდაო?...

მ ა რ უ ს ი ა — მითხრა, დივიზიის შტაბიდან გამომგზავნეს იმ ოფიცერთან და ამაღამ მე და ის სადღაც უნდა წავიდეთო...

ე ვ დ ო კ ი ა — ახლა სად არის?

მ ა რ უ ს ი ა — იქ, სახლის დერეფანში ზის...

ე ვ დ ო კ ი ა — მით უკეთესი!... (სმირნოეს, მრავალმნიშვნელოვნად) წავიდეთ... მე წინ წავალ, როგორც სახლის პატრონი და დიასახლისი... (სმირნოვი და ევდოკია გადიან, ხოლო მცირე პაუზის შემდეგ უკანვე შემოდიან. სმირნოვი გერმანელი რადისტის ფორმაშია გამოწყობილი).

ე ვ დ ო კ ი ა — ესეც ასე!... მთელი ოპერაცია უხმოდ და უსისხლოდ ჩატარდა... იმ გაუქმებული ჭის ხაროში ვერავინაც ვერ მიაგნებს...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — (სანათურის შუაზე კითხულობს რადისტის მოწმობას) მეორე დივიზიის შტაბის რადისტი ყოფილა... სახელი ოტტო... გვარი შულცი... ჰმ!... კეთილი!... (წიგნაკს ჯიბეში ჩაიდებს) მაშ, ერთხელ კიდევ მშვიდობით, ევდოკია... (წასვლას აპირებს, მაგრამ შემორბიან გერმანელი ჯარისკაცები შეარცოპფის ადიუტანტის მეთაურობით).

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ხელები მაღლა!.. ვისია ეს სახლი?

ე ვ დ ო კ ი ა — ჩემია...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (ელნათურას მიანათებს ევდოკიას, შემდეგ ჯარისკაცებს მიუბრუნდება) გაიმძღვარეთ წინ და მთელი სახლი გაჩხრიკეთ!.. (რამდენიმე ჯარისკაცს გაყაყეთ ევდოკია) შენ ვინა ხარ?.. (ელნათურას მარუსიას მიანათებს).

მ ა რ უ ს ი ა — შვილი ვარ იმ ქალის...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — აქედან ფეხი არ მოიცვალო!... (ჯარისკაცებს) ვიდრე სახლს გაჩხრეკენ, არსად გაუშვათ... (შენიშნავს სმირნოვს) ოჰო, ეს ვიღაა?... (ელნათურას მიანათებს) რომელი ხარ?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — მეორე დივიზიის შტაბის რადისტი ოტტო შულც, ბატონო ოფიცერო!

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მერე და ამ დროს აქ რა გინდა?... განა არ იცი, რომ მთელი გარნიზონი ამ წყეული სტანიცის გასაჩხრეკადაა მობილიზებული?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — არაფერი ვიცი, ბატონო ოფიცერო!... აქ ერთი ჩვენი ოფიცერი ბინადრობს და იმის განკარგულებაში გამომგზავნეს დივიზიის შტაბიდან...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (მარუსიას) მართლა ცხოვრობს თქვენს სახლში ოფიცერი?...

მ ა რ უ ს ი ა — დიახ, ბატონო... გვარიც ვიცი... ფარუკიძე...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — აა, ვიცი!... მერე და, ოფიცერთან გამოგგზავნეს და შენ კი აქ არშიყობ?!

ს მ ი რ ნ ო ვ ი — არა, ბატონო ოფიცერო! უკვე ორი საათია ველოდები და ის ოფიცერი ჯერაც არ მოსულა... ეს-ეს არის უკანვე ვაპირებდი შტაბში წასვლას...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — შენი საბუთი!...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ინებეთ, ბატონო ოფიცერო!.. (მიაწვდის წიგნაკს).

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (წაიკითხავს, უკანვე დაუბრუნებს) თავისუფალი ხარ!...

1 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — (შემოდის, შემოპყავს ევდოკია) ბატონო ოფიცერო. ვერავინ ვიპოვეთ!.. სახლში არავინაა... მხოლოდ ჩვენი ერთი ოფიცრის ბარგი და ტანისამოსი ვნახეთ ერთ ოთახში... ეს დედაკაცი ამბობს — აქ ცხოვრობსო...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მართალი უთქვამს...

1 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — კი, მაგრამ, ბატონო ოფიცერო, მე რატომღაც მგონია, რომ ეს დედაკაცი სწორედ იმ პარტიზანს ჰგავს, რომელიც გენერალმა შვარცკოპფმა აგვიწერა...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — მართლა?.. ძალიან შესაძლებელია!... (ელნათურას მიანათებს, ყველანი შეაცქერდებიან).

1 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — რასაკვირველია, ის არის!... აბა, დააკვირდით... სქელი ტუჩები... ხანში შესული, ჯმუხი დედაკაცი...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — შენ მართალი ხარ... ძალიან გავს! წასოათრიეთ...

ე ვ დ ო კ ი ა — მოიცათ... ვის მამსგავსებთ?.. მე არაფერი ვიცი...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — სტყუი!.. სთქვი, სად იყავი ამ ნახევარი საათის წინ? აჰა, ენა ჩაგივარდა, ხომ!?

ე ვ დ ო კ ი ა — არსადაც არ ვყოფილვარ!.. დღეს სულ სახლში ვარ...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ბატონო ოფიცერო! როგორც მოგახსენეთ, უკვე ორი საათია, რაც აქ ჩვენს ოფიცერს, ფარუკიძეს ველოდები... ამ დროის განმავლობაში ეს დედაკაცი სულ აქ არის, არსად წასულა...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — სრულიად არსად?... იქნება შენ ვერ დაინახე?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — არც ერთი წუთით არ გასცილებია ის ჩემს მხედველობას. ამ ორი საათის განმავლობაში ის სულ ეზოში და თავის ოჯახში საქმიანობდა... მე ვშიშობ, რომ თქვენ ტყუილად კარგავთ აქ დროს...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — როგორ თუ ტყუილად?!

ს მ ი რ ნ ო ვ ი — მე დარწმუნებული ვარ, — ნამდვილი დამნაშავენი აქვე სადღაც ახლოს იმალებიან...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — აქვე ახლოს?.. მერე და შენ საიდან იცი, რომ ჩვენ დამნაშავეებს ვეძებთ და არა დამნაშავეს?!..

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ბატონო ოფიცერო!.. სწორედ წეღან თვალი მოვკარი ორ ლანდს... აი ასე აუხვიეს და გაჰქრნენ... მაშინათვე საეჭვოდ დამირჩა მათი დანახვა, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ასეთი მდგომარეობა იყო, თორემ...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — ნამდვილად?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — გეფიცებით ფიურერს!... ერთი მათგანი ქალი იყო, ხოლო მეორე — მამაკაცი... აგერ იმ გზით მიეშურებოდნენ, მეტად საეჭვოდ.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (ჯარისკაცებს) მომყევით!... (საჩქაროდ გარბიან).

ე ვ დ ო კ ი ა — უჰ!... სიმართლე გითხრა, მე უკვე ჯიბისაკენ, ხელყუმბარისაკენ წავიღე ხელი... შვილო, მარუსია!... გასწი სახლში და წასასვლელად საგზალი და მცირე რამ საცვალი მოამზადე... გული მითქვამს, რომ ჩვენ უკვე აქ ალარ დაგვედგომება, შვილო... მეც ამ წუთში მოვალ...

მ ა რ უ ს ი ა — ახლავე, დედი!.. (გადის).

ს მ ი რ ნ ო ვ ი — აბა, ყოჩაღად იყავი, ევდოკია!... ახლა კი, მგონი, საბოლოოდ წაეედი... (გასვლას აპირებს, მაგრამ სწორედ ამ დროს

შემოდის ფარუკიძე, რომელიც ელნათურას მიანათებს სმირნოვს) ჰმ!... კიდევ მოდიან, დალახვროს ჩემმა გამჩენმა.

ფ ა რ უ კ ი ძ ე — რომელი ხარ?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — რადისტი გახლავართ, ბატონო ოფიცერო!...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — აა, შენ ალბათ მე მელი, ხომ?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — დიახ, ბატონო ოფიცერო!...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — შენი გვარი?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ოტტო შულც, ბატონო ოფიცერო!... მეორე დივიზიის შტაბში მიბრძანეს თქვენთან გამოცხადებულიყავი...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — სწორია!... ხომ იცი რისთვისაც?

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ჰმ!... არა, ბატონო ოფიცერო, ჯერ არ ვიცი.

ფ ა რ უ კ ი ძ ე — როგორ თუ არ იცი?... მაშ...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — (აწყვეტინებს)... მიბრძანეს, საბრძოლო აღოცანას თვით ბატონი ოფიცერი აგიხსნისო...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — (იკვნეულად) კი, მაგრამ, ნუთუ შტაბში სულ არაფერი გითხრეს?...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — როგორ არა, ბატონო ოფიცერო!... მითხრეს, რომ ამალამ მე და თქვენ სადღაც უნდა წავიდეთ...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — აა, მაშ უკვე გცოდნია. საქართველოში ყოფილხარ როდისმე?

ს მ ი რ ნ ო ვ ი — არა, ბატონო ოფიცერო...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — ისე ხომ გსმენია საქართველოს შესახებ?

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ბევრიც მსმენია და ბევრიც წამიკითხავს, ბატონო ოფიცერო!... ულამაზესი კუთხეა თურმე...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — გინდა საქართველოს ნახვა?

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ო, ძალიან მინდა, ბატონო ოფიცერო! — ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — ჰოდა, ამალამ მე და შენ პარაშუტით დავეშვებით სუხუმის მიდამოებში...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — მართლა, ბატონო ოფიცერო?... ვერ წარმოიდგენთ. როგორი მოხარული ვარ...

ფ ა რ უ კ ი ძ ე—დანარჩენს გზაში აგიხსნი!.. ახლავე გამოვალ და გავსწიოთ. თვითმფრინავი უკვე გველოდება... (გადის).

ს მ ი რ ნ ო ვ ი — (ევდოკიასთან მიირბენს) ევდოკია!... შეატყობინე ვარლამს, რომ ნულარ მელოდება. თვითონ ამ არამზადას მივყევარ თვითმფრინავით იქ, სადაც საჭიროა...

ე ვ დ ო კ ი ა — რას ამბობ?.. მართლა?... მშვიდობით მგზავრობა მოგცეს... ვარლამს კი ახლავე შევატყობინებ... მაინც იქით უნდა გავიარო ტყეში... ტსს... აგერ, მოდის...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — (შემოდის პატარა ჩემოდნით) ეი, შულც!...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — აქ გახლავართ, ბატონო ოფიცერო!...

ფ ა რ უ კ ი ძ ე — გაესწიოთ!...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — არის, ბატონო ოფიცერო!... (გადიან).

ე ვ დ ო კ ი ა — წავიდა!... აბა, ახლა ჩვენც წავიდეთ... (სახლისაკენ მიდის, მაგრამ შემორბის მარუსია ბოხჩით).

მ ა რ უ ს ი ა — დედი!... დედი!... კიდევ მოდიან!... ახლა აქეთ მოდიან...

ე ვ დ ო კ ი ა — აი, გაუწყრეთ ჩემი გამჩენი!... ხომ გითხარი, აქ აღარ დაგვედგომება-მეთქი... წამოდი ჩქარა... ერთი ავტომატი შენთვისაც მაქვს შემონახული... (გადიან. მცირე პაუზა, ჩქარი ნაბიჯით შემოდის გენერალი შვარცკოპფი ჯარისკაცების თანხლებით, რომელთაც შემოპყავთ ნაცემი და სახედასისხლიანებული პრასკოვია).

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (პრასკოვიას) შენ ეი, გომბიოვ!... ნამდვილად ეს სახლია?..

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — (სლუკუნით) დიახ, ბატონო... ეს სახლია...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (ჯარისკაცებს) ალყა შემოარტყით... გაჩხრიკეთ და ახლავე აქ მომგვარეთ ის დედაკაცი. სწრაფად!... (ჯარისკაცები გარბიან სახლისაკენ. პრასკოვიას) კიდევ რა სთქვა იმ შენმა მეგობარმა?... დაროშე, თორემ ახლავე დაგხვრეტ!..

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — რა ვქნა... მეტი აღარაფერი უთქვამს...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (რეოლვერს უმიზნებს) იტყვი თუ არა?...

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — (მუხლებზე დაეცემა) ვაიმე!... ნუ მომკლავთ! ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — აბა!... მე გისმენ...

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — მითხრა, რომ ეს ორი დღეა, რაც ჩვენსა ვილაც უცხო მაღალი ტანის კაცი მოდისო...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — ჰოო, სწორედ ის მაღალი ტანის კაცი ბრძანდებოდა!... მერე და სად არის ის კაცი?...

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — არ ვიცი, ბატონო... თვალით არ მინახავს... მე იმას მოგახსენებთ, რაც იმ ქალმა მითხრა...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — გიმეორებ, — სთქვი, სად არის ის კაცი, თორემ... (რეოლვერს უტრიალებს ცხვირწინ).

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — ღმერთმანი, არ ვიცი და რა გითხრათ... ოო. ეს რა ცეცხლში ჩავევარდი... (სლუკუნებს).

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — მაშ ვინ იცის?

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — იმ ქალმა და მისმა დედამ იციან... მე არავინ მინახავს... რაც ვიცოდი, ყველაფერი გითხარით... (შემორბიან სახლის გასაჩხრეკად გასული ჯარისკაცები).

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (ჯარისკაცებს) ჰა? რაშია საქმე? ნახეთ? შეიპყარით?

II ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — სახლი მთლად ცარიელია, ბატონო გენერალო!.. მხოლოდ, გაუქმებულ რაღაც ორმოში ჩვენი ჯარისკაცის გვამი ვიპოვნეთ... ეტყობა, ახლახან დაუხრჩვიათ. ფორმა გაუხდიათ... ეტყობა, მისი ფორმით პარტიზანებმა ისარგებლეს...

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — (ცოფმორეული) რაო, ისარგებლესო?.. მოიცათ, მოიცათ! მგონი სწორედ ამ სახლში ცხოვრობდა ის ქართველი ოფიცერი ფარუკიძე?.. მე მას რადისტი გამოვუგზავნე (მიხვდა) აა!.. ის ხომ არ მოჰკლეს?.. (II ჯარისკაცს) ახლავე გაიქეცი აეროდრომზე... ახლავე შეამოწმეთ — ვინ მიჰყავს ფარუკიძეს... სწრაფად-მეთქი!.. (II ჯარისკაცი გარბის) უხ! დალახვროს ეშმაკმა!.. გაგონილა, დღედაღამ ასეთი ალიაქოთი და ნერვების აშლა? თუმცა მე ვასწავლი მაგათ ჭკუას!.. (I ჯარისკაცს) ამ სახლს ეხლავ ცეცხლი წაუკიდეთ!.. მთელ სტანიცას ცეცხლი წაუკიდეთ...

I ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — არის!.. (გარბის რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით. შვარცკოპფი წასვლას აპირებს).

III ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ბატონო გენერალო!.. ეს გომბიო?..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — დახვრიტეთ!.. ვინც კი შეიპყროთ და ვინც კი ხელთ მოგხვდეთ — ყველა დახვრიტეთ...

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — რათა, რისთვის, ბატონო... მე ხომ ყველაფერი გითხარით?..

შ ვ ა რ ც კ ო პ ფ ი — დახვრიტეთ-მეთქი!.. ყველანი დახვრიტეთ!.. (გადის. III ჯარისკაცი მიათრევს პრასკოვიას).

პ რ ა ს კ ო ვ ი ა — (თავზარდაცემული ჰყვირის) გამიშვით!.. არ მინდა!.. რას სჩადით, მხეცებო!.. ვაიმე, მარუსია! ეს რა ვქენი!.. (გაპყავთ, მოისმის რევოლვერის სროლის ხმა. ევდოკიას სახლს ცეცხლი ეკიდება).

ფარდა

მესამე მოქმედება

მეხუთე სურათი

უდაბური კლდოვანი ადგილი. უკანა პლანზე კავკასიონის დათოვლილი ქედების პანორამა. საღამოვდება. სცენაზე არიან I და II საბჭოთა მოთვალთვალე, რომლებიც კლდეს ამოჭფარებიან და მიდამოს გასცქერიან.

I მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — უჰ. რა საზარელი მყუდროებაა ირგვლივ... გეფიცები, ისევ ლაშქრობა და ბრძოლა ძირჩევნია...

II მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — ასეთი სიჩუმე ბრძოლის დაწყების წინ ჩამოვარდება ხოლმე... ტსს... ლაპარაკის მაგიერ, სჯობს კარგად ვუთვალთვალოთ... მტერი არ მოგვეპაროს...

I მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — მოიცა!.. მართლაც და, მგონია, ვიღაც მოდის... (თოფს მოიმარჯვებს).

II მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — ხომ გითხარი!.. რამდენიმე კაცია. როგორ ფრთხილად მოდიან! მტრის მზვერავები იქნებიან... (თოფს მოიმარჯვებს).

I მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — არა! შევცდით! ეს ის კოლმეურნე გლეხები ბრუნდებიან, წეღან რომ ჩვენმა გენერალმა იმ გაუვალ ადგილას ბილიკის გასათხრელად გადაიყვანა...

II მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — აი გენერალიც ასეთი უნდა, ძძაო!... მამასავით ზრუნავს ჩვენზე!.. შეხედე, როგორი უბრალო მაზარა აცვია!... ჯარისკაცში ვერ გამოარჩევ!...

I მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — ეგ იმიტომ, რომ აქ, წინა ხაზზე, მტრის ჩასაფრებული სნაიპერები უმთავრესად შეთაურებს ეძებენ გაფაციცებით... მოჰკრავენ თუ არა თვალს ბრეკყვიალა ღილებს, ხელად მიზანში ამოიღებენ...

(ფრთხილი ნაბიჯით შემოდიან I და II კოლმეურნე, წერაქვებითა და ნიჩბებით; ქამრებში ცულები აქვთ გარჭობილი. წინ მოუძღვის გენერალი ლესელიძე ჯარისკაცის მაზარაში).

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ამხანაგებო! აი, აქეთ გადმოდით!... მტრის მზვერავებმა არ შეგამჩნიონ...

I კოლმეურნე — დაბრძანდით, ამხანაგო გენერალო!... ამ ფეხმა ძალიან შეგაწუხათ!... შეისვენეთ ცოტა... (დაჯდომაში შველის).

ლესელიძე — თქვენც შეისვენეთ! თამბაქო მოსწიეთ... იქამდის მეც გამივლის... (სახეზე ხელებს მიიფარებს).

II კოლმეურნე — ისიდორე! ჰე, ბიჭო! იწამე ღმერთი... ერთი შენი თუთუნისა დამალეევიე!...

I კოლმეურნე — ოჰ-ოჰ-ოჰ! გამაჩანაგა ამ კაცმა... ბიჭო და, მე რომ არ მქონოდა ეს თუთუნი, რა გეშველებოდა, ჰა?... (თამბაქოს ახვევს).

II კოლმეურნე — ამდენი რომ მეთხარა სახლში, სამოთხის ბაღის საძირკველს ჩავყრიდი სწორედ...

I კოლმეურნე — შე კაცო! აქამდის ვერ მიხვდი, რომ მართლაც და სამოთხის საძირკველსა ვყრით ახლა?...

II კოლმეურნე — კაი, თუ ძმა ხარ! შენი აგიტაცია მჭირია მე ახლა!...

I კოლმეურნე — რის აგიტაცია! შე კაცო, ჩვენს მიერ გაკეთებული ამ საცალფეხო ბილიკებით ეს ჩვენი ჯარი ფაშისტებს რომ მიესევა და მოსპობს — არაფერია? ჩვენს ცოლ-შვილს ფაშისტი-ყაჩაღი რომ არ შეუვარდება სახლში — სამოთხე არაა?...

ადიუტანტი — (შემორბის) ამხანაგო გენერალო!.. სასიხარულო ამბავი!

ლესელიძე — (მძიმედ) რა ამბავი?

ადიუტანტი — თქვენს ძმას, პოდპოლკოვნიკ ვიქტორ ლესელიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება!... აი გაზეთი...

ლესელიძე — (სახე გაუბრწყინდება, გაზეთს კითხულობს) სასიხარულოა! დასწერეთ მისალოცი დეპეშა ჩემი სახელით და ახლავე გაუგზავნეთ.. დიმიტრი ივანოვიჩ! კარგი, გულითადი სიტყვები შეარჩიეთ... (ცალკე ხელებს მიიფარებს სახეზე).

ადიუტანტი — კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! ძვირფასო კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! თქვენ ცუდადა ხართ!... ისევ ფეხი გაწუხებთ, ხომ?

ლესელიძე — არაფერია!

ადიუტანტი — კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! არ შეიძლება თქვენი ამდენი სიარული! წამობრძანდით შტაბის კარავში... ცოტახნით წამოწექით!

ლესელიძე — რაო, წამოწექითო? ასეთ დროს — წამოწოლა,

როცა ყველაფერი უკვე მზად არის!? არა, ამხანაგო დუბროვინ. ახლავ გაიცლის... (ცდილ მიეყუდება და გარინდდება).

ადიუტანტი — (ჩურჩულით) ჩაეძინა!.. უკვე მეხუთე ღამეა თვალი არ მოუხუჭავს. ტსს... არ გამოაღვიძოთ... ცოტახანს ჩასთვლიმოს...

I კოლმეურნე — (ასევე ჩურჩულით) ერთი ეს გვითხარი, შვილო— მისი მამაც სამხედრო იყო?

ადიუტანტი — არა, ამხანაგებო! მისი მამა — მშრომელი გლეხია, სოფელ ხვარბეთიდან...

II კოლმეურნე — აა, გურული ყოფილა!

ადიუტანტი — რევოლუციაში მონაწილეობდა. 1905 წელს ნასაკირალთან იბრძოდა... ჟანდარმებმა გადაასახლეს. მაგრამ გამოიქცა და რევოლუციამდე არალეგალურად ცხოვრობდა...

II კოლმეურნე — უყურე შენ! ისიც მებრძოლი და მეომარი ყოფილა! მერე და მის შვილებს ვინ არჩენდა?

ადიუტანტი — დედა! სამი ვაჟი დარჩა! ძლიერ უჭირდა თურმე. ჩვენი გენერალი ცხრა წლის ყოფილა, როცა ჩაქვის ჩაის პლანტაციებზე დაუწყია მუშაობა. ოქტომბრის რევოლუციამ რომ დაიქუხა — კომკავშირში შესულა, ხოლო როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა — გახარებულ მამას გარს შემოუსხამს თავისი შვილები და ასე მიუმართავს: — ახდა, შვილებო, ჩვენი ოცნება! ახლა საჭიროა დავიცვათ ის, რაც ზღვა სისხლითაა მოპოვებულიო.

I კოლმეურნე — კარგად უთქვამს!

ადიუტანტი — თანაც დასძინა თურმე — ჩემი რჩევა ასეთიაო: ჩადექით წითელი არმიის რიგებში... წითელი არმია მოგცემთ იმ სწავლა-განათლებას, რის მოცემაც ჩვენ, თქვენმა მშობლებმა, ჩვენი სიღარიბით ვერ შევძელითო.

II კოლმეურნე — და სამივე ვაჟი წითელ არმიაში ჩაეწერა?

ადიუტანტი — დიახ! პირველსავე წელს! და სამთავემ სპეციალობად არტილერია აირჩიეს, ვინაიდან არტილერია ომის ღმერთია!

I კოლმეურნე — უყურე შენ!

ადიუტანტი — და აი ახლა ყველა ძმები სამამულო ომის ფრონტებზე. იბრძვიან. მეოთხე ძმაც... სულ უმცროსიც... ისიც არტილერისტია... ასე რომ, ყველა შვილები თავიანთი მამის დავალებას ასრულებენ პირნათლად...

II კოლმეურნე — ესე იგი — იცავენ იმას, რაც ზღვა სისხლითაა მოპოვებული.

I კოლმეურნე — ეს მართლაც და საოცარია! ამთელი ოჯახი სამხედროები ყოფილან!

ადიუტანტი — დიახ! (ღიმილით) მისი 16 წლის ვაჟი ოთარიც მის არმიაშია... მოხალისედაა წამოსული...

II კოლმეურნე — ასეა, შვილო! კეიცი გვარზე ხტისო!

ადიუტანტი — ტსს... მგონია, იღვიძებს...

ლესელიძე — (შეიშმუშნება, თვალებს ახელს და ფეხზე წამოიკრება) უჰ!. ეს როგორ მომივიდა... რატომ არ გამაღვიძეთ! (საათს დახედავს) ბევრი დრო გასულა... ამხანაგო დუბროვინ! დეპეშა გაგზავნეთ?

ადიუტანტი — ახლავ გავგზავნი, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! (გადის).

II კოლმეურნე — სულ ხუთი წუთიც არ გძინებიათ!... განა ეს ბევრია?...

ლესელიძე — ასეთ მწვავე დროს ძალიან ბევრია!.. აბა, მეგობრებო! ახლა ის ბოგირიც გამაკეთებინეთ და...

I კოლმეურნე — წავიდეთ, ბატონო!... როგორც გვიბრძანებ...

II კოლმეურნე — ხელად გაგიწყობთ, შვილო!... მაგას რა უნდა! ორ დიდ ხეს მოვჭრით...

I კოლმეურნე — სწრაფად გავფორტნით და იმ ნაპრალზე გავდებთ.

II კოლმეურნე — ჯარისკაცები ზედ გადირბენენ...

ლესელიძე — არა, ამხანაგებო! ეგ არა კმარა! ჯარს თან სურსათი, არტილერია და ტყვიაწამალიც უნდა მივაყოლოთ, რომ ჩვენი შეტევა არსად შეფერხდეს... მაგ ხიდით ახლა მეტწილად საჭურველით დატვირთული ქარავნები გამოივლიან...

I კოლმეურნე — მაშ უნდა ფიჩხიც მოვჭრათ და...

II კოლმეურნე — ... გადებულ ხეებზე დავაფინოთ...

I კოლმეურნე — ...თანაც მიწა და ღორღი გადავაყაროთ...

ლესელიძე — დიახ!... სწორედ ასე... აი, ტკივილმაც გამიარა... აბა, წავიდეთ... ახლა აქ ჩვენი ჯარები ამოვლენ და თქვენი გათხრილი ბილიკებით მტერს შეუტევენ... (ისევე ფრთხილად გადიან).

I მოთვალთვალე — უკვე ბინდდება!... ნუთუ ამ ღამის წყვდიადში მოგვიხდება პირველი ბრძოლა?

II მოთვალთვალე — იქ, შენს მშობლიურ ტულაშიც ხომ ძალიან ხშირად ღამით ვიბრძოდით...

I მოთვალთვალე — იქ სწორი ადგილი იყო... აქ კი... ფეხი რომ დაგიცდეს უფსკრულში ჩაიჩეხები...

II მოთვალთვალე — ჩვენები მოდიან!... (შემოდიან ფარვით და ფრთხილი ნაბიჯით პოლკოვნიკი და მებრძოლები)

პოლკოვნიკი — ტსს... ფრთხილად, ამხანაგებო!... აი აქ განლაგდით! აი აქედან დავიწყებთ საბრძოლო მარშს... კიდევ შენაყრდით... მუხლი ჩახარეთ... ფეხსაცმელი და ტანისამოსი შეამოწმეთ... მოძრაობას არ გიშლიდეთ... ან ფეხს არ გტკენდეთ... იარაღი და საჭურველიც ისე მოირგეთ, რომ არ ეღარუნებდეს... დაღამდება და ჩვენც დავიძვრებით... სულ უხმაუროდ უნდა ვიაროთ, რომ მტერს მოულოდნელად წავადგეთ თავზე... გზაში თამბაქო არავინ მოსწიოს...

I მებრძოლი — ყოფას ეუტირებთ მაგ ძაღლებს! ყელში ვწვდეთ ერთი!

პოლკოვნიკი — (I და II მოთვალთვალეს) თქვენ კი, ამხანაგებო, ახლავე გასწით და აგერ ის ფერდობი დაზვერეთ... მტერი არსად იყოს ჩასაფრებული.

I მოთვალთვალე — არის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკი — ფრთხილად იარეთ! თუ მტერი შენიშნოთ ერთმა თქვენთაგანმა მე მაცნობოს... მეორემ კი თვალთვალი განაგრძოს...

ოთარი — ამხანაგო პოლკოვნიკო! ნება მომეცით, მეც გაეყვე მაგათ...

პოლკოვნიკი — არა, ოთარ! ვერ გაგიშვებ... ეს მეტად სახიფათოა...

ოთარი — ამხანაგო პოლკოვნიკო! ძალიან გთხოვთ! გემუდარებით! აქ მაინც გამიშვით... გეფიცებით, სახიფათო არაფერია!...

პოლკოვნიკი — არაფერიო!? შენ ჩასაფრებულ მტერს ეხუმრები? არა, ვერ გაგიშვებ, ოთარ...

(შემოდის ლესელიძე. მებრძოლები აპირებენ ადგომას, მაგრამ ლესელიძე მათ კვლავ დასხამს)

ლესელიძე — ტსს... ნუ აიშლებით! დასხედით, დასხედით, ამხანაგებო! (პოლკოვნიკსა და ოთარს) რაშია საქმე?

პოლკოვნიკი — მეხვეწება — დაზვერვაში გამიშვიო...

ოთარი — აბა მაშ როგორ, მამა!? არსად არ მიშვებენ!.. წინა ხაზს არ მაკარებენ... სულ მიფრთხილდებიან... ყველაფერში უკან მაყენებენ... განა ამისათვის მოვისწრაფოდი, ფრონტზე რომ ჯარს უკან მივჩანჩალო?... თუ არა და, ხომ გადაწყდა, რომ მეც სამხედრო უნდა გამოვიდე... მაშ რატომ ხელს არ მიწყობთ!? ხომ უნდა მივიღო როდისმე საბრძოლო ნათლობა!? რაც ადრე იქნება — ის სჯობია!...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (პოლკოვნიკს) გაუშვით!... (ოთარს) გასწი... გაჰყევი!

ო თ ა რ ი — (გამოეპიმება. თვალები სულ უბრწყინავს) არის, ამხანაგო გენერალო! (მიეარდება, აკოცებს მამას და გახარებული გადის I და II მოთვალთვალესთან ერთად)

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (შებრძოლებს) ძალიან მაღლა შემოფრინდით, არწივებო, მაგრამ უფრო მაღლა უნდა შეფრინდეთ!.. მე როგორც ვხედავ, არც ერთ თქვენგანს დაღლა არ ეტყობა!.. ხომ არა ვცდები?...

მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი — არა, ამხანაგო გენერალო! — კიდევ ამდენსავე ვივლით შეუსვენებლივ!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — და ეს იმიტომ, რომ ყველა ჩვენთაგანს გულში მტრისადმი მწველი სიძულვილის უნელებელი ცეცხლი უნთია... ამხანაგებო! ჩვენ უკვე გამოსავალ ზღუდეზე ვდგავართ! მტერი უკვე სულ ახლოსაა!..

მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი — პირველი წავალთ მტერზე!

— სირცხვილს არ გაჭმევთ!

— მკერდით დავიცავთ მშობლიურ კავკასიონს!..

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ამხანაგებო! უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ცოტა სამხედრო ეშმაკობაც ვიხმარეთ... ჩვენ ღრმად შემოვიტყუეთ მტერი ამ გაუვალ მთებში, მოვწყვიტეთ იგი თავის მთავარ საკვებ ბაზებს, აქტიური მოგერიებით დავქანცეთ და დაქსაქსეთ მისი ძალები და აი აქ, სოფელ ფსხუში, მას უკვე შეექმნა ისეთი ილუზია, რომ იგი აქედან ყველაზე. ადვილად შეიჭრება საქართველოში...

მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი — იქამდის ნურაფერს შეეამენ!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ამიტომ არის, რომ მტერმა სწორედ აქ, სოფელ ფსხუში მოაყარა ჩვენს ფრონტზე მოქმედი თავისი ჯარების მთავარი ძალები... და აი ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა: — ამაღამ მოულოდნელი ძლიერი დარტყმით გავანადგუროთ მტრის ეს ძალები!.. უკან დავიბრუნოთ სოფელი ფსხუ და ყველა უღელტეხილები... გადავყაროთ მტრის ძალები ჩრდილოეთ კავკასიაში... გათავდა ჩვენი უკანდახევა!... ამიერიდან მხოლოდ წინ და წინ! ამისათვის ჩვენ უკვე ყველა პირობები გვაქვს... მხოლოდ, გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ამ გოლიათ მთებში ბრძოლა მეტად ძნელია...

მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი — ჩვენ სიძნელეების აბ გვეშინია!...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ყოჩაღ, ბიჭებო! არც უნდა გეშინოდეთ, ვინაიდან დიდმა რუსმა მხედართმთავარმა სუვოროვმა თქვა „სა-

დაც ირემი გაიელის — იქ ჩვენი ჯარისკაციც გაიელისო; ხოლო სადაც ირემი ვერ გაიელის, იქ ჩვენი ჯარისკაცი მაინც გაიელისო“.

მებრძოლთა შეძახილები — სრული ჭეშმარიტებაა, ამხანაგო გენერალო! თუ საჭირო გახდა, ნემსის ყუნწში გავძვრებით!..

ლესელიძე — მაგრამ, ისიც გახსოვდეთ, რომ ზოგი თქენთაგანი კავკასიელი არ არის და მიუჩეველია მთებში სიარულს... ერთმანეთს ძმურად დაეხმარეთ! ერთმანეთზე ძმურად იზრუნეთ ყოველ წვრილმანში და ეს დახმარება თქვენვე გარგებდ გაჭირვებაში.

მებრძოლთა შეძახილები — მართალია!..

— კაცი კაცის წამალიაო!...

— წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო!...

ლესელიძე — ამასთანავე, მე მინდა ისიც მოგაგონოთ, ამხანაგებო, რომ იმავე სუეორეოვმა მთელი არმია გადაიყვანა ალპების მიუვალ ყინულოვან მთებზე და ამით მთელი მსოფლიო გააოცა... და ნუთუ ჩვენ დღეს გმირობის ახალ მაგალითებს არ ვუჩვენებთ მომავალ თაობებს!?

მებრძოლთა შეძახილები: — გავწყდებით და თქვენს ბრძანებას კი შევასრულებთ!

— კინწისკვრით გავყრით მაგ ღორებს ჩვენი მშობლიური კავკასიონიდან...

(შორიდან მოჩანს ხშირ-ხშირი გაელვება და მოისმის ყრუ გრიალი)

ლესელიძე — ავდარს აპირებს!.. ამხანაგო პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკი — გისმენთ, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ!

ლესელიძე — (საათს დახედავს) უკვე დროა! დასძარით ჯარი! პოლკოვნიკი პიაშევი უკვე მოძრაობს მეორე მხრიდან... დამხმარე ჯგუფებიც ახლავე ამოქმედდებიან...

პოლკოვნიკი — გასაგებია, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! (მებრძოლებს) დადექ!... ნაბიჯით იარ!... (მებრძოლები სალაშქრო წყობით დაიძვრიან სცენიდან. პოლკოვნიკი ბაირაღს გასვლას, მაგრამ ლესელიძე შეაჩერებს, მაგრად ართმევს ხელს)

ლესელიძე — აბა, თქვენი სრული იმედი მაქვს, პოლკოვნიკო! იმოქმედეთ რაც შეიძლება ენერგიულად და გაბედულად! გახსოვდეთ, — მოულოდნელობა ერთ-ერთი ჩვენი უპირატესობაა! გამარჯვებული გატაროთ! მეც ეხლავ დაგეწევით!

პოლკოვნიკი — გმადლობთ, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ! (ხელს მაგრად ართმევს და მიმავალ მებრძოლებთან ერთად გადის. ხელ

ჩამობნელდა. მხოლოდ შორეული გაელვება ხშირ-ხშირად ანათებს სცენას და ამ გაელვების დროს მოჩანს, რომ ჯარი სულ მიდის და მიდის)

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — რა სილამაზეა! ილიას „განდეგილი" მომაგონდა:

„და მყინვარიდან, ვითა
ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა
მძიმედ"...

(მოისმის წვიმის მოახლოებული შხუილი)

— „ცა აირია, დაბნელდა
უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით"...

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (შემორბის) ამხანაგო გენერალო! კიდევ სასიხარულო ამბავი!..

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — რა ამბავია?

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — დაბრუნდა ლეიტენანტი სმირნოვი და დაუყოვნებლივ მოითხოვს თქვენს ნახვას...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — გამოატარეთ! (ადიუტანტი გადის) დროზე მოვიდა... საინტერესოა, რა მოიტანა... მისი ცნობები სწორედ ახლა სჭირია ფრონტის სარდლობას (შემოდის ლეიტენანტი სმირნოვი ადიუტანტის თანხლებით)

ს მ ი რ ნ ო ვ ი — (გამოეჭიმება) ამხანაგო გენერალო! თანახმად თქვენივე ბრძანებისა, — მოგნახეთ და გამოგეცხადეთ ლეიტენანტი სმირნოვი!...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — გამარჯობათ, ამხანაგო სმირნოვ! (ხელს მაგრად ართმევს) როგორ არის საქმე?

ს მ ი რ ნ ო ვ ი — თქვენი დავალება შესრულებულია! (ჩანთას გადასცემს) აი ეს საბუთები უშუალოდ გერმანელთა კორპუსის შტაბიდან! აი ეს ჩემი ჩანაწერებიც...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (გადაეხვევა, გულში ჩაიკრავს და აკოცებს) გმადლობთ!... (საბუთებს სინჯავს დიდის კმაყოფილებით) სწორედ ეს ცნობები სჭირია ფრონტის სარდლობას...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ამას გარდა, ამხანაგო გენერალო, ქართველი ემიგრანტი ნოდარ ფარუკიძე, რომელიც გერმანელებმა სოხუმში გამოგზავნეს დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის საწარმოებლად, გაბაწრულია ჩემს მიერ და იქ, არმიის შტაბში გელოდებათ!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ყოჩაღ, ამხანაგო სმირნოვ! ამ თქვენს სამსახურს ჩვენი სამშობლო არ დაივიწყებს...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ამხანაგო დუბროვინ! სასწრაფოდ გადაუგზავნეთ ეს საბუთები ფრონტის სარდლობას.

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — არის, ამხანაგო გენერალო!.. (ძლიერ გაიელვებს ზედიზედ)

ს მ ი რ ნ ო ვ ი — ვიღაც მობობღავს!.. (რევოლვერს წაიძრობს)

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — კონსტანტინ ნიკოლაევიჩ, ფრთხილად! მგონია, მტრის სნაიპერია...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — (ბინოკლში გასცქერის) არა! ჩვენი ჯარისკაცია... ვიღაც მოჰყავს...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (ბინოკლში გასცქერის) ადგილობრივი მცხოვრები სჩანს... აქეთ მოდიან! დაე, მოვიდნენ... ხელს ნუ შეუშლით!.. (შემოდის ილია შემოხეული ტანსაცმელით და დატანჯული სახით, თან შემოსდევს I მოთვალთვალე) შესდექ, რომელი ხარ?

I მ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ე — ამხანაგო გენერალო!.. აი აქ, ფრონტის ხაზზე დავიჭირეთ! მეტად საეჭვოდ დაგვირჩა...

ი ლ ი ა — (შეკრთა და შედგა. იცნო ლესელიძე. გახარებულია) ოჰ, ეს თქვენ ბრძანდებით?.. გენერალი ლესელიძე?.. რა მოხარული ვარ... ძლივს მოვაღწიე...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — კი, მაგრამ შენ ვინ ხარ?..

ი ლ ი ა — მე... სოფელ ფსხუს მცხოვრები გახლავარო... საბელაძე ილია.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (ჯიბის ელნათურას მიანათებს) მოიცა, მოიცა! შენ, მგონი, იმ ქალის მამა ხარ, რომელიც აი ამ ოფიცერს ყუმბარებს აწვდიდა!..

ი ლ ი ა — (იცნო სმირნოვი) დიახ, ბატონო! სწორედ ის ვარ... თქვენ რომ წაბრძანდით, მე და ჩემი ქალიშვილი ფაშისტებმა შეგვიპყრეს... გაცლა ვეღარ მოვასწარით... მიბრძანეს ფარული ბილიკებით გუდაუთში გაგვიყვანეო.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — მერე, დასთანხმდი?

ი ლ ი ა — დიახ, დავთანხმდი! დამემუქრნენ — შენს ქალს მოვკლავთო.

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (მრისხანედ) მერე?

ი ლ ი ა — არა, ბატონო! მე ცუდი არაფერი ჩამიდენია! მართალია, მათ ათასეულს წინ გაეიქეი. მაგრამ ისეთ გაუვალ ხევებში ჩავიყვანე, რომ იქიდან სამ დღეს ვეღარ გამოვლენ...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — ოჰო!..

ი ლ ი ა — დიახ, ბატონო! შემატყვეს ღალატი და მოკვლა დამიპირეს, მაგრამ გამოვექეცი... ისეთ ფლატეზე ჩამოვხტი, რომ... მაგრამ

მაინც მოასწრეს სროლა — სეტყვასავით დამაყარეს ტყვია... ორ ალაგას ვარ დაჭრილი...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — (წატორტმანებულ ილიას ხელს მოხვევს) მთელი უბე სისხლითა აქვს სავსე... ახლავე სანნაწილში...

ი ლ ი ა — ო, არა, არა!.. მე ჯერ კიდევ მაგრად ვარ... ღვთის გულისათვის, ჯარი გამრმაყოლეთ... ის ძაღლები ამოხოცეთ, თორემ ჩემი ლელა მძევლად დაიტოვეს... დაბრუნდებიან და მოკლავენ...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — შორს არიან?

ი ლ ი ა — არა, ბატონო! აგერ იმ ხეებში დაბორიალებენ... შვიდას კაცამდეა...

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — მაგათაც ახლავე მოვუღებთ ბოლოს... (ადიუტანტს) ამხანაგო დუბროვინ! ჩემი რეზერვიდან გამოჰყავით ათასეული! ლეიტენანტ სმირნოვ!.. გიბრძანებთ — ახლავე ჩაიბარეთ ეს ათასეული და სავსებით მოსპეთ მტრის ეს რაზმი...

ს მ ი რ ნ ო ვ ი — გასაგებია, ამხანაგო გენერალო! ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ამ ამხანაგს ქალიშვილი გადავურჩინოთ!..

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — დიახ, ასე!.. (ილიას) თქვენ კი ახლავე ექიმთან წახვალთ...

ი ლ ი ა — არა, ბატონო!.. არაფრის დიდებით!.. ჯერ კიდევ მაქვს ძალა... ცოტა ბამბა მომეცით მხოლოდ... (სმირნოვზე უჩვენებს) მე ამ ამხანაგს გავყვები... მოკლე გზით ვატარებ... თორემ ვეღარ მოვუსწრებთ... გზაში შევიხვევ ჭრილობებს...

(სმირნოვი და ილია გადიან. გახშირებული ელვა და ქუხილი. ავდრის შხეილი. ელვის სინათლეზე მოჩანს, რომ ჯარი სულ მიდის და მიდის)

ლ ე ს ე ლ ი ძ ე — (გასაქერის მიმავალ მებრძოლებს) აჰა, დაიძრა საბჭოთა ლაშქრის რკინის ნიაღვარი, რომელიც წალეკავს უწმინდურ ფაშიზმს... (შორიდან მოისმის გახშირებული სროლა და ბრძოლის ყრუ გუგუნი) აჰა, დაიწყო!.. (აგზნებული და თვალებანთებული გარბის ბრძოლის მიმართულებით. ელვა და წვიმის შხეილი ძლიერდება)

მეოთხე სურათი

პირველი მოქმედების პირველი სურათის დეკორაცია (სოფელი ფსხუ) ღამეა. სცენაზე დადის I და II გერმანელი გუშაგი.

I გ უ შ ა გ ი — როგორ აცივდა... ჩანს გათენება ახლოვდება...

II გ უ შ ა გ ი — დღეს უკვე 8 სექტემბერია... მეოცე დღეა, რაც წინ ფეხი აღარ წაგვადგმევინეს...

I გუშაგი — ვეღარც წავდგამთ!.. სულ აქ ამოვწყდებით...

II გუშაგი — ოჰო, რა უიმედობა შეგყრია?

I გუშაგი — უიმედობა კი არა, ლამის თავი მოვიკლა... ისე მომბეზრდა ეს დაუსრულებელი ჯახირი...

II გუშაგი — ტსს!.. თავი დაიურვე, თორემ...

I გუშაგი — დავიურვო კი არა, რამდენი ხანია ერთი დიდი საიდუმლოება მინდა გაგანდო.

II გუშაგი — ტსს!.. თუ ძმა ხარ, გაჩუმდი... მაიორმა და ლეიტენანტმა თუ გაგვიგონეს...

I გუშაგი — იმათ ჩვენთვის არა სცალიათ!.. იმ საცოდავ გოგონას სტეპავენ...

II გუშაგი — მაიორს ეჩქარება... მას უნდა, რომ ამ გომბიომაც გვიჩვენოს ფარული ბილიკები... თორემ მეტად უიმედოდ გავიჩხირენით.

I გუშაგი — კი, მაგრამ, ის ქალბატონი რომ არ თანხმდება...

II გუშაგი — დათანხმდება!.. კიდევ გასტეპავენ რამდენჯერმე და... პირველად მუდამ ასე იციან... ტსს... აგერ, გამოჰყავთ!... (სახლიდან გამოდიან ბერკმანი და კურცი. გამოჰყავთ გათოკილი და ნაცემი ლელა).

ბერკმანი — არ გსურს გვიჩვენო, ხომ?

ლელა — არა!...

ბერკმანი — უკანასკნელად გეკითხები!... თორემ დაგხვრეტთ!...

ლელა — არა-მეთქი!..

ბერკმანი — (კურცს) შტაუბესი რა ისმის?

კურცი — არაფერი, ბატონო მაიორო!.. ვერაფერი გაიგეთ!... კვალს ვეღარ მივაგენით...

ბერკმანი — აშკარაა, რომ იმ არამზადამ სასტიკად მოგვატყუა! ჰმ!.. მთელი ათასეული დავკარგე!.. ლეიტენანტ კურცს ჩვენ თუ სასწრაფო ზომები არ მივიღეთ, მტერი აშკარად ხაფანგში გაგვაბამს...

კურცი — დიახ, ბატონო მაიორო! მტერმა აშკარად შემოგვიტყუა! უკვე ერთი კვირაა, რაც აღარც პური და აღარც ვაზნები აღარ მიგვიღია... ასე დიდხანს ვერ ვიბრძოლებთ... ჩემი აზრით, ჯობია ჩვენვე დავიხიოთ უკან, თორემ... (უცებ შორიდან მოისმის გაბშირებული სროლის ხმა და ბრძოლის გუგუნი, რომელიც სწრაფად ახლოდება).

ბერკმანი — (ყურს მიუგდებს) ეს რაღა სიურპრიზია?.. ჩვეულებრივ სადაზვერვო თავდასხმას არ ჰგავს!?.

კურცი — ნუთუ ზურგიდან შემოგვიარეს?

ბ ე რ კ მ ა ნ ი — (შეტრიალდება მეორე მხრისკენ) ოჰო!.. კიდევ სიურ-პრიზი?.. ლეიტენანტ კურც!..

კ უ რ ც — გისმენთ, ბატონო მაიორო!..

ბ ე რ კ მ ა ნ ი—აქედანაც სროლა და ბრძოლის ხმაა, თუ ეს მხოლოდ მე მეჩვენება? ეხო ხომ არ არის?

კ უ რ ც — არა, ბატონო მაიორო! ეხო არ არის!... ნამდვილად ბრძოლაა!..

ბ ე რ კ მ ა ნ ი — ნუთუ ორივე მხრიდან შემოგვიარეს?.. ოო, სულ ამოგვქლეტენ!.. (სავეღე ტელეფონი რეკავს. ბერკმანი ყურმილს დასტაცებს ხელს) ალლო!.. დიახ, ბერკმანი.. რაო?.. მტრის დიდი ძალები? მოულოდნელად?.. ბრძოლით უკან იხევთ? საქმე მეტად ჭირს?.. ალლო!... ალლო!.. ფუ!.. (ყურმილს დააგდებს) ლეიტენანტ კურც!.. გასწით!.. სირბილით!.. ის ორი ათასეული იქ მიაშველეთ...

კ უ რ ც — არის!...(გარბის. ტელეფონი კვლავ რეკავს)

ბ ე რ კ მ ა ნ ი — (ყურმილს აიღებს) ალლო!.. დიახ! დიახ! ბერკმანი! რაო? მანდაც პანიკურად იხევთ?.. როგორ გაბედეთ!... სამართალში მიგცემთ! ყველას დაგხვრეტთ!.. როგორ თუ მოულოდნელად?.. ალლო! ალლო!.. ფუ!.. (ყურმილს დააგდებს) თუ არ მივხედე, ცუდადაა საქმე!... (II გუშაგს) ახლავ გაათრიე ეს გომბიო და ჩააძაღლე... თუ ვინძემ მიკითხოს — წინა ხაზზეა-თქო... (გარბის, ტელეფონი დაეინებით რეკავს, მაგრამ ყურმილს არაეინ იღებს)

ლ ე ლ ა — შენ თითონა ხარ ძაღლიც და ღორიც!

II გ უ შ ა გ ი — მესმის, ბატონო მაიორო!.. (ლელას ჩამოიყვანს ეზოში, I გუშაგი წინ გადაუდგება)

I გ უ შ ა გ ი — ფრიც!.. შენთან ერთი დიდი საიდუმლოება მაქვს...

II გ უ შ ა გ ი — მოიცა... მაიორის ბრძანებას შევასრულებ და...

I გ უ შ ა გ ი — არა, სწორედ ამ გოგონაზე...

II გ უ შ ა გ ი — ამ გოგონაზე?.. საინტერესოა!..

I გ უ შ ა გ ი — მე მინდა გულახდილად გელაპარაკო..

II გ უ შ ა გ ი — პეტერ, მეშინიან გულახდილობისა. მე ვერძნობ, რომ ჩვენს გულში ერთი და იგივე ბოლმა ტრიალებს.

I გ უ შ ა გ ი — ფრიც, მოთმინების ფიალა აიესო!.. ნუთუ შენ კი არ გენატრება ჩვენი მშობლიური ჰამბურგი... გახსოვს, როგორ გვეჩქარებოდა ხოლმე სამუშაოს შემდეგ ქარხნიდან წასელა, რომ ტელმანის სიტყვა მოგვესმინა მიტინგზე...

II გ უ შ ა გ ი — ტსს... პეტერ! რა დროს მაგაზე ფიქრია... ხომ არ გაგიედი?.

I გუშაგი — პირიქით! მგონია, სწორედ ახლა მოვედი ჭკუაზედ... მითხარი, რისთვის შემოვცვივდით ყაჩაღებივით ამ უნაპირო ქვეყანაში და თვითონაც ვწყდებით და სხვებსაც უწყალოდ ვჟლეტთ იმ დამთხვეული კაცის სახელით, რომლის სიგიჟესაც გერმანია აშკარა კატასტროფისაკენ მიჰყავს...

II გუშაგი — ტსს... ირგვლივ სხვა გუშაგებიც დადიან... კატასტროფა კი არა — ვიმარჯვებთო!.. მალე სტალინგრადსა და ბაქოს ავიღებთო!..

I გუშაგი — და შენც გჯერა!.. როგორც შარშან მოსკოვი ავიღეთ, ისე ავიღებთ ბაქოსა და სტალინგრადსაც... სულ მალე ისე მიგვამტვრევენ ცხვირპირს, რომ ის, რაც ავიღეთ, ისიც უკან დაგვრჩება..

II გუშაგი — კი, მაგრამ მე შენს სიტყვებში პერსპექტივას ვერ ვხედავ... რისთვის წამოიწყე ეს საუბარი... ისიც ასეთ დროს...

I გუშაგი — არის პერსპექტივა!.. ტყვედ უნდა გავიდეთ... ჩვენ გერმანელი მუშები ვართ და ჩვენი სიცოცხლე გერმანიის გონიერულ მომავალს უნდა შევუნარჩუნოთ...

II გუშაგი — ჰო, ეს სწორად სთქვი!.. მეც მაგას ვფიქრობდი, მაგრამ მარტოს ვერ გამებედა...

I გუშაგი — ახლა ხომ ორნი ვართ!..

II გუშაგი — აი ჩემი ხელი!... გმადლობ ნდობისათვის!..

I გუშაგი — მეც გმადლობ!... (ხელს მაგრად ჩამოართმევს) აბა, ვიმოქმედოთ...

II გუშაგი — კი, მაგრამ შენ ეს გოგონა ახსენე რატომღაც?...

I გუშაგი — დიახ, ვახსენე!... აგერ, რა გახურებული ბრძოლები ატყდა! პირდაპირ რომ წავიდეთ — შესაძლოა, ფრონტის ხაზზე გადასვლისას ან რუსებმა მოგვკლან, ან თვით ჩვენებმა... ეს კი შესანიშნავი შემთხვევაა.

II გუშაგი — როგორ? კარგად ვერ მესმის!

I გუშაგი — გავიმძღვაროთ წინ ეს გოგონა... ფარული ბილიკებით გვატაროს... ამით ეს თავის თავსაც გადაარჩენს და ჩვენც...

II გუშაგი — კარგი აზრია!.. ეს მართლაც შესანიშნავი შემთხვევაა... მაგრამ მეტად ჯიუტი ჩანს! გვენდობა კი?..

I გუშაგი — მოიცა... მე თვითონ მოველაპარაკები!.. (მიდის ლეელასაკენ, მაგრამ შეჩერდება) ფუ!.. მგონია, ვიღაც მოდის! ჰალტ!.. რომელი ხარ?...

ბატაუბე — (შემოდის შემოფხრეწილ ტანსაცმელში, დიდი ხნის წვერგაუპარსავი) მე ვარ!... ვეღარ მიცანით?...

IIგ უ შ ა გ ი — ობერ-ლეიტენანტ შტაუბე?!

შ ტ ა უ ბ ე — დიახ, შტაუბე!.. ყეყეჩებო!.. სად არის ბატონი მაიორი? სად არის-მეთქი?... მტერი ფეხდაფეხ მომდევს... სადაცაა, აქ გაჩნდებიან..

I გ უ შ ა გ ი — ბატონი მაიორი აქეთ წავიდა, წინა ხაზზე...

შ ტ ა უ ბ ე — (ლელა დაინახა) აა, ეს გომბიო კიდევ ცოცხალია?.. (წიხლს დააზელს) უუ, შე გველის წიწილო!.. მამაშენმა გვიღალატა!... სასტიკად მოგვატყუა... მტრის ხაფანგში გაგვაბა, მთელი ჩემი ათასეული იმ ხევებში ამოწყვიტეს... მაგრამ შენზედ კი ვიყრი მის ჯავრს!..

ლ ე ლ ა — (გახარებული) მამა!... საყვარელო მამა!..

შ ტ ა უ ბ ე — რომ უხარია კიდეც!... უუ, შე ძაღლო!.. (რევოლვერს იძრობს, მაგრამ I გუშაგი ავტომატის კონდახს დაკრავს თავში შტაუბეს, რომელიც წაიქცევა. იგივე I გუშაგი ხელებს უხსნის ლელას და თავის ავტომატს გადასცემს)

I გ უ შ ა გ ი — აბა, გაგვიძეხ! სწრაფად... ვიაროთ...

II გ უ შ ა გ ი — აჰა, აი ეს ჩემი ავტომატიც... ოღონდ, იჩქარე!

ლ ე ლ ა — მომყევით! (წასვლას აპირებს, მაგრამ გონსმოსული შტაუბე წამოიწევს და ის-ის არის რევოლვერი უნდა ესროლოს ლელას, რომ სულ ახლოს მოისმის გახარებული სროლა, ბრძოლის ყიჟინა და „ვაშას" ძახილი, რომელიც სწრაფად ახლოდება. თვით სახლის უკან, კლდეზე, გამოჩნდებიან ლეიტენანტი სმირნოვი და ილია. სმირნოვი რევოლვერს უმიზნებს შტაუბეს და ესვრის. შტაუბე მკვდარი დაეცემა. I და II გუშაგი ხელებს მაღლა ასწევენ).

ლ ე ლ ა — მამა!..

ი ლ ი ა — შვილო!.. ლელა!.. (გადაეხვევიან)

ლ ე ლ ა — ამხანაგო სმირნოვ! (გადაეხვევიან. ილია ღიმილით თავს გადაიქნევს).

ს მ ი რ ნ ო ვ ი — მორჩა!... ბერლინს ავიღებთ, ომს დავამთავრებთ და, სადაც არ უნდა იყო, ლელა, მაინც მოგნახავ.

ლ ე ლ ა — მეც მოგილოდინებ! (უცებ დაინახა, რომ ილია გაფითრდა და ჩაიკეცა. მიეარდება) მამა!.. (სმირნოვსა და ლელას ილია სახლში შეჰყავთ. სმირნოვი ბრუნდება, შემორბიან დაფეთებული ბერკმანი და კურცი, მაგრამ მთელი მიდამო საბჭოთა მებრძოლებით ივსება, რომლებიც ატყვევებენ გერმანელებს. შემოდიან გენერალი ლესელიძე, პოლკოვნიკი და სხვა ოფიცრები).

ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე ბ რ ძ ო ლ ე ბ ი ს

წ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ე ბ ი — ვაშა!.. ვაშა!..

ლ ე ხ ე ლ ი ძ ე — ყოჩაღ, ყმაწვილებო, ყოჩაღ! მომილოცნია ბრწყინვალე გამარჯვება!.. როგორც ხედავთ, ფაშისტები არც ისე უძლეველნი ყოფილან, როგორც ამას თვითონვე გაჰკიოდნენ! (ამომაეალი მზის სხივები ეფინება სცენას) ძვირფასო ძმებო!.. აგერ, მზეც ამოდის! უძლეველი საბჭოთა კავშირის საბოლოო გამარჯვების დიადი მზე, რომლის ბრწყინვალება გაანადგურებს მსოფლიო ფაშიზმს და თავისუფლებას მიანიჭებს ყველა იმ ხალხებს, რომლებიც ფაშიზძის უღელქვეშ გმინავენ!

ამხანაგებო! მაშ გავსწიოთ წინ და მტკიცედ გვახსოვდეს, რომ დღეს ჩვენ სისხლს ვღვრით მხოლოდ იმისათვის, რომ მოვსპოთ ამ ქვეყნად ხალხთა შორის მტრობა და შუღლი! რომ დავამყაროთ ხალხთა შორის მარადი ნდობა და მეგობრობა ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ... ვიბრძვით იმისათვის, რომ ამ საშინელი სისხლისღვრის შემდეგ დამყარდეს ქვეყნად მკვიდრი მშვიდობა და მსოფლიოს არც ერთ კუთხეში აღარ იღვრებოდეს სისხლი და ცრემლი!...

(ხიხარულისა და აღტაცების შეძახილები. აპოთეოზი)

ფ ი ნ ა ლ ი

1952 წ.

თბილისი



გიორგი შატბერაშვილი

უცნობი ქალი

პიესა 4 მოქმედებად
8 სურათად

მოქმედნი პირნი

ნინო მინდიაშვილი — თვალის ექიმი, მეცნიერებათა კანდიდატი.
ლევან მინდიაშვილი — ნინოს ქმარი, თვალის სნეულებათა კელეეთი ინსტიტუტის დირექტორი.
სულხან სულხანიშვილი — მხატვარი.
როსტომ სულხანიშვილი — სულხანის მამა, ძველი პედაგოგი.
კოტე სულხანიშვილი — სულხანის ძმა, სტუდენტი.
თინა სულხანიშვილი — სულხანის და, სტუდენტი.
ქეთო შარაშიძე — უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.
არჩილ მეტრეველი — ნინოს პროფესორი — პარტიული ორგანიზაციის მდივანი.
ვარლამ ნასიძე — პროფესორი.
ამბერკი კიკნაველიძე — მეცნიერებათა კანდიდატი.
სანდრო ლიაძე — საავადმყოფოს მებაღე.
ოლოლი — მდივანი ქალი.

მოქმედება წარმოებს თბილისში, ჩვენს დროს.



პირველი მოქმედება

პირველი სურათი

ფართო მოსაცდელი ოთახი. მრგვალი მაგიდა, რბილი საკარძლები. მარჯვნივ დირექტორის, ხოლო მარცხნივ პარტბიუროს მდივნის კაბინეტის კარი. წინა პლანზე მემანქანე-მდივნის პატარა მაგიდა, ტელეფონები, საბეჭდი მანქანა. უკანა კედელში ფართო ფანჯრები, რომლებიც ბაღს გადასცქერის. პატარა მაგიდასთან ზის ოლოლი, ორივე ხელში ტელეფონის მილი უჭირავს. ფარდის ახდისთანავე ერთი მხრივ შემოდის სანდრო, მეორე მხრივ კოტე.

ოლოლი — (ტელეფონში) მომითმინეთ, მომითმინეთ... არა, თათბირია! (დაინახავს სანდროს) ტყუილად გარჯილხართ, ძია სანდრო!

სანდრო — (წყენით) მაცალე, ფეხი შემომადგმევინე, სალამი მათქმევინე, ამომასუნთქე...

ოლოლი — ხომ ხედავთ, არც ამას სცალია, არც იმას!..

სანდრო — რა გახდა ორი წუთით შესვლა?

ოლოლი — თათბირი შეიძლება დღის ბოლომდე არ დამთავრდეს, ისე, რომ... (მიუბრუნდება კოტეს) თქვენ ვინ გნებავთ?

სანდრო — ჰო, სანდრო ლიაძეს თქვენ რად მიაქცევთ ყურადღებას! გუშინ, გუშინწინ და იმის წინაც გუნებაზე არ იყავით და არ შემიშვით... იქნებ რა საქმე მაქვს. (ხელს ჩაიქნევს და გადის)

ოლოლი — (ტელეფონში) დიახ, გრძელდება... მწვავედ, ძალზე მწვავედ! დიახ, გადავცემ... (შეხედავს კოტეს. აკვირდება) თქვენ? ახ, უკაცრავად, უკაცრავად, რომ აქამდე ყურადღება ვერ მოგაქციეთ! აი აქ დაბრძანდით და, მაპატიეთ...

კოტე — (გაოცებით) კი, მაგრამ თქვენ?.. მე?..

ოლოლი — გიცნობთ, რასაკვირველია, გიცნობთ! განა თბილისში არის ისეთი ვინმე, რომ თქვენ არ გიცნობდეთ? თქვენ ხომ

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ახალგაზრდა ხართ მთელს ქალაქში... ჩვენი ფეხბურთის კარუზო!

ქ ო ტ ე — (დარცხვენით) ეს მეტისმეტია, ქალიშვილო...

ო ლ ო ლ ი — სრულებითაც არა, ეს აღიარებული ფაქტია! (ღიმილით) ბედნიერია, ვინც კვირას თქვენს თამაშს დაესწრება!

ქ ო ტ ე — ადვილი სამსახურია. მე შემიძლია...

ო ლ ო ლ ი—ნუთუ თქვენ შეგიძლიათ, ნუთუ არ შეწუხდებით? თუმცა თქვენ ხომ უარს ვერ გეტყვიან?!

ქ ო ტ ე — არა, მე მაქვს ჩემი ფონდი. შემიძლია ახლავე... აი, ორი ბილეთი, ინებეთ!..

ო ლ ო ლ ი — ორი ბილეთი, ისიც სამხრეთის მეორე ტრიბუნა... პირველი რიგი... მადლობას არ გეუბნებით, ეს შემდეგისთვის იყოს. რაც შეეხება... (მისწვდება უზარმაზარ ჩანთას) რაც შეეხება... შეხედეთ, ფული შინ დამრჩენია!.. ახლავე მოვიტან, ამ წუთში...

ქ ო ტ ე — ოღონდ ეგ არ გამაგონოთ... როგორ გეკადრებათ!

ო ლ ო ლ ი — არა, ორ ნაბიჯზე ვცხოვრობ. (გადასწვეს ოთახზე გასახვლელი კარის ფარდას) აგერ, ხედავთ, იმ მესერს იქით პატარა სახლი რომ დგას... ხშირად, როცა სამსახურში მაგვიანდება, პირდაპირ ბაღზე გადმოვირბენ ხოლმე...

ქ ო ტ ე — ქალიშვილო, თქვენ კოტე სულხანიშვილს არ იცნობთ. ეს ჩემი შეურაცხყოფა იქნება... არ ღირს შეწუხებად.

ო ლ ო ლ ი — ო, მე ეს ვიცოდი და სწორედ ამიტომ უხერხულად ვთვლიდი გამომცნაურებასაც, და...

ქ ო ტ ე — ეს არაფერია...

ო ლ ო ლ ი — კარგით, მაშ მიბრძანეთ, რამ მოგიყვანათ აქ... რით შემიძლია გემსახუროთ?

ქ ო ტ ე — ქეთო შარაშიძის ნახვა მინდა.

ო ლ ო ლ ი — პირდაპირ არ ვიცი, რა მეშველება, როგორ გასიამოვნოთ, როცა... იცით, ქეთოც თათბირს ესწრება... გამოძახების უფლება კი არა მაქვს.

ქ ო ტ ე — მდგომარეობა ისეთია, რომ... (ფიქრის შემდეგ) მაშ იქნებ გადასცეთ, რომ ამ საღამოს, აი თუნდაც თათბირის დამთავრების შემდეგ, სულხანიშვილებთან გამოიაროს... ავადმყოფი ძმის ბედი მაწუხებს.

ო ლ ო ლ ი — აა... სულხან სულხანიშვილის, არა?

ქ ო ტ ე — დიახ...

ო ლ ო ლ ი — (გაოცებით) მაგრამ მას ხომ პროფესორი ნასიძე მკურნალობდა?..

კ ო ტ ე — მკურნალობდა, მაგრამ, სამწუხაროდ... ახლა სხვას უნდა მივმართოთ.

ო ლ ო ლ ი — (დაფიქრებით) გასაგებია... ალბათ ნინო მინდიაშვილს, არა? დიახ, იგი შესანიმხავი ექიმია... არ შემცდარხართ არჩევანში. აი ჩაკწერ. აქ ისეთი აურზაურია, შეიძლება დამავიწყდეს კიდეც... მისამართი?

კ ო ტ ე — მისამართი იცის... აბა, ახლა კი გამოგეთხოვებით. იმედია, შევხვდებით.

ო ლ ო ლ ი — იცით, სტადიონის შესავალთან დიდი ჭადრები რომ დგას, სწორედ იქ მიყვარს თამაშის შემდეგ მცირე ხნით შეჩერება და...

კ ო ტ ე — დიახ, გასაგებია... (მიდის კარისკენ. გამოდის ქ ე თ ო, ხელში წყლის გრაფინი უჭირავს)

ქ ე თ ო — წყალი... ერთი ჭიქა წყალი!

ო ლ ო ლ ი — რა მოხდა?

ქ ე თ ო — ნინო თავს ცუდად გრძნობს... ამდენმა ღელვამ, ამდენმა დავიდარაბამ... იცი ვეღარ იცნობ, რომ შეხედო. მეშინია, არაფერი დაემართოს...

ო ლ ო ლ ი — ახლავე... (გრაფინით ხელში გარბის!)

კ ო ტ ე — ქეთინო...

ქ ე თ ო — ახ, კოტე! უკვე მოსულხარ? ვინ იცის, დიდი ხახია ძელოდები? აქ ისეთი ამბებია, ისეთი რომ... აი, ვერც კი შეგაძჩნიე...

კ ო ტ ე — ესეც თითქოს ჩვენს ბედად... მერე რაღა სწორედ ახლა? ეტყობა, ნინო ჩვენთვის ვეღარ მოიცლის, სამწუხაროა, სამწუხარო... (შემოდის ოლოლი)

ო ლ ო ლ ი — აი... აჰა, ჩქარა!...

ქ ე თ ო — ახლავე, კოტე... თუ მოვახერხე, ახლავე გამოვალ... (მიაქვს წყალი და შედის დირექტორის კაბინეტში)

ო ლ ო ლ ი — დაბრძანდით... (დაჯდება მანქანასთან) საოცარია, აი ყოველდღიურად აქ, ამ ხალხში ეტრიალებ და მაინც ვერ გამიგია, რა უნდათ ნინო მინდიაშვილისაგან!

კ ო ტ ე — (მხრებს აიჩეჩავს) აბა, ჩვენ... ის ქალი ჩვენ ჯერ თვალითაც არ გვინახავს... ისე, შორიდან ვიცნობთ...

ო ლ ო ლ ი — იცით, ნინო ჩემი სკოლის ამხანაგია... ო, რომ იცოდეთ, რა დაფიქრებული, ნიჭიერი გოგონა იყო. მაშინვე ეტყობოდა, რომ თავისებური ქალი დადგებოდა... არც ზედმეტი ყმაწვილებში გართობა, არც რუსთაველზე გავლა, სულ წიგნი და წიგნი!.. დავცინოდით, წიგნის ჭიას ვეძახდით და აი, ხედავთ!.. (ფიქრის შემდეგ) მისი მიწვევა, ალბათ, ქეთო შარაშიძეს გირჩიათ?

ქ ო ტ ე — გვირჩია, მაგრამ...

ო ლ ო ლ ი — დიახ, უკანასკნელმა ოპერაციამ ნინოს იმედი არ გა-უმართლა. ამის გამო ახლა ეტეტეშ აყენებენ მის ცდებს.

ქ ო ტ ე — კი, მაგრამ ამ დაწესებულების დირექტორი ხომ მისი მე-უღლეა?

ო ლ ო ლ ი — ცოლის დაცვა, ხომ იცით, რაღაც უხერხულია...

ქ ო ტ ე — აჰა! აშინებენ ქმარს, ნამდვილად კი, როგორც ჩანს, ცოლის დამარცხება უნდათ!

ო ლ ო ლ ი — არც ქმრის წარმატება ახარებთ... იცით, გასულ წელს ხმებიც კი გავრცელდა, ლევან მინდიაშვილს აწინაურებენო... ალბათ ამის გამო, აქ ისე აუმღვრიეს წყალი, რომ დაწინაურე-ბის მაგიერ საყვედური მიაღებინეს.

ქ ო ტ ე — მერე, ვინ არიან ისინი?

ო ლ ო ლ ი — (მიიხედ-მოიხედავს) წარმოიდგინეთ... (გამოდის ქ ე თ ო) როგორ არის ახლა ნინო?

ქ ე თ ო — იქ დიდი არეე-დარევაა, ყველა ღელავს. ნინო თითქოს დამშვიდდა...

ო ლ ო ლ ი — საინტერესოა დირექტორის პოზიცია (მიუჯდება მანქა-ნას, თან ბეჭდავს, თან უსმენს)

ქ ე თ ო — დირექტორი სდუმს... ნინოს ბედი ამ საღამოს სამეცნიე-რო საბჭოს სხდომაზე გადაწყდება. (ტოტეს) ისე, რომ ამ ვითა-რებაში ვერ შეგახვედრებ.

ქ ო ტ ე — ჩვენი ოჯახის უკანასკნელი იმედი ნინო მინდიაშვილი იყო...

ქ ე თ ო — (დაფიქრებით) იყო და უნდა იყოს კიდეც... ისინი ვერ შეს-ძლებენ ნინოს დამარცხებას. ნინო ხელს მოჰკიდებს სულ-ხანს. ასე გადაეცი მამათქვენს, დაამშვიდე...

ქ ო ტ ე — მეტი რაღა გითხრა... გაამხნევე უცნობი ნინო... (ოლოლს) ნახვამდის, ქალიშვილო...

ო ლ ო ლ ი — ნახვამდის (ხმადაბლა) კვირამდის... (ტოტე და ქეთო გა-დიან. დირექტორის კაბინეტიდან გამოდის ა მ ბ ე რ კ ი) ოჰ, ამბერჩიკ! რა არის ახალი?

ა მ ბ ე რ კ ი — (ფიქრის შემდეგ, ხმადაბლა) მაოცებს პროფესორ ნასი-ძის საქციელი... იგი ამტკიცებს, რომ ნინო მინდიაშვილი აყალბებს ფილატოვის მოძღვრებას, თავხედურად ებრძვის ჩვენი მეცნიერების მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას... მაგ-რამ... მაგრამ ამ აღმაშფოთებელი საქციელის გამო პატივცე-მული პროფესორი არ აკეთებს სათანადო დასკვნას, მოქმე-დებს ისე დუნედ, ისე აუღელვებლად, რომ...

ო ლ ო ლ ი — კარგად ვიცნობ მას... მისი სიმშვიდის დასარღვევად საჭიროა ცოტაოდენი შხამი...

ა მ ბ ე რ კ ი — მერე სად არის, სად, თუნდაც ერთი წვეთი?!

ო ლ ო ლ ი — (ოდუმალი ხმით) ამ წუთში ნინოს სანახავად აქ იყო ფეხბურთელი კოტე სულხანიშვილი... ნინო მინდიაშვილი იწყებს მისი ძმის, სულხანის მკურნალობას! გასაგებია?

ა მ ბ ე რ კ ი — (გაოცებით) რაო?

ო ლ ო ლ ი — აჰა, წაიკითხე! (მიაწვდის დაბეჭდილ ფურცელს) ახალი სტენოგრამაა!

ა მ ბ ე რ კ ი — (ხმადაბლა კითხულობს) „ჩვენი ოჯახის უკანასკნელი იმედი ნინო მინდიაშვილია"... ჰმ, ხედავთ? (ღიმება) ოხ, ოლოლ, ოლოლ, დღემდე მაინც არ მჯეროდა, თუ ასე საშიში იყავი!..

ო ლ ო ლ ი — რომ იცოდე, რა მღელვარებად, გულის თრთოლვად მიღირს შენთვის ამ... ამ გზის გაკაფვა! (ხელს გაიშვერს დირექტორის კაბინეტისაკენ)

ა მ ბ ე რ კ ი — სსუ... აბა რას ამბობ?.. დამშვიდდი.

ო ლ ო ლ ი — მე ვერაფერი დამამაშვიდებს, სანამ ის ქალბატონი კისერს არ მოიტეხს... სანამ ამ კაბინეტის გასაღებს შენ არ ჩაიბარებ...

ა მ ბ ე რ კ ი — ჩუმად-მეთქი... ხომ შეიძლება ამ ხუმრობას ვინმემ ყური მოჰკრას?.. რაც შეეხება ამ სტენოგრამას...

ო ლ ო ლ ი—ამისათვის კოტე სულხანიშვილს უნდა ვუმადლოდეთ... კარგ დროს შემოიარა...

ა მ ბ ე რ კ ი — მისწრებაა, ნამდვილი მისწრებაა! მაშ ასე... (თითქმის თავისთვის) ეს ამბები ასე დალაგდება: ნინო მინდიაშვილი პროფესორ ნასიძის ყოფილი პაციენტის მკურნალობას იწყებს... იწყებს იმ მიზნით, რომ... დანარჩენი ცხადია. დაე, დანარჩენს თვითონ მიხვდეს პატიეცემული პროფესორი (ღიმილით) კიდევ ერთი მადლობა ჩვენს ფეხბურთელს აქ მოსვლისათვის!

ო ლ ო ლ ი — ჩემგანაც... აი ორი ბილეთი!

ა მ ბ ე რ კ ი — ფრთხილად, ოლოლ!

ო ლ ო ლ ი — ერთი შენ, ერთი მე... აი, ასეთი ჭაბუკია! პირდაპირი, ჯულუხვი...

ა მ ბ ე რ კ ი — (ხმადაბლა) კარგი... მალე შენს ლამაზ მხრებზე ცბიერი მელა გაიზმორებს... (შემოდის ქ ე თ ო)

ქ ე თ ო — (ამბერკის) დამთავრდა?

ა მ ბ ე რ კ ი — არა, ქეთო... არა, მაგრამ იქ გაჩერება შეუძლებელია. აი მე ხომ ჩემთვის ვიჯექი. მაგრამ მაინც ვერ გავუძელი.

ქ ე თ ო — ამხანაგო ამბერკი, განა შეიძლება გაუჩუმდეთ, როცა ადამიანის ბედი წყდება?

ა მ ბ ე რ კ ი — ეს კი, მაგრამ...ხომ ხედავთ, თვითონ დირექტორიც კი თავს იკავებს. იგი გონიერი და ფრთხილი კაცია... ფილატოვის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი რევიზია, ცოტა არ იყოს...

ქ ე თ ო — ლევან მინდიაშვილის ყოყმანი და სიფრთხილე გასაგებია: ნინო მისი მეუღლეა... თქვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესდეთ, ხელი გაუწოდოთ და დაეხმაროთ, თავს იკავებთ... თავს იკავებთ და იმეორებთ უცნაურ ჭორებს ფილატოვის რევიზიის შესახებ!

ა მ ბ ე რ კ ი — თქვენ რომ იცოდეთ, ნამდვილად რას ვფიქრობ, ასე არ იტყოდით... (შემოდის ს ა ნ დ რ ო)

ს ა ნ დ რ ო — (ოლოლს) არ დამთავრებულა?

ო ლ ო ლ ი — არა.

ს ა ნ დ რ ო — (თავისთვის) ჩამოჯექ, სანდრო... (კაბინეტიდან გამოდიან ნ ი ნ ო და ა რ ჩ ი ლ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. სანდრო ფეხზე წამოდგება)

ნ ი ნ ო — უჰ, რა შეხუთული ჰაერია აქაც...

ა მ ბ ე რ კ ი — ქალბატონო ნინო, მცირე ხანს დაბრძანდით, დაისვენეთ...,

ნ ი ნ ო — (ძალას იკრებს) არა, ამხანაგო ამბერკი, წავალ..

ა მ ბ ე რ კ ი — ახლავე მანქანას გამოვუძახებ!

ს ა ნ დ რ ო — აქ არა ვარ?! (კარისკენ წავა)

ნ ი ნ ო — არა, არ არის საჭირო, ძია სანდრო. ფეხით გავივლი. ჰაერზე. გმადლობთ.

ა რ ჩ ი ლ ი — ქეთო!

ქ ე თ ო — ახლავე... დიას, გავყვები.

ნ ი ნ ო — ქეთინო...

ა რ ჩ ი ლ ი — ნუ, ნუ ღელავ, ნინო, წადი შინ, დამშვიდდი, საქმე არც ისეა, როგორც ზოგიერთს უნდა... (ეკიდის საათი ექვსჯერ რეკავს)

ო ლ ო ლ ი — მეც... მეც გავყვები. ნინო...

ნ ი ნ ო — ნახვამდის.

(ნინო, ქეთო და ოლოლი გადიან. გადის სანდროც. არჩილი თავის კაბინეტში შედის)

ა მ ბ ე რ კ ი — (შეხედავს დახურულ კარს) საქმე არც ისეა, როგორც ზოგიერთს უნდა... ჯერჯერობით ეს მართლაც ასეა. (დირექტორის კაბინეტიდან გამოდიან თ ა თ ბ ი რ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი)

პ ი რ ვ ე ლ ი — დღევანდელმა თათბირმა ერთობ ცუდ გუნებაზე

დამაყენა. აბა დაფიქრდით, ბატონებო, საით მივდივართ? განა აზრის აკრძალვა, მისი შეჩერება შეიძლება?

მ ე ო რ ე — აზრის შეჩერება მართლაც შეუძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ჰეშმარიტება ნინო მინდიაშვილის სასარგებლოდ არაფერს ამბობს. (ხმადაბლა) განა ვერ ამჩნევთ, რა ხდება აქ?.. დირექტორმა შინაური სათბური მოუწყო თავის მეუღლეს, უნდა გამოჩენილ მეცნიერად აქციოს, ხელოვნურად გაუკაფოს გზა, დაუპირისპიროს უკვე აღიარებულ ავტორიტეტებს...

მ ე ს ა მ ე — მაინც ვის?

მ ე ო რ ე — აი, თუნდაც პროფესორ ვარლამ ნასიძეს! თან თავი ისე უჭირავს, თითქოს დიდად ობიექტური და მიუღგომელი ხელმძღვანელი იყოს!..

პ ი რ ვ ე ლ ი — ამხანაგებო, ეს არის ამ საკითხის გარეგნული გარსი... ნინო დირექტორის ცოლია, მაშასადამე, მისი წარმატებაც ხელოვნურია, გამოგონილი!.. არა, ასე მსჯელობა არ შეიძლება!..

მ ე ო რ ე — რომელ წარმატებაზე ლაპარაკობთ?.. განა ეს თათბირი იმის გამო არ მოვიწვიეთ, რომ ნინოს უკანასკნელ მარცხზე გველაპარაკა?..

პ ი რ ვ ე ლ ი — მაშინ, კეთილინებეთ და იმსჯელეთ მეცნიერულად, უფრო ზუსტად... როდესაც ნინო მინდიაშვილის შემთხვევითი მარცხის გამო განგაშს აცხადებთ, ნუ დაგავიწყდებათ მისი უდავო წარმატებები... განა შეიძლება საკითხის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ხელი ვკრათ მოწინავე, გაბედულ აზრს, ავკრძალოთ, მიეიღოთ ადმინისტრაციული ზომები?!

მ ე ს ა მ ე — ჯერ ხომ ასეთი რამ არ თქმულა?..

პ ი რ ვ ე ლ ი — არ თქმულა, არ თქმულა!.. არ თქმულა საჯაროდ, მაგრამ აბა ბაიხედ-მოიხედეთ, დააკვირდით, რამდენი ხელმოცარული ბუზღუნა ნატრობს ამას!.. მერე, ვის ებრძვიან ისინი, ვის? ნინო მინდიაშვილი ამ ინსტიტუტის პირმშოა... აქ, ამ კედლებში გამოიწრთო მისი მახვილი გონება, სიახლისაკენ სწრაფვა, დამოუკიდებელი თვალი... ჩვენ, ჩვენ თვითონ ავაღგმევინეთ მას ფეხი, გავზარდეთ, გზაზე დავაყენეთ!.. ასეა, ხომ?.. თუ ასეა, ხელს რაღად ვუშლით?..

მ ე ს ა მ ე — სამწუხაროდ, მისმა უკანასკნელმა მარცხმა დასცა ჩვენი ინსტიტუტის პრესტიჟი. განა შეგვიძლია თვალი მოვარიდოთ საზოგადოების საყვედურს, ავადმყოფთა იმედის გაც-

რუებას, უშედეგო ხარჯებს?.. განა ეს უაზრო მსხვერპლი არ არის?

პ ი რ ვ ე ლ ი — არც ერთი დიდი საქმე უმსხვერპლოდ არ გაკეთებულა... ცხოვრების ამ გარდუვალმა კანონმა სიმტკიცე უნდა მოგვგვაროს და არა შიში!

მ ე ო რ ე — ერთი რამ მაინც ცხადია: ნინო მინდიაშვილი ამაოდ ცდილობს შუქი დაუბრუნოს სამუდამოდ ჩამქრალ თვალებს!..

პ ი რ ვ ე ლ ი — სადაც თქვენ სიკვდილს ხედავთ, ნინომ იქ სიცოცხლის აღორძინების ნიშნები დაინახა!.. (გამოდის ვ ა რ ლ ა მ ი. დინჯად უახლოვდება მოკამათეებს)

ვ ა რ ლ ა მ ი — როგორც ვხედავ, კამათი გზადაგზა გრძელდება... ეს მართლაც თავსატეხი კითხვაა... (შეხედავს საათს) კიდევ ორი-სამი საათი გვაქვს, დავფიქრდეთ, მეგობრებო! (ყველანი გადიან. ვარლამიც აპირებს გასვლას. ამბერკი ვარლამს მორიდებით მოკიდებს ხელს და განზე გაიყვანს)

ვ ა რ ლ ა მ ი — ოჰ, ისევ კონსპირაცია, ისევ გახმობა-გამოხმობა, არა?

ა მ ბ ე რ კ ი — ჯერ ხომ არაფერი მითქვამს, ბატონო...

ვ ა რ ლ ა მ ი — (ღიმილით) ვიცი, ვიცი, ხელს ასე რომ მოგკიდებენ, სიტყვის უთქმელად განზე რომ გაგიყვანენ... ცხადია!

ა მ ბ ე რ კ ი — (იცინის) შესანიშნავად გაითამაშეთ!

ვ ა რ ლ ა მ ი — აბა რას ნიშნავს ეს გაუთავებელი ჩურჩული? მე დასაფარი არაფერი მაქვს: ვმოქმედებ ჩემი რწმენისა და სინიდისის მიხედვით. შენ კი, ჩემო ძვირფასო, ეშვიანი ხარ, თანაც მომიტევე და ცოტა... ცოტა არ იყოს შურიანიც.

ა მ ბ ე რ კ ი — ხა, ხა, ხა, გამოდის, რომ მე ნინო მინდიაშვილის უსარგებლო ცდების ირგვლივ ატეხილი ხმაურიც კი მშურს?..

ვ ა რ ლ ა მ ი — (დაბალი ხმით) იქნებ ვცდებოდე კიდეც, მაგრამ როდესაც შენ ამგვარად, ასე ვთქვათ, კონსპირაციულად მელაპარაკები, რატომღაც ყოველთვის მახსენდება, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ნინო მინდიაშვილმა კინაღამ კანდიდატობა დაგაკარგვინა... რაც შეეხება ლევანს...

ა მ ბ ე რ კ ი — ესეც გასაგებია... მე მშურს ლევანის სავარძელი?.. ბატონო პროფესორო, ეგ როგორ იფიქრეთ, ისინი ხომ ჩემი სიყრმის მეგობრები არიან?.. სიყრმის მეგობრები არიან, მაგრამ...

ვ ა რ ლ ა მ ი — მაგრამ?

ა მ ბ ე რ კ ი — მაგრამ როცა ისინი თქვენს წინააღმდეგ არასაკადრი-

სი გზით დაიწყებენ მოქმედებას, ნება მომეცით, გაოცება მაინც გამოვთქვა.

ვ ა რ ლ ა მ ი — თქვი...

ა მ ბ ე რ კ ი — აი, თქვენ უკვე მოიღუშეთ... ისეთი არაფერია, ეს ამბავი თქვენ სიცილადაც არ გეყოფათ.

ვ ა რ ლ ა მ ი — მით უკეთესი... თქვი!

ა მ ბ ე რ კ ი — ნუ ღელავთ, დაბრძანდით... (ფიქრის შემდეგ) მთელმა თბილისმა იცის, რომ თქვენ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვარლამ ნასიძე, დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდით მხატვარ სულხან სულხანიშვილს...

ვ ა რ ლ ა მ ი — (შემკრთალი) დიახ, ვმკურნალობდი.

ა მ ბ ე რ კ ი — ქართველი საზოგადოება მღელვარებით მოელოდა საყვარელი მხატვრის გადარჩენას...

ვ ა რ ლ ა მ ი — (წყენით) სამწუხაროდ, მისი მორჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ა მ ბ ე რ კ ი — ასეთი იყო თქვენი საბოლოო დასკვნა... გაიხსენეთ, ვინ შეგედავათ მაშინ?

ვ ა რ ლ ა მ ი — (ეჭვით შეხედავს) ნინო. ჰო, ნინო მინდიაშვილი.

ა მ ბ ე რ კ ი — (ხმადაბლა) ჰოდა აი, ახლახან შემთხვევით გავიგე, რომ თქვენი ნიჭიერი მოწაფე ნინო მინდიაშვილი იწყებს სულხან სულხანიშვილის მკურნალობას!

ვ ა რ ლ ა მ ი — (გაოცებით) ჰა? თუ ღმერთი გწამს?!

ა მ ბ ე რ კ ი — გთხოვთ, ახლა მაინც ნუ ჩამითვლით ამის თქმას კონსპირაციად... ნურც ანგარებად.

ვ ა რ ლ ა მ ი — (დაფიქრებით) ნუთუ? არა... იქ, სადაც უძლური აღმოჩნდა ყველას ხელი, იქ, სადაც მე დავმარცხდი...

ა მ ბ ე რ კ ი — ხომ შეიძლება მან გაიმარჯვოს?

ვ ა რ ლ ა მ ი — (დაბნეული) გაიმარჯვოს? არა, ეს შეუძლებელია... ის ვერ გაბედავს ამას... (ფიქრის შემდეგ) ერთი უყურეთ! მაშ იგი ახლა ჩემს ყოფილ პაციენტებსაც ჰკიდებს ხელს, რომ...რომ... ეჰეე, მოუკრეფავში გადადის! მერე, რის იმედით?

ა მ ბ ე რ კ ი — ცხადია, ვისი იმედითაც!

ვ ა რ ლ ა მ ი — აჰა! გასაგებია... (ფიქრის შემდეგ) გადავიდეს... გზა დამილოცავს! (გამოდის ლ ე ვ ა ნ ი. ვარლამი დაკვირვებით უმზერს ლევანს. მერე ხელს ჩაიქნევს) სცადონ ერთი, მოიტეხენ თუ არა კისერს! უყურეთ?!

ლ ე ვ ა ნ ი — ბატონო ვარლამ... მანქანა მელოდება... მიგიყვანთ.

ვ ა რ ლ ა მ ი — (აღელვებით) არა... არა... განა შეიძლება თვალი მოვუხუჭოთ ცრუ მისწრაფებებს, განდიდების ჟინს?

ლ ე ვ ა ნ ი — (გაოცებით) რა მოხდა, ბატონო პროფესორო?

ვ ა რ ლ ა მ ი — ჰკითხეთ ნინო მინდიაშვილს და საკუთარ გულშიც ჩაიხედეთ (საჩქაროდ გადის)

ლ ე ვ ა ნ ი — (მხრებს აიჩეჩავს) რა დაემართა, რამ ააღელვა?..

ა მ ბ ე რ კ ი — არ ვიცი... მგონი ყური მოუკრავს, თითქოს თქვენი მეუღლე სულხან სულხანიშვილის მკურნალობას იწყებდეს!

ლ ე ვ ა ნ ი — დაიცა... ეს სულხან სულხანიშვილი საიდანღა გამოტყვრა, რატომ მე არაფერი ვიცი ამის შესახებ?! ხედავთ? ეს, ცხადია, ააღელვებდა!

ა მ ბ ე რ კ ი — ისიც ახლა, გადამწყვეტი სხდომის წინ...

ლ ე ვ ა ნ ი — აი თურმე რატომ მითხრა, საკუთარ გულში ჩაიხედეო... ჰა, რას იტყვი, მეგობარო?..

ა მ ბ ე რ კ ი — ეჰ, ლევან ლევანიჩ, ამ ამბავში, როგორც ეხედავ, ყველა თავის ცეცხლს უბერავს. მეტი სიფრთხილე ვვმართებს... (ფიქრის შემდეგ) აქამდე გირჩევდი, რომ ნინოს მხარში ამოსდგომოდი, მაგრამ ახლა... იცი, მე დამაფიქრა ამ პატივცემული მეცნიერის აღელვებამ... აი, სიტყვით ვერ გამომითქვამს, მაგრამ ვგრძნობ, ვგრძნობ, რომ ამაღამ ნინო არ უნდა დაიცვა, თორემ...

ლ ე ვ ა ნ ი — რაო?.. ეს როგორ?..

ა მ ბ ე რ კ ი — განა არ ვიცი, რა ძნელია ეს შენთვის, მაგრამ ეს იქნება შესანიშნავი სვლა, ტაქტიკური უკანდახევა შენი მდგომარეობის შესანარჩუნებლად... შენ ამ დაწესებულებას სჭირდები, სჭირდები მეცნიერული აზრის განვითარებას, ამიტომ შენ აქ უნდა დარჩე, გესმის?! უნდა იბრძოლო, რომ აქ დარჩე! გასაგებია?..

ლ ე ვ ა ნ ი — (აღელვებით) გამოგიტყდები, ეს მეც ვიფიქრე... მაგრამ მწარეა, მწარე... უნდა გავწირო ნინო... უნდა გავწირო იმისათვის, რომ...

ა მ ბ ე რ კ ი — იმისათვის, რომ მერე მხსნელად მოევლინო... ამას შენი ოჯახის მეგობრობა მალაპარაკებს. ამაღამ შენ რომ ის დაიცვა, ამას აქაც და იქაც... (ხელს მაღლა ასწევს) დიახ, იქაც, სხვანაირად შეხედავენ! მომისმინე... მიუდგომლობა კი შენს ავტორიტეტს აამაღლებს, ნინოს საქმის გამოსწორებას მერე ყოველთვის შესძლებ!

ლ ე ვ ა ნ ი — გასაგებია, გასაგებია...

ა მ ბ ე რ კ ი — შესაძლოა, ვცდებოდეთ... კიდევ დავფიქრდეთ, სხდომის წინ შევხვდეთ, მოვისაზროთ. ნახვამდის... (გადის)

ლ ე ვ ა ნ ი — აი, სადამდის ძიდის საქმე... (გამოდის ა რ ჩ ი ლ ი)

ა რ ჩ ი ლ ი — ლევან... რა მოხდა?..

ლ ე ვ ა ნ ი — (შეკრთება) ჰა? უკვე ვიხრჩობი, აი ახლა შინიდან დამირეკეს, ნინო ცუდად გახდაო... დღე ისე არ გავა, რომ... კარგად იცი, ერთი გაფრთხილება უკვე მივიღე იმის გამო, თითქოს ცოლს მფარველობას ვუწევდე.

ა რ ჩ ი ლ ი — თანდათან ვრწმუნდები, რომ გეშინიან... (ხაზგასმით) რაღაცის გეშინია...

ლ ე ვ ა ნ ი — (შეკრთება) ჰა? ნუთუ ასეთია... ასეთია აზრი?

ა რ ჩ ი ლ ი — ეს ჩემი აზრია... აბა, რას უნდა მივაწერო შენი დაბნეულობა. აბა კარგად შემომხედე... ჩვენ ხომ ერთმანეთთან დამალული არაფერი გვაქვს? თუმცა ამ ბოლო დროს, რაც მე პარტბიუროს მდივნად ამირჩიეს, რატომღაც თვალს მარიდებ.

ლ ე ვ ა ნ ი — ნუთუ ვერ ხედავ, რა უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს ჩემი ცოლი?

ა რ ჩ ი ლ ი —ნინო მინდიაშვილი ამ შემთხვევაში შენი ცოლი კი არა, ჩვენი თანამშრომელია. მეგობრულად გაფრთხილებ, თუ ამ საღამოს სამეცნიერო საბჭო მის ცდებს შეაჩერებს, ჩემს თავს ვალდებულად ჩავთვლი, დავიცვა ნინო მინდიაშვილი, დავიცვა ყველგან, ყველასაგან!

ლ ე ვ ა ნ ი — (უხერხული ღიმილით) ჩემგანაც?

ა რ ჩ ი ლ ი — ასე გამოდის.

ლ ე ვ ა ნ ი — კარგი ერთი...

(შემოდის ს ა ნ დ რ ო. მორიდებით ესალმება)

ლ ე ვ ა ნ ი — (სანდროს) რა გინდა?

ს ა ნ დ რ ო — სათქმელი მაქვს, ბატონო ლევან...

ლ ე ვ ა ნ ი — აბა ახლა... ხომ ხედავ, მივდივარ, მანქანა მელოდება... (არჩილს) არ წამოხვალ?

ა რ ჩ ი ლ ი — არა... პატარა ხანს დავრჩები... (ლევანი გადის) ძია სანდრო, რამ შეგაწუხა?

ს ა ნ დ რ ო — მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ ეტყობა, გუნებაზე არ არის. ზამთარი კარზე მოგვადგა, ბაღი კი მოუველია. რა გახდა ერთი ცოცხის და სასხლავის ყიდვა?..

ა რ ჩ ი ლ ი — (თავისთვის) ცოცხი და სასხლავი... ვაი, რომ ცოცხი და სასხლავი აქაც საჭიროა...

ს ა ნ დ რ ო — ოღონდაც. მართალია, ერთი უბირი კაცი ვარ, თქვენი საქმისა არაფერი გამეგება, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ ცოცხი და სასხლავი აქაც საჭიროა. ჩემს თვალწინ ჭრელი ხალხი ირევა... დღეს რომ ნინო მინდიაშვილის საცოდაობას ეუყურეგული ამიტირდა...

ა რ ჩ ი ლ ი — (თავისთვის) ის კი... ის ვერაფერს ამჩნევს... ვერ გრძნობს.

ს ა ნ დ რ ო — ამათ რომ ვუყურებ, ერთი ძველი ამბავი მახსენდება. ჩვენს სოფელში ერთი მარჯვე ბიჭი იყო, ჭიდაობაში ტოლი არა ჰყავდა. ყოველ კვირა დღეს ორი-სამი ბიჭი რომ არ წაექცია, არ შეიძლებოდა... შურიანმა ბიჭებმა ღონით რომ ვერაფერი დააკლეს, პირი შეჰკრეს და ერთხელ, ჭიდაობის შემდეგ, ორღობეში დახვდნენ... სარებით მკლავები შემოამტვრიეს!..

ა რ ჩ ი ლ ი — (განცვიფრებით) უჰ, უჰ!

ს ა ნ დ რ ო — თავში ერთიც არ დაუკრავთ... შიშველ მკლავებში სცემდნენ და დაჰკიოდნენ: გნახავთ, ამის შემდეგ როგორღა იჭიდავებო!

ა რ ჩ ი ლ ი — მერე, მერე?

ს ა ნ დ რ ო — მერე რაღა, ასე მოიშორეს ის ბიჭი. (მიიხედ-მოიხედავს) მეშინია, აი ეს ამბავიც ცუდად არ დამთავრდეს...

ა რ ჩ ი ლ ი — (დაფიქრებით) ჰმ... მანქანა... საკარძელი... აი რას უფრთხილდება... იმ წმინდა გულს კი... იმ წმინდა გულს კი შეუბრალებლად ბზარავს... (სანდროს) მაშ ასე მოიშორეს ის ბიჭი?.. ასე უნდათ ნინოს მოშორებაც. მაგრამ ეს არ მოხდება, არა, ძია სანდრო!

მეორე სურათი

მინდიაშვილების ბინა. სამეშაო ოთახი. საწერი მაგიდა, წიგნების კარადები. საღამო ხანია. მაგიდასთან ზის ნ ი ნ ო, მეორე ოთახის კარისაკენ მოუსვენრად იმზირება. გამოდის ლ ე ვ ა ნ ი

ნ ი ნ ო — გაიღვიძა?

ლ ე ვ ა ნ ი — არა. ძილში რამდენიმეჯერ წამოიძახა... ალბათ რაზე დაესიზმრა...

ნ ი ნ ო — დიდი, უზარმაზარი თეთრი დათვი!.. რაღაც უფრო ახლობელი გახდა იგი ჩემთვის. მხოლოდ თქვენთან, აი ამ ოთახში შემიძლია დავივიწყო ყველაფერი.

ლ ე ვ ა ნ ი — ნინო, რომ იცოდე როგორ გეეხარ ახლა ჩვენს პატარა დათუნას. განა მარტო აი ამ გაბუტული ტუჩების მაღლა აწევით, შუბლზე გაჩენილი კოპებით...

ნ ი ნ ო — ეს... ეს მას შემდეგ, რაც...

ლ ე ვ ა ნ ი — გუშინ მე და დათუნა აივანზე ვთამაშობდით. ის გარბოდა მოაჯირისაკენ და მხიარული ყიჟინით ისევ ჩემკენ გამორბოდა. ო, რომ იცოდე, როგორ ჩქარობდა, როგორ უნ-

დოდა, სწრაფად გამოერბინა მანძილი! უნებურად წაიბორძიკა, პირქვე დაეცა და ცხვირი იატაკს დაახალა...

ნ ი ნ ო — (ღიმილით) როგორც მე, არა? ციცა! ამას ჩემი მტერ-მოყვარენი ამბობენ. შენც ხომ არ ეწერები მათ სიაში? იცოდე, არ გაპატიებ, იცოდე...

ლ ე ვ ა ნ ი — ფეხზე რომ წამოვაყენე, აი სწორედ ასეთი სახე ჰქონდა, შენსავით ნაწყენი, გაბუტული, სატირლად გამზადებული!

ნ ი ნ ო — ისე რომ ჩემს მისწრაფებებშიც არის რაღაც ბავშვური, სულელური?!

ლ ე ვ ა ნ ი — არა, მაგრამ ამ ავადმყოფობის შემდეგ შენ დასვენება ჭირდება. იცი, მე გადავწყვიტე, ამ ორ დღეში შენ და დათუნა ბაკურიანში გაგგზავნოთ...

ნ ი ნ ო — (იცინის) ბაკურიანში? ისიც ახლა... ლევან, შენ ალბათ ხუმრობ? ხვალ-ზეგ მე ჩემს საქმეს უნდა დაეუბრუნდე.

ლ ე ვ ა ნ ი — (ჩამოჯდება მაგიდის კუთხეზე) შენს საქმეს? არა, მოიცა. ნუ მისწრებ... აი, ჩემო კარგო, ის ჭეშმარიტება რომ სულსწრაფობას დადინჯებული მოქმედება სჯობს, ჩვენს ბიჭუნას კი არა, ხშირად ჩვენც ვერ შეგვიგნია, გვინდა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ საწადელს. ამ სიჩქარეში მოულოდნელად წავიბორწიკებთ და საქმეს ზიანს ვაყენებთ.

ნ ი ნ ო — (ღიმილით) ლევან, არც ისეთი სიდინჯე ვარგა, შენ რომ გჩვევია. დილას მაგიდის უჯრას ვალაგებდი და აი ამ საქაღალდეს წავაწყდი. შიგ შენი სადოქტორო შრომის პირველი თავები აღმოჩნდა. მახსოვს, რა გატაცებული იყავი, როგორ გწყუროდა...

ლ ე ვ ა ნ ი — ეჰ, აბა რა დროს ეგ არის!

ნ ი ნ ო — წელან ბაკურიანი რომ ახსენე, ჩვენი გაცნობა მომაგონდა... მაშინ თხილამურებით იყავი გატაცებული. გინდოდა პირველი ყოფილიყავი შენი სიმარჯვით, სისწრაფით, ხტომით. რომ ვერ მიაღწიე, ხელი ჩაიქნიე და თხილამურები ვიღაცას გაუბოძე... იქნებ ეს ნაშრომიც ისევე გინდა გადააგდო, როგორც ის თხილამურები.

ლ ე ვ ა ნ ი — მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ...

ნ ი ნ ო — არა, აი უკვე ქაღარა გაგიჩნდა, დრო მიდის. იქნებ ვგოხია, ვერ ვხედავ, რა გიშლის ხელს? შენ ახლა სხვა სპორტით ხარ გატაცებული: დიდკაცობის სპორტით. არ ვარგა, ლევან, ამ საქმეს უნდა მიხედო... ხედავ, მტვერი გადავწმინდე და აი აქ, მარჯვნივ დაგიდე, რომ ყოველ დილით თავი გაგახსენოს...

ლ ე ვ ა ნ ი — (ნაძალადევი ღიმილით) კარგი... ჰო, იმას გეუბნებოდი...

ახლა შენ ყველაზე მეტად შენი საქმის მცირე ხნით დავიწყება გჭირდება.

ნ ი ნ ო — მე მელოდებიან ჩემი ავადმყოფები, ჩემი ამხანაგები და, თუ გინდა, ჩემი მოწინააღმდეგენიც...

ლ ე ვ ა ნ ი — ყველაფერს აზვიადებ, ჩემო კარგო... ამბერკიც კი მტრად მიგაჩნია.

ნ ი ნ ო — განა ამბერკი კიკნაველიძე ოდესმე დაივიწყებს, რომ მე მისი ნაშრომის ორიგინალობაში ეჭვი შევიტანე?..

ლ ე ვ ა ნ ი — არა, ეს უსაფუძვლო ეჭვებია. მე მაქვს სარწმუნო ცნობები, რომ მან ვაკაცურად დაივიწყა... ნუ გეცინება. ხომ შეიძლება კაცმა კაცს შეუნდოს?!

ნ ი ნ ო — მე შესანდობი არაფერი მქონდა... აი, ახლავე გაჩვენებ ჩემს რეცენზიას, სადაც...

ლ ე ვ ა ნ — მოიცა... ის ყოველ ნაბიჯზე გიცავს. ამას წინათ მეც კი შემეკამათა...

ნ ი ნ ო — (აწყვეტინებს) შენ მოხიბლული ხარ... მით უმეტეს, რომ როგორც შენ მიამბე, მათ იმ საღამოს თავი შეუკავებიათ.

ლ ე ვ ა ნ ი — (დაბნეულით) ჰო, კი, მაგრამ...

ნ ი ნ ო — რაკი ეს ასეა, მე ძემიძლია ხვალ დილითვე განვაგრძო მუშაობა. ხედავ... მე თვითონ ვგრძნობ, რაღაც მიხარია... (ისმის ზარის ხმა. ლევანი კარებს აღებს, შემოდის ქ ე თ ო)

ლ ე ვ ა ნ ი — ქეთო...

ნ ი ნ ო — (სასწრაფოდ წამოდგება) მოდი, მოდი, ქეთო!

ქ ე თ ო — მაპატიეთ, რამდენიმე წუთით.

ლ ე ვ ა ნ ი — (ცივად) მობრძანდით.

ნ ი ნ ო — ქეთო, განა ასე დავიწყება შეიძლება? დაჯექი.

ქ ე თ ო — არა, მარტო არა ვარ.

ნ ი ნ ო — (წამოიწევს) ვინ არის? შემოიყვანე, უხერხულია.

ქ ე თ ო — იცით, როსტომ სულხანიშვილმა მთხოვა თქვენთან შეხვედრა და, აი...

ლ ე ვ ა ნ ი — (დაფარული წყენით) სულხანიშვილმა?.. (კარისკენ მიმავალ ქეთოს, ხმადაბლა) ნინომ ჯერ კიდევ არაფერი იცის, ისე, რომ... გაფრთხილებთ. (ქეთო უსიტყვოდ გადის) ნინო, ჩემთვის ცხადია, რაც აწუხებს როსტომ სულხანიშვილს, მაგრამ შენ უარი უნდა უთხრა, გესმის, უარი უნდა უთხრა, დროებით მაინც!

ნ ი ნ ო — რატომ? განა ეს შეიძლება?..

ლ ე ვ ა ნ ი — არის მიზეზი... (შემოდიან რ ო ს ტ ო მ ი და ქეთო) მობრძანდით, მობრძანდით, ბატონო...

ქ ე თ ო — გაიცანით...

ر ო ს ტ ო მ ი — (აღგზნებულია, ღელავს) მე ძველი პედაგოგი გახლავართ... ამჟამად... როსტომ სულხანიშვილი... ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ... ჩემი პროფესია აქ რა შუაშია, მაგრამ...

ლ ე ვ ა ნ ი — დაბრძანდით.

რ ო ს ტ ო მ ი — გმადლობთ. (ნინოს) უნდა მოგახსენოთ, მამათქვენს კარგად ვიცნობდი, ერთად ვსწავლობდით გიმნაზიაში, ვმეგობრობდით. შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა, ისე რომ... აი, შვილებიც კი ვერ გავაცანით ერთმანეთს... (ფიქრის შემდეგ) ფრიად შემაწუხა მისმა უდროოდ დაკარგვამ...

ნ ი ნ ო — დიახ, სამწუხაროდ...

რ ო ს ტ ო მ ი — მაგრამ... აი, ჩემს მოსვლას სულ სხვა მიზეზი აქვს. ადვილად წარმოიდგენთ, რასაც განვიცდი ამ წუთში, როცა ჩემი სულხანი იღუპება, გესმით? აი რამ მომიყვანა აქ...

ნ ი ნ ო — ვიცი, მე ვესწრებოდი იმ კონსილიუმს. სულხანი მაშინ მეც გავსინჯე...

რ ო ს ტ ო მ ი — გასინჯეთ განა? დიახ, დიახ, იყო ერთი ახალგაზრდა ქალიც... მაგრამ გვაპატიეთ, ხომ მოგეხსენებათ, ისე ვღელავდით, რომ... მაშ თქვენ იცნობთ სულხანს?

ნ ი ნ ო — (ყრუ ხმით) ვიცნობ, შორიდან, მას კი არა მგონია ვახსოვდე... ჩემს ქალიშვილობაში გატაცებული ვიყავი მისი ნიჭით და ფანტაზიით, მაგრამ მის შეცდომებსაც დაუზოგავად ვამხელდი. თქვენმა სულხანმა ამის გამო ერთხელ ცოტა არ იყოს მაწყენინა კიდეც...

რ ო ს ტ ო მ ი — გვაპატიეთ მეც და იმასაც... ხომ იცით რა მდგომარეობაშია ახლა ჩემი ამაყი ბიჭი... მან დაჰკარგა სინათლე, დიახ, დაბრმავდა, ორივე თვალით დაბრმავდა. გამიგებთ, რატომ ვღელავ, სიტყვა რატომ გამირბის.

ნ ი ნ ო — დამშვიდდით. რა მდგომარეობაშია ამჟამად?

რ ო ს ტ ო მ ი—თვითმკვლელობამდეა მისული.. გუშინწინ მივასწარი. ეჰ, ნუ მათქმევინებთ...

ნ ი ნ ო — საშინელებაა.

რ ო ს ტ ო მ ი — ამ მძიმე წუთებში, აი, ქეთომ გაგვამხნევა, თქვენსკენ მოგვითითა... ამას წინათ სამსახურშიც გიკითხეთ, ჩემი მეორე ვაჟი გამოვგზავნეთ, კოტე...

ნ ი ნ ო — ვიცი, მაგრამ...

ლ ე ვ ა ნ ი — (ასწრებს) ნინო ავად იყო. ხედავთ, ჯერაც არ მოკეთებულა.

რ ო ს ტ ო მ ი — არა, გულის გასატეხს ნურაფერს მეტყვით... თქვენ ხომ კლინიკის გარეშეც შეგიძლიათ უმკურნალოთ სულხანს

ნ ი ნ ო — რატომ კლინიკის გარეშე?

ლ ე ვ ა ნ ი — ბატონო როსტომ..

რ ო ს ტ ო მ ი — (დაბნეული) ასეა თუ ისე, მე თქვენი იმედი მაქვს. მაპატიეთ.

ლ ე ვ ა ნ — მე გაგაცილებთ, ბატონო.

რ ო ს ტ ო მ ი — (მობრუნდება) მაპატიეთ, ჩემო ექიმო, იცით, თან მინდა გითხრათ, გაგაფრთხილოთ, თან მერიდება. ამდენი შეწუხება, ამდენი...

ნ ი ნ ო — ბრძანეთ.

რ ო ს ტ ო მ ი — მგონი წელანც მოგახსენეთ. იგი სასოწარკვეთილებას მიეცა... ექიმს მასთან ველარ ახსენებ. ისე რომ შეიძლება ცოტა უკმეხად შეგხვდეთ, ჰოდა, გარდა ამისა, გთხოვთ, ნუ ეტყვით, თუ მე შეგაწუხეთ. ვითომ თქვენ თვითონ დაინტერესდით. ნუ გამამხელთ. ნახვამდის.

ნ ი ნ ო — ბატონი ბრძანდებით... (როსტომი და ლევანი გადიან. ნინო დაფიქრებული დადის წინ და უკან)

ქ ე თ ო — ნინო!

ნ ი ნ ო — (უნებურად შეკრთება) ჰა?.. ჰო, ჩემო ქეთინო... ვიცი, გამიგებ, რა დღეში ვარ ახლა. მას ხომ პროფესორი ვარლამ ნასიძე მკურნალობდა.

ქ ე თ ო — სულხანის გადარჩენა მხოლოდ შენი ახალი სამკურნალო მეთოდის გამოყენებით შეიძლება...

ნ ი ნ ო — არა. ვერ მიმიხვდი. მე მარცხის გამეორება ისე არ მაფიქრებს, როგორც ის, რომ ვარლამი ჩემი მასწავლებელია, მან ამაგი დამდო, გზა გამიკაფა; ახლა კი მე აშკარად, პირისპირ ვდგები მის წინაშე... ის ამაყი, თავმოყვარე ადამიანია. ვინ იცის, როგორ გაიგოს ჩემი მოქმედება...

ქ ე თ ო — მესმის, მაგრამ შენ უნდა სძლიო ყოველგვარ ტკივილს, იმისათვის, რომ გაიმარჯვოს ახალმა აზრმა... შენ სულხანი უნდა იხსნა!

ნ ი ნ ო — (დაფიქრებით) რაღაც დიდი, რაღაც გამოუთქმელი მაწუხებს... არ ვიცი სიხარულია ეს თუ სევდა... თითქოს რაღაც უჩვეულოს ველოდები. (შემოდის ლევანი, ქეთო წამოდგება)

ნ ი ნ ო — დაჯექი, ქეთო. აი ახლავე ჩაის ავადუღებ... ჩაი ლოლნოშოს მურაბით! ხომ კარგია? (ადის მეორე ოთახში. ლევანი ერთხანს მდუმარედ დგას ქეთოს წინ)

ლ ე ვ ა ნ ი — ნუთუ ოდნავი პატივისცემა აღარა გაქვთ ჩემი? სად არის თქვენი ტაქტი, თავშეკავება? რატომ მოიყვანეთ ის კაცი, ხომ იცით ნინოს მდგომარეობა?

ქ ვ თ ო — განა თქვენს მეუღლეს მკურნალობის უფლებაც ჩამოერთოვა? (შემოდის ნ ი ნ ო)

ნ ი ნ ო — რაო?

ქ ე თ ო — ჩემი წასვლის დროა.

ნ ი ნ ო — რა მოხდა? აი ახლავე...

ქ ე თ ო — არა, წავალ. მეჩქარება. ნახვამდის! (საჩქაროდ გადის)

ნ ი ნ ო — რა დაემართა, რად გაიქცა? ამ საღამოს რატომღაც შეწუხებული და აღელვებულია... ხვალ კლინიკაში რომ მივალ...

ლ ე ვ ა ნ ი — (აწყვეტინებს) ნინო, შენ ხვალ კლინიკაში ვერ წახვალ.

ნ ი ნ ო — არა ლევან, დროა. მე უკვე გამოვკეთდი. ამიტომ, სანამ სულხანიშვილის მკურნალობას შეუდგებოდე...

ლ ე ვ ა ნ ი — (ციდევ ჩამოართმევს სიტყვას) ნინო, შენ სულხანიშვილის მკურნალობას ვერ დაიწყებ!

ნ ი ნ ო — (შემკრთალი) რაო? რატომ, ლევან?

ლ ე ვ ა ნ ი — (ღელავს, დაფიქრებული დადის) საქმე ის არის, რომ... ნინო, მოდი ბოლოსდაბოლოს მიაფურთხე, თავი მიანებე ამ შენს სამსახურს. განა ისე კი ცოტა საქმე გაქვს? ოჯახი, ბავშვი, მისი აღზრდა... დათუნა მალე წამოიზრდება და მაშინ დროც მეტი გექნება.

ნ ი ნ ო — ლევან, ლევან, რას ამბობ?

ლ ე ვ ა ნ ი — მოიცა... რა შენი საქმეა ეს გაუთავებელი ფუსფუსი, დავიდარაბა, რა შენი საქმეა?.. მოიცა, მოიცა-მეთქი, ხომ ხედავ, როგორ შეარყია ჩემი მდგომარეობა იმან, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ... აბა შენ თვითონ განსაჯე, აღარ ვიცი როგორ მოვიქცე... აქეთ შენ... იქით ისინი!

ნ ი ნ ო — ლევან, ნუთუ შენ ლაპარაკობ ამას?

ლ ე ვ ა ნ ი — კარგი, კარგი, რახან ასეა, ყველაფერს გეტყვი... მას აქეთ, რაც ასე გიმალავ, ვიტანჯები, ახლა კი, რადგან უკეთ ხარ და სიტყვამაც მოიტანა, უნდა იცოდე... შენი ცდები შეჩერებულია, დროებით...

ნ ი ნ ო — (თავზარდაცემული) ვინ? როდის? ვინ გადასწყვიტა ეს? რაღად მიმალავდი, რად? ნუთუ მომიშორეს? ერთხმად, ყველამ?

ლ ე ვ ა ნ ი — იყო დავა, მაგრამ...

ნ ი ნ ო — მერე, მერე შენ?

ლ ე ვ ა ნ ი — (თვალს მოარიდებს) სამწუხაროდ, ასეა... საკითხი გადაწყდა ერთი ხმის უმეტესობით.

ნ ი ნ ო — და ის ერთი ხმა შენ, შენ შეაწიე მათ, შენ? და მას აქეთ მიმალავდი ამას, მიმალავდი, ჩემთვის ზრუნავდი. გავიფიქრებ-

და ჩემი... ეჰ, ლევან, რა კარგი იყო გუშინ, დღეს, ამ საღამოს... მე ბურუსიდან გამოვედი, დავიჯერე... ავივსე შრომის წყურვილით, მომენატრა... თქვენ კი თურმე ასე გამწირეთ იმ საღამოს!

ლ ე ვ ა ნ ი — (ჩაწყვეტილი ხმით) დამშვიდდი... ამ დღეებში მინისტრს შევუთანხმებ, რომ მცირე ხნის შემდეგ უფლება მოგცეს...

წ ი ნ ო — უფლება, უფლება! იცოდე, ლევან, მე არ დაველოდები ამ მოწყალებას, მე მოვითხოვ, არ გავჩუმდები!.. მაგრამ ვის, ვის უნდა შევებრძოლო, ლევან, ნუთუ შენ? შენ?

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მესამე სურათი

სულხანიშვილების სასტუმრო ოთახი. გაშლილი მაგიდა. რადიომიმღებთან ზის თ ი ნ ა. რადიოში ისმის გაურკვეველი გუგუნი, სტვენა, ხმაური

რ ა დ ი ო კ ო მ ე ნ ტ ა ტ ო რ ი — თამაშის დამთავრებას აკლია რაღაც ექვსი თუ შვიდი წუთი. მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერც თბილისელი ფეხბურთელები და ვერც სტუმრები ვერ აღწევენ მიზანს... (რეპროდუქტორში ისმის გონგის ხმა. ხალხის ხმაური ძლიერდება. შემოდის **რ ო ს ტ ო მ ი**)

რ ო ს ტ ო მ ი — (ჩურჩულით) ხმადაბლა... ცოტა ხმადაბლა ალაპარაკე! (ჩაუწვეს რადიოს) განა ვერ ამჩნევ, როგორ განიცდის ყველაფერს?

თ ი ნ ა — კარგი, დამშვიდდი, მამა... აი, სულ გამოვთიშავ.

რ ო ს ტ ო მ ი — არა, მოუსმინე... აპა, მეც ჩამოვჯდები.. ოღონდ ისე, რომ არ შეეაწუხოთ...

კ ო მ ე ნ ტ ა ტ ო რ ი — აი, თბილისელთა მეცხრე ნომერმა სწრაფად გაიტაცა ბურთი, მოატყუა მცველები... იქ არევ-დარევაა...

თ ი ნ ა — ხედავ, ჩვენმა კოტემ გაიტაცა ბურთი!

რ ო ს ტ ო მ ი — კოტემ?.. რა იცი, რომ კოტემ?

თ ი ნ ა — მამა, რამდენჯერ უნდა გითხრა, კოტე მეცხრე ნომერია!

კ ო მ ე ნ ტ ა ტ ო რ ი — აი, სულხანიშვილმა მოატყუა წინ წაჰოსული მეკარეც... აი, იგი... აი, დარტყმა! არის! არის! (რეპროდუქტორში ისმის ხმაური, ტაში, სტვენა)

რ ო ს ტ ო მ ი — (უნებურად ტაშს შემოკრავს) ვაშა! ყოჩაღ, ბიჭო!

კ ო მ ე ნ ტ ა ტ ო რ ი — მოწინააღმდეგენი თამაშს ცენტრიდან იწყებენ... მაგრამ (ისმის თამაშის დამამთავრებელი სტვენა) თამაში დამთავრებულია თბილისელ ფეხბურთელთა გამარჯვებით... (ისმის ფეხბურთის მარში).

რ ო ს ტ ო მ ი — ერთხელაც იქნება თავი უნდა გავიმეტო, უნდა

წავიდე და ვნახო ჩვენი გიჟის თამაში... ქეთინო სადღა დაიკარგა?

თ ი ნ ა — დილას დამირეკა, ნინოს მოსელამდე შემოვირბენო. ისიც ჩვენსავით ღელავს.

რ ო ს ტ ო მ ი — თუ სულხანს ბედმა გაუღიმა, მალე კოტესა და ქეთინოს ბედნიერებაზეც უნდა ვიფიქროთ, უნდა...

თ ი ნ ა — მოიცა... (შემოდის ქ ე თ ო)

რ ო ს ტ ო მ ი — მოდი, ჩვენო ქეთინო, გვიამბე, რა აშბავია ნინოს თავს?

ქ ე თ ო — ეჰ, ბიძია როსტომ, რომ იცოდეთ, მას შემდეგ რა ამბები მოხდა იქ! ნინო იბრძვის... იბრძვის თაეგანწირვით, სასოწარკვეთით.

რ ო ს ტ ო მ ი — რატომ სასოწარკვეთით?.. ჰო, თუმცა ცხადია... ქმრის წინააღმდეგ.

ქ ე თ ო — ამით სარგებლობენ ნინოს მტრები, ავრცელებენ ათასგვარ ხმებს, აღიზიანებენ ლევან მინდიაშვილს... ერთი სიტყვით... (ისმის ზარის ხმა)

რ ო ს ტ ო მ ი — გაუღე, თინა.

თ ი ნ ა — არა, ეს ტელეფონი რეკს.

რ ო ს ტ ო მ ი — ჰო.. ახლავე. ჩემთვის უნდა დაერეკათ. (მიდის ტელეფონთან)

თ ი ნ ა — (ხმადაბლა) ქეთინო, შენ მოწყენილი ხარ. კიდევ ხომ არ აურია კოტემ?

ქ ე თ ო — უგულო, საძაგელი ბიჭია შენი ძმა! რატომ იცინი?.. დამცინი?..

თ ი ნ ა — არც კი გრცხვენია... მაოცებს თქვენი თამაში...

ქ ე თ ო — არა, ეს უკვე თამაში აღარ არის... ის ვერ მხედავს, თვალს მარიდებს... იმ დღეს დავინახე, ამაყად იდგა რუსთაველზე... ელოდა ვიღაცას, სხვას. მართლაც მალე გამოჩნდა ის სხვაც, და მერე იცი ვინ? ოჰ, შენ არ იცნობ, თორემ დასძრახავდი, შინ არ შემოუშვებდი შენს თავქარიან ძმას!..

თ ი ნ ა — შეხედე! მართლა?..

რ ო ს ტ ო მ ი — (დადებს ყურმილს) საოცარია...

თ ი ნ ა — რა მოხდა, მამა?

რ ო ს ტ ო მ ი — პროფესორმა ვარლამ ნასიძემ დამირეკა.

ქ ე თ ო — ნუთუ?

თ ი ნ ა — რა უნდოდა?

რ ო ს ტ ო მ ი — მომიკითხა... შემეკითხა, როგორ არის სულხანთ

და, რაც მთავარია, მკითხა ნინო მინდიაშვილს რატომ მიმარ-
თეთო...

ქ ე თ ო — დიახ, ეარლამ ნასიძეც აიყოლიეს... ჩააგონეს, ვითომ
ნინომ მისი ჯიბრით გადასწყვიტა სულხანის მკურნალობა..

თ ი ნ ა — რა უპასუხე?

რ ო ს ტ ო მ ი — მხრები ავიჩეჩე... მაგრამ, ცხადია, ის ამას ვერ და-
ნახავდა.. (ცარი ხმაურით იღება. შემოდის კ ო ტ ე)

კ ო ტ ე — მომილოცეთ გამარჯვება!

რ ო ს ტ ო მ ი — გავიგეთ, მოვისმინეთ!

კ ო ტ ე — სადილად რა გაქვთ? გამარჯობა, ქეთო! ოჰო, ხმას არ
მცემ? ამ ბოლო დროს ძალიან დაფიქრებულს გხედავ...

თ ი ნ ა — ახალი მეგობრებით გატაცებულს ასე გეჩვენება...

კ ო ტ ე — (შემკრთალი) მე?

თ ი ნ ა — დიახ, შენ...

კ ო ტ ე — შარია, ახალი შარი! (ცხვირზე ხელს მოუკერს) ქალბატონო,
ხალხს ნუ მიჯანყებ!

თ ი ნ ა — ვაი, ვაი, არ მეგონა თუ ასეთი ბრიყვი იყავი.

რ ო ს ტ ო მ ი — აბა, ზავი, მეგობრებო, მშვიდობა!

კ ო ტ ე — ასე... როგორც გამარჯვებულს, ახლა უფლება მაქვს
კარგად ვისადილო. ოჰ, ეს კარგია... ამ ჭიქით გაუმარჯოს
კონსტანტინე სულხანიშვილს, თბილისელ ფეხბურთელთა
სიამაყეს!

თ ი ნ ა — კარგი, ნუ ტრაბახობ, გავიგეთ, რომ გადამწყვეტი ბურ-
თი შენ გაიტანე.

კ ო ტ ე — მხოლოდ იმიტომ შემოვირბინე, რომ ვისადილო... თამა-
შის შემდეგ, ცოტაოდენი, ერთი-ორი ჩაის ჭიქა შესანიშნა-
ვია.

ქ ე თ ო — (წამოდგება) თინა...

რ ო ს ტ ო მ ი — აბა ეს როგორ შეიძლება. დღეს ჩვენი სტუმარი
უნდა იყო...

ქ ე თ ო — (დაბალი ხმით) არა, ბიძია როსტომ, სჯობს სულხანმა არ
გაიგოს, რომ ნინოს მოსვლის წინ მე აქ ვიყავი.
(ჩქარი ნაბიჯით გადის)

კ ო ტ ე — რა დაემართა?

თ ი ნ ა — შინ სტუმარი გვყავს, შენ კი სადღაც აპირებ წასვლას.

კ ო ტ ე — ეჰ, სტუმარი. ქეთო ხომ ჩვენია... მეჩქარება. ხომ იცით,
ამ დღეებში საგანს ვაბარებ, ამხანაგები სამეცადინოდ მელო-
დებიან.

რ ო ს ტ ო მ ი — თამაშის შემდეგ... გაგიგონია?

თ ი ნ ა — „სამეცადინოდ“... ვიცი, ვისთანაც მიბრძანდები.

კ ო ტ ე — აბა მითხარი, მომახსენე... იქნებ სანაძლეოც დამიდო?!

თ ი ნ ა — ვიცი. შენ იმ ქალიშვილთან მიდიხარ, იმ დღეს რუსთაველზე რომ შეხვდი... გახსოვს?

კ ო ტ ე — (შემკრთალი) ჰა? ერთი შეხედე! ვინ ჩაგიკაკლა ასე უცებ...

რ ო ს ტ ო მ ი — აბა, ყმაწვილო, ქეთოს გულს გაუფრთხილდი, მოუარე. რაც შეეხება იმ ახალ ნაცნობს...

თ ი ნ ა — ის საძაგელი ქალია.

კ ო ტ ე — ან ეგ საიდან იცი? რას ჩამაცივდი, ცოლად კი არ მომყავს... ვის რა ესაქმება, თუ ხანდახან ქალიშვილებს ნიავიეით ჩავუქროლებ?!

თ ი ნ ა — სსს... ამას რას ამბობ, ბიკო?

კ ო ტ ე — ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, უთუოდ ჩავაბარებ საგანს. სწორედ ასე ვიყავი დღეს მოედანზე გასვლის წინ, გული მიგრძნობდა... ნამდვილად ხუთიანს მივიღებ!

რ ო ს ტ ო მ ი — თქვენებურად რომ ვთქვათ, ხუთით ნოლი იქნება, არა?

კ ო ტ ე — დიახ, ხუთით ნოლი კოტე სულხანიშვილის სასარგებლოდ, აი ნახავთ!

რ ო ს ტ ო მ ი — კარგია თუ ხვალ-ზეგაც ასეთ გუნებაზე იქნები. იცოდე რომ...

კ ო ტ ე — ხუთიანი თუ არა, სამიანი ხომ ნაღდია. ხომ გაგიგონია სტუდენტური ანდაზა: ჯანმრთელობა და სამიანი. ჰა, ჰა, ჰა!

რ ო ს ტ ო მ ი — ოო, ეს კი არ მომწონს!

კ ო ტ ე — ვხუმრობ, მამა, ვხუმრობ. გამოცდაზე ანგარიში ოაც უფრო დიდი იქნება, ჩემთვის უკეთესია! ხუთით ნოლი კოტე სულხანიშვილის სასარგებლოდ! წავედი!

რ ო ს ტ ო მ ი — მოიცა. (ასწევს ჭიქას) გაუმარჯოს ჩვენს ოჯახს, მის ოცნებას, ვუსურვოთ რომ... (ხმა ჩაუწყდა)

კ ო ტ ე — (მიეშველება) გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუ!

რ ო ს ტ ო მ ი — ჰო... აბა... ხომ იცი, ჭკუით იყავი!

კ ო ტ ე — არის ჭკუით ვიყო! ახლა კი მართლა გავქრი... ტრამ, ტრამ, ტა, ტატა! (ფეხბურთის მარშს უსტვენს და გარბის)

რ ო ს ტ ო მ ი — (თვალს გააყოლებს) ჰო, წეღანც ვამბობდი, მალე ამ გიჟის მომავალზეც უნდა ვიფიქროთ, თორემ...

თ ი ნ ა — სამწუხაროდ, ბოლო დროს კოტეს ვეღარ ვცნობ.

რ ო ს ტ ო მ ი — შენ გგონია, კოტეს გული გაუცივდა? არა, შვილო. დამიჯერე, საშუალო სკოლის დამთავრებამდე კოტე და

ქეთინო ტოლები იყვნენ, ერთ მერხზე ისხდნენ და ოცნებობდნენ... დასამალი არაფერია, შემდეგ კოტემ იცუღლუტა. ორ წელს ზედიზედ ჩაიკრა და უმაღლესში ვერ მოხვდა... და აი, ხომ ხედავ, ახლა მის წინ დამოუკიდებელი, ცხოვრების სარბიელზე თამამად გამოსული ქალი დგას...

თ ი ნ ა — მაგრამ ხომ ხედავს, რომ ქეთინოს გული ისევ მას ეკუთვნის? სხვებისკენ რაღად იყურება?

რ ო ს ტ ო მ ი — აი, ხახეთ, დაამთავრებს უმაღლესს, ამ ფეხბურთის უყვავილსაც მოიხდის და... (ისმის ზარის ხმა)

თ ი ნ ა — (ხმადაბლ) მამა, ეს ნინო იქნება...

რ ო ს ტ ო მ ი — ნინო! (ორივე კარისკენ გაეშურება. სინათლე ქრება).

მეოთხე სურათი

სულხან სულხანიშვილის ატელიე. კედელზე დიდი და მცირე ზომის სურათები ჰკიდია. ფანჯრებთან, მოლბერტზე, ფარდაჩამოფარებული დიდი ტილო. ერთგან მოჩანს ქალიშვილის პორტრეტი. იგი თითით ემუქრება ვიღაცას... დიდი, მრგვალთაღიანი ფანჯრიდან მოჩანს თბილისის ხედი. ოთახის ერთ-ერთ კუთხეში როიალი. მაყურებლისაკენ ზურგშექცეული **ს უ ლ ხ ა ნ ი** გატაცებით უკრავს რაღაც სეედიანს. კარს შემოაღებს **ნ ი ნ ო**. სულხანი თითქოს იგრძნობს. უცებ წყდება მელოდია.

ს უ ლ ხ ა ნ ი — (უკმაყოფილო ხმით) ვინ არის... ვინ არის აქ?

ნ ი ნ ო — განაგრძეთ... თქვენ ისე კარგად უკრავდით, გატაცებით. აქ ისეთი ფერებია, ისეთი სინათლე, სიმშვიდე.

ს უ ლ ხ ა ნ ი — ეს არის ნანგრევები ჩემი ოცნებისა. (მიდის კარისაკენ)

ნ ი ნ ო — (დაფიქრებით) უდროოდ შეწყვეტილა სიმღერა, რომელსაც სულგანაბული ვუსმენდით... რომელიც მოგვენატრა.

ს უ ლ ხ ა ნ ი — (შეჩერდება) ვინა ხართ თქვენ?

ნ ი ნ ო — ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ...

ს უ ლ ხ ა ნ ი — სამწუხაროდ, რაც მე ეს დამემართა, შეუძლებელია წარმოდგენა ვიქონიო ახალ ნაცნობებზე. ისე რომ ჩვენ მაინც უცნობებად დავრჩებით.

ნ ი ნ ო — (მიუახლოვდება ქალიშვილის პორტრეტს) ამ სურათის წინ საათობით ვმდგარვარ გამოფენაზე, მაგრამ მაინც ვერ ამიხსნია, ვის ემუქრება იგი მაღლა აწეული თითით.

ს უ ლ ხ ა ნ ი — (უხალისოდ) თავის მხატვარს...

ნ ი ნ ო — გოგონა ემუქრება თავის მხატვარს... საოცარია. მხატვარს მხოლოდ მადლობას ეუბნებიან.

ს უ ლ ხ ა ნ ი — მხატვარმა ოდესღაც გული ატკინა მაგ გოგონას...

შემდეგ ინანა, იგრძნო დანაშაული და თავისი შეცდომა ამ სურათის დახატვით გამოისყიდა... რაც შეეხება მადლობას... მაღლობა მხატვარს არ მიუღია. აი მთელი ისტორია!

ნ ი ნ ო — ჩანს, გოგონა უმადური ყოფილა!

ს უ ლ ხ ა ნ ი — არა მგონია... ეგ გოგონა ჩემი სიჭაბუკის უცნობი თანამგზავრია... ჩემი შემოქმედების პირველი მსაჯული...

ნ ი ნ ო — მას ისეთი გულუბრყვილო, ბავშვური თვალები აქვს.

ს უ ლ ხ ა ნ ი — სიმართლეს მხოლოდ ის იტყვის, ვინც ცხოვრებას მუდამ ბავშვის უმანკო თვალით უყურებს.

ნ ი ნ ო — მაგრამ ნუთუ მას შეეძლო განსჯა, დასაბუთება?

ს უ ლ ხ ა ნ ი — სიმართლეს დასაბუთება არ სჭირდება. იგი მახვილივით სჭრის. შეგაკრთობს თავისი უხეშობით, პირდაპირობით... ასეც მოხდა. ამ გოგონამ დამაჩოქა.

ნ ი ნ ო — ალბათ თქვენს სულში უკვე მომწიფებული იყო ის, რაც შემდეგ სიმართლედ მიიჩნიეთ; თქვენი სიმართლე სხვას მიაწერეთ, გულუბრყვილო გოგონა მსაჯულად აღიარეთ!

ს უ ლ ხ ა ნ ი — ეს მოხდა ყმაწვილური ძიების ხანაში, როცა შემოქმედის სული რყევასა და ათასგვარ მაცდუნებელ გაელენას განიცდის. მსურდა ისეთი რამ შემექმნა, ისეთი რამ დამეხატა, რაც სხვებისათვის მისაბაძი, მაღალი და მიუწვდომელი იქნებოდა... თურმე მცდარ გზაზე ვიდექი.. ამაში კი, წარმოიდგინეთ, აი, ამ ქალიშვილმა დამარწმუნა!

ნ ი ნ ო — ნუთუ?

ს უ ლ ხ ა ნ ი — უცნაურია, მაგრამ დამიჯერეთ... ერთ-ერთ გამოფენაზე რამდენიმე სურათი წარვადგინე. დარწმუნებული ვიყავი გავიმარჯვებდი; მაგრამ აი რა მოხდა... (ფიქრის შემდეგ) ჩემი სურათების წინ აუარებელი ხალხი ირეოდა, უნებურად შეეჩერდი, ყველაზე წინ იდგა უცნობი გოგონა. მას დიდრონი მეოცნებე თვალები ჰქონდა... აი, აი ეგ გოგონა!.. აღელვებით ლაპარაკობდა, ხალხი უსმენდა, თავს უქნევდა და იცინოდა. კისკისებდნენ სტუდენტი გოგონები, ჭაბუკები, თანხმობის ნიშნად იღიმებოდა მოხუცი პროფესორი... ხალხი დამცინოდა. მიეხვედი და სიტყვის უთქმელად გამოვბრუნდი...

ნ ი ნ ო — შემდეგ?

ს უ ლ ხ ა ნ ი — იმავე საღამოს გამოფენის ირგვლივ დისკუსია დაიწყო... უცნობი გოგონა იქაც გამოვიდა... მაღალი ტრიბუნიდან მხოლოდ მის დიდრონ თვალებს და მაღლა მუქარით აწეულ თითს ვხედავდი... სიტყვები უკვე აღარ მესმოდა. ჩემამდე აღწევდა მხოლოდ ბუნდოვანი აზრი იმის გამო, რომ

ჩემი გზა შემცდარია, არახალხური და მიუღებელი, რომ მე არ ვიცი, რა დავხატო, ვინ დავხატო, რომ ჩემი ნიჭი დაიღუპება, თუ... ხალხმა გამბედავი გოგონა ტაშით დააჯილდოვა, მე კი აღელვებისაგან ვთრთოდი. (ჩაფიქრდება)

ნინო — შემდეგ?

სულხანი — დისკუსია დამთავრდა. გამოსასვლელთან პირდაპირ შევხვდით. ალბათ შორიდან მიცნობდა: შეკრთა, დაიბნა... ახლაც არ ვიცი როგორ მომივიდა, მე მას რამდენიმე დამცინავი სიტყვა ვუთხარი და ბოლოს უტიფარიც ვუწოდე... ის ერთხანს გაოცებით და სასოწარკვეთით მომჩერებოდა. ხმა არ ამოუღია, ძაგრამ მისმა თვალებმა ბევრი რამ მითხრა... მერე გამშორდა... (ფიქრის შემდეგ) ახლაც კი მახსოვს, როგორ ირხეოდნენ მის პატარა, მღელვარებისაგან აწურულ მხრებზე გრძელი ქერა ნაწნავები. მას შემდეგ იგი აღარ მინახავს.

ნინო — თქვენ ალბათ რაღაც წმინდა, რაღაც სათუთი მოჰკალით ...ის გულში..

სულხანი — შესაძლოა... მაგრამ ამ შემთხვევამ მე დამაფიქრა. შემდეგ დავრწმუნდი, რომ მისი პირით ხალხი მტუქსავდა. სამწუხაროდ, მე მას ეეღარ შევხვდები, რომ გულახდილად გავანდო, ვუთხრა, რომ მან ამიხილა თვალი.

ნინო — (ოცნებით) ნეტავ შეეძლოს, ნეტავ შეეძლოს მეორედაც აგიხილოთ თვალი.

სულხანი — მაგას ნუ მეტყვით!.. ყველაფერი გათავებულია. ჩემს თვალწინ ყოველთვის იქნება ეს... აი ეს ბნელი ფარდა! ბედმა ხეიბარ ჯარისკაცად მაქცია...

ნინო — მერე რატომ არ გინდათ შეებრძოლოთ ხეიბრის ბედს? რაღა ფასი აქვს სიცოცხლეს რწმენის გარეშე?..

სულხანი — სანამ თვალისჩინი მქონდა, ამ რწმენას ჩემთვის არასოდეს უღალატნია... ახლა კი, სასაცილოა ამაზე ფიქრი...

ნინო — ღრმა მიზნებით სავსე სიცოცხლე, მებრძოლის სული — აი რა აძლევს თქვენს სურათებს წარმტაც სილამაზეს. თქვენმა არქიტექტურულმა ფანტაზიებმა ხალხს უფრო მეტად შეაყვარა თბილისი, მისი ხვალინდელი დღე... ახალგაზრდა არქიტექტორებისათვის თქვენ შთაგონების წყაროდ გადაიქეცით. მშენებელ მუშებს სიმღერად გადაექცათ თქვენი სურათების ძალა და სილამაზე. მე საათობით გავჩერებულვარ თქვენი სურათების წინაშე და რატომღაც, შინაგანი სმენით რაღაც წარმტაცი და გამამხნევებელი მუსიკა მესმოდა მუდამ... დამიჯერეთ,

ხალხს არ შეუძლია თქვენი დავიწყება, თქვენ მას უყვარხართ, იგი მოელის თქვენს გამოჩენას.

ს უ ლ ხ ა ნ ი — აი, ახლა, როცა თქვენ მაგას ამბობთ, ჩემს ზურგს უკან სიკვდილი იცინის.

ნ ი ნ ო — თქვენ შეეგუეთ ხეიბრის ბედს და არ უწევთ მას წინააღმდეგობას... თქვენ თუ ბრძოლა არ გამოუცხადეთ წყვდიადს, ხალხი გაგიცხავთ, მაღლა აწეული ხელით უფრო ძკაცრ მუქარას შემოგითვლით.

ს უ ლ ხ ა ნ ი — იცით თქვენ თუ არა, რომ მე მკურნალობდნენ გამოჩენილი პროფესორები, ექიმები, მაგრამ ამაოდ, თვალისჩინი ვეღარ ამინთეს, ჯვარს მაცვეს, ჯვარს! კმარა ეს ტანჯვა. ამაო ლოდინი.

ნ ი ნ ო — მეც დავესწარი იმ კონსილიუმს, სადაც პროფესორმა ვარლამ ნასიძემ. თქვენი ბედი გადაწყვეტილად ჩათვალა.

ს უ ლ ხ ა ნ ი — ჰა?.. თქვენ, ექიმი... თვალის ექიმი ხომ არა ხართ?

ნ ი ნ ო — დამშვიდდით, მომისმინეთ.

ს უ ლ ხ ა ნ ი — არა, არა, ეს რომ მცოდნოდა...

ნ ი ნ ო — მე ვიცნობ თქვენი ავადმყოფობის ისტორიას, გაგსინჯეთ, დავინახე სხვა, ახალი გზა...

ს უ ლ ხ ა ნ ი — ვერც ამით გამახარებთ... ყველა, ვინც კი ჩემს მორჩენაზე ხელი ჩაიქნია, ამ რწმენით იწყებდა ჩემს მკურნალობას.

ნ ი ნ ო — მაგრამ მე მაინც მწამს, მჯერა, რომ თქვენ იქნებით ის, ვინც პირველი დაინახავს ჩემს გამარჯვებას.

ს უ ლ ხ ა ნ ი — თქვენ ეძებთ მოწმეს, თქვენი გამარჯვების მოწმეს!

ნ ი ნ ო — მე ვეძებ ჩემი გამარჯვების მონაწილეს!

ს უ ლ ხ ა ნ ი — თქვენ გსურთ ცნობისმოყვარეობა აღმიძრათ, ავყვე თქვენს განზრახვას, მოვეჭიდო როგორც წყალწაღებული ხავსს... თქვენ გსურთ გავხდე საგანი, მაპატიეთ ღა, თქვენი უცნაური ცდებისა... ყველაფერი გათავებულია. მე ბნელ გზაჯვარედინზე დავრჩი. საკმარისია კიდევ ერთი ნაბიჯი და...

ნ ი ნ ო — იცით თუ არა თქვენ, რომ მეც სწორედ ამ გზაჯვარედინზე ვდგავარ?.. თქვენს გვერდით...

ს უ ლ ხ ა ნ ი — რას ნიშნავს ეს, უცნაურო ქალო?

ნ ი ნ ო — იცით თუ არა თქვენ, როგორ გამაწამეს მეც... როგორ ამირიეს გზა-კვალი, გამრიყეს, შეაჩერეს ჩემი ცდები მათ, ვისაც ჩემი გამარჯვება არ უნდათ, არ სჯერათ, ან არ ესმით... იცით თუ არა თქვენ, რომ თუ ჩემი მრავალი წლის ოცნება დამარცხდა, ჩემს სიცოცხლესაც ეკარგება აზრი... მომეცით

ხელი, ამომიდექით მხარში, გავამხნეოთ ერთმანეთი... ჩვენ ერთად უნდა გავცილდეთ ამ გზაჯვარედინს...

ს უ ლ ხ ა ნ ი — (მწარე ღიმილით) არ ვიცი, რით შემიძლია დაგეხმაროთ, რით ამოგიდგეთ მხარში... იქნებ ჩემი უბედურებით.

ნ ი ნ ო — დიახ, კარგად თქვით... განა შუკი წყვდიადთან ბრძოლით არ იბადება?...

ს უ ლ ხ ა ნ ი — არა, საკმარისია. აღარ შემიძლია, ჩემს ძალღონეს აღემატება. (ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ) თქვენ გგონიათ, მე თავზარს არა მცემს მარტო იმის გახსენებაც, რომ უთქმელი დამრჩა აი, ის... დაუმთავრებელი ტილო... სახე იმ დიდი ადამიანისა, რომელიც ჩემმა დრომ დამანახვა და შემაყვარა. დიახ, იმ დიდი ადამიანის სახე აი ამ ტილოზე უნდა გაცოცხლებულიყო.

ნ ი ნ ო — გთხოვთ ნება მომცეთ... ვნახო....

ს უ ლ ხ ა ნ ი — (უხერხული დუმილის შემდეგ) ნახეთ... (ნინო გადასწევს ფარდას, შეხედავს და უცებ უკან დაიხევს. სულხანი წყვდიადს მისჩერებია. ნინო მზის შუქით თუალმოკრილივით განცვიფრებული დგას)

ნ ი ნ ო — თქვენ კვლავ უნდა იხილოთ მზე, სინათლე, თქვენი ფუნჯი.. თქვენ ხალხს სჭირდებით. უნდა გააგრძელოთ უდროოდ შეწყვეტილი სიმღერა. (გადის)

ს უ ლ ხ ა ნ ი — (დუმილის შემდეგ) ვინ ხართ თქვენ?..

მეხუთე სურათი

ისევ სულხანიშვილების სასტუმრო ოთახი. ღამეა. ოთახში არიან რ ო ს ტ ო მ ი და თ ი ნ ა. ორივეს სახეზე აღბეჭდილია მოლოდინი და შეშფოთება. როსტომი ერთ ადგილზე ვერ ისვენებს: თან ტელეფონზე რეკს, თან თინას ელაპარაკება

რ ო ს ტ ო მ ი — ჰა, როგორა თქვი, რა თქვი?.. მაშ ამაღამ ცენტრალურ კომიტეტში ვარლამ ნასიძეც არის გამოძახებული?..

თ ი ნ ა — მაშა, ხომ გითხარი, ვარლამ ნასიძე, ლევან მინდიაშვილი, ნინო მინდიაშვილი, არჩილ მეტრეველი და... ერთი სიტყვით ყველა!

რ ო ს ტ ო მ ი — ჰოდა, აი სწორედ ეგ მაფიქრებს... ეტყობა, ნინოს საქმე ძალიან გართულებულია, რომ ყველას, განსაკუთრებით კი ვარლამ ნასიძეს იბარებენ და ეკითხებიან!.. მე მეგონა, ნინოს სიმართლე იმდენად აშკარა იყო, რომ მის დასაცავად არჩილ მეტრეველის მხარდაჭერა იკმარებდა. ახლა კი ხომ შეიძლება ვარლამს დაუჯერონ, ერთი ხელის მოსმით გააცალტვეერონ ჩვენი იმედები?.. ჰა, რას იტყვი?..

თ ი ნ ა — არა, დამშვიდდი... ხომ იცი, იქ ერთი ხელის მოსმით არ სწყვეტენ საკითხს.

რ ო ს ტ ო მ ი — აბა გაიხსენე, კიდევ ვინ გამოდის ახლა იქ ნინოს წინააღმდეგ!.. ლევანი... ლევან მინდიაშვილი... ასეა ხომ?.. დიახ, სამწუხაროდ ასეა. თავის სიტყვას უკან ხომ ვერ წაიღებს?.. მით უმეტეს ცენტრალურ კომიტეტში... მაშასადამე, ახლა იქ მდგომარეობა ასეთია: ინსტიტუტის დირექტორი, რომლის აზრსაც ანგარიშს უწევენ, გამოდის თავისი მეუღლის წინააღმდეგ... რატომ, მერე?.. რა აკოძრავებს, რა აიუძულებს იბრძოლოს ცოლის წინააღმდეგ?.. აი რა კითხვები წამოიჭრება მათ წინაშე, ვინც ახლა ნინოს საქმეს არჩევს. არა, ლევანის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანენ, დაუჯერებენ. მით უფრო, რომ მას მხარში უდგას გამოცდილი და გავლენიანი პროფესორი ვარლამ ნასიძე...

თ ი ნ ა — მამა, ჩვენ იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნინოს მხარში უდგას... სიმართლე.

რ ო ს ტ ო მ ი — ამინ!.. ღმერთმა ქნას და გამართლდეს ჩვენი ოჯახის უკანასკნელი იმედი!

თ ი ნ ა — დამშვიდდი. აბა ასე როგორ შეიძლება.

რ ო ს ტ ო მ ი — აი რატომ იგვიანებენ... (ტელეფონზე დარეკავს და ისევ უსიტყვოდ დადებს ყურმილს) აი რატომ არავინ მპასუხობს! (ისევ. რეკს) დაკავებულია... ისევ დაკავებულია!

თ ი ნ ა — ვინ?.. ვის დაურეკე?...

რ ო ს ტ ო მ ი — კლინიკის ბორიგეს.

თ ი ნ ა — ალბათ სხვებიც ურეკავენ. განა მარტო ჩვენ გვაღელვებს ეს ამბავი?

რ ო ს ტ ო მ ი — ერთხელ კიდევ ვცდი, მინდიაშვილებთან დავრეკავ. (რეკს) აჰა!.. ქალბატონი ნინო ბრძანდებით?.. რაო?.. ვინ?.. აჰ, ისევ შენ... პატარა მინდიაშვილი ხარ?.. ჰო, ჰო, დათუნა... იქნებ დედასთან მალაპარაკო!.. არც დაურეკავს?.. კარგი, კარგი, ძილი ნებისა, აღარ შეგაწუხებ... (დაფიქრებული დგას) ისიც ელოდება... ელოდება.

თ ი ნ ა — მამა, ერთხელ კიდევ გადავირბენ ქეთინოსთან, იქნებ ის მაინც გამოჩნდა.

რ ო ს ტ ო მ ი — არა, ნურსად წახვალ. სანამ კოტე დაბრუნდება, აქ იყავი. ის რაღად იგვიანებს, გამოცდა რვა საათზე ჰქონდა დანიშნული, ახლა კი... (საათს შეხედავს) ეჰ...

თ ი ნ ა — ეს სულ იმ საძაგელი ქალის ოინებია.

რ ო ს ტ ო მ ი — ვინ ქალის?.. ჰო, ჰო, მახსოვს. მე მაშინ ეს ხუმრობად ჩავთვალე.

თ ი ნ ა — მეც მეგონა, ქეთინო ეპვიანობდა, მაგრამ აი, გამოგიტყდები... გუშინ თვალი მოვკარი... იცი, კოტე სრულიად მარტო შევიდა იმ ქალის ეზოში.

რ ო ს ტ ო მ ი — ჰა? თუ ღმერთი გწავს?!. (დაფიქრდება, წინ და უკან დადის)

თ ი ნ ა — ის ქალი კი, როგორც ქეთინომ მიამბო...

რ ო ს ტ ო მ ი — ვინ ქალი?

თ ი ნ ა — მამა, შენ ყურს არ მიგდებ, სულ ასე იცი... ვინ ქალი და, ვიზეც ელაპარაკობდით, ოლოლი!..

რ ო ს ტ ო მ ი — ჰო, მაპატიე, ჩემო კარგო... შეხედე!.. ახლა ეს მითხარი.. (შემოდის კ ო ტ ე. ხელში წიგნი უჭირავს. აღელვებულია)

კ ო ტ ე — (თინას, ხმადაბლა) გააუთოვე?..

თ ი ნ ა — თქვენი ბრძანება შესრულებულია.

კ ო ტ ე — (დაინახავს სკამზე გადაფენილ პერანგს. წიგნს მაგიდაზე დადებს და საჩქაროდ იწყებს პერანგის ჩაცმას)

რ ო ს ტ ო მ ი — რატომ ხმას არ იღებ, ბიჭო?..

კ ო ტ ე — მე, აი, ისე...

რ ო ს ტ ო მ ი — თუმცა თქმა რაღა საჭიროა. ყველაფერი გასაგებია. (თინა მაგიდიდან იღებს წიგნს, ათვალიერებს. კოტე ვერ ამჩნევს)

კ ო ტ ე — არა, მამა, ისეთი არაფერია. დღეანდელი დღის შედეგი ცოტა მოგვიანებით გამოცხადდება!..

რ ო ს ტ ო მ ი — (პირქეშად) ესე იგი, გამოცდა არ შედგა, პროფესორი არ მოვიდა?..

კ ო ტ ე — (უხერხულად იღიმება) არა, პროფესორიც მოვიდა, გამოცდაც შედგა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ნიშანი მატრიკულში ჯერჯერობით არ ჩამიწერა.

რ ო ს ტ ო მ ი — სხვადასხვა მიზეზის გამო! უკეთ რომ ვთქვათ, საგნის მოუმზადებლობის გამო ნიშანი მატრიკულში არ ჩაგიწერეს.

თ ი ნ ა — ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ... ჯერჯერობით ჩაგვრეს!

კ ო ტ ე — ჰოპ, არა! ნიშანს ამ ხუთიოდე დღის შემდეგ ჩამიწერს პროფესორი.

თ ი ნ ა — მაშასადამე, ამ ხუთიოდე დღის შემდეგ ხელახლა გამოგცდის პროფესორი!

კ ო ტ ე — მაგრამ, ეს გამოცდა კი არ იქნება... ეს იქნება ჩემი მომზადების უფრო, აი, როგორ აგიხსნათ, უფრო დეტალური გამორკვევა...

თ ი ნ ა — უფრო დეტალური გამორკვევა და შემდეგ ჯანმრთელობა და სამიანი კოტე სულხანიშვილის სასარგებლოდ, არა?

კ ო ტ ე — უკაცრავად, ქალიშვილო, უკაცრავად! სამიანი დღესაც შეიძლებოდა, მაგრამ...

რ ო ს ტ ო მ ი — რაო, იქნებ არ დათანხმდი, ბიჭო?

კ ო ტ ე — ეჰ, ვერ მიმიხვდით, სამიანი არ მაკადრა პროფესორმა, არ მაკადრა!

რ ო ს ტ ო მ ი — არ მაკადრაო, გესმით? კარგი არ მაღირსიანო, ავი არ მაკადრიანო; თქვენებურად, სტუდენტურად ეს ასე უნდა ითარგმნოს: ხუთი არ მაღირსიანო, სამი არ მაკადრიანო.

კ ო ტ ე — თქვენ იქნებ არც კი დაიჯეროთ, მაგრამ ეს ასეა, ეს ფაქტია! გამოცდის შემდეგ პროფესორმა მკითხა, ყმაწვილო, თქვენ ფეხბურთელი სულხანიშვილი ხომ არა ხართო, მაშ!

რ ო ს ტ ო მ ი — (დაცინვით) ჰოო, ახლა კი მჯერა, მართლაც არ უკადრებია.

კ ო ტ ე — აბა რა გგონიათ? იმ დღეს სტადიონზე ყოფილა პროფესორი და, მე რომ გადამწყვეტი ბურთი გავიტანე, სულ ვაშა, ვაშა, სულხანიშვილოო, იძახდა თურმე!

რ ო ს ტ ო მ ი — როგორც ჩანს, შენი პროფესორი მართლაც მიუდგომელი მსაჯული ყოფილა: მაშინ შენს ფეხებს მოქცევია დამსახურებისამებრ, დღეს კი, აი, ამ თავს!

თ ი ნ ა — გარდა ამისა, კიდევ არავინ იცის, ნამდვილად იყავი თუ არა ამ საღამოს პროფესორთან... რაღაც მოჩმახული ამბებით გინდა დაფარო შენი უმსგავსო მოქმედება.

კ ო ტ ე — რა მოქმედება?

თ ი ნ ა — განა ყველაფერი ცხადი არ არის?..

კ ო ტ ე — მაინც რა არის ცხადი, იქნებ აგვიხსნათ?..

თ ი ნ ა — ცხადი ის არის, რომ გუშინ საღამოს იმ ქალბატონის ეზოში შეუხვიე და ახლაც პირდაპირ იქიდან მობრძანდები!

კ ო ტ ე — ვინ მოგახსენათ?

თ ი ნ ა — (გამოაჩენს წიგნს) აი ამ წიგნმა!..

კ ო ტ ე — მომეცი. მომეცი წიგნი! (გამოგლეჯს წიგნს)

თ ი ნ ა — ინებე... ახლა ხომ ეეღარ იტყვი, რომ ხაფანგში არა ხარ გაბმული?... (როსტომს) პირველ გვერდზე ამ ვაჟბატონის მიჯნურის სახელია მიწერილი: ოლოლ! ოლოლ!

კ ო ტ ე — რა მოხდა?.. წიგნი ვითხოვე...

თ ი ნ ა — წიგნში კი რაღაც უსახელო წერილი დევს! გაები?

კ ო ტ ე — ეს შენი საქმე არ არის... ახლავე აქედან მოუსვი!

რ ო ს ტ ო მ ი — რაო?.. რა უსახელო წერილი?..

თ ი ნ ა — აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ მამასთან არ აღიარებ ყველაფერს, სანამ პირობას არ დასდებ, რომ...

კ ო ტ ე — წადი... ცილს ნუ მწამებ, მომშორდი!

რ ო ს ტ ო მ ი — გაჩუმდით! სულხანმა არ გაიგოს, გაჩუმდით! (აღელვებული მიუახლოვდება კოტეს) როვორ ბედავ, უმაწვილო, ასეთ თავხედობას?.. ვინ, ვინ მოგცა ამის უფლება?.. იმის მაგივრად, რომ დანაშაული აღიარო, პატიება ითხოვო, აქ, აქ ჩემს წინ მბრძანებლობ... ხმა, კრინტი!

კ ო ტ ე — (აღელვებით) მე?.. მე გავჩუმდე?. არა, რახან ასეა, ვიტყვი, ყველაფერს ვიტყვი... ვიტყვი იმას, რომ იმ ქალიშვილმა გაბიტაცა, ყოველ საღამოს მასთან დავდივარ. მან ყველაფერი დამავიწყა, საკუთარი თავიც, სწავლაც, ოჯახიც... აბა, ხომ გაიგეთ!

რ ო ს ტ ო მ ი — რაო? შენ ამბობ ამას, ბიჭო?

კ ო ტ ე — დიახ ასეა... ვიტყვი იმასაც, რომ ის არის ჩემი ოცნება, ჩემი სულისდგმა, მომავალი! (ხანგრძლივი, მღელვარე სიჩუმის შემდეგ) ახლა?.. ახლა რაღას იტყვი, ქალბატონო, ხომ ვაღიარე?.. ახლა ხომ აღარაფერი მაქვს უთქმელი, დამალული! მოერჩით? (ყარისკენ მიდის)

რ ო ს ტ ო მ ი — ეს რა გავიგონე?.. ნუთუ ეს სიმართლეა?! გაჩერდი, სად მიხვალ?..

კ ო ტ ე — არა, მამა.. უნდა წავიდე, საქმე მაქვს. (თინას) დაიხსოვე, დღეიდან საჭირო აღარ იქნება შენი ჭორების და მითქმა-მოთქმის ქსელი... მალე ყველაფერს ფარდა აეხდება!

რ ო ს ტ ო მ ი — მოიცა, კოტე, გამიგონე.

კ ო ტ ე — ვნახოთ, ჩემი უმსგავსო მოქმედება, ან ეს წიგნი უფრო სასარგებლო აღმოჩნდება ჩვენი ოჯახისათვის, თუ ამ ქალიშვილის გრძელი ენა. წაიკითხე, მამა! (მიაწვდის წერილს. როსტომი გაფაციცებით კითხულობს)

რ ო ს ტ ო მ ი — (გაოცებით) რას ნიშნავს, ბიჭო, ეს?

კ ო ტ ე — (დაცინვით გადახედავს თინას) იმ ქალიშვილთან... ჰო, იმ ქალიშვილთან პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი, ვისთანაც მქონდა საქმე... აი, შედეგიც... არჩილ მეტრეველს უნდა ვაჩვენო ეს წერილი... (ყელაე თინას გადახედავს) იქნებ ახლაც დამიშალოთ წასვლა?..

რ ო ს ტ ო მ ი — (დაფიქრებით) წადი, შვილო, წადი! (კოტე გადის) ღმერთო, ეს რა ხდება. ეს რა კალო დაატრიალეს იმ ქალის თავზე!

თ ი ნ ა — რა არის, მამა?

რ ო ს ტ ო მ ი — უყურე ჩვენს ჩიტირეკიას!.. ხუთით ნოლი კოტე სულხანიშვილის სასარგებლოდ!

თ ი ნ ა — მამა... რატომ არ შეუბნები?.. შენ სულ ასე იცი. (ყარს შემოაღებს ქ ე თ ო, სახე უცინის)

ქ ე თ ო — ძია როსტომ... ძია როსტომ, შეიძლება?..

რ ო ს ტ ო მ ი — შეიძლებაო?.. (აკვირდება) განა ამას კითხვა უნდა?.. მოდი, მოდი, თინა, შეხედე, შეხედე! ამ ქალიშვილს ლერწზე ვატყობ, რომ სამახარობლოს მიიღებს! ასე არ არის? რა მოგაქვს, მერცხალო?..

ქ ე თ ო — სამახარობლო მართლაც მეკუთვნის... ნინომ გაიმარჯვა, აღადგინეს!

რ ო ს ტ ო მ ი — ოჰ, შენ გენაცვალე, შვილო ქეთინო... მოდი, მოდი, გადაგეხვიო. მადლობა ღმერთს! როგორ მოხდა?.. გვიამბე, დაჯექი.

ქ ე თ ო — ამ ნახევარი საათის წინ გამოვიდნენ ცენტრალური კომიტეტიდან... მე ქვევით ველოდებოდი, რუსთაველის პროსპექტზე... რომ მივულოცე, ნინომ გაიღიმა, დირექტორზე მანიშნა და მიჩურჩულა: მოლოცვა სხვებმა დაგასწრესო.

რ ო ს ტ ო მ ი — ესე იგი... ლევან მინდიაშვილმა მიულოცა ნინო მინდიაშვილს?..

ქ ე თ ო — დიახ, დიახ, ქმარმა. რატომ გიკვირთ?. მას თავი ახლა ისე უჭირავს, თითქოს ნინოს აღდგენა მისი წყალობა იყოს.

რ ო ს ტ ო მ ი — (დაფიქრებით) შესაძლოა სადღაც გულის სიღრმეში ჰქონდა კიდეც ასეთი სურვილი, წუხდა, ნანობდა, იტანჯებოდა კიდეც... ჰმ, აი დაებერდი და მაინც ვერ გავიგე, სად ყალიბდება ასეთი ადამიანების სული?.. სად არის ეს თვალთმაქცობის სკოლა?.. ზოგიერთს სახეში რომ მიაფურთხო, ისე შემოგხედავს, თითქოს არც დაენახოს, არც ეგრძნოს.

ქ ე თ ო — სადაც საჭიროა, იქ ყველაფერი გაუგეს, აგრძნობინეს... მადლობა თქვას, თუ საყვედური აკმარეს!

რ ო ს ტ ო მ ი — ალბათ მათ შორის.. (შეხედავს ქეთოს) ჰა, რას იტყვი?

ქ ე თ ო — ჯერჯერობით ნინოს სათნო გული აერთებს იმ უფსკულს, რომელიც მათ შორის გაჩნდა... (ფიქრის შემდეგ) ჰო, მართლა, ნინოს ერთი ფეხით გამოვასწარი. ახლავე მოვა.

რ ო ს ტ ო მ ი — ახლავე?.. (ფეხზე წამოდგება) მადლობა შენ და ბარაქალა მის ქალობას!.. ეს ერთი ჭირი მოეშორეთ, მაგრამ სულხანი... (ხმადაბლა) სულხანი მაინც უარზეა... ახლა უკვე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, როგორ მივუდგეთ?.. გუშინ ამ სა-

განზე ლაპარაკიც კი ამიკრძალა... (ისმის ზარის ხმა) აგერ... (შემოდის ნ ი ნ ო. როსტომი მიეგებება) მომილოცავს, ნინო...

ნ ი ნ ო — გმადლობთ. სულხანი როგორ არის?..

რ ო ს ტ ო მ ი —(ღელავს) გმადლობთ... ახლა კარგად იქნება, კარგად... ესე იგი, ერთი სიტყვით, ისევ ისეა.

ნ ი ნ ო — იცის?

რ ო ს ტ ო მ ი— არა... ჩვენც ხომ აი ახლა გაგვაგებინეს.

ნ ი ნ ო — (ფიქრის შემდეგ) ბატონო როსტომ, როგორ იტყვით, ერთად შევიდეთ თუ...

რ ო ს ტ ო მ ი — (დაფიქრებით გახედავს სულხანის ოთახის კარს) ეჰ, მეც არ ვიცი, არ ვიცი, როგორ აჯობებს. შევიდეთ? იქნებ სჯობდეს სულაც არ შევიდეთ. იქნებ ეს ამბავი რომ გაიგოს, თვითონვე გადაწყვიტოს... თვითონვე... ეჰ, არ ვიცი, ნინო, არა... (ისმის ზარის ხმა)

რ ო ს ტ ო მ ი — ეს ვინღაა?... (თინა კარს აღებს. შემოდის ვ ა რ ლ ა მ ი).

ვ ა რ ლ ა მ ი — ნება მიბოძეთ, მოგესალმოთ.

რ ო ს ტ ო მ ი — ბატონო ვარლამ?..

ვ ა რ ლ ა მ ი — დიახ... არ მელოდით, ხომ?.. (დაინახავს ნინოს, შორიდან ესალმება)

რ ო ს ტ ო მ ი — დაბრძანდით... როგორ გიკითხოთ, ბატონო ვარლამ?..

ვ ა რ ლ ა მ ი — გმადლობთ, არა მიშავს რა, მაგრამ... აი, თითქოს უხერხულია, რომ მოვედი არა გასამხნევებლად, არა წასახალისებლად, არამედ ფრთხილი, კეთილი რჩევით. (გადახედავს ნინოს) ჩინებულია, რომ ქალბატონი ნინო აქ დამხვდა... დიახ, ჩემი რჩევა ორივეს გეხებათ. თქვენც, ესე იგი, თქვენს ოჯახსაც და ნინოსაც... როგორც ექიმს...

ნ ი ნ ო — ბრძანეთ, ბრძანეთ, პატივცემულო პროფესორო.

ვ ა რ ლ ა მ ი — ჰო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ნამდვილი მეცნიერი ჩუმი, თავმდაბალი და ხანგრძლივი შრომით უნდა მიიკვლევდეს გზას... თქვენ კი აი რა ჰქენით, როგორ მოიქეცით, როცა თქვენი ცდები შეაჩერეს... თქვენ გაიქეცით იქ, ზევით...

ნ ი ნ ო — ცდების შეჩერებით აზრის შეჩერება შეუძლებელია... აი, დღეს დაგვეს სამეცნიერო საბჭოს სამარცხვინო დადგენილება... მე გზა გამეხსნა, მაგრამ ასეც რომ არ მომხდარიყო...

ვ ა რ ლ ა მ ი — მადროვეთ... ვიცი, რისი თქმაც გინდათ... თქვენ მაინც იბრძოლებდით. მაგრამ ეს ხომ უხერხულია, ბატონებო... განა სხვის აზრს ახგარიში არ უნდა გაუწიოთ?. აქ რა ბუაშია

ის სფეროები, სადაც, გვაპატიეთ და, ამ საკითხში ჩვენზე ნაკლები ესმით?!

ნ ი ნ ო — შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ ისინი გრძნობენ, რომ ხელი უნდა გაუწოდონ, წაახალისონ ის, რაც ბრძოლით იბადება...

ვ ა რ ლ ა მ ი — ბატონებო, თქვენ არ უფიქრდებით თქვენს მარცხს, შეცდომებს! ღრმად არ უფიქრდებით...

ნ ი ნ ო — ეს საქმემ განსაჯოს... იმ წუთებში, იმ მძიმე წუთებში, მას შემდეგაც, არ მომშორებია ეჭვი, მტანჯველი ფიქრი: ნუთუ დავმარცხდი, საბოლოოდ... ხანდახან ჩვენც ვფიქრობთ... მე დავინახე ჩემი. შეცდომა და დავრწმუნდი, რომ ჩემი გზა სწორია. (ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ) მარცხი გამოიწვია უნებურმა წაბორძიკებამ, თქვენ კი წაბორძიკება მომაკვდინებელ მარცხად ჩამითვალეთ. იმის მაგივრად, რომ მოსულიყავით, ჩემთან ერთად აღმოგეჩინათ მარცხის მიზეზი, გაგემხნევებინეთ, ხელიც კი მკარით! (ცარი ფრთხილად იღება. გამოჩნდება ს უ ლ ხ ა ნ ი. შეუმჩნეველად უსმენს)

ვ ა რ ლ ა მ ი — ნუ ღელავთ.. ნება მომეცით, ამ ჩემთვის კეთილ ოჯახში უფრო გულახდილი ვიყო... ბატონო როსტომ, აი მოვხუცდით, მალე ამ ქვეყანაზე აღარ ვიქნებით... რა საჭიროა თვალთმაქცობა... თან წამყვება სინანული, რომ მედიცინა უძლური აღმოჩნდა, მან ვერ იხსნა ჩვენი დროის შესანიშნავი მხატვარი...

ნ ი ნ ო — ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

ვ ა რ ლ ა მ ი — ქალბატონო ნინო, რატომ აყენებთ ეჭვს ქვეშ საკუთარ მომავალს ამ საყოყმანო ექსპერიმენტებით? ამას რომ თავი ვანებოთ, რატომ გინდათ ახალი იმედების აღძვრით და შემდეგ მათი გაცრუებით სამუდამოდ შეარყიოთ სულხანის სულიერი წონასწორობა?.. ხომ შეიძლება განმეორდეს მარცხი? ხომ იცით, რომ დოსტაქარმა თავისი მარჯვენა შეუძლებლის წინაშე არ უნდა აღმართოს?!

ნ ი ნ ო — ეხ, ბატონო ვარლამ, განა ბევრი რამ, რაც დღეს უდაოა, ერთ დროს მიუღწეველად არ ითვლებოდა?.. ჩვენ ვაგრძელებთ სწორედ იქიდან, სადაც თქვენ გუშინ წერტილი დასვით.

ვ ა რ ლ ა მ ი — მოსაწყენია ეს დღეს და გუშინ, წინათ და ახლა... ხომ არსებობს გადაულახავი საზღვარი, რომლის იქით ადამიანის თვალი ვეღარ იხედება, რომლის იქით ხვალინდელი დღე არ დადგება?!

ნ ი ნ ო — (რწმენით) წინ ნუ გადაეუდგებით ხვალინდელს, მას ვერა-

ფერი შეაჩერებს... ყოველი თაობა გადახალისებული თვალით უცქერის ქვეყანას. მას არ აშინებს წინა თაობის ძიერ გავლილი გზის სიძველე, სულიერი ტახჯვა. ძიების წყურვილი აადვილებს უკეთესი ოჯახისაკენ სწრაფვას. დღეს თუ მსოფლიოძი ორიეე თვალით ბრმა მილიონობით დაითვლება, ალბათ მალე დადგება ისეთი დრო, როცა მზის შუქი ყველასათვის მისაწვდომი გახდება!

ს უ ლ ხ ა ნ ი — (წიხ გადოდგამს ნაბიჯს) მამა, მე თანახმა ვარ გავიკეთო ოპერაცია! (როსტომი და ნინო გახარებული მიეშურებიან სულხანისაკენ)

რ ო ს ტ ო ძ ი — ბიჭო!

ნ ი ნ ო — სულხან!

(ვარლამი თავდახრილი დგას).

ფარდა

მესამე მოქმედება

მეექვსე სურათი

საოპერაციო ოთახის წინ. სამზადისია. სცენის მარჯვენა მხარეს დგანან და საუბრობენ ოპერაციაზე დასასწრებად მოსული პ რ ო ფ ე ს ო რ ე ბ ი, ექ ი მ ე ბ ი, ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი. ზემო სართულიდან ეშვება ფართო მოაჯირიანი ხის კიბე. კიბის მარცხნივ, წინა პლანზე დგას მაგიდა ტელეფონებით. მაგიდასთან ზის ო ლ ო ლ ი. კედელზე ჰკიდია მისი მელა. საქმიანი ნაბიჯით მიმოდის ა მ ბ ე რ კ ი. გარეთ თოვს.

ო ლ ო ლ ი — (ტელეფონში) ოპერაციაა?.. არა, ჯერ არ დაუწყიათ! (მეორე ტელეფონი რეკს) არა, არ დაუწყიათ! (პირველი ტელეფონი რეკს) აააა, რედაქციაა?.. რა გნებავთ?.. ალბათ ათ-თხუთმეტ წუთში დაიწყება. (ისმის პროფესორთა ხმადაბალი საუბარი)

პ ი რ ვ ე ლ ი — ვარლამ ნასიძისა და ნინო მინდიაშვილის ბრძოლის გამწვავებამ ამ ოპერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა.

მ ე ო რ ე — დღეს გადაწყდება ნინო მინდიაშვილის ბედი: ან გამარჯვება, ან საბოლოო მარცხი.

მ ე ს ა მ ე — დღეს გადაწყდება ვარლამ ნასიძის ბედიც...

მ ე ო თ ხ ე — დღესვე გადაწყდება ლევან მინდიაშვილის ბედიც...

პ ი რ ვ ე ლ ი — ნინო მინდიაშვილს მარცხის შემთხვევაშიც კი მეცნიერების კარს ვერავინ დაუხურავს, ის ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდაა, მომავალი წინ აქვს... რომელი დიდი საქმე გაკეთებულა ხელის ერთი დაკვრით?..

მ ე ს ა მ ე — სამაგიეროდ, თუ ნინომ გაიმარჯვა, ვარლამ ნასიძე საბოლოოდ დაკარგავს ავტორიტეტს.

მ ე ო თ ხ ე — ასევე ლევან მინდიაშვილიც დაკარგავს... სავარძელს!

ა მ ბ ე რ კ ი — უკაცრავად, ლევან მინდიაშვილს მალე ვიხილავთ მინისტრის მოადგილის სავარძელში...

მ ე ო რ ე — ხედავთ, რა რთული ოპერაციის წინ ვდგევართ?

პ ი რ ვ ე ლ ი—ეს საქმე თუ კეთილად დამთავრდა, მორალი ასეთი იქნება: ნახევარი ენერგია — ახლის შექმნას, ნახევარი ენერ-

გია — მის გატანას! (ლაპარაკს წყნარად განაგრძობენ. ამბერკი უახლოვდება ოლოლს)

ა მ ბ ე რ კ ი — (ხმადაბლა) რა იციან ამათ, რომ დღეს ჩვენი ბედიც წყდება?

ო ლ ო ლ ი — ჩუ... ჩუმად! (ხმადაბლა) რაო, რა თქვი წეღან, ლევან მინდიაშვილი მინისტრის მოადგილის სავარძელს მიიღებსო?.. აბა დაუკვირდი, ვის წისქვილს უმარჯვებ წყალს!

ა მ ბ ე რ კ ი — შენგან არ მიკვირს! ვიხუმრე... ესეც არ იყოს, ოღონდ აქედან მოგვაშორონ და მინისტრის მოადგილედ კი არა, თუნდაც მინისტრად დანიშნონ!

ო ლ ო ლ ი — (ცინის) ეს კი, მაგრამ... რაც ის წიგნი დავკარგე, გუნება გამიფუჭდა. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რამ მაფიქრებინა იმ წიგნში წერილის ჩადება... ღმერთო ჩემო, სად დავკარგე ის წიგნი, სად?

ა მ ბ ე რ კ ი — იქნებ ვინმეს ათხოვე?..

ო ლ ო ლ ი — (შეკრთება) ჰა?.. ვითომ?.. ვაი თუ მართლა?..

ა მ ბ ე რ კ ი — წუხანდელი წერილების საქმე როგორღაა?..

ო ლ ო ლ ი — გამოგზავნილია. დღეს ველი.

ა მ ბ ე რ კ ი — ხომ იცი, ხუთი წუთიც რომ დაიგვიანოს, ფასი აღარ ექნება.

ო ლ ო ლ ი — კარგი, აქ ნულარ ტრიალებ, წადი...

ა მ ბ ე რ კ ი — ისტორია გვასწავლის, რომ კვალის დასაფარად შეთქმულნი ყოველთვის მეფის კარის წინ სდებდნენ ფიცს... აი ჩემი დევიზი! (გამოჩნდება ს ა ნ დ რ ო. ამბერკი ჩუმდება)

ო ლ ო ლ ი — ოხ, ძია სანდრო, რა ცუდი ჩვეულება გაქვს, ხომ იცი, რომ დღეს აქ უსაქმოდ სიარული არ შეიძლება!

ს ა ნ დ რ ო — აბა, აბა, არიქა! რას აფრთხიალდები ხოლმე ჩემს დანახვაზე... შე დალოცვილო, ადგილს კი არ გართმევ! აი რაღაც საჩქარო წერილებია დირექტორისა და ნინოს სახელზე...

ო ლ ო ლ ი — ააა... მოიტანეს?.. (გამოართმევს)

ა მ ბ ე რ კ ი — წერილებს ნუ დაუგვიანებთ. თავის დროზე გადაეცით!

ო ლ ო ლ ი — ეგ რაღაა?

ს ა ნ დ რ ო — ეს ჩემია.. შვილისაგან მივიღე. არც მე ვარ დავიწყებული (შემოდის ლ ე ვ ა ნ ი. ყველას უსიტყვოდ ესალმება. ოლოლთან შეჩერდება)

ლ ე ვ ა ნ ი — სამეცნიერო საბჭოს სხდომათა ოქმები რატომ არ გაგზავნეთ საქმართველოში?

ო ლ ო ლ ი — როგორ არა, ერთი კვირის წინ...

ლ ე ვ ა ნ ი — ორი უკანასკნელი თვის?

ო ლ ო ლ ი — მმმ... მე... ჰო, მართლა წერილია თქვენთან, ბატონო ლევან. სანდრომ შემოიტანა.

ლ ე ვ ა ნ ი — (არც დახედავს, ისე გამოართმევს) ამოდით ზევით. ერთ საათში უნდა გადაგზავნოთ.

ო ლ ო ლ ი — კეთილი, მაგრამ, აქ?.. ტელეფონი ვის ჩავაბარო?..

ლ ე ვ ა ნ ი — ვისა და სანდროს.

ო ლ ო ლ ი — (გაოცებით) ჰა?

ლ ე ვ ა ნ ი — (გაღიზიანებული) სანდროს! (თავის სახელის გაგონებაზე სანდრო მობრუნდება. ლევანი ადის კიბეზე)

ო ლ ო ლ ი — ამხანაგო სანდრო, ჩემს ჩამოსვლამდე აქ უნდა დაბრძანდეთ!

ს ა ნ დ რ ო — მე... მე უნდა დავბრძანდე, აქ, ტელეფონთან?..

ო ლ ო ლ ი — დიახ, თქვენ... დირექტორი მიბარებს... (ადის კიბეზე, ისევ მობრუნდება) წერილის გადაცემა არ დაგავიწყდეს.

ს ა ნ დ რ ო — ეს რაღა ღვთისწყალობაა? რა გაეწყობა, ბრძანება ბრძანებაა! დაბრძანდი, ძია სანდრო! (ჯდება. იწყებს წერილის კითხვას. ერთად რეკს ორი ტელეფონი. სანდრო ფეხზე წამოდგება. შეწუხებული დასცქერის)

ს ა ნ დ რ ო — აბა ეხლა გაიგე, რომელი რეკს, ეს თუ ის?.. მგონი ორივე... ეს უფრო შეწუხებული ხმით იძახის! (აიღებს ყურმილს) რაო? სამინისტროდან... არა, სულხანიშვილის ოპერაცია არ დაუწყიათ. (აიღებს მეორეს) რაო? გამწვანების ტრესტი? კაცო, ამ შუა ზამთარში რა დროს გამწვანების ტრესტია?.. (დადებს. შემოდის ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ი. ამბერკი მიეგებება)

ა მ ბ ე რ კ ი — თქვენ რაო?.. სად მიეშურებით?..

ს ტ უ დ ე ნ ტ ი — ჩვენ აქ პრაქტიკაზე ვართ... სტუდენტები.

ა მ ბ ე რ კ ი — ოპერაციას თუ გინდათ დაესწროთ, ვერ გაგახარებთ.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი — პროფესორ მეტრეველს ვთხოვეთ... ნება დაგვრთო.

ა მ ბ ე რ კ ი — კი მაგრამ, ამის შესახებ ჩვენც ხომ უნდა გვცოდნოდა რაღაც? დღეს ისედაც არეული დღეა და ახლა თქვენ... (სანდროს) არავითარი ზედმეტი ხალხი, ამხანაგო სანდრო. (შემოდის კ ო ტ ე) თქვენ ვინღა ხართ?..

კ ო ტ ე — მე...

ა მ ბ ე რ კ ი — აა, კოტე! აქ რა გინდათ?.. ვიცით, ვიცით, რომ ღელავთ. მაგრამ ახლა თქვენი აქ ყოფნა არ შეიძლება. ჩაბრძანდით ქვევით... თქვენები ხომ იქ არიან?!

კ ო ტ ე — მე აქ აუცილებელი საქმე მაქვს...

ა მ ბ ე რ კ ი — რა არის ასეთი? რა დაემართა დღეს ამ ხალხს? (გადის მეორე მხარეს)

ს ა ნ დ რ ო — (ლოტეს) ადი, ყმაწვილო, ჩქარა! (სტუდენტებს) აბა რა ვქნა, რა მოგიხერხოთ...

ს ტ უ დ ე ნ ტ ი — გთხოვთ. ასეთ ოპერაციას ჩვენ ვეღარ დავესწრებით. გთხოვთ, ძია კაცო, პროფესორ მეტრეველს გაახსენოთ.

ს ა ნ დ რ ო — იცით რა, ლოტა ხანს ე მანდ მიდექით, თვალს მოეფარეთ. აი, მანდ... (იმედიანად უკრავს თვალს. სტუდენტები გადიან) მეტრეველი ზევითაა. გელოდება.

კ ო ტ ე — (ანიშნებს ოლოლის მელიის ბეწვზე) ეს სადღაა?..

ს ა ნ დ რ ო — ვინა, შვილო, ვისზე მეკითხები? ჰო, დასწყეველოს ღმერთმა მაგის გამჩენი, ზევით...

კ ო ტ ე — (შეცბუნებული) მეტრეველთან?

ს ა ნ დ რ ო — არა, დირექტორთან.

კ ო ტ ე — ჰოო! (არბის ზევით. გამოდის ა მ ბ ე რ კ ი)

ა მ ბ ე რ კ ი — ბატონებო, მგონი ყველაფერი მზად უნდა იყოს.

პ რ ო ფ ე ს ო რ ი — ამბერკი, დღეს თქვენ განსაკუთრებით ღელავთ.

ა მ ბ ე რ კ ი — არანაკლებ, ვიდრე ნინო. ვის გაახარებს მეგობრის მარცხი?

პ რ ო ფ ე ს ო რ ი — რატომ მარცხი?.. მე კეთილ დასასრულს ველი.

ა მ ბ ე რ კ ი — შენს პირს შაქარი...

პ რ ო ფ ე ს ო რ ი — თუ იცით, პროფესორი ნასიძე დღეს არ მოვა?

ა მ ბ ე რ კ ი — აარა! აბა რას ბრძანებთ?.. მისი მოქმედება გასაგებია. არ სწამს, არ სჯერა და არც მოვა! (საოპერაციოდან გამოდის ქ ე თ ო)

ქ ე თ ო — ყველაფერი მზად არის. ოპერაცია იწყება. (შუა დიდი კარი იღება. მარჯვენა მხრიდან გამოპყავთ ს უ ლ ხ ა ნ ი და შეპყავთ საოპერაციოში. უკან მოსდევს ნ ი ნ ო. კიბეზე ჩამოდის ა რ ჩ ი ლ ი. მას კ ო ტ ე მოპყვება)

ა რ ჩ ი ლ ი — (აღგზნებულია) აბა, ნინო, ერთხელ კიდევ შეეეჭიდოთ სიბნელეს, შეებრძოლოთ, დავამარცხოთ წყვდიადი!

ნ ი ნ ო — (პროფესორებს) მობრძანდით. (პროფესორები საოპერაციოსაკენ გაემართებიან)

ს ა ნ დ რ ო — ქალბატონო ნინო, წერილია თქვენთან.

ნ ი ნ ო — ჩემთან? (გამოართმევს, ხსნის)

ს ა ნ დ რ ო — სტუდენტებს უნდათ დასწრება, არ უშვებენ. აი აქ იცდიან.

ნ ი ნ ო — მოვიდნენ. (სანდრო გადის. ნინო წერილს კითხულობს. ხმადაბლ

შეაკიელებს) გველი! (წერილს მაშინვე უნებურად

ამ პატარა ბარათმა მაინც აგიხილოთ თვალი!
თქვენი ოჯახის მეგობარი".

ს ა ნ დ რ ო — (თავს ვეღარ იკავებს, ტირილი აუვარდება, ყვირის) ვინ არის, ვინ არის ის უღმერთო, გავსრეს, გველივით გავსრეს!

ა რ ჩ ი ლ ი — დამშვიდდი, ძია სანდრო, მალე მოვუგრეხთ კისერს, ამ ჭაბუკმა მათი კვალი აღმოაჩინა!

ს ა ნ დ რ ო — (ოტეს გადაეხვევა) შენ გენაცვალე, ბიჭო! (საოპერაციო კარზე აინთება წარწერა წითელი ასოებით: „ოპერაცია დაიწყო. აბსოლუტური სიჩუმე". სანდრო შეხედავს წარწერას, პირჯვარს გადაისახავს)

ს ა ნ დ რ ო — ღმერთო, შენ მოუმართე ხელი!

(ფეხაკრეფით გადის. გადის კოტეც. სიჩუმეა. არჩილი ისევ წარწერას მისჩერებია. დუმილს არღვევს ქუჩიდან შემოკრული ხმები: მანქანების საყვირის ხმა, ხალხის გუგუნი, ბავშვების ყიჟინი. კიბეზე გამოჩნდება ლ ე ვ ა ნ ი. ისიც წარწერას უყურებს)

ა რ ჩ ი ლ ი — კარგი ახალი წელი დგება, ლევან!

ლ ე ვ ა ნ ი — (დაფიქრებით) ჰო, ზოგს თუ კისერი არ მოსტეხა... აი გუშინ დილით შესანიშნავ გუნებაზე გავიღვიძე. ისიც კი გავიფიქრე, რომ ჯანდაბას თუ... ერთი სიტყვით, გადავწყვიტე, ამ საღამოს ძველებურად შევხვდეთ ახალ წელს... ახლა კი ყველაფერი ისევ სასაცილოდ მეჩვენება.

ა რ ჩ ი ლ ი — რატომ?

ლ ე ვ ა ნ ი — ყოველდღიურად შხამს მაწვეთებენ... აი, რაღაც წერილი მივიღე...

ა რ ჩ ი ლ ი — მაჩვენე.

ლ ე ვ ა ნ ი — არა, არა... არა ღირს.

ა რ ჩ ი ლ ი — არ მენდობი, ხომ?...

ლ ე ვ ა ნ ი — არ არის საჭირო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი მართალს მწერენ... მართალია, მათ ჩემთვის ცუდი უნდათ, ჩემი მტრები არიან, მაგრამ მაინც სიმართლეს მეუბნებიან!

ა რ ჩ ი ლ ი — რა გითხრეს ასეთი?

ლ ე ვ ა ნ ი — აი ახლახან დამირეკეს და... სამძიმარი გამომიცხადეს იმის გამო, რომ ნინოს გამარჯვება ახლოვდება.

ა რ ჩ ი ლ ი — სამძიმარი?

ლ ე ვ ა ნ ი — მათ მაგრძნობინეს, რომ ნინოს გამარჯვება ჩემს დამარცხებას უდრის, რომ მე მალე აქ აღარ ვიქნები... მათ ისიც კი იციან, რომ დღეს თუ ხვალ ჩემი საკითხი გაირჩევა.

ა რ ჩ ი ლ ი — რა სიმდაბლეა... მაგრამ იქ მარტო შენი საკითხი არ გაირჩევა... მე მაქვს მათი მამხილებელი ფაქტები.

ლ ე ვ ა ნ ი — მათ ისიც კი მითხრეს, რომ შენც...

ა რ ჩ ი ლ ი — რომ მეც შენი მტერი ვარ, ხომ? (ლევანი უხერხულად

ხდუმს) მერე რად უსმენ, რად იმცირებ თავს? მე თანდათან ვრწმუნდები, რომ დირექტორის სავარძელი მართლაც საბოლოოდ დაგღუპავს, შენ მოწამლული ხარ აი ამის სიყვარულით! (ხელს დაკრავს სავარძლის ზურგს)

ლ ე ვ ა ნ ი — განა მე...

ა რ ჩ ი ლ ი — მას შემდეგ, რაც შენში ადმინისტრატორის ნიჭი აღმოაჩინეს და ამ დაწესებულების ხელმძღვანელობა მოგანდეს, ველარ გცნობ. შენს ნამდვილ მოწოდებას ისე უყურებ, როგორც მოსაწყენს, სავალდებულოს... აი აქედან მოდის შენი შეცდომებიც... (ადის კიბეზე. შემოდის ს ა ნ დ რ ო. ლევანი დაფიქრებული დგას. ხელს ჩაიქნევს. დაინახავს სანდროს)

ლ ე ვ ა ნ ი — ჰო, სანდრო, უნდა დამავალო, ამ საღამოსთვის კარგი ღვინო უნდა მიშოვო. ხომ ხედავ, რა ამბავია. იქნებ დაგვჭირდეს.

ს ა ნ დ რ ო — (უხერხული ღიმილით) ეგ, ბატონო, ეგ ხომ გუშინ დილით დამავალეთ.

ლ ე ვ ა ნ ი — (შეკრთება) ჰო, დაგავალე, არა?.. (ხელს ჩაიქნევს) აბა შენ იცი, კარგი იყოს... წამოდი, ფულს მოგცემ. (ადიან კიბეზე. სცენაზე ერთხანს არავინაა. შუქი მატულობს, წარწერა ქრება. ღება საოპერაციო კარი. გამოდიან ვ ა რ ლ ა მ ი და სხვა პ რ ო ფ ე ს ო რ ე ბ ი. ყველა ვარლამს მისჩერებია. კიბეზე ჩამოდის ა რ ჩ ი ლ ი. იგი ვარლამს უახლოვდება)

ვ ა რ ლ ა მ ი — საოცარია... (ჩაფიქრდება) მე ვიგრძენი, რომ სულხანის ჩამქრალ თვალებში სიცოცხლე ჩაისახა...

ა მ ბ ე რ კ ი — მდა... სასიხარულოა. ჩინებულია! (საოპერაციოდან გამოდიან ნ ი ნ ო, ქ ე თ ო, თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი. ამბერკი მიეგებება) ქალბატონო ნინო, ყოველგვარი მოფერების გარეშე უნდა მოგილოცოთ და თავი დავხარო თქვენს წინაშე. (ხელზე ჰკოცნის)

ნ ი ნ ო — გმადლობთ...

ა მ ბ ე რ კ ი — ბატონებო, ნუ დაიეიწყებთ, რომ ყველაფერი ეს ხდება ახალი წლის ძიჯნაზე! (კიბეზე გამოჩნდება ლ ე ვ ა ნ ი)

ლ ე ვ ა ნ ი — (მღელვარებას მალავს) რაო, ვის უპირებთ თავდასხმას?

ა მ ბ ე რ კ ი — (ღიმილით) თქვენ, თქვენს ოჯახს! მახსოვს, შარშანაც სწორედ ამ დროს დაგვპატიჟეთ. ჰო, ჰო, როგორ მოგვეგება თქვენი დათუნა!

ნ ი ნ ო — თქვენ ის მოხიბლეთ, თავი შეაყვარეთ.

ა მ ე ბ რ კ ი — მე მასთან ამაღამაც მაქვს რაღაც-რაღაცეები სათქმელი.

ნ ი ნ ო — (ღიმილით) ხუმრობა იქით იყოს და გთხოვთ ყველას!

ამბერკი — ვფიქრობ, საკითხი დირექტორთან შეთანხმებულია!

ლევანი — (უხერხულად ღიმილით) ცხადია... გთხოვთ, ამხანაგებო! ბატონო ვარლამ...

ამბერკი — გმადლობთ. (ყველანი გადიან არჩილის, ლევანის და ნინოს მეტი. ტელეფონი რეკს)

არჩილი — (მიდის ტელეფონთან) დიახ, მე გახლავართ. გასაგებია. გადავცემ. (ერთხანს დაფიქრებული დგას) ლევან, ამ საღამოს მე და შენ ცენტრალურ კომიტეტში უნდა გამოვცხადდეთ.

ლევანი — ამ საღამოს?

ნინო — რაღა ამ საღამოს?

არჩილი — ალბათ მალე დავბრუნდებით... (ნინოს, ღიმილით) სანამ თქვენ ვახშამს მოამზადებთ. ნახვამდის. (გადის).

ლევანი — გამოგიელი... წაგიყვან. (დაფიქრებული დადის წინ და უკან) როგორ ჩაიარა ოპერაციამ?

ნინო — მე ვფიქრობ წარმატებით... რაღა ამ საღამოს დაგიბარეს?

ლევანი — ასე... ასე...

ნინო — რატომ ხარ ასე შეშფოთებული?

ლევანი — ასე... ასე ვხედებით ახალ წელს.

ნინო — ხედავ, როგორ ბარდნის, გვილოცავს... მალე დაბრუნდი, ლევან, ყველაფერი კარგად იქნება. ნუ, ნუ მიყურებ აგრე, აგრე პირქუშად, თითქმის მტრულად...

ლევანი — (შემკრთალი ღიმება) ჰა? წავიდეთ?... ღვინოს სანდრო მოიტანს... ჰო, ყველაფერი კარგად იქნება... ალბათ შენი წარმატება უნდა მომილოცონ!

მეშვიდე სურათი

მინდიაშვილების ბინა. იგივე ოთახი და შესასელელი დერეფანი. ოთახის კუთხეში მრგვალ მაგიდაზე დგას პატარა ხე... მეორე ოთახში გასასელელი შუა კარი ღია. ფართო ფანჯრებიდან მოჩანს ელექტრონით გაშუქებული ქუჩა. ბარაქიანად თოვს, ნინო, ქეთო და თინა ფუსფუსებენ.

ქეთო — ნინო, ახლა მე მგონი, სჯობს, შუა კარი დავხუროთ, სტუმრები რომ მოგროვდებიან, ძოულოდნელად გავაღოთ და პირდაპირ გაშლილ სუფრაზე მივიწვიოთ.

ნინო — (დაფიქრებით) არა... ნუ დავხურავთ... იყოს ღია. ეს შუა კარი ისეც დახურულია, მხოლოდ დათუნა აღებს ხოლმე.. იყოს ღია...

თინა — ნაძვის ხე არ ავანთოთ?..

ნინო — არა, ჯერ არა, ახალი წელი რომ შემოდგამს ფეხს, მაშინ...

ქ ე თ ო — ესეც ასე, ყველაფერი მზად არის.

ნ ი ნ ო — აი, საცაა ყველანი მოვლენ და მხიარულად შეეხვდებით ახალ წელს, დღეს არაჩვეულებრივად მიცემს გული... იქვი, წყენა, სევდა და ყოველგვარი უბედურება გულუხვად უნდა ჩავულაგოთ ხურჯინში ძველ წელს, დაე წაიღოს. ჰა, თინა, რას იტყვი?..

თ ი ნ ა — მე სიამოვნებით გავატან, მაგრამ აი ქეთოსი რა მოგახსენოთ.

ნ ი ნ ო — როგორ?

თ ი ნ ა — ცოტა არ იყოს ძუნწია. იქვსა და წყენას ადვილად ვერ გაიმეტებს.

ქ ე თ ო — თინა, გაჩუმდი!

თ ი ნ ა — არა, ვიტყვი.

ქ ე თ ო — გაჩუმდი!

ნ ი ნ ო — თქვი, თინა!

თ ი ნ ა — კოტეზე ისევ ნაწყენია, გაბუტული.

ნ ი ნ ო — რას ამბობ? ეს კი არ ვიცოდი.

ქ ე თ ო — უჰ, არა, ნინო, არ დაიჯერო, ხუმრობს.

ნ ი ნ ო — ვაი თუ კოტე არც მოვიდეს ამის გამო?!.

თ ი ნ ა — არა, არც ისეთი გულჩვილი გვყავს, მოვა.

ნ ი ნ ო — არავითარი ბუტიობა. ჩვენ ეს საღამო იმიტომ მოვაწყეთ, რომ ბოლო მოეუღოთ ყოველგვარ გაუგებრობას. მეგობრულად შეეხვდეთ ერთმანეთსაც და ახალ წელსაც... ამ წელმა სულის სიმშვიდე და ახალგაზრდული ხალისი უნდა მოგვიტანოს... აი, ამიტომ მას ლხენით, სიცილით და სიმღერით უნდა შეეხვდეთ...

ქ ე თ ო — (მღერის)

სიყვარულს და სიმღერის გზაზე,
თოელის ფიფქებით მოფენილ გზაზე,
მრავალ ახალ წელს, მრავალ ახალ წელს,
ავსე ჭიქა, ლხენით ავსე!

თეთრი ფებით მოფენილ გზაზე,
სიყვარულს და სიმღერის გზაზე,
ავსე ჭიქა, ლხენით ავსე,
მრავალ ახალ წელს, მრავალ ახალ წელს!

(ისმის ზარის ხმა. თინა გადის. შემოუძღვება ა მ ბ ე რ კ ი ს და ო ლ ო ლ ს. ამბერკის ხელში დათვის მოზრდილი ფიტული უპირავს, მხარზე გადაკიდებული აქვს მელიის, მგლის, ბუს, მაიმუნის ნიღბები)

ნ ი ნ ო — მობრძანდით, მობრძანდით.

ა მ ბ ე რ კ ი — ოჰ, გიტარა!.. ქალბატონო ნინო, მომილოცავს... რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს გიტარით ქალებში ჯდომა, დროს ტარება მთვარიან ღამით!

ო ლ ო ლ ი — (ღიღინებს) მთვარიან ღამით... (გიტარას მისწვდება)

ნ ი ნ ო — ეს რა ამბავია? მთელი ზოოლოგიური პარკი!

ა მ ბ ე რ კ ი — დათუნა სად არის?.. ჩემი დათუნა თქვენს დათუნას ულოცავს ახალი წლის მობრძანებას! მაგრამ, შეხედეთ, როგორ უკვირს, რომ თავისი სეხნია არ მიეგება.

ნ ი ნ ო — მაგისი სეხნია დიდედასთან ხვდება ახალ წელს. ხვალ დილით გავაცნობ ერთმანეთს...

ა მ ბ ე რ კ ი — აი აქ ჩამოვკიდოთ, ნაძვის ხეზე! რა შესანიშნავი ნაძვის ხეა. რატომ არ ანთია? ავანთოთ.

ნ ი ნ ო — არა, ჯერ არა. ახალი წელი რომ შემოვა, მაშინ... ლევანმა უნდა აანთოს.

ა მ ბ ე რ კ ი — მართლა, ლევან ლევანიჩი სად არის აქამდე?..

ნ ი ნ ო — ალბათ მალე მოვა... (ისმის ზარის ხმა)

ქ ე თ ო — ვიღაც მოვიდა.

ნ ი ნ ო — მოიცა, მე გავალ... ალბათ ლევანია. (გადის)

ო ლ ო ლ ი — ამ გიტარას ვერაფერი მოვუხერხე.

ა მ ე ბ რ კ ი — მაჩვენე ერთი წუთით.

ო ლ ო ლ ი — თქვენ ვერ ააწყობთ, ბატონო ამბერკი, მე ხომ უნიკალური სმენა მაქვს და, აი მეც კი...

ა მ ბ ე რ კ ი — ო, თქვენ მართლაც შესანიშნავი სმენა გაქვთ. თქვენ რომ გესწავლათ...

ო ლ ო ლ ი — ეჰ, მე რომ კონსერვატორია დამემთავრებინა, ქეთინო სანიკიძეს და ლია ცირეკიძეს ვინღა გაგზავნიდა ვარშავის ფესტივალზე!

ა მ ბ ე რ კ ი — აბსოლუტური სიმართლეა. (შემოდის ნ ი ნ ო)

ქ ე თ ო — ვინ მოვიდა?

ნ ი ნ ო — (ღიმილით) არაავინ... ზარის ხმა მოგვეჩვენა... (აიღებს ორივე მუჭით თხილს) ლუწ თუ კენტ, ქეთო?...

ქ ე თ ო — ორივე ხელი წინ გამოსწიე, არ მომატყუო...

ნ ი ნ ო — ჯერ სანაძლეო დავდოთ.

ქ ე თ ო — კარგი. ლუწმა ამაღამ ამ ნაძვის ხეს ასკინკილით სამჯერ შემოუაროს.

ნ ი ნ ო — შესანიშნავია! ახლა ჩემს პირობას მოუსმინე: კენტმა პირველ შემოსულს აკოცოს, მხოლოდ ისე, რომ შემოსულსაც და კენტსაც წინასწარ თვალები უნდა ავუხვიოთ.

ქ ე თ ო — ვინ იცის, ვინ შემოვიდეს პირველად!

ა მ ბ ე რ კ ი — სამწუხაროდ მე უკვე მოსული ვარ! (ყველა იცინის)

ქ ე თ ო — დაიცა, გავიხსენო... არჩილი, ლევანი, ბატონი ვარლამი, ძია სანდრო, ამათ შეიძლება აკოცოს კაცმა...

თ ი ნ ა — კოტეს?

ნ ი ნ ო — თინა, გაჩუმდი...

ქ ე თ ო — ფუჰ, ფუჰ, არ მინდა, არ მინდა!

ნ ი ნ ო — აბა, ვიწყებთ! ლუწ თუ კენტ?..

ქ ე თ ო — მარჯვენა ხელი გაშალე!

ნ ი ნ ო — აჰა, დათვალე. (გაშლის ხელს)

ქ ე თ ო — ერთი.. ორი... სამი... ოთ... ხუთი...

ნ ი ნ ო — კენტია! ბედი გქონია, კოცნა შეგხვდა.
(ისმის ხანგრძლივი ზარის ხმა)

ქ ე თ ო — ვაიმე, ვიღაც მოვიდა! არ მინდა, არ მინდა!

ნ ი ნ ო — (ამბერკის, მრავალმნიშვნელოვნად) აი, ეს მანდილი წაიღეთ და ვინც არ უნდა იყოს, თვალებაკრული შემოიყვანეთ! (ამბერკი გადის. ნინო მეორე მანდილით ქეთოს უკრავს თვალებს... ამბერკის შემოპყავს თვალებაკრული კ ო ტ ე)

ა მ ბ ე რ კ ი — აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ!

ნ ი ნ ო — ფრთხილად, სახელი არ წამოგცდეთ!

ქ ე თ ო — აღარ მეშინია, რახან ბატონი უწოდა, აღარ მეშინია, აჰა, მზად ვარ!

ა მ ბ ე რ კ ი — აბა, ბატონებო... ემთხვიეთ! (კოტე და ქეთო ეკოცნიან ერთმანეთს, მერე მანდილებს მოიშორებენ. ქეთო შეკიელებს, კოტე იცინის. ყველანი იცინიან)

კ ო ტ ე — მეგობრებო, გმადლობთ საახალწლო საჩუქრისათვის!

ნ ი ნ ო — ხომ კარგად მოგილოცეთ?!

კ ო ტ ე — ქალბატონო ნინო, მეც მოგილოცავს... გაზეთში თქვენი სურათია დაბეჭდილი!

ა მ ბ ე რ კ ი — მაჩვენეთ, მაჩვენეთ! (გამოართმევს, ათვალიერებს) აჰა, „იშვიათი ოპერაცია". „ოპერაციის წინ". დი... დიდებული საქმეა! გაზეთი ახალწლის ღამეს, ახალ გამარჯვებას გილოცავთ. მშვე... მშვენიერი საქმეა!

ო ლ ო ლ ი — (კოტეს, ხმადაბლა) სადა ხარ?.. იმ საღამოს შემდეგ ფეხი ამოიკვეთე.

კ ო ტ ე — ჰო, უკანასკნელი თამაშის შემდეგ ფეხი... ფეხი მეღრძო.

ო ლ ო ლ ი — ჩემი წიგნი ხომ არაფერი გაგყოლია?..

კ ო ტ ე — დაგავიწყდა?... კი არ გამყოლია, მათხოვე.

ო ლ ო ლ ი — ნუთუ?.. (დაბნეული დგას)

ქ ე თ ო — (ნინოს ხმადაბლა) ვერ ამიტანია ამ ოფოფის მანკვა-გრეხა.

ნ ი ნ ო — ქეთო, ჩვენ ხომ დავთქვით: ეს საღამო მეგობრობის საღამოა. არაკეთილი ჩრდილი. აბა, მხიარულება, მეგობრებო!

(ქეთო და კოტე ცალკე)

კ ო ტ ე — ქეთინო...

ქ ე თ ო — მოსაწყენია, ჩემო კარგო, ეს „ქეთინო-ქეთინო"...

კ ო ტ ე — მაინც მემდური?.. აი, გავჩუმდები. ყველაფერს დღეს თუ არა, ხვალ მაინც საქმე იტყვის.

ქ ე თ ო — საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!

კ ო ტ ე — აამინ! (ამბერკი და ოლოლი მღერიან: „მოწყდა ვარსკვლავი გულზე დამეცა")

ნ ი ნ ო — (ფაივლის) ღვინო იგვიანებს...

ა მ ბ ე რ კ ი — ესე იგი... ვინ უნდა მოიტანოს?..

ნ ი ნ ო — ძია სანდრო გავსარჯეთ... ეაი თუ...

ა მ ბ ე რ კ ი — ო, არა, ფიქრი ნუ გაქვთ. სანდრო შესანიშნავი მოხუცია, თანაც ბრწყინვალე ჭაშნაგირი... (შენიშნავს მაგნიტოფონის აპარატს) მაგნიტოფონი! ქალბატონო ნინო, ეს ალბათ საახალწლოდ შეიძინეთ?.. ფრიად მახარებს, ფრიად... მომილოცავს!

ნ ი ნ ო — განა ასეთ რამესაც ულოცავენ?..

ა მ ბ ე რ კ ი — უსათუოდ... ყველაფერი, რაც ოჯახში მყუდროებას შექმნის, მისალოცია.

ნ ი ნ ო — ხანდახან, როცა გუნებაზე ვართ, დათუნას ტიკტიკს ვიწერთ ხოლმე... მერე ვუსმენთ და ვიცინით... პირველად თავისი ხმა რომ მოისმინა, უნდა გენახათ, როგორი გაოცებით წამოიძახა: „დედიკო, იქაც დათუნა ზის?"

ა მ ბ ე რ კ ი — (ხარხარებს) იდეები იბადება! (ისმის ზარის ხმა. ოლოლი კარისკენ გარბის. გამოჩნდება ს ა ნ დ რ ო, ორი ხელკასრი უპირავს. ოლოლის დანახვაზე მოიღუშება)

ა მ ბ ე რ კ ი — ღვინო, მეგობრებო, ღვინო! სიცოცხლის ელექსირი!

ო ლ ო ლ ი — მობრძანდით.

ს ა ნ დ რ ო — ვერიდებოდი ოლოლსაო, ამაზეა ნათქვამი... რისგან არის, რომ უკან არ გამაბრუნეთ?..

ო ლ ო ლ ი — ძია სანდრო, რა ცუდი ხართ... მე ხომ, მე ხომ... (მეორე ოთახში გადის)

ნ ი ნ ო — აი, ამ პატარა მაგიდაზე შევდგათ...

ს ა ნ დ რ ო — მერე ამ რადიოს ხელს არ შეუშლის?..

ნ ი ნ ო — (ღიმილით) ეს რადიო კი არა...

ა მ ბ ე რ კ ი — შშშ... გთხოვთ, ქალბატონო ნინო... ჩემს იდეებს ხელს ნუ შეუშლით...

ნ ი ნ ო — კარგით... აი, წავალ... ოლოლს რაღაც ეწყინა, მოვიყვან, შეევარიგებ.. (მიდის მეორე ოთახისაკენ)

ა მ ბ ე რ კ ი — მეგობრებო, ჩემი იდეები ხორცს ისხამს!.. (შეუმჩნევლად ჩართავს მაგნიტოფონს)

ს ა ნ დ რ ო — რაო?..

ა მ ბ ე რ კ ი — ძია სანდრო, რატომ არ გიყვართ ოლოლი?..

ს ა ნ დ რ ო — ოლოლი! ჯერ სახელს დამიხედეთ! მაგისი ნათლია ჩამოსახრჩობია. ოლოლი კი არა... (მიიხედ-მოიხედავს) ლამაზი თუთიყუშია... ორი სიტყვის მეტი ვერაფერი უსწავლია. (აჯავრებს) „არც ამას სცალია, არც იმას“... „ხვალ-ზეგ შემოიარეთ“... დიახ, აი ეს არის თქვენი ოლოლი! თანაც...

ა მ ბ ე რ კ ი — (უცებ გამორთავს) რა, თანაც?

ს ა ნ დ რ ო — (განზე გადგება) ეგ მე ვიცი... თქვენც კარგად იცით..

ა მ ბ ე რ კ ი — (დაფიქრებით) შესაძლოა... მაგრამ ჩვენ ეს ხელს ვერ შეგვიშლის. ამაღამ უნდა ვიმხიარულოთ!

ს ა ნ დ რ ო — ღვინო ჩემი, მხიარულება თქვენი! (ნინოს მოჰყავს ო ლ ო ლ ი. ოლოლი ინაზება)

ნ ი ნ ო — მეგობრებო, შეევარიგოთ ოლოლი და ძია სანდრო, თორემ ჩხუბი დაეკვებებათ!

ხ მ ე ბ ი — შეევარიგოთ! შეევარიგოთ! (ყველა გარს შემოეხვევა სანდროს და ოლოლს)

ხ მ ე ბ ი — ძია სანდრო, ოლოლ, შერიგდით, შერიგდით!

ა მ ბ ე რ კ ი — ბატონებო, სანამ შერიგებას მივაღწევდეთ, მოვუსმინოთ ძია სანდროს!

ს ა ნ დ რ ო — სათქმელი ითქვა. (ხელს ჩაიქნევს და ფანჯრისკენ მიდის)

ა მ ბ ე რ კ ი — მოვუსმინოთ სანდრო ლიაძეს! (ჩართავს მაგნიტოფონს)

ა მ ბ ე რ კ ი ს ხ მ ა — „ძია სანდრო, რატომ არ გიყვართ, ოლოლი?“

ს ა ნ დ რ ო — (ზურგშექცევით) ხალხო, დამანებეთ თავი...

ს ა ნ დ რ ო ს ხ მ ა — „ოლოლი! ჯერ სახელს დამიხედეთ!“ (სანდრო გაოცებული მობრუნდება, ყურს არ უჯერებს: ესმის ერთი წუთის წინ ოლოლის შესახებ თქმული საკუთარი სიტყვები)

ს ა ნ დ რ ო — დიდება შენდა, ღმერთო! რას არ მისწვდება ეშმაკის ჭკუა! (ყველა იცინის. იცინის ოლოლიც)

ლ ო ლ ი — ძია სანდრო, კარგი, შეერიგდეთ. ხვალიდან ყურად-

ღებით მოგექცევით, ოღონდ... ოღონდ ამიხსენით, ის „თანაც“ რას ნიშნავს?..

ს ა ნ დ რ ო — ეგ იმას ჰკითხე... ივ ძია სანდროს!

(ყველა იცინის. სანდრო იწყებს ღვინის ჩამოსხმას. ისმის ზარის ხმა. ნინო გადის და შემოჰყავს ვ ა რ ლ ა მ ი. ვარლამი ყველას ესალმება)

ნ ი ნ ო — მეგობრებო, თორმეტი სრულდება. საცაა ახალი წელი შემოაღებს კარს. გთხოვთ, მაგიდასთან (დაფიქრდება) ალბათ ლევანიც მალე მოვა...

ა მ ბ ე რ კ ი — სიმღერით შევიდეთ, ბატონებო, სიმღერით! „მასპინძელსაა“... (ყველანი გადიან სასადილო ოთახში. მცირე ხნის შემდეგ გამოდის ს ა ნ დ რ ო)

ს ა ნ დ რ ო — გაგიგონიათ, კაცო... ღვინოსა ვსვამთ, მასპინძელი კი არსად ჩანს... ჩამოასხი, სანდრო! (გამოდის ა მ ბ ე რ კ ი)

ა მ ბ ე რ კ ი — ძია სანდრო, იქნებ დახმარება გჭირდებათ?

ს ა ნ დ რ ო — (ცივად ახედავს) როდის იყო, რომ ბატონი ამბერკი სანდრო ლიაძეს ღვინის ჩამოსხმაში ეხმარებოდა?

ა მ ბ ე რ კ ი — ხომ არაფერი გაწყენინეთ...

ს ა ნ დ რ ო — ნეტავი თქვენ! წაბრძანდით, იქ უთქვენოდ მოიწყენენ.

ა მ ბ ე რ კ ი — ერთი სიტყვით, მე წავალ, იმ გრძნობით, რომ...

ს ა ნ დ რ ო — ერიჰაა! (დერეფანში შემოდის ლ ე ვ ა ნ ი. სახე ირეული აქვს, თმები აწეწილი, ნასვამია)

ლ ე ვ ა ნ ი — (ღია კარს მისჩერებია) შემოდი, შემოდი, კაცო... (შემოდის ა რ ჩ ი ლ ი) არჩილ, იცოდე, შენმა საბოლოო სიტყვამ... (ხელზე იკბენს და გაჩუმდება) ეეხ, აი ბოლოც...

ა რ ჩ ი ლ ი — ლევან, იცოდე, ფეხსაც არ შემოვდგამ, თუ გულს აჰყვები.

ლ ე ვ ა ნ ი — ეჰ, არჩილ, დავაბამ... დავაბამ, აი ნახავ, როგორ დავაბამ! გაიხადე... (პალტოებს იხდიან და ოთახში შემოდიან)

ს ა ნ დ რ ო — მობრძანდით.

ლ ე ვ ა ნ ი — აი კაცი, ვისაც ნამდვილი გულით შეეიძლია გადავეხვიო.

ს ა ნ დ რ ო — იცოცხლეთ, იცოცხლეთ, მრავალ ახალ წელს დაესწარით, როგორც ახლა ხართ, გახარებული, გამარჯვებული!

ლ ე ვ ა ნ ი — (შეკრთება) დამცინი?... (დაინახავს ამბერკის) ოჰ, ამბერჩიკ, უკვე მოსულხართ?

ა მ ბ ე რ კ ი — მომილოცავს, ლევან ლევანიჩ...

ლ ე ვ ა ნ ი — მალე მაგ „იჩების“ თქმა აღარ დაგჭირდებათ!

ა მ ბ ე რ კ ი — რაო, რა ბრძანეთ?

ლ ე ვ ა ნ ი — (აიღებს მაგიდიდან ჩაის ჭიქას) ძია სანდრო, სანამ შეეიდოდეთ, დამისხი, აზამბარში აქვე გამოვალ!

ს ა ნ დ რ ო — აბა რას ბრძანებთ, ბატონო ლევან, აზამბარში იქ გამოგიყვანთ.

ა რ ჩ ი ლ ი — ლევან!

ლ ე ვ ა ნ ი — დაასხი! (ესიტყვოდ დაცლის) ეს სიმხნეისათვის, ამხანაგო არჩილ!

ა მ ბ ე რ კ ი — (შუა კარს გამოაღებს) მეგობრებო, მასპინძელი მობრძანდა! (სასადილო ოთახიდან ისმის შეძახილები. გამოდის ნ ი ნ ო)

ლ ე ვ ა ნ ი — ახ, დირე... დირექტორის მეუღლეც აქ ყოფილა?!

ნ ი ნ ო — რა მოხდა?

ლ ე ვ ა ნ ი — განა არ იცით? აბა, მომილოცეთ, მოგილოცეთ, შეეიდეთ! (შედიან, ოთახში რჩებიან არჩილი, ამბერკი და სანდრო)

ა რ ჩ ი ლ ი — (შეაჩერებს ამბერკის) მაპატიეთ... ამაღამ თქვენმა აქ დარჩენამ შეიძლება უხერხულობა გამოიწვიოს.

ა მ ბ ე რ კ ი — (შეწყრალებული) რატომ, ამხანაგო არჩილ, დაუპატიჟებელი არ გახლავართ!

ა რ ჩ ი ლ ი — ხომ ხედავთ, მასპინძელი ნასვამია, გარდა ამისა... (ხმადაბლა) ლევანი გათავისუფლებულია...

ა მ ბ ე რ კ ი — როგორ? რას ამბობთ? ნუთუ? ეს რა გამაგონეთ. ლევანი მოხსნ... გათავისუფლებულია? მერე? სწორედ ახლა სჭირდება ჩვენ მეგობრული ნუგეში, მხარში ამოდგომა. (შედის სასადილო ოთახში. არჩილი თვალს გააყოლებს: გამოდის შეშფოთებული ნინო)

ნ ი ნ ო — არჩილ, რა დაემართა ლევანს?..

ა რ ჩ ი ლ ი — გამაგრდი, მის გადაკრულ ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ. გათავისუფლეს...

ნ ი ნ ო — ნუთუ?

ა რ ჩ ი ლ ი — ასე სჯობდა... მისთვისაც ასე სჯობდა... ლევანის შესახებ საგანგებო დადგენილება მიიღეს... არ დაილუპება. (გამოდის ვ ა რ ლ ა მ ი. შეწუხებული სახით შესაქერის ორიეს)

ნ ი ნ ო — ბატონო ვარლამ...

ვ ა რ ლ ა მ ი — ქალბატონო ნინო, არჩილ, აქ დარჩენა ჩვენს ძალონეს აღემატება... მაპატიეთ, მაპატიეთ, განა ამის თქმა საჭიროა? ნახვამდის! (ნინო და არჩილი აცილებენ)

ს ა ნ დ რ ო — (თავისთვის) ის, კი, ის გაქსუებული ამბერკი ახლა გვერდით უზის და... ეჰ, რა ოჯახის დედაბოძი ქანაობს, რა გულები იბზარება! მერე რაღა ახალწლის ღამეს? (დაისხამს ღვინოს) ამ ოჯახის მშვიდობისა იყოს! განა მე კი მაწყენს აზამ-

ბარში გამოსელა?! (ბრუნდებიან ნ ი ნ ო და ა რ ჩ ი ლ ი. ამავე დროს გამოდის ლ ე ვ ა ნ ი. ხელში ჩაის ჭიქა უჭირავს, მოსდევენ სტუმრები)

ლ ე ვ ა ნ ი — სად არის დიასახლისი? ჰო, აგერ აქაა, ხმა მესმის! იქ მხიარულებას ვერ ავაწყობთ, მაგიდა დიდია, სტუმრები ცოტა... აი აქ. მყუდროდ, თბილად, ბუხართან, თეთრი დათვის ტყავზე... რა ვუყოთ, რომ ცეცხლი არ ანთია და მწვადებს ვერ ავაშიშხინებთ?! ჰა, ჰა, ჰა, შამფურები, სანდრო, შამფურები!

ნ ი ნ ო — ლევან...

ა რ ჩ ი ლ ი — ლევან, ნუ დაგავიწყდება!

ლ ე ვ ა ნ ი — რატომ მიყურებთ ასე? ჩვენ ხომ სიმხიარულე გვინდა! სიმხიარულე? აი ნახავთ, აქ ამ დათვის ტყავზე რომ შოვიკეცავთ, რა ტკბილად გავატარებთ დროს!.. მაგრამ ჩემი მოკლული არ გეგონოთ ეს დათვის ტყავი... ფუჰ, ფუჰ, დათვის ტყავის მოკვლა როგორ შეიძლება? (ტყავს ფეხს წამოსდებს, შებარბაცდება)

ა რ ჩ ი ლ ი — ფრთხილად, ლევან...

ლ ე ვ ა ნ ი — ფრთხილად, მოქალაქენო, დააზღვევეთ თქვენი სიცოცხლე! არჩილ, შენ ჩემს გვერდით დაჯექი და თვალი დაიჭირე, არაფერი დავაშავო... თქვენ კი, ამხანაგო სულხან... გესმით, აი მანდ, ამხანაგო სულხან!

ნ ი ნ ო — ლევან, ეს კოტეა და არა სულხანი...

ლ ე ვ ა ნ — ეს სულ ერთია, სულ ერთი! თქვენ კი, ბატონო ამბერჩიკ, ჩემს პირდაპირ, მეორე პოლუსზე... და იმღერე, გესმის, იმღერე!

ა მ ბ ე რ კ ი — (ღიღინებს) რერო, რერო...

წეთისოფლის სტუმრები ვართ, რერო,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება, რერო, და...

ლ ე ვ ა ნ ი — დიახ... სხვა დარჩება, სხვა!

ნ ი ნ ო — ლევან, აბა როგორ შეიძლება. ნუ შეაწუხებ, დათვის ტყავი მტვრიანია...

ლ ე ვ ა ნ ი — ჰა, ჰა, ჰა! რა იცოდა ამ დათვის ტყავმა, რა იცოდა, თუ... დადიოდა დათოვლილ ტყეში, სუნთქავდა სუფთა ჰაერს... რა იცოდა, თუ მტვერი დაედებოდა და ზედ ლევან მინდიაშვილი მოირთხამდა ფეხს, მტვრიან ფეხს. აქ ყველაფერი მტვრიანია. აი, სახეზეც კი თითქოს მტვერი მადევს. სიმღერა, ამბერჩიკ, სიმღერა!

ა მ ბ ე რ კ ი — რერო, რერო...

ერთმანეთს ვასიამოვნოთ, რერო,
ამის მეტი რა შეგვრჩება, და...

ა რ ჩ ი ლ ი — ახლა მე ვიტყვი.. მე მინდა...

ლ ე ვ ა ნ ი — არა, მე ქართველი კაცი ვარ და ჩემს ოჯახში, ახალწლის ღამეს... მე მინდა დავლიო იმ დათვის სადღეგრძელო, რომელიც უფრთხილდებოდა თავის თბილ ბუნაგს, მაგრამ... ხომ ასეა, ამხანაგო სულხან?!

ა რ ჩ ი ლ ი — (ფეხზე წამოდგება) ლევან!

ლ ე ვ ა ნ ი — ჰო, ფეხზე ადგომით, ფეხზე ადგომით დავლიოთ სულელი, ბრიყვი დათვის სადღეგრძელო, რომელიც თავს უფრთხილდებოდა, თავს იზღვევდა, მაგრამ ჩვენ ახლა მის ტყავზე ვსხედვართ. (ყველა მას შესცქერის) რად მიყურებთ ასე? ეს ისე, ამ დათვის ტყავმა მოიტანა. სიმღერა, სიმღერა!

ა მ ბ ე რ კ ი — ერთმანეთს ვასიამოვნოთ, რერო...

ა რ ჩ ი ლ ი — კმარა!

ლ ე ვ ა ნ ი — არა, არა-მეთქი, უნდა გავათენოთ, უნდა ვიმხიარულოთ... მე მასპინძელი ვარ, ამ ოჯახის უფროსი... უკანასკნელად!

ნ ი ნ ო — ლევან, ლევან!

ლ ე ვ ა ნ ი — ჰა, ჰა, ჰა, უკანასკნელად.... ამ წელს უკანასკნელად! რატომ არ მხიარულობთ? სიმხიარულე, (ღვინოს აქცევს დათვის ტყავზე) სიმხიარულე! რატომ არ მხიარულობთ, ამბერჩიკ?

ა მ ბ ე რ კ ი — (უხალისოდ მღერის) ერთმანეთს ვასიამოვნოთ, რერო...

ლ ე ვ ა ნ ი — (პირქუშად) რაო, რა სთქვი? გაიმეორე!

ა მ ბ ე რ კ ი — ერთმანეთს ვასიამოვნოთ-მეთქი, ლევან ლევანიჩ!

ლ ე ვ ა ნ ი — რით ვასიამოვნოთ, რით? ვერაგობით? ცილისწამებით? (მოულოდნელად სილას შემოკრავს)

ო ლ ო ლ ი — უჰ, უჰ!..

ა მ ბ ე რ კ ი — როგორ გეკადრებათ? გაუგებრობაა, გაუგებრობა! (ყველა გაქვავებული შესცქერის მათ) სად არის ჩემი პალტო, ქუდი... ჯოხი, ჩემი ჯოხი!

ო ლ ო ლ ი — წავიდეთ, ბატონო ამბერკი, წავიდეთ; თორემ შეურაცხყოფას მოგვაყენებენ!

ს ა ნ დ რ ო — აი, ინებეთ! (აცილებს) აქეთ... (თავისთვის) კაი გასაჯოხი კი ბრძანდებით, მაგრამ ჯერჯერობით ეგეც გეყოფათ...

ა რ ჩ ი ლ ი — (სანდროს, ხმადაბლა) პატარა ხანს დარჩი. ამ კაცს მიხედე.

ნ ი ნ ო — არჩილ!

ა რ ჩ ი ლ ი — გამაგრდი, დაამშვიდე. (არჩილი, ქეთო და სხვები უსიტყვოდ გადიან)

ლ ე ვ ა ნ ი — (ერთხანს მდუმარედ, თავჩაღუნული ზის, მერე თითქოს ფხიზლ-დება, სწრაფად წამოდგება) წავიდნენ?

ს ა ნ დ რ ო — წავიდნენ, ბატონო ლევან.

ლ ე ვ ა ნ ი — (შეკრთება, მის დანახვას აღ ელოდა) აჰ? შენ, შენ?

ს ა ნ დ რ ო — გვიანაა, ყველა დაითრო... მეც აი, ბივალაგ-მოვალა-გებ და...

ლ ე ვ ა ნ ი — არა, წადი, შენ აქაობას ვერ მიალაგ-მოალაგებ, ვერ-ა... წადი!

ს ა ნ დ რ ო — ნება თქვენია. (აპირებს გასვლას)

ლ ე ვ ა ნ ი — (შეაჩერებს) დაილოცე და ისე წადი!

ს ა ნ დ რ ო — (აიღებს ჭიქას, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ თავს ვერ სძლევს) ეეჰ... (გადაკრავს და მიდის. ნინო კედელს მიყრდნობია, გაქვავებული უყურებს ამ სურათს)

ლ ე ვ ა ნ ი — (ხანგრძლივი დუმილის შემდეგ) რას გაჩუმებულხარ? რატომ არ მეკითხები? რატომ არაფერს მეკითხები?

ნ ი ნ ო — (ჩამწყდარი ხმით) აი... აი, გეკითხები... (უცებ ქუჩიდან შემოიჭრება ახალგაზრდა მოქეიფეთა სიმღერის ხმა, სიტყვები გარკვევით ისმის)

„ჩვენ სიყვარულის დავრგეთ ყვავილი,
მაგრამ ყვავილმა არ გაიხარა,
პასუხი გამეც, შენ გეკითხები;
ჩვენი გულები რად გაიყარა?

(სიმღერა თანდათან სწყდება. ნინო მღელვარე მოლოდინით შეპყურებს ლევანს. ლევანი თავჩაღუნული, ზარდაცემული დგას)

ფარდა

მეჩუთე მოქმედება

მერვე სურათი

ფართო აივანი საავადმყოფოს ბაღის მხარეს. აივნიდან ბაღში ეშვება ქვის კიბე. ადრე გაზაფხულია, იგრძნობა ბუნების გაღვიძება. აივნის წინ ახლად გადაბელილი ხე, რომელზეც მიყუდებულია კიბე. ნაკაფი ტოტები დაბლა ყრია. ხეს ღიმილით შეჰყურებს ს ა ნ დ რ ო, თან ღიღინებს.

ს ა ნ დ რ ო — ესეც ასე... იხარე და იბედნიერე, ჩემო მშვენიერო!.. გეტკინა? რაო, ცრემლიცა გდის? არაფერია, გაივლის... დაუჯერე ძია სანდროს, მალე ჭრილობა გაგიმთელდება და ტკივილი გაივლის!.. იცის ბიჭმა!.. (შემოდიან თეთრ სამეშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ე ქ ი მ ი ქ ა ლ ე ბ ი)

პ ი რ ვ ე ლ ი — აბა, ძია სანდრო, მალე დაამთავრე შენი ოპერაცია, ბურთი და მოედანი ახლა ჩვენ დაგვითმე!

ს ა ნ დ რ ო — რაო, იქნებ გგონიათ მე არ მიხარია? ჩემთვისაც დადგა გაზაფხული, ისევ ჭიხვინის ხასიათზე დავდექ...

მ ე ო რ ე — აქაურობა მიალაგ-მოალაგე. ჩქარა ეგიტანე ეს ბარახური!

ს ა ნ დ რ ო — უკაცრავად!... ეს ჩემი პაციენტის მკლავები, ხელები და თითებია, ფრთხილად, ფეხი მოარიდეთ!

მ ე ს ა მ ე — ძია სანდრო, აბა რა ღროს ხუმრობაა... ბედნიერი დილა გაგვითენდა, ნინომ გაიმარჯვა!

ს ა ნ დ რ ო — იფ, იფ, იფ! არ იცის სანდრო ლიაძემ, ჯერ არაფერი გაუგია! სულხანმა პირველად ჩემი გრძელი ულვაშები დაინახა!

პ ი რ ვ ე ლ ი — ოჰო, ნუთუ მართლა?

მ ე ო რ ე — გვიამბე, ძია სანდრო.

ს ა ნ დ რ ო — წუხელ არჩილი მორიგეობდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს... აბა მე რაღა დამაძინებდა? მთვარიანი ღამე იყო. დღესავით ნათელი. აი ამ ხესა ვბელავდი...

მ ე ს ა მ ე — უჰ, რა შორიდან იწყებ, ძია სანდრო, უცებ გვითხარი!

ს ა ნ დ რ ო — უცებ როგორ გითხრათ, როცა მთელ სხეულში ეჩ-

ლაც კი ერუანტელი მიელის? (ჩაფიქრდება) ჰო, იმას მოგახსენებდით...

პ ი რ ვ ე ლ ი — ერიჰაა!

მ ე ო რ ე — ძია სანდრო, გლახა ჭრიაშვილი თქვენი პაპის პაპა ხომ არ იყო?

ს ა ნ დ რ ო — (წყენით) სანდრო. ლიაძეს სხვანაირ ლაპარაკს ველარ ასწავლით. (ციბეს მხარზე გაიდებს) არა, ჩვენ ველარ მოვრიგდებით! (გადის)

ქ ა ლ ე ბ ი — ძია სანდრო, ძია სანდრო! (უკან მისდევენ. ერთი მხრიდან შემოდიან ნ ი ნ ო და ქ ე თ ო, მეორეს მხრიდან ა რ ჩ ი ლ ი)

ნ ი ნ ო — (აღელვებული მიირბენს არჩილთან) არჩილ...

ა რ ჩ ი ლ ი — დამშვიდდი, ჩემო ნინო... ის უკვე ხედავს.

ნ ი ნ ო — არჩილ, ქეთინო... რა ბედნიერი ვარ... წავიდეთ, ჩქარა!

ა რ ჩ ი ლ ი — (ღიმილით) არა, ჩემო კარგო, პატარა ხანს მადროვეთ, აგრე ადვილად ვერ შეგახვედრებთ... ამ დილით მე და სულხანი შენზე ვსაუბრობდით. ის მიმტკიცებდა, რომ პირველი დანახვისთანავე გიცნობს... მე ცხადია, ეს არა მჯერა. ჩვენ სანაძლეო დავდეთ.

ქ ე თ ო — წააგებთ, ბატონო არჩილ, წააგებთ!

ნ ი ნ ო — (დაფიქრებით) ვინ იცის...

ა რ ჩ ი ლ ი — აბა, არ მიღალატოთ, არაფერი ანიშნოთ... დიდი, დიდი სანაძლეო დავდეთ! (მიდის, ღიმილით მობრუნდება) ქეთინო, კოტე სულხანიშვილს ხომ დაურეკე?

ქ ე თ ო — (დაბნეული) კოტეს?... რა იცით?.. საერთოდ... საერთოდ სულხანიშვილებთან დავრეკე და... სრულიად შემთხვევით ტელეფონთან კოტე აღმოჩნდა. (არჩილი და ნინო იცინიან)

ნ ი ნ ო — ქეთინო, კარგი იქნება, თუ პროფესორ ნასიძესაც აცნობებთ.

ა რ ჩ ი ლ ი — იცის. პირველად მას დავურეკე... აბა, შორს არსად წახვიდეთ. (გადის)

ნ ი ნ ო — (აღელვებით დადის წინ და უკან) ის უკვე ხედავს, ღმერთო ,ჩემო, ის უკვე ხედავს!

ქ ე თ ი ნ ო — როგორ მიხარია, რომ გახარებულს გხედავ. (ღიმილით ხელს მოხვევს) ნინო, არ ვიცი ვინ უფრო ბედნიერია დღეს, შენ თუ მე?

ნ ი ნ ო — შენი ბედნიერება უჩრდილოა, ქეთინო... დღეს ბედნიერია ის ოჯახი, რომელიც შენ შემოგხარის, მიგელის... ეს დღე ჩემი ცხოვრების ყველაზე კარგი დღე უნდა ყოფილიყო. ოჰ, როგორ მოველოდი ამ წუთს. და აჰა, დადგა, აი, მივაღ-

წიე მიზანს, გავიმარჯვე, მაგრამ რად ვითრთის გული. რად მაღრჩობს ცრემლი?

ქ ე თ ო — განა საკვირველია, რომ ღელავდე?

ნ ი ნ ო — ჩემს ბედნიერებას ჩრდილი ფარავს, დიდი ჩრდილი... ამ ბრძოლაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდის ღამეს, თვალი ძეც ამეხილა... დავინახე ლევანი, დავინახე ისეთი, როგორიც ნამდვილად ყოფილა. განდიდების ჟინით შეპყრობილი, პატიემოყვარე, რომელიმაც სავარძლის შენარჩუნებისათვის გამწირა.

ქ ე თ ო — დამშვიდდი, ნინო...

ნ ი ნ ო — აი, დღეს ყველა აქეთ მოისწრაფის, ყველას უნდა მომილოცოს. მხოლოდ ერთი არ მოვა, ის, ვინც პირველი უნდა მოსულიყო... არ მოვა ლევანი. ჩვენს გულებს ცივი და უხმო კედელი აშორებს... ის არ მოვა, არ მომილოცავს. (შემოდის სანდრო. მათ ვერ ხედავს. ღიღინით აგროვებს გადაბალი ხის ტოტებს)

ს ა ნ დ რ ო — „თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა“... (დაინახავს) ბოდიში, ნინო... მეც მიხარია. თქვენ თუ ბრძას აუხილეთ თვალი, რატომ ჩემს ოპერაციასაც არ დაესწარით? (ქეთო ღიმილით გადის)

ნ ი ნ ო — (მწარე ღიმილით) რას ერჩოდი, ძია სანდრო, ამ ხეს?..

ს ა ნ დ რ ო — ვერჩოდი კი არა, გადავბელე... თვალი უნდა აეუხილო... თვალიც, გულიც, სიცოცხლეც. კაცი რომ იყოს, დამიჩოქებდა და მაღლობას მეტყოდა!..

ნ ი ნ ო — ალბათ ცუდად იყო ამ ხის საქმე?

ს ა ნ დ რ ო — ჰა და ჰა! ამ გაზაფხულს თუ გაუძლებდა!

ნ ი ნ ო — მერე იმედი გაქვს, რომ ნამდვილად გადაარჩენ?

ს ა ნ დ რ ო — წასაქცევად არ მემეტება, როგორმე უნდა ვუშველო. ამ ზედმეტი ტოტების მოშორების შემდეგ ფესვის ძალა დაიძახებს და ხეს ისევ დაუბრუნდება სიყვაწვილე.

ნ ი ნ ო — (დაფიქრებით) ბედნიერი ყოფილა ეს ხე...

ს ა ნ დ რ ო — კეთილი მებაღის ხელში ხე ადრეული სიკვდილით არ უნდა მოკვდეს!

ნ ი ნ ო — (თითქმის თავისთვის) ნეტავ ადამიანის გადაბელვაც შეიძლებოდეს... რამდენი ადამიანი გაბედნიერდებოდა მაშინ, ისიც... ლევანიც...

ს ა ნ დ რ ო — მაგაზეც მოგახსენებთ.. კაცი თუ სულის ღონეს მოიკრებს, მაგასაც შესძლებს. ამ ხეს ფესვებში რომ ჰქონოდა სატკივარი, მეც ხელს ჩავიქნევდი, ხერხსა და ნაჯახს ხელს აღარ მოვკიდებდი!

ნინო — კარგი, მაშ მითხარი, კაცის ფესვია თუ არა გული?

სანდრო — აბა თქვენ მიბრძანეთ, სულ შეშმულია თუ არა ის გული, ნამდვილია თუ არა მისი სატკივარი?

ნინო — (ჩურჩულით) აი საკითხავიც ეგ არის...

სანდრო — სიცოცხლემოწყურებულ გულს სატკივარი აგრე ადვილად ვერ დაიგდებს... (ღიმილით) ასეთი გული გაიბრძოლებს, გადახალისდება და მისი გადაბელვაც ის იქნება! (გადის)

ნინო — (თავისთვის) ნუთუ შეიძლება? შეიძლება. ამას უნდა დავიწყება... ყველაფრის დავიწყება და თავიდან დაწყება... შეძლებს იგი ამას? (შემოდის ლევანი. გაშტერებით უმზერს ჩათიჭრებულ ნინოს).

ლევანი — (დაბალი, მღელვარე ხმით) ნინო...

ნინო — (შემკრთალი მობრუნდება) ლევან?..

ლევანი — ნინო... სულაც არ მინდა ამ დღეს, შენთვის ბედნიერ დღეს, ჩრდილი მივაყენო, მაგრამ რამდენიმე წუთით უნდა მომისმინო...

ნინო — თქვი...

ლევანი — დიახ, ახლა საჭირო არ არის ამის დამალვა ჩემგან... ჩემგან, თორემ ეს ყველამ დაინახა, იგრძნო... მე კი ვმალავდი. ვმალავდი ურცხვად, გიმალავდი შენც, სხვებსაც, საკუთარ თავსაც... არ ვუტყდებოდი საკუთარ სინდისს, რომ... ეჰ, ნინო, ნინო, განა შეიძლება ეს ითქვას? (უცებ მუხლისთავებზე დაეცემა)

ნინო — (მხრებში მისწვდება) ადექი, ადექი!...

ლევანი — განა შეიძლება ეს ითქვას? მე შენ ხელი გკარი?.. არ ვიცი, ახლაც არ ვიცი, როგორ მოხდა ეს...

ნინო — ადექი.. არავინ დაგინახოს, ადექი!.. შენ ხომ... მე ხომ, გაპატ...

ლევანი — (წამოდგება, თავდახრილი დგას) არა... მე ეს არ მინდა. აქ ამისთვის არ მოესულვარ... მე შენი თანასწორი აღარა ვარ, არ შემიძლია თვალი გაგისწორო, ვაპატიო ჩემს თავს... (მღელვარე პაუზის შემდეგ) ნინო, მე ხომ შენს სიწმინდეშიც შევიტანე ეჭვი...

ნინო — აჰ, ნუ ამბობ მაგას, ნუ!

ლევანი — ნუთუ მე ვიყავი ის...

ნინო — (სასოწარკვეთილი) არ ვიცი, არ ვიცი... არ ვიცი როგორ მოხდა ეს, რად მოხდა, როდის?.. შენ იყავი თუ არა ის? თითქოს შენს გულში ვიღაც სხვა, სასტიკი და შეუბრალებელი ჩაძვრა...

ლევანი — კმარა.. შენ ერთხელ უკვე გამაფრთხილე, რომ დიდკაცობის სპორტი დამღუპავდა, მაგრამ გვიანღა იყო... გვიან-

ღა... არ ვიცი, ძალიან შორს თუ ახლოს, არ ვიცი, მცირეხნით თუ სამუდამოდ, მაგრამ უნდა წავიდე...

ნ ი ნ ო — ლევან...

ლ ე ვ ა ნ ი — მოიცა. დაიხსომე ჩემი ნათქვამი, ჩემი უკანასკნელი თხოვნა. ამას გთხოვს ჩვენი... შენი დათუნას მაჟა. იცოდე, იმ ამბების შემდეგ ერთ დღესაც არ გაუვლია ისე, ჩემი შეცდომა, ჩემი ცოდვა არ გამეზომა, არ ამეწონა. მე დამაფიქრა მისმა სიკვდილმ, მისმა სიმძიმემ... შემაშინა. (ფიქრის შემდეგ) ამიტომ დაიხსომე ჩემი თხოვნა: დათუნა წამოიზრდება, გაიზრდება... მან არ უნდა იცოდეს, რომ მე ჩემს მეუღლეს, მის დედას ხელი ეკარი, გზაზე გადავუდექი...

ნ ი ნ ო — ლევან, ლევან... გაჩუმდი.

ლ ე ვ ა ნ ი — არა... ყველაფერი გათავდა, ჩვენი გულები გაიბზარა, გზები გაიყარა... მშვიდობით. (მიდის. უცებ შეჩერდება, შობრუნდება) თუმცა... იქნებ შენ სხვანაირად ფიქრობ... იქნებ სჯობდეს, ყველაფერი უამბო, ჩამომხსნა ნიღაბი, დაანახვო ჩემი სახე... სამაგალითოდ. ნუ დაეზოგავ. დაე, იცოდეს: სხვის გულსაც ისევე უნდა გაფრთხილება, როგორც საკუთარს. თორემ გვიან იქნება, გვიან, გაბზარულის გამთელება... შეუძლებელი... (სწრაფი ნაბიჯით გადის)

ნ ი ნ ო — (დაედევნება, შეჩერდება) ლევან, ლევან! (ხელებს იმტვრევს შფოთავს) საით? სად წავა?. რას იზამს? (ფიქრის შემდეგ მიეახლოვდება გადაბელილ ხეს) იქნებ მართლაც შესაძლო იყოს ამ ხესავით მისი გადაბელვა... იქნებ ვასაც აეხილოს თვალი, გაუმთელდეს გაბზარული გული. აღსდგეს შერყეული რწმენა, სიყვარული?.. (ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ) ლევან, მოვალეობა ახლა შენსკენ მეძახის, შენსკენ...

(გამოდიან ა რ ჩ ი ლ ი, ქ ე თ ო და სხვა ქალები)

ა რ ჩ ი ლ ი — აბა, ქალებო და ქალიშვილებო, ნინო, აი აქ დაველოდოთ. ახლაევე გამოვა.

(აივანზე გამოჩნდება ს უ ლ ხ ა ნ ი. იგი ბაღში მყოფთ ჯერ ვერ ხედავს)

ა რ ჩ ი ლ ი — (ხელს დაუქნევს სულხანს) სულხან, აქეთ!

(სულხანი ჩამოდის კიბეზე. თითქოს თაკის თვალს ჯერ ვერ ენდობა, ქალებს აკვირდება, ღიმილით შეჩერდება)

ს უ ლ ხ ა ნ ი — არა, არა, თქვენ ნინო არა ხართ... ხომ მართალია?

ა რ ჩ ი ლ ი — მართალია...

ს უ ლ ხ ა ნ ი — არც თქვენ... არც თქვენ... (შეჩერდება ქეთოს წინ) თქვენ? (იცნობს) ქეთინო, ჩვენი ქეთინო!

ქ ე თ ი ნ ო — სულხან, მომილოცავს!

ს უ ლ ხ ა ნ ი — ჩვენები სად არიან?

ქ ე თ ი ნ ო — ახლავე მოვლენ...

ს უ ლ ხ ა ნ ი — (უახლოვდება განზე გაჩერებულ ნინოს) თქვენ... საიდან მახსოვს თქვენი სახე, თვალები? (იხსენებს) დიდრონი მეოცნებე თვალები... მაღალი ტრიბუნა... მუქარით აწეული ხელი... თქვენ ის ხართ, ის, ჩემი სიჭაბუკის უცნობი თანამგზავრი, ჩემი შემოქმედების პირველი მსაჯული!

ნ ი ნ ო — სულხან!

ს უ ლ ხ ა ნ ი — ნინო?! ნუთუ თქვენ ის ხართ? ის უცნობი გოგონა?

ნ ი ნ ო — თქვენი უცნობი თანამგზავრი დღეს ბედნიერია, სულხან, მან მეორედაც აგიხილათ თვალი.

ს უ ლ ხ ა ნ ი — ნინო!.. (შემოდიან რ ო ს ტ ო მ ი, თ ი ნ ა და კ ო ტ ე)

რ ო ს ტ ო მ ი — (გადაეხვევა) სულხან, სულხან, შვილო! ახლა ვეღარაფერი მომკლავს. დიდხანს, დიდხანს უნდა ვიცოცხლო!

ს უ ლ ხ ა ნ ი — არა, თინა, ცრემლებს ნუ დამანახვებ... კოტე, ბიჭო, შენს საფეთქელსაც შეჰპარვია ვერცხლი.

კ ო ტ ე — აქამდე ოქროს მეძახდნენ ბიჭები...

თ ი ნ ა — ბიჭები თუ ქალიშვილები?

კ ო ტ ე — ჭინჭარივით ნუ მსუსხავ... იქით მიდექ!

(შემოდის ვ ა რ ლ ა მ ნ ა ს ი ძ ე)

ვ ა რ ლ ა მ ი — (სულხანს) შემომხედე!.. მხედავ? ხომ კარგად მხედავ, ბიჭო, მიცანი? ხომ მიცანი?..

ს უ ლ ხ ა ნ ი — გიცანით.

ვ ა რ ლ ა მ ი — მე კი არ მჯეროდა... ამ დილით თვალი მეც ამეხილა, ერთხელ კიდევ ვიწამე ადამიანის გონების ძალა... გაბრუებული გამოვედი შინიდან... წარმოიდგინეთ, ქალაქგარეთ აღმოვჩნდი... და აი, ერთ კორდზე ეს ენძელები შევნიშნე... (მიუბრუნდება ნინოს) ნინო, ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერ მოგიტანდით!

ნ ი ნ ო — გმადლობთ, ბატონო პროფესორო.

ვ ა რ ლ ა მ ი — (აკვირდება) მაგრამ ეს რა არის? ცრემლი... ნუთუ თქვენ სტირით (ფიქრის შემდეგ) იტირე, გეთაყვა, იტირე, გულ• მოიოხე... წმინდაა შენი ცრემლი, მართალი, აუმღვრეველი...

რ ო ს ტ ო მ ი — არა. პატივცემულო ვარლამ... თქვენ გგონიათ ნინო სტირის?.. თქვენ გგონიათ ეს მწუხარების ცრემლებია?.. იგი ბედნიერია დღეს... განა ბედნიერება კი არ იწვევს ღელვას, გულის ჩქროლვას? დამიჯერეთ, ეს სიხარულის ცრემლებია!

ნინო — (ცრემლს აწმენდს, ღიმება)

ვარლამი — დიახ, დიახ, ეს სიხარულის ცრემლებია. ბიჭო, სულხან. გრძნობ თუ არა ამ წუთების სიდიადეს? გრძნობ თუ არა შენს ბედნიერებას?

სულხანი — იცოცხ, არავის ახსოვს თავის დაბადება, არც პირველი ხილვა ქვეყნისა. ალბათ მაშინაც რაღაც ამის მსგავსს განიცდის ბავშვის უმანკო გული, შეუგნებლად... მას აოცებს ეს სინათლე, მზე, ჩიტების ჭიკჭიკი... მაგრამ რა დიდი განსხვავებაა. მე სიხარულით და მადლობის გრძნობით ვარ სავსე — ეს მადლობა თქვენ, ყველას, აი ამ ხალხს, აი ამ შენობის წმინდა კედლებს ეკუთვნის, რომელმაც მე გადამარჩინა, რომ კვლავ ვეწსახურო ჩემს ქვეყანას, ღიმილით ვიარო მის დიდ გზაზე. და ახ ისევ თქვენ შორის ვდგავარ ჩემი ფუნჯით. მე დავხატავ სიხარულის ცრემლით და გამარჯვების ღიმილით დამშვენებულ ქართველ ქალს, ხალხისთვის მებრძოლს, ბედის წინაშე შეუპოვარს, იმედიანს, დავხატავ და თქვენს სახელს დავარქმევ, ნინო...

ნინო — (ღიმილით) ჰაგრამ ის დაუმთავრებელი სურათი?

სულხანი — მე დავამთავრებ იმ სურათს. დავხატავ იმ დიდი ადამიანის სახეს, რომელიც ჩემმა დრომ დამანახვა და შემაყვარა. ეს იქნება ჩემი მადლობა თქვენს წინაშე, ჩემი ქვეყნის, ხალხის წინაშე!

ფარდა

მიხეილ ჯაფარიძე

ლამპარი

ქართული ზღაპარი
მოზარდთათვის

ბიესა 5 მოქმედებად
8 სურათად

მოქმედი პირნი

ავი სულები:

რ ო შ ა ქ ი — ქაჯი, ქაჯთა მთავარი
დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — როშაქის დედა
ნ ა ცა რ ა, მ წ ი თ უ რ ა, კ უ პ რ ა — ქაჯუნები

კეთილი სულები:

დ ა ლ ი — ადამიანთა ქალღმერთი
ს ი ო, რ უ. ნ ი ბ ლ ი ა — დალის ქალპეპლები

ადამიანები:

მეფე — მ ა მ ა მიწაწყლისა
დ ე დ უ ფ ა ლ ი — მეეღლე მეფისა
ჩ ი ნ ო, ა თ ე, ჯ უ მ ბ ე რ ი — ამათი ვაჟები
შ ე რ გ ი ლ ი—მხედართმთავარი
ბ ი ლ ა ტ ე — მეფის კარისკაცი
ბ უ ჯ ა ბ ა — მეფის მხლებელთაგანი
დ ა ლ ი — გუჯაბას ქალიშვილი
ბ ე რ დ ი ს ო, ს ა ლ ი ხ ე, ჩ ე ჩ ე ლ ა — მდაბიო ქალები
მეფის მხლებელ-მსახურნი.



პირველი მოქმედება

დაბურულ ტყეში ზაფხულის დღეა. სიჩუმეა. შორიდან ხანგამოშვებით ქაჯუნების ყივილ-ხივილი მოისმის, შემდეგ გამოჩნდებიან, ბორბლებზე შედგმულ დიდ ქვაბს მოაგორებენ, ქვაბში, როგორც ეტლში, უზით დულარდუხტი, რომელიც კრუხიეით ქოთავს. ამ „ქვაბ-ეტლში" შებმულია ორი ქაჯუნა, მესამე კი ეტლის ძერას ზურგიდან შეელის.

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — (ქოთავს) — აჰ, ოჰ, უჰ!.

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — (შეჩერდებიან) — აა?.

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — რას გაჩერდით? გასწით!

(ქაჯუნები ეტლს დასძრავენ, დულარდუხტი ქოთვას განაგრძობს. ისევ შეაჩერებენ)

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — დაიძარით! გასწით!. (დასძრავენ) — დაიცათ!. შეჩერდით! ჩემი შვილი მოდის!..

(ქაჯუნები მაშინვე ეტლიდან გამოეხსნებიან და შესახვედრად მწკრივად დაიჩოქებენ. დულარდუხტიც გადმოდის. გამოჩნდება როშაქი, ზურგზე სავსე ტომარა ჰკიდია)

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — პატივი და დიდება სრულიად ქაჯთა მფლობელს, მძლეთა მძლე როშაქს!

რ ო შ ა ქ ი — ადექით! აჰა, ჩამომართვეით!.

(ქაჯუნები ტომარას ჩამოართმევენ)

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — საჭმელია, შვილო!

რ ო შ ა ქ ი — ოჰ, აგრე მოხარშეთ, ტანისამოსიანად, უფრო გემრიელი იქნება.

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — ადამიანია?

რ ო შ ა ქ ი — ჰო, მართალია, მოხუცია, მაგრამ მსუქანია!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — აბა, დატრიალდით! ჩქარა! მშია!.

(ქაჯუნები ქვაბს თვლებიდან გადმოიღებენ, საყუდქეებზე შედგამენ, პირიდან ნაკვერცხლებს გამოიძრობენ და ქვაბქვეშ ცეცხლს გაანაღებენ. როშაქი და დულარდუხტი ცალკე მუუდროდ დასხდებიან)

რ ო შ ა ქ ი — სადაც დაგაყენეთ, იქიდან არ უნდა დაძრულიყავით, იქ კარგი გამოქვაბული იყო!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — იყო, მაგრამ ცეცხლი აღარ დაინთო, შვილო, აღარ მოეკიდა.

რ ო შ ა ქ ი — უთუოდ ის ქალღმერთი მოგიახლოვდათ!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — დალი?

რ ო შ ა ქ ი — ჩუ! სახელს ნუ ახსენებ იმ ბერწი დიაცისას, ხომ ხედავ ნიავია!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — (მიხვდება, რომ წამოსცდა) ოი, ვახსენე, წამომცდა, გაუწყდეს იმას სახსენებელი!.. ნაცარა! მწითურა! კუპრა! მოდით, დაიჩოქეთ!

(ქაჯუნები მიირბენენ და მის წინ დაიჩოქებენ. დულარდუხტი ხელის დაქნევით ანიშნებს მათ)

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — სიკვდილი ადამიანთა ქალღმერთს!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — არა, ერთად! (დაუქნევს ხელს).

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — სიკვდილი მონადირეთა მფარველს!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — არ ვარგა! ხელს უყურეთ! ერთად! (ხელს დაიქნევს)

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — სიკვდილი დალს, სიკვდილი დალს!

რ ო შ ა ქ ი — (შოლტავს მათ) ჩუმად! სახელს ნუ ახსენებთ!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — (უნმარტავს) როგორც კი ახსენებთ მის სახელს, მაშინვე ნიავი წაიღებს, მიუტანს და ყურში ჩაუჩურჩულებს, მას ეგონება ადამიანი მიხმობს საშველადო და მყისვე ნიავის კვალს გამოჰყვება!

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — ოი, დაგვიფაროს ძლეთა მძლემ!

კ უ პ რ ა — ცეცხლი ჩაგვიქრება!

მ წ ი თ უ რ ა — მშივრები დავრჩებით!

რ ო შ ა ქ ი — ჰოდა, ქვაბს მიხედეთ! ბეერს ნუ ლაპარაკობთ! ჰაატ!

(ქაჯუნები ცეცხლთან მიირბენენ, როშაქი დედასთან ჩამოჯდება და ჩაფიქრდება. ქაჯუნები ეტლს მიუსხდებიან, ქვაბის შიშინში ძილი მოერევათ, თელემას დაიწყებენ)

რ ო შ ა ქ ი — დედავ!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — ა? (ბაუზა, როშაქი ფიქრმორეულია) — შვილო!.. რას ფიქრობ აგრე ჩაცეიებით, აგრე ჩაკინებით? რას?

რ ო შ ა ქ ი — როდემდის უნდა ვიმთაბაროთ ასე უბინაოდ, ასე მიუსაფრად?

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — სანამ ცოცხლები ვართ!

რ ო შ ა ქ ი — „სანამ“... „სანამ“... რატომ უნდა დაგაწანწალებდე ამ ქლდე-ღრეებში ასე დაუსრულებლად, მე სრულიად ქაჯთა მთავარი, რატომ? ბინა ყველასა აქვს: ციერს, ზღვიერს თუ მიწიერ სულდგმულს...

დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — ეჰ!..
რ ო შ ა ქ ი — ყველას!
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — რას იზამ?
რ ო შ ა ქ ი — რატომ უნდა მეშინოდეს მე ამ ტყეში ვიღაც ქალ-ღმერთისა? გეკითხები! რატომ ის უნდა ფლობდეს ადამიანს და არა მე? ა? მითხარი!
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — სულ ადამიანის ბრალია ყველაფერი!
რ ო შ ა ქ ი — ადამიანის...
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — ყველგან თავისი ღმერთი უნდა გაბატონოს!
რ ო შ ა ქ ი — გაბატონოს! ქაჯი არ ვიყო და იქ ფეხის შედგმა შე-მეძლოს...
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — სად?
რ ო შ ა ქ ი — მე ვიცი ვინც გაბატონდებოდა...
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — სად?
რ ო შ ა ქ ი — იმ ქალღმერთის სამფლობელოში!
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — (შეიცხადებს) უი! არა!
რ ო შ ა ქ ი — არა კი არა, იცოცხლე ადამიანზეც ჯავრს ვიყრიდი და მის ღმერთზეც, მაგრამ ახლა რა ვქნა, ქაჯი ვარ!
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — არა, შვილო, არა, იქ შენ კი არა, ადამიანიც ვერ შედის! მაგაზე ფიქრიც არ შეიძლება! შენზე ნაკლებად არ უცდიათ ეგ ჩვენს წინაპრებს, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩა-უარათ.
რ ო შ ა ქ ი — არა, მე არ უნდა ჩამიაროს...
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — მაგაზე ოცნებას თავი დაანებე!
რ ო შ ა ქ ი — არც ჩამივლის!
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — მე მაგაზე ფიქრმა დამაბერა...
რ ო შ ა ქ ი — არა, რაღაც უნდა ვიღონო.
ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — არიქა, ცეცხლი გვიქრება, ცეცხლი!
რ ო შ ა ქ ი — (წამოიჭრება) ჩუმად! ნუ წკმუტუნებთ! (დულარდუხტს) უთუოდ კიდევ გვიახლოვდება ის წყეული ქალღმერთი!
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — რა ექნათ?
რ ო შ ა ქ ი — ოხ, რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე, ქაჯი ვარ და ქალი მჯაბნის!.. დიაცი!.. მანდილოსანი!..
დ ე ლ ა რ დ ე ხ ტ ი — მანდილში ჰქონია ძალა იმ საცოფეს, შვი-ლო, და რას იზამ...
რ ო შ ა ქ ი — მაინც რა გახდა ასეთი ის მანდილი, რომ აღარც დაეხა, აღარც გაუცვდა, აღარც დაეკარგა!
ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — ჩაგვიქრა, სულ ჩაგვიქრა ცეცხლი!

რ ო შ ა ქ ი — (შოლტს წამოაელებს ხელს) გაჩუმდითო!... დედაჩემო, გასწით ახლავე და ჩადით იქ!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — სად?

რ ო შ ა ქ ი — ქვემოთ! მუხებში!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — შვილო, შენ?

რ ო შ ა ქ ი — წადით!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — აქ ხომ მისი ძალა დაგძლევს, შვილო!

რ ო შ ა ქ ი — ვიცი!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — მერე?

რ ო შ ა ქ ი — საქმე მაქვს! ერთი რაღაც უნდა ეცადო!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — (დაეჭვებით) რა? რა უნდა სცადო?

რ ო შ ა ქ ი — რაც არის, რა გინდა?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — (ხვეწნით და ტუქსვით) შვილო! რატომ არ მიმხელ? მითხარი რას აპირებ?

რ ო შ ა ქ ი — (პაუზის შემდეგ, ჩააჩერდება დედას) გითხრა?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ჰო, შვილო, ჰო!

რ ო შ ა ქ ი — (განდობით) ირემად უნდა ვიქცე!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რად გინდა ირმობა?

რ ო შ ა ქ ი — ის ხომ მონადირეთა ქალღმერთია, ჰოდა, იქნებ რა-გორმე მანდილი მოვტაცო!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — მანდილი?

რ ო შ ა ქ ი — ხომ კარგი იქნება, ა?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — თავს არაფერი აუტეხო!

რ ო შ ა ქ ი — არა!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — გაფრთხილებ! ვაი თუ...

რ ო შ ა ქ ი — რა იქნება? თუ მოვტაცე ხომ კარგი, თუ არა და რა იქნება? აბა ახლა ლაპარაკის დრო ალარ არის! გასწით! (სასწრაფოდ გაუშვებს მათ, რჩება მარტო. ტყე თანდათან ნათდება, ამ სინათლით შემკრთალი როშაქი უკან დაიწევს)

რ ო შ ა ქ ი — ო, ძალთა-ძალო! შენ მომიმართე ხელი იმ დიაცღმერთთან ბრძოლაში! (გადის. სინათლე უფრო იმატებს. ეროსმის შორეული გალობა დალისა და მისი ქალპეპლებისა, გამოჩნდებიან. მათი გალობა ჯერ უსიტყვოა)

დ ა ლ ი — (გალობის ფონზე) განვედ! განვედ! განვედ, სულო ბოროტო, არესაგან ამისა, არესაგან ამისა და განუტევე წიაღე ესე!

ქ ა ლ პ ე პ ლ ე ბ ი — (გალობით) განვედ... განვედ... განვედ!... (განაგრძობენ გალობას. ნაირი მოძრაობით ხან თაიგულს გამოსახავენ, ხან გვირგვინს და ხან რას).

(გალობის სიტყვიერება)

— წმინდა არის, წმინდა არს შუქი შენი,
ცაო მშობლიურო,
— წმინდა არს, წმინდა არს კალთა შენი,
არეე მშობლიურო,
გვახარე, გვახარე სიკეთითა შენითა...
— წმინდა არს, წმინდა არს წყალი შენი,
წყაროე მშობლიურო,
გვახარე, გვახარე ჩუხჩუხითა შენითა...
— წმინდა არს, წმინდა არს ტოტი შენი,
ტყეო მშობლიურო,
გვახარე, გვახარე შრიალითა შენითა...

დ ა ლ ი — (უეცრად შეჩერდება) არა, ეგ არა!

ქ ა ლ პ ე პ ლ ე ბ ი — (მყისვე გალობას შეწყვეტენ) რა? ღვთაებავ! რა? რა?

დ ა ლ ი — თქვენ ხომ იცით, რომ მე ყოველთვის მწუხარებით მევსება გული, როცა თქვენს შორის რომელიმეს მოწყენილს ვხედავ!

ს ა მ ი ვ ე — ჩვენ არა ვართ მოწყენილნი, საყვარელო ღვთაებავ!

დ ა ლ ი — არა, გთხოვთ ნუ დამიმალავთ! მე არ მინდა ვინმე ძალად მხიარულებდეს, ეს ხომ საშინელი სასჯელია სულისთვის, რატომ გაჩუმდით? იქნებ არ გსურთ გამქელავნება? კეთილი, რა გაეწყობა, ძალას არ დაგატანთ!

რ უ — შენთან რა გვაქვს დასამალავი, ღვთაებავ! სიომ და ნიბლიამ აწყენინეს ერთმანეთს.

დ ა ლ ი — ა? მერე, რატომ? საყვარელო მეგობრებო! ახლავე მიეცით ხელი ერთმანეთს, ახლავე! (ნიბლია ხელს კი გაუწვდის სიოს, მაგრამ პირს მიიბრუნებს და ატირდება, დალი მაშინვე მოეხვევა ნიბლიას).

დ ა ლ ი — რატომ? რისთვის? რა გატირებს, ჩემო ნიბლიავ?

ნ ი ბ ლ ი ა — არაფერია! მაპატიეთ!..

დ ა ლ ი — მაგას კი ვერ დაგითმობ! ცრემლის მიზეზი უნდა მითხრა!

ნ ი ბ ლ ი ა — არ მიყვარხარო... მძულხარო...

დ ა ლ ი — სიო! არა გრცხვენია?

ს ი ო — რა ვქნა? არ მიჯერებს, ჯიუტობს, გაოფლიანებული ნაშიან ბალახზე წვება, ცხელ გულზე ცივ წყაროს ეწაფება, ხომ იცით, რა სუსტია, გაცივდება, ვერ აიტანს... არ შემიძლია, არ... (ტი-

რილი აწყვეტინებს. დალი დიდად ქმაყოფილი ორივეს ერთად მოეხვევა. გაისმის მონადირეთა ბუკის ხმა).

დ ა ლ ი — გესმით? ადამიანები სანადიროდ მოსულან ჩვენს ტყეში!

რ უ — მწევარ-მეძებრებს მოუხმობენ!

დ ა ლ ი — რა კარგია! მიყვარს ადამიანი!

ს ა მ ი ვ ე — მეც! მეც! მეც!

დ ა ლ ი — წავიდეთ, მივეხმაროთ, დავიცვათ იგი ავი სულისაგან!

ს ა მ ი ვ ე — წავიდეთ! წავიდეთ!

(აფრიალებენ მანდილებს და გაიქცევიან, უეცრად ირემი ჩაუქროლებთ და რქებით მანდილს მოსტაცებს დალს. დალი შეკივლებს).

დ ა ლ ი — მიშველეთ! მანდილი მომტაცა, მანდილი! არიქა დაედევ-ნეთ! (დაედევნებიან. თვალს მიეფარებიან. ირემი კვლავ გამოჩნდება და სხვა გზით გაიქცევა).

მ ო ნ ა დ ი რ ე თ ა ხ მ ე ბ ი — (ყიჟინით) დახვდი! არ გაუშვა! აბა მარჯვედ, კანჯავ! კვესიავ! ბაძგურავ! ეცი ჰოუ! ეცი! (ძაღლების ყეფა. მონადირეთა შეძახილები, ყოველ მხრიდან შემოუტევენ და მოიმ-წყვდევენ, ირემს გზა აღარა აქვს, გაჩერდება).

გ უ ჯ ა ბ ა — მხედართმთავარო!

შ ე რ გ ი ლ ი ს ხ მ ა — მოვდივარ! ჯერ ნუ დავკლავთ, ნუ!.. ჯერ აგრე ცოცხლად ვაჩვენოთ მეფეს! (შემოდის შერგილი) ნეფე აგერ იქა ბრძანდება... (მხლებელთაგანს) გაიქეცი და მოახსენე ირმის დაჭერა! (მხლებელი გარბის) — გუჯაბავ!

გ უ ჯ ა ბ ა — ბრძანე, მხედართმთავარო!

შ ე რ გ ი ლ ი — ეს რა არის? ირმის რქაზე მანდილს რა უნდა?

გ უ ჯ ა ბ ა — რა მოგახსენო, მხედართმთავარო, არ ვიცი...

შ ე რ გ ი ლ ი — საოცარია! (ირემს მანდილს აცლის და უბეში ჩაიდებს. ამ დროს შემოვლენ დალი და ქალპეპლები)

დ ა ლ ი — მხედართმთავარო! ეგ მანდილი ჩემია, მომეცი!

შ ე რ გ ი ლ ი — შენ ვინა ხარ?

დ ა ლ ი — მე დალი ვარ!

შ ე რ გ ი ლ ი — (გაოცდება) რას ამბობ?

დ ა ლ ი — დიახ!

შ ე რ გ ი ლ ი — მონადირეთა ქალღმერთი?!..

ქ ა ლ პ ე პ ლ ე ბ ი — დიახ, დიახ, მხედართმთავარო, ეს დალია, და-ლი.

შ ე რ გ ი ლ ი — ნუთუ მართლა! უსათნოესო და უმშვენიერესო ქალ-ღმერთო, ბედნიერი ვარ შენი ხილვით და თაყვანსა გცემ შენ! (დაიჩოქებს მთელი თავის მხლებლებით)

დ ა ლ ი — იცოცხლე, მხედართმთავარო! დამიბრუნე ჩემი მანდილი!

შ ე რ გ ი ლ ი — აჰა, ინებე, ქალღმერთო! (უბიდან მანდილს ამოიღებს და გაუწოდებს, მაგრამ შეჩერდება) მართლა... (უმალვე უკან წაიღებს თავისთვის): ეს ხომ ყოველის შემძლე მანდილია... დალის მანდილი! მე ამით ყველაფერს შეეძლებ! (უეცრად ჩოჩქოლი ატყდება).

ხ მ ე ბ ი — მეფე! მეფე მობრძანდება!

(შემოდიან მეფის მხლებლები, შემდეგ თვით მეფე)

მ ე ფ ე — ამ საძოვრებმა ჩემი ჭაბუკობა მომაგონა! რამდენი კარგი რამ მახსენდება: ცხვარში ყოფნა, ნადირობა, ცხენთა გელვება, ღამისთევა, სეირი და ხალისი... ეს ირემი მოინადირეთ? იფ! რა კარგი ირემია!..

შ ე რ გ ი ლ ი — ახლავე დავკლავთ და ცვრიან წვადებს მოგართმევთ, მეფეო! (ირემი ატირდება)

მ ე ფ ე — ოხ, რა საცოდავად ტირის ეს ირემი, როგორ მებრალება, მოდი, ნუ დავკლავთ!

შ ე რ გ ი ლ ი — ჰმ! მეფეო!

მ ე ფ ე — ოჰ, ოჰ, ცოდვაა!.. (ირემი მეფეს ტუჩს ფეხზე მიადებს) ხედავთ? ფეხზე ჰკოცნის ეს საბრალო. გაეხარდა სიცოცხლე რომ დავუბრუნე და მადლობას მიხდის! (რქებზე ხელს უსვამს)— საწყალი ირემი! შერგილო, მოდი შენც მოეფერე!

შ ე რ გ ი ლ ი — მაშ რაღად ვიჭერდით, მეფეო, თუკი აგრე ლმობიერად მოვექცეოდით?

მ ე ფ ე — რა უშავს, იცოცხლოს, მადლია! ამ საძოვრებმა... რას ვამბობდი? ჰო, ჩემი ჭაბუკობა მომაგონა... გუჯაბა სად არის, გუჯაბა?

გ უ ჯ ა ბ ა — აქ გახლავარ, მეფეო!

მ ე ფ ე — სანამ მტერი განსვენებულ მამაშენს დაგვიღუპავდა...

გ უ ჯ ა ბ ა — ვიცი, მეფეო, აქა ჰყოლია თავისი დიდი ფარა!

მ ე ფ ე — ჰო, აქა! შენ არ გემახსოვრება!

გ უ ჯ ა ბ ა — მაშინ აკვანში ვყოფილვარ, მეფეო.

მ ე ფ ე — კეთილი მწყემსი იყო, კეთილი! მიყვარდა... შენ რატომ არ ინდომე მწყემსობა?

გ უ ჯ ა ბ ა — იცოცხლე ვინდომებდი, მეფეო, მაგრამ რაღა შემარჩინა მტერმა მოსამწყემსავი?

მ ე ფ ე — მომიცია შენთვის ერთი ფარა ცხვარი! შუბს ისევ კომბალი გერჩიოს და ფარსა ფარა! რას იტყვი?

გ უ ჯ ა ბ ა — გულითად მადლობას მოგახსენებ, ჩემო მწყალობელო!

მ ე ფ ე — დადექი ამ საძოვრებზე და განაგრძე უკვდავება მამა-შენისა!

ბ უ ჯ ა ბ ა — იცოცხლე, მამავ და პატრონო!

მ ე ფ ე — ეჰ! ნეტავ მართლაც მამა ვიყვე, ასე უშვილძიროდ არ გადავდიოდე და.. იქნებ მაგ საცოდავ ირემსაც უპატრონოდ რჩება შვილები, გაუშვით! წადი, ირემო, დაუბრუნდი ოჯახს და იცხოვრე ტკბილად.

დ ა ლ ი — გაუშვით! მეც მიპატიებია მაგისთვის ჩემი მანდილის მოტაცება! (ირემი გაიქცევა)

მ ე ფ ე — ეს ვინ არის?

შ ე რ გ ი ლ ი — ეგ დალია, მონადირეთა ქალღმერთი!

მ ე ფ ე — (შეიცხადებს) "დალი?.. მერე? რატომ აქამდის არ მითხარით? თაყვანსა გცემ, ქალღმერთო, და მოწიწებით ვეამბორები კალთასა შენსასა (აპირებს დაიჩოქოს და ეამბოროს კალთაზე, მაგრამ შერგილი მუისვე შეაჩერებს)

შ ე რ გ ი ლ ი — მეფეო, მუხლი არ მოიყარო მაგის წინაშე!

მ ე ფ ე — რატომ?

შ ე რ გ ი ლ ი — ეგ უკვე აღარ არის ღმერთი!

ყ ვ ე ლ ა — რას ამბობ? რას? რას?..

შ ე რ გ ი ლ ი — მაგის ყოვლისშემძლე მანდილი აგერ აქა მაქვს!

დ ა ლ ი — (ტირის) დამიბრუნე მანდილი!

შ ე რ გ ი ლ ი — მაგას ახლა აღარავითარი ღმერთობა აღარ შეუძლია!

ქ ა ლ პ ე პ ლ ე ბ ი — დაუბრუნე! დაუბრუნე ჩქარა მანდილი!

შ ე რ გ ი ლ ი — (შეუტევს ქალპეპლებს) თქვენ ვინღა ხართ? იქით გამშორდით! (დალი ტირის)—რა გატირებს? შენ ხომ ადამიანის კეთილდღეობისთვის გინდოდა შენი ძალა და შენი ღმერთობა, ჰოდა, მე აქ არა ვარ? ამ მანდილს მე შენზე უკეთ გამოვიყენებ! (აფრიალებს მანდილს)

მ ე ფ ე — ოჰო, ხედავთ, რა ზრახვები ჰქონია შერგილს!. (გამოართმევს მანდილს და სინჯავს) ჰმ... საოცარია, დახედავ ჩვეულებრივ ქსოვილსა ჰგავს და ამხელა ძალა კი ჰქონია!

შ ე რ გ ი ლ ი — ეჰეი! მე მაგ მანდილით ყველაფერს მივაღწევ! მაგ მანდილით მე ისეთი მეფე უნდა გავხდე...

მ ე ფ ე — რაო?!

ყ ვ ე ლ ა — რაო? რაო?..

შ ე რ გ ი ლ ი — (მიხვდება, რომ წამოცდა) არაფერი!

მ ე ფ ე — რაც წამოგცდა, იმითაც საკმაოდ გასთქვი და გაეცი შენი თავი, გიჯობს ყველაფერი გულწრფელად აღიარო!

შ ე რ გ ი ლ ი — მეფეო, მერწმუნეთ არაფერია, სულ არაფერი... არაფერი... (ხვეწნა-ვედრებით მიიწევს მეფისაკენ და უეცრად მანდილს

წაეტანება გამოსატაცებლად, მაგრამ მეფე დაასწრებს და მანდილიან ხელს უკან წაიღებს)

მ ე ფ ე — როგორ? წართმევას მიპირებ?

შ ე რ გ ი ლ ი — შენ მიპირებ, მეფეო, წართმევას!

მ ე ფ ე — უკან, უკან დაიწი! მე მანდილი ჩამოგართვი, შენ კი თურმე მეფობის წართმევა გდომია ჩემთვის...

შ ე რ გ ი ლ ი — (რისხვამორეული) მომეცი, მანდილი მომეცი, ცოცხალი თავით არავის დაგითმობთ! (მეფე და შერგილი ხმლებს იშიშვლებენ, მხლებლები მეფის დასაცავად დაიძერებიან)

გ უ ჯ ა ბ ა — მხედართმთავარო! მეფეო!

მ ე ფ ე — დაიცათ! მაგას მე თვით გავუსწორდები!

(მეფე და შერგილი შეერკინებიან ერთმანეთს, ქალპეპლები შეკიელებენ და დალს შემოეხვეიან. დაჯახებულ ხმლები ნაპერწკლებს ჰყრიან)

დ ა ლ ი — ხედავთ, რა ყოფილა ადამიანი, ღმერთს ძალა წაართვა, რომ მეფეზე გამეფდეს, მე კი ყველაზე მეტად მიყვარდა იგი და ვიცავდი მას.

მ ე ფ ე — (იბრძვის და თან დალის მიმართავს) არა, ქალღმერთო, მე ახლავე დაგიმტკიცებ, რომ ადამიანი მხოლოდ ის კი არ არის, რასაც შენ ამ ვაჟბატონში ხედავ, არამედ ისიც, რასაც ახლავე დაგანახებ! (ფიცხლად შეუტევს, ხმალს გააგდებინებს და დასცემს შერგილს. მანდილს ისევ დალს მიართმევს)

შ ე ფ ე — აჰა!.. იღმერთე, ღვთაებავ! შენ კი, შერგილო! მოგკლავდი, მაგრამ სულიერად უკვე მკვდარი ხარ და ხორციელად ეგდე აგრე დაცემული და შერცხვენილი! (დალს) — იღმერთე, იღმერთე, ღვთაებავ, და გახსოვდეს, რომ ადამიანმა გაგაღმერთა! რა გემართება? მაინც ტირი?

დ ა ლ ი — არა, არა! ეს სიხარულის ცრემლია, მე ის მახარებს, რომ ადამიანში არ მოეტყუედი!

(დაიწყებენ გალობას)

— წმინდა არს, წმინდა არს გული შენი,

მიწაე მშობლიურო,

გვახარე, გვახარე ძეთა მიერ შენითა...

(ვალობით გადიან. სცენაზე რჩება მხოლოდ თავქვე დამხობილი შერგილი. მცირე ხნის შემდეგ შერგილის უკან ამოძერება როშაქი და შერგილს ძერასავით თავს წამოადგება, მოსასინჯად ბეჭზე ფეხის წვერს წაჰკრავს)

რ ო შ ა ქ ი — ადამიერო!

შ ე რ გ ი ლ ი — (უძრავად) ვინა ხარ?

რ ო შ ა ქ ი — მე შენი იდუმალი გულისთქმა ვარ!

შ ე რ გ ი ლ ი — ჩემი?.. მერე?

რ ო შ ა ქ ი — შენ გალმერთება გინდოდა და მეფემ დაგცა, ხომ?
შ ე რ გ ი ლ ი — დამცა, ისე დამცა, მიწასთან გამასწორა!
რ ო შ ა ქ ი — წამოდექ!
შ ე რ გ ი ლ ი — ვერა!.. მე უკვე ველარ შეეძლებ ჩემით წამოდგომას!
რ ო შ ა ქ ი — ჰოო... მაშ, მომეცი ხელი, მე წამოგაყენებ!
(შერგილი ხელს გაუწვდის, როშაქი წამოაყენებს)
შ ე რ გ ი ლ ი — ოიჰ!..
რ ო შ ა ქ ი — რადგან ფეხზე წამოგაყენე, დღეიდან შენი მესაჭეც მე ვიქნები!
შ ე რ გ ი ლ ი — მესაჭეო? რით? რა შემწეობას მპირდები, რა დახმარებას მიქადი?
რ ო შ ა ქ ი — სამაგიერო ხომ გინდა მიუზღო შენს დამცემს!
შ ე რ გ ი ლ ი — (გზნებით) დიახ! მე ახლა მხოლოდ ეგ მწყურია, მხოლოდ ეგ მასულდგმულებს, ოღონდ არ ვიცი, რა გზით და რანაირად!
რ ო შ ა ქ ი — მაგას მე გეტყვი, მხოლოდ ჯერ ის უნდა გავიგო ვის შეუძლია... (შეჩერდება)
შ ე რ გ ი ლ ი — (წადიერად) რა?
რ ო შ ა ქ ი — (მთამაგონებლად) იცოდე, ეს ისეთი საიდუმლოა, ბეწვზე ჰკიდებს ჩვენს ყოფნა-არყოფნას!
შ ე რ გ ი ლ ი — გამანდე, გამანდე, შენი ვარ!
რ ო შ ა ქ ი — ვის შეუძლია იმ ქალღმერთის სამფლობელოში შეხვლა და სანთურის გამოტანა?
შ ე რ გ ი ლ ი — რა სანთურის? ლამპრის?
რ ო შ ა ქ ი — ჰო!
შ ე რ გ ი ლ ი — სიბრძნის ლამპრის გამოტანა?
რ ო შ ა ქ ი — ჰო!
შ ე რ გ ი ლ ი — რას ამბობ? ეგ რამ გაფიქრებინა? კვარი ხომ არ არის!
რ ო შ ა ქ ი — ვიცი, რაც არის, ჰოდა, ვის შეუძლია? ვის?
შ ე რ გ ი ლ ი — რა გითხრა? ადამიანს! მხოლოდ...
რ ო შ ა ქ ი — რა? რა?..
შ ე რ გ ი ლ ი — ოხ, ისეთ რამეს მეუბნები, გიჯობს მაგაზე ნურც იფიქრებ, მაგას ვინ გაბედავს.
რ ო შ ა ქ ი — რატომ? გამბედავი სწორედ ადამიანია...
შ ე რ გ ი ლ ი — ეგ კი, მაგრამ მაგას რატომ იზამს? რისთვის?.. ან რაიმე დიდმა შიშმა უნდა გააბედვინოს, ან რაიმე დიდმა წადილმა.

რ ო შ ა ქ ი — აჰა... (დაფიქრდება) არის ერთი ბალახი, რითაც...

შ ე რ გ ი ლ ი — რა ბალახი?

რ ო შ ა ქ ი — ჩვილ ყრმას გულზე უნდა წაუსვა და ჩაუთქვა...

შ ე რ გ ი ლ ი — რა?

რ ო შ ა ქ ი — ვისაც ჩაუთქვამს, ის შეუყვარდება!..

შ ე რ გ ი ლ ი — რას ამბობ? (როშაქი ფიქრმორეულია) შენ ის მასწავლე მეფეს როგორ მიეუზღო სამაგიერო!

რ ო შ ა ქ ი — მე შენმა მეფემ სიკვდილისაგან მიხსნა და ახლა სამაგიეროდ... (განგებ შეჩერდება).

შ ე რ გ ი ლ ი — რა?

რ ო შ ა ქ ი — (ცდით) სამაგიეროდ იგი უნდა გავახაროთ!

შ ე რ გ ი ლ ი — (შეიცხადებს) რას ამბობ? გავახარო თუ გავამწარო?

რ ო შ ა ქ ი — ეგეც იქნება! იმ ბალახით ორივე ერთად მიეზღვის: სიხარულიც და მწუხარებაც!

შ ე რ გ ი ლ ი — რანაირად?

რ ო შ ა ქ ი — გამიძეხ!

შ ე რ გ ი ლ ი — ეგ რა ამ კითხვის პასუხია?

რ ო შ ა ქ ი — გამიძეხ! გეტყვი!

(შერგილი მორჩილად გასწევს. როშაქი მას შორიდან, როგორც მეეტლე, უჩინარი სადავით მოქაჩავს, შეაჩერებს და სადავის ცალი ტოტით თავს მოაღრეცინებს, შერგილი სიმწრით დაიგრიხება და დაიგმინებს)

რ ო შ ა ქ ი — ახლა ხომ დარწმუნდი, რომ სულითაც და ხორცითაც ჩემ ხელთა ხარ!

შ ე რ გ ი ლ ი — დავრწმუნდი!

რ ო შ ა ქ ი — ჰოდა, მაშ... (წინ წაუსწრებს) მომყევი!

(შერგილი მორჩილად გაჰყვება)

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მეორე სურათი

მეფის ციხე-გალავანი შიგნიდან. მაღალ სამზირზე კიბე ადის. წინა პლანზე ტალავერია. სასხდომად სკამძელები და შნოიერი გვედო-კუნძები ალაგია. ფრთხილად შემოდიან ძველმანებგადაცმული შერგილი და როშაქი.

შ ე რ გ ი ლ ი — აი, მოგიყვანე, ეს არის მეფის ციხე-გალავანი!

რ ო შ ა ქ ი — აჰა! ჯერ არავინ ჩანს!.. ადრეა?

შ ე რ გ ი ლ ი — ჰო, თუმცა არც ისე ადრეა... მალე გამოვლენ! როდესაც ბუკ-საყვირებს დაუკრავენ, ამ კარიბჭედან მეფე გამოვა თავისი დედუფლით, მხლებლებით. ამ კიბით იმ სამზირზე ავლენ და გადაადგებიან...

რ ო შ ა ქ ი — რატომ?

შ ე რ გ ი ლ ი — ხომ გითხარი! დღეს დიდი დღეობაა „მწყალობლობა“...

რ ო შ ა ქ ი — ეგ კი, მაგრამ მე ხომ უნდა ვიცოდე, რას ნიშნავს ეგ დღეობა, წყალობის დღეა?

შ ე რ გ ი ლ ი — ჰო. ეს „დღე“ ოც წელიწადში ერთხელ მოდის, ხალხს ოქროსა და თვალმარგალიტს უწყალობებენ.

რ ო შ ა ქ ი — რისთვის?

შ ე რ გ ი ლ ი — იქნებ ბედმა გულისწადილი შეუსრულოს მწყალობლებს!

რ ო შ ა ქ ი — აჰა! მივხვდი. მაშ ის შენი ნაყმევებიც აქ ეახლებიან მეფეს, არა?

შ ე რ გ ი ლ ი — ჰო, მეფე დღეს უარს ვერავის ეტყვის!

რ ო შ ა ქ ი — მესმის! ხალხი სად იქნება?

შ ე რ გ ი ლ ი — გალავანს მოადგება ქვევიდან!

რ ო შ ა ქ ი — მე აგერ ამ ხეს ამოვეფარები!

შ ე რ გ ი ლ ი — თუ გინდა ნურც ამოეფარები!

რ ო შ ა ქ ი — მაშ, რომ მკითხონ აქ საიდან შემოხვედიო?

შ ე რ გ ი ლ ი — დღეს სასახლის კარიბჭე ყოველი ქვეშევრდომისათვის ღიაა.

როშაქი — აჰა! კარგი. თუმცა მე მაინც დამალვას ვარჩევ!

შერგილი — მაშ ისე დაიმალე, დამალულს არ ჰგავდე, რომ შეგეტყოს, დაეჭვდებიან. მაშ ახლა მე აქ აღარ გჭირდები, უკანვე გავბრუნდები, არ მიცნონ! (მოისმის გუჯაბას ხმა)

გუჯაბას ხმა — ჰეი, მშვიდობა აქაურობას! პილატე არ გინახავთ? პილატეს დავეძებ, პილატეს!

პილატეს ხმა — აქა ვარ, გუჯაბავ, აქა!

(შერგილი მყისვე გაიპარება, როშაქი ხეს ამოეფარება. სხვადასხვა მხრიდან შემოდიან პილატე და გუჯაბა)

გუჯაბა — პილატეს გაუმარჯოს!

პილატე — გუჯაბას ვახლავარ! როგორ გიკითხო, ძვირო სტუმარო, რასა იქმ ოჯახად, ცხვარში, ხომ კარგადა ხართ?

გუჯაბა — იცოცხლე!.. ვართ!

პილატე — შენ რაღაც გუნებაზე ვერა ხარ!

გუჯაბა — შენთან მოციქულად ვარ მოგზავნილი!

პილატე — ვინ მოგაგზავნა?

გუჯაბა — ხალხმა!

პილატე — ა?!

გუჯაბა — დიახ! ამ საქმისათვის შენზე უმჯობესს ვისღა გამოვნახავთო, შემოგითვალეს!

პილატე — რა ამბავია?

გუჯაბა — მეფესთან უნდა გვიმოციქულო დღევანდელი დღის თაობაზე.

პილატე — რა უნდა გიმოციქულოთ?

გუჯაბა — არავითარი წყალობა არ გაიღოს დღეს მეფემ, არ გვინდა!

პილატე — (გაოცებული) რას ამბობ, გუჯაბავ? ხუმრობ?

გუჯაბა — როგორ მატყობ? არა გჯერა?

პილატე — რა არის დასაჯერი? ეს სანატრელი დღე ოც წელიწადში ერთხელ მოდის, მეფეც და ერიც თავის ნუგეშად და იმედად ამ დღეს მოელის და შენ რას მეუბნები? რასა?

გუჯაბა — ვიცი, ჩემო პილატე, განა ჩვენ კი ნაკლებად ველოდით, მაგრამ სხვა გზა რომ აღარა გვაქვს, რა ქნათ?

პილატე — რა ამბავია?

გუჯაბა — აბბავი დიდი, მძიმე!

პილატე — მაინც რა არის?

გუჯაბა — (ფრთხილად) საშერგილოდან მოსულან...

პ ი ლ ა ტ ე — (აწყვეტინებს) არავითარი საშერგილო აღარ არსებობს, ახლა იგი თავისუფალი საგვართემოა!

გ უ ჯ ა ბ ა — ჰოდა, სწორედ ისინი მოსულან, უნდათ მეფეს ჩვენი საძოვრები სთხოვონ!

პ ი ლ ა ტ ე — (შეიცხადებს) რა? საძოვრებიო?!..

გ უ ჯ ა ბ ა — ჰო, ჩემო პილატეე, ჰო!

პ ი ლ ა ტ ე — ეგ რა მაცნობე, გუჯაბავ!

გ უ ჯ ა ბ ა — დრო იხელთეს, დრო, იმ ვერაგებმა, დღეს მეფე უარს ვერავის ეტყვის და დავიღუპებით!

პ ი ლ ა ტ ე — შენ ეგ ვინ გაუწყა?

გ უ ჯ ა ბ ა — ხალხმა შეიტყო საიდუმლოდ, ხალხმა! გნებავს ქვეყით ჩამობრძანდი, ჩვენი თავკაცები იქ არიან, მოელაპარაკე!.. (პილატე და გუჯაბა საჩქაროდ გადიან. გამოჩნდება როშაქი).

რ ო შ ა ქ ი — აი თურმე რა მომხდარა! ჩანს საშერგილოში ვიღაცას გაუთქვამს თავის ძმათა საიდუმლო! იშლება შერგილის დაგებული მახე! (ჩაეცინება) ჰმ!.. ადამიერო, ადამიერო, კიდეგ კარგი, რომ გამცემი ხარ! შენ რომ შენი ძმის გამცემი და მოღალატე არ ყოფილიყავ, შენი მომრევი ქვეყანაზე არ იქნებოდა... მე ხომ შენი სულის ციხე-სიმაგრეს ვერასოდეს ვერ ავიღებდი! (გაისმის ბუკ-საყვირების ხმა, როშაქი ხეს ამოეფარება. შემოდიან მხლებლები, შემდეგ მეფე და დედუფალი. მსახურებს გობებით შემოაქვთ ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი. კიბით სამზირზე ადიან. მეფე რომ სამზირიდან გადაადგება, ქვეყიდან ხალხის ძლიერი ტაშის გრიალი გაისმის)

მ ე ფ ე — გამარჯობა, ყოველო შვილო და შვილობილო ჩვენი ერისა! გილოცავ დღეის დღეს! ცოცხლობდე და დღეგრძელობდე, სიბრძნით, სიმართლით, მხნეობით და მაღალზნეობით, ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე.

ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ა — ვაშაა!.. ვაშაა!...

(შეძახილები იქცევა ძველთა-ძველ ქართულ სამეფო ჰიმნად — მრავალჟამიერად. მღერის ყველა. ჰიმნის დასასრულისას გაისმის სამხედრო დაფდაფების მძლავრი საკვეთილო მგზავრული)

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა კარგია ჩვენი ერი, ჯარი, მხედრობა! ჩვენი ახალი მხედართმთავარი რა ბრწყინვალედ მოუძღვის ლაშქარს!

მ ე ფ ე — გაუმარჯოს კაცთმოყვარე სამართლიანობის მოსარჩლესა და დამცველ ძლიერებას!

ხ ა ლ ხ ი ს ხ მ ა — ვაშა! ვაშა! გაუმარჯოს!

მ ე ფ ე — (მსახურებს) აბა მოიღეთ ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი! (მსახურები მიართმევენ. დედუფალი გობიდან პეშვით ამოიღებს ფულსა და ლარს, რათა სამზირიდან ხალხს გადაუყაროს, ამ დროს შემორბის პილატე ქაქანით)

პ ი ლ ა ტ ე — არიქა! მოითმინეთ, მეფეო! დედუფალო!

მ ე ფ ე — რა ამბავია?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა მოხდა?

ყ ვ ე ლ ა — რა არის? რა? რა? (ამ შეძახილებით საჩქაროდ ჩამორბიან და გაეშურებიან პილატესკენ. პილატე მოკრძალებით ეჩურჩულება მეფე-დედუფალს, ყველა ცნობის წადილით შეჰყურებს მათ).

მ ე ფ ე — (შეწუხებული, საგონებელში ჩავარდნილი) უკანვე წაიღეთ ყველაფერი! (მსახურებს ყველაფერი გააქეთ. მხლებელ-დიდებულთაგანს სურს რაღაც შეკითხვა შეჰკადროს მეფეს, მაგრამ ფიქრმორეული მეფე სწორედ ამ დროს ჩაიქნევს ხელს და დედუფალი ეეღარას შებედავს, უკან დაიწევს და სხვებსაც გასვლას ანიშნებს. ყველა მორჩილად გადის, დედუფალი გადაინაცვლებს და განმარტოვდება. დაფდაფთა ხმა თანდათან შორეული გახდება და მისწყდება. პილატე მოშორებით დგას და მეფეს შეჰყურებს. უეცრად გაისმის დედუფლის ჩუმი და უმწეო ქვითინი. მეფე და პილატე მაშინვე დედუფალთან მივლენ. დედუფალი თავს შეაკავებს ცრემლს მოიწმენდს)

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ვიცი, ვიცი, რასაც მეტყვით, მართალია, არ უნდა ვტიროდე, ჩემი სისუსტეა ვიცი, მაპატიეთ, აღარ ვიტირებ.. აღარ... (ტირილი ისევ მოერევა, მაგრამ დასძლევს) — ოცი! ოცი წელიწადი ველოდი დღევანდელი დღის გათენებას, ვამზადებდი სხვადასხვა საბოძვარს, სასოებით, მთელი ჩემი არსებით, ვოცნებობდი, იქნებ მეც მღირსებოდა შვილი, მეც გავმხდარიყავ დედა...

მ ე ფ ე — განა მე კი შენზე ნაკლებად ვსასოებდი, შენზე ნაკლებად ველოდი?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რაღა ფასი აქვს ჩემს ცხოვრებას უშვილოდ, უსიხარულოდ...

მ ე ფ ე — ჰმ! ჩემსას?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — მერე?

მ ე ფ ე — რას იზამ? ასე გახდა საჭიროა! მე და შენ მოვალე ვართ დავთმოთ ქვეყნისთვის პირადი ბედნიერება!
(გაისმის ქალთა მოთქმაგოდებითი ტირილი. გაუკვირდებათ. პილატე სამზირზე აირბენს და გადახედავს).

პ ი ლ ა ტ ე — ხალხი წასულა, მხოლოდ სამი დედაკაცი დარჩენილა და ისინი ტირიან..

მ ე ფ ე — ჰმ! ჩემსას? რა მოსვლიათ მაგ საცოდავებს?

პ ი ლ ა ტ ე — რა მოგახსენო, შენი პირიმე!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — აქ ამომგვარე ეგენი, პილატე!

პ ი ლ ა ტ ე — (უხმობს) დედაკაცებო! ამოდით აქა, ამოდით! (დედუ-ფალს) გეახლებიან, დედუფალო!

(დედუფალს მეფისთვის რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ თავს შეიკავებს)

მ ე ფ ე — სთქვი! სთქვი! მითხარი!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რაღა გითხრა, ღვთაების მანდილი ხელთ გქონდა და...

მ ე ფ ე — ოო... მაგაზე ნურას მეტყვი! ხალხმა დალი გააღმერთა და არა შერგილი, მე სამართლიანი ვარ!

(შემოდიან ქალები და დაიჩოქებენ)

ქ ა ლ ე ბ ი — გეთაყვანებით! გეთაყვანებით! დღეგრძელობა ჩვენს მეფესა და დედუფალსა!

მ ე ფ ე — იცოცხლეთ! წამოდექით! (ქალები წამოდგებიან)

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა გაგვირვებიათ? რა გატირებდათ?

ბ ე რ დ ი ს ო — ჩვენი უსაშველობა, დედუფალო!

მ ე ფ ე — ვინა ხართ?

ს ა ლ ი ხ ე — შენიანები გახლავართ, მეფეო! უპატრონოდ, უსახსროდ და უმწეოდ დარჩენილნი.

ჩ ე ჩ ე ლ ა — ჩვენი ერთადერთი იმედი დღეისდღე იყო და ესეც ასე უბედოდ გაგვითენდა!

ბ ე რ დ ი ს ო — ვიცით თქვენი მოწყალე გულის ამბავი, მაგრამ ვაი რომ ვერც ვერ რას თქვენ გასცემთ და ვერც ვერ რას ჩვენ წავიღებთ თქვენგან ნაწყალობარსა. ხალხმა თავისთვის ასე ამჯობინა!

ს ა ლ ი ხ ე — ასე ამჯობინა და არ ეღალატებისi

მ ე ფ ე — სწორია! ხალხს არ ეღალატებისi

დ ე დ უ ფ ა ლ ი—ნამდვილი საწყალობელნი კი ესენი, სწორედ ესენი ყოფილან!

მ ე ფ ე — ჭეშმარიტად!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ამათი შველით იქნებ ჩვენს უშვილობასაც დადგომოდა საშველი!

მ ე ფ ე — რა ვქნათ? რა ვიღონოთ? (ფიქრის შემდეგ) ქალებო! დარჩით აქ, ჩვენთან სასახლეში! დარჩით და იცხოვრეთ!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ჰო, დარჩით!

ქ ა ლ ე ბ ი — ოიჰ!.. მეფეო!.. დედუფალო!

(აღფრთოვანებული ქალები მეფე-დედუფალს კალთებზე სამთხვევად დაუჩოქებენ, მაგრამ მეფე-დედუფალი მათ მაშინვე წამოაყენებენ)

დ ე დ უ ფ ა ლ ი — პილატე! წაუძეხი ამათ სამოახლოში!

(პილატეს ქალები გაპყავს. გამოჩნდება როშაქი და თავს მდაბლად დაკრავს მათ)

მ ე ფ ე — შენ ვინღა ხარ?

რ ო შ ა ქ ი — არც მე ვარ შორებელი, მეფეო!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — (მეფეს ჩუმად აფრთხილებს) საშერგილოდან იქნებაა...

მ ე ფ ე — (როშაქს) დღეს ჩვენ...

რ ო შ ა ქ ი — (აწყვეტინებს) ვიცი, მეფეო, ვიცი! მართალია მოწყალების გაღება სადღეისოდ თითქოს უარყავით, მაგრამ...

მ ე ფ ე — (აწყვეტინებს) რას ქვია „თითქოს"?!

რ ო შ ა ქ ი — მაშ რა არის? თავს იტყუებთ? იმაზე მეტი მოწყალება რაღა იქნება, რაც იმ დედაკაცებს განუჩინეთ!..

დ ე დ უ ფ ა ლ ი — (ჩუმად მეფეს) ეს რა თავხედობაა?!.

მ ე ფ ე — (დედუფალს) დააცა!.. (როშაქს) განაგრძე! (შემოდის პილატე).

რ ო შ ა ქ ი — დიახ! ასეა, მაგრამ ნუ სწუხართ! მე თქვენთან მოწყალების სათხოვნელად არ მოვსულვარ! მოწყალება მე თვით მინდა მოვიღო თქვენზე.

ო რ ი ვ ე — (გაოცებით) აა?!

რ ო შ ა ქ ი — დიახ! დიახ!

მ ე ფ ე — კარგი მოყმე აგრე არ გაკადნიერდება!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ეგ არც ხუმრობაა!..

რ ო შ ა ქ ი — არა, დედუფალო, არც გეხუმრებით და არც გეკადნიერებით! მე ვიცი რაც გაწუხებთ...

მ ე ფ ე — იცი? (ჩაიცინებს) — ეგ ხომ მთელმა ქვეყანამ იცის!

რ ო შ ა ქ ი — არა, მეფეო, თქვენი მწუხარების მიზეზი შესაძლოა ყველამ იცოდეს, მაგრამ წამალი ჩემს გარდა არავინ იცის! თქვენ შვილი გინდათ! ჰოდა, მე მოგცემთ შვილს!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — (შეწუხდება) ოჰ, ოჰ! პილატეს!

(პილატე წინ წამოიწევს, დედუფალი ხელით ანიშნებს: გაიყვანეო)

პ ი ლ ა ტ ე — აბა, უცნობო! (ხელით სთხოვს გაწვევას. როშაქი ადგილიდან არ დაიძვრის. სამივეს დაცინვით გადახედავს)

რ ო შ ა ქ ი — არა გჯერათ? მაშ ახლავე დაგარწმუნებთ! ჰეი, ქარიშხალო! (უეცრად ამოვარდება ქარიშხალი და ისე ძლიერად დაუბერავს, რომ ფეხზე დგომა გაუჭირდებათ)

ს ა მ ი ვ ე — ჰეი! ჰეი!.. გვიშველეთ!. გვიშველეთ!...

რ ო შ ა ქ ი — აგრე, აგრე, ქარიშხალო! იელვე, დასჭექე, დაიქუხე! გავარდი, მეხო!

(ყველაფერი როშაქის სიტყვისამებრ სრულდება)

ს ა მ ი ვ ე — ვიღუპებით! გვიშველეთ! გვიხსეხით!

რ ო შ ა ქ ი — არც ახლა გჯერათ?

ს ა მ ი ვ ე — გვჯერა, გვჯერა!

რ ო შ ა ქ ი — მაშ ჩადექი, ქარიშხალო! (მეისვე ყველაფერი წუნარდება).

მ ე ფ ე — ვინა ხარ, ძლიერო?

რ ო შ ა ქ ი — შენი ნატვრის, შენი წადილის აღმსრულებელი. (ხელის გულზე ბალახს დაიდებს, დაანახებს მათ).

ს ა მ ი ვ ე — ეგ რა არის? ეგ რა ბალახია? (როშაქი დედუფალს ხელის გულზე მოუსვამს ბალახს).

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ეს რას ნიშნავს?

რ ო შ ა ქ ი — ვაჟი გაგიჩნდება!

მ ე ფ ე-დ ე დ უ ფ ა ლ ი — აა?!.

რ ო შ ა ქ ი — მხოლოდ ერთი პირობით..

მ ე ფ ე-დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა პირობით?

რ ო შ ა ქ ი — დაშაბუკებამდე თქვენი იყოს, მერე კი მე დამშირდეს და მე უნდა წავიყვანო! (აპირებს წასვლას).

მ ე ფ ე — დაიცა! ეგ რა პირობაა?

რ ო შ ა ქ ი — რა იყო?

მ ე ფ ე — ეგ რა გვითხარი? სიხარულის და ბეწუხარების ცეცხლი ერთად წაგვიკიდე!

რ ო შ ა ქ ი — რატომ?

ბ ე ფ ე — მაშ რა არის? მაუბედურებ! შვილი როგორ მოგცე, ადამიანი ვარ!

რ ო შ ა ქ ი — ადამიანი... სწორედ ეგ არის რომ ადამიანი ხარ, შეეხვევი, აიტანო! შენ ხომ ყველაფერს ეგუები, ადამიანო! (აირბენს სამზირზე, გადახტება და გაქრება).

მ ე ფ ე — გაქრა! რას მოასწავებს ჩემ თავზე ეს ამბავი!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ისე ვარ თითქოს სიზმარში ვიყვე!

მ ე ფ ე — ნეტა მართლაც სიზმარი იყოს... სიზმარში მხოლოდ მანამდე იტანჯები, სანამ არ გამოგეღვიძება, ცხადში კი მანამ უნდა იტანჯო, სანამ სამუდამოდ არ დაიძინებ!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — დაიცა!.. მომეხმარე, გამარკვიე... შვილი ხომ გაგვიჩნდება, დედა ხომ გავხდები, ვაჟიშვილის დედა!

მ ე ფ ე — ჰო, შე საცოდავო, ჰო! მაგრამ რომ წაგართმევს?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — არ დავანებებ შვილს!

მ ე ფ ე — რა ძალა გაქვს?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — მაშ რა ვქნათ?

მ ე ფ ე — ო, რა წამების ჩარხზე გაგვაკრა იმ ავმა სულმა!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — პილატე! რას გაჩუმებულხარ?

პ ი ლ ა ტ ე — რა ვთქვა, დედუფალო, დღემდე უშვილობას ტიროდით, დღეიდან შვილი უნდა იტიროთ!

მ ე ფ ე — მერე, რატომ? რისთვის? ოხ, ღმერთო, გონს ვეღარ ვიჯერებ, სულ დამეხშო საგონებელი! პილატე, იქნებ შენ მაინც მირჩიო რამე!

პ ი ლ ა ტ ე — რითლა, მეფეო, გაოგნებული ვარ (პილატე გასასელელისკენ მიდის, უეცრად შეჩერდება და აღტაცებით მობრუნდება) — მეფეო! დედუფალო!

მ ე ფ ე-დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა არის? რა? რა?

პ ი ლ ა ტ ე — ავსული რას გაარჩევს, რას მიხვდება?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რას ამბობ? გაგვაგებინე რას ამბობ?

პ ი ლ ა ტ ე — ავსულს კი არა გადიებსაც არ ეცოდინებათ!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა?

მ ე ფ ე — მიეხვდი, მიეხვდი, პილატეე!

პ ი ლ ა ტ ე — ხომ გნებავდათ ობლები გეშვილებინათ, ჰოდა, დედუფალო, უფლისწული რომ დაიბადება (ფრთხილად) გამოვნახავ მის ტოლ ბიჭუნებს, ობლებს, უპატრონოებს და მოგგვრით!.. ა?

მ ე ფ ე — (დედუფალს) რას იტყვი?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ძალიან კარგი იქნება. ერთად დაიზრდებიან, ძმები იქნებიან!

პ ი ლ ა ტ ე — ნათქვამია: არც ისე წვიმს, როგორც ქუხსო! ქვეყნად რომ ბოროტება იმარჯვებდეს, ცის ქვეშეთი აქამდე დაემხობოდა. იმ ავსულს არც ის დაავიწყდეს, რომ ყველაზე უკეთესი ბრძოლა ადამიანმა იცის. მობრძანდეს!

მესამე სურათი

მეფის წალკოტი. ყვავილნარში დგას სამი აკვანი. აკვნებს გადიებად უსხედან: ჭერდისო, სალიხე და ჩეჩელა. აქვე სხედან მეფე-დედუფალიც და გადიებთან ერთად იავნანას უმღერიან ბავშვებს:

— სამ ბიჭუნას, პაწაწინას, იავნანინაო.
ჯუმბერს, ათეს, ჩინოს სძინავს, იავნანინაო.
— მზე უცინის, ტოტი ჩრდილავს, იავნანინაო,
სამ ბიჭუნას, პაწაწინას, იავნანინაო.

(აკვნებზე ჩიტები შემოსხდებიან და ნანას ჭიკჭიკით უერთდებიან).

ჩ ი ტ ე ბ ი — ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ

გ ა დ ი ე ბ ი — იავნანიანაო

ჩ ი ტ ე ბ ი — ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ

გ ა დ ი ე ბ ი — იავნანინაო

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ბედნიერი დედა გავხდი, იავნანინაო.

გ ა დ ი ე ბ ი — იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო.

მ ე ფ ე — ბედნიერი მამა გავხდი, იავნანინაო,

ჩ ი ტ ე ბ ი — ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ,

გ ა დ ი ე ბ ი — იავნანინაო.

დ ე დ უ ფ ა ლ ი — უგალობეთ ჩიტუნებო, იავნანინაო,

მ ე ფ ე — დაიზარდეთ, ბიჭუნებო, იავნანინაო.

ყ ვ ე ლ ა — ჭიკჭიკ, ჭიკჭიკ, იავნანა, ვარდონანინაო.

დ ე დ უ ფ ა ლ ი — დაიცათ! (ნანა შეწყდება) ჯუმბერს ხელები ამოუშლია... ჯუმბერს!.. ჯუმბერიკო .. შენ არ გძინავს, შვილო! არა? არა? არა?

ჯ უ მ ბ ე რ ი — აღუ! აღუ!.. აღუ!

მ ე ფ ე — (იცინის) ნანა და ძილისპირი კრინეთ საშღერია, ჩვენ კი მალალი მაყრულივით შემოვძახეთ და რა დააძინებდა... აგერ შეხედეთ, ჩინოც იშმუშნება (გადახდის შეა აკვანს) — შენც გაგაღვიძეთ, ბიჭო, ხომ, ა?.. რას იცინი? რას იცინი, კაცო, რასა? ა? ო, შენი გულისა, რა ბიჭია! (ფერებით უქცევს) — ვიცინიო, მაშ რა ექნაო, ტირილი რა ვაჟკაცობაა, მართალია. გამაღვიძეთო, მაგრამ არ მწყენიან! ასე მოგვახსენებს ბატონი ჩინო!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — (მეორე აკვანთან) ჩუმად, ჩუმად! ათე კი ასე ამბობს: მეო მძინავსო და მართალია აგრე ადვილად ვერ გამაღვიძებთო, მაგრამ მაინც ჩუმად იყავითო! (გადაუწევს პირსაფარს) — ვიშ! ამასაც ღვიძავს, პირსაფარქვეშ დაუპყეტია თვალები, განაბულა და არის თავისთვის ყუჩად!

მ ე ფ ე — ათე დინჯი კაცია, რა ქნას?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა ქნას, ან გაიცინოს, ან ხმა ამოიღოს!

მ ე ფ ე — ქალო, რას ჩააცივდი ამ დარბაისელ კაცსა? აღუს ამბობს და ვაჟანდეევის ამბავი თუ გინდა ჯერჯერობით ვერ გიამბობს! (შემოდის პილატე).

პ ი ლ ა ტ ე — ვაჭრები გეახლენ, მეფეო!

მ ე ფ ე — ვინ ვაჭრები?

პ ი ლ ა ტ ე — ვინც თქვენ დაიბარეთ!

მ ე ფ ე — აჰა! სოვდაგრები!.

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ბოიტანეს რამე?

პ ი ლ ა ტ ე — ძოწი და სადაფი მოურთმეეიათ!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ოჰ!

მ ე ფ ე — (დედუფალს) ვნახოთ, ვნახოთ!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — (გადიებს) აბა ჩვენ გამოსვლამდე არ მოაწყინოთ ბიჭუნები.

მ ე ფ ე — ეხ, ჩემმა ვაჟკაცებმა ახლა გამოიღვიძეს და ახლა მინდოდა

ამათთან ყოფნა, მაგრამ რას იზამ? წამო! (გადიან, გაპყვებათ პილატე).

ბ ე რ დ ი ს ო — ჩემი ათე ნამდვილი სამეფო კაცი დადგება, ჩუმი, დინჯი, მომთმენი, თანაც ისეთი ღონიერია, არტახები ვერ უძლებს.

ჩ ე ჩ ე ლ ა — სამეფო კაცი ჩემი ჩინო უფრო იქნება, აქედახვე ვატყობ, აღუ ორიეზე უკეთ იცის!

ს ა ლ ი ხ ე — სამეფო კაცი ჩემი ჯუმბერია, ჯუმბერი! მეტად ფხიზელი ძილი იცის, გამჭრიახი თვალი აქვს, მკვირცხლია, გამბედავი! (სამივე გადია თავთავის აკეანში აღუს ჩასძახის, ბავშვებიც აღუთი უპასუხებენ და ხმაშეწყობილად აღუღუნდებიან. შემოიპარებიან შერგილი და როშაქი).

შ ე რ გ ი ლ ი — აჰა! ხომ გეუბნებოდი, აგერ აქა ჰყავთ ბაეშვები! მიდი!

რ ო შ ა ქ ი — ჰო, მაგრამ ..

შ ე რ გ ი ლ ი — რა? რა გაწუხებს? მეფე-დედუფალს სწორედ ის ვაჟრები მივუგზავნე, რომელნიც თვითვე ჰყოლიათ დაბარებულნი! ისინი კარგახანს შეიქცევენ, შეიყოლიებენ, მანამდე შენ აქ დრო გაქვს! მიდი! მაშ რა ეგონა მეფეს, ვერ გავუგებდი ეშმაკობას? მიდი!

რ ო შ ა ქ ი — ჰო, მაგრამ რომელი ავირჩიო?..

შ ე რ გ ი ლ ი — რომელიც დედმამის მსგავსია, მეფე-დედუფლის! ის იქნება მათი!..

რ ო შ ა ქ ი — ეჰეი, შერგილო!..

შ ე რ გ ი ლ ი — რა მოხდა?

რ ო შ ა ქ ი — იქნებ სხვა უფრო გამომადგეს...

შ ე რ გ ი ლ ი — არა, ის!

რ ო შ ა ქ ი — რა იცი? შენ შენსას ცდილობ!

შ ე რ გ ი ლ ი — დამიჯერე!

რ ო შ ა ქ ი — შენ გადი გარეთ! მიდარაჯე, თუ ვინმე აქეთ წამოვიდეს, სტვენით მანიშნე!

შ ე რ გ ი ლ ი — კარგი! (შერგილი გადის. როშაქი გადიებსა და ბავშვებს გრძნების მოსახდენად ზურგიდან მიეპარება, ხელს გაუქნევს, აღუ შეწყდება, გადიები თავებს ჩაჰკიდებენ).

ბ ე რ დ ი ს ო — ვაი! ავად ვხდები!

ჩ ე ჩ ე ლ ა — მეც! ოიჰ!..

ს ა ლ ი ხ ე — ვაი, მეც, მეც! (გადიები და ბავშვები გონმიხდილები გაუძრავდებიან).

რ ო შ ა ქ ი — ესეც ასე! რადგან იმ ღმერთ-დედაკაცს აქ შემოვეპარე

და ესენიც დავაძინე, ახლა უკვე დამშვიდებით შემიძლია ავირჩიო!.. თუმცა, როგორ შევატყო რომელი უფრო გამომადგება! ავხსნა ჩემი გრძნეულება და გავაღვიძო, გადიებიც გაიღვიძებენ, არადა რა ვქნა აღარ ვიცი, თუმცა ასეთ ჩვილსა და უსუსურს ან ღვიძარს რას შეატყობ ან მძინარს? ეჰ, რა გაეწყობა, რაც არის არის! მოდი ამ ბალახს სამივეს წავუსვამ, რომ წამოიზრდებიან სამივეს შეუყვარდება ის ქალღმერთი... იქნებ ამ ხერხმა კიდევაც აჯობოს, ვინ იცის.. (წაიწევს აკვნებისაკენ, მაგრამ მოესმის სტვენა და იქვე დაიმალება. გამოჩნდება შერგილი)

შ ე რ გ ი ლ ი — (ხმადაბლა, ფრთხილად) როშაქო! სადა ხარ? როშაქო! აქეთ არ მოდიან, არა, გაიარეს, თავისუფლად იმოქმედე! (შერგილი გადის.. როშაქი სამალავიდან გამოვა, უბიდან ბალახს ამოიღებს და როგორც კი აკვნებისაკენ წაიწევს, მუისეე სიმწრით დაიგრიხება).

რ ო შ ა ქ ი — ვაი, ძალას ვკარგავ! უთუოდ ის ბერწი ქალღმერთი ნიადგა სასახლეს, აღარ შემიძლია, აღარ დავეძებ, აღარ... (როშაქი გადასახტომად მაღალ სიმზირს მიამურებს, დაედევნება შერგილი).

შ ე რ გ ი ლ ი — დაიცა, დაიცა. როშაქო! სად მიხვალ? მე არ შემიძლია მაგ სიმაღლიდან გადახტომა. რას სჩადიხარ? დაიცა, აქ არ მიმატოვო, არ გამწირო, მნახავენ, დავიღუპები! როშაქო! (როშაქი გადახტება) — გაიქცა!.. მიმატოვა, მერე სად?.. თუმცა რა მეთქმის? რას მოვითხოვ ქაჯისაგან, როცა თვით მე, ადამიანი... ეხ, რა მინდა მე როშაქთან? ან აქ რა მინდა?! (მწარედ დაფიქრდება) — ყოველთვის ასეა. როცა კაცი თავგზას დაკარგავს!. (დაინახავს) — ვაიმე, მეფე მოდის. რაღა ვქნა? სად წავიდე?.. (დაიმალება. შემოდის მეფე).

მ ე ფ ე — გაეისტუმრეთ სოვდაგრებს! დედუფალიც ახლავე გამოვა! აბა, გადიებო! ამოიყვანეთ ახლა ჩვენი ვაჟკაცები! ეს რა არის?! ეს რა ამბავია? ვაიმე შვილებო! დავღუპულვარ! ავ სულისაგან დავღუპულვარ, რაღად მინდა უთქვენოდ სიცოცხლე... (გამოჩნდება დალი).

დ ა ლ ი — ნუ სტირი. მეფეო!..

მ ე ფ ე — ღვთაებაო!

დ ა ლ ი — ბავშვებს არ რა უშავთ რა, სძინავთ!

მ ე ფ ე — სძინავთ?!..

დ ა ლ ი — ჰო, ეძინოთ! ნუ შიშობ! ჯერ ცოდვილს გაეუსწორდეთ!

მ ე ფ ე — ცოდვილს?

დ ა ლ ი — დიახ! იგი აქ არის! გამოჩნდი, ცოდვილო! (შერგილი იძულებულია გამოჩნდეს).

მ ე ფ ე — (განცეიფრებული) ამას ვის ვხედავ? მზაკვარო! ბოროტო! მაშ შენა ხარ ჩემი დამღუპველი?

(გამძვინვარებული გაიწევს შერგილზე. მაგრამ წინ დალი გადაეღობება).

გამიშვი! ქალღმერთო! მე მაშინ შევცდი, როდესაც მაგ'ს სიცოცხლე ვაჩუქე!

დ ა ლ ი — დაწყნარდი, მეფეო!

მ ე ფ ე — დიდ არს სულგრძელობა შენი, ქალღმერთო, მაგრამ კაცი, რომელიც ბავშვებს არ დაინდობს...

დ ა ლ ი — ვიცი! მან თავისი სულიც არ დაინდო!

შ ე რ გ ი ლ ი — სული? არა! მე მაღალი სული მქონდა, ქალღმერთო, ძლიერი, კეთილგონიერი, ამას თვით მეფეც აღიარებდა!

მ ე ფ ე — მერე?

შ ე რ გ ი ლ ი — შენი მანდილის ძალაც სასიკეთოდ მინდოდა, მაგრამ...

დ ა ლ ი — არა, შერგილო! აჰა, ჩემი მანდილი, ამას უჩემოდ რა ძალა აქვს? შენ ამ მანდილმა გამოგცადა და ვერ ივარგე!

შ ე რ გ ი ლ ი — მე მაგ გამოცდამ ისე დამცა, ისეთი მაცდური გულისთქმა აღმიძრა და ისეთ განსაცდელში ჩამაგდო, რომ ყოფა გაუძლისი გამიხადა, აუტანელი... თქვენ კიდევ არ იცით რა უბედურებაა ჩემს თავს... მე ბოროტება დამეუფლა და არ მასვენებს! აღარ შემიძლია! აღარ... (ტირილი უსწრებს, დაიჩოქებს).

მ ე ფ ე — რა საცოდავია, რა პატარაა ადამიანი, როდესაც იგი ბოროტდება!

შ ე რ გ ი ლ ი — მე ახლა იმდენი ძალაც აღარა მაქვს, თავი მოვიკლა! მიყავით სიკეთე, მომკალით, იქნებ როგორმე მოვისვენო, განთავისუფლდე!..

დ ა ლ ი — წამოდექ, შერგილო! (შერგილი წამოდგება, ტირილს ვერ იკავებს). ეტირე!.. შვებას იგრძნობ! შენი ცრემლი წვეთი არის სინანულისა და თუ ხვალ იგი ნაკადულად იქცევა, შენ ისევ აღსდგები ადამიანად. ახლა კი დაუყოვნებლივ განეშორე აქაურობას! განვედ! (შერგილი გარბის. დალი ბავშვებსა და გადიებს ეიბრუნდება) გაიღვიძეთ! (გაიღვიძებენ) — აჰა, გაიხარე, მეფეო, შვილებში!

(ბავშვები და გადიები კვლავ დაიწყებენ „აღუ"-თი ღუღუნს. აკენებზე ჩიტები შემოსხდებიან და აღუს ჭიკჭიკით შეუერთდებიან).

მ ე ფ ე — გმადლობ შენ, ქალღმერთო, რამეთუ მაღირსე ცრემლი სიხარულისა.

ფარდა

მესამე მოქმედება

მეოთხე სურათი

ბუჩქნარით დაფარული მაღლობი საძოვრებზე, ზაფხულის შუადღე. მოისმის სალამურის ხმა. შემოდის გუჯაბას ქალიშვილი დალი

გ უ ჯ ა ბ ა ს ხ მ ა — დალო!

დ ა ლ ი — ჰოუ! ხომ ამოგასწარი, მამა!

გ უ ჯ ა ბ ა ს ხ მ ა — ნელა, გოგო! დაიცა!

დ ა ლ ი — დაიღალე?

(შემოდის გუჯაბა. გაქაღარავებულია).

დ ა ლ ი — არაო, რომ მიშლიდი ნუ წამოხვალო, ვერ იცლიო!..

გ უ ჯ ა ბ ა — (ჩაეცინება) ხომ არ დაიშალე და რაღა გინდა?

დ ა ლ ი — იქაო, უცხენოდ რა აგვიყვანსო... ხომ ამოვედით?

გ უ ჯ ა ბ ა — ჰო, მაგრამ რაღა ამოსვლაა, მუხლმა მიმტყუნა! (ჯდება).

დ ა ლ ი — (ათვალიერებს ირგვლივ მიდამოს) რა კარგია!.. ის მაღლობიც ჩვენია? მამა, აი ის? ბილიკზევით!

გ უ ჯ ა ბ ა — ჰო, შვილო, ჩვენია!

დ ა ლ ი — მამა!.. იმ ტყეში იყო? შერგილმა...

გ უ ჯ ა ბ ა — (აწყვეტინებს) ხედავ? იმ ბიჭს ჩვენი ცხენები აქ ამოპყავს!.. (გასძახებს) — ბაქარ, ბიჭო!.. ბაქარო! აგერ იქ მიიყვანე ბინებში, ბინებში მიიყვანე! ჩვენც ახლავე მოვალთ. (ისევ დალს მიუბრუნდება) რას მეუბნებოდი?

დ ა ლ ი — იმ ტყეში იყო? დალს რომ შერგილმა მანდილი წაართვა?

გ უ ჯ ა ბ ა — არა, დაბურულში! აი იქ!..

დ ა ლ ი — მამა!... მეფემ იცის მე რომ გაგიჩნდი?

გ უ ჯ ა ბ ა — იცის.

დ ა ლ ი — მე ვუნახავარ?

გ უ ჯ ა ბ ა — პატარაობისას!

დ ა ლ ი — ისიც იცის დალი რომ დამარქვი?

გ უ ჯ ა ბ ა — ჰმ! ეგ რა ვიცი!

დ ა ლ ი — სასახლეში როდის წამიყვან? აუ, რა ფერად-ფერადი ყვავილებია!.. სასახლეში როდის წამიყვან?

ბ უ ჯ ა ბ ა — წაგიყვან...

დ ა ლ ი — როდის?

ბ უ ჯ ა ბ ა — მეფე რომ დაბრუნდება...

დ ა ლ ი — სად არის წასული?

ბ უ ჯ ა ბ ა — სამეფოს დასავლელად...

დ ა ლ ი — როდის დაბრუნდება?

ბ უ ჯ ა ბ ა — დაბრუნდება!..

დ ა ლ ი — რა კარგია ეს ყვავილები...

ბ უ ჯ ა ბ ა — მთამ იცის.

დ ა ლ ი — მთამ...

ბ უ ჯ ა ბ ა — (პაუზის შემდეგ) გოგოსო საძოვარზე რა უნდაო, რომ იტყვიან მწყემსები?

დ ა ლ ი — თქვენ რა... მე აქ ამოვიდე იმათ რა ენაღვლებათ?

ბ უ ჯ ა ბ ა — (გულიანად ჩაეცინება) იმათ რა უნდა ენაღვლებოდეთ...

დ ა ლ ი — მაშ რა?

ბ უ ჯ ა ბ ა — არაფერი... ახლა უკვე დიდი ხარ და უნდა იცოდე შენი მიწა-წყალი.

დ ა ლ ი — ჰოდა, აი ამიტომაც ამოვედი! ხომ, მამა!

ბ უ ჯ ა ბ ა — ჰო.

დ ა ლ ი — მოდი, დაეკრიფოთ, გვირგვინი დავწნათ!

ბ უ ჯ ა ბ ა — ოჰო! (ანიშნოდ გადაიხედავს)

დ ა ლ ი — კარგი, კარგი, მე წავალ! (გაიქცევა)

ბ უ ჯ ა ბ ა — ნელა, გოგო, ნელა! (გაჰყურებს) — ოჰოუ, გენაცვალოს მამა!

(ისე გაჰყურებს, ვერც კი შეამჩნევს შერგილის მოახლოებას).

შ ე რ გ ი ლ ი — გუჯაბას გაუმარჯოს!

ბ უ ჯ ა ბ ა — (მოიხედავს) ოჰ!.. შერგილო! საიდან? ცოცხალი ხარ?

შ ე რ გ ი ლ ი — თუ ჩემისთანას ცოცხალი ეთქმის, ვარ!

ბ უ ჯ ა ბ ა — (ულიმის, აკვირდება) შერგილო... შერგილო...

შ ე რ გ ი ლ ი — ძალიანა ვარ გამოცვლილი?!

ბ უ ჯ ა ბ ა — არც ისე... თუმცა, ძველად, ასე გეგონა სიამაყე სიმაღლეს მიმატებსო და...

შ ე რ გ ი ლ ი — რა? სულ თავაწეული დავდიოდი სარგადაყლაპულივით, ხომ!.. ეჰეი!

ბ უ ჯ ა ბ ა — არ მიწყინო...

შ ე რ გ ი ლ ი — არა, მე ახლა სულ სხვა ვარ, ჩემო გუჯაბავ!

გ უ ჯ ა ბ ა — ოჰ!..

შ ე რ გ ი ლ ი — მაშ! სულ სხვა! სულ!..

გ უ ჯ ა ბ ა — კარგია... ერთი ეს მითხარი, შერგილო, როცა უფიქრდები ხოლმე რაც შეგემთხვა, ბედს ემდური თუ ჭკუას?

შ ე რ გ ი ლ ი — ჰმ! ორივეს, ჩემო გუჯაბავ! მე არც ბედის მადლიერი ვარ და არც ჭკუის, მაგრამ მაინც მათს ამარა ვარ, მათი შემყურე ვარ და რა ვქნა?

გ უ ჯ ა ბ ა — ჰო... აგრეა. ძნელია... აქეთ საით გივლია?

შ ე რ გ ი ლ ი — გულდაგულ შენთან წამოვედი... რა იყო? გაგიკვირდა?..

გ უ ჯ ა ბ ა — თითქმის!..

შ ე რ გ ი ლ ი — ავსულს გამოვეპარე! უნდა მიხსნა, გუჯაბავ! მიმსახურე! მწყემსად უნდა მიმიღო შენთან!

გ უ ჯ ა ბ ა — შე კაი კაცო, მხედართმთავარი იყავი, სამეფოს მწყემსავდი ის იცოტავე, იმას არ დაჯერდი და ახლა ჩემი ცხვარის მწყემსობით იქნები კმაყოფილი?

შ ე რ გ ი ლ ი — ვიქნები, გუჯაბავ! ახლა შენს ცხვართან ერთად ჩემი სულის მწყემსიც ვიქნები და მეტი არც არ რა მინდა რა!

გ უ ჯ ა ბ ა — მე რომ მიგიღო, მწყემსებს ეამები?

შ ე რ გ ი ლ ი — ვეამები! ძაღლები ხომ უყვართ, ცხვარსაც და მწყემსსაც ძაღლივით ვუერთგულებ და ვეამები!

გ უ ჯ ა ბ ა — მეფეს? იქნებ არც კი იცი, რა ხათრი და სიყვარული მაქვს მეფისა!

შ ე რ გ ი ლ ი — ვიცი! ერთგულებას ყველაზე მეტად მეფე აფასებს.

გ უ ჯ ა ბ ა — მე რომ შენს ბედში ვიყო, შენ ხომ არ მიმიღებდი?.. ა? რას ჩაფიქრდი? თქვი! გულწრფელად აღიარე!

შ ე რ გ ი ლ ი — მე რომ ის შერგილი ვიყო რაც ვიყავი, რა თქმა უნდა, არ მიგიღებდი! მაგრამ მე ახლა უკვე შენისთანა ვარ და ამიტომ გთხოვ!

გ უ ჯ ა ბ ა — ოჰო... (ჩაეცინება) საიდან მომიარე მხედართმთავარო...

შ ე რ გ ი ლ ი — არა, გუჯაბავ!

გ უ ჯ ა ბ ა — წამო. მწყემსებთან ჩავიდეთ, დავეკითხოთ, ენახოთ, თუ მათ არ გინდომეს, ისე ან შენ რად გინდა? ა?... ასე არ არის?

შ ე რ გ ი ლ ი — სწორია! (დაიძვრებიან).

გ უ ჯ ა ბ ა — თუმცა, არა, შენ აქ დაიცადე! შეიძლება მწყემსებმა შენი ხათრით თავისუფლად ვერც ილაპარაკონ!.. დაიცადე! (გუჯაბა გადის. შერგილი ბუჩქებში ქვაზე ჩამოჯდება).

ზ ე რ გ ი ლ ი — მწყემსებმაც რომ უარი თქვან, სადღა წავიდე?. ასეა... მთელი ქვეყნის ბატონობა მოვინდომე და ყმობაც სახვეწარი გამიხდა... ეჰ! ახლა კი ვიცი რომ ასეა, მაგრამ რაღა დროს!

(მოისმის დალის სიცილი, შემორბის ყვავილებით შემკულ-მორთული, შემოსდევს უფლისწული ჯუმბერი მშვილდ-ისრით, ბუკით და სხვა სანადირო საჭურველასხმული).

ჯ უ მ ბ ე რ ი — დაიცა! დაიცა, მშვენიერო!

დ ა ლ ი — დამეხსენ, მონადირეე!

ჯ უ მ ბ ე რ ი — არ შემიძლია!

დ ა ლ ი — რა გნებავს?

ჯ უ მ ბ ე რ ი — ვინა ხარ? ან აქ რა გინდა?

დ ა ლ ი — როგორ თუ რა მინდა, ეს მიწაწყალი ჩემია! მე დალი ვარ!

ჯ უ მ ბ ე რ ი — (გაოცდება) რას ბრძანებ? დალი? ქალღმერთი?

დ ა ლ ი — (არ მოელოდა, შეიფერებს) დიახ! დიახ! რა გნებავს? ქალღმერთი ვარ! შენ? შენ ვინა ბრძანდები, ახოვანო ჭაბუკო!

ჯ უ მ ბ ე რ ი — მე უფლისწული გახლავარ, ქალღმერთო!.. ჯუმბერი!

დ ა ლ ი — უფლისწული ჯუმბერი?.. აა?! ჰოდა, სწორედ ისეთი ყოფილხარ როგორიც...

ჯ უ მ ბ ე რ ი — ბრძანე!

დ ა ლ ი — უფლისწულო ჯუმბერ! შენ ძმები გყავს, ხომ!

ჯ უ მ ბ ე რ ი — დიახ!

დ ა ლ ი — ათე და ჩინო.

ჯ უ მ ბ ე რ ი — შენ საიდან იცი, ქალღმერთო?

დ ა ლ ი — (სიტყვა „ქალღმერთო“-ზე ჩაეცინება) ვიცი! მე ყველაფერი ვიცი! შენი ძმებიც შენისთანა... (განგებ შეჩერდება)

ჯ უ მ ბ ე რ ი — რა?.. რა?..

დ ა ლ ი — შენისთანა „მონადირენი“ არიან?

ჯ უ მ ბ ე რ ი — დიახ!. ჩვენ ერთად ვნადირობთ!..

დ ა ლ ი — არა, ისინი შენისთანა მონადირენი არ იქნებიან...

ჯ უ მ ბ ე რ ი — როგორ?

დ ა ლ ი — შენისთანა მხოლოდ შენა ხარ!.

ჯ უ მ ბ ე რ ი — (აღფრთოვანებული) ღვთაებაო?..

დ ა ლ ი — დიახ!.. მხოლოდ შენ.. შენ...

ჯ უ მ ბ ე რ ი — ღვთაებაო...

(მოისმის ბუკის ხმა. ჯუმბერი გამოერკვევა და მაშინვე ბუკით უპასუხებს. მოისმის ათესა და ჩინოს ძახილი):

— ჯუმბერ!.. ჯუმბერ!.

ჯ უ მ ბ ე რ ი — (გასძახებს) აქა ვარ! აქა ვარ!
დ ა ლ ი — აბა, ახლა კი მშვიდობით, ჯუმბერ!
ჯ უ მ ბ ე რ ი — არა, დაიცა, ჩემი ძმები მოდიან!
დ ა ლ ი — არა... ახლა არა. მე მოვალ სასახლეში!
ჯ უ მ ბ ე რ ი — როდის?
დ ა ლ ი — მოვალ!
ჯ უ მ ბ ე რ ი — როდის, ქალღმერთო?
დ ა ლ ი — მეფე რომ დაბრუნდება.
ჯ უ მ ბ ე რ ი — როდის დაბრუნდება?
დ ა ლ ი — დაბრუნდება!
(დალი გაიქცევა. აგზნებული ჯუმბერი თვალხარბად გაყურებს).
ჯ უ მ ბ ე რ ი — ღვთაებაო... (მაუზის შემდეგ) — წავიდა! თვალს მოეფარა. (შემოდიან ათე და ჩინო მონადირის საჭურველით. ჰკიდიათ ნანადირევი კურდღელ-ფრინველნი. ჯუმბერი მაინც იქით განაგრძობს მზერას).
ჩ ი ნ ო — ჯუმბერ!
ჯ უ მ ბ ე რ ი — (მისკენ მიუხედავად) ა?
ჩ ი ნ ო — რას უყურებ?
ჯ უ მ ბ ე რ ი — (მიუხედავად) ჰო!
ა თ ე — რა დაგემართა, ბიჭო!
(მიიპრეხიან და იქითვე იხედებიან, საითაც ჯუმბერი).
ჩ ი ნ ო — რა არის? ათე, შენ ხედავ რამეს?
ა თ ე — ვერაფერს!
ჯ უ მ ბ ე რ ი — არაფერია, ბიჭებო, არაფერი.
ჩ ი ნ ო — მაშ აგრე გაოგნებული რას უყურებდი?
ჯ უ მ ბ ე რ ი — რა ვიცი, რაღაც ფიქრი მომერია და გამიტაცა... ოჰო, დღეს კარგად მოგვინადირნია...
ა თ ე — ჰო, მაგრამ ნამუსიც კარგი საქონელია!
ჯ უ მ ბ ე რ ი — როგორ?
ჩ ი ნ ო — რაც შენი დახოცილია, ის მაინც წამოიღე!
ჯ უ მ ბ ე რ ი — (ჩაეცინება) მართლაც ეგ გეთქმის! შენც ჩინო!.. მოიტათ! (ძმები ნაწილს ჩამოიხსნიან, ჯუმბერი აიკიდებს) — კიდევ მოიტათ!.
ჩ ი ნ ო — (იცინის) ნამუსიც კარგი საქონელია!
ა თ ე — სულ შენ ხომ არ აგკიდებთ!
ჯ უ მ ბ ე რ ი — აბა, წავიდეთ!
(მიდიან, ჯუმბერს ფიქრი შეაჩერებს).
ა თ ე — რას გაჩერდი?
ჯ უ მ ბ ე რ ი — (თავისთვის) „მეფე რომ დაბ...“

ჩ ი ნ ო — რას ამბობ?

ჯ უ მ ბ ე რ ი — (გამოერკვევა) მამა როდის დაბრუნდება, ბიჭებო!

ჩ ი ნ ო — რა ვიცით...

ა თ ე — როგორ?

ჯ უ მ ბ ე რ ი — ისე... ნეტა მალე დაბრუნდებოდეს... წავიდეთ!
(გადიან. ბუჩქებიდან შერგილი გამოძვრება და გახედავს მათ).

შ ე რ გ ი ლ ი — მომილოცავს, გუჯაბავ! მართლაც ბედი მწყემსავს შენს ცხვარსა და ცხოვრებას...
(გაემართება იქით, საითაც გუჯაბა გავიდა, მაგრამ შემოუსწრებს როშაქი, მყისვე უხილავ ქამანდს ესვრის, დაიჭერს და მოქაჩავს).

შ ე რ გ ი ლ ი — ვაი! ვაააი...

რ ო შ ა ქ ი — სად გამომეპარე, ვაუბატონო, ვისთან? რა პირით?

შ ე რ გ ი ლ ი — შენ რა პირით მიჭერ? ხომ მიმსახურე, გამომიყვანე, გამომწურე, ჩენჩოდ მაქციე და ახლა რაღა გინდა? გამიშვი ჩემს ნებაზე!

რ ო შ ა ქ ი — მე, ვინ, რომელმა გამიშვა ჩემს ნებაზე! (უპერს მუხრუჭს).

შ ე რ გ ი ლ ი — ვაი, რას მერჩი? რას მემართლები?

რ ო შ ა ქ ი — ფეხზე წამოგაყენე, გაგენდე და გამომექეცი?

შ ე რ გ ი ლ ი — შენც ხომ გამომექეცი სასახლიდან! მიმატოვე!..
(როშაქი მიუახლოვდება და ყელში ხელს წაუჭერს, შერგილი იგუდება, ახრიალდება).

რ ო შ ა ქ ი — დაგახრჩობ! (შერგილი ხელით ანიშნებს რაღაცას) რა გინდა? თქვი!

შ ე რ გ ი ლ ი — ოღონდ ნუ დამახრჩობ და გაგახარებ!

რ ო შ ა ქ ი — რით?

შ ე რ გ ი ლ ი — რაზეც ოცნებობდი, რასაც ამდენხანს ცდილობდი...

რ ო შ ა ქ ი — (წადიერად) რა არის? შერგილო... რა?

შ ე რ გ ი ლ ი — მახრჩობ და როგორ გითხრა?

რ ო შ ა ქ ი — აჰა!.. (ხელს გაუშვებს) მითხარი!

შ ე რ გ ი ლ ი — რომ გითხრა, გამიშვებ?.. თუ გამიშვებ, გეტყვი!

რ ო შ ა ქ ი — თუ არა და არ მეტყვი? (წაუჭერს ხელს).

შ ე რ გ ი ლ ი — ვაი! თუ დამახრჩობ ხომ ვეღარ გაიგებ, ჩემს მეტმა ძე-ხორციელმა არავინ იცის!

რ ო შ ა ქ ი — კარგი, აჰა, თქვი!

შ ე რ გ ი ლ ი — ქალღმერთი უფლისწულებს შეყვარებიათ!..

რ ო შ ა ქ ი — აა?! რა იცი.. (სიხარულით აგზნებული) რა იცი? ხაო-

დან? შერგილო! შერგილო! (დაეკვეთული) იქნებ ტყუილია?.. (თვალით გახვრეტს) — გაგსრესავ!...

შ ე რ გ ი ლ ი — (შეშინებული) არა! ჩემი თვალით ვნახე! ჩემი ყურით მოვისმინე, ნამდვილია!

რ ო შ ა ქ ი — მაშ ხვალვე?.. ხვალვე!.. ხვალვე!..

შ ე რ გ ი ლ ი — (წასვლას აპირებს და გვერდით გაიწევს) ჰო! ჰო! გამიშვი ახლა!

რ ო შ ა ქ ი — (თვალების ბრიალით) რაო?

შ ე რ გ ი ლ ი — ეი!

რ ო შ ა ქ ი — სწორედ ახლა ხარ შენ ჩემთვის საჭირო!.. გამიქეხ!.. (შეშინებული შერგილი როგორც კი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, როშაქი მაშინვე მოქაჩავს და უკან მოიგდებს) — მომყეი!..

მეხუთე სურათი

ზღვის პირას მეფის სასახლის ფართო აივანი. ზაფხულის წუნარი ღამეგამოდის დედუფალი, ხელში სარკე უჭირავს, მოისმის მამლების ყივილი.

დ ე დ უ ფ ა ლ ი — აჰა, უკვე მეორედ ყივიან. კაბადონზე ცისკრის ნათელია... აბა ჩემო სარკეთა სარკევ, ვინძლო განმიერცო თვალსაწიერი და დამანახო ჩვენი ქვეყნის ყოველი შორეთი, ეგებ სადმე თვალი მოვკრა ჩემს მეფეს.
(სარკეს შუბლზე მიიდგამს და ქვემოდან წადიერად შეჰყურებს, იმარჯვებს, სხვადასხვა მხრით იქცევს) — არსად!.. არსად არ მოჩანს მეფე ჩემი! (შემოდის პილატე).

პ ი ლ ა ტ ე — კიდევ სარკეს შეჰყურებ, დედუფალო...

დ ე დ უ ფ ა ლ ი — დამაცა, პილატე!

პ ი ლ ა ტ ე — მთელ ღამეებს თეთრად ათენებ!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — შენ რატომ არ გძინავს?

პ ი ლ ა ტ ე — დავბერდი, დედუფალო, გადასცდება თუ არა შუაღამეს ძილი მიკრთება!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ნუ მატყუებ, პილატე! ეგ სიბერისა კი არ არის, შენ მეფის ჯავრი არ გასვენებს!

პ ი ლ ა ტ ე — ღმერთმა დაიფაროს საჯავრებელისაგან...

დ ე დ უ ფ ა ლ ი — მაშ რა ვიფიქრო, პილატე, ამდენი ხანია წასულია, მისი არ რა ვიცით რა!.. იქნებ შენ გაიგე რაიმე და მიმალავ?

პ ი ლ ა ტ ე — არა, შენს მზესა ვფიცავ დედუფალო! (მოისმის ვაჟების ძახილი) — ათუ! ჩინო! ჯუმბერ!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ამდგარან ჩემი ვაჟები.

პ ი ლ ა ტ ე — ზაფხულია, დედუფალო (შემოდის ჩინო).

ჩ ი ნ ო — დილამშვიდობისა!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — კარგია, ადრიანად ამდგარხარ, შვილო...

ჩ ი ნ ო — შენ უფრო ადრე ამდგარხარ, დედავ! სარკით რას გაჰყურებ?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ისეთს არაფერს, შვილო!

ჩ ი ნ ო — მაინც?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — არაფერს! მთვარის ჩასვლას...

ჩ ი ნ ო — ოო... ეგ მართლაც... (გასძახის) — ბიჭებო!.. მოდით! მოდით! რა გაჩვენოთ! (შემოდის ჯუმბერი).

ჯ უ მ ბ ე რ ი — დილამშვიდობისა!

ჩ ი ნ ო — ათე სადღაა?

ჯ უ მ ბ ე რ ი — მოდის. აბა რას გვაჩვენებ?

ჩ ი ნ ო —მთვარის ჩასვლას.

ჯ უ მ ბ ე რ ი — (გაზზე გაიხმობს) სარკით მთვარე კი არა, იქნებ სადმე მამას მოეკრათ თვალი!

ჩ ი ნ ო — მოდი! დედა არ გვიმხელს, მაგრამ ვატყობ ძალიან სწუხს!

ჯ უ მ ბ ე რ ი — არც პილატე გვიმხელს, უთუოდ დედამ გააფრთხილა! (შემოდის ათე).

ა თ ე — დილამშვიდობისა! აბა, მაჩვენეთ!

ძ მ ე ბ ი — რა?

ა თ ე — რა ვიცი, რაც გინდათ მაჩვენოთ!

ჩ ი ნ ო — ჰო... მნათობთა ჩასელა-ამოსვლა!...

ა თ ე — ეეხ... მეც მეგონა...

ჯ უ მ ბ ე რ ი — რატომ? ნეტავ ერთი ახლო მიმიყვანა, ხელი მომაკიდებინა..

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა არის ადამიანი, ყველაფერი ხელში უნდა აიღოს...

ა თ ე — (იცინის) ეგ რაღა სანატრელია, ჯუმბერო. მაგის მეტი რა გვაქვს, დღისით მზე გვინათებს, ღამით მთვარე და ვარსკვლავები. შინ კიდევ ცეცხლი და მკვარის სანთური... ჰოდა, მეტი რაღა გვინდა?..

დ ე დ უ ფ ა ლ ი — აგრეა. შვილო, ადამიანს რაც უხვადა აქვს ის არაფრად მიაჩნია.

ჩ ი ნ ო — რა იყო, ჯუმბერ, ასე ადრე რად გაგვაღვიძე?

ჯ უ მ ბ ე რ ი — სანადიროდ წავიდეთ.

ა თ ე — სანადირიროდ გუშინ არ ვიყავით?

ჯ უ მ ბ ე რ ი — მერე რა?

ჩ ი ნ ო — ყოველდღე ხომ არ ვიელით.

ა თ ე — დღეს ბადე ვისროლოთ!

ჯ უ მ ბ ე რ ი — არა!

ა თ ე — არა და არც ჩვენ გვინდა ნადირობა.

ჯ უ მ ბ ე რ ი — მაშ მარტო წავალ.

ჩ ი ნ ო —სად?

ჯ უ მ ბ ე რ ი — სადაც გუშინ ვიყავით.

ჩ ი ნ ო — რას ამბობ, მარტო?

ჯ უ მ ბ ე რ ი — რა მიშავს? წავალ!..

ა თ ე — ოჰ! ნუ დაიჭინებ ხოლმე ერთი შენც...

ჯ უ მ ბ ე რ ი — უნდა წავიდე!

ა თ ე — ბიჭებო, მთვარე. მთვარე ჩადის, შეხედეთ...
(გამოჩნდება მთვარის მოძრაი პროფილი. საითაც იძურის იქით იმზირება, შუა ადგილას შეჩერდება, მოიხედავს, სრულ სახეს დაგვანახებს. გაილიმებს და წარმოსთქვამს): — კარგად მენახოთ!
(მიბრუნდება, დაიძვრის და გასწევს).

უ ვ ე ლ ა — გზა მშვიდობისა, მთვარეო, გზა მშვიდობისა!
(მთვარე ჩადის ზღვაში)

ა თ ე — (პილატეს გაიხმობს) პილატე! მაპაჩემისა ხომ არაფერი ამბავია?!

პ ი ლ ა ტ ე — არაფერია, შენი ჭირიმე. მაგრამ გული არ გაიტეხოთ. იმას არ რა დაუშავდება რა. მოვა. მალე მოვა! დედუფალმა დარდი არ შეგნიშნოთ, სწუხს, ბრალია!
(ხმამაღლა) ეჰეი! ნიავმა დაუბერა. დილის ნიავმა! (მღერიან)

ნიავო, დილის ნიავო,
წუხელ სად გიძინიაო,
დილით სად გაგღვიძებია,
სად რისთვის მიგიგნიაო.

რა ცხრამთა გადმოგიელია,
რა მხარე გაგიცენიაო,
ამბავი მამიჩემისა
ხომ არსად გაგიგიაო.

(სინათლე იმატებს, ცაზე გამოჩნდება ღრუბლებში ამოწვდილი სხივები).

ჯ ვ ე ლ ა — მზე ამოდის! მზე ამოდის! (მღერიან)

მზეო, მზეო, ცხრათვალაო
კაცმა შემოგითვალაო:
შენ მიყვარხარ, შენი შუქით
დედამიწა გამთბარაო...
შენით ცოცხლობს სულიერი
დიდია თუ პატარაო,
შენი მადლი ქვეყანაზე
ვეღარავინ დათვალაო...

მზეო, მზეო, თაკარაო,
სად ყოფილხარ, სად არაო,
მამაჩემი სადით არის,
ჩვენთან რა დაგაბარაო?..

(გამოჩნდება მზე, თანდათან მაღლა აიწევს, შეჩერდება და წარმოსთქვამს)
— დილა მშვიდობისა!

ყ ვ ე ლ ა — (ტაშით) გაუმარჯოს! ჩვენს მზეს გაუმარჯოს! (მზე მადლობის ნიშნად თვალებს დახრის და მაღლა ადის. შემოვარდება გახარებული პილატე).

პ ი ლ ა ტ ე — დედუფალო, დედუფალო! ჩინო! ათე! ჯუმბერ!

ყ ვ ე ლ ა — რა ამბავია? რა ამბავია?

პ ი ლ ა ტ ე — ჩვენი ნავი გამოჩნდა, ჩვენი ნავი, უთუოდ მეფე მობრძანდება! მეფე მობრძანდება!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — პილატეე!..

ვ ა ჟ ე ბ ი — მამა მოდის!.. მამა მოდის!
(მისცვივდებიან მოაჯირს, დასანახავად)

ჯ უ მ ბ ე რ ი — მოდის! მოდის!

ა თ ე — აბა სად?

ჩ ი ნ ო — აგერ!

ჯ უ მ ბ ე რ ი — წამო, ბიჭებო! მივეგებოთ!

ჩ ი ნ ო — წამო!

ა თ ე — წამო! (გარბიან).

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ოხ, როგორ მიძგერს გული, პილატეე!

პ ი ლ ა ტ ე — ცხადია, შენი ჭირიმე!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — სამახარობლო ჩემზე იყოს, ჩემო პილატეე!

პ ი ლ ა ტ ე — იცოცხლე, დედუფალო, დალოცოს უფალმა, გამოჩნდა!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ნეტავი კარგად იქნებოდეს და...

პ ი ლ ა ტ ე — რა უშავს, შენი ჭირიმე... თქმას ვერ გიბედავდი, დედუფალო, და მეც ძალიან ნაღვლიანად გახლდი.

დ ე დ უ ფ ა ლ ი — გატყობდი, განა ვერ გატყობდი! (გარედან მეფის ხმა მოისმის):

მ ე ფ ი ს ხ მ ა — პილატე სადღა არის! პილატე!

პ ი ლ ა ტ ე — აქ გახლავარ, მეფეო, აქ გახლავარ!

(პილატე შესაგებებლად გაიქცევა, მაგრამ მეფე უკვე შემოდის ვაჟებით გარემოცული).

მ ე ფ ე — დამაცათ, შვილებო, სული მომათქმევინეთ! გამარჯობა თქვენი!

პ ი ლ ა ტ ე — (ხელზე ემთხვევა მეფეს) გამარჯობა ნუ მოგიშალოს, მეფეო, გამჩენმა! (ვაჟები წინ დასვამენ მამას, დედუფალი მივა და შუბლზე აკოცებს).

დ ე დ უ ფ ა ლ ი — შენთვის ხმაც არ მინდოდა გამეცა, მაგრამ რადგან უვნებლად და მშვიდობით დაბრუნდი, აღარ რას ვჩივი!

მ ე ფ ე — (იცინის) რატომ, ქალო! დაუბრებას რას მერჩი, რა დაგიშავე? უჰ! დავიღალე!.. სხვებრ? რასა იქმთ? რა რიგ ცხოვრობთ უჩემოდ? პილატე!

პ ი ლ ა ტ ე — ბრძანე, უფალპატრონო!

მ ე ფ ე — შენ ჩაგაბარე აქაურობა!

პ ი ლ ა ტ ე — რა გვიშავს, შენი ჭირიმე, გახლავართ! თენდება, მზე ამოდის, ბიჭები იზრდებიან, ვაჟკაცდებიან, საჭმელი არ აკლიათ და სასმელი, სამოსი და საცვეთი. ღამდება, მზე ჩადის და ისევ მშვიდობით თენდება. მხოლოდ ის იყო, შენი ამბავი არ ვიცოდით, პატრონო, და ვწუხდით! დედუფალი დიდად ნაღვლობდა.

დ ე დ უ ფ ა ლ ი — არა, პილატე, თუ ჩვენ არ ვახსოვდით, ჩვენ რატომ უნდა გაგვხსენებოდა? (მეფეს და პილატეს ჩაეცინებათ).

ჩ ი ნ ო — მამავ, რატომ არაფერს გვატყობინებდი?

ჯ უ მ ბ ე რ ი — შენ საძებრად წამოსვლა მინდოდა!

მ ე ფ ე — ოჰო! მარტოს? მერე? არ გეშინოდა?

ჯ უ მ ბ ე რ ი — რისი უნდა შემშინებოდა?

ა თ ე — მეც სულ ეფიქრობდი, აქამდე სად იყავ, რად იგვიანებდი და აი დაბრუნდი!

ჩ ი ნ ო — მართლაც სად იყავ ამდენ ხანს, მამავ?!

მ ე ფ ე — მთელი ჩვენი სამეფო მოვიარე, შვილებო, ყოველი დაბა-სოფელი მოვიხილე და შევიტყვე მათი სალხენ-სატკივარი!

ვ ა ჟ ე ბ ი — მერე, მერე?

მ ე ფ ე — ვნახე ვინ რით ცხოვრობს, ვინ რით სასოებს და ვინ რისკენ მიისწრაფვის!

ვაჟები — მერე? მერე?!..

შეფე — გეტყვით, გიამბობთ, მხოლოდ ჯერ ცოტა უნდა დავისვენო, ბევრი გვაქვს საზრუნავი, ჩვენი ქვეყანა წალკოტად უნდა ვაქციოთ!.. რადგან ყველა კარგად დამხვდით, ახლა შემიძლია დამშვიდებით დავიძინო, დაღლილი ვარ. (სასვენზე წამოწვება და ძველ მოუსხდებიან მუუდროდ, ბუდნად) — ყველგან კარგია, მაგრამ შინ ყოფნა მაინც ყველაზე უკეთესია (ბანცხრომით) — უჰ, რა საამოა, შინა ვარ, თქვენთან ვარ, მშვიდად, წყნარად, ტკბილად... (ხან ერთს ეფერება ხელით, ხან მეორეს, ხან მესამეს. უეცრად ჩამოღამდება, ბელუებს, დაიგრგვინებს და მათ წინ გაჩნდება როშაქი. ყველა ფეხზე წამოიჭრება).

ყველა — (შეცხადებით) ააა?!!

როშაქი — რას შეიცხადეთ? დამივიწყეთ? დავიჯერო აღარ გახსოვართ? შესანიშნავი ვაჟკაცები დაგიზრდიათ, მეფეე-დედუფალო! იმედია, ჩემი ამაგი არ დაგვიწყებიათ, შვილი გენატრებოდათ და მოგეციოთ! ერთის ნაცვლად აგერ სამი გყავთ! გითხარით წავიყვან-მეთქი და აი მოვედი წასაყვანად.

ვაჟები — რაო? რაო?.. რაო?

დედუფალი — ვაიმე, შვილებო!

შეფე — ავსულო! მე შენთვის არასოდეს არ რა მითხოვია რა! მე მუდამ ღმერთს ვთხოვდი შვილი გამჩენოდა.

როშაქი — ესე იგი, შვილები ღმერთს მოუცია და არა მე! არა, მეფეო, მაგ გზით ჩემთან ვერ რას გახდები!

შეფე — ოი, ბოროტო, რა რიგ ჩამჭიდე გულში ბრჭყალები! (მეფე ატირდება, ვაჟები გარშემოეხვევიან).

ვაჟები — მამავ! მამავ! მამავ!

როშაქი — რადგან აგრეა...
(როშაქი ხელს გაიქნევს და ჰაერში გაჩნდება ყუთი) — სამ კენჭში ერთი ნიშნიანია! ჰყარეთ წილი!

შეფე — თავხედო! რას ჰქვია წილი ჰყარონ... ადამიანი თვით ბუნებამ გაამეფა! ქვეყნად მე ვბატონობ და არა შენ! რა უფლება გაქვს მოხვიდე და შვილი წამართვა?!

როშაქი — რა ბრძანე, მეფეო? ბუნებამ ადამიანი გაამეფა?! ოო... ადამიანმა კიდევ ბოროტება გაამეფა! რისთვის გამამეფე თუ არ მოგწონდი? მე შენში ვარ და რადგან შენში ვარ, კეთილინებე და ანგარიში გამიწიე.

შეფე — სტყუი, ავსულო! მე ბოროტებას ყოველთვის ვებრძოდი! მე შენ მძაგხარ, ბოროტებავ!

რ ო შ ა ქ ი — მე კი მიყვარხარ, ადამიანო!

ყ ვ ე ლ ა — რაო?! რაო?!

რ ო შ ა ქ ი — დიახ! სულდგმულთა შორის ყველაზე მეტად ხელსაყრელი შენა ხარ ჩემთვის, აბა დაფიქრდი რომელია შენზე უმჯობესი ან გასაბრიყვებლად, ან დასამონებლად, ან გადასაგვარებლად?

მ ე ფ ე — ეგ რა სიყვარულია? ეგ ხომ წამებაა?

რ ო შ ა ქ ი — დიახ!

მ ე ფ ე — მერე? საწამებლად გიყვარვარ?

რ ო შ ა ქ ი — რა ვქნა? ასეთად გამაჩინე და ასეც გაწამებ! ვიდრე შენ შენში ჩემს არსებობას არ მოსპობ, მანამ შენი მოსვენება არ იქნება! ჰყარეთ წილი! (როშაქი ვაჟებისაკენ გაიწევს, მეფე-დედუფალი და პილატე ვაჟებს დასაცავად ჩამოეფარებიან).

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ოღონდ ამათ ნუ წამართმევ და მე წამიყვანე!

მ ე ფ ე — მე! მე წამოვალ, ოღონდ ამათ ხელს ნუ ახლებ!

რ ო შ ა ქ ი — თქვენ ვის სჭირდებით? ან რასში გამოადგებით? (ვაჟებს) — ჰყარეთ წილი!

ა თ ე — ბიჭებო, ერთმა ამდენს როგორ უნდა გვაჯობოს!..

რ ო შ ა ქ ი — (ჩაიცინებს) ჩემზე ძალა გინდათ გამოიჩინოთ? (ყველა როშაქისკენ გაიწევს, მაგრამ როშაქი მათ გრძნეულად ხელს გაუქნევს და ადგილიდან ვეღარავინ დაიძვრის).

რ ო შ ა ქ ი — რატომ გაჩერდით? სცადეთ, სცადეთ თქვენი ვაჟკაცობა! (იცინის) — გაქვავდით?

ა თ ე — დაგვჯაბნა, ბიჭებო!

ჯ უ მ ბ ე რ ი — კმარა! კმარა, ავსულო! საჭირო არ არის წილის ყრა! მე წამოვალ შენთან!.. აგვიშვი!.. (ყველა შეიცხადებს).

რ ო შ ა ქ ი — ოჰო!...

მ ე ფ ე — შვილო!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ვაი!

პ ი ლ ა ტ ე — ჯუმბერ!

ვ ა ჟ ე ბ ი — ბიჭო! ბიჭო! (როშაქი მათ გრძნებისაგან ხელის გაქნევითვე აუშვებს, მაშინვე ჯუმბერს შემოეხვევიან).

მ ე ფ ე — ეგ რა სთქვი, შვილო!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ვაი, არა, შვილო, არა!

მ ე ფ ე — შენ რა იცი ვინ არის ეგ!

რ ო შ ა ქ ი — აბა. წავიდეთ, ჯუმბერ!

(როშაქი ჯუმბერისაკენ ხელის ჩასაყიდებლად გაიწევს, მაგრამ „არა"-ს და „ვაის" ძახილით ეფარებიან, სურთ დამალონ, მაგრამ როშაქი კელავ

ხელს გაიქნევს, ჩაბნელდება და დაიგრგვინებს, რომ განათდება აღარც როშაქი ჩანს, აღარც ჯუმბერი. გონს მოვლენ, თავზარდაცემული შეკ-მნიან ვაებას).

ბ ი ნ ო — კმარა! ნუ სტირით! ტირილით ვერ რას გახდებით!

ა თ ე — რაღა კაცები ვართ, ძმა ხელიდან გამოგვაცალეს.

ბ ი ნ ო — ათე! წამო, მთელ ქვეყანას შევძრავ და ძმას მაინც ვი-პოვნი!

ა თ ე — წავიდეთ!

ფარდა

მეოთხე მოქმედება

მეექვსე სურათი

ძლდოვან-ტყიანი ადგილი. ქაჯთა თავშესაფარი, სადაც ქაჯური „წისქვილი“ აქვთ. წისქვილის დოლაბები მაღალ დგარზეა მოთავსებული, დოლაბზე ზის დულარდუხტი, ხელში გრძელი შოლტი უპირავს. დგარს დოლაბის საბრუნავად ძელები აქვს წამოშვერილი, ძელებში ღელერქვებით შერგილია ცხენივით გაბმული. დიდი ჯირისოფლით, ვაი-ვაშით სძრავს დოლაბს და ძუნძულებს გარშემოვლით, დაღლილ-დაქანცულს მუხლები ეკვეთება, დაიწყებს ფანდალს, დულარდუხტი დრო და დრო შოლტს გადაკრავს შერგილს, შერგილი სიჩქარით შეკყვირებს, დაიგრიხება და ძუნძულს შეანელებს, ამის შემხედვარე, ცალხელთან მობურპალე ქაჯუნები გულიანად ხითხითებენ.

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ჩქარა, ჩქარა! რამდენი საქმე გვაქვს, ჯერ ღვარძლია დასაღერღავი, ნერე ფაფაა მოსახარშავი, როდისღა უნდა მოვასწრო?

შ ე რ გ ი ლ ი — რაც ძალღონე შემწევს დავრბივარ და მეტი რა ვქნა?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ო, რა ზანტი ხარ! ადამიანები ღვარძლს აგრე ზანტად ღერღავთ?

შ ე რ გ ი ლ ი — ჩვენ ღვარძლს არ ვღერღავთ!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ჰო, რად გინდათ? თქვენ ისეც ღვარძლიანები ხართ! ღვარძლს სთესავთ და ღვრაძლსვე იმკით!

შ ე რ გ ი ლ ი — არა, ადამიანს ღვარძლი არ უყვარს.

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რაში გეტყობათ? მაშ აქ რა გინდოდა? ღვარძლის საღერღად არ მოხვედი?

შ ე რ გ ი ლ ი — მოვედი კი არა... მე რომ შენი შვილისთვის სული არ მიმეყიდა, აქ რა მომიყვანდა?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი—რა ჭირად უნდოდა შენი სული? მე შენ სულს შენი ხორცი მირჩევნია.

შ ე რ გ ი ლ ი — (შეჩერდება) მე კი თურმე სული მერჩია, მაგრამ სანამ არ გავყიდე, მანამ მისი ფასი არ ვიცოდი...

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რას გაბლეხილხარ? გასწიე!

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი—გასწიე. გასწიე!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — (შოლტავს) ჰააატ!..

ქაჯუნები — (ყიყინით) ჰაატ! ჰაატ! ჰაატ!
(შერგილი გამწარებული გაირბენს, მაგრამ ღონემიხდილი ისევ უძლურად წალასლასდება).

დულარდუხტი — რა უილაჯოდ დაბანდალობ? გადაადგი ფეხი, შე დასამიწებელო! მე როგორც ვატყობ შენი არც სული ვარგა და არც ხორცი.

შერგილი — რა საკვირველია თქვენს ხელში!

დულარდუხტი — გეტყობა არც მანამდე ყოფილხარ კარგი სულის პატრონი, თუ არა კარგ სულს როგორ შეელეოდი! აგრე ბრიყვი როგორა ხარ? სულს რომ ყიდდი რაღას იტოვებდი?

შერგილი — გაჭირვებამ გამაყიდვინა.

დულარდუხტი — აგრე ღარიბი იყავი?

შერგილი — არა, მდიდარი... მხედართთმთავარი!

დულარდუხტი — (ხელმიჩრდილვით გამოხედავს) ა?! მერე?.. შენისთანა გლახაკს ებარა მხედრობა? (ქაჯუნები იცინიან) — თუმცა, ჰო, ადამიანებს კაცის ცნობა მუდამ გიჭირთ! მერე? ისეთი რა გაგიჭირდა?

შერგილი — წუწკმა გულისთქმამ მაცთუნა, სულმა წამძლია და გადავცდი, გავბრიყვდი, გაღმერთება მოვინდომე, დალს მანდილი წავართვი და...

დულარდუხტი — (შეიცხადებს) რაო, რაო? გაღმერთებაო? მე მტრად ის ქალღმერთი დედაკაცი არ მეყოფოდა? ახლა შენც გაღმერთება მომინდომე? აი შენ გაგიწყდეს სახსენებელი! (გადაკრავს და გადაკრავს შოლტს, შერგილი ყვირილით გარბის, ქაჯუნები სიცილ-ხითხითისაგან კოტრიალობენ, დულარდუხტი შოლტვას განაგრძობს): — ესეც შენი გაღმერთება, ვაჟბატონო! ესეც შენ, ესეც შენ! (შერგილი ყვირილით გარბის, ამ ხმაურში შემოდის როშაქი და შემოჰყავს ჯუმბერი).

როშაქი — რა ამბავი გაქვთ! შეჩერდით! (ყველა გაჩერდება) წისქვილი რომ ხვივის არ გესმით? საღერღი შემოკლებია! მიფუჭებთ წისქვილს!.

დულარდუხტი — სულ ამის ბრალია, ლაპარაკით შემიყოლია! (შოლტავს შერგილს)

როშაქი — წყნარად, წყნარად, დედაჩემო! (ქაჯუნებს) — გამოხსენით!.. (ქაჯუნები მაშინვე გამოხსნიან შერგილს).

ჯუმბერი — ოჰო! აქ კაცი გყავთ?

როშაქი — დიახ!

ჯუმბერი — (უახლოვდება შერგილს) გამარჯობა შენი!

შ ე რ გ ი ლ ი — იცოცხლე!.. გაგიმარჯოს!!

ჯ უ მ ბ ე რ ი — საიდანლაც მეცნობი და არ მაგონდება! აქ რა გინდა? ქაჯებმა დაგიჭირეს?

შ ე რ გ ი ლ ი — ისე, როგორც შენ!

ჯ უ მ ბ ე რ ი — მე არა, მე ჩემი ნებით გამოვუეეი! შენ?

შ ე რ გ ი ლ ი — მეც, მეც ჩემი ნებით!..

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ეს სადილად მოიყვანე, შვილო? იფ! რა გემრიელი იქნება!

ჯ უ მ ბ ე რ ი — რაო? გემრიელი ვიქნები? (გულიანად გაეცინება) საჭმელი ხომ არა ვარ! როშაქო! ეს დედაშენია?..

რ ო შ ა ქ ი — დიახ!..

ჯ უ მ ბ ე რ ი — რა უცნაური მოფერება გცოდნიათ ქაჯებს!

რ ო შ ა ქ ი — დედაჩემო, გაეცალე! (შერგილს) — შენც გადი და ნოშოში დაიძინე. (შერგილი გასასვლელთან შეჩერდება და მოიხედავს, უყურებს ჯუმბერს, რომელიც აქაურობას ათვალიერებს).

შ ე რ გ ი ლ ი — (თავისთვის) რა კარგი ყმაწვილია! ცოდვა არ არის მაგისი დაღუპვა? რატომ? რისთვის?.. ახ, სულ ჩემი ბრალია, ჩემი, ჩემი... (ტირის).

ჯ უ მ ბ ე რ ი — როშაქო! იმ კაცს რა ატირებს?

რ ო შ ა ქ ი — რა ვიცი! არაფერი! (შერგილს რისხვით) — რა გატირებს (შერგილი გარბის) — არაფერია. დაიძინებს. აქაურობა როგორ მოგწონს, ჯუმბერო!

ჯ უ მ ბ ე რ ი — უცნაურია. ცოცხალ საწადელი!

რ ო შ ა ქ ი — მე და შენ ხომ დავმეგობრდით?

ჯ უ მ ბ ე რ ი — დიახ, დავმეგობრდით! მხოლოდ შენი ძალის საიდუმლო უნდა მასწავლო!

რ ო შ ა ქ ი — ჩემი ძალის?.. კარგი, გასწავლი! მხოლოდ ჯერ სხვა უნდა გასწავლო, აი, მაგალითად, როდესაც...

ჯ უ მ ბ ე რ ი — იმ კაცს რა ატირებდა?

რ ო შ ა ქ ი — ყური მიგდე, ჯუმბერ!

ჯ უ მ ბ ე რ ი — ჰო, უკაცრავად, გისმენ, გისმენ!

რ ო შ ა ქ ი — ჰოდა, აი, მაგალითად, როდესაც... (ქაჯუნები ასტეხენ ყვირილს).

ქ ა ჯ უ ნ ე ბ ი — არიქა, ცეცხლი გვიჭრება, ცეცხლი!..

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — უთუოდ ის დიაცი მოგვიახლოვდა. შვილო!

ჯ უ მ ბ ე რ ი — ვინ დიაცი?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ვინა და...

რ ო შ ა ქ ი — დედაჩემო! (დულარდუხტს ენიშნება და გაჩუმდება) მტერი გვყავს ერთი, შენ მას არ იცნობ, ჯუმბეროო! (დედას) — არა, შე-

უძლებელია, ის ჩვენგან ახლა შორს არის! სხვა მიზეზი იქნება! შეუბერეთ, შეუბერეთ!

ქაჯუნები — ვერა, ვერა, ვერა!

როშაქი — რატომ?

ქაჯუნები — ჩვენ პაწაწინა სულები გვაქვს, ვუბერავთ, ვუბერავთ, მაგრამ არ გვყოფნის.

როშაქი — ნაცარავ! მოდი აქა! (ნაცარა მიირბენს მასთან, როშაქი მას პირში ლერწამს ჩაუდებს, ჩაუბერავს, ნაცარა თანდათან გაიბერება. ჯუმბერი ხალისით უყურებს და გულიანად ეცინება).

ჯუმბერი — ოხ, ეგ რა კარგი რამ მასწავლე! შინ რომ დავბრუნდები პილატეს გავბერავ აგრე!

როშაქი — არა, ჯუმბერო! ადამიანს რომ გაბერავ, ის ცეცხლის დასანთებად აღარ გამოდგება!

ჯუმბერი — მაშ ეგ ქაჯუნა მაჩუქე!

როშაქი — რად გინდა? ამისთანას ადამიანებშიც ბევრს შეხვდები! გასწი, ნაცარავ! შეუბერე! (ნაცარას ცეცხლთან ჯუმბერიც მიაყენებს, ნაცარას მუცელზე ხელს დააკერენ და ცეცხლს შეაბერვინებენ, ცეცხლი აინთება და ნაცარა დაიჩუტება. ცეცხლი ქაჯუნებს. გაახარებთ და ფეხულს ჩაბამენ).

მღერიან — ჰაი, გიზ-გიზ, გიზ-გიზ, ცეცხლო,

ჩემო გიზგიზელა...
მიყვარს შენი გამოჩენა,
თვალის გამოხელა...
ჰაი, გიზ-გიზ, გიზ-გიზ, ცეცხლო,
ჩემო გიზგიზელა!..
— მიყვარს შენი ნაპერწკალი
შენი ალის ენა,
შენ ხარ ჩემი საფიცხარი,
შენ მოგეცა ლხენა.
ჰაი, გიზ-გიზ, გიზ-გიზ, ცეცხლო,
ჩემო გიზგიზელა...
გაბალისდი
დი, გიზგიზელავ,
შენთანა ვართ ყველა,
ხმელი ჯირკი მოვიგორო
დიდი სახლის ხელა,
მთელი ღამე ჩაუქრობლად
გაღუღუნო ნელა...
ჰაი, გიზ-გიზ, გიზ-გიზ, ცეცხლო,
ჩემო გიზგიზელა!

ჯუმბერი — ყოჩაღ, ნაცარავ, ყოჩაღ! (მწითურას) შენ რა გქვია?

მწითურა — მწითურა!

ჯ უ მ ბ ე რ ი — შენ?

კ უ პ რ ა — კუპრა!

ნ ა ც ა რ ა — შენ რა გვქვია?

ჯ უ მ ბ ე რ ი — ჯუმბერი!

მ წ ი თ უ რ ა — რა კარგი სახელია!

კ უ პ რ ა — თავადაც კარგი საჰმელი იქნება, გემრიელი!

ჯ უ მ ბ ე რ ი — (გულიანად იცინის) როგორ? თქვენ ყველაფერი საჰ-მელი გგონიათ?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — თქვენც ასეთები ბრძანდებით, თქვენც, ადა-მიანები, დიახ, ყველაფერი შესაჰმელად გინდათ!

რ ო შ ა ქ ი — (ურისხდება) დედაჩემო!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — (შემკრთალი) რა მოხდა?

რ ო შ ა ქ ი — გამოდი, აქეთ გამოდი!

ჯ უ მ ბ ე რ ი — როშაქო! რა უდიერად ექცევი დედას?! მშობლის პატივისცემა აგრე იცით ქაჯებმა?

რ ო შ ა ქ ი—ჰმ!.. მე რა ვარ ზოგიერთ თქვენთაგანთან შედარებით? (როშაქი დედას განზე გაიყვანს, ჯუმბერი ქაჯუნებს ებერჭელება).

რ ო შ ა ქ ი — (საიდუმლოდ) დედაჩემო, ეგ უმაწვილი ის არის!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ოჰ!.. მერე?!

რ ო შ ა ქ ი — უკმეხად არ დაელაპარაკოთ! მოეფერეთ! არაფერი შეამჩნეეინოთ. დღესვე უნდა გავგზავნო იმ დიაცის საბფლო-ბელოში!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — დღესავე რატომ, შვილო?..

რ ო შ ა ქ ი — ის ქალღმერთი სწორედ ახლა არის ჩვენგან შორს, ამი-ტომ დროით უნდა ვისარგებლოთ. გავუშვათ, მიეყვეთ უკან, როგორც კი ლამპარს გამოიტანს, იქვე გამოვართმევ და ჩავაქ-რობ. ის ქალღმერთი მაშინვე ძალას დაჰკარგავს, გამეფდება წყვდიადი და გავმეფდები მე, ადამიანზე გავმეფდები მე!. ა?.. ოხ, დედაჩემო, როგორ მოველი ამ წუთს, ამ ნეტარ წუთს! რას გაჩუმდი?!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რა ვთქვა? მეშიშვის!

რ ო შ ა ქ ი — რის გეშიშვის, რის?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რომ დავმარცხდეთ, შვილო?

რ ო შ ა ქ ი — ოჰ!..

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — მოდი ყველაფერს თავი დავანებოთ, ეგ უმა-წვილი მოვხარშოთ...

რ ო შ ა ქ ი — ეჰეი! შენ რა იცი, დედაჩემო... „თავი დავანებოთ“...

მერე? როდემდის „დავანებოთ“?.. არა, რასაც გეუბნები და როგორც გეუბნები, ისე უნდა მოიქცეთ, სხვა გზა არა გვაქვს. იმ ლამპარს მხოლოდ ადამიანის ხელში აქვს ძალა, ადამიანმა მას დღეს თუ ხვალ მაინც ხელთ იგდებს, ეს კი ჩვენს გაქრობას მოასწავებს, დედავ!.. ასეა! ან მე უნდა გავქრე, ან ის!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — შერგილი მაინც დაგვეკლა!

რ ო შ ა ქ ი — არა, შერგილი შეიძლება კიდევ დამჭირდეს!

დ ულ ა რ დ უ ხ ტ ი — მაშ რა ვქნათ? რა ვქამოთ?

რ ო შ ა ქ ი — რას იზამ! (ჯუმბერს) — აქ მოდი, ჯუმბერ!

(ჯუმბერი მივა მასთან, გაიხმობს)

— აბა, ჭაბუკო, დაყოვნების დრო აღარ არის! როგორც გზაში გასწავლე, ისე უნდა მოიქცე!

ჯ უ მ ბ ე რ ი — დაიცა, ერთი ეს მითხარი, შენ ვინ გითხრა, რომ მე დალმა მომხიბლა!

რ ო შ ა ქ ი — თავიც შეგაყვარა!

ჯ უ მ ბ ე რ ი — შენ საიდან იცი?

რ ო შ ა ქ ი — ვიცი! მე ისიც ვიცი, რომ გაგირბის!

ჯ უ მ ბ ე რ ი — გამირბის?.. მე ის მხოლოდ ერთხელ ვნახე ჩემს სიცოცხლეში და...

რ ო შ ა ქ ი — გაგექცა ხომ? ჰოდა, ლამპარი სწორედ ამიტომ უნდა წამოიღო! ის ხომ ულამპროდ ვერსად გასძლებს, როგორც კი მივა და აღარ დახვდება, მაშინვე კვალს გამოჰყვება, შენთან გამოიქცევა და შენი გახდება.

ჯ უ მ ბ ე რ ი — მართლა?

რ ო შ ა ქ ი — მაშ!

ჯ უ მ ბ ე რ ი — დალი თუ იქ არ დამხვდება, უმისოდ როგორ წაგოვიღო, რომ ეწყინოს?..

რ ო შ ა ქ ი — არა, მისი ოცნებაც ეგ არის, გამოჩნდეს ვინმე რაინდი...

ჯ უ მ ბ ე რ ი — ლამპრის წამომღები?

რ ო შ ა ქ ი — დიახ, წამომღები, რომ თავადაც მას გაჰყვეს!

ჯ უ მ ბ ე რ ი — ოო, თუ აგრეა... კარგია! ნამდვილად აგრეა?

რ ო შ ა ქ ი — ნამდვილად! (ჯუმბერს ფიქრი მოერევა) რას ჩაფიქრდი?

ჯ უ მ ბ ე რ ი — მერე შენ რა?

რ ო შ ა ქ ი — რა?

ჯ უ მ ბ ე რ ი — დალი თუ ჩემი გახდება ამით შენ რა?..

რ ო შ ა ქ ი — ჰოო... მე ერთხელ ტყეში ირემი ვიყავი და მამაშენმა სიკვდილისაგან მიხსნა...

ჯ უ მ ბ ე რ ი — ოჰ! ეგ ხომ მითხარი. ეგ ყველაფერი ვიცი...

რ ო შ ა ქ ი — ჰოდა, ყველაფერ ამას მხოლოდ იმისთვის ვმოქმედებ, რომ მამაშენი გავახარო, სამაგიერო სიკეთე მივუხლო.

ჯ უ მ ბ ე რ ი — გამოტანის დროს წინ რომ ვინმე გადაგეღობოს?

რ ო შ ა ქ ი — მოძალადეს ლამპრის შუქი პირდაპირ თვალებში უნდა უსწორო და შესძახო: „გზა ადამიანს“... მოძალადე მყისვე უსულოდ დაეცემა!

ჯ უ მ ბ ე რ ი — ოჰ! რაც უნდა ძლიერი იყოს მაინც დაეცემა?

რ ო შ ა ქ ი — მაინც!

ჯ უ მ ბ ე რ ი — ვთქვათ შენი ძალის იყოს, მაინც?

რ ო შ ა ქ ი — ჩემზე ძლიერიც რო იყოს, მაინც! აბა, გასწი ახლა! იმ ალმართს რომ აიელი, დიდ გზას დაადგები, იელი სულ პირდაპირ! როცა ოქრონარეე ციცაბოს მიადგე, აი ეს ჯოხი დაუკაკუნე, კლდე შუაზე გაიხსნება, მაგრამ დააცადე, როცა სინათლე მოიმატებს, ე, მაშინ უნდა შეასწრო სანამ ღაიხურებოდეს...

ჯ უ მ ბ ე რ ი — მერე ვიცი, ცხრა კარი უნდა გავიარო, თვითეულზე ცხრაჯერ უნდა დავაკაკუნო, ლამპარს რომ ავიღებ, უკან არ უნდა გამოვბრუნდე, პირდაპირ უნდა განვაგრძო გზა.

რ ო შ ა ქ ი — ისევ ცხრაჯერ, ცხრა კარი..

ჯ უ მ ბ ე რ ი — ვიცი, ვიცი!.. მეორე გასასვლელში ისევ ამ ჯოხით?

რ ო შ ა ქ ი — არა, ეგ ჯოხი ძალას დაჰკარგავს!

ჯ უ მ ბ ე რ ი — ვაიმე!

რ ო შ ა ქ ი — რაღად გინდა, ლამპარი ხელში გექნება! მეც იქვე დაგხვდები!

ჯ უ მ ბ ე რ ი — კარგი! მაშ შენი იმედი მექნება!

რ ო შ ა ქ ი — მაგის დარდი ნუ გაქვს!

ჯ უ მ ბ ე რ ი — (მიდის, მიბრუნდება) იქიდან რომ დაებრუნდები, იცოდე ის ქაჯუნა ჩემი უნდა იყოს.

რ ო შ ა ქ ი — კარგი. აბა, მარჯვედ იარე!

(როშაქი გაიცილებს და მიბრუნდება)

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ეგ რა ქენი, შვილო, მოძალადის დაძლევა რატომ ასწავლე!..

რ ო შ ა ქ ი — შენ გგონია მხოლოდ იმიტომ, რომ ლამპრის გამოტანაში ხელი არავინ შეუშალოს? არა, დედაჩემო... ეგ ადამიანია, თუ შენს გულწრფელობაში კარგად არ დარწმუნდა, ისე არ მოგვენდობა. ხომ შეატყვე წეღან რომ ჩამკითხა და ჩამკითხა „შენზე ძლიერიც რომ იყოს მაინცო?“...

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ჰო, მაგრამ ვაი თუ ალარც შენ დაგანებოს, ხომ დავიღუპებით!

რ ო შ ა ქ ი — არა, იმან რა იცის რა მაქვს გულში! ადამიანს ნდობაც ისე ღუპავს, როგორც უნდობლობა! ისე გუნებიერად გამოვართმევ და ჩავაქრობ ვერც კი წარმოიდგენს. (ქაჯუნებს) — აბა, ჩაძვერით ახლა ფუღუროში.

(ქაჯუნები წკმუტუნით ჩაძერებიან ფუღუროში).

— ვიდრე დავბრუნდებოდეთ, იძინეთ! დედავ, მოდი აქ! (დულარდუხტი მივა, როშაქი ხელს ჩაიქნევს, ჰაერში რაღაც უჩინარს ხელს ჩასჭიდებს და მოსწევს, ჩაბნელდება. რომ განათდება აღარც ქვაბია და აღარც წისქვილი).

რ ო შ ა ქ ი — (დულარდუხტს) აბა, წავიდეთ!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — შვილო, იმ ყმაწვილმა რომ მოიხედოს და დაგვინახოს, ხომ გვიცნობს; მიხვდება, უკან რომ მივყვებით!

რ ო შ ა ქ ი — არა, ისე უნდა ვიქნეთ დაშორებული, მოიხედოს და ვერ გვიცნოს.

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ადამიანი ეშმაურია! ფრთხილად, შვილო!

რ ო შ ა ქ ი — გავწიოთ! ო, ძალთაძალო, შენ მიწინამძღვრე ადამიანის დამონებაში!

(გადიან. მცირე ხნის შემდეგ სიჩუმეში ჭოტის კივილი გაისმის. შემდეგ შორეული ბუკის ხმა. პაუზის შემდეგ ადამიანის ძახილი, პასუხიც მოჰყვება ძახილს. პაუზა. ისევ ბუკის ხმა, მაგრამ უფრო ახლოს, შემდეგ ჩინოს ძახილი).

ჩ ი ნ ო ს ხ მ ა — ჯუმბერ! ჰაუ, ჯუმბეროო...

ა თ ე ს ხ მ ა — ჯუმბეროო.. ჯუმბეე....

(ისევ ბუკის ხმა. გამოჩნდება ჩინო ბუკით).

ჩ ი ნ ო — არავინ არ მაგონებს!.. ნეტავ სად მოვედი? (უძახის) — ჯუმბერ! (გამოძახილი უპასუხებს) — ეს რა ხმა ისმის? (კიდევ გასძახებს) — ეს ხომ ტყის გამოძახილია. ეს ხომ ჩემიეე ხმაა.

ა თ ე ს ხ მ ა — ჩინოო...

ჩ ი ნ ო — ეს კი ათეა! (გასძახის) — აქეთ, ათე! აქეთ წამოდი!

ა თ ე ს ხ მ ა — სადა ხარ, ბიჭო...

ჩ ი ნ ო — აქა ვარ, ათე, აქა! (ჩამოჯდება) — ნეტავ სადა ხარ, ჯუმბერ! ნეტავი თუ ხარ სადმე ცოცხალი?!

ა თ ე ს ხ მ ა — (მოახლოებული) სადა ხარ, ჩინო, სადა? შენ მაინც არ დამეკარგო ამდენ ხეტიალში. (გამოჩნდება) — ნეტავ ის მაინც ვიცოდე, სად მოვედით?

ჩ ი ნ ო — ტყეში!

ა თ ე — ოჰო, შენ რომ არ მითხრა მე ვერ ეხედავ?

ჩ ი ნ ო — მაშ რა გითხრა? რა გიპასუხო?

ა თ ე — ისევ ჩვენს ქვეყანაში ვართ თუ უკვე სხვაგანა ვართ?

ჩ ი ნ ო — არ ვიცი, ბიჭო, არა!

ა თ ე — ოხ, რა უბედური გავჩენილვართ, ჩინო, მე და შენ.

ჩ ი ნ ო — ჩვენ კიდევ რა გვიშავს, უბედო ჯუმბერი ყოფილა!

ა თ ე — ძმა ხელიდან გამოგვაცალეს და ჩვენ ხელიც ვერ გავსძარით, რაღა ვართ? რაღა კაცები ვართ.

ჩ ი ნ ო — ჩუ!.. დაიცა! ვიღაც მოდის! დავიმალოთ! (დაიმალებიან). (შემოდის შერგილი, გაოცებული).

შ ე რ გ ი ლ ი — ა? ეს აქ რა მომხდარა? აღარც ქვაბი, აღარც წისქვილი! ეტყობა წასულან. როგორც მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს, ისე წასულან! ჯუმბერს გასდევნებიან... მაშ მე ჩემს ნებაზე გამიშვეს? ა? ნუთუ მართლა?.. ოხ, ღმერთო! ღმერთო! (დაიჩოქებს) — მიხსენი ქაჯთა ხელისაგან, მეყავ მოწყალე, მექმენ მფარველი, მომიტევე ჩემი შეცოდებანი, მომმადლე შენი ძალი და გონება, იქნებ ისევ დავადგე კეთილი ცხოვრების გზას (გამოჩნდებიან ათე და ჩინო).

— გამარჯობა თქვენი, უფლისწულებო! აქ რამ მოგიყვანათ?

ჩ ი ნ ო — ვინა ხარ?

ა თ ე — საიდან გვიცნობ?

შ ე რ გ ი ლ ი — გიცნობთ! მე შერგილი ვარ!

ძ მ ე ბ ი — (შეიცხადებენ) აა?! შერგილი?!

ჩ ი ნ ო — მაშ შენა ხარ, ჯუმბერი რომ ქაჯს მოატაცებინე?

ა თ ე — მაშ ყველაფერი შენი ბრალია? გამიშვი!

ჩ ი ნ ო — დაიცა, ათე! (შერგილი დაიჩოქებს).

შ ე რ გ ი ლ ი — ჩემი ბრალია, ჩემი, ყმაწვილებო! შემიბრალა მეფემაც, ღმერთმაც... მეც მაწამებს ქენჯნა სინდისისა, მაგრამ რა ვქნა? როშაქის ბრეკალში ვარ... (ტირის) — მიხსენით, ყმაწვილებო, მეც ადამიანი ვარ, თქვენი სისხლი და ხორცი, ნუ გამწირავთ, მიშველეთ!

ა თ ე — ჩვენ როგორ გიშველოთ, ჩვენ ჯუმბერისთვისაც ვერ გვიშველია!

შ ე რ გ ი ლ ი — (უეცრად დაინახავს) ყმაწვილებო! ხედავთ? ჯუმბერი აღმართზე ავიდა, დიდ გზაზე მიდის!

ძ მ ე ბ ი — ჯუმბერი! ჯუმბერი! სად მიდის? სად?

შ ე რ გ ი ლ ი — (საიდუმლოდ) როშაქმა დალის სამფლობელოში გაგზავნა ლამპრის გამოსატანად!

ა თ ე — შენ რა იცი?

შ ე რ გ ი ლ ი — ვიცი, მე ყველაფერი გავიგონე! (განდობით) — როშაქს უნდა ადამიანის დასამონებლად ლამპარი ჩააქროს!

ა თ ე — რას ამბობ?

ჩ ი ნ ო — მაგას ჯუმბერი არ ჩაიდენს!

ა თ ე — ჯუმბერი მოღალატე არ გახდება!

შ ე რ გ ი ლ ი — არა, ეგ ვიცი, ვიცი, უმაწვილებო, მაგრამ ვაი რომ ჯუმბერმა მაგის არ რა იცის რა, მას სულ სხვა რამე ჰგონია და მიდის ლაღად, ავსულისაგან გაბრიყვებული!

ა თ ე — ვაიმე! ძმაო!

ჩ ი ნ ო — არიქა, დავეწიოთ!

შ ე რ გ ი ლ ი — ვერა, უმაწვილებო, შორს არის!..

ა თ ე — მაშ რა ვქნათ?

ჩ ი ნ ო — დავიღუპებით!

შ ე რ გ ი ლ ი — (შორს დაინახავს) ხედავთ? როშაქსა და დედამისს!

ა თ ე — ეს რას ნიშნავს?

შ ე რ გ ი ლ ი — უნდობლობით, ჩუმჩუმად, უკან დასდევნებიან ჯუმბერს!

ჩ ი ნ ო — მერე? რა ვქნათ?

ა თ ე — როგორ მოვიქცეთ?

შ ე რ გ ი ლ ი — (მოიფიქრებს) ჯუმბერი ხომ მეორე მხრიდან გამოიტანს ლამპარს, ჰოდა...

ძ მ ე ბ ი — (შესცქერიან) რა? რა?

შ ე რ გ ი ლ ი — სანამ ეგენი შესასვლელამდე მიჰყვებიან, გამობრუნდებიან, მერე მოივლიან... (გადასწყვეტს) — გამოიტანოს!

ჩ ი ნ ო — გაგვაგებინე რას ფიქრობ?

შ ე რ გ ი ლ ი — მანამდე... აბა, ბიჭებო, მარდი სიარული თუ შეგიძლიათ, მომყევით!

ა თ ე — გაგვაგებინე, შერგილ!

შ ე რ გ ი ლ ი — მომყევით.

ფარდა

მეხუთე მოქმედება

მეშვიდე სურათი

სიღრმეში კლდოვანი ციცაბოა, ციცაბოს ფრიალო მკერდზე ბზარი აქვს. ბზარს ქილიკი ჩამოსდევს. ქვეშ წყაროა სასხდომ-სასვენი ლოდებით. წინა პლანზე დიდი ფუღუროიანი ხეა.

შ ე რ გ ი ლ ი — აი მოვედით, ყმაწვილებო! ეს არის საზღვარი დალის სამფლობელოსი.

ა თ ე — ძლივს არ მოვაღწიეთ!

ჩ ი ნ ო — დაიღალე?

ა თ ე — არა. შენ?

ჩ ი ნ ო — არც მე!

ა თ ე — მაშ რაღად შეეჩერდით! წავიდეთ!

შ ე რ გ ი ლ ი — არა, როდესაც სინათლე მოიმატებს. მაშინ უნდა შევიდეთ! ხომ არ გშიათ?

ო რ ი ვ ე — არა!

ა თ ე — მხოლოდ ცოტა წყალი კი მინდა! თქვენ ხომ არ გწყურიათ?

ჩ ი ნ ო — მე სიამოვნებით დავლევდი ახლა ცივ რძეს!

ა თ ე — ჰმ! რძის სმა რა ვაკაციის საქმეა!

შ ე რ გ ი ლ ი — მე კი ერთ სასმის ზედაშეს ვირჩევდი!

ჩ ი ნ ო — (დაინახავს წყაროს) აგერ წყარო!

ა თ ე — (სვამს) იფ! რა გემრიელი წყალია, ნახეთ!

ჩ ი ნ ო — (დაეწაფება) არა, ათეე, რას ამბობ? წყალი კი არა რძეა! ნამდვილი გემრიელი რძე!..

შ ე რ გ ი ლ ი — რას ამბობ? რძის წყაროა?!..

ჩ ი ნ ო — ნახე!

შ ე რ გ ი ლ ი — (დაეწაფება წყაროს და გაოცდება) ა? ეს რა არის? რძე კი არა ნამდვილი ღვინოა, ნამდვილი ღვინო, ყმაწვილებო! მართალი ყოფილა ხალხის ნათქვამი ჩვენს ქვეყანაში ნატვრის წყარო არისო და აი აღმოვაჩინეთ.

ა თ ე — მაშ თუ აგრეა, მე ახლა იცი რას ვინატრებ?

ო რ ი ვ ე — რასა? რასა?

ა თ ე — დაიცათ, მოვიფიქრო... რასა და თაფლს!
(დაეწაფება წყაროს და გაოცდება)
— ბიჭებო, თაფლია, ნამდვილი თაფლი!
(წყაროსთან შეჯგუფდებიან. წინა არეზე შემოდიან როშაქი და დულარდუხტი. როშაქი დაინახავს ჯგუფს წყაროსთან და შეშფოთდება).

რ ო შ ა ქ ი — ამათ აქ არ უნდათ?
(ხელს ჩაავლებს დულარდუხტს და იქვე ხეს ამოეფარებიან)

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ვინ არიან?

რ ო შ ა ქ ი — მეფის ვაჟები! შერგილიც თან ახლავთ!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — შერგილიც?

რ ო შ ა ქ ი — დედაჩემო, ეს ვერ არის კარგი ამბავი!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რაღა ვქნათ? ეს სულ იმ დედაკაცის ბრალი იქნება.

რ ო შ ა ქ ი — ჩუმად! ცხადია.

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — შერგილი მაინც არის შენს ხელში, მოუგრიხე კისერი!

რ ო შ ა ქ ი — ვერა! იქ ჩემი ძალა რაღას გასჭრის, უკვე საზღვარს იქით არიან.

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — მაშ რა უნდა ვქნათ? (როშაქი ფიქრობს) — ა? შვილო, რას ფიქრობ?

რ ო შ ა ქ ი — ასე ჯობს! მოიბურე თავზე თავშალი!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რატომ?

რ ო შ ა ქ ი — ადამიანებად უნდა მოვაჩვენოთ თავი, იქნებ საზღვარს აქეთ გადმოვიტყუო, სხვა გზა არ არის! გამო, გითხრა... (უკანვე გადიან).

ჩ ი ნ ო — რა კარგი ყოფილა დალის სამფლობელო.

ა თ ე — საზღვარზე ასეთი კარგია და შიგ ხომ სულ უკეთესი იქნება!

შ ე რ გ ი ლ ი — გმადლობ, ღმერთო, შენს მოწყალებას! ოხ, რომ იცოდეთ, ყმაწვილებო, თქვენთან ყოფნით რა ბედნიერი ვარ! ახლა ვხედავ, თურმე ბედნიერებას სანამ არ დაჰკარგავ, მანამ ვერ დააფასებ!..
(შემოდიან როშაქი და დულარდუხტი ადამიანებად მორთულნი. როშაქს დულარდუხტი მკერდზე მიყრდნობილი მოჰყავს. დულარდუხტი კვნესის).

რ ო შ ა ქ ი — (მოწოდებით) ვინა ხართ მადლიანი, მომეშველეთ, მომეხმარეთ, დედა მომყავს, ცუდად გამიხდა!

ა თ ე — აგერ წყაროსთან მოიყვანე, წყაროსთან.

რ ო შ ა ქ ი — როგორ მოვიყვანო სიარული ალარ შეუძლია, ერთი

მომეშველეთ თქვენს მზესა, აქეთ მოდით! იქნებ როგორმე ხელში ავიყვანო (სამივე მათკენ დაიძვრის, ყველაზე წინ შერგილი წამოვა და როგორც კი გადმოსცდება საზღვარს, სანათლე მოიმატებს)

ძ მ ე ბ ი — სინათლე! სინათლე!

(ძმები უკანვე გაიქცევიან და გაკვლენ).

რ ო შ ა ქ ი — (გამწარებით დაიღრიალებს) აახ! დავიღუპე!

შ ე რ გ ი ლ ი — აა?!. როშაქო!..

(შეშინებული მყისვე უკან-უკან დაიხევს და მობრუნდება ეაუების უკან დასადევნებლად, მაგრამ სანამ საზღვარს გადასცდებოდეს, როშაქი მას უხილავი სადავით შორიდან მძაფრად მოქაჩავს, მოითრევს).

შ ე რ გ ი ლ ი — ვაი!

რ ო შ ა ქ ი — შეჩერდი!

შ ე რ გ ი ლ ი — მიშველეთ!

რ ო შ ა ქ ი — შენ მაინცა ხარ ჩემს ხელში.

შ ე რ გ ი ლ ი — ვაი, ავსულო... გამი... შვი...

რ ო შ ა ქ ი — (წააქცევს და გულზე მუხლს დააჭერს) მატლო! ჭიავ!.. სად მიღოღავ? გაგსრესავ!.. შენც სინათლეს ებღაუკები? თვალთ დაგიბნელებ! (თვალებზე ხელს აკერს წამოსათხრელად).

შ ე რ გ ი ლ ი — (სიმწრით ღრიალებს) ვაი... მიშვე... ლეთ...

რ ო შ ა ქ ი — (თვალებს წამოთხრის და განშორდება) აპა!

შ ე რ გ ი ლ ი — ვაი... ბოროტო.. მართალია თვალის სინათლე ჩამიჭრე, მაგრამ შენ იმ ლამპარს ვეღარ ააქრობ! უკვე გაგასწრეს! იციან შენი განზრახვა, ეტყვიან ჯუმბერს!

რ ო შ ა ქ ი — რაო?.. რას ეტყვიან? ვაი დედავ! ამიხდა შენი ნათქვამი... ამიხდა!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — ხომ გეუბნებოდი, შვილო, ხომ გეუბნებოდი...

რ ო შ ა ქ ი — (დედას ტუჩზე ხელს აფარებს) ჩჩ! (განზე გაიყვანს) შერგილს ყველაფერი ესმის! ჩუმად!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — (ფრთხილად) ბარემ გაგვესრისა ეგ შერგილი!

რ ო შ ა ქ ი — არა! რას ამბობ? მაგისი სიცოცხლე სწორედ ახლა მჭირდება.

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რა გინდა?

რ ო შ ა ქ ი — ხომ იცი, რომ ლამპარს მხოლოდ ადამიანის ხელში აქვს ძალა!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — მერე?

რ ო შ ა ქ ი — ჰოდა, ადამიანის სიცოცხლე უფრო ადვილი ჩასაქრობია!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — მერე, შერგილი რაში გჭირდება?

რ ო შ ა ქ ი — მაგასაც ახლავე მიხვდები, წამო, ძივუახლოვდეთ შერგილს, მის გასაგონად მე რჩევას გკითხავ, შენ მეფის მოსპობა მირჩიე. ჯერ უარს გეტყვი, მერე დაგთანხმდები!
(უახლოვდებიან შერგილს).

რ ო შ ა ქ ი — დედაჩემო, ვიღუპები! მირჩიე რა ვქნა?

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — სამეფოს თავს მოჰკვეთ, ტანი დაეცემა, მეფე, შვილო, მეფე უნდა მოსპო!

რ ო შ ა ქ ი — ეხ, დედაჩემო, სამეფო ცხრათავიანი დეევია, ერთ თავს მოჰკვეთ, მეორე ამოუვა!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — სანამ მეორე ამოუვიდოდეს, მანამ უნდა დაეუფლო! ასეა, სხვა გზა არ არის!..

რ ო შ ა ქ ი — კარგი!... რადგან სხვა გზა არ არის, წავიდეთ!
(ეითომ მიდიან, უკანვე ბრუნდებიან და ჩუმად იქვე ფუღუროში შეძვრებიან. სინათლე თანდათან მოიმატებს, მოისმის ეაეების სიმღერა, კლდის ბზარი გაიხსნება, სიმღერაც ძლიერად გაისმის და გამოჩნდებიან; ჯუმბერს ლამპარი მოაქვს, დახედავს ძირს დაგდებულსა და მტირალ შერგილს)

ჯ უ მ ბ ე რ ი — ეს ვინ არის? (იცნობს) აა, შენ ის კაცი არა ხარ ქაჯებთან რომ ტიროდი?

ჩ ი ნ ო — შერგილო, რა დაგემართა?

თ ე — შერგილო!

შ ე რ გ ი ლ ი — ბოროტებამ დამცა! დამაბრმავა!

ჯ უ მ ბ ე რ ი — ნუ ტირი! ბოროტებამ დაგცა, მე წამოგაყენებ! დაგაბრმავა, მე აგიხელ თვალებს.
(ჯუმბერი ხელს მოუსვამს თვალებზე, ლამპარს დაანათებს, შერგილ თვალებს გაახელს).

შ ე რ გ ი ლ ი — შენ ვინა ხარ?

ჯ უ მ ბ ე რ ი — ადამიანი!

შ ე რ გ ი ლ ი — ჯუმბერო!

ჯ უ მ ბ ე რ ი — მომეცი ხელი!
(შერგილი ხელს გაუწვდის, ჯუმბერი მას ფეხზე წამოაყენებს)..

შ ე რ გ ი ლ ი — (ხელზე კოცნის) ჯუმბერო!.. ჯუმბე...

ჯ უ მ ბ ე რ ი — წავიდეთ!

შ ე რ გ ი ლ ი — ვაი იქ მისვლას, ყმაწვილებო!

ს ა მ ი ვ ე — რა ამბავია?

შ ე რ გ ი ლ ი — როშაქი მაპათქვევინის მოსასპობად წავიდა! გაიქცა!

ს ა მ ი ვ ე ნ ი — (შეცხადებით) აა?

შ ე რ გ ი ლ ი — ჰო, ყმაწვილებო, ჰო! (საგონებელში ვარდებიან)

ჩ ი ნ ო — რაღა ვქნათ?

ჯ უ მ ბ ე რ ი — რა მოხდა? ვაქკაცები არა ხართ? წავიდეთ!

ზ ე რ გ ი ლ ი — მაშ ვიჩქაროთ, ყმაწვილებო, ღამდება, გზაში ღამით სიარული მოგვიწევს!

ჯ უ მ ბ ე რ ი — არაფერია! ხელში ლამპარი მიჭირავს, გავსწიოთ!
(გადიან. ფანჯრიდან გამოძერებიან როშაქი და დულარდუხტი).

რ ო შ ა ქ ი — (ბოროტად გაბარებული) გასჭრა, გასჭრა ჩემმა ხერხმა! აგერ ხომ ხედავ მოკლე გზა ირჩიეს, კლდეებზე მიდიან ბილიკებით..

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — მერე, რას აპირებ?

რ ო შ ა ქ ი — გამარჯვებას, დედაჩემო, გამარჯვებას!
(როშაქი თვალებზე ხელებს დურბინდივით მოიმარჯვებს და მიმეკალთ გაპყურებს).

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — შვილო!

რ ო შ ა ქ ი — დამაცა!

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — კიდევ არ მოტყუვდე, შვილო!

რ ო შ ა ქ ი — არა!.. ახლა უკვე დათვლილია მაგათი სიცოცხლის წუთები! აგერ... (გაპყურებს).

დ უ ლ ა რ დ უ ხ ტ ი — რა?

რ ო შ ა ქ ი — დამაცა!.. აგერ, გავიდნენ ღარტაფებსა და ორწოხებზე. აბა, სეტყვავ და ქარიშხალო...
(გრძნების მოსახდენად ხელებს გაიწვდის. უხილავ საფავეებს მოიმარჯვებს, მოზიდავს, ერთ წერტილს უყურებს). — დაჰკარ!.. დაუბერე!..
(იელვებს, დაიგრგვინებს და ჩაქრება სინათლე. სიბნელეში წამოვა ელვარე სეტყვა, შორს, სიღრმეში გამოჩნდება სინათლის პატარა წერტილი, რომელიც მანკეულად მიდის კიდე-ღრეთა აღმართ-დაღმართზე. ამოვარდება ქარიშხალი. შორიდან მოისმის ჯუმბერის ძახილი):

ჯ უ მ ბ ე რ ი ს ხ მ ა — აბა მარჯვედ! მარჯვედ მომყევით!
(ხმას ფარავს ქარიშხლის ზუზუნი, სინათლის წერტილი მცირდება, ისევ იზრდება, მოისმის ახლოდან):

რ ო შ ა ქ ი ს ხ მ ა — დაუბერე! დაუბერე, ქარიშხალო!
(ამ ძახილსაც ქარიშხალი ფარავს, ისევ მოისმის):

ჯ უ მ ბ ე რ ი ს ხ მ ა — ერთად! ერთად! ყოჩაღად! ერთმანეთს არ დაშორდეთ!

რ ო შ ა ქ ი ს ხ მ ა — იელვე! დასჭექე, დაჰკარი!
(ქარიშხალის ზუზუნი ძლიერდება, იელვებს, იჭექებს)

ჯ უ მ ბ ე რ ი ს ხ მ ა — სადა ხართ, აქეთ, აქეთ მომყევით! არ შეშინდეთ!

რ ო შ ა ქ ი ს ხ მ ა — უფრო მკაცრად! უფრო სასტიკად!
(ძლიერდება ზუზუნი და ჭექა-ქუხილი)

ჯ უ მ ბ ე რ ი ს ხ მ ა — ხელი! ხელი ჩასჭიდეთ ერთმანეთს, სადა ხართ?.. ჰეი! (ფარავს ხმაური)

რ ო შ ა ქ ი ს ხ მ ა — დაჰკარ! დაქსაქსე, დააბნიე ადამიერი!.. (ხმაური)

ჯ უ მ ბ ე რ ი ს ხ მ ა — ვაი! სადა ხართ?.. ვაი...

რ ო შ ა ქ ი ს ხ მ ა — გესმის? დედაჩემო, გესმის? როგორ კვნესის, როგორ გმინავს განწირული ადამიანი!.. აი ეს არის ნამდვილი სიცოცხლე! ნამდვილი ბრძოლის სიხარული! იელვე! დასჭექე! გავარდი მეხო!

(იელვებს, დაიჭექებს, გავარდება მეხი. სინათლის წერტილი თანდათან მცირდება და ქრება; დადგება სრული სიჩუმე და ბიბნელე).

რ ო შ ა ქ ი ს ხ მ ა — (ახლოს) მორჩა! გათავდა! ჩქარა, ლამპარი ღვთაებრივი! დაემხო ძალა ღვთისა და კაცისა, გათავდა მათი პირველობა! დადგა ჟამი ჩემი ბატონობისა! ახლა მე ვარ ყველაფერი, მე ვიბატონებ ადამიანზე! მომილოცე, დედაჩემო! დედავ! დედავ, სადა ხარ? ვერ გხედავ! ვერაფერს ვერ ვხედავ! წყვდიადია!! მარტო ვარ!.. ვაი!.. რაღა ვქნა, დედავ! დედავ! დედავ!...

ფარდა

მეექვსე მოქმედება

მერვე სურათი

მეფის სასახლის გალავნიანი ეზო. წინა არეზე სამი ფარხმალი ცალ-ცალკე ჰკიდია. მეფე-დედუფალი, გადიები, მხლებელ-მსახურნი სამგლოვიარო ძაძით არიან შემოსილნი. მოისმის „გლოვის ზარი". ეს „ზარი" სამხმიანი საგალობელია, აგებულია ხმოვან ბგერებზე, „ზარი" ორპირია და გადაბმული.

ძ ე ფ ე — ვაი, შვილებო, ვაი ჩემს ყოფას!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — ვაი თქვენს დედას, შვილებო... ვაი თქვენს უბედურ დედას, ჩემო ბიჭებო.

მ ე ფ ე — ოი, ბედო ტიალო, ბედო უსამართლოვ! რისთვის მაძლევდი შვილებს თუ წამართმევდი?

დ ე დ უ ფ ა ლ ი — გუშინ ამ დროს ჯერ კიდევ ბედნიერი ვიყავი! ცოცხლები მეგონეთ, შვილებო... სარკე მეპირა, ქვეყნის ოთხივე მხარეს გეძებდით...

მ ე ფ ე — რატომ მე არ დამეცა ის მეხი!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რატომ ჩემი სიცოცხლე არ ჩაქრა, ჩემო ჩამქრალო თვალის ჩინებო! ოიმ!

(დედუფალს უეცრად გული შეეღონდება. „ზარი" მყისვე შეწყდება, გარს შემოეხვევიან).

ხ მ ე ბ ი — წყალი! წყალი!

(წყალს ასხურებენ, დედუფალი გონზე მოდის).

პ ი ლ ა ტ ე — გამხნევედი, დედუფალო, შენი ჭირიმე! გამხნევედი! მეფე მაინც შეიცოდე, ბრალია!

მ ე ფ ე — მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს, დასუსტდი!

პ ი ლ ა ტ ე — აგრე ვერც გასძლებ, დედუფალო!

დ ე დ უ ფ ა ლ ი — რა საჭირო ვარ? ვისთვის გავძლო? რისთვის?!

მ ე ფ ე — კარგი, კმარა! გთხოვ! წამო, დაისვენე!

პ ი ლ ა ტ ე — ღონეს მოიკრებ, შენი ჭირიმე, მოტირლები მობრძანდებიან, ხომ უნდა დახვდე, დედუფალო!

(მეფე ანიშნებს და დედუფალი გაპყავთ. გასდევს ყველა, მეფე კი რჩება განმარტოებით, პილატესაც გასვლა უნდა, მაგრამ მეფეს მარტოდ ვერ სტოვებს).

მ ე ფ ე — პილატეე!

პ ი ლ ა ტ ე — ბრძანე!

მ ე ფ ე — აქ ახლა მხოლოდ მე და შენა ვართ.

პ ი ლ ა ტ ე — დიახ!

მ ე ფ ე — (განდობით) შენ არ იცი, რა განსაცდელში ვარ! სინდისი მქენჯნის, სულს მიხუთავს!

პ ი ლ ა ტ ე — რატომ, მეფეო?

მ ე ფ ე — მე ბოროტებას ვებრძოდი და თვით ჩავიდინე ბოროტება!

პ ი ლ ა ტ ე — რაა?

მ ე ფ ე — ხომ ხედავ, როგორ მომეზღო სამაგიერო!..

პ ი ლ ა ტ ე — რის სამაგიერო?

მ ე ფ ე — ჩემი შვილის გადასარჩენად ვიშვილე ის საცოდავი ობლები!

პ ი ლ ა ტ ე — ოხ, მაგას რას ბრძანებ, მეფეო!

მ ე ფ ე — ასეა შვილისთვის, შვილისთვის გავწირე ის უბედურები! (ტირის) რად გაგვიმეტე, მამაო, რა დაგიშავეთო?.. სულ ასე მესმის მათი ძახილი!

პ ი ლ ა ტ ე — არა, შენი ჭირიმე, არა, ძმა რომ არ მოეძებნათ, რა გული მოუთმენდათ? თუ აგრეა, ეგ ბიჭუნები მე გაშვილებინე და მე ვყოფილვარ დასასჯელი!

მ ე ფ ე — შენ ერთგულებით მოგვიყიდა, ჩემო პილატეე, სიკეთე გეგონა და სიავე გამოგვიყიდა! შენ თუ სცდებოდი, მე სად მქონდა ჭკუა-გონება, მე უბედურს, მე ბრიყვსა და უგნურს... ვაი ჩემს ყოფას, ვაი ჩემს სიცოცხლეს!

(მეფე ვაებით მიდის გასასვლელისაკენ)

პ ი ლ ა ტ ე — (თავისთვის) ოხ, ჩემო საბრალო მეფევ!.. ჩემო საცოდავო ბიჭუნებო!.

(უეცარი, ელდანარევი ძახილით შემორბის სამი მხლებელი)

მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი — მეფეო! მეფეო! მეფეო!

მ ე ფ ე — რა ამბავია?

მ ხ ლ ე ბ ე ლ თ ა გ ა ნ ი — ვიღუპებით, მეფეო! ავსულები თავს დაეცა სასახლეს, რაღაცას დაეძებს, პალატებს ჩხრეკავს, ქექავს, აფორიაქებს, ვინც წინ შემოეყარა და მასზე ხელის შემართვა დააპირა, ყველა იქვე ადგილზე გრძნებით გააჩერა! რა ექნათ! რა ვიღონოთ? ადგილიდან ვეღარავინ იძვრის!

ხ მ ე ბ ი — მოდის, აქეთ მოდის!

რ ო შ ა ქ ი ს ხ მ ა — მეფე! მეფე სადა გყავთ? მეფე სადა გყავთ?.

ხ მ ე ბ ი — (უმწეოდ) რა გინდა, წყეულო, არ დაგანებებთ! გაგვშორდი! გაგვეცალე! არ დაგანებებთ, არა, ვაი! წყეულო! (შემოიჭრება როშაქი, მხლებლები მეფისეე დაიძერებიან, აგრეთვე მეფე და პილატეც, მაგრამ როშაქი მათ უჩინარი ხმლის თითო მოქნევით ადგილზე შეაჩერებს. ცდილობენ იქიდან დაიძრან, მაგრამ ამაოდ მოძრაობენ — ზოგს მოღერებული ხმალი შერჩება ხელში, ზოგს ქარქაშიდან აღარ ეძერის).

რ ო შ ა ქ ი — მეფეო, სულერთია მაინც მივაგნებ! გიჯობს გამოტყდე, სადა გაქვს ლამპარი გადამალული!

მ ე ფ ე — რას ამბობ?

ყ ვ ე ლ ა — რას ამბობ? რას? რას?

მ ე ფ ე — ავსულო! ლამპარს აქ რა უნდა? გამაუბედურე, შვილებთან ერთად ჩამიქრე და ახლა ნე მთხოვ?!

რ ო შ ა ქ ი — თუ ჩაგიქრე, რატომ წყვდიადი არ არის? მატყუებ? ლამპარი! ლამპარი ჩქარა!..

(როშაქი მეფისკენ მიიწევს, მაგრამ უეცრად შემოეარდებიან სამოსშემოხეულ-შემოფლეთილი, ნაბრძოლ-ნაწამები ვაჟები და შერგილი. ჯუმბერი მეფეს ჩამოეფარება დამცველად. გაცეცხლებული როშაქი უჩინარ ხმალს მოუქნევს, მაგრამ ხმალი ჯუმბერზე არ გასკრის).

რ ო შ ა ქ ი — (განცვიფრებული) შენ ვინღა ხარ?

ჯ უ მ ბ ე რ ი — ვერ მიცანი, როშაქო?

რ ო შ ა ქ ი — ჯუმბერ! აახ! (სიმწრით ხელზე იკბენს) — აახ!

ყ ვ ე ლ ა — ჯუმბერ! ჯუმბერ!

(სხველით ჯუმბერისაკენ მიიწევენ, მაგრამ ადგილიდან ვერ იძერიან).

რ ო შ ა ქ ი — (სიმწრისგან დატკბილული კილოთი) აკი ლამპარი არა გვაქვსო, შენ ჩაგვიქრეო, მარწმუნებდა აგერ მამაშენი!..

ჯ უ მ ბ ე რ ი — ჩაგვიქრეო?! ვერა!

(უეცრად როშაქი ჯუმბერს ლამპრის წასართმევად წაეტანება, მაგრამ ჯუმბერი დაასწრებს და ლამპარს თვალებში უსწორებს, ლამპარი მექმწვანე ფერს გამოსცემს) ვერა!.. (როშაქი უძლურად დაიგრიხება)

რ ო შ ა ქ ი — მე სიკეთე გიყავი, ხელში ლამპარი ჩაგიგდე და შენ კი ბოროტად მიხდი? სადღაა შენი სიკეთე, ადამიანო?

ჯ უ მ ბ ე რ ი — ყველაზე დიდი სიკეთე ბოროტების დამხობაა! გზა ადამიანს! (ლამპარს თვალებში ჩაანთებს. როშაქი დაიგრიხება და უსულოდ დაეცემა. ყველა აიშვებს, გახარებულნი ყიყინით შემოცეივდებიან).

დ ე დ უ ფ ა ლ ი — შვილებო!

მ ე ფ ე — შვილებო!

გ ა დ ი ე ბ ი — შვილებო!

ხ მ ე ბ ი — ჯუმბერ! ათე! ჩინო!

(გალავნის სამზირზე გამოჩნდებიან დალი და მისი ქალპეპლები)

ხ მ ე ბ ი — დალი! დალი!

მ ე ფ ე — ღვთაებავ! კაცთმოყვარეე!.

ჯ უ მ ბ ე რ ი — მამავ! ეს არის დალი?!. არა! არა! შენ დალი არა ხარ!

ქ ა ლ პ ე პ ლ ე ბ ი — ეს დალია! დალი!

მ ე ფ ე — სწორია, შვილო, დალია!

დ ა ლ ი — არა, ჯუმბერო, მე ის დალი არა ვარ, ვისაც შენ კითხულობ, ის გუჯაბას ქალიშვილია, ის აგერ იქა დგას მამასთან!

(ყველა იქით მიიხედავს)

ჯ უ მ ბ ე რ ი — დალო!

(გუჯაბა წინ წამოსწევს თავის დამორცხვებულ ქალიშვილს).

დ ა ლ ი — მეფეე და დედუფალო! მიიღეთ სარძლო და დალოცეთ!

მ ე ფ ე-დ ე დ უ ფ ა ლ ი — დამილოცნიხართ, შვილებო!

დ ა ლ ი — მეფეო, აგერ აქა დგას შერგილი, მან მოინანია თავისი ცოდვები, მიიღე იგი!

მ ე ფ ე — მოდი, შერგილო! კვლავ ძმაო და შვილო!

(ხმალს გადასცემს შერგილს)

შ ე რ გ ი ლ ი — (თვალცრემლიანი) ბედნიერი ვარ!.. ბედ...

დ ა ლ ი — დიდება ადამიანის ღვთაებრივ ლამპარს!.

ყ ვ ე ლ ა — დიდება! დიდება!

(მღერიან მრავალჟამიერს)

ფარდა

სარჩევი

მსახიობის სიკვდილი — ალიო ადაშია 7
ჭრიჭინა — მარიკა ბარათაშვილი . 61
მკაცრი ქალიშვილები — კეტი ბუაჩიძე 139
უფსკრულთან — ვიქტორ გაბისკირია . . 213
დაეით გურამიშვილი — შალვა დადიანი, როდიონ ქორქია 285
აპრაკუნე — ირინა ეაკელი 343
„რას იტყვის ხალხი" — რეზო თაბუკაშვილი 413
ჩაშლილი ქორწილი — სიმონ მთვარაძე 461
გენერალი ლესელიძე — გიორგი ნახუცრიშვილი 537
უცნობი ქალი — გიორგი შატბერაშვილი 591
ლამპარი — მიხეილ ჯაფარიძე 655

რედაქტორები ხ. ჭილაია, მ. ჯაფარიძე
გამომც. რედაქტორი მ. ბაკურაძე
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ლ. წივწივაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92 1/16. ნაბეჭდი თაბახი 44,75, სააღ.-საგამომც. თაბახი 38,74.
უე 06694. ტირაჟი 3.000. შეკვ. № 409.

ფასი 21 მან.

•

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
შთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

•

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.